

ტერმინოლოგიურ - თემატური

ს ა რ ჩ ე ვ ი

(პირითადი კონტაქტი)

შესავალი 5-6

ნაწილი I

თარგმანის ფილოლოგიური ანალიზი

1. სემპრიანე ბაბალოვნილის კეძემერონული
კომენტარები და მისი ქართული თარგმანის
წარმოშობა 9-47

ზოგადი ცნობები თხზულების შესახებ 9-10; ქართული თარგმანის მიმართება სომხურთან და ბერძნულთან (ტერმინები: I *δια*; II *δενε*; მიერ, - გან, კელითა 10;18; II *μυστηριον, βουλη, λογισμος*; სიძიძიძი; საიდუმლოდ, ზრახვა 11-32; ზმნისწინები 32-34; ბერძნული ტექსტის კალკირებანი 35-45; ბერძნული სიტყვები და საკუთარი სახელები 45-47)

2. ქართული თარგმანის შეცდომები 47-67

ლექსიკურ-გრამატიკული შეცდომები 47-63; ტექსტის მექანიკური გამოტოვებანი 63-67

3. ქართულ ხელნაწერთა
ურთიერთმიმართებისათვის 68-77

სწორი წაკითხვა დაცულია A-ში 68-72; სრული ტექსტი დაცულია A-ში 72-73; სწორია B 73-75; მცდარია ორივე ხელნაწერი 75-76; დასკვნები 76-77

4. ქართული თარგმანის ღირსებისათვის 77-85

თანხვედრები კოზმასეულ (VI ს.) ტექსტთან 78-80; ბერძნული ტექსტის

5. დასკვნა 86

ნაწილი II

თარგმანის უპირითადესი ტერმინების ანალიზი

წინათქმა 89-90

Ουσια

I ტერმინის ძველი ქართული შესატყვისები . . 91-131

ουσια და *ομοσιος* - განმარტება 91; *ἐπιουσιος* - არსობად, თანაარსობად, სამარადისოდ (ჯრუჭ-პარხლის, ადიშის და ხანმეტი ოთხთავეები) 91-94; არსებად, არსობად, ერთარსებად, თანაარსი (უძველეს ტექსტებში) 94-108; პეტრე იერუსალიმელის საშობაო ჰომილია და ე.წ. პატრიპასიანიზმი 98-100; *ουσια* - ბუნებად 109-112; *φυσις* - არსებად 112; არსებად, როგორც *ουσια*-ს სინონიმური ტერმინების (*υπαρξις, συστασις, υποστασις, γενεσις, καταστασις* და სხვა) შესატყვისი 112-119; *ουσια* (აგრეთვე *βωλος, εσχαρα, υποκειμενον, φυσις*) - შანთი 120-126; ბერძნული ტერმინი უთარგმნელად ("უსიად") 127-129; Ath.9-ის ანდერძისა და "იოანე ზედაზნელის ცხოვრების" ვრცელი რედაქციის (Q-795) ტექსტობრივი პარალელები 127-129; *ομοσιος* - მსგავსი 129-131; თანამსგავსი - *συμμορφος* 131, შენ.1.

II. ტერმინ *ουσια*-ს შესატყვისი სემვირიანი

ბაბალოვნელის "ექუსთა ღღეთას"

ქართულ თარგმანში 131-145

το ειναι - არსებად, არსი 132-133; *ουσια* - საუნჯე, *ομοσιος* - ერთუნჯებად, უნჯობად, ერთი საუნჯე 133-135; *ουσια*-ს და საუნჯის ყოფითი და თეოლოგიური შინაარსი, გამოთქმითი პრიმიტივიზმი 135-138; 141-142; *ουσια* - საუნჯის ტერმინოლოგიური შესატყვისობის სხვა დამოწმებანი 138-140; *ουσια* - სიმდიდრძ 140-144; დასკვნა 144-145

Φυσικ

I ტერმინის შესატყვისები ძველ ქართულ მწერლობაში 146-155

φυσικ - განმარტება 146; *φυσικ* - ბუნება (უძველესი დამოწმებანი) 146-154

II ტერმინის შესატყვისები სევერიანა ბაგალოვნილის "მქუსთა ღღეთას" ქართულ თარგმანში 155-216

ბუნება - բնութիւն 155; *φυσικ* - წესი (წესებად, წესობად) 156-157; *φυσικ* - სახე 158; წესი - პოლისემური ტერმინი 159-160; 161; *φυσικ* - ბუნი 160; ბუნი - բնակ 160 (შენ.1); წესის და სახის ტერმინოლოგიური მოუხერხებლობა *φυσικ*-ის შესატყვისად 161-162; ბუნებისა და გონების აღრევები გადამწერთა მიერ (ზოგადად და აღნიშნული თარგმანის ხელნაწერებში) 162-170; "წმ. მუშანიკის მარტვილობის" ფრაზა "იწრო ბუნებად" ("იწრო გონებად"?) 165-166; პარალელური ნიმუშები: "მვეცთათვს სახისა-სიტყუად" ["ფიზიოლოგის" შესწავლის ისტორია და რედაქციული ტიპები 171-176; ქართულ-სომხური თარგმანის რედაქციული ტიპი 174-176; ქართული თარგმანის დასათაურება 176-177; თარგმანის ტერმინოლოგიური ანალიზი: *φυσικ* - բարբ - სახე; *φυσιοლოγια* - բարբիախաւս - სახისმეტყუელი 178-179; ნ. მარის თვალსაზრისი ზემოაღნიშნულ ტერმინთშესატყვისობათა შესახებ და აღნიშნული თვალსაზრისის ანალიზი 180-183; 188-189; բնութիւն - მკვდრი, მკვდრობად 184-186; *φυσικ*-ის ჰენდიადისური თარგმანები ("მკვდრობად და სახე"; "სახე და წესი") 186-188; სომხური თარგმანის დრო 189; 192; ნ. მარის თვალსაზრისი ქართულ-სომხურ თარგმანთა დროის შესახებ 190-192; სომხური თარგმანის ტერმინოლოგიური არქაულობა (*սկի* - սրուր - თხლქ; *սλικոս* - սրախարս - თხლქშეზავებული) 193-194; ქართული თარგმანის ტერმინოლოგიური არქაულობა (*νοερος//νοητος* - իմանալի, աներեվոիթ - საგონებელი) 196-199; 202; მთარგმნელობითი მეთოდოლოგიის შესახებ 199-202; უძველესი ქართული ნოეტური ტერმინები (საცნაური, ცნობადი ცნობიერი, გონიერი და სხვა) 203-205; თარგმანში დამოწმებული თვეთა ძველი სახელები და მათი კალენდარული ანალიზი 205-212; სხვა უძველესი პარალელები 213-216; დასკვნა 216.

Υποστασις

I. ტერმინის ძველი ქართული შესატყვისები . . 217-230

υποστασις - განმარტება 217; *υποστασις* - არხებად, არხი 218-219; 223; დოგმატური შესატყვისი: გუამი, გუამოვნებად 219-220; 224; უძველესი

შესატყვისები (ძალი, სიმტკიცე, სამყაროდ, სიმტკიცე ძალისად, ძლიერებად) 220-225; გუამისა და გუამოვნების უძველესი და მოგვიანო დამოწმებანი 225-228; ტერმინთშესატყვისობა გუამი - *αυαυ* 229-230.

**II ტერმინის შესატყვისი სემპრიანე
ბაბალოვნელის “ეჰუსთა ღღეთას“ ქართულ
თარგმანში 230-232**

შესატყვისი ზედამდგომელი 230-231; ტერმინ ზედამდგომელის განმარტება 231-232; დასკვნა 232

Μονογενης

I ტერმინის ძველი ქართული შესატყვისები . . 233-237

უძველესი შესატყვისი მხოლოდშობილი (სინონიმები: მარტოდ, მარტოდ შობილი, იამავრი) 233-237

**II ტერმინის შესატყვისი სემპრიანეს თხზულების
ქართულ თარგმანში 238-247**

შესატყვისი მხოლოდყოფილი 238-239; ტერმინები *μονογενης, γενναω, γυνομαι* 239-241; ტერმინები ყოფა და ქმნა (ყოფილი, ქმნული) 241-244; ტერმინ მხოლოდყოფილის თეოლოგიური ანალიზი 244-245; პარალელური დამოწმება 245-247; დასკვნა 247

Στοιχειον

I ტერმინის ძველი ქართული შესატყვისები . . 248-258

στοιχειον - განმარტება - 248; უძველესი შესატყვისები: წესი 248-250; საწესო 251; შესატყვისი ნივთი 248-250; 253-255; სხვა შესატყვისები (სტვქისი, აგებულება, ასოდ, კავშირი, სტუქო და სხვა) 248-249; 255-257

**II ტერმინის შესატყვისები სემპრიანე
ბაბალოვნელის “ეჰუსთა ღღეთა“-ს ქართულ
თარგმანში 258-260**

შესატყვისები; წესი და საწესოდ 258-259; ნივთი ყოფითი შინაარსით, ზმნა ნივთება 259-260; დასკვნა 260

Υλη

I ტერმინის ძველი ქართული შესატყვისები . . 261-276

განმარტება 261; ყოფითი შესატყვისები (უძველესი დამოწმებანი): ტყმ, სიმართლმ, საწოლი, მოფიცრული 261-262; შესატყვისი ნივთი (უძველესი დამოწმებანი) 262-267; შესატყვისი რად 268-269; **სλη**-ს ფილოსოფიური შინაარსის გადმომცემი უძველესი ქართული ტერმინი სივშოდ (სიყშოდ, სივშირე) 270-275, "კაცისა შესაქმის" უძველესი თარგმანის ნარედაქტირები ადგილები 271-272; დასკვნა 275-276

II ტერმინის შესატყვისები სევერიანე

ბაბალოვნელის "ექუსთა ღღეთას" ქართულ

თარგმანში 276-278

უძველესი ქართული შესატყვისები: სივშირე, ვშირი 276-277; დასკვნა 278

Ορθοδξια, Ορθοδξιας

I ტერმინის ძველი ქართული შესატყვისები . 279-315

ტერმინთა განმარტება 279; შესატყვისები: მართლმადიდებლობად, მართლმადიდებელი (უძველესი დამოწმებანი) 279-283; უადრესი შესატყვისები: მართლდიდებად, მართლიადდიდებად 283-285; 314-315; "საბა განწმედილის ცხოვრების" ძველი ქართული თარგმანის დათარიღების შესახებ (ფორმა იოჰანე 286-291, სარაკინოსი 291-292; აბბა 293-294; -ივ, -ით და -ის სუფიქსების საკითხი "ღმერთ" სიტყვის შემცველ კომპოზიტებში 294-314; ტბეთის ოთხთავის საკითხი 287-290; დასკვნა 315

II ბერძნულ ტერმინთა შესატყვისები სევერიანე

ბაბალოვნელის "ექუსთა ღღეთას"

ქართულ თარგმანში 316-321

უძველესი შესატყვისები: "სიმართლმ შჭულისად", "შჭული მართალი", "რჩულმართალი" 316; აღნიშნულ ტერმინთა ანალიზი 317-318; **დიჯა** - დიდებად 318-321; დასკვნა 321

Κανων

I ტერმინის ძველი ქართული

შესატყვისები 322-324

განმარტება 322; უძველესი შესატყვისი წესი 322-323; ტერმინ კანონის

**II ბერძნული ტერმინის შესატყვისი სემპრიანა
ბაბალოვნილის "ექუსთა ღღეთას" ქართულ
თარგმანში 324-326**

შესატყვისი გეგმი 324; გეგმის შინაარსობრივი ანალიზი 325; განგეგმვა
- კარგელ 326; დასკვნა 326

Αισθησις, Αισθητήριο

I ტერმინთა ძველი ქართული შესატყვისები . . 327-359

განმარტება 327; შესატყვისი საგრძნობელი (პარალ. საცნობელი) 328-331;
სხვა სენსორული ტერმინები (გრძნობად, გრძნობადი, მგრძნობელი, უგრძნობელი
და ა.შ.) 331-336; საცნობელი (პარალ. საჩინოდ, ხილული, გრძნობადი,
გრძნობად) 336-337; ცნობად 337; სენსორული ტერმინები ექვთიმე ათონელთან
338-343; მოგვიანო ეპოქა 343-351; უადრესი ეპოქა 351-359; უადრესი
შესატყვისები: გონებანი, გულისკმისსაყოფენი 354-355

**II ბერძნული ტერმინის შესატყვისი სემპრიანას
"ექუსთა ღღეთას" ძველ ქართულ
თარგმანში 359-360**

შესატყვისი გონებანი 359-360; დასკვნა 360

Αιτία, Αιτιον

**I ტერმინთა შესატყვისები ძველ ქართულ
მწერლობაში 361-370**

განმარტება 361; ძირითადი უადრესი შესატყვისი ბრალი 361-362;
προφασις, αφορη - მიზეზი 362-363; *αιτια* - ბრალი (სხვა უადრესი
დამოწმებანი) 364-365; *αιτια* - მიზეზი (უადრესი დამოწმებანი) 365-370

**II ტერმინთა შესატყვისი სემპრიანა
ბაბალოვნილის "ექუსთა ღღეთას" ძველ ქართულ
თარგმანში 370-372**

შესატყვისები: ბრალი, ბრადლობად 370-371; დასკვნა 372

Ποιότης, Ποιον

I ტერმინთა ძველი ქართული

შესატყვისები 373-677

განმარტება 373; უმთავრესი წინაათონური შესატყვისი ვითარებად 373-376; ძირითადი შესატყვისები გიორგი მთაწმინდელთან (ვითარებად, აგებულებად, სიზრქე სიპოხე, სივშოდ) 376-377; შესატყვისები ექვთიმე ათონელთან (აგებულებად, სიპოხე, ნივთი, ბუნებად) 377-378; 380; ტერმინ სიპოხის კვალიტატური გააზრების მიზეზი 378-379; ეფრემ მცირისეული შესატყვისი რომელობად 380-381; გვიანდელი ეპოქა (არსენი, პეტრიწი, გელათური სკოლა) 381-386; XII-XIII სს-ის არაიდენტიფიცირებულ საღვთისმეტყველო თარგმანთა კლასიფიკაცია 387-389; ამონიოს ერმისის შრომათა თარგმანების (ზოგადად VI ჰომოგენური ჯგუფის) და იოანე პეტრიწის შრომების ტერმინოლოგიური მიმართებანი: *ειδος* და *γενος* (გუარი, ტომი; ნათესავი, სახე) 391-393; ტერმინ *σχεις*-ის შესატყვისები ეფრემთან (თვსებად), არსენთან (თვსებად; განუჭრელი თვსებად), გელათურ ტექსტებში (სქესი) და იოანე პეტრიწთან (დანახეთქი, მინახეთქი, თანდართვად, მინაჭუსვად, სქესებრივი მინაჭუსვად და სხვა) 394-396; *ενεργεια* (შორისქმნად; მოქმედებად) 396-397; *επινοια*-ს ძველი ქართული შესატყვისები (მოგონებად, წულილადი მოგონებად, წულილი მოგონებად, წულილ-მომგონებელობად, წულილმოგონებად, ზედმოგონებად და სხვა) 397-402; *διανοια* და მისი ძველი ქართული შესატყვისები (გონებად, ცნობად, მოგონებად, გულისკმისყოფად, გაგონებად, განმგონებელობად, მგონებლობად, მიდმოგონებად და სხვა) 403-411; *νοημα, νοησις* (განზრახვად, გულისკმისყოფად, მოგონებად, ცნობად, გულისსიტყუად, გონიერებად, საცნაურებად, მცნობელობად, მეცნიერებად, გულისხუმისსაყოფელი, გულისზრახვად, განმგონებელობად, თნებად, გაგონებად და სხვა) 412-416; სხვა ბერძნული ნოეტური ტერმინები (*νοεω, κατανοεω, εννοεω, εννοια, κατανοησις* და სხვა) და მათი ქართული შესატყვისები 417-421; აღნიშნულ ტერმინთა პეტრიწისეული თარგმანები 422-424; პეტრიწისეული "მიდმოგონების" ტერმინთქმნადობითი საფუძველი 425-427; *νοερος//νοητος*-ის ძირითადი ძველი ქართული შესატყვისები (საგონებელი, საცნაური, ცნობადი, გონიერი, გონებიერი, გულისხმისსაყოფელი, უხილავი და სხვა) 427-436; ეფრემისთვის ნიშანდობლივი ტერმინთშესატყვისობა: *νοερος//νοητος* - საცნაური (ცნობადი, მცნობელი, გულისკმისსაყოფელი და სხვა) 436-443; ძირითადი ტერმინთშესატყვისობა არსენის გვიანდელ თარგმანებში (გონიერი) 440-442; შესატყვისები გრიგოლ აკრაკანტელისა და ოლიმპიოდორეს შრომათა თარგმანებში და იოანე ჰიმჭიმელთან 443-446; ძირითადი ტერმინთშესატყვისობა გელათურ თარგმანებში (გონიერი) და პეტრიწთან (გონიერი, განსაგონოდ, საგონოდ და სხვა) 446-452; *γνωσις* და მისი ძირითადი შესატყვისები "ცნობად" და "მეცნიერებად" ძველ ქართულ მწერლობაში, გელათურ სკოლაში და იოანე პეტრიწთან 452-457; *κινήσις* და მისი პეტრიწისეული შესატყვისი მიდრეკად 457-459;

ტერმინი ვითარებად ეფრემთან და პეტრიწთან 460-462; იგივე ტერმინი იოანე
 ჭიმჭიმელთან 462-463; მაქსიმე აღმსარებლის სამი შრომის ("ორასეული",
 "ოთხასეული" და "თავნი ათხუთმეტნი") ქართველი მთარგმნელის (ეფრემ
 მცირის) საკითხი ტერმინოლოგიური ასპექტით: *ποιότης* - რომელობად 464;
 466; ზემორე ძეგლთა თარგმნის სავარაუდო დრო 465-466; ორი უმთავრესი
 ტერმინოლოგიური ასპექტი: (I) *υποκειμενον* 466-475; (II) *μετεχω* 475-489;
 სხვა ტერმინოლოგიური შედეგები (ტერმინთშესატყვისობანი და შეჯამებითი
 ეპოქალური განხილვები): (I) *αισθησεις* 489-490; (II) *ακριβης* 490-502; (III)
γνωμη 502-516; (IV) *γνωσις* 516-517; (V) *γραμμα* 517-521; (VI) *δι-*
αθεσις 521-528; (VII) *διανοια* 528-529 (VIII) *δογμα* 529-538; (IX) *δοξα*
 538-560 (ტერმინი მართლმთნებლობად 542; გრიგოლ ღვთისმეტყველის
 არალიტურგიკულ და ლიტურგიკულ სიტყვათა ეფრემისეული თარგმანები,
 როგორც ორი ტერმინოლოგიური ეტაპი 542-558; ტერმინი *προνοια* და
 მისი ეფრემამდელი და ეფრემისეული შესატყვისები: 1. განგებად, განგებულ-
 ებად; 2. წინაგანგებად, წინაგანგებელობად 548-554; გრიგოლ ღვთისმეტყველის
 ლიტურგიკულ სიტყვათა ეფრემისეული თარგმანი - ნიმუში მთარგმნელობითი
 აპორეტიკისა 556-557; ეფრემის თარგმანებზე დართული გელათური იამბიკო-
 ები 558-559); (X) *εξις* 561-582 (*αποδοσις*-ის ქართული შესატყვისები
 564-566; *προαιρεσις*-ის ქართული შესატყვისები 567-576; ტერმინი "ანაგები"
 576-581); (XI) *επιστημη* 582-588; (XII) *ηδη* 588-594; (XIII) *νοερ-*
ος//νοητος (და სხვა ნოეტური ტერმინები) 594-597; (XIV) *σχεσις* 597-600;
 მაქსიმეს "ორასეულისა" და "ოთხასეულის" ქართული თარგმანის იშვიათი
 ტერმინები: განკუთხვილი 600-602; ვნებულმოყუარებად 602-603 (პროსპათე-
 ტური ტერმინი ჩუქევად, სხვა პროსპათეტური ტერმინები 603); გარემოდსად-
 ვუმევად 603-604; წიაღუვლელი 604-605; წუთჟამი 605-607; ქონიერი 607;
 ცუდსახელი 607-608; *γραμμα* - მოწერად (და სხვა გრაფიკული ტერმინები)
 608-614; უტომიერესი და ძველი ქართული ეიდოსურ-გენიკური ტერმინოლ-
 ოგია 614-625; კატეგორიალური ტერმინოლოგია 625-627; *αρχη* - დასაბამი
 627-628; "იოანე ღვთისმეტყველის მოსავსენებლის" თარგმანის ატრიბუცია
 628-645 (ასომატური ტერმინოლოგია 630-633; აბოდიქტური ტერმინოლოგია
 634-642; *δραστικός* და მისი ძველი ქართული შესატყვისები 642-645);
 კატათატურ-აპოთატური ტერმინოლოგია 645-648; *ομοσιος* - თანაარსი,
 თანაარსებად 648-650; დასკვნა 650; შესატყვისობა *ποιότης* - მოქმედებად,
 როგორც პეტრე გელათელის ტერმინოლოგიური სპეციფიკა 652; მისთვისვე
 ნიშანდობლივი შესატყვისობა *ενεργεια* - საქმიერობად 653; ტერმინ
 საქმიერობის სხვა (ადრეული) შესატყვისობანი 653-656; Ath-6-ის თარგმანთა
 ტერმინოლოგიური თანხვედრები პეტრე გელათელის ტერმინულ სტრუქტურ-
 რასთან (*ενεργεια* - საქმიერობად 658; *σεβας* - მოხავობად 658-662;
σεμνος - ხათნოდ 662-663; *προσεχω* - განმკაცრება 663-665; *ακριβεια* -
 გამოწულილვად 665-666; *συγκρινω* - თანშებელობად 666-667; *παραιτεομαι* -
 გამოთხოება 667-669; *γνωμη* - ცნობად 669; *νοημα* - გაგონებად 669;

λοιπον - ნამდვლ. ნამდვლვე 669-671; *παρασκευη* - აღმზადებად 671;
προνοια - წინაზრუნვად 672; *δογμα* - რწმენითი რჩული 672);
იდენტურობის სხვა არგუმენტები 672-673; პეტრე გელათელის ტერმინოსტრუქ-
ტურის სხვა სპეციფური ასპექტები 674-677; პეტრიწის გავლენები 651-652;
674 (შენ.1)

**II ტერმინ *ποιότης*-ს შესატყვისი სემპრიანე
ბაბალოვნელის “ეჰუსთა ღღეთას“ ქართულ
თარგმანში 677-678**

უძველესი შესატყვისობანი: ნუყიერებად, ფერი 677-676; დასკვნა 678

Ασματος

I ტერმინის ძველი ქართული შესატყვისები 679

ტერმინები უკორცოდ, უსხეულოდ (უძველესი დამოწმებანი) 679

**II ტერმინის შესატყვისები სემპრიანე
ბაბალოვნელის “ეჰუსთა ღღეთას“
ძველ ქართულ თარგმანში 680-681**

უძველესი შესატყვისები: კორცთა გარეშე, კორციელებისა გარეშე (აგრეთვე,
უახლოდ) 680-681; ორიგენეს ტერმინოლოგიური შენიშვნა 681; დასკვნა 681

ძირითადი დასკვნები 682

ბოლოთქმა პირველი ტომისათვის 683

აიწყო და მომზადდა დასაბეჭდად გამომცემლობაში კომპიუტერული ტექნოლოგიით.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.04.96. ქაღალდის ზომა 60x84. ნაბეჭდი თაბახი 42. პირ.ნაბეჭდი თაბახი 41,3. საადრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 41,77.

ორიგინალ მაკეტი მომზადდა ფირმა "ნერგში".

ტექნიკური რედაქტორი: ლარისა ზიბოროვა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
THE ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA

კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი
THE KEKELIDZE INSTITUTE OF MANUSCRIPTS

"პირველითგანვე გვქონდეს წერილნიცა და
სარწმუნოებაჲ ჭეშმარიტი და მართალი"
ბიორბი მცირე

ედიშერ ქელიძე

ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია

სევერიანე გაბალოვნელის «ექუსთა დღეთა»-ს
უძველესი ქართული თარგმანის საფუძველზე

I

თბილისი

«მეცნიერება»

1996

ტერმინოლოგიური კვლევა გულისხმობს ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიურ ასპექტთა და მსოფლმხედველობრივ წვდომათა თვისობრივ განუყოფლობას. ტერმინი, ეკლესიური სწავლებით, არის არა მშრალი, აბსტრაქტული ცნება, არამედ ცოცხალი მონაცემი, სულიერი აღქმის ტვიფარი. რამდენადაც ქრისტიანობა ბუნებრივი მთლიანობაა პრაქტიკისა და თეორიისა, ანუ, ძველი ქართულით, "საქმისა" და "ხედვისა", ამდენად ქრისტიანული ლიტერატურის მეცნიერული შესწავლის გზად ტერმინთქებითი კვლევანი გამართლებულია, რადგან ამგვარი კვლევითი გეზი ადეკვატურია, თანაგვარია საკვლევი მასალის თვისებისა ანუ, პეტრიწის სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი "შესაბამია თვისისა არსებისა".

ტერმინული ასპექტით ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა უმდიდრესზე უმდიდრეს მასალას გვაწვდის. ტერმინოლოგიურ ნაიგვარობათა ამ უსიერ ტევრში გზის გაკვლევა, ცხადია, უნდა მოხდეს კანონზომიერი, თანდათანობითი და წყაროთმცოდნეობითად არგუმენტირებული განხილვების წესით, ყოველი მნიშვნელოვანი ტერმინის დამოუკიდებელი ტერმინთმცოდნეობითი ანალიზის მეთოდით.

აღნიშნული წიგნი ერთ-ერთი ცდაა ამგვარი კვლევისა. საფუძვლად აღებულია სევერიანე გაბალოვნელის "ექუსთა დღეთას" ქართული თარგმანი, რომელიც, ვფიქრობთ, უძველესი ტექსტია ჩვენთვის დღეისათვის ხელმისაწვდომ ქართულენოვან საეკლესიო ძეგლთა შორის. შესაბამისად, მასში დაცულია ქართული ქრისტიანული ტერმინოლოგიის უადრესი სახე. ამ თარგმანის ტერმინული არქაულობის გამოსავლენად ავტორის მიერ წარმოებულია ცალკეული ტერმინთქებითი და, საჭიროების შემთხვევაში, ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური კვლევანი უძველესი დროიდან მოგვიანო ეპოქამდე (ჩვეულებრივ, XII-XIII სს-ის ჩათვლით). გამოკვლევის პირველი ტომი ორ თავს მოიცავს, რომელთაგან პირველი ზემოხსენებული თარგმანის საკუთრივ ფილოლოგიურ პრობლემატიკას განიხილავს, ხოლო მეორე აღნიშნული თარგმანის უძირითადესი ტერმინების შესწავლას ეძღვნება. გამოკვლევის მეორე ტომში განზრახულია შევიდეს: (I) ვრცელი განხილვა, სათაურით "თარგმანის ზოგადი ლექსიკურ-ტერმინოლოგიური არქეოგრაფია"; (II) ცალკე თავად "ბიბლიური ციტატების რაგვარობა"; (III) ხსენებული თარგმანის ტექსტის მიხედვით შედგენილი ლექსიკონი და (IV) ტერმინთსაძიებელი.

ავტორი დიდი მადლიერებით მიიღებს და გაიზიარებს ყველა არგუმენტირებულ შენიშვნას.

რედაქტორი: მაია გორგიაშვილი

რეცენზენტები: თეონა ნაცვლიშვილი
ნათია ნემსიფშვილიძე

შესავალი

იერუსალიმის ქართულ ხელნაწერებში აღმოჩნდა სევერიანე გაბალოვნელის (IV-V სს.) ეგზეგეტიური თხზულება "ექუსთა დღეთათჳს",¹ რომელიც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ტერმინოლოგიური თვალსაზრისით. ხსენებულ თარგმანში დაცულია ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის უადრესი სახე, რომლის სპეციალური ანალიზი აუცილებელი გვეჩვენება საქართველოში ქრისტიანული ღვთისმეტყველების ისტორიული გზის შესასწავლად.

ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგია საუკუნეების მანძილზე, ცხადია, ერთგვაროვანი არ იყო. მას მეტ-ნაკლებად განსხვავებული სახე ჰქონდა არა მხოლოდ სხვადასხვა ეპოქაში, არამედ დაახლოებით ერთი ეპოქის სხვადასხვა ავტორთან, სხვადასხვა სამწერლობო სკოლაში.

ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის ისტორიული გზის აღსადგენად სპეციალურ შესწავლას მოითხოვს ყოველი ფილოსოფიურ-თეოლოგიური ძეგლი. ამასთან, ამგვარი შესწავლა უნდა იცავდეს **ქრონოლოგიურ** თანამიმდევრობას. გვიანდელი ავტორები უმრავლეს შემთხვევაში ითვალისწინებენ წინამორბედთა შრომებს, ეყრდნობიან წინარე ტრადიციას. იმისათვის, რომ შევაფასოთ ამა თუ იმ საეკლესიო მწერლის, ანდა სამწერლობო სკოლის ტერმინოლოგიური სიახლეები, უნდა შეგვეძლოს გარკვევა იმისა, თუ რა მიიღეს მათ მემკვიდრეობით, ამის გარკვევა კი ქრონოლოგიურად ადრინდელი შრომების ანალიზის გარეშე, ცხადია, არ მოხერხდება.

ქართული ქრისტიანული ტერმინოლოგიის თავდაპირველი სახის შესასწავ-

¹ ამ ძეგლს პირველად ყურადღება მიაქცია თ.ჭყონიამ, რომელმაც მოამზადა კიდევ იგი გამოსაცემად. თ.ჭყონიას შრომა დათარიღებულია 1960 წლით და იგი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში. აქვე ინახება მ.შანიძის რეცენზია ხსენებულ შრომაზე (ეს რეცენზიაც 1960 წ-ს ეკუთვნის). მოგვიანებით, აღნიშნულ ძეგლს ორგზის გაკვრით შეეხო ი.აბულაძე (იხ. შრომები, 111, თბ.1962, გვ.226; მისივე, უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის "ექუსთა დღეთათჳს" და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა "კაცისა აგებულებისათჳს" თბ.1964, გვ.9). საგულისხმოა, რომ ხელნაწერებში თხზულების ავტორად იოანე ოქროპირია დასახელებული (მასვე ასახელებენ ავტორად რ.ბლეიკი და კ.კეკელიძე). თ.ჭყონიამ შენიშნა, რომ ძეგლის ნამდვილი ავტორია არა იოანე ოქროპირი, არამედ სევერიანე გაბალოვნელი, რაც თავის დროზე გარკვეული იყო ი.ცელინგერის მიერ (იხ. თ.ჭყონია, სევერიანე გაბალოვნელი და მისი თხზულება "ექუსთა დღეთათჳს", მანქანაზე გადაბეჭდილი, 1960, გვ.5-6).

ლად ბევრს არაფერს გვაძლევს ბიბლიის უძველესი ქართული ვერსია, რამდენადაც ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინები ბიბლიაში თითქმის არ გვხვდება. ტერმინოლოგიური ძიებების დროს ძველი და ახალი აღთქმის წიგნთა ქართულ თარგმანებს მხოლოდ **დამხმარე მნიშვნელობა** ენიჭებათ.

უძველესი ქართულენოვანი ტექსტები, ძირითადად, დაცულია "მრავალთავებში", აგრეთვე, სახელგანთქმულ "შატბერდის კრებულში". ტერმინოლოგიური ნაირგვარობის გამო აღნიშნულ კრებულებში შესული ძეგლები სხვადასხვა დროის თარგმანებად უნდა მივიჩნიოთ. მათგან უადრესის გამოყოფა, ვფიქრობთ, სწორედ ტერმინოლოგიური ანალიზის შედეგად ხდება შესაძლებელი.

ყურადღებას იქცევს V-VI სს-ის ორიგინალური ძეგლები "წამებად წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ" და "მარტვლობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ", თუმცა რამდენადაც მათში ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინები უმნიშვნელო რაოდენობით გვხვდება, ეს ძეგლებიც ზემოაღნიშნულ თხზულებებთან ერთად ჩვენი მიზნებისათვის მხოლოდ მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ინარჩუნებენ. ამგვარივე მნიშვნელობისაა, საზოგადოდ, აგიოგრაფიული თუ ჰიმნოგრაფიული ძეგლების უძველესი ქართული თარგმანები.

ქართული ქრისტიანული ლიტერატურის IX-X სს-მდელი ტექსტებიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სევერიანე გაბალოვნელის ზემოაღნიშნული შრომა, რომელიც, ჩვენი აზრით, წარმოადგენს ქართული მწერლობის უადრეს პერიოდში თარგმნილ ძეგლს (ამის შესახებ ქვემოთ). **ვფიქრობთ, სწორედ მასზე დაყრდნობით შეგვიძლია დავინყოთ ქართული ქრისტიანული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ისტორიული გზის შესწავლა.**

აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ რამდენადაც სევერიანე გაბალოვნელის "ექუსთა დღეთაჲს" ქართული თარგმანი განსაკუთრებული მნიშვნელობის ძეგლად გვესახება, **აუცილებელი ხდება მისი დანვრილებითი ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური შესწავლაც**, კერძოდ კი გარკვევა იმისა, თუ საიდან არის თარგმნილი ეს ძეგლი, უშუალოდ ორიგინალიდან, თუ რომელიმე სხვაენოვანი (არაბერძნული) ტექსტიდან. ამის გარკვევა წინ უნდა უძღოდეს თარგმანის ტერმინოლოგიურ ანალიზს, რადგანაც **საკუთრივ ტერმინოლოგიური ანალიზის დროს უთუოდ ხელთ უნდა გვექონდეს ქართული ტექსტის პირველწყარო, რომ ზუსტი ტექსტობრივ-ტერმინული პარალელების ფონზე შევძლოთ ცალკეულ არქაულ ქართულ ტერმინთა სრული შინაარსობრივი შესწავლა.** აღნიშნული გარემოების გამო, წინამდებარე გამოკვლევის პირველ ნაწილად წარმოვადგენთ ქართული თარგმანის ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიურ ანალიზს, როგორც შემდგომ ტერმინოლოგიურ ძიებათა საფუძველს.¹

¹ რადგანაც ტექნიკური მიზეზებით სრულიად შეუძლებელი გახდა ბერძნული სიტყვებისათვის ასპირაციისა და მახვილის ნიშნების დასმა, ისინი აღნიშნულ წიგნში ამგვარ ნიშანთა გარეშეა წარმოდგენილი.

ნაწილი I

**თარგმანის ფილოლოგიური
ანალიზი**

1. სევერიანე გაბალოვნელის კომენტარული კომენტარები და მისი ქართული თარგმანის წარმოკვლევა

სევერიანე გაბალოვნელის "ექუსთა დღეთათჳს" ვრცელი ეგზეგეტიური შრომაა. თხზულების ორიგინალი ექვსი თავისაგან შედგება. მათგან ქართულად თარგმნილია მხოლოდ ხუთი. ბოლო VI-ე თავი ხელნაწერებში არ იძებნება და საფიქრელია, რომ იგი უთარგმნელი დარჩა.¹

სევერიანე გაბალოვნელის შესაქმისეული კომენტარები ფილოლოგიურ-მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით გამოიკვლია ი. ცელინგერმა.² მკვლევარი ცხადყოფს, რომ აღნიშნულ შრომას ქრისტიანულ მწერლობაში რაიმე შესამჩნევი კვალი არ დაუტოვებია. სხვათაშორის, ამაზე მიაწინებს ისიც, რომ ძველ დროში თხზულება არ ყოფილა თარგმნილი ლათინურად.³ დიდად არ გავრცელებულა იგი არც აღმოსავლურ ქრისტიანობაში. ი. ცელინგერი მიუთითებს მხოლოდ არაბულ თარგმანზე,⁴ რომელიც ბერძნული ორიგინალის შემოკლებას წარმოადგენს. კოპტურ ენაზე ცნობილია ერთადერთი ფრაგმენტი VI ჰომილიის დასაწყისისა.⁵ სირიულად ჩვენამდე მოაღწია აღნიშნული თხზულების მხოლოდ კატენებში დაცულმა ციტატებმა.⁶ სომხურად შემორჩენილია მისი რამდენიმე უმნიშვნელო ნაწყვეტი,⁷ რომლებიც თარგმნილია ლათინურიდან XVII ს-ში იაკობ ვარდაპეტის მიერ.⁸

რაც შეეხება ქართულ ტექსტს, იგი, როგორც აღინიშნა, შეიცავს მხოლოდ ხუთ თავს. საგულისხმოა, რომ თხზულების ორიგინალს თვით ბერძნულ ხელნაწერებში ზოგჯერ მეექვსე თავი აკლია. ასეთია, მაგალითად, ის ხელნაწერი, რომელიც საფუძვლად დაედო მინის გამოცემას. სწორედ ამგვარი ხელნაწერი უნდა ჰქონოდა ხელთ ქართველ მთარგმნელს.

ქართული ტექსტის წყაროდ ვერ მივიჩნევთ არაბულ თარგმანს, რადგანაც ეს უკანასკნელი, ქართულისაგან განსხვავებით, ბერძნული ტექსტის კომპენდიუმს წარმოადგენს. ამასთან, ქართული ტექსტი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, უთუოდ ადრინდელია IX ს-ზე. მასში არ გვხვდება არცერთი ახალსპარსული თუ არაბული სიტყვა. ასევე ვერ მივიჩნევთ ქართული თარგმანის დედნად კოპტურს. რადგანაც, ჯერ ერთი, არ ვიცით, არსებობდა თუ არა ამ ენაზე სევერიანეს ჰექსემერონის მთლიანი თარგმანი, მეორეც, ჩვენამდე მოღწეული კოპტურენოვანი ფრაგმენტი VI ჰომილიას განეკუთვნება, ეს ჰომილია კი ქართულად თარგმნილი არ ყოფილა. სირიულ კატენებში დადასტურებული

1 თ. ჯყონია. დასახ. შრომა, გვ. 16.

2 J. Zellinger, Die Genesishomilien des Bischofs Severian von Gabala, Munster, 1916

3 ეს თხზულება ლათინურად პირველად თარგმნა მისმა ერთ-ერთმა გამომცემელმა კომფებისმა. იხ. ი. ცელინგერის დასახ. შრომა, გვ. 13

4 იქვე, გვ. 17-19

5 იქვე, გვ. 22

6 იქვე.

7 Clavis Partum Graecorum, cura et studio M. Geerard, Brepols-Turnhout, 1974 vol. II pg. 470.

8 Nouvelles archives des missions scientifiques et litteraires, t. XXII, fasc. 5, Paris 1924 pg. 356.

ციტატებიც არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, იყო თუ არა თარგმნილი სევერიანეს შრომა სირიულად. ამგვარი კატენები არსებობდა ბერძნულადაც¹ და, საფიქრელია, სევერიანეს თხზულების სირიული ციტატები სწორედ ბერძნულ კატენებს გადაჰყვათ თარგმანში.

როდესაც ქართული ტექსტის წარმომავლობის შესახებ ვსაუბრობთ, ბუნებრივია, უპირველესად იმ ენისკენ მივაქცევთ ყურადღებას, რომელთანაც ქართულ მწერლობას უძველეს პერიოდში მჭიდრო კავშირი ჰქონდა.

რამდენადაც ქართული ტექსტის არაბულიდან მომდინარეობა, ჩვენი აზრით, სრულიად გამორიცხულია,² ასევე, რამდენადაც მიზანშეწონილად არ გვეჩვენება მისი დაკავშირება სირიულ-კობტურ-ლათინურ ქრისტიანულ მწერლობასთან, ყოველ შემთხვევაში, ამგვარი დაკავშირებისათვის არავითარი საფუძველი არ გვაქვს, ამდენად ყველაზე უფრო საგულვეტელი უნდა იყოს, რომ ქართული ტექსტი უშუალოდ ორიგინალიდან ითარგმნა ანდა, შესაძლოა, იგი მომდინარეობდეს სავარაუდო სომხური თარგმანიდან, რომელმაც ჩვენამდე არ მოაღწია.

ქართულ ტექსტზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ იგი სომხურიდან თარგმნილი არ უნდა იყოს. ჯერ ერთი, ქართული თარგმანი არ განიცდის სომხური ლექსიკის უშუალო გავლენას, როგორც ეს საზოგადოდ გვხვდება სომხურიდან თარგმნილ ტექსტებში. მეორეც, ასეთი ვრცელი ტექსტის მანძილზე ვერსად ვპოულობთ ისეთ ტიპურ არმენიზმებს, რომელთა გამოვლენაც მკვლევარებს საშუალებას აძლევდათ (ხშირ შემთხვევაში, სომხური ტექსტის გარეშე) განესაზღვრათ ამა თუ იმ ქართული თარგმანის სომხურიდან მომდინარეობა.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბერძნული *δια* ქართულად არც ერთხელ არ არის თარგმნილი, როგორც "ველითა". ცნობილია, რომ თანდებულები "მიერ", "გან" სომხურად ხშირად გადმოიცემა სიტყვით "h ḁn" (ხელით).³ სომხურიდან მომდინარე ტექსტებში იგი, ჩვეულებრივ, ითარგმნება, როგორც "ველითა", რაც უმეტეს შემთხვევაში ქართულისათვის უჩვეულო შესიტყვებას გვაწვდის.⁴ ასეთებია, მაგალითად, გამოთქმები "ველითა ცეცხლისადათა", "ველითა ნათლისღებისადათა", "ველითა სარწმუნოვებისადათა", "ველითა სიტყვისადათა", "ველითა შობისადათა" და მისთ...

რამდენადაც ჩვენს ტექსტში ბერძნულ *δια*-ს არცერთხელ არ შეესატყვისება "ველითა" (იგი გადმოცემულია თანდებულებით "მიერ", "გან"), ამდენად ქართულ-ბერძნულ ტექსტებს შორის შუამავალი სომხური თარგმანის არსებობა სავარაუდო არ უნდა იყოს.

განსაკუთრებით საყურადღებო გვეჩვენება, რომ ბერძნული ტერმინი *το*

¹ J. Zelinger, op. cit. pg.21.

² საგულისხმოა, რომ არაბული თარგმანი, რომელიც ქართულისაგან განსხვავებით, ბერძნული ორიგინალის კომპენდიუმს, მის საფუძვლიან გადამუშავებას წარმოადგენს, შედგება შვიდი ჰომილიისგან (G. Graf, Geschichte der christlichen arabischen Literatur, erster Band, Studi e testi, 118, Vaticano, 1959, pg.355)

³ ც. ქურციკიძე, ძველი აღთქმის აპოკრიფული წიგნების ქართული ვერსიები, II. თბ.1973, გვ.61.

⁴ G. Garitte, La Passion Georgienne de saint Abd Al-Masih, Le Museon, Lxxix, fasc. 1-2, Louvain, 1966, pg.191

μυστηριον ყველა შემთხვევაში ქართულად თარგმნილია, როგორც "საიდუმლოდ". ეს ფაქტი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც შუამავალი სომხური ტექსტის არსებობის შემთხვევაში *μυστηριον*-ის ფარდად ქართულ თარგმანში თითქოს "ზრახვად" უნდა გვექონოდა. შევეხოთ აღნიშნულ საკითხს უფრო დაწვრილებით.

კარგად არის ცნობილი, რომ სიტყვა *μυστηριον* ქართულად გადმოიცემა, როგორც "საიდუმლოდ". უშუალოდ ბერძნულიდან თარგმნილ ტექსტებში *μυστηριον*-ს, ჩვეულებრივ, "საიდუმლოდ" შეესატყვისება.

ჯერ კიდევ ნ.მარმა მიაქცია ყურადღება იმას, რომ *μυστηριον* ზოგ შემთხვევაში ქართულად თარგმნილი იყო, როგორც "ზრახვად".¹ სიტყვა "ზრახვად" აღნიშნავდა ფიქრს, აზრს, ჩანაფიქრს, განზრახვას. მისი "საიდუმლოს" (*μυστηριον*) ნაცვალ ტერმინად ხმარება ქართული ენისთვის არაბუნებრივი ჩანდა. ქართული სიტყვის შინაარსის ცვლა ამკარად უცხოენოვან გავლენას უნდა გამოეწვია. საქმე ისაა, რომ ბერძნული *μυστηριον* სომხურად ითარგმნებოდა სიტყვით "խորհուրդ", რომელიც, ერთი მხრივ, აღნიშნავდა "საიდუმლოს" (*μυστηριον* *mysterium*)), ხოლო მეორე მხრივ, აზრს, ფიქრს, განზრახვას (*consilium* *Βουλη*). ქართული "ზრახვად", რომლითაც, ჩვეულებრივ, გადმოიცემოდა სომხური "խორհილი", გადაიქცა "საიდუმლოს" აღმნიშვნელ ტერმინადაც (როგორც ჩანს, ამგვარ ტერმინულ ცვლილებას ხელი შეუწყო საკუთრივ "ზრახვადს" შინაარსობრივმა სიახლოვემ ტერმინ "საიდუმლოსთან").

ნ. მარს აღნიშნული ფაქტის სპეციალური კვალიფიკაცია არ უცდია. მან მხოლოდ მოკლედ შენიშნა: "ზრახვა" собственно значит "мысль, смысл", но переносно "тайна, таинство", совершенно также, как армянское "խորհուրդ".²

ამავე ფაქტზე, როგორც არმენიზმზე, ყურადღება გაამახვილა ე. გარიტი, რომელიც მიუთითებს: "l'emploi de "zrahvay", litt. "consilium" au sens de "mysterium", traduction de l'armenien xorhurd".³

ამავე აზრს გამოთქვამს ე.გარიტი სხვა შრომაშიც: "en face du grec *ω μυστηρια αποκρυφα* et du syriaque *o misteria abscondita*, le georgien porte "ზრახვად დაფარული" "*o consilium absconditum*"; c'est une traduction inexacte de l'arm. "ou xorhurd cackeal", le mot armenien "xorhurd" signifiant a la fois "mysterium" et "consilium".⁴

ასევე, მ.ვან ესბროკი შენიშნავს: "*μυστηριον* est toujours traduit par

1 Н.Март, Ипполит. Толкование песни песней, Тексты и разыскания по Армянско-Грузинской Филологий, III, 1901, с. LXXVII

2 Н.Март, დასახელებული შრომა, გვ. XXVII.

3 G. Garitte, Le Traite Georgien "sur la foi" attribue a Hippolyte, Le Museon Lxxviii, fasc. 1-2, 1965, pg.121, note 12.

4 G.Garitte, Le Martyre Georgien de l'apotre Thomas, Le Museon Lxxiii, Louvain 1970 pg.513.

ზრახვად ou ზრახვანი a cause du sens polyvalent de "ἡσθησιον" ou "ἡσθησιον", qui signifie a la fois "cogitatio", "consilium", "sacramentum" ou "mysterium"... dans les autres textes, le georgien traduit normalement *μυστηριον* par საიდუმლო.¹

ძველი ქართული ტექსტების შესწავლა გვიჩვენებს, რომ "ზრახვად" "საიდუმლოს" (*μυστηριον*) ნაცვლად გვხვდება, ჩვეულებრივ, სომხურიდან თარგმნილ ტექსტებში.

"მატბერდის კრებულში" დაცულია იპოლიტე რომაელის თხზულება "კურთხევათა მათთვის იაკობისთა, ვითარ-იგი ათორმეტნი ნახბეტნი აკურთხნა", რომლის ბერძნული ტექსტი შემოგვინახა X ს-ის ხელნაწერმა. ორიგინალთან შედარება ცხადყოფს, რომ *μυστηριον*, *μυστικας* ქართულად უკლებლივ ყველგან თარგმნილია, როგორც "ზრახვად", "ზრახვითა". ქართული ტექსტის სომხურისგან მომდინარეობას მიუთითებს აღნიშნული ფაქტიც. მაგალითად:

იგი იყო გამოთხრობელ
მამისათვის დაფარულთა მათ
ზრახვათა²

*αυτος γαρ ην ερμηνευς
των του πατρος απο-
κρυφων μυστηριων*

ქართული "დაფარულთა მათ ზრახვათა" შეესატყვისება ბერძნულ *απο-
κρυφων μυστηριων* და სომხურ "ճածուկ ἡσθησιონს". აშკარაა, რომ ქართული "ზრახვა" გადმოსცემს არა უშუალოდ *μυστηριον*-ს არამედ "ἡσθησιον"-ს

რომელმან თვსნი იგი ზრა-
ხვანი (სომხ. "ἡσθησιონს")
წინადასწარმეტყუელთა
მიერ... გვჩვენა³

*τον τα ιδια μυστηρια δια
προφητων σκηνοποιησαν-
τα*

ვერადთ ეგებოდა სხვთ რად-
თმე აღსრულებად ზრახ-
ვისა ("ἡσθησιონს")
მის.⁴

*μη εδει επι ετερου επι-
τελεισθαι τα μυστηρια*

სიტყუად იგი იაკობის მი-
მართ გამოაცხადებს ზრახ-
ვასა ("ἡσθησιონს") მას.⁵

*λογος ο εν τω Ιακοβ τα
μυστηρια προτυπων*

1 M. van Esbroeck, Le Traite "sur la Paque" de Meliton de sardes en Georgien, Le Museon, Lxxxiv, fasc. 3-4, Louvain 1971 pg. 375.

2 Hippolyte de Rome, Sur les benedictions d'Isaac, de Jacob et de Moise. ed par M. Briere, L. Maries, B. Ch. Mersier, PO, t.XXVII, 1-2, Paris 1954, pg.6.

3 იქვე, გვ.18

4 იქვე, გვ.8.

5 იქვე, გვ.22

და იყო ყოფილი იგი იაკობისგანი ზრახვად ("ἱερο-
ხოλιον") აღსრულებულ
ქრისტესა ზედა.

ην γὰρ τὸ γεγονός ὑπο-
του Ἰακωβ μυστηριον οἰκο-
νομίας εἰς Χριστὸν προτυ-
πουμενον

გამოაჩინებს ზრახვითსა
("ἱεροηιεσμε")²

σημαίνει μυστικῶς

ქრისტეს ზრახვასა
("ἱεροηιορην") მას წი-
ნადსწარ ქადაგებდეს³

τὰ τοῦ Χριστοῦ μυσ-
τηρια προκηρυξαντων

დიდი ზრახვად ("ἱεροηιορην")
გვჩუენა ჩუენ.⁴

μυστηριον μεγιστον ημιν
επεδειξεν

აქა ზრახვითა ("ἱεροηιο-
ესμε") ნათლისღებასა მას
მოგუასწავებს.⁵

ενθαδε μυστικῶς καὶ τὸ
βαπτισμα αὐτοῦ ἐμηνυσεν

ქრისტეს მიმართ ზრახ-
ვანი ("ἱεροηιορηξ") აღ-
სრულებულ იყვნეს.⁶

γενεσομενα εἰς Χριστὸν
μυστηρια

ზრახვასა ("ἱεροηιορην")
სულიერებრსა წინადსწარ
უჩუენებს⁷ წინადსწარმეტყუე-
ლი იგი.

μυστηριον πνευματικον
προαναφονει ὁ προφητης

ციტირებული მაგალითები მოწმობს, რომ ბერძნული *μυστηριον* ქართულად თარგმნილია, როგორც "ზრახვად", უეჭველად სომხური ტექსტის გავლენით. ფრაზებში, როგორცაა "დაფარული ზრახვად", "დიდი ზრახვად", "ახალი ზრახვად", "ზრახვად ქრისტესი", "ზრახვად ნათლისღებისად", "ზრახვითა გამო-
ჩინებად", "ზრახვითა მოსწავებად" - სიტყვა "ზრახვად" უმრავლეს შემთხვევაში შეიცავს არა *βουλη*-ს ან *λογισμος*-ის, არამედ *μυστηριον*-ის შინაარსს.

იპოვითე რომაელის თხზულებაში "დავითისა და გოლიადისათვის განმარ-
ტებად" რამდენჯერმე გვხვდება "ზრახვად" "საიდუმლოს" მნიშვნელობით.
მაგალითად:

"ზრახვანი იგი ნეტარისა მის დავითისნი... აღვილ არს ცნობად"⁸

1 Hippolyte de Rome, Sur les benedictions d'Isaac, de Jacob et de Moise. ed par M. Briere, L. Maries, B. Ch. Mersier, PO, t.XXVII, 1-2, Paris 1954., pg.34

2 Hippolyte de Rome, დასახ. შრომა, გვ.34

3 იქვე, გვ.42

4 იქვე, გვ.46

5 იქვე, გვ. 82

6 იქვე, გვ.102.

7 იქვე, გვ.108

8 შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ.1979, გვ.241.

"რომელმან სიყრმითგან ქრისტეს ზრახვანი იგი გულსა თვსსა გამოიწერნა"¹
"კურთხევასა ზეცად აღავლინებდა და ზრახვასა მას ცხადად ყოველთა მიმართ წინადასწარ მიაუწყებს".²

"გუასწავენ ჩუენ სულიერნი იგი ზრახვანი".³

"საკვრველ არიან, საყუარელნი, ყოფილნი იგი ზრახვანი".⁴

"იხილეთ ახალი ზრახვა".⁵

ასეთივე ვითარება გვაქვს თხზულებაში "თარგმანებაჲ ქებაჲ ქებათაჲ", სადაც "საიდუმლოს" (μυστηριον) ყველგან "ზრახვაჲ" გადმოსცემს:

1. "რამეთუ შეასხმიდა შესხმასა ახალსა, მოსწავებითა ზრახვასა გამოცხადებისასა"⁶

2. რად-მე სასწაულ ზრახვისა მის იყოს?⁷

3. მ, ახალი განყოფაჲ და საკვრველთა ზრახვათა სულისა მიერ წმიდისა ქადაგებულთა⁸

4. აწ მიეფინა ზრახვაჲ იგი ისრაჳლსა შორის...⁹ დიდი ზრახვაჲ საცხებელისა ამის გამოითქუმის¹⁰

5. ახალნი ზრახვანი და ჭეშმარიტნი - მართალთა, რომელთა ეჩუენა¹¹

6. ხოლო ამისგან დიდი იგი ზრახვაჲ გამოგუეცხადების.¹²

7. მ, დიდთა ზრახვათაჲ, მ, ჭეშმარიტებისაჲ¹³

8. ოთხითა რეცა ურმის თუალითა ზრახვასა მიმოღებისასა ოთხთა მათ მახარებელთასა უთხრობდეს¹⁴

9. ამის ზრახვისა მიერ მიმოქადაგებისა მის ზრახვაჲ უწყებულ იქმნა¹⁵

10. მ, ახალთა მათ ზრახვათაჲ¹⁶

11. მ, მართლისა მის პირისანი განცხადებულნი ზრახვანი¹⁷

12. ზრახვაჲ იგი მიმოფენისაჲ გამოჩნდეს ყოველთა მართალთა აღსარებითა¹⁸

13. სამფსონ ახალსა ზრახვასა მელთა მიმართ აღასრულებდა¹⁹

1 შატბერდის კრებული, გვ.241

2 იქვე. გვ.243

3 იქვე. გვ.246

4 იქვე. გვ.248

5 იქვე. გვ.248

6 იქვე. გვ.250

7 იქვე. გვ.251

8 იქვე. გვ.252

9 იქვე. გვ.253

10 იქვე. გვ.254

11 იქვე. გვ.254

12 იქვე. გვ.254

13 იქვე. გვ.257

14 იქვე. გვ.257

15 იქვე. გვ.258

16 იქვე. გვ.258

17 იქვე. გვ.260

18 იქვე. გვ.261

19 იქვე. გვ.262

14. მ, დიდ-დიდთა მათ ზრახვათად¹
 15. იხილეთ ახალი ზრახვა, აღსრულებული მუნ²
 16. მართაფსა მას ზრახვასა წინაფსწარ აჩუენებდა სოლომონის მიერ.³
 17. მ, საკვრველთა მათ ზრახვათად... მერმე დიდ-დიდთა ზრახვათად⁴
 18. ეგრეთა ქრისტეს ზრახვა კეთილი მიმოღებულ... აღმოაცენებდა ზრახვისა აღდგომისადასა მოუწყებითა.⁵
 19. მ, კეთილთა განსასუენებელთად, სახითა ზრახვადთა ყოვლისავე შეკრებად შემძლებელ⁶
 20. სამართლად ამის გამოცხადებულისა ზრახვისა მიმოხრობელ სიტყუად იგი იქმნების⁷
 21. ზრახვა იგი ჭეშმარიტებისად განცხადებულად მიმოღებულ⁸
 22. განსუენებისა ზრახვა... გამოჩნდეს⁹
- იმავე ავტორის თხზულებაში "განმარტებად კურთხევათა მათთვის მოსესთა ათორმეტთა მიმართ ნათესავთა", ზემოაღნიშნულთა მსგავსად, "საიდუმლოს" ცვლის "ზრახვა":
- "ვითარცა იგი იაკობ ზრახვით უთხრობდა".¹⁰
- დაჩის მიერ სომხურიდან თარგმნილ "ფსალმუნთა განმარტებებში" გვხვდება ფრაზა "დაფარული ზრახვა", რომელიც შეესატყვისება ორიგინალის *το μυστηριον αποκεκρυμμενον*-ს

დაფარული ზრახვა არს ესე...¹¹ და კუალად: ზრახვა დაფარული საუკუნოდ ნათესავით განუცხადა (კოლას. 1,26)¹²

τουτο το μυστηριον και παλιν. Το μυστηριον το αποκεκρυμμενον απο των αιωνων και απο των γενεων
(col.921 A; Pg.80.)

"სიბრძნესა ვიტყვთ ღმრთისასა და ზრახვასა დაფარულსა" (1 კორ. 2,7.)
(იქვე)

Σοφίαν λαλουμεν Θεου εν μυστηριω (col.920 D).

1 შატბერდის კრებული, გვ.262

2 იქვე, გვ.264

3 იქვე, გვ.264

4 იქვე, გვ.266

5 იქვე, გვ.266

6 იქვე, გვ.267

7 იქვე, გვ.268

8 იქვე, გვ.268

9 იქვე, გვ.268

10 იქვე, გვ.202; შტრ. სომხ. "იაკობ კასიოქის სიძირობადი ანაფსი". საყურადღებოა, რომ ეს აღილი ფრანგულად ასე ითარგმნა: "Comme Jacob, exactement, sous le voile du mystere, il annoncait", Hippolyte de Rome, op. cit. pg.118-119.

11 შატბერდის კრებული, გვ.385; ბერძნული ტექსტი იხ. Pg.80. 920c

12 იქვე

"დაფარული ზრახვაჲ" ეკ-
ლესიისათჳს განცხადებუ-
ლად გვიჩვენებს ყოველთა

ასწავეთ ყოველთა ზრახ-
ვაჲ დაფარული

ფრაზა "დაფარული ზრახვაჲ", რომელსაც უშუალოდ ბერძნულიდან
თარგმნილ ტექსტებში შეესაბამება "დაფარული საიდუმლოჲ", გვხვდება პავლე
მოციქულთან, რომელიც კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში აღნიშნავს:
"არამედ ვიტყვ ღმრთისა სიბრძნესა, საიდუმლოსა მას დაფარულსა". ასევე,
კოლასელთა მიმართ ეპისტოლეში ვკითხულობთ: "საიდუმლოჲ იგი დაფარული
საუკუნითგან". იგივე ფრაზა დასტურდება ეფესელთა მიმართ ეპისტოლეში:
"განგებაჲ საიდუმლოჲსა მის დაფარულისაჲ". ფრაზა "საიდუმლოჲ დაფარული"
ბერძნულად გადმოიციემა, როგორც *το μυστηριον το αποκεκρυμμενον*.

საგულისხმოა, რომ დაჩის თარგმანში პავლე მოციქულის ზემომოტანილ
ციტატას ასეთი სახე აქვს: "პავლე ვმობს და იტყვს, რამეთუ: "სიბრძნესა
ვითყვთ ღმრთისასა და ზრახვასა დაფარულსა" (მდრ. ზემოთ "საიდუმლოსა მას
დაფარულსა").

უეჭველია, ამ შემთხვევაში სომხური ტექსტის გავლენასთან გვაქვს საქმე.
"შატბერდის კრებული" შეიცავს იპოლიტე რომაელის თხზულებას "აღსას-
რულისათჳს ჟამთაჲსა". ამ ძეგლის წარმომავლობის შესახებ ნ. მარს
გადაწყვეტიტ არაფერი აქვს ნათქვამი. კეკელიძე ზოგადად შენიშნავს:

"ნათარგმნია ეს თხზულება ბერძნულიდან, უნდა ვითვქროთ, VIII-IX სს-ში".⁴
ჟ. გარიტი მას სომხურიდან მომდინარედ მიიჩნევს.⁵

ჩვენი აზრითაც, აღნიშნული ძეგლიც იპოლიტე რომაელის სხვა შრომებთან
ერთად სომხურიდან უნდა იყოს თარგმნილი, რადგანაც მასში ბერძნული
μυστηριον ყველგან თარგმნილია, როგორც "ზრახვაჲ". მაგალითად:

არავინ ღირს იყო ხადმრ-
თოჲსათა მათ ზრახვათა⁶

*μη οντα αξιον των θειων
μυστηριων* (Pg. t.10, col.
732)

ძნელ რადმე უჩნ რო-
მელთამე გულისხმისყოფად
ზრახვისაჲ ამის ძალი.

*δυσνοητα τισι δοκει ειναι
ταυτα τα μυστικως ειρ-
ημενα* (col.745)

ზრახვით გვიჩვენებს.⁸

μυστικως εδηλωσε
(col.748)

1 შატბერდის კრებული, გვ.394
2 იქვე, გვ.403
3 იქვე, გვ.285
4 კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ.1980, გვ.468
5 *Traites d'Hippolyte... Version georgienne editee par Gerard Garitte. CSCO,*
v.263 Louvain, 1965, pg.IV
6 შატბერდის კრებული, გვ.270
7 იქვე
8 იქვე, 277

იხილა ზილვაჲ საშინელი
ზრახვათაჲ

*ορα αποκαλυψις μυστη-
ριων φρικτων (col.756)*

დადებად ზრახვისა მის
ღმრთისაჲსა გულსა შინა²

*εχοντες δε το μυστηριον
του θεου εν τη καρδια
(col.772)*

ზრახვაჲ იგი უშჯულოვე-
ბისაჲ აწვე განძლიერებულ
არს³

*το γαρ μυστηριον ηδη
ενεργειται της ανομιαις
(col.774)*

ზრახვით გუაუწყეს,⁴

*μυστικως διηγησατο
(col.749)*

წარწყმედისა მისისათვის და
სახელისა მისისათვის, ზრა-
ხვით გამონიშულისა, ვი-
ხილნეთ საქმენიცა მისნი⁵

*της αναίρεσεως του τε
ονοματος μυστικως σεση-
μασμενου ιδωμεν και
την πραξιν αυτου
(col.775)*

აღნიშნულ თხზულებაში ერთგან ციტირებულია ადგილი იოანეს აპოკა-
ლიფსიდან, რომელიც X ს. II ნახევარში ბერძნულიდან თარგმნა ექვთიმე
ათონელმა. იქ სადაც ბერძნული *μυστηριον*-ის შესატყვისად ექვთიმეს
თარგმანში "საიდუმლო" გვაქვს, იპოლიტეს შრომის თარგმანში "ზრახვაჲ"
გვხვდება.

შევადაროთ:

"და შუბლსა მისსა და-
წერილ იყო: ზრახვაჲ, ბა-
ბილოვნ დიდი იგი

და შუბლსა მისსა ზედა
სახელი დაწერილი: საი-
დუმლოჲ, ბაბილონი დიდი
(აპკ.17. 5).

მე გითხრა შენ ზრახვაჲ
დედაკაცისაჲ მის⁷

მე გითხრა შენ საიდუმ-
ლოჲ დედაკაცისაჲ (აპკ.
17. 7)

აღნიშნული ტექსტის სომხურიდან მომდინარეობას გვაგარაუდებინებს ისიც,
რომ ბერძნული *δία* ხშირად თარგმნილია არა როგორც "მიერ", არამედ
"ველითა":

1 შატბერდის კრებული. გვ.279
2 იქვე. გვ.285
3 იქვე. გვ.290
4 იქვე. გვ.277
5 იქვე. გვ.286
6 იქვე. გვ.280
7 იქვე. გვ.280

გესმა ჩემგან ველითა მრავალთა მოწამეთადათა¹

ηκουσας παρ εμου δια πολλων παρακλησεων (col.728)

ველითა სარწმუნოვებისათა (იქვე)

δια πιστεως (col.728)

ველითა ყოველთა წმიდანთადათა²

δια παντων των αγιων (col.729)

რომელთა ველითა სიტყუადა იგი გვჩუენეს³

δι'ων ο λογος δεικνουμενος (col.732)

ველითა მალაქიადსითა იტყვს⁴

δια Μαλαχιου φησι (col.781)

ველითა იესუდსითა⁵

δια του Ιησου (col.786)

"შატბერდის კრებულში" შედის კარგად ცნობილი თხზულება "მვეცთათვს სახისა-სიტყუად", რომელიც ნ.მარის გამოკვლევით სომხურიდან არის თარგმნილი. ამ თხზულების ორიგინალში ერთგზის გვხვდება ფრაზა **ενδον μυστηρια**⁶ ("შინაგანნი საიდუმლონი"), რომელიც ქართულად ასეა თარგმნილი: "შინაგანი ზრახვაა".⁷ ამ შემთხვევაშიც **μυστηριον**-ის შესატყვისად "ზრახვაა" ხმარება, ვითქრობთ, უეჭველად სომხური ტექსტის გავლენაზე მიგვითითებს.

ამგვარივე ვითარება გვაქვს ეპიფანე კვიპრელის შრომაში "ათორმეტთა მათ თუალთათვს". რ. ბლეიკმა ცხადყო, რომ ეს ძეგლიც სომხურიდან არის თარგმნილი.⁸ მასში ხშირად გვხვდება "ზრახვაა" "საიდუმლოს" (**μυστηριον**) შინაარსით. თვით რ. ბლეიკს ეს გარემოება, როგორც ჩანს, მხედველობიდან გამორჩა. მკვლევარმა "ზრახვაა" ყველგან პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო და ამგვარადვე გადაიტანა ქართული ტექსტის ინგლისურ თარგმანში, რამაც კონტექსტის აშკარა გაბუნდოვნება გამოიწვია. მაგალითად:

"მრავალნი მართალთაგანნი ეძიებდეს ქრისტესა მაცხოვარსა და გამოეცხადებოდა მათ დაფარულითა ზრახვითა".⁹

წინადადების მეორე ნაწილს რ. ბლეიკი ასე თარგმნის: He revealed Himself to them by the secret thought¹⁰

1 შატბერდის კრებული, გვ.269

2 იქვე, გვ.270

3 იქვე, გვ.271

4 იქვე, გვ.289

5 იქვე, გვ.291

6 Physiologus Graeci, ed. F. Sbordone, 1936, pg.73, η παλαια διαθηκη **χει ενδον μυστηρια**

7 შატბერდის კრებული, გვ.186: 'ძუელთა მათ მცნებათა აქუნდა შინაგანი ზრახვაა'.

8 Epiphanius, de Gemmis, ed. R. P. Blake and H. de Vis, Studies and documents, II, London 1934, pg.XLIX, LX.

9 შატბერდის კრებული, გვ.144

10 R. Blake, დასახ. შრომა, გვ.132

თარგმანი, ალბათ, შესწორებას მოითხოვს. ფრაზა "დაფარული ზრახვა" აღნიშნულ კონტექსტში, ჩვენი აზრით, გულისხმობს არა "დაფარულ ფიქრს", არამედ "დაფარულ საიდუმლოს" (**the secret mystery**). განკაცებამდე მაცხოვრის შობა "დაფარული საიდუმლოს" სახით წინასწარ გაეცხადათ ღირსეულ პირებს, რჩეულებს. სწორედ ამაზეა საუბარი ზემომოტანილ ციტატაში.

"და სახელებითა მით ნათესავთაჲთა ზრახვით გვჩუენებს ველმწიფებასა თვისსა".¹

აღნიშნულ ადგილას იპოლიტე რომაელი მსჯელობს იმის შესახებ, რომ საფირონის თვალზე ამოტვიფრული სახელი "დანი" საიდუმლოდ მოასწავებს ქრისტეს მეუფებას, რადგანაც მისივე მითითებით, იაკობის ძის, დანის ტომისგან "მრავალნი იქმნებოდეს მსაჯულნი ისრაჳლისანი და შემდგომ იქმნებოდეს ძოწეულით მოსილთა მათ შარავანდედთა". ფრაზა "ზრახვით გვჩუენებს" გვხვდება, აგრეთვე, იპოლიტეს ესქატოლოგიური შრომის ზემოთ მითითებულ ქართულ თარგმანში² და მას ბერძნულად შეესატყვისება **μυστικῶς ἐδηλωσε**. უეჭველად ასეთივე შინაარსი აქვს მას ამჟღავნადაც. რ. ბლეიკი აღნიშნულ შესიტყვებას ასე თარგმნის: "mentally shows",³ რაც, რასაკვირველია, სწორი არ არის. ჩვენი აზრით, ფრაზა "ზრახვით გვჩუენებს" უნდა ითარგმნოს, როგორც "mystically shows".

"მოგუასწავებს ზრახვით, ვითარმედ ნათესავისა მისგან ყოფად არიან რომელნიმე კეთილნი და რომელნიმე ბოროტნი"⁴

ამ შემთხვევაშიც ფრაზა "მოგუასწავებს ზრახვით" უთუოდ "საიდუმლოდ მოსწავებას" ნიშნავს. იგივე ფრაზა გვხვდება იპოლიტეს ზემოგანხილულ შრომაში "კურთხევათა მათთვის იაკობისთა", სადაც "ზრახვითა მოგუასწავებს" ბერძნულად გადმოცემულია, როგორც **μυστικῶς ἐμηνυσεν**. რ. ბლეიკის თარგმანი "mentally teaches",⁵ ჩვენი აზრით, ასე უნდა შესწორდეს: "mystically teaches".

"მოგუასწავებს ზრახვით სახესა ამას, რამეთუ ნათესავისა მისგან გამოჩინებად არს მკდომი იგი"⁷

აქაც ფრაზა "მოგუასწავებს ზრახვით" ნიშნავს "მოგუასწავებს საიდუმლოდ". როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში რ. ბლეიკმა იგრძნო "ზრახვის" პირდაპირი მნიშვნელობით თარგმნის უხერხულობა და ზემოაღნიშნულ შესიტყვებას შეუფარდა ფრაზა "Figuratively shows".⁸ ამგვარი თარგმანი უფრო ახლოა ფრაზის ჭეშმარიტ შინაარსთან, თუმცა ვფიქრობთ ნაცვლად სიტყვისა "Figuratively" უმჯობესი იქნებოდა "mystically" ანდა "secretly".

"ესე არიან წმიდანი ზრახვანი, რომელ გამოჩინდეს პავლჳს მოციქულისა მიერ"⁹

ამ შემთხვევაშიც "წმიდანი ზრახვანი" გულისხმობს "წმიდა საიდუმლოებებს" და იგი ინგლისურად უნდა ითარგმნოს არა, როგორც "the holy thoughts"

- 1 შატბერდის კრებული, გვ.145
- 2 იქვე, გვ.277
- 3 R.Blake, დასახ. შრომა, გვ.134
- 4 შატბერდის კრებული, გვ.145.
- 5 შატბერდის კრებული, გვ.82
- 6 R.Blake, დასახ. შრომა, 134
- 7 შატბერდის კრებული, გვ.145
- 8 R. Blake, დასახ. შრომა, გვ.134
- 9 შატბერდის კრებული გვ.167

(როგორც ეს გვხვდება რ. ბლეიკთან), არამედ "The holy mysteries".

"გამომიცხადნა მე ზრახვანი დიდნი და საშინელნი"¹

ბერძნული ორიგინალი დაახლოებით ასეთი იქნებოდა: *επεδειξεν μοι τα μυστηρια τα μεγαλα και φρικτα.*

ფრაზები "დიდნი ზრახვანი", "საშინელნი ზრახვანი" ამ შემთხვევაში იგივეა, რაც "დიდნი საიდუმლონი", "საშინელნი საიდუმლონი". ზემოთ მივუთითებდით, რომ "დიდი ზრახვა" გვხვდება, აგრეთვე, იპოლიტეს შრომაში "კუთრხევათა მათთვის იაკობისთა",² რომელსაც ბერძნულ ორიგინალში შეეფარდება "μυστηριον μεγαιστον". შესიტყვება "საშინელნი ზრახვანი" დასტურდება იპოლიტეს ესქატოლოგიურ კომენტარებში. იგი ბერძნულად გადმოიცემა, როგორც "μυστηρια φρικτα". ქრისტიანულ მწერლობაში "საშინელი საიდუმლოდ" გავრცელებული ფრაზაა.

აღნიშნულის გამო, ბლეიკისეული თარგმანი: "He revealed unto me great thoughts and terrible",⁴ ვფიქრობთ, ასე უნდა შეიცვალოს: "He revealed unto me great and terrible mysteries".

"დაფარულ იყვნეს "მჯულსა" შინა ზრახვანი ღმრთისანი".⁵

საფიქრელია, აქაც "ზრახვანი" "საიდუმლოებებს" (*τα μυστηρια*) აღნიშნავდეს. ძველი აღთქმა, როგორც ცნობილია, დაფარულად შეიცავდა ქრისტეს საიდუმლოს. ეს აზრი მეტად ხშირად გვხვდება ქრისტიანულ მწერლობაში. ამიტომ, ბლეიკისეული თარგმანი "the divine thought",⁶ ვფიქრობთ, უნდა შეიცვალოს, როგორც "the mysteries of god".

საგულისხმოა იმის აღნიშვნა, რომ ეპიტანეს ხსენებული შრომის, აგრეთვე, იპოლიტე რომაელის ავტორობით ცნობილი ექვსი ვრცელი ზემოგანხილული ეგზეგეტიური თხზულების ქართულ თარგმანებში სიტყვა "საიდუმლოდ" არცერთხელ არ გვხვდება.

აღნიშნული ფაქტი ცხადყოფს, რომ სომხურიდან თარგმნილ ძეგლებში "საიდუმლოდ" (*μυστηριον*) მეტად იშვიათია: ამგვარ ტექსტებში მისი ხმარება მინიმუმამდეა შემცირებული. ეს გარემოება, ვფიქრობთ, უთუოდ გვაძლევს საფუძველს იმის სათქმელად, რომ თუ ქართულ ტექსტში ბერძნული *το μυστηριον*, ჩვეულებრივ, თარგმნილია, როგორც "საიდუმლოდ" მაშინ ეს ძეგლი უთუოდ არასომხური ენიდან მომდინარედ უნდა მივიჩნიოთ. მეორე მხრივ, თუ ბერძნულ *μυστηριον*-ს ქართულად ტერმინოლოგიურად შეესატყვისება "ზრახვა", მაშინ ეს ტექსტი სომხურიდან უნდა იყოს თარგმნილი.

განვიხილოთ აღნიშნული თვალსაზრისით უძველესი ქართული მწერლობის კიდევ რამდენიმე ძეგლი.

ქართულად შემორჩენილია თომა მოციქულის აპოკრიფული მარტვილობა, რომელიც შეისწავლა და გამოსცა ც.ქურციკიძემ.⁷ მკვლევარი ძეგლის მიმდინარეობის საკითხთან დაკავშირებით შენიშნავს: "რეალიებიდან, რომ-

1 შატბერდის კრებული, გვ.168

2 იქვე, გვ.46

3 შტრ: "მ, საიდუმლოდ საკვრველი! მ, საიდუმლოდ საშინელი! (სინური მრავალთავი, გვ.175)

4 R.Blake, დასახ. შრომა, გვ.168

5 შატბერდის კრებული, გვ.170

6 R. Blake, დასახ. შრომა, გვ.171

7 ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ, თბ.1959, გვ.14-20.

ლებიც თომა მოციქულის ტექსტის ბერძნულ-სომხური წყაროების დახმარებით გასწორებისას წარმოვადგინეთ §15-ში, პირველი, მეოთხე და მეხუთე აშკარად არმენიზმებად გვეხატება და ისინი ამ ძეგლის სომხურიდან მომდინარეობას ცხადყოფენ" (გვ.39).

ძეგლის ტერმინოლოგიური შესწავლა (ჟ. გარიტი) მხარს უჭერს გამოთქმულ აზრს. თხზულებაში ერთგან გვხვდება პავლე მოციქულის ზემოგანხილული ფრაზა: *το μυστηριον το αποκεκρυμμενον*, რომელიც ქართულად ასეა თარგმნილი: "მ, ზრახვად დაფარული, რომელი აღსრულებასა მას ჩუენსა ჩუენ თანა აღესრულების".¹

μυστηριον-ის "ზრახვად" თარგმნა, როგორც მიუთითებს ჟ. გარიტი, მნიშვნელოვანი საბუთია ძეგლის სომხურიდან მომდინარეობისათვის.²

ფილიპე მოციქულის "წამებაში" ც. ქურციკიძემ გამოავლინა ერთი მთარგმნელობითი ლათსუსი ("ϕιλιππος"-ისა და "ϕιλιππος"-ის აღრევა გრაფიკული მსგავსების გამო). მკვლევარი შენიშნავს: "ეს ფაქტი სომხურიდან თარგმნილობას დაუჭერდა მხარს".³

ც. ქურციკიძის ვარაუდს, ვფიქრობთ, ამყარებს ის გარემოება, რომ აღნიშნულ ტექსტშიც ბერძნული *το μυστηριον*-ის შინაარსით გვხვდება "ზრახვად" ("მ, ზრახვად მისი, რომელ-იგი დამოეკიდა თავსა ცისა და ქუეყანისასა").⁴

ზემოაღნიშნულ თხზულებებთან ერთად ც. ქურციკიძის მიერ გამოცემულია ახალი აღთქმის კიდევ სამი აპოკრიფი. ერთ-ერთი მათგანია "წამებად წმიდისა პეტრე მოციქულისაჲ", რომელიც "პავლე მოციქულის წამებასთან" ერთად ბერძნულიდან უნდა იყოს ქართულად თარგმნილი. მკვლევარი შენიშნავს:

"პეტრესა და პავლეს აპოკრიფებიც გარკვეულ სიახლოვეს გვიჩვენებენ ბერძნულ შესაბამის ტექსტებთან. ეს და აგრეთვე პავლეს წამების სინურ ნუსხაში ფერეტა სახელის ბერძნული აკუზატივის ფორმით წარმოდგენის ფაქტი-ფერეტან სახით-ქართული ტექსტების ბერძნულიდან მომდინარეობის სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს... ქართულ ტექსტს არა თუ არ მივიჩნევდით სომხურიდან მომდინარედ, არამედ, პირიქით, საკითხი დადგებოდა სომხურში ამ ძეგლების ქართულიდან თარგმნის შესახებ".⁵

მკვლევარის მსჯელობის სისწორეს, ვფიქრობთ, ცხადყოფს ძეგლის ტერმინოლოგიური შესწავლა. მასში *το μυστηριον*-ის შინაარსით ყველა შემთხვევაში გვხვდება "საიდუმლოდ":

1. "მ, სახელი ჯუარისაჲ, საიდუმლოდ დაფარული"
2. სული იგი მაწუევს საშუმინველისა ჩემისა დაფარულსა მას საიდუმლოსა ჯუარისასა
3. სცნათ თქუენ ქრისტესმიერნი იგი ყოფილნი და ცხორებისა თქუენისა იგი საიდუმლოდ
4. აწ გითხრა თქუენ ყოვლისავე ბუნებისა საიდუმლოდ

1 ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ, თბ.1959 გვ.17
2 G. Garitte, Le martyre Georgienne de l'apotre Thomas, Le Museon, LXXIII, Louvain 1970 pg.513.
3 ქართული ვერსიები, გვ.039
4 იქვე, გვ.6
5 იქვე, გვ.38

5. უფალი საიდუმლოდ იტყვის

იოანე ღვთისმეტყველის აპოკრიფულ "საქმეთა და სწავლათა" მომდინარეობის შესახებ ც.ქურციკიძე აღნიშნავს: "ქართული ტექსტი უშუალოდ ბერძნულიდან ჩანს ნათარგმნი".¹

აღნიშნულ ძეგლშიც, ზემოგანხილულის მსგავსად, *το μυστηριον*-ის შინაარსით ყველგან გვხვდება "საიდუმლოდ", რაც მხარს უჭერს მკვლევარის აზრს ქართული ტექსტის ბერძნულიდან მომდინარეობის შესახებ. მაგალითად:

"ისმინე დიოსკორიდი, საიდუმლოდ საღმრთოდ".²

"საიდუმლოდ ჩემი გამოგიცხადო თქვენ".³

"ნუცა მიმითხრობ საიდუმლოთა".⁴

"რჩული წარმართთა ჰგუემს, რომელმან გამოაცხადოს საიდუმლოდ ღმერთთა".⁵

"გამოგიცხადეს შენ საიდუმლოდ დიდი".⁶

რაც შეეხება აპოკრიფს "მიმოდასლვად მოციქულთა", მკვლევარს მისი მიმდინარეობის შესახებ გადამწყვეტი აზრი არ გამოუთქვამს. მისი მითითებით, ქართული თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს ბერძნულ შესაბამის ტექსტს.⁷

ზემოაღნიშნული თვალსაზრისით შესწავლა ცხადყოფს, რომ ქართული ტექსტი არასომხური ენიდან მომდინარეობს. მასში არსად დასტურდება "ზრახვად" "საიდუმლოს" ნაცვლად. *το μυστηριον*-ის შინაარსით ყველგან გვხვდება "საიდუმლოდ":

1. "სხუადცა საიდუმლოდ გვჩუენა ჩუენ".⁸

2. "დასწერა ანდრეა მას კარსა საიდუმლოდ იგი ჯუარისად".⁹

3. "სადა არიან დიდნი იგი საიდუმლონი?".¹⁰

4. "მე გასწაო საიდუმლოდ იგი უფლისა ჩემისა იესუ ქრისტესი".¹¹

"მრავალთავის" ცალკეულ თხზულებათა წყაროების ძიებისას ი.აბულაძემ სპეციალური ყურადღება მიაქცია იოანე ოქროპირის საკითხავს "გურიტისათვის". მკვლევარმა გამოთქვა აზრი, რომ ქართული ტექსტი სომხურიდან უნდა მომდინარეობდეს.¹² ი.აბულაძის ვარაუდს, ვფიქრობთ, სიმტკიცეს ანიჭებს ის გარემოება, რომ თხზულებაში ბერძნული *μυστηριον* თარგმნილია, როგორც "ზრახვად". იოანე ახდენს პავლე მოციქულის სიტყვათა ციტირებას: "ზრახვად ესე დიდ არს, ხოლო მე ვიტყვ ქრისტესს მიმართ და ეკლესიათა".¹³ პავლეს ეპისტოლეთა ქართულ თარგმანებში ეს მუხლი ასე იკითხება: "საიდუმლოდ ესე დიდ არს, ხოლო მე ვიტყვ ქრისტესთვის და ეკლესიისა" (ეფეს. 5, 32).

"სინური მრავალთავი" შეიცავს იოანე ოქროპირის ქადაგებას "ახალკვრი-

1 ც.ქურციკიძე, დასახ. შრომა, გვ.38

2 იქვე, გვ.63

3 იქვე, გვ.66

4 იქვე, გვ.77

5 იქვე, გვ.77

6 იქვე, გვ.90

7 იქვე, გვ.39

8 იქვე, გვ.28

9 იქვე, გვ.31

10 იქვე, გვ.31

11 იქვე, გვ.41

12 ი.აბულაძე, შრომები, I, თბ.1975, გვ.225

13 სინური მრავალთავი, გვ.231

აკისათვის". ეს ძეგლი სომხურიდან უნდა იყოს თარგმნილი, რამდენადაც მასში ორგზის გვხვდება "ველითა" ნაცვლად "მიერ"-ისა:

"ველითა უფლისა ჩუენისადათა განცხოველდა სოფელი"¹

"ველითა ამის ქეშმარიტისა კრავისადათა განცალიერდა ქედი ჩუენი ფიცხლისა მისგან უფლისა ეშმაკისადასა"²

ამ ძეგლშიც *το μυστηριον* გადმოცემულია "ზრახვით":

"მივიდა ნათლისღებად და აღესრულნეს მას ზედა (ქრისტეზე ე.ჭ). ზრახვანი იგი" (იგულისხმება რიტუალურ საიდუმლოთა აღსრულება ე.ჭ.)³

ასევე, სომხურიდან არის თარგმნილი იმავე ავტორის საკითხავი "სატფურებისათვის".⁴ სხვა მომენტებთან ერთად საყურადღებო ჩანს აღნიშვნა იმისა, რომ ძეგლში გვხვდება ლექსიკური ერთეული "დასახლეულება", რომელიც დამოწმებულია აგრეთვე, წმ. იპოლიტეს ზემოგანხილულ ძეგლში "თარგმანებად ქებად ქებათადასა", სადაც სლავური თარგმანის მიხედვით, იგი აღნიშნავს "მორჩილებას". ნ.მარის აზრით, ქართული სიტყვა უნდა წარმოადგენდეს სომხური "բնօրհանութիւն"-ის "მატერიალურ" თარგმანს.⁵ ჩვენს ძეგლშიც სიტყვა "დასახლეულება" მორჩილებას გულისხმობს:

"მგელნი იგი მოიქცეს მორჩილებად და დაესახლეულნეს (ე.ი. დაემორჩილნენ ე.ჭ.) ცხოვართა მათ".⁶

თხზულების სომხურიდან მომდინარეობას ცხადყოფს "ზრახვად"-ს "საიდუმლოს" მნიშვნელობით ხმარება:

"სიბრძნესა გვჩუენებს ეკლესიასა შინა... ზრახვანი ღმრთისმსახურებისანი".⁷

"ზრახვანი ღმრთისმსახურებისანი" არის იგივე "საიდუმლონი ღმრთისმსახურებისანი" (ბერძნულშია *μυστηρια* Pg.52, col.808), რაც ქრისტიანულ მწერლობაში დამკვიდრებული ფრაზაა.

კლარჯულ მრავალთავს შემოუნახავს ანონიმი ავტორის თხზულება "შობად იოვანე ნათლისმცემლისადა". ეს ძეგლი შეიცავს ფრაზას: "დაფარული ზრახვად" (A-144, 152v), რომელიც საფიქრელია შეესატყვისებოდეს ბერძნულ *το μυστηριον το αποκεκρυμμενον* ანუ "დაფარულ საიდუმლოს". თუ ეს ასეა, აღნიშნული თხზულებაც სომხურიდან იქნებოდა თარგმნილი (თუმცა კონტექსტის მიხედვით კატეგორიულად მტკიცება ამისა ძნელია, რადგან "დაფარული ზრახვა" შესაძლოა ამ თხზულებაში "ფარულ განზრახვასაც" გულისხმობდეს, ე.ი. "ზრახვა". გადმოსცემდეს არა *το μυστηριον*-ს არამედ

1 სინური მრავალთავი, გვ.177

2 იქვე, გვ.178

3 სინური მრავალთავი, გვ.277. მსგავსი აზრი გვხვდება, აგრეთვე, იპოლიტეს ზემოგანხილულ შრომაში "კურთხევათა მათთვის იაკობისთა", რომელიც ასევე სომხურიდანაა თარგმნილი: "ქრისტეს მიმართ ზრახვანი აღსრულებულ იყვნეს". ბერძნულ ორიგინალში "ზრახვანი" გადმოცემულია სიტყვით "*μυστηρια*". უეჭველად, ასეთივე ვითარება გვაქვს ამჟერადაც.

4 იხ. ე.ჭელიძე, იოანე საბანისძის ლიტერატურული წყაროების შესახებ, გულანი, ფილოლოგიურ - ისტორიული ძიებანი, თბ.1989, გვ.15-16.

5 H. Mapp, დასახ, შრომა, გვ.28.

6 სინური მრავალთავი, გვ.220: შდრ. *οι λυκοι εις την των προβατων ημεροτητα μετεστησαν*

7 იქვე, გვ.224.

λογισμος-ს).

იგივე მრავალთავი შეიცავს ქრისტეს ამაღლებისადმი მიძღვნილ ფსევდო-ოქროპირისეულ ქააგებას. მასში ერთგან ავტორი გვაუწყებს იმის შესახებ, რომ ქრისტეს მიერ ლედვის ხის დაწყევლა წარმოადგენდა იგავს, სიმბოლოს, რომელიც საიდუმლოს სახით იყო მოწოდებული სახარებაში. ქადაგებაში ვკითხულობთ:

"არამედ (ლედვის ხის დაწყევლა ე.ჭ.) სახე იყო, რომელი-იგი ყოფად იყო, არამედ ზრახვად იყო, რაჟამს-იგი აღსრულებად იყო" (A-144, 100)

კონტექსტის მიხედვით აშკარაა, რომ "ზრახვად" აღნიშნავს არა "ფიქრს", "ჩანაფიქრს", "განზრახვას", არამედ "საიდუმლოს". ამასვე ადასტურებს ხსენებული ქადაგების მეორე თარგმანი, რომელიც "ათონის მრავალთავშია" დაცული:

"არამედ სახს არს ქმნული ესე და საიდუმლოდ აღსრულებული" (Ath. 8, 135).¹

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში "ზრახვად"-ს ნაცვლად "საიდუმლოდ" გვხვდება, რაც "ათონის მრავალთავის" ტექსტის ბერძნულზე დამოკიდებულებას გვიჩვენებს.²

თვით ბერძნული ტექსტი ასეთი სახისაა:

*αλλα τυπος ην το γινομενον και μυστηριον το τελουμενον*³

μυστηριον-ის "ზრახვად" თარგმნა, ვფიქრობთ, ცხადს ხდის კლარჯულ მრავალთავში დაცული ტექსტის სომხურიდან მომდინარეობას. სხვათაშორის, ამაზე მიუთითებს ერთი მთარგმნელობითი ლაფსუსი. ბერძნულ ორიგინალში ტერმინი *το μυστηριον* კიდევ გვხვდება. ქრისტე ღვთისმშობელს უწოდებს *το μυστηριον πασης της οικουμενης*. ბუნებრივია, დაგვაინტერესა, თუ როგორ ითარგმნა აღნიშნული ადგილი ქართულად. მოველოდით, რომ *μυστηριον*-ის შესატყვისად კლარჯული მრავალთავის ტექსტში ამჯერადაც გვექნებოდა "ზრახვად", მაგრამ მის სანაცვლოდ აღმოჩნდა სრულიად გაუგებარი "სასუმელი" ("არა დაგიტევენ შენ სასუმელსა მაგას ყოველთა ცისკიდეთასა"-102 v). შეიძლება გვეფიქრა, რომ "სასუმელი" ამ შემთხვევაში თავდაპირველი "საიდუმლოდს" გვიანდელ მექანიკურ დამახინჯებას წარმოადგენს, მაგრამ როგორც სომხური ვერსიის შესწავლამ გვიჩვენა, ქართული ტექსტი იმეორებს მხოლოდ სომხურის მცდარ თარგმანს. სომხურში ვკითხულობთ: "ი: ροιχ: qpeq qskh: amshayn azhsarh" (შდრ. გ.ლაფონტენის ლათინური თარგმანი სომხური ტექსტისა: non relinquam te poculum...).⁴ უეჭველია, სომეხმა მთარგმნელმა ბერძნული *μυστηριον* აურია გრაფიკულად მსგავს *ποτηριον*-ში (სასმისი), რაც გაიმეორა კიდევ ქართველმა მთარგმნელმა.

1 ქადაგების ეს ეპიზოდი გამოქვეყნებული აქვს თ.მგალობლიშვილს. იხ. მრავალთავი, 12, 1986, გვ.76 (იხ. აგრეთვე, კლარჯული მრავალთავი, თ.მგალობლიშვილის გამოც., თბ. 1991, გვ.304)

2 თ.მგალობლიშვილის აზრით ფსევდოოქროპირის ქადაგების ორივე თარგმანი (როგორც კლარჯული მრავალთავისა, ისე ათონურისა) უშუალოდ ბერძნულიდან უნდა იყოს თარგმნილი. პატივცემული მკვლევარის შენიშვნით, "ორივე ქართული თარგმანის წყარო ბერძნული ორიგინალია", იქვე, გვ.78. კლარჯული მრავალთავის ტექსტსა და ბერძნულს შორის შუამავლად სომხურს ვარაუდობს გ.ლაფონტენი. ამასვე ფიქრობს მ.ვან ესბროეკი (იხ. M. Van Esbroeck, Les plus anciens Homeliales Georgiens, Louvain, 1975, pg.256).

3 J. Lafontaine, La version armenienne du sermon sur l'ascension... Handes Amsorya, t.90, 1976, pg.525

4 იქვე, pg.557; Pg.64, col.46

"პარხლის მრავალთავმა" შემოგვინახა ევსები ალექსანდრიელის შრომა "შობისათვის უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი". მასში ერთგან ვკითხულობთ: "ჩუენ წარმართთა მოგუეცა ზრახვად იგი შობისა უფლისა ჩუენისა... "(A 95-37v).

ბერძნული ორიგინალი ასეთია:

ημιν ουν παρεδοθη τοις εθνεσιν το μυστηριον του γεννηθεντος κυριου (Pg.86, col.365).

როგორც ვხედავთ, *το μυστηριον* ქართულად თარგმნილია სიტყვით "ზრახვად". რაც გულისხმობს შუამავალ სომხურ "խորհուրդ"-ს.

იმავე მრავალთავში შედის იოანე ოქროპირის თხზულება "ვსენებისათვის მოწამეთადასა", სადაც გვხვდება ასეთი ადგილი:

"და მე ესრე მგონიეს, ვითარმედ თქუენ ზედა აღესრულა ამას ჟამსა წინადასწარმეტყუელებად იგი ზრახვსად, რომელი პირველთა ჟამთა ითქუა" (176)

აქაც, კონტექსტის მიხედვით ზრახვად გულისხმობს სწორედ *το μυστηριον* და არა *λογισμος*-ს ან *βουλη*-ს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ კრებულში დაცული მოწამეთა საკითხავები, რომელთა ავტორი იოანე ოქროპირია და რომლებიც შესაძლოა, ერთი თხზულების ნაწილებს წარმოადგენდნენ, მთლიანად სომხურიდან უნდა იყოს თარგმნილი, რადგანაც მათში სამგზის გვხვდება "ზრახვად" საიდუმლოს მნიშვნელობით:

"განრყუნის შურმან ზრახვანი" ("თარგმანებად მარტვლთად" A-95, 176v).

"ექმნა მას იგი საკუდინებელად მისა, მსგავსად ზრახვისა მის, რომელი განეცხადა ჭეშმარიტად გოლიათისათვის ურჩულოდასა" (184v).

"შჯული ზრახვასა ძისასა დაადგრებოდა" (188 v).

ასევე, სომხურ დედანზე ჩანს დამოკიდებული იოანე ოქროპირის მეორე ქადაგება იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის შესახებ, სადაც ვკითხულობთ:

"ზრახვად სიმვნისა მისისა და მე გამოსტყუვა"

ბერძნული ორიგინალი ასეთი სახისაა:

το γαρ μυστηριον αυτου της ισχυος... αποσυλησασα (Pg.59, col.488)

ცალკე უნდა აღინიშნოს ისეთი შემთხვევა, როცა ქართველი მთარგმნელი სომხურ "խორხორი"-ს თითქოს ორმნიშვნელოვნად აღიქვამს და ჰენდიადისის სახით თარგმნის მას. ამის კარგი ნიმუშია ცნობილი აპოკრიფი "საკითხავი ადამ და ევასი სამოთხით გამოსლვისადა"². ეს ძველი, კ.კეკელიძის აზრით, სომხურიდან არის თარგმნილი.³ ამავე შეხედულებისაა კრიტიკული ტექსტის გამომცემელი ც. ქურციკიძე.⁴ უკანასკნელ ხანს მსგავსი თვალსაზრისი გამოთქვა ე. მაემ.⁵

აღნიშნულ თხზულებაში გვხვდება ასეთი ადგილი:

¹ სინური მრავალთავი, გვ.35

² ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, შედგენილის. ყუბანეიშვილის მიერ, თბ.1946, გვ.3-13; ც. ქურციკიძე, ადამის ცხოვრების ქართული ვერსია, ფილოლოგიური ძიებანი, 1, თბ.1964, გვ.98-136.

³ კ. კეკელიძე, ძველი ქართული... გვ.437

⁴ ც. ქურციკიძე, დასახ. შრომა, გვ.103

⁵ J. P. Mahe, Sur le mythe de la chute dans la Vie apocryphe d'Adam, მრავალთავი, X, თბ.1983, გვ.40.

"პრქუა ღმერთმან გაბრიელ ანგელოზსა: (არქუ ადამს) ზრახვად საიდუმლოდ, რომელი უწყი, ნუ აუწყებ კაენს".¹

ბერძნულ ორიგინალში ვკითხულობთ:

*και λεγει ο θεος Μηχαηλ τω αρχαγγελω: ειπε τω Αδαμ οτι το μυστηριον ο οιδας μη αναγγειλης Καιν τω υιω σου*²

ორიგინალის კრიტიკული ტექსტი 25 ხელნაწერის მიხედვით არის დადგენილი. მათში თუმცა მოიპოვება მცირედი სხვაობები, მაგრამ აღნიშნულ ადგილას ისინი უცვლელად იმეორებენ სიტყვას *το μυστηριον*.³ სწორედ ამ ტერმინს შეესაბამება ქართული ტექსტის ფრაზა "ზრახვად საიდუმლოდ". თითქოს საქმე გვაქვს სომხური "ხორპურდის" ორივე მნიშვნელობით თარგმნასთან, თუმცა შეიძლებოდა ისიც გვეფიქრა, რომ ქართული თარგმანის თავდაპირველ ტექსტში შესატყვისად მხოლოდ "ზრახვად" გვქონდა, ხოლო "საიდუმლოდ" გვიანდელმა რედაქტორმა დაურთო მას ბერძნულთან შეჯერების შედეგად, ანდა ბუნდოვან კონტექსტში აზრობრივი სიცხადის შეტანის მიზნით. ამგვარი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას გვაძლევს ერთ ძველ ქართულ თარგმანზე დაკვირვება. მხედველობაში გვაქვს ევსები ალექსანდრიელის ავტორობით ცნობილი თხზულება "მობისათვის იოვანე, ძისა ელისაბედისა", რომელიც "კლარჯულ მრავალთავშია" დაცული. ეს თხზულება სომხურიდან უნდა იყოს თარგმნილი, რამდენადაც მასში უჩვეულო კონტექსტში გვხვდება "ველითა", ნაცვლად "მიერ"-ისა:

ველითა ნათლისღებისად-
თა შთაავლინა ცეცხლსა
გეჰენიისასა (A-144,155v)

*δια του βαπτισματος εις
την γεενναν του πυρος
καταγαγη* (Pg.86,col.376)

სწორედ აღნიშნულ თარგმანში გვხვდება ფრაზა "ზრახვად საიდუმლოდ" *μυστηριον*-ის შესატყვისად:

(ეშმაკმა) ვერ გულისგმაყო
ზრახვად იგი საიდუმლოდ,
ვითარმედ შეცოდებისაგან
ევაძსსა გამოგუეცხადა ქალ-
წულისაგან (A-144,155).

*ουκ ενοησεν το μυσ-
τηριον οτι δια την πα-
ραβασιν της Ευας εκ της
Παρθενου προηλθεν*
(col.373)

რამდენადაც "ზრახვად იგი საიდუმლოდ" გვხვდება ბერძნული *μυστηριον*-ის ფარდად, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ აქაც საქმე გვაქვს სომხური "ხორპურდის"-ის ორივე მნიშვნელობით თარგმნასთან, მაგრამ ქართული ტექსტის მეორე პირის შესწავლამ სხვაგვარი სურათი გვიჩვენა. ეს ძეგლი დაცულია, აგრეთვე, პარხლის მრავალთავში, სადაც იგი ენობრივად თითქოს

1 ც. ქურციკიძე, დასახ. შრომა, გვ.114.

2 Marcel Nagel, La Vie Grecque d'Adam et d'Eve, Apocalypsis de moise, t III, 1972, p17-18

3 რ. ჰ. ჩარლზი აღნიშნულ ადგილს ასე თარგმნის: and God saith to Michael the archangel: Say to Adam: "Reveal not the secret that thou knowest to Cain thy son". (R. H. Charles, The Apocrypha and Pseudepigrapha of the Old Testament in English, vol.I, Oxford, 1965).

უფრო მეტ არქაულობას ამჟღავნებს. აღნიშნულ ნუსხაში ჩვენთვის საინტერესო ადგილი ასე იკითხება: (ეშმაკმა) "ვერ გულისკმაყო ზრახვად იგი, ვითარმედ შეცოდებისა მისთვის ევაძსა გამოეცხადა ქალწულისაგან" (A-95, 279).

როგორც ვხედავთ, ამჯერად το μυστηριον-ს მხოლოდ "ზრახვად" შეესატყვისება, რაც, ჩვენი აზრით, ქართული თარგმანის თავდაპირველ ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს. ასე რომ, "საიდუმლოდ", საფიქრელია, ტექსტში გვიანდელი დამატება იყოს აზრობრივი სიცხადის მიზნით.

"საიდუმლოდ-μυστηριον"-ის ტერმინული შესატყვისობა თავს იჩენს "სინური მრავალთავის" ცალკეულ საკითხავებში, რაც ხსენებულ საკითხავთა უშუალოდ ბერძნულიდან მომდინარეობას გვაფიქრებინებს. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს გრიგოლ ნეოკესარიელის ავტორობით ცნობილი ქადაგებები ხარების დღესასწაულის შესახებ. ეს ქადაგებები, მ.ვან ესბროკის გამოკვლევით, უშუალოდ ბერძნულიდან მომდინარე "კლასიკურ თარგმანთა" (traductions classiques) რიცხვს ეკუთვნის.¹ ამასვე ადასტურებს "საიდუმლოდ-μυστηριον ტერმინული შესატყვისობა:

პირუტყუთ-სახეთა კაცთა სა-
იდუმლოდსა მის საზრდე-
ლისად მისცეს მისაღებე-
ლი²

τοῖς κτηνωδεσιν τοῖς αν-
θρωπinois μυστικῆς βρω-
σεως χορηγησῆ μεταληψιν
(Pg.10,col.1133C)

საუკუნიტგან დაფარული
იგი საიდუმლოდ განცხა-
დებულად გუაუწყა ჩუენ³

το απ αιωνος αποκε-
κρυμμενον μυστηριον εμ-
φανως ημιν κατοπτειουσα
(col.1148 A)

გამოუთქუმელი საიდუმ-
ლოდ... განცხადებულად მო-
გუეთხრობის ჩუენ (იქვე)

αφραστον μυστηριον... εμ-
φανως ημιν καταγγελλεται
(col.1148A)

ვითარ-მე გამოვთქუა საი-
დუმლოდ იგი მიუწდომე-
ლი⁴

τις εξηγησεται του μυσ-
τηριου το ακαταληπτον
(col.1156D)

ყოველნივე საიდუმლონი
ქრისტჳსნი გამოთქუნა⁵

ανακεφαλαιωσαμενη του
Χριστου τα μυστηρια
(col.1165 C)

ასევე "კლასიკურ თარგმანთა" შორის იხსენიებს ესბროკი იოანე ოქროპირის ავტორობით ცნობილ საკითხავს "მარიამისათვის და მართაძსათვის"⁶ აქაც იგივე

1 M. van Esbroeck, დასახ. შრომა, გვ.250; 260-261.

2 სინური მრავალთავი, გვ.7

3 იქვე, გვ.3

4 სინური მრავალთავი, გვ.8

5 იქვე, გვ.13

6 ამგვარ საკითხავთა შესახებ ესბროკი შენიშნავს: "ils gardent tous la trace incontestable du modele en grec" (დასახ. შრომა, გვ.250-251)

ტერმინული შესატყვისობა ვლინდება:

"...აჩუენებდა მადლსა საიდუმლოდსასა"¹

της Χαριτος το μυστηριον εικονογραφειται
(Pg.61,col 706)

ბერძნულიდან უნდა მომდინარეობდეს იმავე მამის ავტორობით მოღწეული "საკითხავი ზაქარია წინაწარმეტყუელისაჲ". მასში ვკითხულობთ:

ისწავეთ საიდუმლოდ ღმრთისაჲ²

μαθετε θεου μυστηρια
(Pg.59, col. 705)

იგივე ითქმის იოანე ოქროპირის საკითხავზე სათაურით "აღსაარებისათვის თომა მოციქულისა", სადაც ხშირად იჩენს თავს ზემოაღნიშნული ტერმინთშეწყვილება:

მოვიდა ესე ღმრთის ვოცციელებისა საიდუმლოდ³

ην δε αρα και τουτο της θειας οικονομιας μυστηριον (pg.59,col.681)

ქადაგებ საიდუმლოსა⁴

κηρυττω το μυστηριον
(col.684)

მ საიდუმლოდ საკვრველი,მ საიდუმლოდ საშინელი,მ საიდუმლოდ დიდებულისი⁵

ω μυστηριων ξενων, ω μυστηριων φρικτων
(col.686)

ღირს-მყუენ ჩუენ ზეცისა საიდუმლოსა⁶

των ουρανιων μυστηριων μεταλαβωμεν (col.687)

ასევე, ვფიქრობთ, ბერძნულიდან მომდინარეობს იმავე ავტორის ქადაგება "ჯუართა აპყრობისაჲ":

ვითარ ესოდენი საიდუმლოდ აქუს წინაწარმეტყუელისა სიტყუასა⁷

ηλικον περιεχε μυστηριον το προφητικον λογιον
(col.682)

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გამორიცხული არ არის ისეთი შემთხვევაც, როცა ქართველი მთარგმნელი სომხურ "ხორჰურდს"-ს სწორედ "საიდუმლოს" შინაარსით აღიქვამს და ამგვარადვე გადმოაქვს იგი. მაგალითად, "აბდალმესიას

1 სინური მრავალთავი,გვ.130
2 იქვე,გვ.144
3 სინური მრავალთავი,გვ.171
4 იქვე,გვ.173
5 იქვე,გვ.175
6 იქვე,გვ.176
7 იქვე,გვ.235

წამებაში" ერთგან გვხვდება ფრაზა "საიდუმლოდ გულისა ჩემისაჲ".¹ ჟ.გარიტის გამოკვლევით ქართული ტექსტი სომხურიდან მომდინარეობს, რომელიც, თავის მხრივ, სირიულზეა დამოკიდებული.² სირიულში აღნიშნულ ადგილას იკითხება (ლათ. თარგმანით): cogitationum mearum, ხოლო სომხურში cogitationem cordis mei.³ სომხურ ხორჭურდს, სირიული ტექსტის თანახმად, ამ შემთხვევაში აქვს არა "საიდუმლოს", არამედ "ზრახვის" შინაარსი, ქართველმა მთარგმნელმა კი, ტრადიციის საპირისპიროდ, სომხური სიტყვა მცდარად აღიქვა პირველი, ე.ი. "საიდუმლოს" მნიშვნელობით. ჟ. გარიტი შენიშნავს: il s'agit évidemment d'une méprise sur le sens du mot arménien "xorhurd", qui signifie "cogitatio, consilium", mais aussi "mysterium".⁴

ჩვენთვის ხელმისაწვდომ ძეგლებში ამგვარი შემთხვევა კიდევ გამოვლინდა. მხედველობაში გვაქვს დაჩის მიერ სომხურიდან თარგმნილი "ფსალმუნთა კომენტარები", სადაც ასეთ ფრაზას ვხვდებით:

"და მწვალებელნი უწესოდ მეტყუელნი საიდუმლოსა"⁵

ბერძნულ დედანში მას შესატყვისება: *και οι των δυσσεβων δογματων απηλλαγμενοι.*⁶

სომხურ თარგმანში ვკითხულობთ: "և գհերծուածողաց գახկարգ խաւսս և գխորիուրդս".⁷

როგორც ვხედავთ, ბერძნული *δογματων* სომეხ ავტორს უთარგმნია, როგორც, "ხორჭურდ", ხოლო ქართველმა მთარგმნელმა სომხური სიტყვა "საიდუმლოდ" აღიქვა და ასევე თარგმნა იგი.

ამგვარი შემთხვევები თუმცა გამონაკლისია, მაგრამ მაინც საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ გამორიცხული არ არის ქართველმა მთარგმნელმა სომხური "ხორჭურდ" იშვიათ შემთხვევაში აღიქვას სწორედ "საიდუმლოს" შინაარსით, მაშინ როცა ეს სომხური სიტყვა შესაძლოა გადმოსცემდეს არა ბერძნულ *μυστηριον*-ს არამედ *βουλη*-ს, *λογισμος*-ს ანდა ამავე შინაარსის მქონე სხვა სიტყვებს. ამიტომ, თუ ბერძნული *λογισμος*-ს (ან მისი სინონიმების) შესატყვისად ქართულ ტექსტში გვხვდება "საიდუმლოდ", ესეც, ალბათ, შუამავალ სომხურ ტექსტზე უნდა მიგვანიშნებდეს.⁸

1 G. Garitte, La Passion Georgienne de saint Abd Al-Masih, Le Museon, LXXIX, 1-2, 1966, pg.220

2 იქვე, გვ.188

3 იქვე, გვ.192

4 იქვე, გვ.192

5 შატბერდის კრებული, გვ.370

6 Pg. 1.80, col.370

7 ი. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში. თბ.1944, გვ.157.

8 ამ შემთხვევაში ჩვენ არ გვაინტერესებს "საიდუმლოს" ეპითეტური მნიშვნელობები, კერძოდ მისი გამოყენება "დაფარულის" ნაცვლად (მაგ. "წიგნი საიდუმლოდ", "საიდუმლოდ ძალი", "სიტყუად საიდუმლოდ" და მისთ), რაც ბერძნული *αποκρυφος* და მისი სინონიმების (მაგრამ არა *το μυστηριον*-ის) შინაარსს შეადგენს. ამ აზრით "საიდუმლოდ", ცხადია, სომხურიდან თარგმნილ ტექსტებშიც გვხვდება.

შევაჯამოთ ზემოთქმული:

1. სიტყვა *το μυστηριον* არასომხური ენიდან მომდინარე ტექსტებში, ჩვეულებრივ, არ არის თარგმნილი, როგორც "ზრახვა". საგულისხმოა იმის აღნიშვნა, რომ ექვთიმეს, გიორგის, ეფრემის, არსენის, იოანე პეტრიწის თარგმანებში აგრეთვე ქართულენოვან ჰიმნოგრაფიულ ტექსტებში, რომლებიც უეჭველად ბერძნული ენიდან მომდინარეობენ "ზრახვა" არ გვხვდება *το μυστηριον*-ის ტერმინოლოგიურ შესატყვისად.

2. *το μυστηριον* სომხურად ითარგმნება სიტყვით, "ხორჰურდ", რომელიც, ერთი მხრივ, ნიშნავს აზრს, ფიქრს, განზრახვას (*βουλη, λογισμος; consilium*), ხოლო მეორე მხრივ - "საიდუმლოს" (*μυστηριον, mysterium*)

3. აღნიშნული სომხური სიტყვა ქართულად, ჩვეულებრივ, ითარგმნება პირველი მნიშვნელობით.¹ მას შეესატყვისება ტერმინი "ზრახვა"

4. როდესაც ბერძნული ტექსტი სომხურის გზით შემოდის ქართულში, სიტყვა *το μυστηριον* სომხური "ხორჰურდის" ორაზროვნების გამო თითქმის ყველა შემთხვევაში ქართულად გადმოიცემა, როგორც "ზრახვა".

5. ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ის ტექსტი, რომელშიც *μυστηριον*-ის შესატყვისად მხოლოდ "საიდუმლოდ" გვხვდება, არასომხური ენიდან უნდა მომდინარეობდეს, ხოლო ის ტექსტი, რომელშიც ამავე მნიშვნელობას, ჩვეულებრივ, გადმოსცემს სიტყვა "ზრახვა", სომხურზე უნდა იყოს დამოკიდებული.

6. უიშვიათეს შემთხვევაში გამორიცხული არ არის, ქართველმა მთარგმნელმა სომხური "ხორჰურდ" აღიქვას სწორედ "საიდუმლოს" შინაარსით მაშინ, როცა ეს სიტყვა შესაძლოა გადმოსცემდეს არა *μυστηριον*-ს არამედ *βουλη*-ს, *λογισμος*-ს (ან მათ სინონიმებს). ამიტომ, თუ *βουλη*-ს, *λογισμος*-ის ან მათი სინონიმების შესატყვისად ქართულ ტექსტში "საიდუმლოდ" გვხვდება, ესეც შესაძლოა შუამავალ სომხურ ტექსტზე მიანიშნებდეს.

ამგვარი ვრცელი ექსკურსის შემდეგ დავუბრუნდეთ საძიებელ საკითხს: რა სურათს გვიჩვენებს *το μυστηριον*-ის თარგმნასთან დაკავშირებით სევერიანე გაბალოვნელის "ექუსთა დღეთაჲს" ქართული ტექსტი?

უნდა აღვნიშნოთ, რომ ორიგინალის სიტყვა *το μυστηριον* ქართულად ყველა შემთხვევაში თარგმნილია, როგორც "საიდუმლოდ" და არცერთხელ, როგორც "ზრახვა". მაგალითად:

¹ სომხური "ხორჰურდის" უმთავრესად "ზრახვად" გაგება (და არა "საიდუმლოდ") იმან განაპირობა, რომ იგი ბიბლიურ ტექსტებში უამრავგზის გვხვდება სწორედ "ზრახვის, განზრახვის" შინაარსით და ეჭვი არ არის, რომ ამავე შინაარსით დამკვიდრდებოდა ხსენებული სიტყვა ქართველ პირველმთარგმნელთა ცნობიერებაში ქართულ-სომხური ბიბლიოლოგიური თანამშრომლობის ეამს.

თავის მოკუეთად ინებეს
ღმრთისმსახურებისა, ძარ-
ღუთ დაჯსნად საიდუმლო-
დასა (გვ.55)¹

განათლდეს კიდენი სოფ-
ლისანი ამით წმიდითა
ჯმითა ამის ღმრთეებისა
საიდუმლოსა(65)

წინაშე კართა საიდუმლო-
დასათა (68)

ესე საიდუმლოდ მიუტევებს
ცოდვათა (68)

სისხლი მოგუცა ჩუენ, სა-
იდუმლოდ (180)

*αποκεφαλισαι ηθελησε την
ευσεβειαν, εκνευρωσαι το
μυστηριον (col.443)*

*εφωτισθη τα περατα της
γης ταυτην την αγιαν
φωνην Κυριου... ταυτην
την ενθεον μυσταγωγιαν
(col.446)*

*τα προθυρα μυστηριων
(col.447)*

*τουτο το μυστηριον αφι-
ησιν αμαρτιας (col.447)*

*αιμα παρεχον ημιν το
μυστηριον (col.483)*

მეორე მხრივ, ქართულ თარგმანში სიტყვა "ზრახვად" ყველგან აღნიშნავს
აზრს, ფიქრს, განზრახვას, ჩანაფიქრს, ე.ი. იხმარება მხოლოდ მისი
ჩვეულებრივი მნიშვნელობით. აი, ეს ადგილებიც.

კრულებად მათი შეიმტკიც-
ების მწვალებელთა მათ
ზრახვასა (84)

რომელი დიდ არს ზრახ-
ვითა და ძლიერ საქმითა
(87)

გარდაემატების ზრახვად და
იძლევის გონებად (94)

იყომცა განგდებად ამის
ზრახვისად და ჰგონებდეს-
მცა (123)

ზრახვა უგმს (126)

*δεσμοις αλυτοις σφιγγει
των αιρετικων τον λογι-
σμον (col.451)*

*ο μεγας τη βουλη και
δυνατος τοις εργοις
(col.452)*

*υπερβαινει διανοιαν και
νικα λογισμον (col.454)*

*ენην αντειπειν τω βου-
λομενω και φασκειν
(col.463)*

βουλη κεχρηται (col.464)

¹ სევერიანე გაბალოვნელის "ექუსთა დღეთაჲს" თარგმანიდან ადგილებს ყველა შემთხვევაში
ვიმოწმებთ თ.ჭყონიას მიერ გამოსაცემად მომზადებული ტექსტის ნუმერაციის მიხედვით
(ტექსტი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში)

ზრახვასა შემოიყვანებს
(127)

βουλην εισαγει (col.464)

დიდისა ზრახვისა მახარებელ (130)

μεγαλης βουλης αγγελος
(col.465)

ესერა ზრახვა იგი შერთულ (150)

ιδου η βουλη συνηγμενη
(col.472)

სადა არს უკუე ზრახვა სულისა? (151)

που ουν η βουλη του πνευματος; (col.472)

ჰყავთ ზრახვა (151)

εποιησατε βουλην
(col.473)

შეატყუნა ადამის ბრძანებანი და ღმრთისა ზრახვანი (173)

συμφωνει του Αδαμ τα δογματα τοις του θεου βουλημασιν (col.480)

ამგვარად, ჩვენთვის საინტერესო ტექსტში

(1) *το μυστηριον* (ერთგან *μυσταγωγια*) ქართულად ყველგან თარგმნილია, როგორც "საიდუმლოა".

(2) ქართული თარგმანის "ზრახვა" ყველგან გადმოსცემს ორიგინალის *λογισμος*-ს და *βουλη*-ს ან *βουλημα*-ს, აგრეთვე *διανοια*-ს.

აღნიშნული მომენტები, ვფიქრობთ, უთუოდ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ სევერიანე გაბალოვნელის შესაქმისეული კომენტარები არასომხური ენიდან თარგმნილად მივიჩნიოთ.

ამგვარი დასკვნის სასარგებლოდ, ვფიქრობთ, მეტყველებს კიდევ ერთი ფაქტორი. საქმე ეხება ბერძნულ ზმნისწინთა ქართულად გადმოტანის საკითხს. როგორც ცნობილია, ბერძნული ზმნისწინები (განსაკუთრებით ეს ითქმის ზმნისწინებზე *συ* და *προ*) სომხურსა და სირიულში ან არ გადადის, ანდა გადმოიცემა თანდებულებით, რადგანაც ამ ენებს საერთოდ არ აქვთ ზმნისწინთა სისტემა. ეს მომენტი ქართული თარგმანის წარმომავლობის დასადგენად სპეციალურ ლიტერატურაში გათვალისწინებულია. კ.დანელია "პავლეთა" ტექსტის ბერძნისებზე მსჯელობის დროს ცალკე გამოყოფს აღნიშნულ ფაქტორს და საკითხის გასარკვევად მას **გადამწყვეტი** მნიშვნელობას ანიჭებს. მკვლევარის მითითებით "ასეთ ენობრივ (გრამატიკულ) მონაცემებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თარგმანის წარმომავლობის დასადგენად"¹

სევერიანეს შრომის ქართული თარგმანი, ამ მხრივ, აშკარად ამჟღავნებს ბერძნული ტექსტის უშუალო გავლენას:

¹ კ. დანელია, ქართული სამწერლობო ენის ისტორიის საკითხები, თბ.1983, გვ.153.

მცირესა ამას ჩუენსა თა-
ნა-შეაშენებს მათ¹ (3)

*μικρα δε τα ημετερα...
συν-οικοδομειται
σκεινοις (col.430)*

"შექმნა ღმერთმან ცად და
ქუეყანად", თანა-შეაპყრა
ყოველივე (14)

*...συν-περιελαβε παντα
(col.435)*

ყოველივე თანა-შეაქმნა სო-
ფელსა² (17)

*παντα συγ-κατεσκευασθη
τω κοσμω (col.435)*

ჯერ-იყო წინა-წარძღუანე-
ბად საქმე (34)

*εδει γαρ προ-λαβειν το
εργον (col.439)*

წინა-ბრწყინვიდა საკვრვე-
ლებად (37)

*προ-ελαμπε τα θαυματα
(col.440)*

ხოლო ვარსკულავთმრაცხე-
ლებისათვის ფრიად გან-ს-
წულების სიტყუად (82)

*περι αστρολογιας πολυν
απο-τειναι λογον
(col.450)*

თანა-ჰვალს სიტყუასა გო-
ნებად და თანა-დაშურების
ენად განზრახვათა (82)

*συν-βαδιζει τω λογω η
διανοια και συν-ασθενει
τη γλωττη ο λογισμος
(col.450)*

ზედა-შეაკრა მას (80)

*επ-εδησεν αυτην
(col.450)*

არა დაბადებულთა თანა-
შეერაცხების დაუბადებე-
ლი (14)

*ου γαρ τη κτισει συν-
αριθμειται το ακτιστον
(col.434)*

ამისთვის თქუა: "ზედა-იქც-
ეოდა" (20)

*δια τουτο ειπεν επ-εφε-
ρετο (col.436)*

უკუ-მოსცემს მზესა (79)

*απο-διδωσι τω ηλιω
(col.449)*

ვითარ აღ-აქუს მძიმე იგი
მაღლად? (95)

*πως ανα-φερεται το βα-
ρος εις υψος (col.453)*

¹ საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბერძნული *συνοικοδομειται* კალკირებული თარგმნისათვის იმდენად მოუხერხებელია, რომ იგი უზმინისწინოდ გადავიდა საზოგადოდ ზმნისწინებით მდიდარ ლათინურ თარგმანში (კომბეტისის თარგმანი): *in eadem structuram aptantur* (Pg. 1.56, col.430)

² ლათინური აქაც ვერ ახერხებს ბერძნული *συγκατεσκευασθε-ის* ზედმიწევნით თარგმნას: *omnia cum mundo sint condita* (col.435)

წინა-უძღოდეს სიტყუათა
საქმენი (108)

*προ-ελαμβανε τα εργα
τον λογον (col.458)*

წინა-დაუღვა (113)

παρα-τιθεμενον (col.460)

არა გამო-შობს ესე წესი
(116)

*ουκ απο-γεννα φυσις
(col.461)*

წინაწარ-უწყოდა (134)

προ-εωρα (col.466)

წინაწარ-ჰხედვიდა (134)

προ-εβλεπε (col.466)

გამო-თქუმად ვიკადროთ
(147)

*εξ-ειπειν επιχειρησωμεν
(col.471)*

გარე-მოადგნ
ზედამჭედომელსა (157)

*περι-λαμβάνει τον καθη-
μενον (col.474)*

წესი იგი სასოებისად წი-
ნა-გვძღვს (164)

*τη συνηθει ελπιδι προ-
τρεχων (col.477)*

წინაწარ-აუწყებს ღმერთი
ყოფადსა (165)

*προ-μενυει ο θεος το
μελλον (col.477)*

თანა-დაეფლნეს დასაკალით
(165)

*συν-εταφε τω δυσαντι
(col.477)*

თანა-დაშურების მისა თა-
ნა გონებადცა (167)

*συν-καμνει τη φωνη και
η διανοια (col.478)*

ღმერთმან წინაწარ-გამო-
სახა მათი სახელები (173)

*ο θεος προ-ετυπωσεν εα-
υτω τα ονοματα (col.480)*

ღმერთმან წინაწარ-განა-
ჩინა (174)

*ο θεος προ-ωρισε
(col.480)*

თანა-ურბის ჩემსა სიტყუ-
ასა და ადგილი იგი (89)

*συν-τρεχει τη φρασει και
ο τοπος (col.452)*

ზედა-შემოვდა მწუხრისა
ნათელი ღლისა (99)

*επ-εισηλθε τω της ημερας
φωτι το της εσπερας
(col.455)*

წინა-წარმოუძღუეს მას მო-
წამენი (122)

*προ-ελαβον αι μαρτυριαι
(col.462)*

წინა-წარმოუძღუა შჯული
(122)

*προ-ελαβεν ο νομος
(col.463)*

ზმნისწინიან ფორმათა ასეთი სიმრავლე, რაც ზედმიწევნით ეთანხმება ბერძნულს, უთუოდ გამორიცხავს შუამავალ სომხურ თარგმანს.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ქართული თარგმანის წინასწარი ტერმინოლოგიური ("საიდუმლო") და ენობრივი (ზმნისწინები) ანალიზი ცხადს ხდის, რომ ხსენებული თარგმანის წყარო არ არის სავარაუდო სომხური ტექსტი. შეიძლება ისიც აღგვენიშნა, რომ საფიქრებელია, აღნიშნული თხზულება უძველეს პერიოდში საერთოდ არ ყოფილა სომხურად თარგმნილი. როგორც აღვნიშნეთ, Clavis Patrum-ში (vol.2, 1974, pg.470) მითითებულია სევერიანეს შრომის სომხური ფრაგმენტების არსებობა. მკითხველს რჩება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს აქ უძველესი სომხური თარგმანია მინიშნებული. სინამდვილეში საქმე გვაქვს XVII ს-ში თარგმნილ ტექსტთან, რომლის დედანიც ლათინურია. ვ. კრამის მითითებით (რომელიც არის წყარო Clavis Patrum-ში მოცემული ინფორმაციისა), სევერიანეს "ჰექსემერონი", ანდერძის თანახმად, თარგმნილია ფრა ბარტოლომეოს ლათინური ტექსტიდან დომინიკელი ბერის იაკობ ვარდაპეტის მიერ 1678 წელს.¹ მეტად საეჭვოა, რომ არსებულიყო უფრო ძველი სომხური თარგმანი და ასეთი ვრცელი ტექსტიდან ჩვენამდე არცერთ ფრაგმენტს არ მოეღწია, მაშინ როცა, სხვა შემთხვევაში, სწორედ სომხურმა მწერლობამ შემოგვინახა სევერიანეს ისეთი ჰომილიები, რომელთა ორიგინალებიც დაკარგულია.

აღვნიშნავდით, რომ ეს თხზულება ძველად არც ლათინურად ყოფილა თარგმნილი, ე.ი. ქართული ტექსტის ლათინურიდან მომდინარეობა თავისთავად გამოირიცხება. ზემომითითებული მიზეზების გამო გამოირიცხება, აგრეთვე, არაბული კომპენდიუმიც.

ამგვარად, დღეისათვის ხელმისაწვდომი წყაროების მიხედვით შეიძლება ვითქვით, რომ სევერიანეს შრომის ქართული თარგმანი მომდინარეობს უშუალოდ ორიგინალიდან, ბერძნული ტექსტიდან. ამასვე გვაფიქრებინებს ქართულ ტექსტში გამჟღავნებული ბერძნიზმები, რომელთაგან ნაწილს ზემოთაც შევვხვით. ამჯერად დეტალურად განვიხილავთ ქართული ტექსტის ბერძნიზმებს:

განსაკუთრებით საგულისხმოა ის გარემოება, რომ ქართული ტექსტი უმრავლეს შემთხვევაში ზედმიწევნით, კალკირებულად გადმოსცემს ორიგინალს. თვალში საცემია სიტყვათა წყობის ზუსტი გადმოტანა, რაც, ერთი მხრივ, ძალიან აბუნდოვნებს ქართულ ტექსტს, მეორე მხრივ კი, მათ შორის შესამე, უშუალოდ ტექსტის არსებობას სრულიად დაუჭერებელს ხდის.

მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

1. და ვითარცა იოვანე მახარებელმან არა პირველად განაგო
και ασπερ Ιωαννης Ευαγγελιστης ου πρωτον εταξε
 ქრისტეს შჯულისდადება, ვიდრემდის თქულა მისი
του Χριστου την νομοθεσιαν εως ειπεν αυτου
 უფლებაჲ (6)

την δεσποτειαν (col.431)

2. რადსა-მე ნეტარმან მოხე ცაჲ ავხენა, ქუეყანაჲ
Δια-τι ο μακαριος Μωσης ουρανου εμνημονευσε και γης
 და ზღუაჲ და წყალთაჲ და მათგანთაჲ, ხოლო ანგელოზთაჲ

¹ იხ. Nouvelles archives des missions scientifiques et litteraires, t.XXII, fasc. 5, Paris 1924 pg.356.

και θαλασσης και υδατων και των εξ αυτων, αγγελων δε
და ანგელოზთმთავართა და ანუ სერაბინთა და ანუ ქერაბინთა
και αρχαγγελων η Σεραφειμ η Χερουβειμ
არა ავსებნა? (6)

ουκ εμνημονευσεν; (col.431)

3. არამედ მიხვანი უშეშოდა ცეცხლისა და მოიღო ღმერთმან
αλλ εξ αυτου του αυλου πυρος εγαγες ο θεος
სახილველად (16)

εις θεαν (col.434)

4. რად-მე უკუე არს ბნელი? (17)

τι ποτε ουν εστι σκοτος; (col.435)

5. ეგრეცა არა ჯერ-არს ცუდად ველყოფა და სანდროთა
ουτως ου δει απλως επιχειρειν τοις θειοις
სიტყუათა (19)

λογοις (col.436)

6. ჰგმობს უკუე ღმერთი ცრემლით დაღტოლვასა საკურთხეველისასა,
εγκαλει ουν ο θεος τοις κλαιουσιν επι του θυσιαστηριου
იტყვს: "მღდელნი შემოჰხუედით და სტიროდეთ".

λεγων. Ιερεις εισελθατε κλαυσατε...

ჰგმობს არათუ-იგი ტიროდეს, არამედ ვნებულნი, მუნ ასმენდეს
εγκαλει ουχ οτι εκλαιον... αλλ οι αδικουμενοι εκει επετυγ -
საკურთხეველსა ზედა, ობოლნი და ქურივნი (26)

χανον επι του θυσιαστηριου, ορφανοι και χηραι (col.437-438)

7. გუეწია მწუხრი, დაჰბეჭდა დღისა სრბა და კეთილად

κατελαβεν η εσπερα σφραγιζουσα της ημερας τονδρομον. Καλη
დასაბამ, შეეძინა აღსასრულად (28)

η αρχη προσετεθητω το τελος (col.436)

8. მოიღენ აწ უკუჰ, ჩუენი ღმრთეებისა სიტყუამან
φερε τοιυν και ημων ο θειος λογος

განაბრწყინვენ გონება (31)

καταλαμπετω την διανοιαν (col.439)

ეს მაგალითი განსაკუთრებით საყურადღებოა. ბერძნულისათვის ბუნებრივი
დაცილება მსაზღვრელ-საზღვრულისა (ημων... διανοια) ძალიან ხელოვნური
ჩანს ქართულისათვის ("ჩუენი ღმრთეებისა სიტყუამან განაბრწყინვენ
გონება"). ამ შემთხვევაში ბერძნული სინტაქსის გავლენა სრულიად აშკარაა.

9. არს მარხვათა და ცა ყოვლითა სიწმიდითა მპოხელ

εστι... νηστεια παντος αγιασμου τροφος

და ღედა ღმრთისმსახურებისა გონება (31)

και μητηρ ευσεβους διανοιας (col.439)

ქართული ტექსტი, მართალია, სიტყვათა წყობით ზედმიწევნით მისდევს
ორიგინალს, მაგრამ ზოგ შემთხვევაში რიცხვსა და ბრუნვას ცვლის, რაც
ძალიან აბუნდოვნებს ტექსტს. ძნელი სათქმელია, ამგვარი გაბუნდოვნება

თავდაპირველ თარგმანშივე იყო, თუ შემდეგ განიცადა მრავალრიცხოვან გადამწერთა ხელში. ბერძნულის მიხედვით, ქართულ ტექსტს თითქოს ასეთი სახე უნდა ჰქონოდა: "არს მარხვადცა ყოვლისა სიწმიდისა მპოხელ და დედა ღმრთისმსახურისა გონებისა". საფიქრელია, საქმე გვექონდეს გვიანდელ დამახინჯებასთან.

10. არათუ ეძიებს, ვითარ ვიმარხვიდეთ ხოლო, არამედ ვითარ

ου ζητείται πως νηστευσωμεν μονον. αλλα πως

ღმრთისმსახურებით ვიმარხვიდეთ (31)

ευσεβας νηστευσωμεν (col.439)

11. ნაკლულევანებად უძლურებისა მათისაჲ სახე (B-სახედ)

το λειπον τη ασθენεια της φυσεως

აღავსოს უძჯობესი იგი მადლისაჲ (37)

πληρωση το περιπτον της χαριτος (col.440)

ამჯერადაც ძნელი სათქმელია, ქართული ტექსტი გადამწერთა მიერ დამახინჯდა, თუ მთარგმნელმა აურია ორიგინალის ბრუნვები და გვარი. ბერძნულის შესაძლო თარგმანი ასეთია: "ნაკლულევანებასა უძლურებითა სახისაჲთა (- ბუნებისაჲთა) აღავსებს გარდამატებულებაჲ იგი მადლისაჲ"

12. ვინაჲთგან არაარსი იგი არა-არსისაგან, არა უწყი თქუმად,

ειτα το ου εκ του μη-οντος ουκ οιδας ειπειν

ვითარ იყო და არსსა მას არაარსისაგან იკადრებ

πως εγενετο και τον οντα εκ του μη-οντος¹ τολμησεις

მრავლისმეტყუელებად? (40)

πολυπραγμονειν (col.441)

ბერძნული ტექსტი ზედმიწევნით არის თარგმნილი (განსაკუთრებით საგულისხმოა წინადადების შუაში ჩართული ფრაზა "არა უწყი თქუმად", თუმცა ბერძნული *το ου* (არსი) თარგმნილია, როგორც - "არაარსი", ხოლო *εκ του οντος* (არსისაგან) - როგორც "არაარსისაგან". მეტად საეჭვოა ქართველ მთარგმნელს ბერძნული ტექსტის გარეშე დაემატებინა უარყოფის ნაწილაკი. ამ ადგილას სევერიანე იმდენჯერ ხმარობს ტერმინებს *μη ου*-სა და *ου*-ს ერთიმეორის გვერდით, რომ სრულიად ადვილი სავარაუდოა, ისინი ბერძნული ტექსტის გადამწერებს ერთიმეორეში არეოდათ. რაც შეეხება ქართულს, მასში, ვფიქრობთ, დაცულია ორიგინალის თავდაპირველი სახე. აღნიშნულ მონაკვეთში საუბარი ეხება არიანულ მოძღვრებას ძე ღმერთის, ვითარცა ქმნილების, (არაარსისაგან შექმნილის) შესახებ. სევერიანე გაბალ-ოვნელი მწვალებლებს სწორედ იმას უსაყვედურებს, რომ მათ საკუთრივ არაარსის შექმნის მიზეზიც კი არ იციან და არაარსისაგან არსის (ძე ღმერთის) შექმნას როგორ ახსნიან.

13. და არს ჰატივცა და განსუენებაცა, ეგრეცა ღმრთისა

και εστι τιμη και αναπαυσις, ουτω και θεου

საყდარი სიბრძნე (59)

θρονος σοφια (χολ.445)

¹ მინის გამოცემაში არის *εκ του οντος*

14. ათორმეტ მოციქულნი, არამედ ოთხნი ღაღადებენ მახარებელნი
(61)

Δοδεκα αποστολοι αλλα τεσσαρες βωσιν ευαγγελισται (col.449)

აქაც ბერძნული სინტაქსი თავის დაღს ამჩნევს ქართულ ტექსტს ("ოთხნი ღაღადებენ მახარებელნი")

15. ამისთვის ყოველი იგი მაღლი რორინებს საჭურითა (64)

Δια τουτο πασα χειρ¹ σαλευει τα Ιουδαικα (col.446)

16. და რადთა გამოაჩინნეს ქერობინნი, ვიდრე ვღა დიდებაა

και ινα δειξη τα χερουβειμ που απηλθεν η δοξα

იგი ბაგინისაჲ, იტყოდეს (65)

η εν τω ναω, λεγει (col.446)

მთარგმნელი იმდენად ერთგულად მისდევს ტექსტს, რომ ბერძნული აკუსტიკი (*τα χερουβειμ*) სახელობითით გადმოაქვს ნაცვლად მოთხრობითისა, რაც შინაარსობრივ ბუნდოვნებას იწვევს.

17. და ერთ-ყო სარწმუნოებაა და სახელ-სდებს მოციქული

και μιαν εποιησε πιστιν και καλει αυτην ο αποστολος

სამყაროდ, თქუა (70)

στερεωμα λεγων (col.447)

18. არა ხოლო შემდგომად ჯერ-არს თქუენდა ცუდად სიტყუათა,

ου γαρ ακολουθειν δει καθ' υμας απλως ταις φωναις

არამედ გამოდიებად საქმეთა (71)

αλλα ζητειν τα πραγματα (col.447)

19. და ოდეს ოთხფერზნი კუალად და ქუეწარმაკალნი და

και οτε τα τετραποδα παλιν και τα ερπειτα και

მფრინველნი იქმნებოდეს, თქუა ღმერთმან (73)

πετεινα εγενετο λεγει ο θεος (col.448)

20. საქმე იგი მსგავსად და ველოვანი უმსგავსებელად? (74)

το εργον καθ ομοιοτητα και ο τεχνιτης ανομοιος; (col.448)

21. რად ღმერთმან სავსებითად შექმნა მთოვარე? (78)

Δια τι ο θεος πεπληρωμενην εποιησε την σεληνην; (col.449)

22. რომელი-იგი მიიანგაჰრა მაშინ დღენი მთოვარემან,

ας επλεονεκτησε τοτε ημερας η σεληνη,

წელიწდეულად უკუნ-სცის მზესა (79)

κατ ενιαυτον αποδιδωσι τω ηλιω (col.449)

ამჯერადაც, ბერძნული სინტაქსის გავლენა სრულიად აშკარაა.

23. ხოლო ამოღსმეტყუელთა მათ ვარსკულავისა-

οι μεν ματαιολογοι περι αστρο-

მრაცხელობისაგანად თავი თვისი დააცუდეს სასოებისაგან,

1 მთარგმნელი *χειρ-ს* კითხულობს, როგორც *χαρις*

λογιας εαυτων εκενωσαν τας ελπιδας

აღისწავებენ საქმეთა უწესოთა (81)

σημειουμενοι πραγματα ανυποστατα

24. ვარსკულავთმრაცხელობისათვის ფრიად გან-სწულების

περι αστρολογιας πολυν απο-τειναι

სიტყუად, არამედ უგმსცა სიმტკიცე ვძისა

λογον αλλα χρειαν εχει και τετονωμενης φωνης

და გუამისა არა უსუსურებად; თანა-ჰვალს

και οργανου μη οκλαζοντος συμ-βαδιζει γαρ

სიტყუასა გონებად და თანა-დაშურების ენად

τω λογω η διανοια και συν-ασθενει τη γλωττη

განზრახვათა (82)

ο λογισμος (col.450)

25. აგონე ყოფად კამარად დადგმად; აღმოსავალი

νομισον ειναι καμαραν επικειμενην. η ανατολη

მუნ არს, ვითარცა სახედ, ჩრდილოდ მუნ,

εκει εστι κατα τον τυπον αρκτος ωδε,

სამხარი მუნ, დასავალი მუნ. მზისა - აღმოსლვად,

მეσημβრია εκει, δυσισ εκει Ηλιος - ανατελλων

და რაჟამს დაჰვალს, არა ქუეყანასა ქუეშე

και μελλων δυνειν, ουχ υπο γην

დაჰვდის, არამედ გამოსლვად გარემოდს ცასა,

δυνει αλλ' εξελθων τα περατα του ουρανου

რბის ჩრდილოდ-კერძისა (89)

τρεχει εις τα βορρινα μερη (col.452)

26. უნებლებად ზედა-აც გარეშესლვად იგი ღამეთად

αναγκην εχει κυκλευσαι δια της νυκτος

დასავალსა ყოველსა (90)

δυσιν ολην (col.453)

27. რად-მე არა თავს-იდებს ჩუენსა აღდგომასა? (93)

τι γαρ ουκ εγγυαται ημων την αναστασιν; (col.453)

28. არამედ საკვრველ: უკუეთუ განეკსნეს, ვითარ არა

αλλα το θαυμαστον: ει λελυται, πως ου

მეყსეულად დამოეცუდნიან? უკუეთუ შეკრულად,

συντομως κενουται; ει δεδεται,

რად დამოესხურებიან? (96)

διατι ρει; (454)

29. უკუეთუ, ჭურძან რჩეულძან ჰაკლე, რომელი

ει γαρ το σκευος της εκλογης ο Παυλος, ο

იტყოდა, აქუნდა თავისა თვისისა ქრისტე, რომელი

λαλουντα εχων εν εαυτω τον Χριστον, ο

- სულითაგან წმიდისა იღუაწებოდა, მსმენელთა
Πνευματι αγιω κυβερνουμενος, την παρα των ακρο-
 მათგან იწინდებოდა ლოცვასა, თქუა (104)
ατων ηρραβωνιζετο προσευχην λεγων (col.457)
30. შეურევნელი თქუენ მოგცე სიტყვსა მოგებაჲ (105)
ασυγχυτον υμιν παραδουναι του λογου την εισηγησιν (col.457)
31. ქუეწარმაკალთაჲ მოუღებოეს ჩინებაჲ (110)
την των ερπειτων λαμβανουσι κλησιν (col.458)
32. რაჲსათჳს, რაჲჲმს ვარსკულავნი შექმნნა, არა აკურთხნა? (112)
Διατι οτε τους αστερας εποησεν ουκ ηυλογησεν; (col.459)
33. ქუეყანასა ღმერთი ორსა წილსა შეამოსებს პატივსა (114)
την γην ο θεος διπλη περιβαλλει τιμη (col.460)
34. მებრვე რაჲ-მე უკუე ვინ-მე მისცეს მას? (115)
ομως τι γαρ αν τις και διοη τω... (col.460)
35. განვსნაჲ იგი უკეთურისაჲ არა გნებავს თვსთაგან
διαλυσιν των κακων ου βουλονται απο των αυτων
 შეწყნარებაჲ განზრახვათა (117)
δεχεσθαι λογισμων (col.461)
36. სახელი მაშისაჲ ჩუენდა მომართ მრავალთაგან მოვალს
το ονομα του πατρος παρ ημων δια πολλων ερχεται
 გზათაგან. რომელი იწინდობნ ჭაბუკი და ჰნებავნ
περιοδων οιον υποθου νεανισκον επιθυμουντα
 ქორწილი, პირველად ყვის მოთხოვაჲ,
γαμου, πρωτον γινεται μνηστηρ,
 მაშინდა - სიძე, მაშინდა - ქმარი (115)
ειτα - νυμφιος, ειτα - ανηρ (col.461)
37. მოგანიჭე შენ ყოფად დედებაჲ (119)
εχαρισαμην σοι το ειναι μητηρ (col.461-462)
38. კაცობრივთა მათ გარეწარსრულ არს წესთა (120)
ανθρωπινην υπερβαινοντι φυσιν (col.462)
39. (ჰაერი) ფრინველითა შუენიერ-იყო სიმრავლითა (121)
ο αηρ ορνιθων εκεκοσμητο πληθει (col.462)
40. რაჲთა აწ ნუ ესრე სთქუათ, დაუტყვა მათ თანა
ινα τοιυνν μη ταυτα λεγηται, συνεχωρησε παρ'εκεινοις
 წერილთაჲ მათ (123)
τα των γραφων (col.463)
41. აწ მათსა... გარეწარვკვდეთ წესსა (125)
νυν... εκεινων υποβεβηκαμεν φυσιν (col.464)
42. და ღალადებს აბრაჰამ, თავისა თვსისასა ქადაგებს
και βοα Αβρααμ την εαυτου κερυττων
 უნდობასა (126)

ευτελειαν (col.464)

43. ამისი მნებაჲს სიტყუად ჰურიადსა და მწკალებელისა
τουτο γαρ οφειλω τω λογω και Ιουδαιων και αιρετικων
დაკრვად ჰირი (127)

απορραψαι στοματα (col.464)

44. ღმრთისმსახურებისა სიტყუასა უძლეველი აქუს აღსაარებაჲ (129)
ο της ευσεβειας λογος αητιον εχει την ομολογιαν (col.465)

45. რომელი სიტყვთა უცებ და უმეცარ, სიტყუანი
ο περι λεξιν σολοικιζων και βαρβαριζων τους λογους
იგი აქუნდენ ქვისა გამოუკურველისანი (140)
εχει λιθους απελεκητους (col.469)

46. გლოცავ თქუენსა სიყუარულსა, უბიწოდ თქუენი
παρακαλω την υμετεραν αγαπην αχραντον υμων την
მარხვაჲ კრძალულად ყავთ, შეუგინებელად სიცრუვისგან,
νηστειαν φυλαξαι, αμολυτον - απο αδικιας,
წმიდა - ანგაჰრებისაგან (145)

καθαραν - απο πλεονεξιας (col.470)

47. გუესმა ვისგანმე გმობაჲ, ვითარმედ რაჲ
ηκουσα τινων εγκαλουντων οτι τις

სავმარ იყო თქუმად ცეცხლისაჲ და წყლისაჲ,
χρεια ην ειπειν περι πυρος και υδατος

ვითარმედ სხივინ ცეცხლი, წყალიჲ დაესხის (147)

οτι τριζει το πυρ υδατος επιβαλλομενου (col.471)

48. გამოუჩინებელად ვმაჲ ნესტუმან მოსცის (1. კორ. XIV.8) (148)
αδηλον φωνην σαλπιγξ δω (col.471).

49. რაჲ ზიარებაჲ ედვა პავლეს ენასა ნესტვსა და ქნარისა? (148)
τι κοινον ειχεν η Παυλου γλωσσα προς αυλον και κιθαραν; (col.471)

50. მცირედ აღენთოს სანთელი და ბევრი მისგანად
μικρος απτεται λυχνος και μυριας εξ αυτου

აღენთოს ლამპრები (154)

αναπτεις λαμπαδας (col.474)

51. ცეცხლისა მოკედ დადებად ქუეყანასა ზედა (156)

πυρ ελθον βαλειν επι την γην (col.474)

52. მრწამს მოცემად ჩემდა სიტყვსა (164)

πιστευω δοθηναι μοι λογον (col.477)

53. დაღათუ არა-ღირს წმიდათა ვარ, არამედ ევნო მათცა
ει και αν-αξιος των αγιων εσμεν, αλλ' επαθον κακεινοι
ესე (164)

ταυτα (col.477)

54. რომელ-ესე მწკალებელთა განემარტების სიტყუად (172)

ο προς τους αιρετικους αποτεινεται λογος (col.480)

55. ამან - სახეები,¹ მან - თესლები, რადთა არა ტყუვილ იყოს
ουτος - τα ειδη, εκεινος - τα γενη, ινα μη ψευσεται
თქმული იგი მეტყუელისად: "ექმნეთ კაცი" (176)

το ρημα του ειποντος Ποιησωμεν ανθρωπον (col.481)

56. შემდგომად აღდგომისა დედანი სამოსელსა ჰხედვიდეს
μετα την αναστασιν γυναικες τα ιματια βλεπουσιν
დაბნეულსა (181)

ερριμμενα (col.483)

წარმოდგენილი ნიმუშები ეჭვს არ ტოვებს, რომ ქართული თარგმანი
მომდინარეობს უშუალოდ ორიგინალიდან, ბერძნული ენიდან.

მრავალ შემთხვევაში ქართული ტექსტი სიტყვათწყობით ოდნავ სცილდება
ბერძნულს, მაგრამ მაინც ზუსტად გადმოსცემს დედანს.

ამგვარი თარგმანის ნიმუშებია:

რამეთუ უცხოთა შჯუ-
ლისდადება არს ძლით,
ხოლო თვსთა სწავლად
წესიერება² (8)

το γαρ αλλοτριους νομο-
θετειν - βιας το δε τους
ιδιους παιδευειν - ακο-
λουθιας (col.431)

ხოლო რომელი-იგი დააკ-
ლდა, ვითარცა გზასა-გა-
რეწარ, თავ-ადგამს მოსე
და იტყვს (16)

και γαρ απερ παρελειψεν
ως εν παροδω ανακε-
φαλαιουται Μωυσης λε-
γων (col.435)

უწყი რამეთუ ღრმა არს
გულისკმისყოფად, არამედ
რამეთუ შორის ვართ მრავალ-
ჯერ მოყუარეთა სმენი-
სათა და შეწყნარებისა მე-
გობართა, უმჯობეს არს
არა დაკლებად გამოუკითხ-
ველად სიტყუათად, რადთა
ნუ დიდ იყოს აღთქუმად
და მცირე აღსრულება. ვი-
ნად უკუე ბნელი? (17)

οιδαμεν ουν οτι βαθυ το
νοημα αλλ επειδε μεταξυ
εσμεν πολλακις και των
αγαπητως ακουοντων και
των επιλαμβανεσθαι φιλο-
υντων, αναγκη μη παραλει-
πειν ανεξεταστον τον λο-
γον, ινα μη μεγαλη μεν
επαγγελια η, μικρον δε
το αποτελεσμα. Ποθεν
ουν το σκοτος;
(col.435)

ყოველსავე სიტყუასა უმახ-
ვლესად წარმოადგინოს შე-
საქმედ... რაჟამს ენება გან-
შუენებად ყოვლისა (ხო-
ლო დასაბამ სოფლისა ნა-
თელი), შემოიყვანებს სიტ-
ყუასა შებრძნებულსა (21)

παντος λογου οξυτεραν
παραστηση την δεμιουρ-
γιαν... οτε δε εμελλε
κοσμειν τα παντα (αρχη
δε του κοσμου το φως
ην) εισαγει λογον αρμο-
ζοντα (col.436)

¹ ხელნაწერებშია 'სახელები'.
² უნდა ყოფილიყო 'წესიერებით'

ვითარცა ნათელი რად შთაგ-
დის მწუხრი, არა წარ-
წყმდის, არამედ დაეფარის
და დაფარული იგი კუ-
ალად გამოჩნდის, ეგრეცა
კაცი, ვითარცა დასავალად
საფლავად მიეცის, მერმე აღ-
მოსავალსა მას აღდგომი-
სასა დაემარხვის (21)

ხოლო ჰნებავს ჩუენდა სიტ-
ყუასა ღმრთისასა ნათლად
ყოფად სამოციქულოთა
მით ბრძანებითა (30)

ჯერ იყო წინაწარმღუანე-
ბად საქმე და შედგინებად
სიტყუად (34)

ვითარმცა შესაძლებელ იყო
მოციქულთა მათ სარწმუნ-
ობად, რამეთუ სატუხელ
აქუნდა მათ ენად (36)

მერჩდი, გლოცავ და სხუა-
საცა საკმარსა (47)

დღეს ვინმე წმიდათა კაც-
თა და მამათა წინაშე
მოვიდა ჩუენდა მწვალებე-
ლი (54)

მსაზღვრელ-საზღვრული "ვინმე... მწვალებელი" თარგმანშიც ზუსტად ისევეა
დაცილებული, როგორც ორიგინალში. აქაც ბერძნული სინტაქსის გავლენა
ცხადდება.

წმიდა, წმიდა, წმიდა უფა-
ლი საბოთ (55)

შემოიღო ტყუვილი, რადთა
აცთუნნეს (56)

განიწვალა უკუს აწ უფ-
სკრული იგი და რომელ
დაშთეს წყალნი იგი ქუე
- უფსკრულ, და რომელნი
იგი აღმაღლდეს ზე -
უფსკრულ (71)

*ωσπερ γαρ το φως εσ-
περας δυνον ουκ απο-
λλυται, αλλα κρυπτεται και
κρυβομενον παλιν φαινε-
ται ουτως και ο ανθ-
ρωπος ως εις δυσιν τινα
τω ταφω παραπεμφθεις,
παλιν τη ανατολη της
αναστασεως τετηρηται*
(col.436)

*βουλεται δε ημας ο του
θεου λογος λαμπρους μεν
ειναι κατα την απο-
στολικην διαθεσιν*
(col.439)

*εδει γαρ προλαβειν το
εργον και ακολουθησαι
τον λογον* (col.440)

*πως ηδυναντο οι απο-
στολοι πιστευθηναι ιδι-
ωτικην εχοντες γλωσσαν*
(col.440)

*προσεχε δε, παρακαλω
και ετεραν χριαν*
(col.443)

*σημερον τις επι αγιων
ανδρων και πατερων ελ-
θων προς ημας αιρετικος*
(col.444)

*αγιος, αγιος, αγιος κυριος
σαβαωθ* (col.443)

*επηγαγε το ψευδος, ινα
απατηση* (col.444)

*εμερισθη τοινυν η αβυ-
σσος και ην το μειναν
κατω υδαρ αβυσσος, και
το υψωθεν ανω - αβυσσος*
(col.447)

როგორც ვხედავთ, ქართული ტექსტი ზედმიწევნით მიჰყვება ორიგინალს. განსაკუთრებით საგულისხმოა ბერძნული *τοινυν*-ის დაშლა (*τοι* და *νυν*) და მათი ცალკე-ცალკე თარგმნა "უკუშ აწ".

იპოვა უკუე მომანგაპრე-
ბელად ათერთმეტისა დღი-
სა. მეოთხესა შეიქმნა.
ჩნდა, ვიდრე ათხუთმეტად
დღედ. ათერთმეტსა დღესა
მოანგაპრებს აწ მთოვარე
მზესა, არათუ ქმნულებით,
არამედ ხატით. ამისთვის,
რად-იგი მაშინ მოიანგაპ-
რა, უკუმოსცემს მზესა
(79)

*ευρεθη ουν πλεονεκτουσα
ενδεκα ημερας τεταρτια
εγενετο και εφαινετο ως
πεντεκαιδεκαταια. ενδεκα
ημερας επλεονεκτει λοι-
πον η σεληνη τον ηλι-
ον, ου τη ποιησει αλλα τη
φαισει. Δια τουτο ας
τοτε επλεονεκτησεν [η σε-
ληνη] αποδιδωσι τω ηλιω
(col.449)*

გმად აღუტევის, ვითარცა
ძლით ვნებულმან (80)

*φωνην αφησιν ως βιαν
πασχον (col.450)*

გნებავს თუ ცნობად მათი-
სა მის სასწაულისა? (81),

*θειεις δε μαθειν αυτου
τα σημεια; (col.450)*

მერმე მოდრკის (მზე) ჩრდი-
ლოდთ, ვითარცა-იგი ზამ-
თრის სამხრით-კერძო (93)

*παλιν κλινας κατα τον
βορραν ωσπερ χειμωνος
εις μεσημβριαν (col.453)*

ამ შემთხვევაში გენეტივში დასმული *χειμωνος* ნიშნავს "ზამთრობით". ქართველ მთარგმნელს კალკირებულად გადმოაქვს იგი ნათესაობითი ბრუნვით "ზამთრის" (ამგვარი ნიმუშები, როგორც ცნობილია, ძველ ქართულ მწერლობაში დასტურდება).

ქუეყანასა ქუეშე, სახეობენ
(B-ჰგონებენ), სლვად ვარ-
სკულავთა და მზესა (91)

*υπο την γην, φασι, τρε-
χειν τα αστρα και τον
ηλιον (col.453)*

არამედ სიტყუად იგი ველ-
თად კიდით მოვიდოთ
(116)

*αλλα τον λογον τον εν
χερσιν εις περας αγ-
αγωμεν (col.460-461)*

ზემოაღნიშნული ზედმიწევნითი სიზუსტე ხშირად ქართულისათვის არა-
ბუნებრივ ფორმებში ვლინდება, რაც კარგად ჩანს მოტანილ ნიმუშებში.
დავუმატებთ, რომ, არაიშვიათად, ბერძნულის მიდევნებით, ქართულ ტექსტში
შეიმჩნევა შემასმენლის დაკლება. მოგვაქვს ზოგი საგულისხმო ადგილი:

სულნი ჩუენნი ვორცთა
შინა, ხოლო ანგელოზნი
თვნიერ ვორცთა (15)

*τας μεν ψυχας ημων εν
σωμασι, τους δε αγγελους
εκτος σωματων (col.434)*

ცეცხლი იგი ზე თვნიერად
შეშისა, ცეცხლი ესე ქუე-
ყანისაჲ შეშითა (15)

იგინიცა სულ და ესენიცა
სულეზ (15)

პირველი საქმე ღმრთისაჲ
ნათელი (21)

არცაღა თუ ჰურია, არცა
მწვალებელ, რომელ ჭემ-
მარიტებისათვის ჰურიაფსა,
უფროფს ხოლო უძვრეს
(127)

არა ჰგონებდე, ვითარმედ
ღმერთი, ვითარცა მოსე
(131)

ღმერთი მტკიცე, მოსე ღმ-
რთისა განმტკიცებულ
(131)

სხუად საბრძანებელი,
სხუად მბრძანებელი (131)

მოციქულნი მრებელ, მა-
ცხოვარი მბრძანებელ
(131)

*το πυρ το ανω ανευ υλης,
το πυρ το κατω μετα
υλης (col.434)*

*κακεινοι πνευματα και
αυται πνευματα (col.434)*

*πρωτον εργον θεου φως
(col.436)*

*ουτε γαρ Ιουδαιος ουτε
παλιν αιρετικος ο αυτος
κατ'αληθειαν Ιουδαιος,
μαλλον δε και χειρων
(col.464)*

*μη νομισης οτι θεος ως
ο Μωσσης (col.465)*

*θεος ισχυρος. Μωσσης θε-
ου ενισχυομενος (col.466)*

*αλλο υπεξουσιος, αλλο
εξουσιαστης (col.466)*

*οι αποστολοι υπεξουσιοι,
ο Σωτηρ εξουσιαστης
(col.466)*

ბერძნული ტექსტის გავლენაზე მეტყველებს მასდარული კონსტრუქციების სიჭარბე, რაც ზემოდამოწმებულ მაგალითებშიც გამოვლინდა და რაც ტექსტში მეტად მრავლად გვხვდება.

ქართველი მთარგმნელი, ჩვეულებრივ, ზუსტად გადმოსცემს დედნისეულ კომპოზიტებსა და შესიტყვებებს:

წმიდადშუენიერი

αγιοπρεπης

თანამწერალი

συγγραφευς

წინაბრწყინვიდა

προελαμπε

წარმოვარდა სიტყუად

παρενεπεσεν ο λογος

სიბრძნისსავსებადი

σοφια πεπληρωμηνη

განსწუდების სიტყუად

αποτειναι λογον

არა უსუსურებაჲ

μη οκλαζον

სიტყვსა აღმოძრვად
სიტყუად შემოჰყავს
თანამზრახვალსა მოიღებს
ექმნეთებად
მხოლოდხილული
ფრიადსასიტყუელ
მისწუადოს ნიჭი
მოიღე აწ

κινησαι λογον
λογον εισαγει
συμβουλην λαμβανει
το ποιησωμεν
μονοειδες
πολλα ειπειν
παραπεμπη την δωρεαν
φερε τοινυν

ქართულ მეტყველებაში დამკვიდრებული ბერძნული სიტყვები უთარგმნე-
ლად არის დატოვებული

ეკლესიად
ანგელოზი
ბოძონი
ქალბანად
აფსინდი
სტრატოტნი
იოტა
ტეგანი
კამარა

η εκκλησια
ο αγγελος
ο βωμος
η χαλβανη
το αψινθιον
οι στρατιωται
Ιωτα
το πηγανον
η καμαρα

და სხვა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ საკუთარი სახელებიც, ასევე, ბერძნული ყაიღისაა:

მაკედონიადსგანნი
მაკედონიასა
სოდომად
კორნელიე!
იოსედეკ

απο Μακεδονιου
Μακεδονιου
Σοδομα
Κορνηλιε
Ιωσεδεκ

ევნომიანნი

Ευνομιανοι

აპოლოდ

Απολλω,

არიოზისგანნი

απο Αρειου

არიანოზნი

Αρειανοι

და სხვა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, საკამათო არ უნდა იყოს, რომ ქართული თარგმანი მომდინარეობს უშუალოდ ბერძნული ორიგინალიდან.

2. ქართული თარგმანის უცდლოები

ჩვენთვის საინტერესო თარგმანი ძალიან ხშირად სცილდება ორიგინალს, რაც გამოწვეულია ბერძნული ტექსტის არასწორი წაკითხვითა და გააზრებით. ამ საკითხს გაკვირვებულად ეხება თ. ჭყონიაც. პატივცემული მკვლევარი შენიშნავს:

"სევერიანე გაბალოვნელის თხზულების მთარგმნელი არ ეკუთვნის გამოჩენილ ქართველ მწერალთა რიცხვს. იგი ზოგჯერ ვერ გებულობს სწორად ბერძნული დედნის ამა თუ იმ კონტექსტს. ასე, მაგალითად: სევერიანე გაბალოვნელი ამბობს, რომ სამოთხიდან წყალი გამოდისო მიწისქვეშა გასავლელით (σπινομος). ქართველ მთარგმნელს σπινομος გაუგია, როგორც შედგენილი სიტყვა: (σπι - ქვეშ, - νομος - კანონი ანუ შჯული) და ცალ-ცალკე უთარგმნია იგი. ტექსტი ასე იკითხება: "მიერ გამოვალს რჩულსა ქუეშე ზღუდისასა და დაჰვალს ქუეყანასა უვიცსა". ქართველ მწერალს არ ესმის ბერძნული ენის იდიომა: ουκ εχει λογον. ეს გამოთქმა სიტყვასიტყვით არის თარგმნილი: "არა აქუს სიტყუად", მაგრამ ουκ εχει λογον ნიშნავს: "ეს არ შეეფერება გონების მოთხოვნას".¹

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარი შეცდომები ქართულ ტექსტში ძალიან ხშირია. ქვემოთ წარმოვადგენთ ამ თვალსაზრისით საინტერესო შემთხვევებს:

დაბადებისა დასაბამი
ბრწყინვიდეს (2)

της δημιουργιας την αρχην απολαβουση
(col.429)

ჩანს, მთარგმნელმა απολαβουσης (απολαμβανω - მიღება) ამოიკითხა, როგორც απολαμπουσης (απολαμπω - ბრწყინვა).

გამოუთარგმანოს
შემოქმედი (8)

μνημονευση τον πεποιηκοτα (col.432)

მთარგმნელი μνημονευση (მოიხსენოს) ნაცვლად კითხულობს ηρμενευση, რომელსაც ქართულად ყველგან გადმოსცემს "გამოთარგმანება".

¹ თ. ჭყონია, დასახ. შრომა, გვ. 16-17.

მე მიკვრს, ვითარ მოსეს
და იოვანეს ერთი იგავი
აქუნდა (9)

*εγω θαυμαζω πως Ιωαν-
νης και Μωισης το αυτο
προομιον εσχον
(col.432)*

προομιον ნიშნავს "დასაწყისს", "შესავალს" (შდრ. ლათ. *principium*). იგი აღრეულია სიტყვაში "*παροιμιον*" - იგავი. შდრ. "სანთელი აღენთების დღისა აღსასრულად და ღამისა იგავად" (უნდა იყოს: "დასაბამად")(99) - *λυχνος δαδουχει. ημερας τελος, και νυκτος προομιον* (col.455)

იგი საგმრად, ესე უფლად
(9)

*κακεινος χρησιμωσ και
ουτος κυριωσ (col.432)*

მთარგმნელი ძირეული მნიშვნელობით აღიქვამს *κυριωσ* (*κυριος* - უფალი), მაშინ, როცა იგი ამ შემთხვევაში ნიშნავს: "ნამდვილად, ჭეშმარიტად, ზუსტად, სათანადოდ" (ლათ. *proprie*)

თქუა ღმერთმან და იყო,
არამედ აწ საქმემან გი-
თხრას შენ სახე (39)

*ειπεν ο θεος και εγενετο.
αλλα νυν το πραγμα ειπες
ου τον τροπον (col.441)*

როგორც ვხედავთ, მთარგმნელს უარყოფის ნაწილაკი *ου* (არა) ამოუკითხავს, როგორც *σν* (შენ). ბერძნულის შესაძლო თარგმანი ასეთია: "თქუა ღმერთმან და იყო (იქმნა), არამედ აწ საქმე თქუ, არა სახე".

თავადსა მას... ვჰმადლობ-
დეთ სულისა მისთვისცა,
რომელსა ემხილა, აღი-
ტაცა მგელმან (69)

*αυτον... ευχαριστησωμεν δε
και υπερ της ψυχης της
δελεασθειση, ην ηρπα-
σεν ο λυκος (col.447)*

ქართულ ტექსტში "ემხილა" აშკარად უადგილოა. ამ სიტყვით, ჩვეულებრივ, ითარგმნება ბერძნული *ελεγχω*. საეჭვო არ უნდა იყოს, რომ მთარგმნელს გრაფიკული მსგავსების ნიადაგზე *δελεασθεισης* (შეცდენილი, მოტყუებული, ცთუნებული) ამოუკითხავს, როგორც *διελεγχθεισης* (მხილებული), რამაც შედეგად მოგვცა არასწორი თარგმანი.

სოფლისა შემოქმედმან ქუ-
ყანად დადვა და ნერგითა
გვრგვნოსან ყო (69)

*ο μεν του κοσμου τεχ-
νιτης... την γην ανθει
και φυτοις εστεφανωσε
(col.447)*

თ. ჭყონიას, როგორც ჩანს, აქაც შეუმჩნევია ქართული ტექსტის ორიგინალისაგან დაცილება, რადგანაც სქოლიოში მისთვის მიუწერია შესაბამისი ბერძნული ტექსტი. მართლაც, ფრაზა "ქუყანად დადვა" ნონსენსუალურია. მთარგმნელმა ბერძნული *ανθει* (ყვავილებით) უთუოდ დაუკავშირა სიტყვას *ενθεισιν* (ჩადება, დადება). ბერძნულის ზუსტი თარგმანი

ასეთია: "სოფლისა შემოქმედმან ქუეყანაჲ ყუავილთა და ნერგთა მიერ გვრგვნოსან ყო".

შემდგომად ქადაგებისა სახარებისასა იერემია, რამეთუ კუამლითაცა აღივსოს შესაკრებელი (63)

μετα το κηρυγμα του Ευαγγελιου ερημια και καπνου πληρουται η συναγωγη (col.445)

ქართული ტექსტის სრული შინაარსობრივი ბუნდოვანება მხედველობიდან არ გამოჩენია თ.ჭყონიას. პატივცემულმა მკვლევარმა სქოლიოში მიუთითა შესაბამისი ბერძნული ტექსტი, თუმცა არ აუხსნია, თუ რა უნდა ყოფილიყო მიზეზი ამგვარი აზრობრივი ნონსენსისა.

ციტირებულ ადგილას მთარგმნელს ორიგინალის *ερημιας* საკუთარ სახელად მიუჩნევია და ასევე გადმოუტანია ქართულში. იგივე სიტყვა ცოტათი ზემოთაც გვხვდება: *Καπνος δε ερημιας εστιν εικων* (445). ამ შემთხვევაში მთარგმნელს სწორად ესმის ორიგინალი: "რამეთუ კუამლი ოვრებისა ხატი არს".

აღნიშნულ მონაკვეთში სევერიანე განმარტავს ესაიას სიტყვებს: "სახლი იგი აღივსო კუამლითა" (VI, 4). მისი მითითებით კვამლი (*καπνος*) არის სიმბოლო "აოხრებისა, გაუდაბურებისა, მოსპობისა". ეგვე აზრია გამოხატული იმ წინადადებაშიც, რომლის *ερημιας* მთარგმნელმა "იერემია"-დ აღიქვა. ბერძნული ტექსტის შესაძლო ძველი ქართული თარგმანი ასეთია: "შემდგომად ქადაგებისა სახარებისაჲსა ოვრებითა და კუამლითა აღივსების შესაკრებელი".

რამეთუ ქუეყანასა მოასწავებს გმობასა (65)

οτι δε κατ'αυτου του Χριστου χωρει η βλασφημια (col.446)

ძნელი სათქმელია, როგორ მივიღეთ ქართულში ზმნა "მოასწავებს", ერთი რამ კი შეიძლება ითქვას. მთარგმნელს ზმნა "χωρει" (მიდის, მიემართება) დაუკავშირებია სიტყვასთან *χωρα* (ქვეყანა, მიწა), რაც სრულიად შეუფერებელია კონტექსტისთვის:

ღირდა მთოვარისა, რამეთუ მეოთხესა დღესა შეიქმნა, ოთხრისადმცა ჩნდა, არამედ მერმე თუმცა იყო ოთხრისად, ჩრდილოდ დასავლისადმცა ვერ დაიპყრა (78)

εχρην αυτην (σεληνην, ე.ჭ.) τη τεταρτη ημερα γεναμενην ως τεταριαν φαινεσθαι. Αλλα παλιν ει ην τεταρτια το ακρον της δυσεως ουκ αντειχεν (col. 449)

აღნიშნულ ადგილას სევერიანე საუბრობს მზისა და მთვარის შექმნის შესახებ. მისი მითითებით, მეოთხე დღეს, ცისკრად, ღმერთმა აღმოსავლეთით დააწესა მზე, ხოლო დასავლეთით - მთვარე. მეოთხე დღის განთიადი არის მზისა და მთვარის გამოჩენის დასაბამი. ამასთან, თანდათანობითი გათენების დროს მზე უფრო და უფრო მაღლა ამოდის, ხოლო მთვარე ნელნელა ჩადის დასავლეთით. ესაა მთვარის პირველი დასვლა მეოთხე დღეს, გათენებისას. როცა მთვარე შეიქმნა იგი პირველად გამოჩნდა ცაზე დასავლეთ ნაწილში,

თუმცა მას ეკავა არა უკიდურესი დასავლეთი წერტილი (მაშინ ცაზე არც გამოჩნდებოდა), არამედ ახლოს იდგა დასვლის ზღურბლთან (ე.ი. ცაზე მაინც ჩანდა). სევერიანე მიუთითებს, რომ თუმცა მთვარე მეოთხე დღეს შეიქმნა, იგი ახალშექმნილს კი არ უნდა დამსგავსებოდა, არამედ "ოთხი დღისას" ანუ, როგორც ძველ ქართულ თარგმანში ვკითხულობთ, მთვარე "ოთხრისად" უნდა გამოჩენილიყო. სევერიანეს აზრით, იგი მართლაც ოთხი დღისას ჰგავდა, თუმცა რამდენადაც მეოთხე დღის განთიადი ცაზე მისი გამოჩენის დასაბამი იყო, მთვარეს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადალახული დასვლის ზღურბლი, ჯერ კიდევ არ გაეწყო მას უკიდურესი დასავლეთი წერტილი. სწორედ ამას გვაუწყებს ციტირებული ბერძნული ტექსტის მეორე ნაწილი: "ხოლო თუმცა იგი (-მთვარე) ოთხი დღის იყო, ჯერ კიდევ არ დაეპყრო მას დასავლეთის უკიდურესი წერტილი".

ბერძნული *το ακρον* თარგმნილია, როგორც "ჩრდილოდ". აშკარაა, რომ მთარგმნელმა *ακρον* ამოუკითხა, როგორც *αρκτον*, რომელიც სწორედ ჩრდილოეთს ნიშნავს.

ესე ღმრთისმსახურებისა-
გან არავე უცხო არს და
მეცნიერ ღმრთისა (82)

*ταυτα και της ευσεβειας
ουκ αλλοτρια και του
θεου ιδια (col.450)*

ქართული ტექსტი შინაარსობრივად გაუგებარია. მთარგმნელს ბერძნული *ιδια* (*ιδιον*-თვის, საკუთარი, მისეული, მისგანი) ამოუკითხავს როგორც *οιδα* (ვიცი, ვუწყი) ზმნის მიმღეობა *ιδον* (მცოდნე, "მეცნიერი"). სწორი თარგმანის შემთხვევაში ქართულ ტექსტში ნაცვლად "მეცნიერისა" უნდა გვქონოდა "თვის" ("ესე ღმრთისმსახურებისაგან არავე უცხო არს და თვის (არს) ღმრთისა")

იქმს ლალვასა, რაჟამს
იტყვს (85)

*ποια μαχη οταν λεγη
(col.451)*

მთარგმნელს ბერძნული *ποια* (როგორი) ამოუკითხავს, როგორც *ποιει* (იქმს). შდრ. ლათ: *quae pugna cum dicit* (col.451)

თანა-ურბის ჩემსა სიტყუ-
ასა და ადგილი იგი (89)

*συντρεχει τη φρασει και
ο τοπος (col.452)*

ბერძნულიდან თარგმნილ ტექსტებში მთარგმნელს ხშირად "და" კავშირის სახით გადმოაქვს *και*, როცა ეს უკანასკნელი "ც" ნაწილაკის აზრს შეიცავს. ამგვარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ამჟერადაც.

დამფარველმან მან უწ-
ყის... ვინაჲ მოვდეს ესო-
დენნი იგი ხატნი (93).

*ο σκευασα οιδεν... πο-
θεν ηλθον αυται αι μορ-
φαι (col.453)*

მთარგმნელს *ο σκευασας* (შემამზადებელი, შემქმნელი, *σκευαζω* - შემზადება. შდრ. ლათ *novit ille qui struxit*) ამოუკითხავს, როგორც *σκιασας* (დამფარველი; *σκιαζω* - დაფარვა).

ნივთი წულილი დედაკაც-
მან დასთის და დაქუსის
საქმარად მრავლად და
ფერად-ფერად პირად (95-
96)

*στημονα λεπτον γυνη δια-
νησασα τεμνει το εριον
εις πολλας και διαφορας
οψεις (col.454)*

ქართული "საქმარად" შეეფარდება ბერძნულ *εριον* ("მატყლი")-ს. უეჭველია, ეს სიტყვა მთარგმნელმა ამოიკითხა, როგორც *εργον* (საქმე, "საქმარი"). ციტირებული ტექსტის მეორე ნაწილი ასე უნდა თარგმნილიყო: "... და დაქუსის მატყლი მრავლად და ფერად-ფერადად პირად".

დააშრო ვმად ჩემი პირვე-
ლმან, ღმრთისა იგი მად-
ლი თქუენთაგან ლოცვითა
და ჩუენი იგი სურვილი
ფრთოვან-ყო (104)

*καμνουσαν ημιν την φων-
ην τη προτερεια η του
θεου χαρις δια τας υμε-
τερας ευχας και τον υμε-
τερον ποθον εστερεωσεν
(col.457).*

ქართველი მთარგმნელი ამ შემთხვევაშიც ბერძნულ ნომინატივს (*χαρις*) სახელობითით თარგმნის ნაცვლად მოთხრობითისა, რაც ძალიან აბუნდოვნებს კონტექსტს; *τη προτερεια* გადმოღებულია, როგორც "პირველმან", რაც, ასევე, სწორი არ არის. გრაფიკული მსგავსების ნიადაგზე *υμετερον* (თქუენი) ამოკითხულია, როგორც *ημετερον* (ჩუენი), ხოლო *εστερεωσεν* (განამტკიცა), როგორც *επιερωσεν* (ფრთოვან-ყო).

ეგრეცა ჩუენ პირველთა
მათ შემდგომნი და მეო-
რეთა პირველნი (105)

*ουτω και ημας τοις πρω-
τοις τα δευτερα και τοις
δευτεροις τα τριτα
(col.457)*

ქართულ ტექსტში დისონანსი შეაქვს სიტყვას "პირველნი", რომლის ფარდად ბერძნულში იკითხება *τα τριτα* (მესამენი). ეს სიტყვა როგორც ჩანს, მთარგმნელს ამოუკითხავს ასე: *τα πρωτα*.

და ფრიადნი იგი ყოფილნი
აწ ამათ ჟამთანი ყოველ-
ნი, რომელნი სიტყვთა შე-
იქმნნეს, ერთსა მას ჯერ-
სა ზედა იყვნეს (106)

*και πολυς αν ειη νυν ο
του παροντος καιρος πασι
τοις λογω γεναμενοις επ-
εξειναι (col.457)*

ბერძნულის თარგმანი ასეთია: "და ფრიადი იყოს აწ ჟამი ესე აწინდელი (ე.ი. ბევრი დრო დასჭირდება, ე.ჭ.) ყოველთა მათ სიტყვთა დაბადებულთათვის მითხრობად". როგორც ვხედავთ, ქართული ტექსტი სრულიად სხვა შინაარსს შეიცავს. შეცდომის სათავეს წარმოადგენს ბერძნული *επεξειναι*-ს (ზმნიდან *επεξειμι*, რომელიც მრავალ მნიშვნელობათაგან ნიშნავს გადმოცემას. ახსნა-განმარტებას) დაშლა და ცალკეულად თარგმნა. მთარგმნელმა იგი აღიქვა, როგორც *επ-εξης* და *ειναι*, რომელთაგან პირველი ნიშნავს: "ერთ

რიგზე", "თანამიმდევრულად" ანუ ზუსტად იმას, რასაც მთარგმნელისეული "ერთსა ჯერსა ზედა". (აქ "ერთი ჯერი" გადმოსცემს εἰς-ს, ხოლო "ზედა"-επι-ს); რაც შეეხება εἶναι-ს, იგი, როგორც ცნობილია, არის აწმყოს ინტენიტივი ყოფნა ზმნისა εἰμι (ვარ).

ასეთი გზით მივიღეთ თარგმანში "ერთსა ჯერსა ზედა იყვნეს".

ძუელისა მის დაბადებულსა და და-ლა-უტეოთ და მოხვიდეთ ახალსა მას აღნათქუემსა მის თანა, რომელ სიტყუად მარტოდ იყო(106)

τα κατα την παλαιαν δημιουργιαν καταλειψωμεν, ελθωμεν επι τα εν τη Νεα Διαθηκη παρ αυτου λογω μονον γεναμενα (col.457)

ბერძნულის თარგმანი ასეთია: "ძუელისა მის დაბადებულსა და დაუტეოთ და მოვიდეთ მათ ზედა, რომელნი-იგი ახალსა აღთქუმასა შინა მის მიერ სიტყვთა ზოლო იქმნნეს".

ελθωμεν (მოვიდეთ) თარგმნილია, როგორც "მოხვიდეთ". საფიქრელია "ხ" პრეფიქსი აქ გადამწერის მიერ იყოს დამატებული, რომელმაც, ალბათ, მეორე სუბიექტური პირი იგულისხმა წინა ზმნაში და-ლა-უტეოთ. მცდარი თარგმანი იწყება Διαθηκη-ს შემდეგ. ბერძნული წინდებული παρα თარგმნილია, როგორც "თანა". მართალია παρα-ს ეს მნიშვნელობაც აქვს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა იგი მიემართება მიცემით ან ბრალდებით ბრუნვაში დასმულ სახელს. ნათესაობით ბრუნვასთან დაკავშირებით παρα, ჩვეულებრივ, აღნიშნავს: გან, მიერ. მთარგმნელს მხედველობიდან გამორჩა ბერძნული წინდებულის არაერთმნიშვნელოვნება და მცდარად გაიაზრა იგი, რამაც აბსურდული გახადა მომდევნო ნაწილი: ნაცვლად თარგმანისა "მისითავე სიტყვთა ზოლო იქმნნეს" (ე.ი. მხოლოდ მისგან გამოსული სიტყვით იქმნა), მივიღეთ სრულიად გაუგებარი "მის თანა, რომელ სიტყუად მარტოდ იყო". აქვე განმეორდა მრავალგზის დაშვებული შეცდომა: γιγνομαι ითარგმნა, როგორც "იყო" და არა, როგორც "იქმნა".

მსგავსად მესამესაცა და მეოთხესა და სიტყუათა შემდგომად ყოველთავე ბრძანებით დაბადებულთა მათ და სამკაულიცა შეასხა (107)

ομοιως και τω τριτω και τω τεταρτω και τοις λοιποι εφεξης απασι κατα την ταξιν δημιουργιας και την ευκοσμιαν παρεσχεν (col.458)

ბერძნულის თარგმანი ასეთია: "მსგავსადვე მესამესაცა და მეოთხესა და შემდგომად დაშთომილთა მათ ყოველთა წესითა დაბადებისადათა სამკაულიცა შეასხა".

ციტირებული ქართული ტექსტი მეტად ბუნდოვანია. უპირველესად თვალში საცემია ზედმეტი და კავშირი, რომელიც წარმოადგენს ბერძნული και-ს პირდაპირ თარგმანს. აქ საქმე გვაქვს ისეთ შემთხვევასთან, როცა και ნაწილაკადაცაა გადმოღებული (სამკაული-ცა) და და კავშირადაც, თუმცა მას აღნიშნულ კონტექსტში მხოლოდ ნაწილაკის მნიშვნელობა აქვს.

მცდარად არის თარგმნილი κατα την ταξιν - "ბრძანებით". ταξιν, ჩვეულებრივ, ითარგმნება, როგორც წესი და ასევე უნდა ყოფილიყო

ამჯერადაც. ზმნა *τασσω* თავის ძირითად მნიშვნელობებთან ერთად (დაწყობა, დალაგება, დაწესება, დანიშვნა და მისთ) ნიშნავს, აგრეთვე, ბრძანებასაც, თუმცა ეს მნიშვნელობა აღნიშნული კონტექსტისათვის შეუფერებელია.

გრაფიკული მსგავსების ნიადაგზე მთარგმნელმა *λοιποις* (დარჩენილი, დანარჩენი) ამოიკითხა, როგორც *λογις*, რის შედეგადაც ქართულ ტექსტში აღმოჩნდა სრულიად უადგილო "სიტყუათა" (უნდა ყოფილიყო "დაშთომილთა" ან "ნეშტთა", როგორც ითარგმნება ხოლმე, ჩვეულებრივ, ბერძნული *λοιπος*).

რადსა ამისგან განივაჭრების? ანუ მათგან-მე წესთა ჩუენი უწყებად ჰნებავს, ჟამთა პატივი და წესთა ცნობად? (107)

τι δε δια τουτου πραγματευομενο ; η ταχα και αυτων των στοιχειων ημας διδαξαι βουλομενος ορους τε τιμαν και ταξιν επιγινωσκειν ; (col.458)

("ხოლო ამისგან რასა იქმს, ანუთუ მათგან-მე წესთა (ნივთთა) განსწავლად ჩუენი ჰნებავს, რადთა საზღვართა მათ პატივსცეთ და წესი იგი (= მიზეზ-შედეგობრიობა, პრინციპი) გულისხმავყოთ?" - ზუსტი თარგმანი).

ბერძნული *πραγματευομαι* ძირითადად ორი მნიშვნელობისაა:

(I) საქმიანობა, გარჯა, შრომა, მოქმედება, ქმნა, თხზვა; (II) სავაჭრო საქმის წარმოება. აღნიშნულ შემთხვევაში იგი, ცხადია, გულისხმობს ქმნას, ქმედებას. ქართული განვაჭრა ნიშნავს გაყიდვას, ვაჭრობის წარმოებას, რაც კონტექსტისათვის სრულიად შეუფერებელია.

გრაფიკული მსგავსების ნიადაგზე ბერძნული *ορους* (*ορος*-საზღვარი, მიჯნა, ზღურბლი,) ამოკითხულია, როგორც *αραι* (*αρα*-ჟამი, დრო). ასე მივიღეთ ქართულ ტექსტში სიტყვა "ჟამთა" (ომიკრონი და ომეგა დიდად მსგავსია ასომთავრულ ბერძნულში. ეჭვი არ არის, მთარგმნელს ხელთ ასომთავრული ტექსტი ჰქონდა).

ვითარ უკუე, ვითარმედ თქუას ვინმე ჭეშმარიტთაგან მსმენელთა, მეორედ ყოფად ქუეყანად პირველად განაგო და რეცა თუ თავსა თვსსა სიტყვთა ველისა პერობად ჰნებავს, გამორჩევად, რომელი არარად მგდომ ჩუენ თანა ყოფილსა მას ითქუა, არამედ ფრიად თავსა თვსსა შებრძენებული სიტყუად აქუს (107-108)

πας ουν, παντως ερει τις των ακριβεστερων, δευτεραν ουσαν την γην πρωτην εκοσμησε και ως μαχομενου εαυτω του λογου μου βουλησεται επιλαμβανεσθαι. Προς ον λεκτεον ω ουθεν εναντιον παρ ημων επι του παροντο ελεχθη, αλλα και πανυ εαυτω αρμοζων ο λογος τυγχανει (col.458)

მთარგმნელი, ერთი მხრივ, ცდილობს ზუსტად, ზედმიწევნით გადმოსცეს ორიგინალი, მეორე მხრივ კი სხვადასხვა სახის შეცდომებს უშვებს და შედეგად ვიღებთ სრულიად გაუგებარ ტექსტს. აღნიშნულ ადგილას საუბარი ეხება იმას, რომ ხილული სამყაროს "განშუენება" შესაქმისეული თანამიმდევრობით ხდებოდა, ანუ, სევერიანეს თქმით, ღმერთმა "რომელ პირველად

დაამტკიცა, პირველადცა განაშუენა" და "მეორედ შექმნულსა მას მეორედ შუენიერებად მისცა". ავტორი აქვე ითვალისწინებს შესაძლო შეპასუხებასაც: თუ ეს ასეა, რატომ მოხდა, რომ მეორედ დაბადებული მიწა ("დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანაჲ") პირველად "განაშუენდა"?

ზემომოტანილი ბერძნული ტექსტი ძველი ქართულით შეიძლება ასე ითარგმნოს: "ვითარ უკუე, იკითხავს ყოვლადვე ვინმე უმეტესად გამომეძიებელთაგანი, ქუეყანაჲ, რომელი-იგი მეორედ იყო, პირველად განაგო (შეამკო)? და პნებაჲს, რადთა სიტყუაჲ ჩუენი, ვითარცა თავისა თვისისა მბრძოლი, განაქიქოს; ამისთვის ვიტყვთ, ვითარმედ არარაჲ წინააღმდეგომი თქუმულ არს ჩუენ მიერ ამას ჟამსა, არამედ ფრიად შებრძვნებულ (პარმონიული) იპოების თავისა თვისისა მიმართ სიტყუაჲ".

ქართული ტექსტის "ჴემმარიტთაგან მსმენელთა" მართალია კონტექსტს კარგად ვგუება, მაგრამ *ακριβεστερων* არ ფარავს მათ. საფიქრელია, აქ ბერძნულ ტექსტს აკლდეს "მსმენელთა"-ს შესატყვისი *ακροατων* (*ερει τις των ακριβεστερων ακροατων*). ამ მხრივ სწორედ ქართული ტექსტი უნდა იცავდეს ორიგინალის თავდაპირველ სახეს.

ფრაზა "მეორედ ყოფად ქუეყანაჲ პირველად განაგო" წარმოადგენს შესაბამისი ბერძნული ტექსტის (*δευτεραν ουσαν την γην πρωτην εκοσμησε*) პირდაპირ, კალკირებულ თარგმანს, რაც დიდად აბუნდოვნებს შინაარსს. ასევე კალკირებულადაა თარგმნილი *επιλαμβανεσθαι*, რომელიც ყოფითი შინაარსით ნიშნავს "ხელის ტაცებას, ჩავლებას", აღნიშნულ კონტექსტში კი გულისხმობს "განქიქებას". ქართულ თარგმანში მას შეესატყვისება "ველისა-პყრობაჲ". ეს სიტყვა გვიანდელ გადამწერებს, ჩანს, გაუგიათ, როგორც "ველის-აპყრობაჲ". ასევეა წარმოდგენილი იგი თ. ჴყონიას მიერ დადგენილ ტექსტშიც.

ველის-აპყრობაჲ ნიშნავს შველას, დახმარებას, მხარის დაჭერას. მას არავითარი კავშირი არა აქვს ჴემომოტანილ ტექსტთან. მეორე მხრივ, **ველისა პყრობაჲ** ჴუსტად ესადაგება *επιλαμβανεσθαι*-ის ჩვეულებრივ მნიშვნელობას, თუმცა აღნიშნულ კონტექსტში ამგვარი თარგმანი მიუღებელია.

მცდარადაა გაგებული ბერძნული *λεκτεον*, რომელიც ომონიმია და, ერთი მხრივ, ნიშნავს "სათქმელს" (ზმნიდან *λεγω* - თქმა), ხოლო, მეორე მხრივ, "გამოსარჩევს" (ზმნიდან *λεγω* - ამორჩევა). ფრაზა *προς ον λεκτεον* ასე ითარგმნება: "რომლის მიმართაც უნდა ითქვას". ქართველ მთარგმნელს *λεκτεον* ესმის მეორე მნიშვნელობით და თარგმნის მას სიტყვით "გამორჩევაჲ", რაც სრულიად უადგილოა.

ზმნიზედა *ως* (როგორც) ამოკითხულია *ος*¹ რის გამოც ქართულ ტექსტში აღმოჩნდა შინაარსობრივად გაუგებარი "რომელი".

ზემოთ აღვნიშნავდით, რომ *παρα* წინდებულო, როდესაც ოგი უძღვის ბრალდებითსა თუ მიცემით ბრუნვაში დასმულ სახელს, შეიძლება ითარგმნოს, როგორც "თანა", მაგრამ თუკი მას უკავშირდება ნათესაობითი ბრუნვა, მაშინ *παρα* იგივეა, რაც თანდებულო **გან**, მიერ. ასეთი შემთხვევა გვაქვს

¹ აქაც, ისევე, როგორც მრავალი სხვა ახოთაღრევის შემთხვევაში, ბერძნული ტექსტის ასომთავრულობა უნდა იყოს ცთომილების მიზეზი

ზემომოტანილ ციტატაში: ფრაზა *παρ'ημων ελεχθη* ნიშნავს: "ჩვენს მიერ... ითქვა". მთარგმნელს მცდარად ესმის წინდებულის კონკრეტული შინაარსი და შემდეგ ტექსტს გვაწვდის: ჩუენ თანა... ითქუა".

ასევე, არასწორადაა გაგებული ბერძნული იდიომატური გამოთქმა *επι του παροντος*. სიტყვა *το παρον* ან მრავლობითი *τα παροντα* ნიშნავს აწმყოს, დღევანდელ დღეს, ამჟამად არსებულს. იგი იშლება, როგორც *παρα* (თანა) და *ειμι* (ვარ; *ον-მყოფი*). ქართველი მთარგმნელი სწორედ სიტყვის ეტიმოლოგიურ შინაარსს ეყრდნობა. მისთვის, როგორც ჩანს, უცნობია, რომ *επι του παροντος* იდიომატური გამოთქმაა და ნიშნავს: ამჟამად, დღეისათვის. იგი თარგმნილია, როგორც "ყოფილი".

მეოხებისაგან დამარხვად იყო შემდგომად (108)

*εδει γαρ τα πρεσβεια
φυλαχθηναι τη ακολουθια
(col.458)*

ბერძნულის შესაძლო თარგმანი ასეთია: "ჯერ იყო უხუცესობისა დაცვა (დამარხვად) შემდგომებითა".

აღნიშნულ ადგილას გრძელდება მსჯელობა იმის შესახებ, რომ ღმერთი მის მიერ დაბადებულ საგნებს თანამიმდევრულად ანუ შემდგომებით ამკობს. ეს თანამიმდევრობა გულისხმობს შესაქმისეულ რიგს: რომელი საგანიც ადრე დაიბადა, უფრო ადრე შეამკო იგი ღმერთმა და ეს იმიტომ, რომ, მიუთითებს სევერიანე, საჭიროა დაცული იყოს დროში უფროს-უმცროსობის ანუ უხუცესობისა და უმრწემესობის რიგი. ბერძნული *τα πρεσβεια* ნიშნავს პირმშობის უფლებებს. მთარგმნელმა, როგორც ჩანს, იგი აურია *η πρεσβεια*-ში, რაც გარდა უფროსობისა, ნიშნავს, აგრეთვე, ელჩობას, შუამდგომლობას, ანუ მეოხებას. ამ მნიშვნელობას არაფერი კავშირი არა აქვს ზემომოტანილ ტექსტთან და შესაბამისად, სრულ გაუგებრობას იწვევს.

შვილი ჩუენგან არა მეყსეულად (არს) შვილ: პირველ - თესლ მერმე - მძინარე და ოდეს იშვის, მაშინ მე (119)

*ο υιος ουκ ευθεως υιος,
αλλα πρωτον σπερμα,
ειτα εμβρυον και οτε
γεννηθη, τοτε υιος
(col.462)*

ქართული ტექსტი ზედმიწევნით გადმოსცემს ორიგინალს. თარგმანში დისონანსი შეაქვს მხოლოდ ერთ სიტყვას: მძინარე, რომლის ნაცვლადაც ბერძნულში გვაქვს *εμβρυον* (ჩანასახი). აშკარაა, რომ ეს სიტყვა მთარგმნელმა ამოიკითხა, როგორც *εμβριζον* (მძინარე, ბრიჯა მძინავს).

ესე ჟამთა მათ ღუაწლი-სათა მსახურებს (119)

*ταυτα χρονων αναγκαις
δουλευει (col.462)*

ბერძნული *αναγκη* ნიშნავს აუცილებლობას, იძულებას, ძალდატანებას, ბედისწერას, აგრეთვე, წამებას, ტანჯვას. ეს უკანასკნელი მნიშვნელობა *αναγκη*-ს, ჩვეულებრივ, მაშინ აქვს, როცა იგი მრავლობით რიცხვში დგას.

როგორც ჩანს, სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ *αναγκαις* ქართველმა მთარგმნელმა "ლუაწლად" გადმოიღო, რაც სხვა მნიშვნელობებთან ერთად წამებასაც ნიშნავს. მთარგმნელი ამჯერადაც შეცდომას უშვებს. აღნიშნული ადგილი მოსდევს ზემოგანხილულს, სადაც საუბარია იმის შესახებ, რომ გაჩენამდე ბავშვი ჯერ თესლის სახით არის, შემდეგ კი - ჩანასახისა, ხოლო როცა იშვება, იგი უკვე ძეა. ეს პროცესი, სევერიანეს თქმით, დროის მკაცრ კანონზომიერებას ემორჩილება. *η αναγκη* ამ შემთხვევაში სწორედ კანონზომიერებას გულისხმობს. მოტანილი ტექსტი ასე ითარგმნება: "ეს (ყველაფერი) უამთა კანონზომიერებებს ემორჩილება".

მოსე... ქადაგებდა, ვითარ-
ცა გინდა თქუენ ქრისტი-
ანეთა შესატყუველად სახ-
ლისა ბრძანებათა (123)

*Μωσης... εκηρυσξεν, ως
ηθελησατε υμεις οι Χρι-
στιανοι προς συστασιν
των οικειων δογματων
(col.463)*

ბერძნული *οικειος* პირდაპირი, ძირეული შინაარსით ნიშნავს სახლისეულს, სახლისას (*οικος* -სახლი), ხოლო გადატანითი მნიშვნელობით, რომლითაც იგი იხმარება, ჩვეულებრივ, ბერძნულ ტექსტებში, გულისხმობს: მშობლიურს, თავისას, საკუთარს ანუ იმასვე, რასაც ბერძნული *ιδιος* (თვისი, საკუთარი). მეორე მხრივ, ბერძნული *δογμα*, ჩვეულებრივ, ნიშნავს მცნებას, მოძღვრებას, თვალსაზრისს, აგრეთვე, გადაწყვეტილებას, დადგენილებას. ასე რომ, ფრაზა *των οικειων δογματων* შეიძლება ითარგმნილიყო: "თვსთა მცნებათა".

არამედ აწ თანამდებებაჲ,
აღიარებენ, რამეთუ არს,
თანამდებებასა მას აღი-
არებენ. გარდასცვალებენ,
ვითარმედ ესე არს, რომ-
ელი ჩუენთვს იქადაგების
(124)

*αλλα... τως το χρεος
ωμολογειται. οτι μεν ουν
εστι Χριστος, ομολογο-
υσιν, αμφιβαλλουσι δε ει-
σοτος εστιν ο παρ'ημων
κηρυττομενος (col.463)*

მთავარი შეცდომა ქართული თარგმანისა გრაფიკული მსგავსებით არის გამოწვეული. მთარგმნელმა *Χριστος* (ქრისტე) ამოიკითხა, როგორც *Χρηστιης* ("მოვალე"-, ძვ. ქართ. თანამდები)¹. ამ შეცდომამ მთლიანად გააბუნდოვნა კონტექსტი.

αμφιβαλλουσι ითარგმნა, როგორც: "გარდასცვალებენ", მაშინ როცა ეს სიტყვა აღნიშნულ კონტექსტში დაეჭვებას ნიშნავს. ხომ არ აერია მთარგმნელს იგი სიტყვაში *μεταβαλλουσι* (შეცვლა)?

წინდებული *παρα*, რომელიც ნათესაობით ბრუნვასთან ნიშნავს -გან, -მიერ, ამჯერადაც შეუფერებელი -თვის თანდებულთ ითარგმნა: "ქრისტე ჩუენთვს იქადაგების". უნდა ყოფილიყო "ჩუენ მიერ" (მდრ. ქვემოთ: "არს

¹ ეს შეცდომა ეჭვიმუტანლად ცხადყოფს, რომ მთარგმნელს ხელთ ასომთავრული ბერძნული ტექსტი უჭირავს, რადგანაც ნუსხურში *χριστος* მთავრულით იქნებოდა გამოყოფილი და, ცხადია, არც სიტყვათაღრევა მოხდებოდა.

მის თანა ძე, რომელსა-ესე ჩუენ ვქადაგებთ", გვ.124).

მნებავს თქუენდა ჭეშმა-
რიტებისა ყოფად (128)

*βουλομαι γαρ παλιν της
ακολουθιας γενεσθαι
(col.464)*

ამჯერადაც *η ακολουθια* (შემდგომება) აღრეულია სიტყვაში *η αληθεια* (ჭეშმარიტება), რასაც შედეგად მოჰყვა მცდარი თარგმანი.

თარგმანებს თანაგამოსრუ-
ლთა მათ ყოფად (B - გამ-
ოსრულთა მათ თანაყო-
ფად) (130)

*ερμηνευει γαρ ο Ησαιας
απο του προεξελθοντος
το επομενον (col.465)*

ქართულ ტექსტს აკლია საკუთარი სახელი *Ησαιας*, რაც შესაძლოა გადამწერთა ბრალი იყოს. თვით მთარგმნელისეული შეცდომა მაშინ ჩანს, როცა მას ბერძნული *επομενον* (*επομαι*-მიდევნება, მიყოლა: *επομενον*-მომდევნო, შემდგომი) გადმოაქვს ყოფა ზმნით (B - ხელნაწერთ თანაყოფა). უეჭველია, მან *επομενον* აღიქვა, როგორც *επιμενον* (ზმნიდან *επιμενω*-დარჩენა, ყოფნა). ასევე, ნაცვლად "თანაგამოსრულთა" უნდა იყოს "წინაგამოსრულთაგან".

განრისხნა პავლე, უბრძა-
ნა და თქუა ხულისა არა
შეწევნულითა, არამედ მი-
წისაგან (131-132)

*διαπονηθεις δε ο Παυλος
και επιστρεψας, ειπε τω
πνευματι. - ου τη ενε-
ργουμενη αλλα τω ενε-
ργουντι (col.466)*

ძნელი სათქმელია, როგორ მივიღეთ *ενεργουντι*-ს (მოქმედი) შესატყვისად "მიწისაგან". რაც შეეხება იმას, რომ *επιστρεψας* (*επιστρεφω* - მიბრუნება, მიმართვა) ითარგმნა, როგორც "უბრძანა", ეს უზუსტობა იმით აიხსნება, რომ მთარგმნელს ზემოაღნიშნული ბერძნული სიტყვა ამოუკითხავს, როგორც *επιτρεψας* (*επιτρεπω* - დავალება, ბრძანება).

და იყო იერუსალიმი... შემ-
დგომად მათისა მოსრვისა
და ქალაქებისა მათისა ცე-
ცხლი ქალაქებსა, მრავ-
ლადმდე ნათესავად ყუაო-
და პირითა (133)

*και ην Ιερουσαλημ μετα
την εκεινων αναιρεσιν,
και της πολεως αυτων την
πυρπολησιν, μετα πολλας
γενεας ανθουσα μεν τη
οψει (col.466)*

ქართული ტექსტი ზედმიწევნით მისდევს ბერძნულს, რაც თავისთავად ქმნის ხელოვნურ სტილს. ამგვარ ხელოვნურობას თან ერთვის მნიშვნელოვანი შეცდომა: ბერძნული *πυρπολησις* (*πυρ* - ცეცხლი; *πολησις* - მიმოდება, მიმოქცევა, ბრუნვა), რომელიც მომდინარეობს ზმნიდან *πυρπολεω* (ცეცხლით გადაწვა, გადაბუგვა), მთარგმნელს გაუაზრებია, როგორც ორი სიტყვა: *πυρ* (ცეცხლი) და *πολεσιν* (მრ. რ. მიც. *πολις*-ისა, რომელიც ნიშნავს ქალაქს).

ასე მივიღეთ ქართულ ტექსტში სრულიად უადგილო ცეცხლი ქალაქებსა.

უცხო სიტყვა! (137)

ξενον πραγμα (col.467)

ამ შემთხვევაში *πραγμα* (საქმე), ჩანს, ამოკითხულია, როგორც *ρημα*, რაც ხშირად ითარგმნება "სიტყუად".

იხილე პირმშო დავით,
პირმშოდ ერი (137)

*ει δε πρωτοκοκος ο Δα-
σιδ, πρωτοκοκος και ο
λαος* (col.468)

აღნიშნულ ადგილას საუბარია, ერთი მხრივ, დავითის, ხოლო მეორე მხრივ, ისრაელის პირმშოობის შესახებ. ქართულ ტექსტში ზედმეტია "იხილე", რომელსაც ბერძნულში შეეფარდება *ει δε* (ხოლო უკუეთუ). ეს ორი სიტყვა მთარგმნელს ერთად აღუქვამს, როგორც *ειδε* (იხილე).

ორნი სიტყუანი სამსა-
ხურებელნი იგი ღმრთისა
დიდებისა, უსწავლელთა მათ
სიტყუათა და სწავლულ-
თაცა (140)

*δυσο λαους υπηρετουμε-
νους τη του θεου δοξη
και τον μεν απαιδευτον
λαον, τον δε πεπαιδευ-
μενον* (col.469)

ბერძნული ტექსტის თარგმანი ასეთია: "ორი ერი" ემსახურება ღვთის დიდებას, - ერი უსწავლელი და (ერი) სწავლული." ქართველ მთარგმნელს ბერძნული *λαους* (ერნი) ამოუკითხავს, როგორც *λογους* (სიტყუანი); ასევე, *λογος*-ად არის სიტყვა *λαος* (ერი) ამოკითხული მეორე შემთხვევაშიც.

კაცისა შესაქმე ძლიერები-
საგან გამოთქუმად ვიკად-
როთ (147)

*του ανθρωπου την δημ-
ιουργιαν κατα δυναμιν
επιχειρησωμεν* (col.471)

მთარგმნელმა, როგორც ჩანს, არ იცის ბერძნული შესიტყვების, *κατα δυναμιν*-ის მნიშვნელობა. იგი უნდა ეთარგმნა არა, როგორც "ძლიერებისაგან", არამედ - "ძალისაებრ".

და ღმერთებისა სიტყუასა
სანდალ არს ღმრთისმ-
სახურებისა (147)

*μετα γαρ την θεολογιαν
η φυσιοლოγια κρηπιδα
παρεχει τη ευσεβεια*
(col.471)

ბერძნული ტექსტი ასე ითარგმნება: "ღვთისმეტყველების შემდეგ ბუნების-
მეტყველება საფუძველს უქმნის ღვთისმსახურებას". ქართულ ტექსტს აკლია *φυσιοლოγια*-ს შესატყვისი. ეს სიტყვა ამ ტექსტში ხშირად არის თარგმნილი, როგორც "სახისა სიტყუად" (იხ ტერმინოლოგიური ანალიზი: *φυσις*). საფიქრელია, იგი გადამწერთა მიერ არის გამორჩენილი.

აღნიშნულ ტექსტში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სიტყვა "სანდალი", რაც ძველ ქართულში "ფეხსაცმელს" ნიშნავდა და ხშირად იხმარებოდა "ვამლის" სინონიმად. *κρηπιδας*-ის ორაზროვნების გამო, რომელიც, ერთი მხრივ, აღნიშნავს "ფეხსაცმელს", ხოლო, მეორე მხრივ, გადატანითი მნიშვნელობით - "საფუძველს", "ნიადაგს", "საყრდენს". სწორედ ეს უკანასკნელი შინაარსი აქვს მას ბერძნულ ტექსტში, მაშინ როცა მთარგმნელი პირველი მნიშვნელობით აღიქვამს მას.

აღსავსე იყო სოფელი, აღ-
შენებულ იყო სახლი და
იტყოდა ვანისა უფალი
(150)

*επεπληρωτο η οικουμενη,
εκεκοσμητο ο οικος, ελει-
πεν ο οικοδεσποτης*
(col.472)

ბერძნული *εκεκοσμητο* (შემკული იყო) თარგმნილია, როგორც "აღშენებულ იყო", რაც კონტექსტის მიხედვით შესაძლებელია.

რაც შეეხება ქართულ-ბერძნულ ტექსტებს შორის არსებულ მეორე სხვაობას, ამ შემთხვევაში ქართველი მთარგმნელი უთუოდ ცდება. აღნიშნულ ადგილას სევერიანე საუბრობს იმის შესახებ, თუ როგორ შეამკო და განამშვენა ღმერთმა ცა და ქვეყანა ადამიანის შექმნამდე. მეტაფორული თქმით, უფალმა ჯერ სახლი ააშენა და მერე შექმნა ადამიანი. ზემომოტანილი ციტატა იმ მომენტს ეხება, როცა ყველაფერი შექმნილია, სახლი აშენებულია, ხოლო ხილული შესაქმის მეფე, ანუ სახლის პატრონი ჯერ კიდევ არ დაბადებულა. ბერძნული ფრაზა *ελειπεν ο οικοδεσποτης* ასე ითარგმნება: "აკლდა ვანისა უფალი"; ქართულ ტექსტში კი გვაქვს: "იტყოდა ვანისა უფალი". აშკარაა, რომ მთარგმნელმა *ελειπεν* (აკლდა), ამოიკითხა, როგორც *ελεγεν* (იტყოდა), რასაც შედეგად მოჰყვა მცდარი თარგმანი.

სახელიცა და საქმეცა ეწა-
მების კაცსა (155)

*και το ονομα και τα
γραμματα μαρτυρει τω
ανθρωπω* (col.474)

აღნიშნულ ადგილას საუბარია იმის შესახებ, რომ "ადამ" სახელის ოთხი ასო (*τα γραμματα*) მოასწავებს ქვეყნის ოთხ კიდეს. ქართული "საქმეცა" აშკარად შეცდომაა. ჩანს, მთარგმნელმა *γραμματα* (ასოები) ამოიკითხა, როგორც *πραγματα* (საქმენი).

ვითარ განზომა ცაჲ მტკა-
ვლითა, უკუე თითნი სამე
გრძელნი ასხენ? გამოუთ-
ქუმელ არს ღმრთეებაჲ
(158)

*πως δε εμετρησε τον
ουρανον σπιθαμη; πως
δακτυλους ειχε μεγαλους
αναλογους τη θεοτετι;*
(col.475)

სევერიანე გაბალოვნელი ალეგორიულ ეგზეგეზას ღვთისმსახურების სა-
ფუძვლად მიიჩნევს. მისი აზრით, წინააღმდეგ შემთხვევაში ბიბლიის ბევრი
ფრაზა აბსურდული აღმოჩნდება. მაგალითად, პირდაპირი გააზრებისას
უფლისადმი თქმული სიტყვები: "რომელმან განზომა ცაჲ მტკავლითა" ღვთის
სხეულებრიობას წარმოაჩენდა; უფრო მეტიც, შექმნიდა იმის აუცილებლობას,

რომ ღმერთს ჰქონოდა ძალიან გრძელი თითები, შესატყვისი მისი ღვთიური ძალმოსილებისა, ღვთაებრიობისა. ციტატის მეორე ნაწილი ასე ითარგმნება: "როგორი სიდიდის თითები უნდა ჰქონდეს მას, რომ შეესაბამებოდეს მის ღვთიურობას?" - ბერძნული *αναλογους* ნიშნავს შესაბამისს, სათანადოს, ანალოგიურს. მთარგმნელმა აშკარად არ იცის ამ სიტყვის მნიშვნელობა. იგი აღიქვამს მას, როგორც *αν* ნაწილაკსა და *αλογος* (გამოუთქმელი) სიტყვას. ასეა მიღებული ქართულ ტექსტში კონტექსტისათვის შეუფერებელი "გამოუთქმელ".

მისცა ღმერთმან კაცსა,
ვიტყვ კაცისასა, სხუათა
თანა თითოეულად ნაწევ-
არსა (161)

*εδωκεν ο θεος τω ανθ-
ρωπω, λεγω δε τω ανδρι,
μετα των αλλων και
μαστων αρμονιαν*
(col.476)

ბერძნული ციტატა ასე ითარგმნება: "მისცა ღმერთმა კაცს, ვამბობ მამაკაცს, სხვებთან ერთად ძუძუთა შენაწევრებაც". ქართულ ტექსტში უადგილოა "თითოეულად". უეჭველად, მთარგმნელმა ბერძნული *και μαστων*, ამოიკითხა, როგორც *εκαστων* (თითოეულად).

რამეთუ შეიქმნა დაბადე-
ბით, განაახლებს ქრისტე
ველმწიფებით (161)

*επειδη επαλαιωθη η δη-
μιουργια, ανακαινιζει αυ-
την ο Χριστος επι οικο-
νομια* (col.476)

აღნიშნულ ადგილას საუბარია იმის შესახებ, რომ დაძველებული სამყარო ქრისტეს მოსვლით განახლდა. იგი ასე ითარგმნება: "რამეთუ დაძველდა დაბადებად, განაახლებს მას ქრისტე განგებულებით (=განკაცებით)".

ქართულ ტექსტში უადგილო ჩანს "შეიქმნა". ამ სიტყვით, ჩვეულებრივ, გადმოიცემა ბერძნული *επλασθη*. თვით მომდევნო წინადადებაში "შეიქმნა მიწისაგან ადამი" სიტყვა "შეიქმნა" გადმოსცემს ბერძნულ *επλασθη*-ს (*επλασθη Αδαμ απο γης*). საფიქრელია, მთარგმნელმა *επαλαιωθη* (დაძველდა) ამოიკითხა სწორედ, როგორც *επλασθη*.

ვინაჲ-კერძოცა დასაბამი
სრბისაჲ მთიებთაჲ, მიერ
კერძოცა დასაბამი შესაკ-
რებელი კაცთაჲ (165)

*οθεν η αρχη του δρομου
των φωστηρων, εκειθεν η
αρχη της διαγωγης των
ανθρωπων* (col.477)

სევერიანე გაბალოვნელი მკითხველს განუმარტავს, თუ რატომ "დაასხა" ღმერთმა სამოთხე აღმოსავლეთ მხარეს. მისი აზრით, სწორედ ამ მხრიდან ამოდის მნათობები, ხოლო საიდანაც მნათობები ამოდის, იქიდან იღებს სათავეს კაცთა ცხოვრებაც.

ქართულ ტექსტში ბუნდოვნებას იწვევს სიტყვა "შესაკრებელი". ამ სიტყვით, ჩვეულებრივ, გადმოიცემა *η συναγωγή*. როგორც ჩანს, მთარგმნელმა სწორედ ამ სიტყვის სინონიმად აღიქვა ზემომოტანილ ციტატაში არსებული *η διαγωγή* (ყოფაცხოვრება; ცხოვრების წესი).

მირბიოდა ადამი დასავალით, შთავდა საფლავად, მისდევდეს მას ყოველნი კიდენი ქუეყანისანი და თანა-დაეფლნეს დასავალით. მოვიდა ქრისტე და ყო აღსლვად მის დასრულისად (165)

εδραμεν ο Αδαμ εις δυσιν, εδυσεν εις ταφον ηκολουθησαν αυτω τα πραγματα της γης και συν-εταφη τω δυσαντι. Ηλθεν ο Χριστος και εποισησεν ανατειλαι τον δυσαντα (col.477)

ქართული ტექსტი კარგად მიჰყვება ორიგინალს. გაპარულია მხოლოდ ერთი შეცდომა: დედნისეული *πραγματα* (საქმენი) თარგმნილია, როგორც "კიდენი". სევერიანე, ზოგად ტრადიციაზე დაყრდნობით, ცოდვამიღებულ ადამის დაფლვაში სიმბოლურად მის მიწიერ, ხორციელ საქმეთა დასამარებას გულისხმობს, ხოლო ქრისტესმიერ აღდგინებას სულიერი განახლების დასაბამად მიიჩნევს. აღნიშნულ ციტატაში კონტექსტის მიხედვით, მართებულია სწორედ საქმენი და არა კიდენი. ჩანს, მთარგმნელმა *τα πραγματα* ამოიკითხა, როგორც *τα περατα*, რომელიც ამავე ტექსტში ყველგან "კიდებდად" არის თარგმნილი.

"ქვად კედლით გამო დაღდებს" (ამბ.2.11), არა სიტყვით, სიტყუად წიგნთაგან: "იოტა, მარტორქად" (მათე V 18) (გვ.172)

Λιθος εκ τοιχου βοα ου λεγω, λογος απο Γραφης, Ιωτα εν, η μια κεραια (col.480)

მთარგმნელმა, ჩანს, *λεγω* (ვიტყვი, ვამბობ) ამოიკითხა, როგორც *λογω* (სიტყვით) და ნაცვლად თარგმანისა "არა ვიტყვ, სიტყუად წიგნისაგან" მივიღეთ საკმაოდ ბუნდოვანი ტექსტი: "არა სიტყვით სიტყუად წიგნთაგან".

რომელ-იგი ვთქუ, ვთქუა, უწყი წინაწართქუმულად (174)

οπερ εφθην ειπων, οιδα προειρηκως (col.481)

ზმნა *φθισα* (აორ. 2. *εφθεν*), როგორც ცნობილია, მიმღეობის გვერდით ზმნიზედის მნიშვნელობას იძენს და ნიშნავს "ადრე, უწინარეს" (თვით მიმღეობა ასეთ შემთხვევებში პირიან ზმნას ცვლის). ზემომოტანილი ბერძნული ტექსტის პირველი ნაწილი შეიძლება ასე თარგმნილიყო: "რომელ-იგი უწინარეს ვთქუ". ქართველ მთარგმნელს *εφθην* ამოუკითხავს, როგორც *εφη* (imperf ზმნისა *φημι* - ვამბობ), რამაც ქართულ ტექსტში უხერხული ტავტოლოგია გამოიწვია ("ვთქუ, ვთქუა").

რომელნიმე ქუეწარმავალთა ნაშობნი, იგულე, მფრინველნი ყოველნი (175)

παλιν ερπειτα, τα γενη, τα ειδη, τα πετεινα ολα (col.481)

ქართულ ტექსტში აშკარად უადგილოა "იგულე". მთარგმნელს *ειδη* (სახენი, სახეობანი, გვარეობანი) ზმნურ ფორმად მიუჩნევია (*οραω*-ს აორ. 2 *ειδον* - დანახვა, შემჩნევა; ცქერა). აღნიშნულ ტექსტში ეს ზმნა, ჩვეულებრივ,

გადმოიცემა სწორედ, როგორც "იგულე". ბერძნული ტექსტი შეიძლება ასე თარგმნილიყო: "კუალად ქუეწარმავალნი, ნათესავნი, სახენი, ყოველნი მფრინველნი".

და მზეცა მხოლოდყოფილ
(136)

και ο Ηλιος μονογενης
(467)

აღნიშნულ ადგილას სევერიანე მსჯელობს ქრისტეს მხოლოდშობილობის შესახებ და პარალელს ავლებს ელია წინასწარმეტყველთან, რომელიც, ასევე, მხოლოდშობილი იყო. ქართველ მთარგმნელს Ηλιος ამოუკითხავს, როგორც Ηλιος (მზე), რამაც სრულიად გაუგებარი ტექსტი მოგვცა (მდრ. ლათ. et Elias unigenitus). საყურადღებოა, რომ ამჯერადაც ბერძნული დედნის ასომთავრულობა მუდგანდება.

და სახე ერთ, ხოლო
ყოველნივე სხუა ფერ
(170)

η μεν φυσικα μια αι δε
υλαι μεταποιουσιν (479)

ამ შემთხვევაში υλαι (ნივთი) ამოკითხულია, როგორც ολοι (ყოველნი). ბერძნული ტექსტი შეიძლება ასე თარგმნილიყო: "ბუნება (-სახე) ერთ, ხოლო ნივთნი იცვალეზიან". საგულისხმოა, რომ მთარგმნელი μεταποιουσιν-ს თარგმნის, როგორც "სხუა ფერ" (ნაცვლად ზმნისა "იცვალეზიან"). როგორც ჩანს, მას ორად დაუშლია ეს სიტყვა (μετα ποιουσιν) და მეორე ნაწილი "ποιουσιν" დაუკავშირებია ποιου-თან, რომელიც შეიძლება "ფერადაც" ითარგმნოს (იხ. ტერმინოლოგიურ ნაწილში: ποιουτης, το ποιου).

ღამე კაცსა მძინარესა სა-
გალობელად მოყვანებს
(423)

υκτι του ανθρωπον κα-
θειδοντα εις υπομνησιν...
φερει (col.436)

მძინარე ადამიანის "საგალობელად მოყვანა" აბსურდული აზრია. უეჭველად, საქმე გვაქვს არასწორ თარგმანთან. ცხადია, მთარგმნელმა η υπομνησις (მოგონება, გახსენება) ამოკითხა, როგორც η υμνησις (გალობით ქების შესხმა).

განთიადისა იგი საუნჯე
არა შეიწყნარებს შეცო-
დებულთა მათ დღე (101)

η εωθινη θυσια ου δε-
χεται τον αμαρτησαντα εν
υκτι (col.456)

ბერძნულ-ქართული ტექსტების შედარება არკვევს, რომ მთარგმნელი ორიგინალისეულ Θυσια-ს ყველა შემთხვევაში ქართულად თარგმნის, როგორც "საუნჯე" ანდა "უნჯობა" (აღნიშნული ტერმინის შესახებ იხ. ქვემოთ). ამ შემთხვევაში მას θυσια (მსხვერპლშეწირვა) სწორედ Θυσια-დ ამოუკითხავს, რამაც შედეგად მოგვცა გაუგებარი წინადადება.¹

1 აქაც ბერძნული ტექსტის ასომთავრულობა ვლინდება, რადგანაც საკუთრივ 'ომიკრონი' (ο) არ შეიძლება აირიოს 'თეტაში' (θ). ეს ორი ასო სწორედ ასომთავრულში ემსგავსება ურთიერთს: ο და θ

ჯერ არს მორჩილება სა-
ხუეპლისაჲ ამის, არათუ
ვითარცა თქუმულთაჲ, არა-
მედ ვითარცა წინაწარ-
მეტყუელებაჲ ჭეშმარიტი (5)

*δει προσεχειν τη ιστορια
ταυτη, ουχ ως διηγηματι
αλλ ως προφητεια αλ-
θινη (431)*

ქართული "სახუეპელი" ნიშნავს "ბადეს". იგი კონტექსტისათვის სრულიად
შეუფერებელია. როგორც ჩანს, მთარგმნელმა ბერძნული *ιστορια*, რომელსაც
ამ ძეგლში, ჩვეულებრივ, "მატიანი" გადმოსცემს, ამოიკითხა, როგორც
ιστουργια (ბადე).

თარგმანა წმიდათა მათ-
გან, რამეთუ ყოველივე მის-
გან შეიქმნა (35),

*ηρμηνευσε δια των ερ-
γων, οτι παντα δι αυτου
εγενετο (col.440)*

კონტექსტის მიხედვით "წმიდათა" უადგილო ჩანს. საფიქრელია, მთარგმნ-
ელმა *εργων* (საქმეთა) დაუკავშირა გრაფიკულად მსგავს *ιερων*-ს (წმიდათა).

"ჭეშმარიტად" სახელდებს,
რადთა "ნაცილად სახელ-
დებულნი" იგი განამხილ-
ნეს, რადთა მკუდარნი კერპ-
თა უხრულ-ექმნნეს (86)

*αληθινον καλει, ινα τους
ψευδωνυμους ελεγξη ζω-
ντα, ινα τα νεκρα ειδωλα
στηλιτευση (col. 452)*

უპირველესად, ის უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ტექსტს აკლია *ζωντα*-ს
შესატყვისი "ცხოველად", რაც შესაძლოა გადამწერთა მიერ იყოს გამორჩენილი.
ასევე, ბერძნული *τα νεκρα ειδωλα* (მკუდარნი კერპნი) თარგმნილია,
როგორც "მკუდარნი კერპთა". განსაკუთრებით საყურადღებოა ზმნა "უსრულ-
-ექმნნეს", რომელიც ბერძნულ *στηλιτευση*-ს გადმოსცემს. ჩანს მთარგმნელმა
ეს სიტყვა დაუკავშირა ზედსართავს *ατελης*-ს რასაც შედეგად მოყვა სრულიად
უადგილო "უსრული".

* * *

როდესაც მთარგმნელისეულ შეცდომებზე ვსაუბრობთ, ცალკე უნდა
აღინიშნოს ბერძნული ტექსტის ხშირი მექანიკური გამოტოვება, რასაც
განაპირობებს წინადადებათა მსგავსი დაბოლოებები. მთარგმნელი ერთი
წინადადებიდან ხშირად გადადის მეორეზე, რომელიც მსგავსადვე ბოლოვდება
და, შესაბამისად, ტოვებს მათ შორის მოთავსებულ ტექსტს. ასეთი რამ სხვა
ძეგლებშიც არის შემჩნეული. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

1. ყოველნი ვიყვენით ერ-
თბამად და არავინ მოყუ-
ასი იცნის

*παντες ωμεν επι το αυτο
και ουδεις τον ετερον
γνωριζει ουτως ερχεται
θανατος και λυει τας
μορφας ως ουδεις ουδενα
γνωριζη
παρερχη μνημεια...
(col.453)*

თანა-თუ-წარხვიდოდი სა-
მარეებსა (93)

2. ნუცა ეგრე ჰგონებ,
რამეთუ ეგოდენ ოდენ

ვითარ მე ვჰგონებ, ვი-
კადრებ სიტყუად (94)

3. თქუა (დავით) "სიტყუთა
უფლისადათა ცანი დაემტკიცნეს"

რამეთუ - წყალთაგან
(97)

4. იტყვს დავით: "უგალობ-
დით გონიერად: აჰყრობად
ველთა ჩემთად მსხუერპლ
სამწუხაროდ"

ცისკრისა იგი გალობად
უმჯობეს არს მწუხრისასა
(101)

5. ერთსა დღესა შექმნა
ღმერთმან... სივშირე და
ბადებულთად

ვითარ რადმე ვთქუა (13)

6. გონებამან ცნა ჰური,
ნათელმან გამოაჩინა

მთად, ნათელმან მეცნიერ-
ებისამან - გამოკუერვად
(21)

*μη νομιζε, οτι τοσαυτα
δυναται ο θεος, οσα συ
δυνασαι λογισασθαι ει δε
τοσαυτα δυναται
οσα εγω νοω, τολμω
ειπειν (col.454)*

*λεγων Τω λογω κυριου οι
ουρανοι εστερεωθησαν
Διατι γαρ εστερεωθησαν;
επειδη απο υδατων
(col.455)*

*λεγει Δαυιδ Ψαλατε συ-
νετως. Επαρσις των χε-
ιρων μου θυσια εσπερινη.
δυο θυσιαι εκελευσε Μω-
υσης γινεσθαι μαλλον δε
θεος μιαν εωθινην μιαν
εσπερινην.*

*Η ορθρινη ευχαριστια ην
υπερ την νυκτος (col.456)*

*τη μεν ουν πρωτη εμερα
εποιεσην ο θεος τας υλας
των κτισματων τοις δε
αλλαις ημεραις την μορ-
φωσιν και την διακοσ-
μησιν των κτισματων
οιον τι λεγω... (col.433)*

*η συνεσις εποιησεν αρτον
το φως εδειξε τον βοτ-
ρυν της αμπελου, το φως
της συνεσεως εδειξε τον
οινον τον εν τω βοτρυ...
το φως εδειξεν :*

*ορος, το φως της συ-
νεσεως εδειξε λατομιαν
(col.430)*

7. ვითარცა ცხოვარნი
წმიდანი იერუსალემს შინა

არარად მიეხების წმიდასა,
რომელი არა არს წმიდა
(25)

8. მიყო მოსემან კელი
ქუეყანასა და გამოვდა მუძ-
ლი. ჯერ-იყო გამოცხა-
დებად,

რამეთუ ღმერთმან შექმნა
წყალი (33)

9. არაარსნი იგი ვითარ
შეიქმნნეს,

არათუმცა იყო (39)

10. "არავინ არს სხუად",
ამას იტყვს

ნეტარი იერემია (85)

ως προβατα, φησιν, αγια
εν Ιερουσαλημ. Η δια-
θηκη αγια Και δυναμωσει
μετα πολλων διαθηκην
αγιαν αυτου. Αυτη η
πολις αγια ελεγετο. Και
επι την πολιν την...

Ιερουσαλημ.

Ουδεν γαρ προσερχεται
θεω μη ον αγιον (col.437)

εξετεινε Μωυσης την χει-
ρα εις την γην και
εξηλθον σκνιπες. εδει πα-
λιν δειχθηναι, οτι ο θεος
εποιησε το πυρ ελαβε
Μωυσης αιθαλην καμι-
ναιας και επασε και
επληρωσε τα σωματα των
Αιγυπτιων ελκων φλογος...
εδει δειχθηναι

οτι ο θεος το υδωρ
εποιησε
(col.439)

τα μη οντα πως εγενετο,
επειδη περι του οντος
ερωτωσι, πως εγεννηθη;
Ει μη ην, ειπωσι, τα μη
οντα πως εγενετο,
ει μη ην (col.440-441)

"ουκ εστιν αλλος", ταυτα
λεγει ο ποιησας τον
ουρανον και την γην, ο
Μονογενης, ο κατα τους
αιρετικους γεναμενος, και
τοτε κτισας. Αλλ εν τοις
λογοις των χειλεων αυτου
Συνηλεφθε ο αμαρτωλος.
Λεγει

ο μακαριος Ιερεμιας
(col.451)

11. მოვალნ დასავალად და გარემოდს ჩრდილოსა გარემოვალნ.

აწ გულიხვმა-ყავ ზამთრისაგან დამტკიცებად (90)

12. ხოლო აქა, რამეთუ სიმრავლესა ქუეწარმავალთასა

პირად-პირადად იტყვს (112)

13. მუცლად იღის, იტვრთის ნაყოფი

ვიდრე გამოსლვადმდე ყრმისა (119)

14. დაუტევნა იგინი ჰურითა თანაცა...

ქადაგებდა... ქრისტიანეთა შესატყუველად სახლისა ბრძანებათა.

ვინადმცა უკუე იყო მხილებად ამათისა მის ძმატყულებისა? (123)

πορευεται εις δυσιν και κυκλοι προς βορραν κυκλοι κυκλων, και εις τον τοπον αυτου ανατελλει. Κατα μεσημβριαν τρεχοντα και τον βορραν κυκλουντα
λοιπον μαθε εν τη του χειμωνος καταστασει (col.453)

ενταυθα δε επειδη πολλη των ερπετων, η διαφορα, και των πετεινων και των νηκτων, αλλος πετεινων, αλλος γαρ λογος νηκτων, αλλος ερπετων, και εν εκαστω γενει πολλα και διαφορα
λεγει (col.459)

κυφορει, βασταζει τον καρπον καν μη ουτω προελθη, μητηρ ου λεγεται. Καν βασταση η ριζα τον καρπον, εαν μη προελθων ο παις (col.461)

συνεχωρησεν... και προς Ιουδαιους ινα ελεγχωνται, ειασεν αυτας και παρα Ιουδαιοις...
εκηρυξεν... οι χριστιανοι προς συστασιν των οικειων δογματων και προφητας πλασαι και ονοματα μυθευσαι; ημεις εκ τουτου προκριμα οφειλομεν υπομενειν; Νυν δε πασα τω αντιλεγειν βουλομενω, καν μακραν εχοντι δικαιολογιαν, περιηρηται προφασις, δια το ταυτας τας μαρτυριας παρ αυτοις τυγχανειν, ας ημεις προς συστασιν των οικειων φερομεν δογματων.

Ποθεν γαρ μη δυνατον ελεγχαι την τουτων ραδιουργιαν; (col.463)

15. სხუად არს სიტყუად
"არა თანა-მაც".

არამედ აწ, თანამდებებად,
აღიარებენ (124)

16. ადამ პირმშო თვსსა
ნათესავსა ზედა,

მოსე თვსსა ზედა, ესაია,
რამეთუ თვსთა მათ ყამ-
თა... (138)

17. ყოველთა მათ თა-
ნა, იგიცა თავადი პირმშოდ

მრავალთა ძმათა შორის
(139)

18. და მუნცა ღმრთისა
საკურთხეველი იყო,

ხოლო იყო ოთხთა... (140)

19. იტყოდა ზაქარია წი-
ნაწარმეტყუელი: "მტკიცე
იყვნედ

ველნი იოსედეკ მღღელი-
სანი" (152)

20. ხატ იყვნეთ ღმრთისა,

იტყვს ღმერთი... (159)

*αλλο εστιν ειπειν Ου
χρεωστω, και αλλο ην
ειπειν Ου σοι χρεωστω
αλλ' αλλως. Τεως το χρεος
ωμολογεται (col.463)*

*Ο Αδαμ πρωτοτοκος εν
τη ιδια γενεα, Νωε, Σημ
πρωτοτοκοι, Αβρααμ
πρωτοτοκος εν τη ιδια,
γενεα
Μωυσης, Ησαιας, επειδη
κατα τους εαυτων χρο-
νους... (col.468)*

*μετα παντων και αυτος
πρωτοτοκος λεγεται. Δια
τουτο λεγει Παυλος Πρω-
τοτοκος
εν πολλοις αδελφοις
(col.468)*

*και γαρ εκει θεου θυσ-
ιαστηριον, και ενταυθα
θεου θυσιαστηριον
Ην δε εκ τεσσαρων...
(col.469)*

*ελεγε Ζαχαριას ο προ-
φητης Ισχυειωσαν αι χε-
ιρες Ζοροβαβελ λεγει Κυ-
ριος και ισχυειωσαν
αι χειρες Ιωσεδεκ του
ιερεως (col.473)*

*εικων εσμεν θεου. Δι-
καιος γαρ Κυριος και
δικαιοσυνης ηγαπησεν.
Εαν ωμεν φιλανθρωποι,
ελεημονες εικων εσμεν
του θεου,
λεγει γαρ Σωτηρ...
(col.475)*

ამგვარი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ზემოწარმოდგენი-
ლი სურათიც მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ ქართულ თარგმანში ხშირად
გამოტოვებული მსგავს სიტყვათა შორის მოთავსებული ორიგინალის ტექსტი.

3. ქართულ ხელნაწერთა ურთიერთმიმართებისათვის

ჩვენთვის საინტერესო ძეგლი შემოგვინახა ორმა ხელნაწერმა: Ier. 44 და Ier. 74. ისინი აღწერილია რ. ბლეიკის მიერ.¹ მკვლევარის მითითებით, პირველი მათგანი გადაწერილი უნდა იყოს XII-XIII-სს-ში, ხოლო მეორე - XIII-XIV სს-ში.² ეს უკანასკნელი, ნ.ქაჯაიას აღწერილობით, აგრეთვე, XII-XIII სს-ისა უნდა იყოს (აღწერილობა მომზადებულია გამოსაცემად).

ამგვარად, ჩვენ ხელთ გვაქვს დაახლოებით თანადროული ხელნაწერები. ტექსტის დადგენისას თ.ჰყონიამ სქოლიოში დეტალურად აღნუსხა მათ შორის გამოვლენილი კითხვა-სხვაობები. ორიგინალთან შედარების საფუძველზე ხსენებული განსხვავებული წაკითხვები, ვფიქრობთ, მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის ხელნაწერთა ურთიერთმიმართების შესასწავლად. ქვემოთ წარმოვადგენთ ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ყურადსაღებ შემთხვევებს.³

1. ხწორი წაკითხვა დაცულია A-ში (B მცდარია):

A	B	Pg
1. იტყოდა, რომ- ლისა თანამსტუარ არა იყო (4)	თანამსახურ	ειπε γαρ α μη ειδε (col.431)
2. მესამედ - საქმით (4)	მესამედ - მოსწავებით	τριτον το δι' εργου (col.431)
3. წარმართთა შო- რის იყვნეს მის ღმრთის მოლალი- სა(8)	+ მეფისა	εν τω εθνει ησαν εκεινω τω θεομ- αχω (432)

1 R. Blake, Catalogue des manuscrits georgiens de la bibliotheque patriarchale grecque a Jerusalem, Revue de l'Orient Chretien, 1924 XXIV pg.88; pg.407.

2 იქვე როგორც ჩანს, გამოცემაში დაშვებულია კორექტული შეცდომა: ნაცვლად XIII-XIV-სს-სა, იკითხება XIII-XVI სს. (იხ. pg.407)

3 ლიტერი A შეეფარდება Ier. 44-ს, ხოლო B - Ier. 79-ს.

4. რომელ შეიქმნა,
-არაარსისაგან (9)

+ შეიქმნა

το μεν γαρ εγενετο μη ον (432)

5. მუნ განმარტებულ არს მადლი ხოლო აქა მრჩობლ. მუნ ორნი ძმანი იჩინნეს: მოსე და აპრონ. აქა მრჩობლ ორი ძმა: პეტრე და ანდრეა, იაკობ და იოვანე (11)

მუნ განმარტებულ არს მადლი, მრჩობლ, აქა მრჩობლ ორი ძმა: პეტრე და ანდრია. მუნ ორნი ძმანი იჩინნეს: მოსე და აპრონ, აქა იაკობ და პეტრე

κακει μεν απληχαρις, ωδη δε διπλασιον. Εκει γαρ δυο αδελφοι εκληθησαν Μωυσης και Ααρων. ενταυθα δε διπληδυσας αδελφων. Πετρος και Ανδρεας, Ιακωβος και Ιωαννης (433)

6. ძმა გუექმნა (11)

გზა) გუექმნა

αδελφους ποιησαι (433)

7. რამეთუ წამებს წიგნი და იტყვს: "პირველად შესაქმედმდე..." (14)

წამებს წიგნი პირველად და იტყვს: "შესაქმედ"...

μαρτυρει η γραφη λεγουσα Προ του... ποιησαι (434)

8. რამეთუ ყოველნი ჩუენდა მომართ და ჩუენტვს (1)

+ ქმნულნი აღესრულნენ

παντα γαρ υπερημων και δι ημας (429)

В ხელნაწერისეული შემატება უეჭველად გვიანდელ რედაქტორს ეკუთვნის, რომელიც ცდილობს, უშემასმენლოდ წარმოდგენილ კალკირებულ თარგმანს ბუნებრივი სახე მისცეს.

9. ელია წინაწარმეტყუელსა წერილ არს (14)

ესაია წინაწარმეტყუელსა წერილ არს

εν τω Ηλια γεγραπται (434)

10. მოყუარეთა სმე- ნისათა (17)	მოყუარეთა შრომისათა	<i>αγαπεις ακουοντων</i> (435)
11. ჯუარსა ზედა ქრისტესსა ბნელი (19)	ჯუარსა ზედა ქრი- სტე-მზე მწუხარე- ბითა ბნელ იყო	<i>επι του σταυρου του Χριστου σκο- τος</i> (430)
12. ნათლითი-ნათ- ელად (21)	ნათელითა ნათე- ლად	<i>απο φωτος εις φως</i> (436)
13. სადაქუესვე გან- ზრქომა უცხოება არს სიტყუათა ღმ- რთისათა, ხოლო სა- დაქუეს სითხელე... (31)	თქუეს სადმე გან- ზრქომა...	<i>οπου γαρ πα- χυτης. αλλοτρια...</i> (439)
14. ზღუად შექმნა (34)	+ განყო მოსე ველი, სცა კუმ- რთხი	<i>εποιησε την θα- λασσαν</i> (439)
15. თანამწერალი იგი იტყვს (34)	თანა-მწე იგი ძა- ლი იტყვს	<i>ο συγγραφευς λε- γει</i> (439)
16. იწყო იესუ ყო- ფად (34)	იყო იესუ ყოფად	<i>ηρξατο ο Ιησους ποιειν</i> (440)
17. არათუმცა თბო- ლთა მიჰხუეჭდ (41)	არათუმცა თბოლ- თა მიხუეჭდ	<i>ει μη ορφανους επλεονεκτησας</i> (441)

18. სავსე არს ყოველი ქუეყანად (65)	სავსე არიან ცანი და ყოველი ქუეყანად	<i>πληρης πασα η γη</i> (446)
19. ცხად არს წამებად. ვინ იხილა ესაია საყდართა ზედა? (65)	ცხად არს, ვინ იხილა ესაია,- წმიდად სამებად საყდართა ზედა	<i>δηλη η μαρτυρια. Τινα ειδεν Ησαιας εν τω θρονω;</i> (446)
20. და ფერად-ფერადი იგი ღმრთისა საცთურებად განბნეული, შეკრიბა და ერთ-ყო სარწმუნოებად (70)	შეკრიბა და ერთყო სარწმუნოებად და ფერად-ფერადი იგი საცთურებად ეშმაკისად განჰფხურა და უჩინო-ყო	<i>διαφοροις πολυθ-εου πλανης υλαις εσκορπισμενην συ-ηγαγε και μιαν εποιησε πιστιν</i> (447)
21. უბადრუკთა მათ მწვალებელთა შვილნი (71)	უბადრუკთა მათ მწვალებელთა ბილწთა	<i>οι αθλιοι των αι-ρετικων παιδες</i> (447)
22. გამოძიებად საქმეთა (71)	გამოძიებად სიტყუათა და საქმეთა	<i>ζητειν τα πραγμα-τα</i> (447)
23. განჰმარტა კელოვანმან (77)	განჰმარტა ბრძენმან	<i>κατατεμων ο τεχ-νιτης</i> (449)
24. რომელმან მისცა სული ერსა (85)	რომელმან მისცა, ვითარცა სულიერსა ძალი	<i>ο διδους πνοην τω λαω</i> (451)
25. განსაქარვებელად მათ ცრუდ სახელდებულთა (86)	განსაქარვებელად მაცთურ სახელდებულთა	<i>προς αντιδιαστο-λην των ψευδω-νυμων</i> (452)

26. განამტკიცეთ
თქვენ სასოებაჲ
(92)

განამტკიცეთ თქუ-
ენ სარწმუნოებაჲ

*απαγορευετε υμων
τας ελπιδας*
(453)

II. A-ს სრულად აქვს დაცული ტექსტი (B ნაკლებია):

1. არამედ სადავე
იძიების, თუ ჭეშ-
მარიტებით, გინა-
თუ ტყუილით თქუ-
მულნი (3)

*αλλα πανταχου ζη-
τειται ει αληθεια
η ψευδος τα λε-
γομενα (431)*

2. რამეთუ შჯუ-
ლისდამდებელი
იყო. არათუ პირვე-
ლად იწყო შჯუ-
ლისდადებისაჲ, არა-
მედ პირველად შე-
საქმისაჲ. რად-მე?
(5)

*νομοθετης γαρ ων
ου πρωτον ηρξατο
της νομοθεσιας
αλλα της δημι-
ουργιας. Διατι...;
(431)*

3. ჰურიათა მიეთ-
ხრობვოდა სიტყუ-
აჲ (7)

*Ηδει γαρ οis διε-
λεγετο(431)*

4. პირველ შო-
ბადმდე არა იყო
(9)

*πριν γενεσθαι ουκ
ην (432)*

5. არამედ ცაჲ იგი
ზე ნათელ იყო
(18)

*αλλ'ο ουρανος ανω
φωτεινος εστιν
(435)*

6. ჟამთაჲ და წეს- თაჲ არა თქუენი არს ცნობად (22)	-	<i>χρονους η καιρους ουκ εστιν ημων γνωαι (436)</i>
7. ქუეყანასა წმი- დასა მისსა (25)	-	<i>επι γην αγιαν αυ- του (437)</i>
8. არა არს წმიდა (25)	-	<i>μη ον αγιον (437)</i>
9. და ცოდვანი დაჰჳსნნეს (29)	-	<i>και τα αμαρτη- ματα καθαιρηται (438)</i>
10. ღირს არს სა- სტუარად (42)	-	<i>αξιος... του ορα- σθαι (441)</i>

III B სწორია (მცდარია A):

A	B	Pg
1. სრბაჲ იგი ჩუე- ნი განგებულად (1)	განგებულად სრბაჲ ჩუენი	<i>προς διορθωσιν δραμοντα (429)</i>
2. აკურთხევდით საქმენი უფლისანი უფალსა (8)	აკურთხევდით ყოველნი საქმენი უფლისანი უფალ- სა	<i>ευλογειτε παντα τα εργα Κυριου τον Κυριον (432)</i>

3. თქუა ყოფილი იგი (21)

თქუა ყოფილი იგი,
ხოლო სახე არა
აუწყა

*ειπε το γενομενον
τον δε τροπον
ουκ εμηνυσεν
(436)*

4. განსუქნა, გან-
ვრცნა (31)

განსუქნა, განზრქ-
ნა, განვრცნა

*ελιπανθη, επαχυ-
νθη, επλατυνθη (439)*

5. წარიძლუანებდა
(37)

წინა-წარიძლუანებდა

προ-ηγησατο(440)

6. არამედ მწვალ-
ებულთაცა უღმრთ-
ობაჲ (38)

არამედ გამოაცხა-
და მწვალებულთა-
ცა უღმრთობაჲ

*αλλα και των αι-
ρετικων την ασ-
εβειαν ελεγχουσιν
(440)*

7. გამოძიინე მე
ესე თავი, ცაჲ იგი
ზესკნელი (48)

განძიინე მე ესე
თავი ცაჲ იგი ზე-
სკნელი

*νοησον μοι την
κεφαλην ταυτην
ταυ ουρανον τον
ανω (443)*

8. არცალათუ დამ-
ტკიცნიან ანუ
შეურთველ იყვნი-
ან (64)

არცალათუ დამტკ-
იცნიან ანუ შე-
ურთველ იყვნიან

*ουδε στηριχθηναι
ασαλευτοι (446)*

9. იტყოდეს სერა-
ბინნი (68)

იტყოდეს ქერაბინ-
ნი

*ειπε τα Χερουβ-
ειμ (446)*

10. ზღუადცა გა-
ნუწდომელ არს გა-
მოუკულეველისა
ველოვნისასა (72)

+ ეძიებენ

*η θαλασσα ακατα-
ληπτος ουσα ερε-
υναν περι του τε-
χνιτου(447)*

11. იძლია მოცი-
ქულიცა (84)

იიძულა მოციქუ-
ლიცა

ηναγκασθη και
Αποστολος (451)

IV. მცდარი ორივე ხელნაწერის წაკითხვა:

1. ენება განშორ-
ებად ყოვლისად
(20)

εμελλε κοσμειν τα
παντα (436)

ორივე ხელნაწერში გარკვევით იკითხება "განშორებად", რაც, ცხადია, დამახინჯებაა თავდაპირველი "განშუენებად"-სა (*κοσμειν*) სწორი ფორმა სამართლიანად აქვს აღდგენილი თ.ჟყონიას ძირითად ტექსტში.

2. მოჰკადა სიტყუ-
ად და ცეცხლი
(33)

κατηνευκε χαλα-
ζαν και πυρ (439)

ორივე ხელნაწერში სრულიად გარკვევით იკითხება "სიტყუად". აქაც ძირითადად ტექსტში თ.ჟყონიას მართებულად აქვს აღდგენილი ბერძნული *η χαλαζα*-ს ნამდვილი შესატყვისი "სეტყუად".

A

B

Pg

3. ნათელმან მეც-
ნიერებისამან (გამ-
ოაჩინა) გამორკუ-
ევად (21)

ნათელმან მეცნიე-
რებისამან გამოა-
ჩინა გამორკუევად
კეთილისა და ბო-
როტისად

το φως της συ-
νεσεως εδειξε λα-
τομιαν (436)

ბერძნული *λατομια* ნიშნავს გამონგრევას, გამოტეხვას. იგი ძველად ითარგმნებოდა, როგორც "გამოკუეთად", "აღმოკუეთად", "აღმოქმნად" და მისთ. თ.ჟყონია ძირითად ტექსტში აღადგენს სიტყვას "გამორლუევად", რომელიც გვიანდელმა გადამწერებმა ამოიკითხეს, როგორც "გამორკუევად", ხოლო B

ნუსხის გადამწერმა, ანდა წინა რედაქტორმა, რომლის ნუსხითაც იგი სარგებლობდა, კონტექსტის თავისებური გააზრებით დაუმატა სიტყვები "კეთილისა და ბოროტისაჲ".

აქ რომ გადამწერთა შეცდომასთან გვაქვს საქმე, საეჭვო არ არის, თუმცა თავდაპირველ ტექსტში შეიძლებოდა ყოფილიყო არა "გამორღუევაჲ" არამედ "გამოკუერვაჲ", რომლითაც ზოგჯერ გადმოიცემოდა ბერძნული *λατομια*. მაგალითად:

სპილენძი, ვითარცა ქუაჲ გამ-
ოიკუერვის (იობ. 28. 2)

*χαλκος δε ισα λιθω λατ-
ομείται*

* * *

წარმოდგენილი სურათის შემდეგ შეიძლება გარკვევით ითქვას შემდეგი:

1. A არ არის გადაწერილი B-სგან, რადგანაც ძალიან ხშირად B-ს მცდარ წაკითხვას A-ში სწორი ტექსტი შეეფარდება. ამასთან, A-სთან შედარებით B ზოგჯერ ნაკლებია.

2. B არ არის გადაწერილი A-სგან, რადგანაც რამდენიმე შემთხვევაში ამ უკანასკნელის მცდარი ტექსტის ნაცვლად B-ში სწორი წაკითხვა გვაქვს.

3. A და B ნუსხები არ უნდა მომდინარეობდეს ერთი უშუალო დედნიდან. მათ შორის არსებული განსხვავებული წაკითხვების სიმრავლე გვაფიქრებინებს, რომ A და B ნუსხების ტექსტებს დამოუკიდებლად უფრო ხანგრძლივი გზა აქვთ გავლილი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუმცა თარგმანის თავდაპირველი სახე ზედმიწევნით არც ერთ მათგანს არ დაუცავს, მაინც A-ს ტექსტი გაცილებით უფრო არქაულია, ვიდრე B-სი. ეს უკანასკნელი აშკარად ატარებს ხტილური რედაქტირების კვალს. ქართული თარგმანის ბერძნულთან ზედმიწევნით მისადაგებული მონაკვეთები, რაც აშკარად ხელოვნურია, B-ში მრავალგზის არის შეცვლილი (გადაადგილებულია სიტყვები, ჩამატებულია ცალკეული კავშირები, სიტყვები, წინადადებებიც). ყველა ასეთ შემთხვევაში ტექსტი შეცვლილია ორიგინალთან ხელმეორე შედარების გარეშე, რადგანაც რედაქტირებული ადგილები, ჩვეულებრივ, კონტექსტის ზედაპირულ შინაარსს ეფუძნება და არაფერი აქვს საერთო შესაბამის ბერძნულ ტექსტთან. მაგალითად, ზემოთ მივუთითებდით, რომ ერთგან თავდაპირველ ტექსტში: "ნათელმან მეცნიერებისამან (გამოაჩინა) გამოკუერვაჲ" (შდრ. ბერძ. *το φως της συνεσεως εδειξε λατομιαν*, 436) ერთ-ერთ გადამწერს გამოკუერვაჲ (ბერძნ. *λατομια*- გამოტეხვა, გამონგრევა) მცდარად ამოუკითხავს, როგორც გამორკუევაჲ, რაც თითქოს უფრო შესაფერისია კონტექსტისათვის (ასეთ სურათს წარმოგვიდგენს A). უფრო გვიანდელ გადამწერს კი, შინაარსობრივი

სიტხადის მიზნით, დაუმატებია ფრაზა კეთილისა და ბოროტისად. ასე მივიღეთ B ხელნაწერში წინადადება: "ნათელმან მეცნიერებისამან (გამოაჩინა) გამორკუვედა კეთილისა და ბოროტისად", რაც სრულიად დაცილებულია ორიგინალს.

ერთგან A-ში ვკითხულობთ: "რომელმან მისცა სული ერსა". აქ თარგმანის თავდაპირველი სახე სწორად არის დაცული, რადგანაც იგი ზედმიწევნით თანხვდება ბერძნულს: *ο δίδους πνοην τω λαω*. ერთერთ გადამწერს ორი სიტყვა "სული ერსა" (*πνοην τω λαω*) ერთად აღუქვამს, როგორც - "სულიერსა" და ამ გზით გაბუნდოვნებული წინადადება თავისებურად გაუმართავს: "რომელმან მისცა, ვითარცა სულიერსა, ძალი". მსგავსი შემთხვევები ზემოთ მრავლად მოვიტანეთ. დავუმატებთ, რომ თ.ჰყონიას მიერ დადგენილი ტექსტის სქოლიოებში აღნუსხულია სხვადასხვა კავშირები (განსაკუთრებით და კავშირი), საერთოდ, დამხმარე სიტყვები, რომლებიც B ხელნაწერში უთუოდ სტილური თვალსაზრისით არის ჩართული. აქაც გვიანდელი რედაქტირების კვალი ვლინდება.

4. ქართული თარგმანის ღირსებებისათვის

სევერიანეს შრომა დაწერილია IV ს-ის მიწურულს. მისი შემცველი ხელნაწერებიდან უძველესები IX ს.-ს ეკუთვნის. მათზე დაყრდნობით თხზულება რამდენჯერმე არის გამოცემული. მაგალითად: (1) Savile H. *Tou εν αγιοις πατρος ημων Ιωαννου του Χρυσοστομου των ευρισκομενων τομος η, σελ. 587-640, Etonae ,1613.* (2) S.P.N. Ioannis Chrysostomi... Opera Omnia... opera et studio d.Bern. de Montfaucon, vol.VI, pg.435-511. (3)Pg.t.56, 1859, pg.429-500. (4) OEuvres Completes de st.Jean Chrysostome. trad. francaise par l'Abbe J. Bareille, t.II, Paris 1868, pg.126-249.

ზემოაღნიშნული გამოცემებიდან პირველი სამი სხვადასხვა ხელნაწერებს ემყარება. ისინი ერთმანეთს ავსებენ. მინის გამოცემა განსაკუთრებით ღირებულია ჩვენთვის, რადგანაც მასში უძველესი ხელნაწერების გარდა გათვალისწინებულია და მითითებულია წინა გამოცემების განსხვავებული წაკითხვებიც.

ცნობილია, რომ საეკლესიო მამების შრომებში ხშირად არის ციტირებული სევერიანეს ჰექსემერონი. მათგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია კოზმა ინდიკობლესტის *Topographia Christiana* (Pg.88), სადაც მოტანილია რამდენიმე მოზრდილი ნაწყვეტი ჩვენთვის საინტერესო ძეგლიდან. როგორც გარკვეულია, კოზმამ აღნიშნული თხზულება დაწერა დაახლოებით 535 წელს, იმპერატორ იუსტინიანის დროს (იხ. Pg.88, p.30). ცხადია, მას ხელთ ჰქონდა სევერიანეს "ექვსთა დღეთას" უძველესი, V ს-ის ტექსტი, რომელიც რამდენადმე შეცვლილი სახითაა წარმოდგენილი მომდევნო პერიოდის ნუსხებში.

როდესაც ქართული თარგმანის ორიგინალთან მიმართებას ვიკვლევთ, უპირველესად, ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, თუ რა დამოკიდებულებაშია იგი კონკრეტულად კოზმას მიერ ციტირებულ ტექსტთან. ამ შემთხვევაში, ცხადია, მხედველობაში არ მიიღება ცალკეული უმნიშვნელო

სხვაობები, როგორცაა რიცხვის შეცვლა, სიტყვათა წყობის გადაადგილება, ამათუიმ კავშირისა თუ დამხმარე სიტყვის გამოტოვება ან დამატება. ამგვარი დაცობები ორიგინალისაგან შეიძლება უშუალოდ ქართველ მთარგმნელს მიეწეროს; ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ კოზმას შრომა შედარებით გვიანდელი (X-XI სს) ხელნაწერებითაა მოღწეული, რაც თავისთავად გვაპარაუდებინებს, რომ სევერიანეს თხზულებიდან მოტანილი ციტატები მთლიანად პირვანდელი სახით არ შემოინახებოდა. ქართული თარგმანის ორიგინალთან შედარებისას, ვფიქრობთ, საჭიროა ყურადღება მიექცეს ფაქტობრივ მონაცემებს, რის საფუძველზეც უნდა გამოიკვეთოს ქართული თარგმანის ხასიათი: თუ ეს თარგმანი ლექსიკური მხრივ კოზმას ტექსტს მიჰყვება, მაშინ, სავარაუდებელია, მთარგმნელს ხელთ ჰქონდა უადრესი ხელნაწერი, ხოლო თუ იგი, პირიქით, ზემომითითებულ გამოცემებს თანხვდება, მაშინ საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ქართული თარგმანის დედანი რომელიმე მოგვიანო პერიოდის ხელნაწერია, სადაც უკვე მომხდარა თავდაპირველი ტექსტის შეცვლა.

შედარება გვიჩვენებს, რომ ქართული ტექსტი, ჩვეულებრივ, სწორედ კოზმასეულ ციტატებს თანხვდება და სხვაობს მოგვიანო პერიოდის (IX-X -სს) ხელნაწერებისაგან, რომლებიც ზემომითითებულ გამოცემებშია ასახული მაგალითად:

თარგმანი	Pg.	Cosma
----------	-----	-------

თანა-ურბის ჩემსა სიტყუასა და ადგი- ლი იგი (89)	<i>συντρεχει τη φρα- σει και ο τροπος</i> (452)	<i>συντρεχει δε μου τη φρασει και ο τοπος</i> (424)
--	--	---

ნაცვალსახელი "ჩემსა" ბერძნულ გამოცემებში შესატყვისს ვერ პოულობს, მაშინ როცა იგი დასტურდება კოზმასთან (*μου*).

მითითებულ მაგალითში განსაკუთრებით საყურადღებოა სიტყვა "ადგილი". მას ბერძნულ გამოცემებში შეეფარდება *τροπος* (სახე, წესი, ტროპი), კოზმასთან კი გვაქვს *τοπος* (ადგილი). მინის გამოცემაში აღდგენილია კოზმასეული *τοπος* და შენიშვნის სახით მითითებულია: sic Cosmas recte. Alii ο τροπος. ეს შენიშვნა ცხადყოფს, რომ სწორია (recte) ქართული თარგმანისა და კოზმასეული ტექსტის წაკითხვა, ხოლო მოგვიანო ხელნაწერების *ο τροπος* მცდარი ფორმაა.

Pg.	Cosma
-----	-------

მერჩღი, გლოცავ! განმიჩინე მე ესე თავი ცაჲ იგი ზეს- კნელი (48)	<i>προσεχε, παρακα- λω. νοησον μοι την κεφαλην ταυ- την τον ουρανον τον ανω</i> (444)	<i>προσεχε, παρακα- λω. ορισαι μοι την κεφαλην ταυ- την τον ουρανον ειναι τον ανω</i> (421)
--	---	---

ქართული ტექსტის "განმიჩინე" ზედმიწევნით თანხვდება კოზმასეული ტექსტის "ορισαι"-ს, რომელსაც მოგვიანო პერიოდის ხელნაწერებში ცვლის *νοησον*.

ეგრეთ განაგო ოქ-
როდს სახედ გან-
შეენებად მათი
(76)

*ουτω διαθειη του
φωτος την διακ-
οσμησιν (449)*

*ουτω διαθειη του
χρυσιου την δια-
κοσμησιν (424)*

აქაც ქართული "ოქროდს" შესატყვისს პოულობს კოზმასთან: *του χρυσιου*,
სევერიანეს შრომის ხელნაწერებში კი გვაქვს *του φωτος* (ნათლის)

განყვნა ზეცად
წყალნი და ზღუე-
ბად, მდინარედ
(76)

*εμερισεν εις τας
θαλασσας εις πο-
ταμους (449)*

*εμερισεν εις το
ανω υδωρ εις τας
θαλασσας, εις πο-
ταμους (424)*

ქართული "ზეცად წყალნი" მხოლოდ კოზმასთან პოულობს შესატყვისს:
το ανω υδωρ

აღსა მას აღუდგი-
ნა ღმერთმან ძა-
ლი წყლისაჲ (46)

*ο θεος αντεθηκεν
αντιπαλον τω πυ-
ρι τω υδωρ (442)*

*ο θεος αντεστι-
ησεν αντιπαλον
τω πυρι το υδωρ
(421)*

ქართული "აღუდგინა" უთუოდ კოზმასეულ *αντεστησεν*-ს შეეფარდება და
არა *αντεθηκεν*-ს.

და იყო ცეცხლითა
ყოვლადვე საგსე
(45)

*και ειvai ολος
πεπληρωμενος (442)*

*και ην ολος πυρος
πεπληρωμενος
(421)*

ბერძნული ინფინიტივი ქართულ თარგმანში, ჩვეულებრივ, საწყისით არის
გადმოცემული. აქაც ქართული "იყო" სწორედ კოზმასეულ *ην*-ს თარგმნის
და არა *ειvai*-ს

თქუა (დავითმა):
"სიტყვთა უფლისა-
დათა ცანი დაემტკ-
იცნეს", რამეთუ
წყალთაგან (98)

*λεγων Τω λογω
Κυριου οι ουρανοι
εστερεωθησαν. Δι-
ατι γαρ εστερε-
ωθησαν; επειδη
απο υδατων (455)*

*λεγων Τω λογω
Κυριου ουρανοι
εστερεωθησαν επι-
ειδη απο υδατων
(425)*

ქართულ თარგმანს, კოზმასეული ტექსტის მსგავსად, აკლია ფრაზა: *Διατι γαρ εστερεωθησαν;*

* * *

წარმოდგენილი ნიმუშები ცხადყოფს, რომ ქართული თარგმანი, ჩვეულებრივ, გვერდით უდგას კოზმასეულ ტექსტს, რაც საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მთარგმნელი უძველესი ხელნაწერით სარგებლობდა. ვფიქრობთ, ამგვარ ვარაუდს მხარს უჭერს ერთი საგულისხმო ფაქტი:

ქრისტიან ეგზეგეტებს სირთულეს უქმნიდა ის გარემოება, რომ შესაქმის წიგნში სტიქიონების, ზოგადად, მატერიალური სამყაროს დაბადება არ იყო დეტალურად აღწერილი. აღნიშნულ გარემოებას ისინი იმით ხსნიდნენ, რომ მოსე, როგორც წინასწარმეტყველი, მხოლოდ გაკვრით საუბროდა სტიქიონთა შესახებ. წინასწარმეტყველება არ გულისხმობს რაიმეს დაწვრილებით გადმოცემას. ბიბლიის კომენტატორების მიზანი სწორედ ის იყო, რომ გაეგრცოთ და ფართოდ წარმოედგინათ წინასწარმეტყველურ სიტყვებში ნაგულისხმევი აზრი.

როდესაც სევერიანე გაბალოვნელი მატერიალური სამყაროს შექმნაზე მსჯელობს, იგი განიზრახავს ოთხი ელემენტის შესახებ მოძღვრება ამოიკითხოს მოსეს სიტყვებში: "ექუსსა დღესა შექმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანაჲ და ყოველი რაჲ არს მას შინა". ეგზეგეტი შენიშნავს:

"შეიქმნა ცეცხლი, შეიქმნეს უფსკრულნი, შეიქმნეს ოთხნი იგი წესნი: ქუეყანაჲ, ცეცხლი წყალი, ჰაერნი; ხოლო რომელი-იგი დააკლდა, ვითარცა გზასა-გარეწარ თავ-ადგამს მოსე და იტყვს: ერთსა¹ დღესა შექმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანაჲ და ყოველი რაჲ არს მას შინა" (16-17)

πυρ εγενετο, αβυσσοι εγενοντο, ανεμοι, τα τεσσαρα στοιχεια, γη, πυρ, υδωρ, αηρ Και γαρ απερ παρελειψεν *ως εν παραδοξω ανακεφαλαιουται Μωυσης λεγων Εν εξ εμεραις εποιησεν ο θεος τον ουρανον και την γην και παντα τα εν αυτοις* (435)

მოტანილი ციტატიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ბერძნული ტექსტის ფრაზა *εν παραδοξω ανακεφαλαιουται Μωυσης*.

სიტყვა *εν παραδοξω* ნიშნავს: პარადოქსულად, უცნაურად, უჩვეულო სახით. იგი კონტექსტისათვის აშკარად შეუფერებელია, რადგანაც აღნიშნულ ადგილას საუბარია იმის შესახებ, რომ მატერიალური სამყაროს შექმნას მოსე გაკვრით ეხება და რომ იგი მხოლოდ შეჭამებულად გვაუწყებს ამის შესახებ (*ανακεφαλαιουται Μωυσης*) ბერძნული *ανακεφαλαιουται* ("აჭამებს") მოითხოვს ისეთ შესატყვისს, რომელიც შეიცავს დაუწვრილმანებელად, გაკვრით მეტყველების შინაარსს. ტექსტის გამომცემლებმა ყურადღება მიაქციეს აღნიშნულ შეუსაბამობას. მინის გამოცემაში დართულია ასეთი შენიშვნა:

ως εν παραδοξω - ასეა ვატიკანურ ნუსხაში. ასევეა სავილთანაც,

¹ ხელნაწერებშია "ერთსა". უნდა იყოს "ექუსსა" (მღრ. გამოსლ. xx, 11; აგრეთვე ბერძნ. 65)

რომელიც სხვა ხელნაწერით სარგებლობდა, თუმცა იგი ვარაუდობს *εν παραδοξω*-ს. მართალია *εν παραδοξω* უფრო შესაფერისი ჩანს, მაგრამ ჩვენ მაინც არ გვსურს შევცვალოთ ტექსტი, რადგანაც სევერიანე არცთუ იშვიათად მიჰყვება სიტყვათა უჩვეულო მნიშვნელობებს" (Pg. 56, col. 433).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემომოტანილი ფრაზა ასევე წარმოდგენილი კოზმასეულ ტექსტში: *ως εν παραδοξω ανακεφαλαιουται Μωυσης*. ესეც, ალბათ, იყო ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ ტექსტის გამომცემლებმა ხელნაწერთა ჩვენებაში ცვლილება არ შეიტანეს (თუმცა სავილის მიერ ნავარაუდები ფორმა *εν παραδοξω* გაცილებით შესაფერისია კონტექსტისათვის). ეგევე წაკითხვა დარჩა ბარეის გამოცემაშიც, რომელმაც მოტანილი ციტატა ასე თარგმნა ფრანგულად: *Ce qu'il a omis de designer, Moise l'exprime plus tard d'une etrange facon.*

როგორც ვნახეთ, *εν παραδοξω* უკვე არსებულა იმ უძველეს V ს-ის ნუსხაში, რომელსაც იყენებდა კოზმა. სავილის მიერ ნავარაუდები *εν παραδοξω* ნიშნავს: გავლით, გაკვრით. ბერძნული *παροδος* (*παρα* - თანა, მიერ, გარე, გარეშე; *οδος* - გზა) ძველად ხშირად ითარგმნებოდა, როგორც *თანაწარსლვად*, *თანაწარვდომად*, *თანაწარსლვად გზისად*. უთუოდ ეს სიტყვა უნდა ყოფილიყო ორიგინალის თავდაპირველ ტექსტში. მის ნაცვლად *εν παραδοξω* გვხვდება ჩვენთვის ცნობილ ყველა წყაროში, თვით კოზმასეულ ტექსტშიც. მცდარი ფორმის ასეთი საყოველთაო გავრცელება, ალბათ, იმით აიხსნება, რომ შეცდომა დაუშვეს ჯერ კიდევ მაშინ, როცა ბერძნული ტექსტი ფართოდ გავრცელებული არ იყო და მხოლოდ რამდენიმე ხელნაწერის სახით არსებობდა. ყოველ შემთხვევაში, მცდარი წაკითხვა დასტურდება უკვე VI ს-ის I ნახევრისათვის, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ გადამწერისეული ლაფსუსი VI ს-მდე პერიოდს ეკუთვნის.

რა სურათს გვიჩვენებს ქართული თარგმანი? ბერძნული ფრაზა *ως εν παραδοξω ανακεφαλαιουται Μωυσης* მასში ასეა გადმოცემული: "ვითარცა გზასა-გარეწარ თავ-ადგამს მოსე". ბერძნული ფრაზა ზედმიწევნით, კალკირებულიად არის თარგმნილი. რაც შეეხება სიტყვას *εν παραδοξω*, მას შეესატყვისება "გზასა-გარეწარ".

ქართული "გზასა-გარეწარ" კალკია სიტყვისა *εν παραδοξω*. ბერძნული *παρα* ძველად ხშირად ითარგმნებოდა, როგორც გარე, გარეშე, გარეწარ, ხოლო *οδος*, ჩვეულებრივ, გადმოიცემოდა სიტყვით გზა. ამას ეჭვმიუტანლად ცხადყოფს ის გარემოებაც, რომ ბერძნული *εν παραδοξω* რომელიც სევერიანეს შრომის ორიგინალში ერთგან დაუმახინჯებელი სახითაც გვხვდება, ქართულად თარგმნილია სწორედ, როგორც გზასა-გარეწარ: "ვეძიებ გზასა-გარეწარ ბრალსა" (გვ.133) *Ζητω δε εν παραδοξω την αιτιαν* (col.466)

ზემოთ მოტანილი გვქონდა ნიმუშები იმისა, თუ როგორ კალკირებულიად გადმოაქვს მთარგმნელს ბერძნული სიტყვები, ფრაზები, წინადადებები. ასეთივე ვითარება გვაქვს ამჟერადაც. ბერძნულის მიღევნებით, ქართული "გზასა-გარეწარ" ნიშნავს: "ჩავლით, გავლით, გაკვრით".

ქართული ტექსტი ექვიპოტანლად ცხადყოფს, რომ ორიგინალის თავდაპირველ ტექსტში უნდა ყოფილიყო არა *εν παραδοξω*, არამედ *εν παροδω*, რაც ამართლებს სავილის ვარაუდს, ამასთან ცხადყოფს, რომ ნუსხა, რომლითაც მთარგმნელი სარგებლობდა, ამ ადგილას ჯერ კიდევ შეუბღალავი იყო გადამწერთაგან. ამ თვალსაზრისით ქართული ტექსტის დედანი წინ უსწრებს კოზმასთვის ხელმისაწვდომ ხელნაწერს და გვაგარაუდებინებს, რომ წყარო, რომლითაც ქართველი მთარგმნელი სარგებლობდა, ორიგინალის ერთერთი უადრესი ნუსხა უნდა ყოფილიყო.

საფიქრელია, ამგვარივე ვითარება გვქონდეს კიდევ ერთ შემთხვევაში: სევერიანე გაბალოვნელი, სხვა ქრისტიან ეგზეგეტთა მსგავსად, ხშირად მიუთითებს, რომ ყოველივე ხილული და უხილავი ღვთის მყისიერი ბრძანებით შეიქმნა. ერთგან იგი აღნიშნავს: *πνευματι αγαθοτητος εγενοντο* ("სიკეთის სულით შეიქმნენ"- 465). სიტყვას *πνευματι* მინის გამოცემაში ახლავს შენიშვნა:

"ეს... აკლია სავილთან. მონტუოკონმა, როგორც ჩანს, ამოიკითხა *νευματι* (c. 465; haec... desunt in Savil. Montf. *νευματι* legisse videtur)".

მონტუოკონის მიერ ნავარაუდები და აღდგენილი *νευματι* არ გვხვდება არც კოზმასთან, სადაც, ასევე, გვაქვს *πνευματι*.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ბერძნული *νευμα* კონტექსტის მიხედვით გაცილებით მიზანშეწონილია. ეს სიტყვა აღნიშნავდა ნიშნებას, შემდეგ ბრძანებას. იგი ყოფით მეტყველებაში ხშირად უკავშირდება თვალს, თვალთ ნიშნებას. მან ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში შეიძინა ღვთიური ნებისა და ბრძანების შინაარსი. სოფოკლეს განმარტების მიხედვით, *νευμα* ნიშნავს ღვთიურ ნებას (the divine will).¹ ამავე აზრით იხმარება იგი ქრისტიანულ მწერლობაშიც. გ. ლემპი მიუთითებს, რომ ეს სიტყვა ხშირად გულისხმობს ღვთიურ ბრძანებებს (divine commands),² კერძოდ კი ცხადყოფს შესაქმის მამისეულ ნებას, განზრახვას: ყოველი ხილული და უხილავი იქმნება *νευματι πατρικω* (*παντα αυτος εδημιουργησεν ο Υιος τα γεγενημενα νευματι Πατρικω*).³ იოანე ოქროპირის მითითებით, *νευειν* ხელეწიფება მხოლოდ უფალს (*αυτω γαρ εξεστι νευειν μονον*)⁴

ზმნა *νευω* ძველად ითარგმნებოდა, როგორც "წამის-ყოფად" "წამებად" ან "წამწამებად", ხოლო *νευμα* - "წამი", "წამწამი". მაგალითად:

წამისყოფითა თუალთადთა
(ეს. 3,16)

εν νευμασιν οφθαλμων

1 E. A. Sophocles, Greek Lexicon of the Roman and Byzantine periods, vol. II, col. 781.

2 G. Lampe, The Patristic Greek Lexicon, 1961., pg. 905

3 იქვე

4 იქვე, col. 906

წამნი შენნი სიმართლესა წამებენ (II რედ. "წამს-უყოფდეს") (იგ. 4. 25)

τα δε βλεφαρα σου νευετω δικαια

რაც შეეხება ფრაზას *εν πνευματι αγαθοιητος* (სიკეთის სულით), იგი უჩვეულო შესიტყვებად მოჩანს. შესაქმესთან დაკავშირებით ეს ფრაზა, ჩვეულებრივ, არ გვხვდება. საგულისხმოა იმის აღნიშვნაც, რომ სხვაგან სევერიანე გაბლოვნელი შესაქმისეული პროცესის ასახვისას სწორედ *νευμα*-ს იყენებს: *ο νευματι τα παντα εργασαμενος* ("რომელმაც წამისყოფით... შექმნა ყველაფერი" 457).

ქართული ტექსტი ამ უკანასკნელ შემთხვევაში ასეთ თარგმანს გვაწვდის: "წამწამებითა... ყოველივე შექმნა" (106).

"წამწამება", როგორც აღვნიშნეთ, *νευμα*-ს შესატყვისია. მისი სინონიმებია "წამი", "წამება", "წამისყოფა". მნიშვნელოვანი გვეჩვენება ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნულ პირველ შემთხვევაშიც ბერძნული ტექსტის შესაბამისად თარგმანში გვხვდება არა "სული" არამედ - "წამწამება": "წამწამებითა" მით სახიერებისადათა შეიქმნნეს". ეს გარემოება ცხადყოფს, რომ ბერძნულ ნუსხაში, საიდანაც თარგმნა ხდებოდა, იკითხებოდა არა *πνευματι*, არამედ *νευματι*, როგორც ამას ვარაუდობდა მონტფოკონი. მივუთითებდით, რომ უკვე კოზმასთან გვაქვს *εν πνευματι*. ქართული თარგმანი, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც გადამწერთაგან შეუბღალავი ადრეული ნუსხით სარგებლობდა.

მესამე ჰომილიის შესავალში სევერიანე განმარტავს შესაქმის სიტყვებს: "იტყვს ღმერთი: აღმოაცენენ ქუეყანამან მწუხანე თივისაჲ და ხე ნაყოფიერი, გამომღებელი ნაყოფისაჲ" (შეს. 1, 11). ეგზეგეტი განმარტავს:

τα βλαστηματα και τα ξυλα και οι καρποι κατ'ενιαυτον βλαστανουσιν. επειδη ουν εμελλε τα υδατα παραμενειν τη γη ("მცენარეები, ხეები და ნაყოფი წლითიწლად აღმოცენდებიან, რადგანაც მიწაზე უნდა დამკვიდრებულიყვნენ (მიწაზე უნდა გავრცელებიყვნენ) წყალნი", 448).

ციტირებულ ნაწყვეტში სრულიად უადგილოა "წყალნი" (*τα υδατα*), რადგანაც საუბარი ეხება მიწისპირიდან მცენარეთა აღმოცენებას და მათ მთელ ქვეყანაზე გავრცელებას. აღნიშნულ სიტყვას (*τα υδατα*) მინის გამოცემაში ახლავს კომენტარი: *Sic omnes mss. Estque lectio haud dubie vitiata. Putat Combefucius legendum τα σπερματα vel τα φυτα. Melius fortasse ταυτα, unde errore librarii τα υδατα factum est.* ("ასეა ყველა ხელნაწერში, თუმცა ეს წაკითხვა უეჭველად შერყვნილია. კომბეფუცისიუსი ფიქრობდა, რომ მის ნაცვლად უნდა ყოფილიყო *τα σπερματα*-თესლნი" ანდა *τα φυτα* - "მცენარენი". უფრო სავარაუდოა *ταυτα* - "ესენი", რომელიც გადამწერებმა შეცდომით გადააკეთეს *τα υδατα*-დ")

ხელნაწერთა შეცდომა, მართლაც, ეჭვს არ იწვევს. ამასვე ადასტურებს ქართული თარგმანის შესაბამისი ტექსტი:

"მცენარეთა და ხეთა და ნაყოფთა წლითი-წლად აღმოაცენიან, რამეთუ აღმოცენებულნი იგი დადგრომად იყვნეს ქუეყანასა ზედა" (75).

ქართული "აღმოცენება", ჩვეულებრივ, გადმოსცემს ბერძნულ *βλαστανω*-ს.

აღმოცენებულნი (იგივეა, რაც "მცენარენი") ორიგინალის თავდაპირველ ტექსტში წარმოდგენილი იქნებოდა სიტყვით *τα βλαστηματα*. იგი სინონიმია კომბეფისიუსის მიერ ნავარაუდები *φυτα*-სი. საგულისხმოა, რომ მინი, რომელიც *τα υδατα*-ს ნაცვლად აღადგენს ნაცვალსახელს *ταυτα* (ესენი), მასში *τα βλαστηματα*-ს გულისხმობს, რადგანაც აღნიშნული ნაცვალსახელი სწორედ წინა წინადადების *τα βλαστηματα*-ს ცვლის.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც ქართული თარგმანი ორიგინალის დაუმახინჯებელ ტექსტს ასახავს.

სევერიანე გაბალოვნელი ერთგან განაჩიქებს მწვალებლებს და აღნიშნავს: *επειδη παντα βουλονται οι αθλιοι των αιρετικων παιδες* ("რადგანაც ყოველი სურთ მწვალებელთა უბადრუკ შვილებს" -447).

ტექსტი შინაარსობრივად ბუნდოვანია. სიტყვას *παντα* ახლავს გამომცემლის შენიშვნა: *hic desiderari videtur νοειν aut ειδεναι* ("აქ სასურველი ჩანს *νοειν*-*"შეცნობა"*, ან *ειδεναι* - "ცოდნა").

ქართული თარგმანი ასეთ ტექსტს გვაწვდის:

"რამეთუ ყოვლისა აღძრვად უნებს უბადრუკთა მათ მწვალებელთა შვილთა" (71).

ქართული "აღძრვად", რომლის შესატყვისიც აკლია ბერძნულ ხელნაწერებს, ჩვეულებრივ, გადმოსცემს *κινειν*-ს; ეს სიტყვა ქრისტიანულ მწერლობაში ხშირად აღნიშნავს მსჯელობის წარმოებას, განსჯას (*raise or discuss a subject, hold converse, speak*).¹ უთუოდ იგი უნდა ყოფილიყო ორიგინალის თავდაპირველ ტექსტშიც.

მესამე ჰომილიის მეექვსე ქვეთავში სევერიანე მსჯელობს იმის შესახებ, თუ როგორ წარმოიქმნება წვიმა. გაბალის ეპისკოპოსი აღნიშნავს:

τον απειρον βυθον... εις σταγονας ωσπερ σχηματι κατατεμνων, ουτω πεμπει τη γη.

მოტანილ ციტატაში უადგილოა *σχηματι*. ხსენებულ გამოცემაში მითითებულია: *Sic mss. Sav. in marg. conj. νημα τι Combef. χευμα τι posuit. Si mutandum sit, malo Savil. sequi* ("ახეა ხელნაწერებში. სავილი კიდევ ვარაუდობს *νημα τι*-*"ქსელი"*; კომბეფისი კი მის ნაცვლად სვამს *χευμα τι*. თუ შეცვლა საჭიროა, ჩვენ უფრო სავილს მივყვებით", 454).

სავილის მიერ ნავარაუდები *νημα* (ქსელი) (*σχημα*-ს ნაცვლად) უთუოდ მიზანშეწონილია, რადგანაც მოტანილი ციტატის წინ, შედარების სახით, სწორედ ქსოვის შესახებ არის საუბარი:

ωσπερ στημονα λεπτον γυνη διανησασα, τεμνει το εριον εις πολλας και διαφορους οψεις.

სავილის ვარაუდს ადასტურებს ქართული თარგმანიც:

"უვიცთა მათგან უფსკრულთა ნაწუეთნი, ვითარცა ქსელსა დაქუსულსა, ეგრე გარდამოუვლინებნ ქუეყანასა" (96).

ამგვარად, ქართული ვერსიის მიხედვით ორიგინალის თავდაპირველ ტექსტში უნდა ყოფილიყო არა *σχηματι* არამედ *νημα τι*.

1 G. Lampe, col.753.

ცოტა ქვემოთ სევერიანე აღნიშნავს:

επικείται δε ου δακτυλος θεου, αλλα στολη

აქაც სიტყვა *στολη* შეუფერებელია კონტექსტისათვის. ამ სიტყვას ერთვის კომენტარი: *Omnes mss στολη Sav. in marg. ισως εντολη Comb. εντολη στολη stare potest* ("ყველა ხელნაწერში არის *στολη*: სავილი აშიაზე აღადგენს *ισως εντολη*, კომბეტისი კი - *εντολη*, თუმცა შესაძლებელია აქ *στολη*-ც იყოს"-454).

ბერძნული *εντολη* აღნიშნულ ძეგლში ხშირად გვხვდება. იგი ქართულად თარგმნილია, როგორც "ბრძანებად". ეგვე შესატყვისი გვაქვს ამჯერადაც:

"ზედა-ადგს არათუ ბეჭედი ღმრთისაჲ, არამედ ბრძანებაჲ" (97).

ამ შემთხვევაშიც, ქართული ტექსტი ზუსტად იცავს ორიგინალის თავდაპირველ სახეს და უპირისპირდება ჩვენამდე მოღწეული ბერძნული ხელნაწერების წაკითხვას.

მეხუთე ჰომილიაში სევერიანე მსჯელობს შობისა და შექმნის შესახებ. იგი აღნიშნავს: *ποια μειζων η γεννησις, η της δημιουργιας* (473). სიტყვა *γεννησις* ასეთ კომენტარს შეიცავს: *Hic omnes mss. η ανα γεννησις habent, sed haud dubie legendum γεννησις* ("აქ ყველა ხელნაწერში არის *η αναγεννησις*, მაგრამ უთუოდ უნდა იკითხებოდეს *η γεννησις*").

ბერძნული *η γεννησις* ძველად ითარგმნებოდა, როგორც "შობაჲ".

რაც შეეხება *η αναγεννησις*-ს, იგი ჩვენს ძეგლში ყველგან თარგმნილია, როგორც "შობისა განახლებაჲ" ანდა "განახლებაჲ შობისაჲ". მაგალითად:

არამედ, ძმანო, განახლებაჲ იგი შობისა ჩუენისაჲ ეწამების დაბადებასა... არამცა ზიარ იყო შობისა განახლებასა (152).

αλλως δε, αδελφοι, η αναγεννησις ημων μαρτυρει τη δημιουργια... ουκ αν εκοινησαν εις την αναγεννησιν (col.473)

მოტანილი ციტატა ქართულად ასეა თარგმნილი:

"რომელი უფროდს არს: შობაჲ ანუ დაბადებაჲ?" (152)

ქართული "შობაჲ" მხარს უჭერს მკვლევართა აზრს. ორიგინალის თავდაპირველ ტექსტში უთუოდ *η γεννησις* უნდა ყოფილიყო.

ზემოწარმოდგენილი სურათი, ვფიქრობთ, საკმაო საფუძველს გვაძლევს იმის სათქმელად, რომ წყარო, რომლითაც სარგებლობდა ქართველი მთარგმნელი, ორიგინალის ერთერთი უადრესი, გადამწერთაგან შეუბღალავი ნუსხა უნდა ყოფილიყო.

დასკვნა

ქართული თარგმანის ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ანალიზის შედეგად შესაძლებლობა გვეძლევა დავასკვნათ:

I ქართული ტექსტი უთუოდ თარგმნილია უშუალოდ ბერძნული ორიგინალიდან.

II თარგმანი თანხვედნილ ადგილებში ზედმიწევნითი სიზუსტით, კალკირებულად გადმოსცემს ორიგინალს. ხშირია სიტყვათა ნყობის ზუსტი გადმოტანა.

III ბერძნულენოვანი ნუსხა, რომლითაც მთარგმნელი სარგებლობდა, მეტად ადრეული უნდა ყოფილიყო, უნინარესი კოზმასეული დედნისა.

ნაწილი II

**თარგმანის უპირითაღესი ტერმინების
ანალოზი**

ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები მნიშვნელოვანი წინაპირობაა ქართული თარგმანის ტერმინოლოგიური ანალიზისა. გაირკვა, რომ ხსენებული თარგმანი მომდინარეობს უშუალოდ ორიგინალიდან, ბერძნული დედნიდან, რომლის შეძლებისდაგვარად კრიტიკული ტექსტი ხელმისაწვდომია ჩვენთვის. საგულისხმოა, რომ, როგორც ნაჩვენებია იყო, ქართული ტექსტი თანმხვედრ ადგილებში კალკირებულად გადმოსცემს ბერძნულს, მის ლექსიკასა და ფრაზეოლოგიას. ეს გარემოება უფრო მეტ ფასს სძენს ქართულ-ბერძნული ტექსტების პარალელურ ტერმინულ ანალიზს, რადგანაც თუკი თავისუფალი თარგმანის შემთხვევაში მთარგმნელისაგან მოსალოდნელია ყოველგვარი სახის გადახვევა სათარგმნი დედნიდან, რაც მკვლევარს ხშირად დიდ სირთულეს უქმნის ამათუიმ ტერმინის შინაარსის ზუსტი განსაზღვრისათვის, მეორე მხრივ, როდესაც საქმე გვაქვს კალკირებულ თარგმანთან, ორიგინალის მონაცემები არაიშვიათად ერთადერთი საშუალებაა კონკრეტული ტერმინული დეფინიციისა.

რადგანაც სევერიანე გაბალოვნელის “ექუსთა დღეთას” ქართველი მთარგმნელი მთლიანად ემორჩილება სათარგმნ დედანს, ამდენად, ქართული თარგმანის საკუთრივ ტერმინოლოგიური ანალიზის უამს ჩვენც ბერძნული ორიგინალი მივიჩნიეთ განმსაზღვრელად. ქვემოთ კვლევა ასეა აგებული: უპირველესად, განვიხილავთ ამათუიმ ჩვენთვის საინტერესო ბერძნული ტერმინის თარგმნის ისტორიას ძველი ქართული მწერლობის ადრეული ხანიდან შუა საუკუნეებამდე (ჩვეულებრივ. XII-XIII სს.-მდე), შემდეგ შევისწავლით აღნიშნული ტერმინის თარგმნის საკითხს უშუალოდ ჩვენს ძეგლთან დაკავშირებით, ამის შემდეგ სპეციალურად ვეხებით პარალელურ ჩვენებებს (თუკი ასეთი არსებობს), ბოლოს კი მიღებული შედეგების ურთიერთშეჯერებით გამოგვაქვს კონკრეტული დასკვნები.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ტერმინოლოგიურ თანათარდობათა განსაზღვრისათვის ამათუიმ ბერძნული ტერმინის ქართულ შესატყვისთა (ან შესატყვისის) ანალიზის უამს, ჩვეულებრივ, ყურადღება ექცევა და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არსებული ნიმუშების აბსოლუტურ უმრავლესობას. საქმე ისაა, რომ იშვიათ შემთხვევაში შესაძლოა მოცემული ბერძნული ტერმინის ფარდად რომელიმე ქართულ თარგმანში სრულიად უჩვეულო შესატყვისი გამოვლინდეს. ასეთ ერთეულ მოვლენას, ცხადია, ვერ განვაზოგადებთ (თუმცა აღვნიშნავთ კი) და ვერ ვიტყვით, რომ ხსენებული უჩვეულო შესატყვისი ტერმინოლოგიური ფარდია მოცემული ბერძნული ტერმინისა; ამას ვერ ვიტყვით იმიტომ, რომ ჩვენ არასოდეს მიგვიწვდება ხელი ზუსტად იმ ნუსხაზე, საიდანაც თარგმნიდა ქართველი ავტორი, ასევე, არც საკუთრივ ქართული თარგმანის ავტოგრაფია, ჩვეულებრივ, შემორჩენილი. ყოველთვის უნდა ვითვალისწინებდეთ, რომ რომელიმე ჩვენთვის ცნობილ თარგმანში გამოვლენილი უჩვეულო შესატყვისი შესაძლოა ბერძნული ტექსტის დღემდე უცნობი

ნუსხიდან მომდინარეობდეს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხშირად უჩვეულო ტექსტობრივი პარალელები სრულიად მექანიკური წარმოშობისაა და გრაფიკულად მსგავს სიტყვათა ერთმანეთში აღრევით არის განპირობებული. გარდა ამისა, ქართული ტექსტის უჩვეულო წაკითხვები ზოგჯერ მომდინარეობს არა ორიგინალიდან, არამედ რომელიმე შუამავალი წყაროდან, რაც ხშირად არის მიზეზი მნიშვნელოვანი ტექსტობრივი სხვაობებისა. მხედველობაშია მისაღები, აგრეთვე, სათარგმნი დედნის სიტყვათა პოლისემიურობა.

აღნიშნავთ იმასაც, რომ ტერმინული კვლევის დროს არაიშვიათად წამოიჭრება სხვადასხვა ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური საკითხი. ჩვენი მიზანი იყო, ყოველი ასეთი საკითხი დაგვემუშავებინა შეძლებისდაგვარად სისრულითა და სიღრმით, რომ მყარი საფუძველი შექმნოდა ამათუიმ ტექსტის საკუთრივ ტერმინულ ანალიზს. სწორედ ამით არის გამოწვეული რიგ შემთხვევებში კვლევის ძირითადი თემიდან გადახვევა და საკმაოდ ვრცელი ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური განხილვები, აგრეთვე, საილუსტრაციო მაგალითების სიჭარბე, რაც ამგვარი ტიპის შრომისათვის ერთადერთ სწორ მეთოდად გვესახება და აღნიშნული გარემოება სტიქიური მსჯელობის გამოვლინებად არ უნდა იქნეს მიჩნეული.

Ουσια

1. ტერმინის ძველი ქართული შესატყვისები

Ουσια ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზრით აღნიშნავს საგნის არსებას, სუბსტანციას, ზოგადად, მუდმივ, მყარ სინამდვილეს, რომელიც არ განიცდის ცვალებადობას. Ουσια არის რაიმეს ძირეული, მარადიული თვისება, მისი განმსაზღვრელი პრინციპი. იგი ერთერთი უძირითადესი ტერმინია როგორც ანტიკური, ისე ქრისტიანული ფილოსოფიური მწერლობისა. Ουσια მოასწავებს მას, რაც არის ღვთიური არსება, ღმერთი თავისთავად, რაც არასოდეს შეიძლება, მარადიულად ტრანსცენდენტურია და გონებისათვის აბსოლუტურად მიუწვდომელი. ქრისტიანული აზრით, სამგვამოვანი ღვთის Ουσια გულისხმობს ცალკეულ პირთა, ჰიპოსტასთა ანუ "გვამოვნებათა" არსებით ერთობას, განუყოფლობას, იგივეობას. აღნიშნული შინაარსის გადმოსაცემად, ჩვეულებრივ, გამოიყენება ცნობილი ტერმინი ομοουσιος.¹

Ουσια და ομοουσιος უძველესი დროიდანვე შემოდის ქართულ ქრისტიანულ მწერლობაში. თარგმნილი ლიტერატურის აბსოლუტური უმრავლესობა მათ შესატყვისებად იყენებს ტერმინებს "არსება" (Ουσια) და "ერთარსება", "ერთარსი" ანდა "თანაარსი" (ομοουσιος)²

ქართული ოთხთავის ჯრუჭ-პარხლის რედაქციაში ორგზის გვხვდება ტერმინი "არსობად", ერთ შემთხვევაში უწინდებულად, ხოლო მეორე შემთხვევაში "თანა" წინდებულთან ერთად ("თანაარსობისად"):

"პური ესე ჩუენი არსობისად მომეც ჩუენ ღლეს" (მ.6.11).

"პური ჩუენი თანაარსობისად მომეც ჩუენ ღლითი-ღლედ" (ლ.11, 3) ორივე შემთხვევაში ბერძნულ ორიგინალში ჩვენთვის საინტერესო ტერმინების შესატყვისად გვაქვს "επι-οουσιος".

საინტერესოა აღინიშნოს, რომ პირველ შემთხვევაში აღიშის ოთხთავი ასეთ წაკითხვას გვაწვდის:

"პური ჩუენი სამარადისოდ მომეც ჩუენ ღლეს".

ჯრუჭ-პარხლის "არსობად" აღიშის ოთხთავში შეცვლილია, როგორც "სამარადისოდ". ეს, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ ბერძნული ουσια ანდა επιοουσιος ქართულად ოდესღაც ითარგმნებოდა, როგორც "სამარადისოდ". επιοουσιος პოლისემიურ სიტყვას წარმოადგენს. იგი, ერთი მხრივ, ნიშნავს "ყოველდღიურს, დღიურს", ხოლო მეორე მხრივ "არსებითს", "ბუნებითს". ჯრუჭ-პარხლის ვერსია, რომელიც, როგორც დღეისათვის გარკვეულია, ბერძნულთან შეჯერებულ ტექსტს წარმოადგენს, პირდაპირ, კალკირებულად თარგმნის ორიგინალს. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს მეორე შემთხვევაში:

¹ A Patristic Greek Lexicon, ed. G.Lampe, 1961 col.980-985; G.L.Prestige, God in patristic thought, London, 1956 pg.265-281

² ჩვენ ამჯერად ყურადღებას არ ვამახვილებთ "ομοουσιος"-ის ქართული შესატყვისების "ერთარსებისა" და "თანაარსის" შინაარსობრივ სხვაობაზე. ეს საკითხი შესწავლილია მ.რაფაევას მიერ. იხ. მ.რაფაევა, ქართული დოგმატიკის ისტორიიდან ("ერთარსება" და "თანაარს" ტერმინების გაგებისათვის), მრავალთავი, II, გვ.110-126.

"*ΕΠΙ-ΟΥΣΙΟΣ*" - "თანა-არსობად".

რაც შეეხება ადიშის ოთხთავის რედაქციას, იგი, როგორც მიიჩნევენ, ითვალისწინებს სომხურ ტექსტს. სომხურში *ΕΠΙΟΥΣΙΟΣ*-ის შესატყვისი გვაქვს "հասապօրի", რომელიც, აგრეთვე, პოლისემური სიტყვაა: ერთი მხრივ, აღნიშნავს "ყოველდღიურს, დღიურს" (სწორედ ამ შინაარსით გვხვდება იგი სომხურ სახარებაში. როგორც აღვნიშნეთ, *ΕΠΙΟΥΣΙΟΣ*-ის ერთერთი მნიშვნელობა სწორედ ესაა), ხოლო, მეორე მხრივ, "მარადიულს" (= *διαπαντος, semper*)

ადიშის რედაქციის ავტორი, როგორც ეს გარკვეულია რ.ბლეიკის მიერ, სომხურ სიტყვას "հասապօրի" აღიქვამს მისი მეორეული მნიშვნელობით. სწორედ ამით აიხსნება, რომ ბერძნული *ΕΠΙΟΥΣΙΟΣ*-ის შესატყვისად ადიშის ოთხთავში გვხვდება "სამარადისოდ".¹

საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ ადიშის სახარებას ეთანხმება, აგრეთვე, ხანმეტი ოთხთავი ("პური ჩუენი სამარადისოდ მომეც ჩუენ დღეს"). ეს გარემოება, ვფიქრობთ, მხარს უჭერს თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ხანმეტი სახარება შერეული რედაქციისაა. ლ.ქაჯაიას გამოკვლევით, "მათეს თავის დასაწყისი (5,18-11,7) ხანმეტი ტექსტის ორგანული ნაწილი არ აღმოჩნდა...ეს ის რედაქციაა, რომელიც შემოგვინახა ადიშის ხელნაწერმა. ძირითადი ტექსტი (მ. 11, 8 - ბოლომდე) კი ასახულია A ტიპის ნუსხებში. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართულში ხანმეტი ტექსტის ორი სხვადასხვა თარგმანი ერთმანეთის პარალელურად ადრეული პერიოდიდანვე (V-VI სს) არსებულა".²

როგორც პატივცემული მკვლევარი ვარაუდობს, ხანმეტი ოთხთავის გადამწერს ხელთ ნაკლული დედანი ეპყრა, რაც მან შეავსო სხვა რედაქციის ტექსტით, რომელიც ადიშის ოთხთავშია დაცული. ჩვენთვის საინტერესო მუხლი სწორედ ამ შევსებულ ნაწილში გვხვდება, ეს კი ცხადყოფს, რომ ხანმეტი ოთხთავის გადამწერს ნაკლული ტექსტი სომხურთან დაკავშირებული თარგმანით შეუვსია; რაც შეეხება ხანმეტი ოთხთავის ძირითად ტექსტს, ვფიქრობთ, საფუძვლიანია ლ.ქაჯაიას მოსაზრება მისი უშუალოდ ბერძნულიდან მომდინარეობის შესახებ.³ ამასთან, ალბათ, დაზუსტებას მოითხოვს მკვლევრის აზრი: "უნდა ვიფიქროთ, რომ ხანმეტი ოთხთავის მთარგმნელს ხელთ ეჭირა ბერძნული დედანი".⁴ ეს აზრი, ცხადია, მისაღებია, ჩვენ ხელთ არსებული ხანმეტი ოთხთავის ძირითადი ტექსტის შესახებ. რაც შეეხება იმ ვერსიას, რომლითაც ხანმეტი ოთხთავის გადამწერმა ნაკლული დედანი შეავსო, როგორც აღვნიშნეთ, ალბათ, სომხურზეც უნდა იყოს დამოკიდებული.

ზემოთ მივუთითებდით, რომ *ΕΠΙΟΥΣΙΟΣ* მეორე გზის ჯრუჭ-პარხლის ვერსიაში თარგმნილია, როგორც "თანა-არსობად",⁵ რაც ბერძნული სიტყვის კალკირებული გადმოღებაა. ასეთივე ვითარებაა ადიშის ოთხთავშიც, თუმცა

1 R. Blake, Notes on the text of the Georgian and Armenian Gospels, Quantulacumque, 1937, pg.360

2 ხანმეტი ტექსტები, ნაკვეთი I ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლ.ქაჯაიამ. თბ. 1984, გვ.327

3 ლ. ქაჯაია, დასახ. შრომა, გვ.336-340.

4 იქვე, გვ.338

5 ქართული ტერმინის "თანაარსის" წარმოქმნის შესახებ სპეციალურად მსჯელობს მ.რაფაევა (მრავალთავი, II, გვ.114). ამ თვალსაზრისით შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა მიენიჭოს ზემოაღნიშნულ მაგალითსაც.

ამ შემთხვევაში ადიშის ოთხთავის ტექსტს მნიშვნელობა არ ენიჭება, რადგანაც ამ ნაწილში იგი ნაკლები ყოფილა და შეუვსიათ სწორედ ჯრუჭ-პარხლის ტიპის ხელნაწერით.¹ რაც შეეხება ხანმეტ ოთხთავს, მას ჩვენთვის საინტერესო მუხლი (ლუკა 11, 3) აკლია, მაგრამ რამდენადაც უშუალოდ მის წინა ნაწილში (ლუკა 11, 1-2) ხანმეტი ტექსტი სიტყვა-სიტყვით მისდევს ჯრუჭ-პარხლის რედაქციას, ამდენად, საფიქრელია მასშიც *επιουσιος*-ის შესატყვისად აგრეთვე "თანა-არსობად" გვქონოდა. შევადაროთ²:

DE

C

X

და იყო ადგილსა რომელსამე თავადი და ილოცვიდა. და ვითარცა დაჰსცხრა ღოცვისაგან, ჰრქუა ვინმე მას მოწაფეთაგანმან: უფალო, გუასწავე ჩუენ ღოცვად, ვითარცა-იგი იოვანე ასწავა მოწაფეთა თვსთა. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: რაჟამს ილოცვიდეთ, თქუთ: მამაო ჩუენო, ზეცათაო, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევად შენი, იყავნ ნებად შენი. პური ჩუენი თანა-არსობისად მომეც ჩუენ...

და იყო ადგილსა რომელსამე თავადი ილოცვიდა. და ვითარცა დასცხრა ღოცვისაგან, ჰრქუა ვინმე მოწაფეთაგანმან: უფალო, გუასწავე ჩუენ ღოცვად, ვითარცა იოვანე (ასწავა) მოწაფეთა თვსთა. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: რაჟამს ილოცვიდეთ, თქუთ: მამაო ჩუენო, ზეცათაო, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევად შენი, იყავნ ნებად შენი. პური ჩუენი თანაარსობისად მომეც ჩუენ...

და ხიყო ადგილსა რომელსამე თავადი და ხილოცვიდა. და ვითარცა დახცხრა ღოცვისაგან, ხრქუა ვინმე მას მოწაფეთაგანმან: უფალო, გუასწავე ჩუენ ღოცვად, ვითარცა-იგი იოჰანე ხასწავა მოწაფეთა თვსთა. ხოლო თავადმან ხრქუა მათ: რაჟამს ხილოცვიდეთ, თქუთ: მამაო ჩუენო, ზეცათაო, წმიდა ხიყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევად შენი, ხიყავნ ნებად შენი... (აკლია)

როგორც ვხედავთ, სამივე ტექსტი ერთი-მეორის იგივეობრივია. განსაკუთრებით ეს ითქმის ხანმეტურისა და ჯრუჭ-პარხლის სახარებათა შესახებ, რომლებიც აბსოლუტურად თანხვდებიან ერთმანეთს (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხანმეტი ტექსტის "ხანმეტობას" და საკუთარი სახელის "იოვანეს" "იოჰანეთი" შენაცვლებას). ამგვარი აბსოლუტური სიზუსტე ბუნებრივად გვაფიქრებინებს, რომ მომდევნო მუხლიც ერთნაირი იქნებოდა მათ შორის. ჩვენი აზრით, ლუკას თავის დასაწყის მუხლებში, მათ შორის,

1 ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, თბ. 1945, გვ.10
2 ხელნაწერთა აღსანიშნავად ვიყენებთ სპეციალურ ლიტერატურაში მიღებულ ლიტერებს: D-ჯრუჭის ოთხთავი, E-პარხლი ოთხთავი, C-ადიშის ოთხთავი, X-ხანმეტი ოთხთ.

ჩვენთვის საინტერესო III მუხლშიც A ტიპის ხელნაწერებს ზედმიწევნით უნდა ჰქონდეთ დაცული ქართული ოთხთავის ის უძველესი, ხანმეტობის დროინდელი რედაქცია, რომელიც A-89 და A-844 ხელნაწერებმა შემოგვინახეს.

ასე რომ, ქართული სახარების უძველესი რედაქცია, რომელიც ბერძნულთან განსაკუთრებულ სიახლოვეს ამჟღავნებს (A ტიპის ხელნაწერები), და რომელიც დაახლოებით V-VI სს-ის თარგმანად მიიჩნევა, ბერძნული *επιουσιος*-ის შესატყვისად გვაწვდის ტერმინს თანა-არსობად, სადაც "თანა" გადმოსცემს *επι*-ს, ხოლო "არსობად" - *ουσια*-ს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გვეფიქრა, რომ ყოველ შემთხვევაში VI ს-ისთვის მაინც, ბერძნული *ουσια* ქართულად უკვე ითარგმნებოდა, როგორც "არსობად" ანუ "არსებად". ამგვარ აზრს მხარს უჭერს სხვა ტექსტები:

როდესაც ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ადრინდელი სახის შესახებ ვსაუბრობთ, ბუნებრივია, უპირველესად იმ თარგმანებისკენ მივაქცევთ ყურადღებას, რომლებიც ცნობილმა "მრავალთავებმა" შემოგვინახეს.

დღეისათვის საკამათოდ აღარ ითვლება ქართული "მრავალთავების" ძირითადი ფენის უძველესობა. ეს საკითხი სპეციალურად გამოიკვლია მ.ვან ესბროკმა. მკვლევარის დასკვნით, "le Mravalthavi Georgien temoigne egalement d'un enracinement qui s'enforce profondement dans le vi siecle et meme jusqu'au V siecle".¹ აგრეთვე, იმავე მკვლევარის მითითებით, "l'Homiletique Georgienne...temoigne d'un noyau tres ancien, recu et traduit des la fin du V'siecle"²

"პარხლის მრავალთავი" (A-95) შეიცავს წმ. ნინოს ავტორობით ცნობილ ორ ქადაგებას, რომლებიც მ.ვან ესბროკის აზრით, შეუძლებელია VI ს-ზე გვიან იყოს შექმნილი.

აღნიშნულ ქადაგებაში ერთგან ვკითხულობთ: დვთიურმა სიტყვამ "დაიტალავრა ვორცთა შინა განუშორებელად და განუყოფელად მარადის მამულისა არსებისაგან" (A-95, 76).

ფრაზა "მამული არსებად" ნიშნავს ზეციური მამის ანუ მამა ღმერთის "არსებას", რომელიც არის, აგრეთვე, "არსება" მისგან შობილი ძისა. მოტანილ ციტატაში ხაზია გასმული ძე ღმერთისა და მამა ღმერთის "არსების" იგივეობაზე, მათ "ერთ-არსებაზე". ეს აზრი ქრისტიანული ტრინიტარიზმის საფუძველია. ამ შემთხვევაში "არსებას" უეჭველად ბერძნული *ουσια*-ს შინაარსი აქვს.

ουσια-სთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ტერმინი *ομοουσιος* რომლის ქართული ეკვივალენტებია "თანაარსი" ანდა "ერთარსება" (= "ერთარსი").

ორივე მათგანი უძველესი დროიდანვე დამკვიდრდა ქართულ მწერლობაში. ისინი გვხვდება წმ. ნინოსადმი მიწერილ მეორე ქადაგებაში "ნათლისღებისათვის".

"ესე არს, რომელ არს: მამად და ძე და სული წმიდად, ერთარსებად

1 M. van Esbroeck, Les Plus Anciens Homelias Georgiens, Etude descriptive et historique, Louvain 1975 pg.346.
2 იქვე, pg.IX შტრ. თ.მგალობლიშვილი კლარჯული მრავალთავი, თბ. 1991, გვ. 130.
3 il est impossible de fixer a ces deux homelias une date posterieure au VI siecle", იქვე, pg.305.

უწინარეს საუკუნეთა" (A-19, გვ 387).

"ყოვლისა მპყრობელობად ერთარსებით აქუს და არა განკვეთო, ხოლო ერთარსება არს უკუდავი, გარნა თვსთვსობად განვყო განუყოფელისა ერთარსებისა სამებისა წმიდისა" (A-19, გვ.387)¹

"ერთარსებად ღმრთისად".²

"აკურთხევდევს დაუსაბამოსა თანაარსსა, უკუდავებისა ერთარსებასა".³

"განუყოფელისა ერთარსებისა".⁴

აღნიშნულ ქადაგებაში ტერმინი "არსება" ცალკეც გვხვდება:

"რომელი იგი დაუსაბამოდ და უჟამოდ არსებად არს" (იქვე).

მითითებულ მაგალითებში "ერთარსება" და "თანაარსი" უეჭველად შეიცავს *ομοουσιος*-ის შინაარსს, ხოლო ცალკე "არსებად" ბერძნულ *ουσια*-ს უნდა გადმოსცემდეს.

ამგვარად, წმ.ნინოსადმი მიწერილი ქადაგებები, რომლებიც მ.ესბროკის აზრით შექმნილია არაუგვიანეს VI ს-ისა, გვიჩვენებს, რომ ამ დროისათვის *ουσια*-სა და *ομοουσιος*-ის სანაცვლოდ ქართულ მწერლობაში უკვე დამკვიდრებული იყო ტერმინები "ერთ-არსებად", "თანაარსი" და "არსებად".

"მრავალთავეების" სხვა საკითხავთა შესწავლაც ამასვე გვიდასტურებს. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"ათონის მრავალთავი" (Ath.11) შეიცავს გრიგოლ ნეოკესარიელის ორ საკითხავს ხარების შესახებ. ეს საკითხავები დაცულია "სინურ მრავალთავშიც". ესბროკის მითითებით, ისინი სრული სახით უნდა არსებულებოდნენ, აგრეთვე, პარხლის, ტბეთისა და უდაბნოს მრავალთავეებში.⁵ ეს ფაქტი თავისთავად ცხადყოფს, რომ აღნიშნული საკითხავები მრავალთავეების უძველეს ფენას ეკუთვნის და შესაბამისად V-VI სს-ის თარგმანებს უნდა წარმოადგენდნენ. "მრავალთავეები" შეიცავენ ხარებისადმი მიძღვნილ კიდევ ხუთ საკითხავს. მ.ესბროკი აღნიშნავს: "ამგვარად, ხარების ჯგუფი მოიცავს შვიდ ტექსტს, რომელთაგან პირველი ორი (იგულისხმება ზემოაღნიშნული საკითხავები გრიგოლ ნეოკესარიელისა, ე.ჭ.) ადვილად გამოიყოფა მათგან, როგორც უფრო ძველები".⁶ მკვლევარის აზრით, ისინი ერთი პირის მიერ უნდა იყოს თარგმნილი. დრო თარგმანისა, როგორც აღვნიშნეთ, დაახლოებით V-VI საუკუნეებია. მეორე საკითხავში გვხვდება ჩვენთვის საინტერესო ტერმინი:

"სამებად წმიდად და ერთი არსებად სოფელსა ეუწეების"⁷

τριας αγια και ομοουσιος εν τω κοσμου γνωριζεται
(Pg.18 col.1169D)

მ. ესბროკის გამოკვლევით, ხარებისადმი მიძღვნილი სხვა საკითხავების ქართული თარგმანები ზემოაღნიშნულებთან ერთად ჰომოგენურ ჯგუფს ქმნის. ისინი, მკვლევარის აზრით, "ცოტა მოგვიანებით" (*peu apres*) უნდა ჩაერთოთ.

1	დამოწმებულია მ.რაფაჟას მიერ. დასახ. შრომა, გვ.112
2	იქვე
3	იქვე
4	იქვე
5	M. van Esbroeck, les plus anciens... pg.64-65
6	M. van Esbroeck, les plus anciens... pg.261.
7	სინური მრავალთავი 864 წლისა, თბ. 1959, გვ.16

"მრავალთავებში"¹. მათი ქართულად თარგმნის დროდ დაახლოებით VI საუკუნე ივარაუდება.

გრიგოლ ნეოკესარიელი "ხარებისათვის", საკითხავი III:

"ძვ ღმრთისად, თანახატი
და თანაარსი და თანა-
მსგავსი მამისად"²

ათანასე ალექსანდრიელი, "შობისათვის":

უცვალებელად ეგო წმიდად
იგი არსებად

*αναλλοιωτου μενουσης της
αγιας ουσιας*
(Pg.56 col.394A)

პროკლე კონსტანტინოპოლელი, "ღმრთისმშობლისათვის":

"რამეთუ იგი თავადი უმ-
ჯულოებით არსებასა მას
განჰყოფს".⁴

*εκεινος γαρ ασεβων την
ουσιαν τεμνει*
(Pg.65, col.689A)

ეპიტანე კვბრელი, "ქალწულისა მარიაამისთვის":

"მამად სრული, ძვ სრული,
სული წმიდად სრული: ვრ-
თარსება, სამებად წმი-
დად"⁵

იქმნა ერთღმრთეება და
ერთარსება⁶

უძველეს თარგმანებად ითვლება, აგრეთვე, კირილე იერუსალიმელის საკითხავები, რომლებიც მ.ვან ესბროკის მითითებით ტექნიკური ლექსიკონის თვალსაზრისით მჭიდროდ უკავშირდება ზემოაღნიშნულ ძეგლებს. მათში ხშირად გვხვდება ჩვენთვის საინტერესო ტერმინები. მაგალითად:

"მიგებებისათვის უფლისა":

"მარადის მამისა თანა-
მყოფ არს, ერთი არსე-
ბად"⁷

*αι το πατρι συμπαραων,
ομοουσιος*

1 M. van Esbroeck, les plus... p.261

2 სინური მრავალთავი, გვ.19. დამოწმებული აქვს მ.რაფაეას: დასახ. წერილი, გვ.112

3 სინური მრავალთავი, გვ.38

4 იქვე, გვ.44

5 სინ. მრავ. გვ.46

6 იქვე, გვ.51

7 M. van Esbroeck, დასახ. შრომა, pg.261. შდრ. თ. მგალობლიშვილი

8 კლარჯული მრავალთავი, გვ. 118)

8 ტექსტი გამოსაცემად მომზადებული აქვს თ.მგალობლიშვილს, გვ.20

"მამისა არსებად აქუს"¹

πατρος την ουσιαν εχων

"საკითხავი სულისა წმი-
დისაჲ":

"ერთარსებისაჲ მის მაც-
ხოვნებელისა ჩუენდა მო-
მართ მოღუაწებისაჲ"²

*μιας ουσιας³ σατηριωδους
οικονομιας εις ημας*

სიძველის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, საკითხავი "კითხვა-მიგებაჲ გრიგოლისა და ბასილისი".

თარგმანი რომ აღრინდელია, ამას ცხადყოფს თვეთა წარმართული სახელები,⁴ რომლებიც თხზულებაში **თოთხმეტჯერ** გვხვდება (სთულისაჲ-ორგზის; იგრიკისაჲ-ხუთგზის; ახალწლისაჲ; მარიალისაჲ; ტირისკნისაჲ; ვარდობისაჲ-ორგზის; აპნისაჲ-ორგზის). თვეთა უძველესი ქართული სახელები ასეთი დიდი რაოდენობით არ გვხვდება არცერთ ჩვენთვის ხელმისაწვდომ სხვა ძეგლში. მით უმეტეს, აღნიშნული თარგმანი მოცულობით მცირეა. კარგად არის ცნობილი, რომ თვეთა რომაული სახელწოდებები VII ს-ის დამდეგიდან თანდათანობით მთლიანად დევნის ხმარებიდან ძველ ქართულ სახელწოდებებს. ჩვენთვის საინტერესო თარგმანში უკლებლივ ყველგან ძველი სახელწოდებები გვხვდება, რაც ძნელი ასახსნელი იქნებოდა, თარგმანი რომ VI ს-ზე გვიანდელი პერიოდისთვის მიგვეკუთვნებინა.

საგულისხმოა ისიც, რომ თარგმანში გვხვდება ისეთი არქაული ლექსიკური ერთეული, როგორცაა "მეერთისა მპურობელი" ("ფარვაჲ მეერთისა მპურობელისაჲ", A-95, 213; "ანგელოზი უფლისა მეერთისა მპურობელისაჲ არს"; 214)⁵

აღნიშნულ ძეგლში სამგზის არის დამოწმებული "არსებაჲ" *ουσια*-ს შინაარსით:

"ეჩუენა-ლათუ ღმერთი, არა
არსებით, არამედ საუცრი-
თა ნათლისაჲთა" (A-95,
215)

"არსებაჲ ღმრთისაჲ არა-
ვინ იხილა" (216)

θεου ουσιαν ουχ ορασιν⁶

1 ტექსტი გამოსაცემად მომზადებული აქვს თ.მგალობლიშვილს, გვ.21

2 კლარჯული მრავალთავი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თ.მგალობლიშვილმა, თბ. 1991, გვ.324

3 ბერძნული *μιας ουσιας* მთარგმნელმა, როგორც ჩანს, გაიაზრა ასე: *μιας ουσιας*

4 M. van Esbroke, pg.262

5 ამ ტერმინის შესახებ იხ. ი.აბულაძე, შრომები, I. თბ. 1975, გვ.128-129.

6 იხ. G.Heinrici, Griechisch-byzant. Gesprächbucher... ASAWL N28, 1911, pg.34

"განვლე გონებითა სიმ-
დიდრჳ იგი გამოუთქუმე-
ლისა არსებისაჲ (220)

"სვანურმა მრავალთავმა" შემოგვინახა პეტრე იერუსალიმელის ჰომილია "შობისათჳს", რომელიც გამოცემულია ი. აბულაძის მიერ.¹ მის შესახებ არსებობს კ. კეკელიძის სპეციალური წერილი.² მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს თხზულების ერთ ადგილზე: "საუკუნეთა უწინარჳს მამამან ღმერთმან და სიტყუამან და ყოველთა შემოქმედმან ჩუენი ესე ბუნებაჲ კაცთმოყუარებისათჳს შეიმოსა".³

კ. კეკელიძე ციტატას ასეთ კომენტარს ურთავს: "ეს ნიშნავს: "უწინარჳს საუკუნეთა" ჩუენი ხორციელი ბუნება შეიმოსა მამა ღმერთმა, რომელიც ამავე დროს არის "სიტყუა" და "ყოვლისა შემოქმედი". შეიძლება ადამიანმა იფიქროს, რომ ჩვენ აქ გვაქვს ნებისთი თუ უნებლიეთი დამახინჯება ტექსტისა, იმდენად შორდება ეს შეხედულება მართლმადიდებელთა ეკლესიის შეხედულებას. მართლაც, ამ შეხედულებით, პირველ ყოვლისა, ისე გამოდის, თითქოს ხორცი შეისხა მამა ღმერთმა, რაც ეკლესიისათვის უცხოა. მეორე - ეკლესიის მოძღვრებით "განკაცნა", ესე იგი, კაცად იქცა მხოლოდ ძე ღვთისა, ქრისტე, მაგრამ არა "უწინარჳს საუკუნეთა", არამედ გარკვეულ დროს (გალ. IV, 4). მესამე - ღმერთი დაიბადა ადამიანებისათვის. როგორ დაიბადებოდა ის "უწინარჳს საუკუნეთა", როდესაც ადამიანი არ არსებობდა? ვფიქრობთ, აქ ტექსტის დამახინჯებასთან არ უნდა გვქონდეს საქმე, პირიქით აქ ჩვენ თვალწინ იშლება გარკვეული სისტემა".⁴

პატივცემული მკვლევარის აზრით, ეს სისტემა ძალიან უახლოვდება II-III სს-თა ერთ ერეტიკულ მოძღვრებას, მონარქიანობას ანუ პატრიპასიანიზმს, რომლის თანახმადაც ღმერთი ჰიპოსტასურად ერთია, ის მამაც არის, ძეც და სული წმიდაც. მამა ღმერთი და ქრისტე ერთიდაიგივეა. ქრისტეს სახით ხორცი შეისხა მამა ღმერთმა.⁵

საბოლოოდ, კ. კეკელიძე ასკვნის: ერეტიკული შინაარსის გამო თხზულება დაუყოვნებლივ მოსპეს ბერძნულ ენაზე, ხოლო "ქართულ ენაზე მოუსწრიათ მისი გადმოთარგმნა. ეს საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ გადმოთარგმნილია ის არა უგვიანეს მეექვსე საუკუნისა, სანამ ბერძნულ ენაზე მოისპობოდა ის".⁶

პეტრე იერუსალიმელის ჰომილია, საფიქრელია, მართლაც ძველი თარგმანი იყოს. საგულისხმოა, რომ მასში ორგზის გვხვდება ტერმინი "მართლდიდებაჲ" ("კეთილ არს მოვსენებაჲ... მართლდიდებისა მოძღურებისაჲ";⁷ "მართლდიდებისა ნავთსაყუდელსა შეგიყვანებ შენ").⁸ ამ ტერმინის შესახებ ქვემოთ გვაქვს დეტალური მსჯელობა, ამჯერად კი აღვნიშნავთ რომ ბერძნული *ορθοδοξία*-ს შესატყვისად ქართულ მწერლობაში უკვე VIII ს-დან ვრცელდება და კანონდება ტერმინი "მართლმადიდებლობაჲ". მისი მარტივი სახე "მართლდიდებაჲ" გვხვდება უფრო ადრინდელ ხანაში. ხანმეტი ტექსტები, აგრეთვე ჰაგიოგრაფიულ-ჰომილეტიკური ძეგლების უადრესი თარგმანები სწორედ ამ ფორმას იცნობენ.

1 ი. აბულაძე, შრომები, III, თბ. 1982, გვ. 97-106
2 კ. კეკელიძე, პეტრე იერუსალიმელის ჰომილია, ეტიუდები, VI, თბ. 1960, გვ. 226-231.
3 ი. აბულაძე, დასახ. შრომა, გვ. 104
4 კ. კეკელიძე, დასახ. შრომა, გვ. 231
5 კ. კეკელიძე, დასახ. შრომა, გვ. 231
6 იქვე
7 ი. აბულაძე, დასახ. შრომა, გვ. 105
8 იქვე, გვ. 103

მეორე მხრივ, უძველესი იადგარისა და VIII-IX სს-ის სხვა თარგმანებისათვის მხოლოდ "მართლმადიდებლობაჲ" არის ნიშნული, რაც არ შეცვლილა არც მომდევნო პერიოდში. ამ თვალსაზრისით პეტრე იერუსალიმელის ჰომილია ადრინდელი ტრადიციის ამსახველი ჩანს, ეს კი გვაფიქრებინებს, რომ თარგმანი არ უნდა მიეკუთვნებოდეს VII ს-ზე გვიანდელ ეპოქას (ამავე თარგმანში გვხვდება სხვა არქაული ტერმინებიც: "ღმრთისშემოსილი", გვ. 309, ნაცვლად "ღმერთშემოსილისა"; "თითოეულებაჲ" თვისების შინაარსით, გვ. 105; "ღმრთისშუენიერი" ნაცვლად "ღმრთივშუენიერისა", გვ. 103, აგრეთვე, ლექსიკური იშვიათობანი: "აღმოაზულის", გვ. 97; "მოწიფებული", გვ. 97; "მიგვწესს", გვ. 101 და სხვა. განსაკუთრებით საყურადღებოა ტერმინები "არსებაჲ" და "არსობაჲ" ჰიპოსტასური შინაარსით. იხ. ქვემოთ)..

რაც შეეხება მოძღვრებას მამა ღმერთის განკაცების შესახებ, რაც პატრიპასიანიზმის სახელითაა ცნობილი, ვფიქრობთ, პეტრე იერუსალიმელის ჰომილიაში მისი კვალი არ ჩანს.

პეტრე იერუსალიმელის მოღვაწეობის დროს, VI ს-ში, ეს მოძღვრება რეალურად არსად გვხვდება. მეტად საეჭვოა იერუსალიმის პატრიარქი ყოფილიყო მისი ადვოკატი. ამასთან, როგორც მიუთითებს თვით კ.კეკელიძე, "პეტრეს თეოლოგიურ-ფილოსოფიური სისტემა მიმართულია სპეციალურად მონოფიზიტობის წინააღმდეგ".¹ ასევე, ი.აბულაძის შენიშვნით, აღნიშნულ ჰომილიას დიოფიზიტური ეკლესიის თვალსაზრისი თვალნათლივ ატყვია.² ჩვენ ამ მომენტზე ყურადღებას ვამახვილებთ იმიტომ, რომ პატრიპასიანიზმი ანუ მონარქიანობა, პირიქით, სწორედ მონოფიზიტობის უკიდურეს ფორმას წარმოადგენს.³ რაც მთავარია, მოძღვრება მამა ღმერთის "საუკუნეთა უწინარეს" განკაცების შესახებ უცხოა არა მხოლოდ პატრიპასიანიზმისთვის, არამედ საზოგადოდ ყოველგვარი თეოლოგიური სისტემისათვის; ამგვარი თვალსაზრისი შეუძლებელია საერთოდ არსებულებო, რადგანაც "საუკუნეთა უწინარეს" არც ადამიანი იყო გაჩენილი და შესაბამისად არც ღვთის განკაცება მოხდებოდა. ამგვარი ნონსენსუალური ფრაზა თავისთავად გვაფიქრებინებს, რომ საქმე უნდა გვქონდეს არა რაიმე ერეტიკულ დოქტრინასთან, არამედ უბრალოდ ტექსტის დამახინჯებასთან, რაც დაახლოებით სამი საუკუნის მანძილზე (ბელნაწერი ამ ჰომილიისა X ს-ს ეკუთვნის) სრულიად ბუნებრივია. დავუკვირდეთ ციტატის იმ ნაწილს, რომელიც თითქოს პატრიპასიანიზმის კვალს ატარებს:

"საუკუნეთა უწინარესს მამამან ღმერთმან"...

ტექსტში აზრობრივი დისონანსი შეაქვს მხოლოდ ერთ სიტყვას "მამამან", რომლის ნაცვლად, ჩვენი აზრით, თარგმანის თავდაპირველ ტექსტში გვექნებოდა "მან მან", ანუ ზემომოტანილი სიტყვები ასე იქნებოდა წარმოდგენილი:

"საუკუნეთა უწინარესს-(მან) (მან) ღმერთმან".

ამგვარი აღდგენის შემდეგ ციტატა ასეთ სახეს მიიღებს:

"საუკუნეთა უწინარესსმან მან ღმერთმან და სიტყუამან და ყოველთა შემოქმედმან ჩუენი ესე ბუნებაჲ კაცთმოყუარებისათვს შეიმოსა".

წინადადების აზრი ცხადია: ღვთიურმა სიტყვამ, რომელიც თვით არის

1 კ. კეკელიძე, დასახ. შრომა, გვ.230

2 ი. აბულაძე, შრომები, III, გვ.40

3 პატრიპასიანიზმის შესახებ იხ. H.Wolfson, The Philosophy of the Church Fathers, vol. I, Cambridge 1970, pg.104

ჭეშმარიტი ღმერთი და საუკუნეთა უწინარესი, ადამიანური ბუნება "შეიმოსა". ეს აზრი ქრიტიანული ორთოდოქსიის მრწამსია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ამგვარი აზრი თითქმის იმავე სიტყვებით კვლავ მეორდება ჰომილიაში:

"საუკუნეთა უწინარეს-მან მან სიტყუამან და ჭეშმარიტმან ღმერთმან... ვორცნი შეისხნა და კაც იქმნა".¹

შევადაროთ:

"საუკუნეთა უწინარეს[მან მან] ღმერთმან და სიტყუამან... "

საუკუნეთა უწინარესმან მან სიტყუამან და ჭეშმარიტმან ღმერთმან... "

ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, საეჭვო აღარ უნდა იყოს, რომ პეტრე იერუსალიმელის ჰომილიაში პატრიპასიანიზმის კვალი არ ჩანს; უფრო მეტიც, თხზულება ამკარად ანტიპატრიპასიანულია. მასში კატეგორიულადაა უარყოფილი ღმერთების "ვნება" ანუ "passio".

"უვნებელ არს ღმრთეებად... ქრისტემან რად ივნო ჩუენთვის ვორციტა, არა თქუა, ვითარმედ "ღმრთეებითა", რამეთუ ღმრთეებად ჭეშმარიტად უვნებელად ჰკიეს"²

მიუხედავად იმისა, რომ თხზულებაში ერესის კვალი არ ჩანს, იგი, როგორც აღვნიშნეთ, საფიქრელია, მაინც ძველი თარგმანი იყოს, დაახლოებით VII ს-ისა. მასში რამდენჯერმე გვხვდება ჩვენთვის საინტერესო ტერმინები:

"მსგავს თვისა მის არსებისა".³

"აღვიარებთ თანაარსად მამისა ღმრთეებითა და თანაარსად ჩუენდა მომართ მასვე კაცობითა."⁴

"შეყოფითა მით ორისა მის ბუნებისა გინა არსობისა..." (იქვე, გვ. 104).

"რომელი მამისა თანასამარადისოდ არს და თანაარსი" (იქვე).

როგორც ზემოთ მივუთითეთ, ამავე თარგმანში ტერმინები "არსებად" და "არსობად" გვხვდება ჰიპოსტასური შინაარსითაც. მაგალითად:

"დაღათუ ორთა ბუნებათა განუყოფელად ვიცით იგი, არსობითა ერთობად შეურწყუველად და განუყოფელად ჰკიეს"⁵.

"არსებით ერთობად იგი ღმრთეებისა და კაცებისა მის მისისად იქმნა".⁶

"არსობისად მის ერთობად იგი ცოცხლად ჰკიენ და დამარხულად არნ ბუნებათა მათ თითოეულებასა მას შინა".⁷

ტერმინოლოგიური თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს გრიგოლ ღვთისმეტყველის საშობაო საკითხავი, რომელიც ტბეთის მრავალთავმა შემოგვინახა. აქაც ბერძნული *ουσια* "არსებად" არის თარგმნილი:

უფსკრული არსებისა მი-
უწდომელი

πελαγος ουσιας απειρον
(Pg.36, col.317 B)

1 ი. აბულაძე, დასახ. შრომა, გვ.104

2 იქვე

3 ი. აბულაძე, დასახ. შრომა, გვ.105

4 იქვე, გვ. 105

5 იქვე, გვ. 105

6 იქვე, გვ. 105

7 ი. აბულაძე, დასახ. შრომა III გვ. 105.

8 ი. აბულაძე, შრომები, III გვ.85

მსგავს სურათს გვიჩვენებს, აგრეთვე, მრავალთავეების სხვა საკითხავეები. მაგალითად:

ათანასე ალექსანდრიელი, მარტვილიისათვის:

"რომელი (ქრისტე) სწორ არს არსებითა მამისა (A-144, 136)"

τω Πατρι την ουσιαν εφαμιλλον (Pg.52, 810)

პროკლე კონსტანტინოპოლელი, ნათლისღებისათვის:

"ვადიდებთ... მხოლოდშობილსა ძესა... სამებასა ერთარსებასა" (A-95, 253)

იოანე ოქროპირი, ნათლისღებისათვის

"თანაარსი და ერთპატივი" (სული წმიდა და ქრისტე; A-95, 265)

ομοουσιον σοι και ομοτιμον (Pg.10, col.1184 B)

"ჯერ არს ჩემდა... ერთარსებისა სამებისა სახელითა ნათლისღებად" (A-95,268)

Δει με βαπτισθηναι... της ομοουσιου Τριαδος (col.1185 D)

"ესე არს ძე ჩემი... ბუნების-მტე არსებითა" (A-95, 269)

ουτος εστιν ο Υιος μου ομοουσιος (col.1188D)

იოანე ოქროპირი, გარდაცვალებისათვის ღმრთისმშობელისა, II საკითხავი:

"დაუსაბამოო მამაო, დაუსაბამოო ძეო, დაუსაბამოო სულო წმიდაო: ერთარსებაო, ერთღმრთეებაო, გადიდებთ".¹

ზემოაღნიშნულ ძეგლებს გვერდით უდგას, აგრეთვე, უძველესი იადგარი. ე.მეტრეველის მითითებით: "თარგმნილია ქართულად ამ იადგარის თავდაპირველი პლასტი არაუგვიანეს VI საუკუნის მეორე ნახევრისა".² ეს, უპირველეს ყოვლისა, ითქმის ე.წ. "ოხითების" შესახებ.³ მართალია, "ოხითად" წმინდა

1 სინური მრავალთავეი, გვ.205. დამოწმებული აქვს მ.რაფაევს. მკვლევარის აზრით, ამ შემთხვევაში "ერთარსება" კონკრეტულად სული წმიდას მიემართება (მრავალთავეი, II, გვ. 113). მთლიან კონტექსტზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ეს ტერმინი განსაზღვრავს სამების სამივე წევრს (დაუსაბამო მამას, დაუსაბამო ძეს, დაუსაბამო სულს) ანუ ხაზს უსვამს არსებით მათ იგივეობას. ამაზე მიანიშნებს მომდევნო ეპითეტიც "ერთღმრთეება".

2 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, I, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს ემეტრეველმა, ც.ქანკიევმა, ლ.ხევსურიანმა, ლ.ჯღამაიამ. თბ. 1978, გვ.10

3 ამის შესახებ ცნობა მოგვაწოდა ლ.ხევსურიანმა

ლიტურგიკული დანიშნულების ტექსტს წარმოადგენს, რომელიც თავისი უბრალო ენითა და მარტივი შინაარსით უშუალოდ მორწმუნის გულზე ახდენს გავლენას (ამგვარი ტიპის ტექსტებში ფილოსოფიურ-თეოლოგიური ცნებები, ჩვეულებრივ, არ ფიგურირებს), მაგრამ ერთ შემთხვევაში აქაც გამოვლინდა ჩვენთვის საინტერესო ტერმინი:

"მხოლოდშობილი ძმ და სიტყუდ ღმრთისად, უკუდავი არსებად"¹

საეჭვო არ უნდა იყოს, რომ "უკუდავი არსებად" გადმოსცემს ბერძნულ *"η αθανατος ουσια"*-ს. ღვთის ამგვარი პრედიკატი ხშირად გვხვდება; მაგალითად, იგი დამოწმებულია თეოდორიტე კვირელთან (*ο θεος ουσια γαρ αθανατος*),² აგრეთვე, ანტონ დიდის ეპისტოლეებში (იხ. ქვემოთ).

რაც შეეხება "უძველეს იადგარს", როგორც კრებულს, იგი VII ს-ის II ნახევარში, ყოველ შემთხვევაში, VIII ს-ის დასაწყისში უკვე უნდა არსებულიყო ქართულ ენაზე. მთელი ტექსტის მანძილზე აურაცხელი რაოდენობით გვხვდება ტერმინები "არსებად" და "ერთ-არსებად" (ანდა "თანაარსი") *ουσια*-სა და *ομοουσιος*-ის შინაარსით. დავიმოწმებთ რამდენიმე საგულისხმო ნიმუშს:

"დღეს ქალწულმან მუცლად იღო... თანაარსი მამისად"⁴

"თანაარსსა მამისასა... გაკურთხევთ გალობით"⁵

"მოწამეთა გუასწავეს გალობად სამებისა ერთარსებისად"⁶

"მამასა და ძესა და წმიდასა სულსა - ერთსა არსებასა ერთობით უგალობდეთ"⁷

"ასწავე ღმრთეებისა ერთარსებად"⁸

"ერთარსებასა ძნობით უგალობდეთ"⁹

"აჩუენე ზეცით მამისა მიერ ერთარსებად"¹⁰

"არსებასა ყოლად წმიდისა სამებისასა გაქებენ"¹¹

"ერთი ძალი, ერთი არსებად, ერთი ღმრთეებად"¹²

უძველესი იადგარი *ουσια*-ს და *ομοουσιος*-ის შინაარსით არ იცნობს სხვა ტერმინებს, გარდა "არსებისა", "ერთარსებისა" და "თანაარსისა". აქვე საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ერთგან გვხვდება ტერმინი "თანა-მსგავსი" ("ეგე არს ძმ, მამისა თანამსგავსი" გვ.349), რომელიც უნდა გადმოსცემდეს ბერძნულ *συμμορφος*-ს.

სიძველის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, აგიოგრაფიული თხზულება "წამებად წმიდისა კალისტრატესი და მის თანა სხუათა ორმეოცდაცხრათად" (H-341, 766-802). ამ ძეგლს ყურადღება მიაქცია პ.ინგოროყვამ, რომლის მითითებითაც "მარტვილობა კალისტრატესი, როგორც ირკვევა, IV ს-ზე გვიანი დროისა არ არის".¹³ პატივცემული მკვლევარი თავის

1 უძველესი იადგარი. გვ.216

2 იხ. G.Lampe, დასახ. ლექსიკონი, გვ.42

3 უძველესი იადგარი, გვ.684-691

4 იქვე, გვ.7

5 იქვე, გვ.18

6 იქვე, გვ.22

7 იქვე, გვ.111

8 უძვ. იადგ. გვ.209

9 იქვე, გვ.258

10 იქვე, გვ.264

11 იქვე, გვ.325

12 იქვე, გვ.348

13 პ.ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ.IV, თბ. 1978, გვ.347

მოსაზრებას ასე ასაბუთებს: "სათარილო მაჩვენებელი: ა) წარმართული საკალენდარო ტერმინოლოგია; ბ) ენობრივი ნიშნები, რომელიც განსაკუთრებული არქაულობით არის აღბეჭდილი; გ) ტერმინი "ფარისეველი" - ბრძენის, მართლმორწმუნის მნიშვნელობით (ეკუთვნის უძველეს ეპოქას, როდესაც ქართულ ეკლესიაში ჯერ კიდევ ებრაულ-ქრისტიანული ტრადიცია იყო გაბატონებული და წმინდა ქრისტიანული, სახარებიდან მომდინარე ტერმინოლოგია ჯერ კიდევ არ ყოფილა საბოლოოდ განმტკიცებული). აღსანიშნავია, რომ კალისტრატეს მარტვილობის ტექსტს, როგორც ირკვევა, იცნობდა ევსტათი მცხეთელის ბიოგრაფიის ავტორი".¹

აღნიშნული თარგმანი მართლაც ბევრი ნიშნით ავლენს არქაულობას, მაგრამ IV ს-ისთვის მისი მიკუთვნება, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი არ უნდა იყოს. წარმართული საკალენდარო ტერმინოლოგია, რაც გულისხმობს იმას, რომ ძეგლში "ოქტომბრის" ნაცვლად იხსენიება "სთულისაჲ" ("და აღესრულნეს წმიდანი იგი... თუესა სთულისასა") სავსებით შესაძლებელია უფრო მოგვიანო პერიოდშიც. რაც შეეხება ენობრივ ნიშნებს, ამ მხრივ, კონკრეტულად IV ს-ისთვის დამახასიათებელი თავისებურება პატივცემულ მკვლევარს აღნიშნული არა აქვს და, ვფიქრობთ, არც ძეგლშია გამჟღავნებული რაიმე ამგვარი ნიშანი. ტერმინი "ფარისეველი" დადებითი შინაარსით გაცილებით გვიანდელი პერიოდის თარგმანებშიც შეიძლება შეგვხვდეს. მაგალითად, გრიგოლ ნოსელის "კაცისა შესაქმის" პირველ თარგმანში, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, VIII ს-ზე ადრინდელი არ არის, ვკითხულობთ: "ადამ გამოითარგმანების ქუყყანერი", ვითარ-იგი გუესმა ფარისეველთა მათგან ჰურიათა".² როგორც ვხედავთ, გრიგოლ ნოსელი ადამის შესახებ ბიბლიური თხრობის ალფგორიზების დროს პირდაპირ ეყრდნობა ფარისეველთა ეგზეგეზას.

რაც შეეხება აზრს იმის შესახებ, რომ ამ თარგმანს იცნობდა ევსტათი მცხეთელის ბიოგრაფი, თუნდაც რომ ასე იყოს, ეს გარემოება ადვილად აიხსნებოდა მაშინაც, თუკი "კალისტრატეს წამების" ქართულ თარგმანს VI ს-ის I ნახევრით დავათარილებდით. ჩვენი აზრით, მეტად საეჭვოა ამაზე ადრინდელ პერიოდს ეკუთვნოდეს ზემოაღნიშნული თარგმანი. მასში ერთგან ვკითხულობთ:

"რომელი იგი თავადი არს ერთარსება და ერთძალ, ერთ ღმერთ" (H-341, გვ.799). აქაც "ერთარსება" *ομοουσιος*-ს გადმოსცემს.

ძველ ქართულ მწერლობაში ცნობილია კირილე სკვითობოლელის თხზულება "ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა საბაჲსი", რომელიც კ.კეკელიძის გამოკვლევით თარგმნილი უნდა იყოს "არაუგვიანეს მერვე საუკუნის პირველი ნახევრისა".³ მასში რამდენჯერმე გვხვდება ტერმინი "ერთარსება":

"არა აღიარებდეს... ერთარსებასა წმიდისა სამებისასა"⁵

*μη ομολογουντες... ενα... ομοουσιου τριαδος*⁶

1 პ.ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ.IV. თბ. 1978, შენ.1

2 შატბერდის კრებული, გვ.104

3 სპეციალურმა კვლევამ ხსენებული ორი ძეგლის უშუალო ნათესაობა არ დაადასტურა. იხ. თ.ცანავა, არის თუ არა "კალისტრატეს მარტვილობა" ევსტათი მცხეთელის წამების წყარო?, გულანი თბ. 1989, გვ.3-6

4 კ.კეკელიძე, კიბენი, II, გვ.123

5 მამათა ცხორებანი, გვ.82. დამოწმებული აქვს მ.რაფაევას, დასახ. წერილი. გვ.112

6 იხ. Vita Sancti Patris Sabe, Decemb. V, XXXVIII

"სვეეროს... იკადრა ქუმად სამგუამოვნებად ღმრთეებისა და წმიდისა და თაყვანისა ცემელისა ერთარსებისა და სამ ბუნებად"¹

Σευηρος λεγων και διαβειβαιουμενος... την αγιαν και προσκυνητην και ομοουσιον τριαδα των θειων υποστασεων τριαδα φυσεων (Vita, cap.LVI, pg.309)

"ვწამებთ წინაშე წმიდისა და² ერთარსებისა სამებისა"

πληροφορουμεν ενωπιον της αγιας και ομοουσιου τριαδος (Vita, cap.LVII, pg.320)

"საბას ცხოვრების" ქართული თარგმანი ტერმინოლოგიური თვალსაზრისით მრავალმხრივ იქცევს ჩვენს ყურადღებას. შესაბამისად, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ უფრო დეტალურად შევხებოდით მისი თარგმნის დროს. ქვემოთ ტერმინ "მართლმადიდებლობის" განხილვისას სპეციალურად ვეხებით აღნიშნულ საკითხს. ამჯერად მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ მრავალი მონაცემის საფუძველზე ხსენებული თარგმანი მეტად ძველი ჩანს, ვფიქრობთ, არა უგვიანესი VII ს-ის დამდეგისა. შესაძლოა, იგი VI ს-ის II ნახევრითაც დათარიღდეს. ეს გარემოებაც, ჩვენი აზრით, მრავალთაგან კიდევ ერთი მოწმობაა იმისა რომ, ამ დროისათვის (VI-VII სს.) "არსება" ουσια-ს შესატყვისად უკვე ტერმინოლოგიურად იყო დამკვიდრებული ქართულ მწერლობაში.

უძველეს პერიოდშივეა თარგმნილი თხზულება "წამებად წმიდისა აღათანგელჴსი".³ მასში ერთგან ვკითხულობთ:

"სამებად ერთარსებად ჰქადაგებთ ღმრთეებასა"⁴

დაახლოებით VI-VII სს-ისა უნდა იყოს "ანტონის ცხოვრების" მეორე წინათონური რედაქცია, რომელიც დაცულია ბრიტანულ ხელნაწერში Ad. 11281.

"ანტონ დიდის ცხოვრების" ხსენებულ რედაქციაში ერთგან გვხვდება ჩვენთვის საინტერესო ტერმინი:

"მჴ... ღმრთისა და... თჴსი არს მამისა არსებისა და"⁵

τον Υιον του θεου... της του Πατρος ουσιας (Pg.26, col.941)

ადრეული ხანის (VII-VIII ს.ს.) ძეგლებიდან ყურადღებას იქცევს შატბერდის

1 იხ: Vita Sancti Patris Sabe, Decemb. V, XXXVIII გვ.95

2 იქვე გვ.100

3 კ.კეკელიძე, ეტიუდები, VII, გვ.230

4 ეტიუდები, VII, გვ.244. დამოწმებული აქვს მრავლად. დასახ. წერილი.

გვ.112.

5 მამათა ცხოვრებანი, გვ.42.

კრებულში დაცული შრომა "სარწმუნოებისათვის", რომელიც იპოლიტე რომაელს მიეწერება. ეს ძეგლი, ჟ.გარიტის გამოკვლევით, დიდ მსგავსებას ამჟღავნებს აგათანგელოსის თხზულებასთან,¹ თუმცა ქართული ტექსტი, მ.ვან ესბროკის აზრით, უნდა იყოს არა გამონაკრები აგათანგელოსის სომხური წიგნიდან, როგორც ამას ფიქრობდა ჟ.გარიტი, არამედ იგი უნდა მომდინარეობდეს ანთიპატროს ბოსტრელის თხზულების "სარწმუნოებისათვის" დაკარგული სომხური თარგმანიდან, რომელიც, თავის მხრივ, უნდა ყოფილიყო ერთერთი წყარო აგათანგელოსის წიგნის გვიანდელი სომეხი კომპილატორისათვის.²

აღნიშნულ თხზულებაში ხშირად გვხვდება 'არსებად' *οὐσια*-ს შინაარსით:³

ერთ არს არსებად საკვრველისა სამებისად⁴ (I, 1)

რად არს არსებად სიმდიდრისა მისისად?⁵ (II, 1)

იგი თვთ თავადი არსებით არს⁶ (III, 2)

წმიდად სული მისი... არსებისა მისისა მიერ⁷ (IV, 2)

ერთი არსებად, ერთი ბუნებად, ერთი ღმრთეებად⁸ (IV, 2)

სული წმიდად... ბუნებითა არსებისადთა წრფელ⁹ (IV, 3)

Sanctum Spiritum... ex ejusdem essentia

una substantia, una essentia, una natura, una divinitas

una essentia naturae

1 G.Garitte, le traite georgien "Sur la foi" attribue a Hippolite, Le Museon t.LXXVIII, 1-2 Louvain 1965 pg.119-172.

2 M.Van Esbroeck, Le "De Fide" Georgien attribue a Hippolite et ses rapports avec la "Didascalie" de George l'Illuminateur dans l'Agatange ("BHO" 330), Analecta Bollandiana, t.102 fasc. 3-4 Bruxelles 1984 p.321-328. მ.ესბროკს ქართველი მთარგმნელი VII ს-ის მოღვაწედ მიაჩნია: un excerpteur georgien travaillant au VIIe siecle (იქვე, pg.322)

3 მუხლებს ვუთითებთ ჟ.გარიტის გამოცემის მიხედვით. სქოლიოში მითითებულია ქართული ტექსტის ლათინური თარგმანი, შესრულებული ჟ.გარიტის მიერ, ხოლო იმ ციტატების პარალელურად, რომლებსაც შესატყვისი ეძებნებათ აგათანგელოსის წიგნში, მოტანილია შესაბამისი ტექსტების ლათინური თარგმანი, რაც ასევე ჟ.გარიტს ეკუთვნის

4 აგათანგელოსთან შესატყვისი არ ეძებნება. ჟ.გარიტი მას ლათინურად ასე თარგმნის: una est essentia mirabilis Trinitatis

5 არც ამ მუხლს ეძებნება შესატყვისი აგათანგელოსთან. შტრ. ლათ. თარგმანი: Quanta est essentia divitiarum (vel magnificentiae) eius!

6 არც ეს მუხლი გვხვდება აგათანგელოსთან. ლათ. თარგმ. ille autem ipsemet essentia est

7 Sanctus Spiritus... ab essentia ejus

8 una essentia, una natura, una divinitas

9 Spiritus Sanctus... per-naturam essentiae recti

"ცხად არიან განწესებანი ურთიერთას სავსებისად მის ერთისაგან არსებისა მამისა" (V,2)¹

"ღმრთისაგანი იგი შობილი მისისა არსებისაგანვე არს... და სრული ღვას თვისსა თავადსა არსებასა" (VI,3)²

სული პეტობისად... მისივე არსებისად მამისად და ძისად არს (VII)³

Spiritum principatus... eiusdem essentiae Patris et Filii

"არა ითქუმიან სამ ღმერთ, რამეთუ არა სხუა და სხვსა არსებისაგან არიან" (VIII.1)⁴

"განუშორებელობისა და განუყოფელობისათვის არსებისადთა... ჰე!" (IX, 3)⁵

გვჩვენოს ერთობად იგი სამებისად, განუშორებელ და განუყოფელ თვთ ერთობითა მით არსებითა (X,2)⁶

ostenderet unitariam, inseparabilem, indivisibilem substantiae unitatem

"გვჩვენებს ერთობითსა მას სამებისა არსებასა" (XV,6)⁷

ერთ არს ღმრთეებად... ერთი არსებად (XIX,2)⁸

una potentia... unus solus substantia

იმავე "შატბერდის კრებულში" შედის თხზულება "სახე აღთქუმისად", რომელიც ქართული ტრადიციით იპოლიტე რომაელს მიეწერება, სინამდვილეში კი, როგორც ეს კარგახანია გარკვეულია, წარმოადგენს აფრაატ სპარსის ერთერთ შეგონებას.⁹ აქაც *ουσια*-ს შინაარსით "არსებად" გამოიყენება:

"ერთი ბუნებად, ერთი ღმრთეებად, ერთი არსებად, ერთი ძალი"¹⁰

1 შესატყვისი არა აქვს. შდრ. ლათ. თარგმანი: manifeste sunt ordinationes invicem plenitudinis ex una essentia Patris

2 შესატყვისი არა აქვს. ლათ. თარგ: e Deo genitus ex eius eadem essentia est... et perfectus stat in - sua ipsa essentia

3 Spiritum principatus... eiusdem essentiae Patris et Filii est

4 შესატყვისი არა აქვს. შდრ. ლათ. თარგმ... non dicuntur tres dii, quia non alii et ex alia essentia sunt

5 შესატყვისი არა აქვს. ლათ. თარგმ: propter inseparabilitatem et indivisibilitatem essentiae ... utique!

6 nobis ostenderet unitatem Trinitatis, inseparabilem et indivisibilem ipsam, unitate, essentia

7 შესატყვისი არა აქვს. ლათ. თარგ. nobis ostendit unitariam Trinitatis essentiam

8 una est divinitas... una essentia

9 შატბერდის კრებული. გვ.42

10 იქვე გვ.313

"დამბადებელისა არსებაჲ ვერვინ თქუას".¹

ტერმინოლოგიური თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ანტონ დიდის ეპისტოლეთა ძველი ქართული თარგმანები, რომლებიც დაახლოებით VII-VIII სს-ისა უნდა იყოს. ტერმინულ-ლექსიკური მონაცემები უფრო გვიანდელ დროს არ გვაგვარაუდებინებს.

საინტერესოა, რომ ხსენებულ ძეგლში გვხვდება ზმნა "აღმცირება" ნაცვლად "აღსუბუქებისა":

"აღუმცირებნ მათ ყოველსა შინა"²

კარგად არის ცნობილი, რომ VIII ს-ის მიწურულიდან ქართულ მეტყველებაში შემოდის და ფართო გავრცელებას იხვეჭს ახალსპარსული "სუბუქი", რომლის ნაცვლად უფრო ადრე გამოიყენებოდა სიტყვები "მცირე" და "სულმცირე";³ "მცირე"-დან ნაწარმოები ზმნა "აღმცირება" VIII ს-ის შემდეგ, თითქმის არ გვხვდება. ამ ნიშნით ანტონ დიდის ეპისტოლეები, ალბათ, ამ საუკუნეზე გვიანდელი თარგმანი არ არის. მათში მეტად ხშირად ვლინდება "არსება" *ουσια*-ს შინაარსით. მაგალითად:

ანტონი... გიკითხავ მეც-
ნიერებისა თქუენისაებრ არ-
სებისა⁴

Antonius... secundum sen-
sualem ipsorum **exsta-**
ntiam (Pg.40, 994)

კოპტური თარგმანი: "...**კატა ტე უსია...**"

როგორც ვხედავთ, ბერძნული *ουσια*, რომელიც დასტურდება კოპტურ თარგმანში, ქართულად "არსებად" არის თარგმნილი.

აი, მეორე მაგალითი:

იცნეს თავნი თვსნი გო-
ნიერისა მისებრ არსებისა
(44, 3)

(კოპტური თარგმანი)
...**კატა ტე უსია...**

აქაც "არსების" შესატყვისი არის **უსია** (= ბერძნულ *ουσια*-ს).

გარდა აღნიშნულისა, ქართულ თარგმანში ტერმინი "არსება" კიდევ მრავალგზისაა დამოწმებული. საფიქრებელია, რომ მისი შესატყვისი კვლავ *ουσια* იყოს, თუმცა რამდენადაც ბერძნული და კოპტური ტექსტების შესაბამისი ადგილები ჩვენამდე მოღწეული არ არის, ყველა ნიმუშის ციტირებას გვერდს ვუვლით. მოგვაქვს მხოლოდ ის ადგილები, სადაც ქართულ "არსებას" ლათინურ თარგმანში *substantia* შეესაბამება, რაც ბერძნულში შესატყვისად უთუოდ ტერმინ *ουσια*-ს გვაფიქრებინებს:

1 შატბერდის კრებული, გვ.313

2 Lettres de S.Antoine, version georgienne et fragments coptes, ed. par G.Garitte, Louvain 1955 pg.1

3 ა.შანიძე, სინური მრავალთავი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, სინური მრავალთავი... გვ.329.

4 Lettres de S.Antoine, version georgienne et fragments coptes... გვ.12; იხ. ტექსტზე დართული ლექსიკონი, "არსება" (გვ.47) (კოპტ. უსია)

შემოქმედმან ყოველთამან
თვსითა მით დიდითა სა-
ხიერებითა მოხედვად ჩუე-
ნი ყო... რამეთუ არსებად
არს უკუდავი

იცნნეს თავნი თვსნი და
გონიერი იგი თვსი არ-
სებად²

არსებად არს უკუდავი³

არსებად არს უკუდავი, ვერ
თანადავსნილი გორცთა⁴

გარეშე ბუნებასა ვართ გო-
ნიერისა მის არსებისასა⁵

რომელ არს ბუნებით არ-
სებისა ჩუენისა⁶

არსებად არს უკუდავი, რო-
მელი არა დავსნდების⁷

Conditor propria bonitate
nostri visitationem effecit ...
quoniam substantia immortalis
exsistit (Pg.40, col.992)

agnoverunt semetipsos secundum
sensualem suam substantiam
(col.993 D)

substantia tantum immortalis
exsistit (col.981 D)

substantia immortalis exsistit
non consolvenda corporis
(col.981 D)

extra natura siquidem est
substantiae sensualis in Deo
(col.988)

quod naturale est substantiae
nostrae (col.990 B)

esset substantia immortalis
non resolvenda (col.997A)

ორგზის ტერმინი "თანაარსი" გვხვდება "აპოვთეგმების" უძველეს ქართულ
თარგმანებში:

"გურწამს... თანაარსი მამისად სიტყუად... და სული წმიდად, თანაარსი
მამისად და ძისად"⁸

ტერმინი "არსებად" გვხვდება თბზულებაში "განსუენებად იოვანესი",
რომელიც, ასევე, ძველ თარგმანს წარმოადგენს:

შენ ხარ, რომელი ხარ,
არსებად, რომელი ითქუა
საუფლოდთა მით ვმითა

1 Lettres... გვ.8

2 იქვე, გვ.10

3 იქვე, გვ.17

4 იქვე

5 იქვე, გვ.32

6 იქვე, გვ.35

7 იქვე, გვ.38

8 შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები. II. ტექსტი
გამოსაცემად მოამზადა მ.დვალაძე. თბ. 1974, გვ.131

9 ჯ. კვავლიძე, კიმენი, 1. გვ.199.

ზემოწარმოდგენილი სურათი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ დაახლოებით VI ს-დან მოყოლებული ბერძნული *ουσια*-ს შინაარსით ქართულ მწერლობაში, ჩვეულებრივ, გამოიყენებოდა, ტერმინი "არსებად" (ვარ. "არსობად"), ხოლო *ομοουσιος*-ის შესატყვისად - "ერთარსება" (ან "ერთარსი") და "თანაარსი".

ჩვენ აღარ ვეხებით მოგვიანო პერიოდის ძეგლებს, რომლებიც აურაცხელი რაოდენობით შეიცავენ აღნიშნულ ტერმინებს, როგორც ბერძნული *ουσια*-სა და *ομοουσιος*-ის ბუნებრივ ტერმინოლოგიურ შესატყვისებს.

მიუხედავად იმისა, რომ *ουσια*-ს სანაცვლოდ ქართულ მწერლობაში დაკანონდა ტერმინი "არსებად", მაინც რამდენიმე კერძო შემთხვევაში მას გამოუჩნდა სინონიმური წყვილი, რომელმაც თუმცა გავრცელება ვერ მოიპოვა, მაგრამ აშკარად იჩინა თავი ძველი ქართული მწერლობის ზოგ ძეგლში.

უპირველესად, უნდა აღვნიშნოთ იმის შესახებ, რომ ძველი ქართველი მთარგმნელები ყოველთვის არ გრძნობდნენ ტერმინოლოგიური ერთმნიშვნელობის აუცილებლობას. ამგვარი რამ საზოგადოდ ახასიათებს მთარგმნელობით პროცესს. გარკვეულ შემთხვევაში ესა თუ ის სიტყვა სავსებით ფარავს მეორეს და უფლებამოსილია შეენაცვლოს მას, თუნდაც რომ ეს უკანასკნელი სხვა უცხოენოვანი ტერმინის შესატყვისად იყოს დამკვიდრებული. ჩვენთვის საინტერესო ტერმინთან დაკავშირებით ამგვარ უფლებას ხშირად იძენს მისი სინონიმური წყვილი "ბუნება", რომელიც, ჩვეულებრივ, ბერძნულ *φύσις*-ს გადმოსცემს (ამ ტერმინის შესახებ იხ. ქვემოთ).

ბერძნული *φύσις*-ის და *ουσια*-ს სინონიმურობა ცნობილი ფაქტია. მაგალითად, შენიშნულია, რომ *φύσις* ფილოსოფიურ მწერლობაში ხშირად იგივეა, რაც *ουσια*, რომლებიც სხვადასხვა შემთხვევაში მრავალგზის ენაცვლებიან ერთმანეთს.¹ ასევე სკარლატოს დ.ბიზანტიოსის მითითებით, "მთლიანობაში ყოველგვარ "არსებას" "ბუნება" ეწოდება (*ολως πασα ουσια φύσις λεγεται*).² ქრისტიანულ მწერლობაში ხშირადაა აღნიშნული *φύσις*-ის და *ουσια*-ს იგივეობა (*φύσις και ουσια ταυτον εστιν. ουσια και φύσις ταυτον εστι παρ αυτοις. ουσια και φύσις ταυτο...*).³

მაგალითად, სამპიროვანი ღმერთი თანაბრად არის ერთარსებაც და ერთბუნებაც. ასევე, თანაბრად მიუწვდომელია ღვთის არსება და ბუნება. ღმერთი თანაბრად არის არსებით და ბუნებით კეთილი (ცხოველი, კაცთმოყვარე და მისთ). აღნიშნულ შემთხვევებში "არსებაც" და "ბუნებაც" ერთდამავე შინაარსს შეიცავს და სრულიად შესაძლებელია მათი ურთიერთშენაცვლებაც. ასევე სინონიმურია ეს ტერმინები მატერიალური სამყაროს

1 A. Greek-English Lexicon, comp. by H.G.Liddle and R.Scott, Oxford 1968 col.1274: "ουσια-in philos. like Ion. φύσις, with which it is interchanged in various uses"

2 Λεξικόν της Ελληνικής Γλώσσης, συντ. μεν υπο Σκαρλατου Δ. του Β. εν Αθηναις, 1852 col.1529

3 G.Lampe, A patristic... col.1496

მიმართ. საგნის არსება მისივე ბუნებაა და პირიქით.

ბერძნული ტერმინების ხშირი ურთიერთმონაცვლეობა განაპირობებს მათი ქართული ეკვივალენტების მონაცვლეობასაც. მართალია, ამ ფაქტს ტერმინოლოგიური ერთგვარობის თვალსაზრისით მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ სურათის სისრულისათვის საჭიროდ ვცანით მასაც შევხებოდით.

აი, რამდენიმე საგულისხმო მაგალითი:

ბუნებათა მათთა სახიერად მიუთხრობედ¹

οι τας ουσιας αυτων αγαθως στοχαζομενοι
(Pg.X, col.1164 D)

ყოველივე ცეცხლისა და ნათლისა ბუნებად თვსითა ვითარებითა სხუათაგან განყო (მოსემ)²

πασης γαρ της φωτιστικης τε και πυρωδους ουσιας ταις ιδιαις ποιότησι των αλλων αποκριθεισης
(Pg.44, col.85 D)

ფრიადსა ვხედავთ... გარდამატებულებასა ცეცხლისა ბუნებისასა³

πολλην ορωμεν εν συγκρισει των οντων την πυρωδη ουσιαν (col.93 A)

ზენა-კერძო მკურვალისა მის ბუნებისა მყოფ არს⁴

υπερανω της θερμης ουσιας μενον (col.84 B)

... უგორცოთა და უხილავთა ბუნებათა მიმართ აღიყვანა სახისმეტყუელებად მისი⁵

προς την νοητην ουσιαν ταις υπονοιαις φερομενον (84C)

არა გამოვიწულილვიდეთ ბუნებასა და არსებასა მისსა⁶

μη πολυπραγμονειν αυτης την ουσιαν (Basile de Cesaree, Homelies sur l' Hexaemeron, Texte Grec, introduction et traduction de S.Giet, Paris 1968 pg.120)

და რომელთა ბუნებითნი ძრვანი ცვალებულ არიან, მათისა ბუნებისაცა⁷

ων δε αι κατα φυσιν κινήσεις παρηλλαγμεναι... παρηλλαχθαι και τας ουσιας (Basile... pg.132)

1 სინური პრაკალთავი, გვ.13

2 გრიგოლ ნოსელი, პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის, IV, 14. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1989.

3 იქვე, V, 7

4 იქვე, IV, 7

5 იქვე, IV, 9

6 ბასილი დიდი, ექუსთა დღეთად, თბ. 1947, გვ.10.

7 ბასილი დიდი, დასახ. შრომა, გვ.13

ბუნებისათვის და არსებისა
სიტყუად დაუტევოთ¹

αυτοι του περι της ου-
σιας αφεμενοι λογου (Ba-
sile... pg.134)

ბუნებად იგი მდინარეთად
მათ შეჰყინდა²

παγιαθεισα ρευστη ουσια

უწყვი უძლურებად კაცთა
ბუნებისად

ειδως της των βροτων
ουσιας την ασθeneian

ჭეშმარიტ არს ღმერთი და
უფალი ყოველთა ბუნება-
თად⁴

οντως οντα θεον και της
των παντων ουσιας αι-
τιον

არცა ბუნებად რადმე იპო-
ების მისი (ბოროტისა ე.ჭ.)
არსად მოსრული⁵

ουτε ουσιαν αυτης εν-
υποστατον παρασησαι εχ-
ομεν (Pg.31, col 341)

ბუნებით შეუმსგავსებელად
იტყვან ძესა ღმრთისასა
ღმრთისა თანა⁶

ανομοιον ειναι κατ'ου-
σιαν τον Υιον του θεου
τω θεω (col.480)

მრგულივ ქცევადისა მის
ბუნებისა მალიად მოქცე-
ვითა გშირსა მას ნივთსა
ქუეყანისასა გარემოიცავს
და შეამტკიცებს⁷

της τε κυκλοφορουμενης
ουσιας δια της οξειας κι-
νησεως το ναστον της γης
εν κυκλω περισφιγγουσης
(Pg.44, 128D)

მარადის მოძრაობასა მას
და სიწლოსა ცეცხლისა
ბუნებისასა ჰაერი მიემს-
გავსების⁸

το γαρ αεικινητον και
λεπτον της πυρωδους ου-
σιας μιμειται μεν πως ο
αηρ (col.120 A)

ეგრეთვე სახედ ნოტიადცა
იგი ბუნებად... შეერთების
წინააღმდგომთა მათ⁹

και η υγρα ουσια... προς
εκατερον των εναντιων
αρμοζεται (120 B)

1 ბასილი დიდი... გვ.14

2 ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია X-XI სს
ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ე.მეტრეველმა, თბ.
1971, გვ.36

3 ძლისპირნი... გვ.38

4 იქვე, გვ.170

5 ბასილი კესარიელი, სწავლანი, გამოსცა ც.ქურციკიძემ, გვ.161

6 იქვე, გვ.162

7 გრიგოლ ნოსელი, დაბადებისათვის კაცისა (გიორგი მთაწმიდლის თარგმანი),

ტექსტი გამოსაცემად მომზადებული აქვს ნ.შალამბერიძეს, გვ.6

8 გრიგოლ ნოსელი, დასახ. შრომა, გვ.7

9 იქვე

ერთი საღმრთოა ბუნე-
ბისა საქმეთაგანი არს მი-
უწოდებლობად ბუნებისად
და არსებისად¹

*εν των περι την θειαν
φυσιν θεωρουμενων εστι
το ακαταληπτον της ου-
σιας (156 B)*

მოტანილი ციტატები ცხადყოფს, რომ ცალკეულ შემთხვევებში ბერძნული *ουσια* შეიძლება ითარგმნოს "არსების" სინონიმური ტერმინით "ბუნებად", რომელიც თავის მხრივ *φυσικ-*ის ტერმინოლოგიური შესატყვისია. აქ რომ აშკარად სინონიმურ მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე, ამას ცხადყოფს ის გარემოება, რომ რიგ შემთხვევებში, პირიქით, სწორედ "არსება" ცვლის "ბუნებას" და ამ უკანასკნელის ტერმინოლოგიური ფარდის, *φυσικ-*ის შესატყვისად გვევლინება. აი, რამდენიმე ნიმუში:

(ღმერთმა) ყოველივე იგი
სივრცე კაცთა არსებისად
განიცადა²

*(ο θεος) πασαν την αν-
θρωπινην φυσικ... κατα-
νοησας (Pg.44, 189c)*

(მთვარე) არა სრულიად
უცხო არს განათლებისა-
გან და ნათლისა არსები-
სა³

*ου παντη της φωτιστικης
ηλλοτριωται φυσικως
(col.117C)*

შესცვალევენ არსებასა თვს-
სა⁴

*ηλλοιωθη την φυσικ
(col.105 D)*

კვლავ აღვნიშნავთ, რომ ამგვარი შენაცვლებანი თავად ბერძნული ტერმინების *ουσια-*სა და *φυσικ-*ის სინონიმურობით აიხსნება. ამასვე ადასტურებს ისიც, რომ ქართული ტერმინი "არსება" უფლებამოსილი ჩანს გადმოსცეს არა მხოლოდ *ουσια-*ს სინონიმი *φυσικ*, არამედ იმავე *ουσια-*ს ნებისმიერი სხვა სინონიმიც. მოგვაქვს რამდენიმე საილუსტრაციო ნიმუში:

სულისა და ვორცთა არ-
სებად შეერთებულ არს⁵

*του μιαν και την αυτην
ψυχη και σωματι την
αιτιαν της υπαρξεως ει-
αι (Pg.44, col.233C)*

1 გრიგოლ ნოსელი, დასახ. შრომა, გვ.40

2 იქვე, გვ.84 შდრ. წინათონური თარგმანი: "(ღმერთმა) იხილა... რად იგი ყოფად იყო ბუნებად კაცთად" (მატბერდის კრებული, გვ.97). შდრ. ლათ. *universam plenitudinem humanae naturae... contulit*

3 გრიგოლ ნოსელი, პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის, VIII. 8

4 იქვე, VI. 15.

5 შატბ. კრ. გვ.118, შდრ. გიორგი მთაწმინდელის თარგმანი: "ერთი და იგივე არს სულისა და ვორცთა არსებისა მიზეზი"(ნ.შალამბერიძის მიერ მომზადებული ტექსტი, გვ.131).

არღარა იპოვოს მათ შორის არსებადცა¹,

ხოლო უკუეთუ ვინმე შეიწრდეს გონებითა გამოძიებისათვის სულთა არსებისა... ვპკითხოთ უკუე დგომისათვის ანგელოზთა არსებისა²

ყოვლადვე არა ჯერ-არს მორწმუნისა კაცისა თქუამად, ვითარმედ არსობად ბოროტისა და ღმრთისაგანვე არსო³

გარეშენი იგი იტყვან, ვითარმედ: არს იგი (სამყაროდ ე.ჭ.) გუამი მყარი... რომლისა არსებად სივრცით ოდენ არს⁴

რომლისა არს არსებად სივრცითა და სამყაროდთა⁵

დასაბამი იგი არსებისა მისისა და არს სიგშოდსაგან ნოტიისა⁶

არსებად სამყაროდსა და არს ერთისაგან განმარტებულთაგანისა ანუ განმარტებულთა მათ შეერთებულთაგანისა⁷

τουτω δε το ανυπαρκτον επεται (233A)

ει δε στενοχωρειται τις επιζητων τον της γενεσεως των ανθρωπων τροπον... αντερωτησομεν και ημεις τον της αγγελικης υποστασεως τροπον (189 A)

ου μεν ουδε παρα θεου το κακον την γενεσιν εχειν ευσεβες εστι λεγειν (II, 4)

οι μεν γαρ εξωθεν στερεον λεγουσι σωμα το οιον ναστον... το εν μοναις ταις διαστασεσι το ειναι εχον (III, 4)

...τοις διαστημασι και την αντιτυπιαν εχει (III, 4)

εκ της του υγρου διηθησεως την αρχην λαμβανυση (III, 4)

το στερεωμα η εξ ενος των απλων η το απο τουτων μιγμα φησαι υπαρχειν (III, 4)

1 შატბერდის კრებული, გვ.117, შდრ. გიორგიისეული: "იქმნების... სრულიად უარსებო", გვ.129

2 იქვე, გვ.97; შდრ. გიორგი: "ხოლო უკუეთუ ვინმე შეიწრდეს გამოძიებად სულთა დაბადებისა... ვპკითხოთ ჩუენცა ანგელოზთა აგებულებისა სახე" (გვ.83)

3 უძველესი რედაქციები... გვ.34; გიორგი: "ბოროტისა რადსმე არსებისა ღმრთისაგან დაბადებულად თქუამად უცხო არს ღმრთისმსახურებისაგან" იხ. ბასილი დიდი, ექუსთა დღეთად, თბ 1947, გვ.20

4 იქვე გვ.43; შდრ. გიორგი: "გარეშენი უკუე იტყვან სამყაროდსათვის, ვითარმედ არს იგი გუამი მყარი... რომელსა-იგი განშორებასა ხოლო შინა თვისა და სივრცესა საზომთასა აქუს არსებად აგებულებისად" გვ.31

5 იქვე, გვ.43. გიორგი: "სიმყარედ, რომელსა-იგი სიშორისა თანა სიმტკიცეცა აქუნდეს" გვ.31

6 უძველესი... გვ.43; შდრ. გიორგი: "განწურვისაგან ნოტიისა, გინა განყინვისა, მიედის დასაბამი არსებისად" გვ.32.

7 იქვე, გვ.44. შდრ. გიორგის თარგმანი: "არს იგი (სამყაროდ) ერთი მარტივთაგანი ანუთუ შეერთებულთად" (იხ. ბასილი დიდი, ექუსთა დღეთად გვ.32)

ესე არს სიტყუად არსები-
სათჳს სიმრავლისა წყალ-
თაჲსა¹

ესე არს არსებაჲ წჳმისაჲ²

აქუს სოფელსა განრყუ-
ნილებად და არსებაჲ და-
უსრულებელი³

რომელი-იგი არს მიზეზი
დამტკიცებისა არსებისაჲ,
უწინარეს არს იგი ბუნე-
ბითა⁴

დასაბამად არსებისა სი-
ორძილისა არს აღმოცე-
ნებაჲ⁵

ეგონა ვიეთმე, ვითარმედ
მზე არს მიზეზ არსებისა
მცენარეთაჲსა⁶

პირველვე არსებადმდე მზი-
სა განემზადა ყოველი⁷

უმრწემეს არს იგი არ-
სებითა თჳსითა⁸

არსებაჲ თესლთაჲ არს
განგებულებისა შენისა საჯ-
მარ⁹

ουτος ο λογος της του
υδατος περιουσιας κατα
την κτισιν (III, 5)

και αυτη υειτου γενεσις
(III, 8)

απειρου φθορας κοσμου
και παλιγγενεσιας εισ-
αγουσιν (III, 8)

τα δε αυτην του ειναι
αιτιαν παρεχοντα, προτε-
ρα τη φυσει (IV, 5)

πρωτον εστιν εν τη γε-
νεσει των φυομενων η
βλαστησις (V, 1)

τινες οιονται τον ηλιον
αιτιον ειναι των απο της
γης φυομενων (V, 1)

προ της εκεινου γενε-
σεως... τα παντα δια-
κεκοσμητο (V, 1)

νεωτερος εστι κατα την
γενεσιν (V, 1)

η των σπερματων γενεσις
τι αλλο εστι και ουχι της
σης διαγωγης παρασκευη;
(V, 1)

1 შატბერდის კრებული, გვ.45; შდრ გიორგი: "ესე არს სიტყუად დაბადებისათჳს სიმრავლისა წყალთაჲსა", გვ.33

2 იქვე, გვ.49 შდრ. გიორგი: "ესე არს შობად წჳმისაჲ",37

3 იქვე, გვ.50. შდრ. გიორგი: "დაუსრულებელთა ჳრწნილებათა სოფლისათა და კუალადგანანლებათა შორის შემოიღებენ", გვ.38

4 იქვე, გვ.60 შდრ. გიორგი: "რომელი-იგი იყო მიმცემელ მიზეზსა არსებისა, უწინარეს არს იგი ბუნებით" გვ.47

5 იქვე, გვ.63 შდრ. გიორგი: "დასაბამ არსებისა მცენარეთაჲსა იქმნების აღმოცენებაჲ", გვ.50

6 იქვე, გვ.63. შდრ. გიორგი: "ჳგონებენ ვიეთნიმე, ვითარმედ მზე არს მიზეზ არსებისა მცენარეთაჲსა", გვ.50

7 იქვე, გვ.63. შდრ. გიორგი: "პირველ მზისა დაბადებისა შეიმკო ყოველივე", გვ.50

8 იქვე, გვ.63 შდრ. გიორგი: "უმრწემეს არს იგი დაბადებითა", გვ.50

9 იქვე, გვ.64. შდრ. გიორგი: "დაბადებაჲ იგი თესლთაჲ და არსებაჲ მათი სხუა რად არს და არათუ შენისა ცხორებისა განმზადებაჲ" გვ.50.

ესე არს განყოფიად ხეთა
არსებისა¹

საჴმარებად იგი მნათობთა
არსებისა არს, რადთა
იყვნენ მნათობ ქუეყანისა²

არსებად იგი ნათლისა
პირველ იყო³

არსებად იგი მათი არს
სისხოდსაგან წყლისა⁴

არსებად მათი წყალთაგან
ერთ არს⁵

ნუ ჰგონებ, ვითარმცა სუ-
ლნი იგი მათნი (პირუტყ-
ვითანი, ე.ჭ.) ყოფილ იყვნეს
უწინარეს არსებისა გუამ-
თა მათთადასა⁶

იყვნეს იგინი მიზუზ არ-
სებისა მათისა⁷

გამოსთარგმანებენ არსება-
სა ქუეწარმავეალთასა და
მვეცთასა მსგავსად განზ-
რახვათა მათთა⁸

αυται μεν ουν αι περι-
τον τροπον της γενεσεως
αυτων διαφοραι (V, 8)

η χρεια προσκειται της
των φωστηρων γενεσεως
εις φασιν, φησιν, επι της
γης (VI, 2)

προειληφει του φωτος η
γενεσις (VI, 2)

ζωης μετεχειν δια το εν
τη παχυτητι του υδατος
διατασθαι (VIII, 1)

μια τις αυτοις η συ-
γενεια εκ της των υδατων
γενεσεως παρεσχεθε
(VIII, 2)

μη νομιζε πρεσβυτεραν
ειναι της του σωματος
αυτων υποστιασεως
(VIII, 2)

μεταδεδωκασιν εκαστω του
ειναι (VIII, 6)

ερπετων γενεσιν και θη-
ριων επι τας οικειας
υπονοιας παρατρεψαντες
εξηγουνται (IX, 1)

1 შატბერდის კრებული, გვ. 73. შდრ. გიორგი: "ესევითარ უკუე არს განყოფილებად ხეთა არსებისა" გვ.60

2 იქვე, გვ.79. შდრ. გიორგი: "საჴმარებად იგი მნათობთა დაბადებისა შეძინებულ არს... რადთა ნათობდენ ქუეყანასა ზედა" გვ.65.

3 იქვე, გვ.79; შდრ. გიორგი: "ნათლისა დაბადებად პირველ წარმოვდა", გვ.65

4 იქვე, გვ.107. შდრ. გიორგი: "მის (წყლის ე.ჭ.) მიერ არს არსებად მათი" გვ.91

5 იქვე, გვ.110. შდრ. გიორგი: "ერთი თვისებად წყალთაგან დაბადებისა მიეცა მათ" გვ.93.

6 იქვე, გვ. 109. შდრ. გიორგი: "ნუ ჰგონებ, ვითარმცა უზუცეს იყვნეს სულნი პირუტყუითანი არსებისა მის გუამთა მათთადასა" გვ.92

7 იქვე, გვ.117. შდრ. გიორგი: "მისცეს თვთოეულსა მათსა არსებად ცხორებისა", გვ.98

8 იქვე, გვ.123. შდრ. გიორგი: "მვეცთა და ქუეწარმავეალთა დაბადებასა თვისთა ექუთა მიმართ გარდააქცევენ და თარგმანებენ" გვ.104

ბუნებად არსთად ბრძანებითა ერთითა აღიძრნეს; არსებად და განწყუნილებად გამოვიდინან¹

η φυσικη των οντων ενι προσταγματι κινηθειςα, την εν τη γενεσει και φθορα κτισιν ομαλως διεξερχεται (IX, 2)

ქუეყანისაგან არს არსებად მათი²

εκ της γης εστιν αυτοις η γενεσις (ვარ. γεννησις) (IX, 2)

იქმნა სასოებად არსებისა კაცისა³

λοιπον ανθρωπου γενεσις προσδοκαται (IX, 6)

ნუცა კუალად გგონიეს, თუ ბოროტისა რადსმე არსებად არს თვსაგან⁴

μητε ιδιαν υποστασιν του κακου ειναι φανταζον (Pg.31, 341 B)

ყოველგან თანაშეერთებულნი კპოთ არსებად იგი ძისა⁵

πανταχου συμπαρεκτεινομενην ευρησεις του Υιου την υποστασιν (col.480)

ყოველნი ესე ხილულნი დაბადებულნი საღმრთოთა ნებითა... არსებად მოვიდეს⁶

τα εν τη κτισει φαινομενα παντα, τα κατα το θειον βουλημα παραχθεντα εις γενεσιν (Pg.44, col 129)

ესე საქმე, ვორცთა არსებისა⁷

σωματικη γαρ η τοιαυτη δοξα (Pg.44, 161 A)

იპრობს და განაგებს აგებულებასა ნივთიერისა ამის გუამოვნებისა და არსებისა, რომელსა შინა იხილვების ბუნებად⁸

κρατεισθαι δε υπο ταυτης και συνεχεσθαι το υλικον της υποστασεως περι ην θεωρειται η φυσικη (col.161)

1 შატბერდის კრებული, გვ.124. შდრ. გიორგი: "ბუნებად არსთად ერთითა ბრძანებითა აღიძრა და შობითა და ხრწნილებითა დაბადებულთადათა" გვ.104

2 იქვე, გვ.125. შდრ. გიორგი: "ქუეყანისაგან არს შობად მათი და არსებად" გვ.105.

3 იქვე, გვ.134. შდრ. გიორგი: "იქმნა კაცთა დაბადებისა სასოებად", გვ.113

4 ბასილი კესარიელის "სწავლათა" ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა და ლექსიკონი დაურთო ც.ქურციკიძემ თბ. 1983, გვ.61

5 იქვე, გვ.161

6 გრიგოლ ნოსელი, დაბადებისათვის კაცისა (გიორგი მთაწმიდლის თარგმანი), ტექსტი გამოსაცემად მომზადებული აქვს ნ. შალამბერიძეს. გვ.6; შდრ. ძველი თარგმანი: "ყოველნი საჩინონი და ხილულნი დაბადებულთაგან იყვნეს". შატბერდის კრებული, გვ.70.

7 დაბადებისათვის კაცისა... გვ.46. შდრ. ძვ. თარგმანი. "აწ უკუე ესე თხრობად არს ვორციელებრი", გვ.85

8 იქვე გვ.48; შდრ. ძვ. თარგმანი: "გუამო ესე სიყმოსა შეპყრობილ იქმნეს ამისაგან და დაემორჩილოს მას უკუე შუენიერებად მისი ყოვლითა სრულებითა", გვ.86

განშორებითა კეთილისადა-
თა არსებასა მოიღებს (ბო-
როტი)¹

ამას გულისგმა-ვეოფთ კა-
ცობრივსა არსებასა შინა
და გუამსა²

ამას შინა აქუს ძალი
არსებისა, რადთა არა-
ოდეს დადგეს მოძრაობი-
საგან³

უკუეთუ დასცხრეს მოძრა-
ობისაგან, ...არსებისაგან-
ცა დაცხრომად არს⁴

...ვერ ძალუც ღმერთსა
კუალად მათვე გზათა მიერ
კუალადგებითა მიცემად კა-
ცისა თვისსა მის აგე-
ბულებისა ნივთსა და
არსებასა⁵

არამედ ამათისა არსები-
ხათვს იგინი საჯმრად მო-
იპოვნეს⁶

განქარდების მათგან არ-
სებად სულისა⁷

*δια της υπεξαιρεσεως του
καλου παρυφισταμενη*
(col.164 A)

*μανθανομεν εν τω αν-
θρωπινω συγκριματι*
(col.164 C)

*εν τωτω εχει του ειναι
την δυναμιν, εν τω μη
στηναι ποτε της κινήσεως*
(165 A)

*ει δε ποτε κινουμενον
παυσοιτο, και του ειναι
παντως την παυλαν εξει*
(col.165)

*ου δυναμενου του θεου
παλιν δια των αυτων
οδων δι'αναλυσεως απο-
καταστηναι τω ανθρωπω
το ιδιον* (col.224 C)

*αλλα τουτων οντων εκ-
εινα δια την χρειαν προ-
σεξηυρεθη* (col.229 D)

*προς το μη ον αυτοις η
ψυχη μεταχωρησει*
(col.230 B)

1 დაბადებისათვის კაცისა... გვ.49; ძვ. თარგმანი. "ესრეთ იქმნის გამოშობად იგი ბოროტისად წარდევნითა კეთილისადათა"; გვ.86.

2 იქვე, გვ.51; სხვა შემთხვევაში გიორგი მთაწმინდელი ბერძნულ "συγκριμα"-ს "აგებულებად" თარგმნის: "სამნი სულნი შეკრებულ არიან კაცობრივსა აგებულებასა შორის" გვ.66 - *τρεις συγκεκροτησαι ψυχας εν τω ανθρωπινω συγκριματι*, 176 B. ამ მხრივ უფრო ზუსტია ძველი თარგმანი: "შეზავებულობასა შინა კაცისასა არს სამი სული" (გვ.91).

3 იქვე, გვ.51

4 იქვე, გვ.52; შდრ. ძვ.თ. "რამეს დასცხრის ძრვად მათი, დასცხრის ცხორებაცა იგი". გვ.87

5 იქვე, გვ.120. შდრ. ძვ. თარგმ. "ვერ შესაძლებელ არსო, რადთა კუალად-აგოს ღმერთმან კაცსა ყოველი ასოდ, რომელი აქუნდა მას საკუთრად თითოეული იგი ადგილსა თვისსა, ვითარ იგი იყვნეს პირველად". გვ.113. ბერძნული *το ιδιον* გავრცობილადაა თარგმნილი როგორც გიორგისთან, ისე უძველეს ვერსიაშიც.

6 იქვე, გვ.127 შდრ. ძვ. თარგმ. "ესენი მათთვის დაებადნეს, რამეთუ ყოფამან ამათმან ყვნა იგინი". გვ.116;

7 იქვე, გვ.129; შდრ. ლათ. *ad id quod non existet, anima resolvetur*, col.397

ვინადაც არცა სულისა არს
პირველ ჯორცთადასა თქუ-
მაღ ჭეშმარიტ, არცა ჯო-
რცთაღ თვნიერ სულისა,
არამედ ორთავე ერთისა
არსებისა მიცემად: ერთი
იგი მალლისა მისებრ საღ-
მრთოდასა ნებისა პირველსა
მას დაბადებასა შინა ერთ-
ბამად აგებულ და მეორე
- მიზეზსა მას შინა კაცთა
არსებისასა შეერთებულ¹

არა იხილვების შენაწევ-
რებად ასოთაღ მიზეზსა მას
შინა ჯორცთა არსებისასა²

ასოთა და ნაწლევთა თვ-
თოფერებად მიზეზი იგი
არსებისაღ გამოისახვის³

დასაბამსა არსებისასა... ძა-
ლიცა სულისაღ საცნაურ
იქმს თავსა თვსსა და
შეჭმზადებს მას სავანედ
თავისა თვსისა ნივთისა
მისგან დათესულია.⁴

არა ხოლო თუ მიზეზი
არსებისაღ მისცა მას, არ-
ამედ შექმნაცა იგი⁵

ვითარი ჯერ იყო სოფლი-
სა ამის არსებად⁶

*ως μητε ψυχην προ του
σωματος, μητε χωρις ψυ-
χης το σωμα αληθες ειναι
λεγειν, αλλα μιαν αμ-
φοτερων αρχην, κατα μεν
το υψηλοτερον λογον, εν
τω πρωτω του θεου βο-
υληματι καταβληθεισαν,
κατα δε τον ετερον, εν
ταις της γενεσεως αφο-
ρμας συνισταμενην*
(col.236 B)

*ουκ εστι την κατα μελη
διαρθρωσιν ενιδειν τω
προς την συλληψιν του
σωματος εντιθεμενω*
(col.236 B)

*προς τας των αρθρων τε
και σπλαγγων διαφορας
εκεινο το εντεθεν σχη-
ματιζεσθαι* (col.236 C)

*εν αρχη της συστασεως...
συνεργειαν της ψυχης εφ
εαυτου διαδεικνυσιν, εν
τω κατασκευαζειν αυτην
εαυτη δια της εντεθεσης
υλης το προσφυες οικη-
τηριον* (col. 237)

*ουχι αυτο τουτο την
αιτιαν του ειναι παρεσ-
χεν, αλλ'εποιησεν* (I. 7)

*οποιον τινα χρη τον
κοσμον ειναι* (II, 2)

1 დაბადებისათვის კაცისა.. გვ.132.
ჯორცთა და არცა ჯორცნი თვნიერ
არს, პირველად ბრძანებითა და ნებითა
შობისადათა" (118)

2 იქვე გვ.132

3 იქვე გვ.132.

4 იქვე გვ.134; ძვ.თ. "დაწყებასა
საქმისაგან ბუნებასა შინა სიყმოდსასა,

5 ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაღ.

6 ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაღ.

შდრ. ძვ.თ. "არა იყო სული თვნიერ
სულისა, არამედ დაწყებად ორთავე ერთ
ღმრთისადათა და შემდგომად გამოყვანებითა

შინა ყოფისა მისისა... უვმან სავმარი
რომელი-იგი არს საყოფელი მისი" (119)
თბ. 1947, გვ.9

გვ.17

ბნელი, რომელსა არსებად არა აქუს სხვსაგან¹

σκοτος ου παρ'ετερου το ειναι εχον (II, 4)

რამეთუ ყოველი ქუეყანად ღრუ არს და უჩინოთა სადინელთაგან დაფარულად მომზიდველ წყალთა არსებისაგან ზღუათადსა²

οτι πασα υπονομος εστιν η γη, δια πορων αφανων εκ των αρχων της θαλασσης υπονοστωντος του υδατος (IV, 6)

თვისისა არსებისაგან აღმოსცენდებიან³

εξ οικειας αρχης υπεστη (V. 5)

საციხელ არიან, რომელნი-იგი ესრეთ უარსებობსა საქმისათვის ესოდენსა ამას მოცალეებასა წარაგებენ⁴

καταγελαστοι και οι περι την ενυπαρκτον⁵ ταυτην τεχνην εσχολακοτης (VI, 5)

მოიღეს მაშინ არსებად ყოველთავე დიდთა და მცირეთა⁶

το τε μεγα και το μικρον μεταλαγχανει του ειναι (VII, 1)

ზემომოტანილი ნიმუშები ცხადყოფს, რომ "არსებად" გადმოსცემდა არა მხოლოდ ბერძნულ "ουσια"-ს და "φυσις"-ს, "არამედ იგი ხშირად გამოიყენებოდა, აგრეთვე, *ουσια*-ს სინონიმური, მონათესავე ტერმინების შესატყვისად, როგორებიცაა: *υπαρξις* (დაბადება, გაჩენა, არსებობა, რეალობა, სინამდვილე, აღნაგობა; აგებულება, ბუნება); *ουσιασις* (დაბადება, წარმოშობა; არსებობა; ობიექტური რეალობა; სტრუქტურა, აღნაგობა; ბუნება, არსება); *υποουσιασις* (სუბსტანცია, ძირეული ელემენტი; თავდაპირველი არსებობა; რეალობა, სინამდვილე; ბუნება; აღნაგობა; თვისება, არსება; პიპოსტასი); *γενεσις* (წარმოქმნა, წარმოშობა; დასაბამი, სათავე; შექმნა; ქმნილება; შობა); *το ειναι* (არსებობა, მყოფობა, არსება); *αρχη* (დასაბამი, სათავე; პრინციპი, საფუძველი, ელემენტი; მიზეზი, წყარო; პირველმიზეზი) და სხვა.⁷

საბოლოოდ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბერძნული *ουσια* დაახლ. VI ს-იდან მაინც ფილოსოფიურ-თეოლოგიურ კონტექსტში უკვე ქართულად ითარგმნებოდა როგორც "არსებად", რომელსაც შინაარსობრივი სინონიმურობის გამო ზოგჯერ ენაცვლებოდა ან აზუსტებდა შედარებით

1 ბასილი დიდი, ექუსთა დღეთად, გვ.18
2 იქვე, გვ.48. შდრ. ძვ.თ. "ვითარმედ ქუეყანად ყოველი ღრუ არს და წყალი ვალს მის შინა კიდეთაგან ზღვსათა, სადინელთაგან დაფარულთა", გვ.61 (ი. აბულაძის ზემოდასახ. გამოც).
3 იქვე, გვ.55. შდრ. ძვ.თ. "არიან ბუნებისაგან პირველისა", გვ.68
4 იქვე, გვ.70. შდრ. ძვ.თ. "აწ უკუე საციხელ არიან, რომელნი-იგი მოიცალეებენ ამის საქმისათვის", გვ.85
5 ბერძნული *ενυπαρκτος* კონტექსტისთვის შეუფერებელია. ქართული თარგმანი გვიჩვენებს, რომ მის ნაცვლად თავდაპირველ ტექსტში უნდა ყოფილიყო *αυπαρκτος*
6 იქვე, გვ.81; შდრ. ძვ.თ. "იქმნნეს მცირედნი და დიდნი", გვ.96.
7 იძვიათ შემთხვევებში "არსება" შეიძლება გადმოსცემდეს ბერძნულ ტერმინებს: *η κτισις*, *η καταβολη*, *το συγκριμα*, *η καταστασις* და სხვა (იხ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1989, გვ.306-307).

ერთმნიშვნელოვანი "ბუნებაჲ", ხოლო მოგვიანებით, როდესაც ტერმინული სიზუსტისა და ერთმნიშვნელოვნებისაკენ სწრაფვამ თავის მწვერვალს მიაღწია, *ουσια*-ს კანონზომიერ და თითქმის უცვლელ ტერმინოლოგიურ ფარდად სწორედ "არსებაჲ" დამკვიდრდა. ეგვე ტერმინი ძველ ქართულ მწერლობაში გამოიყენებოდა, აგრეთვე, *ουσια*-ს სხვა სინონიმური ცნებების შესატყვისად.

* * *

აქამდე ჩვენი მსჯელობა ეხებოდა ორი სინონიმური ტერმინის, "არსებისა" და "ბუნების", მონაცვლეობას, თუმცა, როგორც მივუთითებდით, ეს არ ნიშნავს იმას, რომ *ουσια*-ს ტერმინოლოგიური შესატყვისი იყო "ბუნება", რამდენადაც ეს უკანასკნელი, როგორც ტერმინი, შეესატყვისებოდა ბერძნულ *φύσις*-ს. ორი ქართული ტერმინის მონაცვლეობა მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ასევე ენაცვლებოდა ერთმანეთს მათი ბერძნული ეკვივალენტები.

მიუხედავად იმისა, რომ "არსება" ძველ ქართულ მწერლობაში *ουσια*-ს კანონიერ შესატყვისად იყო დამკვიდრებული, ზოგიერთ ძეგლში მას მაინც გამოუჩნდა მონაცვლე ტერმინი, რომელმაც ცალკეულ თარგმანებში მთლიანად შეცვალა "არსება". ეს არის ყოფით მეტყველებაში კარგად ცნობილი სიტყვა "შანთი".

ი.აბულაძეს მითითებული აქვს ამ სიტყვის შემდეგი მნიშვნელობები: გახურებული რკინა, მეხი, "წუეთი", ნატეხი (პატივცემულ მკვლევარს დამოწმებული აქვს სათანადო ნიმუშები ბიბლიიდან) (იხ. "ძვ. ქართ. ლექს.").

ეგვე სიტყვა "жыбу" გვხვდება სომხურშიც, სადაც იგი ზემომითითებული მნიშვნელობების გარდა აღნიშნავს "ბრწყინვალებას", "კაშკაშს", "ელვარებას", აგრეთვე, "ბელტს", "გუნდას", "მასას" (*βλωσ*; *Gleba*).

ი.აბულაძე იმოწმებს "ზირაქის სიბრძნეს":

"მარილი და ქვშაჲ და შანთეული რკინისაჲ უადვლეს არს ტვრთვად" (22, 18).

ბერძნულში "შანთს" შეესაბამება *βλωσ*, ხოლო სომხურში ქართულის მსგავსად "შანთი" გვაქვს.

ეგვე სიტყვა გვხვდება "იობის წიგნის" მცხეთურ ხელნაწერში:

"გამოსცვიან შანთნი ცეცხლისანი" (41, 10)

ბერძნულში "შანთის" შესატყვისად გვაქვს *εσχαρα*, ხოლო სომხურში აქაც "შანთია".

თუ განვაზოგადებთ, "შანთს" წინათონურ პერიოდში ორი მთავარი მნიშვნელობა აქვს:

1. ელვა, ელვარება; ბრწყინვალება; 2. ბელტი, მასა.

მეორე მნიშვნელობით "შანთი" გადმოსცემს ბერძნულ *βλωσ*-ს, რომელმაც შეითვისა, აგრეთვე, ზოგადად ჩოვთიერების, მატერიის შინაარსი. როგორც ჩანს, ეგვე გააზრება მიუღია "შანთსაც".

სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა დაკავშირებოდა ეს ტერმინი ბერძნულ *ουσια*-ს. საქმე ისაა, რომ გარდა ზემომითითებული შინაარსისა, *ουσια* ხშირად აღნიშავდა მატერიას, შემადგენელ ნივთიერებას, მასალას. გ.ლემპის

მითითებით, *ουσια*-ს ერთერთი მნიშვნელობა იყო substance from which a thing is made or in which it exists; stuff, matter, material substance.¹ ბერძნულ მწერლობაში *ουσια* ზოგჯერ უიგივდება მატერიის აღმნიშვნელ *υλη*-ს (შდრ. *υλην ωσπερ τινα και ουσιαν της των ολων γενεσεως τε και συστασεως την εαυτου βουλην και δυναμιν προβεβλημενος*).²

მოგვიანებით, როგორც ჩანს, "შანთმა" შეითვისა "ουσια"-ს სხვა მნიშვნელობებიც. იგი მთლიანად გაუთანაბრდა ბერძნულ ტერმინს და მის ერთერთ ქართულ შესატყვისად მოგვევლინა. *ουσια*-სა და *φυσικ*-ის ანუ "არსებისა" და "ბუნების" ხშირი იდენტურობის გამო მან შესაბამისად "ბუნების" გააზრებაც მიიღო.

ჩვენთვის ხელმისაწვდომი ძეგლებიდან სუბსტანციის შინაარსით "შანთი" გვხვდება გრიგოლ ნოსელის "კაცისა შესაქმის" და ბასილი დიდის "ექუსთა დღეთაჲს" ადრინდელ თარგმანებში (ერთხელ ამ უკანასკნელის გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანშიც), სევერიანე გაბალოვნელის პომილიაში "მარტ-ვლიისათჳს", აგიოგრაფიულ ძეგლში "ევსტრატის წამება", მიქაელ მოდრეკილის "იადგარში" (შესაბამისად, სხვა "ახალ" იადგარებშიც) და არსენ კათალიკოსის თბზულებაში "ცხორებაჲ იოვანე ზედაზნელისაჲ".

მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

გრიგოლ ნოსელი "კაცისა შესაქმე" (ძველი თარგმანი):

იქმნა შეზავებაჲ ბუნებისა წულილადისაჲ, რომელი ჰნათობს შანთითა მით გონიერთა³

γινεται προς το λεπτον και φωτειδες της... φυσεως η της νοερας ουσιας οικειωσις (Pg.44, 145 C)

არა არს ძალი გრძნობისაჲ თჳნიერ შანთისა მის ნივთიერისა⁴

ουτε ουν αισθησις χωρις υλικης ουσιας (176 B)

(მანი) მოიღებდა შანთსა მას ნივთისასა და ჰყოფდა წინააღმდგომად ღმრთისა⁵

1 G.Lampe... col. 982

2 იქვე

3 შატბერდის კრებული, გვ.79. შდრ. გიორგი მთაწმიდლის თარგმანი: "იქმნა წულილისა მის და ნათლისფერისა... ბუნებისა, რომელ არს გონიერი არსებაჲ, საკუთრებაჲ რაჲმე და შეზავებაჲ, გრიგოლ ნოსელი, დაბადებისათჳს კაცისა (ნ. შალამბერიძის მიერ მომზადებული ტექსტი), გვ.29

4 შატბერდის კრებული, გვ.91; შდრ. გიორგი: "ვერცა საცნობელნი თჳნიერ ნივთიერისა არსებისა", გვ.67

5 შატბ. კრ., გვ.107.

ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ (ძველი თარგმანი):

განჰყოფს შეერთებულთა
ყოველთა შანთსა შინა
შემწყნარებელსა და ვი-
თარებასა შინა, რომელი
მას ზედა დაკარდების.

*τα συνθετα παντα... δι-
αιρεισθαι εις τε την δε-
κτικην ουσιαν και εις την
επισυμβασαν αυτη πο-
ιοτητα*

(დასახ. გამოც. pg.336)

როგორც აღვნიშნეთ, "შანთი"
გიორგისეულ თარგმანში:

გვხვდება აგრეთვე, ამავე ძეგლის

და შექმნულ (არს) სო-
ფელი შეზავებული: ესე
იგი არს, ვითარმედ შანთი
მდებარე² და არსებაჲ
სხვთ კერძო აქუს, ხოლო
ხატი და მსგავსებაჲ ღმ-
რთისა მიერ მიუღებებს
(გვ.16)

*και γεγενησθαι τον κο-
σμον συνθετον, το μεν
υποκειμενον και την
ουσιαν ετερωθεν εχοντα,
το δε σχημα και την
μορφην παρα θεου προσ-
λαβοντα (II. 2)*

სამწუხაროდ, აღნიშნული ადგილი ძველ თარგმანს აკლია, მაგრამ,
ვფიქრობთ, გიორგისეულ ტექსტში "შანთი" სწორედ მისგან უნდა მომდი-
ნარეობდეს. ზემოთ აღვნიშნავდით, რომ გიორგი მთაწმიდელს ძალიან ხშირად
უცვლელად გადმოაქვს ძველი თარგმანის ლექსიკა. ამგვარი ვარაუდის
საფუძველს ისიც გვაძლევს. რომ გიორგი არსად სხვა შემთხვევაში,
რამდენადაც ეს ჩვენთვის ცნობილია, *υποκειμενον*-ს "შანთად" არ თარგმნის.

ციტირებული ადგილი ცხადყოფს, რომ ფილოსოფიურ-თეოლოგიური
შინაარსით "შანთი" არსების, ბუნების, ძირეული მარცვლის, სუბსტანციის
იდენტურია. ეს ჩანს, აგრეთვე, სევერიანე გაბალოვნელის ჰომილიის
"მარტვილისათვის" ძველი ქართული თარგმანიდან.

ხსენებული თარგმანი, როგორც ბერძნულთან შედარება ცხადყოფს,
პირდაპირ ორიგინალიდან არ მომდინარეობს. მათ შორის, ალბათ,
იგულისხმება ჩვენთვის უცნობი შუამავალი ტექსტი; იქნებ სწორედ შუამავალი
ტექსტით იყოს განპირობებული, რომ ქართულში "არსების" ან "ბუნების"
შინაარსით გვხვდება სიტყვა "შანთი".

მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

1 უძველესი რედაქციები... გვ.80. შტრ. გიორგი: "ყოველივე აგებული...
განიყოფის შემწყნარებელად არსებად და მას ზედა შემოსრულად ვითარებად".
გვ.66 (მ. კახაძის გამოც)

2 ბერძნული *υποκειμενον* ანუ "მდებარე" აღნიშნულ შემთხვევაში "არსებას"
გულისხმობს, რადგანაც სწორედ არსებაა "მდებარე"; ე.ი. "შანთი მდებარე" ვფიქრობთ
ნიშნავს: "არსებაჲ მდებარე", (შტრ. იოანე დამასკელი: "არსებაჲ მდებარე რაჲმე არს",
იოანე დამასკელი, დიალექტიკა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა
და ლექსიკონი დაურთო მ.რაფაევამ, თბ. 1976, გვ.1, 4). ამასვე ცხადყოფს თვით
ბასილისეული დაზუსტება: "შანთი მდებარე და არსებაჲ" (*υποκειμενον και την
ουσιαν*); იხ. ზემორე ციტატა.

არა თუ შანთი სულისა წმიდისად განუყო, არამედ მან განუყო მადლი ნიჭთა მისთად, ვითარცა თქუა პავლე: "ესე ყოველი მოცემულ არს ერთისა სულისა მიერ, განუყოფს თითოეულად ნებისაებრ თვისისა" (კლარჯული მრავალთავი, დასახ. გამოცემა, გვ.337)

სული წმიდად ოდესმე ითქუმის სულად მამისა და ოდესმე სულად ძისა; არათუ განუყოფილ არს იგი; ნუ იყოფინ! არამედ, რამეთუ შანთი იგი ბუნებისა მათისად ერთ არს¹

სთქუა, ვითარ-მე ეგების, რადთა იყოს მამად ღმერთ და ძე ღმერთ და სული წმიდად ღმერთ? და არა იყვნენ იგინი სამ ღმერთეება, ...რამეთუ შანთი ბუნებისა მათისად ერთ არს²

μεριζομενον ου την φυσιν, αλλα... διαιρει τα χαρισματα, ως μαρτυρει Παυλος: "ταυτα δε παντα ενεργει το εν και το αυτο Πνευμα, διαιρουν ιδια εκαστω καθως βουλεται (Pg.63 col.935)

ποτε μεν Πνευμα το αγιον λεγεται ποτε δε Πνευμα Υιου ποτε δε Πνευμα Πατρος, ουκ εν συγχυσει κηρυττομενον, αλλα το αδιασπαστον της θειας ουσιας ερμενευομενον (col.935)

πως, φησι, δυναται Πατηρ λεγεσθαι θεος, και θεος Υιος, και Πνευμα αγιον θεος και ου τρεις θεοι Οπου κοινα τα της φυσσεως (col.936)

ციტირებული სამი მაგალითიდან პირველში "შანთი" შეესატყვისება ბერძნულ "φυσια"-ს, მეორეში "ουσια" თარგმნილია, როგორც "შანთი ბუნებისად", ხოლო მესამე შემთხვევაში ამავე წყვილით ("შანთი ბუნებისად") გადმოცემულია ბერძნული "τα της φυσσεως". ძნელი სათქმელია, რამდენად ასახავს ჩვენამდე მოღწეული ბერძნული ტექსტი თავდაპირველს. ერთი რამ უეჭველია: ქართული "შანთი" აღნიშნავს განუყოფელ, მარადიულ სუბსტანციას, ნატურას, ესენციას. თუ უფრო მკაცრად დავაზუსტებთ, იგი კონკრეტულად "ουσια"-ს შეესატყვისი უნდა იყოს. თვით ფრაზა "შანთი ბუნებისად" ანუ "ბუნების შანთი" სწორედ იმაზე მიანიშნებს, რომ "შანთი" ტერმინოლოგიური თვალსაზრისით "ბუნებას" ანუ *φυσια*-ს კი არ უიგივდება, არამედ რაღაც სხვა ტერმინს, რომელიც თუმცა შინაარსობრივად მეტად მჭიდრო კავშირშია "ბუნებასთან", მაგრამ, მაინც ცალკე დგას მისგან. ასეთი შეიძლება იყოს სწორედ "არსება" ანუ *ουσια*. მიუხედავად იმისა, რომ *ουσια*-სა და *φυσια*-ს ხშირად მთლიანად ათანაბრებდნენ (შესაბამისად "შანთიც" შეიძლება გაუთანაბრდეს "ბუნებას"), მათ შორის ზოგჯერ მაინც იჩენდა თავს სხვაობა. იოანე დამასკელი

1 კლარჯული მრავალთავი, გვ.338
2 იქვე, გვ.340

მიუთითებს, რომ ფილოსოფოსები "განყოფილებასა იტყვან არსებისა და ბუნებისასა, რამეთუ არსებად უწოდენ მარტივად მდებარესა ნივთსა, ხოლო ბუნებად - არსებასა დასახულსა განყოფილებად არსებითად".¹

ასე რომ, ჩვენი აზრით "ბუნების შანთი" უნდა ნიშნავდეს "ბუნების არსებას" (*η της φυσικης ουσια*). თუ "შანთს" "არსებით" შევცვლით, სევერიანეს ჰომილიის ქართული თარგმანიდან მოტანილი ციტატები ასეთ სახეს მიიღებს: "არსებად ბუნებისა მათისად (მამისა, ძისა და სულისა) ერთ არს"; "არა იყვნენ იგინი სამ ღმრთეება,... რამეთუ არსებად ბუნებისა მათისად ერთ არს". მსგავსი შესიტყვება გვხვდება არსენ კათალიკოსის თხზულებაში "ცხოვრებად იოანე ზედაზნელისად": (ძე ღმერთი არის) "ნათელი იგი მარადის კურთხეული და ბრწყინვალე, განურჩეველი უზემთასესისაგან ბუნებისა არსებისა, საუკუნებრ ნათელი სმენით-რე"²

აღნიშნულ ადგილას "უზემთაესი ბუნება", ცხადია, ღმრთეებაა რაც ავტორის სიტყვით არის "საუკუნებრ ნათელი სმენით-რე", ანუ მარადიული ნათელი, რომლის შესახებაც მხოლოდ "გვსმენია" ანუ გადმოცემა, უწყება მიგვიღია. აქ ხაზია გასმული ღმრთეების აბსოლუტურ ტრანსცენდენტურობაზე, რომელიც ძე ღმერთის გზით, დატევნისებრ, ეუწყება შექმნილ არსებებს.³

ციტირებულ წინადადებაში "ბუნებისა არსებად" შინაარსობრივად იგივეა, რაც "ბუნებისა შანთი" ანუ "შანთი ბუნებისად".⁴

"შანთი" რომ "არსებას" ანუ *ουσια*-ს გულისხმობს, ეს სრულიად ცხადად ჩანს თვით არსენ კათალიკოსის აღნიშნული თხზულებიდან. ამ ძეგლის შესავალში ერთგან მსჯელობა ეხება სამების ერთსწორებას, ძისა და მამის ერთარსებას. ავტორი სვამს კითხვას.

"ღმერთი შემწყნარებელი შესრულისად არს ანუ არა?"

დასმულ კითხვას არსენი ასე უპასუხებს:

"უკუეთუ აღიაროს (მწვალებელმა ე.ჭ.), ვითარმედ ღმერთი არა შემწყნარებელი არს შესრულისად, ვკითხოთ: სიტყუად ღმრთისად შესრული არს ანუ არა? უკუეთუ თქუას, შესრული არს, უვარ-ვყო, რომელი-იგი აღვიარე. არამედ ნუ იყოფინ, ვითარმცა შე-რადმე-ვიდა ღმრთისა თანა, რომელცა არა იყო... დაშთა, რადთა იყოს შანთ, რამეთუ: "ყოველი ორითავე განყოფვის: შანთითა და შესრულითა და რომელი არ იყოს შესრული, ჩანს, რამეთუ შანთი არს იგი და რომელი შანთი არს, მდგომარე არნ იგი თავით თვისით".⁵

როგორც ზემოთ ვნახეთ, "შანთის" შესახებ მსგავსი მსჯელობა გვხვდება ბასილი დიდის "ექუსთა დღეთადში" (ძვ. თარგმანი: "განჰყოფს შეერთებულთა ყოველთა შანთსა შინა შემწყნარებელსა და ვითარებასა შინა, რომელი მას

1 იოანე დამასკელი "ბუნების" შესახებ მიუთითებს: "ხოლო ესე არარად სხუად არს თვნიერ არსებად". იხ. იოანე დამასკელი, დიალექტიკა, 26, 2;

2 ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი ქართული რედაქციები, თბ. 1955, გვ.9

3 იგივე აზრი გვხვდება, აგრეთვე ანასტასი სინელის "წინამძღვარში" (არსენის თარგმანი): "ქრისტეს ღმრთეების რწმუნებად სმენსა მიერ მოვიღეთ" (S-1463, 30v, ბერძნ. ტექსტი Pg.89, 249 A)

4 აღნიშნული შესიტყვება პირუკუ ფორმითაც არის ცნობილი: "ერთი ძალი ღმრთეებისად... ბუნებითა არსებისადთა წრფელ, მოდგამ, სწორ" (მატბ. კრებ. გვ.294); "დაჰბადა... მოძღვრებისა სიტყვთა მამულისა არსებისა ბუნებითა" (წმ. ნინო "ნათლისღებისათს", A-95, ფ.288).

5 ასურელ მოღვაწეთა... გვ.10

ზედა დავარდების";¹ გიორგისეული თარგმანი: "ყოველივე აგებული... განიყოფვის შემწყნარებელად არსებად და მას ზედა შემოსრულად ვითარებად".²

გიორგისეულ თარგმანში სიტყვა "შემოსრული" გადმოსცემს ბერძნულ "συμβασα"-ს, რომლის Act. I perf. part. *συμβεβηκος* სპეციალური ტერმინი იყო ფილოსოფიურ მწერლობაში. იგი აღნიშნავდა შემთხვევითს, არაარსებითს, გარედან შემატებულს, გარედან შემოსულს, არა-ძირეულს. იგი საწინააღმდეგოა "არსებისა", სუბსტანციისა, ბუნებისა. ისევე, როგორც გიორგისეული "შემოსრული", არსენისეული "შესრულიც", ვფიქრობთ, სწორედ *συμβεβηκος*-ის³ შინაარსს შეიცავს. რაც შეეხება "შანთს", რომელიც ბასილის თხზულების ძველ თარგმანში უპირისპირდება "შესრულს", იგი გადმოსცემს ბერძნულ *ουσια*-ს (გიორგისეულ თარგმანში, როგორც ვნახეთ, "შანთი" "არსებით" არის შეცვლილი).

ამგვარად, არსენ კათალიკოსის მითითებით, ყოველივე არსებული განიყოფება "შანთად" ანუ არსებად და "შესრულად" ანუ შემთხვევითად. თვით "შანთი" თავით თვსით მდგომარე არნ. აღნიშნული მსჯელობა მთლიანობაში ძალიან უახლოვდება იოანე დამასკელის "დიალექტიკის" 1 თავის დასაწყისს:

το ον κοινον ονομα εστι παντων των οντων τουτο διαιρειται εις ουσιαν και συμβεβηκος

("არსი ზოგადი სახელია ყველაფერი იმისა, რაც არსებობს. იგი განიყოფება არსებად და შემთხვევითად". შდრ. არსენისეული თარგმანი: "ყოფი ზოგადი სახელი არს ყოველთა ყოფთაჲ. ესე უკუე ყოფი განიკუეების არსებისა მიმართ და შემთხვევითისა"- დიალექტიკა, 1, 1).

არსენ კათალიკოსისეული "თავით თვსით მდგომარე", ვფიქრობთ გადმოსცემს ბერძნულ *το αυθυστοιαιον*. იოანე დამასკელის "დიალექტიკის" არსენ იყალთოელისეულ თარგმანში ვკითხულობთ: "საკუთრად გუამად თვსაგან თავით თვსით მდგომი არსცა და სახელ-იდების" (30, 2). ამ შემთხვევაში "საკუთრად გუამი" იგივეა, რაც "მარტივი არსება", რომელიც დამოუკიდებლად არსებობს. იგი არის "თავით თვსით მდგომი" (*υφισταμενος* - იხ. ლექსიკონი. გვ.284). ეს ფრაზა, ჩვენი აზრით, შინაარსობრივად იგივეა, რაც არსენ კათალიკოსისეული "შანთი... თავით თვსით მდგომარე არნ". შესაძლოა, "იოანე ზედაზნელის ცხოვრების" ერთერთი სავარაუდო საღვთისმეტყველო წყარო იყოს სწორედ იოანე დამასკელის "დიალექტიკა".

როგორც მივუთითეთ, "უსიას" შინაარსით "შანთი" თავს იჩენს "ევსტრატის წამების" ქართულ თარგმანში:

"იყვნეს... მისივე შანთისაგან (*ουσιας*) წარუვალისა" (იხ. კ.კეკელიძე, ეტიუდები, VIII, თბ. 1962. გვ.138: იქვე მკვლევარის განმარტებით: "... ყველანი ერთი შანთის" ანუ ბუნების არიან", გვ.141; "შანთის" ეს ზუსტი განმარტება გათვალისწინებული არ არის ზ.სარჯველაძის მიერ; იხ. ქართული მწერლობა, ტ.2, გამოცემაზე დართული ლექსიკონი, "შანთი").

ზემოაღნიშნული შინაარსით "შანთი" ხშირად გვხვდება მიქაელ მოდრეკილის "იადგარში". მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"შეაერთე მკსნელო აგებულებად ჩუენი აუგებელსა შანთსა ღმრთეებისასა" (158; შდრ. "შეეზავა აგებულებასა ნივთიერსა... აუგებელი არსებად

1 უძველესი რედაქციები... გვ.80

2 ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, გვ.66

3 ეს სიტყვა ითარგმნებოდა, აგრეთვე, როგორც "შემთხვევითი"

ღმრთეებისად*, გვ.85).¹

"შეაყავ შანთი უნივთოდ, უსხეულოდ, აუგებელი, გარეშეუწერელი, ღმრთისა სიტყუაო, შანთსა სხეულოვანსა" (გვ.192).

"შეჰზავე, ქრისტე, შანთი აუგებელი აგებულებასა ნივთიერსა" (193)

"შანთი იგი უზეშთაესი ყოველთა ბუნებათადა... ასდგ საფლავით" (250)

"თავს-იდევ ჭუარცუმაჲ, ქრისტე, შანთითა კაცობრივითა" (252)

"მიილო ჩუენგან ბუნებაჲ მოკუდავი და შეაყო იგი შანთსა მას ბუნებითა აუგებელსა" (390).

"შანთი შეუცავი, უკუდავი, უხრწნელი ვერ შეიცვა საფლავმან" (408) (მდრ. 85 - "შეიხვე ტილოსა არსებით შეუცავო")

"შეგიწყნარა საფლავმან შანთითა კაცობრივითა" (418)

"შეეზავა აგებულებასა ნივთიერსა შანთი უხილავი უსხეულოდ" (439)

"შეგიცვა ბნელმან შანთითა კაცობრივითა მით ვორცთაჲთა" (473)

"უხილავი ღმრთეებაჲ, ბუნებით უვნებელი, სიტყუაჲ შეუხებელი, შანთი აუგებელი მოხუედ ვნებად, ღმრთისა სიტყუაო, ბუნებითა ვორცთაჲთა" (476)

"დაგფარეს აჩრდილთა სიკუდილისათა შანთითა კაცობრივთა ვოცთაჲთა" (506)

"შეიცვა ბნელმან... შეუცავი ნათელი შანთითა კაცობრივითა" (516)

"შეაერთე აგებულებასა ჩუენსა მიწისაგანსა მოწყალებით აუგებელი, უსხეულოდ შანთი ღმრთეებისად"² (518)

* * *

ციტირებული ნიმუშები ცხადყოფს, რომ IX-X სს-ისათვის "შანთს" სუბსტანციის შინაარსით საკმაო გავრცელება მოუპოვებია. ეს ტერმინი *ουσια*-ს შესატყვისად არცერთხელ არ გვხვდება უძველეს "იადგარში", ასევე, იმ ძეგლებში, რომლებიც VIII-IX სს-მდე თარგმანებად მიიჩნევა. აღნიშნული გარემოება ბუნებრივად გვიკარნახებს, რომ ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინი "შანთი" დაახლოებით IX ს-ის დამდეგიდან უნდა გავრცელებულიყო ქართულში.

1 ამავე იადგარში "შანთი" მრავალგზის აღნიშნავს, აგრეთვე, ღვთიურ ბრწყინვალებას. ცეცხლს, თუმცა ბევრ შემთხვევაში ძნელია თქმა, მართლაც "ცეცხლს" გულისხმობს იგი, თუ "არსებას". ვფიქრობთ, პირველი, ე.ი. ცეცხლის მნიშვნელობით იხმარება "შანთი" შემდეგ მაგალითებში: "იტკრთე ვორციითა შეუხებელი, უსხეულოდ შანთი ღმრთეებისად საშოსა და არა შეიწუ შენ" (53, მდრ. "ცეცხლი საღმრთოდ წიაღითა იტკრთა დღეს და არა შეიწუა"; გვ.60); "უსხეულოდ შანთი ღმრთეებისად შეეზავების წყალთა მათ იორდანისათა საიდუმლოდ" (126; მდრ. "უსხეულოდ ცეცხლი საღმრთოდსა ძლიერებისად შეეზავების დღეს წყალთა მათ იორდანისათა საიდუმლოდ"; 128) და მისთ.

2 მდრ. "შეეზავა აგებულებასა ნივთიერსა მიწისაგანსა მოწყალებით აუგებელი არსებაჲ ღმრთეებისად" (85)

საყურადღებო უნდა ჩანდეს იმის აღნიშვნა, რომ ტერმინი *οσια* უთარგმნელად გვხვდება ქართულ მწერლობაში. მხედველობაში გვაქვს ცნობილი ანდერძი, რომელიც თან ერთვის 977 წლის ათონურ ხელნაწერს N9 (69).¹ ხსენებული ანდერძის უდიდესი ნაწილი წარმოადგენს მნიშვნელოვან დოგმატურ-საღვთისმეტყველო ნაშრომს, რომელსაც უთუოდ სათანადო ადგილი უნდა მიეკუთვნოს ქართულ თეოლოგიურ მწერლობაში. ანდერძი იწყება ქრისტიანული ტრინიტარიზმის გადმოცემით:

"რომელი-იგი არსი არსებითა და გამოუთქუმელი ღმრთეებითა... უცვალებელი ღმერთი, არა დასაბამიერი და არცა დასრულებადი, განუზომელი, მარადის ნათელი, ნათლისა მშობელი, რამეთუ ესე უსია ღმრთეებისად შეჭკრებს სამგუამოვნებასა მამისასა და ძისასა და სულისა წმიდისასა".²

როგორც ვხედავთ, მოტანილ ტექსტში ბერძნული *οσια* გვხვდება უთარგმნელად, ქართული ტრანსკრიფციით.

იგივე "უსია", გარდა აღნიშნულისა, კიდევ უნდა გვხვდებოდეს ძველ ქართულ მწერლობაში. ვგულისხმობთ "იოანე ზედაზნელის ცხოვრების" Q 795 ნუსხას, რომელსაც ნაწილობრივ ზემოთაც შევვხვით. ცნობილია, რომ ამ რედაქციას წინ უძღვის ვრცელი საღვთისმეტყველო შესავალი; თეოლოგიური მსჯელობანი ჩართულია აგიოგრაფიული თხრობის შიგნითაც. მეტად საყურადღებო გვეჩვენება იმის აღნიშვნა, რომ "იოანე ზედაზნელის ცხოვრების" ხსენებული რედაქციის საღვთისმეტყველო ნაწილი რამდენიმე ადგილას სიტყვასიტყვით ეთანხმება ზემოხსენებული ათონური ხელნაწერის ანდერძს.

მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"ანდერძი"

უხილავი არსთა მიერ, უცვალებელი ღმერთი, არა დასაბამიერი და არცა დასრულებადი, განუზომელი, მარადის ნათელი... უჟამო, დაუტევნელ, უხილავ, უცვალებელ... თვთ იძრვის ძრვითა თვსითა თავით თვსით ძლიერ, დაღაცათუ მიიწევის პირველსა მიზეზსა ყოველი, რომელი მისი არს

"ცხოვრება"

ერთი უხილავი და უცვალებელი ღმერთი არს, არა დასაბამიერი, არცა დასრულებადი, განუზომელი, მარადის კურთხეული ნათელი სამებისად... უხილავი, უჟამო, დაუტევნელ, უცვალებელ... თვთ იძრვის ძრვითა თავით თვსით ძლიერ, დაღათუ მიიწევის პირველისა მიზეზისა ყოველი, რომელი მისი არს

1 ძველ ქართულ ხელნაწერებზე დართული ანდერძების, მათ შორის, ხსენებული ანდერძის ტერმინოლოგიური შესწავლის აუცილებლობა ჩვენს წინაშე დააყენა აკად. ელ. მეტრეველმა

2 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, ნაკვ. 1. თბ. 1986, გვ.45. საყურადღებოა, რომ ამ ხელნაწერის გვიანდელ პირში A-1142, სადაც გადატანილია ხელნაწერის ანდერძი, სიტყვა "უსია" გამოტოვებულია და დატოვებულია ცარიელი ადგილი. იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. IV, თბ. 1954, გვ.184.

3 ასურელ მოღვაწეთა... გვ.8

გარნა რადთა ესე ოდენ უწყოდეთ, რამეთუ მამად არა ძე არს, გინა სული; და ძს არა მამად არს, ანუ თუ სული; და სული წმიდად არცა მამად არს, არცა ძს

გარნა ესე ზოლო, რამეთუ მამა არა ძე და ძე არა მამა და სული წმიდა არცა მამა და არცა ძე (იქვე, გვ.9)

ღმერთმა "მოსცა მას (კაცს ე.ჭ.) არსებად დასაბამიერი და არადასასრულებადი, სული უკუდავი და მით ჯერითა მიგვახლნა ჩუენ ანგელოზთასა მას ბუნებასა ერთკერძოდ იგი ჩუენი, მსგავსი ცხოველთა მათ განქარვებადთად. და არა არს კაცი იგი არცა ანგელოზ, არცა პირუტყუ, არამედ შორის მათსა სხუად დაბადებული ორთაგან ერთი, სულისაგან და ჯორცთა; დაადგინა ადგილსა ბრძოლისასა და ძლევისასა და კელმწიფებად მისცა მას თავისუფლებისად და შეაყენა იგი წამსა სასწორისასა ბუნებისა მისისასა"

ღმერთმა "მისცა მას (კაცს ე.ჭ.) არსებად დასაბამიერი და დაუსრულებელი, სული უკუდავი და ამით ჯერითა მოგუეახლნა ჩუენ, ანგელოზთასა მას ბუნებასა და ერთკერძოდ იგი ჩუენი, მსგავსი ცხოველთა მათ განქარვებადთად. და არა არს კაცი იგი ანგელოზ, არცა პირუტყუ, არამედ შორის მათსა და სხუად დაბადებული, ორთაგან ერთი იგი; სულისაგან და ჯორცთა; შეაერთა და დაადგინა იგი ადგილსა ბრძოლისა და ძლევისასა და კელმწიფებად მისცა მას უფლებისად და შეაყენა იგი წამსა სასწორისა და ბუნებისა² მისისასა"³

ამგვარი ტექსტობრივი დამთხვევა "ანდერძსა" და "იოანე ზედაზნელის ცხოვრებას" შორის გვხვდება იმ მონაკვეთშიც, სადაც "ანდერძში" გვაქვს "უსია":

"ანდერძი"

"ცხოვრება"

რამეთუ ესე უსიად ღმერთებისად შეჰკრებს სამგუამოვნებასა მამისასა და ძისასა და სულისა წმიდისასა და ესრეთ აღირაცხების შეკრებულად შეურწყუმელი და განუყოფელი და არა დაკლებულ არს ყოვლადვე ძე მამისაგან და არცა სული წმიდად ძისაგან

რამეთუ ესე უსადმრთეებისა შეჰკრებს სამგუამოვნებასა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა თანა. აღირაცხების ესრეთ შეკრებულად შეურწყუმელი და განუყოფელი და არა ჯერარს დაკლებად ძე მამისაგან და არცა სული ძისაგან.⁴

1 ხელნაწერში გვაქვს "აღსრულებად". რაც გადამწერის მექანიკური შეცდომაა
 2 ხელნაწერში გვაქვს "გონებისა". რაც გადამწერის მექანიკური შეცდომაა
 3 ასურულ მოღვაწეთა... გვ.32
 4 ასურულ მოღვაწეთა... გვ.8

როგორც მოტანილი ტექსტობრივი პარალელები ცხადყოფს, "ანდერძისეულ" ფრაზას "უსია ღმრთეებისა" აგიოგრაფიულ ძეგლში შეეთარდება "უსაღმრთეებისა". სიტყვა "უსაღმრთეებისა" ქართულ მწერლობაში არ არსებობს. ეჭვი არ არის, საქმე გვაქვს გვიანდელი გადამწერის მექანიკურ შეცდომასთან, რომელმაც დედნისეული "უსია ღმრთეებისა" დაამახინჯა, როგორც "უსაღმრთეებისა".

ამრიგად, "იოანე ზედაზნელის ცხოვრების" ხსენებული რედაქციის თავდაპირველ ტექსტში გვექნებოდა "უსია ღმრთეებისა".¹

საზოგადოდ, მოტანილი პარალელები ცხადყოფს, რომ ათონური ხელნაწერის ანდერძი ფართოდ სარგებლობს "იოანე ზედაზნელის ცხოვრების" აღნიშნული რედაქციით. შესაბამისად, ხსენებული რედაქცია X ს-ის 80-იან წლებამდე უნდა იყოს დაწერილი (თვით ანდერძი 980-იანი წლების დამდეგისა).

* * *

ზემოწარმოდგენილი ვრცელი მიმოხილვის შემდეგ, ვფიქრობთ, საფუძველი გვაქვს იმის სათქმელად, რომ *ουσια* ძველ ქართულ მწერლობაში დაახლოებით VI ს-დან უკვე ითარგმნებოდა, როგორც "არსებად", რომელსაც ზოგჯერ ცვლიდა სინონიმური ტერმინები "ბუნება" და "შანთი" ახ კიდევ "უსია". ამგვარი შენაცვლება მხოლოდ ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. ტერმინი "არსება" ძველი ქართული მწერლობის ყველა პერიოდში რჩება *ουσια*-ს დაკანონებულ შესატყვისად.

რაც შეეხება *ομοουσιος*-ს, მის შესატყვისებად ასევე დაკანონებული იყო ტერმინები "ერთარსება" და "თანაარსი". ცალკეულ კერძო შემთხვევებში მათაც ენაცვლებოდა სინონიმური ტერმინები (მაგალითად "ერთბუნება", ან "სწორი ბუნებითა"²), თუმცა ასეთი შემთხვევები იშვიათი იყო და ყოველ ამგვარ შენაცვლებას საფუძველად ედო თვით შესაბამისი ბერძნული ტერმინების სინონიმური ურთიერთმონაცვლეობა, რაც, ცხადია, არ ცვლიდა ტერმინოლოგიური შესატყვისობის სურათს (მაგალითად, "ერთბუნება", ცხადია, კვლავ "ομοφυης"-ის შესატყვისად რჩებოდა, ხოლო "ერთარსება" ან "თანაარსი"-*ομοουσιος*-ისა), ე.ი. აქ საქმე გვქონდა ზუსტად ისეთსავე მონაცვლეობასთან, რაც ზემოთ "არსებასთან" და "ბუნებასთან" დაკავშირებით ვნახეთ.

თითქოს ასეთსავე მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე ერთ ძველ ქართულ თარგმანში.³ მხედველობაში გვაქვს ფსევდო-ოქროპირისეული ქადაგება "ამაღლებისათვის", რომელსაც ზემოთ უკვე შევეხეთ. ეს ძეგლი, როგორც აღვნიშნეთ, ორი რედაქციითაა მოღწეული, რომელთაგან ერთი, ვფიქრობთ, სომხურიდან მომდინარეობს, ხოლო მეორე - ალბათ, უშუალოდ ბერძნულიდან. ამ უკანასკნელში ბერძნული *ομοουσιος* ორგზის თარგმნილია, როგორც "მსგავსი". საგულისხმოა, რომ მეორე, სომხურიდან მომდინარე რედაქციაში მას ცვლის "ერთობად", რაც, ვფიქრობთ, სწორედ სომხურ ტექსტზე

1 საყურადღებოა, რომ აღნიშნულ რედაქციას ახასიათებს იოტების ნაკლებობა, რაც ხშირ შემთხვევაში გამომცემლის მიერაა დამატებული.

2 ალექსანდრე კვიპრელის ქრონიკაში *ομοουσιος* ხშირად არის თარგმნილი, როგორც "სწორი ბუნებითა".

3 იხ. თ. შვალაბლიძე, ერთი ფსევდო-ოქროპირისეული თხზულების წყაროს საკითხი, პრაველთავი X, თბ. 1987, გვ. 80.

დამოკიდებულებას გვიცხადებს, სადაც გვხვდება ტერმინი "ἰσότης". ამ სიტყვამ, საზოგადოდ, შეიძლება გადმოსცეს, როგორც ὁμοουσιος, ასევე ἰσότης, თუმცა შინაარსობრივად იგი სწორედ ἰσότης-ს (ერთობას) გულისხმობს, რადგან სიტყვასიტყვით ნიშნავს "ერთიანს" და არა "ერთ-არსებას". ამ უკანასკნელის ტერმინოლოგიური შესატყვისი სომხურში არის "համագոհակից".

რაც შეეხება ტერმინ "მსგავსს", იგი წარმოადგენს ბერძნული "ὁμοουσιος"-ის შინაარსობრივ და არა ტერმინოლოგიურ თარგმანს. აღნიშნულ საკითხს საგანგებოდ ეხება თ.მგალობლიშვილი, რომლის აზრითაც, ქართული "მსგავსი" ბერძნულ შესატყვისად გულისხმობს არა "ὁμοουσιος"-ს, არამედ "ὁμοιουσιος"-ს, რაც უნდა ყოფილიყო კიდევ, მკვლევარის აზრით, თავდაპირველ ბერძნულ ტექსტში. თ.მგალობლიშვილის თვალსაზრისით, აღნიშნული ὁμοιουσιος მეხუთე ს-იდან შეცვალეს ὁμοουσιος-ით, ხოლო ბერძნული ტექსტის თავდაპირველი ვითარება შემოინახა ქართულმა. შესაბამისად, ასკვნის პატივცემული მკვლევარი, ბერძნული ორიგინალი IV ს-ში უნდა იყოს შექმნილი, ხოლო ათონის მრავალთავში დაცული ქართული თარგმანი შესრულებული უნდა იყოს არა უადრეს V ს-ის დასაწყისისა.¹

უნდა აღვნიშნოთ, რომ აუცილებელი არ არის, ქართული ტექსტის საფუძველზე შევცვალოთ ორიგინალი და მასში ὁμοουσιος-ის ნაცვლად "აღვადგინოთ" ὁμοιουσιος, რადგანაც ტერმინი "მსგავსი" უფლებამოსილია გადმოსცეს როგორც ერთი მათგანი, ისე მეორე.

მ. რაფაევას შენიშნული აქვს, რომ ნიკეის კრების სიმბოლოში არსებულ ὁμοουσιος-ს კირიონ კათალიკოსი თარგმნის სწორედ, როგორც "მსგავსს"² (კირიონის ეპისტოლე შემორჩენილია სომხურად, სადაც გვხვდება "սման հոռ" "მსგავსი მამისა", ანუ ზუსტად ის შესიტყვება, რაც ზემოაღნიშნულ ქადაგებაში გვაქვს).

ეს რომ ასეა, ამას სრულიად აშკარად გვიჩვენებს ექვთიმე ათონელის მიერ გადმოღებული "წინამძღვარი", სადაც ὁμοουσιος თარგმნილიც, როგორც "მსგავსი".³ მ.რაფაევა აღნიშნავს: "ბერძნულ ὁμοουσιος ექვთიმე ათონელი ორი სიტყვით თარგმნის: "მსგავსი" და "ერთარსება"... როგორც ჩანს, ექვთიმე მთაწმინდელი ὁμοουσιος-ში მეტ შინაარსობრივ გაგებას აქსოვდა, ვიდრე ამას გადმოსცემდა "მსგავსი" და საჭიროდ მიიჩნია იქვე დაერთო "ერთარსება". Ὁμοουσιος - მსგავსი... ეს ექვთიმე მთაწმინდელისთვის მოკლებულია სისრულეს და უმატებს "ერთარსებას".⁴

შეიძლებოდა იმის აღნიშვნა, რომ ექვთიმე ათონელი თვითონ კი არ უმატებს "ერთარსებას", არამედ იგი ტავტოლოგიის თავიდან ასაცილებლად ὁμοουσιος-ს, რომელიც შესაბამის ბერძნულ ტექსტში ორგზის გვხვდება, პირველ შემთხვევაში თარგმნის, როგორც "მსგავსი", ხოლო მეორე შემთხვევაში - როგორც "ერთარსება". შევადაროთ:

Ὁμοουσιος ἐστὶ τὸ πατρὶ καὶ ὁμοουσιος ἡμῶν

"არს მსგავს და ერთარსება ჩუენდაცა და მამისაცა".⁵

1 თ. მგალობლიშვილი, დასახ. შრომა, გვ.80-81

2 მ. რაფაევა, ქართული დოგმატიკის ისტორიიდან, მრავალ-თავი II, გვ.121

3 იქვე, გვ.122

4 იქვე.

5 მ. რაფაევა, დასახ. შრომა, გვ.122

როგორც ვხედავთ, ექვთიმე "მსგავსა" და "ერთარსებას" სინონიმების სახით გვაწვდის. ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ "მსგავსით" შეიძლება ითარგმნოს *ομοουσιος*. საზოგადოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული "მსგავსი" ან "თანამსგავსი" სავსებით უფლებამოსილი ეპითეტია ქრისტესი. ტერმინი "თანამსგავსი" გვხვდება გრიგოლ ნეოკესარიელის ერთერთ საკითხავში.¹ რაც შეეხება "მსგავსს", იგი გვხვდება, აგრეთვე, მიქაელ მოდრეკილის "იადგარში":

"რომელი მსგავს არს ღმრთისა მამისა ღმრთეებით,

მსგავს ჩუენდა იქმნა დღეს კაცებითა" (გვ.49).

აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ალექსანდრე კვიპრელის ქრონიკა, რომელსაც, ნაწილობრივ, ზემოთაც შევვხეთ. ამ ძეგლში *ομοουσιος* რამდენჯერმე თარგმნილია სწორედ, როგორც "მსგავსი".

ევგდრნეს მას, რადთა გამოაგუას "მრწამსსა" სიტყუაჲ ესე: "შობილი და არა ქმნული, მსგავსი მამისაჲ"²

παρακαλουντες αυτον του "ομοουσιου" το προσρημα εκ του συμβολου της πιστεως περιελειν (col.4067, Pg.87)

(კირილე) ვითარ მოვიდა სიტყუასა ამას, რომელ არს: "შობილი და არა ქმნული, მსგავსი მამისაჲ", დაუტევა ნეფსით სიტყუაჲ იგი თვნიერ თარგმანებისა³

το αγιον Συμβολον ερμηνευσας, μνημην της του "ομοουσιου" λεξεως ουκ εποιησατο (col.4069)

როგორც ვხედავთ, ნიკეის სიმბოლოში არსებული "*ομοουσιος*" თარგმნილია "მსგავსად"; უთუოდ ასეთივე ვითარებაა ფსევდოოქსოპირისეული საკითხავის ქართულ თარგმანშიც. აქაც "მსგავსის" შესატყვისი ბერძნულ ტექსტში *ομοουσιος*-ია, და მის ნაცვლად *ομοιουσιος*-ის აღდგენა, ალბათ, გამართლებული არ უნდა იყოს.⁴

1 სინურ მრავალთავში ვკითხულობთ: "შობილი იგი ძმ ღმრთისაჲ თანახატი და თანარსი და თანამსგავსი მამისაჲ" (გრიგოლ ნეოკესარიელი, ხარებისათვის, III) (იხ. სინ. მრავ. გვ.19, 34; დამოწმებულია ი.იშნაიშვილის ლექსიკონში). ტერმინი "თანამსგავსი" შესატყვისია ბერძნული სიტყვისა *συμμορφος*. მაგ. რომაელთა მიმართ ეპისტოლეში ვკითხულობთ: "რომელნი-იგი წინაღსწარ იცნნა, წინაღსწარცა განაჩინნა თანამსგავსად (ბერძნ. *συμμορφους*) ხატისა მის ძისა თვისისა" (რომ. 8, 29). ამავე შესატყვისობას სწამებს გრიგოლ ნეოკესარიელის პირველი საკითხავი "ხარებისათვის": "უკუეთუ ძე ღმრთის, ღმერთცა თანამსგავს (ბერძნ. *συμμορφος*, Pg.X, col.1149) ხატად მამისა" (სინ. მრავ. 5, 14).

2 ალექსანდრე კვიპრელის ქრონიკა, გამოსცა თ.მგალობლიშვილმა, თბ. 1978, გვ.77.

3 იქვე
4 ამასვე ცხადყოფს სომხური "მიასნაკან". ეს სიტყვა აშკარად მიუთითებს, რომ ბერძნულ ტექსტში მას შესატყვისად ჰქონდა ისეთი ტერმინი, რომელიც მამა - ღმერთისა და ძე ღმერთის "ერთობას" აღნიშნავდა.

II. ტერმინ ოსია-ს შესატყვისი სემპრიანე

ბაბალოვნელის "ექუსთა ღღეთას"

ქართულ თარგმანში:

ზემოთ მივუთითებდით, რომ "არსებად", რომელიც წარმოქმნილია "არს" ზმნისგან, გარდა სუბსტანციისა, აღნიშნავს "არსებობას, ყოფნას". ეს არის მისი ყოფითი შინაარსი. ამგვარი აზრით იგი ორგზის გვხვდება ჩვენთვის საინტერესო თარგმანში.

I. ღმრთისა - არსებად და დაბადებულთა - შესაქმე, ვითარცა მახარებელი განწყოფს (9)

θεου - το ειναι, κτισματων δε - το γινεσθαι, ὡσπερ και ο ευαγγελιστης μεριζει (col.432)

აღნიშნულ ადგილას სევერიანე მსჯელობს იმის შესახებ, თუ რა განსხვავებაა ღმერთსა და ქმნილებას (ამ შემთხვევაში, კაცს) შორის. მისი თქმით, ღმერთს ახასიათებს შეუქმნელობა, მარადიული არსებობა, რომ იგი ყოველთვის "იყო", ხოლო დაბადებული, გაჩენილი, ცხადია, შეიქმნა გარკვეულ დროს, იგი ყოველთვის არ არსებობდა. სწორედ ამიტომ, სევერიანეს თქმით, ღმერთისთვის ნიშნეულია "ყოფნა", "არსებობა" (*ειναι*), ხოლო დაბადებულისათვის - "ქმნადობა". ეს კარგად ჩანს ლათინურ თარგმანში: *Dei est esse, creaturam vero fieri*.

აღნიშნული მსჯელობა სევერიანეს ესაჭიროება იმის დასამტკიცებლად, რომ სიტყვა (ლოგოსი), რომელიც იოანეს სახარების დასაწყისში იხსენება ("დასაბამსა იყო სიტყუად"), თვით არის ჰემარიტი ღმერთი. ამას, სევერიანეს აზრით, ცხადყოფს სწორედ ის, რომ სახარების თანახმად ეს სიტყვა "იყო" (*ην*) და არა "შეიქმნა" (*εγενετο*). ძე ღვთისა მარადიულად "იყო" ღმერთი, მაგრამ ხორცთშესხმის შემდეგ იგი კაცი "გახდა", ე.ი. ქრისტე ღვთური ბუნებით მარადიულია ანუ ყოველთვის არსებობს, ხოლო ადამიანური ბუნება შემდეგ შეიერთა. სევერიანე მიიჩნევს, რომ სწორედ ეს ორი მომენტია გარჩეული იოანე მახარებლის მიერ ("მახარებელი განწყოფს"); ქრისტეს, ვითარცა ღმერთის შესახებ იგი გვაუწყებს, რომ "იყო", ხოლო ქრისტეს, ვითარცა კაცის შესახებ - "იქმნა" ("ღმერთი იყო, ხოლო კაცი იქმნა" - *Θεος ην, ανθρωπος δε εγενετο*).

ამგვარად, ზემომოტანილ ციტატაში ჩვენ გვაქვს არა დამოუკიდებელი შესიტყვებები მსაზღვრელ-მსაზღვრულის სახით (ე.ი. არა "ღვთის არსება" და "დაბადებულთა შესაქმე"), არამედ მათ შორის უთუოდ უნდა ვიგულისხმოთ შედგენილი შემასმენელი "თვისი არს", ე.ი. "ღმრთისა თვისი არს არსებად და დაბადებულთა თვისი არს შესაქმე" ანუ ღმერთისთვის ნიშნეულია არსებობა, ყოფნა, ხოლო დაბადებულთათვის - ქმნადობა; შდრ. ლათ. *Dei est esse, creaturam vero fieri*.

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ შემთხვევაში "არსებად" გადმოსცემს არა ოსია-ს, არამედ *ειναι*-ს ინფინიტივურ მნიშვნელობას და ნიშნავს "ყოფნას, არსებობას" ანუ იხმარება მისი ყოფითი შინაარსით.

II. შვედურ იტყვს ყოფასა,
რადთა გამოთარგმანოს არ-
სებად იგი (9)

*εξ ακις λεγει το Ην, ινα
ερμηνευση το ον (432)*

ამჯერად ქართული თარგმანის "არსებად" გადმოსცემს ბერძნულ *το ον* (არსებული, მყოფი, არსი). ძნელი სათქმელია, რამდენად ზუსტია ამ შემთხვევაში ბერძნული ტექსტი, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ქართულ ტექსტს განეცადოს ცვლილება გადამწერთა მიერ. ბერძნული *το ον* ქართულად, ჩვეულებრივ, ითარგმნება, როგორც "არსი" ან "მყოფი". თვით ამ თარგმანში ბერძნული *το ον* გადმოტანილია, როგორც "არსი". ამიტომ, ან ორიგინალის თავდაპირველ ტექსტში უნდა გვქონოდა *ειναι* ან ქართულ თარგმანში უნდა ყოფილიყო "არსი", რომელმაც შემდეგში "არსებად"-ს სახე მიიღო. როგორც არ უნდა იყოს, ამ შემთხვევაშიც "არსებად" არსებობას, ყოფნას უკავშირდება და არა სუბსტანციას, ბუნებას, ე.ი. ზემომითითებული ტექსტი ახალქართულად ასე გადმოიცემა: "(მახარებელი) შვიდგზის ამბობს "ყოფნას", რათა განგვიმარტოს არსებული (ან "არსებობა")".

ამგვარად, სევერიანეს შრომის ქართულ თარგმანში სიტყვა "არსებად" ორგზის გვხვდება და ორივე შემთხვევაში აღნიშნავს "ყოფნას, არსებობას" (*ειναι, ον*).

რაც შეეხება ბერძნული *ουσια*-ს თარგმნის საკითხს, ამ მხრივ აღნიშნული ძეგლი მეტად საინტერესო და ამასთან, უჩვეულო სურათს გვიჩვენებს:

არც *ουσια*, არც *ομοουσιος* მასში არცერთხელ არ არის თარგმნილი, როგორც "არსებად", "ერთარსებად", "ერთარსი", "თანაარსი" (ანდა მათი ზემომითითებული სინონიმებით: "ბუნებად", "შანთი", "უსიად", "სწორი ბუნებითა", "ერთბუნებად", "მსგავსი", "ერთობად"). უკლებლივ ყველგან *ουσια*-ს შესატყვისად გვაქვს "საუნჯე", ხოლო *ομοουσιος*-ისა - "ერთუნჯებად", "უნჯობად", "ერთი საუნჯე". მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

ღმრთისად თუ ესმეს, ვი-
თარმედ შვა თვისსაგან
საუნჯისა, მეყსეულად გან-
ზრახვათა მათ გულარძნა-
ნი შეჰძინიან (115)

*θεον δε εαν ακουσωμεν,
οτι εγεννησεν εκ της ιδιας
ουσιας, ευθεως των λο-
γισμων τας πλοκας... επε-
ισαγουσιν (col. 460)*

დაჰმარხა... საუნჯე იგი
მხოლოდხილულისად (129)

*εφυλαξε... της ουσιας το
μονοειδες (col.465)*

უკუეთუ შენთანად იგი სუ-
ლი უცხო არს შენისა მის
საუნჯისა, და ღმრთისა
თანა სული უცხო არს
ღმრთისა საუნჯისაგან
(151)

*ει το εν σοι πνευμα
αλλοτριον της σης ουσιας
και το εν τω θεω πνευμα
αλλοτριον της του θεου
ουσιας (col.472)*

ვორცი კაცისად აღიღო
ქუეყანი... არა თვისსა სა-
უნჯესა განაშორა (163)

*το σωμα του ανθρωπου
ελαβεν απο της γης... ουκ
εκ της ιδιας ουσιας εκ-
βαλων (col.476)*

ერთ შემთხვევაში ბერძნულ ტექსტს აშკარად აკლია *ουσια*. მისი შესატყვისი შემონახულია ქართულსა და ლათინურში.

არამედ იშვა თუ თვისა
მისგან საუნჯისა, გარეშე
ვნებისა იშვა (120)

*αλλ' εγεννησε, φησιν, εκ
της ιδιας, (ლათ. ex pro-
pria natura) κατα παθος!
εγεννησε (col.462)*

ბერძნულ ტექსტში ფრაზა *εκ της ιδιας* აუცილებლად მოითხოვს მდებრობითი სქესის არსებით სახელს, როგორც არის სწორედ *ουσια*, ე.ი. თავდაპირველი ტექსტი ასეთი უნდა ყოფილიყო. *εγεννησε εκ της ιδιας ουσιας* (მდრ. იმავე ჰომილიის შემდეგი ადგილი: *εγεννησεν εκ της ιδιας ουσιας* - "შვა თვისაგან საუნჯისა", 115).

სევერიანე გაბალოვნელის ქართული თარგმანის ტექსტოლოგიური ანალიზის დროს აღვნიშნავდით, რომ ერთგან ქართულ "საუნჯეს" ორიგინალში შეესატყვისება "*Θυσια*"; ცხადია, რომ მთარგმნელმა *Θυσια* ("მსხვერპლი") ამოიკითხა, როგორც *Ουσια* და სწორედ ამიტომ თარგმნა იგი "საუნჯედ":

განთიადისა იგი საუნჯე
არა შეიწყნარებს შეცო-
დებულთა მათ (101)

*η εωθινή θυσια ου δεχ-
εται τον αμαρτησαντα
(456)*

ტერმინი *ομοουσιος* ბერძნულ ტექსტში ორგზის გვხვდება. ერთ შემთხვევაში იგი თარგმნილია, როგორც "ერთი საუნჯე", ხოლო მეორე შემთხვევაში - "ერთ-უნჯებად":

იპოვებიან დაბადებულნი ერ-
თისაგან საუნჯისა (39)

*ευρισκεται τα κτισματα
ομοουσια αυτω (col.441)*

ერთუნჯებად იგი გამო-
თარგმანოს (129)

*το ομοουσιον ερμηνευση
(col.465)*

ერთგან ორიგინალის *ομοουσιασαι* (col.470) თარგმნილია, როგორც "უნჯები" (B-"უნჯობაჲ") (იხ. ქვემოთ, გვ.101).

წარმოდგენილი ნიმუშები ტერმინოლოგიური თვალსაზრისით იმდენად დიდ არქაულობას ამჟღავნებენ, რომ საჭიროა მათზე საგანგებოდ გავამახვილოთ ყურადღება.

როგორ შეიძლებოდა *ουσια*-ს შესატყვისად ქართულ თარგმანში გაჩენილიყო "საუნჯე"?

ბერძნული ტერმინი ეტიმოლოგიურად "საუნჯეს" არ უკავშირდება. *ουσια* მომდინარეობს *ειμι*-დან, რომელიც ნიშნავს: "ვარ, ვარსებობ, ვიმყოფები", ხოლო ქართული "საუნჯის" ძირია "უნჯ". ზმნა "უნჯება" ნიშნავს "დაგროვებას, შეკრებას",¹ ხოლო "საუნჯე" - ქონებას, განძს, მარაგს, საცავს, რაღაცის

1 საგულისხმოა სომხური "ჰუნწ" - "კალო". იხ. მანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, 1, თბ. 1966, გვ.299.

შესანახავ, დასაგროვებელ ადგილს, ბელელს და მისთ.

ეს ფაქტი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც აღნიშნულ შემთხვევაში საქმე არა გვაქვს ბერძნული ტერმინის კალკირებულ, ეტიმოლოგიურ თარგმანთან. კალკირებული თარგმანის შემთხვევაში ამათუიმ ბერძნული ცნების ქართული შესატყვისი, რომელსაც ზოგად ტრადიციაში, ჩვეულებრივ, პარალელი არ ეძებნება, შეიძლებოდა უშუალოდ მთარგმნელის მიერ შექმნილ ტერმინად მიგვეჩინა. საგულისხმო სწორედ ისაა, რომ მთარგმნელი თვით კი არ ქმნის ახალ ტერმინს, არამედ უკვე არსებულს იყენებს და, ცხადია, იყენებს იმას, რაც წინარე ტრადიციაში უკარნახა, ხოლო რამდენადაც წინარე ტრადიციით ნაკარნახევი ტერმინი არ არის "არსება", უთუოდ უნდა ვიფიქროთ, რომ თარგმანის შესრულების დროისათვის "არსებას" ჯერ კიდევ არ ჰქონია შექმნილი *ουσια*-ის შინაარსი.

ზემოთ მივუთითებდით, რომ ესა თუ ის უცხოენოვანი სიტყვა, რომელიც სხვადასხვა არათეოლოგიური ხასიათის თხზულებაში ჩვეულებრივი, ყოფითი შინაარსით იხმარებოდა, უეჭველად ამავე მნიშვნელობით შემოვიდოდა ქართულშიც, რადგანაც პირველი თარგმანები სწორედ არათეოლოგიური ხასიათის ძეგლებს წარმოადგენდნენ. როდესაც ფილოსოფიურ-თეოლოგიური შრომების თარგმნას ედება სათავე, დასაწყის ეტაპზე, ძალიან ხშირად, უკვე არსებული ტრადიციის გავლენით ესა თუ ის უცხოენოვანი ფილოსოფიური ტერმინი კვლავ თავისი ძველი შესატყვისით გადმოდის ქართულში, რამდენადაც, ერთი მხრივ, მთარგმნელთა მიერ ჯერ კიდევ კარგად არ არის გაცნობიერებული უცხოენოვანი სიტყვის ტერმინოლოგიური, ცნებითი შინაარსი, ხოლო, მეორე მხრივ, თვით ქართულში არ არის შექმნილი ისეთი ტერმინი, რომელიც კარგად იტვირთავდა უცხოენოვანი ტერმინის მნიშვნელობას.

ბერძნული *ουσια*-ს ფილოსოფიურ-თეოლოგიურ შინაარსს ზემოთ შევეხეთ. ამ აზრით, ქართული "საუნჯე" *ουσια*-ს არ ესადაგება. ეს ორი სიტყვა სწორედ ყოფითი, არათეოლოგიური მნიშვნელობებით უკავშირდება ერთმანეთს.

ახალ აღთქმაში და უადრეს ქრისტიანულ არათეოლოგიურ მწერლობაში ვ.ბაუერის მითითებით *ουσια* ნიშნავს "ქონებას" (*Vermogen*).¹ ასევე, ვ.არნდტისა და ვ.ჯინგნიჩის მიერ აღნიშნულია, რომ *ουσια* იგივეა, რაც "ქონება" (*property*), "სიმდიდრე", "განძი" (*wealth*).² ამავე მნიშვნელობებს უთითებს გ.ლემბიც (*property, possessions*).³

ზემოთ მითითებული გვქონდა *ουσια*-ს სინონიმები *πιοστασις* და *παρηξια*, რომლებიც *ουσια*-ს მსგავსად "არსებად" ითარგმნებოდა. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ეს სიტყვები სინონიმურია არა მხოლოდ ფილოსოფიური მნიშვნელობით, არამედ ყოფითი შინაარსითაც. დამოწმებულ ლექსიკონში *πιοστασις*-იც და *παρηξια*-იც განმარტებულია, როგორც "ქონება", "სიმდიდრე", "საკუთრება" (*property, possession, belongings; Habe, Vermogen*).

"საუნჯე", ი.აბულაძის განმარტებით, ნიშნავს ქონებას, განძს, საგანძურს.

1 W. Bauer, *Worterbuch zu den Schriften des Neuen Testaments und der ubrigen urchristlichen Literatur*, Berlin - New York, 1971, col.1181.

2 *Greek-English Lexicon of the New Testament and other early christian literature*, ed. by W.F.Arndt and F.W.Gingnich, - Cambridge, 1959 pg.600.

3 *A Patristic Greek Lexicon*, ed. by G.W.H.Lampe, fasc. 4, Oxford 1965 col.982

მისი სინონიმებია "ნაყოფი", "მონაგები", "სამკვდრებელი", "საფასე" და მისთ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ყოფითი შინაარსის ბერძნული *σπαρξια* "პავლეთა" ერთ რედაქციაში "ნაყოფად" არის თარგმნილი, ხოლო მეორეში - "საუნჯედ". ესეც ცხადყოფს აღნიშნულ ქართულ ტერმინთა სინონიმურობას.

გაქუს თავისა თქუენისა
უმჯობესი ნაყოფი (ებრ.
10, 34).

გაქუს თავისა თქუენისა
საუნჯე უმჯობესი

ძველ აღთქმაში *ουσια* გვხვდება "ტობისა" და "მაკაბელთა" წიგნებში. მათგან ძველად ქართულ ენაზე მხოლოდ ტობის წიგნი იყო თარგმნილი, სადაც *ουσια*-ს შესატყვისად გვაქვს "ნაყოფი":

დაიმკვდრა ნაყოფი მათი
და ტობისი (14, 13)

*εκληρονομησε την ουσιαν
αυτων*

ამ შემთხვევაში "ნაყოფი" სწორედ "ქონებას", "ავლადიდებას", "სიმდიდრეს" ნიშნავს. ამ აზრით "ნაყოფი" და "საუნჯე", როგორც აღვნიშნეთ, სინონიმური ცნებებია.

ახალ აღთქმაში *ουσια* ორგზის გვხვდება ლუკას სახარებაში; იგი ქართულად თარგმნილია, როგორც "სამკვდრებელი" და "საცხორებელი" რაც, აგრეთვე, საუნჯეს, ქონებას, სიმდიდრეს გულისხმობს (იხ. 15, 12; 15, 13).

რაც შეეხება *σπαρξια*-ს, ისიც *ουσια*-ს მსგავსად ითარგმნება "საუნჯედ", "ნაყოფად", "მონაგებად", "სიმდიდრედ". საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ეს სიტყვა დანიელის წიგნში სამგზის არის თარგმნილი, როგორც "საფასე": "შევიდეს... საფასითა მრავლითა" (11, 13), "საფასს მათ განუყოს" (11, 24). "მოიქცეს ქუეყანად თვსად საფასითა მრავლითა" (11, 18). "საფასე" "საუნჯის" ცნობილი სინონიმია: "მდრ. გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა" (ჯრუჭ - ჭარხლისა) და "მოილო შენ საფასე ცათა შინა" (აღიშისა: მარკ. 10, 21); "საფასედ უფლისად შეილოს" (A-51) და "საუნჯედ უფლისა შეიღეთ" (გელათური: ისუნავე 6, 19) ; აღნიშვნის ღირსია, აგრეთვე, "ფასისა" და "საუნჯის" სინონიმურობა:

"მიგცნე შენ ფასნი იგი ბნელისანი" (იერუსალიმური), - "მოგცნე შენ საუნჯენი ბნელისანი" (ოშკური: ესაია 45, 3).

ამგვარად, ერთი მხრივ, ქართული "საუნჯე" აღნიშნავს "მონაგებს", "ნაყოფს", "საფასეს", "ფასს", "სამკვდრებელს" ანუ ქონებას, სიმდიდრეს, ავლადიდებას, საკუთრებას, მეორე მხრივ კი, სწორედ ამ მნიშვნელობით იხმარებოდა *ουσια* და *σπαρξια* არაფილოსოფიური ხასიათის ძეგლებში. უეჭველად ამავე შინაარსით შემოვიდოდნენ (და ზემოთ ვნახეთ, რომ მართლაც ასე შემოვიდნენ) ისინი ქართულ მწერლობაში.

სევერიანე გაბალოვნელის თხზულების ზემოაღნიშნული თარგმანი უთუოდ იმ დროს ეკუთვნის, როცა *ουσια*-ს ტერმინოლოგიური მნიშვნელობა ჯერ კვლავ "სიმდიდრის", "საფასის", "ქონების" შინაარსით მოიაზრება. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ძნელი დასაშვებია მთარგმნელი მთლიანად ყოფით შინაარსს დებდეს "საუნჯეში". ყურადღებას იქცევს ისიც, თუ რატომ გამოიყენა მთარგმნელმა სწორედ "საუნჯე" და არა მისი ზემოაღნიშნული ძველი ქართული

სინონიმები. როგორც ჩანს, ამ ტერმინის ხმარება ცნობიერ თეოლოგიურ ასპექტსაც გულისხმობს. "ουσια"-ს "საუნჯედ" თარგმნის დროს განმსაზღვრელი ჩანს ουσια-ს შესახებ არსებული ადრექრისტიანული გამოთქმითი პრიმიტივიზმი, რასაც ნიკეის კრებამდე ჰქონდა ადგილი ბერძნულ ქრისტიანობაში.

ადრეული ქრისტიანული თეოლოგია გამოთქმითი ასპექტით რამდენადმე მატერიალურად წარმოაჩენდა ღვთიურ სამყაროს. ეგვემ თვალსაწიერი ვლინდება ουσια-სთან დაკავშირებითაც. გ.პრესტიჯის მითითებით II-III სს-ში "არსება ანუ სუბსტანცია ღვთისა თუმცა მატერიალურად არ ითვლებოდა, მაგრამ, ჩვეულებრივ, ყოველ შემთხვევაში მეტაფორულად მაინც, იგი გაიაზრებოდა განფენილობის მქონედ" (be thought of as in extension).¹

ουσια-ს, როგორც შიგთავსის, როგორც წინასწარ არსებული მარაგის ანუ "უნჯის" გააზრების საფუძველზე ομοουσιος-იც, საზოგადოდ, თავისი თავდაპირველი აზრით გამოთქმითად, ნიშნავდა "ერთიდაიგივე შიგთავსისაგან, უნჯისაგან ქმნილს" (made of the same stuff).²

გ. პრესტიჯი ვრცელი ანალიზის შემდეგ აღნიშნავს: "ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნიკეის კრებამდე ομοουσιος ნიშნავდა "ერთი შიგთავსიდან ანუ მასალიდან". როდესაც ეს ტერმინი მიემართებოდა ღვთიურ პერსონებს, იგი ინარჩუნებდა მატერიალური საგნებიდან გამომდინარე მეტაფორულობას".³

ზემოაღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეიძლება გვეფიქრა, რომ ქართული "საუნჯე" და "ერთუნჯება" ირეკლავს ουσια-სა და ομοουσιος-ის შესახებ ადრექრისტიანულ გამოთქმით პრიმიტივიზმს. სიტყვა "ერთუნჯება" შინაარსობრივად ნიშნავს ერთად დაუნჯებულს, ერთი დაუნჯებული შიგთავსის, ერთი "უნჯის" შემცველს, ხოლო "საუნჯე" - "უნჯის" საცავს, "უნჯის" მარაგს.⁴

ουσια-ს ამგვარი გააზრება სწორედ ადრექრისტიანული ტერმინული, ცნებითი სიმარტივის ასახვაა. ამ აზრით ქართულ "საუნჯესა" და "ერთუნჯებას" მნიშვნელობა აქვს ზოგადად უადრესი პერიოდის ქრისტიანული ტერმინოლოგიური თეოლოგიის შესახწავლად.

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ დრო, ეპოქა ამათუიმ ტერმინის (მითუმეტეს ძალზე იშვიათი ტერმინის) ხმარებისა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სხვა ტექსტების ჩვენებებს.

როგორც ჩვენთვის საინტერესო თარგმანი ცხადყოფს, ერთ დროს "საუნჯე" ουσια-ს ტერმინოლოგიური შესატყვისი უნდა ყოფილიყო ფილოსოფიურ-თეოლოგიურ შრომებში. ზემოთ წარმოდგენილი გვქონდა ვრცელი მიმოხილვა, თუ როგორ ითარგმნებოდა ქართულად ουσια უძველეს პერიოდში. ჩვენთვის ხელმისაწვდომი ძეგლები ერთსულოვნად მოწმობენ, რომ დაახლოებით VI ს-იდან მაინც ουσια თეოლოგიურ კონტექსტში, ჩვეულებრივ, "არსებად"

1 G.Prestige, დასახ. შრომა, გვ.193.

2 იქვე, გვ.197

3 იქვე, გვ.209

4 საგულისხმოა, რომ სევერიანე ერთგან ახსენებს იმ მოძღვართ, რომლებიც იცავდნენ ტერმინ ομοουσιος-ს (როგორც ცნობილია, ამ ტერმინს ყველა არ იწყნარებდა). იგი მათ "ჰომოუსიასტებს" (ομοουσιασται) უწოდებს, ქართულ თარგმანში კი გვაქვს "უნჯება" (მ-უნჯობად): "სახელლა-თუ-სღვან უნჯება, არა კაცი თარგმნის... 144 - καὶ γὰρ καί ποτε ομοουσιαστικὰ ἄβραμ ἔρμηνευσασιν, col.470. ბერძნული ტექსტის თარგმანი ასეთია: "თუმცა უწოდებენ მათ "ჰომოუსიასტებს", ადამიანს როდი წარმოაჩენენ" (სევერიანე "ჰომოუსიასტებს" უპირისპირებს ამათუიმ ადამიანის სახელის მიმდევრებს: არიანელებს, ევნომიანელებს და ა.შ.)

ითარგმნებოდა, რომელსაც ზოგჯერ ცვლიდა ან აზუსტებდა სინონიმური ტერმინები "ბუნება" და "შიანთი". ზემოაღნიშნულ თარგმანში არ გვხვდება არცერთი მათგანი. შესაბამისად, შეიძლება გვეფიქრა, რომ ჩვენთვის საინტერესო ძეგლი წინ უსწრებს ამ ტერმინების შემოსვლასა და დამკვიდრებას ქართულ მწერლობაში. ამას გვიჩვენებს "საუნჯის" შინაარსობრივი ანალიზი და მასში მოაზრებული თეოლოგიური თვალსაზრისის გამოთქმითი არქაულობა.

რაც შეეხება სხვა ტექსტების ჩვენებებს, ამ მხრივ, ალბათ წინასწარვეა სავარაუდო, რომ მრავალრიცხოვან მასალასთან არ გვექნება საქმე. VI ს-ზე ადრეული თარგმანები (ბიბლიის ცალკეული წიგნები, აპოკრიფები, აგიოგრაფიული ხასიათის ძეგლები) *ουσια*-სა და *ομοουσιος*-ს, ჩვეულებრივ, არ შეიცავენ. ეგზეგეტიურ-დოგმატური ძეგლების თარგმანები, რამდენადაც ეს დღეისათვის ცნობილია, უფრო მოგვიანო პერიოდს ეკუთვნის.

მაინც საეჭვო უნდა იყოს, VI ს-მდე ქართულად არ არსებულიყო ცალკეული ჰომილიები. სხვა რომ არაფერი, ამას მოითხოვდა ლიტურგიკული საჭიროება. თვით ის ფაქტი, რომ უძველეს პერიოდში ითარგმნა ისეთი ვრცელი შრომა, როგორცაა სევერიანეს ზემოაღნიშნული თხზულება, თავისთავად მიგვითითებს ამგვარი თარგმანების არსებობაზე. საფიქრებელია, ეს პირველი თარგმანები მოგვიანებით შევიდნენ კრებულად ჩამოყალიბებულ "მრავალთავებში". სწორედ მათ შესწავლას უნდა გამოვევლინა ჩვენთვის საინტერესო თარგმანთან ახლოს მდგომი ტექსტები.

ამ თვალსაზრისით, უპირველესად ყურადღება მიიპყრო "სინური მრავალთავის" იოანე ოქროპირისეულმა საკითხავმა "შესლვაჲ უფლისაჲ იერუსალემდ". ეს ძეგლი დაცულია, აგრეთვე, "ათონის მრავალთავში". მისი ნაწილი შემოგვინახა "უდაბნოს მრავალთავმაც".¹ განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ამ თარგმანის ფრაგმენტები მოღწეულია ხამეტური სახითაც,² რაც ცხადყოფს თარგმანის უძველესობას.

აღნიშნულ ქადაგებაში გვხვდება ასეთი ადგილი:

"რამეთუ ერთი სუფეჲაჲ მამისაჲ და ძისაჲ და სულისა წმიდისაჲ, ერთი საუნჯე, ერთი უფლება"

სრულიად ცხადია, რომ "საუნჯე" აღნიშნულ კონტექსტში არ იხმარება თავისი ჩვეულებრივი შინაარსით. იგი ამ შემთხვევაში სამების ერთარსების აღმნიშვნელია. ამას ცხადყოფს ორიგინალი, რომელიც *Patrologia Graeca*-ში, ერთი მხრივ, იოანე ოქროპირის შრომებშია წარმოდგენილი (t. 59), ხოლო მეორე მხრივ - მეთოდოუს ეპისკოპოსისა (t. 18). ორივე მათგანში ბერძნული ტექსტი ასეთია:

Μια γαρ η βασιλεια Πατρος και Υιου και αγιον Πνευματος, ωσπερ και μια ουσια και μια κυριοτης (t. 59, col.706; t.18, col.393)

როგორც ვხედავთ, ბერძნული *μια ουσια* თარგმნილია, როგორც "ერთი საუნჯე". აღნიშნული თარგმანის უძველესობა თავისთავად ცხადყოფს, რომ "საუნჯის" გამოყენება *ουσια*-ს თეოლოგიური შინაარსით ასევე უძველესი პერიოდის ქართული ქრისტიანული ტერმინოლოგიის ასახვა უნდა იყოს.

მეორე ძეგლი, რომელიც მსგავს სურათს გვიჩვენებს, არის გრიგოლ

1 იხ. M. Van Esbroeck, *Les Plus Anciens Homelias Georgiens*, Paris 1975, pg.77 (A21)

2 ხანმეტი მრავალთავი, გამოსცა ა. შანიძემ, ტუბ. VII, თბ. 1926

3 სინური მრავალთავი, გვ.146. შტრ. *Ann.* 11, 60v

ნაზიანზელის ქადაგება "ნათლისღებისათვის". იგი ერთერთი უძველესი თარგმანი უნდა იყოს, რადგან, როგორც ამაზე ქვემოთ გვექნება მსჯელობა, მასში *σπουσιας* თარგმნილია, როგორც "ძალი" და არა, როგორც "გუამი" ან "გუამოვნება" (ამავე ძეგლის ექვთიმესეულ და ეფრემისეულ თარგმანებში სწორედ "გუამოვნება" გვხვდება).

ეს ძეგლი დაცულია პარხლისა (A-95) და სვანეთის (A-19) მრავალთავებში. მისი ორიგინალი გამოქვეყნებულია PG-ს 36-ე ტომში. ქართული ტექსტის სამი თარგმანია ცნობილი: უძველესი, ექვთიმესეული და ეფრემისეული აღნიშნული ძეგლი ერთგან ეხება ღვთიური არსების საკითხს, ორიგინალში ვკითხულობთ:

Ουδεν γαρ περι των ονοματων ζυγομαχησομεν, εως αν προς την αυτην εννοιαν αι συλλαβαι φερωσιν, ενι δε, κατα τον της ουσιας λογον, ειτυν θεοτητος. Διαιρειται γαρ αδιαιρετως (col.345)

ეს აღგილი ზემოაღნიშნულ სამ თარგმანში ასეა წარმოდგენილი¹:

უძველესი: "არათუ სახელთა ცილობდით... ვითარმედ არა მას გონებასა ზედა მივიწიენით, ერთითა, ვითარცა საუნჯისა მის სიტყვთა და ღმრთეებითა; განიყოფვის განუყოფელად" (A-95; ფ.256; A-19, 183)

ექვთიმესეული: "არარას ვიცელობით სახელთათვის, ოდეს ძალი სიტყუათაჲ ერთ იყოს, ხოლო ერთითა არსებისა და ბუნებისა და ერთღმრთეებისა, რამეთუ განიყოფვის და განუყოფელად" (A-92, ფ.705)

ეფრემისეული: "არღარა უღლის-ვმბრძოლობთ სახელთათვის, ვიდრემდის მის გულისვმისყოფისა მისისა მიგვყვანენ მარცულებითა, ხოლო ერთითა არსებისა სიტყვსათვის განუყოფელად (A-109,79)

ბერძნული *ουσια* უძველეს თარგმანში გადმოღებულია როგორც "საუნჯე". ექვთიმე ათონელი მას თარგმნის ორი სინონიმური ტერმინით "არსებაჲ და ბუნებაჲ", ხოლო ეფრემი - როგორც "არსებაჲ".

აღნიშნული ძეგლი აშკარად ცხადყოფს, რომ ის, რაც მოგვიანებით "არსებად" ან "ბუნებად" ითარგმნებოდა, უადრეს ხანაში "საუნჯით" გადმოიცემოდა.

დამოწმებული ორი ძეგლი ბერძნულიდან უნდა მომდინარეობდეს. საგულისხმოა, რომ მათში *μυστηριον* "საიდუმლოდ" არის თარგმნილი. ასეთი რამ სომხურიდან თარგმნილ ტექსტებში, როგორც აღვნიშნეთ, ჩვეულებრივ არ გვხვდება.

იოანე ოქროპირის საკითხავი:

ისწავეთ ღმრთისაგან საიდუმლოდ²

μαθετε μυστηρια θεου
(Pg.18, col.389)

გრიგოლ ნაზიანზელის საკითხავი:

კუალად იესუ ჩემი - საიდუმლოდ (A-95, ფ.253)

και παλιν Ιησους ο εμους και παλιν μυστηριον
(Pg.36, col.336)

1 ექვთიმესეული და ეფრემისეული თარგმანები მოგვაწოდეს ც.ქურციკიძემ და მ.რაფაევამ
2 სინური მრავალთავი, გვ.144

საიდუმლოა ესე ჩუენი მადალ არს (253)

μυστηριον - σψηλον (col.336)

ხედავთა საიდუმლოსა? (254)

ορατε του μυστηριου; (იქვე)

მოვილოთ ღმრთისაგან სიბრძნისა იგი საიდუმლოა დაფარული (256)

τηνικαυτα λαλωμεν θεον σοφιαν εν μυστηριω την αποκεκρυμμενην (col.345)

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ უშუალოდ ბერძნულიდან თარგმნილ ორ ტექსტში (იოანე ოქროპირის "შესლვაჲ უფლისაჲ იერუსალემდ" და გრიგოლ ნაზიანზელის "ნათლიიდებისათჳს"), რომლებიც ქართული მწერლობის უადრეს ხანას ეკუთვნის, *ουσια*-ს, როგორც თეოლოგიური ცნების შესატყვისად გვაქვს "საუნჯე". ეს გარემოება, სხვა ზემოაღნიშნულ მომენტებთან ერთად, გვიდასტურებს, რომ სევერიანე გაბალოვნელის "ექუსთა დღეთაჲს" თარგმანიც, ასევე, უადრეს პერიოდს ეკუთვნის. იგი უთუოდ წინ უნდა უსწრებდეს *ουσια*-ს ტერმინოლოგიურ შესატყვისად ტერმინ "არსების" დამკვიდრებას, რაც დაახ. VI ს-ისათვის მაინც უკვე ფაქტია.

ხსენებულ ძეგლებს თითქოს გვერდით უდგას "ანტონ დიდის ცხოვრების" უძველესი ქართული თარგმანიც. ცნობილია, რომ ეს ძეგლი სამგზის ითარგმნა ქართულად: ერთგზის - წინაათონურ პერიოდში, მეორედ - ექვთიმე ათონელის მიერ, მესამედ - გელათურ სკოლაში. საკუთრივ წინაათონური თარგმანი ჩვენამდე ორი რედაქციით შემორჩა. მათგან უძველესია ის რედაქცია, რომელიც "უდაბნოსა" და "ტბეთის" მრავალთავებმა შემოგვინახეს. ეს თავდაპირველი თარგმანი მოგვიანებით, კერძოდ, ჩვენი აზრით, VI-VII სს-ში ხელმეორედ შეუდარდა ბერძნულს, რის შედეგადაც მივიღეთ ახალი რედაქცია, დაცული ბრიტანულ ხელნაწერში Add. 11281¹

თხზულების ორიგინალში ერთგან გვხვდება *ουσια*, რომლის შესატყვისად პირველი თარგმანის უძველეს რედაქციაში გვაქვს სიტყვა "სიმდიდრე". გვიანდელ რედაქციაში და ექვთიმესეულ თარგმანში ეს სიტყვა აღარ გვხვდება. იგი შეცვლილია ტერმინით "არსება". შევადაროთ:

მრავალთავები: (ძე ღმერთი) თვისა მამისა სიმდიდრჳ არს²

ბრიტანული ხელნაწერი: ...თვისი არს მამისა არსებისა

ექვთიმესეული თარგმანი: ...არს ბუნებით არსებისა მისგან მამისა (Ath. 79, 13v)³

შდრ. ბერძნ. *ιδιος (Pg.αιδιος) εστι της του Πατρος ουσιας* (Pg.XXVI, col.941 A)

1 იხ. ე.ქელიძე, "ანტონ დიდის ცხოვრების" წინაათონური რედაქციების ურთიერთმიმართების შესახებ, მრავალთავე, XV, გვ.7-17.

2 ათანასი ალექსანდრიელი, ცხოვრებაჲ წმიდისა ანტონისი, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვ.იმნაიშვილმა, თბ. 1970, გვ.57

3 "ანტონ დიდის ცხოვრების" ექვთიმესეული თარგმანი ხელნაწერ Ath. 79-ში გამოავლინა მდოლაქიძემ. იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, I, თბ. 1980, გვ.116.

სიტყვა "სიმდიდრე" თითქოს ემსგავსება "საუნჯეს" და ერთი შეხედვით იმას ცხადყოფს, რომ "ანტონ დიდის ცხოვრების" უძველესი მთარგმნელი ბერძნულ *οσια*-ს ყოფითი აზრით აღიქვამს, არ ესმის მისი თეოლოგიური შინაარსი, მაშინ როცა იმავე თარგმანის მეორე რედაქციაში (დაახლოებით VI-VII სს-ისა) აგრეთვე, ექვთიმესეულ თარგმანში, როგორც ვაჩვენეთ, *οσια*-ს შესატყვისად გვაქვს სწორედ "არსება" და არა "სიმდიდრე".

მიუხედავად იმისა, რომ "ანტონის ცხოვრების" თავდაპირველი, "მრავალ-თავებში" დაცული თარგმანი უთუოდ უძველეს დროს ეკუთვნის¹ და შესაძლოა, მისი თარგმნის ჟამს მართლაც არ ყოფილიყო შექმნილი ტერმინი "არსება" *οσια*-ს შინაარსით, მაინც ვფიქრობთ, რომ კონკრეტულად ზემოაღნიშნული მომენტი ამგვარი აზრის (ე.ი. თარგმანის სიძველის) დასასაბუთებლად არ გამოდგება. საქმე ისაა, რომ "სიმდიდრე" მთლიანად ყოფითი შინაარსის შემცველი სიტყვაა და მას არავითარი მსოფლმხედველობრივი, ტერმინული გააზრება არ მოეპოვება, ე.ი. აღნიშნულ შემთხვევაში ქართველი მთარგმნელი უთუოდ ოდენ ყოფითი აზრით აღიქვამს ბერძნულ *οσια*-ს.

არქაულობასთან იმ შემთხვევაში გვექნებოდა საქმე, თუკი აშკარად შესამჩნევი იქნებოდა, ერთი მხრივ, ის, რომ ქართველი მთარგმნელი უთუოდ აცნობიერებს ბერძნული ტერმინის თეოლოგიურ შინაარსს, მის ტერმინულ გააზრებას, მაგრამ, მეორე მხრივ, ზუსტი შესატყვისის მოხმობის საშუალება მას არა აქვს (ამგვარი შესატყვისის არარსებობის გამო) და ცდილობს რომელიმე ყოფით სიტყვას კონტექსტისათვის შეძლებისდაგვარად გამოსადეგი ტერმინის ფუნქცია მიანიჭოს. "საუნჯე", მართალია, ყოფითად "სიმდიდრესაც" ნიშნავს, მაგრამ ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით მას უთუოდ აქვს გარკვეული თეოლოგიური გააზრება.

აღვნიშნავდით, რომ ძველ ქართულ მწერლობაში "საუნჯე" გულისხმობდა რაღაცის შესანახ ადგილს, რაღაცის საცავს. საბა ასე განმარტავს ხსენებულ სიტყვას: "საუნჯე - შესაკრებელი საქონლისა" (საქონელი ამ შემთხვევაში ქონებას, ნივთებს ნიშნავს). B რედაქციაში გვაქვს "შესანახავი". ასევე, ნ.ჩუბინაშვილის განმარტებით (იხ. მისი "ქართული ლექსიკონი", თბ. 1961), "საუნჯე" არის სალარო, საცავი უნჯისა, სიმდიდრისა, ბელელი, ამბარი და სხვა.

"საუნჯე", ჩვეულებრივ, გადმოსცემს ბერძნულ *ο θησαυρος*-ს (მათე 13, 44; 19, 21; მარკ. 10, 21, ლუკა 6, 45; 12, 34; 12, 33; და სხვ.), აგრეთვე *η αποθηκη*-ს (მათე 6, 26; ლუკა 3, 17; 12, 18 და სხვა), *το ταμειον*-ს (მათე 6, 6; 24, 26; ლუკა 12, 3).² ხსენებული სიტყვები სწორედ საცავს,

1 ხსენებული თარგმანის უძველესობას ცხადყოფს ტექსტის ზოგი ტერმინი. იხ. ე.ქელიძე, "ანტონ დიდის ცხოვრების" წინათონური... თვით ის ფაქტიც, რომ წმ. ანტონი და მისი ეპისტოლენი ძველი დროიდანვე ცნობილია ქართულ სამყაროში, თავისთავად ცხადყოფს მისი "ცხოვრების" ქართული თარგმანის უადრესობას.

2 შტრ. ი.იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმოფნია-ლექსიკონი, თბ. 1986, გვ.519-520; საკუთრივ "უნჯი" გადმოსცემს ბერძნულ *η παραθεσ* (იგავნი 6, 8; II ნეშტ. 11, 11), *η τροφη*-ს (II ნეშტ. 11, 23).

შესანახს, დასაუნჯებელს ნიშნავს.¹ ბერძნული *οσια*, კონკრეტულად რომ ვთქვათ, ყოფით მეტყველებაში ნიშნავს არა დასაუნჯებელს, შესანახავს, საცავს, არამედ უშუალოდ სიმდიდრეს, ქონებას, ავლადიდებას. ამ სიტყვამ მარაგის, შიგთავსის, დასაუნჯებელის შინაარსი შეიძინა გამოთქმითად პრიმიტიულ ღვთისმეტყველებაში (და არა ყოფით მეტყველებაში), რომლის თანახმადაც, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, სამება წარმოჩნდებოდა ერთი შიგთავსის, ერთი უნჯის, ერთი მარაგის მქონე სამ პირად. როდესაც ხევერიანე გაბალოვნელის ქართველი მთარგმნელი უკლებლივ ყველა ოდენ თეოლოგიურ კონტექსტში *οσια*-ს თარგმნის, როგორც "საუნჯე", ეჭვი არ არის, იგი ცდილობს ხსენებულ ბერძნულ ტერმინში მოაზრებული თეოლოგიური შინაარსის ასევე ტერმინულად გადმოცემას და შეძლებისდაგვარად ახერხებს კიდევ ამას.² ვფიქრობთ, სწორედ ამით აიხსნება, რომ მთარგმნელი გვერდს უვლის *οσια*-ს ყოფითი შინაარსის გადმომცემ ყველა სხვა სიტყვას, როგორებიცაა, "სიმდიდრე", "მონაგები", "ნაყოფი", "სამკვდრებელი", "საცხორებელი" და მისთ. მან გვერდი აუარა აღნიშნულ სიტყვებს, ვფიქრობთ, უთუოდ იმის გამო, რომ შეუძლებელი ჩანდა რომელიმე მათგანისათვის უსიოლოგიური ფუნქციის მინიჭება და *οσια*-ს თეოლოგიური შინაარსით მათი დატვირთვა.

ამგვარად, "ანტონის ცხოვრების" უძველეს თარგმანში *οσια*-ს შესატყვისად რომ "საუნჯე" გვქონოდა და არა "სიმდიდრე", მაშინ აღნიშნული გარემოება, შეიძლება, მართლაც მიგვეჩინა ძველის სიძველეზე მიმანიშნებელ ფაქტად (თუმცა ერთეული შემთხვევა მაინც არ იქნებოდა საკმარისი) და გვევარაუდა, რომ, მართალია, მთარგმნელს ესმოდა ბერძნული ტერმინის თეოლოგიური (და არა ოდენ ყოფითი) შინაარსი, მაგრამ ზუსტი ტერმინის (კერძოდ "არსების") უქონლობის გამო იძულებული იყო გაცილებით არქაული და არაზუსტი შესატყვისით გადმოეცა იგი. საკუთრივ "სიმდიდრე" ამგვარი ვარაუდის საშუალებას არ გვაძლევს, რადგანაც ეს სიტყვა მხოლოდ ყოფით შინაარსს შეიცავს, ხოლო "ანტონის ცხოვრების" ბერძნული ტექსტიდან ზემომოტანილ ციტატაში *οσια* შეიძლება გაგებულიყო როგორც ყოფითი შინაარსით, ასევე თეოლოგიური აზრით. როდესაც ძე ღმერთის შესახებ ითქმის, რომ იგი ეკუთვნის მამა ღმერთის "უსიას", ასეთ შემთხვევაში არ არის შეუძლებელი, რომ "უსია" (*οσια*) თვით ბერძენი ავტორის მიერ ყოფითი შინაარსითაც იყოს ნახმარი და რომ ამ სიტყვას (ე.ი. *οσια*-ს) "სიმდიდრის" მნიშვნელობაც ჰქონდეს (და არა მართლმოდენ "სუბსტანციისა"

1 საყურადღებოა, რომ ძველ ქართულში არსებობდა სიტყვა "მუნჯე" (ე.ი. უნჯის მფლობელი), რასაც ი. იმნაიშვილი ასე განმარტავს: "შემცველი, მქონებელი, შემნახავი (ი. იმნაიშვილი, სინური მრავალთავი, თბ. 1975, გვ. 188). შდრ. კონტექსტი: "ქეშმარიტებისა და მშვიდობისა მუნჯე და მომცემელი - იგი თავადი უფალი" (სინ. მრავ. 20, 31). შდრ. სინ. მრავ. 5, 33. იხ. აგრეთვე, "დოგმატიკონი", S-1463, 270v: "თავისა თვისისათვის ხოლო მუნჯეთა (*αποθησαυρισται*) თვისისა სიმდიდრისათა"

2 ჩვენ ამ შემთხვევაში პირობითად აქცენტი გადაგვაქვს მხოლოდ სევერიანე გაბალოვნელის შრომის ქართველ მთარგმნელზე, მაგრამ, ვფიქრობთ, თავისთავად გასაგებია, რომ მსჯელობა ეხება ზოგადად იმ მთარგმნელობით სკოლას, რომელიც ქართული ქრისტიანული ტერმინოლოგიის შექმნის სათავეში დგას და რომელიც ტრადიციულად ვლინდება ხსენებულ მთარგმნელთან.

ანუ "არსებისა", ესენციისა, ბუნებისა). კარგად არის ცნობილი (და ამის ნიმუშები აურაცხელია), რომ ჭეშმარიტი სიმდიდრის წყაროდ სწორედ ღმერთი მიიჩნევა, რომელიც თავად არის ყოვლად მდიდარი ანუ ზეჰარბი სიმდიდრით აღსავსე, რომელიც "დაგლახაკნა" ჩვენთვის, კაცთათვის (ასეთ შემთხვევაში "სიმდიდრე", ჩვეულებრივ, გადმოიცემა ყოფითი ουσια-ს სინონიმური სიტყვებით: *πλουτος, περιουσια*). წმ. მელეტი ანტიოქელი გვაუწყებს: "სიმდაბლესა მოსლვად არს სიმდიდრჳ იგი ძისა ღმრთისაჲ".¹ ასევე, იოანე საბანისძის თქმით, "ვერ შემძლებელ ვართ ჩუენ მიწუდომად სიმდიდრესა მას სახელისა მისისასა (ძე ღმერთისა, ე.ჭ.)";² ათანასე ალექსანდრიელის ავტორობით ცნობილ საშობაო ქადაგებაში განკაცებული ღმერთის შესახებ ვკითხულობთ: "იხილეთ აწ სიმდიდრე (*πλουτος*) სიგლახაკითა მრავლითა, რამეთუ ვითარ მდიდარ (*πλουσιος*) იყო და ჩუენთვის დაგლახაკნა".³

ამგვარად "ანტონის ცხოვრების" ხსენებულ ტექსტში ουσια-ს შესატყვისად "სიმდიდრის" არსებობა მაინცდამაინც თარგმანის არქაულობის ნიშანი არ უნდა იყოს, რადგანაც შესაძლებელია, რომ თავად ουσια ბერძენ ავტორს სწორედ ყოფითი შინაარსითაც ჰქონდეს მოხმობილი. ზოგადად აღვნიშნავთ, რომ ამგვარი ყოფითი გააზრება ტერმინ ουσια-ს, ისევე, როგორც სასაუბრო ენიდან მომდინარე ყველა სხვა ტერმინს, ცხადია, ყოველთვის ჰქონდა შენარჩუნებული და მსგავს შემთხვევებში (ე.ი. ყოფითი შინაარსით ხმარების დროს) მისი "სიმდიდრედ" გადმოტანა, რაღათქმაუნდა, სრულიად კანონზომიერია. მაგალითად, ცნობილია, რომ ექვთიმე ათონელმა ქართულად თარგმნა გრიგოლ ჰრომთა პაპის "დილოლონი". ორიგინალში ერთგან გვხვდება ουσια ოდენ ყოფითი შინაარსით. ასევე აღიქვამს მას მთარგმნელიც. შევადაროთ:

განეშორა სახიერსა მას
მამასა და წარაგო ყოველი
სიმდიდრე თვისი არაწმიდ-
ებითა (A-121, 23v)⁴

...τον εις χωραν μακραν
βαδισαντα και της οικειας
ουσιας το μέρος κατα-
φαγοντα (Pg.67, col.136)

აქ რომ ουσια უთუოდ "ქონებას", სიმდიდრეს" ნიშნავს, (და არა "სუბსტანციას"), ამას ცხადყოფს რუსული თარგმანიც, სადაც ხსენებული სიტყვის ფარდად გვხვდება "имение": "ушел на страну далеко, расточил свое имение".⁵

ვფიქრობთ, ουσια-ს ოდენ ყოფითი შინაარსით აღქმასთან უნდა გვქონდეს საქმე კიდევ ერთ ძველ ქართულ თარგმანში. მხედველობაში გვაქვს ტიტუს ბოსტრელის ჰომილია "In ramos palmarum." ქართულ თარგმანში (იხ. "ათონის მრავალთავი") გვხვდება ასეთი ადგილი:

"სწყუროდა ღირს-ყოფად და მადლობად ღმრთისა და თაყუანისცემად სიმდიდრესა ღმრთეებისასა" (Ath. 8, 67v).

ფრაზა "სიმდიდრე ღმრთეებისა" შეესაბამება ორიგინალის ουσια της

1 ი. აბულაძე, შრომები, III, თბ. 1982, გვ.261

2 ძველი ქართული აგიოგრაფიული... გვ.52

3 ი. აბულაძე, შრომები, III, გვ.287; მღრ. Pg.56, col.392.

4 ხსენებული ძეგლის ძველი ქართული და რუსული თარგმანები მოგვაწოდა მ.ქავთარიამ

5 Святаго отца нашего Григория Двоеслова, епископа римскаго, Собеседования, Казан 1858, с.87.

θεοτης (Pg.XVIII, col.1269). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ქადაგება "მრავალთავშია" დაცული და ამ ნიშნით იგი თითქოს ადრინდელ ძეგლადაც წარმოჩნდება, ჩვენ მაინც არ ვფიქრობთ, რომ კონკრეტულად *ουσια*-ს "სიმდიდრედ" თარგმნა ტექსტის არქაულობის მანიშნებელი იყოს, რადგანაც მოტანილ კონტექსტში ბერძნული *ουσια* შესაძლოა "სიმდიდრეს" ნიშნავდეს. საზოგადოდ, ფრაზა "ღმრთეებისა არსება" მეტად იშვიათია, რადგანაც "ღმრთეება" თავისთავად იდენტური ტერმინი არის "არსებისა".¹ სამპიროვანი ღმერთი წარმოადგენს ერთ ღმრთეებას, ერთ არსებას და არა, პირდაპირი აზრით რომ ვთქვათ, ერთი ღმრთეების არსებას. სწორედ ამგვარი იგივეობიდან გამომდინარეობს ის, რომ ტერმინები *θεοτης* და *ουσια* ხშირად ენაცვლება ურთიერთს. მაგალითად, ცნობილია, რომ ქრისტიანულ დოგმატიკაში *ουσια* უცვლელი საპირისპირო ცალია *υποστασις*-სა. წმიდა მამათა თანახმად, ღმერთი არის "სამი ჰიპოსტასი" და "ერთი უსია" ანუ "სამი გვაგონება (-ჰიპოსტასი)" და "ერთი არსება (-უსია)". ამ დაკანონებულ ფორმულაში "*ουσια*"-ს ნაცვლად ზოგჯერ გვხვდება სწორედ "*θεοτης*", რაც თეოლოგიური, კერძოდ, ჰომოუსიური აზრით მათ შინაარსობრივ იდენტურობას ცხადყოფს. ეპიფანე კვიპრელი აღნიშნავს: "სამი ჰიპოსტასი... ერთი ღმრთეება" (*τρεις υποστασεις... μια θεοτης*, Pg.41, col.328 D; იხ. Lampe, col.637). მსგავსია ათანასე ალექსანდრიელის სიტყვები: "ერთი ღმრთეება სამობაში არის" (*μια θεοτης εστιν εν τριαδι*; Pg.26; 48 C; Lampe, Pg.637). სხვაგან, იგივე ავტორი ჰიპოსტასის ანტინომად პირდაპირ ასახელებს "ღმრთეებას": "ჰიპოსტასი ნიშნავს მყოფობას, ხოლო ღმრთეება მას, თუ რა არის" (*υποστασις το ειναι σημαίνει, η δε θεοτης το τι ειναι*, Pg.28, 1120 A).

ამგვარად, რადგანაც "ღმრთეება" "არსების" ანუ "უსიას" იდენტური ტერმინია, როდესაც *ουσια* და *θεοτης* მსაზღვრელ-საზღვრულის სახით უკავშირდებიან ერთმანეთს, სავარაუდოა, რომ ასეთ დროს *ουσια* "სიმდიდრესაც" ნიშნავდეს და არა მხოლოდ "სუბსტანციას".² შესაბამისად, ზემოაღნიშნული გარემოება (*ουσια*-ს "სიმდიდრედ" თარგმნა) ტიტუს ბოსტრელის ქადაგების ქართული თარგმანის სიძველეს ვერ დაგვისაბუთებს, თუმცა, კვლავ აღვნიშნავთ, რომ ამ ძეგლის გარკვეულ "მრავალთავში" დაცულობა თავისთავად თითქოს სწორედ ძეგლის გარკვეულ ადრეულობაზე უნდა მიანიშნებდეს.³

რაც შეეხება სევერიანე გაბალოვნელის შესაქმისეულ კომენტარებს, მათში,

1 შესაძლოა ამგვარი შესიტყვების არაორდინალურობამ განაპირობა ის, რომ ათონური ხელნაწერის ზემოგანხილულ ანდერძში, აგრეთვე, იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში ბერძნული *ουσια* "ღმრთეებასთან" დაკავშირებით უთარგმნელად დარჩა: "უსიაჲ ღმრთეებისაჲ". დავძენთ, რომ საკუთრივ "სიმდიდრე ღმრთეებისა" ანუ *πλουτος θεοτης* სავსებით შესაძლებელი გამოთქმაა. შდრ. გრიგოლ ღვთისმეტყველი: "კვლავ ერთი ღმერთი, დაუსაბამო, საიდანაც (არის) სიმდიდრე ღმრთეებისა (*πλουτος θεοτης*)". Poem. dogmat. Pg.37, 414

2 საღვთო არსების ანუ ღმრთეების სიმდიდრე მოხსენიებულია პარხლის "მრავალთავის" ერთერთ საკითხავში, სათაურით "კითხვა-მიგება გრიგოლისა და ბასილისი", რომელსაც ზემოთ უკვე შევხვით: "განვლე გონებითა სიმდიდრე იგი გამოუთქუმელისა არსებისაჲ"(220)

3 დავძენთ იმასაც, რომ ტიტუს ბოსტრელის ზემოაღნიშნულ ქადაგებაში ბერძნული *ουσια* ერთგან თარგმნილია, როგორც "უფა": "კაცობრივისა უფებისათჳს აუწყებს..." - *την της ανθρωποτητας ουσιας σημαίνει.* (იქვე)

როგორც ნაჩვენები იყო, ოდენ თეოლოგიური გააზრების მქონე *ουσια* უკლებლივ ყველგან "საუნჯედ" არის თარგმნილი, რაც ექვმიუტანლად ცხადყოფს ამ უკანასკნელის ("საუნჯის") ტერმინულ ფუნქციას, მის თეოლოგიურ შინაარსს. ამასვე ადასტურებს ისიც, რომ ბერძნული კომპოზიტი *ομοουσιος*, რომელიც ოდენ თეოლოგიური ტერმინია და საერთოდ არ არსებობდა ყოფით მეტყველებაში (ეს გარემოება გამორიცხავს ხსენებული ტერმინის "სიმდიდრედ" მოაზრებას), ქართველი მთარგმნელის მიერ, ასევე, "საუნჯითა" და "უნჯობით" არის გადმოღებული.

ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობთ, გვიდასტურებს, რომ *ουσια*-ს ტერმინულ შესატყვისად "საუნჯის" არსებობა თარგმანის დიდი სიძველის მაჩვენებელია, რაც, ჩვენი აზრით, V-ს-ზე გვიანდელ ხანას არ უნდა გულისხმობდეს.

I. ტერმინის შესატყვისები კველ ქართულ აწარღობაში:

ფუსის ერთერთი უძირითადესი ფილოსოფიური ტერმინია. ზემოთ ნაწილობრივ უკვე შევეხეთ მას. აღნიშნული იყო, რომ ფილოსოფიური აზრით ფუსის ხშირად უიგივდება *ουσια*-ს და გულისხმობს საგნის, მოვლენის არსს, მის ბუნებას, ძირეულ თვისებას, უმთავრეს ნიშანს. ცნობილია, რომ ფუსის ეტიმოლოგიურად მომდინარეობს ზმნიდან *φύω*, რომელიც ნიშნავს "აღმოცენებას, წარმოშობას". ეს შინაარსი რამდენადმე შენარჩუნებულია ფილოსოფიურ-თეოლოგიურ სიბრტყეზეც. ალბათ, ამიტომაც აღნიშნავდა გ.ლ.პრესტიჯი, რომ ტერმინი ფუსის "უფრო ემპირიულია, ვიდრე ფილოსოფიური".¹ მკვლევარი ასე აზუსტებს თავის აზრს: "აღნიშნული ტერმინი თითქმის იმასვე გულისხმობს, რასაც *ουσια*, თუმცა იგი უფრო გულისხმობს ნათესაურ კავშირს, ვიდრე *ουσια*".²

ტერმინი ფუსის ქრისტიანულ მწერლობაში უაღრესად გავრცელებულია. მისი საკუთრივ თეოლოგიური შინაარსი ქრისტიანობაში განსაკუთრებით მაშინ დაზუსტდა, როცა შეიქმნა აუცილებლობა ღვთის განკაცების შესახებ სხვადასხვა ერეტიკული თვალსაზრისების უარყოფისა. ორთოდოქსიამ შეიმუშავა ფორმულა: ღმერთი, რომელიც არის ერთარსება, ამავე დროს არის ერთბუნებაც (*ομοφύης*), ხოლო სამპიროვანი ღვთის ერთი ჰიპოსტასი, განკაცებული ძე ღვთისა არის ერთი გვამი, ერთი პირი, მაგრამ ორბუნებოვანი. ქრისტეს ორი ბუნება შეერთებულია, მაგრამ არა შერწყმული ანდა შერეული. ეს დოგმატი უარყოფს მონოფიზიტების თვალსაზრისს ადამიანური ბუნების ღვთიურთან შერწყმის შესახებ.

ქრისტეს ორბუნებოვნების საფუძველზე შემუშავდა მოძღვრება ორი ნების შესახებ, რაც, თავის მხრივ, უარყოფა იყო მონოთელიტიზმისა.

ტერმინი ფუსის, ყოფითი თუ ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზრით, როგორც აღვნიშნეთ, ურიცხვი რაოდენობით გვხვდება ქრისტიანულ მწერლობაში. კარგად არის ცნობილი, რომ ფუსის ქართულად გადმოიციმოდა სიტყვით "ბუნება", რომელიც დღემდე დაკანონებული შესატყვისია ბერძნული ტერმინისა.

ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზრით ქართული "ბუნება", ზედმიწევნით უიგივდება ფუსის-ს. ამ ტერმინებს შორის სრული შესატყვისობაა. როგორც ჩანს, ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ მას შემდეგ რაც "ბუნება" დამკვიდრდა ქართულ მწერლობაში, არასოდეს ყოფილა აუცილებლობა ფუსის-ის მნიშვნელობით რაიმე სხვა სპეციალური ტერმინის შექმნისა. აბსოლუტური უმრავლესობა ჩვენთვის ცნობილი ტექსტებისა ბერძნული ფუსის-ის შესატყვ-

1 G.L.Prestige, *God in patristic thought*, London, 1956 p. 234

2 იქვე, გვ. 234

ისად გვაწვდის "ბუნებას".

ძველი ქართული მწერლობის ძეგლებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ "ბუნება" φυσικ-ის შინაარსით ქართულ მწერლობაში უძველესი დროიდანვე დამკვიდრებულია. ამ მხრივ, უპირველესად, თითქოს ყურადღებას იქცევს "შუშანიკის წამება", რომელიც, როგორც ცნობილია, 475 წლის ახლო პერიოდშია დაწერილი. მასში ორგზის გვხვდება ჩვენთვის საინტერესო ტერმინი:

"რომელი-იგი ბუნებითი ცოლი არს და შვილნი, იგინიცა ესრევე მოვაქცინე შენსა შჯულსა".¹

"დედათა ბუნებად იწრო არს".²

თუკი ჩვენამდე მოღწეულ ტექსტს ამ შემთხვევაში თხზულების თავდაპირველი სახე აქვს დაცული, მაშინ შეიძლებოდა გვეთქვა, რომ V ს-ის ბოლო მეოთხედისათვის ქართულ მწერლობაში ტერმინი "ბუნება" უკვე გავრცელებული ყოფილა, თუმცა, ჩვენი აზრით, ავტორისეულ ტექსტში შესაძლოა არ ყოფილიყო "ბუნება" (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

კ. კეკელიძის მიერ საფუძვლიანად არის დათარიღებული "მარტვლობად... ევსტათი მცხეთელისად". ცხადყოფილია, რომ ეს თხზულება დაიწერა VI ს-ის მეორე ნახევარში. მასში ერთგან გვხვდება ჩვენთვის საინტერესო ტერმინი:

"ჩუენ კაცნი პირმეტყუელნი მათ პირუტყუთა მსგავს ვიყვენით, რომელთა არა ვიცოდეთ მშობელი თვისი, გინა შობილი და აღრეულად გარდავივადით ბუნებად იგი ჩუენი."³

ამ უძველესი ძეგლის საფუძველზე შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ტერმინი "ბუნება" V ს-ის მიწურულისათვის ან VI ს-ის დამდეგისათვის უკვე დამკვიდრებულია ქართულ მწერლობაში. გამოთქმულ თვალსაზრისს ადასტურებს სხვა უადრესი ტექსტებიც.

უპირველესად, ყურადღებას იქცევს "ხანმეტი მრავალთავი", რომლის ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტებში სამგზის გვხვდება "ბუნებად":

"ბუნებად ესევერთარი"; "ბუნებისა საზღვარი"

"ხუფროს ბუნებისა კრთებოდა"⁴

ფυσის ხშირია "ახალ აღთქმაში". ქართული თარგმანის თვით უადრეს ვერსიაში ეს ტერმინი ყველგან "ბუნებად" არის თარგმნილი:

გარდაცვალებს ბუნებისა იგი
წესი არა-ბუნებად
(რომ. 1, 26)

μετηλλαξαν την φυσικην
χρησιν εις την παρα
φυσιν

1 ძველი ქართული აგიოგრაფიული... 1. გვ. 12

2 იქვე, გვ. 14

3 ძველი ქართული აგიოგრაფიული... 1. გვ. 43 თხზულების თარიღისათვის იხ. კ.კეკელიძე, ძველი ქართ. ლიტ.ისტ., I, თბ.1980, გვ.511

4 ხანმეტი მრავალთავი, გვ. 145. შესაძვ მაგალითისათვის შდრ. ბერძნ. υπερ φυσιν αλλομενον (Pg. 85, col. 1776)

ბუნებობისას მას შჯულ-
სა ჰყოფენ (რომ. 2, 14)

*φυσει τα του νομου
ποιωσιν*

გშჯიდეს ბუნებით წინა-
დაცუეთილი იგი (რომ. 2,
27)

*κρινει η εκ φυσεως ακρο-
βυστια*

ბუნებობთა მათ რტოთა
არა პრიდა (რომ. 11, 21)

*των κατα φυσιν κλαδων
ουκ εφεισατο*

ბუნებობისა მისგან მო-
კუეთე ველურისა ზეთის-
ხილისა და თვნიერ ბუ-
ნებობისასა მას დაემყენ
(რომ. 11, 24)

*εκ της κατα φυσιν εξ-
εκοπης αγριελαιου και
παρα φυσιν ενεκεντρι-
σθης*

იგინი ბუნებობსა მას და-
ემყენენ (რომ. 11, 24)

*οι κατα φυσιν εγκεν-
τρισθησονται*

ბუნებად გასწავებს თქვენ
(1 კორ. 11, 14)

η φυσις... διδασκει υμας

ჩვენ ბუნებით ჰურიანი
ვართ (გალ. 2, 15)

ημεις φυσει Ιουδαιοι

ვიყვენით ბუნებით შვილნი
რისხვისანი (ეფეს. 2, 3)

ημεθα τεκνα φυσει οργης

მამათა მათთა დაუტევებს
ბუნებისა იგი წესი დელა-
თად (რომ. 1, 27)

*οι αρσενες αφεντες την
φυσικην χρησην της θη-
λειας*

ყოველი ბუნებად მვეცთად...
დამწყსილ არს ბუნებასა
ქვეშე კაცთასა (იაკ. 3, 7)

*πασα γαρ φυσις θηριων...
δεδαμασται τη φυσει τη
ανθρωπινη*

იყუნეთ საღმრთოდასა მის
ზიარ ბუნებისა (II პეტრ.
1, 4)

*γενησθε θειας κοινωνοι
φυσεως*

... შობილნი ბუნებით (II
პეტრ. 2, 12)

γεγεννημενα φυσικα

იციან ბუნებით,¹ ვითარცა
პირუტყუთა (იუდა, 10)

*οσα δε φυσικα ως τα
αλογα ζωα επιστανται*

¹ ხელნაწერებშია 'გონებით', 'გუნებით' რაც გადამწერთა მიერ არის აღრეული გრაფიკულად მსგავს 'ბუნებასთან' (ამის შესახებ იხ. ქვემოთ). შდრ. გვიანდელი რელაქციების 'ვითარცა პირუტყუთა ბუნებით იციან'.

ძველი აღთქმის წიგნებიდან ტერმინი "ბუნება" ერთგზის გვხვდება "სოლომონის სიბრძნეში":

და ბუნებანი საცხოვართანი და გულისწყრომად მვეცთად (7, 20)

φύσεως ζων και θυμους θηριων

ტერმინი "ბუნება" ჩვეულებრივია "სინური მრავალთავისათვის". მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

გრიგოლ ნეოკესარიელი "ხარებისათვის"(1)

მადლსა მას ნუ განიკითხავ ბუნებით, რამეთუ შჯულთა ბუნებისათა დამორჩილებად მადლმან არა თავს-იდვა¹

την χαριν κατα φυσιν μη ανακρινε. Νομοις γαρ φύσεως η χαρις υποβαινει ουκ ανεχεται (Pg. 10, col, 1149)

გიხაროდენ... უფროდს ბუნებად ზეცით მოსრულისა მისთვის²

χαιρε... υπερ φυσιν δια των ανωθεν ενδημησαντα (col. 1152 B)

გამოვდა გუამისაგან, ვითარცა-იგი მარგალიტი ორთაგან ბუნებათა³

... ωσπερ ο μαργαριτης εκ των δυω φύσεων (col.1152 C)

სიმდაბლს დაუსრულებელი ინება ცხორებისათვის ბუნებისა ჩუენისა⁴

ταπεινωσιν ακραν ελομενος δια την σωτηριαν της ημετερας φύσεως (col.1133 D)

მისივე "ხარებისათვის" (II)

ყოველივე ბუნებად კაცობრივი გარე-შეიცვა⁵

πασαν την φυσιν των ανθρωπων συμπεριελαβεν (Pg. X, col.1156 B)

ბუნებისა კაცობრივისა... უპატიოსნე შობილ იყო⁶

ανθρωπινης φύσεως... οσιοτερα γεγεννησαι (col.1157 D)

დადგა ბუნებად წინაშე მისა: განკრთომით ხედვიდა უფალსა მას ბუნებათასა უფროდს ბუნებისა⁷

εστη η φυσις αντικρυς... μετα θαμβους θεωρουσαι τον Δεσποτην της φύσεως... υπερ φυσιν (col.1164, B)

1	სინური მრავალთავი,	გვ.	5
2	სინური მრავალთავი,	გვ.	6
3	იქვე,	გვ.	6
4	იქვე,	გვ.	7
5	იქვე,	გვ.	8
6	იქვე,	გვ.	9
7	იქვე,	გვ.	12

ბუნებათა მათთა სახიერად მიუთხრობედ¹

τας ουσιας(!) αυτων αγαθως στοχαζομενοι (col.1164D)

მაცხოვარი ყოვლისა ბუნებისად²

ο Σωτηρ ολης της φυσεως (col.1165 B)

შენდა ყოველივე ბუნებად... მსახურებასა შესწირავს³

σοι πασα φυσις... σεβας προσφερει (col.1169 C)

ანთიპატროს ბოსტრელი, "ღმრთისმშობლისათვის":

ბუნებისა საზღვარსა მწრაფლ თანაწარსბად იწყო და თქუა: არა ვიცი ბუნებისა საზღვარი, რამეთუ ვხედავ ბუნებისა საზღვრის დამბადებელსა⁴

τους της φυσεως ορους παραδραμειν επεχειρησαν. Ουκ οίδα, λεγων, φυσεως ορους ορω γαρ τον της φυσεως οροθετην (Pg.85, col.1764)

უშვილო იყვნეს ბუნებით⁵

ατεκνοι... γεγονασι φυσει (col.1788)

მე ხოლო ბუნებად განვაახლოა⁶

εγω.... μονη την φυσιν καινοτομω (col.1773)

ბუნებისა საზღვარი იოვანწსთვის არა განვსნილ იყო⁷

φυσεως οροις 'Ιωαννης ειργμενος ουκ ισχυε (col.1773)

უფროდს ბუნებისა კრთებოდა⁸

υπερ φυσιν αλλομενον (col.1776)

ათანასე აღექსანდრიელი, "შობისათვის":

იძლევის ყოველივე ბუნებისა წესი⁹

νικαται φυσεως ταξις (Pg.56, col.385)

უცვალებელად ჰგიეს ბუნებასავე ზედა ღმრთეებისა¹⁰

αμεταβλητου μενουσης της φυσεως (col.386)

1	სინ.	მრავალთავი.	გვ.	13
2	იქვე.	გვ.	13	
3	იქვე.	გვ.	16	
4	იქვე.	გვ.	24	
5	იქვე.	გვ.	25	
6	იქვე.	გვ.	28	
7	იქვე.	გვ.	29	
8	იქვე.	გვ.	29;	იგივეა, რაც "ხანმეტო მრავალთავის" მესამე მაგალითი
9	იქვე.	გვ.	31	
10	იქვე			

არა ჯერ-არს ბუნებისა
საქმეს ხელვად... რამეთუ
ბუნებისად არს სრბად¹

უფროდს ბუნებისა არიან
ესევეთარნი საქმენი²

აწ ბუნებისასა მას ვეძ-
იებთ, ხოლო უფროდს ბუნ-
ებისასა ვღუძი³

იძლევის ბუნებად... რამე-
თუ არა ბუნებით იყო
საქმეს იგი, არამედ უფ-
როდს ბუნებისა... უქმ იქ-
მნა ბუნებად⁴

ვინ არს? - არამედ უფალი
ბუნებათად... ბუნებანი ღა-
ღაღებდენვე... არათუ ბუნ-
ებისაგან იბრძანებოდა, არ-
ამედ ვითარცა-იგი უფალ-
სა ბუნებათასა ჰნებავს,...
დღეს იშვა და სძლო ბუნ-
ებასა⁵

ზოგადი კატევი აჩუენოს
ბუნებისად⁶

არა საგონებელ იყოს ადა-
მისი⁷ იგი ბუნებად გინე-
ბულ⁸

რომელი იგი ბუნებით ღმე-
რთი იყო და კაც იქმნა
თვნიერ ბუნებისა⁹

წესსა მას ბუნებისასა სძ-
ლევს⁹

ου δει τη φυσει των
πραγματων προσεχειν... φυ-
σεως γαρ εστι νομος
(ალბათ δρομος) (col.388)

υπερ φυσιν το πραγμα
(col.388)

το ουν κατα φυσιν ζητ-
εισθω, το δε υπερ φυσιν
σιγη τιμασθω (col.388)

νικαται γαρ φυσις... ου
γαρ κατα φυσιν γεγоне
το πραγμα, αλλ'υπερ φυ-
σιν... ηργησε γαρ η φυσις
(col.388)

Τινα; Τον Δεσποτην της
φυσεως... η φυσις βοα..
ου γαρ υπο της φυσεως
επιτρεπετο, αλλ'ως Δεσ-
ποτης της φυσεως... σημε-
ρον προηλθε νικησασης
φυσιν (col. 389)

το ομοιμον δειξη της
φυσεως (col.390)

μη δοξη το του Αδαμ
ενυβριζειν φυραμα (ამო-
კითხულია φυσιν)
(col.390)

θεος ων κατα φυσιν,
ανθρωπος γεγоне παρα
φυσιν (col.390)

νικων την της φυσεως
ταξιν (col. 390)

1	სინ.	მრავალთავი,	გვ.	32.
2	იქვე			
3	იქვე			
4	იქვე.	გვ.	33	
5	იქვე.	გვ.	34	
6	იქვე.	გვ.	35	
7	იქვე.	გვ.	35	
8	იქვე			
9	იქვე			

ჩვენ აღარ განვაგრძობთ "სინური მრავალთავიდან" ნიმუშების მოტანას (სქოლიოში ვუთითებთ დანარჩენ შემთხვევებს).² არსებული მაგალითების სიმრავლე ცხადად აჩვენებს, რომ ტერმინი "ბუნება", რომელსაც, როგორც აღვნიშნავდით, V ს-ის II ნახევრიდან თითქოს უკვე ფეხი აქვს მოკიდებული ქართულ მწერლობაში, უაღრესად გავრცელებული ჩანს VI საუკუნისათვის (დაახლოებით ამ დროს ეკუთვნის "სინური მრავალთავის" ტექსტების უმრავლესობა).

აღნიშნული ტერმინი გვხვდება, აგრეთვე, "ანტონის ცხოვრების" უაღრეს ქართულ თარგმანში, რომელიც, როგორც აღნიშნული იყო, V-VI სს უნდა ეკუთვნოდეს:

ღმრთეებისა და მეცნიერე-
ბისა ბუნებად³

η θεια και νοερα φυσικ
(Pg.26, 945 C)

ეგვევ ტერმინი დამოწმებულია "საბას ცხოვრებაში", რომლის შესახებაც ვრცლად ვიმსჯელებთ ქვემოთ (ქართული თარგმანი დაახლოებით VI-VII სს-ის მიჯნით თარიღდება).

დაამტკიცებდა, ვითარმედ
გუამი ბუნებად არს და
ბუნებად გუამი⁴

διαβεβαιουμενος εις την
υποστασιν φυσικ και την
φυσικ υποστασιν
(Sabae Vita, 309 c)

იკადრა თქუმად სამი გუ-
ამოვნებად ღმრთეებისა...
სამ ბუნებად⁵

τριαδα των θειων υπο-
στασεων τριαδα φυσικ-
ων... τετολμηκε (309 C)

"ბუნებად" ხშირად გვხვდება "უძველეს იადგარში":

ბუნებად კაცთად... განსწმიდე⁶

განაახლე უტყვ ბუნებად კაცთად⁷

1 სინ. მრავალთავი, გვ. 37

2 იხ. "სინური მრავალთავი": გვ. 40 12, 16, 18; 41, 15, 26, 28, 38; 42 16, 30; 43 34; 44 4, 22; 48 36; 49 1; 50 17; 52 24; 76 34; 78 6; 81 36; 84 18; 100 18; 101 1; 107 28, 37; 108 17, 18, 35, 36; 118 36; 119 20; 122 6; 137 18; 163 32; 173 3; 177 4; 193 35; 217 9; 220 35; 222 3; 233 29; 247 15, 35; 248 3; 248 17.

3 ცხოვრებად წმიდისა ანტონისი, თბ. 1970, გვ. 61.

4 მამათა ცხოვრებანი, გვ. 95.

5 იქვე. უღრ. აგრეთვე: ...ბუნებად ვრწნილებისა (გვ. 95) - φθαρτη φυσικ, Vita Sabe (ფოტოკოპირი დაცულია კ.კეკელიძის სახ. ხელგაწერთა ინსტიტუტში), (col. 309 A).

6 უძველესი იადგარი, გვ. 9

7 იქვე. გვ. 15

განსწმიდე ბუნებად წყალთად¹
 ბუნებად კაცთად განაახლე²
 დღეს განსწმიდნა წყალთა ბუნებად³
 რომელმან განსწმიდე, ქრისტე, წყალთა ბუნებად⁴
 განაახლე ყოველი ბუნებად კაცთად⁵
 რომელი ხარ ბუნებად თანაარსი მამისად⁶
 რომელმან განსწმიდე წყალთა⁷ ბუნებად ბანითა⁸
 რომელმან განსწმიდა წყალთა ბუნებანი⁹
 ბუნებისასა მას სძლე რჩულსა¹⁰
 ბუნებად ღმრთეებისად კაცობრივითა დაიფარე¹¹
 კაცობრივი ბუნებად იხილეს ყრმათა¹²
 ღმრთისა კაცობრივისა ბუნებისა ვნებასა მორწმუნენი
 გალობით... აღვასრულებდეთ¹³
 ბუნებად ჩუენი... შეიერთა¹⁴
 კაცობრივი ბუნებად იხილეს ზეცად აღმაკალი¹⁵
 დედობრივისა მის ბუნებისა უძლურებასა წინა-აღუდგეს¹⁶
 ბუნებად მოუძლურებული არა განკურნის სიტყუამან¹⁷
 ორთაგან ბუნებათა გიცნეს ერთი¹⁸
 ბუნებით ღმერთ იყო და ბუნებით კაც იქმნა¹⁹
 ორთაგან ბუნებათა შეურევნელად ერთ ხატად იცნობების²⁰
 შენ ზედა ბუნებათა შეცვალება იქმნა²¹
 განსწმიდოს წყალთა ბუნებად²²
 განაახლე ბუნებად კაცთად დაძუელებული²³
 ბუნებით მაყუალსა მიემსგავსე²⁴

1	უძველესი	იადგარი,	გვ.	38
2	იქვე			
3	იქვე	გვ.	48	
4	იქვე			
5	იქვე	გვ.	50	
6	იქვე	გვ.	60	
7	გამოცემაშია	"ყოველთა",	რაც	გაღამწერის მიერ დამახინჯებული ფორმაა.
8	იქვე	გვ.	63	
9	იქვე	გვ.	68	
10	იქვე	გვ.	76	
11	იქვე	გვ.	87	
12	იქვე	გვ.	171	
13	იქვე	გვ.	183	
14	იქვე	გვ.	237	
15	იქვე	გვ.	242	
16	იქვე	გვ.	315	
17	იქვე	გვ.	317	
18	იქვე	გვ.	345	
19	იქვე	გვ.	399	
20	იქვე			
21	იქვე			
22	იქვე	გვ.	447	
23	იქვე			
24	იქვე	გვ.	478	

მოხუცდ ქუეყანად კაცობრივითა ბუნებითა¹
 დაიმკვდრა შენ თანა უფროდს ბუნებათა ცნობისა²
 გამობრწყინებულ... საღმრთოდთა და კაცობრივითა ბუნებითა³
 ვისწავოთ მორწმუნეთა სიბრძნის ღმრთისად დაუბადებელისა ბუნებისად⁴
 ბუნებით კაც კარ და არა მსგავსებით⁵
 ბუნებათა ზედა ბუნება და უაღრესს ბუნებათა⁶
 მოსაგებელი ძლევისად მიიღე ბუნებასა ზედა... უზეშთაეს ბუნებისა
 დაემორჩილე რჩულთა ბუნებისათა⁷
 უზეშთაეს ბუნებისა... აგიარეს⁸
 ბრწყინვალეებად ბუნებითი, დაუსაბამოდ... გამობრწყინდი⁹
 განგიკუთნა შენ, უაღრესი ბუნებისად, მეუფემან¹⁰
 იძლივნეს განწესებანი ბუნებათანი¹¹
 უზესთაეს ბუნებათა შვა უვრწნელებად და უაღრეს ბუნებისა... აღივსო
 უვრწნელებითა¹²
 გიხაროდენ, ღმრთისმშობელო უკუდავისა ბუნებისაო¹³

ამავე ტერმინს იყენებს იოანე საბანიძეც:

"უქცველ და განუქარვებელ არს შემდგომად გორცთა შესხმისა და შეერთებისა ღმრთეებისა იგი ბუნებად".¹⁴

"რომელ არიან ხაზარნი, კაც ველურ, საშინელ პირითა, მკეცის ბუნება".¹⁵

მოგვიანო პერიოდის ძეგლები ურიცხვი რაოდენობით შეიცავს აღნიშნულ ტერმინს.¹⁶ ასეთი ვითარება გვაქვს ათონელ მოღვაწეებთან, ეფრემ

1 უძველესი იადგარი, გვ. 484

2 იქვე, გვ. 510

3 იქვე, გვ. 510

4 იქვე, გვ. 540. გამოცემაშია "ბუნებითისად", რაც ჩვენი აზრით არ უნდა იყოს მართებული.

6 იქვე, გვ. 543

6 იქვე, გვ. 546

7 იქვე, გვ. 548

8 იქვე, გვ. 548

9 იქვე, გვ. 549

10 იქვე, გვ. 549

11 იქვე, გვ. 550

12 იქვე, გვ. 551

13 იქვე, გვ. 551

14 ძველი ქართული აგიოგრაფიული... 1. გვ.52

15 იქვე, გვ. 58

16 სიძველის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ეპიფანე კვიპრელის "თუალთადს" ქართული თარგმანი, რაც დაახლოებით VI-VII სს-ის კუთვნილება უნდა იყოს. მასში ხშირია ტერმინი "ბუნება": "არს რომელიმე ბუნებით მბრწყინვალე" (მატბ. კრ. 131 12; შდრ. ლათ. *natura*, Pg. 43, col. 329 A); "არა განვაგრძვოთ თქუმად ყოველი ბუნებად" (იქვე, გვ. 166, 30; შდრ. კობტ. თარგ. *natura*, რ.ბლევის გამოც გვ.311). ვუთითებთ სხვა შემთხვევათა გვერდებსა და მუხლებს "მატბ. კრებულის" მიხედვით: "ბუნებად" - 139, 27; 139, 29; 156, 28; 161, 27; 163, 6. 9. 10. 11. 12; 146, 11; 151, 4; 153, 37; 139, 27; 151, 5; "ბუნებით" - 149 9; 149, 21; "ბუნებითი" - 159, 26; 173, 12;

მცირესთან, არსენ იყალთოელთან, გელათურ სკოლაში, იოანე პეტრიწთან. ტერმინი "ბუნება" *φύσις*-ის შინაარსით დღესაც მკვიდრი ლექსიკური ერთეულია ქართული ენისა.

II. ტერმინის შესატყვისები სემპრიანე გაბალოვნელის "ეჟუსტა დღეთას" ქართულ თარგმანში

ზემოთ მივუთითებდით, რომ *φύσις*-ის შესატყვისი ტერმინი "ბუნება" დაახლოებით V ს-ის ბოლო მეოთხედისათვის გავრცელებული ჩანს ქართულ მწერლობაში. იგი უკვე მეტად ხშირია VI ს-ის ძეგლებში და ასეთად რჩება დღემდე. ესაა ერთი ხაზი, ერთი ტრადიცია, რომელიც არასოდეს დარღვეულა.

კარგად არის ცნობილი, რომ "ბუნება-*φύσις*"-ის შინაარსით სომხურ მწერლობაში გვხვდება ტერმინი "ბნუთივნი". გარკვეულია, რომ ქართული "ბუნება" და სომხური "ბნუთივნი" (*բնութիւն*) არამარტო ტერმინოლოგიურად არის ადეკვატური, არამედ ეტიმოლოგიურადაც. მათთვის ამოსავალია საერთო ფუძე "ბუნ", რომელიც ფალაური სიტყვაა (*Bun*)¹ და ნიშნავს "ძირს", "საფუძველს". აღნიშნულ ფუძეს ერთვის განმაზოგადებელი სუფიქსები "ება" და "-ივნი".

"ბუნება" და "*բնութիւն*" ზედმიწევნით უიგივდება ერთმანეთს როგორც წარმოშობის თვალსაზრისით, ასევე შინაარსობრივად. ეს გარემოება თავისთავად გვაფიქრებინებს, რომ ისინი უთუოდ ერთიმეორეზე უნდა იყვნენ დამოკიდებულნი; ვფიქრობთ, ქართულ მწერლობაში განზოგადებული ცნება-ტერმინი "ბუნება" სომხური "ბნუთივნი"-ის პარალელურადაა შექმნილი. ცნობილია, რომ V-ს-ის შუა წლებიდან მოკიდებული მიმდინარეობს გაცნობა-თარგმნა სომხურენოვანი საეკლესიო ტექსტებისაც. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ V-VI სს-ისათვის ზოგი თხზულება ითარგმნება არა ორიგინალიდან, ბერძნული ენიდან, არამედ სომხური თარგმანიდან. ეს პროცესი, ცხადია, არ არის ერთსახოვანი. იმავე პერიოდში ბერძნულ მწერლობასთან კავშირი მყარად შენარჩუნებულია, მაგრამ მის გვერდით, როგორც ცნობილია, აშკარად თავს იჩენს არმენიზებული ანუ სომხური თარგმანით გაშუალებული ზოგი ტექსტი. პირუკუ პროცესი, ე.ი. ქართულიდან სომხურად თარგმნა ამ პერიოდისთვის (V-VI სს-სათვის) თითქმის არ ხდება. ეს გარემოება თავისთავად გვაფიქრებინებს, რომ ტერმინი "ბუნება" სწორედ სომხური "ბნუთივნი"-ის პარალელურად შეიქმნებოდა.

ქვემოთ, შესაბამის თავში განვიხილავთ ტერმინ "ნივთს", რომელიც იგივეა, რაც სომხური "ნივთ". *πλη*-სა და *στοιχείον*-ის შინაარსით "ნივთი" ქართული მწერლობაში ყველა ნიშნით სომხური "ნივთ"-ის პარალელურად უნდა გავრცელებულიყო. როგორც ნაჩვენები იქნება, სევერიანე გაბალოვნელის შრომის ქართული თარგმანისათვის "ნივთის" ფილოსოფიურ-თეოლოგიური

¹ იხ. მაგ. იაბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში, 1944, გვ. 085

შინარსი სრულიად უცნობია. მის ნაცვლად გვაქვს "სივშირე", "ვშირი" (*η πλη*) და "წესნი", "საწესონი" (*το στοιχειον*), რომლებიც უძველეს ქართულ ტერმინებს წარმოადგენენ და წარმოშობის თვალსაზრისით წინ უსწრებენ "ნივთს". ეს უკანასკნელი, როგორც წყაროები გვიჩვენებს, ქართულ მწერლობაში ფილოსოფიურ-თეოლოგიურ შინაარს შეიძენდა V ს-ის II ნახევრიდან ანდა VI ს-ის დამდეგიდან, ე.ი. სომხურ მწერლობასთან მჭიდრო ლიტერატურული ურთიერთობის შედეგად, ხოლო სევერიანეს შრომის ქართული თარგმანი, ჩვენი აზრით, აშკარად წინ უნდა უსწრებდეს ე.წ. არმენოფილურ პერიოდს და უფრო ადრეულ ხანას უნდა ეკუთვნოდეს (თარგმანის შესრულების დროისათვის "ნივთის" ფილოსოფიური შინაარსი რომ ცნობილი ყოფილიყო, ეს ტერმინი ერთხელ მაინც უთუოდ იჩენდა თავს). ამგვარი დათარიღება შემტკიცებულია თარგმანში დადასტურებული სხვა უძველესი ტერმინების ანალიზით. ყველა შემთხვევაში ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის უადრესი სახე მჟღავნდება.

აღნიშნულის შემდეგ წინდაწინვეა სავარაუდო, რომ თუკი, ერთი მხრივ, "ბუნება" სომხურ მწერლობასთან კონტაქტის შედეგად მკვიდრდება ქართულში, ხოლო, მეორე მხრივ, თუკი ჩვენთვის საინტერესო თარგმანი წინ უსწრებს არმენოფილურ პერიოდს, მაშინ ხსენებულ თარგმანში *φυσικ*-ის შესატყვისად არ უნდა მოველოდეთ "ბუნებას". მართლაც, *η φυσικ*, რომელიც სხვა ტერმინებთან შედარებით ბერძნულ ტექსტში უფრო ხშირად გვხვდება, ქართულად არც ერთხელ არ არის თარგმნილი "ბუნებად". მას სისტემურად გადმოსცემს ტერმინები "სახე" ან "წესი" (თითოგზის: "წესებად", "წესობად" და "ბუნე"). მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

1. "წესი"

რაოდენნი არიან ურიცხუნი იგი და გარდარეულნი წესნი (126)

τοσοῦτοι εἰσι οτι την των αριθμων υπερβεβηκασι φυσικ (col.464)

გარე-წარვკვდეთ წესსა (125)

υποβεβηκαμεν φυσικ (col.464)

კაცობრივთა მათ გარეწარსრულ არს წესთა (121)

ανθρωπινην υπερβαινοντι φυσικ (col.462)

შობილსა მას თაყუანისვსცემთ, ხოლო წესსა მას არა მრავლის-ვმეტყულებთ (120)

το μεν ουν γεννημα προσκυνουμεν, την δε φυσικ ου πολυπραγμουσαμεν (col.462)

გარდასრულ არს ჩუენსა წესსა (120)

υπερβαινοντα την φυσικ ημων (col.462)

ვორციელებისა გარეშე წესისა (119)

ασωματος η φυσικ (col. 462)

ყოვლისა სიტყვსა გარე-წარვკვლენ წესსა (116)

παντα λογον υπερβαινοσης φυσικ (col.461)

არა გამოშობს ესე წესი
(116)

ουκ απογεννα φυσις
(col. 461)

აქუნდა წესი იგი (18)

ειχε την φυσιν
(col.434)

სხუა არს წესებაჲ მსგავსებით (74)

αλλο γαρ φυσεως ομοιοτης (col.448)

წესი იგი ცეცხლისაჲ ზეაღმსწრაფებელ იყო (79)

η φυσις του πυρος ανδρομος ην (col.450)

რამეთუ უწყოდა ესევეითარი წესი (80)

επειδη ουν ηδει... τοιαυτην... την φυσιν
(col.450)

არა თვისთა წესითა ნათობდეს (80)

μη κατα την φυσιν λαμπη (col.450)

წესი იგი ცეცხლისაჲ ზეაღრბინ (80)

η δε φυσις του πυρος ανω τρεχει (col.450)

წესსა გარეშე კალნ (80)

παρα φυσιν οδευον
(col.450)

წყალთა იგი წესი განფენილი ღმერთმან აღიღო ზედა დაამყარა (44)

των υδατων των ηραιωμενων ο θεος την φυσιν υψωσας επηξεν ανω
(col.442)

წესსა მას ზედა ყოფად იყვნეს დადგრომად (113)

της φυσεως μελλοντες παραμενειν (col.460)

ცეცხლისადა მის წესთა იქმოდა (127)

την του πυρος φυσιν εργαζομενος (col.464)

სულად უწესს ჰაერთა წესსა (14)

πνευμα την του αερος λεγει φυσιν (col.434)

სახეთა მათ შეჰრევენ მიუწდომელსა მის წესობასა (71)

τροπον ερευνωσιν ακαταληπτου φυσεως
(col.447)

აღნიშნულთა გარდა ქართულ ტექსტში კიდევ ორგზის გვხვდება "წესი" *φυσις*-ის ანუ "ბუნების" შინაარსით (ორიგინალს შესაბამისი ადგილები აკლია):
"კორცთა წიაღ-ვალს წესსა გარეშე, ნავი წიაღ-ვალს წესსა ზედა" (52)
"ძელისა წესსა ვერ ეწევი" (53)

II. "სახე"

(ვენახი, ზეთისხილი, წყალი) შობს, არა თუ ჩუენ სახედ, არამედ თვისითა წესითა (120)

γεννα... ου κατα την ημετεραν φυσιν, αλλα κατα την ιδιαν ταξιν (col.462)

უძლურებისა მათისა სახე (37)

το λειπον τη ασθeneια της φυσσεως (col.440)

დედაკაცისა წესი არს სახედ მოცემისა მის სძისა (161)

εστω γαρ γυναικι δια το αναγκαιον της φυσσεως δια την χορηγιαν του γαλακτος (col.476)

ხოლო სახე არა-არსსა არა შობს (40)

η δε φυσις το ον ου γεννα (col.441)

ყოველი სიტყუად ღმრთისად დასაბამი გეგმად დაიდვა სახისაგან (178)

παν ρημα θεου αρχαιον κανων εγενετο της φυσσεως (col.482)

ყოველი ღმრთისა ვმად დასაბამ გეგმ არს სახისა (180)

πασα γαρ φωνη θεου αρχαια κανων εστι της φυσσεως (col.483)

დადვა საძირკუელი იგი სახისად და დაამყარა სახე იგი წყალობისად (12)

ελαβε θεμελιον την φυσιν και προσεπηξε τα της φυσσεως σπλαγχνα (col.433)

შეიქმნა ცეცხლისა სახე (15)

εγενετο η του πυρος φυσις (col.434)

მას წყალსა ერთ აქუს სახე და ერთ ფერ (170)

αυτο το υδωρ μιαν εχει φυσιν και ποιoτητα (col.479)

და სახე ერთ (170)

η μεν φυσις μια (col.480)

ვერ მისაწდომელ არს სახე იგი¹ (50)

ουκ ακαταληπτον την φυσιν (col.443)

¹ სახე, როგორც *φυσις*-ის ტერმინული შესიტყვისი, კანონზომიერად იჩენს თავს მაშინაც, როცა ქართული ავტორი თარგმნის ორიგინალის კომპოზიტებს *φυσιολογος*, *φυσιολογια* და ზმნას *φυσιολογεω*. იხ. წინამდებარე შრომის III ნაწ. "ქართული თარგმანის ზოგადი ტერმინულ-ლექსიკური არქეოგრაფია". (II ტომი), სტატია: "სახეთმეტყუელი, სახეთა სიტყუად"

წარმოდგენილი მაგალითების სიმრავლე ეჭვს არ ტოვებს, რომ სევერიანე გაბალოვნელის შრომის ქართველი მთარგმნელისათვის უცნობია ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინი "ბუნება". დამოწმებული ნიმუშები ამას აშკარად გვიჩვენებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს შემდეგ გარემოებას: კარგად არის ცნობილი, რომ როდესაც მთარგმნელი, ტრადიციის საპირისპიროდ, ცდილობს ახალი ტერმინის შექმნას ამათუიმ უცხოენოვანი ცნების შესატყვისად, იგი ისწრაფვის უფრო მეტი ტერმინოლოგიური სიზუსტისაკენ, ტერმინოლოგიური ერთმნიშვნელობისაკენ. ზემომოტანილი ციტატებიდან სრულიად ცხადია, რომ საქმე გვაქვს სწორედ საპირისპირო მოვლენასთან: ცალკეული ტერმინების უქონლობის გამო მთარგმნელი იძულებულია ერთი და იმავე ტერმინოლოგიური შესატყვისით ტერმინულად გადმოსცეს განსხვავებული ბერძნული ცნებები. ხაზგასასმელია, რომ ამგვარი ვითარება თავს იჩენს არა მეორეხარისხოვანი, შედარებით უმნიშვნელო სემანტიკების თარგმნის დროს, არამედ თვით უძირითადეს ცნებებთან დაკავშირებით. სევერიანეს შრომის ქართულ თარგმანში მრავალი სხვა სიტყვის გვერდით "წესად" ითარგმნება მნიშვნელოვანი ტერმინი *το στοιχειον*. ამავე დროს ეგვე "წესი" ტერმინოლოგიური შესატყვისია ბერძნული *ταξις*-სა.¹ უეჭველია, რომ მთარგმნელისათვის უცნობი იყო ფილოსოფიური ტერმინები "ნივთი" და "ბუნება". წინააღმდეგ შემთხვევაში ამგვარ ტერმინოლოგიურ შერწყმას ადგილი არ ექნებოდა. საგულისხმოა, რომ ორიგინალში ერთგან გვერდიგვერდ გვხვდება *η ταξις* და *το στοιχειον*. ქართული თარგმანი ასეთი სახისაა:

ანუ მათგან მე წესთა
ჩუენი უწყებაჲ ჰნებაჲს,
ჟამთა პატივი და წესთა
ცნობაჲ (107)

*η ταχα και αυτων των
στοιχειων ημας διδαξαι
βουλομενος, ορους τε τι-
μαν και ταξιν επιγινωσ-
κειν (col.458)*

წარმოდგენილი მაგალითი კარგად გვიჩვენებს, თუ რაოდენ რთულია მთარგმნელისათვის ტერმინოლოგიურად გამიჯნოს თვით უძირითადესი ბერძნული ცნებები. ამ დროისათვის რომ "ნივთს" უკვე შეძენილი ჰქონოდა ფილოსოფიური შინაარსი, ეჭვი არ არის, მთარგმნელი უთუოდ გამოიყენებდა მას და ამით თავიდან აიცილებდა უხერხულ ტავტოლოგიას.

ის ფაქტი, რომ მთარგმნელი ერთი და იმავე "წესით" ტერმინულად თარგმნის *φυσικ*-ს, *στοιχειον*-ს, *ταξις*-ს, აგრეთვე, *χρονος*-ს, *τροπος*-ს და ბევრ სხვა ძირეულ ტერმინს, ეჭვს არ ტოვებს, რომ კონკრეტულად *φυσικ*-ის "წესად" თარგმნასთან დაკავშირებით საქმე გვაქვს არა მთარგმნელის მიერ რაიმე ახალი ტერმინის შექმნასთან და ტრადიციული "ბუნების" უარყოფასთან, არამედ ტერმინოლოგიურ პირველქმნადობასთან, როდესაც მრავალი სპეცია-

¹ ეს შესატყვისობა არც გვიანდელ პერიოდში შეცვლილა. მთელ ძველ ქართულ მწერლობაში "წესი" ბერძნული *ταξις*-ის ისეთსავე ტერმინოლოგიურ ბადალად გვევლინება, როგორადაც "არსება" *ουσια*-სათვის, "ბუნება" *φυσικ*-ისათვის, "მხოლოდშობილი" *μονογενης*-სათვის და მისთ.

ლური ტერმინის არარსებობის გამო ერთი და იგივე ცნება სხვადასხვა უცხოენოვანი სემანტიკების ტერმინულ შინაარსს ითვისებს. სევერიანეს შრომის ქართული თარგმანი უთუოდ წინ უნდა უსწრებდეს იმ დროს, როდესაც ბერძნული *φύσις*-ის შინაარსით ქართულ მწერლობაში აბსოლუტურად ზუსტი და მოსახერხებელი ტერმინი "ბუნება" იკიდებს ფეხს.

ზემოთ აღვნიშნავდით, რომ "ბუნება" წარმომდგარია ფალაური სიტყვისაგან "ბუნი", რომელიც უძველესი დროიდანვე მკვიდრდება ქართულ ლექსიკაში. მეტად საინტერესო გვეჩვენება აღნიშვნა იმისა, რომ სევერიანეს შრომის ქართულ თარგმანში ეს სიტყვა ერთგან ბერძნული *φύσις*-ის შესატყვისად იჩენს თავს:

ცხადად ვერ ველ-ეწიფების
უვარისყოფად თქუმულისა
მის ბუნად, რეცა სხუად
სახელ უვარისყოფასა მას
შემოიყვანებენ (125)

*φανερως αρνεισθαι ου δυν-
ναιται της λεξεως την
φυσιν, ετερω τροπω πως
ταυτην την αρησιν επ-
εισαγουσι (col.463)*

როგორც ვხედავთ, *της λεξεως η φυσις* (col. 463) თარგმნილია ასე: "თქუმულისა მის ბუნი". რამდენადაც ბერძნული *φύσις* სევერიანეს შრომის ქართულ თარგმანში გადმოტანილია, როგორც "ბუნი", ეს გარემოება დამატებით გვიდასტურებს, რომ ქართულ მწერლობაში აღნიშნული ფალაური სიტყვის სუფიქსაცია და მისგან განზოგადებული ფილოსოფიური ტერმინის შექმნა ჯერ კიდევ სამომავლო საქმედ რჩება.

ზემომოტანილი ნიმუშები, სადაც *φύσις* სისტემურად თარგმნილია, როგორც "წესი" ან "სახე", ყურადღებას იქცევს შინაარსობრივი თვალსაზრისით. აბსოლუტური უმრავლესობა დამოწმებული ფრაზებისა უაღრესად გავრცელებულია ქრისტიანულ მწერლობაში. ასეთია, მაგალითად, სინტაგმა *η ανθρωπινη φυσις*, რომელიც ქართულად, ჩვეულებრივ, ითარგმნება, როგორც "კაცობრივი ბუნება". წინამდებარე თარგმანში, როგორც ზემოთ

1 სიტყვა "ბუნი", როგორც უძველესი ლექსიკური ერთეული, იშვიათია ქართულ მწერლობაში. იგი გვხვდება, მაგალითად, აპოკრიფულ ძეგლში: "სიყრმე უფლისა", სადაც მას "ძირის", "ფესვის" მნიშვნელობა აქვს: "ჟ ხეო რტოდთურთ განჴმელო, შემწუარო ბუნითურთ" (კიმენი, 1, გვ. 115). შდრ. ბერძნ. *ιδου... δευδρον αποξηραυθης και ου μη ενεγκες φυλλα ουτε ριζαν* მსგავსი ადგილი გვხვდება მათეს აპოკრიფულ სახარებაშიც: *vere erit fructus seminis tui sine vigore et radices tuae* (Ch. Michel, *Evangiles Apocryphes*, I, Paris, 1911, p.164. 130). აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ მოგვიანო ხანაში (VII-IX სს.), სომხური "ბნიკ"-ის გავლენით, "ბუნი" ზედსართავ სახელად იქცა და "ნამდვილის", "მკვიდრის", "თავდაპირველის", "ძირითადის" შინაარსი შეიძინა. მაგალითად: "წარიღეს ქუეყანად ტარონისა, ბუნსა თვისსა სამკვდრებელსა" (ი. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში, თბ. 1944, გვ. 83); "ალიყვანა ადამი ნაშობითურთ ძემან და ღმერთმან ბუნსა მას სამკვდრებელსა" (კიმენი, 1, გვ. 196). დავძენთ, რომ "შუშანიკის წამების" ზემოდამოწმებული ორი ნიმუშიდან პირველში, ჩვენი აზრით, თავდაპირველად უნდა ყოფილიყო არა სიტყვა "ბუნებითი", არამედ "ბუნითი", რადგანაც "ბუნებითი ცოლი" სრულიად აზრს მოკლებული გამოთქმაა, მაშინ როცა "ბუნითი ცოლი" შეიძლება ნიშნავდეს "თავდაპირველ" ცოლს. საგულისხმოა, რომ ეგვე სიტყვა გვხვდება "ეზრას აპოკალიფსის" უძველეს ქართულ თარგმანში: "აღადგინო შენ მიერ დაბადებული ბუნითგან ერთად" (ძველი აღთქმის აპოკრიფული... II, გვ. 275)

იყო ნაჩვენები, მის ნაცვლად გვაქვს "კაცობრივი წესი", რაც უჩვეულოა. ასევე, ღვთის მიუწვდომლობის მომასწავებელ ფრაზაში *η ακαταληπιος φυσις*, სიტყვა *φυσις* უზენაესის მიღმიერ ბუნებას, მის ტრანსცენდენტურ არსებას აღნიშნავს. "წესის" პოლისემიურობის გამო, ზემოდამოწმებული თარგმანი, - "მიუწვდომელი წესობა", - ოდნავადაც ვერ ასახავს ბერძნული ფრაზის შინაარსს. ტერმინოლოგიური სიმარტივე ამ შემთხვევაშიც სრულიად ცხადია. მსგავსი შეუთავსებლობა თავს იჩენს აგრეთვე მაშინ, როცა ღვთიური ბუნების გამოუთქმელობაზეა მსჯელობა. ზემოთ მოტანილი გვქონდა ციტატა, სადაც სევერიანე ამბობს, რომ ხორციელად შობილი ღვთის მხოლოდ თაყვანისცემა ძალგვიძს, მისი ბუნება კი გამოუთქმელია. ქართულ თარგმანს ასეთი სახე აქვს: "შობილსა მას თაყუანის-ვცემთ, ხოლო წესსა მას არა მრავლის-ვმეტყულებთ". ორიგინალის გარეშე "წესის" შინაარსი მკითხველისათვის გაურკვეველი რჩება, მაშინ როცა მის ნაცვლად ტერმინი "ბუნება" ზუსტად მიესადაგებოდა კონტექსტს.

ერთგან სევერიანე გაბალოვნელი აღნიშნავს, რომ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ მადლით მინიჭებული "მსგავსება" (ადამიანისა ღვთისადმი) და ბუნებით, არსებით მსგავსება (ქრისტესი მამალმერთისადმი). ორიგინალში აღნიშნულია: *αλλο γαρ φυσει ομοιοτης* ("სხვა არის ბუნებით მსგავსება"). ქართული თარგმანი ასეთია: "სხუად არს წესებად მსგავსებით". მართალია, თარგმანი სიტყვათბრუნების ნიშნით დაცილებულია ორიგინალს, მაგრამ თუნდაც ზუსტი სახე მივცეთ მას (მაგალითად, ასეთი: "სხუად არს წესებით მსგავსებად"), მაინც ფრაზა "წესებით მსგავსებად" სრულ გაუგებრობას იწვევს და შეიძლება ისეთი აზრიც შეუქმნას მან მკითხველს რომ საუბარია "წესებით" ანუ "დაწესებით", "განწესებით", ე.ი. ბრძანების, დადგინების გზით მიღწეულ მსგავსებაზე. ყოველ შემთხვევაში, აღნიშნული ფრაზიდან, თვით VI-VII სს-ის თარგმანების ფონზე, შეუძლებელი გვეჩვენება ბერძნულის არათუ შესატყვისი, არამედ მსგავსი შინაარსის ამოკითხვაც კი, თუმცა იმავე შინაარსს ზედმიწევნით გამოხატავდა ფრაზა "ბუნებით მსგავსებად". ამჯერადაც, სირთულეს და გაურკვეველობას სათანადო ტერმინის (ე.ი. "ბუნების") არარსებობა ქმნის.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ სევერიანე გაბალოვნელის შრომის ქართულ თარგმანში "წესი" ტერმინოლოგიური შესატყვისია ისეთი მნიშვნელოვანი ცნებებისა, როგორებიცაა *το στοιχειον, η ταξις, ο χρονος, ο τροπος, η αναγκη, η ακολουθια*. მათვე უერთდება *φυσις*-იც. აღნიშნული ტერმინების "წესად" თარგმნა, ცხადია, შემთხვევითი არ უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ შესაბამის ქართულ ტერმინთა უქონლობის დროს "წესმა", როგორც ჩანს, ყველაზე უკეთ იტვირთა ჩამოთვლილ სიტყვათა შინაარსი. მითითებულ ბერძნული სემანტიკები თუმცა დამოუკიდებელ ცნებებს წარმოადგენენ, მაგრამ რაღაც აზრით ისინი შინაარსობრივად უახლოვდებიან კიდევ ურთიერთს. ყოველი მათგანი შეიცავს "რაგვარობის", "რომლობის" "სიმტკიცის", "განწესებულობის" მნიშვნელობას. მაგალითად, "ბუნება" ისევე, როგორც "წესი" გულისხმობს პირველ საფუძველს, დასაბამს, ძირეულ მარცვალს, აგრეთვე, გარკვეულ რეალობას, განსაზღვრულობას. ეგევე შინაარსი, მეტნაკლებად, სხვა ტერმინების სემანტიკაშიც შედის. საფიქრებელია, რომ სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი "წესის" ტერმინოლოგიური დიაპაზონის ასეთი გაფართოებისა.

დამოწმებული ნიმუშებიდან ჩანს, რომ აღნიშნულ ძეგლში *φυσις* ხშირად თარგმნილია, აგრეთვე, როგორც "სახე". ამგვარი თარგმანი, ტერმინოლოგიური

აზრით, კიდევ უფრო მეტ ბუნდოვანებას იწვევს, ვიდრე "წესი". მართალია, "სახე", ისევე, როგორც "წესი", ზოგჯერ უახლოვდება კიდევ "ბუნების" შინაარსს (როგორც ჩანს, ამიტომაც გადმოსცემდა იგი *φυσικ-*ს), მაგრამ ტერმინოლოგიური თვალსაზრისით მათ შორის დიდი სხვაობაა. ცნებითი აზრით, "სახე" არათუ არ უიგივდება "ბუნებას", არამედ უპირისპირდება კიდევ მას.¹ "ბუნება" საგნისა თუ მოვლენის არსის აღმნიშვნელია, ხოლო "სახე" განცხადებაა მისი. ბუნება სახეში ვლინდება. პირველი მათგანი თავისთავად შეუცნობადია, მიუღწეველია. ადამიანური გონებისათვის საცნაური შეიძლება იყოს სახე საგნისა, მაგრამ არა ბუნება მისი. ზემოთ ვმსჯელობდით იმის შესახებ, რომ ბერძნული *η ακαταληπτος φυσικ* ჩვენთვის საინტერესო ძეგლში ერთგზის თარგმნილია, როგორც "მიუწდომელი წესობაა". აღნიშნული შესიტყვება ორიგინალში კიდევ გვხვდება: *ουκ ακαταληπτον την φυσικ*. ქართული თარგმანი ასეთია:

"ვერ მოსაწდომელ არს სახე იგი".

აქაც, ისევე, როგორც "წესთან" დაკავშირებით, აზრობრივი ბუნდოვანება იქმნება, რადგანაც ორიგინალის გარეშე შეუძლებელი ხდება "სახეს" "ბუნების" შინაარსი მიენიჭოს.

"წესი" და "სახე", *φυσικ-*ის შინაარსით, აღნიშნულ თარგმანში ერთმანეთის სინონიმებს წარმოადგენენ. ამ მხრივ მათ შორის რაიმე ზღვარი გავლებული არ არის. ერთი და იგივე მნიშვნელობის მქონე ბერძნულ ფრაზებში *φυσικ* ზოგან "წესად" არის თარგმნილი, ზოგან "სახედ" ("სახე წყლისა"-*"წესი წყლისა"*, "ცეცხლისა სახე"-*"ცეცხლისა წესი"* და მისთ.). აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, შეიძლება ითქვას, რომ ვიდრე "ბუნება" დამკვიდრდებოდა ქართულ მწერლობაში, მანამდე ბერძნული *φυσικ* ჩვეულებრივ გადმოიცემოდა ტერმინებით "სახე" და "წესი", იშვიათად კი, როგორც "წესობა" ("წესება") და "ბუნი".

მიუხედავად ზემოთქმულისა, სევერიანე გაბალოვნელის ჰექსემერონის ქართული თარგმანის ჩვენამდე მოღწეულ ნუსხებში ოთხგზის გვხვდება "ბუნებაა". აი, ეს შემთხვევები:

ეგრეცა ჩუენთანა ბუნება-
ნი: ცხვრნი, ყურნი, პირი
(49)

*ουτω και εν ημιν αι
αισθησεις: γευσικ, οσφρη-
σις, ακοη, οψικ (col.443)*

სახელ-სდებს მათ (ანგე-
ლოზებს ე.ჭ.) კაცად, რამ-
ეთუ ზიარება აქუს ბუნე-
ბაა კაცთა თანა (155)

*καλει αυτοις ανδρας, επ-
ειδη κοινην εχουσι την
εννοιαν του ανθρωπου
(col.474)*

საქმესა ვერ შემძლებელ
არიან გამოკულევად და
ველოვნისა ბუნებასა მრა-
ვლის-მეტყუელებენ (44)

?

¹ საგულისხმოა ეპიფანე კვიპრელის ზემოხსენებული "თულთაჲს" ერთი ადგილი, სადაც აშკარად ჩანს სხვაობა "სახეს" და "ბუნებას" შორის: "ვისამე ბუნებაჲ მიმსგავსებულ, და ვისამე სახე იგი" (შატბ. კრ. 146, 11).

ვიდრე ციტირებული ადგილების განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, სპეციალურად შევვხვით ერთ საკითხს:

კარგად არის ცნობილი, რომ გადამწერთა შორის ტექსტი ხშირად განიცდის დამახინჯებას, რაც უმეტეს შემთხვევაში გამოწვეულია გრაფიკულად მსგავსი სიტყვების ერთმანეთში აღრევით. იმ სიტყვათა შორის, რომლებიც გადაწერის დროს არაიშვიათად განიცდიდნენ დამახინჯებას, უპირველესად უნდა დავასახელოდ სწორედ "ბუნებად". იგი ქარაგმდებოდა ასე: "ბ~ნბაჲ" ან "ბ~ნებაჲ". თითქმის ასეთივე დაქარაგმება გვხვდება სიტყვა "გონებასთან": : გ~ნბაჲ" ან "გ~ნებაჲ. აღნიშნული გრაფიკული მსგავსება ძალიან ხშირად იწვევდა "გონებისა" და "ბუნების" ურთიერთაღრევას. საგულისხმოა, რომ დაუქარაგმებელი სახით "ბუნება" ხელნაწერებში ხშირად გვხვდება, როგორც "ბონებაჲ", ხოლო "გონება" - როგორც "გუნებაჲ". ეს მომენტიც ხელს უწყობდა მათ შენაცვლებას.

სიტყვები "ბუნებაჲ" და "გონებაჲ" ფართოდ იყო გავრცელებული ძველ მწერლობაში. ისინი ყველაზე უფრო ხშირად ხმარებულ ლექსიკურ ერთეულებს მიეკუთვნებიან. აქედან გამომდინარე, მრავალგზისია მათი ერთმანეთში აღრევის შემთხვევებიც. მაგალითების მოტანა თითქმის უსასრულოდ შეიძლება. ქვემოთ წარმოვადგენთ რამდენიმე საგულისხმო ნიმუშს:

"მოასწავებს სიმარტივესა ბუნებისასა" - იმავე ძეგლის სხვა ნუსხა: "მოასწავებს სიმარტივესა გონებისასა".¹

"ესე გონებაჲ ჩემდამო ქმნა" - "ესე ბუნებაჲ ჩემდამო ქმნა"²

"არა განიცვალა გონებაჲ მისი" - "არა განიცვალა ბუნებაჲ მისი".³

"გარეშე ბუნებისა არიან" - "გარეშე გონებისა არიან"⁴

"განძარცუვისათვის ბუნებისა" - "განძარცუვისათვის გონებისა"⁵

"ბუნებით აქუს კაცსა რისხვაჲ" - "გონებით აქუს კაცთა რისხვაჲ"⁶

"დავამდაბლოთ ბუნებაჲ ამის ბერისაჲ" - "დავამდაბლოთ გონებაჲ ამის ბერისაჲ"⁷

"გონებისაგან სიტყუაჲ უვნებელად იშვების" - "ბუნებისაგან სიტყუაჲ უვნებელად იშვების"⁸

"ვითარცა პირუტყუთა ბუნებით იციან" - "იციან გონებით, ვითარცა პირუტყუთა"⁹

1 მამათა სწავლანი, თბ. 1955, გვ. 249; პირველ სვეტში დამოწმებულია მართებული ფორმები.

2 ც.ქურციკიძე, ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ, თბ. 1959, გვ. 21.

3 ც.ქურციკიძე, იქვე, გვ. 46.

4 მ.დვალი, შუა საუკუნეების ნოველების ძველი ქართული თარგმანები II, თბ. 1974, გვ. 159.

5 პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, თბ. 1974, გვ. 482; 519.

6 მ.დვალი, დასახ. შრომა, გვ. 201

7 იქვე, გვ. 237

8 ი.იმნაიშვილი, იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, თბ. 1961, გვ. 100

9 კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, თბ. 1956, გვ. 036; 101.

"უძლურებითა შენისა ბუნებისადათა..." - "უძლურებითა შენისა გონებისადათა..."¹

"მდგომარე არს ბუნებად" - "მდგომარე არს გონებად"²

"აღამღურევს ბუნებასა კაცისასა" - "აღამღურევს გუნებასა (გონებასა) კაცისასა"³

"აზნაური სულითა და გონებითა" - "აზნაური სულითა და ბუნებითა"⁴

"ხედვიდა იგი ბუნებასა კაცთასა" - "ხედვიდა იგი გუნებასა (გონებასა) კაცთასა"⁵

"რომლისა გონებად... სცთებოდის" - "რომლისა ბუნებად... სცთებოდის"⁶

"განყოფად... ბუნებითა" - "განყოფად... გონებითა"⁷

"დამწარდა ბუნებად" - "დამწარდა გონებად"⁸

"შევზავოთ გონებასა ჩუენსა" - "შევზავოთ ბუნებასა ჩუენსა"⁹

მსგავსი ნიმუშები, როგორც აღვნიშნეთ, ბევრია. ხშირად გადამწერთა მიერ ტექსტის დამახინჯებას არკვევს სათარგმნი დედანი. ი.აბულაძეს შენიშნული აქვს, რომ დაჩის მიერ სომხურიდან თარგმნილ "ფსალმუნთა განმარტებებში" წინადადება "და ბუნებით მოიღებდეს თვისითა უკეთურებითა ცოდვასა" არასწორია. თარგმანის თავდაპირველ ტექსტში უნდა ყოფილიყო არა "ბუნებით" არამედ "გონებით" (შდრ. სომხ. "գոնայ")¹⁰

ცნობილი "შატბერდის კრებული" შეიცავს გრიგოლ ნოსელის თხზულებას "კაცისა შესაქმე", რომლის ხელნაწერებშიც "ბუნებისა" და "გონების" აღრევა ჩვეულებრივი მოვლენაა. აი, რამდენიმე მაგალითი:

"გან-მე-უცდიანა გონებად გონებათა თვისთად?"¹¹ (შდრ. *ει του ιδιου σου της φυσικου επεγνωσαν*; Pg.44, col. 156 A). ბერძნულის მიხედვით უნდა იყოს: "... ბუნებად გონებათა თვისთად".

"განეგებინ იგი გონებისაგან";¹² უნდა იყოს "... ბუნებისაგან" (*υπο της φυσικου*, col.164 B)

"არს გონიერი იგი გარეშე გონებათა მათ გულისგმისსაყოფელთა."¹³ უნდა "ბუნებათა მათ გულისგმისსაყოფელთა" (შდრ. *της νοητης φυσικου*... Pg.44 col.213 B)

1 ბასილი კესარიელის სწავლათა ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გამოსცა ც.ქურციკიძემ, თბ. 1983, გვ. 160

2 იქვე, გვ. 161;

3 იქვე, გვ.3

4 იქვე, გვ. 116

5 იქვე, გვ. 124

6 იქვე, გვ. 134

7 იქვე, გვ. 162

8 ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია, თბ. 1982, გვ.218;

9 იქვე, გვ. 258

10 ი.აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში, თბ. 1944, გვ.091

11 შატბერდის კრებული, გვ. 83; შდრ. იქვე: 'აწ ოდეს ბუნებად გონებისად გამოუსახველ არს...'

12 იქვე, გვ. 86

13 იქვე, გვ. 109

"ოდესმე დაამტკიციან გონებისათვის გონიერისა"¹

უნდა იყოს: "... ბუნებისათვის გონიერისა" (შდრ. სხვა ადგილას: "ბუნებანი ესე გონიერნი").²

იგივე "მატბერდის კრებული" შეიცავს თხზულებას "მვეცთათვის სახისა-სიტყუად". ყურადღებას იქცევს თხზულების 30-ე თავი, სადაც ვკითხულობთ:

"ხჷ ყოვლად ბუნებასა ღმრთისა მამისასა და შემოქმედსა ყოვლისასა ემსგავსების".³

აღნიშნული თავის შინაარსის მიხედვით ციტირებულ წინადადებაში სიტყვა "ბუნებად" სრულიად შეუძლებელია (იგი მოასწავებდა საღვთო სამების ბუნებით განყოფას). სხვაენოვან ვერსიებთან შედარებამ გვიჩვენა, რომ აქაც თარგმანის თავდაპირველ ტექსტში "ბუნების" ნაცვლად უნდა ყოფილიყო "გონებად" (შდრ. სლავ. разумный).

ზოგან ხელნაწერის არასწორ წაკითხვას კონტექსტი არკვევს. მაგალითად, პეტრე იერუსალიმელის საშობაო საკითხავში, რომელსაც ზემოთ რამდენჯერმე შევეხეთ, ერთგან არის მსჯელობა ქრისტეს განკაცების, ადამიანურ ბუნებასთან მისი ზიარების შესახებ. თხზულებაში ვკითხულობთ:

"ჩუენიცა იგი გონებად თავისა თვისისა უქცეველად შეაერთა".⁴

ციტირებულ წინადადებაში უნდა გვქონოდა არა "გონებად", არამედ "ბუნებად" (შდრ. იმავე პომილიის სხვა ადგილი: "ჩუენი ესე ბუნებად კაცთმოყუარებისათვის შეიმოსა")⁵

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ "შუშანიკის წამებიდან" ზემომოტანილ ციტატაში ("დედათა ბუნებად იწრო არს") თავდაპირველად, შესაძლოა, ყოფილიყო არა "ბუნებად", არამედ "გონებად". საქმე ისაა, რომ აღნიშნულ ადგილას საუბარი ეხება არა ქალის ბუნებას, ქალის ფიზიკურ სისუსტეს, არამედ მის აზროვნებას, მოვლენათა მისეულ განსჯას და განსჯის შესაბამისად მოქმედებას. გავიხსენოთ ეს ეპიზოდი: როდესაც შუშანიკმა ვარსქენის გამაზდევანების ამბავი გაიგო, სასახლე დატოვა და ეკლესიის მახლობლად პატარა "სახლაკში" განმარტოვდა. ვარსქენმა მოისურვა გაეგო შუშანიკის გადაწყვეტილება, მისი განზრახვა და დედოფალთან მიავლინა "კაცი ერთი სპარსი", რომელიც "ზრახვითა იყო ვარსქენისაგან". მიგზავნილი პირი კარგად ჩაწვდა შუშანიკის სულიერ მდგომარეობას, მის მტკიცე გადაწყვეტილებას ვარსქენისაგან განდგომის შესახებ და პასუხად ეს აუწყა პიტიახშს: "მე ვითარ მიცნობიეს, ცოლი შენი განდომილ არს შენგან" (ყურადღებას იპყრობს სიტყვა "მიცნობიეს", რაც გულისხმობს, რომ სპარსმა შეიცნო, ამოიკითხა

1 შატბერდის კრებული, გვ. 84 ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული და მათი მსგავსი ტექსტობრივი შეცდომები უნდა გასწორდეს "კაცისა შესაქმის" შემდგომ გამოცემაში.

2 იქვე, გვ. 108. საგულისხმოა აღნიშნოს, რომ ერთგან აღრეულია "ბუნებად" და "შუენიერებად" უთუოდ ნუსხური "ბ-სა და "შ-ს დიდი მსგავსების გამო. გამოცემაში გვაქვს: "შუენიერებად შუენიერებისა თვისისად". (გვ. 80. 20) უნდა იყოს "შუენიერებად ბუნებისა თვისისად" (შდრ. τον ιδιον αυτου της φουσεως κοσμου... col. 149 B)

3 იქვე, გვ. 189

4 ი.აბულაძე, შრომები, III, თბ. 1982, გვ. 104

5 იქვე, გვ. 104. დავძენთ, რომ "გონების" ნაცვლად "ბუნება" უნდა გვქონდეს "სინური მრავალთავის" შემდეგ წინადადებაში: "შენ გადიდებენ... გონებით(?) ჩუენდა მიმსგავსებისათვის" (ბ. 11). შდრ. ორიგინალი: σε διδαξαντων... καια φουον μεν, δια το καθ' ημας, Pg.10, 1152 B. საზოგადოდ, აღნიშნული ფრაზის ქართული თარგმანი ზუსტი არ არის.

შუშანიკის აზრი, მისი განზრახვა). სწორედ ამ სიტყვების შემდეგ ურჩევს იგი ვარსკენს: "ნუ რას ფიცხელსა სიტყუასა ეტყვ მას, რამეთუ დედათა ბუნებად(?) იწრო არს". ვფიქრობთ, აღნიშნულ კონტექსტში უფრო მიზანშეწონილია "გონებად", რადგანაც "სპარსის" მიერ მიცემული რჩევა სწორედ შუშანიკის აზროვნებას, მისი საქციელის, მისეული განზრახვის თითქოსდა "არაგონიერებას" შეეხება (როგორც ცნობილია, "გონებად" ხშირად აღნიშნავს "განზრახვას").¹ რაც შეეხება ქალის ფიზიკურ სისუსტეს, ვფიქრობთ, ეს აქ არაფერ შუაშია. საქმე ისაა, რომ "ბუნებით" უძლურება ნაკლად არავის მიუჩნევია, მაშინ როცა "გონებით დედაკაცობა" ხშირად იყო განქიქების საგანი. ქრისტიან ასკეტთა შორის ცნობილია ნეტარი დედა სარა, რომელიც პატრიკულ თხრობაში თავისი თავის შესახებ გვაუწყებს:

"დალაცათუ ბუნებითა დედაკაცი ვარ, არამედ არა გონებითაცა".²

უდა აღვნიშნოთ ისიც, რომ "ბუნებასთან" დაკავშირებით სიტყვა "იწრო" უჩვეულოდ ჟღერს, მაშინ როცა იგი ხშირად მიემართება "გონებას". "იწროება" სწორედ გონებრივი მონაცემების შეზღუდულობას გულისხმობს. დღესაც არსებობს გამოთქმა "გონებაშეზღუდული", "ვიწრო გონება" (მაგრამ არა "ბუნებაშეზღუდული", "ვიწრო ბუნება").

გრიგოლ ნოსელის "კაცისა შესაქმის" უძველეს თარგმანში ვკითხულობთ:

"ხოლო უკუეთუ ვინმე შეიწრდეს გონებითა გამოძიებისათვის სულთა... ვპკითხოთ უკუე დგომისათვის ანგელოზთა არსებისა".³

იგივე შესიტყვება გვხვდება "უძველეს იადგარში":

"შენი უმაღლოებით (ზოგ ხელნაწერში "უბადრუკებით") შეიწრდების გონებად".⁴

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ის სიტყვებიც, რომლებსაც შუშანიკის მტკიცე გადაწყვეტილებით განრისხებული ვარსკენი შეუთვლის დედოფალს:

"აღდეგ და მოვედ ადგილსა თვისსა და ნუ ესევითარი გონებად გიპყრიეს".

როგორი "გონებად"? ცხადია ისეთი, რომლის შესახებაც ცოტა ხნის წინათ "სპარსმა" აუწყა პიტიახშს. ჩვენი აზრით, ვარსკენის სიტყვები სწორედ შუშანიკის "განუსჯელ საქციელს", მის თითქოსდა "იწრო გონებას" მიემართება.

ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს თქმა იმისა, რომ "შუშანიკის წამების" თავდაპირველ ტექსტში "იწრო ბუნების" ნაცვლად, შესაძლოა, გვქონოდა "იწრო გონებად", თუმცა რამდენადაც აღნიშნული თვალსაზრისი ჯერჯერობით ტექსტობრივად არ დასტურდება, ამდენად იგი მხოლოდ შესაძლებელ ვარაუდად რჩება.

დავუბრუნდეთ საძიებელ საკითხს: ამგვარად, "გონებისა" და "ბუნების" ერთმანეთში აღრევის სიხშირე გვავალდებულებს, ვიდრე ხელნაწერთა წაკითხვას გავიზიარებდეთ, დავსვათ კითხვა: რომელი სიტყვა უფრო შეეფერება კონტექსტს, "გონებად" თუ "ბუნებად", რომელი მათგანი იქნებოდა თარგმანის თავდაპირველ ტექსტში, რა სურათს გვიჩვენებს ორიგინალი?

1 იხ. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 75. "გონების" ეს მნიშვნელობა კარგად ჩანს შუშანიკის წამებაშიც: "მწარე გონებად აქუს მას, გუემასა და ტანჯვასა დიდსა შეგადოს შენ"; "ნუ ესევითარი გონებად გიპყრიეს". იაკობ ცურტაველი, მარტვლობად შუშანიკისი, თბ. 1978, გვ. 9; 14.
2 შუა საუკუნეების ნოველების... II, გვ. 238
3 შატბერდის კრებული, გვ. 97
4 უძველესი იადგარი, გვ. 189

სევერიანე გაბალოვნელის "ექუსთა დღეთაჲს" ქართული ტექსტიდან წარმოვადგინეთ ოთხი შემთხვევა, სადაც ხელნაწერებში "ბუნებაჲ" გვაქვს. რადგანაც ეს ხელნაწერები თარგმანის შესრულების დროს დიდად არიან დაცილებულნი, მათში მთარგმნელისეული ტექსტის დამახინჯება ადვილადაა მოსალოდნელი. სიტყვა "ბუნებაჲ", ჩვენი აზრით, სწორედ გადამწერთა კუთვნილება უნდა იყოს. ამას წინდაწინ გვავარაუდებინებს ის გარემოება, რომ ბერძნული *φύσις*, როგორც ვნახეთ, ქართულ ტექსტში არცერთხელ არ არის თარგმნილი "ბუნებად". თუკი ტერმინი "ბუნება" მთარგმნელისათვის ცნობილი იყო, იგი უმალ *φύσις*-ის შესატყვისად გამოიყენებდა მას (თუნდაც ერთხელ მაინც), ვიდრე რომელიმე სხვა შემთხვევაში.

დამოწმებული მაგალითებიდან პირველში საუბარი ეხება გრძნობის ორგანოებს (მხედველობას, ყნოსვას, გემოს). მასში "ბუნებანი" (?) გადმოსცემს ორიგალის *αι αισθησεις*-ს. აღნიშნული ბერძნული ტერმინი ქართულად სხვადასხვაგვარად ითარგმნებოდა ("საცნობელნი", "საგრძნობელნი", "გულისხმის-საყოფელნი" და მისთ. ამის შესახებ იხ. ქვემოთ). მეტად საყურადღებო გვეჩვენება ის გარემოება, რომ უადრეს პერიოდში, რომელსაც უველა ნიშნით უნდა ეკუთვნოდეს სევერიანეს თხზულების ქართული თარგმანი, აღნიშნული ბერძნული სემანტიკის ტერმინოლოგიური შესატყვისი იყო სწორედ "გონებანი". აღვნიშნავთ იმასაც, რომ თვით ამავე ძეგლში გრძნობადობის ანუ *αι αισθησεις*-ს შესატყვისად სხვა ადგილას სწორედ "გონებანი" გვხვდება:

ეგრეცა სულთ, რაჟამს გარეშე არნ გონებათა (ე.ი. გრძნობათა, ე.ჭ.), დასულება არნ (გვ. 178)

οὕτως ἡ ψυχή, ὅταν ἐξᾶ γενηται τῶν αισθησεων...
(col. 482)

სიტყვა *τι αισθητηριον* გვხვდება "პავლენში". მას ქართულად "გონება" გადმოსცემს.

გონებანი წურთილნი ჰქონედ ცნობად კეთილისა და ბოროტისა (ებრ.5.14)

τα αισθητηρια γεγυμνασμενα εχοντων προς διακρισιν καλου τε και κακου

საყურადღებოა, რომ ერთერთ გვიანდელ ნუსხაში "გონებანი" შეცვლილია *τα αισθητηρια*-ს შემდეგდროინდელი შესატყვისით "საცნობელნი".¹ სხვათაშორის, "პავლეთა" ხსენებული მუხლი ციტირებულია გრიგოლ ნოსელის "კაცისა შესაქმის" ტექსტში, რომლის ძველ თარგმანში ბერძნული *γεγυμνασμενων αισθητηριων* გადმოტანილია, როგორც "...გონებათაგან წურთილთა".² ეგვემ თხზულება, როგორც ცნობილია, ხელმეორედ თარგმნა გიორგი მთაწმინდელმა.

¹ იხ. პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები. გამოსაცემად მოამზადეს ქ.ძოწენიძემ და კ.დანელიამ, თბ. 1974, გვ. 359. "გონება", როგორც *αισθητηριον*-ის შესატყვისი, აღნიშნული აქვს რ.ენუქაშვილს. იხ. მისი, "გონება" ახალი აღთქმის წიგნთა ძველ ქართულ რედაქციებში, აკაკი შანიძე - 100, თბ. 1987, გვ. 214-215

² გამოცემაში გვაქვს წულილთა, რაც შეცდომაა (იხ. შატბერდის კრებული, გვ. 102). შტრ. Pg. 44, 197 C

რომელმაც "გონებანი" უფრო გვიანდელი და, ამასთან, მისთვის ბუნებრივი "საცნობელნი" შეცვალა ("...წურთილებად საცნობელთა").¹

მოტანილი ნიმუშები ეჭვს არ ტოვებს, რომ სევერიანე გაბალოვნელის თხზულების თარგმანის თავდაპირველ ტექსტში გვექნებოდა არა "ბუნებანი", არამედ - "გონებანი".

ზემომოტანილ მეორე მაგალითში ხელნაწერებისეული "ბუნებად" გადმოსცემს ბერძნულ "η εννοια"-ს, რომელიც, როგორც ცნობილია, ნიშნავს სწორედ "გონებას", "აზროვნებას", "ცნობიერებას". თვით სევერიანე გაბალოვნელის თხზულებაში η εννοια-ს შესატყვისად სხვა ადგილას "გონებად" გვაქვს:

უმეტარ იქმნეს უჯეროდ-
თა გონებითა (156)

αγνοουντες την αποπον
εννοιαν (col. 474)

ვიმოწმებთ რამდენიმე საგულისხმო პარალელურ ნიმუშს:

განაბნინა ამპარტავანნი
გონებითა (ლკ. 1, 51)²

διεσκορπισεν υπερηφανο-
υς δια εννοιας

განანათლებს გონებითა უფ-
როდსდა³

διαλαμπει τα υπερ εν-
νοιαν (Pg.X. col.1145 B)

მორწმუნეთა გონებანი გა-
ნანათლნა⁴

τας των πιστων εννοιας
εφωτισε (Pg.X, col.1145
C)

შენ აქცევ გონებასა⁵

συ στρεφεις τας εννοιας
(Pg. 59, 764)

არა შეიწყნარებენ გულის-
ვმისყოფასა წიგნისასა⁶ გო-
ნებითა საზოგადოდთა⁶

οι μη καταδεχομενοι τας
κοινας των γεγραμμενων
εννοιας (Basile de Ces-
aree, hom. sur l'He-
xaemeron. ed. S.Giet.
Paris 1968, p.480)

განიზრახე გონებასა შენ-
სა⁷

σοι... εννοια εγενετο
(IV,3) (p.252)

გულისვმა-ყავ გონებასა შე-
ნსა⁸

επιστησον δε τη εννοια
(IV, 5) (p. 264)

1	გიორგი	მთაწმიდლის	თარგმანი	გამოსაცემად	მომზადებული	აქვს
	ნ.შალამბერიძეს,	გვ.93.				
2	შდრ.	სინური	მრავალთავი,	გვ. 14		
3	იქვე.	გვ. 3				
4	იქვე.	გვ. 3				
5	იქვე.	გვ. 211				
6	ი. აბულაძე.	უძველესი	რედაქციები...	გვ.123		
7	იქვე.	გვ. 55				
8	იქვე.	გვ. 59				

როგორც ვხედავთ, ამჟერადაც სევერიანეს შრომის ქართულ თარგმანში "ბუნებად" უთუოდ გადამწერთა დამახინჯება უნდა იყოს თავდაპირველი გონებისა.¹

ამგვარად, სრულიად ცხადია, რომ ოთხი მაგალითიდან პირველ ორში, მთარგმნელისეულ ტექსტში გვექნებოდა არა "ბუნებად" არამედ "გონებად".

უფრო რთულად გვაქვს საქმე ბოლო ორ მაგალითში, რადგანაც შესაბამისი ადგილები ორიგინალს არა აქვს, ხოლო კონტექსტს თანაბარი უფლებით ესადაგება როგორც "გონება" ასევე "ბუნება". ეს ორი მაგალითი შინაარსობრივად იდენტურია. მათში გამოთქმულია აზრი ღვთის მიუწვდომლობის შესახებ. საეკლესიო ღვთისმეტყველების თანახმად, მიუწვდომელია როგორც ღვთის "ბუნება", ასევე მისი "გონება". ამ უკანასკნელთან დაკავშირებით პავლე მოციქული აცხადებს: "ვინ ცნა გონებად უფლისად?" (რომ. 11. 34)

მიუხედავად ორიგინალის შესაბამისი ტექსტის უჭონლობისა, მაინც, მთლიან კონტექსტზე დაკვირვება, ჩვენი აზრით, აშკარად ცხადყოფს, რომ მესამე მაგალითშიც უნდა გვქონოდა არა "ბუნებად", არამედ "გონებად". მოგვაქვს სრული ციტატა:

"აწ სიბრძნე იგი ველოვნისად განსაგულებელ არს საქმეთაგან და განსაქიქებელ მწვალებელთა, რამეთუ საქმესა ვერ შემძლებელ არიან გამოკულევად და ველოვნისა ბუნებასა (?) მრავლის-მეტყულებენ" (44).

როგორც ვხედავთ, წინადადების პირველ ნაწილში სევერიანე გაბალოვნელი ერთმანეთს უპირისპირებს "ველოვნის სიბრძნეს", რომელიც თავისთავად შეუცნობადია და "საქმეს", რომლითაც ეს "სიბრძნე" ცხადდება. მეორე ნაწილშიც იგივე დაპირისპირება გვხვდება და აღნიშნულია, რომ მწვალებლები, რომლებიც თვით "საქმესაც" კი ვერ იმეცნებენ, "ველოვნის ბუნების(?)" შესახებ მრავალსიტყვაობენ. საეჭვო არ არის, რომ მეორე ნაწილის "ველოვნის ბუნებად" შინაარსობრივად იდენტურია პირველი ნაწილის ფრაზისა "სიბრძნედ ველოვნისად". როგორც ცნობილია "სიბრძნე" სწორედ "გონებას" უკავშირდება და არა "ბუნებას". "გონება" და "სიბრძნე" ძველ ქართულ მწერლობაში (შესაბამისად, *σφραγισ* ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ლიტერატურაში) ხშირად ურთიერთმონაცვლეობენ სინონიმურად. ზემომოტანილ ციტატაში სევერიანე გაბალოვნელი აღნიშნავს იმას, რომ "ველოვნის სიბრძნე" ცხადდება მხოლოდ "საქმით", ხოლო ვინც "საქმეს" ვერ ცნობს, იგი ვერაფერს გაიგებს თავად "ველოვნის სიბრძნის" შესახებ ანუ მისი მსჯელობა მხოლოდ ფუჭმეტყველება იქნება. ციტატის შინაარსობრივი ანალიზი, ვფიქრობთ, ნათელყოფს, რომ თარგმანის თავდაპირველ ტექსტში აქაც იქნებოდა "გონებად" და არა "ბუნებად".²

1 ანალოგიური შემთხვევა თავს იჩენს 'სინურ მრავალთავში', სადაც ერთგან ვკითხულობთ: სულიწმიდამ "განწმიდა ბუნებად მისი (მარიამისა, ე.კ.) ასოთა თანა" (სინ. მრავ. გვ. 12, 21). კონტექსტი უთუოდ "გონებას" მოითხოვს. მართლაც, ორიგინალში ვკითხულობთ: *και ηγιασθη η εννοια* (მღრ. ლათ. *mens*) *თუ τοis μελεσι* (Pg. X, col. 1164). ამჟერადაც *εννοια*-ს შესატყვისად მთარგმნელისეულ ტექსტში უთუოდ "გონება" უნდა გვქონოდა.

2 ამასვე ცხადყოფს ისიც, რომ მოტანილ კონტექტში მსჯელობაა ღმერთზე, როგორც "ხელოვანზე" ანუ შემოქმედზე, ხოლო "ხელოვანება" მიემართება სწორედ გონებას, სიბრძნეს, განზრახვას. ასე რომ, "საქმის" აღსრულებასთან დაკავშირებით საქმის მოქმედის გონებაზე მითითება სრულიად კანონზომიერია.

როგორც ვხედავთ, წარმოდგენილი ოთხი მაგალითიდან სამში აშკარად გადამწერისეული დამახინჯება გვაქვს. ვფიქრობთ, არავინ დაეჭვდება, რომ სამივეგან მთარგმნელისეულ ტექსტში გვექნებოდა არა "ბუნებად" არამედ "გონებად".

რაც შეეხება მეოთხე მაგალითს, იგი, როგორც აღვნიშნეთ, შინაარსობრივად მესამის იდენტურია. შესაბამისად, საფიქრებელია, რომ თავდაპირველ ნუსხაში აქაც "გონებად" ყოფილიყო და არა "ბუნებად". ისიც შესაძლებელია, რომ ეს წინადადება საერთოდ არ ყოფილიყო მთარგმნელისეულ ტექსტში, რადგან მას, როგორც აღვნიშნეთ, ორიგინალში შესატყვისი არა აქვს.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ:

ბერძნული *φυσικ*, რომელიც ჩვენთვის საინტერესო ძეგლის ორიგინალში მეტად ხშირად გვხვდება, ქართულად არცერთხელ არ არის თარგმნილი, როგორც "ბუნებად". მისი შესატყვისებია "წესი", "სახე", "წესებად" (წესობად) და "ბუნი".

* * *

ამგვარად, სევერიანე გაბალოვნელის შრომის ქართველი მთარგმნელისათვის *φυσικ*-ის შინაარსით სრულიად უცნობია ფილოსოფიური ტერმინი "ბუნება". ზემოთ ვაჩვენეთ, რომ V ს-ის მიწურულიდან დაწყებული დღემდე "ბუნება" ერთერთი უადრესად გავრცელებული სემანტემაა ქართულ მწერლობაში. შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ სევერიანე გაბალოვნელის შრომის მთარგმნელმა შეგნებულად აუარა გვერდი ამ ტერმინს, რადგანაც *φυσικ*-ის მისეული შესატყვისები პრიმიტიული ტერმინოლოგიური მრავალმნიშვნელობის აშკარა დადასტურებაა.

ამგვარად, ტერმინ *φυσικ*-თან დაკავშირებითაც ჩვენთვის საინტერესო თარგმანი ქართული ქრისტიანული მწერლობის უადრესი პერიოდის კუთვნილება ჩანს. იგი წინ უსწრებს V ს-ის II ნახევარს, რა დროიდანაც "ბუნება" (ალბათ, სომხური "ბნუთივნ"-ის პარალელურად) ფართოდ ვრცელდება და საბოლოოდ მკვიდრდება ქართულ მეტყველებაში.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, როგორც ცნობილია, ძველი ტერმინის გაქრობა ერთბაშად არ ხდება. ეჭვი არ არის, რომ როცა სომხურ მწერლობასთან მჭიდრო კავშირი დამყარდა, საწყის ეტაპზე ძველი ტერმინები კვლავ შენარჩუნებული იქნებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, ისიცაა გასათვალისწინებელი რომ "წესი" და "სახე", როგორც *φυσικ*-ის ტერმინოლოგიური შესატყვისები, მაინც სწრაფად მიეცემოდა დავიწყებას, რადგანაც სომხური "ბნუთივნ"-ის ანალოგიური ტერმინის შესაქმნელად ქართულ ენაში უკვე არსებობდა მნიშვნელოვანი წინაპირობა სიტყვა "ბუნ"-ის სახით; მართლაც, როგორც ვნახეთ, V ს-ის მიწურულისათვის ტერმინი "ბუნება" უკვე დამკვიდრებულია ქართულ მწერლობაში. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ძველი ტერმინები მხოლოდ V ს-ის შუა წლებამდე ინარჩუნებდნენ ზემოაღნიშნულ ტერმინოლოგიურ შინაარსს. ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან, როგორც ჩანს, მათ მოკლე ხანში ცვლის გაცილებით ზუსტი და მოსახერხებელი "ბუნებად".

ამჯერად, სპეციალურად განვიხილავთ პარალელურ ჩვენებებს. რადგანაც ტერმინი *φυσια*, საზოგადოდ, ხშირად ხმარებული ლექსიკური ერთეულია, ამდენად იგი სხვა ტერმინებზე უფრო მეტ საშუალებას გვაძლევს, გამოვავლინოთ უადრესი თარგმანები, ე.ი. ისეთი ტექსტები, რომლებისთვისაც ჯერ კიდევ უცნობია "ბუნებად" და რომლებიც *φυσια*-ის ტერმინოლოგიურ შესატყვისად "სახესა" და "წესს" წარმოგვიდგენენ.

ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, უპირველესად, საგანგებო შესწავლას საჭიროებს ცნობილი თხზულების "ფიზიოლოგის" (*φυσιολογος*) ქართული თარგმანი, რომელიც "მატბერდის კრებულმა" შემოგვინახა.

თხზულება "მვეცთათვს სახისა-სიტყუად", რომელიც "ფიზიოლოგის" (*physiologus*, *φυσιολογος*) სახელით არის ცნობილი, წარმოადგენს ქრისტიანული მწერლობის ერთერთ უადრეს და უადრესად პოპულარულ ძეგლს. მისი გამოყენების კვალი შეიმჩნევა უკვე II საუკუნისათვის. ფრ. ლაუხერტის მითითებით, ამ მხრივ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ იუსტინე მარტვილი (აღესრ. 166 წ.), რომლის თხზულება "დიალოგი ტრიფონისადმი" ერთგან სწორედ "ფიზიოლოგს" ეყრდნობა.¹ ეგვე ძეგლი თავს იჩენს კლიმენტი ალექსანდრიელის (II-III სს.) შრომებში: *Stromata*, *Paedagogus*, *Cohortatio ad Gentes*.² კლიმენტის უმცროსი თანამედროვე ორიგენე (გარდ. 254 წ.) პირდაპირ ასახელებს "ფიზიოლოგს" (ორიგენეს შრომა მოღწეულია ლათინური თარგმანით): *nam Physiologus de catulo leonis haec scribit (in Gen. Hom. XVII, 5)*.³ იმავე ავტორთან "ფიზიოლოგის" დამოწმება გვხვდება, აგრეთვე, "ქება ქებათასადმი" მიძღვნილ II ჰომილიაში: (იერონიმეს ლათ. თარგმანი) *secundum eorum physiologiam, qui de naturis omnium animalium disputant (II hom. in Cant.)*. ქართულ სამყაროში კარგად ცნობილი ეპიტანე კვიპრელი, რომელსაც ზოგჯერ "ფიზიოლოგის" ავტორობასაც მიაწერენ, თავის სახელგანთქმულ შრომაში *Adversus Haeresibus* ფენიქსთან დაკავშირებით გარკვევით უთითებს ჩვენთვის საინტერესო თხზულებას: *ως φασιν οι φυσιολογοι περι τουτου του ζωου*.⁴

ლათინურ სამყაროში "ფიზიოლოგს" იყენებენ: ტერტულიანე (150-230), ამბროსი (340-397), იერონიმე (331-420), ავგუსტინე (354-430).⁵

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ "ფიზიოლოგი" აღმოცენებულია არაუგვიანეს II ს-ის პირველი ნახევრისა. ამასთან, რადგანაც თხზულებაში თვეთა ეგვიპტური სახელებია დამოწმებული, მისი წარმოშობის ადგილად ეგვიპტე, კერძოდ, ალექსანდრია ივარაუდება. ი.კვასტენი შენიშნავს: "ძეგლის პირველსახე

1 Fr. Lauchert, *Geschichte des Physiologus*, mit zwei Textbeilagen, Strassburg, 1889, S.68-69

2 იქვე, გვ. 70; კლიმენტი ალექსანდრიელის მიერ "ფიზიოლოგის" ტექსტით სარგებლობა დღეისათვის ეჭვს არ იწვევს. იხ. ამ საკითხზე Riedinger R. *Physiologos und Klemens von Alexandria*, *Byzantinische Zeitschrift*, LXXI, 1973, 273-307. სათანადო მასალის ანალიზის შემდეგ მკვლევარი ასკვნის, რომ "ფიზიოლოგი" უნდა ჩამოყალიბებულიყო 180-200 წლებს შორის.

3 F. Lauchert, *დასახ. შრომა*, გვ. 70-71;

4 იქვე, გვ. 74

5 იქვე, გვ. 75.

აღექსანდრიას უკავშირდება, როგორც ამას თვეთა ეგვიპტური სახელები გვიჩვენებს; იგი აღმოცენებულია II ს-ის I ნახევარში¹; ფ.სბორდონეს შენიშვნით, "უძველესი ფიზიოლოგი სახარებების შემდეგ მოკლე ხანშია შექმნილი (paulo post Euangelia confectus est)".²

თხზულებამ აღმოცენებისთანავე მოიპოვა პოპულარობა, რაც განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა IV ს-იდან. როგორც ფ.პომელი აღნიშნავს, ქრისტიანულ აღმოსავლეთში ბერძნულმა "ფიზიოლოგმა" თავისი პოპულარობის მწვერვალს IV-V სს-ში მიაღწია, შემდეგ კი იგი თანდათანობით დავიწყებას მიეცა.

"ფიზიოლოგი", როგორც მეტად პოპულარული ძეგლი, უძველეს დროშივე ითარგმნა სხვადასხვა ენაზე. თხზულების ვერსიების კვლევას თითქმის ორსაუკუნოვანი ისტორია აქვს. 1795 წელს ვატიკანური ხელნაწერის მიხედვით გამოქვეყნდა სირიული თარგმანის ტექსტი.³ ნახევარი საუკუნის შემდეგ ხელმისაწვდომი გახდა ლათინური შემოკლებული ვერსია (XI ს-ის ხელნაწერის მიხედვით), რომელსაც მისი გამომცემელი გ.პაიდერი L ლიტერით აღნიშნავს.⁴ იმავე წლებში განხორციელდა სამი ლათინური ხელნაწერის შეერთებული ტექსტის გამოცემა, რომელსაც შემდეგ სომხური ვერსიის ფრანგული თარგმანიც დაერთო.⁵ 1855 წ-ს პიტრამ გამოაქვეყნა ბერძნულ-სომხური ტექსტები და ლათინური ფრაგმენტები. ოცი წლის შემდეგ ცნობილი გახდა არაბული ვერსიაც, რომელიც ჯ.ლენდმა გამოსცა;⁶ გამოცემას თან ერთვის ახალი სირიული თარგმანის ტექსტიც. 1889 წ-ს გამოიცა ზემოთ უკვე აღნიშნული წიგნი ფ.ლაუხერტისა "ფიზიოლოგის ისტორია", რომელიც, როგორც შენიშნავს ფ.კარმოდი, კვლავაც რჩება "ფიზიოლოგისადმი" მიძღვნილ ერთერთ ყველაზე უფრო საგულისხმო შრომად, თუმცა გამოკვლევაზე დართული ბერძნული ტექსტი სრულყოფილ კრიტიკულ გამოცემას არ წარმოადგენს.

"ფიზიოლოგის" სლავურ ვერსიას მნიშვნელოვანი გამოკვლევა უძღვნა ა.კარნეევმა, რომლის შრომა: **Материалы и Заметки по Литературной Истории Физиолога (1890)**, გარდა სლავური ვერსიისა, ძეგლის ზოგად ისტორიასაც ეხება. იმავე ავტორმა ოთხი წლის შემდეგ გამოაქვეყნა "ფიზიოლოგის" ერთერთი ბერძნული ხელნაწერის ტექსტი, რომელიც მოსკოვის სინოდალურ ბიბლიოთეკაში იყო დაცული. აღნიშნული გამოცემა წარმოგვ-

1 J. Quasten, Patrology, vol. III p.393

2 Physiologus, ed. F.Sbordone 1936 p.XII

3 F. Hommel, Die aethiopische Uebersetzung des Physiologus, Leipzig 1877 p.XVIII.

4 Tychsen O.G. Physiologus Syrus seu Historia Animalium... Rostochii 1795

5 Archiv fur Kunde osterreichischen Geschichts-Quellen, V Bd., 3 und 4 Heft, Wien 1850, ss 552-582

6 Nouveaux melanges d'archeologie, d'histoire et de litterature sur le moyen age, Collection publiee par le P.Ch.Cahier, Paris 1874

7 Spicilegium solesmense complectens sanctorum Patrum scriptorumque ecclesiasticorum anecdota hactenus opera,... publici... J.B.Pitra... vol.III, Parisiis 1855

8 Anecdota Syriaca, edid. J.P.Land, Leyden 1875

9 F. Carmody, Physiologus Latinus, Uersio Y; Berkeley 1941 p.95-96. ზოგად ისტორიას ეხება, აგრეთვე, Kahrens-ის შრომა: Zur Geschichte des sogenannten Physiologus, Ploen, 1885

10 A. Karnejev, Der Physiologus der Moskauer Synodaltibothec, Byzantinische Zeitschrift, III B. 1894, 26-63

იდგენს უძველესი პრიმიტიული ვერსიისაგან განსხვავებულ ტექსტს, რომელიც ასევე უძველეს დროში უნდა იყოს აღმოცენებული. კარნეევის გამოცემა II ლიტერითაა აღნიშნული.

"ფიზიოლოგის" ტექსტის შესწავლას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ეთიოპური ვერსიის გამოქვეყნებამ. ეს ვერსია ეთიოპური ლიტერატურის უძველეს პერიოდს (IV-V სს-ს) მიეკუთვნება და სრულად არის დაცული. ეთიოპური ტექსტი ლათინური თარგმანითა და გამოკვლევებით გამოსცა ფ.ჰომელმა.¹

"ფიზიოლოგის" სხვადასხვაენოვანი ტექსტების შესწავლისას სომხურმა ვერსიამ, სიძველის გამო, თავიდანვე მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. როგორც აღვნიშნეთ, ეს თარგმანი 1855 წელს ბერძნულთან ერთად გამოსცა პიტრამ, 1874 წელს კი მისი ფრანგული თარგმანი გამოაქვეყნა შ.კაიემ.

სომხური ვერსია ქართულ ვერსიასთან ერთად მონოგრაფიულად შეისწავლან. მარმა. მანვე გამოსცა აღნიშნული ვერსიები რუსული თარგმანითურთ. ტექსტებისადმი წამძღვარებულ გამოკვლევაში ავტორმა ქართულ-სომხური ვერსიების ურთიერთმიმართების საკითხიც განიხილა და ცხადყო, რომ ქართული თარგმანი მომდინარეობს სომხურისაგან.²

1936 წელს ფ.სბორდონემ გამოსცა ბერძნული ორიგინალის კრიტიკული-ტექსტი.³ ეს გამოცემა "ფიზიოლოგის" კვლევის ისტორიაში მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს, თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში შემჩნეულია, რომ ფ.სბორდონეს ზოგი მოსაზრება (განსაკუთრებით ლათინური რედაქციების შესახებ) მართებული არ უნდა იყოს.⁴

რამდენიმე წლის შემდეგ ფ.კარმოდიმ გამოსცა ლათინური თარგმანის V ლიტერით აღნიშნული ვერსია, რომელიც ახლოს დგას კარნეევის მიერ გამოცემულ ბერძნულ ტექსტთან და რომელიც რედაქციულად უკავშირდება სომხურ-ქართულ ვერსიებს.⁵ ტექსტისადმი წამძღვარებულ "შესავალში" მკვლევარი ძალიან მოკლედ მიმოიხილავს "ფიზიოლოგის" კვლევის ისტორიას და რამდენიმე სიტყვით ეხება ლათინური რედაქციების ურთიერთმიმართების საკითხს.

შემდეგ წლებში მკვლევართათვის ხელმისაწვდომი გახდა კოპტური ვერსია.⁷ გამოიცა, აგრეთვე, სირიული ტექსტის ახალი ფრაგმენტები.⁸

მიუხედავად იმისა, რომ ფ.სბორდონემ ორიგინალის კრიტიკული ტექსტი

1 F.Hommel, Die aethiopische Uebersetzung des Physiologus, Leipzig 1877

2 Физиолог, исследован, издал и перевел Н.Март. Тексты и Разыскания по Армяно-Грузинской Филологии, Кн. VI, Санкт-Петербург 1904

3 Physiologus, ed. F.Sbordone, Milan 1936

4 იხ. ფ.კარმოდის ზემოთხსენებული შრომა, გვ. 96

5 Physiologus Latinus, Uersio V, ed. by. Fr. J. Carmody, 1941. როგორც გარკვეულია, სომხური და, შესაბამისად, ქართული ვერსიები რედაქციულად გვერდით უდგას ა.კარნეევის მიერ გამოცემულ ტექსტს. იხ. A.Karnejev, Der Physiologus... BZ 1894, V. III, s.30

6 მოგვიანო პერიოდის ლათინური ვერსია უფრო ადრე გამოცემული იყო ფ.ვილჰელმის მიერ: F.Wilhelm, Physiologus, Dicta Chrysostomi, munchener Texte 8, Munich 1916

7 A. van Lantschoot, A propos du physiologus: The bulletin of the Byzantine Institute, 2, 1950, p.339-363. გამოქვეყნებულ ფრაგმენტებს თან ახლავს ფრანგული თარგმანი.

8 A. van Lantschoot, Fragments syriaques du Physiologus, Museon, 72, 1959, p.37-51

გამოაქვეყნა, ბერძნული რედაქციების ტექსტოლოგიური კვლევა კვლავ გრძელდება. დ.ოფერმანმა ცალკე გამოსცა ორი ხელნაწერის ტექსტი,¹ ხოლო დ.კაიმაკისმა სპეციალურად შეისწავლა "ფიზიოლოგის" პირველი რედაქცია.² ა.კოტემ ყურადღება მიაქცია ერთერთ ძველ ხელნაწერს, რომელიც X ს-ის დამდეგით თარიღდება. ეს ხელნაწერი ფ.სბორდონეს გამოცემაში არ ასახულა.³

გარდა მითითებული ძირითადი შრომებისა, "ფიზიოლოგის" ტექსტისა და მისი ალეგორიზმის კვლევას მრავალი სპეციალური გამოკვლევა მიეძღვნა. მ.გოლდშტაუბის, ი.ზაუერის, ლ.თორნდიკეს, ე.პეტერსონის, ა.გრილმეიერის, ჰ.მენჰარდტის, კ.ცურეტის,⁴ ე.პერის, უ.ტროის და სხვათა შრომებმა⁵ მნიშვნელოვნად წასწიეს წინ "ფიზიოლოგის" შესწავლის საქმე.

ზემოთ აღვნიშნავდით, რომ "ფიზიოლოგი" უაღრესად გავრცელებული იყო ქრისტიანულ სამყაროში. ეს გარემოება თავისთავად განაპირობებდა თხზულების რედაქციულ სახეცვლილებებს, რაც, ცხადია, სხვადასხვაენოვან ვერსიებშიც აისახებოდა. ტექსტის ცალკეული რედაქციების ანალიზი კარგა ხანია იქცა სპეციალური კვლევის საგნად. აღნიშნულ საკითხს ვრცლად ეხება ა.კარნეევი, რომელიც "ფიზიოლოგის" ოთხ რედაქციას გამოყოფს (наличные тексты Физиолога... четыре рецензии).⁶ ჩვენ არ შევუდგებით მკვლევარის თვალსაზრისის განხილვას, რადგანაც სპეციალურ ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი ის სერიოზული უზუსტობები, რაც ა.კარნეევის მსჯელობას ახლავს,⁷ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მკვლევარისთვის ჯერ კიდევ უცნობი იყო ქართული "ფიზიოლოგი" და, შესაბამისად, ეს თარგმანი საერთოდ არ შესულა არცერთ რედაქციაში. რაც შეეხება სომხურს, იგი მკვლევარს მიკუთვნებული აქვს მეორე რედაქციისა თუ რეცენზიისათვის, რომელშიც, გარდა სომხურისა, შედის სირიული ვერსიის არქეტიპი და ლათინური ტექსტები.⁸ უფრო მნიშვნელოვანია ა.კარნეევის მეორე შრომა, რომელიც მოსკოვის სინოდალური ბიბლიოთეკის ხელნაწერის გამოცემას უძღვის წინ. ა.კარნეევმა მართებულად მიუთითა აღნიშნული ბერძნული ტექსტისა (ლიტერიი II) და სომხური ვერსიის რედაქციულ სიახლოვეზე.⁹ ეს აზრი არავითარ ეჭვს არ იწვევს.

"ფიზიოლოგის" ბერძნული რედაქციები დაწვრილებით შეისწავლა ფ.სბო-

1 D. Offermans, Der Physiologus nach der Handschriften G und M, Beitrage zur klassischen Philologie, 22, Meisenheim 1966

2 Kaimakis D. Der Physiologus nach der ersten Redaction, Meisenheim 1974

3 Cote A. Un manuscrit oublie du Physiologus, Scriptorium, XXVIII, 1974 p.276-277

4 კ.ცურეტის პირველი შრომა Per la critica del Physiologu greco, Studi Italiani di filologia classica, v. V, Firenze-Roma 1897, p.113-219 შეიცავს ბერძნულ ტექსტსაც ერთი ხელნაწერის მიხედვით.

5 "ფიზიოლოგის" შესახებ არსებულ ლიტერატურასთან დაკავშირებით იხ. J.Quasten, Patrology, III, p.394; E.Perry, Physiologos, Paulus Realencyclopädie der klassischen Altertumswissenschaft, Stuttgart, XX, 39, Halbband 1941, col.1074-1129; აგრეთვე ყოველწლიური სერიული L'Anne Philologique და F. Carmody-ს დასახ. შრომა.

6 А. Карнеев, დასახ. შრომა, გვ. 141

7 Н. Март, Физиолог с.Х

8 А. Карнеев, დასახ. შრომა, გვ. 151

9 А. Карнеев, Der Physiologus... s.30 მკვლევარის მითითებით "Der armenische (resp. lateinische) Physiologus seinerseits geht nun auf eine griechische Redaction zuruck, die sich als sehr nahe verwandt mit unserem Text erweist".

რდონემ. მკვლევარი გამოყოფს სამ რედაქციას, რომელთაგან პირველი უძველეს დროში უნდა შექმნილიყო. ფ.სბორდონე შენიშნავს: *Physiologus antiquissimus, eu scilicet redactio quam primam vocamus, paulo post Evangelia confectus est.*¹ მეორე რედაქციად მიჩნეულია ე.წ. ბიზანტიური "ფიზიოლოგები". მკვლევარის მითითებით, "*Secundi vel byzantini Physiologi origines ad prima media aevi tempora (saec. V-VI) mea quidem sententia referendae sunt.*"²; რაც შეეხება მესამე რედაქციას, იგი გაცილებით გვიანდელი დროისაა და ბასილი დიდის ავტორობით არის ცნობილი: *Tertius Physiologus, falso Basilii magni nomine insignis, ad media Byzantinae aetatis saecula (X videlicet vel XI) procul dubio pertinet.*³

მითითებული რედაქციებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა უძველესი ანუ პირველი რედაქცია, რომელიც ფ.სბორდონეს გამოცემაში 23 ხელნაწერით არის წარმოდგენილი. მკვლევარი აღნიშნულ რედაქციას ოთხ ჯგუფად ყოფს. ჩვენთვის საინტერესო II ხელნაწერი, რომელიც რედაქციულად მოიცავს ქართულ-სომხურ ვერსიებს და საფუძველია მათი, ზოგადი სახით ენათესავება მეოთხე ჯგუფს, მაგრამ გარკვეული სხვაობების გამო რამდენიმე სხვა ხელნაწერთან ერთად ცალკე გამოიყოფა. ფ.სბორდონე შენიშნავს: "*II Codex Mosquensis graecus 317 Vladimir, quamquam et ipse e librorum A E I recensione manavit, textum peculiarem et per se stantem exhibet*"⁴

რამდენადაც ბერძნული ტექსტის ის რედაქცია, რომელიც II ხელნაწერშია დაცული, აშკარად გამოიყოფა პირველი რედაქციის ცალკეული ჯგუფებისაგან, იგი შეიძლება ცალკე რედაქციად მივიჩნიოთ.

"ფიზიოლოგის" ბერძნული ტექსტის ასეთი დაყოფა სპეციალურ ლიტერატურაში გაზიარებულია. ფ.კარმოდი შენიშნავს: "ფ.სბორდონემ წარმატებით დაყო ორ ხელნაწერი ოთხ გამოკვეთილ ჯგუფად: 1. სავარაუდო პრიმიტიული ტექსტი, წარმოდგენილი 15 ხელნაწერით, რომელთაგან საუკეთესოა Σ და W; 2. ძალიან განსხვავებული ტექსტი, წარმოდგენილი რვა ხელნაწერით, რომელთაგან ყველაზე ძველი და ყველაზე მნიშვნელოვანია Π; საბოლოოდ 3. ბიზანტიური და 4. ფსევდობასილისეული ტექსტი, რომლებიც უმნიშვნელოა სხვადასხვაენოვანი არაპირდაპირი ტრადიციების შესასწავლად"

ის რედაქცია, რომელიც ყველაზე კარგად II ხელნაწერმა შემოგვინახა, უძველეს დროს განეკუთვნება. ეს ხელნაწერი, როგორც მივუთითეთ, ზოგადად პირველ რედაქციაში შედის. პირველი რედაქცია და შესაბამისად II ხელნაწერის ტექსტიც, როგორც აღნიშნული იყო, სახარების შემდეგ მოკლე ხანში შექმნილად მიიჩნევა. მიუხედავად იმისა, რომ II ხელნაწერისეული ტექსტი I რედაქციისაგან ცალკე გამოიყოფა, ეს არ გულისხმობს, რომ იგი დროით ძალიან დაშორებულია ხსენებულ რედაქციას. ფ.კარმოდი მიუთითებს: "აღნიშნულ ჯგუფთა W და II ხელნაწერებით წარმოდგენილი პროტოტიპების ქრონოლოგიური განსაზღვრა არ ძალგვიძს. ორივე ვერსიასთან დაკავშირებით შეიძლება შეგვექმნას შთაბეჭდილება, რომ ენა ამ ვერსიებისა IV-V სს-ისაა, მაგრამ რადგანაც მათ იყენებს იუსტინე მარტვილი (გარდ. 166), ორივენი

1 F. Sbordone,, დასახ. გამოც. გვ. XII

2 იქვე;

3 იქვე

4 იქვე, გვ. XIII

5 F. Carmody, p.97

(გარდ. 254-255), ტერტულიანე (230) და კლიმენტი ალექსანდრიელი, ისინი უფრო ადრეულნი უნდა იყვნენ.¹ აქვე მკვლევარი გახაზავს სხვაენოვანი ვერსიების შესწავლის აუცილებლობას და აღნიშნავს: "საზოგადოდ, მიჩნეულია, რომ ეთიოპური თარგმანი უკავშირდება პრიმიტიულ ბერძნულ ტექსტს (W და სხვა), ხოლო სომხური ჯგუფდება ბერძნულ II და ლათინურ Y ხელნაწერებთან".² სწორედ აღნიშნული ლათინური ვერსიაა გამოცემული ფ.კარმოდის მიერ.

შევაჯამოთ ზემოთქმული: "ფიზიოლოგის" ბერძნული ორიგინალი ჩამოყალიბდა II ს-ის I ნახევარში, ანდა II ს-ის მიწურულს³ ალბათ ეგვიპტეში, კერძოდ ალექსანდრიაში.⁴ ამ პრიმიტიული ვერსიის ერთერთი უადრესი განშტოებაა ის რედაქცია, რომელიც II ხელნაწერმა შემოგვინახა.

რადგანაც ეს ხელნაწერი XI ს-ისაა, ამდენად წინდაწინვე სავარაუდოა, რომ ხელნაწერის ტექსტი მთლად ზუსტად არ ასახავს ხსენებული რედაქციის თავდაპირველ ვითარებას. ასე რომ, როდესაც II-ში დაცულ ტექსტზეა საუბარი, იგულისხმება არა კონკრეტულად ეს ხელნაწერი, არამედ არქეტიპული რედაქცია, საიდანაც იგი მომდინარეობს.

როგორც აღნიშნული იყო, ხსენებული რედაქცია (განშტოება თავდაპირველი პრიმიტიული ტექსტისა) II-III სს-ს განეკუთვნება. ეს რედაქცია საფუძვლად უდევს სომხურს,⁵ რომელიც თავის მხრივ, დედანია ქართული ვერსიისა. ასე რომ, ქართული თარგმანი არაპირდაპირ (სომხურის გზით) უკავშირდება "ფიზიოლოგის" II-III სს-ის რედაქციას.

რაც შეეხება სხვა ბერძნულ რედაქციებს, როგორც აღნიშნული იყო, მათგან ნაწილი (ე.წ. ბიზანტიური "ფიზიოლოგები") აღმოცენებულია V-VI სს-ში, ხოლო ნაწილი (ე.წ. ფსევდო-ბასილური "ფიზიოლოგები") - X ს-ში. აღნიშნულ რედაქციებთან არც ქართულს, არც სომხურს არავითარი კავშირი არა აქვს.

ვიდრე ქართული ვერსიის ტექსტობრივ პრობლემებს განვიხილავდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ სათაურის საკითხს. "მატბერდის კრებულში" თხზულების ავტორად დასახელებულია ბასილი დიდი ("თქუმული წმიდისა ბასილი ეპისკოპოსისა კესარიელისაჲ").⁷ ეს გარემოება ფსევდობასილური ვერსიებისაკენ მიგვაქცევინებს ყურადღებას. აშკარაა, რომ ბასილი დიდის ავტორობა ქართული თარგმანის სათაურში გვიანდელი ჩანამატია. უთუოდ მართებული უნდა იყოს ნ.მარის თვალსაზრისი: "შესაძლებელია, რომ ბასილის სახელი შეტანილია ქართულ თარგმანში გადამწერთა მიერ მოგვიანებით, ბერძნული ორიგინალის ისეთი ხელნაწერის უშუალო გავლენით, სადაც უკვე ავტორად იწოდებოდა კესარიელი ეპისკოპოსი".⁸ მართლაც, სომხური ვერსია,

1 "Their use by Justinus Martur... proves greater age", F.Carmody, დასახ. შრომა, გვ. 97

2 იქვე

3 როგორც აღნიშნული იყო, რ.რიდინგერის აზრით "ფიზიოლოგი" ჩამოყალიბდა 180-200 წწ. შორის. იხ. R. Riedinger, Physiologus und Klemens von Alexandria, BZ LXX, 1973 s.273-307

4 ამ ვარაუდს ეთანხმება მკვლევართა უმეტესობა, თუმცა ფ.კარმოდის აზრით, "დღეისათვის არ შეგვიძლია განვსაზღვროთ 'ფიზიოლოგის' შექმნის ზუსტი რეგიონი" (F. Carmody დასახ. შრომა, გვ. 97).

5 A. Karnejev, Der Physiologus... s.30

6 Н. Март, Физиолог с.XXXII-XXXIX

7 შატბერდის კრებული, გვ. 175

8 Н. Март, Физиолог, с.XI

საიდანაც მომდინარეობს ქართული, ავტორად არცერთ ხელნაწერში არ ასახელებს ბასილი დიდს,¹ ხოლო ორივე ვერსიის სათავე, II ხელნაწერისეული ტექსტი ავტორად პეტრე ალექსანდრიელს უთითებს (*Πετρος επισκοπος Αλεξανρειας*).²

ზემოთ აღვნიშნავდით, რომ, მკვლევართა აზრით, "ფიზიოლოგის" ფსევდობასილური ვერსია Xს-შია აღმოცენებული, ხოლო "მატბერდის კრებული" ამავე საუკუნის 70-იან წლებს ეკუთვნის. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ "ფიზიოლოგის" ქართული ვერსია ბასილი დიდის სახელს დაუკავშირდა X ს-ში, "მატბერდის კრებულის" გადაწერის ახლო ხანებში, შესაძლოა, თვით ამ კრებულის შემდგენელთა მიერ.

ამჯერად, სპეციალურად უნდა შევეხოთ ქართული ვერსიის საკუთრივ ტერმინოლოგიურ მხარეს. ამ თვალსაზრისით, უპირველესად, ყურადღებას იქცევს თხზულების დასათაურება "სახისა-სიტყუად".

როგორც ცნობილია, ჩვენთვის საინტერესო ძეგლს ბერძნულად ეწოდება "φυσιολογος"; ტერმინები *φυσιολογος* და *φυσιολογία* ძველ ქართულ მწერლობაში, ჩვეულებრივ, გადმოიცემოდა როგორც "ბუნებათამეტყუელი", "ბუნებათამეტყუელეზაჲ" (უფრო ადრე "სიტყუად ბუნებითი").

"კაცისა შესაქმის" უძველეს ვერსიაში, რომელიც VIII-IX სს-ის მიჯნას ეკუთვნის, *φυσιολογία* ორგზის თარგმნილია, როგორც "სიტყუად ბუნებითი",³ რასაც გიორგი მთაწმიდლის თარგმანში ცვლის "ბუნებათამეტყუელეზაჲ".⁴ ეჭვთიშე ათონელი *φυσιολογία*-ს, მსგავსადვე, თარგმნის როგორც "ბუნებით-მეტყუელეზაჲ".

ტერმინ *φυσιολογία*-ში კომპოზიციის პირველი წევრი *φυσις* იგივეა, რაც ქართული "ბუნება" და ამიტომ აღნიშნული ტერმინის "ბუნებათამეტყუელეზაჲ" (ან "ბუნებითმეტყუელეზაჲ" ანდა როგორც "სიტყუად ბუნებითი") თარგმნა სრულიად კანონზომიერია, მაშინ როცა უცნაური ჩანს იმავე ტერმინის თარგმნა, როგორც "სახისა-სიტყუად, სადაც "სახე" *φυσις*-ს გადმოსცემს. მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენთვის საინტერესო ძეგლის ქართული დასათაურება ყოფილიყო ან "ბუნებისა-სიტყუად" ანდა "ბუნებათამეტყუელეზაჲ";

რადგანაც "ფიზიოლოგის" ქართული დასათაურება *φυσις*-ის შესატყვისად "სახეს" იყენებს და არა "ბუნებას", გვიჩნდება აზრი, რომ საქმე უნდა გვქონდეს არქაულ ვითარებასთან. ქართული ტექსტის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ტერმინ *φυσιολογος*-ის შესატყვისად თარგმანში უკლებლივ ყველა შემთხვევაში, გვაქვს არა "ბუნებათა-მეტყუელი", არამედ "სახისმეტყუელი", ხოლო დამოუკიდებლად *φυσις* არცერთხელ არ არის "ბუნებად" თარგმნილი. მისი

1 Н. Марр, Физиолог, с.XL

2 იქვე. შდრ. А. Карпеев, დასახელებული შრომა, გვ.32

3 აი, სათანადო ნიმუშები: "სიტყუად ბუნებითი სიცილისათვის და ტირილისა" (მატბ. კრ. გვ. 83,27; Pg. 44, 156 C; შდრ. გიორგი: "...იტყვს ცრემლთათვის და სიცილისა ბუნებათამეტყუელეზაჲ", A-73, 145); "სიტყუად ბუნებითი არას გუარგებს" (მატბ.კრ. 121.33; col. 241 B; შდრ. გიორგი: "არა შემოეზავების ყოველთა მათთვის ბუნებათამეტყუელეზაჲ", A-73, 202)

4 ბასილი კესარიელის სწავლათა ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც.ქურციკიძემ, თბ. 1983; იხ. ტექსტზე დართული ლექსიკონი - გვ. 22. "ბუნებით-მეტყუელეზაჲ".

ტერმინოლოგიური შესატყვისი აქაც "სახეა". მოგვაქვს სათანადო ნიმუშები ბერძნული პარალელური ტექსტების დართვით (სომხური შესატყვისი ჩვენთვის საინტერესო ტერმინისა მითითებულია ფრჩხილებში):

I. "სახისმეტყუელი"-¹ ("επισημιαστας")

"φυσιολογος"

ვითარცა სახისმეტყუელ-
მან თქუა 175 12

ως φησιν ο φυσιολογος

კეთილად სამე თქუა სახის-
მეტყუელმან 175 24

καλως ουν ο φυσιολογος
ελαλησεν

სახისმეტყუელმან თქუა
175 31

ο φυσιολογος ελεξε

კეთილად თქუა სახისმე-
ტყუელმან 176 24

καλως ουν ο φυσιολογος
ελεξεν

რადგანაც აღნიშნული ტერმინი მეტად ხშირია, ჩვენ აღარ განვაგრძობთ სათანადო ნიმუშების მოტანას, ვუთითებთ მხოლოდ შესაბამის ადგილებს (ტერმინი "სახისმეტყუელი" ყველგან უიგივდება ბერძნულ *φυσιολογος*-ს და სომხურ "ბაროიახავსნ"-ს) 177 10; 177 27; 178 6; 178 16; 178 31; 179 5; 179 23; 180 8; 180 13; 180 22; 180 25; 180 38; 181 16; 181 39; 182 23; 183 3; 183 16; 183 18; 183 32; 183 36; 184 18; 184 23; 185 9; 185 13; 185 29; 185 34; 186 18; 186 28; 186 39; 187 3; 187 11; 187 13; 188 3; 188 6; 188 14; 188 27; 188 31; 189 27; 189 30; 190 3; 190 6; 190 19; 190 25; 190 28.

II "სახე" ("εαρη")

"φυσις"

კეთილად სამე თქუა სა-
ხისმეტყუელმან ქმნულებაჲ
სახისაჲ ("αποσασ"?) 175 24

καλως ουν ο φυσιολογος
ελαλησεν περι της φυσεως
(II)

სამი სახე არს ლომისაჲ
("εαρη") 175 31

τρεις φυσεις εχει (λεων)

პირველი სახე 175 32
("εαρη")

πρωτη αυτου φυσις

მეორე სახე ლომისაჲ ("εα-
ρη") 176 10

δευτερα φυσις του λεο-
ντος

მესამე სახე ("εαρη") ლო-
მისაჲ 176 17

τριτη φυσις του λεοντος

1 მაგალითები მითითებულია "მატბერდის კრებულის" მიხედვით.

სამი სახს არს გუელისად
("εαρη") 181 17

τρεις φυσεις εχει (οφει)

პირველი სახს ("εαρη") 181
17

πρωτη φυσεις

მეორე სახს გუელისად ("εα-
ρη") 181 25

*δευτερα φυσεις του δρα-
κοντος*

მესამე სახს¹ გუელისად
181 32

τριτη φυσεις του οφειας

სამი სახს არს ჯინჭვე-
ლისად 181 39

*τρεις φυσεις εχει (ο
μυρμηξ)*

პირველი სახს 181 39

πρωτη φυσεις

მეორე სახს ჯინჭველისად
182 6

δευτερα φυσεις αυτου

მესამე სახს ჯინჭველისად
182 14

τριτη φυσεις του μυρμηκος

იტყოდა სახისმეტყუელი სა-
ხესა პირუტყუთასა 183 16

... τας φυσεις των ζωνων

და სხუად სამარადისოდ
სახს აც 184 33

η δε αλλη φυσεις

ეგევითარი სახს და წესი
არნ მისი 187 3

τοιαυτην φυσιν εχει

ღედათა სახს აქუნ 188 13

*την θηλειαν φυσιν ασπα-
ζομενος*

როგორც ვხედავთ, ქართულ ტექსტში *φυσεις* -ის შინაარსით გვხვდება "სახე", ხოლო *φυσιολογος*-ს შეესაბამება "სახისმეტყუელი". საგულისხმო ისაა, რომ "სახე" "ბუნების" ნაცვლად იხმარება სისტემურად, ე.ი. როგორც დაკანონებული ტერმინი, დამოწმებული მაგალითების სიმრავლე ეჭვმიუტანლად ცხადყოფს, რომ "ფიზიოლოგის" თარგმნის დროს ქართულ ენაში თვისების, ბუნების შინაარსით გამოიყენებოდა არა საკუთრივ "ბუნება", არამედ "სახე". უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოვლენას თავის დროზე ყურადღება მიაქცია ნ.მარმა. მკვლევარისათვის, ცხადია, უცნობი იყო ის გარემოება, რომ "სახე" წარმოადგენს *φυσεις*-ის უძველეს ქართულ ტერმინოლოგიურ შესატყვისს და წინ უსწრებს სომხური "ბნუთივან"-ის პარალელურად შექმნილ "ბუნებას".

¹ ამ მაგალითშიც და ყველა ქვემოთ დამოწმებაში სომხური ტექსტი კვლავ "εαρη"-ს წარმოგვიდგენს

ნ.მარი ვარაუდობდა, რომ "ფიზიოლოგის" ქართული თარგმანი VIII-ს-ის გასულს მიეკუთვნება (თხზულების თარგმნის დროს ქვემოთ ვეხებით); ამ დროს ტერმინი "ბუნება" საბოლოოდ არის დამკვიდრებული ქართულ მწერლობაში. შესაბამისად, მოსალოდნელი იყო, რომ სწორედ ის გამოეყენებინა მთარგმნელს, მაგრამ რადგანაც ეს ასე არ მოხდა და აღნიშნულ ტექსტში "ბუნება" მთლიანად შეცვალა "სახემ", ნ.მარმა ივარაუდა, რომ საქმე უნდა გვექონდეს შუამავალი სომხური დედნის გავლენასთან და არა რაიმე ტერმინოლოგიურ არქაულობასთან. მკვლევარი შენიშნავს:

"*φυσια* - "ბუნება" სომხურად, ჩვეულებრივ, ითარგმნებოდა, როგორც "ბნუთივნ", resp. "ბუნ". სწორედ ასე თარგმნის *φυσια*-ს ჩვენი ძეგლის სომეხი მთარგმნელი (1, 8-9). მაგრამ კომპოზიტ *φυσιολογος*-ში მთარგმნელი *φυσια*-ს იგებს, როგორც "სახეს (ცხოვრებისა), ზნეს" და, შესაბამისად, თარგმნის მას სიტყვით (*Plurale tantum*) "ბაროი-ქ", resp. ბარ-ქ; აქედან, მთელი შედგენილი სიტყვა *φυσιολογος* თარგმნილია, როგორც "ბაროიახავსნ" ანუ "ზნეთა მეტყველი, ზნეთა აღმწერი". ამგვარი გააზრების დროს სომეხი მთარგმნელი, შესაძლოა, ხელმძღვანელობდა ბერძნული დასათაურების მითითებით: *Εκ του φυσιολογου περι φυσεως και ειδους ζωων και ερπειτων κτλ* (Pitra, Spic. sol. III, გვ. 338), სადაც ცნებას *φυσια* თითქოსდა აზუსტებს მომდევნო *ειδος*¹ - "სახე, მოქმედების სახე". ქართველი, თავის მხრივ, მიჰყვება სომეხს; "ბარქ", resp. "ბაროიქ" - "ზნე" წარმოადგენს pl. tantum რომლის ძირი "ბარ" მხ.რ.-შიც იხმარება, მაგრამ იგი ნიშნავს მხოლოდ "სახეს, ნიმუშს". ქართველი ბუკვალურად თარგმნის ძირეულ მნიშვნელობას სიტყვისა "ბარქ", resp. "ბაროიქ". თუკი ეს სიტყვა ცალკე დგას, მას უფარდებს "სახცმ"-ს (XIV, 3; XV, 4.6.20.40; XXVII, 20) ხოლო შესიტყვება "ბაროიახავსნ" გადმოაქვს, როგორც "სახის-მეტყუელი".²

მოტანილი მსჯელობა რამდენიმე წინააღმდეგობას აწყდება:

1. მკვლევარი ისე წარმოადგენს საქმის ვითარებას, თითქოს როდესაც სომეხი მთარგმნელი ბერძნულ *φυσια*-ს "ბარქ"-ად თარგმნის და არა "ბნუთივნ"-ად, ასეთ დროს მთარგმნელისათვის, ალბათ, ამოსავალი უნდა ყოფილიყო ბერძნული ტექსტის სათაური, სადაც *φυσια*-ს მოსდევს და, მკვლევარის აზრით, მის მნიშვნელობას აზუსტებს სიტყვა *ειδος*, რომელიც "სახეს" ნიშნავს.

ამ თვალსაზრისის გაზიარება შეუძლებელი გვეჩვენება. როდესაც ნ.მარი ბერძნული ტექსტის სათაურს უთითებს, სადაც *φυσια*-ს მოსდევს *ειδος*, მკითხველს რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ამგვარადაა დასათაურებული სწორედ ის ბერძნული რედაქცია, რომელიც სომხური ვერსიის წყაროა. სინამდვილეში სრულიად სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე: თავად Π

¹ где понимание *φυσια* как бы намечается сопутствующим ему *ειδος* (Н.Март, Физиолог, с. XXXVIII).

² Н.Март, Физиолог, с. XXXVIII-XXXIX. ფრჩხილებში მითითებული რიცხვი გულისხმობს ნ.მარისეული გამოცემის თავებსა და სტრიქონებს.

ხელნაწერი, რომლის რედაქცია საფუძვლად უდევს სომხურს, არავითარ კონკრეტულ სათაურს არ შეიცავს. მას მხოლოდ მოკლე აღნიშვნა აქვს: *Πετρον επισκοπου Αλεξανδρειας*.¹ რაც შეეხება ძველი რედაქციის სხვა ხელნაწერებს, რომლებიც, როგორც აღნიშნული იყო, ოთხად ჯგუფდება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ხშირად შეიცავენ გავრცობილ სათაურებს, არც ერთ მათგანში არცერთხელ არ გვხვდება სიტყვა *ειδος*.² ნ.მარის მიერ მითითებული დასათაურება მოიპოვება ე.წ. ბიზანტიური "ფიზიოლოგების" ტიპის ერთერთ ხელნაწერში (Codex Vaticanus Palatinus Graecus 367),³ რომლის ტექსტსაც არაფერი აქვს საერთო სომხურთან. ვფიქრობთ, მკვლევარი მოვალე იყო აღენიშნა ეს გარემოება. მას უთუოდ უნდა მიეთითებინა, რომ სათაური რომელიც გამოკვლევაშია დამოწმებული, წინ უძღვის არა რომელიმე მნიშვნელოვან ხელნაწერს, არამედ სომხურისაგან სრულიად დაცილებული, ამასთან გვიანდელი ანუ ე.წ. "ბიზანტიური" რედაქციის შემცველ ერთერთ ნუსხას.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სიტყვა *ειδος* არ გვხვდება არა მარტო ძველი რედაქციის ხელნაწერებში, არამედ, გარდა მითითებული ნუსხისა, საზოგადოდ არცერთ სხვა ტექსტში, ე.ი. არც ბიზანტიური და არც ფსევდობასილური ტიპის არცერთ "ფიზიოლოგში". Codex vat, graec. 367 ერთადერთი ხელნაწერია დღეისათვის ცნობილ 67 ხელნაწერს შორის, რომელშიც სხვებისაგან განსხვავებით გვხვდება სიტყვა *ειδος*. ეჭვი არ არის, რომ ეს სიტყვა გვიანდელი გადამწერის დამატებაა.

ამგვარად, სომეხი მთარგმნელის მიერ *φυσιας*-ის "ბარქ"-ად (და არა "ბნუთივნ"-ად) თარგმნას არავითარი კავშირი არა აქვს სიტყვა *ειδος*-თან.

II. ნ. მარი მიიჩნევს, რომ *φυσιας*-ის შესატყვისად ქართულ თარგმანში ტერმინი "სახე" (ნაცვლად "ბუნებისა") გვხვდება შუამავალი სომხური "ბარქ"-ის გავლენით, მკვლევარის შეხედულებით, სიტყვა "ბარქ". რომელიც არის *plurale tantum*, ძირეულად, ე.ი. მხოლოდითი რიცხვის ფორმით ნიშნავს "вид", "образ", ანუ "სახეს". სწორედ ეს მნიშვნელობა უნდა მიენიჭებინა ქართველ მთარგმნელს "ბარქ" -ისათვისაც. ნ.მარის თქმით, ქართველი ბუკვალურად თარგმნის ძირეულ მნიშვნელობას სიტყვისა "ბარქ".

ეს თვალსაზრისიც, ჩვენი აზრით, არ ასახავს რეალურ ვითარებას. მართალია, მხოლოდითი ფორმა "ბარ" ზოგჯერ თითქოს აღნიშნავს კიდევ "სახეს", მაგრამ ეს იმდენად იშვიათი მოვლენაა, მეტად საეჭვო ჩანს ქართველ მთარგმნელს სწორედ ამ უმნიშვნელო ფაქტისათვის გაეწია ანგარიში, თანაც ყველა შემთხვევაში. ვფიქრობთ, აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ თითქმის ყველა შემოდამოწმებულ ნიმუშში "ბარქ" აღნიშნავს "თვისებას, ბუნებას" და არა "სახეს" ("вид", "образ"). როდესაც ტექსტში ვკითხულობთ, რომ, მაგალითად, ლომს სამი "ბარქ" ახასიათებს, იგულისხმება სწორედ მხეცის ბუნება, თვისება. ქართული ტექსტი ყველა ასეთ შემთხვევაში მეტად შეუსაბამო თარგმანს გვაწვდის, რადგანაც "ბუნების" ნაცვლად "სახის"

1 A. Karnejev, დასახ. შრომა, გვ. 32

2 იხ. F. Sbordone, p.XXX-XLV. იხ. აგრეთვე F. Lauchert, დასახ. შრომა

3 იქვე გვ. XX - XXXI

ხმარება აშკარად აბუნდოვნებს აზრს. წინადადება "სამი სახც არს ლომისად" მკითხველს უქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს საუბარია ლომის სამი სახის ანუ სამი სახეობის, სამი გვარის შესახებ; სინამდვილეში კი ის იგულისხმება, რომ ყოველ ლომს სამი თვისება, სამგვარი ბუნება აქვს. ეს თვისებები თითოეულადაა განხილული თხზულებაში. ასეთივე ბუნდოვანება იქმნება მაშინაც, როცა საუბარია გველისა და ჭიანჭველის "სამი სახის" შესახებ ან კიდევ მაშინ, როდესაც მითითებულია ამათუიმ ცხოველის პირველი, მეორე, მესამე "სახე". აღნიშნული თხზულება რომ VIII ს-ის თარგმანი ყოფილიყო, მეტად საეჭვო გვეჩვენება, მთარგმნელს ვერ ეგრძნო აშკარა აზრობრივი შეუსაბამობა.

წარმოდგენილი მაგალითები, ჩვენი აზრით, ცხადად გვიჩვენებს, რომ თარგმანი ხწორედ იმ ეპოქას ასახავს, როცა ტერმინი "ბუნება" უცნობი იყო ქართულ მწერლობაში და მის ნაცვლად "სახე" გამოიყენებოდა. ვფიქრობთ, "ფიზიოლოგი" თარგმნილია მაშინ, როცა "სახის" ერთერთი ძირითადი მნიშვნელობა იყო "თვისება, ბუნება" და როცა ამ მხრივ არავითარი აზრობრივი შეუსაბამობა არ იგრძნობოდა. მას შემდეგ, რაც "ბუნება" დამკვიდრდა ქართულ მეტყველებაში, ტერმინმა "სახემ" ძალიან ძალე თითქმის მთლიანად დაკარგა ზემოაღნიშნული შინაარსი და აზრობრივად დაუპირისპირდა კიდევ "ბუნებას".¹

ქართველი მთარგმნელისთვის რომ "ბარქ"-ის მხოლობითი ფორმა "ბარ" არ არის ამოსავალი, ამას ცხადად გვიჩვენებს შემდეგი: კარგად არის ცნობილი, რომ სომხურ ლექსიკაში ხშირია ისეთი სიტყვები, რომლებიც ე.წ. plurale tantum-ს წარმოდგენენ. როდესაც ქართველი მთარგმნელი ამგვარი სიტყვების მრავლობითობას აცნობიერებს, ე.ი. როდესაც იგი ამოსავალ ფორმად მათ მხოლობით რიცხვს იღებს, ასეთ შემთხვევაში სომხური სიტყვა ქართულადაც, ხშირად, მრავლობითით გადმოდის. უკვე მითითებული გვქონდა, რომ იოანე ოქროპირის თხზულება "სატფურებისათვის" სომხურიდან მომდინარეობს. ამ თვალსაზრისის ერთერთ მნიშვნელოვან საბუთად მ.ვან ესბროკს მიაჩნია ის გარემოება, რომ სიტყვა *χαρις* (მადლი, ნიჭი) ქართულად ყოველთვის თარგმნილია მრავლობითი ფორმით "ნიჭნი", რადგანაც შუამავალ სომხურ ტექსტში უნდა გვქონოდა ამ ენისათვის ბუნებრივი plurale tantum "ჩნორჰქ".²

"ფიზიოლოგის" ტექსტში, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, მეტად ხშირად გვხვდება ტერმინი *φυσια*. იგი სომხურად თარგმნილია plurale tantum-ით: "ბარქ". მეტად საეჭვო გვეჩვენება ვიფიქროთ, რომ ქართველი მთარგმნელი ამოსავალ ფორმად მიიჩნევდა მხოლობით რიცხვს "ბარ" (რაც თავისთავად ძალიან იშვიათია და, ჩვეულებრივ, არ გვხვდება) და მიუხედავად ამისა, არცერთხელ არ თარგმნა აღნიშნული ტერმინი მრავლობითი ფორმით. აღნუსხული ნიმუშებიდან ყველა შემთხვევაში ქართველ მთარგმნელს სომხური "ბარქ" მხოლობითი ფორმით გადმოაქვს (ე.ი. როგორც "სახც").

¹ საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ეპიფანეს 'თუალთაძს' ქართულ ტექსტში, რომელიც ზემოგანხილული 'ფიზიოლოგის' მსგავსად სომხურიდან მომდინარეობს, ბერძულ-ლათინურ-კოპტური *φυσια* - *natura*-ს შესატყვისად ყველგან "ბუნებად" გვაქვს (იხ. ზემოთ). მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქართულ თარგმანში ბერძული *φυσιολογία*-ს შესატყვისად გვხვდება "ბუნებისა (და არა "სახისა", ე.ქ.) გამოთქუმად" (იხ. შატბ. კრ. გვ.133, 34; ბერძნ. ტექსტი იხ. Pg. 43, col.297 D. შდრ ლათ... a physiologis, id est naturarum scrutatoribus, ibid. col.336 A). ეჭვი არაა, რომ დაკარგულ სომხურ ტექსტში იქნებოდა "ბაროიახავსნ".

² M van Esbroeck, Les plus anciens... P. 253

ქართულ თარგმანში არცერთხელ არ გვხვდება მრავლობითი "სახენი".

აღნიშნული გარემოება, ვფიქრობთ, უთუოდ ცხადყოფს, რომ მთარგმნელისათვის ამოსავალია მთლიანი ფორმა "ბარქ" და არა სიტყვის ძირი. მისთვის, როგორც ჩანს, კარგადაა ცნობილი, რომ სომხური "ბარქ" მხოლოდ გარეგნულად წარმოადგენს მრავლობითის ფორმას, შინაარსობრივად კი ეს სიტყვა სწორედ მხოლობითის გაგებას შეიცავს და მხოლობითითვე უნდა ითარგმნოს.

ამგვარად, ბერძნული *φυσικ*-ის და *φυσιολογος*-ის შესატყვისად "სახისა" და "სახისმეტყუელის" ხმარება, ვფიქრობთ, არ აიხსნება იმით, რომ ქართველი მთარგმნელი ვერ აცნობიერებდა "ბარქ"-ის ძირითად მნიშვნელობას და ამოსავალ ფორმად მის ძირს "ბარ"-ს მიიჩნევდა. მეტად მოულოდნელი იქნებოდა გვეფიქრა, რომ მთარგმნელმა არ იცოდა მწერლობაში და მეტყველებაში ძალიან გავრცელებული სომხური "ბარქ"-ის შინაარსი, მაგრამ ღრმად წვდებოდა მისი ძირის, ე.ი. მხოლობითი ფორმის მნიშვნელობას, თუმცა ეს ფორმა თითქმის არ იხმარებოდა. მეორე მხრივ, თუკი მთარგმნელმა კარგად იცოდა "ბარქ"-ის ძირითადი მნიშვნელობა (ეს ასეც უნდა ყოფილიყო) და ამასთან თუკი მისთვის ცნობილი იყო ტერმინი "ბუნება", ვფიქრობთ, იგი უთუოდ ამ ტერმინით თარგმნიდა სომხურ სიტყვას (თუნდაც ერთხელ მაინც) და არა "სახით". მართლაც, ნაცვლად თარგმანისა "სამი სახს არს ლომისაჲ", გაცილებით უფრო გასაგები და ზუსტი იქნებოდა ასეთი ტექსტი: "სამი ბუნებაჲ არს ლომისაჲ", რადგანაც მსჯელობა ეხება არა ლომთა სამ "სახეობას", "გვარს", არამედ ყოველი ლომისათვის დამახასიათებელ სამ თვისებას, სამ ბუნებას. ასევე, ნაცვლად წინადადებისა, "და სხუაჲ სამარადისოდ სახს აც", გაცილებით მიზანშეწონილი იქნებოდა: "და სხუაჲ სამარადისოდ ბუნებაჲ აც". მსგავს აზრობრივ გარკვეულობას შეიტანდა ტერმინი "ბუნება" ყველა შემომითითებულ მაგალითში, სადაც მის ნაცვლად "სახეა" ხმარებული.

ამგვარად, ჩვენი აზრით, სომხური "ბარქ"-ის "სახედ" თარგმნა იმას უნდა ცხადყოფდეს, რომ თარგმანის შესრულების დროს ტერმინი "ბუნება" ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი და მისი შინაარსით ჯერ კიდევ "სახე" გამოიყენებოდა.

აქამდე ჩვენი მსჯელობა ეხებოდა ტერმინ "ბარქ"-ს. ამჯერად ცალკე უნდა შევეხოთ საკუთრივ "բարքիս"-ის ქართულად თარგმნის საკითხს. აღნიშნული იყო, რომ "բարքիս"-ის ზედმიწევნითი შესატყვისია (როგორც ეტიმოლოგიურად, ასევე შინაარსობრივად) ქართული "ბუნებაჲ", უფრო ზუსტად ეს უკანასკნელი პირველი მათგანის ანალოგიით უნდა იყოს შექმნილი. როგორც ვაჩვენეთ, ტერმინი "ბუნებაჲ" უკვე ცნობილია V ს-ის მიწურულის ქართულ მწერლობაში, ხოლო VI-VII სს-ისათვის იგი უკვე ერთერთი ყველაზე უფრო ხშირად ხმარებული ლექსიკური ერთეულია. "ბუნება" გვხვდება როგორც ორიგინალურ ძეგლებში, ასევე არასომხური (მაგალითად, ბერძნული) ენიდან მომდინარე ტექსტებში. საკუთრივ სომხურიდან თარგმნილ თხზულებებში "ბუნება" "բարքիս"-ის უცვლელი შესატყვისია.

"ფიზიოლოგის" სომხურ ტექსტში ექვზის გვხვდება "բարքիս". საეჭვო არ უნდა იყოს, რომ თუკი მთარგმნელისათვის ტერმინი "ბუნება" ცნობილი იყო, იგი ამჯერად მაინც უთუოდ გამოიყენებდა მას აღნიშნული სომხური ცნების შესატყვისად.

ქართულ ტექსტზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მთარგმნელისათვის აშკარად გაუგებარია "բարքիս"-ის ფილოსოფიურ-თეოლოგიური შინაარსი. აღნიშნული ექვსი შემთხვევიდან ორგზის მითითებული სომხური ტერმინი საერთოდ გამოტოვებულია ქართულში:

რაჲ-მე ზაკუვად იძმაცვს,
რაჲთამცა შუენიერ-იქმნა
თავი თვისი? 175 13-14

*τι ουν ποιει τη εαυτης
καλη φυσει;*

ბილწ მკეცი არს, რამეთუ
იცვალეების 188 8

*μεμιασμενον δε θηριον
εστιν δια το αλλασειν
αυτου την φυσιν;*

პირველ ციტატაში, სომხურის მართებულ თარგმანის შემთხვევაში, ასეთი ტექსტი უნდა გვეჩონოდა: "რაჲ-მე ზაკუვად იძმაცვს თვისისა მის შუენიერისა ბუნებისათვის?". მეორე ციტატაში "ბუნება" დაკლებულია წინადადების ბოლოს; ე.ი. უნდა გვეჩონოდა:... იცვალეების მისი ბუნებაჲ".

აღნიშნულ ორ ნიმუშში "բնութիւն"-ის გამოტოვება, ასეთუისე, შესაძლებელია და ეს გარემოება წინადადების აზრს დიდად არ არღვევს. დარჩენილ ოთხ შემთხვევაში კი "բնութիւն" იმდენად მჭიდროდ უკავშირდება კონტექსტის შინაარსს, რომ მთარგმნელისათვის შეუძლებელი უნდა ყოფილიყო ხსენებული ტერმინის გვერდის ავლა. მართლაც, იგი სომხურ "ბნუთივნ"-ს უკვე აღარ უგულებელყოფს და ასეთ თარგმანებს გვაწვდის:

რაჲამს ჯინჭველლომძან გა-
მოვდის, ორთაგანვე მკვდრი
("ბნუთივნს") 186 31
(შდრ. ნ.მარის თარგმანი:
"...с двумя природами",
Физиолог, с.107)

*εαν ουν γεννησωσι τον
μυρμηκολεοντα, γεννωσιν
αυτον δυω φυσεις εχοντα*

ეგრეცა მკსნელმან ჩუენმან
იესუ ქრისტემან აღილო
მიწად ქუეყანით შობილი
მკვდრი ("ბნუთივნს") 188
35 (ნ. მარი: "...землерод-
ную природу", с.118)

*ουτω και ο Σωτηρ ημων
ελαβε την του χοος γενους
ουσιαν*

ვერ მძორი ჭამის მამისა
მის მკვდრობისათვის
("ბნუთივნს"), ვერცა მარ-
ცუალი - დედისათვის" 186
32-33 (ნ. მარი: "из-за
природы матери, с.107)

*ου δυναται δε φαγειν
σαρκας δια την φυσιν της
μητρος ουδε οσπρια δια
την φυσιν του πατρος*

სახისმეტყუელმან თქუა მა-
რტორქისად: ეგვეითარი მკ-
ვდრობად და სახე ("ბნუ-
თივნს") აქუს 187 13-14
(ნ. მარი: "такого рода
природа, с.110)

*ο φυσιολογος ελεξεν περι
του μονοκερωτος, οτι το-
ιαυτην φυσιν εχει*

წარმოდგენილი ნიმუშები მეტად საინტერესო სურათს გვიჩვენებს: პირველ ორ ციტატაში "բնութիւն" თარგმნილია, როგორც "მკვდრი", ხოლო ბოლო ორში

როგორც "მკვდრობად".

ამგვარ უჩვეულო თარგმანს, ცხადია, ყურადღება მიაქცია ნ.მარმაც. მკვლევარი შენიშნავს: "მკვდრი" (XXIII, XXIX) "ბუნებისეულის" მნიშვნელობით და "მკვდრობად" (XXIII, 11; XXV, 14) "ბუნების" მნიშვნელობით წარმოადგენს თარგმანს სომხური სიტყვისა "ბუნ", resp. "ბნუთივნ". "მკვდრი", საკუთრივ, ნიშნავს "მემკვიდრეს, ადგილზე მყოფს, მცხოვრებს". აქედან, ჩვენს ძეგლშია "სამკვდრებელი" (XXVII, 10-11), რაც ნიშნავს "სამემკვიდროს", გადმოსცემს სომხურ "ჟარანგუთივნ"-ს, ბერძნ *κληρονομια*-ს, ხოლო "მკვდრი" [(XXVI, 27), ე.ი. "მცხოვრები", "მკვდრობად" (XXXII, 23-24) - "ცხოვრება", და "დაემკვდრა" (XXV, 27) - "დასახლდა"] შეესაბამება სომხურ "ბნაკელ", "ბნაკეაც" ანდა "ბნაკეი"-ს. მაგრამ სომხური ზმნა "ბნაკელ", ნასახელარია. იგი მომდინარეობს ზედსართავისაგან "ბნაკ", რომელიც ნიშნავს "ძირეულს, ბუნებისეულს, ადგილობრივს, მცხოვრებს"; ამ სიტყვის ძირი "ბუნ", თავის მხრივ, ნიშნავს "ბუნებრივს, ბუნებას" (მდრ. "ბნახავსნ - ბუნებისმეტყველი). ქართველი მთარგმნელი დაეყრდნო "მკვდრისა" და სომხური "ბნაკ"-ის შესაბამისობას, როდესაც ეს უკანასკნელი ნიშნავს "ადგილობრივს, მცხოვრებს" და მიანიჭა ქართულ სიტყვას სომხურის ძირის სხვა მნიშვნელობაც: ბუნებრივი.¹

ამგვარად, ნ.მარის აზრით, ქართველმა ავტორმა "բնութիւն" თარგმნა "მკვდრად" (თუ "მკვდრობად") იმის გამო, რომ მისთვის ამოსავალი იყო ხსენებულ სომხურ ტერმინთან ძირეულად დაკავშირებული ზედსართავი სახელის "ბნაკ"-ის ყოფითი შინაარსი (როგორც "ბნაკ", ასევე "ბნუთივნ" მომდინარეობს საერთო ფალაური ძირიდან "ბუნ"). სიტყვა "ბნაკ", ჩვეულებრივ, ნიშნავს "ადგილობრივს, ძირეულ მცხოვრებს" ანუ ზუსტად იმავეს, რასაც ქართული "მკვდრი".

წარმოდგენილი ახსნა უთუოდ მართებულია, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს რომ ასე შორს წასვლა, ალბათ, არ იყო აუცილებელი. საქმე ისაა, რომ ყოფითი შინაარსით "სამკვიდრებელს" ნიშნავს, აგრეთვე "ბნუთივნ"-იც²

ამგვარად, სრულიად უეჭველია, რომ "ბნუთივნ"-ის "მკვდრად" და "მკვდრობად" თარგმნა ეფუძნება ხსენებული სომხური ტერმინის ყოფით შინაარსს. ნ.მარის სიტყვით რომ ვთქვათ, "ქართველი მთარგმნელი დაეყრდნო "მკვდრისა" და სომხური "ბნაკ"-ის შესაბამისობას, როდესაც ეს უკანასკნელი ნიშნავს "ადგილობრივს, მცხოვრებს" და მიანიჭა ქართულ სიტყვას სომხური ძირის სხვა მნიშვნელობაც: "ბუნებრივი".

ჩვენთვის ამჯერად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკითხის მეორე მხარე: ნ.მარმა, მართალია, სწორად ახსნა, რომ "ბნუთივნ"-ის "მკვიდრად" და "მკვდრობად" თარგმნისას ქართველი ავტორისათვის ამოსავალი იყო სომხური სიტყვის ყოფითი შინაარსი, მაგრამ მკვლევარმა სრულიად აუარა გვერდი იმას, თუ რატომ უნდა მოქცეულიყო ასე ქართველი ავტორი, რამ აიძულა იგი, ეთარგმნა "ბნუთივნ" კონტექსტისათვის სავსებით შეუფერებელი "მკვდრითა" (თუ "მკვდრობით") და არა ისეთი ზედმიწევნითი შესატყვისით,

1 Физиолог, с. XXXVIII

2 იხ. მაგ. "რიფსიმეანთა მარტვილობა", სადაც "ბნუთივნ" ორგზის გვხვდება "სამკვიდრებელი ადგილის, საცხოვრებელის" შინაარსით. ძველ ქართულ თარგმანში, რომელიც უშუალოდ სომხურიდან მომდინარეობს, ხსენებული ტერმინი ერთ შემთხვევაში სწორად არის თარგმნილი, როგორც "სამკვდრებელი", მეორე შემთხვევაში კი "ბნუთივნ" უცვლელად გადმოტანილია, როგორც "ბუნებად" (ი. აბულაძე, შრომები, IV, გვ. 176; 172; ტექსტზე დართული ლექსიკონი, გვ. 106).

როგორცაა ტერმინი "ბუნება"?

ზემოთ დამოწმებული გვქონდა ნიმუშები იმის ნათელსაყოფად, რომ სომხურიდან თარგმნილ ტექსტებში "ბნუთივნი"-ის უცვლელი შესატყვისია ტერმინი "ბუნება". სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგანაც "ბნუთივნი"-ის ტერმინოლოგიურ შინაარსს "ბუნება" ზედმიწევნით გადმოსცემს, თანაც "ბუნება" ძალიან გავრცელებულია უკვე VI-VII სს-ში. თუკი "ფიზიოლოგის" ქართული თარგმანი VIII ს-ის გასულს ეკუთვნის, მაშინ აუხსნელი და გაუგებარი რჩება, თუ რატომ უგულვებლყო მთარგმნელმა მისთვის უაღრესად ნაცნობი, ამასთან ზედმიწევნით ზუსტი ტერმინი "ბუნება" და "ბნუთივნი"-ის ფილოსოფიურ-თეოლოგიური შინაარსის გადმოსაცემად შემოიტანა სრულიად შეუფერებელი "მკვდრობაჲ", რომელიც არცერთ დღეისათვის ცნობილ სხვა ძეგლში არ ნიშნავს "ბუნებას, თვისებას, არსებას" (ე.ი. მისთვის ამგვარი გააზრება სრულიად უცხოა)?

აღნიშნულ უჩვეულო მოვლენას, ვფიქრობთ, ერთი ახსნა აქვს:

როგორც ჩანს, "ფიზიოლოგის" თარგმნის დროს ქართულ მწერლობაში ჯერ კიდევ არ არსებობდა ტერმინი "ბუნება". მოტანილი ნიმუშები, ჩვენი აზრით, ცხადყოფს, რომ მთარგმნელისათვის უცნობია ეს ტერმინი.

"ფიზიოლოგის" მთარგმნელისათვის რომ ტერმინი "ბუნება" უცხოა, ამას სხვა გარემოებაც ცხადყოფს. კარგად არის ცნობილი, რომ მთარგმნელობით პროცესს ახასიათებს ამათუიმ უცხოენოვანი ტერმინის ორი ან რამდენიმე სინონიმური შესატყვისით თარგმნა. ამგვარი რამ, ჩვეულებრივ, მაშინ ხდება, როცა მთარგმნელი საჭიროდ მიიჩნევს უცხო ტერმინის შინაარსობრივ დაზუსტებას, მისი შინაარსის უკეთ გაცხადებას. სინონიმურობა სპეციალურადაა შესწავლილი ექვთიმე მთაწმიდლის, გიორგი მთაწმიდლის, ეფრემ მცირის თარგმანებთან დაკავშირებით. ეს მოვლენა საზოგადოდ ახასიათებს მთარგმნელობით პროცესს (ასეთ ვითარებას გვიჩვენებს თუნდაც ბერძნულიდან თარგმნილი ლათინური ტექსტები, სადაც ძალიან ხშირად ერთი ბერძნული სიტყვა ორი სინონიმური ტერმინითაა გადატანილი). იგივე მოვლენა ორგზის თავს იჩენს "ფიზიოლოგის" ქართულ თარგმანშიც და რაც ამჯერად ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისხმოა, თავს იჩენს სწორედ სომხური "ბნუთივნი"-ისა და "ბარქ"-ის თარგმნის დროს. აი, ეს ორი შემთხვევა:

სახისმეტყუელმან თქუა მარტორქისაჲ: ეგევითარი მკვდრობაჲ და სახე ("ბნუთივნი") აქუს 187, 13-14

ο φυσιολογος ελεξεν περι του μονοκερωτος, οτι τοιαυτην φυσιν εχει

სახისმეტყუელმან თქუა ვრცინისათვს, ვითარმედ ეგევითარი სახე და წეხი ("ბარქ") არნ მისი 187, 3

τοιαυτην φυσιν εχει

მოტანილი ორი ნიმუშიდან პირველში სომხური "ბნუთივნი" გადმოსცემს ბერძნულ *φυσιν*-ს. აღნიშნული ერთეული ტერმინები გვხვდება ბერძნული და სომხური "ფიზიოლოგების" უველა ხელნაწერში. სომხურის მსგავსად, ერთმნიშვნელოვანი, თითო შესატყვისი აქვს ტერმინ *φυσιν*-ს სხვა ვერსიებშიც:

სლავური "естество",¹ ეთიოპური (გერმანული თარგმანით): "natur";²
ლათინური: "natura".³

ერთადერთი ვერსია, რომელშიც *φυσικ*-ის ფარდად ორი ტერმინი გვხვდება, არის ქართული. ეჭვი არ არის, რომ ფრაზა "მკვდრობად და სახე" წარმოადგენს სინონიმურ თარგმანს. სომხური "ბნუთივინ" ქართველი მთარგმნელის მიერ გადმოტანილია ორი სინონიმური ტერმინით. ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ "სახე" უძველეს პერიოდში სწორედ "ბუნების" შინაარსს შეიცავდა. ქართველმა მთარგმნელმა, როგორც ჩანს, იგრძნო, რომ აღნიშნულ შემთხვევაში "მკვდრობად" კონტექსტისათვის აშკარად შეუფერებელია და სინონიმური ტერმინით დააზუსტა მისი შინაარსი. საგულისხმოა, რომ ამჟერად "სახე" უშუალოდ "ბნუთივინ"-ის შესატყვისად არის მოხმობილი და არა "ბარქ"-ისა. ეს გარემოება დამატებით გვიდასტურებს, რომ როდესაც ქართველი ავტორი "ბარქ"-ს "სახედ" თარგმნის, მისთვის ამოსავალია არა ხსენებული სომხური სიტყვის მხოლოდითი ფორმა "ბარ", არამედ იგი ეყრდნობა იმდროინდელ ქართულ სამწერლობო ტრადიციას, როდესაც ტერმინ "ბუნების" არარსებობის გამო იმავე შინაარსით გამოიყენებოდა "სახე".

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქართველი მთარგმნელი "ბნუთივინ"-ის შინაარსის უკეთ გაცხადების მიზნით "მკვდრობად"-ს სინონიმურ ტერმინად გვაწვდის არა "ბუნებას", რაც გაცილებით მოსალოდნელი იყო, არამედ "სახეს". აღნიშნულ ადგილას მთარგმნელმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტა ეთარგმნა სომხური "ბნუთივინ" როგორც მისი ყოფითი, ასევე ფილოსოფიური შინაარსით. პირველი მნიშვნელობის გადმოსაცემად მან გამოიყენა ზემოაღნიშნული "მკვდრობად", ხოლო მეორე, ე.ი. ფილოსოფიური შინაარსის გასაცხადებლად შესაბამის ქართულ ტერმინს მოუხმო. თუკი მთარგმნელისათვის ტერმინი "ბუნება" ცნობილი იყო, იგი, ეჭვი არ არის, ასეთ თარგმანს მოგვაწოდებდა: "ეგვეთარი მკვდრობად და ბუნებად აქუს". რადგანაც თვით სინონიმური დაზუსტების შემთხვევაშიც კი მთარგმნელმა გვერდი აუარა ტერმინ "ბუნებას" და მის ნაცვლად ამჟერადაც "სახე" გამოიყენა, სრულ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ "ფიზიოლოგის" თარგმნის დროს ქართულ მწერლობაში ჭერ კიდევ არ არსებობდა ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინი "ბუნება".

ამასვე გვიდასტურებს ზემომოტანილი მეორე მაგალითიც: ამ შემთხვევაშიც სინონიმურ თარგმანთან გვაქვს საქმე: სომხური "ბარქ", რომელიც გადმოსცემს ბერძნულ *φυσικ*-ს,⁴ ქართულად ორი სინონიმური შესატყვისით არის გადმოტანილი: "სახე და წესი".

ზემოთ ჩვენ ვრცლად ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ სევერიანე გაბალოვნელის შრომის ქართული თარგმანის მიხედვით ბერძნული *φυσικ* ტერმინ "ბუნების" არარსებობის გამო ითარგმნებოდა ან როგორც "სახე", ან როგორც "წესი". ამ ტერმინებს შორის *φυσικ*-ის თარგმნასთან დაკავშირებით

1 A. Карнеев, Материалы... 1890, с.302

2 F. Hommel, Die aethiopische... 1877 s.68

3 F. Carmody, Physiologus Latinus... p.128

4 ამ შემთხვევაშიც, სომხურთან ერთად, სხვა ვერსიებიც *φυσικ*-ს თითო შესატყვისით თარგმნიან: სლავური: *естество* (A. Карнеев, დასახ. შრომა, გვ. 288), ლათინური: *natura* (F. Carmody, op. cit. p.127), ეთიოპური (გერმანული თარგმანი): *natur* (F. Hommel, დასახ. შრომა, s.68).

ზემოაღნიშნულ თარგმანში, როგორც უკვე მივუთითეთ, რაიმე ზღვარი გაკლებული არ არის: ერთსა და იმავე შესატყვისებში *φυσια* ხან "სახედ" არის თარგმნილი, ხან "წესად". ამ ორი ტერმინის, როგორც *φυσια*-ის შესატყვისი ცნებების სინონიმურობას ადასტურებს სწორედ "ფიზიოლოგიდან" დამოწმებული წინადადება. ამჯერადაც აღვნიშნავთ, რომ ტერმინ "ბუნების" არსებობის შემთხვევაში გაცილებით მოსალოდნელი იყო, სწორედ ის მოეხმო მთარგმნელს სინონიმური წყვილის ერთერთ წევრად.

თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, ასეთ სურათს მივიღებთ:

ქართველი მთარგმნელი, ზოგადი ტრადიციის კვალობაზე ბერძნული *φυσια*-ის სომხურ შესატყვისს "ბარქ"-ს თარგმნის ტერმინით "სახე". იმ შემთხვევაში, როდესაც სომხურში *φυσια* თარგმნილია ტერმინით "ბნუთივნ", ქართველი ავტორი აშკარად დიდი სირთულის წინაშე დგება. მისთვის, როგორც ჩანს, მთლად ცხადი არ არის აღნიშნული სომხური ცნების შინაარსი. საფიქრებელია, ეს ტერმინი თვით სომხურში, "ფიზიოლოგის" თარგმნის უამს, ახალშექმნილი იყო და არც ფართო გავრცელებით სარგებლობდა. ამას ცხადყოფს თუნდაც ის, რომ ბერძნული *φυσια* აღნიშნულ ძეგლში გაცილებით ხშირად (შეიძლება ითქვას, ჩვეულებრივ) თარგმნილია, როგორც "ბარქ" და არა, როგორც "ბნუთივნ", რაც უჩვეულოა და ეს გარემოება, ჩვენი აზრით, სომხური თარგმანის სიძველეს ცხადყოფს. როგორც აღვნიშნავდით, ამგვარ უცნაურ თარგმანს ყურადღება მიაქცია ნ.მარმაც. მკვლევარი უპირველესად მართებულად მიუთითებს, რომ *φυσια*, ჩვეულებრივ, სომხურად ითარგმნება "ბნუთივნ"-ის გზით, შემდეგ კი ცდილობს ახსნა მოუძებნოს იმას, თუ რამ გამოიწვია აღნიშნული კანონზომიერების დარღვევა (ე.ი. რატომ შეუფარდა სომეხმა მთარგმნელმა ბერძნულ *φυσια*-ს ტერმინოლოგიურ შესატყვისად "ბარქ" და არა "ბნუთივნ"). როგორც მივუთითებდით, ნ.მარს აქცენტი გადააქვს ბერძნული "ფიზიოლოგის" სათაურში მოხსენებულ სიტყვა *ειδος*-ზე. ზემოთ ვრცლად ვიმსჯელებთ იმის შესახებ, რომ "ფიზიოლოგის" 67 ბერძნული ხელნაწერიდან ეს სიტყვა გვხვდება მხოლოდ ერთში, რომელსაც ქრონოლოგიურადაც, რედაქციულადაც და ტექსტობრივადაც არაფერი აქვს საერთო სომხურთან (ნ. მარი არ აღნიშნავს ამ ფაქტს) და ხსენებული სიტყვა მასში უთუოდ გვიანდელი გადამწერის მიერაა შეტანილი. კიდევ რომ არსებულიყო ეს სიტყვა ბერძნული "ფიზიოლოგის" სათაურში, ამით მაინც არაფერი შეიცვლებოდა, რადგანაც წარმოდგენელია ვიფიქროთ, რომ სომეხმა მთარგმნელმა სათაურში *φυσια*-ის გვერდით მოხსენიებული *ειδος* მიიჩნია თავად *φυσια*-ის შინაარსის გამომხატველ ცნებად და ამიტომ არათუ სათაურში, არამედ ტექსტშიც კი თითქოს ამ აზრით აღიქვა ხსენებული ბერძნული ტერმინი. ეს ახსნა მით უფრო არადამარწმუნებელი აღმოჩნდება, თუ იმასაც აღვნიშნავთ, რომ "ბარქ" არ წარმოადგენს ბერძნული *ειδος*-ის სომხურ შესატყვისს. კარგად არის ცნობილი, რომ *ειδος*-ს სომხურად, ჩვეულებრივ, გადმოსცემს "ტესაკ", "ტეს", "ტესილ", "კერპ", "ორინაკ". და სხვა. რაც შეეხება "ბარქ"-ის ბერძნულ შესატყვისებს სომეხ მკვლევართა მიერ მითითებულია მხოლოდ შემდეგი ტერმინები: *ηθια* (τα ηθη), *φυσια*, *τροπος*,

αγαγή, συνειδησις, γνῶμη, προαιρεσις¹ - დღემდე არავის დაუდგენია "ბარქ"-ისა და εἰδος-ის ტერმინოლოგიური შესატყვისობა და მაინც, თუკი ამგვარი რამ სადმე გამოვლინდება, ასეთი შემთხვევა უთუოდ იშვიათობად, გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს.

ამგვარად, რჩება ერთადერთი შესაძლებლობა, რომ სომეხმა მთარგმნელმა *φυσικῶς* "ბარქ"-ად თარგმნა ზოგადი ტრადიციის კვალობაზე, ე.ი. მის დროს "ბნუთივნი", როგორც, ალბათ, ახალშექმნილი მწიგნობრული ტერმინი, ჭერ კიდევ არ სარგებლობდა ფართო გავრცელებით, ანუ მისი შინაარსით, ჩვეულებრივ, გამოიყენებოდა არამწიგნობრული "ბარქ". ამგვარი რამ, ცხადია, მოსალოდნელია სომხური მწერლობის გარიჟრაჟზე, V ს-ის I ნახევარში, რადგანაც ამ საუკუნის მიწურულს "ბნუთივნი" სომხურში უკვე საბოლოოდ არის დამკვიდრებული.

სპეციალურ ლიტერატურაში სომხური "ფიზიოლოგი" მართლაც უძველესი დროის, კერძოდ V ს-ის თარგმანად მიიჩნევა. აღნიშნული ძეგლის პირველი მკვლევარი და გამომცემელი ი.პიტრა მიუთითებს, რომ სომხური თარგმანი შესრულებულია IV ს-ის ბერძნული ხელნაწერიდან (*armeni interpretes secuti sunt codices graecos saeculi circiter IV, nostris videlicet antiquiores longe et praestantiores*).² ფრ. ლაუხერტი თავის სახელგანთქმულ შრომაში სომხურ ფიზიოლოგს ეთიოპურსა და სირიულს შორის ათავსებს. ეთიოპური თარგმანი ფრ. ჰომელის მიერ IV-V სს. მიჯნით არის დათარიღებული,³ რასაც ეთანხმება ფრ. ლაუხერტიც.⁴ რაც შეეხება სირიულს, ფრ. ლაუხერტი, ამ თარგმანსაც უძველესი დროისად, კერძოდ ეთიოპურის თანადროულად მიიჩნევს (*eine sehr alte wertvolle Uebersetzung ist auch die alteste syrische vielleicht noch alter, mindestens so alt als die athiopische und gewiss wichtiger als die armenische*).⁵ სომხური თარგმანის შესახებ მკვლევარი შენიშნავს, რომ ის, ალბათ, IV ს-ის ხელნაწერიდან თარგმნილი არ უნდა იყოს, თუმცა ეს თარგმანიც მისი აზრით, ძალიან ძველია (*er auch jedenfalls sehr alt ist*).⁶

"ფიზიოლოგის" სომხურ თარგმანს ეხება ა.კარნეევიც. მკვლევარი, მართალია, აღნიშნავს, რომ ხსენებული თარგმანი "ფიზიოლოგის" ე.წ. ძირითადი რედაქციისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულია, მაგრამ ანგარიშს არ უწევს იმ ფაქტს, რომ ეს განსხვავებული რედაქციაც უძველეს (II-III) დროს მიეკუთვნება. ამიტომ, მკვლევარი სომხური თარგმანის ზოგ რედაქციულ თავისებურებას სიახლედ მიიჩნევს და ეჭვის ქვეშ აყენებს ამ თარგმანის ადრინდელობას.⁷ წარმოდგენილი თვალსაზრისი საფუძვლიანად უარყო ნ. მარმა. ა.კარნეევის მიერ შემუშავებულ სქემას "ფიზიოლოგის" რედაქციული დაჯგუფებების შესახებ დღეისათვის არავინ იზიარებს. საგულისხმოა, რომ ზემოგანხილული მოსკოვის სინოდალური ბიბლიოთეკის ხელნაწერის (ლიტერი

1 აღნიშნულ ტერმინთშესატყვისობათა შესახებ იხ.: "ზეი რაიტიჲ ჩაჩკანგნახ სხიუჩი", 1836, II II გამოც. 1979) სხიუჩახ

2 *Spicilegium solesmense completens, sanctorum patrum scriptorumque ecclesiasticorum anecdota...* t.III, p.338. A. Карнеев, დასახ. შრომა, c.84

3 Fr. Hommel, დასახ. შრომა, გვ. XVIII

4 Fr. Lauchert, დასახ. შრომა, გვ. 79

5 იქვე, გვ. 81

6 იქვე, გვ. 80

7 A.Карнеев, დასახ. შრომა, c.143, 279, 290, 312-313

II) გამოქვეყნების შემდეგ ა.კარნეევმა თვითვე უარყო თავისი შეხედულება. ნ.მარის სამართლიანი მითითებით: "фактически сам Карнеев опроверг уже большинство собственных суждений об армянской версии".¹

თავად ნ.მარმა, როგორც აღნიშნული გვქონდა, სპეციალურად შეისწავლა ქართულ-სომხური "ფიზიოლოგები". მკვლევარი მსჯელობს მათი თარიღის შესახებაც. მივიუთითებდით, რომ ნ.მარის აზრით, ქართული თარგმანი VIII ს-ის გასულს უნდა ეკუთვნოდეს. თარგმანის ტერმინოლოგიურმა ანალიზმა ეს მოსაზრება არ დაგვიდასტურა. შესაბამისად, ყურადღებას იქცევს ის არგუმენტები, რითაც ნ.მარი ქართული თარგმანის შესრულების დროს ადგენს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მკვლევარს თავისი თვალსაზრისის დასამტკიცებლად არავითარი არგუმენტი არ მოეპოვება. ქართული ტექსტის VIII ს-ით დათარიღება, როგორც ჩანს, გამომდინარეობს იმ ზოგადი კონცეფციიდან, რომელიც ნ.მარს ჰქონდა შემუშავებული ქართული ქრისტიანული მწერლობის აღმოცენებისა და განვითარების შესახებ. კარგად არის ცნობილი, რომ ნ.მარის აზრით ბიბლიის ქართული თარგმანი VII-VIII სს-ზე ადრინდელი არ უნდა იყოს. ეს მოსაზრება მთლიანად გააქარწყლა ხანმეტი ტექსტების აღმოჩენამ. ი.ჯავახიშვილი შენიშნავს: "თუ სახარება არა, დაბადება მაინც ნ.მარს ქართულად VII-VIII სს-ში მიაჩნია ნათარგმნი. ახლად აღმოჩენილი ხელნაწერები ამ აზრის სრულ უსაფუძვლობას ცხადყოფს".²

მართალია, ხანმეტი ხელნაწერების გაშიფრვის შემდეგ ნ.მარის თვალსაზრისი სრულიად უარყოფილია, მაგრამ იმ დროისათვის, როცა ნ.მარი ქართული "ფიზიოლოგის" ტექსტოლოგიურ საკითხებს სწავლობდა, არც ეს ხანმეტი ხელნაწერები იყო გამოვლენილი და არც ქართულენოვანი ბიბლიის ისტორია ჰქონდა ვინმეს მეცნიერულად გამოკვლეული. ნ.მარს ღრმად სჯეროდა, რომ ბიბლიის ქართულად თარგმნა VII-VIII სს-ში დასრულდა და თუკი აჭამდეც ითარგმნებოდა რამე, მისი ენა, მკვლევარის აზრით, უნდა ყოფილიყო ან სვანური (ანუ სომეხური) ანდა სვანურთან ახლოს მდგომი რომელიმე კილოკავი. ნ.მარისათვის ძველის სიძველის ნიშანს წარმოადგენდა სწორედ ტექსტში "სვანური" ანუ "სომეხური" ფენის არსებობა. მისი აზრით, რაც უფრო ძველია ტექსტი, მით მეტი "სვანიზმებია" მასში (... тем большее количество "сванизмов", чем древнее текст).³

ცხადია, "ფიზიოლოგი" ქართულად ითარგმნებოდა მას შემდეგ, რაც ითარგმნა საღვთო წერილი, ყოველ შემთხვევაში, "სახარება" და "ფსალმუნნი" მაინც. ბიბლიის გადმოღება, ნ.მარის აზრით VII-VIII სს-მდე გრძელდებოდა. ამ ნიშნით, "ფიზიოლოგი" VIII ს-ზე ადრინდელი ვერ იქნებოდა. ამას გარდა, ნ.მარის თვალსაზრისის მიხედვით, ხსენებული ტექსტი რომ VIII ს-ზე ადრინდელი ყოფილიყო, მასში ჭარბად უნდა გვქონოდა "სვანიზმები". რაღვანაც, როგორც ჩანს, ამგვარი რამ მკვლევარს ვერ შეუმჩნევია, შესაბამისად, მისთვის ყოველად მიუღებელი უნდა ყოფილიყო თხზულების VIII-ს-მდე თარგმნის შესაძლებლობა.

1 Н. Марр, Физиолог, с.Х

2 ი.ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ. 1949, გვ. 299

3 Н. Марр, Яфетические названия деревьев и растений, Известия Рос. Академии Наук, 1915, ст.945. იხ. ი.ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ. 1949, გვ. 305, შენ. 3

ქართული ქრისტიანული მწერლობის შესახებ შექმნილი ზემოაღნიშნული თვალსაზრისი მრავალი მცდარი შეხედულების სათავე გახდა. გავიხსენოთ, რომ ნ.მარი უთუოდ XI ს-ის დამდეგის ძეგლად მიიჩნევდა ადიშის ოთხთავს, ხოლო ხანმეტ ფრაგმენტებს IX ს-ით ათარიღებდა. ვფიქრობთ, ამგვარი შეცდომების წრეში ერთიანდება აზრი იმის შესახებ, რომ "ფიზიოლოგი" VIII-სის მიწურულს ითარგმნა ქართულად.

ქართული "ფიზიოლოგის" თარიღის შესახებ მსჯელობის დროს ნ.მარი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თარგმანი თითქოს შესრულებულია მას შემდეგ, რაც მოხდა სომხური ტექსტის რედაქციული დიფერენცირება.¹

ეს თვალსაზრისი გამოთქმულია მეტად ზედაპირულად. რაიმე დამარწმუნებელ არგუმენტს გამოკვლევაში ვერ ვხვდებით. ვფიქრობთ, განსაზღვრა იმისა, თუ ზედმიწევნით როგორი იყო თავდაპირველი სომხური თარგმანი და, შესაბამისად, როგორ წარმოებდა მისი თანდათანობითი დიფერენცირება, დღეისათვის სრულიად შეუძლებელია, რადგანაც სომხური თარგმანის შემცველი ხელნაწერები დიდად არის დაშორებული თარგმანის შესრულების დროს (უძველესი ხელნაწერი 1223 წელს ეკუთვნის).

სომხური თარგმანი ნ.მარის მიერ VI-VII სს-ით არის დათარიღებული. ამ შემთხვევაშიც მკვლევარის მსჯელობა არავითარ არგუმენტს არ ეყრდნობა. ნ.მარი მხოლოდ გაკვრით შენიშნავს, რომ თარგმანი შესრულებულია იმ დროს, როცა სომხურ მწერლობაში არსებობდა გრეკოფილური მიმართულება. ნ.მარი ასე აზუსტებს თავის აზრს: *Лично мне все более и более кажется неизбежным вывод, что важный момент новой эри армянской литературы наступил где-то в пределах VI-VII-го веков. Приблизительно к этому моменту и мог относиться армянский перевод. Пока нет возможности высказаться более решительно или более определенно.*²

ამ შემთხვევაშიც, როგორც ვხედავთ, ნ.მარი თარგმანს ჰიპოთეტურად ათარიღებს სომხურ მწერლობაზე მის მიერ შექმნილი ზოგადი თვალსაზრისიდან გამომდინარე და არა კონკრეტულად ძეგლის შესწავლის საფუძველზე.

უჩვეულოა, რომ თუმცა ნ.მარი სომხურ თარგმანს VI-VII სს-ისად მიიჩნევს, იქვე იმასაც უთითებს, რომ აღნიშნული ძეგლით სხვა ავტორებთან ერთად, სარგებლობდა V ს-ის ცნობილი სომეხი მწერალი ეზნიკ კოლბელი.³

აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება იმასაც, რომ "ფიზიოლოგის" ბერძნული რედაქცია, რომელიც სომხურ-ქართულმა თარგმანებმა შემოგვინახეს II-IV სს-ს მიეკუთვნება. V ს-იდან აღმოცენდა და მოკლე ხანში ფართოდ გავრცელდა ახალი ტიპის ე.წ. ბიზანტიური "ფიზიოლოგები." თუკი სომხური თარგმანი VI-VII სს-ს ეკუთვნის, მაშინ უფრო მოსალოდნელი იყო, რომ მას დედნად ჰქონოდა სწორედ ბიზანტიური "ფიზიოლოგი", ე.ი. "ფიზიოლოგის" V-VI სს-ის რედაქცია. როგორც ჩანს, ნ.მარი ამ გარემოებასაც იღებდა მხედველობაში, როდესაც აღნიშნავდა: *Текст греческого подлинника армяно-грузинского извода не позднее VI-го века: а) армянский*

1 Н. Марр, Физиолог, с.XLVIII (იქვე მითითებულია ის გვერდები, სადაც მკვლევარი სპეციალურად ეხება აღნიშნულ საკითხს).

2 Н. Марр, Физиолог, с.XLIX

3 Н. Марр, Физиолог, с.L

перевод с греческого, по всей видимости, дело VI-го века; б) грузинский перевод с армянского, повидимому, дело конца VIII-го или начала IX-го века.¹

საყურადღებოა, რომ ნ.მარი "ფიზიოლოგის" ბერძნულ რედაქციას, რომელიც დედანია სომხურ-ქართული ტექსტებისა, ათარიღებს "არაუგვიანეს VI ს-ით". ეს განცხადება აშკარად ბუნდოვანია. ბერძნული რედაქცია, რომელსაც სომხურ-ქართული "ფიზიოლოგები" ეყრდნობა, რათქმაუნდა, VI ს-ზე გვიანდელი არ არის და ამ მხრივ ნ.მარი ფორმალურად თითქოს მართალია, მაგრამ მკვლევარი არაფერს ამბობს იმის შესახებ, არის თუ არა ხსენებული რედაქცია VI ს-ზე ადრინდელი. ზემოთ ვრცლად შევხვით საკითხს იმის შესახებ, რომ "ფიზიოლოგის" ჩვენთვის საინტერესო რედაქცია არათუ VI ს-ზე, არამედ IV ს-ზე გვიანდელიც არ არის. ნ.მარი ფორმალურად მართლაც სწორია, როდესაც ბერძნულ ტექსტს "VI ს-ზე არაუგვიანესი" დროით ათარიღებს, რადგანაც III-IV სს-ის ძეგლი, ცხადია, VI ს-ზე გვიანდელი ვერ იქნება, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალური სიზუსტეა და არა არსებითი: ნ.მარის მიერ VI ს-ზე მითითება მკითხველს უთუოდ უქმნის აზრს, რომ ხსენებული ბერძნული რედაქცია თუმცა ამ საუკუნეზე გვიანდელი არ არის, მაგრამ არც უფრო ადრინდელია ე.ი. მიეკუთვნება VI ს-ს, ეს გარემოება კი თითქოს თავისთავად ამართლებს სომხური თარგმანის VI-VII სს-ით დათარიღებას.

ნ. მარის ამგვარი ორაზროვნება ცხადად შენიშნა ბერძნული "ფიზიოლოგის" მკვლევარმა ფ.სბორდონემ. მკვლევარი, საზოგადოდ, მეტად მაღალ შეფასებას აძლევს ნ.მარის ხსენებულ ნაშრომს, თავად ნ.მარს, როგორც მკვლევარს, მაგრამ ბერძნული ტექსტის თარიღთან დაკავშირებით მოკრძალებით შენიშნავს:

inde tandem efficitur ut archetypus graecus, anno 600 p. chr. n (quo tempore Marrii sententia interpres armenicus operi incubit) profecto vetustior ("ამგვარად, უნდა დავასკვნათ, რომ ბერძნული არქეტიპი ნამდვილად ძველია 600 წელზე, ე.ი. იმ დროზე, რა დროსაც, მარის აზრით, სომეხი მთარგმნელი ეწეოდა საქმიანობას").²

"ფიზიოლოგის" შესწავლის დღევანდელ ეტაპზე დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:

1. "ფიზიოლოგის" ის რედაქცია, რომელიც საფუძვლად უდევს სომხურ-ქართულ თარგმანებს, ჩამოყალიბებულია II-III სს-ში.

2. სომხური "ფიზიოლოგი", მკვლევართა აზრით, წარმოადგენს "მეტად ძველ თარგმანს", თანადროულს ეთიოპური და სირიული თარგმანებისა, რომლებიც V ს-ის დამდეგით თარიღდება.

3. ქართული თარგმანი თავისი არქაული ტექსტის გამო ქრონოლოგიურად ახლოს დგას სომხურთან.

წარმოდგენილ დასკვნებს, როგორც აღვნიშნეთ, განამტკიცებს სომხურ-ქართულ თარგმანთა ტერმინოლოგიის შესწავლა. სომხურ "ფიზიოლოგთან" დაკავშირებით შევნიშნავდით, რომ *φυσια*-ის სისტემურ შესატყვისად "ბარქ"-ის გამოყენება თარგმანის სიძველეს ცხადყოფს. დავუმატებთ, რომ ამასვე

1 op. cit. c.VIII

2 F. Sbordone, *Physiologus...* p.LXVI. მკვლევარი ნ.მარს უწოდებს "vir primis rerum orientalium studiosis clarissimus", დასახ. შრომა, LXV

გვიდასტურებს კიდევ ერთ ტერმინზე დაკვირვება. საქმე ეხება ნივთიერების, მატერიის აღმნიშვნელ სიტყვას (*η σλη*), რომელიც "ფიზიოლოგის" ბერძნულ ტექსტში ორგზის გვხვდება. შესაბამისი ადგილების სომხურ-ქართული თარგმანები ასეთი სახისაა:

თხლს-შეზავებული ("მრ-
რახარნ") გულისთქუმაჲ
181 30

σλικας επιθυμιας

თხლს ("მრურ") სოფლი-
საჲ 176 38

η σλη του κοσμου

დამოწმებული ნიმუშები გვიჩვენებს, რომ ბერძნული *η σλη* სომხურად თარგმნილია, როგორც "მრურ", რასაც ზუსტად გადმოსცემს ქართული ტექსტის "თხლს". მსგავსადვე, ზედსართავი *σλικας* თარგმნილია, როგორც "მრრახარნ", რაც ამჟღავნებს ზედმიწევნით არის გადმოტანილი ქართულში ("მრურ"-თხლე, ნაძირი, "ხარნ" - შეზავებული).

კარგად არის ცნობილი, რომ ბერძნული *σλη* სომხურად ითარგმნება, როგორც "ნივთ", ხოლო *σλικος* - "ნივთაკან", - "ნივთაკოც", "ნივთელეინ". რაც შეეხება "მრურ"-ს, ეს სიტყვა ცხადია ყოფითი, სასაუბრო სიტყვაა და არაფერი აქვს საერთო ბერძნული *σλη*-ს ფილოსოფიურ-თეოლოგიურ შინაარსთან. იგი აღნიშნავს ნალექს, ნაძირს, ლექს, თხლეს და, ჩვეულებრივ, გადმოსცემს ბერძნულ *τροξ, τρογυιας*-ს (ლათ. *Fex, recrementum, sedimentum, amurca*).¹

ვფიქრობთ, რომ ბერძნული *σλη* სომეხმა მთარგმნელმა "მრურ"-ად თარგმნა ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინის "ნივთ"-ის არარსებობის გამო. ქვემოთ ვრცლად ვმსჯელობთ იმის შესახებ, რომ სომხური "ნივთ" თავისი ყოფითი შინაარსით ნიშნავდა ქსელს, საქსოვ მასალას. ძალიან მალე მან შეიძინა *σλη*-ს შინაარსი და ხსენებული ბერძნული ტერმინის სომხურ შესატყვისად იქცა. "ნივთ" უკვე ტერმინად არის ქცეული VI-VII სს-ში. მისი შინაარსით "მრურ"-ის ხმარება უთუოდ წინარე ეპოქაზე მიგვანიშნებს. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ სომეხი მთარგმნელი *σλη*-ს ფარდად იყენებს ისეთ სიტყვას, რომელსაც აშკარად არა აქვს ტერმინოლოგიური გააზრება. ქვემოთ ნაჩვენები იქნება, რომ ქართული მწერლობის უადრეს პერიოდში (სომხურ მწერლობასთან მჭიდრო ლიტერატურული ურთიერთობის დამყარებამდე) ბერძნული *σλη* ტერმინ "ნივთის" არარსებობის გამო გადმოიცემოდა უძველესი ქართული შესატყვისებით "სივშირე" და "ვშირი". ეს შესატყვისები არ წარმოადგენს მეჭანიკურად მოხმობილ ყოფით სიტყვებს. მათ აშკარად აქვთ ტერმინოლოგიური გააზრება (ამას ცხადყოფს თუნდაც ის ფაქტი, რომ "სივშირე" გვიანდელ პერიოდშიც შემორჩა *σλη*-ს ტერმინოლოგიურ შესატყვისად). როგორც ჩანს, *σλη*-ს ფილოსოფიურ-თეოლოგიური შინაარსის გააზრებას ქართულ მწერლობაში უფრო დიდი ხნის ტრადიცია აქვს, ვიდრე სომხურში. სიტყვა "მრურ" აშკარად გვიჩვენებს, რომ სანამ ყოფითი სიტყვა "ნივთ" ფილოსოფიურ შინაარსს

შეიძენდა, *სλη*-ს გადმოსაცემად სომხურ მწერლობაში არავითარი ტერმინი არ არსებობდა. მართლაც, ცხადად იგრძნობა, რომ "ფიზიოლოგის" სომეხ მთარგმნელს არა აქვს საშუალება შესაბამისი ტერმინით გადმოსცეს ბერძნული *სλη*. ვფიქრობთ, საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ფილოსოფიური ტერმინის ("ნივთ"-ის) არსებობის შემთხვევაში, უთუოდ, მას მოუხმობდა მთარგმნელი და არა სრულიად უადგილო "მრურ"-ს. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ორივე შემოდამოწმებულ ნიმუშში *სλη* გვხვდება ოდენ ფილოსოფიური შინაარსით (იგი აღნიშნავს ზოგადად "მატერიას", "ნივთიერებას"), რასაც ვერ ასახავს სომხური "მრურ". მაგალითად, ფრაზა *σλικαι επιθυμια* ნიშნავს ნივთიერ (ანუ ხორციელ, ფიზიკურ, მატერიალურ) სურვილებს, მიდრეკილებებს, ხოლო *η σλη του κοσμου*, რომელიც უადრესად გავრცელებული გამოთქმაა ქრისტიანულ და საზოგადოდ ფილოსოფიურ მწერლობაში, ნიშნავს ფიზიკურ სამყაროს, ზოგადად მატერიას, ნივთიერებას. ცხადია, სომხური "მრურ" (და მისი გზით ქართული "თხლჭ") ამ შინაარსს არ შეიცავს.

სλη-ს შესახებ მსჯელობისას დაზუსტებული იქნება, რომ მისი ტერმინოლოგიური შესატყვისი "ნივთი" ქართულ მწერლობაში როგორც ჩანს, სომხურიდან უნდა შემოსულიყო. "ნივთის" უძველესი დამოწმება გვაქვს აპოკრიფულ წიგნებში "სიბრძნე სოლომონისა" და "ზირაქის სიბრძნე" (იხ. ქვემოთ). ეს ძეგლები ქართული მწერლობის უადრეს პერიოდს ეკუთვნის, არაუგვიანეს VI ს-ისა. შესაბამისად, ივარაუდება, რომ V ს-ის მიწურულისათვის, ყოველ შემთხვევაში VI ს-ისათვის "ნივთს" ქართულ მწერლობაში უკვე შეძენილი უნდა ჰქონოდა *სλη*-ს შინაარსი. სომხურ მწერლობაში "ნივთის" ტერმინად ქცევა შედარებით უფრო ადრე მოხდებოდა, ალბათ V ს-ის II ნახევრისათვის.

ყურადღებას იქცევს "სოლომონის სიბრძნის" ის ადგილი, სადაც *სλη* სწორედ *κοσμος*-ს მიემართება. ქართულ-სომხურ თარგმანებში *სλη*-ს შესატყვისად გვაქვს "ნივთი":

დაჰბადე სოფელი უსახო-
 ესაგან ნივთისა ("ნივთ")
 (11, 17)

κτισασα τον κοσμον εξ
 αμορφου σλης

როგორც ვხედავთ, "სოლომონის სიბრძნის" სომხურ თარგმანში, განსხვავებით "ფიზიოლოგის" ტექსტისაგან, ბერძნული *κοσμος... σλης* თარგმანილია, როგორც "აშხარჰს ნივთს"; ეს გარემოება ცხადყოფს, რომ ხსენებული აპოკრიფის თარგმნის ჟამს, არაუგვიანეს VI ს-ის დამდეგისა, სომხურ მწერლობაში მატერიის აღმნიშვნელად უკვე გამოიყენებოდა სათანადო ტერმინი "ნივთი". ასევეა ქართულშიც. რაც შეეხება "ფიზიოლოგის" ფრაზას "მრურ აშხარჰივ" ("თხლედ სოფლისაჲ") იგი, ჩვენი აზრით, უთუოდ ადრინდელ ვითარებას ასახავს და მსგავსი რამ შემდეგდროინდელ ძეგლებში არსად გვხვდება. საკუთრივ ქართულ მწერლობაში ბერძნული *η σλη του κοσμου* ყველგან, გარდა "ფიზიოლოგისა", თარგმანილია, როგორც "ნივთი სოფლისაჲ". მაგალითად:

"ვორცთა საჰმარი ყოველი ამის სოფლისა ნივთი არს", "ნივთი ამის სოფლისაჲ არს თავისა თვისისა განმართლებაჲ", "იზრაბა მეორისა ამისათვის სოფლისა ნივთიერისა" და სხვა ("ნივთის" შესახებ იხ. ქვემოთ, თავი *სλη*).

ამგვარად, ვფიქრობთ რომ ფრაზა "მრურ აშხარჰივ" უფრო არქაულია,

ვიდრე "ნივთ აშხარპივ" და იგი აშკარად უადრესი ვითარების გამოძახილი უნდა იყოს. ეგვევ ითქმის ზემოდამოწმებულ მეორე შესიტყვებაზეც: "წირახარის ვახსიარის" ("თხლმ-შეზავებული გულისთქუმაჲ"). ეს ფრაზაც, ვფიქრობთ, სომხური მწერლობის ტერმინოლოგიური ფორმირების უადრეს ეტაპს ასახავს.

"ფიზიოლოგის" სომხური თარგმანის არქაიზმებზე მსჯელობს ნ.მარიც. საყურადღებო გვეჩვენება მკვლევარის შემდეგი დაკვირვება:

"В то время, когда Физиолог переводили с греческого армяне, в армянской литературе господствовало древнее название Песни Песней ("արինուբիւնք") - Благословения или ("արինուբիւնք արինուբեսնք") Благасловение Благословений, передача сирийского".¹

"ქება ქებათა"-ს სირიული სახელწოდების არსებობა ბერძნულიდან თარგმნილ სომხურ ტექსტში გაცილებით მოსალოდნელია სწორედ V ს-ში, ვიდრე VI-VII-ში.²

აქამდე ჩვენი მსჯელობა ეხებოდა სომხური ტექსტის არქაულობას. ამ მხრივ, ცხადია, საკვლევი ბევრი არ არის, რადგანაც თავდაპირველი სომხური თარგმანი გვიანდელი ხელნაწერებით შემორჩა ჩვენამდე, სადაც ენობრივ-გრამატიკული არქაიზმები, რათქმაუნდა, წარხოცილია.³ მაინც, ზოგი ტერმინოლოგიური დაკვირვება "ფიზიოლოგის" სომხურ თარგმანს უადრესი (V ს-ის) პერიოდის ძეგლად წარმოგვისახავს.

გაცილებით მეტ არქაულობას ამჟღავნებს ქართული ტექსტი.⁴ მათგან ნაწილი განხილულია ნ.მარის მიერ, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ მკვლევარის მიერ არქაიზმებად მიჩნეული ფორმების აბსოლუტური უმრავლესობა საზოგადოდ ახასიათებს წინათონური (და უფრო გვიანდელი) ეპოქის ძეგლებს. ქართული ტექსტის უძველესობა ცხადი ხდება სწორედ ტერმინოლოგიური ანალიზის შედეგად.

ზემოთ ვრცლად შევეხეთ საკითხს იმის შესახებ, რომ "ფიზიოლოგის" ქართველი მთარგმნელისათვის აშკარად უცნობია ტერმინი "ბუნებაჲ", რაც ქართულ თარგმანს მეტად ძველი პერიოდის (კერძოდ V ს-ის) ძეგლად მიგვაჩნევინებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ (ამ საკითხს გაკვრით

1 Н. Марр, Физиолог, с XLII

2 "ქება ქებათას" უძველესი სირიულ-სომხური სახელწოდება "კურთხევაჲ" ან "კურთხევაჲ კურთხევათაჲ" თავს იჩენს "სახისმეტყველის" ქართულ ტექსტშიც: "კურთხევასა საგალობელსა". (ბერძ. *εν τοις ασμασι*) წერილ არს" (შატბ. კრ. გვ. 183); აგრეთვე: "კურთხევასა კურთხევათასა თქუა..." (იქვე, გვ. 190). ეგვევ სახელწოდება სათანადო კომენტარით გვხვდება ეპიფანე კვიპრელის "თუალთაჲს" სომხურიდან მომდინარე ქართულ თარგმანში: "იტყვს ქებასა ქებასა, რომელ არს ესე: კურთხევასა კურთხევათასა" (შატბ. კრ. გვ. 169).

3 ნ.მარი შენიშნავს: "Трудно было ждать архаизмов от армянских списков Физиолога, из которых ни один не предшествует киликийскому периоду" (Физиолог, с.XLI).

4 ამასვე უსვამს ხაზს ნ.მარიც: "Грузинский текст, сохранившийся в сравнительно древнем списке, содержит значительно больше архаизмов" (Физиолог, с.XLIII).

ზემოთაც შევეხეთ) ქართულ ტექსტში ერთგან თითქოს მაინც იჩენს თავს ტერმინი "ბუნება". ოცდამეათე თავში ვკითხულობთ:

"ხოლო ხჷ იგი ყოვლად ბუნებასა ღმრთისა მამისა და შემოქმედსა ყოვლისასა ემსგავსების" (მატბ. კრ. 189. 11)

როგორც მითითებული იყო, აღნიშნულ ადგილას "ბუნების" შესატყვისი სიტყვა არ გვხვდება "ფიზიოლოგის" არც ორიგინალში, არც რომელიმე თარგმანში (მათ შორის არც სომხურში). ქართული თარგმანის თავდაპირველ ტექსტში უთუოდ უნდა გვქონოდა არა "ბუნებაჲ", არამედ "გონებაჲ", რასაც მხარს უჭერს ბერძნული ორიგინალი (*νοείται, νοετον*-მომდინარეობს სიტყვიდან *νοος* - გონება) და სლავური თარგმანი (*разумный*). ვფიქრობთ, ეს ტექსტობრივი შესწორება გათვალისწინებული უნდა იქნეს ქართული "ფიზიოლოგის" შემდგომ გამოცემაში.

ამჯერად შევეხებით კიდევ ერთ ტერმინოლოგიურ არქაიზმს. საქმე ეხება ბერძნული *νοερος (νοητος)*-ის ქართულად თარგმნის საკითხს. ეს ტერმინი ორიგინალში ხშირად გვხვდება.¹ ქართულ-სომხური თარგმნები ასეთი სახისაა:

გამოუჩინებელი ("იმანალი")
ლომი იესუ ქრისტე 175 35

*ο χριστος ημων ο νοερος
(νοητος) λεων*

დაეფარა გამოუჩინებელად
საგონებელი ("ზანერევი-
ით იევ ზიმანალი") კუალი
176 2

εκαλυψε τα νοερα ιχνη

და ჩუენ ესე გამოუჩინებ-
ელად ("ზანერევიით") გუ-
ლისხმ-ავყოთ 181 34

*και ημεις νοητως νοη-
σωμεν*

ანთრაკი გამოუჩინებელი
(სომხურს აკლია) 186 1

τον νοερον λιθον

გამოაჩინებს გამოუჩინებე-
ლსა ("ზანერევიით") მკს-
ნელსა ჩუენსა იესუ ქრი-
სტესა 186 14

*σημαινοντα τον νοερον
μου Σωτηρα*

სული წმიდაჲ საგონებელი
("ზიმანალი") გინა ცისა
გამოუჩინებელი ტრედი
189 18

აკლია

ყოველსა ჟამსა განეშორენ
უჩინოთაგან სულთა 186
9

*τοτε καθαρουνται...της
νοερας σου ψυχης*

¹ ტერმინები *νοερος* და *νοητος* ზოგჯერ იმიჯნება კიდევ ერთმანეთისაგან. მაგრამ "ფიზიოლოგის" ბერძნულ ხელნაწერებში ისინი გაიგივებულნი არიან და განურჩევლად ენაცვლებიან ურთიერთს.

ვეშაპი იგი უჩინოდ ("ზან-
ერევოით") 188 26

δρακοντα τον νοερον

არა შევიდეს მპარავნი სა-
გონებელსა და გამოუჩინ-
ებელსა ("იიმიანალი ეკ
იანერევოით") სახლსა შენ-
სა 190 2

*και ουκει εισβαινουσι
λησται εις την νοεραν
σου οικον*

იძიე ადგილი საგონებელი
("ზიმიანალი") 175 20

ζητει τοπον νοερον

იძიე საგონებელი ("ზიმი-
ანალი") წყაროდ 179 14

*ζητησον την νοεραν πη-
γην*

საგონებელნი ("ზიმიანალი")
ყრმანი 180 29

τα νοερα τεκνα

მამად საგონებელი ("ზიმი-
ანალი") 181 10

*τους νοερους αυτων πα-
τερας*

აწ, შენ, ახოვანო... სდგა
მცველად და მყუდლად სა-
გონებელსა ("იმიანალი") სა-
ყურძენსა, რომლისადა... მო-
წვევულ არს მარცუალი
საგონებელი ("იიმიანალი"),
ჭეშმარიტი 183 8-10

*και συ, ω πολιτευτα,
παραστηθι τη νοερα...
αμπελω του ενεχθηναι σε
εις την νοεραν ληνον*

საგონებელი ("ზიმიანალი")
ადვილადსაშობელი ანთრა-
კი 185 40

τον νοερον ευτοκον λιθον

წარმოდგენილი ნიმუშები ცხადყოფს, რომ ბერძნული *νοερος* (*νοητος*)
სომხურად თარგმნილია ან როგორც "ანერევოით" (უხილავი), ან როგორც
"იმიანალი" (გონისმიერი). ზოგჯერ *νοερος* (*νοητος*)-ის შესატყვისად ერთდროუ-
ლად გვხვდება ორივე ტერმინი (ე.ი. საქმე გვაქვს სინონიმურ თარგმანთან).
ქართულ ტექსტში აღნიშნული სომხური ცნებები სათანადო შესატყვისებითაა
გადმოტანილი: "ანერევოით"-ს გადმოსცემს "გამოუჩინებელი" (ორგზის "უჩი-
ნოდ"), ხოლო "იმიანალი"-ს "საგონებელი". მათგან პირველი ჩვენთვის ამჟერად
საინტერესო არ არის. ყურადღებას იქცევს "იმიანალი"-ს თარგმნა, როგორც
"საგონებელი".

სიტყვა "იმიანალი" სომხური ფილოსოფიური მწერლობის მნიშვნელოვანი
ტერმინია. იგი გვხვდება როგორც უადრეს, ასევე გვიანდელი ხანის ძეგლებში.
ეს ტერმინი, სომეხ მკვლევართა მითითებით, საზოგადოდ გადმოსცემს
ბერძნულ *νοερος* - *νοητος* -ს და აღნიშნავს "გონისმიერს", "სპირიტუალურს",

"სულიერს", "მისტიკურს", "არამატერიალურს". ამავე შინაარსით, ე.ი. *νοερος* - *νοητος*-ის ტერმინოლოგიურ შესატყვისებად, უძველეს ქართულ მწერლობაში ცნობილია შემდეგი სემანტემები: "საცნაური", "ცნობადი", "გულისხმისსაყოფელი" და სხვა. რაც შეეხება სინონიმურ შესატყვისებს, ისინი ბევრია: "სულიერი", "უხილავი", "უნივთო" და მისთ.

ტერმინი "საგონებელი" ზუსტი თარგმანია სომხური "იმანალი"-სა (რომელიც, თავის მხრივ, ზედმიწევნით გადმოსცემს ბერძნულ *νοερος* - *νοητος*-ს და მათი ფარდი ტერმინია). საყურადღებო სწორედ ისაა, რომ "იმანალი"-ს (და არაპირდაპირ *νοερος* - *νοητος*-ის) ქართულ შესატყვისად "ფიზიოლოგის" ტექსტში უკლებლივ ყველგან გვხვდება მხოლოდ "საგონებელი"; საეჭვო არ არის, რომ მთარგმნელის მიერ "საგონებელს" "იმანალის" ტერმინოლოგიური შესატყვისის ფუნქცია აქვს დაკისრებული. ჩვენთვის ეს გარემოება მნიშვნელოვანია, რადგანაც დღეისათვის ცნობილი ძეგლებიდან არცერთში (გარდა ხსენებული "ფიზიოლოგისა") "საგონებელს" ეს შინაარსი არა აქვს.

კარგად არის ცნობილი, რომ "საგონებელი" ძველ ქართულ მწერლობაში ნიშნავს "საფიქრებელს", "მისაჩნევს" (ი.აბულაძე), "საეგებოს" (ი. იმნაიშვილი). სხვა მნიშვნელობა ამ სიტყვისა უცნობია. იგი მომდინარეობს ზმნიდან "ვგონებ", რაც ნიშნავს: "მივიჩნევ", "ვთვლი", "ვფიქრობ", "მგონია"; აქედან ნაწარმოები მიმდგება "საგონებელი" შეიცავს ვარაუდის, ეჭვის, ზოგჯერ მოჩვენებითობის შინაარსს.¹ ამგვარი გააზრება ჰქონდა ამ სიტყვას უადრეს ხანაშიც და გვიანდელ პერიოდშიც. სიძველის თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს "ხანმეტი ოთხთავი":

"და თავადსა იესუს ხეწყო ოდენ ყოფად მეოცდაათესა წელსა, რომელი საგონებელ ხიყო ძედ იოსებისა" (ე.ი. რომელიც მიჩნეული იყო იოსების ძედ, ლუკა 3, 23).

მოგვაქვს სხვა ნიმუშებიც:

"სადა-იგი საგონებელ იყო ლოცვისა შეწირვად" (საქ. მოც. 16, 13;)²

"საგონებელ იყვნენ თუალთა წინაშე უგუნურთასა მომკუდანი" (სიბრძ. სოლ. 3, 1 ოშკის ბიბლია).

"სიკუდილდ-კერძო უფრო საგონებელ არს, ვიდრე სიცოცლით" (შუშანიკის წამება, X, 4).

"ეგრეთ ღმრთად საგონებელ იყო იგი" ("ფილექტიმონის წამება" კ.კეკელიძის გამოც., კიმენი, 1, 1918 წ.)³

"და მოვლნეს ქუეყანანი, საგონებელნი სამონასტრედ"⁴

"სიკუდიდ საგონებელ იყო ნეტარი იგი"⁵

1 ფიგურალური გამოთქმა "საგონებელში ჩავარდნა" ამავე შინაარსს შეიცავს. იგი გულისხმობს საეჭვო, ორჭოფულ მდგომარეობაში ყოფნას, საფიქრებელში ჩავარდნას.

2 ეს მაგალითები დამოწმებულია ი.აბულაძის "ქართული ენის ლექსიკონიდან" (თბ. 1973).

3 ეს მაგალითიც დამოწმებულია ი.აბულაძის "ქართული ენის ლექსიკონიდან" (თბ. 1973).

4 ძველი ქართული აგიოგრაფიული... 1, გვ. 268

5 მ. ჭაბაშვილი ასე განმარტავს მოტანილ წინადადებას: "მკვდარი გვგონებოდა" (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, 1, გვ. 455)

"რომელი საგონებელ იყო ბალაჰვარად"¹

"(უფალმა) ქალწულისა მისგან წმიდისა ჳორცნი შეისხნა ჳეშმარიტად და არა საგონებელად" (ე.ი. არა მოჩვენებით, არა საეგებიოდ - "სინური მრავალთავი", გვ. 47).

მსგავსი მაგალითები აურაცხელია ძველ ქართულ მწერლობაში. სიტყვა "საგონებელი" ყველგან თავისი ჩვეული მნიშვნელობით გვხვდება. არსებული ვითარების ფონზე მეტად უცნაური ჩანს ამავე სიტყვის ის გააზრება, რაც მას აქვს "ფიზიოლოგის" ქართულ ტექსტში; აქ სიტყვა "საგონებელი", როგორც აღვნიშნეთ, გვევლინება *νοερος - νοητος* -ისა და სომხური "იმანალი"-ს ტერმინოლოგიურ შესატყვისად და ნიშნავს მხოლოდ "სულიერს", "სპირიტუალურს", "არამატერიალურს". მაგალითად, ფრაზა "იძიე საგონებელი წყაროდ" გულისხმობს სულიერი ანუ ზეციური (ე.ი. გონისმიერი, ნოეტური) წყაროს ძიებას, "მამად საგონებელი" ნიშნავს "სულიერ მამას", "საგონებელი საყურძენი" - "სულიერ, ზეციურ ვენახს", "მარცუალი საგონებელი" - "სულიერ მარცვალს" და სხვა.

ვფიქრობთ, საქმე უნდა გვქონდეს ტერმინოლოგიურ არქაიზმთან. "ფიზიოლოგის" თარგმნის ჟამს ქართულ მწერლობაში, ჩვენი აზრით, ჯერ კიდევ არ უნდა ყოფილიყო დამკვიდრებული *νοερος - νοητος* -ისა და "იმანალი"-ს ისეთი ცნობილი შესატყვისები, როგორიცაა "საცნაური" და "ცნობადი".

აქვე ყურადღებას იქცევს ერთი საკითხი: თუ მივიჩნევდით, რომ "ფიზიოლოგის" მთარგმნელს "საცნაურის", "ცნობადის" და სხვა მსგავსი ნოეტური სიტყვების გამოყენება არ შეეძლო მათი ტერმინული არარსებობის გამო (*νοερος-νοητος* - ის მნიშვნელობით), რატომ არ ისარგებლა მან ასეთ დროს ხსენებულ ტერმინებთან შინაარსობრივად მისადაგებული იმგვარი სინონიმური ცნებებით, როგორებიცაა, მაგალითად, "სულიერი" ანდა "უხილავი". ეს ტერმინები ხომ უთუოდ ცნობილია "ფიზიოლოგის" მთარგმნელისათვის, თანაც ისინიც იმასვე გულისხმობენ, რასაც "საცნაური" და "ცნობადი".

მართლაც, ტერმინ "საგონებელთან" შედარებით, რომელიც "ფიზიოლოგის" ზემომოტანილ ციტატებში მხოლოდ გაუგებრობას იწვევს, გაცილებით გასაგები და ზუსტი იქნებოდა "სულიერი" ანდა "უხილავი" (მაგ. ნაცვლად ფრაზისა "იძიე საგონებელი წყაროდ", უფრო მიზანშეწონილი ჩანს: "იძიე სულიერი წყაროდ"), მაგრამ აქ აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება ერთ გარემოებას:

როცა ამათუიმ თარგმანის ტერმინოლოგიურ ასპექტებზე ვმსჯელობთ, უთუოდ უნდა ვითვალისწინებდეთ, თუ როგორ მთარგმნელთან გვაქვს საქმე.

კარგად არის ცნობილი, რომ, მაგალითად, ექვთიმე მთაწმინდელი ჩვენთვის ცნობილ სხვა მთარგმნელებთან შედარებით უფრო თავისუფლად ექცეოდა სათარგმნ დედანს. ექვთიმე ათონელი უფლებამოსილი იყო გარემოებისდა მიხედვით რამდენადმე შეეცვალა ორიგინალი, რომ ამით თავიდან აეცილებინა ხელოვნური თარგმანი. ამგვარი მთარგმნელობითი მეთოდი ხშირად მჟღავნდება

1 მ. ჯაბაშვილის განმარტებით "საგონებელ იყო" ნიშნავს: "ეგონათ (თვლიდნენ, მიჩნეული იყო) (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია 1. გვ. 455). ქართული "საგონებელი" იგივეა, რაც ბერძნული *το δοκουν, το νομιζομενον*. შდრ. "კეთილად საგონებელ არს" (მატბ. კრებ. გვ. 102) ბერძნ. *του δοκουντος ειναι καλου* (Pg. 44, 200B); "სხუად საგონებელ არს" (მატბ. კრ. გვ. 102); შდრ. ბერძნ. *αλλο τι νομιζομενον* (Pg. 44, 200 C).

გიორგი მთაწმინდელთან და იშვიათად, მაგრამ მაინც, ეფრემ მცირის ზოგ ტექსტში.

აღნიშნულ მომენტს ხაზს ვუსვამთ იმის გამო, რომ ზემოწამოჭრილი კითხვა, თუ რატომ არ გამოიყენა "ფიზიოლოგის" მთარგმნელმა ნაცვლად "საგონებელისა" შინაარსობრივად გაცილებით ზუსტი "სულიერი", გამართლებული იქნებოდა, მაგალითად, ექვთიმე და გიორგი ათონელების მისამართით, რომლებიც უპირველესად სწორედ იმას ესწრაფოდნენ, რომ მათი თარგმანი ქართველი მკითხველისათვის გასაგები და არახელოვნური ყოფილიყო. ამიტომაც, რომ ამ მთარგმნელებთან მართლაც ხშირად გვხვდება ორიგინალისაგან მნიშვნელოვანი ტერმინოლოგიური დაცილებანი, რაც კონტექსტის შინაარსს არ ცვლის და ამასთან ადვილად გასაგებს ხდის მსჯელობას, გარკვეულობას ანიჭებს ფრაზას. ცნობილია, რომ, მაგალითად, გიორგი მთაწმინდელმა ქართულად თარგმნა ისეთი ზედმიწევნით ფილოსოფიური ხასიათის შრომა, როგორცაა გრიგოლ ნოსელის "ექუსთა დღეთათვის". თვით ასეთი ხასიათის ძეგლის თარგმნისას გიორგი მთაწმინდელი ხშირად არიდებს თავს ორიგინალის ფილოსოფიური ტერმინების ზუსტ თარგმანს (თუმცა მას ამის დიდი საშუალება და ტრადიციაც აქვს) და ლოგიკურ მსჯელობას ზოგან თხრობის სახეს ანიჭებს. მრავალთაგან მოგვაქვს ერთი ნიმუში.

არღარა დაშთების თიჯად
გინა წყურნები მიწისა
შორის

*μηκετι πηλοειδως ανα-
κεκραμενης προς την γην
της υγροτητος*

ნოსელის "ექუსთა დღეთაში" ბერძნული *η υγροτης* დადგენილი ტერმინია. მას ქართულ თარგმანში უმეტესად "ნოტია" ენაცვლება, რომელსაც მსგავსად ბერძნული სიტყვისა, ტექსტში ოდენ ფილოსოფიური მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. აღნიშნულ შემთხვევაში მთარგმნელი, გიორგი მთაწმინდელი, გაურბის ფილოსოფიურ ტერმინს და გაცილებით ცოცხალ, ყოფით სიტყვას ("წყურნები") ხმარობს.

როგორც აღვნიშნეთ, ამგვარ მთარგმნელთან ხშირად არის მოსალოდნელი ე.წ. სინონიმური თარგმანი (ამათუიმ უცხო ტერმინის თარგმნა არა მისი ადეკვატური შესატყვისით, არამედ ამ შესატყვისის სინონიმური სიტყვით). ეგვევ ითქმის კონკრეტულად *νοερος - νοητος* - თან დაკავშირებით. ეს ტერმინები გიორგი მთაწმინდელს, ნაცვლად "საცნაურისა" ანდა "გონიერისა". არაიშვიათად (შეიძლება ითქვას, ჩვეულებრივ) გადმოაქვს ისეთი სინონიმური ცნებით როგორცაა, მაგალითად "უხილავი" (ეს უკანასკნელი ტერმინოლოგიურად შეესატყვისება ბერძნულ *αορατος*-ს). აი, ერთი მაგალითი იმავე "ექუსთა დღეთადაან".

ორკეცად გულისხმა-იყოფ-
ების ბუნებად დაბადებულ-
თად, ესე იგი არს, უხილა-
ვად და ხილულად

*διχη της κτισεως νο-
ουμενης εις το νοητον
και αισθητον*

1 IV. 20. იხ. საქ. ეკლესიის კალენდ. 1989, გვ. 219

2 იხ. იქვე, გვ. 210

ტერმინოლოგიური თარგმანის შემთხვევაში *νοητος* -ის შესატყვისად უნდა გვქონოდა "საცნაური" (ან "გონიერი"), ხოლო *αισθητος* -ისა - "გრძნობადი".

რა შეიძლება ითქვას ამ მხრივ "ფიზიოლოგის" ქართველ მთარგმნელზე?

უპირველესად, უნდა აღვნიშნოთ, რომ ცალკეულ მკვლევართა მიერ ხშირად ისეა საქმე წარმოდგენილი, თითქოს ორიგინალთან ზედმიწევნითი სიზუსტის მოთხოვნა ძველ ქართულ ლიტერატურაში რეალობა გახდა მხოლოდ მოგვიანებით XI-XII სს-ში. ვფიქრობთ, ეს მოსაზრება მნიშვნელოვან დაზუსტებას მოითხოვს.

წინათონური ხანის თარგმანებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ორიგინალთან მაქსიმალური სიახლოვის აუცილებლობა ქართულ ქრისტიანულ მწერლობაში თავს იჩენს ამ მწერლობის დასაბამშივე. V-X სს-ის ძეგლთა **აბსოლუტური უმრავლესობა** დედნთან ზედმიწევნით თანხვედრის მცდელობას ავლენს. მეტად მცირეა ისეთი თხზულებების რიცხვი, რომლებიც საგრძნობლად შორდებიან ორიგინალს, მაგრამ ასეთ შემთხვევებშიც კი გაცილებით მიზანშეწონილი ჩანს ვარაუდი იმისა, რომ აღნიშნული ძეგლების უშუალო წყარო ჯერ კიდევ უცნობია ჩვენთვის ანდა ისინი გარკვეული მიზანდასახულობით არიან გადაკეტებულნი.

V-X სს-ის ქართველი მთარგმნელები, ჩვეულებრივ, ცდილობენ სიტყვასიტყვით მისდიონ სათარგმნ დედანს (იქნება ეს ბერძნული, სომხური თუ არაბული). სწორედ მათ ფონზე ჩანს ექვთიმე ათონელი ახალი მთარგმნელობითი პრინციპების შემომტანად, რომლის მთარგმნელობითი მეთოდი გვიანდელ ავტორთა მიერ (კერძოდ, ეფრემ მცირის მიერ) უჩვეულო და ახალ მოვლენად იქნა აღიარებული, ცხადია, სწორედ წინათონური თარგმანების ფონზე.

ის, რაც განასხვავებს წინათონური პერიოდის თარგმანებს მოგვიანო ხანის თარგმანებისაგან, ესაა, ჩვენი აზრით, **მთარგმნელობითი ხელოვნების დონე**. ცხადია, ადრეულ პერიოდშიც შექმნილა სანიმუშო, აზრობრივად ზუსტი თარგმანები და გვიანდელ ხანაშიც არაიშვიათად გვხვდება მცდარი გააზრება ორიგინალისა, მაგრამ **ზოგადი თვალსაზრისით**, მაინც, წინათონური პერიოდის მთარგმნელები უფრო ნაკლებად არიან დაუფლებულნი როგორც სათარგმნ ენას, ასევე მთარგმნელობით ხელოვნებას, ვიდრე, გვიანდელი ხანისა. ბევრი წინათონური თარგმანი თუმცა ზედმიწევნით მისდევს სათარგმნ ტექსტს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ეს სიზუსტე მხოლოდ ლექსიკური თანხვედრით განისაზღვრება: მთარგმნელს სიტყვა-სიტყვით გადმოაქვს ტექსტი, მაგრამ კარგად ვერ ერკვევა სათარგმნ ენის მორფოლოგიასა და სინტაქსში, რაც არაიშვიათად იწვევს სრულიად აბსურდულ თარგმანს. ასეთი თარგმანის ბევრი ნიმუში ჩვენ წარმოვადგინეთ სევერიანე გაბალოვნელის "ექუსთა დღეთას" ქართული ტექსტიდან გამოკვლევის პირველ ნაწილში. ამგვარი რამ ერთეული მოვლენა არაა. ამ დასკვნამდე მივიდა, მაგალითად, ი.აბულაძე, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ეპიფანე კვიპრელის ავტორობით ცნობილი (სინამდვილეში, თეოდორიტე კვირელის) "ფსალმუნთა განმარტებების" დაჩის მიერ სომხურიდან თარგმნილი ტექსტი. მკვლევარი აღნიშნავს: "თუ დავუკვირდებით ორივე ტექსტს, დედანსაცა და თარგმანსაც, პირველი, რაც თვალში მოგვხვდება, ისაა, რომ თარგმანი სიტყვათა მიმდევრობით თითქმის განუხრელად მისდევს თავის წყაროს. ამ მხრივ, მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ისინი მთლიანად უჭერენ ერთმანეთს მხარს. ეხლა თუ ცალკე წინადადებას ავიღებთ და ერთმანეთთან დაპირისპირებით განვიხილავთ, ვნახავთ, რომ აქ შესაბამისობა უკვე დარღვეულია... დედნის სიტყვათა რიგის

დაცვა ერთი მხრით, ხოლო მორფოლოგიურ - სინტაქსური მოვლენების (ხაზი ჩვენია, ე.ჭ.) ხშირი დაუცველობა მეორე მხრით, თარგმანს საერთოდ მეტად ბუნდოვანსა და დაუხვეწელს ხდის, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაშია წარმოსადგენი, როცა მთარგმნელი სათარგმნელი ტექსტის ენას ჯეროვნად ვერ არის დაუფლებული, მწიგნობრულად სათანადოდ გაწვრთნილი არ არის (ხაზი ჩვენია, ე.ჭ.). ენის ლექსიკა და ცოცხალი მეტყველება შედარებით უკეთ აქვს შეთვისებული, ვიდრე მორფოლოგია და სინტაქსი".¹

"ფიზიოლოგის" ქართველი მთარგმნელი ისეთ ავტორთა რიცხვს ეკუთვნის, რომელიც ცდილობს ზედმიწევნით გადმოსცეს სათარგმნი ტექსტი. იგი მთლიანად ემორჩილება მას. სწორედ ამითაა გამოწვეული "ფიზიოლოგის" ქართული თარგმანის ხშირი ტექსტობრივი გაუგებრობანი. ეგვე მეთოდი აიძულებს მთარგმნელს, რომ სათარგმნი ტექსტის ყოველ ტერმინს შეუფარდოს მისი ადეკვატური ტერმინოლოგიური (და არა სინონიმური) შესატყვისი. ზემოთ მივუთითებდით, რომ ბერძნული *νοερος* (*νοητος*) სომხურ "ფიზიოლოგში" თარგმნილია ორი სიტყვით: "ანარევოით" და "იმანალი". ეს სიტყვები ხსენებულ ტექსტში შინაარსობრივად მთლიანად უიგივდება ერთმანეთს (ორივე აღნიშნავს "სულიერს", "გონისეულს", "სპირიტუალურს"). ქართველი მთარგმნელი სავსებით უფლებამოსილი იყო, საერთოდ არ გაემიჯნა ისინი და ერთი და იგივე შესატყვისი შეეფარდებინა მათთვის. ამის საწინააღმდეგოდ, როგორც ზემომოტანილი ნიმუშებიდან ჩანს, სომხური "იმანალი" (ეტიმოლოგიურად უკავშირდება სიტყვას "მიტ" - "გონება", "ცნობიერება") და "ანერევოით" (ეტიმოლოგიურად უკავშირდება სიტყვას "ერეველ" - "ჩენა", "ჩინება") ქართულ ტექსტში ყველგან გამიჯნულია ამ ტერმინთა ძირეული მნიშვნელობების შესაბამისად: როგორც აღნიშნული იყო, პირველ მათგანს გადმოსცემს ტერმინი "საგონებელი" (მსგავსად სომხური სიტყვისა, ქართულიც ძირით "გონებას" უკავშირდება), ხოლო მეორეს - "გამოუჩინებელი" ანდა "უჩინოა" (ორივესათვის, სომხური სიტყვის კვალობაზე, ამოსავალია სიტყვა "ჩენა").

ჩვენი აზრით, მეტად საეჭვოა ვიფიქროთ, რომ "ფიზიოლოგის" მთარგმნელისათვის ცნობილი იყო ისეთი ნოეტური ტერმინები, როგორებიცაა "საცნაური", "გონიერი", "ცნობადი", რომლებიც ეტიმოლოგიურადაც და ტერმინოლოგიური გააზრებითაც ზედმიწევნით თანხვდებიან სომხურ "იმანალი"-ს, აგრეთვე, ბერძნულ *νοερος* (*νοητος*)-ს, და მაინც, მიუხედავად ამისა, მან შეარჩია ისეთი ლექსიკური ერთეული, რომელიც სრულიად სხვა შინაარსისა იყო ქართულ მწერლობაში და შესაბამისად, მკითხველისათვის მხოლოდ გაუგებრობას შექმნიდა. მითითებული ნოეტური ტერმინები უკვე ფაქტია VI ს-ისათვის. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ "იმანალის" (აგრეთვე *νοερος-νοητος*-ის) "საგონებელად" თარგმნა უფრო ადრეულ პერიოდს უნდა გულისხმობდეს.²

1 ი. აბულაძე, ქართული და სომხური... გვ. 091

2 ძველ ქართულ მწერლობაში ცნობილია, აგრეთვე, ტერმინი "საგონებელობა": ...განაშოვროს მათგან (უძრავობისა და მოძრავობისაგან, ე.ჭ.) საგონებელობად ღმრთეებისად (შატბ. კრებ. გვ. 71). შდრ. ბერძ. "...της περι το θειον υποληφειας αλιτριωτη (Pg.44, 129-130). შდრ. გიორგი მთაწმიდლის თარგმანი: "ღმრთეებისა იქვსაგან უცხო ყვნა" (ნ. შალამბერიძის მიერ მომზადებული ტექსტი, გვ. 9)

მეტი თვალსაჩინოებისათვის, თუ როგორ ითარგმნებოდა ქართულად *νοερος* (*νοητος*) მოგვაქვს სათანადო ნიმუშები "მრავალთავებიდან":
 კირილე იერუსალიმელი "აღდგომისათვის მკუდრეთით"

ესე ნეფსით შვევიდა ხაც-
 ნაურსა მას ვეშაჰსა სიკ-
 უდილისა¹

*ουτος δε κατηλθεν εκο-
 υσιως, οπου το νοητον
 του θανατου κητος,
 Pg.33, col.848B*

იგივე ავტორი "საკითხავი სულისა წმიდისაჲ":

საცნაურნი მგელნი ძოვენ
 კრავთა თანა²

οι νοητοι λυκοι col.981

გარდამოვდა საცნაური ტრე-
 დი ჟამსა მას ნათლისღე-
 ბისასა³

*... η νοητη περιστερα
 col.981*

იგივე ავტორი "მარტკლიისათვის"

... ემბაზ იქმნა ცნობადისა
 მის წყლისა⁴

*Δοχειον γεγνε του νο-
 ητου υδατος, col.988*

... ახალი ღვინოჲ ცნობა-
 დისა მის ვენავისაჲ⁵

*ο νεος ουτος οινος απο
 νοητης αμπελου
 col.989 B*

სუეს ცნობადისა მის ვე-
 ნავისაჲ⁶

*πιοντες τον οινον της
 νοητης αμπελου col.992A*

ცნობადითა მით სათრო-
 მელითა სიტყვსაჲთა... მო-
 ინადირნა⁷

*τω νοητω δικτυω των
 λογων... εξωγρησε, col.993*

იგივე ავტორი "სინანულისათვის"

მიერთგან დაენერგვის სა-
 ცნაურსა მას სამოთხესა⁸

*... νοητην παραδεισον
 col.375*

... საცნაური ზეთისხილი

*τας ελαιας τας νοητας
 col.375*

1 სინური მრავალთავი, გვ. 163
 2 კლარჭული მრავალთავი, გვ. 325
 3 იქვე
 4 სინური მრავალთავი, გვ. 187
 5 იქვე, გვ. 188
 6 იქვე, გვ. 189
 7 იქვე, გვ. 189-190
 8 კირილე იერუსალიმელი, ჰომილიები, გვ. 130 (თ. მგალობლიშვილის მიერ მომზადებული ტექსტის ნუმერაციით)

სამითა მით სახელითა სა-
ცნაურსა მას ტალავარსა
აღაშენებდა¹

გრიგოლ ნეოკესარიელი "ხარებისათვის"

გიხაროდენ საცნაურისა მის
მზისა აღმოსავალთ²

*χαιρε του νοητου ηλιου
η ανατολη,
Pg.10, col.1152*

ამიერ აღმოგუბრწყინდები-
ან ჩუენ საცნაურისა მის
ნათლისა მზისთუალნი³

*εντευθεν ημιν ανατελ
λουσιν του νοερου φωτος
αι ακτινες col.1161 A*

საცნაურთა სამეფოთა... გა-
მოუბრწყინდები⁴

*ων νοητων βασιλειων
απαστραπτεις col.1169C*

ტიტუს ბოსტრელი, ბზობისათვის

იგინი მიხედვენ საცნაური-
თა... (ათონის მრავალ-
თავი, 65)

*αυτοι επισκεπτονται την
νοητην ... (γην)
Pg.18, col.1264 B*

გრიგოლ დვთისმეტყველი "შობისათვის"

ესრეთ ამასცა აქუნდა და-
ბადებულებად გონიერი⁵

*ουτω μεν ουν ο νοητος
αυτω και δια ταυτα υπ-
εστη κοσμος
Pg.36, col.321A*

მახლობელ ღმრთეებისა არი-
ან ბუნებანი იგი გონიერ-
ნი⁶

*οικειον μεν γαρ θεοτητος
αι νοεραι φυσεις,
col.321B*

უწესს სულად გონიერად,
მსგავსად ღმრთისა⁷

*ο δε νοεραν ψυχην και
εικονα θεου οιδεν
col.321 D*

1 სინ. მრავ. გვ. 195

2 იქვე გვ. 6

3 სინური მრავალთავი, გვ. 11

4 იქვე გვ. 16. საყურადღებოა, აგრეთვე შეძლები ადგილი: "საცნაურად (μυστικως) მიიღო სასწაული იგი წინადაცუეთისად". სინ. მრავ. გვ. 14 (ბერძნ. ტექსტი Pg. 10, 1165). აქაც "საცნაური" აღმნიშვნელია "მსტიკურისა" ანუ "ნოეტურისა".

5 სვანური (ტბეთის) მრავალთავი, 63. იხ. ი.აბულაძე, შრომები. ტ. III, თბ. 1982, გვ. 87

6 იქვე

7 იქვე გვ. 87

შეიზაკა სულითა გონიერითა

ψυχη νοερα μινυται
col. 325B

დაუბადებელი დაებადების...
შუკამდგომელობითა² სული-
სა გონიერისა²

ο ακτιστος κτιζεται δια
μεσης ψυχης νοερας,
col.325 C

დაემტკიცნეს ნათელნი იგი
მეორენი... სულნი ცნობიერნი³

υπεστησαν λαμπροτητες δε-
υτερα νοερα πνευματα,
col.320C

როგორც ზემომოტანილი ნიმუშები ცხადყოფს, *νοητος-νοερος* ტერმინები ძველი დროიდანვე ითარგმნებოდა, როგორც "საცნაური" და "ცნობადი" (იშვიათად "ცნობიერი"). ეგვე ტერმინული შინაარსი შეიძინა სიტყვა "გონიერმაც", რომელიც უადრეს ტექსტებში, ჩვეულებრივ, აღნიშნავდა "ჰეკვიანს", "კეთილგონიერს", "კეთილსინდისიერს". ეს შინაარსი აქვს მას ბიბლიის ქართულენოვან ტექსტებში, სადაც იგი გადმოსცემს შემდეგ ბერძნულ სიტყვებს: *φρονιμος* (მათე 24, 45; აღიშისა, 7, 24), *σωφροσυνη* (მარკ. 5, 15), *νουνεχως* ("გონიერად", მარკ. 12, 34), *φρονιμως* ("გონიერად", ლ.16,8), *συνητος* (იერ. 4, 22; ზირ. 25, 8) და სხვა.⁴

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ სომხ. "იმანალი"-სა და ბერძნ. *νοερος* - *νοητος*-ს ტერმინული შინაარსით "საგონებელის" გამოყენება ქართული ლიტერატურის უადრეს ხანას უნდა გულისხმობდეს.

"ფიზიოლოგის" ქართული თარგმანის დათარიღებასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს თხზულების ერთი ადგილი:

X თავში ფენიქსის შესახებ ვკითხულობთ:

1 სვანური (ტბეთის) მრავალთავი, 63, იხ. ი.აბულაძე, შრომები, ტ. III, თბ. 1982, გვ. 88

2 იქვე, გვ. 89

3 ტბეთის მრავალთავი, ი.აბულაძის გამოცემა, გვ. 86. ხსენებულ ძეგლში ერთგან გვხვდება "საცნაური", რომელიც აღნიშნავს "შესაცნობელს" "საცოდნელს": "ღმერთი ღმერთთა შორის აღრეულ და საცნაურ არს (*γνωριζομενος*) და იცნის საცნაურნი იგი (*γνωσκομενος*)" (იქვე, გვ.86; ბერძნ. col.317 C). საყურადღებოა, აგრეთვე, ტერმინი "ცნობილი" "სულიერის" მნიშვნელობით: "ჟამიერი და უკუდავი, ხილული და ცნობილი (*γνωμενον*)" (იქვე, გვ.87; col.324 A). აღნიშნავთ, რომ "ანტონის ცხოვრების" უადრეს თარგმანში *νοερα φυσις* გადმოტანილია, როგორც "შეცნოერებისა ბუნებად" (ვ. იმნაიშვილის გამოც. გვ.61; Pg.26, 945C).

4 საგულისხმოა, რომ "სინურ მრავალთავში" სიტყვები "გონიერი", "გონიერებად" მხოლოდ ამგვარ შინაარსს შეიცავს: "თანანადები იგი გონიერად (*εγνωμονως*) შევეწიროთ" (გვ. 5); "... დუმილსა, ვითარცა დედასა გონიერებისასა (*της σωφροσυνης*)" (გვ.9); "გონიერსა მას ზედა სულსა, მართალსა განისუენებს" (გვ. 11; "გონიერი სული" - *η εγνωμων ψυχη*); "ჩუენ ყოველთა გუეჭმნა გზა ცხოვრების, არათუ ჩუენისა გონიერებისათვს (*εγνωμοσυνης*), არამედ შემსგავსებულად ქველისმოქმედებისა მისისა" (გვ. 11); "გონიერნო მტერნო" (*οι εγνωμονες εχθροι* მთარგმნელს *εγνωμων* აერია *εγνωμων*-ში) (გვ.35); "ვამს... სულისა იგი გონიერებით (*εστυειδητον*) ღმრთისმოშიშებად" (გვ. 84); "გონერთა მათ მსმენელთა (*συνητοις ακροαταις*) კმა-არს მოვსენებად იგი" (გვ. 168); "გონიერებითა (*σωφροσυνη*) განცხადნების" (გვ. 207); "გონიერებისა მის (*σωφροσυνης*) აზნაურებასა ასწავებდა პირითა და მოწამე გონიერების (*σωφροσυνης*) იპოების" (გვ. 207)

ადივსნის ფრთენი თვსნი საკუმეველითა და მოვიდის არეგდ ქალაქად თთუესა მიჭრაკნისასა გინათუ ვარდობისასა".¹

როგორც ვხედავთ, ძველში დამოწმებულია ორი თვის უძველესი ქართული სახელი. ნ.მარმა ეს გარემოება ქართული თარგმანის დათარიღებისას უყურადღებოდ დატოვა.

ძველ ქართულ კალენდარს საგანგებო გამოკვლევა უძღვნა პ.ინგოროყვამ.² მკვლევარმა მრავალრიცხოვანი მაგალითების საფუძველზე ცხადად აჩვენა, რომ თვეთა უძველესი ქართული სახელები წინ უსწრებს რომაულს და ხმარებაშია VII ს-მდე. შემდეგ თანდათანობით ვრცელდება და საბოლოოდ მკვიდრდება რომაული სახელებიანი. ამ ნიშნით პ.ინგოროყვამ "ფიზიოლოგის" ქართული თარგმანი V-VI სს-ით დაათარიღა.

ძველ ქართულ წელიწადს სპეციალურად შეეხო, აგრეთვე, კ.კეკელიძე. მკვლევარი ზოგადად იზიარებს პ.ინგოროყვას ზემოაღნიშნულ თვალსაზრისს და ასკვნის:

"უძველესი, წარმართული დროის სახელწოდება ქართული თვეებისა... ბატონობდა მეშვიდე საუკუნის დამდეგამდე".³

მართალია, თვეთა ძველი ქართული სახელები გადმონაშთის სახით თითქოს გვიანდელ ხანაშიც იჩენს თავს, მაგრამ ასეთი რამ მხოლოდ იშვიათი გამონაკლისებია (სულ სამიოდე შემთხვევაა) და საკითხის გადასაწყვეტად მათ მნიშვნელობა არა აქვთ.

"ფიზიოლოგის" ქართულ ტექსტში თვეთა უძველესი ქართული სახელების არსებობა ხსენებულ ტექსტს VII ს-ზე ადრინდელად მიგვაჩნევენებს.

"ფიზიოლოგის" ქართულ თარგმანში დამოწმებული თვეთა ძველი ქართული სახელწოდებების შესახებ განსხვავებული თვალსაზრისი აქვს ი.აბულაძეს. მკვლევარის აზრით, ზემოციტირებული ტექსტის კალენდარული ასპექტით განხილვა არათუ უარყოფს, არამედ ფაქტობრივად ადასტურებს ნ.მარის ვარაუდს იმის შესახებ, რომ "ფიზიოლოგის" თარგმანი VIII-IX სს-ის მიჯნაზე უნდა იყოს შექმნილი.⁵

ი. აბულაძე ასე მსჯელობს: 472 წლამდე ქართულ-სომხური კალენდარული სისტემა ერთმანეთს თანხვდებოდა თვეთა რიგით, რადგანაც საერთო იყო მათი ათვლის წერტილი (აგვისტოს თვე). მომდევნო ხანაში ქართული წელიწადი აითვლება სექტემბრიდან (ე.ი. ხმარებაში შემოდის სექტემბრის წელიწადი), ხოლო სომხური - ჯერ ივლისიდან (პირველი 120 წლის განმავლობაში, დაახლოებით 596 წ-მდე), შემდეგ ივნისიდან (596-716), მაისიდან (716-836) და ა.შ. (ამის მიზეზი ისაა, რომ სომხური კალენდარი მოძრავია). მკვლევარის მითითებით, "ქართული და სომხური თვეების რიგი თუ ერთმანეთს ხვდება, მაშინ ისინი დასაბამ თვეებად აგვისტოს იღებენ, ხოლო თუ ერთით სცილდებიან (ვთქვათ, სომხურის VI თვე ქართულში V-ით არის წარმოდგენილი), მაშინ სომხურის დასაბამი თვე ერთით რჩება უკან ქართულის ან აგვისტოსა და ან სექტემბრის წელიწადს".⁶

პირველი მათგანი, ე.ი. როცა ქართული აგვისტოს თვე თანხვდება სომხურ აგვისტოს, მოსალოდნელია 472 წლამდე. მომდევნო ხანაში, როგორც

1 შატბერდის კრებული, გვ. 179

2 პ.ინგოროყვა, ძველი ქართული წარმართული კალენდარი, "საქართველოს მუზეუმის მოამბე", VI (1929-1930), VII(1931-1932).

3 იბ. აგრეთვე, პ.ინგოროყვა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მეკვიდრეობა, "რუსთაველის კრებული", თბილისი, 1938, გვ. 65

4 კ.კეკელიძე, ეტიუდები, ტ.1, თბ. 1956, გვ.124

5 ი.აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა... გვ. 033

6 იქვე, გვ. 032

აღნიშნული იყო, სომხური კალენდარი თანდათან ჩამორჩება ქართულს (პირველი 120 წლის შემდეგ ერთი თვით, მომდევნო 120 წლის შემდეგ ორით და ა.შ.). ქართულ-სომხური თვეების. კალენდარულ-ქრონოლოგიური თანხვედრა-დაცილებანი ი.აბულაძეს სქემატურადაც აქვს გამოსახული.

კონკრეტულად "ფიზიოლოგთან" დაკავშირებით მკვლევარი აღნიშნავს:

"ფიზიოლოგის" ის ადგილი, სადაც ძველი ქართული თვის სახელი გვხვდება, შემდეგია: "და მივიდის არეგდ ქალაქად თთუესა მიპრაკნისასა გინა თუ ვარდობისასა". სომხურ ტექსტში ამ ადგილას დასახელებულია არეგი, ე.ი. მერვე თვე, რომელიც ქართულში "მიპრაკნით", ე.ი. მეშვიდე თვით არის გადმოცემული, მაშასადამე, ერთით ჩამორჩენილი სომხურს; როგორც აღვნიშნეთ, ასეთი ვითარება მაშინ იქნება, როცა სომხური წელიწადის დასაბამი თვე აგვისტოა და ქართულით გამოანგარიშებულია სექტემბრის წელიწადით, ანდა სომხურისა ივლისია და ქართულით ნაანგარიშევი აგვისტოს წელიწადით. პირველ შემთხვევაში სომხური ტექსტი 472 წლამდის აღმოცენებული იქნებოდა, ხოლო მეორეში - 596 წლამდის. "მიპრაკნის" გვერდით "ფიზიოლოგის" ხსენებულ ადგილას ნახმარია კიდევ "გინა თუ ვარდობისად". როგორ გავიგოთ ეს "გინა თუ", არის ის "ანუ", ე.ი. "მიპრაკანს" ძველად პარალელურად "ვარდობისაც" ერქვა, თუ "გინა თუ" არის "ან" (ან-ან). რადგან ქართულ "მიპრაკანს" რომ პარალელურად ოდესმე "ვარდობა" ჰქმნებოდა, არ არის დადასტურებული (და ეს არც შეიძლება), ამიტომ აქ ეს "გინა თუ" მეორენაირი გაგებით უნდა იყოს ნახმარი. მთარგმნელმა, ცხადია, იცის, რომ "არეგი" მერვე თვეა, მაგრამ როგორც წინა შემთხვევაში (იგულისხმება "მიპრაკანი" ე.წ.), მას ქართულ მერვე თვეს იგრიკას კი არ უპირისპირებს, არამედ ერთ შემთხვევაში, როგორც ვნახეთ, მიპრაკანს - და მეორეში მეცხრე თვეს - ვარდობას. მას შეეძლო აქ "იგრიკა" მოეყვანა, ის რომ "არეგს" სექტემბრის წელიწადით ანგარიშობდეს, მაგრამ ჩანს, რომ ის (ქართველი მთარგმნელი ე.წ.) მას (სომხურ "არეგს", ე.წ.) მხოლოდ აგვისტოს წელიწადით ანგარიშობს ორსავე შემთხვევაში და ამიტომ "არეგის" პირდაპირი საბადლო - "იგრიკა" - ხან "მიპრაკნით" არის გადმოცემული ხან "ვარდობისად" აღნიშნული გარემოება მეტად საყურადღებოა, რადგან ის **თითქმის ზედმიწევნით** (ხაზი ჩვენია, ე.წ.) ადასტურებს აკად. ნ.მარის შეხედულების სისწორეს "ფიზიოლოგის" აღმოცენების განსაზღვრის შესახებ როგორც სომხურს, ისე ქართულ ენაზე, აკად. ნ.მარი ამ ძეგლის თარგმნას სომხურ ენაზე VI-VII სს-ით საზღვრავდა, ხოლო ქართულისას, როგორც ზემოთაც ვახსენეთ, VIII ს-ის გასულით ან IX ს-ის დამდეგით. ზემორე აღნიშნულმა ნიშანმა ვითარება უფრო ზედმიწევნით მოხაზა: სომხური ტექსტი 596 წელზე გვიანდელი აღარ უნდა იყოს და აღარც ქართული თარგმანი IX ს-ის დამდეგზე გვიან შესრულებული".¹

ზემოწარმოდგენილი მთელი მსჯელობა, ვფიქრობთ, დასაზუსტებელია. არ უნდა იყოს მართებული, როდესაც მკვლევარი სომხური "არეგის" ათვლის წერტილს (ე.ი. აგვისტოდანაა იგი ნაანგარიშევი თუ ივლისიდან) არკვევს ქართული თარგმანის მიხედვით. ამის გასარკვევად მკვლევარს, უპირველესად, ორიგინალისათვის, ბერძნული ტექსტისათვის უნდა მიემართა. ამასთან, ი.აბულაძე ეყრდნობა არარსებულ ტექსტობრივ მონაცემს და ვრცლად

1 ი.აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა... გვ. 033

მსჯელობს ისეთ საკითხზე, რაც საერთოდ არ დგას. მხედველობაში გვაქვს ფრაზა "გინა თუ ვარდობისად". ი.აბულაძეს ხსენებული ფრაზა ქართველი მთარგმნელის შენამატად მიუჩნევია. მისი აზრით, სომხური "არეგი" ქართულ თარგმანში ორი თვითაა გადმოცემული. "მიპრაკნისად გინა თუ ვარდობისად", სადაც მკვლევარის მსჯელობის მიხედვით "ვარდობის" თვე ან "მიპრაკნისადს" სინონიმად უნდა იყოს მოხმობილი, ანდა ამ თვის შემატებით ქართველი მთარგმნელი სომხური "არეგის" მის დროინდელ კალენდარულ სტატუსს უნდა აზუსტებდეს. მკვლევარს ეს უკანასკნელი ვარაუდი მიაჩნია მართებულად და ამ ნიშნით, ე.ი. იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ სომხური "არეგი" თარგმნილია, არა როგორც "იგრიკა", არამედ - "ვარდობისად" ("მიპრაკანთან" ერთად), ი.აბულაძე ადგენს, ერთი მხრივ, სომხური, მეორე მხრივ კი, ქართული თარგმანის აღმოცენების დროს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ფრაზა "გინა თუ ვარდობისად" არ არის ქართველი მთარგმნელის შენამატი, ე.ი. "ფიზიოლოგის" ხსენებულ ადგილას ორი თვის დასახელება ქართული თარგმანის თავისებურებას არ წარმოადგენს. ორი თვის სახელი გვხვდება, აგრეთვე, ბერძნულ ორიგინალში და ზოგ სხვაენოვან თარგმანშიც (მაგალითად, ეთიოპურში). თვით სომხურში შესაბამის ადგილას გვაქვს არა მხოლოდ "არეგი", როგორც ამას აღნიშნავს ი.აბულაძე, არამედ "არეგი" და "ქალოცი", უფრო ზუსტად, "არეგი გინა თუ ქალოცი" ("γρηγε και κωλοσι"). საკუთრივ ბერძნული ორიგინალი ასეთი სახისაა:

*ερχεται εν τω μηνι τω νεω Νησα η Αδαρει.*¹

ამგვარად, ქართული ტექსტის ფრაზა "გინა თუ ვარდობისადა" სათანადო შესატყვისს პოულობს უცხოენოვან ტექსტებში და იგი არ ეკუთვნის ქართველ მთარგმნელს.

შეიძლება თუ არა სომხურ-ქართული თვეების შეპირისპირებით თარგმანთა დროის გარკვევა? ამგვარი კვლევაძიებებისათვის, ჩვენი აზრით, აუცილებელია, შესაბამისი სომხური ტექსტის ორიგინალთან მიმართებით შესწავლა. მარის გამოცემაში, როგორც აღვნიშნეთ, იკითხება "არეგ კამ ქალოც" ("არეგი ანდა ქალოცი"). დასახელებული ორი თვიდან პირველი ("არეგ") შეესაბამება ბერძნული ტექსტის *Νησαν*-ს და ქართულის "მიპრაკნისადს", ხოლო მეორე, ("ქალოც") *Αδαρ* -სა და "ვარდობისადს".

პირველი თანათარდობა საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ "არეგ"-ის კალენდარული სტატუსი. როგორც ვხედავთ, იგი გადმოსცემს ბერძნული ტექსტის "ნისანს". კარგად არის ცნობილი, რომ "ნისანი" არის ებრაული კალენდრის პირველი თვე და შეესაბამება დაახლოებით რომაული კალენდრის მარტის თვის მიწურულსა და აპრილის თვის 1 ნახევარს. სომხური "არეგი" მარტის მიწურულს დაემთხვეოდა მხოლოდ აგვისტოს წელიწადის შემთხვევაში, ე.ი. 472 წლამდე (ეს კარგად ჩანს თუნდაც ი.აბულაძის მიერ შედგენილი სქემიდან).² 472 წ-ის შემდეგ, როგორც აღნიშნავს ი.აბულაძე, სომხური კალენდარი ივლისიდან აითვლებოდა, "არეგი" კი (VIII თვე) თებერვალში მოდიოდა, ე.ი. იგი ერთი თვით სცილდებოდა "ნისანს". ამიტომაც, რომ ბიბლიის სომხურ თარგმანში, რომელიც უძველეს დროს, Vს-ის 1^წ ნახევარს

1 შდრ. ეთიოპური ტექსტი (გერმ. თარგმანი), im monat Magabit oder im monat Mijazia, F.Hommel, დასახ. შრომა, გვ. 52

2 ი. აბულაძე, ქართული და სომხური... გვ. 032

ეკუთვნის, "არეგი" "ნისანის" შესატყვისადაც გვხვდება. "ესთერის" წიგნში (VIII. 9) ვკითხულობთ:

"*ნ. სიძეძის ფიქრის კანაქნილ არიერს კამახასს სისას ირ ე არეგ*"

ამგვარად, თუ ი. აბულაძის მსჯელობას გავყვებით და სომხური კალენდრის მის მიერ შედგენილ სქემას არგუმენტად მოვუხმობთ, მაშინ "ფიზიოლოგის" სომხური თარგმანი უთუოდ 472 წლამდე პერიოდს უნდა მივაკუთვნოთ, რადგანაც ამ წლის შემდეგ სომხური "არეგი", თანახმად ი. აბულაძის მსჯელობისა, თებერვალს თანხვდება და არა მარტს, "ნისანი" კი, როგორც აღვნიშნეთ, მარტის მეორე ნახევარში იწყებოდა.

რაც შეეხება საკუთრივ "მიჰრაკნისა" და "ნისანის" ურთიერთმიმართებებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ თუმცა ძველქართული თვეების კალენდარული სტატუსი დღეისათვის მთლად გარკვეული არ არის (კ. კეკელიძისა და პ. ინგოროყვას მოსაზრებები, ამ მხრივ, მნიშვნელოვნად სხვაობს), მაინც "ნისან" - "მიჰრაკნის" თანაფარდობა უძველეს ქართულ ძეგლებში ცხადად არის გამოვლენებული. მაგალითისათვის მოვიტანთ ერთ ადგილს კირილე იერუსალიმელის ცნობილი ქადაგებიდან "აღდგომისათვის მკუდრეთით":

"მიჰრაკნისა მას თუესა მოწევნითგან ზაფხული არნ მერმე, რამეთუ ამას თუესა ებრაელებრ ნისან სახელ-ედების, რომელსა-იგი დღესასწაული ვნებისაჲ მის აღესრულების"¹

"*არეგ ამჟი ხასხაჲ ე არაახი, დარიონ ე ძამახსაკა: აჟი ე ირ ად ხსერაქსეიდიქს სისას სიძეძესაჲ ერ*"²

ξανθικου γαρ τουτου του μηνος ενεστωτος, εαρ εστι λοιπον. Ο δε καιρος εστιν ουτος ο μην παρ Εβραιους πρωτος εν ω η εορτη του Πασχα (Pg. 33, col. 836)

კირილე იერუსალიმელის აღნიშნული ქადაგების ქართული თარგმანი დაცულია უძველეს "სინურ მრავალთავში". იგი გვხვდება, აგრეთვე, "ათონის", "უდაბნოსა" და "კლარჯულ" მრავალთავებში. თვით ეს ფაქტი ცხადყოფს თარგმანის უძველესობას. თ. მგალობლიშვილის გამოკვლევით, კირილე იერუსალიმელის ქადაგებანი "მრავალთავის" უადრეს ფენას ეკუთვნის და V-VI სს-ს უნდა მიეკუთვნებოდეს. ("კლარჯ. მრავ." გვ. 130).

საგულისხმოა, რომ სომხურში ქართულ "მიჰრაკანს" აქაც "არეგი" თანხვდება.³

ამგვარად, კირილე იერუსალიმელის ხსენებული ქადაგება დამატებით გვიდასტურებს, რომ "არეგ"- "ნისან"- "მიჰრაკნის" თანაფარდობა უძველეს (V-VI სს) პერიოდში სავსებით მიზანშეწონილია.

უფრო რთულად გვაქვს საქმე თვეთა მეორე სამეულთან დაკავშირებით. როგორც მივუთითებდით, სომხურ ტექსტში გვხვდება "ქალოცი", ხოლო

1 სინური მრავალთავი, გვ. 159

2 ვრანელიოზნ კივრლი... კოჩივზნ ყნაფწათეან, ი ვენნა, 1832

3 საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბერძნულ ორიგინალში "მიჰრაკანს" შეესაბამება *ξανθικος*, რასაც მინის გამოცემაში ახლავს კომენტარი. აღნიშნული კომენტარის საფუძველზე, ქართული "მიჰრაკანიც" თითქოს 25 მარტიდან უნდა იწყებოდეს.

ქართულში "ვარდობისაჲ". მათ შესატყვისად ბერძნულ ორიგინალში "ადარი" ჩანს.

ცნობილია, რომ "ადარი" არის ებრაული კალენდრის მეთორმეტე თვე, რომელიც წინ უსწრებს "ნისანს" და თებერვალ-მარტს თანხვდება. ქართული "ვარდობისაჲ" ტრადიციულად "მიჰრაკნის" შემდეგ მესამე თვედ მიიჩნევა ("მიჰრაკნისაჲ" - "იგრიკაჲ" - "ვარდობისაჲ") და მას აპრილ-მაისთან აიგივებენ. ამგვარად, თუ ბერძნულ ორიგინალში "ნისანის" წინა თვე "ადარი" გვაქვს, ქართულში პირიქით "მიჰრაკნის" შემდეგი თვე "ვარდობისაჲ" გვხვდება. აქ აშკარა შეუსაბამობაა. კიდევ უფრო უცნაურია სომხური თარგმანის "ქალოცი". ეს თვე, როგორც ცნობილია, სომხურ კალენდარში რიგით მეხუთე იყო და იგი 472 წლამდე "დეკემბერს" შეესაბამებოდა, შემდეგ კი ნოემბერს, ოქტომბერს და ა.შ. ასე რომ, "ქალოცი" არათუ უცნაური, არამედ სრულიად შეუძლებელი შესატყვისი ჩანს და აქ უთუოდ აშკარა დამახინჯებასთან უნდა გვქონდეს საქმე.

საკითხის გასარკვევად ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ბერძნულ ორიგინალში თვეთა დასახელებას წინ უძღვის ატრიბუტი $\tau\omega \nu\epsilon\omega\upsilon$ (ერთ ხელნაწერში $\tau\omega\nu \nu\epsilon\omega\upsilon$), რაც ნიშნავს: "ახალსა (ანდა "ახალთასა"); კვლავ დავიმოწმებთ სრულ ციტატას: $\epsilon\rho\chi\epsilon\tau\alpha\iota \epsilon\nu \mu\eta\nu\iota \tau\omega \nu\epsilon\omega\upsilon$ ($\tau\omega\nu \nu\epsilon\omega\upsilon$) $\text{N}\eta\sigma\alpha \eta \text{A}\delta\alpha\rho\epsilon\iota$, რაც ასე ითარგმნება: (ფენიქსი) "მოვა... თვესა ახალსა (ანდა "ახალთასა"), ნისანში ანდა ადარში".

როგორც ცნობილია, "ახალი" ან "ახალთაჲ" ($\tau\omega\nu \nu\epsilon\omega\upsilon$) არის სახელწოდება (უფრო ზუსტად, ეპითეტი) ებრაული კალენდრის პირველი თვისა, ანუ უიგივდება "ნისანს". აღნიშნული ეპითეტი გვხვდება "II სჯულის წიგნში:

$\epsilon\iota\varsigma \tau\omicron\nu\nu \kappa\alpha\iota\rho\omicron\nu \epsilon\nu \mu\eta\nu\iota \tau\omega\nu \nu\epsilon\omega\upsilon \epsilon\nu \gamma\alpha\rho \mu\eta\nu\iota \tau\omega\nu \nu\epsilon\omega\upsilon \epsilon\xi\eta\lambda\theta\epsilon\varsigma \epsilon\xi \text{A}\iota\gamma\upsilon\pi\tau\omicron\upsilon$ (II სჯ. 16,1).

"მცხეთურ ბიბლიაში", რომელიც ამ შემთხვევაში ეთანხმება "გელათურს", ასეთი თარგმანი გვაქვს: "... ჟამსა მას ოდენ თთუესა მას ახალსა, რამეთუ თთუესა მას ახალსა გამოხუედ შენ ქუეყანით ეგვპტით".¹

მეტად საყურადღებო გვეჩვენება ის გარემოება, რომ "გამოსლვათა" წიგნის შემცველ სხვა ხელნაწერში (H-1207) "ახლის" ნაცვლად გვაქვს "ვარდობისაჲ":

"... ჟამსა მას თთვსა ვარდობისასა, რამეთუ თთუესა მას ყუავილობისასა გამოხუედ შენ ქუეყანით ეგვპტით".²

ვფიქრობთ, სავსებით სამართლიანად აღნიშნავს პ.ინგოროყვა: "ტერმინები "ვარდობისაჲ", "ყუავილობისაჲ" და "ახალთაჲსა", როგორც ვხედავთ, სინონიმები ყოფილა. როდესაც ერთ წყება დედნებში ჩვენ გვხვდება "ახალთაჲსა", მეორეში ამის საბადლოდ სწერია "ვარდობისაჲ" - "ყუავილობისაჲ".³

"ვარდობისაჲ" რომ ტერმინ "ახალთაჲს" (ანუ ბერძნული $\tau\omega\nu \nu\epsilon\omega\upsilon$ -ის) ფარდია და შესაბამისად $\text{N}\eta\sigma\alpha\upsilon$ -ს უიგივდება, ეს აშკარად ჩანს, აგრეთვე,

1 შდრ. ი.აბულაძე, ქართული ენის ლექსიკონი, სტატია "ახალი, ახალთაჲ"
2 იხ. პ.ინგოროყვა, ძველი ქართული წარმართული კალენდარი, წერილი 1, გვ. 442
3 იქვე, გვ. 443

შემდეგ მაგალითში:

"და მოუწოდეს მწიგნობარსა მას თთუესა ნისანსა, რომელ არს ვარდობისად" (ესთ. VIII, 9).¹

აღნიშნული გარემოება ცხადყოფს, რომ "ფიზიოლოგის" ტექსტში არსებული "ვარდობისად" უნდა შეეფარდებოდეს არა "ადარს", არამედ ეპითეტს $\tau\omega \nu\epsilon\omega$ ($\tau\omega\nu \nu\epsilon\omega\nu$). რაც შეეხება საკუთრივ "ადარს", იგი თვით ბერძნულ ხელნაწერებში ზოგჯერ არ გვხვდება ანდა "ნისანთან" არის გამთლიანებული, ე.ი. ცალკე არ დგას (იხ. სბორდონეს გამოცემა, გვ. 25). როგორც ჩანს, ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ სხვა ვერსიებში ზოგჯერ მხოლოდ "ადარი" გვხვდება "ნისანის" გარეშე (მაგ. ლათინურში: in mense nouorum, hoc est Adar), ანდა ზოგჯერ ორივე მათგანი მხოლოდ ერთი თვით არის გადმოცემული (მაგ. სლავურში ხსენებულ თვეთა შესატყვისად მხოლოდ "მარტი" გვხვდება: იხ. ა.კარნევეის გამოცემა, გვ. 203).

ამგვარად, ის გარემოება, რომ, ერთი მხრივ, "ვარდობისად" არ შეიძლება უიგივდებოდეს "ადარს", ხოლო, მეორე მხრივ, ხსენებული "ვარდობისად" სხვაგან "ახალთადს" ანუ ბერძნული $\tau\omega\nu \nu\epsilon\omega\nu$ -ის შესატყვისად არის დამოწმებული, ვფიქრობთ, საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ "ფიზიოლოგის" ქართულ თარგმანშიც "ვარდობისად" სწორედ $\tau\omega \nu\epsilon\omega$ ($\tau\omega\nu \nu\epsilon\omega\nu$)-ს უნდა გადმოსცემდეს და "ნისანის" ანდა "მიჰრაკნის" სინონიმად გვევლინებოდეს (და არა "მაისის" თვის აღვნიშვნელად).

მაგრამ თუ "ვარდობისად" $\tau\omega\nu \nu\epsilon\omega\nu$ -ის შესატყვისია, მაშინ მსგავსი შესატყვისი უნდა არსებულიყო სომხურ ტექსტშიც, რადგანაც ქართული სომხურიდან მომდინარეობს და არა ბერძნულიდან. როგორ ითარგმნებოდა სომხურად "ნისანის" თვის სინონიმური სახელდება "ახალთად" ანუ $\tau\omega\nu \nu\epsilon\omega\nu$?

"გამოსლვათა" წიგნის ზემომოტანილი მუხლის (34.18) მიხედვით, ბერძნული $\tau\omega\nu \nu\epsilon\omega\nu$ ($\tau\omega \nu\epsilon\omega$), რომელსაც ქართულში H-1207 ხელნაწერის მიხედვით "ვარდობისად" შეესაბამება, სომხურად თარგმნილია, როგორც "კანხოც" (ეს სიტყვა არის მრ. რ. ნათ-ბრუნვა ზედსართისა, "კანუხ" რომელიც ნიშნავს: ადრეული, წინასწარი; პირველი).

ამგვარად, ბიბლიის დამოწმებულ მუხლში ასეთი თანაფარდობა გვაქვს: "ვარდობისად", $\tau\omega\nu \nu\epsilon\omega\nu$, კანხოც. რადგანაც "ფიზიოლოგის" ტექსტში ასევე დასტურდება თანაფარდობა: "ვადრობისად" - $\tau\omega \nu\epsilon\omega$ ($\tau\omega\nu \nu\epsilon\omega\nu$), შესაძლებლად მივიჩნიეთ ვარაუდი იმისა, რომ სომხური თარგმანის თავდაპირველ ტექსტში გვქონოდა არა სრულიად უადგილო "բառուց" ("ქალოც"), არამედ "կանխուց" ("კანხოც"). აღნიშნულმა გარემოებამ ყურადღება მიგვაქცევინა სომხური "ფიზიოლოგის" ხელნაწერებზე. გამოირკვა უცნაური რამ: ნ.მარი თავისი გამოცემის შესავალში აღნიშნავს: "Новостью является эч-миадзинская рукопись 1223 г., происходящая из Хоранашата, древнейший пока известный список (A^в) армянского Физиолога".²

ამგვარი განცხადების შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ სომხური ტექსტის დადგენის დროს მკვლევარი უპირატესობას სწორედ ხსენებულ უძველეს

1 იხ. პინგოროუვა, ძველი ქართული წარმართული კალენდარი, წერილი 1 გვ. 442

2 Физиолог, с.XVII

ხელნაწერს მიანიჭებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. უმთავრესი ხელნაწერის განსხვავებული წაკითხვები ნ.მარმა რატომღაც კრიტიკული აპარატის სახით დაურთო თავის გამოცემას და ძირითადი ტექსტიდან გამორიცხა ისინი. როდესაც ხსენებული ხელნაწერის ჩვენებას გავეცანით, გამოირკვა, რომ მასში ნაცვლად "ქალოცისა" სწორედ "კანხოცი" ყოფილა (ნ. მარის მიერ მითითებულია: ი ქალოცი ი კანხოცი).¹ როგორი ახსნაც არ უნდა მივცეთ ნ.მარის მიერ უძველესი ხელნაწერის წაკითხვათა უგულებელყოფას, ერთი რამ სრულიად აშკარაა: "ფიზიოლოგის" სომხურ ტექსტში, თანახმად ზემორე მსჯელობისა და უძველესი ხელნაწერის ჩვენებისა, უთუოდ უნდა გვქონოდა არა "ქალოცი", არამედ - "კანხოცი". ვფიქრობთ, ეს შესწორება გათვალისწინებული უნდა იქნეს სომხური "ფიზიოლოგის" მომავალ გამოცემებში.

ამგვარად, გამოირკვა, რომ "ფიზიოლოგის" ქართული თარგმანის "ვარდობისად" გადმოსცემს სომხურ *Կանխոց*-ს, რომელიც თავის მხრივ, თარგმანია ბერძნული *τω νεω (των νεων)*-სა. ამგვარი თანაფარდობა, როგორც უკვე ვნახეთ, არსებობდა ბიბლიის უძველეს ტექსტებში და შესაბამისად, აღნიშნული გარემოება, "ფიზიოლოგის" ქართულ-სომხურ თარგმანთა ადრინდელობას უნდა ცხადყოფდეს. თვით ის ფაქტი, რომ "ვარდობისად" წარმოადგენს ნისანის ეპითეტს და არა მაისის თვის აღმნიშვნელს (როგორადაც მკვიდრდება იგი მოგვიანებით), ამ ტერმინის არქაულობას ავლენს.

საბოლოოდ, აღვნიშნავთ იმასაც, რომ "ფიზიოლოგის" ქართული თარგმანი დიდ ინტერესს იწვევს თავისი უძველესი ლექსიკითა და იშვიათი ფორმებით. ეს გარემოებაც, ჩვენი აზრით, სწორედ მის განსაკუთრებულ არქაულობაზე მეტყველებს. მრავალთაგან დავასახელებთ ნაწილს: "შეპიშუებული" (დაბრძა-ვებული), "დამდედნის" (დაბერდის), "დამდედებული" (დაბერებული), "გუეცი" (მზაკვარი), "განცუეთა" ("განსცთიან" - მისუსტდებიან), "განქშუება" (მხედველობის დაბინდვა), "განმარტვა" ("განემარტის" - განმარტოვდება); "განსიკუნის" (კვდება?), "სული ყმიდნის" (?), "დასკუნდვილად" (*აიიხაი შჩახსახე - στοιχηδον* - დამწკრივებით), "ეჭუანი" (და არა "ეჟუანი"), "ნატამნევი" (ნანგრევი), "მყუდელი" (*պահապահ*-მცველი), "წრაფად" და სხვა.

მოტანილი ნიმუშები, სამის გარდა (ესენია "დამდედება", "წრაფად" და "განცუეთა") დღესდღეობით მხოლოდ აღნიშნულ ტექსტში გვხვდება. არქაიზმების ასეთი სიმრავლე გასაკვირი არ გვეჩვენება, რადგანაც "ფიზიოლოგის" ქართული თარგმანი, ვფიქრობთ, თავად არის მეტად ძველი. იგი, ჩვენი აზრით, V ს-ის შუა წლებისა უნდა იყოს. თარგმანის დროის ასეთი შემომიჯვნა ეფუძნება, ერთი მხრივ, იმას, რომ V ს-ის მიწურულს, ყოველ შემთხვევაში, VI ს-ის I ნახევარში ტერმინი "ბუნება" უკვე ნამდვილად და უცვლელად დამკვიდრებულია ქართულ მწერლობაში, "ფიზიოლოგის" ქართველი მთარგმნელი კი ამ უაღრესად გავრცელებულ ტერმინს აშკარად არ იცნობს (ე.ი. მისეული თარგმანი V ს-ის შუა წლებზე გვიანდელი არ იქნება). მეორე მხრივ, თხზულება თარგმნილია სომხურიდან, ხოლო სომხურიდან თარგმნი V ს-ის შუა წლებზე ადრე სარწმუნო არ არის.

φυσικ-ის ქართულად თარგმნასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს იოანე ოქროპირის საკითხავი, მიძღვნილი პეტრეს, ელიასა და ელისესადმი, რომელიც "კლარჯულმა" და "ათონის" მრავალთავებმა შემოგვინახეს. ეს საკითხავი ერთერთ უძველეს თარგმანს წარმოადგენს. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ მასში, მსგავსად სხვა არქაული ტექსტებისა, "ხუედ" ფუძე უკუმშველი სახით გვხვდება: "შენ თანა შემხუედეს სიკუდილი" (კლარჯ. მრავ., გვ. 367) (სხვათაშორის, ეს ციტატა დამოწმებულია ი. აბულაძის მიერ "ძველი ქართული ენის ლექსიკონში", გვ. 499. მკვლევარს რატომღაც თავად შეუკუმშავს ფუძე და ფორმა "შემხუედეს" შეუცვლია, როგორც "შემხუდეს"); "ესევე საქმე შეხუედა ცოდვისად" (იქვე, გვ. 371, აქაც გამოცემულ ტექსტში "შესწორებული" ფორმაა: "შეხუდა", ხელნაწერის წაკითხვა კი სქოლიოშია ჩატანილი). თარგმანის უდავო სიძველის მაჩვენებელია, აგრეთვე, ხშირი ხმარება ჩვენებითი ნაცვალსახელებისა: "ეგემლევანი", "ესემლევანი".

აღნიშნულ ქადაგებას ნაწილობრივ ქვემოთაც ვეხებით, სადაც აღვნიშნავთ, რომ ძეგლში *το στοιχειον* თარგმნილია სიტყვით "საწესო", რაც ბერძნული ტერმინის უძველესი ქართული შესატყვისია (იხ. *το στοιχειον*). ასეთი ძველი ტექსტი, საზოგადოდ, მრავალმხრივ არის საყურადღებო. ამჯერად ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ორიგინალის-ეული *φυσικ* მასში არცერთხელ არ არის თარგმნილი, როგორც "ბუნებად"; ხსენებული ბერძნული ტერმინის შესატყვისებად აქაც გვხვდება "სახე" და "წესი". საგულისხმოა აღინიშნოს ისიც, რომ სომხური თარგმანი შესაბამის ადგილებში *բնութիւն*-ს წარმოგვიდგენს და არა "բարբ"--ს. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

არათუ წესი (*բնութիւն*)
ცვალა, არამედ საქმეთა
მისთა აღვრ-ასხნა
(კლარჯ. მრავ. 370)

*ου την φυσικ μεταβαλων,
αλλα την ενεργειαν χα-
λινωθεις (Pg.50, col.729)*

ცაჲ შეჰკარ და ქუეყანასა
აღვრ-ასხენ და სრბად იგი
სახეთად (*բնութեան*) მათ
შეიჰყარ (371)

*ουρανον εκλεισας, και γην
εχαλινωσας και τον δρο-
μον της φυσικως εκρα-
τησας (col.730)*

იხილა, ოდეს ჭაუტეკა მა-
დღმან, იმხილა¹ სახე: "გზა-
სა ივლტოდა ელია ორ-
მეოც დღს" (375)

*ειδες πως οτε απεστη η
χαρις, ηλεγχθη η φυσικ:
"Εφυγεν Ηλιας οδον ημε-
ρων τεσσαρακοντα"
(col.735)*

¹ "შეკრებად წმიდათად და სხუადცა ესემლევანი..." (გვ. 366), "ქალი უნდოდ, შეურაცხი, მეკარე- ესემლევანი იხილე და უვარებ" (368); "ეგემლევანსა ვნებასა ქუეშე არა არიან (ხელნ. A-144, 159; გამოცემაშია "მლევანსა", გვ. 368); "ეგემლევანსა" (368);

² ხელნაწერშია "იხილა", (A-144, 159), რაც გადამწერისეული შეცდომაა

ამგვარად, ტერმინოლოგიური ასპექტით, ოქროპირის ხსენებული საკითხავი გვერდით უდგას გაბალოვნელის შრომისა და "ფიზიოლოგის" ქართულ თარგმანებს. ჩვენი აზრით, ისიც უთუოდ V ს-ის თარგმანია, ამ საუკუნის I ნახევრისა ანდა შუა წლებისა.

"უდაბნოს" მრავალთავმა შემოგვინახა ერთი მეტად ძველი ქადაგება "ადგებისათვის", რომელიც ხელნაწერში ეპიფანე კვიპრელს მიეწერება. ეს საკითხავი, ცნობილია სომხურადაც (ბერძნული ორიგინალი უცნობია). როგორც ი. აბულაძემ გაარკვია, ხსენებული ძველი ხელთ ჰქონია იოანე საბანისძეს, რაც ეჭვმიუტანლად ცხადყოფს, რომ ქადაგების ქართული თარგმანი, ყოველ შემთხვევაში, "აბოს წამებას" წინ უსწრებს.¹

ხსენებულ ქადაგებაში ქრისტეს ერთერთი სახელდება, "მარცვალი მდოგვისა", ასეა განმარტებული: "მარცვალი მდოგვს ითქუა, რამეთუ დაიმცირებს (ძე ღმერთი, ე.ჭ.) თავსა და დაიმდაბლებს სახეთა ჩუენთაებრ".² მოტანილ ციტატაში უჩვეულოდ ეღერს "სახეთა ჩუენთაებრ". როგორც ცნობილია, მხოლოდშობილმა ძემ თავისი თავი დაიმდაბლა ადამიანურ ბუნებაში, მან ჩვენი ბუნების სიგლახაკე შეიმოსა. სწორედ ეს აზრია გამოთქმული ციტირებულ წინადადებაში, მხოლოდ "ბუნების" ნაცვლად გვაქვს "სახე". კონტექსტის მიხედვით "სახე" აქ უთუოდ *φυσικ*-ის ანუ "ბუნების" შინაარსს შეიცავს. ბერძნული ორიგინალის შესაბამის ადგილას, ცხადია, სწორედ *φυσικ* გვექნებოდა. ეს აზრი დაგვიდასტურა სომხურმა თარგმანმაც, სადაც ვკითხულობთ: "...*է գիշանս Ըստ բնութեանս յերոյ*".³

აღნიშნული გარემოება ხსენებულ ქადაგებასაც V ს-ის I ნახევრის ან შუა წლების თარგმანად მიგვაჩნევინებს, თუმცა მხოლოდ ერთი ნიმუში კატეგორიული დასკვნის საფუძველი ვერ გახდება. საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ ეს ქადაგება ადრექრისტიანული მწერლობის საყურადღებო ძეგლია და იგი სპეციალურ შესწავლას იმსახურებს.

უძველესი დროის თარგმანად წარმოჩნდება, აგრეთვე, იოანე ოქროპირის ორი საკითხავი იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის შესახებ. უნდა აღინიშნოს რომ ეს ტექსტები ცნობილი ყოფილა იოანე საბანისძისათვის. ამას ცხადყოფს მეორე საკითხავის დასაწყისი ნაწილი, რაც თითქმის სიტყვასიტყვითაა გამეორებული "აბოს წამებაში":

1 ი. აბულაძე, ერთერთი უცნობი წყარო იოანე საბანისძის აბო ტფილელის მარტვილობისა, შრომები, III, თბ. 1982 128-139. მკვლევარის აღნიშვნით, ქართული და სომხური ტექსტები ერთმანეთზე დამოკიდებულნი არ უნდა იყვნენ (იქვე, გვ. 131).

2 ი. აბულაძე, ერთერთი უცნობი წყარო იოანე საბანისძის აბო ტფილელის მარტვილობისა, შრომები, III, თბ. 1982 გვ. 136

3 ი. აბულაძეს ძირითად ტექსტში შეუტანია მხოლოდითი ფორმა "բնութեան", თუმცა მისივე ბითითებით ორივე ხელნაწერში მრავლობითი გვაქვს: "բնութեանս" (იხ. დასახ. შრომა, გვ. 136). აქ რომ მრავლობითი უნდა, ადასტურებს ქართულიც, სადაც დამოწმებულია "სახეთა" და არა "სახისა".

არა თუ ჩემდა მარტოდსა
საძიებელ არს სიტყუად
ესე, არამედ ყოველთა და-
კვრება ჩემ თანა"

არა თუ ხოლო ჩემდა
მარტოდსა საძიებელ არს...
ესე მარტვლობად, არამედ
ყოველთადა... დაკვრებად ჩემ
თანა"

როგორც ვხედავთ, საგულისხმო ტექსტობრივი თანხვედრაა. ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ იოანე ოქროპირის ხსენებული საკითხავების თარგმანები, ყოველ შემთხვევაში, "აბოს წამებაზე" ადრინდელია.

აქვე ყურადღებას იქცევს ისიც, რომ პირველ საკითხავში, როგორც ჩანს, ხანმეტობის კვალიც უნდა გვქონდეს. ცნობილია, რომ თავდაპირველი "ხ" პრეფიქსი გვიანდელ გადამწერებს ხშირად "ხოლო" კავშირის შემოკლებად ესმოდათ და ასე გადაჰქონდათ მათ ნუსხაში.³ ვფიქრობთ, მსგავსი ვითარება გვაქვს ამჟერადაც.

მაგალითი ასეთია: "მეორედ დათუ როკვიდეს, მკოდოვ ხოლო იქმნეს მეფე" (სინ. მრავალთავი, გვ. 209). აქ, ვფიქრობთ, "ხოლო" უადგილოა. ამას ცხადყოფს ბერძნული ორიგინალიც, სადაც "ხოლო"-ს შესატყვისი არა გვაქვს: *εαν δευτερον ορχησεται, ιδιωτης ο Βασιλευς* (Pg. 59, col. 762)

საყურადღებოა აღინიშნოს ისიც, რომ ხსენებულ საკითხავებში გვხვდება არქაული "ესემლევანი", "ეგემლევანი" და "ეგრემლევანი": "არა გძაგს ეგემლევანი საქმს" (სინ. მრავ. გვ. 210); "გარწმუნო თქუნ გარე-მიქცევად ეგრემლევანისა მის სახილველისა" (გვ. 210); "ესემლევანი მვნს და ესემლევანი წმიდაა" (გვ. 215).

შესაძლოა რამდენადმე მნიშვნელოვანი იყოს ისიც, რომ პირველ საკითხავში გვხვდება ადიშის სახარებისათვის ნიშანდობლივი "სტევი": "შეუმოსიეს სტევისა აქლემისაა" (გვ. 206)

ხსენებულ საკითხავებშიც ბერძნული *φυσια*-ის შესატყვისად არსად გვხვდება "ბუნებაა". ამ ტერმინს "წესი" და "სახე" ცვლის:

1 სინური მრავალთავი, გვ. 212

2 ძველი ქართული აგიოგრაფიული... 1, გვ. 49

3 მოგვიანო ხელნაწერებში "ხოლო-მეტობას" 1929 წელს ყურადღება მიაქცია პ.ინგოროყვამ. მკვლევარი შენიშნავს: "რომ დედანი, საიდანაც გადმოწერილია ჰადიშის სახარება, შეიცავდა როგორც ჰაემეტობას, ისე ხანმეტობასაც. ეს ცხადია ტექსტის ანალიზიდან. ასე, აქ გვხვდება ხანმეტობიდან მომდინარე "ხოლო-მეტობა" (გადამწერი იმდენად დაშორებული ყოფილა ხანმეტობის ტრადიციას და იმდენად ვერ ერკვეოდა მასში, რომ მეტი "ხანი" (ხ) მას მიუღია, როგორც შემოკლება სიტყვისა "ხოლო"... რომ ეს ასეა, ამას დოკუმენტურად ადასტურებს ჰადიშის ტექსტის შედარება ხანმეტ პალიმფსესტთან N999" (პ. ინგოროყვა, ძველი ქართული წარმართული კალენდარი, წერილი 1, გვ. 392). ამ საკითხს სპეციალური წერილი მიუძღვნა ა. შანიძემ (A. Г. Шанидзе, Переживания ханметских форм в грузинских рукописях IX-X-XI веков, Сообщения грузинского филиала АН СССР, т. I N3, 1940 с. 237-240), ამავე საკითხზე ლ. ქაჯია შენიშნავს: "ადიშის ოთხთავის ტექსტში რამდენიმე შემთხვევა დადასტურდა, როდესაც წინადადებაში ხოლო კავშირის ხმარება გაუმართლებელია... ეს გარემოება ადიშის ოთხთავში ჯერ კიდევ ა. შანიძემ შენიშნა რამდენიმე ათეული წლის წინ და ამ საკითხს სპეციალური წერილიც მიუძღვნა" (ხანმეტი ტექსტები, 1 გვ. 310)

ხოლო ესე ეროდია იყო,
რომელი წესსაცა თვისა
არა დაადგრა (გვ. 206)

*αυτη δε εστιν Ηρωδια,
η μηδε τοις της φυσεως
οροις εμμεινασα
(Pg.59, col.761)*

ხოლო ესე იოვანე ექუსისა
თვისა რაჟამს იდგაღა მუც-
ელსა შინა, წესსა მას
შჯულისასა იზარდებოდა
(გვ. 207)

*Ιωαννης δε μονος εξ επι
μηνων εχων την συλληψιν
εν γαστρι και κατα τους
της φυσεως νομους τρε-
φομενος (col.761)*

ველ-თუმცა-ეწიფებოდა, გა-
მო-მცა-უსწრო დღედ დრო-
დმდე წესისა თვისა და
იხილამცა დედად უფლისა
თვისადა მოსრული
(გვ. 207)

*επειγομενον, ει δυνατον
προλαβειν την προθεσμιαν
της φυσεως, ειδε του
Δεσποτου την μητερα παρ-
ουσαν (c.761)*

ჰხედავა, ვითარ-იგი წესსა
მას ზედა სძლევს ღირსე-
ბით უკეთურებასა მას
(გვ. 207-208)

*βλεπεις πως κατα φυσιν
τη αρετη το αρχειν της
κακιας (col.762)*

მჭამელ, ვითარ-იგი წესი
აიძულებს (გვ. 208)

*εσθιωσ οσον η φυσις
βιαζεται (col.762)*

ვად, სახს საშრომელი!
(გვ. 214)

*ω, φυσεως πονηρας! (col.
787)*

* * *

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლებოდა გამოგვეტანა შემდეგი დასკვნა:

ბერძნული *φυσια* ქართული ქრისტიანული მწერლობის უადრეს პერიოდში სისტემურად ითარგმნებოდა ტერმინებით "წესი" და "სახე". V ს-ის მიწურულიდან მკვიდრდება სომხური "բնութիւն"-ის პარალელურად შექმნილი "ბუნებად", რომელიც საყოველთაო გავრცელებას იხვეჭს და ყოველ შემთხვევაში VI ს-ის დამდეგიდან *φυσια*-ის ნამდვილ ტერმინოლოგიურ შესატყვისად გვევლინება. ის ტექსტები, რომლებიც *φυσια*-ის ტერმინოლოგიურ შესატყვისად "სახეს" და "წესს" გვიჩვენებს, ჩვენი აზრით, უთუოდ წინ უსწრებს ტერმინ "ბუნების" დამკვიდრებას ქართულ მწერლობაში და V ს-ის I ნახევრით ანდა შუა წლებით უნდა თარიღდებოდეს. სპეციალურმა შესწავლამ გამოავლინა რამდენიმე ასეთი ძეგლი: "მვეცთათვს სახისა-სიტყუად" ანუ "ფიზიოლოგი", ეპიფანე კვიპრელის "აღვსებისათვს", იოანე ოქროპირის საკითხავი, მიძღვნილი პეტრეს, ელიასა და ელისესადმი, აგრეთვე, მისივე ორი საკითხავი "იოანეს თავის კუეთისად". ამავე წრეში ერთიანდება სევერიანე გაბალოვნელის ხსენებული შრომის ქართული თარგმანიც, სადაც *φυσια*-ის ტერმინოლოგიურ შესატყვისებად სწორედ "სახე" და "წესი" გვაქვს, ე.ი. ამ ნიშნითაც ჩვენთვის საინტერესო ძეგლი V ს-ის I ნახევრის ანდა შუა წლების თარგმანი უნდა იყოს.

Υποστασις

I. ტერმინის კვლევი ქართული შესატყვისები:

აღნიშნული ტერმინი პოლისემიურია. ეტიმოლოგიური აზრით იგი ნიშნავს "ქვეშ დგომას", გადატანით კი - "სათუძველს, საყრდენს", აგრეთვე, "სიმტკიცეს, სიმყარეს, ძლიერებას, გამძლეობას". ეგვევ ტერმინი ხშირად გულისხმობს "დარწმუნებულობას, ურყევობას, მხნეობას". საყურადღებოა, რომ არსენ იყალთოელის განმარტებით "ენითა ბერძენთაჲთა "ჴპოსტასინ" ჰრქჴან გუამსა, რომელ არს შემტკიცებულთ რაჲმე და შედგომილი და შეყინებული საქმე, რამეთუ "ჴპოსტას" შეკრებასა ეწოდების და შენივთებასა და შეგუამებასა" (S-1463, 19v, აშიაზე).

ფილოსოფიური აზრით η υποστασις თითქმის უიგივდება ουσια-ს და აღნიშნავს "არსებას, ძირფულ თვისებას, ქვემარტი ბუნებას, დასაბამიერ პრინციპს, არსს", აგრეთვე, "არსებობას, მყოფობას, ქვემარტი სინამდვილეს, რეალობას".

ტერმინი υποστασις-ს აქვს ზუსტი ლათინური ადეკვატი substantia (ეს უკანასკნელიც ეტიმოლოგიურად "ქვეშ დგომას" ნიშნავს), რომელიც ფილოსოფიური აზრით მისი სრულფასოვანი შესატყვისია.¹

ქრისტიანულ მწერლობაში η υποστασις გავრცელდა ყველა ზემოაღნიშნული შინაარსით, მაგრამ, ამასთანავე, მან სრულიად ახლებური გააზრებაც მიიღო. ხსენებული ტერმინი ღვთის სამპიროვნების განმსაზღვრელ ცნებად დამკვიდრდა და იგი შინაარსობრივად დაუპირისპირდა ουσια-ს (ასევე, ლათინურ substantia-ს). თუკი ουσια და substantia აღმნიშვნელია სამპიროვანი ღვთის, ანუ ღვთის სამი პირის ერთარსებისა, მათი არსებით ერთობისა, მეორე მხრივ, η υποστασις, პირიქით, ერთარსება ღვთის სამპიროვნებას ცხადყოფს (ამ შინაარსით υποστασις უიგივდება ლათინურ persona-ს).

მართლმადიდებლურმა ქრისტიანობამ დააკანონა ფორმულა: ღმერთი არს სამი "ჴიპოსტასი" და ერთი "უსია", ანუ სამი "პერსონა" და ერთი "სუბსტანცია".

ზემოთ უკვე შევეხეთ საკითხს იმის შესახებ, რომ ქართული ტერმინი "არსება" გადმოსცემდა არა მხოლოდ ουσια-ს, არამედ მასთან შინაარსობრივად ახლოს მდგომ მრავალ სხვა ტერმინს, მათ შორის υποστασις-ს. ამ უკანასკნელის (ე.ი. υποστασις-ის) "არსებად" თარგმნა, ცხადია, შესაძლებელი იყო მხოლოდ ფილოსოფიურ კონტექსტში. კონკრეტულად ტრიადოლოგიასთან ანუ ღვთის სამპიროვნებასთან დაკავშირებით, როგორც მივუთითეთ, υποστασις მკვეთრად იმიჯნება ουσια-საგან და, შესაბამისად, შეუძლებელი ხდება მისი "არსებად" თარგმნა.

I გ.პრესტიჯი აღნიშნავს: "მოკლედ რომ შევაჯამოთ "ჴიპოსტასისა" და "უსიას" ურთიერთმიმართება, უპირველესად, უნდა ითქვას, რომ ისინი ხშირად, პრაქტიკულ ხმარებაში, ეკვივალენტურია. ამასთან, ისინი, ალბათ, თავიანთი მნიშვნელობით ზუსტად იდენტურნი არასოდეს არ არიან, გარდა დასავლური მწერლობისა... სადაც "ჴიპოსტასი" შეიძლება ჩაითვალოს ლათინური "სუბსტანციის" სიტყვასიტყვით გადმოცემად". G.Prestige, God in patristic thought, p.12

კარგად არის ცნობილი, რომ სამების ცალკეული პირების აღმნიშვნელად (*ονομα προσωπου χαρακτηρ υποστασις ιδιοτης*) ქართულ მწერლობაში ბერძნული ტერმინოლოგიის კვალდაკვალ რამდენიმე სხვადასხვა სიტყვა გამოიყენებოდა: "პირი", "სახელი", "ხატი", "ხატება", "ხატოვნება"¹, "გვამი", "გვამოვნება", "თვთება", "თვსება" (ღმერთი არის ერთარსება და სამპიროვანი, სამი სახელი, სამი გვამი, სამი ხატი ანუ ხატოვნება, სამი გვამოვნება, თვითება).

სამების დოგმატთან დაკავშირებით, როგორც აღვნიშნეთ "υποστασις"-ის "არსებად" თარგმნა, ცხადია, შეუძლებელი იყო, რადგანაც მაშინ სამპიროსტასიანი ღმერთებმა ქართულად "სამარსება ღმერთებად" წარმოჩნდებოდა. სწორედ ამიტომ *η υποστασις*-ის შესატყვისად დაკანონდა სხვა ტერმინი "გუამი" ან "გუამოვნება". რამდენადაც სამების დოგმატი მეტად ხშირად მეორდებოდა ქრისტიანულ მწერლობაში, შესაბამისად ძველ ქართულ თარგმანებში ურიცხვი რაოდენობით გვხვდება "გუამი" და "გუამოვნება" *η υποστασις*-ის შინაარსით. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად დიდი წინდახედულებისა, ძნელი იყო ყველა შემთხვევაში შეცდომის თავიდან აცილება, რადგანაც "გუამისა" და "გუამოვნების" გარდა *υποστασις*-ს თარგმნიდნენ "არსებადაც" და თუმცა ასე თარგმნიდნენ მხოლოდ მაშინ, როცა საქმე არ ეხებოდა სამების დოგმატს, თითოეული შემთხვევაში, როგორც ჩანს, აქაც იჩინა თავი ტრადიციამ.

მიქაელ მოდრეკილის "იადგარში" ერთგან ვკითხულობთ: "სიტყუასა თანამფლობელსა მამისა და სულისა, თანარსსა ორთა მათ არსებათა, უკუდავსა მას ეუფლა სიკუდილი".² თუ აქ ჩვენ გადამწერის შეცდომა არა გვაქვს, მაშინ დიდი შესაძლებლობაა იმისა, რომ ტერმინი "არსება" ამ შემთხვევაში გადმოსცემდეს არა ბერძნულ *ουσια*-ს, არამედ *υποστασις*-ს. ამგვარი რამ რომ მოსალოდნელია, ამაზე მიგვანიშნებს, აგრეთვე, ერთი ადგილი "უძველესი იადგარიდან":

"ადიდებენ თაყუანისმცემელნი სამისა არსისა ერთსა ღმერთებსა"³

"სამი არსი", უსიოლოგიური აზრით, იდენტურია "სამი არსებისა" ("არსი" და "არსება" ხშირად ენაცვლებიან ერთმანეთს), ისევე, როგორც "ერთი არსი"-ერთარსებისა". მ.რაფაევს მიერ შენიშნულია, რომ ტერმინი "ერთარსი" ექვთიმესთანაც და ეფრემთანაც გადმოსცემს ბერძნულ *ομοουσιος*-ს, რომელიც, როგორც ვიცით, ითარგმნება, აგრეთვე, "ერთარსებად"⁴ (ესეც ცხადყოფს გარკვეულ შემთხვევაში "არსისა" და "არსების" იგივეობას). მკვლევარის განმარტებით: "ერთარსი" ნიშნავს "ერთი არსების მქონეს",⁵ ანუ იმავეს, რასაც "ერთარსება" - *ομοουσιος*. გარდა "დიალექტიკის" ეფრემისეული თარგმანისა, მ.რაფაევს დამოწმებული აქვს "ერთარსის" გამოყენების კიდევ ორი საგულისხმო ნიმუში:

1 შტრ. ე. ჭელიძე, ადამიანი - ხატი პირმშობატისა, ჟურნალ "გზა სამეუფოს" დანართი №1, თბ. 1995, გვ. 12-40

2 მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები, II, გვ.385

3 უძველესი იადგარი, გვ.224

4 მ.რაფაევა, ქართული დოგმატიკის ისტორიიდან, პრაველთავი, II, გვ.110-113.

5 იოანე დამასკელი, დიალექტიკა, გვ.215

"სცხოვნდეს ძალითა ერთარსისა სამებისადათა"¹

"გურწამს... ღმერთი ჭეშმარიტი, ღმრთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ჭმნილი, ერთარსი მამისადა"²

აღნიშნული ცხადყოფს, რომ "სამი არსი" იგივეა, რაც "სამი არსება", ეს კი გამორიცხავს მის უსიოლოგიურ გაგებას.

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც ორიგინალში "სამი არსის" შესატყვისად უნდა ყოფილიყო "τρεις υποστασεις".

უძველეს იადგარში კიდევ ორგზის გვხვდება "არსება" ჰიპოსტასური შინაარსით:

"სარწმუნოვებით თაყუანის-ვცემთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, განუყოფელად სამსა არსებასა, ერთსა ძალსა, ერთსა ღმრთეებასა".³

"იყო პირველ საუკუნეთა სიტყუად და სამი არსებადა"⁴

ვფიქრობთ, აღნიშნულ შემთხვევებშიც "სამი არსებადა" უთუოდ უნდა გადმოსცემდეს ბერძნულ τρεις υποστασεις. ჩვენ "არსების" ბერძნულ შესატყვისად მითითებულ მაგალითებში მხოლოდ υποστασις-ს იმიტომ ვვარაუდობთ, რომ ამ ტერმინის ("ჰიპოსტასის") არცერთი სხვა სინონიმი, რომლებითაც ერთარსება ღმერთის სამპიროვნება გამოიხატებოდა (χαρακτηρη προσωπον ιδιοτης ιδωμα ονομα და სხვა ამგვარი), ქართულად "არსებად" არ ითარგმნებოდა. ასეთ რამეს მხოლოდ υποστασις-თან დაკავშირებით ვხვდებით (აღნიშნული სინონიმები შესაბამისად ითარგმნებოდნენ, როგორც: "ხატი", ან "ხატებადა", "ხატოვნებადა", "პირი", "სახელი", "თვთება" ან "თვსება", "განკუთნვილება", "თითოეულება", "საკუთრება" და მისთ.)

საეჭვო არ უნდა იყოს, რომ υποστασις-ის "გუამად" ან "გუამოვნებად" თარგმნა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ტერმინ "არსების" გამოყენება სამების დოგმატთან დაკავშირებით ტერმინოლოგიურ უზუსტობას იწვევდა.

საზოგადოდ, ამათუიმ ტერმინის სხვა ენაზე თარგმნა, მისი სხვაენოვან მწერლობაში შეღწევა, თავდაპირველად, ამ ტერმინის ყოფითი, ცხოვრებისეული შინაარსის საფუძველზე ხდება. ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ძეგლებს, ჩვეულებრივ, წინ უძღვის თხრობითი, აღწერითი ხასიათის მწერლობა. კარგად არის ცნობილი, რომ პირველი ძეგლები, რომლებსაც დაეფუძნა ქრისტიანობა საქართველოში, იყო სახარება, ფსალმუნნი, საზოგადოდ ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, ცალკეული აპოკრიფები, აგიოგრაფიული ხასიათის თხზულებები, სადღესასწაულო საკითხავები. ეგზეგეტურ-დოგმატური ლიტერატურა უფრო მოგვიანებით იჩენს თავს. ტერმინოლოგიური კანონზომიერებისკენ სწრაფვა სწორედ მათთან დაკავშირებით ვლინდება. ამ მხრივ, ცხადია, განმსაზღვრელია თვით სათარგმნი ლიტერატურის ტერმინოლოგია. როდესაც ესათუის სიტყვა ტერმინი ხდება, იცვლება მისი შინაარსიც, მნიშვნელობაც. თავდაპირველი ყოფითი სამეტყველო ლექსიკური ერთეულის ადგილს იკავებს ცნება, კატეგორია, რომელიც აბსტრაქტულია (თვით სიტყვა ფორმით ხშირად იგივე რჩება, მაგრამ მასში ყოფითს, ცხოვრებისეულს ენაცვლება გონისმიერი, ლოგიკური). აღნიშნული მოვლენა გარდაუვალად ჭმნის სირთულეებს

1 მ.რაფავა, ქართული დოგმატიკის... გვ.112

2 იქვე, გვ.113

3 უძველესი იადგარი, გვ.480

4 უძველესი იადგარი, გვ.492

მთარგმნელთა წინაშე, რადგანაც ესათუის უცხოენოვანი სიტყვა, რომელიც ადრე სათარგმნი ძეგლის არაფილოსოფიური ხასიათის შესაბამისად თავისი თავდაპირველი, მარტივი მნიშვნელობით აღიქმებოდა, დოგმატურ-ეგზეგეტური ლიტერატურის თარგმნის დროს სხვაგვარად უნდა გააზრებულიყო და შესაბამისად უნდა შეცვლილიყო მისი ადრინდელი ქართული შესატყვისიც. რათქმაუნდა, ბევრ შემთხვევაში თვით ადრინდელმა ქართულმა შესატყვისმა შეიცვალა შინაარსი, ე.ი. ყოფითი, ცხოვრებისეული ლექსიკური ერთეული, რომელიც ადრე გადმოსცემდა ამგვარივე შინაარსით დატვირთულ უცხოენოვან სიტყვას, ამ უკანასკნელის მნიშვნელობის ცვლის შესაბამისად, თვითონაც ახლებური შინაარსით დაიტვირთა, მაგრამ ამგვარი რამ დოგმატური თვალსაზრისით ყოველთვის შესაძლებელი არ იყო და საჭირო ხდებოდა ახალი შესატყვისის ძიება. ქართულ ძეგლებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სწორედ ასეთი ტერმინძიებითი გზა უნდა გაეწეო *παιδαγωγία*-ის ქართულად თარგმნის ისტორიას.

ბერძნული *η παιδαγωγία* ჩვეულებრივი, ყოფითი შინაარსით, როგორც მივუთითეთ, ყოველთვის აღნიშნავდა "ძალას", "სიმტკიცეს", "ძლიერებას", "გამძლეობას", "მდგრადობას", "სიმყარეს". ამ აზრით გამოიყენებოდა იგი არაფილოსოფიური ხასიათის მწერლობაში. უეჭველად ამავე მნიშვნელობით შემოვიდოდა იგი ქართულ ქრისტიანულ მწერლობაში. *παιδαγωγία* საკმაოდ ხშირია ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში. ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანების შესწავლა, ამ მხრივ, საინტერესო სურათს გვიშლის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ თხზულებებზე დაკვირვება, რომლებიც, მკვლევართა აზრით, ბერძნულზე დამოკიდებულებას ამჟღავნებს. ძველი აღთქმის წიგნებიდან ასეთია, მაგალითად, ეზეკიელის წიგნი, რომლის ქართული თარგმანი სპეციალურად შეისწავლა თ.ცქიტიშვილმა. პატივცემული მკვლევარის აზრით, უძველესი ქართული რედაქციისთვის სომხური გზა უნდა გამოირიცხოს. თ.ცქიტიშვილი გამოთქვამს ფრთხილ ვარაუდს, რომ ეზეკიელის წიგნის ოშკურ-იერუსალიმური რედაქცია ან სირიულ-ებრაული ტექსტიდან მომდინარეობს ან ბერძნულიდან, თუმცა იმ შემთხვევაშიც, თუკი პირველ მათგანს მივიჩნევთ ქართული ტექსტის თავდაპირველ წყაროდ, ჩვენს¹ ხელთ არსებული რედაქცია მაინც არ გამოირიცხავს ბერძნულ დედანს, რომელთანაც უეჭველად არის იგი შეწამებული.¹ რაც შეეხება გვიანდელ გელათურ რედაქციას, იგი, როგორც ცნობილია, უშუალოდ ბერძნულიდან მომდინარეობს.

ეზეკიელის წიგნის 43-ე ქვეთავში გვხვდება ასეთი ფრაზა: *διαγραφεις... την παιδαγωγίαν αυτου* (43,11), რაც უძველეს ქართულ ვერსიაში ასეა თარგმნილი:

"გამოუხატო მათ... ძალი მისი".

შდრ. გელათური:

"გამოსწერო გუამოვნებაჲ მისი".

როგორც ვხედავთ, ის რაც ადრე "ძალად" ითარგმნებოდა, შემდეგში "გუამოვნებით" შეიცვალა.

აღნიშნულ წიგნში კიდევ ორგზის გვხვდება *η παιδαγωγία*:

¹ ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული რედაქციები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თ.ცქიტიშვილმა თბ.1976, გვ.251-263.

1. წარწყმდა ძალი მისი
(19,5)

*απώλετο η υποστασις
αυτης*

საგულისხმოა, რომ გელათურში *η υποστασις* თარგმნილია, როგორც "განდგომად" ("წარწყმდა განდგომად მისი"). *υποστασις*-ის "განდგომად" თარგმნა სრულიად შეუძლებელია. ამ შემთხვევაში უთუოდ საქმე გვაქვს ბერძნული სიტყვის მცდარად აღქმასთან. ნაცვლად *υποστασις*-ისა, მთარგმნელს ამოუკითხავს *αποστασις*, რაც სწორედ "განდგომას" ნიშნავს.

2. სიმტკიცე ძალისა შენი-
სად ქუეყანად დასცეს
(26,11)

*την υποστασιν της ισχ-
υος σου επι την γην
καταξει*

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ შემთხვევაში *η υποστασις* თარგმნილია "სიმტკიცედ". საქმე ისაა, რომ ციტირებულ მუხლში გვხვდება სიტყვა *ισχυς*, რომელიც ძველ ქართულში "ძალად" ითარგმნებოდა. როგორც ჩანს, მთარგმნელმა ტავტოლოგიის თავიდან ასაცილებლად *η υποστασις* თარგმნა "ძალის" სინონიმური სიტყვით "სიმტკიცე". სხვათაშორის, ეს მაგალითი, ალბათ, კარგი ნიმუშია იმისა, რომ ამ დროისათვის *η υποστασις* ჯერ კიდევ არ ითარგმნებოდა "გუამად", "გუამოვნებად" ან "არსებად", თორემ გაცილებით მიზანშეწონილი იყო რომელიმე ამ სიტყვით შეეცვალა მთარგმნელს "ძალი". ე.ი. ნაცვლად თარგმანისა "ძალი ძალისა შენისაჲ...", მოეცა "გუამი" (ან "არსებაჲ") ძალისა შენისაჲ" და არა "სიმტკიცე ძალისა შენისაჲ". გელათურ რედაქციაში სწორედ ასეთი თარგმანი გვხვდება:

"გუამი ძალისა შენისაჲ ქუეყანად დააკუეთოს".

ამგვარად, ეზეკიელის ქართულ რედაქციებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ უძველეს პერიოდში (V ს.) *υποστασις*-ის შინაარსით ქართულ მწერლობაში გამოიყენებოდა სიტყვა "ძალი" (ან მისი სინონიმი "სიმტკიცე"), რაც გვიანდელ რედაქციაში "გუამით", "გუამოვნებით" შეიცვალა.

ბერძნულიდან მომდინარედ მიიჩნევა ც.ქურციკიძე "სოლომონის სიბრძნის" უძველეს ქართულ რედაქციას.² ამ ტექსტში ერთგან გვხვდება ჩვენთვის საინტერესო ტერმინი:

რამეთუ ძალი შენი სიტკ-
ბობასა... აჩუენებდა
(16,21)

*η μεν γαρ υποστασις σου
την γλυκυτητα ενεφανισε*

რაც შეეხება ამავე წიგნის გვიანდელ რედაქციას, იგი სლავურიდან არის თარგმნილი.³ მასში აღნიშნულ მუხლს ასეთი სახე აქვს:

"რამეთუ თვთებანი შენისა სიტკბობებისაჲ... გამოუცხადა".

ზემოთ მივუთითებდით, რომ "გუამოვნება" არის სინონიმური "თვითებისა"

1 შდრ. სომხ. * *ճիստարարութիւն գործեսան ըր յերկիր կործանեսցէ*.
2 ც.ქურციკიძე, ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები, II, თბ.1973, გვ.204
3 იქვე, გვ.206-216.

(ღმერთი არის სამი გვამოვნება, სამი თვითება). როგორც ჩანს, შუამავალი წყაროს (სლავურის) მიზეზით გვიანდელ რედაქციაში *υποστασις*-ის ქართულ შესატყვისად მივიღეთ "გუამოვნების" სინონიმი "თვთება".

ამგვარად, "სოლომონის სიბრძნეც" გვიდასტურებს, რომ უძველეს პერიოდში "*η υποστασις*" ითარგმნებოდა "ძალად".

ასეთსავე სურათს გვიჩვენებს ბიბლიის სხვა წიგნებიც. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

განიწყურა ძალი (შდრ. სომხ. "հաստարուքիւն") მათი" (იობ. 22,20)

ηφανισθη η υποστασις αυτων

შეკრიბა გარემოვს ძალი (სომხ. "զերուքիւն") შენი (იერ. 10,17) (შდრ. გვიანდელი თარგმანი: "შეკრიბე გარეშით გუამები")

συνηγαγεν εξωθεν την υποστασιν σου

დადგეს ქუეშე სამყაროსა ჩემსა (იერ. 23,22) (შდრ. გვიანდელი თარგმანი: "და-თუმცა-დგეს გუამოვნებასა ჩემსა შორის")

εστησεν εν τη υποστασει μου

ძალი განცხადნა (ნაუმ. 2,7)

η υποστασις απεκαλυφθη

შემძლებელ ვარ მე ქმრისა სუმად (რუთი 1,12)

εστι μοι υποστασις του γεννηθηναι με ανδρι

υποστασις გვხვდება, აგრეთვე, ფსალმუნთა წიგნში. ძველი ქართული თარგმანი თითქოს ითვალისწინებს დაკარგულ სომხურ არქეტიპს,¹ თუმცა მ.შანიძის აზრით, ჩვენს ხელთ არსებული არსებული ტექსტი ამჟღავნებს ბერძნულთან შეწამების კვალსაც.² გიორგისეული რედაქციის ძველ რედაქციასთან შედარება საინტერესო სურათს გვიშლის:

სიმტკიცე ძალისა (სომხ. "կար գորուքեսან") ჩემისაჲ (38,6)

η υποστασις μου

ბერძნულ *υποστασις*-ს ქართულში შეესატყვისება "სიმტკიცე ძალისა".

¹ ქართულ "ფსალმუნთა" თავდაპირველი თარგმანის სომხურთან მიმართებას იკვლევს მ.შანიძე. იხ. მისი, ფსალმუნთა წიგნის ძველი თარგმანები, თბ. 1979, გვ.153

² იქვე

გიორგი მთაწმინდელი ასე თარგმნის აღნიშნულ მუხლს:
 "არსებად ჩემი, ვითარცა არარად, არს შენს წინაშე".
 მოგვაქვს სხვა ნიმუშები:

1. ძალი სიმტკიცისა (სომხ. "կար գერიუხას") ჩემისად შენ ხარ (38,8)

η υποστασις μου παρα σου εστι

გიორგი: "სიმტკიცე ჩემი შენ მიერ არს"

2. მოივსენე... ვინ არს ძალ ჩუენდა (88,48)

μνησθητι τις μου η υποστασις

გიორგი: "მოივსენე შენ, რად არს არსებად ჩემი"

3. სიმტკიცე (სომხ. "კარ գერიუხას") ჩემი ქუესკნელთა თანა ქუეყანისათა (138,15)

η υποστασις μου εν τοις κατωτατω της γης

გიორგი: "სიმტკიცე ჩემი ქუესკნელთა შინა ქუეყანისათა"

ამგვარად, ფსალმუნთა წიგნის უძველეს ვერსიაში *η υποστασις*, ჩვეულებრივ, ითარგმნება, როგორც "ძალი", "სიმტკიცე", რასაც გიორგი მთაწმინდელი ზოგჯერ "არსებით" ცვლის.

"ახალი აღთქმის" წიგნებიდან *η υποστασις* ხუთგზის გვხვდება პავლეს ეპისტოლეებში. მათგან ორ შემთხვევაში (II კორ. 9,4; 11,7) ამ სიტყვას ფიგურალური გამოთქმის სახე აქვს: *εν τη υποστασει ταυτη* და უძველეს ქართულ ვერსიაში თარგმნილია, როგორც "ამის ჯერისათვის". ჩვენს ყურადღებას იპყრობს დანარჩენი სამი შემთხვევა, სადაც *η υποστασις* სწორედ ტერმინად გამოიყენება. ეს შემთხვევებია (ძველი ვერსიის პარალელურად ვუთითებთ ეფრემისეულ რედაქციას):

ა) ხატი ძლიერებისა (სომხ. *էուլხას*) მიხისად (ებრ. 1,3) (ასევეა ეფრემთან)

χαρακτηρ της υποστασεως αυτου

ბ) დასაბამი იგი ძლიერებისად (სომხ. *հասարարուխաս*) შევიკრძალოთ (ებრ. 3,14) (ეფრ. "დასაბამი იგი გუამისად... ვიპყრათ")

την αρχην της υποστασεως... κατασχωμεν

გ) არს სარწმუნოებად მოსავთა მათ ძალ (სომხ. *հասարարուխას*)

εστιν δε πιστις ελπίζομενων υποστασις

ზემოაღნიშნული სამი მაგალითიდან ვლინდება, რომ უძველეს პერიოდში *η παοστασις* ძირითადად ითარგმნებოდა, როგორც "ძალი", "ძლიერებად", რაც ერთ შემთხვევაში ტრადიციის გავლენით გვიანდელ რედაქციებშიც (კერძოდ, ეფრემისეულში) გადავიდა, სხვაგან კი შეიცვალა "გუამით". აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც ჩანს, მოგვიანებით ცვალებადობა განიცადა იმ ერთმა მუხლმაც, რომლის "ძლიერებად" შემდეგდროინდელ რედაქციებშიც შემორჩა (ებრ. 1,3). "პავლეთა" გვიანდელ გამოცემებში ეს მუხლი ასე იკითხება: "ხატი არსებისა მისისა".¹ საგულისხმოა, რომ "არსების" განმარტების დროს ი.აბულაძე თავის "ლექსიკონში" სწორედ ამ მუხლს იმოწმებს, თუმცა, ძნელი სათქმელია "პავლეთა" რომელი ხელნაწერით ხელმძღვანელობდა იგი.

ამგვარად, დამოწმებული ნიმუშები, ვფიქრობთ, სრულ საფუძველს გვაძლევს იმის სათქმელად, რომ უძველეს პერიოდში, როდესაც სათავე ედებოდა ქართულ ქრისტიანულ მწერლობას, ტერმინი *η παοστασις* მისი ყოფითი შინაარსის შესაბამისად ითარგმნებოდა, როგორც "ძალი", "ძლიერებად" "სიმტკიცე". ცხადია, ეს სიტყვები ფილოსოფიური თვალსაზრისით მოუხერხებელი იყო, რადგანაც ეგზეგეტურ-დოგმატური თხზულებების თარგმნის დროს *η παοστασις* აშკარად სხვა შინაარსის შესატყვისს მოითხოვდა. ამგვარი ხასიათის ძეგლებში, როგორც აღვნიშნეთ, *η παοστασις* გულისხმობდა არა სიმტკიცეს, ძლიერებას, ძალას, არამედ - არსებას, სუბსტანციას, აგებულებას, ბუნებას. დაახლოებით VI ისთვის აუცილებელი ხდება საკუთრივ ფილოსოფიური ხასიათის კონტექსტებში შეიცვალოს *παοστασις*-ის ადრინდელი შესატყვისები "ძალი, სიმტკიცე, ძლიერება", რადგანაც ისინი ვერ ასახავენ ბერძნული სიტყვის ფილოსოფიურ აზრს. მის შესატყვისად შემოდის ტერმინი "არსება". ეს უკანასკნელი, მართალია, კარგად ეთანხმება ბერძნული სიტყვის ფილოსოფიურ შინაარსს, მაგრამ, როგორც ზემოთ ვნახეთ, იგი გამოუსადეგარი აღმოჩნდა დოგმატური თვალსაზრისით; ვფიქრობთ, სწორედ ამიტომ იქმნება კიდევ ერთი ტერმინი "გუამი", "გუამოვნება", რომელიც VII-VIII სს-დან თანდათანობით ზოგადფილოსოფიურ კონტექსტებშიც ავიწროებს "არსებას" და მკვიდრდება, როგორც ბერძნული *παοστασις*-ისა და *ευσπαοστατος*-ის თითქმის უცვლელი შესატყვისი.

რაც შეეხება *παοστασις*-ის უძველეს შესატყვისებს "ძალს, ძლიერებას, სიმტკიცეს", ისინი სხვა ტერმინით დაზუსტების გარეშე თანაბრად შეუფერებელი იყვნენ როგორც ფილოსოფიური. ასევე დოგმატური თვალსაზრისით. პირველ საკითხს ზემოთ შევხვით. რაც შეეხება დოგმატურ თვალსაზრისს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მხრივ "ძალიც" ისეთსავე ანტიდოგმატიზმს გამოიწვევდა, როგორც ეს "არსებასთან" დაკავშირებით ვნახეთ. საქმე ისაა, რომ თუ *παοστασις*-ის შესატყვისად "ძალს" დავამკვიდრებდით, მაშინ

¹ ეს ცვლილება "პავლეთა" კრიტიკულ გამოცემაში არ ასახულა.

ბერძნული *τρεις υποστασεις* ქართულად გადმოითარგმნებოდა, როგორც "სამი ძალი", რაც ცხადია ორთოდოქსიისგან შორს დგას. მართლმადიდებლური მრწამსით, "არს ერთი უფლებად, ერთი ძალი, ერთი ფლობილებად, ერთი ველმწიფებად, ერთი პეტობად... ერთი დაუსაბამოდ ძლიერებად, ერთი სამებად სრული... ერთი ძალი ღმრთეებისად".¹

ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესო სურათს გვიჩვენებს გრიგოლ ნაზიანელის თხზულების "ნათლისღებისათვის" ძველი ქართული თარგმანები. ეს ჰომილია ითარგმნა სამგზის: მეთავე საუკუნემდე, ექვთიმე ათონელის მიერ და ეფრემ მცირის მიერ. პირველი მათგანი დაცულია "პარხლისა" და "ტბეთის" მრავალთავეებში და ყველა ნიშნით ერთერთი უძველესი თარგმანი უნდა იყოს.

ბერძნულ ორიგინალში ერთგან გვხვდება *η υποστασις* სწორედ "პირის, გუამის, თვითების" შინაარსით ანუ ღვთის სამპიროვნების განმსაზღვრელად:

θεον δε οταν ειπω, ενι φωνη περιαστραφητε και τρισι. τρισι μεν, κατα τας ιδιοτητας, ειπουσ υποστασεις (Pg.36 col.345).

აღნიშნული ტექსტი ქართულ თარგმანებში ასეა წარმოდგენილი:

ძველი: "ღმერთი ოდეს ვთქუა, ნათლითა გამობრწყინდით სამებით და რომელსამე თითოეულად და ერთ ძალ" (A-19, 183).

ექვთიმე: "ხოლო ღმერთი ოდეს ვთქუა, ერთითა ნათლითა გაბრწყინდით და სამითა. სამითა თითუებისათვის გინა გუამოვნებისა" (A-92, 705).

ეფრემი: "ღმერთი უკუე რაჟამს ვთქუა, ერთითა ნათლითა ელვარებოდით და სამითა, სამთა თვთებათათვის გინა გუამოვნებისა" (A-109, 79).

ტექსტების შედარებიდან ირკვევა, რომ ბერძნულ *υποστασις*-ს, რომელიც ექვთიმესა და ეფრემის მიერ თარგმნილია, როგორც "გუამოვნებად", უძველეს თარგმანში შეესატყვისება "ძალი". აქვე საგულისხმოა მთარგმნელისეული შემატება "ერთ". საქმე ისაა, როგორც აღვნიშნეთ, რომ პირდაპირი თარგმანის შემთხვევაში მივიღებდით "სამ ძალს", რაც ცხადია, არაორთოდოქსული აზრი იქნებოდა. ჩვენი აზრით, სწორედ ამიტომ უმატებს მთარგმნელი რიცხვით სახელს "ერთს", რითაც ცხადყოფს, რომ "სამება" "თითოეულად" ანუ თვითებებით სამია, ხოლო ძალით - ერთი. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ორიგინალი შეგნებულად არის შეცვლილი, რისი მიზეზიც უნდა ყოფილიყო სამღმერთიანობის ერესის თავიდან აცილება, რადგანაც "სამი ძალი" იმავე "სამ არსებას" მოასწავებდა.

ამგვარად, ბერძნული ტერმინი *υποστασις* არაფილოსოფიური ხასიათის კონტექსტებში ითარგმნებოდა მისი ყოფითი შინაარსით: "ძალი, ძლიერებად, სიმტკიცე", რასაც ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ტექსტებში ცვლის "არსებად", ხოლო სამების დოგმატთან დაკავშირებით "გუამოვნებად" ან "გუამი". ამ უკანასკნელი ტერმინის ერთერთი უადრესი დამოწმება გვაქვს წმ. ნინოს სახელით ცნობილ საკითხავში "ნათლისღებისათვის":

"სამნი სავსებით სრულნი სამგუამოვნებანი" (A-95, 287).

თუ საკითხავი მართლაც VI ს-ისაა, როგორც ამას ვარაუდობს მ.ესბროკი, მაშინ ამ დროისათვის ტერმინ "გუამოვნებას" უკვე მიღებული ჰქონია "ჰიპოსტასის" მნიშვნელობა.

სიძველის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს "საბა განწმედლის ცხოვრების" ძველი ქართული თარგმანი, რომელიც დაახლოებით VI-VII ს-ის მიჯნას ეკუთვნის. მასში ორგზის გვხვდება "გუამი" და ერთგზის "გუამოვნებად" *υποστασις*-ის მნიშვნელობით

სევეროს მწვალებელი "იტ-
ყოდა და დაამტკიცებდა,
ვითარმედ გუამი ბუნებად
არს და ბუნებად არს გუ-
ამი... და იკადრა თქუმად
სამი გუამოვნებად ღმრთე-
ებისად წმიდისა და თავყა-
ნისსაცემელისა ერთარსე-
ბისად სამ ბუნებად"¹

*λεγων και διαβεβαιου-
μενος εις την υποστασιν
φυσιν και την φυσιν υπο-
στασις... την αγιαν και
προσκυνητην και ομοο-
υσιον τριαδα των θειων
τριαδα φυσεων... λεγειν
τετοληκε²*

ეგვევ ტერმინი სამგზის გვხვდება "უძველეს იადგარში":

"მოვედით მორწმუნენო და სამგუამოვნებასა ღმრთეებისასა თაყუანის-
ვსცემდეთ... ერთი ძალი, ერთი არსებად, ერთი ღმრთეებად"³

"მამათა ყოვლისა მპყრობელო, სიტყუაო და სულო წმიდაო, სამგუამოვნებაო
და ერთარსებაო... შენ გაკურთხოთ მარადის უკუნისამდე".⁴

"სამგუამოვნებასა ღმრთეებისასა... აკურთხევდით".⁵

ტერმინები "გუამი" და "გუამოვნება" *υποστασις*-ის შესატყვისებად გვხვდება ალექსანდრე კვიპრელის ქრონიკის ძველ ქართულ თარგმანში. ეს ძველი მოღწეულია IX-X სს ხელნაწერებით, თვით ბერძენი ავტორი VI-ს-ის მოღვაწეა. ტექსტის გამომცემელი თ.მგალობლიშვილი აღნიშნავს: "ამის გამო თარგმანის შესრულების საზღვრები საკმაოდ მცირდება VI-დან IX საუკუნემდე. ჯერჯერობით, კვლევის ამ ეტაპზე არ მოხერხდა თარგმანის შესრულების დროის უფრო მეტად დაზუსტება".⁶

ვფიქრობთ, ძველის ლექსიკა ცხადყოფს, რომ თხზულება ქართულად თარგმნილია IX ს-ის დამდეგს, უკიდურეს შემთხვევაში, VIII ს-ის მიწურულს. მასში გვხვდება ახალსპარსული სიტყვა "დასტური" ("ველმწიფე-ყო კეისარმან, კაცი ვინმე... დასტური ერისად", გვ.42; "მეფემან წარავლინა დასტურად ამის

1 მამათა ცხოვრებანი, გვ.95

2 B.Cotelerius, Ecclesiae graece monumenta, III, Paris 1686, გვ.309

3 უძველესი იადგარი, გვ.348

4 იქვე, გვ.546

5 იქვე, გვ.452

6 ალექსანდრე კვიპრელის ქრონიკა, გვ.28

7 იხ. მანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ. 1966, გვ.308-310; იაბულაძე, მამათა სწავლანი, გვ.XVII.

საქმისათვის დალმაციოს", გვ.71), ახალსპარსულ-არაბული "ბაყლი"¹ ("შებაყლებულ არიან ცოდვითა", გვ.83), ახალსპარსული "სპასალარი" ("ესუა სპასალარსა მას პომპიოსს მეგობარი ასკალონელი", გვ.41).²

ქართულ ტექსტში, როგორც აღვნიშნეთ, *υποστασις*-ს შეეფარდება "გუამი" ან "გუამოვნება".

არარაჲ იყო ოდეს-იგი იყო სამებაჲ მხოლოდ, სწორი ბუნებითა,³ რომელი-იგი იყო თვთებითა გუამოვნებისაჲთა (გვ.35)

ουδεν γαρ ην, ει μη η αγια Τριας, η ομοουσιος, εν ταις ιδιαις αιι υπαρχουσα ιδιοτησιν ητοι υποστασεις (Pg.87, col.4017)

სამებაჲმან წმიდამან, სწორითა ბუნებითა, ერთითა გუამითა მისითა განაგო ცხორებაჲ კაცთაჲ (გვ.39)

η αγια και ομοουσιος τριας εν μια των εαυτης υποστασεων την των ανθρωπων δια σταυρου ωκονομησε σωτηριαν (col.4025)

შეაერთა გუამსა შინა თვისსა... თქუმულ არს "გუამოვნად", რამეთუ... სრულებით მოიღო კაცებაჲ იგი თვისი გუამითა თვისითა (გვ.40)

ενωσας εαυτω καθ'υποστασιν... καθ υποστασιν δε ειρηται, οτι... τελειος ων εν τη ιδια υποστασει (col.4025)

ერთი იყო ორითა ბუნებითა... გუამსა შინა ერთსა(41)

των συνελθουσων φυσεων... μιαν υποστασιν (col.4028)

შეაერთა გუამსა შინა თვისსა (გვ.46)

ενωθειση αυτη καθ'υποστασιν (col.4036)

მომდევნო პერიოდში, როგორც აღვნიშნეთ, თანდათან ფართოვდება ამ ტერმინის გავრცელების არე. მაგალითად, იგი მეტად ხშირად გვხვდება მიქაელ

1 იხ. მანდრონიკაშვილი, ... გვ.308-310; შდრ. ი.აბულაძე, მამათა სწავლანი, გვ.XVII

2 ბასილი კესარიელის "სწავლათა" ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, ცქურციკიძე გვ.041; ამ სიტყვას ქართულ მწერლობაში IX-დან დანერგილად მიიჩნევს ი.აბულაძე, იხ. ი.აბულაძე, მამათა სწავლანი, გვ.XVIII.

3 დაბეჭდილ ტექსტში იკითხება "ვითარი ბუნებითა", რაც მცდარი ფორმაა. ბერძნულში შესაბამის ადგილას გვაქვას *ομοουσιος*, რომელიც ამავე ტექსტში სხვა შემთხვევებში თარგმნილია როგორც "სწორი ბუნებითა". უეჭველად ასეთივე შესატყვისი ექნებოდა მას აღნიშნულ ადგილასაც. "ვითარი ბუნებითა" ნონსესუალური ფრაზაა, მაშინ როცა "სწორი ბუნებითა" სამების ერთ არსებას ცხადყოფს. საზოგადოდ ტექსტი კარგადაა გამოცემული, თუმცა ზემოაღნიშნულის გარდა მასში არის კიდევ ერთი შეცდომა: ნაცვლად სახელისა "მატათია", ამოკითხულია "მახათია". ამავე ფორმითაა გატანილი იგი ტექსტზე დართულ საძიებლებშიც, რაც შეცვლას საჭიროებს.

მოდრეკილის იადგარში.¹ ცხადია, მას იყენებდნენ, აგრეთვე ათონელი მოღვაწეებაც.

გიორგი მთაწმინდელი ფილოსოფიურ-თეოლოგიური შინაარსით დატვირთულ *σπουδασις*-ს, ჩვეულებრივ, "გუამოვნებად" ან "გუამად"² თარგმნის, იშვიათად კი - "არსებად", ან "აგებულებად". "არსებისა" და "გუამოვნების" სინონიმურობას (ფილოსოფიური აზრით) ცხადყოფს ერთი ადგილი გრიგოლ ნოსელის ანთროპოლოგიური შრომის გიორგი მთაწმინდელისეული თარგმანიდან, სადაც *η σπουδασις* სწორედ ამ ორი სიტყვით არის თარგმნილი:

[გონება] იპყრობს და განაგებს აგებულებასა ნივთიერისა ამის გუამოვნებისა და არსებისა.³

κρατῆσθαι δε υπο ταυτης και συνεχεσθαι το υλικον της σπουδασιως (col.161, Pg.44)

ქართული მწერლობის მომდევნო პერიოდშიც *σπουδασις*-ის ტერმინოლოგიურ შესატყვისად "გუამოვნება" არის დამკვიდრებული.

ზემოწარმოდგენილი მიმოხილვის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ ტერმინი "*η σπουδασις*" ძველ ქართულ მწერლობაში უძველესი დროიდანვე შემოდის როგორც ყოფითი, ასევე ფილოსოფიური შინაარსით. რაც შეეხება ხსენებული ტერმინის სპეციფურად ტრიადოლოგიურ მნიშვნელობას, ამ აზრით მის უცვლელ შესატყვისად დაახლოებით VI ს-იდან მოკიდებული, როგორც ზემოთ ვნახეთ, გვევლინება "გუამი" ან "გუამოვნებად", რომლებიც ძველი ქართული მწერლობის ყველა ეპოქაში ინარჩუნებენ აღნიშნულ გააზრებას. უფრო მეტიც, ეს ტერმინები VI ს-ის შემდეგ უფრო და უფრო მეტ გავრცელებას იხვეჭენ და თანთანობით ავიწროვებენ *σπουδασις*-ის ყველა სხვა შესატყვისს, ე.ი. გარდა საკუთრივ ტრიადოლოგიური შინაარსისა, "გუამი" და "გუამოვნებად" მოგვიანებით ითვისებენ *σπουδασις*-ის როგორც ზოგადფილოსოფიურ, ასევე ყოფით მნიშვნელობებს. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ რაც უფრო გვიანდელი დროის თარგმანებთან გვაქვს საქმე, მით უფრო თვალსაჩინოა "გუამოვნების" სემანტიკური დიაპაზონის გაფართოება, მისი ხმარების გახშირება *σπουδασις*-ის შესატყვისად.

1 აი, რამდენიმე ნიმუში: "სამგუამოვნებით და ერთარსებით დიდებული" (გვ.90), "სამგუამოვნებად განუყოფელი და შეურევნელი" (გვ.68), "ერთარსებით სამგუამოვნად ცნობილი" (გვ.67), "სამითა გუამითა ერთღმრთეებად" (გვ.118), "[ქრისტე] ერთი გუამი სრული ღმრთეებითა" (გვ.68), "არა აღიარებენ ერთსა ღმერთსა, სამითა გუამითა" (გვ.352), "თვთებად ორთა ნებათა შეურევნელთა და ბუნებათა შეურწყუმელთა შეზავებულთა ერთსა გუამსა შინა" (გვ.394) და სხვა.

2 მაგალითად, თალასი მონაზონი, "სიყუარულისათვის და სულიერისა ცხოვრებისა", "ერთსა გუამსა (*σπουδασιον*) ქრისტესსა განუყოფელად ვადიდებთ" (II, 97); "ერთსა გუამოვნებასა (*σπουδασιον*) აღვიარებთ ქრისტესსა" (II, 96); იხ. აგრეთვე, იქვე IV, 87, 97; "ერთღმრთეებად აღვიარებთ ყოვლადწმიდასა სამებასა სამგუამოვანსა (*τριουσπουδασιος*), IV, 85; "სამგუამოვნებასა (*τριεις σπουδασιεις*) მისსა ერთღმრთეებად ვადიდებთ" (IV, 85); "სამგუამოვნად (*τριουσπουδασιον*) თაყუანის-ვსცემთ ერთსა ბუნებასა ღმრთეებისასა" (II, 98); "სამგუამოვნებისა თვთებად" (II, 99) და სხვა.

3 გრიგოლ ნოსელი, დაბადებისათვის კაცისა, გამოსაცემად მოამზადა ნ. შალამბერიძემ (მანქანაზე გადაბეჭდილი), გვ.48. შდრ. ძველი თარგმანი: "გუამი ესე სიყმოსა შეპყრობილ იქმნეს და დაემორჩილოს მას", შატბერდის კრებული, გვ.86.15

ამგვარად, ტერმინები "გუამი" და "გუამოვნება", რომლებიც თავდაპირველად ბერძნული *ὑποστασις*-ის სპეციფურად ტრიადოლოგიურ შინაარსს გადმოსცემდნენ, თანდათანობით მის ზოგადტერმინოლოგიურ შესატყვისებად იქცნენ. ჩვენთვის ამგვარად ამ ტერმინთა სწორედ ტრიადოლოგიური შინაარსია საყურადღებო.

ზემომოტანილი ნიმუშები ცხადყოფს, რომ ტერმინები "გუამი" და "გუამოვნება" ღვთის სამპიროვნების აღმნიშვნელად ანუ ბერძნული *ὑποστασις*-ის სპეციფიკურად ტრიადოლოგიური შინაარსის გადმომცემად დაახლოებით VI ს-იდან უკვე ფაქტია. ინტერესს იწვევს თვით ტერმინის წარმოშობა.

ცნობილია, რომ "გუამი" უძველესი დროიდანვე ყოფითი აზრით ნიშნავდა ადამიანის "სხეულს", "ტანს" (ბერძნ. *το σωμα* სომხ. *մարմին*). ძველ ქართულ მწერლობაში ესაა მისი ყველაზე უფრო გავრცელებული მნიშვნელობა (დღეს "გუამი" "მკვდარ სხეულს" აღნიშნავს). ამ აზრით ხსენებულ ტერმინს არაფერი აქვს საერთო ბერძნულ *ὑποστασις*-სთან, რომელიც არც ეტიმოლოგიურად, არც გადატანითი მნიშვნელობით ადამიანის "ტანს", "სხეულს" არ გულისხმობს. ასე რომ, ტრიადოლოგიური შინაარსის "გუამი" ბერძნული *ὑποστασις*-ის მიხედვით შექმნილი ტერმინი აშკარად არ არის. ვფიქრობ, იგი ტერმინული აზრით უშუალოდ უკავშირდება არა ბერძნულ *ὑποστασις*-ს, არამედ სომხურ *անձն*-ს.

անձն ტერმინოლოგიური შესატყვისია ბერძნული "ჰიპოსტასისა". საზოგადოდ, ეს ტერმინი შემდეგ მნიშვნელობებს მოიცავს:¹ თვით, თვითონ, თავად, პიროვნება (გადმოსცემს ბერძნულ *αυτος, εμαυτου, σεαυτου, εαυτου*, ლათ. *ipse, ipsius*. (2) სული (*ψυχη, anima*); (3) სხეული, ტანი ადამიანისა (*մարմին, մարդ*); (4) ჰიპოსტასი, პირი ღვთისა (*ὑποστασις, προσωπον*); (5) არსება (*ὑποστασις, ουσια, subsistentia, res subsistens*);

საყურადღებო გვეჩვენება იმის აღნიშვნა, რომ ყოფითი შინაარსის მქონე *անձნ* ძველად ხშირად ითარგმნებოდა, როგორც "გუამი". ამის კარგი ნიმუშია ზემოგანხილული თხზულება "სახისმეტყველი", რომელიც ნ.მარის გამოკვლევით აშკარად სომხურიდან არის თარგმნილი (ამ ძეგლის შესახებ ვრცელი მსჯელობა გვქონდა ტერმინ *φυσικ*-ის განხილვის დროს). მოგვაქვს სათანადო მაგალითები:

"მოიდრიკა გუამი (*անձն; εαυτου*) მისი, რადთა ჩუენ აღვმალლდეთ"
(II კორ. 11,7)²

"მიფლიეს გუამი (*անձն; η ψυχη*) ჩემი დადებად, მიფლიეს მერმე აღებად იგი" (იოანე 10,18)³

1 ბერძნულ-ლათინურ შესატყვისებს ვუთითებთ ზემოაღნიშნულ ლექსიკონიდან *სიქსტუს ლუკსის* *ხარკანახ ცეიხი* I, 1836 (1979), 192

2 შატბერდის კრებული, გვ.179; შდრ. "პავლენი": "თავი თვისი დავიმდაბლე, რადთა თქუენ აღვმალლდეთ".

3 იქვე, გვ.179; შდრ. აღიშის ოთხთავი: "მე დავდვა თავი ჩემი, რადთა მერმე აღვილო იგი... ვულმწიფება მაქუს დადებად იგი და ვულმწიფება მაქუს აღლებად იგი". ჭრუჭ-პარხლის ვერსიებში ნაცვლად "თავისა" გვაქვს "ხული" (შდრ. *ψυχη*).

"ფრინველსა უფლიეს მოკლვად გუამისა (αυαυ; εαυτο) თვისისა"¹

"მიფლიეს გუამისა (αυαυ; η ψυχη) ჩემისა დაღებად და მიფლიეს აღებად იგი"²

"იძიე გუამისა (αυαυ) შენისათვის საგონებელი ანთრაკი"³

წარმოდგენილი ნიმუშები ქართულ "გუამს" სომხური ანძნ-ის შესატყვისად წარმოგვიდგენს. საფიქრებელია, რომ "გუამის" საკუთრივ ჰიპოსტასური გააზრება სწორედ ამგვარ შესატყვისობას დაეფუძნა. ხსენებულმა ქართულმა სიტყვამ ყოფითი მნიშვნელობების გარდა სომხური αὐαυ-ის სპეციფურად ტრიადოლოგიური გააზრებაც შეითვისა და, შესაბამისად, ისიც ღვთის პირის, ანუ ღვთის ჰიპოსტასის აღმნიშვნელ ტერმინად წარმოჩნდა.

II. ტერმინის შესატყვისი სემიოტიკა გაბალოვნელის "მქუსთა ღღეთას" ქართულ თარგმანში:

ხსენებული ძეგლის ორიგინალში ტერმინი *η ψπιοστασις* ორგზის გვხვდება სპეციფიკურად ტრიადოლოგიური შინაარსით. ქართულ თარგმანში მის შესატყვისად თითქოს "გუამი" ან "გუამოვნებად" უნდა გვქონოდა, მაგრამ ამგვარი ალბათობა ჩვენთვის წინდაწინვე არასარწმუნო ჩანდა, რადგანაც ჰიპოსტასური გააზრების მქონე ხსენებული ქართული ტერმინები, რომლებიც ამ შინაარსით სომხურ ქრისტიანულ მწერლობასთან მჭიდრო კონტაქტის შედეგად უნდა ყოფილიყვნენ აღმოცენებულნი, ცხადია, თავს ვერ იჩენდნენ ისეთ თარგმანში, რომელიც, ჩვენი აზრით, უთუოდ წინ უნდა უსწრებდეს არმენოფილურ ხანას ქართულ მწერლობაში.

მართლაც, ორივე შემთხვევაში ბერძნული *η ψπιοστασις*-ის შესატყვისად ქართულ თარგმანში გვხვდება არა "გუამი" ან "გუამოვნებად", არამედ ღღემდე ამ შინაარსით სრულიად უცნობი ტერმინი "ზედამდგომელი".

ზემონახსენები ორი მაგალითიდან პირველში სევერიანე გაბალოვნელი მსჯელობს იმის შესახებ, რომ "შესაქმის" სიტყვები "ვქმნეთ კაცი"(1,26) მოასწავებს ერთარსება ღვთის ჰიპოსტასურ სიმრავლეს, ანუ სამებას. თეოლოგის მითითებით(და ეს გამეორებაა წინარე ღვთისმეტყველთა შეხედულებებისა), მრავლობითი ფორმა "ვქმნეთ" სწორედ სამპიროვნების მაუწყებელია. ვგზეგეტი აღნიშნავს:

1 შატბერდის კრებული, გვ.179

2 შატბერდის კრებული, გვ.181

3 შატბერდის კრებული, გვ.185. სომხური ანძნ იმავე ძეგლში სხვაგან გადმოღებულია, როგორც "თავი": "თავი (ანძნ) შეიწვს" (გვ.179); "პირუტყუ-ქმნეს თავი (ანძნ; η ψυχη) თვისი" (გვ.182); ანძნ-ის შესატყვისად გვხვდება, აგრეთვე, "სული": "სახეტკბილებითა შეიტყუვებენ სულთა (ანძნ; η ψυχη) დაუმტკიცებელთა" (რომ. 16,18; გვ.182); "სურინ სულსა (ანძნ; η ψυχη) ჩემსა შენდამი, ღმერთო" (ფს. 41,2; გვ.190); "გუამის", "თავის", "სულისა" და ანძნ-ის ურთიერთმიმართების შესახებ იხ. H.Marr, *Физиолог*, СПб. 1904, с.68;73;81)

"ვქმნეთ კაცი" ეს ნათქვამი ცხადყოფს მთქმელსა და მსმენელს... "ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდა", ამ სიტყვებით დაიცვა ღმერთმა ჰიპოსტასთა წესი".

აი, სათანადო ქართულ-ბერძნული ტექსტი:

"ვქმნეთ კაცი", სიტყუად შემოჰყავს, - რომელმან თქუა, რომელმან ისმინა... "ვქმნეთ კაცი ხატად ჩუენდა და მსგავსად ჩუენდა". დაჰმარხა ზედამდგომელთა მათ საბრძანებელი (129)

"ποιησωμεν ανθρωπον". το ρημα δηλοι τον λεγοντα και τον ακουοντα... Ποιησωμεν ανθρωπον και εικονα ημετεραν και ομοιωσιν. Ἐφύλαξε και των υποστασεων την ταξιν (col.465)

სიტყვა "ზედამდგომელი" კარგად არის ცნობილი ძველ ქართულ მწერლობაში. იგი ნიშნავს "ზედამხედველს", ანუ მას, ვინც, დ.ჩუბინაშვილის თქმით, არის "თავს მდგომი და რიგის მიმცემი". საბას განმარტებით, "ზედამდეგი"(რაც იგივე "ზედამდგომელია") არის "ზედ მოურნე". ხსენებული სიტყვა, ჩვეულებრივ, გადმოსცემს ბერძნულ *επιστατης*-ს (*επι*-ზედა; *-στατης*-მდგომელი). მაგალითად:

"და დაადგინნა მათ ზედა ზედამდგომელნი საქმისანი (A-179 - "ზედამდგომნი საქმეთანი)" გამოსლ. 1,11.

επεστησεν αυτοις επιστατας των εργαων

"რომელნი-იგი დაედგინნეს მათ ზედა ზედამდგომელთა მათ" (გამოსლ. V, 14)

οι κατασταθεντες επ'αυτοις υπο των επιστατων.

"რომელი იყო ზედამდგომელი კაცთა"(იერ. 52,25)

ος ην επιστατης των ανδρων

"... ზედამდგომელად სახლსა შორის უფლისასა"(იერ.29,26)

... επιστατην εν τω οικω κυριου

ჰიპოსტასის ტერმინულ შესატყვისად "ზედამდგომელის" გამოყენება, ჩვენი აზრით, სრულიად თვალსაჩინოს ხდის ქართული თარგმანის განსაკუთრებულ არქაულობას. ვერ ვიფიქრებთ, რომ აქ საქმე გვექონდეს მთარგმნელისეულ ლათსუსთან, რომელმაც იქნებ ვერ გააცნობიერა ხსენებული ბერძნული ტერმინის სპეციფურად ტრიადოლოგიური შინაარსი და კალკირებულად თარგმნა იგი. ამას ვერ ვიფიქრებთ იმიტომ, რომ კალკირებული თარგმანის შემთხვევაში უნდა გვექონოდა არა "ზედამდგომელი", არამედ - "ქვე დგომა", ანდა გაატრიბუტებული "ქვემდგომელი". ამგვარი შესატყვისი, ცხადია, შეუფერებელი იქნებოდა უზენაესი, საღვთო ძალმოსილებისათვის. სიტყვა "ზედამდგომელი", ვფიქრობთ, აშკარად გვიჩვენებს, რომ მთარგმნელი, ერთი მხრივ, ეყრდნობა ბერძნული *υποστασις*-ის ძირეულ მნიშვნელობას (*στασις*-

დგომა), მეორე მხრივ, სრულად აცნობიერებს, რომ ხსენებული ტერმინი უზენაესი არსების, მთელი შესაქმნის ზედამხედველი ძალის პირებს უკავშირდება და ამ ორივე მომენტის გათვალისწინებით ქმნის შეძლებისდაგვარად შესაფერის შესატყვისს.

მეორე შემთხვევაში კიდევ უფრო აშკარად ჩანს ბერძნული "σποσιασιν"-ის სპეციფურად ტრიადოლოგიური მნიშვნელობა. სევერიანე გაბალოვნელი აგრძელებს მსჯელობას იმის შესახებ, რომ ზმნის მრავლობითი ფორმა "ვქმნეთ" გულისხმობს ერთარსება ღვთის ჰიპოსტასურ სიმრავლეს. იგი აღნიშნავს:

"ითქვა 'ვქმნეთ', რათა ღმერთმა ცხადდეს ჰიპოსტასური მრავლობითობა". შესაბამისი ბერძნული ტექსტი და მისი ძველი ქართული თარგმანი ასეთია:

"ვქმნეთ", რათა განმრავლებად ზედამდგომელთა მათ აჩუენოს"(129)

Ποιησωμεν. ινα το πληθυντικον των σποσιασεων δειξη (col. 465)

მოტანილ ციტატაში "ზედამდგომელის" ჰიპოსტასური (და, ამდენად, ტერმინული) შინაარსი სრულიად აშკარაა. საეჭვო არ უნდა იყოს, რომ მთარგმნელი კარგად აცნობიერებს ბერძნული ტექსტის შინაარსს, და თუ მაინც "ზედამდგომელად" თარგმნის იგი ბერძნულ σποσιασιν-ს, როგორც ჩანს სხვა საშუალება არა აქვს.

ამგვარად, ვფიქრობთ, აშკარაა რომ "ზედამდგომელი" უნდა იყოს ჰიპოსტასის აღმნიშვნელი უძველესი ქართული ტერმინი, რომლის სხვა დამოწმება (აღნიშნული შინაარსით) დღესდღეობით ჩვენთვის უცნობია.

Μονογενής

1. ტერმინის კვლევი ქართული შესატყვისები

ბერძნული *μονογενής* კომპოზიტია: მიღებულია ორი სიტყვისაგან: *μονος* - ერთეული, მხოლოდ, ერთი; *γενναω* - შობა, *γενής* - შობილი.

იგი აღნიშნავს "მხოლოდშობილს", "დედისერთას".

ეს სიტყვა "ძველი აღთქმის" წიგნებში ასეა თარგმნილი:

"და იგი იყო იამაკრი მისი, და არა ესუა მას მისსა გარეშე მე, გინა ასული" (A-51, H-885. შდრ. გელათური: "და იგი მხოლოდშობილი იყო"...) (მსაჯ.11,34)

"მარტოდშობილ ვარ მამისა ჩემისაგან" (ტობ. 3,15)

"აკურთხენ ორნი იამაკრნი და მშობელნი მათნი"(ტობ. 8,17)

"რამეთუ იამაკრი ვარი, და ძჳ სხუად გინა ასული არა უვის მათ" (ტობ. 6,15)

"ივსენ... მხოლოდშობილებად ჩემი" (ფს. 21,21)

"შემიწყალე მე, რამეთუ მხოლოდშობილ და გლახაკ ვარი მე" (ფს. 24,16)

"განაშორე... ლომთაგან მხოლოდშობილებად ჩემი" (ფს. 34,17)

"ახალ აღთქმაში" აღნიშნული სიტყვა ცხრაჯერ გვხვდება:

უძველესი რედაქციების ჩვენება ასეთია:

1. აჰა ესერა, გამოაქუნდა მკუდარი ძჳ მხოლოდშობილი (ლ.7,12)

2. ასული მარტოდ ესუა მას (ლ.8,42)

3. მოიხილე ძესა ზედა ჩემსა, რამეთუ იგი ხოლო მარტოდ მივის" (ლ.9,78)

4. ვიხილეთ დიდებად მისი, ვითარცა დიდებად მხოლოდშობილისად მამისა მიერ (ი.1,14)

5. ღმერთი არასადა ვინ იხილა, გარნა მხოლოდშობილმა ძემან (ი.1,18)

6. რამეთუ ესრჳთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი, ვითარმედ ძჳცა თვისი მხოლოდშობილი მოჰსცა მას (ი.3,16)

7. ჰრწმენა სახელი მხოლოდშობილისა ძისა ღმრთისად (ი.3,18)

8. მხოლოდშობილსა მას შესწირვიდა (ებრ.11,16)

9. ძჳ თვისი მხოლოდშობილი მოავლინა ღმერთმან სოფლად (1 იოვ.4,9).

როგორც ვხედავთ, *μονογενής* ქართულად ითარგმნებოდა სიტყვებით: "იამაკრი", "მხოლოდშობილი", "მარტოდშობილი", "მარტოდ". ეს უკანასკნელი

სიტყვა (ისევე, როგორც "მხოლოდ"), ჩვეულებრივ, ბერძნულ *μονος*-ს გადმოსცემს. ზემოაღნიშნულ ორ შემთხვევაშიც, საფიქრელია, მისი უშუალო შესატყვისი სწორედ ეს სიტყვა ყოფილიყო, რადგანაც თვით ბერძნულში *μονος* და *μονογενης* ხშირად ენაცვლება ერთმანეთს ვარიანტულად.

"იამაგრის" შესახებ სპეციალურად მსჯელობს ე.დოჩანაშვილი. მკვლევარი ცხადყოფს, რომ ეს სიტყვა, რომელიც მეტად შეზღუდულად იხმარებოდა ძველ ქართულში, არის სომხური მიამორ (დედისერთა). "მსაჯულთა" და "ტობის" წიგნებში ამ სიტყვის არსებობა, ე.დოჩანაშვილის მტკიცებით, სომხურზე დამოკიდებულებას მიანიშნებს.

ბერძნულიდან თარგმნილ ტექსტებში "მხოლოდშობილი" *μονογενης*-ის უცვლელი შესატყვისია. *μονογενης* თეოლოგიურ მწერლობაში კონკრეტულად ძე ღმერთია. იგი არ შეიძლება ეწოდოს მამა ღმერთს ან სულიწმინდას, რადგანაც არც მამა ღმერთია "შობილი" და არც სულიწმინდა.

ამ ტერმინის თარგმანი "მხოლოდშობილი", როგორც ზემომოტანილი ციტატები ცხადყოფს, უძველესი დროიდანვე დამკვიდრებულა ქართულ მწერლობაში. გარდა ბიბლიური წიგნებისა, ამასვე მოწმობს სხვა უადრესი თარგმანებიც.

1. ათანასე ალექსანდრიელი "შობისათვის":

რომელი-იგი საუკუნეთა უწინარსს მხოლოდშობილ²

ο προ αιωνων Μονογενης
(Pg.56, col.388)

2. ეპიფანე კვპრელი, "ქალწულისა მარიამისთვის":

"აღადგინა იგი ღმერთმან უფალი და სიტყუად და ძს მხოლოდშობილი"³

3. იოანე ოქროპირი, "ნათლისღებისათვის":

გუესმა იორდანესა ზედა მოსლვსათვის მხოლოდშობილისა⁴ ესრჷთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი... ვიდრემდე ძსცა თვისი მხოლოდშობილი მოსცა მონათათვის უკეთურთა⁵

4. კირილე იერუსალიმელი, ნათლისღებისათვის:

გაქუს შენ საქადულად ნათლისღებისად თავადი ძს ღმრთისად მხოლოდშობილი⁶

εχεις καυχημα του βαπτισματος, αυτον τον Υιον του θεου τον μονογενη
(Pg.33, col.440)

1 მცხეთური ხელნაწერი, თბ. 1981, გვ.40-43, მცხეთური ხელნაწერი, თბ. 1983, გვ.11-12.
2 სინური მრავალთავი, გვ.33
3 იქვე, გვ.50
4 იქვე, გვ.75
5 იქვე, გვ.81
6 იქვე, გვ.87

5. ევსუქი იერუსალიმელი, ტაძრად მიყვანებისათვის:

თავყანის-სცემდენ კაცნი... ძესა მისსა მხოლოდშობილსა¹

6. ტიმოთე იერუსალიმელი, ტაძრად მიყვანებისათვის:

მხოლოდშობილი ძს
ღმრთისაჲ²

*ο μονογενης του θεου
Υιος (Pg.86, col.248)*

7. სეკერიანე გაბალოვნელი, შესხმისათვის ყრმათაჲსა:

მხოლოდშობილი ძს ღმრთისაჲ ქუეყანასა ზედა ირუენებოდა³

მხოლოდშობილი ძსცა მეუფე არს⁴

შეურაცხება რადმე ეგონოს მხოლოდშობილისათვის⁵

8. მელეტი ანტიოქიელი, აღდგომისათვის მკუდრეთით:

აღდგა მხოლოდშობილი ძს ღმრთისაჲ⁶

9. კირილე იერუსალიმელი, აღდგომისათვის მკუდრეთით:

წამეს აღდგომაჲ მხოლოდ-
შობილისაჲ⁷

*εμαρτυρησαν τη αναστα-
σει του Μονογενης
(Pg.33, col.853)*

10. იოანე ოქროპირი, საკითხავნი მარტვლიისანი:

მოწამე არს ველი მხოლოდშობილისაჲ⁸

11. კირილე იერუსალიმელი, მარტვლიისათვის:

მხოლოდშობილისა სიტყუანი მოგუმადლნა ჩუენ⁹

1 სინური მრავალთავი, გვ.91
 2 იქვე, გვ.97
 3 იქვე, გვ.136
 4 იქვე, გვ.138
 5 იქვე, გვ.138
 6 იქვე, გვ.154
 7 იქვე, გვ.166
 8 იქვე, გვ.183
 9 იქვე, გვ.185

12. იოანე ოქროპირი, საკითხავნი ფერისცვალებანი:

ვიხილე დიდებაჲ მისი, ვითარცა მხოლოდშობილისაჲ¹

13. იოანე ოქროპირი, გარდაცვალებისათვის ღმრთისმშობლისა:

რომელმან დაიტყე მხოლოდშობილი ძმ ღმრთისაჲ²

14. იოანე ოქროპირი, სატფურებისათვის:

მხოლოდშობილი ძმ ღმრთისაჲ კაც იქმნა³

15. კირილე იერუსალიმელი, მიგებებებისათვის უფლისა:

ქრისტე მხოლოდ, მხოლო-
დსაგან მხოლოდ, მხოლო-
დშობილი (თ.მგალობლიშვი-
ლის მიერ მომზადებული
პუბლიკაცია, გვ.18-19)

*Χριστος δε ο μονος εκ
μονης του μονου, Μονο-
γενης (Pg.33, col.1193)*

16. მისივე, აღდგომისათვის:

ესე სძალი არს... მხო-
ლოდშობილისა ძისა
ღმრთისაჲ⁴

*ητις συμφη μεν εστι... του
μονογενους Υιου του θεου
(col.1048)*

17. მისივე, სულისა წმიდისაჲ:

მხოლოდშობილისათვის ძისა ღმრთისა... გასწავებდით⁵

ქრისტე მხოლოდშობილი
იყო⁶

*Χριστος ην ο Μονογενης
(col.976)*

ესოდენისა კეთილისა მო-
მატყუებელ არს მხოლო-
დშობილი⁷

*οσων τε αγαθων προξενος
εστιν ο Μονογενης
(col.976)*

... ძისა მისისა მხოლოდ-
შობილისა⁸

*... τον Υιον αυτου τον
μονογενη (col.1009)*

1 სინური პრაველთავი, გვ.196

2 იქვე, გვ.203

3 იქვე, გვ.221

4 კლარჯ.პრ., გვ. 268

5 იქვე, გვ. 322

6 იქვე, გვ. 324

7 იქვე.

8 იქვე, გვ. 335

18. მისივე, სინანულისათვის:

განმზადებულ არს მოსლ-
ვად ძქ ღმრთისად მხო-
ლოდშობილი¹

*ετοιματος παρεστιν ο μο-
νογενης Υιος του θεου*
(col.369)

ქემან მხოლოდშობილმან
არა-მე უფროდს გვოხნეს
ჩუენ ღმრთისაგან?²

*Ιησους ο μονογενης αι-
ων υπερ ημων ου δυσ-
ωπει τον θεον* (col.393)

19. თალალას წამება:

არს ღმერთი ჭეშმარიტი და მხოლოდშობილი ძქ მისი (H-341)

20. კალისტრატეს წამება:

მხოლოდშობილება ჩემი (H-341, 773)

21. მამაძს წამება:

გეფუცები მამასა და ძესა მისსა მხოლოდშობილსა (H-341, 404)

22. ბარბარას წამება:

ასული შენი ვარ და შვილი შენი მხოლოდშობილი (H-341, 165)

23. იოანე ოქროპირი, აღდგომისათვის:

ამას დღესა კვრიაკესა განცხოველდა მხოლოდშობილი იგი (A-144
47v)

24. პროკლე კონსტანტინოპოლელი, ნათლისღებისათვის:

ვადიდებთ მხოლოდშობილსა ძესა (A-95, 25)

წარმოდგენილი სურათი ცხადყოფს, რომ "მხოლოდშობილი" *μονογενης*
-ის შესატყვისად უძველესი დროიდანვე საბოლოოდ დამკვიდრდა ქართულ
მწერლობაში.

¹ კირილე იერუსალიმელის კომილიები, გამოსაცემად მომზადებულია
თ.მგალობლიშვილის მიერ (მანქანაზე გადაბეჭდილი). გვ. 128

² იქვე, გვ. 143

II. ტერმინის უსაბუჯვისი სეპარირაჲს თხზულების ქართულ თარგმანში:

ჩვენთვის საინტერესო ძეგლი ამ ტერმინთან დაკავშირებითაც უჩვეულო სურათს გვაწვდის. ბერძნული *μονογενης* ქართულად თარგმნილია, როგორც "მხოლოდყოფილი":

იტყვს აწ ნეტარი ესაია მხოლოდყოფილისა ძისა ღმრთისა, ღმრთისაგანსა, რომელი-იგი ჩუენთვის წესითა მით ჩუენებრ მოვიდა (129)

სახედ აღიარებენ მხოლოდყოფილსა (136)

უკუეთუ ვთქუათ "მხოლოდყოფილი", მეყსეულად თქუას და: "პირმშო ყოვლისა დაბადებულისა" (კოლ. 1,15;136)

პირმშოჲ არა მხოლოდყოფილ არს (გვ.136)

უკუეთუ არა მხოლოდყოფილ, არცა პირმშო (გვ.136)

ხოლო მხოლოდყოფილსა ძმა თუ ესხნენ, მხოლოდყოფილ არა არს (გვ.136)

მოიყვანე ძე შენი მხოლოდყოფილი (გვ.136)

მხოლოდყოფილ, რომელსა არა ესხნიან ძმანი, ერქუმის მხოლოდყოფილ (136)

და სხუაცა მხოლოდყოფილ არს (136)

მხოლოდყოფილ, რამეთუ მარტოდ იყო (136)

λεγει τοινυν ο μακαριος Ησαιας περι του μονογενους Υιου του θεου, του δι ημας σχηματι τω καθ ημας επιδημησαντος (col.465)

σχηματι ομολογουσι Μονογενη (col.467)

εαν ειπωμεν μονογενη Υιον, ευθεως λεγουσι Γεγραπται και Πρωτοτοκος πασης της οικουμενης (col.467)

ει γαρ πρωτοτοκος, ου μονογενης (col.467)

ο δε μονογενης, εαν αδελφους εχη, μονογενης ου λεγεται (col.467)

λαβε τον υιον σου τον μονογενη (col.467)

ο δε μονογενης, τω μη εχειν αδελφους, λεγεται μονογενης (467)

και ετερως δε μονογενης (col.467)

μονογενης οτι μονος εγενετο (467)

ეგრეცა უკუე და მზეცა¹
მხოლოდყოფილ (136)

ουκουν και ο Ηλιας *μο-
νογενης* (col.467)

არამედ მხოლოდყოფილე-
ბასა ჩუეულად იტყვს წიგ-
ნი მარტოსა მას, ვისგან
იშვა (136-137)

*αλλα μονογενη εθος λε-
γειν τη Γραφη τον μονον
εκ τινος γεννηθεντα* (467)

მხოლოდყოფილსა თუ ძმა-
ნი ესხნენ, მხოლოდყო-
ფილ არა არს (137)

მათი არს პირმშოთად ვორ-
ციელად ქრისტე, ხოლო
ღმრთეებისათვს მხოლოდ-
ყოფილ (138)

*εκεινων των πρωτοτοκων
εις εστι κατα σαρκα
Χριστος, κατα την θεοτη-
τα Μονογενης* (col.468)

დამბადებელი მხოლოდყო-
ფილი სიტყუად (40)

*ο μονογενης Λογος και
Κτιστης* (col.441)

მხოლოდყოფილისა მის გა-
მოსლვად (115)

*του Μονογενους επεξι-
εναι* (col.460)

მხოლოდყოფილისა თაყუ-
ანისცემად (143)²

*η του Μονογενους προσ-
κυνησις* (col.470)

როგორც ვხედავთ, "*μονογενης*" ჩვენს ძეგლში თარგმნილია "მხო-
ლოდყოფილად". ინტერესს იწვევს კომპოზიციის მეორე ნაწილის (-*γενης*)
თარგმნა, როგორც "ყოფილი" და არა "შობილი". "ყოფილი" მიღებულია "ყოფა"
ზმნისგან, რომელსაც ძველ ქართულში ორი მნიშვნელობა ჰქონდა: 1. ქმნა,
კეთება 2. ყოფნა. შესაბამისად, "მხოლოდყოფილს" შეიძლება ორგვარი
გააზრება მიეცეს: 1. მხოლოდქმნილი. 2. მხოლოდარსებული, მხოლოდყოფი.

როგორც აღვნიშნეთ, *μονογενης* კონკრეტულად ძე ღმერთის სახელია.
სამების პირებს თითქმის არ მოეპოვებათ ერთმანეთისაგან განსხვავებული
სახელები. ერთადერთი ნიშანი, რაც კონკრეტულად მამა ღმერთს მიემართება,
გამოიხატება ტერმინით *αγενητος* (უშობელი), ძე ღმერთის ასეთივე
განმასხვავებელი სახელია *μονογενης* (მხოლოდშობილი), ხოლო სულიწმინ-

¹ მთარგმნელმა *Ηλιας* (ელია) ამოიკითხა, როგორც *Ηλιος* (მზე)

² ერთადერთ შემთხვევაში ნაცვლად "მხოლოდყოფილისა" გვაქვს ხელნაწერებში
"მხოლოდშობილი": "განუმარტე სიტყუად პირმშოდსათვს და მხოლოდშობილისა" (ბერძნ.
μονογενη; გვ.137). ეჭვი არ არის, თავდაპირველ ტექსტში ამჯერადაც "მხოლოდყოფილი"
გვექნებოდა, რაც გვიანდელ გადამწერებს ტრადიციის ძალით "მხოლოდშობილად"
შეუცვლიათ. ამგვარი შენაცვლების შესაძლებლობას ისიც ადასტურებს, რომ ერთერთ
ზემოციტირებულ ნიმუშში: "დამბადებელი მხოლოდყოფილი სიტყუად" (გვ.40), ტერმინი
"მხოლოდყოფილი", რაც უთუოდ თავდაპირველი ფორმაა (ამ ფორმას იცავს B
ხელნაწერი), A ხელნაწერში შეცვლილია, როგორც "მხოლოდშობილი".

დისა - *εκπορευτος* (გამომავალი).¹ იპოლიტე რომაელის ავტორობით ცნობილ თხზულებაში "სარწმუნოებისათვის" ვკითხულობთ: "მამა არა შობილ და მშობელ არს; და ძმ არა მშობელ და შობილ არს მამისაგან, და სული წმიდად - არცა მშობელ, არცა შობილ, არამედ გამომავალ... რამეთუ მამისაგან გამოვალს".² აგრეთვე: "აღვიარებთ და უწყით მამად... უშობელ... და ძმ შობილი, მხოლოდშობილ... და სული წმიდად გამომავალი".³

სამების ცალკეულ პირთა თვისობრივი სახელები, რაც არ შეიძლება ერთმანეთში ავურიოთ, სამია: მამისათვის - "უშობელი", ძისათვის - "შობილი", სული წმიდისათვის - "გამომავალი".

ძე ღმერთი არის არა მარტო "შობილი", არამედ "მხოლოდშობილი", რადგანაც იგი ერთადერთი ძეა მამა ღმერთისა. სული წმიდა არ არის მისი "ძმა". შდრ: "სული წმიდად... არა ითქუმის ძმა ძისა, რამეთუ არა არს ნაშობ".⁴

თუ "მხოლოდყოფილს" "მხოლოდარსებულს" ანუ "მხოლოდყოფის". შინა-არსს მივანიჭებთ, სრულ ნონსენს მივიღებთ; ეს ტერმინი კონკრეტულად ძე ღმერთს გულისხმობს, მის შესახებ კი, არც ორთოდოქსული, არც არაორთოდოქსული აზრით, არ შეიძლება ითქვას, რომ იგი "მხოლოდ არსებულია", რადგანაც ძე ღმერთი "არსებობს" კიდევ ორი ჰიპოსტასის "მამისა" და "სულის" ერთარსებაში. *μονογενης* რომ მთლიანად სამების ეპითეტი ყოფილიყო, მაშინ "მხოლოდარსებულს" გამართლება ექნებოდა, მაგრამ რამდენადაც მასში კონკრეტულად, განცალკევებით ძე ღმერთი მოიაზრება, *μονογενης*-ის "მხოლოდარსებულს" შინაარსით დატვირთვა შეუძლებელი ჩანს.

"მხოლოდყოფილის" მეორე მნიშვნელობაა "მხოლოდქმნილი" (ყოფა=ქმნა; ყოფილი=ქმნილი). როგორც ჩანს, სწორედ ამ შინაარსს შეიცავს იგი. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ კომპოზიტის მეორე წევრის - *γενης*-ს "არსებულად" აღქმა მოულოდნელია, მაშინ როცა სრულიად მიზანშეწონილია, მასში "ქმნის, კეთების" შინაარსი ჩაედო მთარგმნელს.

ბერძნულ მწერლობაში დიდ სირთულეებს იწვევდა ორი ზმნა: *γεννομαι* - "ქმნა", "კეთება" (create; make)⁵ და *γενναω* - "შობა" (beget, engender).⁶ მართალია, აღნიშნული ზმნური ფორმები გრაფიკულად სხვაობს, მაგრამ მათგან წარმოქმნილი არსებითი და ზედსართავი სახელები, აგრეთვე, მიმღეობები დიდად ემსგავსებიან ერთმანეთს. მათ შორის ძალიან ხშირად განსხვავებას ქმნის მხოლოდ ერთი ასო *v* (ნიუ). თუ იგი გაორმაგებულია, მაშინ მოცემული სიტყვა "შობას" გულისხმობს, მაგრამ თუ იმავე სიტყვაში მხოლოდ ერთ *v*-ს დავტოვებთ, მაშინ იგი "ქმნის, კეთების" აღმნიშვნელი გახდება. მაგალითად, *γενητος* ნიშნავს "ქმნილს, შექმნილს" (created), ხოლო

1 ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ფაქტი აღნიშნულია. იხ. ე.ხინთიბიძე, მსოფლმხედველობითი პრობლემები ვეფხისტყაოსანში, თბ.1975, გვ.139.

2 შატბერდის კრებული, გვ.294

3 იქვე, გვ.294-295

4 იქვე, გვ.294

5 G.W.H Lampe, A Patristic Greek Lexicon, Oxford 1961, col. 319

6 იქვე, col.312

γεννητος - შობილს (begotten, generated)¹; *αγενητος* არის "შეუქმნელი" (= *ακτιστος*), ხოლო *αγεννητος* - "უშობელი". ხშირად *ν*-ს გაორმაგება აგრძელებს მომდევნო ხმოვანს, რაც დიდ გრაფიკულ სხვაობას ვერ იწვევს: *το γενομενον* გულისხმობს "ქმნილს", ხოლო *το γενναμενον* - შობილს.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საყურადღებოა ეფრემ მცირის ერთი სტოლიო: "ბერძულად მსგავს არიან სიტყუანი ესე "აგენნიტონ" და "აგენიტონ" და ორითა ნარითა დაწერილი "უშობელსა" იტყვს, ხოლო ერთითა ნარითა დაწერილი - "აუგებელსა" (=შეუქმნელს, ე.ჭ.).²

გრაფიკული მსგავსების ნიადაგზე ეს ორი სიტყვა ხშირად ურთიერთმონაცვლეობდა, მაგრამ IV ს-მდე მათთვის საგანგებო ყურადღება არავის მიუქცევია. აღნიშნული ტერმინების აღრევა, რაც უმრავლეს შემთხვევაში გადამწერთა ბრალია, გადაულახავ წინააღმდეგობას ქმნის გამომცემელთა წინაშე, რადგანაც ხელნაწერთა ტრადიციის საფუძველზე შეუძლებელი ხდება არჩევანის გაკეთება. გ.ლემპი შენიშნავს: "ხელნაწერთა და ნაბეჭდი წყაროების არევიდარევის გამო მრავალ შემთხვევაში ფაქტიურად შეუძლებელია იმის გადაწყვეტა, *γενητος*-ს იყენებს ესათუის ავტორი, თუ *γεννητος*-ს".³

აღნიშნული ტერმინების მკაცრი გამიჯვნა აუცილებელი გახდა არიანული ერესის აღმოცენების შემდეგ. არიოსი და მისი მიმდევრები, როგორც ცნობილია, ქრისტეს აღიარებდნენ "ქმნილად" და არა "შობილად".

მართლმადიდებლობაში ძე ღმერთის მიმართ დაკანონდა ფორმულა: "შობილი და არა ქმნული".

ქართულ თარგმანებში, ჩვეულებრივ, გარჩეულია "შობისა" და "ქმნის" აღმნიშვნელი ბერძნული ტერმინები (თუმცა თვით ორიგინალის ტერმინთა ხშირი ურთიერთმონაცვლეობის საფუძველზე ქართულ ტექსტებშიც შეიმჩნევა მათი აღრევის შემთხვევები): *γεννημα*-ნაშობი (მთ. 3,7; 12,34; 23,33; ლ.3,7); *γενημα*-ნაყოფი (ის, რაც "იყო", იქმნა; მთ. 26,29; მარკ. 14,5; ლუკ. 22,8; 12,18; II კორ. 9,10); *γεννητος* -ნაშობი, შობილი (მთ. 11,11; ლ. 7,28); *γενητος*, *γενομενος* -ქმნილი, ყოფილი (ლ. 1,2; მრ. 13,29, ძალიან ხშირად).

ძველ ქართულ ტექსტებში "შობის" საპირისპირო ტერმინები "ქმნა" და "ყოფა" ძალიან ხშირად მონაცვლეობს სინონიმურად: "შეშინებულ იყვნეს" (ლ. 24,5 *εμφοβων δε γενομενων*); "შეშინებულ იქმნნეს" (*εμφοβοι γενομενοι* ლ.24,37); "იგინი იტყოდეს ურთიერთას ყოველთა მათთვის ყოფილთა (აღიშური სახარება - ლ. 24,14), "ესენი ზრახვიდეს ურთიერთას ყოვლისა ამისთვის, რომელი იქმნა" (ჯრუჭ-პარხლისა); "ყოს ერთი რადმე მათგანი" (ლევ. 4,2-ოშკური), "ქმნას ერთი რადმე მათგანი" (გელათური); "წყალი იგი... ეყოს მას" (ი.4,14-აღიშური), "წყალი იგი... ექმნას მას" (ჯრუჭ-პარხლისა); "ესე გიდირდა ყოფად" (მთ. 23,23; აღიშური), "ესე ჯერ იყო საქმედ" (ჯრუჭ-პარხლისა) და მრავალი სხვა.

სევერიანე გაბალოვნელის თხზულების თარგმანში "ყოფა", ჩვეულებრივ, სინონიმურია "ქმნისა", ხოლო "ყოფილი" - "ქმნილისა". მაგალითად:

1 G.Lampe, დასახ. ლექსიკონი, გვ.310,312

2 რ.მიმინოშვილი, გარდამოცემის ქართული თარგმანები, თბ. 1966, გვ.117.

3 G.Lampe, დასახ. ლექსიკონი, col.310

ყო აღსლვად მის დასრუ-
ლისად (165)

εποιησεν ανατειλαι τον
δυσαντα

... რად-იგი ჯერ-იყო ყო-
ფად (127)

... *τι* δει γενεσθαι

მისგან ყოფად იყო ცოდვ-
ა (180)

(*απο πλευρας*) η αμαρτια
εμελλε γινεσθαι

ჰყოფს ღმერთი საქმესა
(169)

ποιει ουν ο θεος τα εργα

სამთა მათ ყრმათა ბა-
ბილონს შინა ყვეს (20)

... *εποιησαν*

ორი წინაშე უც მოსესა
ყოფად (5)

δυω προκειται Μωυσει
ποιησαι

ყოფად რადსმე (151)

τι ποιειν

ვინად არს მზე? ყოფილ
არს ამისგან ნათლისა
(76)

*ποθεν ουν ο ηλιος; εκ
του γενομενου φωτος*

ყოველნივე ყოფილნი (27)

παντα τα γινομενα

თქუა ყოფილი იგი (21)

ειπε το γινομενον

მრავალთა მათ ყოფილთა
იტყვს (112)

*πολλων οντων των γε-
νομενων λεγει*

გამოუცხადა მას ყოფილი
იგი (4)

*αποκαλυπτον αυτω τα
γενομενα*

და მრავალი სხვა.

მოტანილი ნიმუშები ცხადყოფს, რომ აღნიშნული შრომის ქართველი მთარგმნელი "ყოფას" არაიშვიათად უფარდებს ბერძნულ *ποιεω*-სა და *γιγνομαι*-ს, ხოლო *γενομενος*-ის შესატყვისად ხშირად გვაწვდის "ყოფილს". უთუოდ *γενομενος*-ის (ე.ი. "ქმნულის") შინაარსი უნდა ჰქონდეს "ყოფილს" ჩვენთვის საინტერესო კომპოზოტში "მხოლოდყოფილი". ამას, გარდა ზემოაღ-
ნიშნულისა, ცხადყოფს შემდეგი: ერთგან სევერიანე განმარტავს, თუ რა შინაარსი უნდა ჩავდოთ ტერმინ *μονογενης*-ში. იგი გვაუწყებს:

"მხოლოდშობილი არის ის, ვინც ვინმესაგან მხოლოდშობილად იშვა და არა ის, ვინც მხოლოდქმნილია".

ამ სიტყვებით ავტორი იმას გვაუწყებს, რომ *μονογενης* უკავშირდება "შობას" და არა "ქმნას", ე.ი. კომპოზოტის მეორე ნაწილი - *γενης* (რომელიც ერთი *v*-ს გამო თითქოს უფრო "ქმნის" აღმნიშვნელ *γιγνομαι*-ს უნდა

მიეკუთვნებოდეს) სევერიანე გაბალოვნელის აზრით გულისხმობს არა "ქმნას" (ე.ი. უკავშირდება არა *γεννομαι*-ს) არამედ "შობას" (ე.ი. უკავშირდება *γενναω*-ს). მოტანილი ადგილის ძველი ქართული თარგმანი ასეთია:

მხოლოდყოფილ არს, რომელი მარტოდ ვისგანმე იშვა, არა მარტოდყოფილ არს (136)

μονογενης εστιν, ο μονογενης εκ τινος γεννηθεις, ουχ ο μονος γενομενος (col.467)¹

როგორც ვხედავთ, ქართულ ტექსტში გვერდიგვერდ გვხვდება "მხოლოდყოფილი" და "მარტოდყოფილი". ეს უკანასკნელი უიგივდება ბერძნულ *"μονος γενομενος"*-ს, სადაც "ყოფილი" გადმოსცემს *"γενομενος"*-ს და ნიშნავს "ქმნილს". ეს გარემოება ექვემოტანლად ცხადყოფს, რომ, ერთი მხრივ, ისეთ კომპოზიტებში, როგორიცაა "მხოლოდყოფილი" და "მარტოდყოფილი", სიტყვა "ყოფილი" უთუოდ ნიშნავს არა "არსებულს" ("მხოლოდ არსებული") არამედ - "წარმოქმნილს", "ქმნილს" ("მხოლოდქმნილი"), მეორე მხრივ კი აშკარა ხდება, რომ სევერიანე გაბალოვნელის შრომის ქართული მთარგმნელი ძე ღმერთთან დაკავშირებით არავითარ მიჯნას არ ავლებს "ქმნასა" (ანუ "ყოფასა") და "შობას" შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი *μονογενης* და *μονος γενομενος*-ს არ გააიგივებდა (ქართული "მხოლოდყოფილი" და "მარტოდყოფილი" მთლიანად იდენტური ცნებებია) და არც ძე ღმერთის მისამართით არ გამოიყენებდა ტერმინ "მხოლოდყოფილს".

სევერიანე გაბალოვნელის თხზულების ქართულ თარგმანში სიტყვა "ყოფილი" აშკარად "შექმნილს" ნიშნავს და არა მხოლოდ ის, რომ მის ბერძნულ შესატყვისად გვაქვს *γενομενος* (შექმნილი), არამედ ისიც, რომ ეგვევ ბერძნული ტერმინი ბევრ სხვა შემთხვევაში იმავე მთარგმნელის მიერ "ქმნულად" ანდა "შექმნულად" არის გადმოტანილი (და არა "შობილად"), ამასვე გვიდასტურებს:

აღწერილი ესე არს... ძალითა ღმრთისაძთა ქმნული (4)

... δυναμει μεν θεου γεναμενην (col.431)

ავსენებს ცასა და ქუეყანასა ქმნულად (8)

μνημονευει και ουρανου και γης ως γενομενων (col.432)

უკუეთუ ამისათვისცა იკადრონ თქუმად, რამეთუ მაცხოვარიცა ქმნული იყო (9)

ει δε και περι του Σωτηρος τολμωσι λεγειν, οτι και ο Σωτηρ γενομενος ην (col.432)

ხოლო ქუეყანად ქმნული (10)

η δε γη γενομενη ην (col.432)

¹ შტრ. ლათ. თარგმანი: *alias quoque unigenitus est, qui solus ex aliquo natus est, non qui solus factus est.*

არა იყო სამყაროდ იგი
ქმნული (75)

οὐδὲν ἦν τὸ στερεῶμα
γενομενον (col.448)

... მეორედ შექმნულსა
(107)

τὰ δευτέρῳ γενομενω
(col.458)

განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ერთგან ბერძნული *γενομενος* თარგმნილია სინონიმური შეწყვილებით; მის შესატყვისად გვხვდება არა მხოლოდ "შექმნული" ანდა "ყოფილი", არამედ ორივე ერთად, რაც ხსენებულ ტერმინთა შინაარსობრივ თანხვედრას ცხადყოფს:

ყოველნი შექმნულნი და
ყოფილნი (13)

παντων των γενομενων
(col.433)

ამგვარად, წარმოდგენილი ნიმუშების საფუძველზე სრულიად ცხადია, რომ "მხოლოდყოფილი" აღნიშნავს "მხოლოდქმნილს". დავძენთ იმასაც, რომ რამდენადაც ბერძნული *μονογενης*-ს წევრი "-*γενης*" ერთ *v*-ს შეიცავს, ამდენად მასში მთარგმნელის მიერ "ქმნის", "კეთების" შინაარსის ჩადება სრულიად კანონზომიერი ჩანს. "შობის" აღმნიშვნელი სიტყვები, როგორც მივუთითებდით, ჩვეულებრივ ორ *v*-ს შეიცავს.

აღვნიშნავდით, რომ *μονογενης* სპეციფურად ძე ღმერთის სახელს წარმოადგენს; ამიტომ მისი "მხოლოდყოფილად" თარგმნა დოგმატური თვალსაზრისით მიუღებელია, რადგანაც ეს ტერმინი უეჭველად გულისხმობს არიანულ ერესს, ქრისტეს "ქმნილად, ყოფილად" აღიარებას. ქართული ტერმინი "მხოლოდყოფილი" ან თითქოს უშუალოდ არიანული ერესის ნაკვალევია, ანდა იგი ასახავს ადრექრისტიანულ, ნიკეის კრების წინააღმდეგ, არიანობამდელ პერიოდს, როცა ქრისტიან მწერალთა შორის *γενητος*-სა და *γεννητος*-ს შორის ჯერ კიდევ არ იყო გავლებული მკაცრი მიჯნა და ორივე მათგანი ქრისტეს მამისაგან ბუნებით შობას აღნიშნავდა. მართებული უნდა იყოს ეს უკანასკნელი თვალსაზრისი. ნიკეის კრების წინა პერიოდში ქრისტეს მიმართ შეიძლებოდა თქმულიყო, რომ იგი არის *γενητος* (ქმნილი, ყოფილი), თუმცა ეს არ ნიშნავდა ძე ღმერთის ქმნილებად აღიარებას. ამ ტერმინშიც მამა ღმერთისაგან ლოგოსის ბუნებითი შობა მოიაზრებოდა. ნიკეის კრების წინააღმდეგ და შემდეგდროინდელ წმიდა მამათა თვალსაზრისი ქრისტეს შობის შესახებ ერთი იყო: იგი არის ჭეშმარიტი, მხოლოდშობილი ძე მამა ღმერთისა; მათ შორის განსხვავებას ქმნიდა არა შინაარსი, არამედ ამ შინაარსის გამომხატველი სიტყვები. თუ ნიკეის კრების წინააღმდეგ პერიოდში ფონეტიკური განურჩევლობის გამო ქრისტეს მიმართ შეიძლებოდა თქმულიყო, რომ იგი არის *γενητος* (თუმცა ეს სიტყვა თეოლოგიური აზრით გულისხმობდა არა არაარსისაგან ქმნილს, არამედ მამაღმერთისაგან ბუნებით შობილს, ანუ იმასვე, რასაც *γεννητος*), ნიკეის კრების შემდეგდროინდელ პერიოდში არიანული ერესის მიზეზით, რომელმაც *γενητος* უკვე "არაარსისაგან ქმნილის" აღმნიშვნელ სპეციფურ ტერმინად აღიარა, ორთოდოქსი ავტორების მიერ მკაცრად აიკრძალა ძე ღმერთის ამ ტერმინით სახელდება.

ქართული ტერმინი "მხოლოდყოფილი", როგორც ჩანს, ასახავს არა არიანულ ერესს, არამედ ადრექრისტიანულ, არიანობამდელ ვითარებას, როცა

ჯერ კიდევ არ იყო *γεννομα* და *γεννα*-ს მკაცრი ფონეტიკური გამიჯვნის აუცილებლობა.¹ წინააღმდეგ შემთხვევაში, ე.ი. "მხოლოდყოფილი" რომ არიანული ერესის ამსახველი ტერმინი ყოფილიყო, ძალიან საეჭვოა სევერიანეს შრომის ქართულ მთარგმნელს გამოყენებინა იგი, რადგანაც სევერიანეს შრომის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ არიანობის წინააღმდეგ არის მიმართული და მასში კატეგორიულადაა უარყოფილი ძე ღმერთის ქმნილებად შერაცხვა.

მიუხედავად აღნიშნულისა, "მხოლოდყოფილი" დოგმატური თვალსაზრისით მეტად უხერხული ტერმინია. ტერმინოლოგიური დაუზუსტებლობის თუ ფონეტიკური განურჩევლობის პერიოდში ამ სიტყვას, ისევე როგორც ბერძნულ *γενητος*-ს, ასე თუ ისე, ჰქონდა არსებობის უფლება, მაგრამ როდესაც დოგმატიკის საფუძველზე აუცილებელი ხდება ტერმინთა შინაარსისა და ფორმის დადგენა, ქართული "მხოლოდყოფილი" ბერძნული *γενητος*-ის ანდა *μονος γενομενος*-ის მსგავსად არიანული ერესის ამსახველად ჩნდება, რაც უეჭველად უნდა განაპირობებდეს მის აკრძალვას.

V ს-ის შუა წლებში, ქალკედონის კრების შემდეგ, რომლის რეზონანსიც მთელ ქრისტიანულ მსოფლიოს მისწვდა, ქართული ეკლესია აღმოსავლურ ეკლესიებთან ერთად, როგორც ცნობილია, აქტიურად ერთვება თეოლოგიურ პაექრობებში. მეტად საეჭვოა ვიფიქროთ, რომ ამ დროისათვის "მხოლოდყოფილი" კვლავ განაგრძობდა არსებობას. არიანული ერესი თანაბრად უარყოფილი იყო როგორც მონოფიზიტების, ასევე დიოფიზიტების მიერ. რამდენადაც ეს ერესი აშკარად მჟღავნდება ზემოაღნიშნულ ტერმინში, იგი V ს-ის შუა წლებიდან, ვფიქრობთ, უთუოდ განიდევნებოდა ქართული საეკლესიო მწერლობიდან. სწორედ ეს მიგვაჩნია უმთავრეს მიზეზად იმისა, რომ გარდა ჩვენთვის საინტერესო თარგმანისა, "მხოლოდყოფილს" ძველ ქართულ ლიტერატურაში თითქმის ვერსად ვხვდებით.

ზემოთ მივუთითებდით, რომ ამათუიმ იშვიათი ტერმინის არსებობის დრო უნდა განისაზღვროს პარალელური ტექსტების მოწმობათა საფუძველზე. ჩვენთვის ხელმისაწვდომ ძეგლებში ტერმინი "მხოლოდყოფილი" გამოვლინდა მხოლოდ ერთხელ. იგი გვხვდება აგიოგრაფიულ თხზულებაში "წამებაჲ წმიდისა ბაბილაჲსი და სამთა ყრმათა, მოწათეთა მისთაჲ", რომელიც შემოგვინახა Ath. 8 (X ს.) ხელნაწერმა.²

აღნიშნული ძეგლი ერთერთი უძველესი თარგმანია. ამას ცხადყოფს მისი არქაული ლექსიკაც. საგულისხმოა, მაგალითად სიტყვა "ხუესტად" ("ნუ ხუესტად იტყვ"), რომელიც ნიშნავს: "კადნიერად", "ლაღად". ეს სიტყვა ჩვენთვის ცნობილი ტექსტებიდან გვხვდება ბიბლიის უადრეს ვერსიებში, რასაც გვიანდელ რედაქციებში ცვლის "კადნიერება", "სილაღე" (მდრ. "ძოვდა იგი სიხუესტითა თვისითა", ეზეკ. 19,7, ოშკური; "ძოვდა სილაღითა თვისითა" - ბაქარისეული);³ ასევე არქაულობის ნიშანს ატარებს: "ესემლევანი", "სიცხადჲ", "სიტყვსა განჩინებაჲ", "უზნებელ", "სიტყვსა გამოღებაჲ", "შეუთხინა", "გული განიწყო", "მარტო" ("მარტივის" მნიშვნელობით - *απλουν*) და სხვა.

საგულისხმოა, რომ ბერძნული *το γενος* და *εθνος* ყველგან თარგმნილია, როგორც "თესლი":

1 ამასვე ადასტურებს "ანტონის ცხოვრების" უადრესი თარგმანი, სადაც ორიგინალის ფრაზა *περι αγενητου ψυχης* გადმოტანილია ასე: "უყოფელისა სულისათჳს" (მდრ. ბრიტანული ნუსხის ვერსია: "უშობელისა სულისათჳს", ვ. იმნაიშვილის გამოც. გვ.62).

2 კიმენი, I, თბ. 1918, გვ.44-47

3 იქვე, გვ.47

4 იხ. ი.აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ.399

ეშმაკი... აქმნევდა თესლსა
კაცთასა¹

ο ουν Σατανας... φθονησ-
ας το γενει των ανθ-
ρωπων²

და თესლიცა იგი მესი
კნინ-კნინითა აღვოცო³

και κατα μικρον το εθνος
τουτο αναλίσκω (78)

თქვს წიგნმან თქუენმან
თესლი უგულისხმოჲ;
(იქვე)

λεγει η Γραφη εθνος
ασυνετον (77)

წინავეთხრობად მინდა ში-
შისათვს მაგის კაცისა და
თელისათვს მაგისასა უღ-
მრთოჲსა (40)

παλαι ανενεγκαι ηθειλησα
επι τον φοβον σου περι
του ανθρωπου τουτου και
του εθνους του δυσσε-
βεστατου (78)

გაშურო მე მათა მიმართ,
რომელნი არა არიან
თესლ და თესლსა ზედა
უგულისხმოსა განგარისხე
თქუენ (იქვე)

παραζηλωσω υμας επ' ουκ
εθνει επ εθνει ασυνετω
παροργιω υμας (76)

εθνος-ის ყველა შემთხვევაში "თესლად" თარგმნა ნაცვლად "ნათესავისა" ან "წარმართისა" უთუოდ არქაული ვითარების ამსახველია.

აღნიშნული ძეგლი, როგორც ჩანს, უშუალოდ ბერძნულიდან მომდინარეობს. უპირველესად, ამაზე მიანიშნებს ზმნათა წინდებულისანი ფორმები: თანა-უფრინავს (παρ-επεται), თანა-შემოერთია (συγ-κατεσπασεν), წინაწარსცნობენ (προ-γνωσεις).

საკუთარი სახელები ბერძნული ფორმისაა: ნომერიანოს (Νουμεριανος), ვიქტორინოს დოქსი (βικτορινος δουσξ), თეოდოლე (Θεοδουλη).

ბერძნული კომპოზიტები და იდიომატური გამოთქმები კალკირებულადაა თარგმნილი: "აღიღო ვმავი" (αρας την φωνην), "ცხოვლითვე მკუდარო" (βιοθανατε), "სიბრძნისმოქმედთაჲ" (σοφισματα ποιητων), "ფრთე-ფრინვალე" (πετροις πετομενος).

საგულისხმოა, რომ ბერძნული "το μυστηριον" თარგმნილია, როგორც "საიდუმლოჲ" და არა "ზრახვად":

"ჩუენი საქმე საიდუმლოჲ
არს (45)

ημετερα πραγματα μυσ-
τηρια εστι (77)

1 კიძენი, გვ.45

2 Μαρτυριον του αγιου και ενδοξου ιερομαρτυρος Βαβυλα αρχιεπισκοπου Αντιοχειας και νηπιων τριων, Православный Палестинский Сборник, Т.ХІХ, вып. III, С.-П. 1907, с.77

3 იქვე, გვ.45

ყურადღებას იქცევს გამოთქმა: ღმერთი "ეტყოდა მოსეს მიერ" (45; *ειπεν δια Μωσεως*). სომხურიდან თარგმნილ ტექსტებში ამგვარი სახის გამოთქმებში, როგორც აღნიშნული იყო, ხშირად გვხვდება არა "მიერ", არამედ "ველითა". აქაც, როგორც ჩანს, "ბაბილას წამების" ქართული თარგმანის ორიგინალზე დამოკიდებულება მჟღავნდება.

აღნიშნულ ძეგლში ერთგან საუბარია ქრისტეს განკაცების შესახებ:

მხოლოდყოფილი ღმერთი
ითმენდა ესოდენსა ზედა
კერპობასა... გამოძეცხადა
ჩუენ და მომიხუნა მოწყა-
ლებითა თვისითა (45)

*ο ουν μονογενης Υιος
του θεου μακροθυμησας
επι τη τοσαυτη ειδωλ-
ολατρια... επεφανη ημιν
και αποσπασας ηλεησεν
(77)*

როგორც ვხედავთ, ბერძნული *μονογενης* აქაც "მხოლოდყოფილად" არის თარგმნილი. ამ ტერმინის გამოყენების სხვა შემთხვევა ჩვენთვის უცნობია.

ამგვარად, გარდა აშკარა შინაარსობრივი არქაულობისა, პარალელური ტექსტის მოწმობაც ცხადყოფს, რომ "მხოლოდყოფილი" უძველესი ტერმინია, რომელის არსებობა V ს-ის შუა წლების შემდეგ მეტად საეჭვოდ მიგვაჩნია. ზემომოტანილი მრავალრიცხოვანი ციტატის საფუძველზე დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ, ყოველ შემთხვევაში, VI-იდან თეოლოგიურ-ფილოსო-ფიური ტერმინი "მხოლოდშობილი" საბოლოოდ მკვიდრდება ქართულ მწერლობაში, როგორც ბერძნული *μονογενης*-ს უცვლელი ტერმინოლოგიური შესატყვისი.

ΣΤΟΙΧΕΙΟΝ

1. ტერმინის კველი ქართული შესატყვისები:

აღნიშნული ტერმინი ფილოსოფიური შინაარსით გულისხმობს პირველსა-ფუძველს, ელემენტს, ძირეულ პრინციპს. ფიზიკური სამყაროს პირველსა-ფუძველები ემპედოკლემ ოთხამდე შემოსაზღვრა. იგი მათ სახელად ხმარობდა ტერმინს *ριζαματα*. როგორც მიჩნეულია, ოთხი სტიქიონის აღსანიშნავად *τα στοιχεία* შემოიტანა პლატონმა. შემდეგში ამ ტერმინმა ფართო გავრცელება მოიპოვა. იგი გადავიდა ქრისტიანულ მწერლობაშიც.

το στοιχειον-ის ქართულად თარგმნის საკითხი შესწავლილია დ.მელიქიშვილის მიერ.¹ პატივცემული მკვლევარი ზოგადად მიმოიხილავს პეტრიწის წინააღმდეგ მწერლობას. მისი მითითებით "სინურ მრავალთავში" 864 წლისა *το στοιχειον*-ის შესატყვისად გვხვდება სტუქო და წესი.² დ.მელიქიშვილი იმომბებს ა.შანიძეს, რომლის თანახმადაც ტერმინი "წესი" გვხვდება კირილე იერუსალიმელის თხზულებაში "ნათლისღებისათვის":

"უკუეთუ ვისმე სწადის კითხვად, ვითარმედ რადსა წყლისაგან და არა სხვსაგან წესისა (*δι ετερου των στοιχειων*) მოეცემის მადლი იგი, საღმრთონი წიგნნი აიხუენ და ჰპოო, ვითარმედ დიდ და მთავარ არს წყალი და ოთხთა საჩინოთა მათ წესთა უმჯობესს (*των τεσσαρων του κοσμου στοιχειων ακαλλιστον*)"³

რაც შეეხება ტერმინ "სტუქოს", იგი "სინურ მრავალთავში" არ გვხვდება. დ.მელიქიშვილი, როგორც ჩანს, შეცდომაში შეიყვანა იმან, რომ ა.შანიძის გამოკვლევის იმ ნაწილში, სადაც ანბანური თანამიმდევრობითაა განხილული "სინური მრავალთავის" ლექსიკა, ცალკეა გატანილი "სტუქო". საქმე ისაა, რომ ანბანზე წარმოდგენილი ლექსიკა რატომღაც მოიცავს ყველა სიტყვას, რომელსაც ა.შანიძე ეხება, მიუხედავად იმისა, გვხვდება თუ არა ეს სიტყვა "სინურ მრავალთავში". მაგალითად, ასევე ცალკეა გატანილი "კავშირი", რომელიც, ცხადია, უცნობია უძველესი პერიოდის მწერლობაში. "სტუქო" გვხვდება სულხან-საბასთან,⁴ რომელიც, როგორც ჩანს, ეყრდნობა "ისტორიათა და აზმათა" ტექსტს.

ქართული "წესი" ბერძნული *στοιχειον*-ის უძველესი შესატყვისია. მოგვიანებით მის ნაცვლად მკვიდრდება სომხურიდან შემოსული "ნივთი", რომელსაც ზოგჯერ ენაცვლება "სტკქისი", მოგვიანებით შემოდის "ასოდ", იშვიათად - "აგებულება", შემდეგ კი "კავშირი". დ.მელიქიშვილი შენიშნავს: "ძველ ქართულში, იოანე პეტრიწამდე ელემენტის, სტიქიის მნიშვნელობით იხმარებოდა ტერმინები: სტუქო, სტკქისი, ნივთი, აგებულება და წესიც".⁵

1 დ.მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომებში ნახმარი ზოგიერთი ტერმინის განმარტებისათვის, საქ. მეცნ. აკ. "მაცნე", ს. თბ. 1968, გვ.161-196.

2 იქვე, გვ.161

3 სინური მრავალთავი, გვ.335

4 სინური მრავალთავი, გვ.336 ისტ. და აზმ., კეკელიძის გამოც., თბ. 1941, 71.28.

5 დ.მელიქიშვილი, დასახ. წერილი, გვ.196

აღნიშნული ტერმინებიდან, "სტუქო", როგორც მივუთითეთ, მხოლოდ "ისტორიათა და აზმათა" ტექსტში (და აქედან სულხან-საბასთან) გვხვდება. სხვაგან იგი ჯერჯერობით დადასტურებული არ არის. რაც შეეხება "სტუქისს", ეს ტერმინი ჩვენთვის ხელმისაწვდომი ძეგლებიდან წარმოდგენილია მხოლოდ გრიგოლ ნოსელის "კაცისა შესაქმის" უძველეს ვერსიაში (დამოწმებულია დ.მელიქიშვილის მიერ), სადაც გვხვდება აგრეთვე "ნივთი".¹

ტერმინი "ასო" στοιχειον-ის შინაარსით, კ.დანელიას თანახმად,² პირველად თავს იჩენს გიორგი მთაწმიდელთან (თუმცა გიორგისთან მას სტიქიონური შინაარსი არა აქვს); უნდა აღვნიშნოთ, რომ სტიქიონის მნიშვნელობით "ასოს" ამკვიდრებს არსენი. რაც შეეხება "კავშირს", იგი, როგორც ცნობილია, იოანე პეტრიწის მიერ არის შემოტანილი.

საგულისხმოა დ.მელიქიშვილის შენიშვნა: "იქ, სადაც კათოლიკე და პავლეს ეპისტოლეთა ძველ ქართულსა და ზოგჯერ გიორგი მთაწმიდლისეულ რედაქციებშიც სტიქიის მნიშვნელობით წესია ნახმარი, ეფრემ მცირისეული რედაქციის ხელნაწერებში იგი ნივთითაა შეცვლილი".³

"სამოციქულოს" გიორგი მთაწმიდლისეულ რედაქციაში, მართალია, "წესი" გვხვდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ XI-ს-ისთვის το στοιχειον კვლავ ამ ტერმინით ითარგმნებოდა.

არათუ XI ს-ისათვის, არამედ VIII-IX სს-ისთვისაც კი στοιχειον-ის "წესად" თარგმნა არქაიზმია. გიორგი მთაწმინდელი სამოციქულოს რედაქტირების დროს, ისევე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, როდესაც იგი ხელმეორედ თარგმნის ძეგლს, ძალიან ხშირად უცვლელად ტოვებს ძველი ტექსტის ლექსიკას. ეს თავისებურება "პავლენთან" დაკავშირებით ხაზგასმითაა აღნიშნული ეფრემ მცირის მიერ: "მცირედ ცვალებად ჰნებებია მას სიტყუასა, რომელი-იგი წმიდასა მამასა ჩუენსა გიორგის არა ეგოდენ სხვსა რადსმე მიზეზისაგან, რაოდენ ძუელისავე პავლისა წაყოლისაგან დაუტეობია".⁴

ბასილი დიდის "ექუსთა დღეთადს" და გრიგოლ ნოსელის ჰექსემერონული კომენტარების გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანებში το στοιχειον არცერთხელ არ არის "წესად" თარგმნილი. თუკი ამგვარ რამეს XI ს-ში ადგილი ჰქონდა, იგი უეჭველად იჩენდა თავს აღნიშნულ თარგმანებში, რომლებიც სწორედ ოთხი ელემენტის საკითხს ეძღვნება.

ა.შანიძემ, როგორც აღვნიშნეთ, το στοιχειον-ის შესატყვისად "წესი" გამოავლინა კირილე იერუსალიმელის თხზულებაში "ნათლისღებისათვის", რომელიც შეიცავს ხანმეტობის ნაშთს ("მას ჟამსა შინა მეყსეულად სული წმიდად მოხეფინა მორწმუნეთა მათ").⁵ მ.ესბროკის აზრით, იგი V-VI სს-ის თარგმანს წარმოადგენს.⁶

ა.შანიძის მითითების შემდეგ დ.მელიქიშვილმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ το στοιχειον "წესად" არის თარგმნილი აგრეთვე "პავლენში" და პეტრეს

1 დ.მელიქიშვილი, დასახ. წერილი, გვ.195-196.

2 კ.დანელია, ქართული სამწერლობო ენის ისტორიის საკითხები, თბ. 1983, გვ.246

3 დ.მელიქიშვილი, დასახ. შრომა, გვ.195-196.

4 საქმე მოციქულთა, გამოსცა ი.აბულაძემ, თბ.1950, გვ.029. ამ ანდერძის შესახებ იხ. კ.დანელია, დასახ. შრომა, გვ.296-297.

5 სინური მრავალთავი, გვ.85

6 M.van Esbroeck, les plus Anciens... p. 262

მეორე ეპისტოლეში¹. აი, ეს შემთხვევებიც:

1. "წესსა მას ქუეშე ამის სოფლისასა ვიყვენით დაკირთებულ" (შდრ. ეფრემისეული "ნივთთა ქუეშე ვიყვენით სოფლისათა დამონებულ" - გალ. 4,3).

2. "მიიქცევით კუალად უძღურსა მას და გლახაკსა წესსა" (შდრ. ეფრემისეული: "მიიქცევით კუალად უძღურთა მათ და გლახაკთა ნივთთა მიმართ"; გალ. 4,9).

3. "ნუ ვინმე იყოს წარმტყუენველ თქუენდა... წესითა მით ამის სოფლისადათა" (შდრ. "... ნივთთა მათებრ ამის სოფლისათა" კოლ. 2,8)

4. "მოჰკუედით ქრისტჳს თანა წესთა მათგან" (შდრ. "... ნივთთა მათგან", კოლ. 2,20).

5. "გიგმს-ვე-ღა მოძღურებად თქუენ წესი რადმე" (შდრ. გიორგისეული: "გიგმს-ვე-ღა მოძღურებად თქუენ ასოთა რათმე" ებრ. 5,12).

6. "წესნი იგი დაიწუნენ" (შდრ. ეფრემისეული "ნივთნი იგი დაიწუნენ", II პეტრ. 3,10).

7. "წესნი დაიწუნენ და დაღნენ" (შდრ. ეფრემი: "ნივთნი მგზებარენი განიღვენენ", II პეტრ. 3,12).

სტიქიონის შინაარსით "წესის" ხმარება მხოლოდ აღნიშნული ნიმუშებით არ შემოიფარგლება. იგი ორგზის გვხვდება ძველ აღთქმაში, კერძოდ "სოლომონის სიბრძნის" უძველეს ვერსიაში:

1. "მომცა მე... ცნობად შესაქმს სოფლისად და შეწევნანი წესთანი" (*ενεργειαν στοιχειων*); შდრ. გვიანდელი რედაქცია: "... მოქმედება ნივთთა" 7,17).

2. "წესნი იგი იცვალეობდეს" (*τα στοιχεία μεταμοζομενα*; შდრ. გვიანდელი რედაქცია: "ნივთნი შეიცვალნეს"; 19,18).

აღნიშნული ტერმინი "საწესოს" ფორმით გვხვდება იოანე ოქროპირის ერთერთ საკითხავში, რომელიც მიძღვნილია ელია და ელისე წინასწარმეტყველებისადმი. იგი შემოგვინახა "კლარჯულმა მრავალთავმა" (157-165), ეს ძეგლიც ერთერთი უძველესი თარგმანია. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ "ხუდომა" ზმნა აორისტში უკუმშველი ძირითაა წარმოდგენილი:

"შენ თანა შემხუედეს სიკუდილი" (157v)

"ესევე საქმე შეხუედა ცოდვსად" (161v).

მსგავსი, თითქოსდა ანომალური, ფორმები გვხვდება ადიშის ოთხთავიან ძირითად ტექსტში ა.შანიძეს მათი ტრადიციული სახე (ჰხუდა, შემხუდა) აქვს

¹ დ.მელიქიშვილი, დასახ. წერილი, გვ.125.

აღდგენილი, თ.გამყრელიძისა და გ.მაჭავარიანის მითითებით კი "ჩვენს წინაშეა არა მცდარი დაწერილობანი ან ანალოგიით მიღებული მეორეული ფორმები, არამედ არქაიზმები".¹

აღნიშნულ თვალსაზრისს ეთანხმება ბ.გიგინეიშვილი, რომლის მითითებითაც "სრული გახმოვანება ხსენებული ზმნის აორისტის მე-3 პირში სამეცნიერო ლიტერატურაში კვალიფიციურებულია, როგორც არქაიზმი".²

უეჭველად არქაიზმია, აგრეთვე, "ესემლევანისა" და "ეგემლევანის" ხშირი ხმარება.

ზემოთ დეტალური მსჯელობა გვაქვს იმის შესახებ, რომ VI-ს-მდე, ვიდრე დამკვიდრდებოდა ტერმინი "ბუნებაჲ" (როგორც ჩანს, სომხური "ბნუთივნის" ანალოგიით), ბერძნული φύσις ქართულად ითარგმნებოდა ან როგორც "სახე", ან როგორც "წესი". აღნიშნული საკითხავი იოანე ოქროპირისა სწორედ ამ უძველეს ვითარებას ასახავს (იხ. ზემოთ).

როგორც მივუთითეთ, საკითხავში τὸ στοιχεῖον ითარგმნილია "საწესოდ":

მეყსეულად საწესონი ცვალნა (160; დამოწმებულია და განმარტებულია ი.აბულაძის "ძვ. ქართ. ენის ლექს."-ში, გვ.380)

εἶθως τὰ στοιχεῖα μετεσχηματίζετο
(Pg.50, col.729)

ტერმინი "წესი", როგორც უკვე გარკვეულია, უშუალოდ ბერძნულიდან მომდინარეობს. დ.მელიქიშვილის აზრით, ძველ ქართველ მთარგმნელებს τὸ στοιχεῖον აერიათ გრაფიკულად მსგავს ὁ στοιχος-ში, რომელიც ნიშნავს "რიგს, მწკრივს".³ ვფიქრობთ, სამართლიანად შენიშნავს კ.დანელია: "არა, აქ შემთხვევით შეცდომასთან არა გვაქვს საქმე... თანაც რამდენჯერ უნდა აღრეოდა მთარგმნელს ეს ტერმინები?... თუნდაც რომ დავუშვათ, τὸ στοιχεῖον გაგებულ იქნა ὁ στοιχος სიტყვად, ეს უკანასკნელი ქართულ თარგმანში "წესით" არ გადმოვიდოდა, რადგან ბერძნულში ὁ στοιχος სიტყვა აღნიშნავს მხოლოდ "რიგს", "მწკრივს" და არა "წესს". τὸ στοιχεῖον ნიშნავს: ასოს, ბგერას; ძირითადად პრინციპს, წესს; საწყისს, საფუძველს; სტიქიონს (ნივთს, აგებულებას). მაშასადამე, ქართულში "წესი" ისევეა გამოყენებული στοιχειο-ის გადმოსაცემად, როგორც ასო, ნივთი, აგებულება თუ გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი "კავშირი"... ყველა მათგანი რომ ბერძნულ στοιχειο-ის მნიშვნელობებიდან მომდინარეობს, ეს, ვფიქრობთ, საცილობელი არ უნდა იყოს".⁴

"წესი", როგორც შენიშნავს ა.შანიძე, სომხურშიც იხმარება: ბես,⁵ მაგრამ პ.აჭარიანის აზრით, ეს სიტყვა ქართულიდან უნდა იყოს ნასესხები,⁶ თანაც იგი სომხურში სტიქიონს არ აღნიშნავს.

სომხურად τὸ στοιχεῖον ითარგმნება, როგორც "თან". ეგევე სიტყვა

1 თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ.1965, გვ.256.

2 შატბერდის კრებული, გვ.62

3 დ.მელიქიშვილი, დასახ წერილი, გვ.194

4 კ.დანელია, დასახ წიგნი, გვ.247

5 სინური მრავალთავი, გვ.335

6 იქვე, გვ.335

გვხვდება იოანე ოქროპირის ზემოაღნიშნულ საკითხავში (αφαιρη). ამავე შინაარსით გამოიყენება, აგრეთვე, *υλη*. აღნიშნულ ტერმინებს, ცხადია, არაფერი აქვთ საერთო ქართულ "წესთან".

ამგვარად, *το στοιχειον*-ის უძველესი ქართული შესატყვისი "წესი შექმნილია უშუალოდ ბერძნულ ლიტერატურასთან კონტაქტის შედეგად.

როგორც ცნობილია, *Vs.* -ის შუა წლებიდან ქართული მწერლობა მჭიდროდ უკავშირდება სომხურს. V-VI სს-ში სომხურიდან თარგმნა იმდენად ინტენსიური ხდება, რომ უშუალოდ ბერძნულ ლიტერატურასთან კონტაქტი რამდენადმე იჩრდილება. ამგვარი ურთიერთობა აისახა სამწერლობო ენაშიც. სომხურიდან ქართულში და ქართულიდან სომხურში სიტყვათა შესვლა, ჩვეულებრივ, ცხადია, ზეპირი გზით ხდებოდა და ამ მოვლენას უძველეს ისტორიულ წარსულში ედება სათავე. მაგარამ ამათუიმ სიტყვის ტერმინოლოგიური შინაარსით გავრცელება უშუალოდ მწიგნობრობასთან არის დაკავშირებული, რადგან ცალკეულ ტერმინთა შესება სწორედ წერილობითი გზით ხდება.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ *το στοιχειον* სომხურად ხშირად ითარგმნებოდა, როგორც *υλη*. ამ ტერმინს ჰ. აჭარიანი უკავშირებს ბერძნულ *νηθω*-ს, რომელიც ნიშნავს "თხზვას"; "წვნას". საგულისხმოა, რომ სომხური *υλη* და ქართული "ნივთებაც" ყოფითი შინაარსით სწორედ ამ მნიშვნელობას შეიცავს.

ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინი "ნივთი" ქართულ მწერლობაში გავრცელებოდა და დამკვიდრდებოდა მას შემდეგ, რაც სომხურ ლიტერატურასთან მჭიდრო კავშირი დამყარდა, ე.ი. არა უადრეს *Vs.*-ის II ნახევრისა.

ზემოწარმოდგენილი სურათის მიხედვით სრულიად ცხადია, რომ ვიდრე "ნივთი" შეიძენდა *το στοιχειον*-ის შინაარსს, აღნიშნული ბერძნული ტერმინი, ჩვეულებრივ "წესად" ან "საწესოდ" ითარგმნებოდა. ამ უკანასკნელთა ხმარება თანდათანობით შეიზღუდებოდა V ს-ის მიწურულიდან.

წინათონური პერიოდის ძეგლებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ "სტიქიონის" შინაარსით "ნივთი" მეტად სწრაფად გავრცელებულა ქართულში. ამის მიზეზი უთუოდ ის უნდა ყოფილიყო, რომ სიტყვა "წესი" უძველეს დროშივე მრავალი მნიშვნელობით იხმარებოდა და ტერმინოლოგიური ერთგვარობის თვალსაზრისით იგი ყოველთვის შესაფერისი არ ჩანდა. სევერიანეს შრომის ზემოაღნიშნულ თარგმანში ეს სიტყვა სისტემურად გადმოსცემს ისეთ განსხვავებულ ტერმინებს, როგორებიცაა: *φυσικα* (ბუნება), *ακολουθια* (თანამიმდევრობა), *χρονος* (დრო), *τροπος* (სახე, მეთოდი), *ταξια* (წყობა, წესრიგი), *καταστασις* (მდგომარეობა, ვითარება). გარდა ამისა, "წესი" ადრიდანვე აღნიშნავდა კანონს, განაწესს, ნორმას.¹

ამგვარი მრავალმნიშვნელოვანი სიტყვა უძველეს პერიოდში, როგორც მივეუთითებდით, გადმოსცემდა, აგრეთვე, ბერძნულ *το στοιχειον*-ს.

ტერმინოლოგიური ევოლუცია გულისხმობს, ძალისამებრ, სწრაფვას სიტყვათა ერთმნიშვნელობისაკენ, ერთგული ცნებებისაკენ. როდესაც ესათუის სიტყვა ტერმინულად (და არა კონტექსტისეულად) გადმოსცემს მრავალ ცნებას, ეს გარემოება, ჩვეულებრივ, არქაული ვითარების ამსახველია. მოგვიანებით, როდესაც ახალი, შედარებით კონკრეტული ტერმინი იქმნება, მისი წინამორბედი თანდათანობით დავიწყებას ეძლევა, თუმცა იგი არქაიზმის

1 ი. აბულაძე, დასახ. ლექსიკონი, გვ. 542.

სახით შეიძლება გვიანდელ ეპოქაშიც შემორჩეს.

საგულისხმო უნდა იყოს იმის აღნიშვნა, რომ *το στοιχειον*-ის თარგმნასთან დაკავშირებით ტერმინოლოგიური სიზუსტისაკენ სწრაფვა ქართულ მწერლობაში მანამდეც შეიმჩნევა, ვიდრე დამკვიდრდებოდა შედარებით კონკრეტული ტერმინი "ნივთი". ამაზე მიანიშნებს ის გარემოება, რომ ზოგჯერ *το στοιχειον* თარგმნილია არა როგორც "წესი", არამედ "საწესო". მიუთითებდით, რომ ასეა თარგმნილი *το στοιχειον* იოანე ოქროპირის ერთერთ საკითხავში, სადაც საკუთრივ "წესი" ბერძნულ *φυσικ*-ს გადმოსცემს. როგორც ჩანს, აღნიშნული ძეგლის მთარგმნელი, შეძლებისამებრ, თავს არიდებს ცნებათა პოლისემიას და ცდილობს ერთმანეთისაგან გამიჯნოს ორი სხვადასხვა ტერმინი *το στοιχειον* და *η φυσικ*. საფიქრელია, მისთვის უცნობი იყო ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინი "ნივთი", თორემ გაცილებით მიზანშეწონილი იქნებოდა სწორედ ამ უკანასკნელის გამოყენება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ "ნივთი", ისევე როგორც სომხური *սիւս*, გარდა *στοιχειον*-ისა, გადმოსცემს, აგრეთვე, ბერძნულ *η σλη*-ს. "ნივთის", როგორც "მატერიის" აღმნიშვნელი ცნების საკითხს ქვემოთ ვეხებით, ამჯერად კი ყურადღებას გავამახვილებთ იმ შემთხვევებზე, როცა ეს სიტყვა კონკრეტულად "სტიქიონის" შინაარსით იხმარება.

"უძველესი იადგარი" შეიცავს ლაზარესადმი მიძღვნილ ერთ საგალობელს, რომელშიც ვკითხულობთ:

"ოთხნივთიერი ვორცნი განხრწნილისა ლაზარეჰსნი შემოქმედმან სიტყვთა კუალად შეამტკიცენ".¹

ეჭვი არ არის, რომ "ოთხნივთიერი ვორცნი" ნიშნავს ოთხი სტიქიონისაგან, ოთხი "კავშირისაგან" შედგენილ სხეულს,² რაც ირღვევა სიკვდილის ჟამს და რაც უფლის მიერ კვლავ შემტკიცდა ხორციელად აღდგინებულ ლაზარეში. ამიტომ, საფიქრებელია "ოთხნივთიერი ვორცნი" გადმოსცემდეს ბერძნულ *η σαρχ των τεσσαρων στοιχειων*-ს. საქმე ისაა, რომ მატერიის აღმნიშვნელ *σλη*-ს, ჩვეულებრივ, არ ახლავს დაზუსტება "ოთხი". ამგვარი დაზუსტება გვხვდება სწორედ *το στοιχειον*-თან დაკავშირებით. ფრაზა *τα τεσσαρα στοιχεία* ფილოსოფიურ მწერლობაში დამკვიდრებული ტერმინია. სიტყვები *τα τεσσαρα* და *στοιχεια* ისე მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი, რომ ისინი ცალცალკე ხმარების დროსაც აუცილებლად გულისხმობენ ერთმანეთს. ამიტომაც, რომ *τα τεσσαρα στοιχεία*-ს ნაცვლად ხშირად შეიძლება შევხვდეთ მხოლოდ *τα τεσσαρα*-ს, თუმცა იგი გულისხმობს სწორედ *στοιχεια*-ს და, ცხადია, არა *σλαι*-ს.

აღნიშნულ გარემოებას ხაზს ვუსვამთ იმის გამო, რომ ხშირ შემთხვევაში,

1 უძველესი იადგარი, გვ. 162

2 შტრ. "ეგების, რადთა კუალად ეგნენ გუაჰნი კაცთანი ოთხთა მათგან ნივთთა" (მატერადის კრებული, გვ.114; იხ. ქვემოთ მოტანილი ნიმუშები. ეს მაგალითი დამოწმებულია თ.ცქიტიშვილის მიერ; იხ. თ.ცქიტიშვილი, ერთი ფილოსოფიური ცნების აღმნიშვნელი ტერმინებისათვის ძველ ქართულში, არეოპაგიტული ძიებანი, თბ. 1986, გვ.119). აგრეთვე: "ოთხ ნაწილ არიან ვორცნი ოთხთა ნივთთაგან" (A-65 ხელნაწერიდან დამოწმებულია თ.ცქიტიშვილის მიერ, იხ. დასახ. შრომა, გვ.119); "შეუძლებელ არს ყოფად ვორცთა თვნიერ ქონებისა ოთხთა ნივთთაგან" (დამოწმებულია იქვე, გვ.119)

როგორც ცნობილია, საშუალება არა გვაქვს ქართული ტექსტი მის უშუალო დედანს შევუდაროთ; ან თვით ბერძნული ორიგინალია დაკარგული ანდა ბერძნული ტექსტი მოღწეულია, მაგრამ ხელი არ მიგვიწვდება იმენოვან ტექსტზე, რომელიც ქართული თარგმანის უშუალო წყაროა (ასეთ შემთხვევაში ქართული ტექსტის ბერძნულთან შედარება ნაწილობრივ ავსებს ხარვეზს). მხედველობაშია მისაღები, აგრეთვე, ორიგინალური ძეგლები, რომელთა ტერმინოლოგიურ შინაარსს მხოლოდ კონტექსტი თუ გაგვირკევებს.

რამდენადაც "ნივთი" შეიცავს როგორც *σλη*-ს, ასევე *στοιχειον*-ის შინაარსს, ამდენად ისეთ შემთხვევებში, როცა ქართული თარგმანის უშუალო წყარო ანდა ორიგინალი მოღწეული არ არის, აღნიშნული ტერმინის მნიშვნელობა (*σλη*-ს გადმოსცემს იგი თუ *στοιχειον*-ს) შეიძლება გაგვიცხადოს სწორედ რიცხობრივმა დაზუსტებამ. თუ "ნივთს" ახლავს განსაზღვრება "ოთხი", იგი, ჩვეულებრივ, *στοιχειον*-ს გულისხმობს.¹

ასე რომ, სიტყვა "ოთხნივთიერი", ვფიქრობთ, შეეფარდება სწორედ *τεσσαρα στοιχεια*-ს. საგალობელი, რომელიც ამ სიტყვას შეიცავს, VII-VIII სს-ის თარგმანს წარმოადგენს. შესაბამისად, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ამ დროისათვის ტერმინი "ნივთი" უკვე დამკვიდრებული იყო ქართულ მწერლობაში *στοιχειον*-ის შესატყვისად.

გრიგოლ ნოსელის "კაცისა შესაქმის" უძველეს ვერსიაში "ნივთი" გადმოსცემს როგორც *η σλη*-ს, ისე *στοιχειον*-ს. ამ უკანასკნელის ნიმუშებია:

დაბადებად ამის ქუეყანისაჲ
დიდებულისაჲ იქმნა ოთ-
ხთა ამათგან ნივთთა.²

*του τηλικουτου κοσμου
και των κατ αυτον μερων
στοιχειωδων... υποβληθεν-
των*

კუალად ეგნენ გუამნი კა-
ცთანჲ ოთხთა მათგან ნი-
ვთთა³

*eis ta tou παντος στο-
ιχεια του ανθρωπινου σω-
ματος αναλυθεντος*

აგებულებად მათი ამათვე
ოთხთა ნივთთაგან შეზა-
ვებულ არს⁴

*και γαρ κακεινοις εκ των
τεσσαρων τουτων η κρα-
σις εστι*

στοιχειον-ის მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ნივთს "ბალავარიანშიც":

¹ *σλη*-სა და *στοιχειον* -ის საღვთისმეტყველო მნიშვნელობათა შესახებ იხ: A Patristic Greek Lexicon, ed. by G.W.H.Lamp, Oxford 1961, p.1260; 1429; A Greek-English Lexicon of the New Testament and Other Early Christian Literature, ed. by W.F.Arndt and F.W.Gingnich, Cambridge 1957, p.776; 843

² შატბერდის კრებული, გვ.73. დამოწმებულია თ.ცქიტიშვილის მიერ, გვ.119

³ შატბერდის კრებული, გვ.114; დამოწმებულია თ.ცქიტიშვილის მიერ, გვ.119. მკვლევარს დამოწმებული აქვს, აგრეთვე, კიდევ ერთი ნიმუში ხსენებული თარგმანიდან, სადაც გვხვდება ფრაზა: "უსულოთა მათ ნივთთა". ორიგინალში "ნივთთა"-ს შესატყვისია არა *στοιχεια*, არამედ *σλη* (იხ.ქვემოთ *η σλη*).

⁴ იქვე, გვ.93

"ოთხნი იგი ასპიტნი მსგავს არიან ოთხთა მათ ნივთთა".¹

აღნიშნული შინაარსით "ნივთი" განსაკუთრებით ხშირია ბასილი დიდის "ექუსთა დღეთადს" ძველ ვერსიაში, რომელიც IX ს-ს განეკუთვნება:

ხოლო მოზიდვად იგი ნივთთად წინააღმდგომთა მისთა მიმართ მიზეზ არს განქარვებისა მათისა²

η δε προς τα εναντια διολκη των στοιχειων διαπτωσεως εστιν αφορμη

არარად არს ნივთთაგანი, რომელი არს საცნობელთა ქუეშე შეურევნელ სხვსა³

εν η παν το στοιχειον αθροον διαδεικνυται

რომელსა შინა იხილვების ყოველივე ნივთი⁴

μια γε εστι συναγωγη το ολον στοιχειον

შესაკრებელი იგი დიდი... არს ნივთი⁵

ესე არა თუ ქუეყანისათვის ოდენ ესრეთ არს, არამედ სხუათაცა ნივთთათვის⁶

ου μονον δε επι της γης εστι τουτο αλλα και των αλλων στοιχειων εκαστον

ესენი ნივთნი არიან პირველნი⁷

ταυτα μεν ως πρωτα στοιχεια

ყოველი ნივთი... შეერევის წინააღმდგომსა თვსსა⁸

τω τε γαρ γειτονι στοιχειω εκαστον ανακίρναται και τω αντικειμενω συναπτεται

στοιχειον-ის შესატყვისად "ნივთი" გვხვდება ზემოაღნიშნული ორი ძეგლის გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანებშიც.

მივუთითებდით, რომ "ნივთის" გარდა მოგვიანო პერიოდში *το στοιχειον* ითარგმნებოდა, აგრეთვე, როგორც "სტკჰისნი". გიორგი მთაწმინდელი, იყენებს აგრეთვე "აგებულებას", არსენი ამკვიდრებს "ახოს", ხოლო იოანე პეტრიწი - "კავშირს", თუმცა მათ გვერდით "ნივთი" კვლავ განაგრძობს არსებობას.

საკითხის სისრულისათვის დავძენთ იმასაც, რომ გვიანდელ ეპოქაში,

1 ბალავარიანის ქართული რედაქციები, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი.აბულაძემ, თბ. 1957, გვ.37; დამოწმებულია თ.ცქიტიშვილის მიერ, გვ.119.

2 უძველესი რედაქციები... გვ.29

3 იქვე, გვ.44

4 იქვე, გვ.58

5 იქვე

6 იქვე, გვ.59

7 იქვე, გვ.60

8 იქვე, გვ.60

როგორც ეს ცხადად აჩვენა თ. ცქიტიშვილმა, *το στοιχειον*-ის შინაარსი იშვიათად გადმოიცემოდა, აგრეთვე, ტერმინებით: "რომელობა", "ბუნება", "ძალი", "თვთება",¹ თუმცა აღვნიშნავთ, რომ აქ საქმე არ უნდა გვქონდეს ტერმინოლოგიურ შესატყვისობასთან. მითითებული ქართული ტერმინები სტიქიონის შინაარსს ითავსებენ იმდენად, რამდენადაც მათი უშუალო ბერძნული ეკვივალენტები.

το στοιχειον-ის ქართულ შესატყვისთა სიმრავლე, იმავე მკვლევარის მართებული დაკვირვებით, "თავდაპირველი ფაქტი არ არის. უძველესი ტერმინი, ელემენტის, ბერძნ. *το στοιχειον*-ის აღმნიშვნელი, არის "წესი" (ხაზი ჩვენია, ე.ჭ.)"²

თ. ცქიტიშვილი ცდილობს გამოავლინოს "წესის", როგორც "სტიქიონის" აღმნიშვნელი ტერმინის ახალახალი შემთხვევები, თუმცა მის მიერ პირველდამოწმებული ნიმუშების უმრავლესობა არ შეიცავს "წესს" "სტიქიონის" შინაარსით. აი, ეს ნიმუშები:

1. "შეცვალნა ბუნებითთა მათ შჯულთა წესთა განწესებანი";
2. "დასცხრა წესი ბუნებისა შჯულთა აგებულებისაჲ"³
3. "მოუძღურდენ არსებათა იგი წესთა აგებულებანი",⁴

მოტანილ ნიმუშებში "წესი" გამოიყენება თავისი ჩვეულებრივი შინაარსით და გულისხმობს იმასვე, რასაც ბერძნული *η τάξις*, ე.ი. მისი მნიშვნელობაა არა "სტიქიონი", არამედ "კანონზომიერება". აღნიშნული ციტატები განჭვრეტს მაცხოვრის ჯვარცმას, როდესაც "მზე ბნელად გარდაიქცა", ე.ი. როდესაც გაუქმდა ბუნების დაწესებული მტკიცე კანონზომიერებანი.

4. "არათუ წესი ცვალა"

აღნიშნული ციტატა ამოღებულია იოანე ოქროპირის საკითხავიდან პეტრეს, ელიასა და ელისეს შესახებ. მკვლევარი, ცხადია, ეყრდნობა არა საკუთრივ ხელნაწერს, არამედ ი. აბულაძის "ძველი ქართული ენის ლექსიკონს". ამას ასაჩინოებს მის მიერ ი. აბულაძისეული არაზუსტი შემოკლებული მითითების (317) უცვლელი გადმოტანა (სინამდვილეში დამოწმებული ციტატა მოთავსებულია A-144 ხელნაწერის 160 გვერდზე). თუკი ზემორე მაგალითების შემთხვევაში მკვლევარს მხოლოდ ქართული ტექსტის საფუძველზე გამოჰქონდა დასკვნა, რადგანაც შესაბამისი ბერძნული ორიგინალები მოძიებული არ არის, ამჯერად იგი ვალდებული იყო ენახა დედანი.

მოტანილ ნიმუშში "წესი" გადმოსცემს არა *στοιχειον*-ს, არამედ ბერძნულ *φυσικη*-ს (იხ. ზემოთ: *φυσικη*).

1 თ. ცქიტიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 111, 131-133.

2 იქვე, გვ. 112.

3 თ. ცქიტიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 114

4 იქვე

5 ასევე ი. აბულაძის ლექსიკონიდან უნდა ჰქონდეს მკვლევარს დამოწმებული "ათონის მრავალთავი": "ყოველთა ოთხთავან წესთა შემტკიცებულთა კაცთა აღადგინეს" (Ath. 11, 65v) (მღრ. დასახ. ლექს, გვ. 542). აქ წესი უთუოდ სტიქიონს ნიშნავს (ბერძნულში გვაქვს *τα στοιχεία*)

5. "ხოლო უკუანადგენელთა მათ და შემდგომთა წესთა ვერ გელეწიფების უზეშთაესთა მადლსა და სახელისდებასა მიწთომად (A-1103, 141).¹

მკვლევარის აზრით, დამოწმებულ მაგალითში "საუბარია ღვთაების უპირატესობაზე სტიქიათა მიმართ".² თ.ცქიტვილი ასე განმარტავს ზემორე ციტატას: "ღმერთთა სამყაროს ოთხი სტიქიით აღმკობის მიზეზი, ამიტომ სტიქიებს არ ძალუძთ უზეშთაესის მადლსა და სახელამდე წვდომა"³

ეს განმარტება, რათქმაუნდა, მართებული არ არის. ციტატაშია არა "უზეშთაესის", არამედ "უზეშთაესთა", ე.ი. გვაქვს მრავლობითი რიცხვი, რაც ღმერთს არ გულისხმობს. აღნიშნულ ნიმუშში გადმოცემულია არეოპაგიტული მოძღვრება იმის თაობაზე, რომ ზეციური დასები ანუ ანგელოზთა "წესნი" სხვადასხვა სულიერ ხარისხს ფლობენ და მათი ხარისხობრივი მეტნაკლებობა ქმნის ზეციურ წესთა ანუ დასთა იერარქიას. ეს ნიშნავს: უზესთაესი დასები მთლიანად მოიცავენ უქვემოებს, მაშინ როცა უქვემოესნი დაკლებულნი არიან უზესთაესთა სიდიადისაგან. წმ. დიონისე არეოპაგელი გვაუწყებს (ეფრემ მცირის თარგმანი): "უზესთაესთა მათ წესთა (αι υπερεβηκυσιαι ταξεις) ყოველივე აქუს უდარესთა მათ შემკულებათა გამობრწყინვებად და ძალი, ხოლო უქვემოესნი იგი დასასრულისანი ვერ მქონებელ არიან უზეშთაესთა მათ წესსა და პატივსა" (თავი V).⁴

ამგვარად, მოტანილ ნიმუშში "წესნი" აღნიშნავს "დასებს" და არა "სტიქიონებს"⁵

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ το στοιχειον-ის უძველეს ტერმინულ შესატყვისად ქართულ ენაში არსებობდა "წესი", რომელსაც დაახლ. VI ს-იდან თანდათანობით ცვლის "ნივთი". ასე რომ, ვფიქრობთ, სავსებით სამართლიანია თ.ცქიტვილის შემდეგი დასკვნა: "ქართულში ფილოსოფიური ცნების - სამყაროს ოთხი ელემენტის აღმნიშვნელ ტერმინთა სიმრავლე (წესი,

1 თ.ცქიტვილი, დასახ. შრომა, გვ.114

2 იქვე

3 იქვე

4 იხ. ს.ენუქაშვილის გამოც. გვ.116

5 თ.ცქიტვილის გამოკვლევაში არის სხვა, ჩვენი აზრით, დასაზუსტებელი ადგილებიც. მაგალითად, ერთგან მკვლევარი აღნიშნავს: "ჩანს, ჩვენს მთარგმნელ ფილოსოფოსთათვის 'წესის' ტერმინული შინაარსი ცნობილი აღარ არის, დაკარგულია მარჯვედ შექმნილი ტერმინი; სწორედ ამიტომ 'ექუსთა დღეთადს' პირველი მთარგმნელი (VIII-IX სს) ახალ ტერმინს - 'ნივთს' იყენებს ბერძნული το στοιχειον-ის ცნებითი შინაარსის აღმნიშვნელად, ან მზამზარეულად ხმარობს ბერძნულ ტერმინს 'სტვქისს' (იქვე, გვ.119). მკვლევარი, ვფიქრობთ, მართებულად აღნიშნავს, რომ VIII-IX სს-ისათვის 'წესი' 'სტიქიონის' შინაარსით პრაქტიკულად უგულებელყოფილია. მაგრამ ამის მიზეზია არა 'მარჯვედ შექმნილი ტერმინის' დაკარგვა, არამედ, პირიქით, το στοιχειον-ის შინაარსით 'წესის', როგორც ტერმინულად მეტად პოლისემიური ერთეულის, მოუხერხებლობა. ამასთან, 'წესის' ნაცვლად 'ნივთის' პირველ შემომტანი ბასილი დიდის 'ექუსთა დღეთადს' ძველი მთარგმნელი როდია. ამ შინაარსით 'ნივთი' როგორც ვაჩვენეთ, გვხვდება 'უძველეს იადგარში'. აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ თ.ცქიტვილი ხსენებულ მთარგმნელს მიაწერს 'სტვქისის' ხმარებას. სინამდვილეში 'ექუსთა დღეთადს' ძველ თარგმანში აღნიშნული სიტყვა არ გვხვდება. 'სტვქისნი' დამოწმებულია გრიგოლ ნოსელის 'კაცისა შესაქმეში' (იხ. ზემოთ). აღნიშნავთ, აგრეთვე, რომ მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით ჩვენთვის გასაზიარებელი არ არის მკვლევარის შემდეგი შეხედულება: 'პეტრიწის მიერ შერჩეული ახალი სიტყვა 'კავშირი'... უკეთ ასახავს ნეოპლატონურად მოაზროვნე ფილოსოფოსის მსოფლმხედველობრივ ასპექტს, ვიდრე ნივთი და ასო. როგორც უკვე მივუთითებდით, ნეოპლატონური თვალსაზრისით, თავის დროზე საუკეთესოდ არის შერჩეული ტერმინი 'წესი' (იქვე, გვ.126).

ნივთი, ასო, აგებულება, კავშირი) შემთხვევითი მოვლენა არ არის. ძირითადად მათ შორის ქრონოლოგიური მიმართება არსებობს (ხაზი ჩვენია, ე.ჭ.)... თავდაპირველი, ყველაზე ადრინდელი ტერმინია "წესი" (ხაზი ჩვენია, ე.ჭ.)¹ დავძენთ, რომ "სტიქიონის" აღმნიშვნელ ტერმინთაგან "წესის" თანადროულია (და, შესაბამისად, უძველესია) იმავე ძირიდან ნაწარმოები "საწესო", რაც (დღეისათვის ცნობილი ტექსტებით) მარტოდენ აღნიშნული შინაარსით გვხვდება და საფუძვრებელია, რომ იგი "წესის" საფუძველზე სპეციალურად იყოს შექმნილი (ცხადია, სხვა ზემოაღნიშნულ ტერმინთა გაჩენამდე დიდი ხნით ადრე) უთუოდ ცნებითი ერთმნიშვნელოვნების მისაღწევად.

II. ტერმინის შესატყვისები სპერსიანთა გაბალოვნელის "ეჟუსთა დღეთა"-ს ქართულ თარგმანში.

აღნიშნულ ძეგლში το στοιχειον-ის შესატყვისად გვხვდება მხოლოდ უძველესი "წესი", "საწესო":

შეიქმნნეს ოთხნი იგი წესნი: ქუეყანად, ცეცხლი, წყალი, ჰაერნი (16)

εγενετο... τα τεσσαρα στοιχεία: γη, πυρ, υδωρ, αηρ (col. 435)

აჩუენა პირველად მორჩილებად საწესოთად მათ (35)

εδειξε πρωτον υπακουσαντα τα στοιχεία (col.440)

ჰპოვებს წესთა მათ ქუეყანისათა უმძიმესად (48)

εν τοις στοιχειοις ευρισκεις την μεν γην βαρειαν (col.443)

რაჟამს უჯეროდ წესსა მას მისსა შემთხვის, ღაღადებნ (80)

οταν γαρ τι παρα φυσιν εν τω στοιχειω γενεται βοα (col.450)

იქმოდა ყოველთაგან წესთა (99)

εποιησε γαρ δι ολων στοιχειων (col.455)

ანუ მათგან-მე წესთა ჩუენი უწყებად ჰნებავს (107)

η ταχα και αυτων των στοιχειων ημας διδαξαι βουλομενος (col.458)

¹ აღვნიშნავთ, აგრეთვე, რომ "სტიქიონის" შესატყვისად გვხვდება ტერმინი "არსი" გიორგი მთაწმიდლის მიერ თარგმნილ გრიგოლ ნოსელის შრომაში "ჰასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს": "ესე ქცეულებად და ცვალებად დაუცადებელად იხილვების არსთა შორის." აქ "არსნი" გადმოსცემს ბერძნულ τα στοιχεία-ს. იხ. საქ. ეკლ. კალენდ. თბ. 1989, გვ.305

თითოეულად წესთა მათ
ღმერთი შუენიერებასა მის-
ცემდა (108)

*εκαστω των στοιχειων
τουτων ο θεος... ευκοσμι-
αν παρεσχεν (col.458)*

ოთხნი წესნი არიან სო-
ფელსა შინა (154)

*τεσσαρα εστι στοιχεια εν
τω κοσμω (col.473)*

სხუათა წესთათვის თითო-
ეულად არს გულისხმისსა-
ყოფელი (154)

*των αλλων στοιχειων εκα-
στον ως εστι μενει
(col.473)*

ზემომოტანილი ციტატები გვაფიქრებინებს, რომ სევერიანეს შრომის თარგმანი მიეკუთვნება ისეთ დროს, როცა ყოფით სიტყვა "ნივთს" ქართულ მწერლობაში ჭერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული *το στοιχειον*-ის მნიშვნელობა.

განსაკუთრებით საგულისხმო გვეჩვენება ის გარემოება, რომ სევერიანეს შრომის ქართულ თარგმანში ერთგან გვხვდება ლექსიკური ერთეული "ნივთი" ყოველგვარი ფილოსოფიური დატვირთვის გარეშე. აი, ეს ადგილი:

ნივთი წულილი დედაკაც-
მან დასთის და დაქუსის
საქმარად მრავლად და ფე-
რად-ფერად პირად (95)

*στημονα λεπτον γυνη
διανησασα, τεμνει το ερι-
ον εις πολλας και δια-
φορους οψεις (col.454)*

როგორც ვხედავთ, "ნივთი" გადმოსცემს ბერძნულ *η στημων*-ს (ლათ. *stamen*), რაც აღნიშნავს "ქსელს", საქსოვ ძაფს. ცხადია, "ნივთი წულილი" ანუ "წვრილი ნივთი" (*στημων λεπτος*) გულისხმობს "წვრილ საქსოვ ძაფს", "წვრილ ქსელს", ე.ი. "ნივთის" მნიშვნელობა ამ კონტექსტში არის არა "სტიქიონი", არამედ "საქსოვი ძაფი".

ბიბლიის უძველეს რედაქციებში გვხვდება ზმნა "ნივთება", რომელიც როგორც აღვნიშნეთ, გულისხმობს "დახლართვას", "დაქსელვას", ი.აბულაძის მითითებით, "თხზვას"¹ (მისი გადატანითი მნიშვნელობაა "მახის დაგება", ბოროტის განზრახვა).

49-ე ფსალმუნში ვკითხულობთ:

ენად შენი ნივთებდა ზაკ-
უეასა (49,19).

*η γλωσσα σου περι-
επλεκεν δολιοτητα*

ზმნა "ნივთებდა" შეესატყვისება ბერძნულ *περιεπλεκεν*, რომელიც აღნიშნავს "მიმოფენას", "დახლართვას", "დაქსელვას". ამგვარივე შინაარსისა უნდა იყოს ქართული "ნივთებაც".

ეს მნიშვნელობა განსაკუთრებით ნათლად ჩანს 57-ე ფსალმუნის III მუხლში:

სიცრუესა ველნი თქუენნი
ნივთებენ.

*αδικιαν αι χειρες υμων
συμπλεκουσιν*

1 ი.აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1973, გვ.329.

ბერძნული *συμπλεκω* აღნიშნავს "წვნას", "თხზვას", "თანაშექსოვას". უძველესია, ქართული "ნივთებაც" ამავე შინაარსისაა.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ "ნივთი" ზემოაღნიშნული მნიშვნელობით კიდევ უნდა დასტურდებოდეს ერთ უძველეს ქართულ თარგმანში. მხდველობაში გვაქვს აპოკრიფი "თქუმული ღმრთისმშობლისა შობისათვის", რომლის ხანმეტ ფრაგმენტში ვკითხულობთ:

"და ხრქუა მღდელთ-მოძღუარმან მან: წილ-ხუგდეთ, ვინ სთას ოქროდ ესე და ამიანტონი და ბისონი და ნივთი შარისაჲ"¹

ქართული ტექსტის ფრაზა "ნივთი შარისაჲ" გადმოსცემს ბერძნულ *το σιρικον*² (ვარიანტები: *σηρικον*, *σηρικουιν*. სომხურ ვერსიაში მას შესატყვისი არა აქვს), რაც აღნიშნავს აბრეშუმის საქსოვ ძაფს.

ვფიქრობთ, "ნივთი შარისა" იგივეა, რაც "საქსოვი ძაფი აბრეშუმისა", ე.ი. "ნივთს" აქაც "საქსოვი ძაფის"³ მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

ამგვარად, სევერიანეს შრომის ქართულ თარგმანში სიტყვა "ნივთი" გვხვდება მხოლოდ ერთხელ "საქსოვი ძაფის", "ქსელის" მნიშვნელობით (ბერძნ. *η στημων*, ლათ. *stamen*), ანუ ოდენ ყოფითი შინაარსით. ამ სიტყვას რომ უკვე შეძენილი ჰქონოდა ფილოსოფიური გააზრება, მეტად საეჭვოა, ქართველ მთარგმნელს ერთხელ მაინც არ გამოეყენებინა იგი *το στοιχειον*-ის შესატყვისად.

ვფიქრობთ, ჩვენთვის საინტერესო ძეგლი ითარგმნა იმ პერიოდში, როცა "ნივთს" ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული "სტიქიონის" შინაარსი. ეს პერიოდი, ჩვენი აზრით, უნდა გულისხმობდეს დროს არაუგვიანეს V-VI ს.ს-ისა.

¹ ა. შანიძე, იაკობის პირველსახარების ხანმეტი ნაწყვეტები, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 20, თბ. 1977, გვ. 27.

² E. de Strycker, S. J. La Forme la plus ancienne du Protevangile de Jacque, Bruxelles 1961, p. 112

³ აქვე აღნიშნავთ, რომ ბიბლიურ წიგნებში *στημων* ქართულად ითარგმნებოდა, როგორც "საგუსალი", ან "სავალალი".

Υλη

1. ტერმინის ძველი ქართული შესატყვისები:

ბერძნული *υλη*, ყოფითი შინაარსით, ნიშნავს "ტყეს", "ხის მასალას", "შეშას", "ძელს", აგრეთვე "ბუჩქნარს". *υλη* ან *υλης* არის, ამასთან, "ტალახი", "ჭუჭყი", "ნალექი". ზმნა *υλιζω* ნიშნავს "გაფილტვრას", "გაწურვას", "ნალექისგან გაწმენდას".¹

ფილოსოფიური აზრით *η υλη* იგივეა, რაც "მატერია", "ნივთიერება", "შიგთავსი", "მატერიალური სამყარო".

ეს სიტყვა ბიბლიაში იშვიათად გვხვდება.

ესაიას წიგნის ადრეულ ქართულ ვერსიაში *υλη*-ს შეესატყვისება "ტყე":

შეშჭამდეს, ვითარცა თივ-
ასა, ტყესა (10,17)

*φαγεται ωσει χορτον την
υλην*

გვიანდელ გელათურ თარგმანში აღნიშნული მუხლი ასეა წარმოდგენილი: "ჭამდეს, ვითარცა თივასა, ნივთსა".

υλη გვხვდება იაკობის ეპისტოლეში, რომლის ადრეული ქართული ვერსია ასეთი სახისაა:

მცირემან ცეცხლმან რავდ-
ენი ტყჴ ალაგზნის (იაკ.
3,5)

*ηλικον πυρ ηλικην υλην
αναπτει*

გიორგისეულ და ეფრემისეულ ვერსიებში ვკითხულობთ:

"მცირემან ცეცხლმან რაოდენი ნივთი ალაგზნის"

აღნიშნულ ტერმინთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს იობის წიგნის ქართული რედაქციები. ბერძნულ ტექსტში ჩვენთვის საინტერესო ტერმინი სამგზის გვხვდება (ერთგან, როგორც *υλωδης*). უძველესი ვერსია ასეთ თარგმანს გვაწვდის:

ცნან, სადა არს მათი იგი-
სიმართლჴ (19,29)

*γνωσονται που εστιν αυ-
των η υλη*

¹ E.Boisacq, Dictionnaire etymologique de la langue Grecque, Heidelberg 1950, p.1000. შტრ. A Greek-English Lexicon, compiled by H.Liddle and R.Scott, Oxford 1968, p.1847, art. *υλη* - forest, woodland, brushwood, undergrowth, wood cut down, firewood, fuel, timber

ოდეს-იგი ვიყავ სიმართ-
ლითა დიდად ფრიად
(29,5)

οτε ημην υλωδης λιαν

შეშინებულ არიან იგინი
საწოლსა თვისა ზედა
(38,40)

καθηνται δε εν υλαις
ενεδρευοντες

აღნიშნული მუხლებიდან მესამე ოშკურ ბიბლიაში დაცულ უძველეს ვერსიას აკლია, მაგრამ რამდენადაც "მცხეთური ბიბლიის" ტექსტი ამ ადგილას ძირითადად სწორედ ოშკურ ვერსიას შეიცავს, საფიქრებელია, რომ ზემოწარმოდგენილი მესამე მუხლიც იდენტური იქნებოდა მათში.

როგორც ვხედავთ, *სλη*-ს შეესატყვისება "სიმართლე" და "საწოლი". აშკარაა, რომ აქ *სλη*-ს უშუალო თარგმანთან არა გვაქვს საქმე, რადგანაც ბერძნული-ტერმინი ზემოაღნიშნულ მნიშვნელობებს არ შეიცავს.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ "იობის" წიგნის 38,40 მუხლში ასევე "საწოლის" აღმნიშვნელი ხ^შტი გვაქვს სომხურ ტექსტშიც ("սարսիցես ի խշտիս իվեսսո խշտի"), ხოლო 19,29 მუხლის "სიმართლეს" ერთერთ სომხურ ვარიანტში შეესატყვისება "დატასტან", რომელიც აღნიშნავს "სასამართლოს", "გასამართლებას" ანუ ძველ ქართულ "საშჯელს". იგი გადმოსცემს ბერძნულ *κρισις, κριμα, κριτηριον, δικαστηριον*.¹

ძველ ქართულ მწერლობაში "საშჯელი" და "მშჯავრი" სინონიმია "სამართლისა".² ამ მხრივ, პალაოლოგურ ტექსტებთან ერთად, მნიშვნელობა ენიჭება ისეთ გამოთქმებსაც, როგორიცაა: "ჰყავ სამართალი ჩემი და მშჯავრი ჩემი" (ფს. 9,5) "სამართალსა არა შჯიდეს" (იერ. 5,28) და სხვა.

ზემოძიებითებული "სიმართლე" და "საწოლი" უთუოდ სხვა ტერმინს გადმოსცემს და მათ არაფერი აქვთ საერთო ბერძნულ *η σλη*-სთან (გვიანდელ, ბაქარისეულ ვერსიაში, მათ ნაცვლად "ნივთი" გვაქვს). საფიქრელია, ძველი აღთქმის აღნიშნული წიგნი არ უნდა მომდინარეობდეს უშუალოდ ბერძნული ენიდან.

"იერემიას" წიგნში გვხვდება ტერმინი *εξυλωμενος*. ოშკურ-იერუსალიმურ ხელნაწერებში შესატყვისი მუხლი (22,14) ასეა თარგმნილი:

იშენე თავისა თვისსა სა-
ხლ შემგუვედ... მოფიცრუ-
ლი ნაძვთა

ωκοδομησας σεαυτω οικον
συμμετρον... εξυλωμενα
εν κεδρω

გელათური და მცხეთური ბიბლიები ასეთ თარგმანს გვაწვდის: "უშენე თავსა შენსა სახლი ზომითი... მონივთულები ნაძვთა".

წარმოდგენილი ნიმუშები ცხადყოფს, რომ *სλη* უძველეს პერიოდში, ყოფითი შინაარსის შესაბამისად, ითარგმნებოდა, როგორც "ტყე", "ფიცარი", რაც მოგვიანებით "ნივთმა" შეცვალა.

ზემოთ მივუთითებდით, რომ მატერიის აღმნიშვნელი "ნივთი" ქართულ

1 სიერ բառապարհի հայկացեսն լեզուի հարտի արուշիկ 1836 (repr. 1979), 600

2 ი.აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1973, გვ.362.

მწერლობაში უნდა გავრცელებულიყო სომხურთან მჭიდრო ლიტერატურული ურთიერთობის დამყარების შემდეგ. საგულისხმოა აღნიშნოს, რომ თვით სომხურში "ნივთი" შედარებით გვიან იძენს ფილოსოფიურ შინაარსს. ზემომოტანილ ციტატებში *η σλη* არც სომხურშია "ნივთად" თარგმნილი. ესაიას წიგნში (10,17) და იაკობის ეპისტოლეში (3,5) მას შეესატყვისება "ანტარ" - ტყე (მდრ. ქართული "ტყესა", "ტყს"), ხოლო იერემიას წიგნში (22,14) - "ტახტაკამაწ" - ფიცრებით დაფარული, შემოფიცრული (იგივეა, რაც ქართული "მოფიცრული").

რაც შეეხება "ნივთს", საფიქრებელია, მისი სემანტიკური მეტამორფოზა სომხურსა და ქართულში პარალელურად მიმდინარეობდა. ყოველ შემთხვევაში VI ს-ის დამდეგიდან მას უთუოდ უკვე შეძენილი უნდა ჰქონოდა "მატერიის" შინაარსი. ამ მხრივ, ყურადღებას იქცევს ძველი აღთქმის აპოკრიფული წიგნები "სიბრძნე სოლომონისა" და "ზირაქის სიბრძნე". შესაბამის ბერძნულ ტექსტში სამგზის გვხვდება *η σλη*, რომელიც აღნიშნული წიგნების უძველეს ქართულ ვერსიებში ასეა თარგმნილი:

დაჰბადე სოფელი უსახო-
დსაგან ნივთისა (სიბრძნ.
სოლ. 11,17)

*κτισασα τον κοσμον εξ
αμορφου σλης*

ნივთისაგან მიწოვნისა
ადვილად შესამუსრველი
ჭურჭერი... იქმს
(სიბრძნ. სოლ. 15,13)

*σλης γεωδους ευθραυστα
σκευη... δημιουργων*

ნივთიერება ცეცხლისა
(ზირ. 28,10)

την σλην του πυρος

სომხურ ბიბლიაშიც აღნიშნულ მუხლებში, აგრეთვე, "ნივთი" (*սիւմ*) გვაქვს. შესაძლოა, აქ სომხურ-ქართულის ტექსტობრივ დამოკიდებულებასთანაც გვქონდეს საქმე. "ზირაქის სიბრძნის" ქართული თარგმანები შეუსწავლელია და მათ შესახებ რაიმეს გარკვევით თქმა ძნელია. რაც შეეხება "სოლომონის სიბრძნეს" იგი გამოცემულია და გამოკვლეულია ც.ქურციკიძის მიერ. მკვლევარი აღნიშნავს: "სომხურთან შედარებისას თვალში საცემი იყო ის, რომ ქართულ და სომხურ თარგმანებში აღმოჩნდა ბევრი საერთო ხმარების სიტყვა, თანაც ერთნაირ ადგილებში".¹ ამასთან, ც.ქურციკიძე დეტალურად აანალიზებს ქართული ტექსტის ბერძნიზმებს და საბოლოოდ ასკვნის, რომ სომხურ-ქართული ლექსიკური თანხვედრა შემთხვევითი ხასიათისაა ("აღნიშნული სიტყვები ქართველმა და სომეხმა მთარგმნელებმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გამოიყენეს"²), ე.ი. ქართული ტექსტი, საფიქრელია, უშუალოდ ბერძნულიდან მომდინარეობდეს.

მკვლევარის მიერ გამოვლენილი ბერძნიზმები უთუოდ ყურადსაღებია, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარი შემთხვევები ხშირად გვაქვს ისეთ ძეგლებშიც, რომლებიც შეიცავენ არმენიზმებსაც. ც.ქურციკიძის მიერ

1 ც.ქურციკიძე, ძველი აღთქმის... II, გვ.191-192
2 იქვე, გვ.193

მითითებული სომხურ-ქართული ლექსიკური თანხვედრები, ჩვენი აზრით, მთლად შემთხვევითი არ ჩანს. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა კომპოზიტი "ოთხ-კარგთა". ვფიქრობთ, მეტად საეჭვოა, რომ ბერძნული *τετραστιχου* ქართველ მთარგმნელს სომხურისაგან დამოუკიდებლად ეთარგმნა, როგორც "ოთხ-კარგთა". (შდრ. სომხური ჩორექ-კარგეაცს)¹

როგორც არ უნდა იყოს, მითითებულ აბოკრიფებში *სλη*-ს "ნივთი", "ნივთიერება" შეესატყვისება. აღნიშნული ძეგლები უძველეს დროში ითარგმნა ქართულად, არაუგვიანეს VI-VII სს-ისა. შესაბამისად, შეიძლება გვეფიქრა, რომ ამ დროისათვის "ნივთი" უკვე დამკვიდრებული იყო ქართულ მწერლობაში მატერიის შინაარსით. ამგვარ თვალსაზრისს მხარს უჭერს სხვა ტექსტებიც:

"სინური მრავალთავი" შეიცავს ათანასე ალექსანდრიელის თხზულებას "ვითარ კაც იქმნა უფალი ჩუენი იესუ ქრისტჳ". მასში ვკითხულობთ:

ვითარცა-იგი ხურომან პო-
ვის ნივთი, უსაგმრცხად
და უმჯობცხად ჭურჭლად
შექმნის იგი²

*ωσπερ τεχνιτης ευρων σλη-
ην χρησιμωτατην, καλ-
λιστιον απεργαζεται σκευ-
ος* (Pg.56, col.388)

"მატერიის" მნიშვნელობით "ნივთი" გვხვდება ბასილი ჰამელის კიმენურ "წამებაში":

"ხოლო კერპთა უსულოთა და უგრძნობელთა ველთა კაცთადთა შექმნულთა ნივთისაგან უსულოდსა არა თავყუანის-ვსცემთ".³

აღნიშნული ძეგლები მიეკუთვნება ქართული მწერლობის უძველეს პერიოდს, არა უგვიანეს VI-VII სს-ისა. დაახლოებით ამავე ეპოქისაა აგრეთვე, ანბანური პატერიკის უძველესი ქართული თარგმანები,⁴ სადაც სამგზის გვხვდება "ნივთი" *სλη*-ს შინაარსით:

გორცთა საგმარი ყოველი
ამის სოფლისა ნივთი
არს⁵

τα σωματικα σλη εισιν
(Pg.65, col.172 C)

1 ც.ქურციკიძე, ძველი აღთქმის... II, გვ.191-192

2 სინური მრავალთავი, გვ.33

3 კიმენი, I, ტფ. 1918, გვ.7

4 შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, II, ანბანურ-ანონიმური პატერიკები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მ.დვალმა თბ. 1974. საგულისხმოა, რომ აღნიშნული პატერიკებისთვის უცხოა არაბულ-ახალსპარსული ლექსიკა. განსაკუთრებით ეს ითქმის სიტყვების 'სუბუქისა' და 'ალსუბუქების' შესახებ. ყველა შემთხვევაში მათ ენაცვლება "სულმცირე" და "ალმცირება": "ალმმცირდის ბრძოლად იგი" (გვ.59); "სულმცირჳ ტვრთი დაუტევეს ძმათა" (გვ.82); "ალუმციროს მას ვნებად იგი" (გვ.113); "მინებს საქმჳ სულმცირჳ" (გვ.146) "მოგუცეს ჩუენ სამეუფოდ იგი გზად, რომელ არს სულმცირჳ" (გვ.146) "და მოგუცეს ჩუენ სამეუფოდ იგი გზად, რომელ არს სულმცირჳ" (გვ.167); "და ვითარ უთხრა საქმჳ ესე, მუნთქუესვე ალუმცირდა" (გვ.179); "ალიმცირე სიმართლისაგან შენისა" (გვ.191).

5 შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, II, ანბანურ-ანონიმური პატერიკები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მ.დვალმა, თბ. 1974, გვ.51

იტყვან... რამეთუ სამნი
არიან დასაბამნიო: ღმე-
რთი და ნივთი და სი-
ბოროტს¹

ნივთი ამის სოფლისად
არს თავისა თვისისა გან-
მართლებად (იქვე, გვ.157)

VIII-IX სს-ის ქართულენოვან ტექსტებში ჩვეულებრივია სიტყვები "ნივთი", "ნივთიერებად" (*υλη*), "ნივთიერი" (*υλικος*), "უნივთოდ" (*αυλος*) და მისთ. გრიგოლ ნაზიანზელის საშობაო საკითხავში, რომელიც X ს-ის სვანურმა მრავალთავმა შემოგვინახა, მატერიალური სამყაროს შექმნა ასეა წარმოდგენილი:

და რაჟამს განემზადა კე-
თილად მის მიერ საქმს
იგი პირველი (იგულის-
ხმება სულიერ ძალთა შე-
ქმნა, ე.ჭ.), იზრახა მეორი-
სა ამისთვის სოფლისა, ნი-
ვთიერისა და სახილავისა²

*επει δε τα πρωτα καλως
ειχεν αυτω, δευτερον εν-
νοει κοσμον υλικον και
ορωμενον*
(Pg.36, col.321 B)

იმავე მრავალთავმა შემოგვინახა იაკობ ბატნანელის (VI ს.) ქადაგება "ხარებისათვის წმიდისა ღმრთისმშობელისა და შობისათვის უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა წმიდისა ქალწულისაგან", რომელიც IX ს-ში უნდა იყოს თარგმნილი; იგი ორგზის იყენებს აღნიშნულ ტერმინს:

"საკვრველ არს საიდუმლოდ ღღისა ამის და ზეშთააღმატებულ ცნობათაგან ნივთიერთა".⁴

"არა არიან უნივთონი იგი ძალნი... არამედ იგი მხოლოდ არს"⁵

ეგვევ ტერმინი გვხვდება მარტვირი მონაზონის თხზულებაში "სინანული-სათვის და სიმდაბლისა", რომელიც ქართულად IX ს-ში ითარგმნა:⁶

"შინაგანნი ასონი... ნივთსა მას ნამეტნავსა გარე-განაბნევენ... და ნაწლევნი შეიწყნარებენ რუვთა შინა მათთა ნივთსა მას უშუერსა და განრყულნისა"⁷

1 შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, II, ანბანურ-ანონიმური პატერიკები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მ.ღვალმა, თბ. 1974, გვ.129

2 ი.აბულაძე, შრომები, III, თბ.1982, გვ.297.

3 მასში ძველქართული "სულმცირეს" ნაცვლად გვხვდება ახალსპარსული "სუბუქი", კიმენი, I, თბ. 1918, გვ.177.

4 იქვე, გვ.175

5 იქვე, გვ.177

6 ი.აბულაძე, მაგათა სწავლანი, თბ. 1955, გვ.XVII-XVIII.

7 იქვე, გვ.176.

IX ს-ის თარგმანს წარმოადგენს ეფრემ ასურის საკითხავი "სიკუდილისათვის", რომელშიც ვკითხულობთ:

"მიზიდვითა შენითა მიღევნებულ ვიქმენ ნივთიერებასა შენსა".¹

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია გრიგოლ ნოსელის "კაცისა შესაქმის" უძველესი ქართული ვერსია, რომელიც ი. აბულაძის აზრით, VIII-IX სს-ს უნდა მიეკუთვნებოდეს.² ამ თხზულებაში მეტად ხშირად გვხვდება "ნივთი" და მისგან ნაწარმოები ფორმები *სλη*-ს შინაარსით. მაგალითად:

დამბადებელმან ყოველთა-
მან... განუმზადა მას ნივ-
თი³

*ο του παντος ποιητης...
σλην αυτω... προετοιμα-
σαι*

ამისთვისცა მცენარენი იყ-
ვნენ უწინარეს სხუათა
მათ არსთა შემდგომად
ნივთთა მათ უსულთა⁴

*δια τουτο πρωτον μετα
την απυχον σλην οιον
υποβαθραν τινα της των
εμψυχων ιδεας την φυσ-
ικην ταυτην ζωην συσ-
τηναι λεγει...*

გუამი ესე ჩუენი ნივთიერ-
რი დამტკიცნის,⁵

*το σλικον ημων συνε-
στηκη*

გონებად განეგების ღმრთი-
საგან და გუამი ესე ნივ-
თიერი გონებისაგან⁶

*υπο θεου μεν διοικεισθαι
τον νουν, υπ εκεινου δε
την σλικην ημων ζωην*

ცხორებად გუამთა⁷ მათ
ნივთიერთად მოდინარეთად
მიმსგავსებულ არს წყალ-
სა⁸

*η σλικη και ρωδης αυτη
των σωματων ζωη... κα-
θαπερ δε τις ποταμος*

ხოლო ბუნებად იგი ნივ-
თიერი ყოვლითურთ შეცვა-
ლებასა და ხრწნილებასა
ქუეშე არს⁹

*το δε σλωδες απαν εν
τροπη τε και αλλοιωσει
κειμενον*

1 ი. აბულაძე, მამათა სწავლანი, თბ. 1955, გვ. 226, თარგმანის დროის შესახებ, იქვე, XVII-XVIII.

2 ი. აბულაძე, უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის "ექუსთა დღეთაჲსა" და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა "კაცისა აგებულებისათვის", თბ. 1964, გვ. 25. ბერძნ. ტექსტი იხ. Pg. 44

3 შატბერდის კრებული, გვ. 73

4 იქვე, გვ. 78

5 იქვე, გვ. 86

6 იქვე, გვ. 87

7 გამოცემაში იკითხება "გზათა", რაც გადაშწერის შეცდომა უნდა იყოს. ამგვარი შეცდომა სხვაგანაც იჩენს თავს. შტრ. შატბერდული ნუსხის "გუამნი კაცთანი" და იერუსალიმური ნუსხის "გზანი კაცთანი", შატბერდის კრებული, გვ. 70

8 იქვე, გვ. 87

9 იქვე, გვ. 91

არა არს ძალი გრძნობი-
სად თვნიერ შანთისა მის
ნივთიერისა¹

იტყვან, ვითარმედ ნივთიერ-
ნი დაუსაბამო არიან
ღმრთისა თანა... ყოველი
ნივთი საზღვრითა იცნობ-
ების... ვითარ-მე ეგების
უპოვნელთაგან ნივთნი
იგი... და უკუეთუ ნივთი
მათგან არს, ვითარ-მე არს
იგი უნივთო და არს მას
შინა ნივთიერებადცა? და
ეგრეთვე ყოველნი არსნი,
რომელთა მიერ გუეუწყე-
ბის ბუნებად იგი ნივთიერ-
ნი²

დამბადებულსა ყოველთასა
თანა იყო ნივთი იგი
დაუსაბამოდ, ვითარ-იგი იტ-
ყოდა ბოროტი იგი მანინ
და მოიღებდა შანთსა მას
ნივთისასა³

მრავლისმეტყუელებენ ნი-
ვთთათვს⁴

არა უკმს მას... განცდად
ნივთსა შინა⁵

დგომად არს ნივთითა⁶

ნივთი იგი გუამისად ყოვ-
ლითურთ სამარადისო არს
ყოველთა ასოთა⁷

ουτε ουν αισθησις χωρις
υλικης ουσιας

συναιδιον ειναι τω θεω
την υλην κατασκευαζο-
υσι... πασα δε υλη εν
διαστηματικη παρατασει
καταλαμβάνεται... τις μη-
χανη εκ του αυλου την
υλην αποτεχθηται... ει δε
εν εκεινω το υλωδες ην,
πως αυλος ο εν αυτω
την υλην εχων; Ωσαυτως
δε και τα αλλα παντα,
δι'ων η υλικη φυσις χαρ-
ακτηριζεται

αιδιον υποτιθοιτο τω Δη-
μιουργω των απαντων υπο-
κεισθαι την υλην, οσην ο
Μανιχαιος ευρησει... ος
την υλικην αιτιαν... αν-
τιπαρεξαγει

περι της υλης ερεσχε-
λουντας πεισαι

ουδε γαρ... η περι της
υλης υποληψις φαινεται

των υλικην εχοντων την
ουσιασιν

η του παντος σωματος
υλη κοινη τοις καθ'εκα-
στον μελεσιν υποκειμεμη

მომდევნო პერიოდში "ნივთი", "ნივთიერებად", მასალის, მატერიის შინაარ-
სით, აურაცხელი რაოდენობით გვხვდება. ეს ტერმინები უღეს-ს თითქმის
უცვლელ შესატყვისებად გვევლინებიან.

- 1 შატბერდის კრებული, გვ.91
- 2 იქვე, გვ.107
- 3 იქვე
- 4 იქვე, გვ.108
- 5 იქვე
- 6 იქვე, გვ.109
- 7 იქვე, გვ.121

სღჟ-ს თარგმნასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს აგიოგრაფიული ძეგლი "საქმენი კვპრიანესნი და სინანული მისი", რომელიც პარხლის მრავალთავმა (A-95) შემოგვინახა. ამ ხელნაწერში დაცული ტექსტი, ჩვენი აზრით, IX ს-ზე ადრინდელ თარგმანს არ უნდა წარმოადგენდეს. ამაზე მიანიშნებს ახალსპარსული სიტყვები "ბაული", "იმედი", "სუბუქი", რომლებიც, როგორც ცნობილია, VIII ს-ის მიწურულიდან შემოდის ქართულში.¹

გაურკვეველია ქართული თარგმანის წარმომავლობა. იგი მნიშვნელოვნად სხვაობს ბერძნული ტექსტისაგან. ასევე, დაშორებულია ლათინურ თარგმანსაც. რ.ფესტუჟიერის თანახმად, ეს ძეგლი შემორჩენილია, აგრეთვე, კოპტურად, ეთიოპურად და სლავურად.² თუ კოპტური ტექსტის ფრანგული თარგმანით ვიმსჯელებთ, ქართული ვერსია მისგან აშკარად არ უნდა მომდინარეობდეს.³ ეთიოპურზე ხელი არ მიგვიწვდა. რაც შეეხება სლავურს, ცხადია, იგი ქართული ტექსტის დედანი ვერ იქნება.

თვით ბერძნული ტექსტი ერთი ხელნაწერით არის ცნობილი (cod. Paris 1506).⁴ მასში, ერთგან, გვხვდება სიტყვა *η σλη*. შესაბამისი ადგილი ქართულად ასეა თარგმნილი:

ვისწავე შეზავებად რადსად-
თა⁵ და კუალად განშორე-
ბად

*μαθω σλης συγχυσιν και
διαρεισιν (Acta Sanct.,
P.205)*

როგორც ვხედავთ, სღჟ-ს შესაბამება "რად". ძნელი სათქმელია, აქ გასუბსტანტივებულ ნაცვალსახელთან გვაქვს საქმე, თუ რომელიმე უცხოენოვანი (არაბერძნული) სიტყვის ქართულ ტრანსკრიფციასთან. ამ ტერმინს გადამწერისეულ შეცდომად ვერ მივიჩნევთ, რადგანაც იგი კიდევ უნდა დასტურდებოდეს აღნიშნულ თარგმანში:

"მასწავეს... ყოველივე, რადცა ქმნის მთავარმან ამის ჟამისამან და საჩუენებელ ყვის რასავე შინა ქცევითა, რომელი დაუბადა ღმერთმან და შექმნა მას ზედა" (A-95, ფ.773).

შესაბამისი ბერძნული ტექსტი ბოლო ნაწილში ქართულისაგან აბსოლუტურად სხვაობს: *"με επιγνωσαι... εν πασιν αυτοις ενεργειας, ας ο αρχων του αιωνος τουτου ενετυπωσεν, εναντιουμενος προς την του θεου διατυπωσιν"* (Acta Sanctorum... p.205)

კოპტური ტექსტი აღნიშნულ ადგილას ძალიან დაცილებულია ორიგინალს

¹ შეიძლება იმის აღნიშვნაც, რომ ძეგლში გვხვდება სიტყვა "ნიშანი", რომელიც დღეისათვის ცნობილი წყაროების მიხედვით, VIII-IX სს-მდე არსად დასტურდება.

² R.P. Festugiere, *la Revelation d'Hermes Trismegistre*, v.I, Paris 1981, p.371

³ იქვე, ფ.374-383. თარგმანი ეკუთვნის მ.პალინინს.

⁴ იხ. გამოც. Acta Sanctorum, Sept. t.VII, 1867, p.204 ss.

⁵ A-95 ფ.773

შინაარსობრივადაც და წინადადებათა თანამიმდევრობითაც. ზემოციტირებულ ქართულ ტექსტს ვფიქრობთ, შეესაბამება შემდეგი ადგილი:

j eus connu tout la puissance du diable. Ce dernier m'apprit comment la terre est solidement etablie sur ses fondements.¹

ქართული ტექსტის "რასავე", ჩვენი აზრით, კობტური ვერსიის terre-ის² შესატყვისია. ესეც ცხადყოფს, რომ ამ შემთხვევაშიც "რად" გარკვეულ ნივთიერებას გულისხმობს. თვით კონტექსტი, ვფიქრობთ, უთუოდ იმას მიანიშნებს, რომ აღნიშნულ ადგილას საუბარია ღვთის მიერ მატერიის შექმნაზე.³

სღჲ-ს შესატყვისად "რად" ჩვენთვის ხელმისაწვდომ წყაროებში სხვაგან არსად გვხვდება. შესაბამისად, ძნელია აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულს ტერმინის მნიშვნელობა მიეცეს.

* * *

ზემოწარმოდგენილი სურათის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ უძველეს პერიოდში სღჲ, ჩვეულებრივ, ყოფითი შინაარსით აღიქმებოდა. დაახლოებით VI ს-იდან, როცა "ნივთი" ფილოსოფიურ შინაარსს იძენს, იგი მთლიანად ითვისებს სღჲ-ს მნიშვნელობებს და მის დაკანონებულ შესატყვისად გვევლინება.

აქვე ყურადღებას იქცევს ერთი საკითხი: ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანიდან მოტანილ ციტატებში სღჲ-ს ყოფითი შინაარსით აღქმა კონტექსტისათვის სრულიად შესაფერისია. ამიტომ, ასეთ შემთხვევებში ბერძნული ტერმინის "ტყედ", "ფიცრად" ან თუნდაც "შეშად" გადმოტანა არაგითარ უხერხულობას არ იწვევს, მაგრამ, ცნობილია, რომ სღჲ ძალიან ხშირად ამათუიმ კონტექსტში სწორედ ფილოსოფიური შინაარსით გამოიყენება და ზოგადად "მატერიას" აღნიშნავს, რასაც არაფერი აქვს საერთო ამავ სიტყვის ყოფით შინაარსთან. შესაბამისად, მისი "ტყედ" ან "ფიცრად" თარგმნა, ცალკეულ შემთხვევებში არათუ შეუფერებელია, არამედ შეუძლებელიც, რადგანაც ამგვარი თარგმანი სრულ ნონსენსს გულისხმობს.

დაახლოებით VI ს-იდან მაინც, როგორც აღვნიშნეთ, სღჲ-ს ფილოსოფიურ მნიშვნელობას გადმოსცემს "ნივთი", რომელიც იმდენად გაუიგივდა ბერძნულ ტერმინს, რომ მისი ყოფითი შინაარსიც შეითვისა. სწორედ ამიტომაც, რომ ადრინდელი "ფიცარი" და "ტყე" ბიბლიის გვიანდელ ქართულ ვერსიებში, ჩვეულებრივ, "ნივთით" არის შეცვლილი.

რა ვითარება უნდა გვქონოდა მანამდე, ვიდრე ქართულ მწერლობაში "ნივთი" დამკვიდრდებოდა? რა სახით გადმოიცემოდა უძველეს პერიოდში სღჲ-ს ფილოსოფიური შინაარსი? ყოველი ახალი ტერმინი, მართალია, დევნის ძველს,

1 R.Festugiere, op. cit. p.376

2 დასახ, წიგნი, p.376

3 როცა ქართული ტექსტის მომდინარეობაზე ვმსჯელობთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს საკუთარ სახელთა აშკარა ბერძნული ფორმა: აღროს (არგოს - Ἀργος), ევსებიოს, ერასტეს, თითევს, პოლიტოს, ედიპოს და სხვა. საგულისხმოა მიმართვის ბერძნული ფორმის უცვლელად გადმოტანა: "მამაო ევსებიე" - πατηρ Ευσεβιε.

მაგრამ ეს პროცესი უცებ არ წყდება. ძველი ტერმინი ახლის გვერდით კვლავ თანაარსებობს და თუმცა მისი ხმარების შემთხვევები თანდათან მცირდება, მთლიანად მაინც არ ისპობა. ასეთ სურათს გვიჩვენებს არა მხოლოდ ენის ტერმინოლოგიური მეტამორფოზა, არამედ ზოგადად ლექსიკური ფონდის ცვალებადობა. ვფიქრობთ, ასეთივე ვითარება გვექნებოდა *სλη*-ს ქართულად თარგმნასთან დაკავშირებითაც: VI ს-მდე არსებულ ტერმინს, რომელიც *სλη*-ს ფილოსოფიურ აზრს გადმოსცემდა, შედარებით გვიანდელი "ნივთი" მთლიანად ვერ განდევნიდა ხმარებიდან.

ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია გრიგოლ ნოსელის "კაცისა შესაქმის" უძველესი ქართული თარგმანი (VIII-IX სს), სადაც *სλη*-ს შესატყვისად "ნივთთან" ერთად გვხვდება აგრეთვე, ტერმინი "სიჴშოჲ"//*"სიჴშოჲ"*.

მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

ეგრეთვე არს ცხორებაჲ
ესე სიჴშოჲსაჲ ძრვით და
ღინებით²

*οὕτω και το υλικον της
τηδε ζωης δια τινος κι-
νησεως και ροης*

როგორც ვხედავთ, ბერძნული *το υλικον* თარგმნილია სიტყვით "სიჴშოჲ". გიორგი მთაწმინდელი აღნიშნულ ადგილს ასე თარგმნის: "ეგრეთვე ნივთიერებაჲ ესე ამის ცხორებისაჲ მოძრავობითა რადთმე და ღინებითა".

ასე რომ, "სიჴშოჲ" იგივეა, რაც "ნივთიერებაჲ" ანუ *το υλικον*.

ღმერთი განმარტებული ბუ-
ნებაჲ არს თჳნიერ სიჴშ-
ოჲსა⁴

*απλους ο θεος τη φυσει
και αυλος*

ბერძნულ *αυλος*-ს (უნივთო) ქართულში შეესაბამება "თჳნიერ სიჴშოჲსა". შდრ. მთაწმიდლისეული თარგმანი: "მარტივ არს ღმერთი ბუნებით და უნივთო" (A-73, 182v). აქაც ქართული "სიჴშოჲ" ნივთიერებას აღნიშნავს.

დაწყებასა შინა მყოფისა
მისისასა არნ ჟამად-ჟა-
მად, რად-იგი უჴმან საჴ-
მარი საქმისაგან ბუნებასა
შინა სიჴშოჲსასა, რომე-
ლი-იგი არს საყოფელი
მისი⁵

*εν αρχη της συστασεως
την καταλληλον τε και
συμμετρον τη παρουση
χρεια συνεργιαν της ψυχης
εφ'εαυτου διαδεικνυσιν, εν
τω κατασκευαζειν αυτην
εαυτη δια της εντεθεισης
υλης το προσφυες οικ-
ητηριον*

1 "სიჴშოჲსა" და "სიჴშირეს", სავსებით მართებულად, მატერიალ. ნივთიერებად განმარტავს ი.აბულაძე იხ. უძველესი რედაქციები... გვ.254.

2 შატბერდის კრებული, გვ.87

3 ვსარგებლობთ ნ.შალამბერიძის მიერ გამოსაცემად მომზადებული ტექსტით, გვ.52 (A-73, 151v)

4 შატბერდის კრებული, გვ.107

5 იქვე, გვ.119

აქაც ბერძნული სღჳ "სიუშოდ" არის თარგმნილი. შდრ. მთაწმიდლისეული: "დასაბამსა არსებისასა საზომად და შემსგავსებულად მის ჟამისა ძალიცა სულისაჲ საცნაურ იქმს თავსა თვსსა და შეჰმზადებს მას საგანედ თავისა თვსისა ნივთისა მისგან" (199v).

"ნივთისა" და "სიუშოს" იდენტურობას ცხადყოფს აღნიშნული თარგმანის ერთი ადგილი:

(ღმერთმა) სიუშოდ ეხე,
რომელ არს ნივთი, გა-
რეშქთ მოილო¹

... εὐχόμεν ἐπεισηνεχθῆναι
την σλην

ფრაზა "რომელ არს ნივთი" მთარგმნელისეული შენამატია (შდრ. მთაწმიდლისეული - "გარეთ შემოღებულად ნივთი... მოიგონოს"- 183), რაც ცხადყოფს, რომ "სიუშოდ" და "ნივთი" მისთვის სინონიმურ ცნებებს წარმოადგენს. შეიძლებოდა ისიც გვეფიქრა, რომ ფრაზა "რომელ არს ნივთი" ჩამატებულია ქართული თარგმანის რედაქტორის მიერ. საქმე ისაა, რომ აღნიშნული თარგმანი აშკარად ატარებს რედაქტირების კვალს. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმით ირკვევა, რომ ორიგინალის ზოგი წინადადება, ერთ შემთხვევაში კი მთელი თავი, ორი ერთმანეთზე მიდევნებული თარგმანის სახით არის წარმოდგენილი ქართულ ტექსტში. ასეთია, მაგალითად, X თავის² დასაწყისი:

"ამას სახესა ზედა იხილე სივრცქ იგი გონებისაჲ, რამეთუ ოდესმე შეკრბის ჩუენ თანა მეცნიერებაჲ ერთისაჲ ხოლო საგრძნობელთაგან მრავალთა".³

აღნიშნულ წინადადებას მოსდევს მეორე, რომელიც იმავე ბერძნული ტექსტის ხელახალი თარგმანია:

"და ამას სახესა ზედა მიხედენ სივრცესა გონებისასა, რამეთუ ოდესმე შეკრბის ჩუენ თანა მეცნიერებაჲ ერთისა საქმისაჲ საგრძნობელთაგან მრავალთა".⁴

XVIII თავი ქართულ ტექსტში ასეა დასათაურებული:

"რად მოუგოთ, რომელნი იკითხვიდენ განთესულობისათვის და შობიერებისა, უკუეთუ შემდგომად ცოდვისა იქმნა და უკუეთუმცა კაცსა არა ეცოდა, ვინადმცა იყვნეს სულნი?"⁵

1 შატბერდის კრებული, გვ.107

2 თავებს ვუთითებთ ქართული თარგმანის მიხედვით, რადგანაც თავებად დაყოფის თვალსაზრისით იგი ორიგინალისაგან მნიშვნელოვნად არის დაცილებული.

3 შატბერდის კრებული, გვ.82

4 იქვე

5 იქვე, გვ.96

თავის დასაწყისი, სინამდვილეში, აღნიშნული დასათაურების ხელმეორე თუ შესწორებული თარგმანია:

"რად მიუგოთ მაცხოვრებელთა მათ, რომელნი მეტყვან ჩუენ, ვითარმედ: რადსა იქმნა შობად შემდგომად ცთომისა, ანუ ვინად ყოფად იყვნეს ნათესავნი, უკუეთუმცა პირველნი იგი კაცნი დადგრომილ იყვნეს უცთომელად?"¹

XXIV თავი წარმოადგენს XXIII თავის ხელმეორე თარგმანს. ეს უკანასკნელი გარემოება მხედველობიდან არ გამორჩენია ტექსტის პირველ გამომცემელს ი.აბულაძეს, რომელმაც სქოლიოში მიუთითა: "აქაა ჩართული B ნუსხის 23-ედი შემომატებული თავი, რომელიც 24-ე თავის ახალ ვარიანტს წარმოადგენს".²

მოტანილი ნიმუშები ცხადყოფს, რომ აღნიშნულ თარგმანს მნიშვნელოვანი რედაქტირება განუცდია. საფიქრელია, რომ რედაქტირებული ადგილები ხელნაწერს თავდაპირველად აშიაზე ჰქონდა მიწერილი და გადამწერთა მიერ ძირითად ტექსტში ჩაერთო. ჩვენი აზრით, შესაძლოა სწორედ რედაქტორის-ეული ჩანართი იყოს შემოადნიშნული ფრაზა "რომელ არს ნივთი".

აღნიშნული ფრაზა განმარტავს ტერმინ "სიკშოძ", რაც ცხადყოფს, რომ ეს უკანასკნელი, როგორც არქაიზმი, უკვე კომენტარსაც საჭიროებდა.

ცნობილ "სვანურ" მრავალთავში (A-19, X ს.) დაცულია გრიგოლ ნაზიან-ზელის შრომა "შობისათვის უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა", სადაც ორიგინალის *η σλη* ერთგან თარგმნილია, როგორც "სიკშოძ":

ვორცნი მისნი მოიხუნა
სიკშოძსაგან³

*παρα μεν της σλης λαβαν
το σωμα* (Pg.36, col.321)

ნივთიერების შინაარსით "სიკშოძ" უნდა გვხვდებოდეს კონსტანტი კახის "მარტვილობაშიც":

"ჰბრძოდა იგი ეშმაკთა შიშითა ღმრთისადათა, ვორცნი თვისნი წინა-დაუ-პყრნა, არათუ სიკშოძთა ამით საქმითა ვორციელებისადათა მიმხედველ იყო".⁴

აღნიშნულ ტერმინთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ბასილი დიდის "ექუსთა დღეთაჲს" ადრინდელი ქართული თარგმანი.

ზემოთ მივუთითებდით, რომ "ნივთი", ჩვეულებრივ, იგივეა, რაც "მატერია", მაგრამ ამავე დროს იგი "სტიქიონსაც" აღნიშნავს. ბასილის ჰექსემერონის მთარგმნელმა, როგორც ჩანს, მიზნად დაისახა, შეძლებისდაგვარად მიედწია

¹ შატბერდის კრებული, იქვე, გვ.96

² უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის "ექუსთა დღეთაჲსა" და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა "კაცისა აგებულებისათვის", გამოსცა ი.აბულაძემ, გვ.200

³ ი.აბულაძე, შრომები, III, გვ.297. დამოწმებულია ი.აბულაძის მიერ (ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1978, გვ.399).

⁴ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I თბ. 1964, გვ.171

ტერმინოლოგიური ერთმნიშვნელოვნებისათვის. მან სინონიმები "ნივთი" და "სიკჷმოდ" ერთიმეორეს დააცილა და ტერმინოლოგიურად გამიჯნა ისინი. აღნიშნულ თარგმანში "ნივთი", ჩვეულებრივ, გადმოსცემს ბერძნულ *το στοιχειον*-ს, ხოლო "სიკჷმოდ" - *η σλη*-ს.

ბასილის თხზულების თარგმანი ერთადერთი ძეგლია, სადაც "სიკჷმოსა" და "ნივთს" შორის ამგვარი შინაარსობრივი ზღვარია გავლებული. უფრო ზუსტად, ამ ძეგლში "ნივთს" ჩამოცილებული აქვს "მატერიის" მნიშვნელობა და, ამდენად, თავიდანაა აცილებული ხსენებული ტერმინის ამბივალენტურობა. სხვა თარგმანებში, როგორც აღვნიშნეთ, "ნივთი" (მატერიის შინაარსით) და "სიკჷმოდ" სინონიმებია.

ზემოთ, *στοιχειον*-ის ქართული შესატყვისების განხილვის დროს, აღნიშნული თარგმანიდან მოტანილი გვქონდა ის შემთხვევები, სადაც "ნივთი" *στοιχειον*-ს შეესატყვისება. ამჯერად, მოვუხმობთ იმ ნიმუშებს, სადაც "სიკჷმოდ" ბერძნულ *σλη*-ს გადმოსცემს:

ვითარ შეეზავა ძალი
ღმრთისა... ბუნებასა თანა
სიკჷმოდსა ვნებიერსა¹

*πως αλληλοις συνετυχον
η... του θεου δυναμις και
η παθητικη φυσις της
σλης*

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ძველი თარგმანის "სიკჷმოდ" უცვლელად გადააქვს გიორგი მთაწმინდელს: "ვითარ შეეზავნეს ურთიერთარს გინათუ ძლიერი იგი ძალი ღმრთისაჲ, ანუთუ ვნებული იგი ბუნებაჲ სიკჷმოდსაჲ".²

(ღმერთმა) ზრახვასავე ში-
ნა თვსსა შექმნა სიკჷმოდ
იგი სამკაულითა თვსითა³

*και τω ειδει αυτου την
αρμοζουσσαν σλην συνα-
πεγεννησε*

ამჯერად გიორგი მთაწმინდელი "სიკჷმოს" ცვლის "ნივთით": "და სახე, ნივთისა მის შემსგავსებული, მის თანავე დაჰბადა".⁴

აქუს მეცნიერებაჲ ხატთაჲ
თვნიერ სიკჷმოდსა⁵

*των σχηματων την επισ-
τημην εχων ανευ της σλης*

შდრ. მთაწმიდლისეული: "ხატთა გამოწერისა კველოვნებაჲ აქუნდა თვნიერ ნივთისა".⁶

სიკჷმოდსა არს, რადთა
განაგდოს უშუერებაჲ⁷

*τη δε σλη το αποθεσθαι
την αμορφιαν*

1 უძველესი რედაქციები... გვ.31

2 ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, გამოსცა მ.კახაძემ, თბ. 1947, გვ.17

3 უძველესი რედაქციები... გვ.31

4 ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, გვ.17

5 უძველესი რედაქციები... გვ.31

6 ბასილი დიდი... გვ.17

7 უძველესი რედაქციები... გვ.31

შდრ. მთაწმიდლისეული: "ნივთსა - რადთა განაგდოს უსახურებად"¹

აღუდგ თავსა თვისსა კარავი სივშოძსაგან მტკიცე²

σκηνην τινα εκ πυκνης και στεγανης **υλης** εαυτω περιστησαντα

შდრ. გიორგისეული: "აღუდგ თავსა თვისსა კარავი...: მტკიცისა სივშოძსაგან"³

შემოიღებენ ღმრთისა თანა სივშირესა დაუბადებელსა⁴

υλην αγεννητον επεισαγοντες τω δημιουργω

შდრ. გიორგისეული: "სივშოსა დაუბადებელსა დამბადებელისა სწორ ჰყოფენ"⁵

დასაბამი იგი არსებისა მისისაჲ არს სივშოძსაგან ნოტიისა⁶

τινι τοιαυτη **υλη** εκ της του υγρου διηθησεως την αρχην λαμβανουση

შდრ. გიორგისეული: "სხვსა რადსმე ესევეითარისა ნივთისა, რომელსა-იგი განწურვისაგან ნოტიისა... მიედის დასაბამი არსებისაჲ"⁷

ბოროტნი მივიდეს ადგილთა ქუეყანისათა და სივშირისათა⁸

τοις περιγειοις και **υλικοις** τοποις προσαπομειναι τας πονηρας

შდრ. გიორგისეული: "ქუეყანისა ამათ და ნივთიერთა ადგილთა დაშთომილ არიან ბოროტნი"

და მნათობნი იგი შექმნულნი არიან, მტკრთველ ნათლისა მის წულილისა, რომელსა შინა არს სივშირე⁹

ουτω και καθαρωτατω εκεινω και ειλικρινει και **αυλω** φωτι οχημα νυν οι φωστηρες κατεσκευασθησαν

შდრ. გიორგისეული: "ეგრეთვე, წმიდისა მის და საწადელისა და უნივთოძსა ნათლისა ეტლად და მტკრთველად დაიბადნეს აწ მნათობნი"¹⁰

- 1 ბასილი დიდი... 17
- 2 უძველესი რედაქციები... გვ.35
- 3 ბასილი დიდი... გვ.22
- 4 უძველესი რედაქციები... გვ.41
- 5 ბასილი დიდი... გვ.29
- 6 უძველესი რედაქციები, გვ.43
- 7 ბასილი დიდი... გვ.32
- 8 უძველესი რედაქციები... გვ.50
- 9 ბასილი დიდი... გვ.38
- 10 უძველესი რედაქციები... გვ.79
- 11 ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ... გვ.65

როგორც ზემოწარმოდგენილი სურათი გვიჩვენებს, "სიკშოჲ" (უთუოდ ძველი თარგმანის გავლენით) გვხვდება გიორგი მთაწმიდელთანაც,¹ თუმცა საზოგადოდ, X-XI სს-ში და შემდეგ ეს ტერმინი აღარ გამოიყენება *სღმ-ს* შესატყვისად.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ წინათონურ პერიოდში *სღმ-ს* შინაარსით შემოსულ "ნივთიან" ერთად იხმარებოდა საკუთრივ ქართული "სიკშოჲ". ზემომოტანილმა ნიმუშებმა გვიჩვენეს, რომ ეს ტერმინი გვხვდება, აგრეთვე, როგორც "სიკშირე".

ტერმინის უძველესი სახე უთუოდ არის "სიკშირე", რადგანაც "სიკშოჲ" მიღებულია სწორედ "კშირისაგან", ე.ი. "სიკშო" წარმოადგენს "სიკშირის" შეკვეცილ ფორმას. საგულისხმოა, რომ ძველი თარგმანის "სიკშირეს" გიორგი მთაწმინდელი ცვლის, როგორც "სიკშოჲ" (იხ. ზემოთ). ეს გარემოება ცხადყოფს, ერთი მხრივ, "სიკშირის" ადრინდელობას, მეორე მხრივ კი "სიკშოხა" და "სიკშირის" იგივეობას. ამ მომენტს ხაზს ვუსვამთ იმიტომ, რომ ბასილი დიდისა და გრიგოლ ნოსელის ზემოაღნიშნული ძეგლებისადმი დართულ ლექსიკონში, აგრეთვე "ძველი ქართული ენის ლექსიკონში" ი.აბულაძე მათ სხვადასხვა ტერმინებად წარმოგვიდგენს. უკანასკნელ შრომაში "სიკშირე" უკვე აღარ არის "ნივთიერებად" გაგებულნი. იგი განმარტებულია მხოლოდ როგორც "სიხშირე".

* * *

ამგვარად, მოტანილი ნიმუშების საფუძველზე, ვფიქრობთ, შეიძლება დასკვნის სახით ითქვას:

უძველეს პერიოდში ბერძნული *სღმ-ს* ყოფით შინაარსს გადმოსცემდა ისეთი სიტყვები, როგორებიცაა "ტყე", "ფიცარი" და მისთ, ხოლო კონკრეტულად მატერიის მნიშვნელობით *სღმ-ს* შესატყვისად იხმარებოდა ტერმინი "სიკშირე" (მოგვიანებით "სიკშოჲ"). დაახლოებით VI ს-დან ქართულ მწერლობაში ფილოსოფიურ გააზრებას იძენს სომხურთან თანმხვედრი "ნივთი", რომელიც ამ მნიშვნელობით თანდათანობით საყოველთაო გავრცელებას იხვეჭს, თუმცა მის გვერდით კვლავ განაგრძობს არსებობას საკუთრივ ქართული "სიკშირე//სიკშოჲც", რომელიც Xს-ის შემდეგ არსებითად აღარ გვხვდება. გამონაკლისია გიორგი მთაწმიდელი, რომელიც ძველი თარგმანების გავლენით, კვლავ იყენებს მას.

რამდენადაც "სიკშირე" მატერიის აღმნიშვნელი სპეციალური ტერმინი ჩანს, შეიძლება ვგვევინაარსი მიგვენიჭებინა სიტყვისათვის "კშირი", საიდანაც მიღებულია "სიკშირე". "ნივთის" გავრცელების შემდეგ ეს სიტყვები თანდათან კარგავენ ფილოსოფიურ გააზრებას და მხოლოდ იმ ყოფით შინაარსს ინარჩუნებენ, რაც მათ ხსენებული ფილოსოფიური შინაარსის შექენამდეც უნდა ჰქონოდათ. თავის დროზე, ალბათ, სწორედ ეს შინაარსი გახდებოდა

¹ შეიძლება მოგვეტანა კიდევ ერთი ნიმუში: "ნაკლულევანებისათვის სიკშოჲს თვისთა საქმეთაგან... დააყენონ ძლიერებად ღმრთისად" ბასილი დიდი, ექუსთა დღეთად... გვ.16. შდრ. *δ'ενδειον σλης των οικειων εργαων τον θεον κατεχοντων*. ეს ადგილი ძველ თარგმანს ხელნაწერის დაზიანების გამო აკლია, მაგრამ ვფიქრობთ, გიორგისეულ ტექსტში "სიკშოჲ" სწორედ მისგან უნდა იყოს გადმოსული.

მათი ფილოსოფიური გააზრების საფუძველი.

"ვშირი", "სივშირე", ჩვეულებრივ, გადმოსცემს ბერძნულ *παχυσ, παχυτης*, რომლებიც ითარგმნებოდა, აგრეთვე, როგორც "ზრქელი", "სიზრქე".

"სივშირე" ნიშნავს "სისქეს", "სიმჭიდროვეს" (საპირისპიროდ "სიმეჩხრისა"). ამ აზრით იგი სწორედ მატერიას, ნივთიერებას, მიწიერებას უკავშირდება. თვით ბერძნული *η παχυτης* სწორედ "ხორციელებას" "მატერიალურობას" გულისხმობს.

როდესაც *σλη*-ს ფილოსოფიური შინაარსის გადმოცემა გახდა აუცილებელი, "სივშირე", ტერმინოლოგიური აზრით, როგორც ჩანს, ყველაზე უფრო შესაფერისი აღმოჩნდა, ალბათ, სხვა უფრო მოსახერხებელი ტერმინის (კერძოდ "ნივთის") არარსებობის გამო. ზემომოტანილი ნიმუშები ცხადყოფენ, რომ უძველეს პერიოდში აღნიშნულ სიტყვას, მართლაც, *σλη*-ს შესატყვისი ტერმინის მნიშვნელობა მიუძღია.

II. ტერმინის შესატყვისები სკვპრიანთ

გაბალოვნელის "მკუსთა ღღეთას" ქართულ თარგმანში.

ორიგინალში *σλη* გვხვდება როგორც ყოფითი შინაარსით (ცეცხლთან დაკავშირებით), ასევე წმინდა ფილოსოფიური აზრით. პირველ შემთხვევაში იგი თარგმნილია, როგორც "შეშად", ხოლო მეორე შემთხვევაში - როგორც "სივშირე" "ვშირი".

ზემოთ აღვნიშნავდით, რომ "ნივთი" გარდა მატერიისა, აღნიშნავს, აგრეთვე, "სტიქიონსაც". მიუხედავად ამისა, როგორც მივუთითებდით, ბერძნული *στοιχειον* ჩვენთვის საინტერესო თარგმანში არც ერთხელ არ არის "ნივთით" გადმოცემული. მას ყველგან ეფარდება უძველესი ქართული ტერმინები "წესი", "საწესოდ", ეს კი უთუოდ ცხადყოფს, რომ ძველის თარგმნის დროს "ნივთს" ქართულ მწერლობაში ჯერ კიდევ არ ჰქონდა შეძენილი "სტიქიონის" მნიშვნელობა.

ამგვარივე ვითარება გვაქვს ამჯერადაც. ბერძნული *η σλη* არცერთხელ არ არის "ნივთად" თარგმნილი. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები.

ერთსა ღღესა შექმნა ღმერთმან სივშირე დაბადებულთაჲ (13)

τη μεν ουν πρωτη ημερα εποιησεν ο θεος τας σλας των κτισματων (col.433)

ყოველნი შექმნულნი და ყოფილნი იგი ვშირნი პირველსა ღღესა შექმნა (13)

παντων των γενομενων την σλην τη πρωτη ημερα εποιησεν (col.433)

1 საგულისხმოა, რომ "ვშირის" სინონიმი "ზრქელი" ერთგან სწორედ "ნივთიერს" აღნიშნავს: "არლარა საგონებელ იყოს სიტყუაჲ იგი სოფლისა ამისთვის ზრქელისა" (მატბერდის კრებული, გვ.107). "ზრქელს" ორიგინალში შეესაბამება *σλικος* ანუ "ნივთიერი". შდრ. გიორგიხეული თარგმანი: "არა ჰქმმარიტად ყოფად სიტყუასა მას ნივთთა დაბადებისასა" (გვ.182v)

ჯერ იყო პირველსა შესაქ-
მესა ყოვლისა სიკჳირისა
განყენებაჲ (18)

ამ წინადადებას ბერძნულში შესატყვისი არა აქვს, მაგრამ კონტექსტის მიხედვით სრულიად ცხადია, რომ "სიკჳირე" აქაც *σλη*-ს გადმოსცემს.

კჳირთა მათ იქმოდა ძა-
ლითა (20)

*τας σλας εργαζεται δυ-
ναμει* (col.436)

ცეცხლი იგი ზე თკნიერ
შეშისა (15)¹

το πυρ το ανω ανευ σλης
(col.435)

არამედ მისგანი უშეშოდასა
ცეცხლისაჲ მოილო ღმე-
რთმან სახილველად (16)

*αλλ'εξ αυτου του αυλου
πυρος ηγαγεν ο θεος εις
θεαν* (col.434)

საგულისხმოა, რომ მთარგმნელს ბერძნული *σλη* "შეშად" გადმოაქვს მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა ეს სიტყვა კონკრეტულად უკავშირება ცეცხლს. ზოგადად მატერიის მნიშვნელობით მთარგმნელი იყენებს ზემოაღნიშნულ ტერმინებს "სიკჳირე" და "კჳირი". ამგვარი დაყოფა ცხადყოფს, რომ ქართული თარგმანის "კჳირი" და "სიკჳირე" ბერძნული ტერმინის ოდენ ფილოსოფიურ მნიშვნელობას გადმოცემს, მაშინ როცა "შეშად" მის ყოფით შინაარსს გვიცხადებს.²

საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ქართულ თარგმანში გვხვდება არა "სიკჳიოჲ", არამედ არქაული სახე - "სიკჳირე". მნიშვნელოვანია ისიც, რომ მრავლობითში დასმულ *τας σλας*-ს გადმოსცემს არა "სიკჳირენი", არამედ "კჳირნი". ამ ორ ტერმინს შორის, ვფიქრობთ, ისეთივე მიმართება გვაქვს, როგორც "ნივთსა" და "ნივთიერებას" შორის, ე.ი. "სიკჳირე" ზოგადად, განზოგადებულად, მატერიას, ნივთიერებას უნდა აღნიშნავდეს, "კჳირი" კი ცალკეულ მატერიალურ საგანს, ცალკეულ ნივთს.

"კჳირი" მატერიის მნიშვნელობით დღეისათვის ხელმისაწვდომი მასალებიდან მხოლოდ აღნიშნულ თარგმანში გვხვდება. ვფიქრობთ, ესეც თარგმანის დიდ სიძველეზე მიანიშნებს.

ზემომოტანილი ნიმუშებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ბოლო მათგანი, სადაც გვხვდება გამოთქმა "უშეშოჲ ცეცხლი". სიტყვა "უშეშოჲ" გადმოსცემს ბერძნულ *αυλος*-ს. აღნიშნულ კონტექსტში "უშეშოჲ" სრულიად უადგილოა. საქმე ეხება იმას, რომ სევერიანეს თქმით, ზეციური ცეცხლი სპირიტუალურია, არამატერიალურია. სიტყვა *αυλος* საერთოდ არ შეიცავს ყოფით შინაარსს. იგი წმინდა ფილოსოფიური ტერმინია და ნიშნავს

1 შდრ. აგრეთვე: "ცეცხლი ესე ქუეყანისაჲ შეშითა" *μετα σλης*, col.435) (15)

2 ერთგან ბერძნული *η σλη* თითქოს თარგმნილია, როგორც "გამოუხატველობაჲ: თქუმულ არს ჩუენდა, რამეთუ გამოუხატველობაჲ დაბადებულთაგან მოილო (ღმერთმა)" - 70 (*ειρηται οτι τη πρωτη τας σλας των κτισματων παρηγαγε* - 447). ქართველ მთარგმნელს უთუოდ განსხვავებული ტექსტი ჰქონდა ხელთ. ამას, სხვათაშორის, ისიც გვიჩვენებს, რომ ბერძნულ *τη πρωτη*-ს ქართულ თარგმანში საერთოდ არა აქვს შესატყვისი, ხოლო ქართული "ჩუენდა" არ ვლინდება ბერძნულში

"არამატერიალურს", "არანივთიერს", "უსხეულოს", "სულიერს". თვით კონტექსტიც აშკარად მიაჩნებს ამაზე. მოტანილ ციტატაში, ცხადია, არავითარი "შეშა", "ტყე", "ფიცარი" და მისთ. არ იგულისხმება. საუბარი ეხება ზოგადად ყოველგვარი მატერიალურობისაგან განწმენდილ ცეცხლს. ვფიქრობთ, მთარგმნელმა ეს ტერმინი იმ მიზეზით თარგმნა, როგორც "უშეშოდ", რომ ბერძნული ტერმინის ზედმიწევნითი თარგმნის შემთხვევაში ტერმინი "სივშირე" ალბათ არ გამოდგებოდა. ხელოვნურად მივიღებდით სიტყვას "უ-ვშიროდ", რაც მეტად უხერხული ტერმინი ჩანს. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ *αυλος* ერთხელ კიდევ გვხვდება ბერძნულ ტექსტში. ამჯერად იგი თარგმანში საერთოდ გამოტოვებულია და მის ნაცვლად გვაქვს "დიდი".

ცათა შინა ცეცხლი დიდი
არს (15)

*εν τω ουρανω πυρ εστιν
αυλον* (col.434)

ამ დროისათვის რომ "ნივთს" მიღებული ჰქონოდა ფილოსოფიური შინაარსი, საფიქრელია სწორედ იგი გამოყენებინა მთარგმნელს, რადგანაც ტერმინი "უნივთოდ" მოგვიანო ხანაში მეტად ბუნებრივია და, ამასთან, ჩვეულებრივიც ქართულ მწერლობაში.

ამგვარად, ზემოწარმოდგენილი სურათის შემდეგ, ვფიქრობთ, საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ამჯერადაც სევერიანეს შრომის თარგმანი ქართული ტერმინოლოგიის უძველეს ვითარებას ასახავს.

Orthodoxia, Orthodoxos

I. ტერმინთა კველი ქართული შესატყვისები

აღნიშნული ტერმინები წინაქრისტიანული წარმოშობისაა: ოρθოდოქსი-στικως გვხვდება ასკლეპიოდოტესთან (I ს.ძვ.წ.) ზმნა ოρθოდოქსეა დასტურდება არისტოტელესთან (IV ს.ძვ.წ.), პოსიდონიუსთან (II-I სს. ძვ.წ.). აგრეთვე, გვიანდელი პერიოდის ფილოსოფოს ალექსანდრე აფროდიასიასთან (III ს.ჩვ.წ.). ოρθოდოქსია-ს იყენებს პოლიანე ეპიგრამატიკოსი (II ს.ჩვ.წ.), ნეოპლატონიკოსები: ჰიეროკლე (V ს.ჩვ.წ.) და ოლიმპიოდორე (VI ს.ჩვ.წ.). პროკლესთან (V ს.) გვხვდება ტერმინი ოρθოდოქსიკოს.¹

ანტიკურ ფილოსოფიაში ოρθოდოქსია ნიშნავდა ზოგადად "მართებულ აზრს", "მართებულ თვალსაზრისს",² ზმნა ოρθოდოქსეა - "მართებულ თვალსაზრისზე დგომას", "მართებული თვალსაზრისის ქონას",³ ხოლო ოρθოდოქსიკოს - "მართებული თვალსაზრისისას".⁴

აღნიშნული აზრით ოρθოდოქსია უპირისპირდება კაკოდოქსია-ს რომელიც, პირიქით, გულისხმობს "ყალბ, მცდარ თვალსაზრისს".⁵

დამოწმებული ტერმინები ბიბლიაში არ გვხვდება. ისინი ქრისტიანულ მწერლობაში შემოდინან ვრესების აღმოცენების დროს და მყარად მკვიდრ-დებიან.

ოρθოდოქსია საეკლესიო ავტორებთან სპეციალური ტერმინია. იგი აღნიშნავს ეკლესიის ტრადიციულ და უცთომელ მოძღვრებას, რომელიც უპირისპირდება ერეტიკოსთა მცდარ შეხედულებებს.⁶

მითითებული ტერმინები ქართულ მწერლობაში გავრცელდებოდა უძველესი პერიოდიდანვე, უთუოდ, ქრისტიანობის მიღების თანადროულად.

კარგად არის ცნობილი, რომ ოρθოდოქსია ქართულად გადმოიციემა, როგორც "მართლმადიდებლობა". ესაა ბერძნული ტერმინის ზედმიწევნითი თარგმანი, სადაც "მართლ" შეესატყვისება "ორთო"-ს, ხოლო "მადიდებლობა" - "დოქსია"-ს. ასევე კალკირებულად ითარგმნებოდა ოρθოდოქსი - "მართლმადიდებელი".

ჩვენთვის ხელმისაწვდომ ყველა ძეგლში (ვიდრე გელათურ სკოლამდე) "ორთოდოქსიისა" და "ორთოდოქსის" ტერმინულ შესატყვისად გვხვდება მხოლოდ ზემოაღნიშნული სემანტემები (უმნიშვნელო ფორმობრივი ვარიაციებით).

"უძველეს იადგარში", რომელიც ძირითადად VII-VIII სს-ის თარგმანია, ხშირად

¹ A Greek-English Lexicon, comp. by H.G.Liddle and R.Scott, Oxford 1968 p.1248. იხ. აგრეთვე, Greek Lexicon of the Roman and Byzantine Periods, ed. A.Sophocles, vol.II. p.816

² შდრ. right opinion, დასახ. ლექსიკონები

³ შდრ. to have a right opinion, იქვე.

⁴ შდრ. according to right opinion, იქვე.

⁵ A. Sophocles, დასახ. ლექსიკონი p.618

⁶ A Patristic Greek Lexicon, ed. by G.Lampe, Fasc. 4, Oxford 1965, p.971-972

დასტურდება ტერმინი "მართლმადიდებლობა".

მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"სოფელი განანათლეს მართლმადიდებლობისა სარწმუნოებითა"¹

"განანათლნეს მორწმუნენი მართლმადიდებლობითა დიდებად"²

"გალობასა შენდა შესწირვიდეს მღვდელთმოდღუარნი სარწმუნოებასა მართლმადიდებლობისასა"³

"სარწმუნოებად მართლმადიდებლობისად მღვდელთმოდღუართა ეკლესიასა მიუპყრეს"⁴

"ჩუენ თანა იხარებს სიმრავლედ მართლმადიდებლობისად"⁵

"სამებისა ერთარსებისა მართლმადიდებლობად სოფელსა დაამყარეთ"⁶

"დაამტკიცე მართლმადიდებლობით ეკლესიად შენი"⁷

"ღმრთისა დედასა და ქალწულსა მართლმადიდებლობით უგალობდეთ"⁸

ტერმინი "მართლმადიდებელი" გვხვდება უძველეს "მრავალთავეში". მაგალითად:

ეპიტაფი კვბრელი: "ქალწულისა მარიამისათვის":

"დედისა ჩუენისა მოძღურებასა შეუდგეთ, რომელ არს მართლმადიდებელი წმიდად კათოლიკე ეკლესიად"⁹

აღნიშნული ძეგლი ერთერთი ადრინდელი თარგმანია. ამას ცხადყოფს თუნდაც ის ფაქტი, რომ იგი დაცულია ოთხ "მრავალთავეში": "სინურში", "სვანურში", "ათონურში" და "პარხლურში". ეგვე ძეგლი შემოგვინახა Jer. 2-მა (XI ს.). ბერძნული ორიგინალი ან სხვაენოვანი თარგმანები ამ თხზულებისა ცნობილი არ არის.¹⁰

"წამებად იაკობისი":

"მართალი იგი და მართლმადიდებელი ჰურიათა მოკლეს"¹¹

აღნიშნული ძეგლიც ძველი თარგმანია, კ.კეკელიძის აზრით, დაახლოებით VII-VIII სს-ისა.¹²

ყურადღებას იქცევს თხზულება "წამებად წმიდისა აგათანგელესი", რომელიც

1 უძველესი იადგარი, გვ.32

2 იქვე, გვ.33

3 იქვე

4 იქვე

5 იქვე, გვ.78

6 იქვე, გვ.340

7 იქვე, გვ.367

8 იქვე, გვ.444

9 სინური მრავალთავი, გვ.48

10 M.van Esbroeck, les plus anciens... p.69.

11 სინური მრავალთავი, გვ.57

12 კიმენი, II, გვ.97

მწოდოდ ქართულად არის ცნობილი. კ.კეკელიძის აზრით, იგი არის "ქართული ნათარგმნი მწერლობის ერთი უადრესი ძეგლი".¹ მასში ერთგან ვკითხულობთ:

აგათანგელე "სინანულად მოიზიდვიდა მრავალთა მართლმადიდებელთა".²

საეჭვო არ არის, რომ აქაც "მართლმადიდებელი" გადმოსცემს *ορθοδοξια*-ს.

ასევე, ადრინდელი ტექსტია საგალობელი "იამბიკონნი ქართულსა ანბანსა ზედა ძუელნი", რომელსაც პ.ინგოროყვა V-VIII სს-ს აკუთვნებს,³ კ.კეკელიძე კი დაახლოებით VIII-IX სს-ით ათარიღებს მას.⁴ ამ ძეგლში ორგზის გვხვდება ჩვენთვის საინტერესო ტერმინი:

"დაამტკიცე ესე მართლმადიდებლობით შენით"⁵

"დამტკიცებულ არს მართლმადიდებლობისა სიქადულად"⁶

ზემოთ აღვნიშნავდით, რომ VIII ს-მდე თარგმანად მიიჩნევა "მრავალთა-ვებში" დაცული ჰომილები კირილე იერუსალიმელისა. ერთერთი მათგანია "მიგებებებისათვის უფლისა", სადაც ვკითხულობთ:

მოგუთა თანა მართლმადიდებლობით თაყუანის-ვსცეთ

μετα μαγαν ορθοδοξια προσκυσνησασμεν

ამავე ტერმინს ვხვდებით კირილე იერუსალიმელს ჰომილიაში "სინანული-სათვის":

"ყოველთა ადგილთა ეკლესიანი მართლმადიდებელთანი დამყარებულ არიან"⁸

საყურადღებოა ერთი დოგმატური თხზულების ფრაგმენტი, (Q 209), რომელსაც კ.კეკელიძე VII ს-ის თარგმანად მიიჩნევს⁹

"სიყრმითგან ღმრთისმსახურებისა მეუფებად გიპყრიეს და მართლმადიდებლობად ქრისტიანებისად"

1 კ.კეკელიძე, ეტუდები, VII, გვ.230

2 იქვე, გვ.233

3 პ.ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ.III, 1965, გვ.195

4 კიმენი II, გვ.122

5 Н.Марр, Описание, გვ.147

6 იქვე, გვ.148

7 თ.მგალობლიშვილის მიერ გამოსაცემად მომზადებული ტექსტი, გვ.25 (მანქანაზე გადაბეჭდილი)

8 იქვე, გვ.184

9 კიმენი, I, გვ.XXXIX იხ. აგრეთვე, კ.კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ.1980, გვ.488

VIII-IX სს-ის თარგმანად მიიჩნევა ერუნიმოს ხუცესის საკითხავი "მოღუაწები-სათვს წმიდისა ბასილისა და განახლებისათვს ლუდიის ეკლესიისა",¹ სადაც ამფილოქე იკონიელის მიმართ თქმულია შემდეგი:

"აკურთხა ეკლესიად ესე... მოძღუარმან წმიდამან სარწმუნოებისა მართლმადიდებლობისამან" (კიმენი, I, გვ.5)

ზემოთ აღვნიშნავდით, რომ დაახლოებით IX ს-ის თარგმანი უნდა იყოს ალექსანდრე კვიპრელის საკითხავი "პოვნისათვს პატოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისა". მასში სამგზის გვხვდება ჩვენთვის საინტერესო ტერმინი:

ესე სარწმუნობად... ითქუ-
მის დაუცადებელად ეკ-
ლესიასა შინა მართლმა-
დიდებელთასა²

*πιστεως εκθεσιν... την κα-
τα πασαν Εκκλησιαν ορ-
θοδοξωσ νυν απαγγελ-
λομενην* (Pg.87, 4061 A)

ყველთა ადგილთა ეკლე-
სიანი მართლმადიდებელ-
თანი დამყარებულ არიან³

*... αι Εκκλησiai ορθο-
δοξων τεθεμελιωνται*
(col.4072 C)

ჯუარი სიქადული არს მა-
რთლმადიდებელთად⁴

*σταυρος ορθοδοξων καυ-
χημα* (col.4073 B)

ასევე, დაახლოებით IX ს-ის თარგმანია "ცხოვრებად წმიდისა თევდოსისი", სადაც *ορθοδοξια*-ს გადმოსცემს მართლმადიდებლობად⁵:

აჩუნა მამამან ჩუენმან წმიდამან თევდოსი სიმკნს თვისი მართლმადიდებ-
ლობისა საქმესა ზედა⁶

მიესმა მეფესა სიმკნით დგომად მისი მართლმადიდებლობისათვს⁶

ამავე პერიოდს ეკუთვნის იოვანე შეყენებულის, ეფრემის, ამა სვმეონისა და კვირიაკოზის "ცხოვრებათა" თარგმანები⁷:

ექუსორია-ყვნა მღვდელთმოძღუარნი მართლმადიდებელნი⁸
არა მიდრკენ სარწმუნოებისაგან მართლმადიდებლობისა⁹

1 კიმენი, I, XXXX

2 ალექსანდრე კვიპრელის ქრონიკა, დასახ. გამოც. გვ.66-67

3 იქვე, გვ.79

4 იქვე, გვ.81

5 მამათა ცხოვრებანი, ვიზნაიშვილის გამოც., გვ.190

6 იქვე

7 იქვე, გვ.350-371

8 იქვე, გვ.228

9 იქვე, გვ.250

მოსცა მათ მამასახლისი... მართლმადიდებელი¹
მოიღო ლოცვა... კაცისა მართლმადიდებელისა²
იქმნეს იგინი მართლმადიდებელ³

ეგვევ ტერმინი ორგზის გვხვდება ელადიოსის თხზულებაში "ყრმისათვს", რომელიც შეიძლება IX ს-ზე ადრინდელი თარგმანი იყოს:

(ბასილი) "მართლმადიდებელთა ბრძანებისა სუეტი არს" (A-95, ფ.199)
"მთავარი იყო მართლმადიდებელი" (A-95, ფ.200)

უფრო გვიანდელი პერიოდის ძეგლები უცვლელად მიჰყვებიან წინარე ტრადიციას. დღეისათვისაც "მართლმადიდებლობა" და "მართლმადიდებელი" ბერძნული *ορθοδοξια*-სა და *ορθοδοξος*-ს დაკანონებული ტერმინული შესატყვისებია (საკითხის სისრულისათვის დავძენთ, რომ გელათურ სკოლაში, სწდაც ბერძნული *δοξα* ხშირად ითარგმნებოდა, როგორც "თნებად", *ορθοδοξια*-ს შესატყვისად, გარდა ტრადიციული "მართლმადიდებლობისა", ზოგჯერ გვხვდება ახალი, საკუთრივ გელათური ტერმინი "მართლმთნებლობად").

* * *

ზემოწარმოდგენილი სურათი ცხადყოფს, რომ ყოველ შემთხვევაში, VI-VII სს-დან ტერმინები "მართლმადიდებლობად" და "მართლმადიდებელი" დამკვიდრებული უნდა ყოფილიყო ქართულ მწერლობაში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ, როგორც ჩანს, "მართლმადიდებლობად" უფრო ადრე შედარებით მარტივი სახით უნდა ყოფილიყო გავრცელებული, კერძოდ, როგორც "მართლდიდებად" ანდა "მართლიადდიდებად".

საეჭვო არ არის, რომ "მართლდიდებად" ან "მართლიადდიდებად" იგივეა, რაც "მართლმადიდებლობად". მათგან ადრეული უნდა იყოს ფორმა "მართლდიდებად" ან "მართლიადდიდებად", რადგანაც, ჯერ ერთი, გარეგნულად ეს ტერმინები უფრო ჩამოუყალიბებელ, მარტივ, არქაულ სახეს გვიჩვენებს და, ამასთან, შედარებით გვიანდელ პერიოდში, ყოველ შემთხვევაში, VIII-IX სს-დან მოკიდებული უკლებლივ ყველგან "მართლმადიდებლობად" გვხვდება, მაშინ როცა "მართლდიდებად" ან "მართლიადდიდებად" სწორედ უადრეს თარგმანებშია დამოწმებული.

ამ მხრივ, უპირველესად, ყურადღებას იქცევს იოანე ოქროპირის საკითხავი "ფარისეველთა შურისათვის", რომლის ფრაგმენტები ხანმეტური სახითაც არის მოღწეული.⁴ მასში ერთგან ვკითხულობთ:

"დახწერს მართლდიდებასა მას მეუფისასა"⁵

1 მამათა ცხორებანი, ვ.იმნაიშვილის გამოც. გვ.250
2 იქვე, გვ.280
3 იქვე, გვ.302-303
4 იხ. ზანმეტი მრავალთავი.
5 იქვე, გვ.139

სამწუხაროდ, ბერძნული ტექსტის კრიტიკული გამოცემა არ მოგვეპოვება. მინისეულ გამოცემაში ვკითხულობთ:

τας δε διδασκalias Ιησου μη γραφεσθαι (Pg.61, col.710).

როგორც ვხედავთ, ქართული "მართლდღეობა" ორიგინალში წარმოდგენილია ტერმინით "διδασκalias". აღნიშნული ტერმინის შესახებ სხვაგან გვაქვს მსჯელობა. ამჯერად მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მისი "მართლდღეობა" თარგმნა შეუძლებელი ჩანს. ჩვენთვის ხელმისაწვდომ ძეგლებში იგი ყველგან ტერმინულად გადმოტანილია, როგორც "დიდებისმეტყუელებად" ანდა "დიდებისა სიტყუად" (διδα - დიდება; λογος - მეტყველება).

ქართული თარგმანის საფუძველზე უთუოდ უნდა ვითქვით, რომ ორიგინალის მთარგმნელისეულ ნუსხაში გვქონდა არა *διδασκalias* არამედ *ορθοδοξια*. სხვათაშორის, ქართული ტექსტი რომ ორიგინალის არსებული გამოცემისაგან სხვაობს, ამაზე მიუთითებს კიდევ ერთი მომენტი: ბერძნული უარყოფითი ნაწილაკი *μη* თარგმანში საერთოდ გამოტოვებულია, რის გამოც წინადადებას უარყოფის ნაცვლად მტკიცების სახე აქვს.

ეგვე ტერმინი გვხვდება "კალისტრატეს წამების" ქართულ თარგმანში, სადაც მას, ასევე, უეჭველად *"ορθοδοξια"*-ს შინაარსი აქვს:

"მართლდღეობისათვის და მსახურებისათვის მისისა მიუწდომელისა და კაცთმოყუარისა მაცხოვრისაგან განშოვრებად ვერ შემძლებელ ხართ" (H - 341,385).

ტერმინი "მართლიადღეობად" დასტურდება სევერიანე გაბალოვნელის ქადაგებაში "მოციქულთა საკსენებელი". ტექსტის გამომცემლის, ი.აბულაძის გამოკვლევით, თარგმანი უნდა მიეკუთვნებოდეს ქართული მწერლობის ადრინდელ ხანას, V-VIII სს-ს.¹

აღნიშნულ ძეგლში ვკითხულობთ:

"რაჟამს მართლიადღეობად იქადაგებინ, მორწმუნჳ მსმენელ იპოების"²

კონტექსტის მიხედვით ცხადია, რომ "მართლიადღეობად" "ორთოდოქსიის" შინაარსს შეიცავს. ამასვე ადასტურებს სომხური თარგმანიც, საიდანაც მომდინარეობს ქართული.³ მასში ქართული "მართლიადღეობად"-ს შესატყვისად გვაქვს "ուրիւ փառաւորութիւն".

სომხურად "მართლმადიდებლობა" გადმოიცემა, როგორც "ուրიւ փառաւորութիւն" რომლის უფრო არქაული სახეა ზემოწარმოდგენილი ტერმინი.

სომხური "ուրიւ" შესატყვისია ბერძნული ტერმინებისა: *ορθος*, *ορθως*,⁴ ხოლო "փառաւորութիւն" იგივეა, რაც *διδασκα*, *διδα*.⁵

ასე რომ, სომხურის საფუძველზე, სავარაუდო ბერძნული ტერმინი უთუოდ იქნებოდა სწორედ *ορθοδοξια*. ამასვე ადასტურებს ქართული "მართლიადღეობად", რომელიც მის ბერძნულ შესატყვისად არაპირდაპირ (სომხურის

1 ი.აბულაძე, შრომები, I გვ.129

2 იქვე, გვ.101

3 იქვე, გვ.87-88

4 იხ. დასახ. სომხ. ლექსიკონი, II, 545

5 იქვე, გვ.935

გზით) ამავე ტერმინს გვაფიქრებინებს.

საგულისხმოა, რომ ამავე თარგმანში გვხვდება ტერმინი "მართლმადიდებელი", რომელსაც, კონტექსტის მიხედვითაც, ცხადია *ορθόδοξος*-ის შინაარსი აქვს:

"იყავნ ჩუენ ყოველთად მასვე სათრომელსა შინა მართლმადიდებელთა მათ თანა შედგომად".¹

ტერმინი "მართლმადიდებად" ორგზის გვხვდება პეტრე იერუსალიმელის ჰომილიაში "შობისათვის", რომელსაც ვრცლად შევებეთ ზემოთ. ორივე შემთხვევაში "მართლმადიდებად" უთუოდ *ορθόδοξια*-ს გადმოსცემს:

"მართლმადიდებისა ნავთსაყუდელსა შეგიყუანებ თქუენ".²

ფრაზა "მართლმადიდებისა ნავთსაყუდელი" ბერძნულად უნდა გადმოიცეს, როგორც *ορθόδοξιας ορμος* (*ορμος* - ნავთსაყუდელი). ეს ფრაზა გვხვდება მაგალითად, იოანე ბერის (VIII ს.) ერთერთ ჰიმნში: ("მოგიყვან ორთოდოქსიის მშვიდ ნავთსაყუდელთან").³

"კეთილ არს მოვსენებად... მართლმადიდებისა მოძღურებისად".⁴

"მართლმადიდებისა მოძღურებად" ბერძნულად იქნებოდა, როგორც *το της ορθόδοξιας δόγμα*. იგი გვხვდება, მაგალითად, 448 წლის კონსტანტინოპოლის კრების მასალებში, აგრეთვე ევსები დორილაელის ევტიქიანელთა წინააღმდეგ მიმართულ "წიგნში" (*τα ευσεβη της ορθόδοξιας δόγματα*)⁵ და მრავალი სხვა.

ამგვარად, ვფიქრობთ, შეიძლება ითქვას, რომ ბერძნული *ορθόδοξια* VII-VIII სს-მდე ითარგმნებოდა, როგორც "მართლმადიდებად" ანდა "მართლიადიდებად", ხოლო VII-VIII სს-დან საბოლოოდ მკვიდრდება ფორმა "მართლმადიდებლობად".

ტერმინის ფორმალურ ცვლილებასთან დაკავშირებით საინტერესო სურათს გვიჩვენებს "საბა განწმედლის ცხოვრების" ძველი ქართული თარგმანი.⁶

კ. კეკელიძე სპეციალურად ეხება თარგმანის დროის საკითხს. მკვლევარის საფუძვლიანი მტკიცებით, თხზულება თარგმნილია ბერძნულიდან არა უგვიანეს VIII ს-ის I ნახევრისა. კ. კეკელიძე მიუთითებს რამდენიმე მომენტზე: 1. გრიგოლ ხანძთელს ხელთ ჰქონდა "საბაწმიდის წესი", რომლის შესახებაც

1 ი. აბულაძე, დასახ. შრომა, გვ. 139. სომხური თარგმანი ამ შემთხვევაში სცილდება ქართულს.

2 ი. აბულაძე, შრომები, III, გვ. 313

3 G. Lampe... p. 971 (შდრ. Pg. 96, 1373A)

4 ი. აბულაძე, შრომები, III, გვ. 315

5 G. Lampe, p. 971

6 პირველად გამოსცა კ. კეკელიძემ. იხ. კიმენი, II, გვ. 117-229; მეორე გამოც. ვიენაში შვილისა: "მამათა ცხოვრებანი", გვ. 56-125; გამოკვლევა იხ. 335-341.

7 "თარგმანი შესრულებულია არაუგვიანეს მერვე საუკუნის პირველი ნახევრისა". კიმენი II, გვ. 123

"საბას ცხოვრებაშია" საუბარი: II. X ს-ის ხელნაწერში Sin. 65 მოთავსებულია "ძუელნი ქართულინი დასდებელნი მამისა საბაძსნი". ქართველი ავტორის ეს დასდებლები თავისთავად გულისხმობს ქართულად "საბას ცხოვრების" არსებობას. თუ აღნიშნული "დასდებლები" X ს-ისთვის "ძუელად" იწოდება, ცხადია, ისინი, ყოველ შემთხვევაში, IX ს-ზე გვიანდელი არ იქნება. შესაბამისად, "საბას ცხოვრება" ამ დროისათვის თარგმნილი უნდა ყოფილიყო. III. ბიბლიური ციტატების დიდი თავისებურება; IV. ლექსიკური მოვლენები: "ზამთარი" (მღელვარება) "თავყანისცემა" (და არა "თაყუანისცემა"), კერატი, წუსწუთ, დიასპანი, იოჰანე (და არა იოვანე) და მისთ. თვეთა სახელები ბერძნული ფორმით არის წარმოდგენილი, რაც მიუთითებს რომაული სახელების შემოსვლის (VII ს.) ახალ დროს. V. მთარგმნელი მოიკოჭლებს განყენებული დოგმატურ-ფილოსოფიური ტერმინების გადმოცემაში, ხოლო ასეთ მოვლენას VIII ს. II ნახევრის ორიგინალურ თუ ნათარგმნ თხზულებებში უკვე აღგილი არა აქვს (კიმენი, II, გვ.123).

"საბა განწმედლის ცხოვრების" თარგმანი, როგორც ტერმინ *οὐσια*-ს განხილვის ჟამს აღვნიშნეთ, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით საყურადღებო ძეგლია. შესაბამისად, საჭიროა მტკიცედ განისაზღვროს მისი თარგმნის დრო. კ.კეკელიძის ზემოაღნიშნული არგუმენტები, ვფიქრობთ, უთუოდ ანგარიშგასაწევია. მათ საფუძველზე ქართული ტექსტი დაახლოებით VII ს-ით თარიღდება (ყოველ შემთხვევაში, არაუგვიანეს VIII ს-ის 1 ნახევრისა).

მითითებული ლექსიკური "არქაიზმებიდან" პირველი ხუთი IX-X სს-ის თარგმანებშიც შეიძლება შეგვხვდეს. ასე რომ, ისინი "საბას ცხოვრების" ქართული ტექსტის სიძველეს ვერ დაგვისაბუთებს, რაც შეეხება "იოჰანეს", ეს ფორმა დაკვირვების ღირსია.

როგორც უძველესი ხელნაწერების შესწავლა გვიჩვენებს, სახელი "იოჰანე" ერთადერთი ფორმა უნდა ყოფილიყო ქართული მწერლობის უადრეს პერიოდში; ეს პერიოდი V-VII სს-ს გულისხმობს. ამ დროისათვის "იოვანე" აშკარად უცნობი ჩანს. უძველესი ხელნაწერები: "ხანმეტი ლექციონარი", "ხანმეტი მრავალთავი" და "ხანმეტი ოთხთავი" არცერთხელ არ ავლენს "იოვანეს". მათში უკლებლივ ყველგან და მეტად ხშირად გვხვდება მხოლოდ "იოჰანე". როდესაც ა.შანიძემ "ხანმეტი მრავალთავი" გამოსცა, შესავალში ხაზი გაუსვა იმას, რომ სახელი "იოჰანე", რომელიც ერთადერთი ფორმაა ხელნაწერისა, შესაძლოა ცხადყოფდეს აღნიშნული მრავალთავის ტექსტების სომხურიდან წარმომავლობას (ცნობილია, რომ სომხურისათვის ამგვარი ფორმაა ნიშანდობლივი). ეს მოსაზრება, ვფიქრობთ, დასაზუსტებელია. საქმე ისაა, რომ "იოჰანე" გვხვდება ისეთ ძეგლებშიც, რომლებიც აშკარად ბერძნულიდან არიან თარგმნილი, ეს კი ცხადყოფს, რომ ფორმა "იოჰანე" V-VII სს-ის ქართული სამწერლობო ენის კუთვნილებაა და არა არმენიზმი. მაგალითად, უკლებლივ ყველგან გამოჩნაკლისის გარეშე, "იოჰანე" გვხვდება ხანმეტ ოთხთავში, რომლის ძირითადი ტექსტი, როგორც გარკვეულია, ბერძნულიდან მომდინარეობს.¹ სულ გვაქვს ოცდაცხრა შემთხვევა. ამ დროისათვის რომ ქართულში ფორმა "იოვანე" ცნობილი ყოფილიყო, იგი ერთხელ მაინც უთუოდ იჩენდა თავს, მითუმეტეს, ოთხთავის ხანმეტ ფრაგმენტებში VII ს-ის ფონეტიკურ-ორთოგრაფიული

¹ ლ.ქაჯაია, ხანმეტი ოთხთავის ბერძნული, ხანმეტი ტექსტები, I თბ. 1984, გვ.336-340. აღნიშნულ გამოცემაში სახარების მეოთხე თავი გამომცემლის მიერ დასათაურებულია, როგორც "ხანმეტი იოვანეს", თუმცა ფორმა "იოვანე" ხანმეტ ოთხთავში არც ერთხელ არ გვხვდება, უნდა იყოს "ხანმეტი იოჰანეს".

სიახლენი ასახულია.¹ ასე რომ, VII ს-ის II ნახევრამდე, როგორც ჩანს, "იოჰანე" ერთადერთი ფორმა უნდა ყოფილიყო ქართულ მწერლობაში.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ჰაემეტი ტექსტები, რომლებიც VIII ს-ით თარიღდება, არც ერთხელ არ შეიცავენ "იოჰანეს". ეს სახელი მათში უველგან "იოვანედ" არის შეცვლილი. აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვანი მოწმობაა იმისა, რომ აღრინდელი "იოჰანე" VIII ს-იდან რეალურად აღარ არსებობს.

ქართული ოთხთავის გვიანდელ ნუსხებში, ჩვეულებრივ, "იოვანე" გვხვდება. გამონაკლისია აღიშისა და ტბეთის ოთხთავები, აგრეთვე Sin. 15. ცნობილია, რომ აღიშური რედაქციის საფუძველი ხანმეტი ტექსტია² და ცხადია ფორმა "იოჰანეც" სწორედ ხანმეტი ტექსტის ხელნაწერულ გადმონაშთს წარმოადგენს. საინტერესო სურათს გვიჩვენებს ტბეთის ოთხთავი. მასში გაცილებით ხშირად გვხვდება "იოჰანე", ვიდრე აღიშის ოთხთავში. ამ ნიშნით იგი ოპიზური რედაქციის მეტად არქაული ტექსტის შემცველად გვევლინება.

ტბეთის ოთხთავის შესახებ განსხვავებული აზრი აქვს გამოთქმული ი.იმნაიშვილს. მკვლევარის მითითებით, "ტბეთის ოთხთავი რედაქციულად ექვთიმე მთაწმიდლის მიერ დამუშავებულ რედაქციას უნდა ეკუთვნოდეს. ამ რედაქციისაა, აგრეთვე, ოთხთავები ურბნისისა (X ს.), მესტიისა (1033 წ.), პალესტინური (1041-1048 წ.) და სხვები".³

მიუხედავად ამგვარი განცხადებისა, მკვლევარი არ უთითებს რაიმე კონკრეტულ მაგალითს, რაც დაგვარწმუნებდა გამოთქმული თვალსაზრისის სისწორეში. მეტად უჩვეულოა, რომ ტბეთის ოთხთავს ექვთიმესეულ რედაქციად მიიჩნევს სწორედ ი.იმნაიშვილი, რომელმაც თვითვე გამოსცა, ერთი მხრივ, ტბეთის სახარების ბოლო ორი თავი (ლუკასი და იოანესი), ხოლო, მეორე მხრივ, მის მიერ ექვთიმესეულ რედაქციად აღიარებული ურბნისისა და პალესტინის ოთხთავები. ამ უკანასკნელ გამოცემას წინ უძღვის ვრცელი გამოკვლევა "ექვთიმეს რედაქცია" (გვ.82-152), სადაც მკვლევარი ცალკეულად აღნუსხავს ე.წ. ექვთიმე ათონელისეულ სიახლეებს. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ მკვლევარის მიერ მითითებული და კომენტარებული "სიახლეები" არ გვხვდება ტბეთის ოთხთავში. ქვემოთ საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ შესაბამის ნიმუშებს ტბეთის სახარების იმ ორი წიგნიდან, რომლებიც თვით ი.იმნაიშვილმა გამოსცა.⁴

Ⲇ

Ⲃ

Ⲙ

უკეთურთა (ლ.8,2)

უკეთურთა

არაწმიდათა

განევთას (ლ.12,53)

განევთას

განყოფად

¹ ჩვენი აზრით ხანმეტი ოთხთავის მითითებული ხელნაწერები VII ს-ის II ნახევარშია გადაწერილი.

² ივ.ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ. 1949, გვ.302-303; ლ.ქაჯია, ხანმეტი ტექსტები, I, გვ.310.

³ ი.იმნაიშვილი, ტბეთის ოთხთავი, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები 20, თბ. 1977, გვ.165-166. იხ. აგრეთვე, ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ი.იმნაიშვილმა, თბ. 1979, გვ.9.

⁴ პირობითი ნიშნები: ე.წ. ექვთიმეს რედაქცია - Ⲙ; ოპიზური რედაქცია - Ⲇ; ხანმეტი ოთხთავი - X; ტბეთის ოთხთავი - Ⲃ, ჭრუჭისა - D; პარხლისა - E, აღიშისა - C.

სიცრუვისანი (ლ.13,27)	სიცრუვისანი	უშჯულღობისანი
მოიყვანა (იგი) (ლ.15,27)	მოიყვანა (იგი)	მოვიდა
მწიგნობართა (ლ.23,13)	მწიგნობართა	მთავართა
დღესა (ლ.24,33)	დღესა	ჟამსა
საუცარ (ლ.23,13)	საუცარ	სული
მოძულეთა (ლ.1,71)	მოძულეთა	გაჭირვებულთა
მოჰმართოს (ლ.15,8)	მოჰმართოს	მონახოს
ცხოვრებაჲ (ი.5,26)	ცხოვრებაჲ	ცხოველებჲჲ
მივსცე (ი.13,26)	მივსცე	მიუპყრა
აღიღოს (ი.15,2)	აღიღოს	მოეკუეთოს
ქუეყანად (ი.21,9)	ქუეყანად	ვმელად ქუეყანად
მოციქულ (ლ.6,13)	მოციქულ	მოციქულ-ი
წინაწარმეტყუელ (ლ.24,19)	წინაწარმეტყუელ	წინაწარმეტყუელ-ი
ძლიერ (ლ.24,19)	ძლიერ	ძლიერ-ი
მთხოველ (ი.9,8)	მთხოველ	მთხოველ-ი
არარას (ლ.23,14)	არარას	არაჲ
რომელი (ი.6,51)	რომელი	რომელსა
შეიწყნარა ისრაჰლი (ლ.1,54)	შეიწყნარა ისრაჰ- ლი	შეეწია ისრაჰლსა
შემოიყვანენ (ლ.14,21)	შემოიყვანენ	შემოხადე
ღმრთითსწავლულ (ი.6,45)	ღმრთითსწავლულ	ღმრთივსწავლულ
ქუეყანასა (ი.21,8)	ქუეყანასა	ქუეყანისაგან
წინაწარმეტყუელთა (ლ.24,44)	წინაწარმეტყუელ- თა	წინაწარმეტყუელ- თასა
ქვასა ამას (ლ.4,3)	ქვასა ამას	ქვათა ამათ
ცანი (ლ.4,25)	ცანი	ცაჲ
სიტყუათა ღმრთისათა (ლ.5,1)	სიტყუათა ღმრთი- სათა	სიტყუასა ღმრთი- სასა
არა (ლ.14,28)	არა	არა-მეა
ელისაბედცა (ლ.1,36)	ელისაბეთცა	ელისაბედ

თანა (ლ.22,59)	თანა	თანა-ვე
ხარკისა (ლ.23,2)	ხარკისა	ხარკისაცა
თავი (ლ.23,35)	თავი	თავიცა
მას (ი.8,28)	მას	მასცა
იესუ (ი.11,35)	იესუ	იესუცა
აყენებს (ლ.23,2)	აყენებს	აყენებდა
შეურაცხ-ჰყოფდეს (ლ.18,9)	შეურაცხ-ჰყოფდეს	შეურაცხ-ჰყოფენ
მო-რა-ვიდოდა (ლ.14,1)	მო-რა-ვიდოდა	მო-რა-ვიდა
ესმოდა (ლ.14,25)	ესმოდა	ესმა
მეშინოდა (ლ.19,21)	მეშინოდა	შემეშინა
ისმინეს (ლ.16,31)	ისმინეს	ისმინონ
რომელი მე მივსცე (ი.6,51)	რომელი მე მი- ვსცე	რომელსა მე მი- ვსცემ
დამიმარხავს (ლ.18,21)	დამიმარხავს	დავიმარხე
ნათელ-გცემ (1,26)	ნათელ-გცემ	ნათელ-ვსცემ
მაგინებ (ლ.11,45)	მაგინებ	გუაგინებ
იხილა (ლ.18,43)	იხილა	იხილეს
ჰქონდეს (ლ.4,40)	ჰქონდეს	აქუნდა
გუაღე (ი.11,7)	გუაღე	გუაღეთ
ჰკითხვიდა მათ (ლ.18,36)	ჰკითხვიდა მათ	იკითხვიდა მათგან
ყო ჩემ თანა (ლ.1,49)	ყო ჩემ თანა	მიყო მე
ყვავ თქვენდა მიმართ (ი.13,12)	ყვავ თქვენდა მი- მართ	გიყვავ თქვენ
მიაკლინნა.... მისა (ლ.7,6)	მიაკლინნა... მისა	მიუკლინნა
მოგეცეს (ლ.6,38)	მოგეცეს	მოგცენ
მოაქუნდა (ლ.19,15)	მოაქუნდა	მო-რა-აქუნდა
არდაგი (ლ.23,53)	არდაგი	არდაგსა
კეთილისა რადსამე (ი.1,46)	კეთილისა რადსამე	კეთილი რადმე
აღორძინებად... მოკლებად (ი.3,30)	აღორძინებად... მოკლებად	აღორძინებად... დაკლებად

შენ ღამბანა	შენ ღამბანა	შენ ღამბანნეა
ფერჯთა ჩემთა? (ი.13,6)	ფერჯთა ჩემთა?	ფერჯნი ჩემნი?
სიმრავლისაგან თევზთაღსა (ი.21,6)	სიმრავლისაგან თევზთაღსა	სიმრავლითა მათ თევზთაღთა
საყდართაგან (ლ.1,52)	საყდართაგან	საყდრებით მათით
მოჰკადონ (ლ.12,48)	მოჰკადონ	მოჰკადოს
ჯუარს-აცუ (ი.19,6)	ჯუარს-აცუ	ჯუარს-აცუთ
ყო ჩემ თანა (ლ.1,49)	ყო ჩემ თანა	მიყო მე
ყო მისთვის (ლ.8,39)	ყო მისთვის	უყო მას
განხეთქნეს (ლ.5,37)	განხეთქნეს	განსთქდენ
გარდავდგე მნობისაგან (ლ.16,4)	გარდავდგე მნობისაგან	გარდამადგინებდეს მნეობისაგან

როგორც ვხედავთ, ტბეთის ოთხთავი არანაირად არ თანხვდება ე.წ. "ეფთვიმეს რედაქციას". ცნობილია, რომ ტბეთის ოთხთავში გვხვდება ჰაემეტობის აშკარა კვალიც, რაც ამ ოთხთავის რედაქციას ყოველ შემთხვევაში VIII ს-ზე გვიანდელად არ მიგვაჩნევენებს (ზ. სარჯველაძის სპეციალური გამოკვლევის მიხედვით, როგორც ტბეთის "ოთხთავი", ასევე ექვთიმესეულ რედაქციად მიჩნეული ყველა სხვა "ოთხთავი" წინათონური რედაქციისაა და, მკვლევარის აზრით, ექვთიმეს რედაქცია შესაძლოა საერთოდ არ არსებულებო. იხ. მისი გამოუქვეყნებელი სტატია: "წყაროსთავის ოთხთავი და ქართული ოთხთავის ეფთვიმესეული რედაქციის საკითხი")

რაც შეეხება ფორმას "იოჯანე", იგი, როგორც აღვნიშნეთ, VIII ს-დან მთლიანად ცვლის ადრინდელ "იოჯანეს". ის თხზულებები, რომლებიც VIII ს-ზე ადრეულ თარგმანებად არ მიიჩნევა, არცერთ ხელნაწერში არცერთხელ არ გვაწვდის "იოჯანეს". მათში უკლებლივ ყველგან "იოჯანე" გვხვდება. ამასვე გვიჩვენებს "აბო ტფილელის წამება"-ც. ეს ძეგლი, როგორც ცნობილია, IX-X სს-ის ხელნაწერებითაა დაცული. თხზულებაში სახელი "იოჯანე" მეტად ხშირია. თავდაპირველ ტექსტში რომ "იოჯანე" გვქონოდა, ცხადია, იგი რომელიმე ხელნაწერში ერთგზის მაინც იჩენდა თავს. თვით ავტორი თხზულებისა ყველგან "იოჯანე"-დ იწოდება და ასედაცაა ცნობილი.

საფიქრებელია, რომ "იოჯანე" სასაუბრო ენიდან უკვე VII ს-დანვე დაიწყებდა გაქრობას, რაც მოკლე ხანში აისახებოდა კიდევ წერილობით. ჩვენი აზრით, VII ს-ის შემდეგ ძველი "იოჯანე" სამწერლობო ენაში რეალურ არსებობას, ალბათ, მოკლებული უნდა ყოფილიყო.

"იოჯანე" ერთადერთი ფორმაა ჰაემეტი ტექსტებისათვის, "სინური მრავალთავისათვის" და (გარდა სინის, ადიშისა და ტბეთის ოთხთავებისა), საზოგადოდ ყველა სხვა IX-X და უფრო გვიანდელი დროის ხელნაწერებისათვის. ეგვევითქმის ბრიტანულ და ათონურ ნუსხებზე, რომლებმაც "საბას ცხოვრება" შემოგვინახეს. ამ ხელნაწერებშიც უკლებლივ ყველგან გვხვდება "იოჯანე". გამონაკლისია "საბა განწმედილის ცხოვრება". ათონური და ბრიტანული

ნუსხების ურთიერთშეჯერება ცხადყოფს, რომ "საბას ცხოვრების" თარგმანის თავდაპირველ ტექსტში ყველგან "იოჰანე" უნდა გვქონოდა. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ სადაც ბრიტანულ ხელნაწერში "იოვანე" გვაქვს, ათონური ნუსხა ძალიან ხშირად "იოჰანეს" გვიჩვენებს, რაც თავდაპირველი ფორმაა და არა გადამწერის კუთვნილება ("იოჰანე" რომ ხელნაწერის გადამწერის კუთვნილება იყოს, მაშინ ეს ფორმა გარდა "საბას ცხოვრებისა" აღნიშნულ ხელნაწერში, თუნდაც ერთხელ, სხვაგანაც გამოვლინდებოდა). ამასთან, ხშირად თვით ბრიტანულ ნუსხაშიც სწორედ "იოჰანეა" წარმოდგენილი. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

დადგინებისათვის იოჰანესა (55), სიკუდილისათვის იოჰანე მთავარებისკობოსისა (55), ერქუა იოჰანე (60; Ath. იოვანე, ფ.440), იოჰანესი იგი ვედრებად (60), მონაგებსა იოჰანესსა (60), იოჰანე, მამამან მისმან (60), მოყუასი მისი იოჰანე (61), ნეტარი იოჰანე ნეალავრისა (64), მამად ჩუენი იოჰანე (68; Ath. "იოვანე"), იოჰანე მითხრობდა (68; Ath. იოვანე, ფ.462), ნეტარი იოჰანე ეპისკოპოსი (70), მეუდაბნოედ იოჰანე (Ath. ფ.495, ბრიტ. იოვანე 79), ნეტარმან იოჰანე (Ath. ფ.496, ბრიტ. "იოვანე", 79), ერქუა იოჰანე (Ath. ფ.503; ბრიტ. "იოვანე", 82); იოჰანეს მეგვპტელსა (Ath. 514; ბრიტ. "იოვანე", 86), დაადგინა იოჰანე (Ath. 540; ბრიტ. "იოვანე", 90), მთავარებისკობოსი იოჰანე (Ath. 540; ბრიტ. "იოვანე" 96), გარდაქცევად იგი იოჰანესი (Ath. ფ.541; ბრიტ. "იოვანესი", 96), დააჯეროს იოჰანეს (Ath. ფ.541; ბრიტ. "იოვანეს", 96), შევიდა საპყრობილედ იოჰანესა (Ath. ფ.541; ბრიტ. "იოვანესა", 96), მთავარებისკობოსისა იოჰანესსთვის (Ath. ფ.551; ბრიტ. "იოვანესსთვის", 100), ნეტარსა იოჰანეს (Ath. ფ.552; ბრიტ. "იოვანეს", 100), იოჰანე ეპისკოპოსი არა გარდაადგინა (Ath. ფ.553; ბრიტ. "იოვანე", 100), მთავარებისკობოსმან იერუსალემისამან იოჰანე (Ath. ფ.560; ბრიტ. "იოვანე", 103), მახლობელად ადგილთა წმიდისა იოჰანესთა (Ath. ფ.560; ბრიტ. 103), მამასა ჩემსა იოჰანე ერქუა (Ath. ფ.564, ბრიტ. "იოვანე", 104); იყო შეფოთისა მის წინამძღუარ იოჰანე (Ath. ფ.609; ბრიტ. "იოვანე", 118), მას თანა-შეყოფილ იყო იოჰანე (Ath. ფ.609; ბრიტ. "იოვანე", 119), პეტრე და იოჰანე (Ath. ფ.614; ბრიტ. "იოვანე", 614), პეტრე ალექსანდრიელი და იოჰანე მრგუალი (Ath. ფ.615; ბრიტ. "იოვანე", 121).

ამგვარად, ფორმა "იოჰანე" ნაცვლად "იოვანესი" დამატებით გვიდასტურებს, რომ "საბას ცხოვრების" ქართული თარგმანი VII ს-ზე გვიანდელი არ არის.

მნიშვნელოვანი გვეჩვენება იმის აღნიშვნაც, რომ ძეგლში ნაცვლად "სარკინოზისა", გვხვდება "სარაკინოსი", რაც ბერძნული Σαρακηνος-ის ზუსტი გადმოცემაა. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"შეემთხვა იგი ოთხთა სარაკინოსთა"²

"მოუგდეს მათ მტერნი სარაკინოსნი"³

"შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოუგდეს მას ოთხნი სარაკინოსნი"⁴

"ვკონომოსმან დიდისა ღავრისამან აქლემები იმიზდა სარაკინოსთა-გან"⁵

1 გვერდებს ფრჩხილებში კუთითებთ "მამათა ცხოვრების" ვიმნაიშვილისეული გამოცემიდან. ათონის ხელნაწერი დამოწმებულია ასე: Ath.

2 მამათა ცხოვრბანი, გვ.63

3 იქვე, გვ.63

4 იქვე, გვ.64

5 იქვე, გვ.116

"უფალი იგი აქლემისად მის სარაკინოსი ღალაღებდა"¹

"აქლემისათვის სარაკინოსელისა"²

აღნიშნულ ფორმასთან დაკავშირებით ვ.იმნაიშვილი მიუთითებს: "ბერძნული *Σαρακηνος*-ის შესატყვისად ხელნაწერში იხმარება სარაკინოსი და სარკინოზი... სარაკინოსი ჩვენს ხელნაწერში მხოლოდ "საბა განწმედლის ცხოვრების" ენისთვისაა დამახასიათებელი (ხაზი ჩვენია, ე.ჭ.)"³

მართლაც, ბრიტანულ და ათონურ ხელნაწერებში დაცული ტექსტებიდან "სარაკინოსი" მხოლოდ "საბას ცხოვრებაში" გვხვდება. სხვა ტექსტები, გამონაკლისის გარეშე, მხოლოდ "სარკინოზს" წარმოგვიდგენენ.

რამდენადაც "სარკინოზი" მიღებულია "სარაკინოსისაგან", შესაბამისად, იქნებ "საბას ცხოვრების" ქართული თარგმანი ასახავდეს იმ ეპოქას, როცა "სარაკინოსი" ახალშემოსული იყო ქართულში და მას ჯერ კიდევ არ განეცადა ფონეტიკური ცვლებადობა.

"აბო ტფილელის წამების" ყველა ხელნაწერში აღნიშნული სიტყვა გვხვდება მხოლოდ "სარკინოზის" სახით. საფიქრებელია, რომ VIII ს-ის II ნახევრისათვის თავდაპირველი ფორმა "სარაკინოსი" დავიწყებას იყო მიცემული.

VIII ს-ის I ნახევრიდან მოგვეპოვება ზუსტად დათარიღებული ეპიგრაფიკული ნიმუში, ატენის სიონის ფრესკული წარწერა, რომელიც სპეციალურად შეისწავლა გ.აბრამიშვილმა.⁴ წარწერა დათარიღებულია ჰიჯრით და შეესაბამება 738/739 წწ.⁵

აღნიშნული ეპიგრაფიკული ძეგლი შეიცავს ჩვენთვის საინტერესო სიტყვას, რომლის დაუზიანებელი ნაწილი ასე იკითხება: "კინოზთასა". თვით ის ფაქტი, რომ სიტყვაში "ს"-ს ნაცვლად გვაქვს "ზ", ცხადყოფს, რომ სიტყვას ფონეტიკური ცვლილება განუცდია ("საბას ცხოვრებაში", როგორც ვნახეთ, ყველა შემთხვევაში "ს" გვაქვს). აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ სიტყვის წინა ნაწილი ყოფილიყო "სარ" და არა "სარა" (ე.ი. "სარ-კინოზი" და არა "სარა-კინოსი"). მართლაც, გ.აბრამიშვილის ნაშრომზე დართული წარწერის გრაფიკული ნახაზიდან (სურ. 7) "კ" -ს წინ აშკარად ჩანს ასომთავრული "რ"-ს ზედა ნაწილი.

ამგვარად, თარიღიანი ეპიგრაფიკული ნიმუში აშკარად გვიჩვენებს, რომ 738 წლისათვის, ე.ი. VIII ს -ის I ნახევრისათვის ქართულ ენაში იხმარებოდა არა "სარაკინოსი", არამედ "სარკინოზი". ზემოაღნიშნული ტერმინის მიხედვით, "საბა განწმედლის ცხოვრების" თარგმანი, საფიქრებელია, VII ს-ის შუა წლებისა ან უფრო ადრინდელი იყოს.

ამგვარად, "საბა განწმედლის ცხოვრების" ქართული თარგმანი ბრიტანული ხელნაწერის სხვა ტექსტებისაგან აშკარად გამოირჩევა და ცალკე დგას. იგი ერთადერთი ძეგლია, სადაც გვხვდება თუნდაც "იოჰანე" და "სარაკინოსი".

1 მამათა ცხოვრებანი, გვ.117

2 იქვე, გვ.55

3 იქვე, გვ.392. აღვნიშნავთ, რომ XII ს-ში, გელათურმა სკოლამ შემოიტანა იმავე სიტყვის ახალი ფორმა "სარაკინი"

4 გ.აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფლის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ. 1977

5 იხ. ვ.სილოგავა, ქართული ქრონოლოგიური ტერმინოლოგიიდან ("ზედა წელი", "მაცნე", ენის... სერია, 4, 1974, გვ.115; აგრეთვე, გ.აბრამიშვილი, დასახ შრომა, გვ.9.

ზემოთ არგუმენტებთან ერთად იქნებ ყურადღება მიგვექცია იმაზეც, რომ მხოლოდ ხსენებულ თარგმანში, თანაც უკლებლივ ყველგან და ძალიან ხშირად გვხვდება ფონეტიკურად სახეუცვლელი "აბა" (ბერძნ. $\alpha\beta\alpha$) მაშინ როცა იმავე ხელნაწერის სხვა ძეგლებში, ასევე გამოუკლებლივ და ძალიან ხშირად, გვაქვს მხოლოდ "ამბა", რომელიც, ჩვეულებრივ, თავდაპირველი "აბბას" დისიმილირებული სახეა.¹ ამის შესახებ გ.წერეთელი შენიშნავს:

"აბა, კარგად ცნობილი სიტყვა, რომელიც ქართულში უფრო ამბა-ს სახით არის გავრცელებული, მაგრამ არც ის ფორმაა უცნობი, რომელიც ტექსტშია დადასტურებული. ასე, მაგ. ჯრუჭ-პარხლის ოთხთავში გვხვდება: "აბა მამაო ჩემო, ყოველივე შესაძლებელ არს შენ მიერ" - $\alpha\beta\alpha$ \circ $\pi\alpha\tau\eta\rho$ $\pi\alpha\nu\tau\alpha$ $\delta\upsilon\nu\alpha\tau\alpha$ $\sigma\iota\iota$ (მარკ.14.36). დამახასიათებელია, რომ აღნიშნულ ოთხთავში ამ ადგილას გვაქვს "აბბა მამაო, ყოველი შესაძლებელ არს შენდა".

აბა, აბბა და აქედან დისიმილაციის გზით მიღებული ამბა არის ბერძნ. $\alpha\beta\beta\alpha$ ".²

ასევე, ზ.სარჯველაძის შენიშვნით "ანბა-სთვის ამოსავალი ამბა თვით არის დისიმილირებული ფორმა".³

არადისიმილირებული "აბბა" გვხვდება, "პავლენშიც":

"ვლადადებთ: აბბა, მამაო" (რომ. 8,15; გალ. 4,6).

ახალი აღთქმის უძველესი რედაქციების "აბბა" უცვლელადაა გადასული გვიანდელ ვერსიებშიც, თუმცა ამ შემთხვევაში მხოლოდ არქაიზმთან, თავდაპირველი ტრადიციის დაცვასთან გვაქვს საქმე. სხვა ძეგლები ცხადად გვიჩვენებს, რომ "აბბას" დისიმილირება ადრეული მოვლენაა. მაგალითად, "სინური მრავალთავისათვის" მხოლოდ დისიმილირებული "ამბაა" ნიშანდობლივი:⁴

ამბა თევდოლოსი (გვ.267), ამბა ესაია (267), ამბა საბა (268), ამბა მოსე (269), ამბა იოსებ (270), ამბა გელასი (271), ამბა სოლომონ (276), ამბა სერჯი (276) და სხვა.

საეჭვო არ უნდა იყოს, რომ IX ს-ისათვის დისიმილირებული "ამბა" უკვე საბოლოოდ არის დამკვიდრებული. აქედან გამომდინარე, "საბას ცხოვრება", რომლის ბრიტანული ნუსხაც მხოლოდ "აბბას" წარმოგვიდგენს,⁵ საფუძვრებულია, ამ მხრივაც არქაულ ვითარებას იცავდეს. საგულისხმოა, აღინიშნოს, რომ ათონურ ნუსხაში ზოგჯერ "აბბა", "ამბად" არის შეცვლილი (თუმცა ამ ნუსხაშიც, ჩვეულებრივ, "აბბა" გვაქვს). განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ერთგან ათონური ნუსხის გადამწერს ჯერ "აბბა" დაუწერია, შემდეგ კი "ბ" ამოუფხეკია და "მ" ჩაუწერია. თავდაპირველი ასომთავრული "ბ"-ს ქვედა ფეხი გარკვევით ჩანს (იხ. ფ.462). ესეც ცხადყოფს, რომ ფორმა "აბბა" ხელნაწერის გადამწერს არ ეკუთვნის. იგი უთუოდ ძველი ტრადიციის გამოძახილია.

1 რათქმაუნდა, "აბბა" გვიანდელ ტექსტებშიც შეიძლება შეგვხვდეს, მაგრამ აღნიშნულ შემთხვევაში ზემოგანხილულ არქაიზმებთან ერთად ეს მომენტიც "საბას ცხოვრების" ქართული თარგმანის არქაულობის ასახვად გვეჩვენება.

2 გ.წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ. 1960, გვ.37.

3 ზ.სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ. 1984, გვ.313.

4 ამას აღნიშნავდა გ.წერეთელიც. იხ. დასახ. შრომა, გვ.37.

5 აბა საბადსა (54) აბა თეოდოსისა და აბა საბადს (55), წარსლუსათვს აბა საბადსა (55), აბა კონონი (55), აბა თეოქტისტე (59) და მრავალი სხვა

ათონურ ნუსხაშიც, ბრიტანულის მსგავსად, "საბას ცხოვრება" ერთადერთი ძეგლია, სადაც გვიანდელი "ამბა"-ს ნაცვლად "აბბა" გვაქვს.

"საბას ცხოვრების" ძველი ქართული თარგმანის დასათარიღებლად განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ერთი გარემოება, რაც, მნიშვნელოვანი გვეჩვენება ზოგადტერმინოლოგიური თვალსაზრისითაც. საქმე ეხება "ღმერთ" სიტყვის შემცველ პარალელურ კომპოზიტებში (ღმრთითსწავლული-ღმრთივსწავლული, ღმრთისხული-ღმრთივსულიერი, ღმრთისშუენიერი-ღმრთივშუენიერი და მისთ.)-ივ სუფიქსის აღმოცენებისა და სალიტერატურო ენაში მისი გავრცელების საკითხს.

-ივ სუფიქსის რაობა სპეციალურ ლიტერატურაში დიდი ხანია იქცა კვლევის საგნად. მას გაკვრით ეხებოდნენ ჰ.შუხარდტი, ნ.მარი, ა.შანიძე, ა.ჩიქობავა, ვ.თოფურია, ვლ.ფანჩვიძე. საკითხი საგანგებოდ შეისწავლა დ.მაჭავარიანი.¹

ა. შანიძის მითითებით: "უძველეს დროს ქართულ ენას უნდა ჰქონოდა ერთი ბრუნვა, რომელსაც -ივ აწარმოებდა. ეს ბრუნვა უნდა ყოფილიყო ერთერთი სახეობა მოქმედებითისა. მისი ფორმები ნაშთის სახითაა მოღწეული. ის ძვ. სალიტ. ქართულშიც ნაშთია: ღმრთივ სულიერი, "ცოცხლივ მკუდარ არს" (I ტიმ. 5,6) და სხვა... აღნიშნულ ფორმებს დღევანდელ ენაში თავისუფლად ენაცვლება მოქმედებითი, ვითარებითი ან სადაობითი".²

ა. ჩიქობავას აზრით, შესაძლოა -ივ სუფიქსი უძველეს დროში ყოფილიყო ადამიანის კლას-კატეგორიის მაწარმოებელი. მკვლევარი შენიშნავს: "მამ-ი-ს ფორმა წარმოშობით ნივთის გრამატიკული კლასის მსაზღვრელია. ცხადია, უნდა გვქონოდა მეორე ვარიანტიც: ადამიანის კლასის მსაზღვრელი ნათესაობითიც; თეორიული ვარაუდით, ეს იქნებოდა მამ-ივ". ა.ჩიქობავას მითითებით, "ასეთი რამ არ დაუცავს ქართული ენის ისტორიას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ღმრთ-ი-ვ, იგურდ-ი-ვ, ირგვლ-ი-ვ, მარცხნ-ი-ვ, მარჯვნ-ი-ვ... ტიპის წარმოებას, რაიც მოქმედებითის სინონიმია: ღვთ-ით, გვერდით, მარცხნით, მარჯვნით".³

წარმოდგენილი თვალსაზრისი ამოსავალი პუნქტია დ.მაჭავარიანისათვის, რომელმაც მიზნად დაისახა გაერკვია -ივ სუფიქსის მნიშვნელობა და დანიშნულება. მკვლევარი, ერთი მხრივ, ითვალისწინებს ა.შანიძის აზრს იმის შესახებ, რომ -ივ სუფიქსი ძველი ქართულისთვისაც ნაშთია, ე.ი. იგი უძველესი დროისაა, მეორე მხრივ კი ეფუძნება ა.ჩიქობავას მსჯელობას კლას-კატეგორიების მაწარმოებელი სუფიქსების შესახებ და, მის ხელთ არსებული მასალის გათვალისწინებით, ისეთ კომპოზიტებთან დაკავშირებით, რომელთა პირველი წევრია სიტყვა "ღმერთი", ასკვნის, რომ პირვანდელი უნდა იყოს -ივ სუფიქსიანი ფორმა (ღმრთივსულიერი, ღმრთივმცემული, ღმრთივშუენიერი, ღმრთივსწავლული და მისთ.), ხოლო მეორეული და გვიანდელი -ით სუფიქსიანი ფორმები (ღმრთითსწავლული, ღმრთითმოცემული, ღმრთითშენებული და მისთ.).

¹ დ.მაჭავარიანი, -ივ სუფიქსის ისტორიისათვის, აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. XVII, 1957, გვ. 473-490. იხ. იქვე (გვ. 473, 475) ბიბლიოგრაფია აღნიშნული საკითხის შესახებ.

² ა.შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი, ტ. III, თბ. 1980, გვ. 76 (§97)

³ ა.ჩიქობავა, გრამატიკული კლას-კატეგორია და ბრუნვის ნიშანთა გენეზისის საკითხი ქართულში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VII N1-2, გვ. 61-68.

დ. მაჭავარიანი უპირველესად შენიშნავს: "აქ წარმოდგენილი კონცეფციის საილუსტრაციოდ (იგულისხმება ა.ჩიქობავას შეხედულება კლას-კატეგორიების შესახებ, ე.ჭ.), სხვათა შორის, ვფიქრობთ, გამოდგება ადიშის ოთხთავის ერთი მაგალითიც. ესაა: ნათესავნი სოფლივნი ეძიებენ (ლკ., 12,30). ეს ადგილი ოთხთავის ჯრუჭ-პარხლის რედაქციაში ასე იკითხება: ნათესავნი სოფლისანი ეძიებენ (ლკ. 12,30). ამგვარად, გვაქვს: სოფლ-ივ-ნი - სოფლ-ისა-ნი. "ნათესავნი სოფლივნი" გრამატიკული კლას-კატეგორიის გარჩევისას გვექნებოდა, ხოლო "ნათესავნი სოფლისანი" გრამატიკული კლას-კატეგორიის მოშლის შემდეგი დროისაა".¹ იმავე მკვლევარის მითითებით, "თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ მიმღეობებთან და ბევრ სხვასთან (სულ 23-თან) იმავე ძეგლებში ჩვენი სიტყვის -ივ ბრუნვაში მართვა დასტურდება შეუდარებლივ უფრო ხშირად, ვფიქრობ, სწორი იქნება, თუ მიმღეობათა მიერ "ღმერთ" სიტყვის მოქმედებითში მართვას (ე.ი. -ით სუფიქსიან ფორმას ე.ჭ.) მეორეულად ჩავთვლით".² მკვლევარი, აგრეთვე, შენიშნავს: "როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვარიანტები "ღმერთით მოცემული", "ღმერთისა მიერ მოცემული" მეორეული და შედარებით ახალი დროის წარმონაქმნი უნდა იყოს. ვნებითი გვარის მიმღეობასთან თავდაპირველად (ქართულში გრამატიკული კლას-კატეგორიის არსებობის ეპოქაში) სიტყვა "ღმერთი" მხოლოდ და მხოლოდ -ივ ბრუნვაში უნდა ყოფილიყო შეწყობილი. იმავე ეპოქაში უნდა გვექნოდა ვნებითი გვარის მიმღეობასთან -ით ბრუნვიანი მსაზღვრელიც (არა ღმერთი, სხვა!) ისე, როგორც დღესაც გვაქვს, ვთქვათ, ასეთი: ქვითკირით აშენებული... მაგრამ არა "ღვთით აშენებული"... "ღმერთი" ასეთი ფუნქციით, მართალია, გვხვდება (იხ. ზემოთ), მაგრამ ეს არ არის მისთვის ნიშანდობლივი... ამგვარად, ვნებითი გვარის მიმღეობასთან "ღმერთ" სახელის შეწყობა დასტურდება ძველს ქართულში შემდეგი ვარიანტებით:

- ღმერთ-ივ უწნებული
- ღმერთ-ით უწნებული
- ღმერთ-ისა მიერ უწნებული
- ღმერთ-ისა-გან შენებული

ამათგან ყველაზე უფრო ძველი, კლას-ნიშნიან ბრუნვათა არსებობის დროისა ჩანს ღმერთივშენებული, დანარჩენი სამი შემდეგი კლას-ნიშნიან ბრუნვათა მოშლის დროისა უნდა იყოს".³

როგორც ვხედავთ, მკვლევართა აზრით, -ივ სუფიქსი უძველესი პერიოდის ნაშთია. დ.მაჭავარიანი, ა.ჩიქობავას თვალსაზრისის საფუძველზე, აკონკრეტებს, რომ იგი უნდა ყოფილიყო ადამიანის კლას-კატეგორიის მაწარმოებელი. შესაბამისად, სიტყვა "ღმერთ"-თან დაკავშირებით უძველეს დროში სწორედ -ივ სუფიქსი გვექნებოდა, რომელსაც მოგვიანებით (კლას-კატეგორიის ნიშანთა მოშლის შემდეგ) ზოგჯერ -ით სუფიქსი შეენაცვლა. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ადრე მხოლოდ ნივთის კლას-კატეგორიის მაწარმოებელი იქნებოდა.

დ. მაჭავარიანი -ივ და -ით სუფიქსებს უკავშირებს თანდებულებიან ფორმებს:

1 დ.მაჭავარიანი. დასახ. შრომა, გვ.476
 2 იქვე გვ.482
 3 იქვე გვ.487-488

-გან (ღმრთისაგან) და მიერ (ღმრთისა მიერ) და მათაც, -ით სუფიქსთან ერთად, მეორეულ მოვლენად მიიჩნევა.

ვფიქრობთ, თანდებულიანი ფორმების -ივ და -ით სუფიქსთან ერთად განხილვა ამ შემთხვევაში მიზანშეწონილი არ უნდა იყოს. ბრუნვებზე თანდებულების დართვა და მათი გზით რაიმე მოქმედების გადმოცემა ცალკე საკითხია, რაც საკვლევ თემას არ უკავშირდება. მსგავსი მნიშვნელობის მქონე ბრუნვის ნიშნების ურთიერთმიმართების გარკვევა, ჩვენი აზრით, არ გულისხმობს მათზე დართული თანდებულების ანალიზსაც.

საკითხი ასე დგას: სუფიქსები -ით და -ივ ცალკეულ პარალელურ ფორმებში ერთსა და იმავე მოქმედებას გადმოგვცემენ. შესაბამისად, საჭიროა გაირკვეს, თუ რომელია მათ შორის ადრეული და რომელი გვიანდელი.

როგორც მივუთითებდით, სპეციალურ ლიტერატურაში -ივ სუფიქსი მეტად ძველი ეპოქის ნაშთად მიიჩნევა (ა.შანიძე, ა.ჩიქობავა, დ.მაჭავარიანი). მკვლევარები მიუთითებენ ცალკეულ ნიმუშებს, სადაც, მათი აზრით, ცხადად ჩანს -ივ სუფიქსის სიძველე. დ.მაჭავარიანი მოუხმობს კონკრეტულ ფორმებს, რომლებიც პარალელურად გვხვდება როგორც -ივ, ასევე -ით სუფიქსით და დროის თვალსაზრისით უყოყმანოდ ანიჭებს უპირატესობას პირველ მათგანს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ -ივ სუფიქსის შესახებ შემოწარმოდგენილი თვალსაზრისები მთლიანად თეორიული ხასიათისაა და არ ეფუძნება ძველი ქართული ტექსტების ურთიერთშედარებით ანალიზს. მართალია, ცალკეულ შემთხვევებში მითითებულია კონკრეტული მაგალითები (განსაკუთრებით ბევრი მაგალითი გვხვდება დ.მაჭავარიანთან), მაგრამ არ არის გათვალისწინებული დამოწმებული ტექსტების დროის საკითხი და სრულიად უგულებელყოფილია პარალელური ჩვენებები.

ჩვენ ამჯერად არ ვეხებით ზოგადად -ივ სუფიქსის რაობას. ეს ცალკე საკითხია¹ და მის გარკვევას უთუოდ წინ უნდა უძღოდეს არსებული ნიმუშების ტექსტოლოგიური ანალიზი. ჩვენი მიზანია, განვსაზღვროთ "ღმერთ" სიტყვის შემცველ პარალელურ კომპოზიტებში -ივ სუფიქსის დამკვიდრების მიახლოებითი დრო და, ამ თვალსაზრისით, მისი ქრონოლოგიური მიმართება ნათესაობითისა და მოქმედებითის მაწარმოებელ სუფიქსებთან.

ვიდრე კონკრეტულად "ღმერთ" სიტყვის შემცველ კომპოზიტებს შევხებოდეთ, ვფიქრობთ, საჭიროა, განვიხილოთ დ.მაჭავარიანის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ადიშის სახარების სიტყვა "სოფლივნი" უნდა ასახავდეს იმ ადრეულ ეპოქას, როცა არსებობდა გრამატიკული კლას-კატეგორიების გარჩევა, ხოლო ჯრუჭ-პარხლის ვერსიის პარალელურ ტექსტში დაცული "სოფლისანი" გვიანდელი დროისა უნდა იყოს, როდესაც უკვე მოიშალა გრამატიკული კლას-კატეგორიის გარჩევა.

ზემოთ ციტირებული გვქონდა ა.ჩიქობავას სიტყვები, საიდანაც ჩანს, რომ მკვლევარი -ივ სუფიქსს ადამიანის კლასის მსაზღვრელის ფუნქციას მხოლოდ თეორიულად ანიჭებს და იქვე მიუთითებს, რომ "ასეთი რამ არ დაუცავს ქართული ენის ისტორიას". დ.მაჭავარიანი, თავის მხრივ, საბოლოოდ დადგენილად მიიჩნევს ა.ჩიქობავას ოდენ თეორიულ ვარაუდს და ცდილობს კონკრეტული მაგალითიც გამოავლინოს. მისი აზრით, ადიშის სახარების

¹ ვ.თოფურია აღნიშნავს: -ივ სუფიქსის ბუნების გამორკვევა არათუ თანამედროვე, არამედ ძველი ქართული მასალებითაც ძნელი ხდება, ვ.თოფურია, "ქართლური": არილი, კრებული, მიძღვნილი ივ.ჯავახიშვილისადმი, ტფ. 1925, გვ.139.

"სოფლივნი" სწორედ გრამატიკული კლას-კატეგორიის გარჩევის დროინდელია. აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ დაახლოებით IV-V სს-ში (როდესაც სახარება ითარგმნა ქართულად) ამგვარი გარჩევა ჯერ კიდევ არსებობდა. შემდეგში (ალბათ, VII-VIII სს-ში) იგი უკვე მოშლილა, რასაც მკვლევარის აზრით ასახავს კიდევ ჯრუჭ-პარხლის ვერსიის პარალელური ფორმა "სოფლისანი",

ვფიქრობთ, ძველი ქართული ტექსტების შედარება ცხადად გვიჩვენებს, რომ ადრეულია სწორედ "სოფლისანი" და გვიანდელია "სოფლივნი".

ადიშური და ჯრუჭ-პარხლის სახარებათა ვერსიები, როგორც ცნობილია, მნიშვნელოვნად სხვაობენ ერთმანეთისაგან, მაგრამ არა მთელი ტექსტის მანძილზე. გარკვეულია, რომ ადიშის ოთხთავის გადამწერს ხელთ ნაკლული დედანი ეპყრა, რაც მას შეუვსია ჯრუჭ-პარხლის ვერსიის ტექსტით.¹ ერთერთი ასეთი ადგილია სწორედ ის მუხლი (ლუკა 12,30), რომელიც ზემოაღნიშნულ სიტყვას შეიცავს, მოგვაქვს პარალელური ტექსტები:

ჯრუჭ-პარხლისა

და ნუ ეძიებთ, რად შჭამოთ და რად ჰსუათ და ნუცა განჰსცხრებით, რამეთუ ამას ყოველსა ნათესავნი სოფლისანი ეძიებენ, ხოლო მამამან თქუენმან იცის, რომელი გიგმს ამათ ყოველთაგანი, გარნა ეძიებდით სასუფეველსა ღმრთისასა და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ (ლუკა, 12; 29-32)

ადიშური

და თქუენ ნუ ეძიებთ, რად ჰჭამოთ და რად სუათ და ნუცა განსცხრებით, რამეთუ ამას ყოველსა ნათესავნი სოფლივნი ეძიებენ, ხოლო მამამან თქუენმან იცის, რომელი გიგმს ამათ ყოველთაგანი, გარნა ეძიებდით სასუფეველსა ღმრთისასა და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ

როგორც ვხედავთ, ორივე სახარების ტექსტი თითქმის იდენტურია და იგი წარმოადგენს არა ადიშურ, არამედ ჯრუჭ-პარხლის ვერსიას (ადიშურის გადამწერმა ნაკლული დედანი ამ ვერსიით შეავსო). შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ადიშურ ხელნაწერში ამ ადგილას აღნიშნული ვერსიის ტექსტი უკეთ არის დაცული, ვინემ საკუთრივ ჯრუჭ-პარხლის სახარებებში და ფორმა "სოფლივნი" იქნებ სწორედ თავდაპირველ ვითარებას ასახავდეს, რაც შემდეგში შეიცვალა ფორმით "სოფლისანი" (ასე მიიჩნევს დ.მაჭავარიანი).

ჯრუჭ-პარხლის ვერსიის ყველა ხელნაწერში იკითხება "სოფლისანი". რატომ არ უნდა იყოს მიზანშეწონილი, რომ სწორედ მას მიეცეს უპირატესობა, ხოლო ადიშური "სოფლივნი" გვიანდელი გადამწერის კუთვნილებად ჩაითვალოს? ჩვენი აზრით, ეს სავსებით შესაძლებელია, თუმცა გადამწევეტი მნიშვნელობა ასეთ შემთხვევაში უადრესი ტექსტის ჩვენებას ეძლევა. ცნობილია, რომ ჩვენამდე მოაღწია ხანმეტი სახარების ფრაგმენტებმა, რომლებიც საბედნიეროდ შეიცავს ზემოცხიტირებულ მუხლებსაც. ხანმეტური ტექსტი ზედმიწევნით მიყვება ციტირებულ ტექსტებს. საგულისხმოა აღნიშნოს, რომ ადიშურ და ჯრუჭ-პარხლის სახარებათა ზემომოტანილი მუხლები

1 ა.შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, თბ. 1945, გვ.010

მართალია ერთმანეთის თანამხვედრია, მაგრამ მათ შორის არის უმნიშვნელო სხვაობა: ადიშური შეიცავს "თქუნ" ნაცვალსახელს (და თქუნ ნუ ეძიებთ), რომელიც აკლდა ჯრუჟ-პრახლისას (და ნუ ეძიებთ). ხანმეტური ამ მხრივ ადიშის ტექსტს უჭერს მხარს, იგი ყოველმხრივ მისი იდენტურია, იმ განსხვავებით, რომ "სოფლივნი"-ს ნაცვლად მასში გვაქვს "სოფლისანი":

"... ამას ყოველსა ნათესავნი სოფლისანი ხეძიებენ..."¹

ამგვარად, ფორმა "სოფლივნი", საფიქრელია, გვიანდელი დროისა იყოს და მას წინ უნდა უსწრებდეს "სოფლისანი". შესაბამისად, თქმა იმისა, რომ პირველი მათგანი ასახავს კლას-კატეგორიათა გარჩევის ეპოქას, ხოლო მეორე მისი მოშლის ხანას, მიზანშეუწონლად გვეჩვენება. პირიქით, ადრინდელია სწორედ "სოფლისანი", რომელსაც ცვლის გვიან გაჩენილი პარალელური (-ივ სუფიქსიანი) ფორმა "სოფლივნი".

როდესაც ა.შანიძე -ივ სუფიქსიან ფორმებს უძველესი დროის ნაშთად მიიჩნევს, ძველი ქართული მწერლობიდან ორ კონკრეტულ მაგალითსაც ასახელებს: "ღმრთივ სულიერი" და "ცოცხლივ". ამ უკანასკნელთან დაკავშირებით მკვლევარი სათანადო წყაროსაც უთითებს: 1 ტიმ. 5,6. როგორც გარკვეულია, ქართული "პავლენი" ოთხ რედაქციას ქმნის: უძველესი - A (S-407, S-1398), შედარებით გვიანდელი - B (S-1138, ქუთ. 176, Sin-58/31 და Ath. 42), გიორგისეული - C (A-584, Ath. 78, A-34), ეფრემისეული - D (A-137, A-677, K-4)²

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ა.შანიძის მიერ - მითითებული სიტყვა "ცოცხლივ" დასტურდება სწორედ გვიანდელ ვერსიებში, ხოლო უადრესში მას შეეფარდება: "ცხოველი":

AB

ხოლო რომელი-იგი იშუე-
ბდეს, ცხოველი მკუდარ
არს

CD

ხოლო რომელი-იგი იშუ-
ებდეს, ცოცხლივე მკუ-
დარ არს

ვფიქრობთ, ამგვარადაც -ივ სუფიქსიანი ფორმა მეორეულ, გვიანდელ მოვლენას წარმოადგენს.

ზემომოტანილი ორი მაგალითის საფუძველზე მიზანშეუწონელი არ უნდა ჩანდეს თქმა იმისა, რომ ცალკეულ შემთხვევებში "-ივ" სუფიქსი, შესაძლოა სწორედ გვიანდელი ვითარების ამსახველი იყოს, გვიანდელ პერიოდს ეკუთვნოდეს და არა ადრეულს. ამგვარ მოსაზრებას კიდევ უფრო გვიმტკიცებს -ივ სუფიქსით წარმოებულ რამდენიმე სხვა სიტყვაზე დაკვირვება. ასეთებია ა.შანიძისა და ა.ჩიქობავას მიერ არქაულად მიჩნეული ფორმები: იგურდივ, მრგულივ, იბედივ, ძლივ.

თუკი მოტანილ სიტყვებში -ივ სუფიქსი უძველესი დროის ნაშთია, მაშინ ისინიც, ასევე, უძველესი პერიოდის ძეგლებში უნდა გვხვდებოდეს, სინამდვილეში აქაც ისეთივე ვითარება გვაქვს, როგორც ზემოგანხილულ

1 ხანმეტი ტექსტები, I, გვ.101

2 კ.დანელია, ქართული სამწერლობო ენის ისტორიის საკითხები, თბ. 1983, თავი III.VI.VII; იხ. აგრეთვე, პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გამოსაცემად მოამზადეს ქ.ძაწენიძემ და კ.დანელიამ, თბ.1974, გვ.011-022

შემთხვევებში:

სიტყვა "იგურდივ" გვხვდება, მაგალითად, "დანიელის" წიგნში, მაგრამ მხოლოდ გვიანდელ (ბაქარისეულ და საბასეულ) ვერსიებში:

"და გამოვიდეს იგურდივთა კართათ მირთმად ბრძანებულთა მათთა"(დან. 13,18).

უძველესი (ოშკური და იერუსალიმური) ვერსიების პარალელურ ტექსტში ვკითხულობთ:

"და განვიდეს კიდით-კერძოსა (ოშკური "სხუასა") მას კარსა".

როგორც ვხედავთ, "იგურდივ"-ის ნაცვლად ადრინდელ ვერსიებში გვაქვს სიტყვები "კიდით-კერძოსა" და "სხუასა"¹

ასევე, სიტყვა "მრგულივ" მხოლოდ მოგვიანო ხანის ტექსტების კუთვნილებაა. იმავე ტექსტების უადრეს ვერსიებში ეს სიტყვა არსად გვხვდება. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები "ეზეკიელის" წიგნის უადრესი და გვიანდელი რედაქციებიდან

ოშკურ-იერუსალიმური

ნათელი მისი გარემო (1,27)

განსანათლებელ გარემო სამთა მათ (41,16)

გარემოსლვად გარემო ტადარსა მას (41,10)

ნათელი დიდებისა მისისა-გან გარემო (43,2)

და გძილი გარემო ბაკოთა მისთა მტკაველ ერთ (43,13)

გარემოდ მისი წყრთა ერთ გარეშე-კერძო (43,17)

ერგასის წყრთა განშოვრებულ გარემო (45,2)

გელათური

მთოვარე (SW-ნათელი) მრგულივ მისსა

განსანათლებელი მრგულივ სამთასა

გარემოსაკლელი მრგულივ სახლისა

ნათელი დიდებისაგან მისისა მრგულივ

და ძგიდებ ბაგესა თანა მისსა მრგულივ მტკავეული

მრგულივ მისა წყრთა გარეშემო

ერგასისთა წყრთათა ხანი მრგულივ მათსა

1 საზოგადოდ, "იგურდივის" ადრინდელი სახეა "მგურდი".

ასევე უცნობია უძველესი ქართული მწერლობისათვის სიტყვა "ძლივ" ან "ძლივს". თითქოს საწინააღმდეგო სურათს გვიჩვენებს ის გარემოება, რომ ი.აბულაძე თავის "ქართული ენის ლექსიკონში" იმოწმებს სიტყვას "ძლივს" და უთითებს კირილე იერუსალიმელის საკითხავს, რომელიც კლარჯულ მრავალთავშია დაცული და უძველესი დროის თარგმანად მიიჩნევა.

ი. აბულაძის მიერ დამოწმებული კონტექსტი მეტად არაბუნებრივი ჩანს: "ბრძანებაჲ იგი ძლივს იყო".

უთუოდ საქმე უნდა გვქონდეს რაიმე ტექსტობრივ შეცდომასთან.

მართლაც, ხელნაწერის გაცნობამ გვიჩვენა, რომ მითითებულ ადგილას გარკვევით იკითხება არა "ძლივს", არამედ "ძლიერ". მთლიანი კონტექსტი ასეთია:

"გარდაიქცა ველი მოსქსი და ერთსა შინა ჟამსა იქმნა, ვითარცა თოვლი და მერმე კუალადვე მოეგო ღმრთისა ბრძანებითა; და მაშინ ბრძანებაჲ იგი ძლიერ იყო, აწ არღა ძლიერ არსა?" (კირილე იერუსალიმელი მიმართავს მათ, რომლებსაც ეჭვი ეპარებათ საღვთო ბრძანების ძლიერებაში და არ სწამთ აღდგომა) (A-144, 61r-v). ასევე კითხულობს ამ ადგილს თ.მგალობლი-შვილი (იხ. "კლარჯული მრავალთავი", თბ. 1991, გვ.263)

სიტყვა "ძლივს" უცნობია უადრესი ხანისათვის და იგი, როგორც ჩანს, ათონური პერიოდიდან შემოდის ქართულ მწერლობაში.

იმავე "ლექსიკონში" ი.აბულაძეს დამოწმებული აქვს სიტყვა "ძლივი". და უთითებს Sin. 97, რომელიც ეფრემ ასურის თხზულებათა X ს-მდელ თარგმანებს შეიცავს. აქაც თითქოს უძველესი -ივ სუფიქსიანი წარმოება გვაქვს, მაგრამ სირთულეს ქმნის ის გარემოება, რომ "ძლივი" საერთოდ არ არის ცნობილი ქართულ მწერლობაში. როგორც ჩანს, ი.აბულაძეს ვერც კონტექსტით გაურკვევია მისი შინაარსი და ამიტომ, არავითარ განმარტებას არ ურთავს მას. მოტანილია მხოლოდ სათანადო ადგილი:

"სადა-იგი არა საგმარ იყუნენ ცრემლნი და სინანული ძლივადმდე" (Sin. 97,30).

სინამდვილეში, ხელნაწერში იკითხება არა "ძლივადმდე", არამედ "ძლივადმდე". მკვლევარი შეცდომაში შეიყვანა იმ გარემოებამ, რომ ასომთავრული "ე"-ს მარცხენა ფეხი მოკლეა და "ი"-ს ემსგავსება, მაგრამ ამის მიზეზი ისაა, რომ აღნიშნული ასო მიჯრით მიყვება წინარე "ლ"-ს, რომლის მარჯვენა ნაწილმა აუცილებელი გახდა "ე" -ს მარცხენა ფეხის დამოკლება. ზუსტად იმგვარივე დაწერილობის "ე" გვხვდება დამოწმებული წინადადების სიტყვაში "ცრემლნი". მსგავსი შემთხვევები ხშირია ძველ ქართულ ძეგლებში. მაგალითად, ასეთსავე სურათს გვიჩვენებს ცნობილი თხზულების "ქებაჲ ქართულისა ენისაჲ"-ს ის პირი, რომელიც Sin. 6-შია დაცული. სახელი "ელენე" (ან "პელენე") ამავე ძეგლის ადრეულ ნუსხებში ბოლოკიდურ ასოდ წარმოგვიდგენს "ე"-ს. ასევეა ზემოაღნიშნულ მეოთხე ნუსხაშიც, თუმცა რამდენადაც წინამორბედი "ნ"-ს მიზეზით, მისი მარცხენა ფეხი შედარებით მოკლეა, ამიტომ ნ.მარსა და პ.ინგოროყვას არაზუსტად ამოუკითხავთ ის, როგორც "ი". ამ

გზით "ელენე"-ს ნაცვლად მივიღეთ "ელენი", რაც, ცხადია, სწორი არ არის. რაც შეეხება სიტყვა "იბედივ"-ს, იგი, საფიქრელია, ათონურმა სკოლამ შემოიტანა ქართულ მწერლობაში. ეს სიტყვა გვხვდება, მაგალითად, გიორგი მთაწმიდლის მიერ თარგმნილ ბასილი დიდის "ექუსთა დღეთად"-ში, რომელიც წინათონური პერიოდის თარგმანითაც არის მოღწეული. პარალელური ტექსტები ასეთია:

ადრეული

გიორგისეული

იყოს იგი მოცალე სხვ-
სათვს, რად უკუე არა
თქუას ამაოდ?¹

მოცალედ იქცეოდის იბე-
დივთა და ამაოთა საქმეთა
შინა, რადმცა არა თქუა
უჯეროდ?²

როგორც ვხედავთ, "იბედივი" უძველეს ვერსიაში არ გვხვდება.

* * *

ჩვენ განვიხილეთ მკვლევართა მიერ არქაიზმებად მიჩნეული სიტყვები, სადაც -ივ სუფიქსი გვხვდება. ეს სიტყვები ქართულ მწერლობაში გვიან მკვიდრდება.

კვლავ აღვნიშნავთ, რომ ზოგადად -ივ სუფიქსის რაობა, ამჯერად, ჩვენი განხილვის საგანი არ ყოფილა. ამისთვის, ალბათ, დამატებითი, თანაც უძველესი წყაროების გამოვლენაა საჭირო. ვფიქრობთ, გამორიცხული არ არის, რომ უძველეს ხანაში -ივ სუფიქსი ყოფილიყო არა იმდენად ბრუნვის (კერძოდ, მოქმედებითის რომელიმე ნაირსახეობისა, როგორც მიუთითებს ა.შანიძე) მაწარმოებელი, არამედ წარმოქმნის სუფიქსი, რომელიც შინაარს-ობრივად თითქმის იგივე იქნებოდა, რაც სუფიქსი "-ებრ". ამ მხრივ, იმის აღნიშვნაც შეიძლება, რომ, როგორც ცნობილია, არსებობს "-ებრ" სუფიქსის გავრცობილი სახე "ებრივი" და პარალელური "ობრივი", სადაც -ივ სწორედ წარმოქმნის სუფიქსია.

გავრცელებული აზრის თანახმად "ობრივ" სუფიქსი მიღებულია "ებრივ"-ისაგან. ა.შანიძე შენიშნავს: "ებრ-ივ-ის გავლენით შემდეგ ობრ-ივ არის გაკეთებული".³ სხვა მაგალითებთან ერთად მკვლევარს დასახელებული აქვს სიტყვა "კაცობრივი". ფრჩხილებში ა.შანიძე შენიშნავს: "მაგრამ ძველად ითქმოდა "კაც-ებრივ-ი".⁴

თუკი "ობრივ" მიღებულია "ებრივ"-ისაგან. მაშინ ცხადია, უნდა ვიფიქროთ, რომ "ობრივი" მას შემდეგ გავრცელდა ქართულ მწერლობაში, როცა "ებრივი" დამკვიდრებული იყო. ამგვარად, ა.შანიძის თვალსაზრისის მიხედვით, ჯერ უნდა გვქონოდა "ებრი" (კაცებრი). მოგვიანებით მას დაერთო -ივ სუფიქსი (კაცებრივი), შემდეგ კი "ებრივის" ანალოგიით მივიღეთ "ობრივი" (კაცობრივი).

1 უძველესი რედაქციები... გვ.122
2 ბასილი დიდი, ექუსთა დღეთად, გვ.102
3 ა. შანიძე, თხზულებანი, III, გვ.146
4 იქვე

ზემოთ მივუთითებდით, რომ -ივ სუფიქსი ფართოდ ვრცელდება შედარებით გვიან. რაც შეეხება იმავე -ივ სუფიქსის "ებრ" თანდებულზე დართვას, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაშიც, ძველი ქართული წყაროების მიხედვით, შედარებით გვიანდელ მოვლენასთან გვაქვს საქმე. "ებრივი" ფორმა თვით IX-X სს-შიც კი იშვიათია ქართულ მწერლობაში და მის ნაცვლად გაცილებით ხშირად მხოლოდ "ებრი" გვხვდება ანდა სულაც სხვაგვარი წარმოება გვაქვს (მაგალითად, ფორმა "ბუნებრივი" მხოლოდ IX ს-იდან იჩენს თავს, მანამდე კი მის ნაცვლად ყველგან "ბუნებითი" დასტურდება. ასევე სიტყვა "გონებრივი" ადრინდელი "გონებითის" ნაცვლად გვიან შემოდის ქართულ მწერლობაში).

რაც შეეხება "ობრივ" სუფიქსს, იგი გაცილებით ადრეული ჩანს და უძველესი დროიდანვე ავლენს თავს ქართულ მწერლობაში. ამ მხრივ საყურადღებოა სწორედ სიტყვა "კაცობრივი". ზემოთ აღვნიშნავდით, რომ ა.შანიძის აზრით "კაცობრივი" გვიან არის გაჩენილი ადრინდელი "კაცებრივის" ანალოგიით. ფორმა "კაცებრივი" ძველ ქართულ მწერლობაში, ვფიქრობთ, საერთოდ არ არსებობდა. იგი არხად არ არის დადასტურებული. შესაბამისად, აზრი იმის შესახებ, რომ "ძველად ითქმოდა კაცებრივი", დასაზუსტებელი გვეჩვენება.

სიტყვა "კაცობრივი" გვხვდება ქართული ბიბლიის უძველეს ვერსიებში:

"კაცობრივ ვიტყვ უძღურებისათვის" (რომ. 6,19)

"თქუენ მიერ განვიკითხო გინა თუ კაცობრივისაგან დღისა" (I კორ. 4,3).

"განსაცდელი თქუენ არა შეგემთხვა, გარნა კაცობრივ" (I კორ. 10,13).

"დაემორჩილენით ყოველსა კაცობრივსა დაბადებულსა" (I პეტრ. 2,13).

"ფუნასა სკორისა კაცობრივისასა დაჰფლა" (ეზექ. 4,12).

"მიგეც შენ ფუნად ზროხათად სკორისა წილ კაცობრივისა" (ეზექ. 4,15).

"არცა კაცობრივთა ველთა მიერ იმსახურების" (საქ. მოც. 17,25).

ეგვე ტერმინი ილია აბულაძეს დადასტურებული აქვს სევერიანე გაბალოვნელის "მოციქულთა საკითხავში", რომელიც უძველეს პერიოდში ითარგმნა ქართულად. იგი გვხვდება, აგრეთვე, გრიგოლ ნეოკესარიელის "ხარების" III ქადაგებაში, რომელიც VI ს-ის თარგმნად მიიჩნევა.² იოანე ოქროპირის ჰომილიაში "აღსარებისათვის თომა მოციქულისა" აღნიშნული სიტყვა განმაზოგადებელი სუფიქსითაც არის წარმოდგენილი: "შენ გიცან კაცობრივებითა ჩემებრ".³ ამგვარი ("ობრივ" სუფიქსიანი) ნიმუშები, პირდაპირ რომ ვთქვათ, აურაცხელია.

ამგვარად, "კაცობრივი" უძველეს წერილობით ძეგლებში (ე.ი. იმ ძეგლებში სადაც "-ებრივი" არც ერთხელ არ დასტურდება) შეტად გავრცელებულია. აქედან გამომდინარე, დროის თვალსაზრისით "ობრივი", ვფიქრობთ, აშკარად წინ უსწრებს "ებრივ"-ს. ამიტომ მიზანშეწონილად გვეჩვენება ვიფიქროთ, რომ

1 ი.აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ.194

2 სინური პრაველთავი, გვ.22

3 იქვე გვ.175

სწორედ "ობრივ"-ის ანალოგიით იყოს მიღებული "ებრივი" და არა პირიქით.¹

თუმცა ზემოგანხილული -ივ სუფიქსიანი სიტყვები (სოფლივი, ცოცხლივი, იგურდივი, მრგულივი, ძლივი) მოგვიანებით მკვიდრდება ქართულ მწერლობაში, ის ფაქტი, რომ "-ობრივ" სუფიქსიანი "კაცობრივი" ფართოდ იყო გავრცელებული უძველეს ხანაში, გვაფიქრებინებს, რომ ამ დროისათვის -ივ სუფიქსი დამოუკიდებლადაც უნდა არსებებოდა. შესაძლოა, იგი შენახული იყოს სიტყვაში "ქურივი", როგორც ამას აღნიშნავს ა.შანიძე,² თუმცა მკვლევარისეული ეტიმოლოგია ამ სიტყვისა (ქმრ-ივი) სარწმუნოდ არ გვეჩვენება, რადგანაც ამგვარი ახსნა საკუთრივ სიტყვა "ქვივის" შინაარსს არ ესადაგება.

-ივ სუფიქსი გამოიყოფა სიტყვაში "მარტ-ივი" (მდრ. "გან-მარტ-ებული") მაგრამ წყაროების უქონლობის გამო ძნელია გადაჭრით თქმა იმისა, ეკუთვნის თუ არა სიტყვის -ივ სუფიქსიანი ფორმა ქართული მწერლობის უძველეს (V-VI) ეპოქას. უადრეს ტექსტებში "მარტივის" აზრით, ჩვეულებრივ, "განმარტებული" გვაქვს.

ქართული ბიბლიის უადრეს ვერსიებში გვხვდება სიტყვა "მაძღრივი". თითქოს მიზანშეწონილი ჩანს, რომ ეს ფორმა უძველეს პერიოდს მივაკუთვნოთ, თუმცა სათანადო ტექსტები შედარებით მოგვიანო ნუსხებშია დაცული და ამჯერადაც გადაჭრით მტკიცება აღნიშნული -ივ სუფიქსიანი სიტყვის უადრესობისა მიზანშეწონილად არ გვეჩვენება.

ამგვარად, ზემოგანხილული ნიმუშებიდან ზოგი (კაცობრივი, ქურივი, მაძღრივი, მარტივი) თითქოს გვიდასტურებს, რომ -ივ სუფიქსი ქართული მწერლობის უძველესი პერიოდისათვისაც არ ყოფილა უცხო, თუმცა ეს აზრი მაინც ვარაუდია, ხოლო რაც გარკვევით შეიძლება ითქვას, არის შემდეგი: -ივ სუფიქსი მხოლოდ გვიანდელ ხანაში მკვიდრდება ქართულ მწერლობაში. ცალკეულ შემთხვევაში მოგვიანებით ეს სუფიქსი ბატონდება კიდევ და მთლიანად დევნის ხმარებიდან არქაულ ფორმებს.

ზემოთქმულს მკვიდრად უკავშირდება ჩვენი მთავარი. საკითხი: "ღმერთ" სიტყვის შემცველ პარალელურ კომპოზიტებში რომელი ფორმაა ადრეული: "-ივ" სუფიქსიანი თუ "-ით" და "-ის" სუფიქსიანები?³

აქვე უნდა ითქვას, რომ როგორც, ჩვეულებრივ, სხვა -ივ სუფიქსიანი სიტყვები, "ღმერთ" სიტყვის შემცველი კომპოზიტების -ივ სუფიქსიანი ფორმებიც, ახევე, შედარებით მოგვიანო პერიოდს ეკუთვნის და იმავე კომპოზიტებში უფრო ადრე მხოლოდ -ით ან -ის სუფიქსიანი წარმოება უნდა გვქონოდა.

ზემოთ ჩვენ დავიმოწმეთ "პავლეთა" უადრესი ვერსია, სადაც ნაცვლად გვიანდელი ვერსიების "ცხოვლივი"-ისა გვხვდება "ცხოველი", ე.ი. ნაცვლად -ივ

1 ამგვარი დაშვება გვაფიქრებინებს, რომ არ არის გამორიცხული "ობრივ" სუფიქსის ცალკე არსებობაც (-ივ-ის გარეშე). იქნებ ამ მხრივ ყურადღება მიგვექცია "ამირანიანის" ფშავურ ვარიანტზე, სადაც გვხვდება ასეთი სტრიქონი: "კაცი გამოვა კაცობრი, წვერი არ დაეხავსოსო" (მ.ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, თბ. 1947, გვ. 317)

2 ა.შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ.1973, გვ.146.

3 ჩვენი მსჯელობა, ცხადია, ეხება მხოლოდ ისეთ კომპოზიტებს, რომლებსაც -ივ სუფიქსიანი წარმოება მოეპოვებათ. აქ არ შემოდის ისეთი ფორმები, რომლებიც შინაარსობრივად მხოლოდ -ის სუფიქსით შეიძლება იყოს წარმოებული (ღმერთისმსახური, ღმერთისმშობლი, ღმერთისმოყუარე და მისთ.). ასეთი ფორმებისათვის, ცხადია, აუცილებელია სწორედ -ის სუფიქსი.

სუფიქსისა უსუფიქსო წარმოება გვაქვს, რაც ცხადყოფს, რომ -ივ სუფიქსიანი სიტყვა, ამ შემთხვევაში, მეორეული, გვიანდელი მოვლენაა და არა თავდაპირველი.

მივუთითებდით, რომ როდესაც ა.შანიძე -ივ სუფიქსის უძველესობაზე საუბრობდა, ძველი ქართული მწერლობიდან, კერძოდ "პავლენიდან", ორ კონკრეტულ მაგალითსაც იმოწმებდა. ერთია ზემოგანხილული "ცხოვლივი", რომელიც, როგორც ვნახეთ, მხოლოდ გვიანდელი ვერსიების კუთვნილებაა (ე.ი. მისი გზით -ივ სუფიქსის უძველესობა ვერ დამტკიცდება); მეორე მაგალითია კარგად ცნობილი კომპოზიტი "ღმრთივსულიერი" (II ტიმ. 3,16). ვფიქრობთ, არც ეს მაგალითი გამოდგება "-ივ" სუფიქსის უძველესობის საჩვენებლად, რადგანაც ამ შემთხვევაშიც -ივ სუფიქსიანი ფორმა მხოლოდ გვიანდელ ვერსიებში იჩენს თავს და მას "პავლეთა" უადრეს რედაქციაში -ის სუფიქსიანი წარმოება ცვლის:

AB

CD

ყოველი წიგნი ღმრთის-
სულ და სარგებელ (II
ტიმ. 3,16)

ყოველი წიგნი ღმრთივსუ-
ლიერი და სარგებელი

ძველ ქართულ მწერლობაში ცნობილია პარალელური ფორმები: "ღმრთი-
თსწავლული" და "ღმრთივსწავლული". აღნიშნული კომპოზიტი ერთგზის
"პავლენშიც" გვხვდება, რომლის უადრესი რედაქცია სწორედ "-ით" სუფიქსიან
ფორმას წარმოგვიდგენს:

AB

CD

თქვენ ყოველნი
ღმრთითსწავლულნი ხართ
(I თეს. 4,9)

თქვენ თვთ ღმრთივსწავ-
ლულნი ხართ

ეგვევ ტერმინი დამოწმებულია, აგრეთვე, იოანეს სახარებაში (იოანე 6,45).
უნდა აღვნიშნოთ, რომ როდესაც დ.მაჭავარიანი კომპოზიტ "ღმრთივსწავ-
ლულს" ეხება, უთითებს სწორედ აღნიშნულ მუხლს. აქაც, ისევე როგორც
ზემოთ ა.შანიძის მიერ მოხმობილ მაგალითში, მკითხველს რჩება შთაბეჭდილ-
ება, თითქოს -ივ სუფიქსიანი ფორმები ქართული ბიბლიის უადრესი ვერსიის
კუთვნილებაა, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, სახარების უადრესი
ვერსიები იცნობენ ჩვენთვის საინტერესო კომპოზიტის მხოლოდ -ით სუფიქსიან
ფორმას, რომელიც გვიანდელ (ე.წ. "ექვთიმესეულ" და გიორგისეულ
რედაქციებში) -ივ სუფიქსითაა შეცვლილი:

ჯრუჭ-პარხლისა

ე.წ. "ექვთიმესეული" და
გიორგისეული

იყვნენ ყოველნი
ღმრთითსწავლულ

იყვნენ ყოველნი ღმრთივ
სწავლულ

ზემოწარმოდგენილი ნიმუშები, ვფიქრობთ, ცხადყოფს, რომ -ივ სუფიქსი ზემოაღნიშნულ კომპოზიტებში ქართულ მწერლობაში მოგვიანებით მკვიდრდება. ადრეული ხანის პარალელურ ფორმებში მას ეფარდება სუფიქსები -ის (ღმრთისსულ, სოფლისხანი), -ით (ღმრთითსწავლული) ანდა სულაც უსუფიქსო წარმოება გვაქვს (ცხოველი). ამასვე გვიდასტურებს სხვა ტექსტებიც.

აღვნიშნავდით, რომ კომპოზიტი "ღმრთითსწავლული" გვხვდება იოანეს სახარებისა და "პავლეთა" უადრეს თარგმანებში, რასაც გვიანდელ ტექსტებში -ივ სუფიქსიანი წარმოება ცვლის. ეგევე ტერმინი წარმოდგენილია "ფილექტიმონის წამებაში":

"რამეთუ მოპოვნებულთა ამათ და ღმრთითსწავლულთა გუბულან ეშმაკნი"¹

ციტირებული თარგმანი სპეციალურად შეისწავლა ი.აბულაძემ. მკვლევარის დასკვნით, თხზულებები "სახსენებელი სერგისი" და "წამებაჲ ფილექტიმონისი" ადრეული ხანისა უნდა იყვნენ, "ყოველ შემთხვევაში, VIII-IX სს-ის უწინარესი".² ა.შანიძეს ამ ძეგლში ხანმეტობის კვალიც გამოუვლენია.³

ასე რომ, "ფილექტიმონის წამება" დაახლოებით VI-VII სს-ის თარგმანს წარმოადგენს. ამასვე ცხადყოფს კომპოზიტი "ღმრთითსწავლული", სადაც სწორედ -ით სუფიქსიანი წარმოება გვაქვს.

კომპოზიტი "ღმრთითმოცემული" გვხვდება იოანე ოქროპირის ერთ ქადაგებაში, რომელიც ტბეთისა და პარხლის მრავალთავებს დაუცავთ. ისიც უძველესი თარგმანი უნდა იყოს, არაუგვიანეს VI-VII ს-ისა. სათანადო კონტექსტი ასეთია:

"მითხართ მე... ღმრთითმოცემულთაგან თქუენდა სიტყუათა"⁴

-ით სუფიქსიანი წარმოება ორგზის თავს იჩენს, აგრეთვე, "ანტონი დიდის ცხოვრების" უადრეს ვერსიაში:

"და გამოვიდა ნეტარი ანტონი რეცა თუ უძლური სწავლად მათა და ღმრთითშემოსილი"⁵ (ექვთიმესეულ რედაქციაში გვაქვს "ღმერთშემოსილი").

"ღმრთითსწავლულ ნეტრეული იგი".⁶

¹ კიმენი I, ტფ.1918, გვ.148. დამოწმებული აქვს დ.მაჭავარიანს. იხ. დასახ. შრომა, გვ.480.
² ი.აბულაძე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები, შრომები I, თბ. 1975, გვ.23.
³ იქვე
⁴ ი.აბულაძე, შრომები, III, თბ. 1982, გვ.276.
⁵ ცხორებაჲ წმიდისა ანტონისი, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვ.იმნაიშვილმა, თბ. 1970, გვ.26
⁶ ცხორებაჲ წმიდისა ანტონისი... გვ.54. შდრ. გვ.120. ეს სუფიქსი უცვლელად გადასულია ექვთიმე ათონელის მიერ რედაქტირებულ ტექსტშიც.

"ანტონის ცხოვრების" თავდაპირველი თარგმანი, როგორც აღნიშნული იყო, მიეკუთვნება ქართული მწერლობის უძველეს პერიოდს, არაუგვიანეს VI-VII სს-ისა.

აღვნიშნავდით, რომ მ.ესბროკის გამოკვლევის თანახმად, ხარებისადმი მიძღვნილი გრიგოლ ნეოკესარიელის საკითხავები დაახლოებით VI ს-ის თარგმანს წარმოადგენს. პირველი საკითხავის ბერძნულ ორიგინალში გვხვდება ტერმინი: *θεοπνευστος*, რომელიც დადასტურებულია აგრეთვე "პავლენშიც". ზემოთ ვაჩვენეთ, რომ ეს ტერმინი "პავლეთა" უადრეს ქართულ ვერსიაში თარგმნილია, როგორც "ღმრთისსულ", რასაც გვიანდელი ვერსიები ცვლიან ტერმინით "ღმრთივსულიერი". თუკი გრიგოლ ნეოკესარიელის საკითხავის ქართული თარგმანი VII-VIII სს-ზე ადრინდელია, ცხადია, მასში სწორედ "ღმრთისსული" უნდა გვქონდეს და არა გვიანდელი "ღმრთივსულიერი". მართლაც, "სინური მრავალთავის" ტექსტში ვკითხულობთ:

"მოვედით უკუ აწ, საყუარელნო და დავითისმიერსა ღმრთისსულსა საგალობელსა... უგალობდეთ (გვ.6)

δευτε τοινον και υμεις ω αγαπητοι τα εκ της του Δαβιδ θεοπνευστου κιθαρას... μελωδησωμεν
(Pg.10, col.1152)

ტერმინი "ღმრთისსული" სპეციალური დაკვირვების ღირსია:

მიუხედავად იმისა, რომ -ივ სუფიქსმა დაახლოებით VII ს-იდან პარალელურ ფორმებში თანდათანობით მთლიანად შეცვალა -ით და -ის სუფიქსები (-ივ სუფიქსის გავრცელების დროის შესახებ იხ. ქვემოთ), მაინც ადრეული წარმოება (ე.ი. "-ით" სუფიქსიანი ფორმები) გვიანდელი პერიოდისთვისაც არ ჩანს შეუძლებელი და ზოგჯერ თვით XII-XIII სს-ის თარგმანებშიც ავლენს თავს. დღეისათვისაც კი შეიძლება გამოვიყენოთ -ით სუფიქსიანი ფორმები: "ღმრთითსწავლული", "ღმრთითბოძებული" და მისთ. მეორე მხრივ, ზოგ შემთხვევაში -ივ სუფიქსი იმდენად გაქვავდა და იმდენად ბუნებრივად შეერწყა კომპოზიტს, რომ თვით ძველი ქართულისთვისაც, ალბათ, მეტად არაბუნებრივი და, ჩვენი აზრით, შეუძლებელიც ჩანს მისი სხვა სუფიქსით შენაცვლება. ეს განსაკუთრებით ითქმის ისეთ კომპოზიტებზე, როგორებიცაა, მაგალითად, "ღმრთივშუენიერი", "ღმრთივპატიოსანი", "ღმრთივსულიერი", "ღმრთივბრწყინვალე" და მისთ. როდესაც ამ კომპოზიტებში -ივ სუფიქსი დამკვიდრდა, აღნიშნულმა ფორმებმა შეიძლება ითქვას, დაკარგეს კომპოზიტის სახე და ისინი ერთ მთლიან, შერწყმულ და დაუნაწევრებელ ერთეულად მოგვევლინენ. ტერმინ "ღმრთივსულიერის" ნაცვლად "ღმრთისსული" იმდენად მოუხერხებელი და არაბუნებრივი ჩანს, რომ ეჭვი არ არის, აღნიშნული ფორმის (ე.ი. "ღმრთისსულის") შექმნის დროს (იგი თარგმანია ბერძნული *θεοπνευστος*-ისა) "ღმერთ" სიტყვის შემცველი კომპოზიტების -ივ სუფიქსიანი წარმოება ქართულ მწერლობაში ჯერ კიდევ სრულიად უცნობი უნდა ყოფილიყო.

აღნიშნულის გამო, გრიგოლ ნეოკესარიელის საკითხავში ბერძნული *θεοπνευστος*-ის შესატყვისად ტერმინ "ღმრთისსულის" არსებობა უთუოდ ცხადყოფს, რომ თარგმანის შესრულების დროს ფორმა "ღმრთივსულიერი" ქართულ მწერლობაში ჯერ კიდევ უცნობი იყო. ეს დრო V-VI სს-ს გულისხმობს.

-ით სუფიქსიანი წარმოება ერთგან გვხვდება "უძველეს იადგარშიც":

"ღმრთით-შემკობილი საუფლოდ ძელი ჯუარისა შენისაჲ... გამოგვიჩნდა ზეცით".¹

საგულისხმოა, რომ ტროპარი, რომელიც აღნიშნულ კომპოზიტს შეიცავს, წარმოადგენს ჯვართა აპყრობის საგალობლის "აქებდითსას" იმ ფენას, რომლებიც "სხუანით" აღინიშნება. გარკვეულია, რომ ძლისპირიან კანონებს, რომელიც VII ს. II ნახევარსა და VIII ს.დამდეგს უნდა ჩამოყალიბებულიყო,² წინ უძღოდა ამ კანონთა "სხუანებისაგან" შემდგარი სრული და არასრული კანონები.³ მითითებული "სხუანი" იადგარის ერთერთი უძველესი ნაწილია, დაახლოებით VI-VII სს-ისა. იქნებ ამასვე მიანიშნებდეს ზემოწარმოდგენილი კომპოზიტის -ით სუფიქსიანი წარმოება, რაც VIII-IX სს-ის თარგმანისათვის, ჩვეულებრივ, სიმპტომატური არ ჩანს (თუმცა ერთი ნიმუში საკმარისი არ არის).

ზემოთქმული ცხადია არ ნიშნავს, რომ თუკი ძეგლში -ივ სუფიქსიანი წარმოება შეგვხვდა, იგი უთუოდ გვიანდელი (ე.ი. VII-VIII სს-ის შემდეგდროინდელი) პერიოდის თარგმანია. როგორც აღვნიშნეთ, ცალკეულ კომპოზიტებში, (ღმრთივსულიერი, ღმრთივშუენიერი, ღმრთივატიოსანი და მისთ.) -ივ სუფიქსი იმდენად მკვიდრდება, შეიძლება ითქვას, ქვაკდება, რომ გვიანდელი გადამწერები ამგვარ ფორმებში აღრინდელ -ით და -ის სუფიქსებს ხშირად ცვლიან მათთვის გაცილებით ბუნებრივი -ივ სუფიქსით. ამის გამო, -ივ სუფიქსი ცხადია ზოგჯერ, შესაძლოა, არ ასახავდეს თარგმანის თავდაპირველ სახეს და გადამწერის კუთვნილება იყოს (გავიხსენოთ აღიშის ოთხთავის "სოფლივნი"). მაგალითად, როდესაც -ივ სუფიქსი საბოლოოდ ბატონდება "ღმერთ" სიტყვის შემცველ კომპოზიტებში, იგი ზოგჯერ სრულიად შეუფერებელ ადგილასაც იჩენს თავს. ასეთია თუნდაც კომპოზიტი "ღმრთისმსახური", სადაც, ცხადია, უთუოდ -ის სუფიქსიანი წარმოება უნდა გვქონდეს. (ე.ი. მისთვის პარალელური -ივ სუფიქსიანი ფორმა მოულოდნელია). უძველესი იადგარის ერთერთი ნუსხის გადამწერს ზოგადი სურათის ანალოგიით აქაც -ივ სუფიქსი გამოუყენებია: "ღმრთივმსახური".⁴ გამომცემლებმა სამართლიანად ჩაიტანეს ეს ფორმა სქოლიოში, როგორც "ღმრთისმსახურის" ერთერთი გვიანდელი სახეობა.

ამავე იადგარის ყველა უძველეს ნუსხაში (Sin. 18, Sin. 41, Sin. 34, Sin. 26) გვხვდება კომპოზიტი "ღმრთისშუენიერებაჲ":

"ღმრთისშუენიერებისა სიმდაბლისა შენისა მაღიდებელნი შენნი გიგალობთ".⁵

აღნიშნული კომპოზიტი უფრო გვიანდელი დროის Sin. 20 ხელნაწერში შეცვლილია, როგორც ღმრთივშუენიერებისა,⁶ რაც ცხადია თარგმანის თავდაპირველ ვითარებას არ ასახავს.

მსგავსი შემთხვევები ძველ ქართულ ტექსტებში საკმაოდ ხშირია. როგორც

1 უძველესი იადგარი, გვ.312
2 უძველესი იადგარი, გვ.851
3 იქვე, გვ.845
4 იხ. უძველესი იადგარი, გვ.312, შენ.16
5 იქვე, გვ.367
6 იქვე, შენ.6

მოსალოდნელი იყო, პარალელური ფორმების -ით სუფიქსიანი წარმოება ამათუიმ ტექსტის სწორედ ადრინდელ ნუსხებში გვხვდება (ტექსტის თავდაპირველ მდგომარეობასაც ის ასახავს), ხოლო მისი -ივ სუფიქსიანი ბადალი მხოლოდ მოგვიანო ხანის ხელნაწერებში იჩენს თავს და, შესაბამისად, გადამწერის მიერ არის შეტანილი.

ზემოთ აღვნიშნავდით, რომ ერთერთ უძველეს თარგმანს წარმოადგენს იოანე ოქროპირის ქადაგება "შესლვაჲ უფლისაჲ იერუსალემდ". იგი დაცულია სინური და ათონური მრავალთავებში. ტექსტში ერთგან გვხვდება კომპოზიტი "ღმრთივსწავლული",¹ რაც, ჩვენი აზრით, უთუოდ გადამწერის კუთვნილებაა. მის ნაცვლად თავდაპირველ ტექსტში -ით სუფიქსიანი წარმოება გვექნებოდა ("ღმრთითსწავლული"). ამაზე მიანიშნებს თუნდაც ის, რომ აღნიშნულ კომპოზიტს წინ უძღვის -ით სუფიქსით წარმოდგენილი ფრაზა (რომელსაც თავის მხრივ ეფუძნება აღნიშნული კომპოზიტი): "ღმრთით იყო სწავლაჲ"² (და არა "ღმრთივ იყო სწავლაჲ"). ამასვე ადასტურებს აგრეთვე ის ფაქტი, რომ იგივე კომპოზიტი მითითებულ ხელნაწერს სხვა ადგილას სწორედ -ით სუფიქსით შემოუნახავს:

"ამას ღმრთითსწავლულსა გალობასა დაწყნარებით ვიტყოდით"³

საყურადღებოა, რომ უფრო გვიანდელი დროის ათონურ მრავალთავში, უკვე იქაც კი, სადაც სინური მრავალთავის ტექსტი "-ით" სუფიქსიან წარმოებას იცავს, "-ივ" სუფიქსი გვხვდება და ზემომოტანილ წინადადებას ასეთი სახე აქვს:

"ამას ღმრთივსწავლულსა გალობას დაწყნარებით ვიტყოდით" (Ath. II, 58v).

* * *

ზემომოტანილი მაგალითები, ვფიქრობთ, აშკარად გვიჩვენებს, რომ "ღმერთ" სიტყვის შემცველ პარალელურ კომპოზიტებში, საზოგადოდ, -ივ სუფიქსი მოგვიანებით იჩენს თავს და იმავე ფორმებში მას წინ უსწრებდა -ით ან -ის სუფიქსიანი წარმოება.

"ღმერთ" სიტყვის შემცველ კომპოზიტებში, დამკვიდრების ასპექტით, უთუოდ ადრინდელია -ით სუფიქსიანი ფორმები: "ღმრთითმოცემული", "ღმრთითსწავლული", "ღმრთითშემკობილი", "ღმრთითშენებული", "ღმრთითდაცვული" და მისთ. აღვნიშნავდით, რომ ამავე კომპოზიტებში -ივ სუფიქსი ბატონდება უკვე VII-VIII სს-დან. ამგვარი დათარიღების საფუძველს გვაძლევს ძველი ქართული მწერლობის ზოგ ძეგლზე დაკვირვება. უპირველესად, ყურადღებას იქცევს იოანე საბანისძის "აბოს წამება", რომელიც, როგორც ცნობილია VIII ს-ის 80-იან წლებში დაიწერა. ამ თხზულებაში ხშირად გვხვდება ზემოაღნიშნული კომპოზიტები. უკლებლივ ყველა შემთხვევაში მაწარმოებელი სუფიქსია -ივ; მის ნაცვლად არცერთხელ არ გვხვდება -ით. აი, ეს ნიმუშები:

1 სინური მრავალთავი, გვ.145

2 იქვე

3 იქვე, გვ.143

- ღმრთივმიმადღებული,¹
- ღმრთივპატიოსანი,²
- ღმრთივშეწყნარებული,³
- ღმრთივცნობილი,⁴
- ღმრთივპატივცემული.⁵

წარმოდგენილი კომპოზიციები -ივ სუფიქსის სახით გვხვდება თხზულების შემცველ ყველა ხელნაწერში. მეტად საეჭვო იქნებოდა გვეფიქრა, რომ ისინი ყველგან გადამწერის კუთვნილებაა. თავდაპირველ ტექსტში რომ -ით სუფიქსიანი ფორმები გვქონოდა, ამგვარი რამ ერთგზის მაინც იჩენდა თავს.

ამგვარად, "აბოს წამების" მიხედვით შეიძლება ითქვას:

VIII ს-ის II ნახევრისათვის "ღმერთ" სიტყვის შემცველ პარალელურ კომპოზიციებში საბოლოოდ ყოფილა დამკვიდრებული -ივ სუფიქსი. რათქმაუნდა, ეს პროცესი გაცილებით ადრე დაიწყო.

პარალელურ კომპოზიციებში -ივ სუფიქსი დამკვიდრებული ჩანს უკვე VIII ს-ის დამდეგისათვის. ჩვენამდე მოაღწია ამ დროის ორმა ეპიგრაფიკულმა ძეგლმა. ერთი მათგანია ზემოთ უკვე აღნიშნული სტეფანოზ მამფლის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, რომელსაც აქვს თარიღი (739 წ.)⁶ წარწერაში სრულიად გარკვევით იკითხება სიტყვა "ღთვგვრგვნ...". რაც მხოლოდ ასე იშინება: "ღმრთივგვრგვნოსანი"⁷ (ქარაგმა "ღთვ" ნიშნავს "ღმრთივ", მაშინ როცა სიტყვა "ღმრთით" ქარაგმდება, როგორც "ღთით" ან "ღთთ").

უფრო ადრეულ პერიოდს ეკუთვნის არშუშა პატრიკიოსის მოსახსენებელი წარწერა. მასში იხსენიება იუსტინიანე II იმპერატორი ("ავსტინიანე მეფისა ზე"),⁸ რომლის ზეობის წლებია 685-695 და 705-711. ეს გარემოება მტკიცე საფუძველს უქმნის მკვლევარებს, 685-711 წლებით დაათარიღონ წარწერა.

შემორჩენილ ტექსტში გარკვევით იკითხება ფრაზა: "ბრძანებითა (ბძნბთა) ღმრთივდაცულისა (ღთვდცლა) მამფლისა (მფლა)".¹⁰ ქარაგმა "ღთვდცლა" მხოლოდ ასე იშინება "ღმრთივდაცულისა".

ამგვარად, მითითებული წარწერების საფუძველზე დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ "ღმერთ" სიტყვის შემცველ პარალელურ კომპოზიციებში -ივ სუფიქსი VII-VIII სს-ის მიჯნისათვის უკვე დამკვიდრებულია ქართულ მწერლობაში. საეჭვო არ არის, რომ ეს პროცესი უფრო ადრე დაიწყო. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ ზემორე პარალელური კომპოზიციების ოდენ -ით და -ის სუფიქსიანი ფორმები ქართულ მწერლობაში გავრცელებული უნდა ყოფილიყო VII ს-ის II ნახევრამდე.

1 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ. 1964, გვ.46
 2 იქვე, გვ.47
 3 იქვე
 4 იქვე, გვ.48
 5 იქვე, გვ.75
 6 გაბრამიშვილი, სტეფანოზ მამფლის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ. 1977, გვ.14
 7 იქვე, გვ.36
 8 ლაბიძარული წარწერები, I, გვ.103
 9 იქვე, გვ.101-102
 10 იქვე, გვ.103

მართლაც, ის ძეგლები, რომლებსაც პარალელურ ფორმებში ნიშანდობლივია მარტოდენ -ით და -ის სუფიქსიანი წარმოება (ნაცვლად -ივ სუფიქსისა) ქართული მწერლობის უადრეს (V-VII) პერიოდს ეკუთვნის.

* * *

ყოველივე ზემოთქმული უშუალოდ უკავშირდება "საბა განწმედლის ცხოვრების" ქართული თარგმანის დროის საკითხს. მივუთითებდით, რომ მრავალი ნიშნის მიხედვით აღნიშნული თარგმანი დაახლოებით VI-VII სს-ის მიჯნით თარიღდება. იგი ვფიქრობთ, VII ს-ის პირველ ნახევარზე გვიანდელი არ უნდა იყოს.

VI-VII სს-ის ძეგლისათვის, როგორც აღვნიშნეთ, "ღმერთ" სიტყვის შემცველ კომპოზიტებში ბუნებრივი უნდა იყოს -ით და -ის სუფიქსიანი წარმოება ნაცვლად უფრო გვიანდელი -ივ სუფიქსისა. "საბა განწმედლის ცხოვრებაში", რომელიც მეტად ვრცელი თხზულებაა, ჩვენთვის საინტერესო კომპოზიტები ხშირად გვხვდება. როგორც მოსალოდნელი იყო, ძეგლისათვის ნიშანდობლივია სწორედ -ის და -ით სუფიქსები, მაშინ როცა სხვა, უფრო გვიანდელ თარგმანებში იგივე ფორმები, ჩვეულებრივ, მხოლოდ -ივ სუფიქსით გვხვდება. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"იყო კონქი ღმრთითშენებული (θεοκτιστος)"¹

"ღმრთითქმულსა (θεοκτιστος) მას ეკლესიასა... საკურთხეველი არა დადგა"²

"მარტინოს... ღმრთისშენიერებით (θεαρεστας) აღესრულა"³

"და არს ღმრთითშენებულსა (θεοκτιστου) მას ზედა ეკლესიასა კლდს ფიცხელი"⁴

"ღმრთითშენებულსა (θεοκτιστου) მას ეკლესიასა საკურთხეველი დადგა"⁵

"ვიდრე აქამომდე ღმრთისშენიერებით (θεου αρετας) დიდსა ლავრასა ივსენების"⁶

"ღმრთითშენებულსა (θεοκτιστος) ეკლესიასა საკურთხეველი დადგა"⁷

"ღმრთითშენებულსა (θεοκτιστου) მას ეკლესიასა სატფური იყო"⁸

"მო-ვინმე-ვიდა ლავრად კაცი ღმრთითშემოსილი (θειφορος)."⁹

1 მამათა ცხოვრებანი, გვ.16

2 იქვე

3 იქვე, გვ.61

4 იქვე, გვ.66

5 იქვე, გვ.67

6 იქვე, გვ.68

7 იქვე

8 იქვე, გვ.70; აქვე გვაქვს ერთადერთი შემთხვევა იმისა, როცა აღრინდელი "ღმრთითქმული" ბრიტანული ნუსხის გადამწერს მისთვის უფრო ბუნებრივი "ღმრთიქმულით" შეუცვლია.

9 მამათა ცხოვრებანი, გვ.67. ათონურ ნუსხაში გვაქვს "ღმერთშემოსილი".

"ღმრთითშენებული (ΘΕΟΚΤΙΣΤΟΝ) იგი ეკლესიად მცირედ იყო"¹

"უბრძანა ფსალმუნებად... ღმრთითქმნულსა (ΘΕΟΚΤΙΣΤΟΝ) მას ეკლესიასა"²

"კრებად ღმრთითქმნულსა (ΘΕΟΚΤΙΣΤΟΝ) ეკლესიასა ყოდიან"³

"ნეტარმან იოანე ღმრთითშემოსილმან (ΘΕΟΦΟΡΟΥΜΕΝΟΣ) წინაწარმეტყუელა"⁴

"სახელი ერქუა პავლე, რომელი ღმრთისა შუენიერად (ΘΕΟΝ ΑΡΕΤΑΙΣ) ბრწყინვიდა"⁵

"მოძღურებასა იტყოდა კვრილეს ღმრთითშემოსილსა (ΘΕΟΦΟΡΟΣ)"⁶

"მიერჩდა ღმრთითშემოსილი (ΘΕΟΦΟΡΟΣ) საბა"⁷

"ღმრთითდაცვული (ΘΕΟΦΥΛΑΚΤΟΣ) მეფჳ ჩუენი უცალო იყო საქმითა ამით"⁸

"სენაკად მისა აღვიდოდა გზად ღმრთითშენებულისა (ΘΕΟΚΤΙΣΤΟΝ) მისგან ეკლესიისა"⁹

"იპოვა ყრმა... ღმრთითშენებულსა (ΘΕΟΚΤΙΣΤΟΝ) მას ეკლესიასა"¹⁰

"ღმრთითდაცვულმან (ΘΕΟΦΥΛΑΚΤΟΣ) მეფემან ჩუენმან წარუძღუანა იერუსალჳმდ თქუმული იგი"¹¹

ამგვარად, "საბას ცხოვრების" ქართულ ტექსტში რვაჯერ გვხვდება "ღმრთითშენებული", სამგზის - "ღმრთითქმნული", ოთხგზის - "ღმრთითშემოსილი", ორ-ორგზის კი - "ღმრთითდაცვული" და "ღმრთისშუენიერი" (ერთგზის - "ღმრთისა შუენიერი"). დამოწმებული მაგალითების სიმრავლე, ვფიქრობთ, ცხადყოფს, რომ "საბას ცხოვრება" ითარგმნა იმ დროს, როდესაც "ღმერთ" სიტყვის შემცველი კომპოზიციების -ივ სუფიქსიანი ფორმა სრულიად უცნობი იყო ქართულ მწერლობაში.

მოტანილი ნიმუშებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა კომპოზიციები "ღმრთითშემოსილი" და "ღმრთისშუენიერი". კარგად არის ცნობილი, რომ წინაათონური პერიოდის ძეგლებშიც კი ზემოაღნიშნული ფორმების ნაცვლად დამკვიდრებულია ტერმინები: "ღმერთშემოსილი" (იშვიათად "ღმრთივშემოსილი") და "ღმრთივშუენიერი", ხოლო "ღმრთითშემოსილი" და "ღმრთისშუენიერი"

1 მამათა ცხოვრებანი, გვ.75

2 იქვე

3 იქვე

4 იქვე, გვ.79. აქაც ათონურ ნუსხაში გვიანდელი "ღმერთშემოსილი" გვაქვს; ფ.496

5 იქვე

6 იქვე, გვ.95; აქაც ათონურ ნუსხაში გადამწერისეული "ღმერთშემოსილი" გვხვდება

7 იქვე, გვ.107; ამ შემთხვევაში ათონურ ნუსხასაც თარგმანის თავდაპირველი ვითარება აქვს დაცული. ამ ნუსხაშიც გვაქვს "ღმრთითშემოსილი" (ლთით შემოსილი) ფ.572

8 იქვე, გვ.112

9 იქვე, გვ.117

10 იქვე

11 იქვე, გვ.124. ათონურ ნუსხაში თავდაპირველი "ღმრთითდაცვული" შეცვლილია გვიანდელი "ღმრთივდაცვული"-თ (ლთვდაცვულმან) ფ.624

უადრესი ტექსტებისთვისაა ნიშანდობლივი.

გარდა "საბას ცხოვრებისა", "ღმრთითშემოსილი" გვხვდება გრიგოლ ნეოკესარიელის ზემომითითებული საკითხავებიდან მესამე ქადაგებაში, რომელიც, როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, დაახლოებით VI ს-ის თარგმანია. მივუთითებდით, რომ ამავე ავტორის პირველ საკითხავში გვხვდება არქაული "ღმრთისსული", რომელიც წინასახეა მოგვიანო პერიოდის "ღმრთივსულიერისა". თარგმანის სიძველეს ცხადყოფს, აგრეთვე, ხსენებული "ღმრთითშემოსილი"

"მოსთულებად ვისწრაფოთ ღმრთითშემოსილთა მითხრობათა"¹

აღნიშნული ტერმინი "-ის" სუფიქსით გვხვდება პეტრე იერუსალიმელის ქადაგებაში "შობისათვის", რომელიც ზემოთ განვიხილეთ. აღნიშნული იყო, რომ ეს საკითხავიც ერთერთი აღრინდელი თარგმანია, დაახლოებით VI-VII სს-ისა.

"ერთითა სიტყვთა ქალწული იგი ღმრთისშემოსილად გამოაჩინა"²

"ღმრთისშემოსილი" ისეთივე არქაული სახეა "ღმერთშემოსილისა" (ანდა "ღმრთივშემოსილისა"), როგორც "ღმრთითშემოსილი".

ეგვევ ტერმინი გვხვდება გრიგოლ ნეოკესარიელის აღნიშნული საკითხავებიდან პირველში:

"კრებული იგი ღმრთისშემოსილთად (ο χριστος των θεοφορων)."³

ტერმინი "ღმრთისშუენიერი" ნაცვლად "ღმრთივშუენიერისა" სამ ადგილას გვხვდება "უძველეს იადგარში".

"მოციქულთა და მოწამეთა ქრისტედსთა... გალობითა ღმრთისშუენიერებისადთა ამაღლებდით"⁴

"ღმრთისშუენიერებისა სიმდაბლისა შენისა მადიდებელნი შენნი გიგალობთ"⁵ (როგორც აღვნიშნეთ, "უძველესი იადგარის" გვიანდელ, 957 წლის ნუსხაში (Sin.20) ნაცვლად "ღმრთისშუენიერებისა" გვაქვს "ღმრთივშუენიერებისა").⁶

"გალობითა ღმრთისშუენიერებისადთა ამას დაუცხრომელად ვადიდებთ"⁷ (ეს ფრაზა რეფრენად გასდევს მომდევნო ორ ტროპარს).

1 სინური მრავალთავი, გვ.18

2 ი.აბულაძე, შრომები, III, გვ.309

3 სინური მრავალთავი, გვ.5. ბერძნ. ტექსტი Pg.10, col.1149

4 უძველესი იადგარი, გვ.112

5 იქვე, გვ.366

6 იხ. იქვე, შენ.6

7 იქვე, გვ.394

საზოგადოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ იადგარის ჩვენამდე მოღწეულ ტექსტს, ჩვეულებრივ, -ივ სუფიქსიანი წარმოება ახასიათებს. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"ღმრთივსწაკლულნი დადადებდეს დავითისსა ახალსა გალობასა"¹

"რომელმან მთასა წმიდასა ღმრთივშუენიერებით ბრწყინვალე ხატი იცვალა"²

"ძლევისა გალობასა დიდების-მეტყუელებენ ღმრთივშემოსილისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისა, ქრისტე, და სინარულით თაყუანის-სცემს კრებული მორწმუნეთად ღმრთივბრწყინვალესა ხილვასა"³

"მოაქუნდა დიდებით გუამი შენი დადებად ღმრთივგამოჩინებულსა საფლავსა"⁴

"აუარებდეს ღმრთივგანუყოფელთა მადლთა მისთა"⁵

"ღმრთივშუენიერი, უფროდს მზისთუალისა, ნათელი"⁶

"თაყუანის-სცემს კრებული მორწმუნეთად ღმრთივბრწყინვალესა ხილვასა მისსა"⁷

"ღმრთივგამობრწყინებულნო მოციქულნო, ყოველი საცთური კერპთად დასთრგუნეთ"⁸

"ღმრთივგამორჩეულნო ქადაგნო... ევედრენით ქრისტესა"⁹

"ყრმანი ებრაელთანი... ღმრთივსწაკლულნი დადადებდეს"¹⁰

"ღმრთივშუენიერისა შენისა ადგომისათვის სინარული ისწავეს... მოციქულთა"¹¹

"ღმრთივბრწყინვალესა... ადგომასა ქებით აღვასრულებდეთ"¹²

"ყოველნი ღმრთივშუენიერსა გალობასა ვიტყოდეთ"¹³

"დედანი ნელსაცხებელითა ღმრთივშემოსილნი... მიიწივნეს საფლავად"¹⁴

"ღმრთივსულიერთა ებნითა... სიტყვა-უგო"¹⁵

"ღმრთივსულიერად წერილნი მოსე გულისწყრომით შემუსრნა"¹⁶

1	უძველესი იადგარი, გვ.175
2	იქვე, გვ.264
3	იქვე, გვ.237
4	იქვე, გვ.273
5	იქვე, გვ.299
6	იქვე, გვ.308
7	იქვე, გვ.312
8	იქვე, გვ.339
9	იქვე, გვ.340
10	იქვე, გვ.345
11	იქვე, გვ.423
12	იქვე, გვ.440
13	იქვე, გვ.511
14	იქვე, გვ.545
15	იქვე, გვ.549
16	იქვე

"... ფიცარნი ღმრთივწერილნი"¹

ძნელია გადაჭრით თქმა იმისა, აღნიშნული ფორმები გადამწერის კუთვნილებაა თუ თავდაპირველი ტექსტისა. თუკი -ივ სუფიქსიანი კომპოზიციები პირველთარგმანებიდან მოდის, მაშინ იადგარის ის ნაწილები, სადაც აღნიშნული ტერმინები გვხვდება, ჩვენი აზრით, VII ს-ის II ნახევარზე ადრეული არ შეიძლება იყოს.

კომპოზიტი "ღმრთისშუენიერი" გვხვდება, აგრეთვე, ათანასე ალექსანდრიელის საშობაო საკითხავში. "სინური მრავალთავის" ტექსტი ასეთი სახისაა:

"ღმერთმან ღმერთი ღმრთისშუენიერად შვა" (სინ.მრავ., გვ.38) (შდრ. *θεος θεον θεοπρεπας ευενησεν*, Pg.26 col.394).

ეგვევ საკითხავი დაცულია ტბეთის მრავალთავშიც (X ს.), სადაც, ასევე, "ღმრთისშუენიერი" გვაქვს. საგულისხმოა, რომ უფრო გვიანდელი დროის პარხლის მრავალთავში (XI ს.) აღნიშნული ტერმინი "-ივ" სუფიქსიანი ფორმით არის შეცვლილი ("ღმრთივშუენიერი"). ი.აბულაძეს მისეული გამოცემის ძირითად ტექსტში შეტანილი აქვს "ღმრთივშუენიერი", ხოლო სქოლიოში მითითებულია ტბეთის "მრავალთავის" წაკითხვა.² რადგანაც ტბეთისა და სინის მრავალთავები წინ უსწრებს პარხლის მრავალთავს, ვფიქრობთ, თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო სწორედ "ღმრთისშუენიერი", ხოლო მისი -ივ სუფიქსიანი ბადალი გადამწერს უნდა ეკუთვნოდეს. ამ შემთხვევაშიც -ივ სუფიქსიანი კომპოზიტის გვიანდელობა სრულიად აშკარაა.

* * *

ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობთ, საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ "საბას ცხოვრების" ქართული თარგმანი, სადაც ჩვენთვის საინტერესო ტერმინებში ცხრამეტჯერ გვხვდება -ით და -ის სუფიქსიანი ფორმები, ალბათ, წინ უნდა უსწრებდეს VII ს-ის II ნახევარს, რა დროიდანაც -ივ სუფიქსიანი ფორმები მტკიცედ იკიდებენ ფეხს ქართულ მწერლობაში, ე.ი. ეს თარგმანი VI ს-ის მიწურულისა ანდა VII ს-ის დამდეგისა უნდა იყოს.

* * *

დავუბრუნდეთ საკვლევ საკითხს:

ზემოთ მივუთითებდით, რომ ამ პერიოდის (VI-VII სს.) ძეგლებისათვის დამახასიათებელია ტერმინი "მართლმადიდებლობის" მარტივი წინასახე "მართლ-დიდებაჲ". რადგანაც "მართლმადიდებლობაჲ" ერთადერთი ფორმა ჩანს უკვე VIII ს-იდან მოკიდებული, ვივარაუდებთ, რომ ადრინდელი "მართლდიდების"

1 უძველესი იადგარი, გვ.549

2 ი.აბულაძე, შრომები, III, გვ.288

გაქრობა და მისი "მართლმადიდებლობით" შენაცვლება VII ს-იდან უნდა დაწვებულებულიყო. "საბას ცხოვრება" ამ მხრივ საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც ამ ძეგლის ჩვენამდე მოღწეულ ტექსტში გვხვდება როგორც "მართლდიდებად", ისე "მართლმადიდებლობად". შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი მერყეობა ახასიათებდა თვით თარგმანს და ამ ნიშნით "საბას ცხოვრების" ქართული ტექსტი მიგვეკუთვნებინა VII ს-ის დამდეგისათვის, როდესაც ძველი ფორმა "მართლდიდებად" ჯერ კიდევ არ არის მივიწყებული და არც ახალ "მართლმადიდებლობას" მოუკიდებია საბოლოოდ ფეხი. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ვარაუდი არცთუ შეუძლებელია, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ "საბას ცხოვრების" ქართული თარგმანის თავდაპირველ ტექსტში მხოლოდ "მართლდიდებად" გვექნებოდა, რომელიც ცალკეულ შემთხვევებში გვიანდელ გადამწერთა მიერ შეიცვალა, როგორც "მართლმადიდებლობად". ჩვენი აზრით, IX-X სს-ის გადამწერთათვის "მართლდიდებად" მეტად უჩვეულო ტერმინი უნდა ყოფილიყო. ამაზე მიანიშნებს თუნდაც ის, რომ ერთგან ბრიტანული ნუსხის "მართლდიდებად" ათონურში შეცვლილია, როგორც "მართლმადიდებლობად".

საბა - მართლდიდებისა
(ათონ. "მართლმადიდებლობისა" ფ.553) თანამზრახვი¹

Σαβας... ο της ορθοδοξίας συνηγορος (დასახ. გამოც. p.321)

საეჭვო არ არის, რომ ათონური ნუსხის წაკითხვა გვიანდელი დროისაა და გადამწერს ეკუთვნის. საგულისხმოა აღნიშნოს, რომ მეორე შემთხვევაში ბრიტანულთან ერთად ათონური ტექსტიც არქაულ ვითარებას იცავს:

სუკადს ლავრისა კრებული მრავალ წელ კეთილად და მართლდიდებით განეგო²

την του Σουκα συνοδιαν το τηνικαυτα καλως και ορθοδοξως κυβερνουτα (Vita Sabae, p.371)

ამგვარად, სხვა მომენტებთან ერთად, ის ფაქტიც, რომ "საბას ცხოვრებაში" ორგზის გვხვდება ტერმინი "მართლმადიდებლობის" არქაული სახე "მართლდიდებად", აღნიშნული თარგმანის თარიღად VI-VII სს-ის მიჯნას გვაფიქრებინებს.

* * *

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბერძნული *ορθοδοξια* ქართულ მწერლობაში დაახლოებით VI-VII სს-მდე ითარგმნებოდა, როგორც "მართლდიდებად", ხოლო VII ს-იდან თანდათანობით ვრცელდება და საბოლოოდ მკვიდრდება ტერმინული ფორმა "მართლმადიდებლობად".

1 მამათა ცხოვრებანი, გვ.100
2 იქვე, გვ.123

II. ბერძნულ ტერმინთა შესატყვისები სემპრიანე ბაბალოვნელის "ეჟუსთა ღღეთას" ქართულ თარგმანში.

აღნიშნული ძეგლი ამ მხრივაც დიდ თავისებურებასა და არქაულობას იჩენს. ორიგინალში სამგზის გვხვდება ტერმინი *ορθοδοξια*. იგი თარგმნილია შემდეგნაირად:

სიმართლისა მას შჯულსა
სარწმუნოებით შეუდგეთ
(104)

*ορθοδοξον πιστιν μετ-
αδιωκειν* (col.456)

შჯულისა მის მართლისა
სარწმუნოებაჲ ნათელსა გა-
მოაბრწყინვებს (129)

*της ορθοδοξου πιστεως
την ακτινα λαμπουσαν...*
(col.465)

განემზადების (სამოთხე) მა-
მათმთავართა... რჩულმარ-
თალ ღმრთისმსახურთა, შე-
ყოფილთა ყოველთავე სარ-
წმუნოებისათა (168)

*ητοιμαζετο πατριαρχαις...
ορθοδοξοις ευσεβως πο-
λιτευομενοις πασι τοις δι-
καιοις* (col.478)

როგორც ვხედავთ, *ορθοδοξια* თარგმნილია, როგორც "სიმართლმ შჯულისაჲ", "შჯული მართალი" და "რჩულმართალი". მათგან პირველი ორი, როგორც ჩანს, *ορθοδοξια*-ს უნდა გულისხმობდეს, ხოლო "რჩულმართალი" - საკუთრივ *ορθοδοξια*-ს.

აღნიშნული თარგმანი დღეისათვის ერთადერთი ძეგლია, სადაც *ορθοδοξια* და *ορθοδοξια*-ს შინაარსით გვხვდება "სიმართლე შჯულისაჲ" (ან "შჯული მართალი") და "რჩულმართალი". მითითებულ ტერმინებში სიტყვები "მართალი" და "სიმართლმ", ცხადია, ბერძნულ *ορθος*-ს გამოსცემს (ამავე თხზულებაში, ისევე, როგორც სხვა თარგმანებში, სიტყვა *ορθος* დამოუკიდებლად სწორედ ასეა თარგმნილი), ხოლო "შჯული" ან "რჩული" შეესატყვისება "-*δοξια*"-ს ანუ "*δοξα*"-ს.

ზემომოტანილ ციტატებში *ορθοδοξια* დედა ანუ საყოველთაო ეკლესიის აღმნიშვნელია, ე.ი. მას სპეციფურად ეკლესიოლოგიური შინაარსი აქვს. აღნიშნულ მომენტს ხაზს ვუსვამთ იმის გამო, რომ, როგორც მივუთითეთ, ზოგადი აზრით, კერძოდ ანტიკურ მწერლობაში, ეს ტერმინი შეიძლებოდა გააზრებულიყო, როგორც "მართებული თვალსაზრისი", ქრისტიანობაში კი მან სპეციფურად ხარწმუნოებრივი შინაარსი შეიძინა, რაც გამოიხატა იმით, რომ კომპოზიციის მეორე ნაწილი *δοξα* უკვე გულისხმობდა არა "თვალსაზრისს" "შეხედულებას", არამედ გამოცხადებით მიღებულ "მრწამსს", რომელსაც ფლობენ ჭეშმარიტი ქრისტიანები. "მართებული თვალსაზრისი" მოასწავებს უფრო განსჯას, ლოგიკურ აზროვნებას, მაშინ როცა "მართლმადიდებლობა" გამოხატავს ხარწმუნოებრივ, ეკლესიურ განცდას, გამოცხადებითი რწმენის ხაფუძველზე ღვთის ჭეშმარიტ დიდებას.

მოტიანილი ციტატებიდან პირველ ორში *ορθοδοξία* უკავშირდება "რწმენას" (*πίστις*): *η ορθοδοξία πίστις*. ეს ფრაზა უაღრესად გავრცელებულია ქრისტიანულ მწერლობაში. ზემოთ დამოწმებული გვექონდა ნიმუშები "უძველესი იადგარიდან", სადაც აღნიშნული ფრაზის შესატყვისად ყველგან გვხვდება "მართლმადიდებლობისა სარწმუნოებად" (იხ. ზემოთ).¹ ამავე სურათს გვიჩვენებს ძველი ქართული მწერლობის ყველა ჩვენთვის ხელმისაწვდომი ძეგლი (გელათურ სკოლაში, როგორც აღვნიშნეთ, ზოგჯერ თავს იჩენს ახალი შესატყვისი "მართლმთნებლობად"). შეიძლება ითქვას, რომ სხვაგვარად არც იყო მოსალოდნელი. მას შემდეგ, რაც ქართულ მწერლობაში დამკვიდრდა ტერმინი "მართლმადიდებლობად", მისი შეცვლა აღარავის ხელეწიფებოდა, რადგანაც, ჯერ ერთი, ეს ტერმინი ზედმიწევნით ესადაგებოდა ბერძნული *ορθοδοξία*-ს ქრისტიანულ შინაარსს, და მეორეც, როგორც ცნობილია, VII ს-ის დამდეგიდან იგი უკვე საბოლოოდ გახდა ქართული ეკლესიის ჭეშმარიტი მდგომარეობის გამომხატველი. მართლმადიდებლობისადმი ერთგულებაში ქართველი მოღვაწეები თვით ბიზანტიასაც ეცილებოდნენ. საგულისხმოა გიორგი მთაწმიდლის პასუხი ანტიოქიის პატრიარქისადმი: "იყო ჟამი, რომელ ყოველსა საბერძნეთსა შინა მართლმადიდებლობად არა იპოებოდა და იოვანე გუთელ ეპისკოპოსი მცხეთას იკურთხა ეპისკოპოსად".² ქართველი მწერლები უდიდესი სიფრთხილით ეკიდებოდნენ სათარგმნ ძეგლებს, არჩევდნენ მათ, რათა თავიდან აეცილებინათ მართლმადიდებლობისაგან ცოტად თუ ბევრად დაშორებული თხზულების თარგმნა. კარგად არის ცნობილი, რომ ეფრემ მცირემ ფსალმუნთა კომენტარების თარგმნისას გვერდი აუარა ისეთ დიდ ავტორიტეტს, როგორც იყო თეოდორიტე კვირელი. თვითვე განუმარტავს მკითხველს: "გარნა მე... ვერცა თევდორიტესსა მას თარგმანსა დავითისასა ველი შევყავ მცირედისა მისთვის სიტყვსგებისა, რომელი იქმნა რეცა წინააღდგომით შორის მისსა და წმიდისა კვრილესსა, რომელი-იგი... თევდორიტეს მიერვე შეიჩუენნეს... და თევდორიტე ყოვლისავე ბერძენთა ნათესავისა მიერ მამად მართლმადიდებლობისა შერაცხილ არს... და ყოვლით-კერძო თანაშემწე მართლმადიდებელთა; გარნა მე ეგრეთცა ვპრიდევე... რაოდენი ოდენ მეპოვა მართლმადიდებელთა მამათაჲ, თვნიერ თევდორიტესსა, არცა ერთი სხუაჲ დამიგდია".³

ტერმინები "სიმართლედ შჯულისაჲ" და "შჯული მართალი" ტერმინ "მართლმადიდებლობასთან" შედარებით გაცილებით არქაულ სახეს გვიჩვენებს. უფრო მეტიც, ისინი ჯერ კიდევ არ ქცეულან ტერმინებად. ბერძნული კომპოზიტი თარგმნილია ორი დამოუკიდებელი სიტყვით, რომლებიც ერთმანეთთან შერწყმული არ არის. ამგვარი დანაწევრებული თარგმანი ჩვეულებრივ სიძველის ნიშანია. შეუძლებლად მიგვაჩნია ვიფიქროთ, რომ სევერიანეს თხზულების თარგმნის დროს უკვე არსებობდა ტერმინი "მართლმადიდებლობად" ანდა "მართლდიდებად" და რომელიმე ქართველმა ავტორმა საეკლესიო ტრადიციის აღმნიშვნელად შექმნა სხვა, გაცილებით მოუხერხებელი შესატყვისი.

ზემოთ მივუთითებდით, რომ ასეთსავე თავისებურებას იჩენს სევერიანეს თხზულების ქართული თარგმანი ისეთი უძირითადესი ტერმინების მიმართ,

1 აღნიშნული ფრაზა ქართულად ხშირად შემოკლებითაც ითარგმნება, როგორც "მართლსარწმუნოებად"
 2 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ. 1967, გვ.154
 3 ძველი საქართველო, III, ტფ. 1913-1914, გვ.247

როგორებიცაა *ουσια* და *μονογενης*. პირველი მათგანი მის მიერ გადმოღებულია, როგორც "საუნჯე", ხოლო მეორე - "მხოლოდყოფილი". ეს ტერმინები დადასტურდა სხვა უძველეს თარგმანებშიც, რამაც შესაძლებლობა მოგვცა გამოგვეტანა დასკვნა, რომ მთარგმნელი თვით კი არ ქმნის მათ, არამედ წინარე ტრადიციას აგრძელებს ანუ ასახავს მის დროინდელ ზოგად ტერმინოლოგიურ სურათს.

ამჯერად უფრო რთულ ვითარებასთან გვაქვს საქმე, რადგანაც *ορθοδοξια*-სა და *ορθοδοξος*-ს შესატყვისად სხვა ძეგლებში, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არსად გვხვდება "სიმართლს შჯულისაჲ", "შჯული მართალი" ან "რჩულმართალი". ასე რომ, ამ შემთხვევაში პარალელურ ტექსტებს ვერ დავიმოწმებთ.

მაინც, ქართულ თარგმანზე დაკვირვება, ვფიქრობთ, გვადლევს საფუძველს იმის სათქმელად, რომ ამჯერადაც მთარგმნელი უკვე არსებულ ტერმინოლოგიას ეყრდნობა, ე.ი. თვით არ ქმნის მათ. ეს გარემოება მნიშვნელოვანია, რადგანაც თუკი მთარგმნელი ტრადიციით ნაკარნახევ ტერმინებს იყენებს, მაშინ, ცხადია, ეს ეპოქა წინ უნდა უსწრებდეს ჩვენთვის ცნობილ ტრადიციას, რომლის მიხედვითაც, დაახლოებით VI-VII სს.-დან დღემდე ბერძნული *ορθοδοξια* ითარგმნებოდა, როგორც "მართლიადდიდებაჲ", "მართლდიდებაჲ", "მართლმადიდებლობაჲ".

საიდან ჩანს, რომ მთარგმნელი აქაც არსებულ ტრადიციას ეყრდნობა? ტერმინები "სიმართლს შჯულისაჲ", "შჯული მართალი" და "შჯულმართალი" ჩვენთვის ცნობილ "მართლმადიდებლობას" და "მართლდიდებას" იმით ეთანხმება, რომ ყველა მათგანში *ορθος* თარგმნილია, როგორც "მართალი" (ან "სიმართლს"). განსხვავება თავს იჩენს ბერძნული კომპოზიციის მეორე წევრის "-*δοξια*"-ს ანუ "*δοξα*"-ს თარგმნის დროს. პირველ შემთხვევაში მას შეესატყვისება "შჯული", ხოლო მეორე შემთხვევაში "მადიდებლობაჲ", ან "დიდებაჲ".

ბერძნული ტერმინი *δοξα* დამოუკიდებლადაც და სხვადასხვა კომპოზიციებში, აგრეთვე, ზედსართავის სახით (*ενδοξος*) თუ ზმნური ფორმით (*δοξαζω*) ძალიან ხშირად გვხვდება სევერიანეს შრომის ორიგინალში. თუკი ამ შრომის ქართველი მთარგმნელი თვითვეა *ορθοδοξια/ορθοδοξος*-ს შესატყვისად მის მიერ გამოყენებული ტერმინების ("სიმართლე შჯულისა", "შჯული მართალი", "შჯულმართალი") შემქმნელი, სადაც, სამივე შემთხვევაში ბერძნული კომპოზიციის მეორე ნაწილი *-δοξια* ანუ *δοξα* "შჯულად" არის გაგებული, მაშინ მოსალოდნელი იქნებოდა, რომ სხვა შემთხვევებშიც, თუნდაც ერთხელ მაინც, ბერძნული *δοξα* ასევე "შჯულად" ყოფილიყო თარგმნილი მის მიერ. ქვემოთ წარმოვადგენთ სათანადო ნიმუშებს:

მოვიდეს ძე კაცისაჲ დიდებითა მისითა (24-25)

ελθη ο Υιος του ανθρωπου εν τη δοξη (col.437)

ნაწილად შეირთავს მოხეს დიდებასა თანა (37)

μεριζεται μετα Μωυσεως την δοξαν (col.440)

აღევსო ღმერთსა პირი მისი დიდებითა (37)

πληροι αυτου ο θεος δοξης το προσωπον (col.440)

საშარავანდოდა დიდებისა
შემდგომად უნდა სიტყვ-
საცა სამღვდლოდა შე-
რთვად (57)

აჩუენებს უკუე წინაწარ-
მეტყუელსა ზეცისა დიდე-
ბასა (59)

ჯერ-იყო შეძინებად დიდე-
ბად (63)

და სადა არს დიდება?
(64)

და სახლი იგი სავსე იყო
დიდებითა (64)

დიდება გარდაცვალა (65)

ვიდრე ვდა დიდება იგი
ბაგინისად? (65)

ქრისტესი არს დიდება
(67)

იხილა დიდება მისი (68)

მოვიდეს დიდებითა თვისი-
თა (88)

დაჰკსნი... განუყოფელსა დი-
დებასა (144)

რომლისად არს დიდება
(146)

დავიდუმეთ სულისა წმი-
დისა დიდება (150)

ერთ არს დიდება (150)

დიდებითა შემკულ იყვნეს
(181)

*μετα της αλλης της βασ-
ιλικης δοξης ηθελησε και
ιερωσυνην ενδυσασθαι*
(col.444)

*δεικνυσι τω προφητη την
ουρανιον δοξαν* (col.444)

δεον προστεθηναι δοξαν
(col.445)

και που η δοξα; (col.446)

*και πληρης της δοξης ο
οικος αυτου* (col.446)

η δοξα μετετεθη (col.446)

*που απηλθεν η δοξα η
εν τω ναω;* (col.446)

Χριστου ην η δοξα
(col.446)

ειδεν την δοξαν αυτου
(452)

ελθη... τη δοξη αυτου
(col.452)

*κατατεμνεις... αμεριστον
δοξαν* (col.470)

αυτω η δοξα (col.471)

*εσιωπησαν δε του αγιου
Πνευματος την δοξαν*
(col.472)

μια δοξα (col.471)

δοξαν εστολισμενοι
(col.483)

არა შეახებდა დიდებად იგი ვნებად ¹ შიშუელთა მათ (181)	<i>ου συνεχωρει η δοξα βλεπεσθαι τα γυμνα (col.483)</i>
დიდებათა შემკულ იყო (183)	<i>δοξαν ημφιεσμενος (col.483)</i>
შეგუმოსა ჩუენ დიდებად (183)	<i>τω ενδυσαντι ημας δοξαν (col.483)</i>
დიდებად ქრისტე იესუდს მიერ (183)	<i>δοξαν την εν Χριστω (col.484)</i>
რომლისად არს დიდებად (183)	<i>τω Πατρι η δοξα (col.484)</i>
მრავალსა დიდსა და დიდ- ებულსა იტყოდეს (2)	<i>πολλα και μεγαλα και, ενδοξα ειρηκοτες (col.430)</i>
ჩანს, მოსე რომლისაგან იდიდა (37)	<i>φαινεται και Μωυσης εξ ων εδοξασθη (col.440)</i>
პირი მისი დიდებული (37)	<i>οψις δεδοξασμενη (col.440)</i>
რად დიდებულ-ყო? (38)	<i>διατι δοξαζεται; (col.440)</i>
სარწმუნოებით დიდებად (60)	<i>πιστει δοξαζειν (col.445)</i>
სამეუფოდათა დიდებითა (65)	<i>την βασιλικην δοξολο- γιαν (col.446)</i>
მათგან დიდებულ (144)	<i>παρ' αυτων δοξαζομενα (col.470)</i>
მამასა ვადიდებდეთ (146)	<i>τον Πατερα δοξαζοντες (472)</i>
სახუფეველისათვის დიდებუ- ლისა აღიმაღლებენ (172)	<i>κατα της βασιλειας της δεδοξασμενης επαιρομε- νοι (col.480)</i>
ღმერთმან ესე ადიდა	<i>τουτο ο θεος εδοξασεν (col.481)</i>

¹ საფიქრელია, რომ ორიგინალის თავდაპირველ ტექსტში იყო არა *βλεπεσθαι* (ცქერა), არამედ *βλαπτεσθαι* (ვნება)

წარმოდგენილი ნიმუშების საფუძველზე უეჭვოდ შეიძლება ითქვას, რომ სევერიანეს თხზულების მთარგმნელი ბერძნულ **δοξα**-ს ყველგან აღიქვამს, როგორც "დიდება".¹ საგულისხმოა, რომ ერთ შემთხვევაში ბერძნული **δοξα** ორიგინალში სწორედ "თვალსაზრისს", "შეხედულებას" ნიშნავს და არა "დიდებას", მაგრამ ქართულ თარგმანში მაინც ეს უკანასკნელი შეესატყვისება მას:

კაცთაგან არს წვალება,
მათგან დიდებულ (144)

*ανθρωπων εστιν ευρεμα
τα παρ' αυτων δοξαζο-
μενα (col.470)*

აღნიშნულ ადგილას საუბარია იმის შესახებ, რომ სხვადასხვა ერისის წყარო არის არა ღმერთი, არამედ ისინი აღმოცენებულია ადამიანთა მიერ მოგონებული თვალსაზრისების საფუძველზე. მოტანილი ციტატა ლათინურად ასეა თარგმნილი: *hominum inventum esse illorum opiniones* (opinio-თვალსაზრისი, შეხედულება). დაახლოებით ასეთივეა ფრანგული თარგმანიც: *ces doctrines diverses etaient une invention des hommes*.² მათგან განსხვავებით, ქართული თარგმანი ამჯერადაც "დიდებას" უფარდებს ბერძნულ ტერმინს.

ამგვარად, თუკი მთარგმნელი ბერძნულ **δοξα**-ს აღიქვამდა, როგორც "შჯულს" (რაც, ჩვეულებრივ, გამოსცემს ბერძნ. *νομος* ან *δουγμα*-ს), მაშინ ხსენებული ბერძნული სიტყვის ამგვარი გააზრება ქართულ ტექსტში სადმე ერთხელ მაინც იჩენდა თავს.

აღნიშნულის საფუძველზე, ვფიქრობთ, რომ ტერმინები "სიმართლმშჯულისაჲ", "მართალი შჯული" და "რჩულმართალი", რომლებიც გადმოსცემენ ბერძნულ *ορθοδοξια*-სა და *ορθοδοξος*-ს (და სადაც ქართული ტერმინების "შჯული", "რჩული" **δοξα**-ს შეესატყვისება), არ უნდა იყოს შექმნილი სევერიანეს თხზულების ქართველი მთარგმნელის მიერ. ვფიქრობთ, ამ ტერმინებთან დაკავშირებითაც იგი მის დროინდელ ზოგად ვითარებას ასახავს ანუ მიჰყვება წინარე ტრადიციას, რომელიც, ჩვენი აზრით, შეუძლებელია V-ს-ის შემდეგ არსებულიყო.

1 თითქოს გამოჩაღისია ერთი შემთხვევა, სადაც **δοξα**-ს ქართულ თარგმანში "პატივი" შეესატყვისება: "ვერ ესწორებიან პატივსა ქრისტესსა" (144) *παραχαρουνται τη δοξη του Χριστου* (col.470). საქმე ისაა, რომ "პატივი" არის ცნობილი სინონიმი "დიდებასა". იაბულაძე განმარტავს: "პატივი - დიდება" (იხ. "ძვ. ქართ. ენის ლექს." გვ.337)

2 *Oeuvres Completes de St. Jean Chrysostome, trad. par J.Bareille, t.XI, Paris 1868, p.196*

ΚΑΝΩΝ

I. ტერმინის კველი ქართული შესატყვისები:

ბერძნული ტერმინი "კანონი" (*ο κανων*) ქართულ მწერლობაში მეტად გავრცელებულია. იგი უძველეს დროში შემოვიდა და დამკვიდრდა ჩვენს ენაში, მოგვიანებით კი მრავალრიცხოვანი კომპოზიტების შემადგენელი ნაწილი გახდა. ტერმინი "კანონი" ნიშნავს "წესს", "ნიმუშს" "ნორმას", "განაწესს". ძველ ქართულ ტექსტებში მის სინონიმად გვევლინება უპირველესად "წესი", აგრეთვე, "განჩინებად", "განწესებად", "საზღვარი", "განსაზღვრებად", "განგებად", "სახე" და მისთ.¹

უძველეს თარგმანებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ "კანონი" ქართული ქრისტიანული მწერლობის უდასაბამიერეს ეპოქას არ ეკუთვნის. იგი თუმცა უძველესი, მაგრამ მაინც შედარებით გვიანდელი შენაძენია ქართული ენისა. ამას გვაფიქრებინებს, უპირველესად, ის გარემოება, რომ ბიბლიის უადრეს ვერსიებში ხსენებული ტერმინი არცერთხელ არ გვხვდება. ბერძნული *ο κανων* ყველგან გადმოცემულია სიტყვით "წესი" (სომხურ ბიბლიაში, თუკი დღეისათვის ხელმისაწვდომი ტექსტების მიხედვით ვიმსჯელებთ, ბერძნული "*ο κανων*" ყველა შემთხვევაში უთარგმნელად არის გადატანილი). მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

წესსა (κανωνη) მას ზედა
ვეგნენ (გალ. 6,16)

*τω κανωνι τουτω στοι-
χησουσι*

მასვე წესსა (κανωνη) ზედა
ვეგნეთ (ფილ. 3,16)

τω αυτω στοιχειν κανωνι

ხოლო ჩუენ არა უზომოდ
ვიქადით, არამედ საზომი-
თა მით წესისადთა (κανωνη-
νη) (II კორ. 10,13)

*ημεις δε ουκ εις τα
αμετρα καυχησομεθα, αλ-
λα κατα το μετρον του
κανονος*

... განდიდებად წესისაებრ
(κανωνη) ჩუენისა უმეტეს-
სადლა (შდრ. გვიანდელი
რედაქცია: "განდიდებად კანონისაებრ ჩუენისა ნამეტნავად") (II კორ. 10,15)

*... μεγαλυνθηναι κατα τον
κανονα ημων εις περι-
ρισσειαν*

¹ როგორც ცნობილია, "კანონი" ნიშნავს, აგრეთვე, რვა-ცხრა "გალობლისაგან" (თითოეული "გალობა" 3-4 სტროფს ანუ დასდებელს შეიცავს) შემდგარ ვრცელ საგალობელს.

არა სხვსა წესსა (κανόνισαι)
 ზედ მზასა ვიქადით (შდრ.
 გვიანდელი: "არა სხვსა
 კანონსა ზედა მზასა ვიქა-
 დით") (II კორ. 10,16)

*ουκ εν αλλοτριω κανονι
 εις τα ετοιμα καυχησα-
 σθαι*

ვიდოდის განწესებულად
 დღესა მს-
 ტურობისასა (მიქეა 7,4)

*βαδιζων επι κανονος εν
 εμερα σκοπιας*

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ბიბლიურ ტექსტებში ბერძნული სიტყვა "კანონი" არ გვხვდება, იგი, როგორც ჩანს, მაინც ძალიან ადრე შემოსულა და დამკვიდრებულა ჩვენს მწერლობაში. ალბათ, ერთერთი უძველესი დამოწმება ამ ტერმინისა გვაქვს "ანტონ დიდის ცხოვრების" უძველეს თარგმანში, რომელიც, როგორც აღვნიშნავდით, VI ს-ზე გვიანდელი არ უნდა იყოს:

"კანონსა ეკლესიისასა უფროდს გონებითა პატრივ-სცემდა"¹

ასევე, უადრეს ეპოქას ეკუთვნის ივლიანე ტაბიელის საშობაო საკითხავის ქართული თარგმანი (ცნობილია მისი ხანმეტი ფრაგმენტები²), სადაც ვკითხულობთ:

"ეკლესიად ღმრთისად მოციქულთა და მამათა დადებულსა კანონსა... ქადაგებს"³

ხსენებული ტერმინი ექვსგზის გვხვდება "საბა განწმედლის ცხოვრებაში", რომლის ქართული თარგმანი ექვსივე შემთხვევაში უცვლელად ტოვებს მას (როგორც აღნიშნული იყო თარგმანი ყოველ შემთხვევაში VII ს-ის I ნახევარზე გვიანდელი არ უნდა იყოს). მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

... დგან კანონისათჳს⁴

εμενε χαριν του κανονος

აღასრულა კანონი⁵

τον κανονα πληρωσαντος

საღმრთონი კანონნი⁶

τοις θειοις... κανοσι

დაუდვა კანონი⁷

κανονας... παρεδωκεν

1 ცხოვრებად წმიდისა ანტონისი, გვ.55

2 იხ. ა.შანიძე, "ხანმეტი მრავალთავი", ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, თ. 1926

3 კიმენი, I, გვ.14

4 მამათა ცხოვრებანი, გვ.66

5 იქვე, გვ.76

6 იქვე, გვ.84

7 იქვე, გვ.85

ციტირებული ადგილები ადასტურებს, რომ VI-VII სს-ისათვის ქართულ მწერლობაში "კანონი" დამკვიდრებული ტერმინი ყოფილა.

ჩვენ აღარ განვაგრძობთ უფრო გვიანდელი ნიმუშების მოტანას. კარგად არის ცნობილი, რომ VII-VIII სს-იდან მოკიდებული დღემდე "კანონი" ერთერთი უადრესად გავრცელებული ლექსიკური ერთეულია ქართული ენისა. ჩვენთვის ამჯერად მნიშვნელოვანი ისაა, რომ ეს ტერმინი უკვე შემოსული და დამკვიდრებული ჩანს VI-VII სს-ში. ზემომოტანილი ნიმუშები ამას აშკარად გვიჩვენებს.

თუმცა "კანონი" ქართული ლექსიკის ერთერთი უადრესი შენაძენია, იგი, როგორც აღნიშნული იყო, ქართული ქრისტიანული მწერლობის დასაბამიერი ეპოქას მაინც არ უნდა ეკუთვნოდეს, რადგანაც ამ ეპოქის ამსახველ ტექსტებში (ვგულისხმობთ ქართულენოვანი ბიბლიის უადრეს თარგმანს) ხსენებული ტერმინი არცერთხელ არ გვხვდება (განსხვავებით სომხური ბიბლიისაგან, სადაც ეს ტერმინი ყველა შემთხვევაში უთარგმნელადაა გადასული).

II. გერმანული ტერმინის შესატყვისი სპერიანი გაბალოვნელის "ექუსთა დღეთას" ქართულ თარგმანში

რადგანაც სევერიანე გაბალოვნელის "ექუსთა დღეთას" ქართული თარგმანი, ზემოწარმოდგენილი ტერმინოლოგიური ანალიზის საფუძველზე, აშკარად უადრესი ხანის, კერძოდ ქართული ქრისტიანობის დასაბამიერი ეპოქის (V ს-ის 1 ნახევარი) ძეგლად წარმოჩნდა, ამდენად, წინდაწინვე შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ სიტყვა "კანონი" არც მასში გამოვლინდებოდა. მართლაც, გამოირკვა, რომ ტერმინი *ο κανων*, რომელიც ორიგინალში სამგზის გვხვდება, სამივე შემთხვევაში ქართულად სათანადო შესატყვისითაა გადმოტანილი. ეს შესატყვისი არის ტერმინი "გეგმი":

ყოველი ღმრთისა ვმად და-
საბამ გეგმ არს სახისა
(180)

πασα γαρ φωνη θεου
αρχαια κανων εστι της
φυσσεως (483)

ყოველი სიტყუად ღმრთი-
სად დასაბამი გეგმად და-
იდვა სახისაგან (178)

παν ρημα θεου αρχαιον
κανων εγενετο της φυσ-
σεως (482)

გეგმი ჰგიეს, შჯული და-
დადებს (181)

κανων μενει, ο νομος
βοα (483)

კარგად არის ცნობილი, რომ "გეგმი", ჩვეულებრივ, სამშენებლო-ხუროთმოძღვრულ ტერმინს წარმოადგენს. ასე იყო ძველად, ასეა დღესაც. საგულისხმოა საბას განმარტება: "გეგმი - ესე არს, რადსაცა აღშენება ეწადოს, პირველ მოხაზოს მსგავსება". ასევე ნ.ჩუბინაშვილის განმარტებით "გეგმი" არის "აღსაშენებლის ადგილის პირველმოხაზული სახე". დაახლოებით აღნიშნული შინაარსით "გეგმი" გვხვდება "ილარიონ პალესტინელის ცხოვრების" კიმენურ ტექსტში, რომელიც კეკელიძის აზრით სეითის თარგმანს წარმოადგენს და VIII ს-ს ეკუთვნის (იხ. ეტიუდები, V, გვ.128). აღნიშნულ თარგმანში ვკითხულობთ:

ილარიონმა "გამოუსახა
მათ ეკლესიად საქმედ და
პირველად მას დადებად
სცეს გეგმი" (Sin.11, 340)

... διεγραψεν αυτοις εκ-
κλησιαν γενεσθαι και αυ-
τον εποησαν πρωτον βα-
λειν σπαρτιον επ' αυτην

მოტანილი ტექსტი საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ "გეგმის" შინაარსი. "ილარიონ პალესტინელის ცხოვრების" ქართული თარგმანი, რომელიც საზოგადოდ ზედმიწევნითი სიზუსტით, შეიძლება ითქვას, სიტყვასიტყვით (თუმცა არა კალკირებულად) მიყვება შესაბამის ბერძნულ ტექსტს, ამჯერადაც ერთგულად გადმოსცემს მას. საკუთრივ "გეგმი" თანხვდება ორიგინალის **το σπαρτιον**-ს. ბერძნული სიტყვა, ჩვეულებრივ, ნიშნავს "თოკს", "საბელს", სპეციფიკური შინაარსით კი - "სამშენებლო თოკს" (როგორც ცნობლია, უშუალოდ შენობის აგებამდე მშენებლები თოკით შემოხაზავდნენ მიწაზე მის საძირკველს). ამ შინაარსით გვხვდება **το σπαρτιον**, მაგალითად, "ეზეკიელის წიგნში:

იყო ველსა მისსა საბელი
მაშენებლისაჲ (ეზ. 40,3)¹

εν τη χειρι αυτου ην
σπαρτιον οικοδομων

საგულისხმოა, რომ სომხურში **το σπαρτιον** თარგმნილია, როგორც **լար** ("ლარ"), რომელიც, ასევე, თოკს, საბელს ნიშნავს (შდრ. ქართული "ღარი"). აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს საბას სიტყვები, რომელიც "გეგმის" ზემომოტანილ განმარტებას მოსდევს: "გეგმი ესე არს... ღაროს კრვა, გინა მოხაზვა". თვით "ღარო" ლექსიკოგრაფის მიერ ასეა განმარტებული: "ღარი - გალატოზთ ბაწარი" (სხვა ხელნ.: "წვლილი თოკი ოსტატთა"). ვფიქრობთ, საბას განმარტება ზუსტია. როგორც "ილარიონის ცხოვრების" ტექსტი გვიჩვენებს, "გეგმი" შესატყვისია **το σπαρτιον**-ისა, რომელიც საბელს, თოკს, ბაწარს ნიშნავს (ამ ბაწარს, როგორც აღვნიშნეთ, მიწაზე გააბამდნენ მშენებლები) და რომელსაც სომხურში "ლარ" (= საბასეულ "ღარო"-ს) შეესატყვისება.

როგორც ვხედავთ, "გეგმი" თავდაპირველი მნიშვნელობით გულისხმობდა "გასაზომ, გეომეტრიულ ინსტრუმენტს", კერძოდ "გალატოზთ ბაწარს". ჩვენთვის ეს გარემოება მნიშვნელოვანია, რამდენადაც ამ აზრით "გეგმი" უახლოვდება **ο κανων**-ის ყოფით შინაარსს; ტერმინი **κανων** ნიშნავდა წნელს, წკებლას, ლატანს, რომელსაც სამშენებლო გაზომვებში იყენებდნენ. ვფიქრობთ, სევერიანეს შრომის მთარგმნელისათვის ეს გარემოებაც უნდა ყოფილიყო

¹ შდრ. აგრეთვე. ეხ. 34,11 "საბელი ქუეყანისა საზომელი" (**σπαρτιομετριας**) (სომხ. **լարաւոր**)

მნიშვნელოვანი, როდესაც მან *κανω*-ის ტერმინოლოგიურ შესატყვისად "გეგმი" შეარჩია, თუმცა საფიქრებელია ამგვარი არჩევანი ამჯერადაც მთლად მთარგმნელისეული არ უნდა ყოფილიყო. ჩვენი აზრით, აქაც ზოგადი ტრადიციის ტერმინოლოგიური სახე ცხადდება. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ "გეგმი" უადრეს ხანაში, როგორც ჩანს, ტერმინოლოგიური აზრით სწორედ "წესის" ანუ განწესების, განჩინების შინაარსს შეიცავდა. "ესაიას" წიგნის უძველეს თარგმანში გვხვდება ზმნა "განგეგმვა". სათანადო მუხლის გვიანდელი თარგმანი და შესაბამისი ბერძნულ-სომხური ტექსტები ასეთი სახისაა:

"კაცმან ხურომან გამოარჩია ძელი იგი მალნარისად, განზომით განწონა და გამოსახა იგი მსგავსად სახისა ხატისადსა. სატეხითა განგეგმა იგი და შეამტკიცა წებოდთა ხატად კაცისა" (ოშკურ-იერუსალიმური) ეს. 44,13.

"გამომრჩეველმან ხურომან ხისამან აღჰმართა იგი განზომით და სახთან-ყო იგი, მოწერით შექმნა იგი გამოყურვისა მიერ და შედგმულებისა მიერ შეანაწევრა იგი და შექმნა იგი, ვითარცა მსგავსება მამაკაცისა" (მცხეთ. ბიბლ.).

εκλεξαμενος τεκτων ξυλον εστησεν αυτο εν μετρω και εν κολλη ερρυθμισεν αυτο, εποιησεν αυτο ως μορφην ανδρος

"ღზორხაგ ხლსან ფაყო ჯაჟიჲ ღჳრხაგ ახა ღ ირჰჳხაგ ი მნამიღჳხს აყარქერი ირიჲ კარიღხაგ ახა ღ მადიჲგ ახა ხოხღსიჲ ღ არარი ი აყარქერი აის"

მოტანილ ტექსტებს შორის, როგორც ვხედავთ, მნიშვნელოვანი სხვაობაა, თუმცა ერთი რამ ცხადია: ოშკურ-იერუსალიმური ნუსხები, რომლებიც ქართული ბიბლიის უძველეს ტექსტს შეიცავს, ზედმიწევნით თანხვდება სომხურს. კერძოდ, ფრაზა "სატეხითა განგეგმა იგი", რომელსაც სხვა ვერსიებში ვერ ვხვდებით, ზუსტ შესატყვისს პოულობს სომხურში: "დროვ კარგეაც". ეს გარემოება მნიშვნელოვანია, რადგანაც საშუალება გვძლევს, გავარკვიოთ "განგეგმვის" შინაარსი. იგი თანხვდება სომხურ "კარგელ"-ს. ეს ზმნა მომდინარეობს სიტყვიდან "კარგ", რომლის ტერმინოლოგიური შესატყვისი არის ქართული "წესი"¹ (სომხ. "կարგ", ისევე როგორც ქართული "წესი" ტერმინოლოგიურად თანხვდება ბერძნულ *η ταξις*-ს და ნიშნავს განწესებას, განლაგებას, წესრიგს, წყობას, რიგს და ა.შ.).

ამგვარად, თუკი "განგეგმვა" "კარგელ"-ს უიგივდება, აშკარაა, რომ "გეგმი" "კარგ"-ის შესატყვისი უნდა იყოს. ეს კი ცხადყოფს, რომ ხსენებული ტერმინი უძველეს დროს "წესის" სინონიმი ყოფილა. აღნიშნული გარემოება საჩინო ხდება იმითაც, რომ ბერძნული *ο κανων*, როგორც ზემოთ ვნახეთ, ქართული ბიბლიის უადრეს ტექსტებში ყველგან "წესად" არის თარგმნილი.

ჩვენი აზრით, "გეგმი" ბერძნული *ο κανων*-ის ერთერთი მეტად არჩაული ტერმინოლოგიური შესატყვისია. ვფიქრობთ, ამ ნიშნითაც სევერიანე გაბალოვნელის "ექუსთა დღეთადს" ქართული თარგმანი უძველესი ტექსტი ჩანს.

¹ ეს სიტყვა ზმნურ ფორმაში ზოგჯერ უთარგმნელადაც გადმოდიოდა (ასეთია, მაგალითად, ზმნა "განკარგვა"). საკუთრივ სიტყვა "კარგი" თანამედროვე მნიშვნელობით განსაკუთრებით ხშირია გელათური სკოლიდან გამოსულ თარგმანებში. ადრეულ ტექსტებში "კარგი" "წესის" სანაცვლო ტერმინად დადასტურებულია

Αισθησις, Αισθητηριον

1. ტერმინთა კველი ქართული შესატყვისები

ტერმინი *αισθησις* თავისი ძირითადი აზრით ნიშნავს "გრძნობას", "მგრძნობელობას", "გრძნობად აღქმას". რამდენადაც "გრძნობადობა" შემეცნების ერთერთი გზაა, ბერძნულმა ტერმინმა კარგად იტვირთა ზოგადად "აღქმის", "შემეცნების", "შეცნობის", "ცნობადობის", "ცნობიერების" შინაარსი, რითაც იგი ზოგ შემთხვევაში სინონიმურად შეუწყვილდა ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა *η γνωσις, η μαθησις, η νοησις, η φρησ* და მისთ. ამგვარმა ამბივალენტურობამ ასახვა ჰპოვა ხსენებული ტერმინის ლათინურ ეკვივალენტში *sensus*, რომელიც ნიშნავს, ერთი მხრივ, გრძნობას, შეგრძნობას, გრძნობადობას, მეორე მხრივ, კი, ცნობიერებას, განსჯას, აზრს, აზროვნებას, გონებას. ჩვენთვის ამჯერად, ცხადია, საინტერესო არ არის აღნიშნულ ტერმინთა კერძო, ნიუანსობრივი მნიშვნელობანი.

რაც შეეხება ტერმინ *αισθητηριον*-ს, იგი კონკრეტული აღმნიშვნელია "გრძნობის ორგანოებისა" როგორც ნივთიერი, ასევე სულიერი აზრით, შესაბამისად იმისა, რომ არსებობს მგრძნობელობა ნივთიერი და მგრძნობელობა სულიერი. დავძენთ იმასაც, რომ *αισθητηριον*-ის იდენტურ ტერმინად, ე.ი. კონკრეტულად "გრძნობის ორგანოთა" აღმნიშვნელად ხშირად გვევლინება *η αισθησις* მრავლობით რიცხვში (*αι αισθησεις*)

ეკლესიის მამათა შრომებში "გრძნობადობას", "გრძნობის ორგანოებს" ტერმინულად გადმოსცემს და გამოხატავს სწორედ ზემოხსენებული სემანტიემები მათთან ფუძეზიარ სიტყვებთან ერთად (*αισθητος, αισθητικος, συαισθησις, αναισθησια, αναισθητος, ανεπαισθητος* და მისთ.).

"მგრძნობელობის" აღმნიშვნელ ქართულ ტერმინთა ძიების ჟამს, პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობს ზემოთ არაერთგზის განხილული ძეგლები: გრიგოლ ნოსელის "კაცისა შესაქმის" და ბასილი დიდის "ექუსთა დღეთაჲს" უძველესი თარგმანები. ტერმინული თვალსაზრისით ხსენებული თარგმანები, საზოგადოდ, უპირატესი მნიშვნელობისაა წინაათონურ ძეგლთა შორის, რადგანაც ამ რანგის საღვთისმეტყველო-ტერმინოლოგიური შრომები ქართული ლიტერატურის უადრესი ეპოქიდან (V-X სს) სხვა არ შემოგვრჩენია, ყოველ შემთხვევაში, დღემდე ცნობილი არ არის. ხსენებულ ძეგლებში დაუნჯებულია ძველი ქართული ქრისტიანული ტერმინოლოგიის უმდიდრესი მარაგი. საგულისხმოა, რომ ორივე მათგანს მოეპოვება პარალელური თარგმანი გიორგი მთაწმინდელისა, რაც შედარებითი ტერმინული კვლევისათვის მეტად მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის.

ქვემოთ მოვიტანთ ჩვენთვის მეტნაკლებად საყურადღებო თითქმის ყველა ადგილს (საჭიროებისამებრ, პარალელურ თარგმანთან ერთად), რაც საშუალებას მოგვცემს წარმოვაჩინოთ "მგრძნობელობის" აღმნიშვნელ ტერმინთა ქართულად თარგმნის ადრინდელი ვითარება:

საგრძნობელი (პარალ. "საცნობელი")

Αισθησις

გრიგოლ ნოსელი "კაცისა შესაქმე"

ძველი თარგმანი

გიორგი მთაწმიდლის თარგმანი

იწოდოს... საგრძნობელი-
თა გორციელთა (შატბ.
კრ. გვ. 73, 3; შდრ. Pg.
44, 133 B)

საშუებელი აქუნდეს... საც-
ნობელთა მიერ, რომელ
არიან გორცინი" (ნ. შალამ-
ბერიძის მომზადებული ტე-
ქსტი, გვ. 13)²

მრავლითა საგრძნობელი-
თა გულისხმა-ვყოფთ (შატ-
კრ. 75, 20)

მრავალსახედ შევეხებით
ცხორებასა ამას საცნობე-
ლთა მიერ (გვ. 19)

ბუნებასა აქუს მრავალი
საგრძნობელი (გვ. 75, 22)

მრავალსახენი იყვნენ საც-
ნობელთა მიერ ბუნებისა-
გან შემზადებულნი ორ-
ღანონი (გვ. 19)

(გონების) შესავალნი მრავალ
არიან ფრიად საგრძნობელთაგან (გვ. 81,
35)

(გონებას) პირად-პირადნი
შესავალნი საცნობელთანი
ალავსებენ (36)

ერთისაგან საგრძნობელი-
სა მრავალი საქმს გუ-
ლისხმა-ვყოფთ (82, 8)

ერთისა რადსმე საცნობე-
ლისაგან მრავალფერთა
საქმეთა გუასწავებს (37)

გულისხმა-ვყვით მრავალი
რადმე ერთისა მიერ საგრ-
ძნობელისა (82, 19)

ერთისა საცნობელისა მი-
ერ მრავალთა... საქმეთა
ვისწავებთ (37)

არავინ გონიერთაგანი ჰგონ-
ებდეს... ვითარმედ საგრძ-
ნობელთაგანი არს გონ-
ებად (82, 31)

და რამეთუ სხუად არს
გარეშე საცნობელთადასა
გონებად, არავინ გონიერ-
თაგანი იცილობვის (38)

¹ აქაც და ქვემოთაც ცალკეული ნიმუშების წინ გატანილი ესათუის ბერძნული ტერმინი მიაჩნებოდა, რომ სწორედ იგი გვხვდება უშუალოდ მისდამი მოდევნებული ნიმუშების შესატყვის ბერძნულ ტექსტებში.

² ფრანგილებში მითითებული რიცხვი ასახავს ნ. შალამბერიძის მიერ გამოსაცემად მომზადებული ტექსტის ნუმერაციას. აღვნიშნავთ, რომ ტექსტისადმი შედგენილ ლექსიკონში მკვლევარს ამომწურავად აქვს განმარტებული "საცნობელთა" ტერმინული მნიშვნელობა. აქვეა დამოწმებული ზოგი საგულისხმო ნიმუში. ლექსიკონში დამოწმებულია და განმარტებულია, აგრეთვე, გრძნობადობის აღმნიშვნელი სხვა ტერმინები: "გრძნობად", "გრძნობით", "გრძნობელი" და სხვა

შეცვულ არს იგი (ტვინი, ე.ჭ.) საგრძნობელთაგან (84, 2)

ამას ეწოდების ძილ დაყრუვებისათვის საგრძნობელთადასა გუამსა შინა (88, 8)

აჩუენოს საქმე თვისი... საგრძნობელთაგან (80, 31)

უკუეთუმცა გონებად საგრძნობელი იყო, აქუნდამცა მანლობელობად ერთი საგრძნობელისა მიმართ რომლისადმე (82, 32-33)

დაყუდნის ძრვისაგან საგრძნობელთადასა (88, 37)

გონებად მავნებელ(?) არს საზრდელისა და საგრძნობელნი შემწყნარებელ მისა (89, 8)

ყოველნი პირუტყუნი საგრძნობელთაგან მიუდგან ნებასა თვისსა ყოველსა (92, 20)

აღყუავებული გემოთაგან საგრძნობელთადასა (101, 38)

უმრავლესნი მას შეპრაცხენ კეთილად, რომელი იგი შეაშუნ საგრძნობელთა (102, 26)

ყო საგრძნობელთა შინა მცირედი რაიმე გემოდ (103, 1)

...რომელსა შინა არიან საგრძნობელნი (121, 16)

ოდეს დაეყენიან საგრძნობელნი, გონებადცა დაეყენის (88, 32)

...გარეშეცვულად საცნობელთა მიერ (41)

და ესევეთარსა ამას ვნებასა ძილად ეწოდების დაყუდებისათვის და უძრავობისა ჯორციელთა საცნობელთადასა (54)

... საცნობელთა მიერ წარმოჩინებად (33)

უკუეთუმცა საცნობელთაგანი იყო, უეჭუელად ერთიმცა აქუნდა საქმე და საკუთრებად გრძნობისად (38)

დაყუდნიან... გრძნობისაგან (56)

გონებად მოირეწს საკმარსა საზრდელისასა, ხოლო საცნობელი მორეწილსა მას შეიწყნარებს (57)

საცნობელნი ოდენ უგულისკმონი პირუტყუთაცა ჰქონან (69)

საცნობელთა გულისთქუმითა აღყუავებულ (93)

უმრავლესნი კეთილად მას შეპრაცხენ, რომელი რაიმე საცნობელთა ახარებდეს (94)

გულისთქუმითა რაიმე საცნობელთადათა შეგრძნობა გემოდსხილვად იგი (95)

...ორღანოსა შინა საცნობელთადასა (138)

საცნობელნი რად დადუმნენ, იძულებით უქმ-იქმნების გონებადცა (56)

αισθητικος

რად-მე უკუე არს გონებად
ბუნებასა შინა თვსსა, გან-
ზოგებულსა ძალსა შინა
საგრძნობელთადასა? (82,
29)

ვითარ-მე განიყო საგრ-
ძნობელთა შინა განთვსე-
ბულთა? (83, 9)

ესე ამისთვის იყო, რადთა
აკლდეს ცხოველთა უპა-
ტიოსნესი იგი საგრძნო-
ბელი (122, 14)

რად-მე უკუე არს თვსი-
საებრ ბუნებისა გონებად,
რომელი-იგი ძალისა მი-
მართ საცნობელთადასა გა-
ნჰყოფს თავსა თვსსა?
(38)

ვითარ განეთესვის მრავ-
ალნაწილთა ამათ საცნ-
ობელთა შინა? (39)

კეთილთა მათგან ძალთა
ბუნებისათა, რომელ არს
საცნობელთამიერი მოძრა-
ობად, არა უნაწილო იქ-
მნეს კაცი (140)

το αισθητηριον

(გონება) იქცევის ყოველთა
შორის საგრძნობელთა (75,
21)

გონებად იქმს საქმესა
თვსსა საგრძნობელთაგან
(82, 3)

შეკრიბის ჩუენ თანა მეც-
ნიერებად ერთისად ხოლო
საგრძნობელთაგან მრავ-
ალთა (82, 5)

ოდესმე შეკრიბის ჩუენ თა-
ნა მეცნიერებად ერთისა
საქმისად საგრძნობელთა-
გან მრავალთა (82, 7)

იცნას ერთი იგი მრავალ-
თა მიერ საგრძნობელთა
(82, 18)

იტყვან, ვითარმედ აჰკად
ტვნისად არს შესაკრებელი
საგრძნობელთად (84, 10)

აჰკად თავისად შეჰკრებს
საგრძნობელთა (84, 23)

გონებად... თვთოეულთა სა-
ცნობელთა მიმართ განვ-
ალს(19)

ვორციელთა საცნობელთა
მიერ მოქმედებს გონებად
(34)

მრავალგზის თვთოსახეთა
საცნობელთაგან ერთსა
ცნობასა შემოგვკრებს ჩუენ
(37)

ერთი იგი საქმე თვთო-
ეულთა საცნობელთა მიერ
გულისხმა-ყვის (37)

მეორენი იგი, ვითარცა
ძირსა და საძირკუელსა
ყოველთავე საცნობელთა-
სა, იტყვან თავსა (42)

თავსა და სატვნეთა ქუეშე
დარეცილ არიან საცნო-
ბელნი (43)

ორთქლი იგი განიყვის გან-
სავალთა შინა საგრძნო-
ბელთასა და უქმ-იქმნის
საქმისაგან თვისისა (88, 3)

დაიწრდეს შინაგანი საგრ-
ძნობელი ორთქლისა მის-
გან (88, 10)

ნივთი..., რომელი შევარდ-
ების საგრძნობელთა ქუ-
ეშე, იცნობების ფერითა
და გამოხატვითა (107,
22)¹

განსლვასა მას ორთქლთა-
სა იძულებით უქმ-იქმნები-
ან საცნობელნი (54)

შეიწრდების შინაგანთა
მათ ორთქლთაგან აგებუ-
ლებად იგი საცნობელთად
(55)

ნივთი... საცნობელთა მიწ-
დომასა ვერ თანა-წარჰვ-
ალს და ფერითა და სა-
ხითა... საცნაურ-იქმნების
(106)

გრძნობა

η αισθησις

გრიგოლ ნოსელი "კაცისა შესაქმე"

ძველი თარგმანი

(პირუტყვნი) არა შორს
არიან ბუნებისაგან მცე-
ნარეთადასა და არა გრძნო-
ბითა... მწუანვილიცა... აღ-
ორძნდების თვნიერ გრძნო-
ბისა (92, 15-16)

არა არს ძალი გრძნობი-
სად თვნიერ შანთისა მის
ნივთიერისა (91, 27)

არა სიკურივე იგი... მიმ-
ლებელი არს გრძნობისად
(122, 9)

მას შინა (მცენარეში, ე.ჭ.)
იპოვების ძალი ცხოვლო-
ბისად თვნიერ გრძნობისა
(78, 25)

გიორგი მთაწმიდლის თარ-
გმანი

მცირედ რაიმე უმეტეს სა-
გონებელ არნ ძალთათვის
საცნობელთადასა (69)

ვერცა საცნობელნი თვნი-
ერ ნივთიერისა არსებისა...
შემძლებელ არს (67)

სიფიცხემან მათმან გრძნო-
ბისა ძალი არა შეიწყნარა
(140)

მცენარეთაცა შორის იხი-
ლვების ცხოვლობისა რად-
სმე ძალი გრძნობისაგან
უნაწილოდ (26)

¹ რამდენიმე შემთხვევაში ქართულ "საგრძნობელთა" შესატყვისი გიორგი მთაწმინდელთან და ორიგინალში არ გვხვდება: "საგრძნობელთა მიერ იცნობებიან" (მატბ. კრ. 107, 23); "გულისთქუმად ქამადისად... შეაშუნ საგრძნობელთა" (91, 11)

რომელნიმე გუამნი ცხოველთაგანნი ცხოველ არიან გრძნობითა და რომელთამე არა აქუს გრძნობად (78, 36)

ცხოველთა მათ გუამთაგანნი რომელიმე გრძნობით ცხოველ არს და რომელიმე უცხო არს გრძნობისაგან (27)

ოდეს იქმნა მცენარე, მოზარდცა არს, არამედ ვერ მიწვევს არს საქმესა გრძნობისასა (126, 40)

ნერგთა შორის რად შევიდეს მოქმედებად სული-სად, საცნობელთა გრძნობადმდე ვერ აღიწევს (155)

კვოვებთ ძალსა შინა ცხოვრებისასა სამსა განყოფასა: ერთი იგი არს მზრდელი თვნიერ გრძნობისა და მეორე იგი არს მზრდელ გრძნობითა და მესამე იგი არს სრულ მეტყუელებითა (91, 18-20)¹

სამნი ცხოველობისა სახეთა და ძალთა განყოფილებანი კოვნა სიტყუამან: ერთი იგი მოზარდი თვნიერ გრძნობისა და მეორე მოზარდი და მგრძნობელი... ხოლო მესამე იგი პირმეტყუელი (66)

არა არს... ძალი გონიერი თვნიერ გრძნობისა (91, 28)

ვერცა ძალი გონიერისა ბუნებისად (ხელნ. "გონებისად") თვნიერ საცნობელთადსა შემძლებელ არს (67)

მეორე ამათგანი არს მოზარდი... რომელსა შინა არს განგებად გრძნობისად (78, 26-27)

სხუად სახე არს ცხოველობისად და ესეცა აქუს და საცნობელთა მიერ განგებად მიუღებიეს (26-27)

არა უქმ-იქმნის ძალი გრძნობისად (89, 12)

არცა სრულიად განიკუეთების მისგან ძალი იგი ცნობისად (58)

¹ ფრაზა "მზრდელ გრძნობითა" (მღრ. გიორგისეული "მოზარდი და მგრძნობელი" ორიგინალში ასეა წარმოდგენილი: *τρεφομενον και αυξανομενον* (Pg. 44, col. 176 A) ექვი არ არის, რომ ბერძნული გამოცემის *αυξανομενον* (ალორძინებითი) მცდარია და მის ნაცვლად თავდაპირველ ტექსტში იქნებოდა *αισθανομενον* (გრძნობელი). ამასვე ცხადყოფს ლათ. თარგმანიც: *nutriatur et sentiat* (col. 175 B)

ბასილი დიდი "ექუსთა დღეთად"

Αισθησις

ძველი თარგმანი

გიორგი მთაწმიდლის თარგმანი

დაეზადა პირველი ცხოველი სულიერი, რომელსა აქუს გრძნობად (ი. აბულაძის გამოც. გვ. 96, 13)

აწ დაეზადა პირველი ცხოველი მშვნვიერი და გრძნობისა ზიარი (მ. კახაძის გამოც. 81, 2)

აქუს მას (კრავს, ე.ჭ.) გრძნობად (129, 16)

არს რადმე გრძნობად მათ თანა (108, 28)

ძალლი უსიტყუელ არს, არამედ აქუს მას გრძნობად (129, 28)

უნაწილო არს სიტყვსაგან ძალლი, ხოლო კნინლა და სიტყვსა შესწორებული გრძნობად იპოების მიხ თანა (108, 38)

გრძნობანი მათ შინა უფროდს ვსნილ არიან (108, 7)

საცნობელითაცა უფროდს მგრძნობელ არიან (91, 11)

ნათესავი იგი იხუთად მღვდარე არს და მახვლ გრძნობითა (119, 4)

მღვდარე არს ნათესავი იგი ღრღედთად და მახვლ გრძნობითა (100, 12)

საცხოვართა იცოდეს მავნებელი მათი და ეკრძალებოდეს მას გრძნობითა ამით ოდენ (67, 22)

ცხოვართა და თხათა იცოდეს გრძნობითა ხოლო მავნებელისა განრჩევაად (54, 11)

ვერ ეგებოდა თქუმად უფროდს წამებისა გრძნობისა (37, 35)

ვერარას იტყვს ეგევითარსა, რავოდენსა-იგი საცნობელი წამებს (24, 2)

პირუტყუთაცა აქუს გრძნობად მომავლისა (127, 12)

პირუტყუთაცა შორის არს რადმე გრძნობად მომავლისა (107, 2-3)

ქვემოთ დავიმოწმებთ, აგრეთვე, ისეთ ნიმუშებს, სადაც "გრძნობად" გადმოსცემს ბერძნული *αισθησις*-ის ძირიდან ნაწარმოებ ანდა სინონიმური მნიშვნელობის სიტყვებს:

καταληψις

აქუს მას (კრავს) გრძნობად, უმახვლესი გრძნობისა ჩუენისად (ბასილი, ექუსთა დღეთად, ძვ. თარგ. 129, 16)

არს რადმე გრძნობად მათ თანა, უმახვლესი გრძნობისა ჩუენისად (გიორგის თარგ., 108, 28)

το αισθητηριον

ნუგეშინის-სცა ფრიად გრძნობითა მათითა (იქვე, 129, 8)

გარდამატებულთა მით გრძნობისადთა ნუგეშინის-სცა (108, 20)

το αναισθητον

რომელთა არა აქუს გრძნობად, არიან იგინი უმრწემსს (გრიგოლ ნოსელი, კაცისა შესაქმე, 117, 24)

უსულთა მიმართ მიცვალებად იქმნების უღარეს (129)

αισθητικος

მოქმედებად მისი არს გრძნობათაგან (იქვე, 78, 29)

გრძნობისადცა აქუს ძალი და შეწევნად (27)

το σωμα

გულისაგან გამოვალს სიმგურვალს გრძნობათად (84, 22)

წყაროდ ვორცთა მკურვალებისა აღვიარებ გულსა (43)

გრძნობადი

αισθητικος

... უწყებად ბუნებად გრძნობადი (79, 11)

იგი უწოდა... მგრძნობელსა სამშვნველად (28)

το αισθητον

გრძნობადი უღარსს არს ძალსა მეტყუელებისასა (117, 23)

პირმეტყუელთა პირუტყუნი უღარეს არიან (129)

მგრძნობელი

αισθητικος

შემდგომად მათსა დაე-
ბადნეს მგრძნობელნი ცხო-
ველნი (გრიგოლ ნოსელი,
კაცისა შესაქმე, შატბ. კრ.
78, 41)

მიიღო ამას თანა სული
მგრძნობელი (79, 3)

აწ რადსთვს არს ასოდ ესე
მაგარი და კურივი არა
შემწყნარებელი ბუნებისა
მის მგრძნობელისად? (122,
6)

გამოვალს ლარისა მისგან
მგრძნობელისა (84, 17)

რომელიმე მგრძნობელთა-
განი არს მეტყუელ და
რომელიმე მათგანი არს
უტყუ (78, 37)

და მერმე შესძინა გრძნო-
ბით ცხორებადთა დაბადე-
ბად (გიორგი მთაწმიდლის
თარგმანი, გვ. 27)

სულიერისა და სიორძილი-
სა ძალსა გრძნობითი იგი
შეიყო (28)

ფიცხელი და წინააღმდეგო-
მი საცნობელთა საქმესა
არა შეიწყნარებს (140)

წესსა მას საცნობელთასა
განამტკიცებენ (43)

მგრძნობელი კუალად გა-
ნიკუეთების პირმეტყუელად
და პირუტყუად (27)

αισθητος

იყოს შეზავებულებად მისი
გუამითა მგრძნობელითა (78,
43)

...შეეზავოს გორციელი
იგი (28)

ο αισθησεως μετεχων

ბუნებად ყოვლისა მწუანვ-
ილისად, გინათუ მგრძნო-
ბელისად ამათგანვე არს
(93, 15)...

... რომლისა თვნიერ საც-
ნობელთა ქუეშე მყოფსა
რასმე არსებად მოსლვად,
გინა ცხორებად ვერ ძა-
ლუც (71)

ზოგ შემთხვევაში ტერმინ **“მგრძნობელს”** შესატყვისი არ ეძებნება:
“ეგრეცა პირუტყუთა შინა არს სული პირუტყუებრი, მგრძნობელი” (შატბ.
კრ. 126, 41)

“რომელთა არა აქუს გრძნობად, არიან იგინი უმრწემსს მგრძნობელთა”
(117, 25)

უგრძნობელი

αγαισθητος

პირუტყუებისაგან მიიწიოს მოკლებასა გრძნობისასა და დაეახლოს უგრძნობელთა მათ მცენარეთა (*την των φυτων αγαισθησιαν*)

პირუტყუთაგან უსულთა ბუნებად შეიცვალების და მათგან სრულიად უძრავ იქმნების (129)

აღნიშნულ ტერმინს ერთგან შესატყვისი არა აქვს:

"და ამათ მცენარეთა შინა პოვნით არს სული უგრძნობელი" (შატბ, კრ. 78, 40)

ბასილი დიდის "ექუსთა დღეთაჲს" ძველ თარგმანში გვხვდება ტერმინი "უგრძნულად" ("მიეტყვის იგი უგრძნულად" 100, 10), რომელსაც შესატყვისი არ ეძებნება, კონტექსტის მიხედვით კი ნიშნავს: "შეუმჩნევლად, უჩუმრად" ე.ი. იმგვარად, რომ ვერავინ ვერაფერი იგრძნოს (მითითებულ ადგილას საუბარია იმის შესახებ, თუ როგორ შეუმჩნევლად იჭერს მრავალფეხა თევზს). ეს ტერმინი აღნიშნული შინაარსით უძველესი დროიდანვეა ცნობილი ქართულ მწერლობაში.

საცნობელი

αισθητος

[სიდი]დისაგან ამათ გუამთა საცნობელთაჲსა და საზღვართაჲსა განვიზრახო დაუსრულებელისა მისთვის (ბასილი, ექუს. დღ. ძვ. თარგ. 29, 24)

ხედვად დაეცემის ყოველსა ზედა საცნობელსა (54, 17)

არარად არს საცნობელი თქუმულთაგანი განტევებულ (60, 6)

სიდიდისაგან საჩინოთა ამათ და გარეშემოწერილთა გუამთაჲსა განვიზრახოთ დაუსრულებელისა მისთვის (მ. კახაძის გამოც. 14, 8)

ყოველსავე ხილულსა ფეროვნებასა განცდაჲ თუალთაჲ არა თანა-წარჰკვდების (41, 34)

არარად არს მათგანი განტევებულ... ხილულთა ამათ და ცნობადთაგანი (47, 4)

η αισθησις

სადა არა არს... საცნობელი ვმათაჲ (41, 5)

სადა-იგი არა არს... აღმყვანებელი თავად გრძნობასა გამოცემულთა მათ ვმათასა (29, 8)

მომასწავებელი სიტყვსა... საცნობელთაგანი (42, 10)

საცნობელთა მიერ დარწმუნებაჲ (30, 15)

არარაჲ არს ნივთთაგანი, რომელი არს საცნობელთა ქუეშე, შეურევნელ სხვსა (44, 13)

არარაჲ არს ნივთთაგანი, რომელნი არიან საცნობელთა ქუეშე, თავისუფალ და შეურევნელ (32, 13)

ამისთვისცა უწოდა მას სამყარო თანაშეტყუებითა მისითა წულილთა თანა, რომელნი არიან ქუეშე საცნობელთა (47, 18)

ამისთვისცა ამას უწოდა სამყარო, თანაშეტყუებითა წულილადთა და საცნობელთა მიერ მისაწდომელთაჲსა (35, 21)

გუამქმნილ არიან და შეცვვიან ქუეშე საცნობელთა (60, 5)

სახენი, გუამთა შინა დაწესებულნი, და თუალთა მიერ და საცნობელთა განცდადნი შეუღლვილ არიან სიძონითა (47, 1-3)

თვთ წყალი იგი არს ღბილ საცნობელთა შორის (74, 24)

თვთ იგივე წყალი აწ არს წრფელ და ღბილ საცნობელთა (61, 11)

ოდესმე ავნის საცნობელთა (74, 26)

განფიცხნის საცნობელნი (61, 14)

ცნობა

αισθησις

წარვიდა ჩუენაგან ცნობაჲ ესე (42, 12)

მიგუელო ჩუენ გრძნობაჲ გმისაჲ მის და საცნობელი¹ (30, 19)

როგორც ზემოდამოწმებული ტექსტები გვიჩვენებს, გრიგოლ ნოსელის "კაცისა შესაქმნის" უძველეს თარგმანში "გრძნობის ორგანოთა" აღმნიშვნელია ტერმინი "საგრძნობელნი", რომელიც გადმოსცემს კონკრეტულად ამ მნიშვნელობით ხმარებულ *η αισθησις*-ს (ჩვეულებრივ, მრავლობითში *αι αισθησεις*), აგრეთვე, იშვიათად *αισθητος*-ს და, ცხადია, ყოველთვის *το αισθητηριον* (*τα αισθητηρια*)-ს. იმავე თარგმანში ზოგადად "გრძნობადობა" გამოხატულია ტერმინით "გრძნობაჲ", რომელიც შეეფარდება ბერძნულ *η αισθησις*-ს, იშვიათად *το αισθητον*, *αισθητικος*-ს; აქვე გვხვდება "გრძნობასთან" ფუძეზიარი ტერმინები: "გრძნობადი (*αισθητικος*, *αισθητος*), "შგრძნობელი" (*αισθητικος*, *αισθητος*), "უგრძნობელი" (*αναισθητος*).

1 ბასილი დიდის "ექუსთა დღეთაჲს" გიორგისეული თარგმანისადმი დართულ ლექსიკონში გამომცემელი მკახაძე განმარტავს: "საცნობელი - შეგრძნება, შეგრძნების ორგანო" (გვ. 162). მითითებულია რამდენიმე ნიმუში.

რაც შეეხება ბასილი დიდის "ექუსთა დღეთაჲს" ზემოდამოწმებულ უძველეს თარგმანს, მასში საკუთრივ "გრძნობის ორგანოთა" აღმნიშვნელად გვხვდება ტერმინი "საცნობელნი" (და არც ერთხელ "საგრძნობელნი"). ამ ტერმინითაა თარგმნილი ბერძნული *αισθησις* (ჩვეულებრივ, მრავლობითში), აგრეთვე, *αισθητος*. ზოგადად "გრძნობადობის" აღმნიშვნელად ხსენებულ თარგმანში გვხვდება "გრძნობად", რომელსაც, ჩვეულებრივ, შეესატყვისება *η αισθησις*, მშვიათად კი *το αισθητηριον* ან *η καταληψις*. ერთგან "გრძნობადობის" აღსანიშნავად თავს იჩენს ტერმინი "ცნობად" (ბერძნ. *η αισθησις*)

ამგვარად, უმთავრესი სხვაობა ზემორე ორ თარგმანს შორის ისაა, რომ პირველი მათგანი ("კაცისა შესაქმე") "გრძნობის ორგანოთა" ტერმინულ აღმნიშვნელად იყენებს მხოლოდ "საგრძნობელთ" ("საგრძნობელნი") ხოლო მეორე ("ექუსთა დღეთაჲს") - "საცნობელთ" ("საცნობელნი").¹ ანალოგიური სხვაობა ხსენებულ თარგმანთა შორის მითითებული გვქონდა *στοιχειον*-ის ერთერთი ქართული შესატყვისის ("ნივთის") განხილვის ჟამს. ზემორე გარემოებაც ეჭვმიუტანლად ცხადყოფს, რომ მითითებული ტექსტები, მიუხედავად მათი გარკვეული სიახლოვისა, სხვადასხვა მთარგმნელს ეკუთვნის.

საკუთრივ "გრძნობადობის" გადმოსაცემად აღნიშნულ თარგმანებში გვხვდება "გრძნობად" ("ექუსთა დღეთაჲსი" ერთგან თავს იჩენს "ცნობად"). "კაცისა შესაქმის" თარგმანში, როგორც აღვნიშნეთ, ხშირად ვლინდება, აგრეთვე, "გრძნობასთან" ფუძეზიარი ტერმინები: "მგრძნობელი", "გრძნობადი", "უგრძნობელი".

"გრძნობადობის" აღმნიშვნელ ტერმინთა შესწავლის ასპექტით ყურადღებას იქცევს ქართული ლიტერატურის მომდევნო ხანა. ზემოთ დამოწმებული გვქონდა პარალელური ნიმუშები გიორგი მთაწმიდლის თარგმანებიდან, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ "გრძნობის ორგანოთა" აღმნიშვნელად იგი იყენებს ტერმინს "საცნობელნი". იგივე ტერმინი გვხვდება გრიგოლ ნოსელის ჰექსემერონული შრომის მისეულ თარგმანში (იხ. საქ. ეკლ. კალენდ. თბ. 1989, ტექსტზე დართული ლექსიკონი, გვ. 364). ასეთივე სურათი გვაქვს თალასის ასეულთა გიორგისეულ თარგმანში (იხ. იქვე, გვ. 470). ამ თარგმანში "საცნობელთა" გვერდით გვხვდება, აგრეთვე "საგრძნობელნი" (იხ. იქვე, გვ. 468). საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ტერმინი "საცნობელნი" დამოწმებული გიორგი მთაწმიდლის ორიგინალურ აგიოგრაფიულ შრომაშიც: "საცნობელთა მისთა დაწყნარებულობად შინაგანთა სულისა ძალთა აღჭურვილობასა წარმოაჩენდა".²

ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებასაც, რომ ტერმინი "საცნობელნი" გრძნობის ორგანოთა, გრძნობათა აღმნიშვნელად ძირითადია, აგრეთვე, ექვთიმე მთაწმიდელისათვის.

1 აღნიშნული ტერმინები განმარტებულია ი. აბულაძის მიერ, როგორც "გრძნობა", "შეგრძნება" ხსენებულ თარგმანთა მისეული გამოცემისადმი დართულ ლექსიკონში. იხ. დასახ. გამოც. გვ. 251-252

2 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ქრესტომათია, ს. ყუბანეი-შვილის გამოც. თბ. 1946, გვ. 208. გამოცემის ლექსიკონში მითითებულია აღნიშნული დამოწმება ტერმინისა.

ჩუენნი არიან ვორცნი და
საცნობელნი ესე ვორციე-
ლნი (22, 2)

ესე არს, სრულთა მათ
საზრდელი, რომელთა საც-
ნობელნი გამოცდილ არი-
ან განყოფად (ებრ. 5, 14)
(19, 4)

(უფალმა) თავი უზეშთაეს
ყოვლისავე დაამტკიცა და
მას შინა უმრავლესთა მათ
საცნობელთა პატივნი დას-
ხნა, რამეთუ მუნ არიან
სახილველნი და სასმენე-
ლნი და საყნოსელნი და
პირი (29, 10-12)

... წინააღდგომად საცნო-
ბელისა მის (29, 22)

ძალი სულისად და საცნ-
ობელნი მისნი გამოცდილ
იყვნენ (124, 33-34)

საცნობელთაცა სახელნი
მისთვსვე გულისჴმა-ყვით
ძალთა ზედა სულისათა
(135, 12)

რომელი საცნობელი მის-
ცეს მას წიგნმან, ვინადო-
გან თუაღნიცა და ყურნი
და საყნოსელნი და პირი
და ველნი მის თანავე
იშვებთან (134, 15)

*ημετερον δε το σωμα και
αι δι αυτου αισθησεις*
(Pg. 31, col. 204)

*τουτεστι, την των τελειων
τροφην, των δια την εξιν
τα αισθητηρια γεγυμνασ-
μενα εχοντων προς δια-
κρισιν (col. 197 B)*

*την κεφαλην επι των
υψηλοτατων θεις, εν αυτη
τας πλειστου αξιας των
αισθησεων καθιδρυσατο.
Εκει οφισ και ακοη και
γευσις και οσφρησις (col.
216 C)*

*κωλυμα... τη αισθησει (col.
217 A)*

*... τοις δια την εξιν
γεγυμνασμενοις τα αισ-
θητηρια της ψυχης (col.
393 A)*

*και τα των αισθησεων
ονοματα επι τας δυναμεις
της ψυχης μεταφερειν (col.
413 B)*

*ποιαι γαρ των αισθη-
σεων η βιβλος χαρισασθαι
δυναται, και οψεως, και
ακοης, και οσφρησεως και
γευσεως και αφης ευθუს
συναπογεννωμενων ημιν
(col. 412 C)*

¹ ბასილი კესარიელის სწავლათა ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც.ქურციკიძემ, თბ. 1983 (ფრხილებში მითითებულია სათანადო გვერდი და სტრიქონი აღნიშნული გამოცემიდან). ტექსტებისადმი დართულ ლექსიკონში გამომცემელი განმარტავს: "საცნობელი - შეგრძნება, გრძნობის ორგანო η αισθησις (გვ. 258. დამოწმებულია შემდეგი ნიმუშები: 19, 4; 22, 2; 183, 25). დავძენთ, რომ ექვთიმესეული "საცნობელნი" გადმოსცემს როგორც *αισθησις*-ს, ასევე კონკრეტულად გრძნობის ორგანოთა აღნიშვნელ ტერმინს *αισθητηρια*

... არცა ცნობად ერთსა
რასმე ამათ საცნობელთა-
განსა (134, 18)

მისცემს ახალსა მას ყრმა-
სა საცნობელსა მას კეთი-
ლად მსმენელისასა (135,
18)

დაუტევენ ვორციელნი იგი
საცნობელნი (152, 36)

შეცვალებადცა საცნობელ-
თა მათთა ცნობისაჲ უა-
რეს ყოვლისა პირუტყვსა
ჰყოფს მათ (მთვრალეებს,
ე.ჭ.) (181, 35)

უზომობითა მით სუმიხად-
თა საცნობელთა თვსთა
განჰხრწნიან (183, 25)

ხუთთა მათ საცნობელთა
სულისათა... მიიღონ ზეცი-
სა იგი მაღლი (258, 21)¹

საცნობელნი მისნი... დაბ-
ნელდეს (388, 23)

საცნაურთა მათ საცნობე-
ლთა მისთა კუალად მასვე
მისცემს (388, 31)

რომელთა საცნობელნი გა-
მოცდილ არიან (ებრ. 5,
14) (389, 32)

მონაზონება არს... დაცვაჲ
საცნობელთაჲ (214, XII)³

... ουτε αισθησιν μιαν
τουτων (col. 412 C)

διδωσι τω νεω παιδι την
της ακοης αισθησιν υγια-
νουσαν (col. 413 C)

αφες τας σωματικας
αισθησεις (col. 465 A)

και η των αισθησεων
παρατροπη χειρονα παντος
κτηνους αποδεικνυσι τον
μεθυοντα (col. 449 A)

τω γαρ συνεχει της τρυφης
τας αισθησεις απομαρ-
αινουσιν (col. 452 C)

αι γαρ πεντε λογικαι
αισθησεις της ψυχης...
δεξωνται την ανωθεν χαριν
(Pg. 34, col. 477 B)

αυτης αισθητηριων... σβε-
σθεντων²

τα νοερα αυτης αισθη-
τηρια παλιν αποκαθιστησι
(ჰ.ბერთოლდის მითითებუ-
ლი გამოც., გვ. 186)

τω... τα αισθητηρια γε-
γυμνασμενα (იქვე, გვ.187)

μοναχος εστι... φυλακη
αισθησεως⁴ (39)

¹ ფსევდო-მაკარის თხზულებათა მონაზონთა, გამოკვლევა და ლექსიკონი მითითებულია აღნიშნული გამოცემის ქართული ვერსია, ტექსტი გამოსაცემად დაურთო გ.ნინუამ, თბ. 1982 (ფრჩხილებში გვერდი და სტრიქონი).

² Makarios/Symeon, Reden und Briefe, herausg. H.Berthold, Berlin 1973, s.185

³ იოანე სინელი, კლემაქსი, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1986

⁴ Του οσιου Πατρος ημων Ιωαννου του Σιναιτου Κλημαξ, υπο Αρχμ. Ιγνατιου 1978 (გვერდები ფრჩხილებში მითითებულია ამ გამოცემიდან)

ძილი... უქმობა არს საც-
ნობელთა (355, I)

υπνος εστι... αισθησεων
αργια (227)

დაყუდებად ვორცთად არს
წესთა და საცნობელთა
დაწყნარებად (431, II)

ησυχια μεν σωματος εστιν
ηθων και αισθησεων
επιστημη και καταστασις
(335)

ყოველნივე საცნობელნი მის-
და დაემორჩილნენ (455,
II)

τας αισθησεις πασας του-
τω υποταξας (368)

რომელმან საცნობელნი თვისნი
სრულიად ღმერთსა შეაე-
რთნა, მან ისწავლნეს სა-
იდუმლონი მისთა სიტყუა-
თანი (461, XXVII)

ο θεω τελεως τας αισθησεις
ενωσας, τους λογους αυτου
μυσταγογεται υπ αυτου
(337)

მოტანილი მაგალითები აშკარად ცხადყოფს, რომ ექვთიმე მთაწმინდელი-
სათვის გრძნობის ორგანოთა აღმნიშვნელად ძირითადია ტერმინი "საცნობე-
ლნი". აღვნიშნავთ, რომ სხვადასხვა ცალკეულ შემთხვევებში, ისევე, როგორც
საზოგადოდ ძველ ქართულ მწერლობაში, ექვთიმე ათონელი ბერძნული
αισθησις-ის შინაარსით იყენებს ტერმინებს "ცნობად", "გულისკმისყოფად",
"მეცნიერებად".

აწ შობილსა ყრმასა მისცა
ცნობად ვორციელი (ბასი-
ლი, სწავლანი, 134, 14)

τον αρτιγενη παιδα αισ-
θησιον λαμβανειν σωμα-
τικην (Pg. 31, col. 412
C)

მისცემს ყრმასა მცირესა
ცნობასა და გულისკმის-
ყოფასა (134, 10)

παιδι νεω διδωσιν αι-
σθησιον και εννοιαν
(col. 412 B)

ცნობა ბოროტისა შობს
დაცხრომასა მისსა (კლე-
მაქსი, კალენდარი, გვ. 430,
LXV)

συναισθησις γεννα κακου
η καταπαυσις η μειωσις
(არქიმანდრიტ იგნატის
მიითთ. გამოც., გვ.333)

მოიგონ ცნობად გონიერე-
ბისად (იქვე, გვ. 393)...

... νοερα αισθησις (იქვე,
გვ.281)

გონებასა გონიერსა გონიე-
რიცა ცნობად ჰმოსიეს (იქვე,
გვ. 397)

vous νοερος παντως και
νοεραν αισθησιον περιβεβληται
(გვ. 287)

ცნობად საღმრთოდ ჰპოვე
შენ (გვ. 398)

θειαν αισθησιον ευρησεις
(გვ.288)

ცხორებად მონაზონისად გუ-
ლისკმისყოფით იყავნ (გვ.
398)

მოძღუარი იგი... მოვიდა
გულისკმისყოფად (გვ. 414)

რომელი გულისკმისყოფი-
თა გულისადთა დაყუდე-
ბულ იყოს, იცის მან თქუ-
მული ესე (გვ. 432)

თქუა მეცნიერებითა სუ-
ლისადთა (გვ. 391)

ზედსართავი *αισθητος* ექვთიმეს მიერ (ისევე, როგორც გიორგი მთაწმიდლის მიერ), ჩვეულებრივ, თარგმნილია, როგორც "ხილული", იშვიათად, "მგრძნობელი", "საგრძნობელი", "ცნობიერი" და ა.შ. ექვთიმეს თარგმანებში "უგრძნობელობის" შინაარსით გვხვდება: "უცნაურობად", "უცნობელობად", "უცნობოდ", "უცნაურად" და სხვა

სიძულილი ხილულთად შემ-
ყვარებელი არს უხილავ-
თად (კლემაქსი, გვ. 425)

ყოველთა ხილულთა ქუე-
წარმავალთა მკლველი არს
ირემი (გვ. 426)

ნათელი ყოველთა სხეულ-
თად არს მგრძნობელნი
თუალნი (გვ. 410)

ორი საგრძნობელი თუალ-
თად (გვ. 425)

უცნაურობა ტკივილისა (გვ.
237)

წარპარვად ესე არს, რა-
ჟამს უცნაურად გონებად
მიმოვიდოდის (გვ. 449)

ნუცა თავის-იდებ, რადთამ-
ცა უცნობელობითა მით
ძილისადთა ნახევარი ცხო-
რებისა შენისად უკმარ იყო
(ბასილი, სწავლანი, გვ.
44, 29)

*βιος μοναδικος εν αισ-
θησει καρδιας γινεσθω*
(გვ. 288)

*ο μεν διδαξας εις συ-
ναισθησιν εληλυθως* (გვ.
310)

*ο εν αισθησει καρδιας
ησυχазων γινωσκει το
ειρημενον* (გვ. 335)

ειπεν εν αισθησει ψυχης
(გვ. 278)

*απροσπαθεια δε αισθητων
θεωρια νοητων* (p. 326)

*παντων θηριων αισθητων
αναιρετικη η ελαφος* (p.
326)

*φως μεν των του σωματος
παντων αρθρων οι αισ-
θητοι οφθαλμοι* (p. 305)

εν δυσιν ομμασιν αισθητοις
(p. 325)

αναισθησια πονου (p.
66)

*κλοπη εστι, το ανεπα-
ισθητως την εννοιαν ρεμ-
βεσθαι* (p. 360)

*μηδε καταδεξη δια της
κατα τον υπνον αναι-
σθησιας το ημισυ της
ζωης αχρειουν* (Pg. 31,
col. 244 C)

უცნობელნი და უმანკონი
ჩჩვლნი აღსარებად ღმრთი-
სა მოვლენ (იქვე, გვ. 112,
30)

ყოველსავე ჰასაკსა ზედა
მოიწიოს მწუხარებად იგი
და გლოვად ცნობიერსაცა
და უცნობოსა (გვ. 113,
7)

იხილოს უცნაურად მათ-
გან, რომელთა აქუნდეს
(გვ. 406)¹

*αναισθητα δε και αμε-
μπτα βρεφη προς την
εξομολογησιν επειγεται (col.
309 D)*

*δια πασης ηλικιας η
στυθραποτης κρατηση,
αισθανομενης τε και
αναισθητου (col. 312 B)*

*ανεπαισθητως ετερων δι-
ακειμενων (p.299)*

ზემოწარმოდგენილი სურათი, როგორც აღვნიშნეთ, აშკარად ცხადყოფს, რომ ექვთიმე ათონელისათვის "გრძნობის ორგანოთა" გადმოსაცემად უმთავრესია ტერმინი "საცნობელნი", თუმცა სხვადასხვა ცალკეულ შემთხვევაში იგი ბერძნულ *αισθησις*-ს და მასთან ფუძეზიარ ტერმინებს თარგმნის, აგრეთვე, როგორც "ცნობად", "გულისკმისყოფად", "შეცნობებად", "ხილული", "მგრძნობელი", "საგრძნობელი", "ცნობიერი", "სიბრძნე", "საცნაური", "უცნაურობად", "უცნობელობად", "უცნობოდ", "უცნაურად", "უღმობელობად" და სხვა.

ბერძნული *αισθησις*-ის ქართულ შესატყვისთა მრავალგვარობა საზოგადოდ ახასიათებს ძველ ქართულ მწერლობას. ექვთიმე ათონელი ამ შემთხვევაში სახეა ქართული მწერლობისა. ასეთ მრავალგვარობას, ცხადია, თავად ბერძნული ტერმინის კონტექსტისეულ მნიშვნელობათა ნიუანსობრივი განსხვავებანიც განაპირობებს. ჩვენთვის ამ შემთხვევაში, ისევე, როგორც საზოგადოდ წინამდებარე გამოკვლევის სხვა ნაწილებში, საყურადღებოა და განმსაზღვრელია მხოლოდ ძირითადი ტერმინული შესატყვისობანი, როგორც ამსახველნი კანონზომიერი და ცნებითად გაცნობიერებული პროცესისა.

გიორგი მთაწმინდელიც, როგორც უკვე მივუთითეთ, "გრძნობის ორგანოთა" აღმნიშვნელად, ექვთიმე ათონელის მსგავსად, იყენებს ტერმინს "საცნობელნი", თუმცა მის თარგმანებში ბერძნული *αισθησις*-ის შესატყვისად ცალკეულ შემთხვევებში ექვთიმე ათონელთან დამოწმებული სხვა ტერმინებიც, ცხადია, გვხვდება.

ამჯერად არ არის აუცილებელი ვრცლად განვიხილოთ "გრძნობის ორგანოთა" აღმნიშვნელი ქართული ტერმინოლოგიის ვითარება და სახე კიდევ უფრო მოგვიანო პერიოდში. მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ეფრემ მცირესთან გვხვდება როგორც "საგრძნობელნი", ასევე "საცნობელნი". მაგალითად:

¹ ზოგჯერ ექვთიმესთან შეიძლება შეგვხვდეს მოულოდნელი, ოდენ კონტექსტიდან გამომდინარე (და არა ტერმინული) შესატყვისები: მაგ. "სიბრძნე": "სიბრძნე (η αισθησις) ბუნებით არს სულსა შინა, ხოლო ცოდვად წარსწყმედს სიბრძნესა (αισθησεως) მას" (კლემაქსი, გვ. 430; ბერძნ. P.333); "საცნაური": "იშვებს საცნაურად (αισθησει αυτων)" (გვ. 203; ბერძნ. გვ. 2); "უღმობელობა": "სრულსა უღმობელობასა (τελειαν αναισθησιν) და უტკივარობასა (απιστιαν)... იტყოდეს ქონებად" (გვ. 243; ბერძნ. 74) და სხვა.

"შესწორებულად ხუთთა საცნობელთა ხუთ არიან ვნებანიცა"¹

"ვნებასა ჰყოფენ საგრძნობელთა ჩუენთა შინა"²

საზოგადოდ ეფრემ მცირის დროს, ცხადია, უკვე კარგა ხანია დამკვიდრებულია ტერმინები "გრძნობად" "გრძნობითი", "გრძნობადი" და მისთ. ეს ტერმინები, როგორც ვნახეთ, არსებითია გრიგოლ ნოსელის "კაცისა შესაქმის" უძველესი თარგმანისათვის, რომელიც VIII-IX სს-ით თარიღდება. ყოველი მათგანი, რა თქმა უნდა, სრულადაა ასახული საკუთრივ ეფრემთან (იხ. "დიალექტიკის" დასახ. გამოც. გვ. 207-208). ეგევე ითქმის კონკრეტულად "გრძნობის ორგანოების" აღმნიშვნელ ტერმინებთან დაკავშირებითაც. ამ მხრივაც, როგორც ზემორე ნიმუშები ცხადყოფს, ეფრემი ორსავე ტრადიციას ასახავს. დავძენთ, რომ ტერმინი "საგრძნობელნი" გვხვდება, აგრეთვე, დიონისე არეოპაგელის შრომის მისეულ თარგმანში:

გამოუცხადებელ საგრძნობელთა იყოს წინამდებარე იგი საძიებელი (საღმრთ. სახელ. IV. 11)³

ατρανωτα η τα παρακειμενα ταις αισθησειν (Pg. III, col. 709 A)

XI ს-ის II ნახევრიდან თანდათან ბატონდება "საგრძნობელნი". ეს ტერმინი გვხვდება არსენ იყალთოელთან, რომელიც შეძლებისამებრ აწესებს ტერმინულ ერთცნებითობას: *τα αισθητηρια* - "საგრძნობელნი", *η αισθησις* - "გრძნობად" *αισθητικος* - "მგრძნობელობითი", "მგრძნობელი", "გრძნობადი" (იხ. იოანე დამასკელის "დიალექტიკის" ლექსიკონი, შედგენილი გამომცემლის მ.რაფაევას მიერ: იოანე დამასკელი, დიალექტიკა, თბ. 1976, გვ. 207-208, 232).

გრძნობის ორგანოთა აღმნიშვნელად ასევე "საგრძნობელნი" გვხვდება არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილ "დიდ სჯულისკანონში":

"ვსცხებთ წმიდასა მიპრონსა პირველად შუბლსა და ცხვრთა და ყურთა და მკერდსა და ყოველთა საგრძნობელთა" ("დიდი სჯულისკანონი", თბ. 1975, გვ. 539, 35)

ტერმინ "საცნობელთა" თანდათანობითი შეზღუდვის მთავარი მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ ამ ტერმინის საფუძველი "ცნობა" ჩვეულებრივ "ცნობიერებას" გულისხმობდა და არა "გრძნობადობას". ამასვე ნიშნავდა "საცნობელთა" პარალელურად ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები: "საცნაურნი", "ცნობადნი", "მცნობელნი" და მისთ. ასე რომ, ტერმინული ერთცნებითობის პრინციპად დამკვიდრების ჟამს ცხადია გაცილებით უფრო მისაღები იქნებოდა "საგრძნობელნი" (და არა "საცნობელნი"), რადგანაც თვით "საგრძნობელთა"

¹ იოანე დამასკელი, დიალექტიკა, გამოსცა მ.რაფაევამ, თბ. 1976, გვ. 179, 11; დამოწმებულია ლექსიკონში, გვ. 254. შესატყვისი ბერძნული ტექსტი უცნობია (იხ. იქვე, გვ. 179 შენ).

² იქვე, გვ. 144. შდრ. გამომცემლის ზუსტი განმარტება: "საგრძნობელი - *η αισθησις* გრძნობის ორგანოები" (გვ. 207). დასაზუსტებელია ზემოდამოწმებულ "საცნობელთა" მკვლევარისეული განმარტება: "საცნობელი - გრძნობის, შეცნობის უნარის მქონე" (გვ. 254). უნდა იყოს: "საცნობელი - გრძნობის ორგანო: საცნობელნი - გრძნობის ორგანოები".

³ დიონისე არეოპაგელი, შრომები, სენუქაშვილის გამოც. გვ. 39. აღნიშნულ თარგმანში მრავლობითი ფორმა *αι αισθησεις* ჩვეულებრივ გადმოტანილია, როგორც "გრძნობანი", იშვიათად, "გრძნობადნი". მაგ. : "ნამეტნავ არიან გრძნობადთა თანა გრძნობანი (გვ. 39 - *περιτται μετα των αισθητων αισθησεις*, col. 708D); "უპატიოსნეს არიან გრძნობადთანი იგი უგანცხადებულესნი-რე წიაღსავალნი" (გვ. 39- "*...των αισθησεων διαπορθμευσεις* col. 709 A)); საზოგადოდ, ეფრემთან "გრძნობადი" გადმოსცემს ბერძნულ *αισθητος*-ს.

სათავე "გრძნობა" და მასთან ფუძეზიარი სიტყვები ტერმინულად სწორედ გრძნობადობას, სენსორულობას გულისხმობდნენ.

გრძნობადობის აღსანიშნავად ტერმინ "საცნობელთა" თანდათანობითი შეზღუდვის მაჩვენებელი უნდა იყოს ისიც, რომ XI ს-ის II ნახევრის ტექსტებში ეს ტერმინი უკვე ხშირად იჩენს თავს რამდენადმე განსხვავებული შინაარსით და იგი უიგივდება ბერძნულ ტერმინს *αι φρενας*, რომელიც თუმცა გარკვეულწილად *αισθησις*-საც გულისხმობს, მაგრამ, ჩვეულებრივ, ცნობიერებას, აღქმას, აღქმის, შეცნობის უნარს, შეცნობადობას აღნიშნავს. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს, მაგალითად, ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი იამბიკო გრიგოლ ღვთისმეტყველისა, სადაც ვკითხულობთ:

გინებად შესწუვიდეს საც-
ნობელთა

*υβρις εκκαη την την
φρενα* (Pg. 37 col. 940A)

აღნიშნული თვალსაზრისით საყურადღებოა, აგრეთვე, მეტაფრასულ საკითხავთა ძველი ქართული თარგმანები, რომლებიც სწორედ XI ს-ის II ნახევარს ეკუთვნის. მოგვაქვს ზოგი საგულისხმო ნიმუში:

განხრწნილებად საცნობე-
ლთა მისთად (67. 5)²

Plane emotie mentis (Pg. 115, col. 573 C) ეს შესიტყვება იგივეა, რაც ბერძ. *διαφορα των φρεων* (შდრ. ქვემოთ ნიმუშები)

განგიხრწნიან საცნობელნი
და წარგიწყმედიეს ცნობად
(79. 36)³

... რომელ-ესე არს ქო-
ნებად საცნობელთად (80.
42)

რომელთა-იგი საცნობელ-
ნი წარუწყმედიან (94. 40)

τας φρενας διαφοροσι
(sunt emotae mentis)
(Pg. 115, 628C)

რომლისამცა არა მსგავს
იყო... განხრწნილებისა საც-
ნობელთადსა (169. 25)

*ποιας... διαφορας των
φρεων* (col. 664A შდრ.
mentis plane emotae)

1 იხ. ძველი ქართული ლიტ. ქრესტ., გამოსცა ს. ყუბანეიშვილმა, I თბ. 1946, გვ. 368. მითითებულია გამოცემისადმი დართულ ლექსიკონში

2 ნიმუშები მოგვაქვს შემდეგი გამოცემიდან: "ძველი მეტაფრასული კრებულები", ნ. გოგუაძის გამოც., თბ. 1986 (ფრჩხილებში მითითებულია აღნიშნული გამოცემის გვერდები და სტრიქონები). შდრ. იმავე ტექსტის თეოფილესეული თარგმანი: "გარყუნილებად საცნობელთა მათ სულისათად" (Ath. 20, 25v - გამოსაცემად მომზადებული ტექსტი მოგვაწოდა ნ. გოგუაძე).

3 შდრ. თეოფილე: "... განხრწნილ არიან (საცნო)ბელნი მისნი" (33v)

აღიხილა ქრისტეს მიმართ
თუალითა და საცნობელი-
თა (482. 19)

*τους οφθαλμους Χριστω
μετα των φρενων* (cum
mente) *ανασχουσα*
(Pg. 115, col. 968 B)

ერთგან "საცნობელნი" გრძნობადობასაც აღნიშნავს:

საცნობელნი მისნი იხა-
რებდენ (493. 23)

αισθηται χαιροντα (col.
988 B)

გრძნობის ორგანოთა აღმნიშვნელად გვხვდება "საგრძნობელნი":

იყავ... დაცვაჲ საგრძნო-
ბელთაჲ და პირველ სხუ-
ათასა თუალთა და ყურ-
თაჲ (456. 210)

*εστω... αισθησεων φυλ-
ακη και προ γε των
αλλων οφθαλμων και ωτ-
ων* (Pg. 115, col. 916B)

ხსენებულ ძეგლებში, ცხადია, ხშირად ვლინდება სიტყვა "გრძნობაჲ" და მასთან ფუძეზიარი სიტყვები. აი, რამდენიმე საგულისხმო ნიმუში:

გრძნობა

ცნობისა და სიტყვერისა
გრძნობისაგან დაკლებულ
არიან (65. 23)¹

prudentiae expertes et rationis
(Pg. 115, col. 572 B)

არცა ერთისა რაჲ ტკივი-
ლთა გრძნობისა მიმღებ-
ელი (65. 35) (შდრ. თეო-
ფილე: "არა სცნობდა ტკი-
ვილსა მას ღმობათასა, 25
v)

*nullum dolorem sentiret
penitus* (Pg. 115, col. 572
C)

ცნობისა და გრძნობისაგან
უცხოქმნილთა შედგომად
(169. 27)

*αισθησεως τε και φενων
ερημοις* (quae carent sensu
et intelligentia) *ακο-
λουθησαι* (col. 664 A)

უფიცხეს ექმნას მას გრძ-
ნობაჲ იგი ტკივილთაჲ (440.
41)

*δριμυτεραν αυτω την αισ-
θησιν των οδυνων γινε-
σθαι* (col. 888 A)

¹ შდრ. თეოფილე: "უცხო არიან ივინი ცნობისაგან სიტყვსა და საცნობელთა"
(25 ო)

სცთები... ღმერთყოფასა...
ოვერთასა ყოვლისაგან ცნობისა და გრძნობისა (450. 18)

πλανασθε... θεους ειναι...
λογου παντος και φρενων
οντα και αισθησεως ερημα (col. 904 C)

... უცხოთა მაგათ ცნობისა და გრძნობისაგან (477. 20)¹

αισθησεως δε και φρενων ερημα (col. 960 A)

მიენიჭოს მას გულისკმისყოფად სიტყვსად და გრძნობად ძალსა... თქუმულთასა (487.17; შდრ. თეოფილე: "გულისკმისყოფად გონებისად რადთა სცნობდეს ძალსა... თქუმულისასა")

λογου τε λαβειν συνεσιν και αυτα εκαστα των λεγομενων συμβαλλειν (976 C)

გრძნობადი

გრძნობადთა ყოველთა აღმატებულებად აქუნდეს (331. 56)

τοις αισθητοις (sensilia) απασι το εξαιρετον εχη (col. 712 C)

რეცა ვორცთა სახილველობითა გრძნობადად იუდა შემოიყვანებოდის (128. 29)

οιον τι σωμα τον Ιουδαν κατα το αισθητον λαμβανομενον (Pg. 97, col. 825 C)

მაგრძნობელი

ვერარას მაგრძნობელ მრავალთა მათ საშუებელთა (50. 33)

უგრძნობელობა

ყრუ არიან... ფრიადისათვის სიზრქისა და უგრძნობელობისა (62. 36)²

sunt surdae... crassi et nullo sensu preediti (Pg. 115, col. 570 A)

უგრძნობელი

შენი ეგე ღმერთი... უსულლო არს და უგრძნობელ (100. 19)

η δε ση θεος... αψυχος τε ουσα... και αναισθητος (Pg. 115, col. 637 C)

1 თეოფილე: "... დაკლებულთა ცნობისაგან და ოვერთა საცნობელთაგან" (160 ო)
2 შდრ. თეოფილე: "... მრავლისა მის და უგულისკმოებისა თქუნისა" (23ო)

სცნა..., ვითარმედ უგრ-
ძნობელ არიან (450. 24)

ειση... ως αναισθητα εισι
(col. 904 C)

უუგრძნობელეს

უუგრძნობელეს ვიყო თქუ-
ენისა მის ღმრთისა (99.
33)

αυτου γε αν ειην ανα-
ισθητοτερος του υμετε-
ρου θεου (Pg. 115, 637
A)

ტერმინულ სახეცვლათა შესწავლის უამს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იოანე პეტრიწის შრომები, რადგანაც იოანე პეტრიწი ხშირ შემთხვევაში სრულყოფს ამათუიმ ბერძნული ტერმინის ქართულად თარგმნა-ათვისების მრავალსაუკუნოვან პროცესს. კონკრეტულად "გრძნობის ორგანოების" აღმნიშვნელ ცნებებთან დაკავშირებით გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ პეტრიწმა გელათური სკოლის კვალობაზე უარყო ტერმინი "საცნობელნი" (ამგვარი უარყოფა, როგორც აღვნიშნეთ, XI ს-ის II ნახევრიდან იწყება). მან, ერთი მხრივ, შეიწყნარა "საგრძნობელნი", პარალელურად კი ისარგებლა ახალი გელათური ტერმინით "გრძნობისსაცავნი".

ტერმინი "გრძნობისსაცავნი" განმარტებულია ს.გორგაძის მიერ: "გრძნობის-საცავნი - "გარეგან გრძნობათა" ორღანოები *τα αισθητηρια sensoria ...* შეად. საგრძნობელნი" (ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვის კაცისა, ბერძულითგან გადმოღებული იოვანე პეტრიწის მიერ, ქართული ტექსტი შეისწავლა, გამოსაცემად დაამზადა და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო ს.რ.გორგაძემ, ტფ. 1914, გვ. 184). როგორც აღვნიშნეთ, ეს ტერმინი შექმნილი ჩანს პეტრიწამდე გელათურ სკოლაში. მაგალითად "მრავალგუარი თხზულებაჲ გრძნობისსაცავთაჲ (*αισθητηριων*)" (მაქსიმე აღმსარებელი, შრომები, გელ. 14, ფოტო 109. 1; Pg. 90, col. 428B). საზოგადოდ, ბერძნული *αισθητηρια* აღნიშნულ სკოლაში გადმოტანილია, როგორც "საგრძნობელნი". საკუთრივ "საგრძნობელნი" ს.გორგაძის მიერ ასეა განმარტებული: "საგრძნობელნი იმდენი არიან, რამდენიც გარეგანი გრძნობა გვაქვს" (გვ. 205). ტერმინ "საგრძნობელთან" დაკავშირებით აგრეთვე თქმულია: "ზოგჯერ "საგრძნობელნი"-ც აღნიშნავს იმავე "საგრძნობელს" (გვ. 206). ორივე მათგანი გადმოსცემს ტერმინებს *τα αισθητηρια* და *αισθησεις*. ამ უკანასკნელის შესატყვისად პეტრიწთან გვხვდება აგრეთვე "გრძნობანი". მოგვაქვს რამდენიმე საგულისხმო ნიმუში:

ძალად სხეულთად... საგ-
რძნობელთა ამათ იტყვს
(57, 12)

δυναμεις δε του σω-
ματος... λεγουσιν ειναι
τας αισθησεις (Pg. 40,
col. 605 A)

არავინ იყოს მათდა არ-
შემნდობელ საგრძნობელ-
თა სხეულებრივად ძალად
აღმოჩენისათვის (57, 15)

ουδεις δε αν αυτοις,
οιμαι, συγχωρησεις, τας
αισθησεις σωματικας δυ-
ναμεις αποφαινομενοις
(col. 605A)

საგრძნობელთ მქონებელ
არიან (60, 3)

τα αισθητηρια εχουσι
(col. 612A)

შორის საგრძნობელთა იქ-
მნების ვნებაჲ (72, 13)

და მათ-შორისი მფშვნევი-
რებითი სული და მომზად-
ებაჲ გრძნობისსაცავთაჲ
(73, 13)

არიან უკუჲ გრძნობისსაც-
ავნი ხუთ, ხოლო გრძნობაჲ
ერთ, სულიერებრი, რო-
მელი იუწყების გრძნობის-
საცავთა მიერ (73, 13-15)

რომელიმე... სხეულებრივ-
რე გრძნობისსაცავთაჲ (73,
16)

ჯერ-არს ვინაჲვე აწ ამათ
სიტყუათაებრ..., რათა ოთხ
იყვნენ გრძნობანიცა,¹ არა-
მედ... მეხუთე გრძნობის-
საცავი, რომელ არს საყ-
ნოსული, ბუნებისაგან მო-
იპოვა (73-74)

შეიცვალებთან ვინაჲვე საგ-
რძნობელნი, არამედ გან-
სჯის შეცვალებასა გრძნო-
ბაჲ (74, 10-11)

იწოდების უკუე მრავალგზის
გრძნობაჲ საგრძნობელად
(74, 11)

საგრძნობელნი - ორღანო
მითუალვისა გრძნობადთა-
დასა (74, 18)

მხედვარეობაჲ სეხნობითად
ითქუმის, ვითარ-იგი
გრძნობისსაცავი და ძალი
მგრძნობელობითი (75, 6)

*εν τοις αισθητηριοις εγ-
γινεται παθος (col. 633A)*

*... τω ψυχικω πνευματι,
και η κατασκευη των
αισθητηριων (col. 635-
636)*

*εστι δε αισθητηρια μεν
πεντε, αισθησις δε μια, η
ψυχικη, η γνωριζουσα δια
των αισθητηριων (col.
636A)*

*τω μεν... σωματικοτατω
των αισθητηριων (col.
636A)*

*εδει τοινον κατα τουτον
τον λογον... τεσσαρας ει-
ναι και τας αισθησεις,
αλλ... πεμπτον αισθητη-
ριον, η οσφρησις, υπο της
φυσεως εξευρηται (col.
636 B)*

*αλλοιουται μεν γαρ τα
αισθητηρια, διακρινει δε
την αλλοιωσιν η αισθησις
(col. 636C)*

*καλειται δε πολλακις αισ-
θησις και τα αισθητηρια
(col. 636C)*

*αισθητηριον δε Οργανον
της αντιληψεως των αισ-
θητων (col. 637A)*

*η οψις ομωνυμως λεγεται,
και το αισθητηριον και
η δυναμις η αισθητικη
(col. 637B)*

¹ ტერმინი "გრძნობაჲ" სგორგადის მიერ ასეა განმარტებული: "გარეგანი გრძნობაჲ" *αισθησις sensus...*: მხედველობა, სმენა, შეხება, ყნოსვა და გემოვნება (იქვე, გვ. 184). აქვეა განმარტებული ტერმინი "გრძნობისსაცავნი"

არამედ სამნი უკუს საგრძნობანი, ვითარ-იგი მხედველობად და სმენად და ყნოსად... მიითუალკენ გრძნობადთა (80, 11)

მხედველობად მოწმედ მკმარებელი სხუათაცა საგრძნობელთა... (80, 12)

მხედველობად მოქენე არს უვნებთა გრძნობისსაცავთა (81, 21)

სხუანი თვთოეულნი გრძნობისსაცავნი ორკეცად შემოქმედმან შემზადნა (83, 24)

გრძნობითნი ძარღუნი... ორკეც ჰყოფდენ გრძნობისსაცავთა (84, 7)

არამედ უძრავლესთა გრძნობისსაცავთა ხრწნისაგან არა ვინად თვთ მის ცხოვლობისათვის ევნების ცხოველსა (84, 10)

სხუათა გრძნობათაგან საზიარო (84, 13)

ხოლო სხუანი გრძნობანი (შეხების გარდა, ე.ჭ.) არა ყოველნი ყოველთა (84, 14)

შეემთხვა უკუე თვთოულსა გრძნობისსაცავთასა ორკეცისა ვინადვე ქონებად გრძნობისა (85, 3)

ამათ საგრძნობელთა (მხედველობასა და შეხებას, ე.ჭ.) დიდი ზიარებად აქუს ურთიერთას (86, 13)

სხუათა საგრძნობელთასა უფრო გამოძვიებულად აქუს საგრძნობელი ესე (შეხება, ე.ჭ.) კაცსა (86, 22)

αι μεν ουν τρεις των αισθησεων, η τε οψις και η ακοη η οσφρησις... αντιλαμβανονται (648A)

η οψις της επιμαρτυριας χρηζει της των αλλων αισθησεων (col. 648A)

η οψις χρηζει αβλαβους αισθητηριου (649A)

εκαστον μεν των αλλων αισθητηριων διπλουν ο Δημιουργος κατεσκευασε (col. 649A)

τα αισθητικα νευρα... διπλα ποιη τα αισθητηρια (col. 649B)

των μεν πλειστων αισθητηριων διαφειρομενων, ουδεν εις αυτην την ζωην καταβλαπτεται το ζων (649B)

των αισθησεων κοινη (col. 649 B)

τας δε αλλας αισθησεις ου παντα πασας (649B)

συμβηκει ουν εκαστον των αισθητηριων διπλας εχειν αισθησεις (col. 652A)

πολλην κοινωνιαν αι αισθησεις αυται προς αλληλας εχουσι (653A)

... ακριβεστατην γαρ εχει ταυτην την αισθησιν ο ανθρωπος (653B)

ყოველი უკუე სხეული შე-
ხებისა არს გრძნობისსა-
ცავ (86, 28)

თვთეული გრძნობისსაცა-
ვი... თვსთა საგრძნოთა
არს მიმთუალველ (88,6)

სული გრძნობადთა ვინა-
მე გრძნობისსაცავთა მიერ
მიმთუალავს (89, 15)

საგრძნობელნი უკუე და-
იცლებიან (91, 12)

საგრძნობელთა უკუე და-
საწყისად და ძირად წი-
ნადთკერძოთა მუცელთა ვიტ-
ყვთ ტვნისათა (91, 5)

*παν μεν το σωμα της
αφης εστιν αισθητηριον*
(col. 653B)

*εκαστον των αισθητηρι-
ων... ιδιων αισθητων αν-
τιλαμβανεται* (col. 657B)

*η γαρ ψυχη των μεν
αισθητων δια των αισ-
θητηριων αντιλαμβανεται*
(661A)

*αι μεν αισθησεις παρα-
ποδιζονται* (col. 664B)

*των μεν αισθησεων αρ-
χας και ριζας τας εμ-
προσθεν ειναι κοιλιας φα-
μεν του εγκεφαλου*
(col.664 A)

XII ს-ის ტერმინულ ვითარებას ასახავს, აგრეთვე, გელათური ბიბლიაც. გრძნობის ორგანოთა აღმნიშვნელი კონკრეტული ტერმინი *τα αισθητηρια* გვხვდება "იერემიას" წიგნში, რომლის გელათური თარგმანი ასეთია:

საგრძნობელნი ჩემისა შე-
ირყევინან გულისანი (იერ.
4, 19; ადრინდელი თა-
რგმანის შესახებ იხ. ქვე-
მოთ)

*τα αισθητηρια της κα-
ρδιας μου μαιμασσει*

მიუხედავად იმისა, რომ "საგრძნობელნი" და "საცნობელნი", აგრეთვე ტერმინი "გრძნობად" და მასთან ფუძეზიარი სიტყვები საკმაოდ ძველ ტექსტებში გვხვდება, მაინც უძველეს თარგმანებზე დაკვირვება ცხადყოფს, უადრეს ხანაში ბერძნული *η αισθησις*, როგორც ჩანს, ხსენებული ტერმინებით არ ითარგმნებოდა. ბიბლიის ადრეული რედაქციები კონკრეტულად ასეთ სურათს გვიჩვენებს:

η αισθησις

მისცე... ყრმათა ჩჩვლთა
ცნობად" (ლექც. "გულის-
ვმისყოფად" (იგავ. 1, 4)

*δω... παιδι δε νεω αισ-
θησις*

1 ფრჩხილებში მითითებულია ლექციონარისეული მონაცემები (იხ. ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი, ტ.1, ნაწ.1, თბ. 1987). სამწუხაროდ, ლექციონარის ლექსიკონში საერთოდ არ ასახულა *αισθησις*-ის ქართული შესატყვისები.

მსახურებად ღმრთისა მი-
მართი - დასაბამ ცნობისა
(ლექც. ასეა 1, 7)

მოიძულეს მეცნიერებად
(ლექც. ასეა 1, 22)

... მეცნიერებად სულსა
შენსა (ლექც. ასეა 2, 10)

მეცნიერებითა უფსკრულ-
ნი გამოეცნეს (ლექც. აკ-
ლია 3, 20)

მეცნიერებასა ბაგეთა ჩემ-
თასა გამეცნებ შენ (ლექც.
ასეა 5, 2)

მიიღეთ... მეცნიერებად უფ-
როდს ოქროდსა (ლექც.
ასეა, 8, 10)

ბრძენთა დაფარიან მეც-
ნიერებად (ლექც. ასეა, 10,
14)

ცნობამან მართლისამან
განაგის იგი (ლექც "სიბ-
რძნე"; 11. 9)

რომელსა უყუარს სწავ-
ლად, უყუარს მას ბრძნუ-
ლებად (ლექც. "გონიერე-
ბად", 12, 1)

კაცი გულისგმისმყოფელი
საყდარი არს მეცნიერები-
სად (ლექც. ასეა 12, 23)

ცნობად გონიერთა თანა
ადვილ არს (ლექც. აკლია
14, 6)

საჭურველი მეცნიერებათა
- ბაგენი ბრძენთა (ლექც.
აკლია 14, 7)

ბრძენთა დაიპყრნენ კარნი
გულისგმისყოფისანი
(ლექც. აკლია 14, 18)

*ευσεβεια δε εις θεον αρχη
αισθησεως*

εμισησαν αισθησιν

*η δε αισθησις τη ση
ψυχη*

*εν αισθησει αβυσσοι ερ-
ραγησαν*

*αισθησιν δε ημων χε-
ιλεων εντελλομαι σοι*

*λαβετε... αισθησιν χρυ-
σιου*

*σοφοι κρυψουσιν αισθ-
ησιν*

*αισθησις δε δικαιων ευο-
δος*

*ο αγαπων παιδειαν αγα-
πα αισθησιν*

*ανηρ συνετος θρονος αισ-
θησεως*

*αισθησις δε παρα φρο-
νιμοις ευχερης*

*οπλα δε αισθησεως χειλη
σοφα*

*οι δε πανουργοι κρατ-
ησουσιν αισθησεως*

ბაგეთა ბრძენთა ჰმოსია
მეცნიერებად (ლექც. ასეა
15, 7)

χειλη σοφων δεδεται αισ-
θησει

გული მართალი ეძიებს
ცნობასა (ლექც. ასეა 15,
14)

καρδια ορθη ζητει αισ-
θησιν

გულმან გონიერმან მოიპ-
ოვოს ცნობად (ლექც. ასეა
18, 15)

καρδια φρονιμου κταται
αισθησιν

გულისჳმა-ვოს მეცნიერებად
(ლექც. აკლია 19, 25)

νοησει αισθησιν

სასმენელნი შენნი განჰმ-
ზადენ სიტყუათა მეცნიერ-
ებისათა (ლექც. ასეა 23,
12)

τα δε ωτα σου ετοιμασον
λογοις αισθησεως

მეცნიერებით აღივსებიან
საუნჯენი (ლექც. აკლია
24, 4)

μετα αισθησεως εμπιμ-
πλαται ταμεια

გაული კაცისა მჳმუნგარე
(ლექც. აკლია 14, 10)

καρδια ανδρος αισθητικη

კურნებად ძუალთა - გული
მეცნიერებისად (ლექც.
"გულისზრახვად კაცისად",
14. 30)

σης δε οστων καρδια
αισθητικη

ტიროდიან ტკივილითა მა-
თითა (ივლ. 16, 17)

κλαυσονται εν αισθησει¹

არა არს მათ თანა გუ-
ლისჳმა (ეპ. იერ. 41)

αισθησιν γαρ ουκ εχουσιν

გარდაერიოს მეცნიერები-
თა და ყოვლითა ფრთხი-
ლებითა (ფილ. 1, 9)

περισσειη εν επιγνωσωι
και παση αισθησει

1 *αισθησις* გვხვდება "გამოსლვათა" წიგნის 28-ე თავშიც. სამწუხაროდ ბიბლიის ქართული თარგმანის ეს ნაწილი, როგორც ცნობილია, უძველეს ოშკურ რედაქციას აკლია. გვიანდელი რედაქციები ასეთია: "... აღიყვანენ სულითა მეცნიერებისათა" (ბაქარის ბიბლია); "აღივსენ სულითა მგრძნობელობისათა" (AK); "აღავსენ სულითა მგრძნობელობისათა" (C); "აღვაკსენ სულითა მგრძნობელობისათა" (S); იხ. წიგნის ძუელისა აღთქუმისანი, ნაკ. 1, შესაქმისად, გამოსლვათად, თბ. 1989, გვ. 474-475 (ლიტერების გაშიფრვა, იქვე, გვ. 61)

το αισθηριον

რომელთა სახითა მით გონებანი (ეფრემისეულ რედაქციაში "საცნობელნი") წურთილნი ჰქონედ (ებრ. 5, 14)

των δια την εξιν αισθητηρια γεγυμνασμενα εχοντων

გულიხუმისსაყოფელნი გულისა ჩემისანი კუნესის (იერ. 4, 19)

τα αισθητηρια της καρδιας μου μαιμασσει

αιθανομαι

ვაგრძნე, რად იგი მითხრას მე (იობ. 23, 5)

αισθοιμην δε τινα μοι απαγγελει

წყლითრღუნად ვერ აგრძნეს (იობ. 40, 18)

πλημυρα ου μη αισθηθη

აწ იხილეთ (ლექც. ასეა; ეს. 33, 10)

νυν αισθηθησεσθε

ცნას ყოველმან ვორციელმან (ეს, 49, 26)

αιθανθησεται πασα σαρξ

არა აგრძნიან დაშავებად (ეპ. იერ. 21)

ουκ αιθανονται μεμελωνωμενοι

არცადა, რაჟამს შეიბერვოდეს, გულიხუმა-ყყო (ეპ. იერ. 24)

ουδε γαρ οτε εχωνευοντο ησθανοντο

და ვერ უძლიან მათ, გულიხუმა-ყვიან (ეპ. იერ. 41)

... αισθεσθαι

ვითარ არა გულიხუმისსაყოფელ არს (ეპ. იერ. 49)

πως ουν ουκ εστιν αισθεσθαι

იყო დაფარულ მათგან, რადთა ვერ გულიხუმა-ყონ იგი (ლუკა 9, 45)

ην παρακεκαλυμμενον απ αυτων ινα μη αισθωνται αυτο

როგორც ზემორე ნიმუშები ცხადყოფს, ბიბლიურ ტექსტებში ბერძნული **η αισθησις** ითარგმნებოდა, როგორც "მეცნიერებად", "ცნობად", გულიხუმისყოფად, "გულიხუმად", ხოლო **τα αισθητηρια** გადმოიცემოდა ან როგორც "გონებანი" ანდა "გულიხუმისსაყოფელნი". ეს უკანასკნელი შესატყვისი გვხვდება

იერემიას წიგნის უადრეს თარგმანში, რომელიც, როგორც ცნობილია, ძალიან ნაკლებად უკავშირდება ბერძნულს,¹ რაც საეჭვოს ხდის ხსენებული ქართული სიტყვის ტერმინულობას, და გვაპარაუდებინებს, რომ იგი ასახავს არა საკუთრივ ბერძნული სიტყვის, როგორც "გრძნობის ორგანოთა" აღმნიშვნელი სპეციალური ცნების ადეკვატურ შინაარსს, არამედ არის კალკირებული თარგმანი შუამავალი ტექსტისა (შდრ. ზემორე მუხლის გელათური თარგმანი: "საგრძნობელნი ჩემისა შეირყევიან გულისანი"). რაც შეეხება ტერმინს "გონებანი", იგი გვხვდება "პავლეთა" უადრეს ვერსიებში (ტრადიციის ძალით იგი გადასულია გიორგი მთაწმიდლის რედაქციაშიც), ხოლო ეს ვერსიები მეტად მჭიდროდ უკავშირდება ბერძნულს.² ეჭვი არ არის, რომ ქართული ტექსტის მთარგმნელ-რედაქტორთა მიერ სიტყვა "გონებანი" ბერძნული *αἰσθητηρια*-ს შესატყვის ტერმინად არის მოხმობილი. დავძენთ, რომ, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, პავლე მოციქულის ხსენებული ფრაზა ციტირებულია გრიგოლ ნოსელის "კაცისა შესაქმეში", რომლის უძველეს თარგმანში სწორედ "გონებანი" გვაქვს ("გონებათაგან წურთილთა" შატბ. კრ. გვ. 102), მაშინ როცა გიორგი მთაწმიდლის თარგმანში არის "საცნობელნი" ("...წურთილებად საცნობელთა". გვ. 93).

საკუთრივ "გრძნობა", როგორც ამას აშკარად ცხადყოფს უძველესი ტექსტები, უპირველესად თავს იჩენს მარტოდენ ზმნურ ფორმაში "აგრძნა". მისი სინონიმებია: "ცნა", "გულისხმა-ჰყო", "აგონა"³ (სინონიმები აქვს, ცხადია, თვით ბერძნულ ზმნასაც *αἰσθανομαι*; ასეთია მაგალითად, *γινωσκω*, რაც ხშირად ითარგმნება ტერმინით "აგრძნა"). ხსენებული ზმნური ფორმები ხშირად სრულ შინაარსობრივ იდენტურობას აღწევენ. ეჭვი არ არის, რომ სწორედ ამ გარემოებამ განსაზღვრა ზემორე ზმნური ფორმებიდან მომდინარე სახელთა სონონიმურობაც საკუთრივ გრძნობადობის შინაარსით. ტერმინები: "ცნობად", "მეცნიერებად", "გულისხმისყოფად", "გულისხმად" და "გონებად" გრძნობადობის შინაარსს ფლობენ სწორედ მათივე ზმნური ფორმების ანალოგიური გააზრების გამო. რაც შეეხება საკუთრივ ტერმინს "გრძნობად", იგი უფრო გვიან იჩენს თავს და უადრეს ტექსტებში, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ ზმნური ფორმით ვლინდება. ზმნა "აგრძნა" უძირითადესია როგორც ადრეული, ასევე გვიანდელი ეპოქისათვის, თუმცა მოგვიანებით (ალბათ, დაახლ. IX ს-დან)

1 იხ. კდანელია, იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები და მათი მომდინარეობის საკითხი, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, თბ. 1964

2 იხ. კდანელია, ქართული სამწერლობო ენის ისტორიის საკითხები, თბ. 1983, გვ. 138-161; გვ. 183-184. ჩვენთვის ამჯერად არა აქვს მნიშვნელობა იმას, ქართულ-ბერძნული ტექსტების სიახლოვე შეჯერების შედეგია თუ უშუალოდ მთარგმნელობითი პროცესის ამსახველი.

3 ძველი ტექსტებიდან აღსანიშნავია პატერიკული თხრობა მამა ბესარიონის შესახებ, სადაც "აგრძნა" და "აგონა" აშკარად იდენტურ შინაარსს შეიცავს: "ვითარ აგრძნობდ (ησθάνου) ფერკითა შენითა...? მრქუა მე ბერმან: ბრქალამდე ოდენ ვაგონე (ησθάνομην) წყალი იგი" (შუა საუკუნეთა ნოველების..., გვ.38; შდრ. გამოცემაზე დართული ლექსიკონი, სადაც დამოწმებულია ზემორე ნიმუში და განმარტებულია: "გონება - *αἰσθανομαι* - გრძნობა, შემჩნევა, გაგება; გვ. 306). საგულისხმოა, რომ "აგონა" გვხვდება გრიგოლ ნოსელის "კაცისა შესაქმნის" უძველეს თარგმანში (იხ. შატბ. კრ. გვ. 93.7), სადაც ბერძნულში გვაქვს *εφαρτασθησαν*, ხოლო გიორგი მთაწმიდლის თარგმანში - "ეოცა".

მის პარალელურად ვრცელდება, აგრეთვე, "ინიანი" ფორმა "იგრძნა". ასევე ხშირია უადრესსა თუ გვიანდელ ტექსტებში ზმნური ფორმები "ცნა" და "გულისკმა-ჰყო". გაცილებით მეტ სიძველეს ამჟღავნებს ზმნური ფორმა "აგონა", რომელიც ძველ ტექსტებშიც კი იშვიათია, ხოლო მოგვიანებით აღნიშნული შინაარსით საერთოდ ქრება.

რაც შეეხება სახელად ფორმებს, ტერმინ "გრძნობად"-ს ერთერთი უადრესი დამოწმება გვაქვს გრიგოლ დვთისმეტყველის საკითხავში, რომელიც დაცულია სვანურ მრავალთავში და საეჭვოა VII ს-ზე გვიანდელი იყოს:

გონებად და გრძნობად ეს-
რეთ განიყვნეს¹

*vous μεν ουν ηδη αισ-
θησις ουτως απ αλληλων
διακριθεντα* (Pg. 36, col.
321 C)

"გრძნობის" შინაარსით ტერმინი "ცნობად" გვხვდება "ანტონ დიდის ცხოვრების" უძველეს ვერსიებში (V-VII სს):

შეუძრწუნებელად ჰქონდეს
გარეშენიცა ცნობანი²

*αταραχους ειχε και τας
εξωθεν αισθησις* (Pg.
26, col. 940 A)

რაც შეეხება ტერმინს "საცნობელნი" იგი, როგორც ჩანს, დაახლოებით VI-VII სს-იდან ავლენს თავს. მაგალითად, ეს ტერმინი გვხვდება გრიგოლ დვთისმეტყველის ზემოაღნიშნულ საშობაო საკითხავში, რომელიც, როგორც ვთქვით, ალბათ VII ს-ზე გვიანდელი თარგმანი არ უნდა იყოს.

შორს მისგან [არს] ფრიად
ყოველი, რომელი არს საც-
ნობელთა ამათ ქუეშე³

*ξενον δε πανταπασιν, οσ-
αι υπο την αισθησις*
(Pg. 36, 321 A)

დაახლოებით VIII ს-ისა უნდა იყოს ანტონ დიდის ეპისტოლეთა ძველი ქართული თარგმანები, რომლებიც შემონახულია X ს-ის ხელნაწერებში (Sin. 35 და Sin. 25). ხსენებული ტექსტები გრძნობის ორგანოთა აღმნიშვნელად მხოლოდ "საცნობელთ" წარმოგვიდგენს. გამომცემელი ე.გარიტი იშვიათ სიტყვათა ინდექსში უთითებს "საცნობელთა" დამოწმების ადგილებს და განმარტავს: "საცნობელი - sensus".⁴ მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"სული მათი და საცნობელნი გულთა მათთანი მკუდარ იქმნეს" (8, 2);

¹ იხ. ი.აბულაძე, შრომები, III, გვ. 297; დამოწმებულია ი.აბულაძის "ძვ. ქართ. ენის ლექსიკონში"

² ათანასი ალექსანდრიელი, ცხოვრებად წმიდისა ანტონისი, ვიზნაიშვილის გამოც. თბ. 1970, გვ. 56,17

³ იხ. ი.აბულაძე, შრომები, III, გვ. 297. ხსენებულ თარგმანში კვლავაც გვხვდება იგივე ტერმინი, თუმცა ამჯერად სააზროვნო ორგანოს, ცნობიერების აღმნიშვნელად: "განმზადენით გონებანი თქუენნი სასმენელნი და საცნობელნი" (*καθηρασθε και νοση και ακοην και διανοιαν*) (Pg. 36, col. 317 A) (იქვე, გვ. 295)

⁴ *Lettres de S.Antoine*, ed. par. G.Garitte, Louvain 1955, p.48. ბერძნული ტექსტი ანტონის ხსენებული ეპისტოლეებისა, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, დაკარგულია

- "საცნობელნი იგი სულისა ჩუენისანი მოსწყდეს" (31, 25)
- . წურთად გონებათა ჩუენტა და საცნობელთა" (33, 29)
- "საცნობელნი იგი სულისანი მოუძღურდეს" (38, 19)
- "წურთად გულთა თქუენტა და საცნობელთა თქუენტა" (41, 12)

დაახლოებით VII-VIII სს-ისა უნდა იყოს პატერიკონის უძველესი ქართული თარგმანი, სადაც გრძნობის ორგანოთა აღმნიშვნელად, ასევე, "საცნობელნი" გვხვდება:

სხუათა მათ საცნობელთა-
განცა მარადის ცოდვენ¹

*ταῖς ἀλλαῖς πασαις αἰσ-
θησεῖν ἀμαρτανειν* (Pg.
65, col. 421 B)

განვიფრთხოთ, რამეთუ საც-
ნობელთა ამათგან ჩუენტა
მპარავნი შემოვლენ²

"საგრძნობელთა" უადრესი დამოწმებანი, ჩვენთვის ხელმისაწვდომი ტექსტების მიხედვით, გვაქვს გრიგოლ ნოსელის "კაცისა შესაქმის" ძველ თარგმანში, რომელიც, ჩვეულებრივ, VIII-IX სს-ით თარიღდება (სათანადო ნიმუშები მოტანილი გვქონდა ზემოთ). კვლევ ტერმინი გვხვდება "მამათა სწავლანში", რომელიც IX ს-ით თარიღდება.

"საყნოსელნი იყნოსენ სულსა ძალისასავე და აცნობებენ ტვნსა და ყოველსა საგრძნობელსა"⁴

"სწავლათა" ამავე კრებულში გრძნობადობის შინაარსით თავს იჩენს, აგრეთვე, ტერმინი "საცნობელნი".

"მწუხარებად... არს განმგებელი საცნობელთა გარეშეთა. და ეგრეთვე, რომელი წინა-აღუდგებინ რასმე მოძღურებით, იგი მცველ არს საცნობელთა გონებისათა"⁵

"ესე არს ქცევაჲ მისი საცნობელთა მისთა თანა"⁶

X ს-ის ტექსტებიდან ტერმინი "საგრძნობელნი" გვხვდება "იოანე ზედაზნელის ცხოვრების" იმ ვერსიაში, რომელიც ანა დედოფლისეულმა "ქართლის ცხოვრებამ" შემოგვინახა:

"მიზეზნი არიან აღმძრველ სიტყუსა და სიტყუაჲ არს მიმთხრობელ მიზეზთა, რომლისათვის პირველ მივლენან საგრძნობელთა და მიაართვან მიმღებელსა"⁷

IX-X სს-ის ძეგლებიდან "საცნობელნი" გვხვდება იოანე ოქროპირის ცხოვრების უძველეს ქართულ თარგმანში:

1 შუა საუკუნეთა ნოველები... მღვალის გამოც. გვ. 238;
 2 იქვე, გვ. 239
 3 იხ. მამათა სწავლანი X-XI სს-თა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ი.აბულაძემ, თბ. 1955, გვ. XVIII
 4 იხ. მამათა სწავლანი X-XI სს-თა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ი.აბულაძემ, თბ. 1955, გვ. 176, 15
 5 მამათა სწავლანი... გვ. 287
 6 იქვე, გვ. 303. ამავე კრებულში გვხვდება სახელწმნა "გრძნობა": "ვერ შემძლებელ არს გრძნობად სულიერთა" (გვ. 300, 30), აგრეთვე, "ი" -ნიანი ფორმა "ფრძნა": "და ფრძნა ძალი იგი" (გვ. 300). ხშირია "აგრძნა" (გვ. 300, 301 და სხვა)
 7 ძველი ქართული აგიოგრაფიული... I, გვ. 191

ღმერთმან განაბრწყინვენ საცნობელი სულისა და ჯორცთა შენთა¹

ხსენებული ტერმინი გრძნობის ორგანოთა აღმნიშვნელად ერთადერთია მიქაელ მოდრეკილის "იადგარისათვის". მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

განვიწმიდნეთ საცნობელნი და შევწირნეთ მისა სათნოვებანი (გვ. 82, 26)

აღხილვითა საცნობელთაჲთა მთავარ იქმნენ ეკლესიასა ზედა ღმრთისასა (112, 38)

საღმრთოჲსა მცხინვარებისა მეცნიერებითა აღავსენ საცნობელნი სულისანი, სახიერ! (125, 22)

განვიწმიდნეთ საცნობელნი და ქრისტე ვიხილოთ ჩუენ ჯორცითა (133, 39)

აღავსენ საცნობელნი სულისა ჩემისანი (308, 27)

საცნობელნი განვიწმიდნეთ, ბუნებანი ბრწყინვალე ვყუნეთ (319, 26)

განვიწმიდნეთ საცნობელნი სულთა ჩუენტანი (523, 25)

ტერმინი "საცნობელნი" გვხვდება "ლოცვანში", რომელიც ტექსტობრივად, როგორც ჩანს, XI ს-ს უკავშირდება.

განანათლენ სულისა ჩემისა საცნობელნი (ლოცვები, საქართველოს საპატრიარქოს გამოც. გვ. 40)

φωτισον μου τα της ψυχης αισθητηρια

საცნობელნი განმინათლენ (იქვე, გვ. 46)

αισθησεων φωτισον...

ერთგან "საცნობელნი" გადმოსცემს ბერძნულ *αι φρενας*.

წმიდა-ჰყვენ საცნობელნი (იქვე, გვ. 46)

αγιασον τας φρενας

ათონელთა შემდგომი პერიოდისათვის,² როგორც ნაჩვენები იყო, ტერმინი "საცნობელნი" თანდათანობით დავიწყებას ეძლევა და ბატონდება "საგ-

¹ "იოვანე ოქროპირის ცხოვრების" ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო რ.გვარამიამ, თბ. 1986, გვ. 21,8. ზემორე მაგალითი დამოწმებულია გამოცემისადმი დართულ ლექსიკონში და განმარტებულია: "საცნობელი - მგრძნობელობა, აღქმა"; უფრო ზუსტი იქნებოდა: "საცნობელი - გრძნობის ორგანო"

² ექვთიმე და გიორგი ათონელების შესახებ იხ. ზემოთ. დავძენთ, რომ "გრძნობის ორგანოთა" აღმნიშვნელ ძირითად ტერმინად "საცნობელნი" გვხვდება თეოფილე ხუცესმონაზონთან. მაგალითად: "(ლაშე) ყოველთავე საცნობელთა (*αισθησεις*) განაახლებს და ვითარცა მზარდული..., ზრდის... საცნობელთა (*αισθητηρια*)" (Ath. 29, ფ. 153; Pg. 50, 91); "საცნობელთა (*αισθησεις*) მიერ განაახლებულთა" (იქვე); "ესოდენნი საცნობელნი (*αισθησεις*) დაჰბადნა" (237-238; 122); "საცნობელნი განაძლიერნა" (567; 236); "...ყოველთავე საცნობელთა" (672; 265). ტერმინი *αισθητος* თეოფილეს მიერ ჩვეულებრივ, თარგმნილია, როგორც "ხილული"

რძნობელნი". საგულისხმოა, რომ სულხან-საბასთან მხოლოდ ეს უკანასკნელი გვხვდება: "საგრძნობელნი - ასონი, რომელთა მიერ ვიგრძნობთ, არიან ხუთ და გრძნობანიცა ხუთ". რაც შეეხება "საცნობელს", იგი ასეა განმარტებული: "საცნობელი - ცნობად მოსაღები". ჩუბინაშვილის "ქართულ-რუსულ ლექსიკონში" "საგრძნობელი" განმარტებულია, როგორც "ორღანო გარეგანთა გრძნობათა, რომელნიცა არიან ხუთნი". საყურადღებოა "საცნობელის" ჩუბინაშვილისეული განმარტება: "საცნობარი, საცნობელი, საცნობი - ქვემდებარე ცნობისა, შინაგანი საგრძნობელი, მიხდომა, გაგება".

II. გერძნობელი ტერმინის უსაბუჯისი

საპერიანეს "ეჟუსთა ღღეთას" კველ ქართულ თარგმანში:

ზემოწარმოდგენილი სურათი აშკარად გვიჩვენებს, რომ "გრძნობის ორგანოთა" აღმნიშვნელად დაახლ. VI-VII სს-იდან (თუ უფრო ადრე არა) თავს იჩენს ტერმინი "საცნობელნი". მის გვერდით VIII-IX სს-იდან მკვიდრდება, აგრეთვე, "საგრძნობელნი", თუმცა წინაათონური პერიოდისათვის "საცნობელნი" უფრო გავრცელებული ჩანს. ათონური საღვთისმეტყველო სკოლისათვის (და მის კვალობაზე თეოფილე ხუცესმონაზონისათვის) ძირითადია სწორედ "საცნობელნი", რომლის ხმარებაც თანდათანობით იზღუდება XI ს-ის II ნახევრიდან და XII ს-ში აღნიშნული შინაარსით იგი თითქმის დავიწყებას ეძლევა. მის ნაცვლად ბატონდება "საგრძნობელნი", რომლის პარალელურად გელათურ სკოლას შემოაქვს ახალი ტერმინი "გრძნობისსაცავნი", თუმცა ეს უკანასკნელი ქართულ საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიაში (გარდა პეტრიწისა) ფეხს ვერ იკიდებს. თვით პეტრიწი, ერთი მხრივ, სარგებლობს აღნიშნული ტერმინებით ("საგრძნობელნი", "გრძნობისსაცავნი"), მეორე მხრივ კი შემოაქვს საკუთრივ მისეული "საგრძნონი" (რაც გვხვდება, აგრეთვე, "ისტორიათა და აზმათა" ტექსტშიც).

აღწერილი ვითარება, როგორც აღვნიშნეთ, თვალსაჩინო ხდება VI-VII სს-იდან. უფრო ადრე, თანახმად პავლეს ეპისტოლეთა უძველესი ვერსიებისა, "გრძნობის ორგანოთა" აღმნიშვნელად დამკვიდრებული უნდა ყოფილიყო ტერმინი "გონებანი".¹ სწორედ ეს ტერმინი გვხვდება ჩვენთვის საინტერესო ძეგლში:

ეგრეცა ჩუენ თანა გონებანი: ცხვრნი, ყურნი, პირი (43)²

οὐτῶ καὶ ἐν ἡμῖν αἰσθησεις: γένους, ὀσφρησις, ἀκοή, ὄψις (443)

¹ "გონების" სენსორული შინაარსი "პავლეთა" ზემოციტირებულ მუხლში (სათანადო ბერძნულ-რუსული პარალელებით) შენიშნულია რ.ენუქაშვილის მიერ. იხ. მისი, "გონება" ახალი აღთქმის წიგნთა ძველ ქართულ რედაქციებში, აკაკი შანიძე - 100, საიუბილეო კრებული, თბ. 1987, გვ. 214

² ზემოთ, ტერმინ ფსიქის განხილვის ვაჟს, დაწვრილებით შევხებით საკითხს იმის შესახებ, რომ ხსენებულ ადგილას ხელნაწერებში არსებული "გონებანი" გვინადელი, გადამწერისეული მექანიკური ცთომილებაა.

ეგრეცა სული, რაჟამს გარეშე არნ გონებათა, დასულება არნ (178)

οὕτως ἡ ψυχὴ, ὅταν ἐξωγενῆται τῶν αἰσθησεῶν, ἐν ἐκστάσει ἐστὶ (col. 482)

ზემოთ აღვნიშნავდით, რომ "პავლენის" მითითებული ფრაზა, სადაც **τα αἰσθητηρια** გვხვდება, გრიგოლ ნოსელის "კაცისა შესაქმის" უძველეს თარგმანში წარმოდგენილია, როგორც "გონებანი": "გონებათაგან წურთილთა" (გამოცემაში შეცდომით არის "წულილთა"); ეს მომენტი მნიშვნელოვანია, რადგანაც, როგორც ნაჩვენები იყო, ხსენებულ თარგმანში გრძნობის ორგანოთა აღმნიშვნელად უკლებლივ ყველგან გვხვდება "საგრძნობელნი" ან "გრძნობად", და არცერთხელ "გონებანი". ეს გარემოება, ჩვენი აზრით, ეჭვმიუტანლად ცხადყოფს, რომ "კაცისა შესაქმის" მთარგმნელი თვით კი არ თარგმნის ბერძნულიდან "პავლეთა" მუხლს, არამედ "ახალი აღთქმის" უკვე არსებულ ძველ ქართულ თარგმანს ეყრდნობა და მისგან მოაქვს ციტატა.

ზემოთქმული, ვფიქრობთ, ადასტურებს, რომ VI-VII სს-მდე "გონებანი" დაკანონებული შესატყვისი იყო ბერძნული ტერმინებისა **τα αἰσθητηρια** და **αι αἰσθησεις**, რაც გვხვდება კიდევ სევერიანე გაბალოვნელის შრომის ქართულ თარგმანში.

ამგვარად, ამ ნიშნითაც ხსენებული თარგმანი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის უადრეს ვითარებას ასახავს.

ΑΙΤΙΑ, ΑΙΤΙΟΝ

1. ტერმინთა შესატყვისები ახელ ქართულ მწერლობაში

ხსენებული ტერმინები ყოფითი აზრით ნიშნავს "ბრალდებას", "დადანაშაულებას", აგრეთვე "დანაშაულს", "ბრალს". ზედსართავი *αιτιος* გულისხმობს "დამნაშავეს".

ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზრით *η αιτια* და *το αιτιον* იგივეა, რაც "მიზეზი"; ეს ტერმინები აღნიშნული შინაარსით მეტად გავრცელებულია როგორც ანტიკურ ლიტერატურაში, ასევე ქრისტიანულ მწერლობაში. ისინი საკმაოდ ხშირად გვხვდება, აგრეთვე, ბიბლიურ წიგნებში.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ "ძველი აღთქმის" ბერძენ მთარგმნელთა მიერ ზემორე ტერმინთა ხმარება ძირითადად იფარგლება მათი ყოფითი შინაარსით. ცხადია, ეს შინაარსი განმსაზღვრელია ბიბლიის ქართული თარგმანისთვისაც. რაც შეეხება საკუთრივ "მიზეზს", მის შესატყვისად ბიბლიურ წიგნებში, ჩვეულებრივ, გვხვდება *προφασις* და *αφορμη*. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

1. ΑΙΤΙΑ, ΑΙΤΙΟΝ

უკუეთუ ჯერ-არს განტევებად ცოლისა თვისსად ყოვლისათჳს ბრალისა (C-ყოვლითა მიზეზითა) (მათე 19, 3)

ესოდენ ბრალი არს კაცისა დედაკაცისა თანა (მათე 19, 10)

დაჰსდვეს თავსა მისსა ზედა ბრალად მისა დაწერილი (მათე 27, 37; შდრ. მარკ. 15, 26)

რომლისა ბრალისათჳს შეახო... (ლუკ. 8, 47)

მე არცა ერთი ბრალი ვპოვე ამისა თანა (იოან. 18, 38; შდრ. 19, 4; 19, 6) (შდრ. *το αιτιον* იოანე, 23, 4; 23, 14; 23, 22; საქმე 19, 40)

რად არს სიტყუად ეგე, (შდრ. გვიანდელი რედაქციები: "რად არს მიზეზი") (საქმე 10, 21)

არცა ერთი მიზეზი სიკუდილისად ამას უპოვეს (შდრ. ხელნ. Ath. 42: "არცა ერთი ბრალი...", - ასეა გვიანდელ რედაქციებშიც) (საქმე 13, 28)

რომლისა ბრალისათჳს ესრეთ ვმობენ მისთვის? (საქმე 22, 24)

მინდა გულისკმისყოფად ბრალი იგი (საქმე 23, 28)

არცა ერთი ბრალი აჩინეს (საქმე 25, 18)

...მისთვის ბრალი არა უწყებად (საქმე 25, 27)

- არცა ერთი ბრალი სიკუდილისაჲ იყო ჩემთანა (საქმე 28, 18)
- ამის მიზეზისათჳს გლოცავ თქუენ (საქმე 28, 20)
- რომლისა გამო (სხვა ხელნ. "რომლისათჳსცა") არა ჰრცხუენის (ებრ. 2, 11)
- რომლისათჳსცა მოგავსენებ (II ტიმ. 1, 6)
- რომლისათჳსცა ესე მევენების (II ტიმ. 1, 12)
- ამისთჳს ამხილე მათ (ტიტ. 1, 13)
- უფროდს არს ცოდვაჲ ჩემი (მცხეთური ბიბლია შეს. 4, 13)
- ბრალი კაცის-კლვისაჲ ზედა-ედვას (მცხეთ. ბიბლ. იგავ. 28, 17)
- ღმერთსა აბრალეზნ (αιτιαται) გულითა (მცხეთ. ბიბლ. იგავ. 19, 3)
- ყოვლისა ბოროტისა დასაბამი ბრალი... არს¹ (სიბრძნ. სოლ. 14, 27)
- და რომლისათჳს ბრალისა მოკუდებოდა² (სიბრძნ. სოლ. 18, 18)
- შეემთხვენ მას ჳირი და ბრალი სამეუფო (იობ. 18, 14)

II προφασια, προφασιζεσθαι

- მიზეზსა ვძიებნ კაცი (იგავ. 18, 1)
- ... მიზეზებად მიზეზთა ცოდვისათა (ფს. 140, 4)
- მიზეზობნ მედგარი (იგავ. 22, 13)
- მიზეზობს რასმე (IV მეფ. 5, 7)
- მიზეზით განგრძობილად ილოცევდით (მთ. 23, 13, მკ. 12, 40, ლ. 20, 47)
- ხოლო აწ მიზეზი არა აქუს ცოდვათა მათათჳს (იოანე 15, 22)
- მიზეზით, რეცა თუ კავთა მათ განმარტებად (საქმე 27, 30)

¹ შდრ. გვიანდელი ვერსია: "დასაბამი ყოვლისა ბოროტ-დასაწყისისა და მიზეზი" (ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები 1, თბ. 1970, გვ. 246)

² შდრ. გვიანდელი: "რომლისა მიზეზისათჳს მოჰკულიდეს" (ძველი აღთქმის... გვ. 265)

მიზეზით, გინა თუ ჭეშმარიტად ქრისტე იქადაგების (ფილ. 1, 18)

... არცა მიზეზითა ანგაპრებისადათა (1 თეს. 2.5)

III აφορη:

ეც ბრძენსა მიზეზ (იგავ. 9, 8)

მიზეზი თქუენი წარმართთაგან არს (ეზექ. 5, 7)

წარვჰკუეთო მიზეზი, რომელთა ჰნებავს მიზეზი (II კორ. 11, 12)

მიზეზ-გცემთ თქუენ (II კორ. 5, 12)

ნუცადა ერთსა რას მიზეზ-სცემედ მკდომსა (1 ტიმ. 5, 14)

მიზეზი უკუე პოვა ცოდვამან (რომ. 7, 8)

ცოდვამან მიზეზი პოვა (რომ. 7, 11)

აზნაურებაჲ ეგე ნუ ხოლო მიზეზად ვორცთა (გალ. 5, 13)

მოტანილი ნიმუშები ცხადყოფს, რომ *η αιτια* და *το αιτιον* ბიბლიის ქართულ თარგმანში, ჩვეულებრივ, გადმოტანილია, როგორც "ბრალი", ხოლო *η προφασις*-სა და *η αφορη*-ის შესატყვისად "მიზეზი" გვხვდება. მსგავს სურათს გვიჩვენებს სომხური ბიბლია. აქაც *αιτια*-სა და *αιτιον*-ის ფარდად გვაქვს "ბრალის" ტერმინოლოგიური შესატყვისი "კნას," ხოლო *αφορη* და *προφασις* თარგმნილია, როგორც "პატჰარ", რომელიც ტერმინოლოგიურად "მიზეზის" ფარდია.¹

წარმოდგენილი სურათი ცხადყოფს, რომ *αιτια* და *αιτιον* ქართულ ქრისტიანულ მწერლობაში შემოვიდნენ მათი ყოფითი შინაარსით. ეს შინაარსი, ცხადია, შორს დგას იმავე ტერმინთა ფილოსოფიურ-თეოლოგიური გააზრებისაგან, რასაც კარგად გადმოსცემს სიტყვა "მიზეზი".

უძველეს თარგმანებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ხსენებული ბერძნული ტერმინები, მათი ყოფითი შინაარსიდან გამომდინარე, თვით ფილოსოფიურ-თეოლოგიურ კონტექსტებშიც ქართულად თავდაპირველად ითარგმნებოდა,

¹ ქართული ბიბლიის უძველესი ტექსტის ტერმინოლოგია, ჩვეულებრივ, უცვლელადაა გადასული გვიანდელ რედაქციებშიც. ეს გარემოება სრულიად არ ნიშნავს, რომ მაგალითად ტერმინი "ბრალი" გვიანდელ ხანაშიც (ყერძოდ გიორგი მთაწმიდლისა და ეფრემ მცირის დროს) კვლავ *αιτια*-ს შესატყვისად მიიჩნევა. აქ ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ ტრადიციულად დამკვიდრებული ტექსტის გავლენასთან. ეს რომ ასეა, დასტურდება ქართული ბიბლიის გვიანდელ რედაქტორთა (გიორგის, ეფრემის) ცალკეული თარგმანების ტერმინოლოგიური შესწავლით.

როგორც "ბრალი". შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ქრისტიანობის დასაბამიერ ხანაში სიტყვა "ბრალი" წარმოადგენდა ბერძნული *αἴτια* და *αἴτιον*-ის შესატყვისს არა მხოლოდ ყოფითი შინაარსით, არამედ ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზრითაც, უფრო ზუსტად, ქართული "ბრალი" იყო ტერმინოლოგიური ფარდი ხსენებული ბერძნული ტერმინებისა. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ "ანტონ დიდის ცხოვრების" უძველესი თარგმანი, სადაც ორიგინალის ოდენ ფილოსოფიური გააზრების მქონე *αἴτιον* ქართულად გადმოტანილია, როგორც "ბრალეული".

მითითებულ "ცხოვრებაში" ერთგან აღწერილია წმ.ანტონის პაექრობა ფილოსოფოსებთან. აგიოგრაფი, წმ. ათანასე ალექსანდრიელი უპირველესად წმ. ანტონის საღვთო სიბრძნეს ასაჩინოებს ("და ბრძენცა იყო ფრიად და საკვრველ, რამეთუ წიგნი არა ესწავა, ხოლო მეცნიერ იყო და გონიერ კაცი იგი"),¹ შემდეგ მასთან საკამათოდ მოსული ორი "ფილოსოფოსის" შესახებ გვაუწყებს ("მას ჟამსა შე-ვინმე-ვიდეს მისა ორნი წარმართნი ფილოსოფოსნი"),² ბოლოს კი მსგავს ფილოსოფოსებთან წმ. ანტონის საპაექროდ შეხვედრას აგვიწერს ("... სხუანიცა ესევითარნი მერმე შეემთხვნეს მას გარეშე მთასა, ჰგონებდეს, ვითარმცა შეიტყუვეს იგი, რამეთუ წიგნი არა უსწავიესო")³ და გადმოგვცემს თუ რა შეკითხვა მისცა წიგნის ცოდნითა და სწავლულებით გასულდიდებულ პირებს განდეგილმა ბერმა. ხსენებული შეკითხვა ორიგინალში ასეთი სახისაა:

τι τινος αἴτιον, ο νους των γραμμάτων η τα γραμματα του νου; (Pg. t.26, col. 945).

"რომელი რომლის მიზეზია, გონება წიგნებისა, თუ წიგნები გონებისა?"

მოტანილი კონტექსტიდან სრულიად ცხადია, რომ *αἴτιον* არის ოდენ ფილოსოფიური ტერმინი და გულისხმობს "დასაბამიერ პრინციპს", "განმაპირობებელ პირველსათავეს" ანუ "მიზეზს", "მიზეზობრიობას".

"ანტონ დიდის ცხოვრების" ზემოხსენებულ უძველეს თარგმანში ციტირებული ბერძნული ტექსტი ასეა გადმოტანილი:

"ვინ ვისთვის ბრალეულ არს, გონებად წიგნისათვის ანუ წიგნი გონებისათვის?"⁴

ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ "ანტონის ცხოვრების" უძველესი თარგმანი მოგვიანებით (დაახლ. VI-VII სს-ში) ხელმეორედ შეუდარდა ბერძნულს, რამაც შედეგად მოგვცა ძველი თარგმანის ახალი რედაქცია.⁵ ამასთან, X ს-ში ექვთიმე ათონელმა ხელმეორედ თარგმნა ხსენებული "ცხოვრება". ცნობილია, აგრეთვე, იმავე "ცხოვრების" უფრო გვიანდელი XI-XII სს-ის თარგმანი. ყველა მათგანში თავდაპირველი "ბრალეული" შეცვლილია,

1 ცხოვრებად წმიდისა ანტონისი, გვ. 59

2 იქვე

3 იქვე, გვ. 60

4 ცხოვრებად წმიდისა ანტონისი, გვ. 60; ამ თარგმანში, ისევე როგორც, საზოგადოდ, ბიბლიურ წიგნებში, ტერმინი "მიზეზი" გადმოსცემს ბერძნულ *προφαισι*-ს: "მცირედცა მიზეზი (*προφαισι*, col. 615) მოიპოვა მამათად" (იქვე, გვ. 16); "დაჭირვებულთა მიაუღინებედ, რადთა მათითა მიზეზითა (*προφαισει*) გარდამოვიდეს" (იქვე, გვ. 73).

5 იხ. ზემოთ, ტერმინი "ουσια"

როგორც "მიზეზი".

მაგალითად, იმავე თარგმანის მოგვიანო (VI-VII სს-ის) რედაქცია: "რომელი რომლისა მიზეზი არს, გონებად წიგნისა ანუ წიგნი გონებისა?"; ექვთიმესეული: "რომელი რომლისა მიზეზი არს, გონებად წერილისა მიზეზი არს ანუ წერილი გონებისა?" (Ath. 79, 15); XI-XII სს-ისა: "ვინ ვისსა მიზეზ, გონებად - წერილთა, ანუ წერილნი - გონებისა?" (A-79, 169 v).

ტერმინი *αἰτία* (მიზეზობრიობის შინაარსით) ასევე "ბრალად" არის გადმოტანილი ევთალეს სტიქომეტრიის უძველეს ქართულ თარგმანში:

ხოლო ცვალებულითა მით ჟამისა და ხატისა ებისტოლისაგან განცხადებულ არს ბრალი (*φανερα η αἰτία*, Pg. 85, 776)¹

მოტანილი ნიმუშები, ვფიქრობთ, ცხადყოფს, რომ ქართული ქრისტიანული მწერლობის დასაბამიერ ხანაში "ბრალი" წარმოადგენდა *αἰτία*-ს ტერმინოლოგიურ შესატყვისს, ე.ი. გადმოსცემდა აღნიშნული ბერძნული სიტყვის არა მხოლოდ ყოფით შინაარსს, არამედ მის ფილოსოფიურ-თეოლოგიურ გააზრებასაც. ამგვარი ტერმინოლოგიური შესატყვისობა არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო, რადგანაც, ერთი მხრივ, "ბრალი" აშკარად ვერ იტევდა "მიზეზობრიობის", "დასაბამიერების", "პირველსაფუძვლის" შინაარსს, მეორე მხრივ კი, აღნიშნული სიტყვის გვერდით ქართულ ენაში, როგორც ცნობილია, უძველესი დროიდანვე არსებობდა მითითებული ფილოსოფიური შინაარსის ზედმიწევნით გადმომცემი ტერმინი "მიზეზი". დამოწმებული ნიმუშები ცხადყოფს, რომ ბიბლიის თარგმნის დროს "მიზეზი", როგორც ტერმინი. უკვე შეიცავდა "განმაპირობებელი ძალის", "პირველსაფუძვლის", "პრინციპის" შინაარსს. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ *αἰτία*-ს "მიზეზად" თარგმნის საჭიროება (ნაცვლად "ბრალისა") უკვე ბიბლიის პირველმთარგმნელებთან იჩენს თავს. ამას ცხადყოფს ძველი აღთქმის წიგნის "სიბრძნე სოლომონისას" უძველესი ვერსიის ადგილი, სადაც *αἰτία*-ს სწორედ "მიზეზი" შეეფარდება:

¹ კ. დანელია, ევთალეს სტიქომეტრიის ძველი ქართული რედაქციები, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 20, 1977, გვ. 129; შტრ. ტექსტზე დართული ლექსიკონი, გვ. 136; კ. დანელიას აზრით, ევთალეს სტიქომეტრია ქართულად უთარგმნიათ "არა უადრეს IV საუკ. შუა წლებისა და არა უგვიანეს V ს-ის დასასრულისა" (იქვე, გვ. 67). ამგვარი მტკიცება გამომდინარეობს იქედან, რომ "სამოციქულოს" უძველეს ქართულ რედაქციებში სტიქომეტრიული დანართი მხოლოდ პავლეს ეპისტოლეებს ახლავს. შესაბამისად, ასკვნის მკვლევარი, "სამოციქულო" იმ დროს უთარგმნიათ ქართულად, როცა თვით ბერძნულში სტიქომეტრიული დანართი მხოლოდ "პავლეთა" წიგნს ჰქონდა. "სამოციქულოს" სხვა ნაწილებისათვის კი ("კათოლიკე ეპისტოლენი", "საქმე მოციქულთა") ამგვარი დანართები ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი. "პავლეთა" სტიქომეტრიის შექმნა ივარაუდება 323-372, ხოლო მთელი სამოციქულოსი 458 ან კიდევ 460 თუ 490 წლისათვის. ამიტომ, ერთი შეხედვით, ქართული თარგმანიც დაახლოებით 323-490 წლებით უნდა დათარიღდეს. კ. დანელიას აღნიშნული თვალსაზრისი არასარწმუნო გვეჩვენება. ქართველ მთარგმნელს თავისუფლად შეეძლო ესარგებლა ადრინდელი ბერძნული ხელნაწერით ან კიდევ თვით მოგვიანო ბერძნულ ხელნაწერს ადვილად შეიძლებოდა შემოენახა თავდაპირველი ვითარება. უთუოდ ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ასევე მხოლოდ "პავლეთა" სტიქომეტრიულ დანართს იცნობს ქართულენოვანი "სამოციქულოს" მეორე ბერძნულთან შეჭერებული რედაქცია (ე.წ. B რედაქცია), რომელიც ყოველ შემთხვევაში VI-VII სს-ზე ადრინდელი არ არის. ევთალეს სტიქომეტრიის ჩვენამდე მოღწეული ქართულენოვანი ტექსტი, ვფიქრობთ, დაახლოებით VI ს-ისა უნდა იყოს, შესაძლოა, ამ საუკუნის დამდეგისა.

და უმრავლესსა განიზ-
რაზავნ უმეცრებასა ამის
ტანჯვისა მიზეზითა (17,
12)

... παρεχουσης την βα-
σανον αιτιαν

მოტანილი ნიმუში გვაპარაუდებინებს, რომ *αιτια*-ს "მიზეზად" თარგმნას უძველესი დროიდანვე ედება სათავე, თუმცა აღნიშვნის ღირსია, რომ "სოლომონის სიბრძნის" იმავე უძველეს ვერსიაში სხვაგან *αιτια* ორგზის თარგმნილია, როგორც "ბრალი" (იხ. ზემოდამოწმებული ნიმუშები).

მსგავს სურათს გვიჩვენებს ევთალეს სტიქომეტრიის უძველესი თარგმანი, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაახლოებით VI ს-ისა უნდა იყოს (უფრო სავარაუდოა VI ს-ის დამდეგი)¹

ამ ძეგლში *αιτιον*, გარდა "ბრალისა", თარგმნილია, აგრეთვე, როგორც "მიზეზი":

ხოლო არა ზედადაწერად
ეპისტოლესა მას მიზეზ
არს შემდგომი ესე²

του δε μη προγραφειν την
Επιστολην, αιτιον η ακ-
ολουθια (col. 776)

აღვნიშნავდით, რომ ბიბლიურ წიგნებში *αιτια* და *αιτιον* არსებითად "დამნაშავეობას", "დანაშაულს" გულისხმობს (რამაც განაპირობა ამ ტერმინთა ქართულ შესატყვისად "ბრალის" დაწესება). რაც შეეხება ეკლესიის მამათა შრომებს, მათში იგივე ტერმინები თითქმის ყველგან ფილოსოფიურ-თეოლოგიური გააზრებით გვხვდება. საეჭვო არ არის, რომ "ბრალი" სპეციფიკურად მიზეზობრიობის გამომხატველ ცნებად შენარჩუნებული იქნებოდა ქართული მთარგმნელობითი მოღვაწეობის მხოლოდ პირველ ხანაში, მოგვიანებით კი სათარგმნი ლიტერატურის შინაარსი აუცილებლად გამოიწვევდა *αιτια*-ს ტერმინოლოგიურ შესატყვისად "ბრალის" ნაცვლად "მიზეზის" საბოლოოდ დამკვიდრებას. ეს პროცესი, როგორც ენახეთ, ჩანს, რომ დაწყებული თვით ბიბლიის თარგმანის დროს, თანდათანობით კი მას საყოველთაო ხასიათი მიუღია. შეიძლება ითქვას გარკვევით, რომ დაახლოებით VI-VII სს-დან ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინის *αιτια*-ს ქართულ შესატყვისად საბოლოოდ მკვიდრდება "მიზეზი", ხოლო "ბრალი" არსებობას განაგრძობს მხოლოდ თავისი ყოფითი შინაარსით (ეგვევ შინაარსი აქვს "ბრალს" დღესაც) და იგი რჩება შესატყვისად მხოლოდ ისეთი ბერძნული სიტყვებისა, რომლებიც

¹ VI ს-ზე გვიანდელი დრო სარწმუნო არ არის, რადგანაც აღნიშნული ძეგლი ერთვის "პავლეთა" თვით უძველეს ქართულ რედაქციას (A რედაქცია), რომელიც, მეტად საეჭვოა, რომ VI ს-ის დამდეგზე გვიანდელი იყოს. რაც შეეხება უფრო ადრინდელ დათარიღებას (ვთქვათ IV ს.), ტერმინოლოგიურად ამგვარი რამ სრულიად შეუძლებელია (ცხადია, იგულისხმება ჩვენს ხელთ არსებული ტექსტი). ხსენებულ ძეგლში, მაგალითად, ბერძნული *θεολογια* თარგმნილია, როგორც "ღმრთისმეტყველება", რაც VI ს-ის დამდეგზე ადრე სავარაუდო არ არის. ქართული თარგმანი ძალიან ხშირად შეიცავს ტერმინ "ზუნებას", აგრეთვე, აშკარად სომხურიდან მომდინარე "კარგს". რასაც V ს-ის მიწურულზე ადრე, ცხადია, ადგილი არ ექნებოდა. საყურადღებოა სომხურის მსგავსი ფორმა სახელისა "ისაჰაჰ" (ნაცვლად "ისააკისა") (იხ. დასახ. გამოც. გვ. 112; 120).

² ევთალეს სტიქომეტრია, დასახ. გამოც. გვ. 129.

საკუთრივ "დანაშაულის", "დამნაშავეობის", "ბრალდების" შინაარსს შეიცავენ (ასეთებია: *το εγκλημα, η κατηγορια, μημψις* და სხვა).

"მიზეზის", როგორც *αιτια*-ს ტერმინოლოგიური შესატყვისის ერთერთი უადრესი დამოწმება, გარდა ზემომოტანილი ნიმუშებისა, გვაქვს, აგრეთვე, უკვე არაერთგზის განხილულ ძეგლში "ცხორებად წმიდისა საბადსი", რომელიც ქართულად ითარგმნა დაახლოებით VI-VII სს-ის მიჯნაზე:

რომელი მიზეზი გითხრა
შენ¹

τις η αιτια γεγνε... ερω
(დასახ. გამოც. 303)

ასეთსავე სურათს გვიჩვენებს აპოკრიფი "სიტყუად ბასილისი და გრიგოლისი", რომლის ქართული თარგმანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყოველ შემთხვევაში, VII ს-ზე გვიანდელი არ უნდა იყოს. მასში ვკითხულობთ:

ბასილი თქუა: რად არს
დასაბამი დასაბამისად? გრი-
გოლი თქუა: პირველი იგი
მიზეზი მეორისა მიზეზი-
სად (A-95, 107 v).²

*Βασιλειος: τι εστιν αρχη;
Γρηγοριος: το πρωτον
αιτιον του δευτερου αιτι-
ου*³

"მიზეზად" არის ბერძნული *αιτια* თარგმნილი ტიტუს ბოსტრელის ზემოგანხილულ ქადაგებაში *In ramos palmarum*, რომელიც "ათონის მრავალთავმა" შემოგვინახა:

ესე არს მიზეზი დიდების-
მეტყუელებისად მორწმუნე-
თად (Ath.11,65)

*αυτη εστιν η αιτια της
δοξολογιας των πιστων*

მიზეზი უკუე გალობისად
აღდგომად ლაზარესი იყო
(იქვე)

*η αιτια ουν της υμνωδιας
η εγερσις Λαζαρου*

"სვანურ მრავალთავში" დაცულია გრიგოლ ნაზიანზელის საშობაო ქადაგება, რომელიც უთუოდ ბერძნულიდან მომდინარეობს. ამ ძეგლშიც *αιτια*-ს შესატყვისია "მიზეზი":

არ... უზეშთაეს მიზეზთა (*αιτιαυ*) და სიტყუსა⁴ (Pg. 36, col. 313)

რომელი აღმოაცენა ძირმან ბოროტმან მრავლითა მიზეზითა (*αιτιας*)
მრავალთა ჟამთა⁵ (col. 325)

VIII-IX სს-ის ტექსტებიდან ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის

1 მამათა ცხორებანი, გვ. 93

2 შდრ. მიქაელ მოდრეკილის იადგარი: "მეორე მიზეზი ყოველთა მიზეზთად" (გვ. 436), აგრეთვე: "დაუწყებელი და დაუსრულებელი არსებად, ყოველთა არსთა დაწყებისა მიზეზი" (გვ. 370 ; 372)

3 G. Heintzi, დასახ. შრომა, გვ. 32

4 ქართული ტექსტი იხ. ი.აბულაძე, შრომები, III, თბ. 1982, გვ. 294

5 იქვე, გვ. 298

თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ბასილი დიდის "ექუსთა დღეთაჲსა" და გრიგოლ ნოსელის "კაცისა შესაქმის" უძველესი თარგმანები. ხსენებულ ძეგლებში *αιτια*-ს შინაარსით ყველგან "მიზეზი" გვხვდება. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები (სქოლიოში ვუთითებთ, აგრეთვე, იმავე "ექუსთა დღეთაჲს" გვიანდელი, გიორგისეული თარგმანის შესაბამის ადგილებს):

ესე არს მიზეზი განუმზადებელობისა ... მისისაჲ¹

... ადგილი უნათლოჲ მიზეზისაგან რადსმე²

რად არს მიზეზი ამისიჲ³

მოასწავა მიზეზსა სამყაროდსა⁴

ამის მიზეზისაგან არიედ⁵

ესე ვჰად არს მიზეზისა მის პირველდამწყებელისაჲ⁶

შევიწყნაროთ განყოფად იგი, რომელ არს ქუეშე სამყაროსა მიზეზისა მისებრ თქუმულისა⁷

რად იყო მიზეზი, რომლისაგან იყო უხილავ ქუეყანაჲ⁸

მოვასწავო მიზეზი იგი⁹

... მიზეზი დამტკიცებისა არსებისაჲ¹⁰

აღძრის იგი მიზეზისა მისგან¹¹

... იგი არს მიზეზი ცხორებისა მათისაჲ¹²

... არცა სხვათა მიზეზითა განმრყუნელითა¹³

1 უძველესი რედაქციები... გვ. 32 ; შდრ. გიორგი მთაწმიდლის თარგმანი: "ესე უკუე იყო მიზეზი... განუმზადებელობისა მისისა" (ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, თბ. 1947, გვ. 18) აქაც და დანარჩენ ნიმუშებშიც "მიზეზის" შესატყვისია *αιτια*

2 იქვე, გვ. 32 ; გიორგი: "... რომლისაგან მიზეზისათვის ნათლისაგან დაკლებულად ადგილად" (გვ. 18)

3 უძველესი რედაქციები... გვ. 33 ; შდრ. გიორგი: "რად არს მიზეზი?" (19)

4 იქვე, გვ. 40 ; შდრ. გიორგი: "მიზეზიცა, რომლისათვის საძიებელ იქმნა სამყაროდსა დაბადებად, მის თანავე განაჩინა" (გვ. 28)

5 იქვე, გვ. 41; შდრ. გიორგი: "... ერთისა მიზეზისაგან შექმნილთა" (გვ. 29)

6 იქვე, გვ. 44 ; შდრ. გიორგი: "ესე არს ვჰად იგი პირველდამწყებელისა მის მიზეზისაჲ" (გვ. 32)

7 უძველესი რედაქციები... გვ. 55; შდრ. გიორგი: "განმორებაჲ იგი სამყაროდსაჲ აღწერილისა მისებრ მიზეზისა შევიწყნაროთ" (გვ. 38)

8 უძველესი რედაქციები... გვ. 54 ; შდრ. გიორგი: "მიმვდიდ მიზეზსა, თუ რად იყო ქუეყანაჲ უხილავ" (გვ. 41)

9 იქვე, გვ. 60 ; შდრ. გიორგი: "წარმოვანინო მიზეზი იგი" (გვ. 47)

10 იქვე, გვ. 60 ; შდრ. გიორგი: "... მიმცემელ მიზეზსა არსებისასა" (გვ. 47)

11 იქვე, გვ. 61 ; შდრ. გიორგი: "მისივე მიზეზისაგან აღძრული" (გვ. 48)

12 იქვე, გვ. 63 ; შდრ. გიორგი: "მიზეზად ცხორებისა მათისა ჰგონებენ მას" (გვ. 50)

13 იქვე, გვ. 69 ; შდრ. გიორგი: "... არცა სხუად რადმე მიზეზი განმრყუნელი" (გვ. 56).

მიზეზნი იგი დაფარულნი თქუნეს¹

მზე არს მიზეზ არსებისა მცენარეთადასა²

მისვე მიზეზისაგან გამოვლენ³

დაწყებად იგი მიზეზთა ცხორებისა შობილთადასა მუნით არს⁴

აჩემნეს მათ მიზეზნი იგი ამათნი ვარსკულავთა⁵

არიედ იგინი მიზეზ წვმისა⁶

მიზეზი ამას შინა ცხად არს⁷

არა უმეცარ უჩნდეს მიზეზი ამისი⁸

ასეთსავე ტერმინოლოგიურ შესაბამისობას (არაპირდაპირ) გვიჩვენებს "კაცისა შესაქმის" უძველესი ქართული თარგმანი. აი, სათანადო ნიმუშები (სქოლიოში აქაც ვუთითებთ იმავე ტექსტის გიორგისეული თარგმანის შესაბამის ადგილებს):

მიზეზი ამათისა დაბადებისად არავინ უწყის, გარნა⁹ მათ და მადლმან მათმან, რომელნი თუალითმხილველ იყვნეს სიტყვსა მის⁹

ხოლო მამაკაცებად და დედაკაცებად განყოფად არს დამტკიცებისათვის ნათესავობისა. დაებადა ამით მიზეზითა, ვითარ ვპგონებ¹⁰

... სახც იგი მიზეზთა მისთად¹¹

ესე არს მიზეზი სულთქუმისად¹²

1 იქვე, გვ. 73; შდრ. გიორგი: "დაფარულნი იგი მიზეზნი მათნი უნაკლულოდ წარმოადგინნა" (გვ. 60)

2 იქვე, გვ. 63 ; შდრ. გიორგი: "მზე არს მიზეზ არსებისა მცენარეთადასა" (გვ. 50, 10)

3 იქვე, გვ. 74 ; შდრ. გიორგი: "მისვე მიზეზისაგან წარმოიჩინებიან" (გვ.60)

4 იქვე, გვ. 86; შდრ. გიორგი: "მოიღებ შენ მიერ დაწყებასა და იტყვ მიზეზად კაცთა ცხორებისა" (გვ. 71)

5 იქვე, გვ. 86; შდრ. გიორგი: "ამათსაცა მიზეზსა ცისა ვარსკულავთა აჩემებენ" (გვ. 71)

6 იქვე, გვ. 88; შდრ. გიორგი: "იქმნიან იგინი მიზეზ წვმათა" (გვ. 73)

7 იქვე, გვ. 97; შდრ. გიორგი: "მიზეზი ცხად არს" (გვ. 81)

8 იქვე, გვ. 109; შდრ. გიორგი: "არა უმეცარ არიან მიზეზსა მას უტყუებისასა" (გვ. 92).

9 შატბერდის კრებული, გვ. 95 ; შდრ. გიორგი: "ხოლო ესევითარისა ამის ველოვნებისა ქეშმარიტი მიზეზი მათ ხოლო სამე უწყოდნიან, რომელნი-იგი თუალითმხილველ და ველითმსახურ იქმნენ სიტყვსა მის ქეშმარიტისა" (ნ. შალამბერიძის მიერ მომზადებული ტექსტი, გვ. 78; Pg. 44, col. 185)

10 შატბერდის კრებული, გვ. 96 ; შდრ. გიორგი: "ხოლო მამაკაცად და დედაკაცად განყოფილებადა ადამიანთად უკუანადგენელ შეეძინა კაცებასა ამის მიზეზისათვის, ვითარ ვპგონებ" (დასახ. ტექსტი, გვ. 80; col. 185)

11 იქვე, გვ. 98 ; შდრ. გიორგი: "... ზემოვსენებულისა ამისებრ მიზეზისა" (გვ. 85; col. 192)

12 იქვე, გვ. 123 ; შდრ. გიორგი: "ჩუენისაცა ამის თავით თვისით აღმოფშვნისა მიზეზი ესევე იქმნების" (გვ. 144; col. 245)

ასევე, მხოლოდ "მიზეზი" გვაქვს *αιτια*-ს ტერმინოლოგიურ შესატყვისად მომდევნო ხანაში. ეს ტერმინული ტრადიცია არ დარღვეულა არც ერთ ქართველ მთარგმნელთან.

II. ტერმინთა შესატყვისი სპერიანი გაბალოვნელის "ეჟუსთა ღღეთას" კველ ქართულ თარგმანში

ტერმინები *αιτια* და *αιτιον* ბერძნულ ორიგინალში ხუთგზის გვხვდება (ოთხჯერ *η αιτια*, ერთხელ *το αιτιον*). ხუთგზისვე ისინი გულისხმობენ ოდენ "მიზეზობრიობას", "დასაბამიერ პრინციპს". "განმაპირობებელ პირველსათავს" (აღვნიშნავდით, რომ ხსენებული ტერმინები წმიდა მამათა შრომებში, ბიბლიისაგან განსხვავებით, უმთავრესად სწორედ ამ შინაარსით გვხვდება). საგულისხმოა, რომ სევერიანეს შრომის ქართულ თარგმანებში არცერთ შემთხვევაში მათ შესატყვისად არ გვხვდება "მიზეზი". ოთხგზის *αιτια* და *αιτιον* თარგმნილია, როგორც "ბრალი". ერთგზის კი *αιτια*-ს შესატყვისად გვხვდება იმავე სიტყვის სუფიქსიანი ფორმა "ბრალობად". მოგვაქვს სათანადო ნიმუშები.

[საჭიროა ვთქვათ] ბრალიცა, რომლისაგან ნეტარმან ესაია სიწმიდჳ ესე ისმინა (57)

δει ημας και την αιτιαν ειπειν καθ ην ο μακαριος Ησαιας τον αγιασμον τουτον ηκουσε (444)

აღნიშნულ ადგილას სევერიანე გაბალოვნელი ცდილობს მკითხველს აუხსნას, თუ რა მიზეზით, რის გამო მოხდა, რომ სწორედ ესაიამ შეძლო ღვთის წმიდა საგალობლის, "სამწმიდაარსის" მოსმენა. მთელი მომდევნო მსჯელობა დასმული კითხვის პასუხს წარმოადგენს. ტერმინი *αιτια* და მისი ქართული შესატყვისი "ბრალი" მოტანილ კონტექსტში სწორედ მიზეზს, საბაბს, საფუძველს ნიშნავს და, ცხადია, არა "დანაშაულს".

რადსათვის ყო ესე, არა მოუხუნა მათგან? ცხად არს ბრალი (122)

διατι ουν τουτο πεποιηκε και μη ελαβεν αυτας παρ αυτων; φανερα η αιτια (463)

მითითებულ ადგილას სევერიანე გაბალოვნელი იკვლევს მიზეზს იმისას, თუ რატომ მიმადლა ღმერთმა საღვთო წერილი (კერძოდ, ძველი აღთქმა) ქრისტიანების გარდა ებრაელებსაც. ეგზეგეტის აზრით, ამ ფაქტის მიზეზი ცხადია. ძველი აღთქმა სწორედ ქრისტეს მოსწავებაა და მისი გზით ებრაელები ყოველთვის მხილებულნი იქნებიან. სრულიად აშკარაა, რომ აქაც *αιτια* მხოლოდ "მიზეზობრიობის" შინაარსს შეიცავს.

რადსათვის ყო ესე, არა
მოუხუნა მათგან? ცხად
არს ბრალი (122)

*διατι ουν τουτο πεποιηκε
και μη ελαβεν αυτας παρ
αυτων; φανερα η αιτια
(463)*

მითითებულ ადგილას სევერიანე გაბალოვნელი იკვლევს მიზეზს იმისას, თუ რატომ მიმადლა ღმერთმა საღვთო წერილი (კერძოდ, ძველი აღთქმა) ქრისტიანების გარდა ებრაელებსაც. ეგზეგეტის აზრით, ამ ფაქტის მიზეზი ცხადია. ძველი აღთქმა სწორედ ქრისტეს მოსწავებაა და მისი გზით ებრაელები ყოველთვის მხილებულნი იქნებიან. სრულიად აშკარაა, რომ აქაც **αιτια** მხოლოდ "მიზეზობრიობის" შინაარსს შეიცავს.

ვეძიებ გზასა-გარეწარ ბრალ-
სა, რომელნი სოდომელ-
თაებრ იქმოდეს, არა წარ-
წყმდეს, ვითარ სოდომელ-
ნი... რად არა-მე მოო-
ვრდეს, ვითარცა იგინი?
(134)

*ζητω δε εν παροδω την
αιτιαν... (466)*

ამჯერადაც **αιτια** და "ბრალი" ოდენ მიზეზობრიობას გულისხმობს. ეგზეგეტი ეძიებს მიზეზს, თუ რატომ არ განადგურდნენ სოდომელთა მსგავსად ისინიც, რომლებიც სოდომელთა ცხოვრების წესს მისდევდნენ.

ხოლო ბრალი იგი კუალ
არა სირცხვილისა, რომელი
უფროდს იყო: უკუდავები-
თა შემოსილ იყვნეს და
დიდებითა შემკულ იყვნეს.
არა შეახებდა დიდებაჲ იგი
ვნებად შიშუელთა მათ,
რამეთუ იგი ჰფარვიდა ში-
შულობასა მათსა (181)

*το δε αιτιον του μη
αισχυνεσθαι τω γυμνω ...
(482)*

ციტირებული ადგილი ახალ ქართულად ასე ითარგმნება: "ხოლო მიზეზი იმისა, რომ სიშიშვლის არ რცხვენოდათ (ადამს და ევას), იყო შემდეგი: უკუდავება შეემოსათ მათ და დიდებით შემკულიყვნენ, ხოლო დიდება არ ანებებდა მათ შიშველ ნაწილთა ცქერას, რადგანაც თვითვე ფარავდა მათ სიშიშვლეს".

როგორც ვხედავთ, აქაც **αιτια** და "ბრალი" მიზეზობრიობის აღმნიშვნელი ტერმინებია.

მეორე ჰომილიაში ერთგან სევერიანე გაბალოვნელი განმარტავს, რომ სამწმიდაარსის ფრაზა "უფალო საბაოთ" ნიშნავს "უფალო ძალთა". ეგზეგეტი დეტალურად გვაუწყებს ამგვარი განმარტების მიზეზის შესახებ. მსჯელობის წინ ასე მოგვმართავს იგი: "ხოლო მიზეზსაც გეტყვით თქვენ" (*λεγω δε και την αιτιαν*, col. 444). ამჯერადაც **αιτια** ოდენ მიზეზობრიობის აღმნიშვნელია. ქართული თარგმანი ასეთია:

"იტყვს ბრალობასა" (56).

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინები *αιτια* და *αιτιον* ჩვენთვის საინტერესო ძეგლში გადმოტანილია მხოლოდ მათი უძველესი შესატყვისებით: "ბრაღი" და "ბრაღობაჲ". რაც შეეხება საკუთრივ ტერმინ "მიზეზს", იგი ქართულ თარგმანში ორგზის გვხვდება ზემოგანხილული ბერძნული ტერმინების *προφασις* და *αφορμη*-ს ფარდად.

არა მიზეზი მიიღონ ჩუენ
ცოცხალთაგან (150)

*μη αφορμας δεχωνται
παρ ημων υβαινοντων*
(472)

ყოვლითავე მიზეზითა შე-
ისმინებიან (172)

*δια πασης γαρ προ-
φασεως κατηγορουνται*
(480)

როგორც ვხედავთ, სევერიანე გაბალოვნელის "ექუსთა დღეთაჲს" თარგმნის ჟამს *αιτια*-სა და *αιτιον*-ის ტერმინოლოგიურ შესატყვისად ჯერ კიდევ არ ჩანს "მიზეზი". მის ნაცვლად გვხვდება "ბრაღი" და "ბრაღობაჲ". ეს გარემოებაც უთუოდ თარგმანის დიდ სიძველეს ცხადყოფს. ამ ნიშნითაც სევერიანე გაბალოვნელის "ექუსთა დღეთაჲს" V ს-ში თარგმნილ ძეგლად გვესახება.

Ποιοτης, Ποιον

I. ტერმინთა კვალი ქართული შესატყვისები

აღნიშნული ტერმინები მიუთითებს საგნის რაობას, რაგვარობას, თვისებას, თავისებურებას, კვალიტეტს, დამახასიათებელ და განმსაზღვრელ ნიშანს. ორივე მათგანი ეფუძნება ნაცვალსახელს *ποιος*, რაც ნიშნავს: როგორი, რანაირი, რაგვარი, "ვითარი", "რომელი".

το ποιον ნიშნავს რაგვარობასაც და ამათუიმ რაგვარობის მქონე საგანსაც, ხოლო *η ποιοτης* ნიშნავს, საზოგადოდ, რაგვარობას, თვისობრიობას, ნიშანდობლიობას. ხშირ შემთხვევაში ეს ტერმინები ერთიმეორის იდენტურია.¹

ხსენებული ტერმინები ბიბლიაში არცერთხელ არ გვხვდება. რაც შეეხება ნაცვალსახელს *ποιος* მას, ჩვეულებრივ, გადმოსცემს "რომელი".

წინაათონურ პერიოდში *ποιοτης* და *ποιον*-ის ტერმინულ შესატყვისად ჩანს "ვითარებად". ამ მხრივ კვლავ ყურადღებას იქცევს ბასილი დიდის "ექუსთა დღეთადს"² და გრიგოლ ნოსელის "კაცისა შესაქმის" უძველესი თარგმანები, რომლებსაც რამდენჯერმე შევეხეთ ზემოთ. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები (სქოლიოში ამჯერადაც დამოწმებულია იმავე ძეგლების გიორგი მთაწმიდლის-ეული თარგმანები);

თითოეულსა მათგანსა აქუს
თვსაგანი ვითარებად,
რომლითა საცნაურ არს
სხვსაგან²

... *εχει ποιοτητα*

წყლისა ვითარებად არს
საკუთრად სიცივე³

... *ιδιαν ποιοτητα ... εχει*

ვითარებად იგი უკუე მათი
ტყუბ არს⁴

*συνεξευμενας εχει τας
ποιοτητας*

¹ იოანე დამასკელი აღნიშნავს: *ποιοτης* არის ის, რის მიხედვითაც ვილაცას ეწოდება "როგორი". აგრეთვე, *ποιοτης* არის ის, რის მიხედვითაც სახელს იღებს მასთან ზიარებული. "სიბრძნის" გამო "ბრძენად" იწოდება "სიბრძნის" მქონე და "მხურვალედ" იწოდება "მხურვალეობასთან" ზიარებული. გვმართებს ვიცოდეთ, რომ *το ποιον* ნიშნავს რაგვარობასაც (*την ποιοτητα*) და მასთან ზიარებულსაც, მაგალითად, მხურვალეობასაც და მხურვალესაც ანუ იმას, რასაც მხურვალეობა აქვს. "რაგვარი" არის "რაგვარობის" მქონე... მხურვალე "რაგვარია". მხურვალეობა კი "რაგვარობა". ამასთან *η ποιοτης* (რაგვარობა) ხშირად ითქმის, როგორც *ποιον* (რაგვარი). (იოანე დამასკელი, საფილოსოფოსო თავები, იხ. B. Kotter, Die Schriften des Yohannes von Damaskos, I, Berlin, 1969, s.119).

² ბასილი კესარიელის "ექუსთა დღეთად" ... ი. აბულაძის გამოც. გვ. 59; შტრ. გიორგი: "თვთოეულსა მათსა განთვსებული და განკუთვნილი აქუს სიძოხე და ვითარებად, რომლისა მიერ სხუათა მათგან განიყოფვის და თვთ თუ რად არს თვთოეული მათი" (IV. 5: გვ. 46).

³ ბასილი კესარიელი, დასახ. გამოც. გვ. 60; შტრ. გიორგი: "წყლისა განთვსებული ვითარებად არს სიცივე" (IV. 5: გვ. 46).

⁴ იქვე; შტრ. გიორგი: "შეულლვილ არიან სიძოხითა" (IV. 5, გვ. 47).

ესრეთ ვითარებითა შეუღ-
ლვილითა არნ ძალი შე-
რეულებისად ყოვლისად ყო-
ველსა შინა¹

δια του συζυγου πο-
ιοτητος ...

ყოველი ნივთი შეერევის
მოძმესა თვსსა ზიარებითა
ვითარებისადთა²

... δια της κοινης ποιο-
τητος ...

წყალი შუკა არს ორთავე
მათ და ვითარცა კელითა
უპყრია ვითარებად ორთა-
დვე მათ

... εκατερα ποιοτητι

გამოვიდის წყალი იგი
ზღვსად გამოსავალსა ვი-
თარებისაებრ მკურვალე-
ბითა აღვილთადთა³

ποιοτητος

არა იცოდის გამოცდილე-
ბით განყოფად იგი გომიზ-
თა ვითარებისად⁴

... τας ποιοτητας των
οπων

თვთ ერთსა შინა ლელუსა
მრავალი ვითარებად იქმ-
ნის⁵

... προς τας εναντιωτατας...
ποιοτητας

განჰყოფს შეერთებულთა ყო-
ველთა შანთსა შინა შემ-
წყნარებელსა და ვითარე-
ბასა შინა, რომელი მას
ზედა დავარდების⁶

τα συνθετα παντα ουτω
παρ ημων διαιρεισθαι εις
ουσιαν και εις την επισ-
υμβασαν αυτη ποιοτητα

1 ბასილი კესარიელი, დასახ. გამოც. შდრ. გიორგი: 'ესრეთ შეყოფილითა მით სიმონითა ძლიერებად მათი წარმოიჩინების და თვთოეული თვთოეულსა შეერთვის' (IV, 5, გვ. 47).

2 იქვე: შდრ. გიორგი: 'მახლობელსა მას ნივთსა ზოგადისა მიერ სიმონისა თვთოეული მათი შეეზავების' (IV, 5, გვ. 47).

3 იქვე: გვ. 60. შდრ. გიორგი: 'ორთავე შორის დაწესებულ არს წყალი, ვითარცა სახედ ორთა კელთა შეპყრობითა ორკერძოდთა მით სიმონითა მახლობელთა მათ თვსთა შეეზავების' (IV, 5; გვ. 47).

4 იქვე, გვ. 61. შდრ. გიორგი: 'სიღრმეთა შინა ქუეყანისათა მკურვალეთა სიმონეთაგან გამოვიდის წყალი იგი' (IV, 6; გვ. 48).

5 იქვე, გვ. 74; შდრ. გიორგი: 'გამოცდილებით არა იცოდის განყოფილებად იგი და სიმონზე გომიზისად' (V, 8; გვ. 61).

6 იქვე, შდრ. გიორგი: 'თვთ მასვე ლელუსა შინა მრავალფერად სიმონედ და ვითარებად შეიცვალების' (V, 9, გვ. 61).

7 იქვე, გვ. 80; შდრ. გიორგი: 'ყოველივე აგებული ჩუენ შორის ესრეთ განიყოფვის შემწყნარებელად არსებად და მას ზედა შემოსრულად ვითარებად' (VI, 3, გვ. 66).

საქმენი ესე ვითარებასა
შინა გუამისასა არიან¹

... εις τας ποιας των
σωματων κατασκευας
(Pg. 44, col. 160)

ნაყოფი იგი შეზავებულ
არს შეკრებითა მით აღყუ-
ავილებული, ვითარებითა და-
წვალებულ არს²

... ταις εναντιαις πο-
ιοτησιν (col. 197)

[ღმერთმან] შეცვალნეს
ვითარებანი მსგავსად
ნებისა თვისისა³

... προς το δοκουν επι-
βαλειν τας ποιοτητας
(col. 212)

ვხედავთ ყოველთა ნივთთა
პოვნელად ვითარებისაგან
განშორებულ და შანთისა-
გან გამოთქუმით⁴

... εκ ποιοτητων τινων
συνεστωσαν την υλην ...
εκαστον ποιοτητος
ειδος... (col. 212)

სხუად არს საზღვარი ფე-
რისად და სხუად არს
ნივთისა და სხუად არს
ვითარებად საგრძნობელ-
თად საზღვრითა⁵

ετερος... ο της ποιας
κατα την αφην ιδιοτητος
(ο λογος) (col. 213)

1 შატბერდის კრებული, გვ. 85; შდრ. გიორგი: "ესე ყოველი ვითარებასა
ვორცთა აგებულებისასა განეკუთნვის" (ნ. შალამბერიძის მიერ გამოსაცემად
მომზადებული ტექსტი, გვ. 46).

2 იქვე, გვ. 101; შდრ. გიორგი: "შერეულად და შერწყმულად გამომღებელი
ნაყოფისად, წინააღმდეგომთა სიძობეთა მიერ განზავებული" (გვ. 92).

3 იქვე, გვ. 108; შდრ. გიორგი: "ღმერთსა ძალუც ვითარებისა და სიძობისა
მიცემად, ვითარცა ინებოს" (გვ. 108).

4 იქვე: ციტირებული ადგილი შედის თხზულების 23-ე თავში. როგორც
აღვნიშნავდით, ამ თავის ხელმეორე თარგმანი 24-ე თავად შეტანილია "კაცისა
შესაქმის" იმავე უძველეს ვერსიაში, რომელიც "შატბერდის კრებულმა" და Jer.
44-მა შემოგვინახა. ამ ხელმეორე თარგმანში მოტანილი ადგილი ასეთი სახისაა:
"ვხედავთ ყოველთა ნივთთა პოვნელთა ვითარებისაგან, რომელი ოდეს-იგი განშიშულდის
მათგან, ვერლარა იცნობის მითხრობითა. და თითოეული ვითარებისაგან საჩინო არს
შანთისაგან მითხრობითა" (იქვე, გვ. 109); შდრ. გიორგი: "ყოველსავე ნივთსა
სიძობეთა რათმე და ვითარებათაგან ეპოვებთ აგებულად, რომელთაგან უკუეთუ
განშიშულდეს თავით თვისით, არლარა იქმნეს მისაწდომელ სიტყვთა. და ყოველივე
სახე ვითარებისა და სიძობისად სიტყვთა განიყოფის მის ქუეშე მყოფისა მისგან"
(გვ. 108).

5 შატბერდის კრებული, გვ. 108; იმავე უძველეს ვერსიაში დაცული ხელმეორე
თარგმანი: "საზღვარი ფერისად სხუად არს და შორავს საზღვარსა სიმძიმისა და
კუალად საზღვარი შეხებისად სხუად არს" (იქვე, გვ. 109); შდრ. გიორგი: "სხუად
არს სიტყუად ფეროვნებისად და სხუად არს სიმძიმისად და ვითარებისა კუალად
და რაბამობისა და შეხებით განთვსებისად" (გვ. 109)

თითოეულსა მათგანსა აქუს
საზღვარი თვისი განჩინებუ-
ლი, რად იგი არს, და არა
შეერთვის სხუასა ხილულ-
სა გამოუთქუმელსა ვითა-
რებისაგან¹

... αλλη τιμι... ποιότητι
(col. 213)

ყოველნი განყოფანი, რო-
მელნი არიან ტომებსა ში-
ნა, შეიცვალნენ ვითარე-
ბათაგან ბუნებისათა შეზა-
ვებასა შინა²

... αι ποιαι της κρασεως
παραλλαγαι (col. 228)

ძალი იგი ნოტიამყოფელი
ყოველთად ერთ არს ბუნ-
ებით და საკუთრებად მიმ-
ღებელთა მათ ზრდისათად
განიყოფვის მრავალფერად
ვითარებითა თითოპირითა³

... εις διαφορους...
ποιότητας (col. 252)

ერთისაგან ნოტიისა გამ-
ოვალს და აღმოაცენებს
თითოფერად დაწვალბულ-
თა ვითარებასა შინა მათ-
სა⁴

κατα τε το σχημα και το
ειδος τας ποιτητας δι-
ακρινεται (col. 252)

დამოწმებული ნიმუშები ცხადყოფს, რომ ბასილი დიდის და გრიგოლ
ნოსელის ზემოაღნიშნულ თხზულებათა უძველესი (VIII-IX სს.) თარგმანები
ბერძნული *ποιότης*-სა და *ποιον*-ის ტერმინულ შესატყვისად ავლენენ
"ვითარებას", რაც, ჩვეულებრივ, შენარჩუნებულია გიორგი მთაწმიდლის მიერ,
თუმცა ეს უკანასკნელი გვაწვდის, აგრეთვე, ხსენებულ ბერძნულ ცნებათა
ახალ ტერმინულ შესატყვისს "სიპოზე". გიორგი მთაწმინდელი ხშირად

1 შატბერდის კრებული, მეორე უძველესი თარგმანი: "თითოეულსა მათსა
საზღვარი აქუს განჩინებული, რად-იგი არს და არა შეერთვის სხუასა, რომელნი
სახილველ არიან მითხრობასა შინა ვითარებისას" (იქვე, გვ. 109); შდრ. გიორგი:
"თვთოეულსა მათსა განთვსებულად, ვითარცა არს, ეგრეთ წარმოაჩინებს
მთარგმანებელი მათი სიტყუად; ეგრეთცა გულისვმა-იყოფების თვთოეულისა მათისა
საზღვარი და არარას სხუასა ეზიარებიან მათ ქუეშე მყოფთა მათ ვითარებისა
სიპოზეთა" (გვ. 109).

2 იქვე; გვ. 115; შდრ. გიორგი: "სახისა განყოფილებათა ვითარებანი აგებულებისა
ცვალებასა გამოსახვენ" (გვ. 123).

3 იქვე; გვ. 125; შდრ. გიორგი, სადაც *ποιότης*-ს შესატყვისი რატომღაც
არ გვხვდება: "წყალი იგი, რომელი ზრდინ მათ, ერთ არს ბუნებით, ხოლო
აღზრდილთა მათ განყოფილებად თვთოსახედ და პირადპირად, და თუ ვითარ
ერთი იგი წყალი ესრეთ მრავალსახედ გარდააქცევს თავსა თვისსა" (გვ. 150).

4 იქვე; შდრ. გიორგი: "ერთისა და მისვე წყლისაგან აღმოცენების ყოველი
და ესეოდენნი ესე და ესევითარნი და ესრეთ მრავალსახედ განყოფილნი და
სახითა და გუარითა და სიპოზითა" (გვ. 151).

აწყვილებს "სიპოხესა" და "ვითარებას" და ზემოაღნიშნული ტერმინული ასპექტით მათ სავსებით აიგივებს.¹

სხვა თარგმანებში გიორგი მთაწმიდელი "ვითარებისა" და "სიპოხის" იდენტურად (რაგვარობის შინაარსით) იყენებს, აგრეთვე, ტერმინს "სიკჷმოჲ", რომლის მეტად საყურადღებო დამოწმებანი გვაქვს გრიგოლ ნოსელის თხზულების "პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს" მისეულ თარგმანში.²

ტერმინები "სიპოხე", "ნივთი" და "აგებულება" რაგვარობის, თვისობრიობის აღმნიშვნელად ჰენდიადისური შესატყვისის სახით გვხვდება, გრიგოლ ნოსელის შრომის "ძიებაჲ სულისათჳს" ექვთიმე ათონელისეულ თარგმანში

[ნივთნი] არცა, შეიზავნენ რაჲ ურთიერთას, წინააღ-დგომითა აგებულებისა და სიპოხისაჲთა განიხრწნებიან (გრიგოლ ნოსელი, ძიებაჲ სულისაჲ, A-55, 33).

*ουτε εν αλληλοις φθει-
ρεται κατακιρναμενα
προς αλληλα ταις εναν-
τιαις ποιησιον* (Pg. 46,
col. 25)

... წინააღმდგომთა ნივთ-
თაგან (33)

εναντιας... ποιητας
(20 C)

აგებულებაჲ თითოსახე
(35)

η ποιητες διαφορος
(33 C)

არცა შეურევნელნი და შეუზავებელნი განთვსებითა აგებულებისაჲთა განი-ყოფვიან ურთიერთარს (იგივე ძეგლი, A-55, 33).

*ουτε τα αμικτα τε και
ακοινωνητα κατα την ιδι-
οτητα των ποιητητων
διαχωρει απ αλληλων*
(col. 25)

1 იშვიათ შემთხვევაში გიორგი მთაწმიდელი "ვითარებად" თარგმნის სხვა ბერძნულ ტერმინებსაც: *πηλικοτης* და *ποσων*: "არცა ფერი აქუნდა, არცა სახე და არცა ვითარებაჲ (*πηλικοτης*)" იხ. გრიგოლ ნოსელი, პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს, საქ. ეკლ. კალენდარი, 1989, გვ. 330; "ოთხი აგებულებაჲ იხილვების ორთქლსა შინა, ესე იგი არს: ნოტიჲ და ცივი, მძიმე და ვითარებაჲ", იქვე (დანარჩენი ნიმუშები იხ. იქვე); *το ποσων*: "ცეცხლი ვითარებასა შინა (*εν ποσων*) იხილვების", იქვე, გვ. 330; "ვითარ ვითარებაჲ (*το ποσων*) უვითაროდსაგან (*εκ του αποσους*)?" იქვე, გვ. 331; 358; *πηλικοτης* სხვაგან გიორგი მთაწმიდლის მიერ თარგმნილია, როგორც "რავდენობაჲ" (იხ. იქვე, გვ. 358).

2 ეს თარგმანი ტერმინულად შესწავლილი გვაქვს ტექსტისადმი დართულ ლექსიკონში (იხ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1989წ. გვ. 302-412; აღნიშნულ ბერძნულ ტერმინებთან დაკავშირებით იხ. ლექსიკური ერთეულები "ვითარება", "საპოხე", სიკჷმოჲ).

3 "სიპოხის" კვალიტატური გააზრება კონკრეტულად გიორგი მთაწმიდელთან შემჩნეული აქვს მკახაძეს, რომელიც ბასილი დიდის "ექუსთა დღეთაჲს" მისეული გამოცემისადმი დართულ ლექსიკონში ყოფით მნიშვნელობებთან ერთად სავსებით მართებულად განმარტავს "სიპოხის" ტერმინულ შინაარსსაც: "სიპოხე - რაობა, თვისება, თავისებურება *ποιητης*" (იხ. დასახ. გამოც. გვ. 163-164). ასევე მართებულადაა განმარტებული მკახაძის მიერ "ვითარება", როგორც "რაობა" (იხ. იქვე, გვ. 136).

და ესრეთ ფრიადი განყოფილება იხილვების ნივთთა შორის ადგილითა და აგებულებითა (A-55, 36 v)

... *κατα γε την τοπικην θεσιν και την των ποιοτητων διαφοραν* (col. 45)

ქართულად თარგმნილია, აგრეთვე, გრიგოლ ნოსელის "დიდი კატეხიზმური ქადაგება" (მთარგმნელი შესაძლოა იყოს გიორგი ათონელი). ერთგან აღნიშნულ ძეგლში ბერძნული *ποιότης* გადმოტანილია, როგორც "აგებულებად და სიზრქე":¹

რად ზიარებად აქუს თესლსა მდინარესა კაცთა აგებულებისა მიმართ და სიზრქისა? (გრიგოლ ნოსელი, სწავლანი, A-55, 16v, Ath. 14, 33)²

τι γαρ κοινον σπερματι ανθρωπου προς την εν εκεινω θεωρουμενην ποιοτητα; (Pg. 45, col. 84 C)

გიორგი მთაწმიდელი, საზოგადოდ, როგორც მივუთითებდით, *ποιότης*-ს შინაარსით თანაბრად იყენებს ტერმინებს "ვითარებად", "სიპოხე" და "სიკჳოფ".

ქართული "ვითარება" ეტიმოლოგიურადაც თანხვედება ბერძნულ ტერმინს ("ვითარი" ნიშნავს: "როგორი", ე.ი, ნიშნავს იმასვე, რასაც ბერძნული *ποιος*). ასე რომ, იგი ტერმინულად სავსებით კანონზომიერად ესატყვისება *ποιότης*-ს. რაც შეეხება "სიპოხეს", ეს უკანასკნელი "რაგვარობის", "თვისობრიობის" აღმნიშვნელ ტერმინად, როგორც ჩანს, მკვიდრდება ზემორე ბერძნული სიტყვის თავისებური ეტიმოლოგიური გააზრების საფუძველზე. საქმე ისაა, რომ "სიპოხე" ყოფითი აზრით თითქმის უცვლელად გადმოსცემს ბერძნულ *ποιότης*-ს (ეს უკანასკნელი "ნოყიერებას", "ცხიმიანობას", "პოხილობას" ნიშნავს):

თანაზიარ... სიპოხისა ზეთისხილისა იქმენ (რომ. 11, 17)³

της ποιητος

დაემკუა ტაბლად შენი, სავსე სიპოხითა (იობ. 36, 16)⁴

... *πληρης ποιητος*

1 შეიძლება მიგვეთითებინა იმაზეც, რომ გრიგოლ ღვთისმეტყველის ერთ საკითხავში, რომელიც დავით ტბელის თარგმანად მიიჩნევა (Pg. 35, 821), *ποιότης* თარგმნილია, როგორც "წესი": "რომელთათვის-მე კუალად არა ნათელ, არამედ ცეცხლ არს თითოეულისა ღირსებისაებრ და წესისა" (S-383, 255; შდრ. ბერძ. ... *κατα την υποκειμενην υλην και ποιητητα*)

2 აღნიშნული თარგმანი ხელნაწერებიდან გადმოწერა მამა ლავრენტი ბუზიაშვილმა.

3 დამოწმებულია იაბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში

4 დამოწმებულია იქვე

ცმელითა სიპოხისადთა
განძღეს სული ჩემი
(ფსალ. 62, 6)¹

στειλτος και πλοητος ...

... სიპოხითა სახლისა შე-
ნისადთა (ფსალ. 35, 9)²

... απο πλοητος οικου
σου...

ვსე ორნი არიან ძენი
სიპოხისანი (ზაქ. 4, 14)

... υιοι της πλοητος

მათ შესუან სიპოხს შენი
(ეზექ. 25, 4)

πιοται την πλοητα σου

მოგეცინ შენ უფალმან...
სიპოხისაგან ქუეყანისა
(შესაქ. 27, 28)

... της πλοητος της γης

სიპოხისაგან ქუეყანისა
იყოს მკვდრობად შენი (შე-
საქ. 27, 39)

απο της πλοητος...

დაითხიოს სიპოხე (III
მეფ. 13, 13)

εκχυθησεται η πλοητος

დაითხია სიპოხე (III
მეფ. 13, 5)

εξεχθη η πλοητος

ბერძნული სიტყვები *πλοητος* და *πιοητος* გრაფიკულად ძალიან მსგავსნი არიან. ეჭვი არ არის, რომ სწორედ ამგვარმა მსგავსებამ განაპირობა მათი შინაარსობრივი დაკავშირებაც, რაც, როგორც ვნახეთ, ნიშანდობლივია გიორგი მთაწმიდლისათვის.

რაც შეეხება "სიპოხეს" და "სიპოხს", ისინიც "სიპოხის" მსგავსად შინაარსობრივად უკავშირდებიან სწორედ ბერძნულ *πλοητος*-ს. ეჭვი არ არის, რომ ხსნებული სემანტიკების კვალიტატური გააზრებაც, ასევე, ზემომოტანილ ბერძნულ ტერმინთა გრაფიკული მსგავსებიდან გამომდინარეობს.

რაც შეეხება ექვთიმე მთაწმიდელს, იგი, როგორც ცნობილია, უფრო მეტ თავისუფლებას იჩენს ამათუიმ ტერმინის თარგმნისას, ვიდრე გიორგი მთაწმიდელი, ეს გარემოება კი ხშირ შემთხვევაში აძნელებს მისეულ თარგმნათა ტერმინულ დაკონკრეტებას. თუკი აღნიშნულ შემთხვევაში მაინც

1 დამოწმებულია ი. აბულაძის "ძველი ქართული ენის ლექსიკონში"
2 ფსალმუნის ეს ფრაზა ციტირებულია "სინურ მრავალთავშიც" იხ. გვ. 188, 30
3 "სიპოხე" თვისობრიობის შინაარსით ძალიან ხშირად გვხვდება გრიგოლ ნოსელის "ექუსთა დღეთაჲს" გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანში (იხ. საქ. ეკლ. კალენდ. თბ. 1989 წ., გვ. 370-371). ეგვე შესატყვისი გვაქვს ეგნატი ანტიოქიელის ეპისტოლეში ტრალისელთა მიმართ, რომელიც, ასევე, გიორგიმ თარგმნა: "ტკბილითა მით სიპოხითა შეიტყუოს" (საქ. ეკლ. კალ. თბ. 1988, გვ. 538; შდრ. თე γλυκυτατη κλαπεις ποιοτηι Pg. v, col. 784 B). საგულისხმოა, რომ *ποιοητος*-ს ზმნურ ფორმას *ποιοω* გიორგი "განპოხებად" თარგმნის: "განპოხობ (ποιωθεις) საღმრთოდთა მეცნიერებითა" (თალასი, სიყუარულისათვის 2.54; იხ. საქ. ეკლ. კალენდ., თბ. 1989, გვ. 431); "გონებისა გულისკმისყოფითა განპოხებად (ποιωθησαι)" (იქვე, გვ. 430).

შევეცდებით გარკვეული ტერმინული შესატყვისობის დადგენას, შეიძლება გვეთქვას, რომ გარდა ზემოაღნიშნული შესატყვისებისა ("აგებულება" და "სიბოხე"), ბერძნული *ποιότης* ექვთიმეს მიერ ითარგმნება, აგრეთვე, როგორც "ბუნება". მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"ლოცვად ბუნებით (*κατα την ποιότητα*) შეერთება არს ღმრთისა და კაცისა"¹

"სიყუარული ბუნებით (*κατα ποιότητα*) მსგავსებად არს ღმრთისა"²

"... რომლისა-იგი ბუნებად სიტყვით არა საცნაურ-იყო" (... *την ποιότητα αγνωριστῶμενοντα*)³

"ცუდადმზვობობად... ბუნებითა მისითა (*κατα την ποιότητα*) განმაბნეველი არს შრომათა მისთა"⁴

ერთ შემთხვევაში *ποιότης* თარგმნილია ორი შესატყვისით: "ბუნებად და სახე".

"ბუნებათაებრ და სახეთა ვნებათა ჩუენთასა (*προς τας ποιότητας των εν ημιν παθων*) მორჩილებადცა მოვიგოთ"⁵

ერთგან ექვთიმეს თარგმანში გვაქვს "გონებად", რაც უთუოდ თავდაპირველი "ბუნების" მექანიკური ხელნაწერული დამახინჯებაა:

"რამეთუ ჩუენდა შემოკრებასა გონებისასა (*μετα της ποιότητος*) სიმრავლევცა საჯმარ არს ლოცვისა"⁶

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ექვთიმე ათონელი ბერძნულ *ποιότης*-ს თარგმნის, აგრეთვე, როგორც "ბუნებად".

ეფრემ მცირე *ποιότης*-ს შესატყვისად ამკვიდრებს ტერმინს "რომელობად". ეს ტერმინიც, მსგავსად "ვითარებისა", ბერძნული სიტყვის ზუსტი შესატყვისია. აი, რამდენიმე ნიმუში:

ჩუენშორისი ესე მზე გრძნობადთა ამათ არსებათა და რომელობათა... განაახლებს⁷

რომელობად არს, რომლისაგან ვიეთმე რომელ სახელ-ედების და კუალად რომელობად არს, რომელი იგი ნართაულად ეწოდებოდის მქონებელსა მისსა⁸

1 იოანე სინელი, კლემაქსი, საქ. ეკლ. კალენდ. თბ. 1986, გვ. 446. ბერძნ. ტექსტი. იხ. *Του σοιου Πατρος ημων Ιωαννου του Συναϊτου, Κλίμαξ, εις. υπο Αρχιμ. Ιγνατιου*, 1978, p.355

2 იქვე, გვ. 459; ბერძნ. ტექსტი. გვ. 374

3 იქვე, გვ. 381; ბერძნ. ტექსტი. გვ. 265

4 იქვე, გვ. 362, ბერძნ. ტექსტი. გვ. 238

5 იქვე, გვ. 269, ბერძნ. ტექსტი. გვ. 112

6 იოანე სინელი, დასახ. გამოც. გვ. 449; ბერძნ. ტექსტი. გვ. 360. აღვნიშნავთ იმასაც, რომ ერთგან ბერძნული *ποιότης* ექვთიმეს მიერ თარგმნილია, როგორც "საზომი": "სიტყუად ღმრთისად... კაცადკაცადისა საზომისაებრ (*κατα την ποιότητα*) სათნოებისა... მისცემს მადლსა" (A-636, 41 v; ბერძნ. ტექსტი, მაქსიმე აღმსარებლის შრომები, Pg. 90, col. 249A).

7 დიონისე არეოპაგელი, საღმრთოთა სახელთათვს, v, 8 (ს. ენუქაშვილის გამოც. თბ. 1961, გვ. 64).

8 იოანე დამასკელი, დიალექტიკა, გვ. 141; იხ. ლექსიკონი, გვ. 218-219. ბერძნ. ტექსტი. იხ. B.Kotter, *Die Schriften des Johannes von Damaskos*, I, Berlin, 1969, s.119

რომელობა არს თვთ მკურვალეზად იგი¹

არიან უკუე რომელობისა სახენი ოთხ²

ვნებული რომელობად³

მეორე სახე რომელობისად⁴

მესამე სახე რომელობისად არს ვნებული რომელობად⁵

არსენ იყალთოელისათვის გვიანდელ თარგმანებში "რომელობის" ნაცვლად ძირითადია "ვითარებად". როგორც ცნობილია, იოანე დამასკელის "დიალექტიკა" ეფრემის შემდეგ არსენმა თარგმნა ქართულად. ამ უკანასკნელის თარგმანში ეფრემისეული "რომელობად" შეცვლილია ტერმინით "ვითარებად".⁶

რაც შეეხება გასუბსტანტივებულ ნაცვალსახელს *το ποιον*, მას ეფრემი თარგმნის სიტყვით "რომელი", ხოლო არსენი - როგორც "ვითარი".⁷ ამასთან, არსენისათვის არც "რომელობად" არის იშვიათი. ანასტასი სინელის "წინამძღვრის" მისეულ თარგმანში ვკითხულობთ:

ანაგები არს ყოვლისავე ბუნებისა რომელობითი ძალი (S-1463, 4v1 *ποιοτης* - "რომელობად", იხ. 5v1-68B-C; 7.1-80B; 7.2-80C; 38v1-305A და სხვა)

εξως εστιν η ποια πασης φυσικης δυναμης (Pg. 89, col. 61 C)

იოანე პეტრიწის თარგმანებში *ποιοτης* გადმოცემულია ეფრემისეული ტერმინით "რომელობად":

მიმოცვალება უკუ რომელობითა⁸

... ძნად შეზავებისათვის რომელობათადასა⁹

... ცვალებათათვის, რომელობათაგან ქმნულთადასა¹⁰

... სხვსა რომელობისა მიერ სწორსაზომადვე აღყვანებად¹¹

1 იოანე დამასკელი, გვ. 141; ბერძნ. ტექსტი, დასახ. გამოც. გვ. 119.
 2 იქვე, გვ. 142; ბერძნ. ტექსტი, გვ. 120
 3 იქვე;
 4 იქვე, გვ. 143, ბერძნ. ტექსტი, გვ. 120
 5 იქვე, გვ. 143; ბერძნ. ტექსტი, გვ. 120. "დიალექტიკის" ქართულ თარგმანში "რომელობათა" დამოწმებანი აღნუსხულია მ.რაფაეას მიერ გამოცემისადმი დართულ ლექსიკონში. იხ. დასახ. გამოც. გვ. 219. ერთგან ეფრემის მიერ *ποιοτης* თარგმნილია, როგორც "ვითობად"; იხ. გვ. 218.
 6 იხ. ამის შესახებ მ.რაფაეას მიერ შედგენილი დასახ. ლექსიკონი, გვ. 219
 7 იქვე, გვ. 218-219
 8 ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვის კაცისა, დასახ. გამოც. გვ. 13, 18; იხ. ტექსტზე დართული ლექსიკონი, გვ. 205. ბერძნ ტექსტი: Pg. 40, col. 516-517
 9 იქვე, გვ. 15, 6; 520
 10 იქვე, გვ. 15, 8; 520
 11 იქვე, გვ. 15, 10; 520

... მიმოცვალებისათვის რომელობათადასა¹

რამეთუ რომელობადაცა უსხეულო²

რამეთუ უსხეულო რომელობანიცა³

რომელობად ზედშემხებელი განეყოს რად სხეულსა, გარომელოვნებული (πεποιωμενον) სხეული რად, არამედ უკუეთუ რომელობად შემძლებელ არს სხეულთა შეხებადცა⁴

არცა რომელობანი სხეულ⁵

შეზავებულობად - რომელობად, ხოლო რომელობად იქმნების და გარდაიქმნების... და არცა რომელობა არს სული⁶

არა ვიდრემე რომელობად სხეულთა სული⁷

ყოვლისა სხეულისა რომელობანი გრძნობადნი არიან⁸

ნივთი არს ურომელობად (απειος) და არა სხეული⁹

ადგილი და რომელობანი უსხეულო არიან... სიზრქეთა შორის დარომელოვნებთან (ποσοιται, - უნდა იყოს ποιοιται)¹⁰

არათუ რომელობანი თვთ თავით თვისით შემძლებელ არიან ასოქმნად, რამეთუ არა უსხეულოთა რომელობათაგან იიჭუნეულებიან შემტკიცებად სხეულნი, არამედ... რომელთა არა კიდოვნებით ჰქონდეს და მოქმედებით რომელობად, შესაძლებელ არს ასოყოფად¹¹

... უმცირეს რომელობათა მოგებისათვის¹²

... მოქმედებით მქონებელი კიდოვნებითა რომელობათა, ვიტყვ უკუე:

1 ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვის კაცისა, დასახ. გამოც. გვ. 15, 20; 520
 2 იქვე გვ. 29, 7; 545
 3 იქვე გვ. 30, 7; 549
 4 იქვე გვ. 30, 22-24; 550, n.29
 5 იქვე გვ. 30-31; ბერძნ. აკლია
 6 იქვე გვ. 34, 20-25; 557
 7 იქვე გვ. 35, 4; 557
 8 იქვე გვ. 35, 3; 557
 9 იქვე გვ. 37, 26; იხ. ტექსტზე დართული ლექსიკონი, გვ. 212; 557
 10 იქვე გვ. 26, 9-11. ს.გორგაძე აღნიშნულ მაგალითში დამოწმებულ 'დარომელოვნებას' ასე განმარტავს: 'რაოდენობითი განსაზღვრულობის მიღება' (იქვე, გვ. 205). ბერძნული ποσοιται, ცხადია, ამას ნიშნავს, მაგრამ ექვი არ არის, რომ მთარგმნელის მიერ ნასარგებლევ ბერძნულ ხელნაწერში იქნებოდა არა ποσοιται, არამედ ποιοιται, vol. 540
 11 იქვე გვ. 62, 1-5; 613
 12 იქვე გვ. 62, 6; 613

სამკურვალესა, სიგრილესა, სინოტიესა და სიკმელესა¹

ესენი ოდენ მხოლოდ რომელობათაგან²

სხუათა რომელობათაგანი არა რომელი მოქმედებს³

სხვთა რომელობითა თანშემხებელ⁴

წინააღმდგომი ამათ რომელობათად⁵

თვთეულსა ასოთასა სამი რომელობად აქუს⁶

ურომელო უკუე და უძალო სხეული...⁷

იოანე პეტრიწი თავის კომენტარებშიც ხშირად იყენებს აღნიშნულ ტერმინს:

"ყოველი აიდიოდ მიუდრეკელ... ზედშემონაქმითა რომელობითა";⁸ "სწორ განყოფილ ჟამითა, ვითარ რომელობანი ოთხთა ასოთანი"; "ეგნენ ერთობასა და სწორებასა ზედა რომელობანი ოთხთა კავშირთანი"; "აღმოაჩინა არისტოტელი, ვითარმედ ურომელოდ სხეული გარომელოდების ოთხთა რომელობათაგან"; "ურთიერთას წინამეწყოთა რომელობათა თანადათანაებულ": "უსხეულოდ გუარი მიუდრეკელ არს ადგილითაცა და რომელობითა"; "მათმიერიცა რომელობად უმაცხოვნებელეს"; "რომელობანი თვთებათანი"; "გაიცდებიან... ოთხთაცა შორის რომელობათა"; "რომელობად უფრო დარომელოდების"; "არცა სხეულებრივთა რომელობათა მიერ ივნებს რას"; "საცნაურად ჩანს განყოფად რომელობითთა და ზესთარსთა თვთებათა მათთად"

მაქსიმე აღმსარებლის თხზულებათა ძველ ქართულ თარგმანებში, რომლებიც დაცულია გელათურ ხელნაწერში (14), ხსენებული ბერძნული ტერმინები, ჩვეულებრივ, "ვითარებად" არის გადმოტანილი:

"ვითარებისაებრ და რაოდენობისა სულიერისა ჰასაკისა სხუად სხვსა არს უძლიერეს"⁹

"ტკბილ არს უფალი, ვითარებითა საღმრთოდთა განღმრთობისა მიმართ გარდამზავებელი მჭამელთად"¹⁰

1 ნემესიოს ემესელი, დასახ. გამოც. გვ. 62, 10; 613

2 იქვე, გვ. 62, 11; 613

3 იქვე, გვ. 62, 13; 613

4 იქვე, გვ. 63, 10; 616

5 იქვე, გვ. 68, 1; 625

6 იქვე, გვ. 67, 18; 624

7 იოანე პეტრიწი, შრომები, I, გვ. 52,3.იხ. ლექსიკონი, გვ. 216

8 იოანე პეტრიწი, შრომები, II, გვ. 26, 16; იხ. პირველ ტომზე დართული ლექსიკონი (მითითებულია პეტრიწის შრომის შესაბამისი ადგილები, სადაც "რომელობა" გვხვდება).

9 წმ. მაქსიმე აღმსარებელი, თითოსახეთათვის უღონოებათა წმიდისა წერილისათა, გელ. 14, ფ.18; ბერძნ. ტექსტი იხ. Pg. 90, col. 289A; იხ. აგრეთვე: ფოტო 384.2-473D; 387.1-477A; 395.2-485A; 396.1-485B; 397.1-485C; 401.1-492A; 450.1-564A; 450.2-564B; 451.1-564C; 454.2-568D და ბევრი სხვა.

10 წმ. მაქსიმე აღმსარებელი, ლოცვისათვის მამაო ჩუენოფსა, გელ. 14, ფ.154. ტექსტი გამოსაცემად მომზადებული აქვს ნ.საყვარელიძეს

იმავე თარგმანებში, ზემორე ბერძნული ტერმინების შესატყვისად "ვითარების" გარდა ზოგჯერ გვხვდება ეფრემ მცირის მიერ დაკანონებული "რომელობა". :

ყოველსავე სულიერისა საქმლისა რომელობად აქუს მას (A-39, 299 v, Pg. 90, col. 1124 C)

ყოველსა ცნობასა... უეჭუელად არსებითად აქუს დანაცემი, ვითარცა რომელობასა რასმე (A-39, 301; 1125 D)

საგულისხმოა, რომ უარყოფით პრეფიქსიანი *αποιος* თარგმნილია, როგორც "ურომელოდ".

ანუ წინაუკუმო სამობისა შორის მხოლოობად, რამეთუ ურომელო არს (გელ. 14, ფ.159; col. 892 D)

საყურადღებოა, რომ მაქსიმე აღმსარებლის ხსენებული შრომის ორიგინალში გვხვდება ზემორე ტერმინის ზმნური ფორმის (*ποιω*) მიმღეობა (*πεποιωμενος*), რაც ქართულად თარგმნილია, როგორც "განვითარებული":

გარეშემწერელი... სიტყვთა და სულითა განვითარებულისა

... *πεποιωμενην* (892 B)

სიტყვთა და სულითა განვითარებული²

... *πεποιωμενον* (892 C)

საგულისხმოა ისიც, რომ ამ უკანასკნელი ნიმუშის მომდევნო ტექსტში გვხვდება ტერმინი "განრომელებულთად"; ეს უკანასკნელი იგივეობრივია "განვითარებულისა", თუმცა კონკრეტულად აღნიშნულ შემთხვევაში ხსენებული სიტყვა, როგორც ჩანს, მთარგმნელობითი უზუსტობის შედეგადაა გაჩენილი. საქმე ისაა, რომ "განრომელებულთად" აქ შესატყვისება ბერძნულ მიმღეობას *εισπεποιημενους*-ს. ეს მიმღეობა მომდინარეობს ზმნიდან *εισποιεω*, რომლის საშუალო გვარი ნიშნავს "შვილებას, შვილად შეწყენარებას". მთარგმნელს კი ზემორე მიმღეობა გაუგია, როგორც *εις πεποιωμενους* და ამიტომაც გადმოუტანია სიტყვით "განრომელებულთად", ნაცვლად სიტყვისა "შვილებულთად" (ზემოთ დამოწმებული გვქონდა ნიმუში პეტრიწის თარგმა-

1 გელ. 14, ფ.159

2 გელ. 14, ფ.159. აი, კიდევ ერთი ნიმუში: "... მეცნიერებითა ხალმროდთა განვითარებულმან" (გელ. 14, ფ.159). შდრ. ... *γωσσει θεια πεποιωμενος* (col. 892 A); აღვნიშნავთ, რომ გელაძურ ტექსტებში გვხვდება, აგრეთვე, ტერმინი "გარდვითარებად". მაგალითად: "გამოძიება არს ზედმიწევნულობისებრი მეცნიერებითი ცნობილისა რადსმე მიმართ გარდვითარებად (*μεταποιας*) გონებისად... ზოლო გამოკულევად არს სიტყვსად მოქმედებისაებრი ცნობილისა რადსმე ძლით გარდვითარებად" (ფოტო 212.2-616 D).

ნიდან, სადაც *πεποιημενος* თარგმნილია, სწორედ როგორც "განრომელებული": იხ. ზემოთ)

"ჩუენი მასწავლელი წოდებითა მადლისადათა სარწმუნოებისაებრ განრომელებულთაჲ მეცნიერებისა მიერ ჭეშმარიტებისაჲსა, რადათა ერთი ბუნებაჲ და ძალი უწყოდით ღმრთეებისაჲ" (გელ. 14, ფ.159; 832 C)

ბერძნული ტექსტი ახალქართულად ასე გადმოიცემა "(ღვთისმეტყველება) გვასწავლის ჩვენ, რომლებიც მადლისმიერი წოდებით გვიშვილა მან (მღრ. ლათ. *adoptati*) ჭეშმარიტების შესაცნობად, რომ ღმრთეების ერთი ბუნება და ძალი უნდა ვიცოდეთ".

εισποιεω-ს უზმნისწინო ფორმა *ποιεω*, როგორც ცნობილია, დიდად ემსგავსება ნაცვალსახელ *ποιος*-იდან ნაწარმოებ ზმნას *ποιω*. სწორედ ეს მსგავსება განაპირობებდა მათს ერთმანეთში აღრევას. გარდა ზემოაღნიშნულისა, ამგვარი აღრევა თავს იჩენს არსენ იყალთოელთანაც.

იოანე დამასკელის "დიალექტიკის" ორიგინალში ერთგან გვხვდება *ποιεω*-დან ნაწარმოები მიმღეობა *πεποιημενος*, რაც ნიშნავს "გაკეთებულს, ქმნილს". შესაბამისი ტექსტის ეფრემ მცირისეული თარგმანი ასეთია: "ძეგლი, რვალისაგან შექმნილი".¹ არსენის თარგმანში კი ვკითხულობთ:

"ანდრიანტი რვალი არს ვითარებაქმნილი".

ტერმინი "ვითარებაქმნილი" იგივეა, რაც "განვითარებული" და "განრომელებული", რომლებიც გადმოსცემენ ბერძნულ *πεποιημενος*-ს. ეჭვი არ არის, რომ ამასვე გადმოსცემს არსენისეული "ვითარებაქმნილი". ასე რომ, ან არსენმა ამოიკითხა ბერძნული *πεποιημενος*, როგორც *πεποιημενος*, ანდა ეს აღრევა თვით ბერძნულ ხელნაწერებში უნდა არსებულიყო. მსგავსი შემთხვევა გვაქვს კიდევ ერთ ადგილას:

"დიალექტიკის" 45-ე (ბერძნ. 49-ე) თავში ვკითხულობთ (მოგვაქვს ახალქართული თარგმანი); "მოკლება არის... უკუგდება... ძალისა მოქმედებითისა (*ποιητικής*) ანდა ვნებითისა (ე.ი. მოქმედების განმცდელისა, ე.ჭ.)" (იხ. Kotter, დასახ. გამოც. s.127).

სიტყვა *ποιητικός* უაღრესად გავრცელებულია ბერძნულ მწერლობაში და ყველგან ნიშნავს "შემოქმედებითს", "მოქმედებითს", "შექმნითს". მოტანილ ციტატაში შესიტყვება *η ποιητική δύναμις* ეფრემ მცირის მიერ თარგმნილია, როგორც "მოქმედებითი ძალი", მაშინ როცა არსენისთან გვხვდება "ვითარებითი ძალი".² ეჭვი არ არის, რომ *ποιητικός* გაგებულ იქნა, როგორც *ποιητικός*, რაც სწორედ კვალიტატურს, ანუ ძველ ქართულ "ვითარებითს", "რომელობითს" ნიშნავს.³

¹ იოანე დამასკელი, დიალექტიკა, დასახ. გამოც. გვ. 106. იხ. ტექსტზე დართული ლექსიკონი, გვ. 288

² იქვე, გვ. 158; ტექსტზე დართული ლექსიკონი, გვ. 238

³ საგულისხმოა, რომ იმავე *ποιητικός*-ს სხვა ადგილას არსენი, მსგავსად ეფრემ მცირისა, "მოქმედად" თარგმნის: "მოქმედი ველოვნებაჲ" (*η ποιητική δύναμις*); იხ. დიალექტიკა, ტექსტზე დართული ლექსიკონი, გვ. 237.

ამგვარად, მაქსიმე აღმსარებლის თხზულებათა გელათურ თარგმანებში ბერძნული *ποιότης* ძირითადად თარგმნილია, როგორც "ვითარებად", იშვიათად კი - "რომელობად", რაც არსენ იყალთოელის ტერმინოლოგიის ასახვაა.

ხსენებულ ტერმინთან დაკავშირებით და, ზოგადად, ტერმინულ ძიებათა ასპექტით დიდ ინტერესს იწვევს საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ არის მთარგმნელი მაქსიმე აღმსარებლის შრომათა გელათური ტექსტისა. ეს საკითხი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგანაც იგი მჭიდროდ უკავშირდება და, შეიძლება პირდაპირ ითქვას, განსაზღვრავს გელათის საღვთისმეტყველო-ტერმინოლოგიური სკოლის რაობას.

აღნიშნულ საკითხზე გარკვეული პასუხი გაცემული აქვს კ.კეკელიძეს, რომელიც აღნიშნავს:

"ნიკოლოზ კათალიკოსი ამავე დროს მთარგმნელიც ყოფილა ბერძნული ენიდან: მას უთარგმნია, მაგალითად, მაქსიმე აღმსარებლის თხზულებანი დოგმატიკური შინაარსისა: ა) ეპისტოლენი თალასეს მიმართ ხუცისა, გიორგი ეპარხოსისა, პირროდს მიმართ ყოვლად ღირსისა ხუცისა, იოვანეს მიმართ კუვიკულარისა, პეტრეს მიმართ ილლუსტროდსა, მარინოდს მიმართ ყოვლად ღირსისა ხუცისა, გიორგის მიმართ ხუცისა და წინამძღვრისა, ნიკანდროდს მიმართ ეპისკოპოსისა, იოვანეს მიმართ მთავარეპისკოპოსისა, კვზიკოელისა და იორდანეს მიმართ ხუცისა; ბ) ორასეული - ღმრთისმეტყველებისათვის და ვორციელად განგებულებისათვის ძისა ღმრთისა. ეგზეგეტიკური შინაარსისა: ა) თალასეს მიმართ ყოვლად ღირსისა ხუცისა და წინამძღვრისა თითოსახეთა უღონობათათვის წმიდისა წერილისათა, - "სიტყვს დაწყებად პატივსა შინა გუერდით მდებარეთა სხოლიოთათვის", რომელშიაც ჩვენ გვაქვს მაქსიმეს "De variis scripturae quaestionibus ac dubiis ad Thalassium. ბ) "ლოცვისათვის მამაო-ჩუენოდსა ქრისტეს მოყუარისა ვისმე მიმართ თარგმანებად შემოკლებული", რომელიც შეიცავს მაქსიმეს *Orationis Dominicae brevis expositio*. ორივე ეს თხზულება მოთავსებულია გელათის ერთერთ ხელნაწერში n.14. პოლემიკური შინაარსისა: ა) პიროსის და მეგისტეს სიტყვსგება (გელათ. 14). ეს ის მოკლე თხზულებაა, რომელიც წინათ ექვთიმე ათონელმა გადმოთარგმნა. ბ) მოკლე პოლემიკური ტრაქტატები მონოფიზიტთა და მონოფელიტთა წინააღმდეგ".¹

მითითებული ძეგლები დაცულია ზემოხსენებულ გელათურ ხელნაწერში 14, გარდა იმ თხზულებისა, რომელსაც "ორასეული" ეწოდება (ეს უკანასკნელი შემონახულია XIII ს-ის ხელნაწერში A-39). ყველა მათგანის მთარგმნელად კ.კეკელიძის მიერ მიჩნეულია XII ს-ის საეკლესიო მწერალი ნიკოლოზ კათალიკოსი, რომელსაც, როგორც ცნობილია, დაუწერია ორიგინალური შრომა "საკითხავი სუეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოდსა და კათალიკე ეკლესიისა".²

ძნელი სათქმელია, რას ვყრდნობოდა კ.კეკელიძე, როდესაც იგი მაქსიმე აღმსარებლის ზემოხსენებულ შრომათა მთარგმნელად მიიჩნევდა ნიკოლოზ გულაბერისძეს. მკვლევარი არ უთითებს სრულიად არავითარ წყაროს აღნიშნული მოსაზრების საფუძვლად. ასეთი ვითარებაა კ.კეკელიძის მითით-

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1, თბ. 1960, გვ. 322

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1, თბ. 1960, გვ. 318

ებული გამოკვლევის პირველსავე გამოცემაში.

სავარაუდოა, რომ კ.კეკელიძისთვის მიმართულების მიმცემი ყოფილიყო ზ.ჭიჭინაძის ნარკვევი: "ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში" (თბ. 1887), სადაც ნიკოლოზ კათალიკოსს სხვა თხზულებებთან ერთად მიეწერება მაქსიმე აღმსარებლის ცალკეულ შრომათა თარგმანები. ზ.ჭიჭინაძე, კერძოდ, აღნიშნავს: "ჩვენამდის შემდეგ(?) მის წიგნებმა მოადწიეს:... 2.მაქსიმე აღმსარებლის წიგნი, სარწმუნოების აღსარების და მართლმადიდებლის დამტკიცებისათვის. 3."თეოლოდია" მაქსიმე აღმსარებლისა. 4.წიგნი "ხუთასეული". საბასეჟო უნდა იყოს ეს "ხუთასეული"

ზ. ჭიჭინაძის მიერ დასახელებული "თეოლოდია", ალბათ, ნიშნავს იმავე "ორასეულს", რადგანაც ეს უკანასკნელი ხელნაწერში სწორედ ასეა სახელდებული: "ღმრთისმეტყუელებისათვის". რაც შეეხება "ხუთასეულს", ეს, ალბათ, უნდა იყოს მაქსიმეს შრომა "ოთხასეული", რომელიც დაცულია ხელნაწერ A-39-ში. ამავე ხელნაწერში შემორჩენილია დასაწყისი ნაწილი მაქსიმეს შრომისა "თავნი ათხუთმეტნი", რომლის თარგმანსაც კ.კეკელიძე აკუთვნებს ექვთიმე ათონელს, რაც ჩვენი აზრით შეუძლებელია (ამის შესახებ ქვემოთ ვიმსჯელებთ).

წინდაწინვე აღვნიშნავთ, რომ ქართული თარგმანი მაქსიმე აღმსარებლის შრომისა "ორასეული" არ ეკუთვნის იმ პირს, ვისაც უთარგმნია გელათ. 14-ში დაცული ტექსტები. რაც შეეხება საკუთრივ გელათური ხელნაწერის ტექსტებს, მათი ტერმინული შესწავლა ცხადს ხდის, რომ ისინი აშკარად ენათესავებიან XII ს-ის ქართულენოვანი თეოლოგიური ლიტერატურის ერთ მეტად მნიშვნელოვან ნაწილს და ამ ნაწილთან პომოგენურ ჯგუფს ქმნიან.

ვიდრე ამ კუთხით მსჯელობას გავაგრძელებდეთ, ზოგადად უნდა აღვნიშნოთ, რომ არაიდენტიფიცირებული საღვთისმეტყველო ტექსტების პომოგენურ თუ პეტროგენურ ჯგუფებად დაყოფა ყოველთვის ეფუძნება ხსენებული ტექსტების მყარ ტერმინულ სტრუქტურათა ანალიზს, რასაც, ცხადია, თან უნდა ახლდეს ცალკეული ლექსიკური თუ ენობრივ-სტილური მონაცემების აუცილებელი შესწავლა-გათვალისწინება.

XII სს-ისეულად მიჩნეული ზოგი უმნიშვნელოვანესი საღვთისმეტყველო შრომის ტერმინულ სტრუქტურათა ანალიზი ასეთ სურათს გვაწვდის:

(1) ყველა ცნობილი ტექსტისაგან ტერმინული სტრუქტურით მკვეთრად სხვაობს ნემესიოს ემესელის თხზულება "ბუნებისათვის კაცისა"² და პროკლე დიადოხოსის "კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნი" კომენტარებითურთ³ (ზოგი ტერმინული ნიშნით მათ უკავშირდება იოანე სინელის "კლემაქსის" იამბიკური ვერსია, რომელიც "სათნობათა კიბედ" არის წოდებული). ორივე აღნიშნული შრომის მთარგმნელი ერთი პირია, რომელსაც ეწოდება "იოანე" და რომელიც ქართულ საეკლესიო-სამეცნიერო ტრადიციაში "პეტრიწად" არის ცნობილი.

1 ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, თბ. 1887, გვ. 26

2 გამოცემულია ს.გორგაძის მიერ, იხ. ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვის კაცისა, ტფ. 1914.

3 გამოცემულია ს.ყაუხჩიშვილის მიერ, იხ. იოანე პეტრიწის შრომები, ტ.1 თბ. 1940, ტ. II, თბ. 1937.

4 იხ. იოანე პეტრიწი, სათნობათა კიბე, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ. 1968.

5 ამ ტრადიციის შესახებ იხ. იოანე პეტრიწი, სათნობათა კიბე, დასახ. გამოც. გვ. 11-18, აგრეთვე, ს.გორგაძისა და ს.ყაუხჩიშვილის ზემოაღნიშნულ გამოცემათა შესავალი ნაწილები.

(II). ცალკე გამოყოფა იოანე სინელის "კლემასის" გვიანდელი ე.წ. "პეტრიწონული თარგმანი", რომელიც ტერმინული სტრუქტურის მიხედვით სრულიად თავისებურ ძეგლს წარმოადგენს.¹ მთარგმნელი პეტრე გელათელი.

(III). ცალკე დგას, აგრეთვე, მაქსიმე აღმსარებლის ზემოაღნიშნული შრომები: "ორასეული", "ოთხასეული" და "თავნი ათხუთმეტნი"², რომლებიც თითქმის არ სხვაობენ ურთიერთისაგან ტერმინოლოგიურად და შესაბამისად ერთ მთარგმნელს უნდა ეკუთვნოდნენ.

(IV). ერთიან ტერმინულ სტრუქტურას ავლენს თეოფილაქტე ბულგარელის ორი შრომა "თარგმანებად მარკოზის სახარებისად"³ და "თარგმანებად ლუკას სახარებისად".⁴ ორივე მათგანის მთარგმნელად ხელნაწერებში გარკვევით იხსენიება იოანე ჭიმჭიმელი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ხსენებული ძეგლებისაგან, ტერმინული სტრუქტურის მიხედვით, მკვეთრად სხვაობს საკუთრივ პეტრიწონულად მიჩნეული თარგმანები (იხ. I ჯგუფი). ამიტომ, თუნდაც ხსენებული ძეგლების საფუძველზე, იოანე პეტრიწისა და იოანე ჭიმჭიმელის გაიგივება შეუძლებელია.

(V) ხსენებულ ორ ტექსტს (ჯგუფი IV) კვლევიძემ დაუკავშირა ფსევდომიტროფანე ზმირნელისა და ოლიმპიოდორეს განმარტებები "ეკლესიასტესადში".⁵ ამ ძეგლების ტერმინოლოგია ემსგავსება კიდევ ერთმანეთს, მაგრამ მათ შორის ვამჩნევთ სხვაობასაც, რაც იქნებ "ეკლესიასტეს" ზემორე განმარტებათა მთარგმნელად სხვა პირს გვაგარაუდებინებდეს. ცნობისათვის აღვნიშნავთ იმასაც, რომ "ეკლესიასტეს" ის განმარტება, რომელიც ქართულ თარგმანში მიტროფანე ზმირნელს მიეწერება და რომელიც მიტროფანეს შრომებში არ იძებნება (ამის გამო კვლევიძე ბერძნულ დედანს დაკარგულად თვლიდა),⁶ სინამდვილეში არის გრიგოლ აკრაკანტელის თხზულება, რომლის ბერძნული ტექსტი გამოცემულია (Pg. t.98, 741-1179). ასე რომ, დღეისათვის საშუალება გვაქვს ზედმიწევნით შევისწავლოთ ხსენებული თარგმანის ტერმინოლოგია.

(VI). ეს ჯგუფი, რომელიც აერთიანებს გაცილებით დიდი მოცულობის თარგმანებს, მთლიანად გელათის საღვთისმეტყველო სკოლას უკავშირდება, ხოლო ის პირი, ვინც ესოდენ დიდი ღვაწლი აღასრულა, უთუოდ არსენ იყალთოელის მოწაფე, მისი პირდაპირი მემკვიდრე უნდა იყოს. შეიძლებოდა ისიც გვეფიქრა, რომ საქმე გვაქვს რამდენიმე თანამოდვაწე მთარგმნელთან, თუმცა ქვემოთ ჩამოთვლილი ტექსტების ტერმინული სტრუქტურა და ენობრივ-სტილური მონაცემები იმდენად მსგავსია, რომ ეს გარემოება, ალბათ, კვლევის ამ ეტაპზე უფრო ერთი მთარგმნელისაკენ მიაქცევს ჩვენს

1 სრულად დაცულია ხელნაწერში A-39 (9r-217v)

2 დაცულია იმავე ხელნაწერში

3 იხ. ხელნ. A-102

4 იხ. ხელნ. A-113

5 ხელნ. A-61. იხ. კვლევიძე, თარგმანებად ეკლესიასტისად მიტროფანე ზმირნელ მიტროპოლიტისად, ტფ. 1920, LVI-LVII

6 იქვე, xxx

ყურადღებას. როგორც არ უნდა იყოს, ერთი რამ უცილობელია: ქვემოთ
ტექსტები მიეკუთვნება XII ს-ის 30-იან - 50-იან წლებს (ძირითადად დიმიტრის
მეფობას) და ისინი ჩვენს წინაშე ერთ ტერმინულ მთლიანობად წარმოჩნდება.
ეს ტექსტებია (ჩამოვთვლით მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან ძეგლებს):

1. მაქსიმე აღმსარებლის თხზულებანი, დაცული გელათურ ხელნაწერში
14, აგრეთვე, A-52-ში.

2. თეოფილაქტე ბულგარელი, იოანეს თავის განმარტება (ხელნ. A-52).

3. ამონიოს ერმისი, თხზულებანი (გამოცემულია მ.რაფაეას მიერ)¹

4. ქსიფილინოსის ავტორობით ცნობილი მეტაფრასული საკითხავები,
რომელთა შესახებაც კ.კეკელიძე აღნიშნავს: "ქართულად ეს მეტაფრასები
უთარგმნიათ მეთორმეტე საუკუნეში, მეფე დიმიტრის დროს (1125-1154
წ.წ.), საფიქრებელია, გელათის მონასტერში".²

5. გელათური ბიბლია, კიმენი და კომენტარები.

6. ანონიმური კანონიკური ძეგლი (გამოცემულია კ.კეკელიძის მიერ, იხ.
"ეტიუდები", IX), ასავე კანონიკური ჩანართები "დიდი სჯულისკანონის" ტექსტში
(იხ. "დიდი სჯულისკანონი", თბ. 1975; ეს ჩანართები - გამოცემაში
განსხვავებული შრიფტითაა წარმოდგენილი);

7. გრიგოლ ღვთისმეტყველი, სიტყუაჲ პასუხისგებითი (Oratio II A-292,
280-302).³

ზემოწარმოდგენილი სურათი, მნიშვნელოვნად სხვაობს ცალკეულ მკვლევ-
ართა მოსაზრებებისაგან. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად განვიხილავთ
ზოგ საკითხს უფრო დაწვრილებით.

იოანე პეტრიწის სამოდვაწეო ეპოქის შესახებ სხვაგან გვაქვს მსჯელობა.⁴
ამჯერად ყურადღებას მივაქცევთ იმ ძეგლებს, რომლებიც, ზოგი მკვლევარის
აზრით, მას უკავშირდება და რომლებიც მის თარგმანს არ უნდა
წარმოადგენდეს.

კერძოდ, შევეხებით ამონიოს ერმისის თხზულებათა ქართულ თარგმანებს.
აღნიშნულ თარგმანებთან დაკავშირებით მ.რაფაეა მიუთითებს:

"მკვლევართა ერთი ნაწილი ამ თხზულებათა მთარგმნელად XII ს-ის
მოდვაწეს, იოანე ტარიჭისძეს აღიარებს (კ. კეკელიძე), მეორე ნაწილი მათ
თარგმნას იოანე პეტრიწს მიაწერს (ს. გორგაძე, ი.ლოლაშვილი), ხოლო

¹ იხ. ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში, თბ. 1983.

² კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1, თბ. 1980, გვ.
506. მკვლევარის მიზნებით, ხსენებული მეტაფრასული საკითხავებიდან ზოგში
ნაწილობრივ კრიპტოგრამულად მითითებულია: "დიმიტრის დავითიანსა" ან "დიმიტრი
დავითიანი" (იხ. კ.კეკელიძე, ეტიუდები, XI, გვ. 80-81).

³ იხ. ე.კელიძე, იოანე პეტრიწის ცხოვრება და მოღვაწეობა, წერილი პირველი,
ეურნ. "რელიგია", №3-4-5; წერილი მეორე, იქვე, №10-11-12 ცონკრეტულად
აღნიშნულ ჯგუფებთან დაკავშირებით შდრ. იქვე, №3-4-5, გვ.121-122). საფიქრებელია,
რომ ამავე ჯგუფს ეკუთვნოდეს "ავგაროზის" აპოკრიფის ე.წ. "ლარგვისული" თარგმანი
(ტექსტის ნ. ჩხიკვაძისეული პუბლიკაცია იხ. "ზნა სამეუფო", 1(4), თბ. 1996,
გვ.62-65).

⁴ იხ. ე.კელიძე, დასახ. შრომა

ზოგიერთთა შეხედულებით, მთარგმნელის ვინაობა დაუდგენილია (ნ. კეჭალმაძე).¹

ჩვენ აღარ შევუდგებით შეფასებას არგუმენტებად მიჩნეული იმ ორი მომენტისა, რასაც ეფუძნებოდა მოსაზრება ხსენებულ ძეგლთა პეტრიწის მიერ თარგმნის შესახებ. ეს მომენტები განხილულია და უარყოფილია მ.რაფაფას მიერ,² რომელიც თავის მხრივ, წარმოაჩენს ზოგ საყურადღებო დაკვირვებას პეტრიწის ავტორობის საწინააღმდეგოდ, თუმცა მკვლევარის ყველა დაკვირვება თანაბარი ღირსებისა არ არის.³

მიუხედავად იმისა, რომ ნ.კეჭალმაძისა და მ.რაფაფას მიერ აღნიშნულ თარგმანთა პეტრიწისეულობა უგულებელყოფილია, მერყეობა და პეტრიწისაკენ გადახრის სურვილი კვლავ შეიმჩნევა. მაგალითად, დ.მელიქიშვილი, რომელიც მთარგმნელად იოანე ტარიჭისძეს თვლის, თავის ერთერთ უახლეს გამოკვლევაში შენიშნავს:

"ამონიოსის მთარგმნელის ლოგიკური ტერმინოლოგია ძირითადად მისდევს არსენ იყალთოელისას, მაგრამ ხშირად გარდამავალი საფუხურია არსენიდან პეტრიწისაკენ. თუ იოანე ტარიჭისძე იგივე პეტრიწია და, მაშასადამე, ამონიოსის მთარგმნელად პეტრიწს მივიჩნევდით, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ მან თავისი მოღვაწეობის მეორე პერიოდში, პროკლეს თხზულების თარგმანზე მუშაობისას, ძირეულად გადაამუშავა და დახვეწა თავისი ადრინდელი (მათ შორის, ნემესიოსის თარგმანის) სპეციალური ლექსიკა"⁴

მოტანილი ციტატა ვფიქრობთ, რამდენიმე წინააღმდეგობას შეიცავს:

(1) იოანე ტარიჭისძის და იოანე პეტრიწის გაიგივება არასარწმუნო ალბათობაა და ამგვარი გაიგივების საფუძველი დღეისათვის არ ჩანს.

(2) თუკი ამონიოსის შრომები პეტრიწმა თარგმნა, ეს თარგმანი, უთუოდ მისი ფილოსოფიური მოღვაწეობის სიმწიფეს უნდა გულისხმობდეს, რადგანაც, ერთი მხრივ, სავსებით არაეკლესიური, მეორე მხრივ კი, ტერმინულად ესოდენ რთული ძეგლის თარგმნას ახალბედა საეკლესიო მწერალი ვერ აღასრულებდა.

¹ ამონიოს ერმისის თხზულებები... გვ. 046.

² იქვე, 049-051

³ მაგალითად, მ.რაფაფა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ ამონიოსის ბერძნული ტექსტის *ἐξ αρχης* ქართველი მთარგმნელის მიერ გადმოტანილია, როგორც "პირველითგანვე". ამგვარი რამ, მკვლევარის აზრით, პეტრიწისათვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო აღნიშნული სიტყვის შესახებ მისი ცნობილი მოსაზრების გამო (იხ. ამონიოს ერმისის თხზულებები... გვ. 055-056). ვფიქრობთ, ეს ასე არაა. მართალია, პეტრიწი კატეგორიულად უარყოფს ბერძნული *ἐξ αρχης*-ს თარგმნას, როგორც: "პირველითგან" და მიიჩნევს, რომ მის ნაცვლად უნდა იყოს "დასაბამსა შორის", მაგრამ პეტრიწის ეს მსჯელობა ეხება მხოლოდ ძე ღმერთს, რომელსაც ჩვეულებრივი აზრით "პირველს" ვერ ვუწოდებთ. რაც შეეხება სხვა შემთხვევებს, ცხადია, ბერძნული *ἐξ αρχης* ან *ἐν αρχη* შეიძლება ითარგმნოს სიტყვით "პირველითგან". აი, სათანადო მაგალითი ნემესიოსის წიგნიდან: "და ამათვე თანა პირველითგანვე (ბერძნ. *ἐξ αρχης*) საძიებელი ჰგიეს დაუვსნელად" (ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვის კაცისა, გვ. 40.8); შდრ. აგრეთვე: "პირველადვე (*ἐξ αρχης*) აღეგნეს" (იქვე, გვ. 160.21; ბერძნ. ტექსტი იხ. Pp t.40, 568B; 777A).

⁴ დ. მელიქიშვილი, გელათის სალიტერატურო სკოლა (XI-XII სს) და ქართული ფილოსოფიური ენის (ტერმინოლოგიის) ჩამოყალიბების გზები, თბ. 1988 (მანქანაზე გადაბეჭდილი), გვ. 239, შენ. 1.

შეიძლება ითქვას, ვერც შეჰბედავდა. ჩვენი აზრით, ეს სრულიად უცილობელია.

(3) ამონიოსის მთარგმნელი ზედმიწევნით ერკვევა ბერძნულ ტერმინოლოგიაში და მას ქართულ ტექსტშიც გაბედულად შემოაქვს საკუთრივ ბერძნული ტერმინები, რაც ასევე მთარგმნელობითი უფლებამოსილების დასტურია.

(4) დ.მელიქიშვილის ზემორე სიტყვათა მიხედვით ნემესიოსის წიგნი პეტრიწის მთარგმნელობითი მოღვაწეობის პირველ პერიოდს ეკუთნის. თუკი ამონიოსის შრომები პეტრიწმა თარგმნა, ეს თარგმანებიც, მკვლევარის აზრით, ამავე პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს. შესაბამისად, ნემესიოსისა და ამონიოსის შრომათა ქართულ თარგმანებს დიდი მსგავსება უნდა ჰქონდეს ურთიერთ-შორის, მაგრამ ეს ასე არ არის. რათქმაუნდა, ნებისმიერი მთარგმნელი ყოველთვის განაგრძობს მუდმივ ძიებასა და ტერმინულ ახალქმნაობას, რაც ხშირად ერთიდაიგივე თარგმანის შიგნითაც აშკარად იგრძნობა, მაგრამ ჩვეულებრივ, მაინც რჩება ის უმთავრესი, რაც ამათუიმ მთარგმნელის სახეს ქმნის.

აქვე აღვნიშნავთ, რომ დამოუკიდებლად პეტრიწისა და ტარიჭისძის არასარწმუნო იდენტიფიკაციისა, დ.მელიქიშვილს ზემორე ციტატაში გაკვრით გამოთქმული აქვს საგულისხმო დაკვირვება იმის შესახებ, რომ ამონიოსის მთარგმნელი ტერმინოლოგიურად მისდევს არსენს და იგი გარდამავალი საფუხურია პეტრიწისაკენ. ამ მნიშვნელოვან მოსაზრებას ცალკე ვეხებით.¹

ამგვარად, ამონიოს ერმისის შრომათა თარგმანების პეტრიწთან მიმართება საბოლოოდ გარკვეული მაინც არ არის. სწორედ ამიტომ, ყურადღებას მივაქცევთ ხსენებულ თარგმანთა ტერმინულ სტრუქტურათა ზოგ ასპექტს, რაც ვფიქრობთ სავსებით გამორიცხავს პეტრიწის შესაძლო ავტორობას.

უპირველესად, აღვნიშნავთ იმ, საზოგადოდ, კარგად ცნობილ ფაქტს, რომ პეტრიწის თარგმანთა ტერმინული სტრუქტურის განმსაზღვრელია, ერთი მხრივ, ბერძნული *εἶδος*-ის "გუარად", მეორე მხრივ კი *γένος*-ის "ტომად" თარგმნა. ამგვარი სურათია არა მხოლოდ პროკლეს, არამედ ნემესიოსის თხზულების მისეულ თარგმანშიც. მაგალითად:

(1) *το εἶδος* - "გუარი" (ს. გორგაძის გამოცემის მიხედვით):
37, 26 (ბერძნ. Pg. 40 564); 38, 18; 38, 19; 38, 20; 38, 25 (565);
40, 21; 40, 24 (569); 47, 3; 47, 4; 47, 7; 47, 9 (581); 47, 22 (584).
47, 24 (584); 47, 25 (584); 49, 6 (585); 49, 16 ("შებრ გუაროვნობით";
588); 49, 19 (588); 49, 25 (588); 50, 7-8(588); 50, 12; 50, 20 (589);
67, 3 (624); 83, 19(675); 94, 3(668); 98, 12 (676); 105, 22 (685); 106,
2 (685); 106, 6(685); 106, 21 (688); 108, 1 (692); 117, 9(704); 130, 9
(724); 171, 20 (812) და მრავალი სხვა. აგრეთვე: *κατ εἶδος* - "გუართაებრ"
167, 23(792); 105, 21 (685); 83, 16(657); "გუართა" 25, 2 (537); "გუაროვნად"
8, 13(508); "თითო-გუარებით" 34, 7(556) და სხვა. აგრეთვე, ზმნურ-მიმდებლურ
კომპოზიტში: *εἰδοποιεῖται* - გუაროან-იქმნების 36, 17 (560); *το
εἰδοποιουν* - გუარმოფელი 38, 11 (564); *εἰδοποιουσα* - გუარმქმნელი
61, 6(613); *εἰδοποιηθηεντα* - გუაროვანქმნილთა 67, 3 (624); *εἰδοποιον* -

¹ იხ. ვ.კელიძე, იოანე პეტრიწის ცხოვრება და მოღვაწეობა, ჟურნ. "რელიგია", 1995, №1-2-3, გვ.78.

გუაროანმყოფელად 46, 12(580), *ειδοποιους* - გუარმქმნელად 68, 7(625); *ειδοποιουμενον* - გუარმქმნელ 68, 10(625).

(II) *γενος* - ტომი: 18, 3(524); 18, 17(525); 18, 20 (525); 43, 25(573); 65, 4(620) და მრავალი სხვა. *γενικον* - ტომობითი 96, 25(673); 149, 18 ("ტომებითთა", 757); *γενικως* - ტომოვნობით 154, 7 (768); ტომობით 96, 14 (673); 83, 13(657); ტომობითნი 88, 23(660); ტომობრივ 131, 16 (*γενικων* 725); *γενικωτατη* - ტომოვნობით 88, 12(660); *γενικωτατα* 95, 3 (669) და სხვა.

როგორც ვხედავთ, ნემესიოსის წიგნის თარგმანშიც (ისევე, როგორც პროკლესთან) *ειδος* პეტრიწის მიერ ტერმინულად ყველგან გადმოტანილია, როგორც "გუარი", ხოლო *γενος*, როგორც "ტომი". რაც შეეხება ამონიოსის შრომათა თარგმანებს, მათში *γενος*-თან კორელატურ *ειδος*-ს ტერმინულად გადმოსცემს ძირითადად "სახე", ხოლო *γενος*-ს "ნათესავი". ხსენებულ თარგმანებში, ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის კვალობაზე, გვაქვს ასეთი ძირითადი შესატყვისობანი:

ειδος - სახე;

ειδικωτατος - სახოვანი (ან "უსახეესი", "უსახოვნესი")

μη ειδικωτατος არ სახოანი

ειδοποιος - სახისმოქმედი¹

γενος - ნათესავი

γενεαλογία - ნათესავთმეტყუელება

γενικωτατος - ნათესავოანი (ან "უნათესვესი...")

γενικος - ნათესავობითი²

რაც შეეხება "გუარს", იგი ამონიოსის შრომათა თარგმანებში ტერმინულად გადმოსცემს ძირითადად ბერძნულ *τροπος*-ს. აი, სათანადო ნიმუშები:

6, 28 (8, 18);³ 17, 2 (17, 5); 23, 18 (21, 24); 26, 5 (24, 16); 30, 5 (27, 21); 38, 8 (33, 12); 38, 11 (33, 16); 38, 19 (33, 24); 47, 3 (39, 7); 67, 17 (53, 24); 71, 16(56, 14); 101, 22 (77, 34) და სხვა. მეორე მხრივ, პეტრიწი იმავე ტერმინ *τροπος*-ს თარგმნის, როგორც "სახე".

¹ იხ. მ.რაფაევას გამოც. ტექსტზე დართული ლექსიკონი, გვ. 216-217. აგრეთვე, იქვე, გვ. 245. ხსენებულ ლექსიკონში დამოწმებულია, აგრეთვე, ტერმინი "სახისმეტყუელი" (*ο του ειδους ειρηκως*), რასაც მკვლევარი ასე განმარტავს: "ხატოვნად მთქმელი, მაგალითებით, სახეებით მოაზროვნე" (გვ. 216). ვფიქრობთ, სიტყვა "სახისმეტყუელი" ტექსტში არ გვხვდება. მითითებულ ადგილას გვაქვს არა კომპოზიტი "სახისმეტყუელი", არამედ ორი დამოუკიდებელი სიტყვა "სახისა მეთყუელი". მთელი კონტექსტი ასეთია: "(არისტოტელე) ნაცვალად სახისა მეთყუელი ნათესავად" (175, 7). აღნიშნულ ადგილას საუბარია იმაზე, რომ არისტოტელე ტერმინ "სახის" (*ειδος*) ნაცვალად იყენებს (ამბობს) ტერმინ "ნათესავს" (*γενος*), ანუ აქ განმეორებულია იგივე, რაც უკვე თქმულია ცოტა ზემოთ: "ხოლო 'ნათესავი' თქუა კუალად ნაცვალად 'სახისა' (174, 3).

² დასახ. გამოც. ტექსტზე დართული ლექსიკონი, გვ. 207; აგრეთვე, გვ. 244.

³ ქართული ტექსტის გვერდი და სტრიქონი მითითებულია მ.რაფაევას, ხოლო ბერძნული - აბუსეს გამოცემის მიხედვით (იხ. ეს უკანასკნელი: Ammonii in Porphyrii isagogen sive V voces, ed. A. Busse = Commentaria in Aristotelem graeca, IV. 3, Berlin 1891)

აქვე კვლავ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ტერმინულ ძიებათა ჟამს დასკვნითი მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ დადგენილ კანონზომიერებას და არა გამონაკლისებს. ამას ხაზს ვუსვამთ იმიტომ, რომ ტერმინულ შესატყვისობათა ფონზე ცალკეული გამონაკლისები ახასიათებს თუნდაც ყველაზე ერთგულ თარგმანს, იქნება ეს პეტრიწისა, არსენ იყალთოელისა თუ გელათური სკოლის ნებისმიერი წარმომადგენლისა. სწორედ ამიტომ, ყოველი მყარი ტერმინული შესატყვისობის აღსანიშნავად ქვემოთ ვისარგებლებთ სიტყვით "ნიშანდობლივი", რაც ერთი მხრივ გულისხმობს, რომ მოცემული ტერმინული შესატყვისობა ამათუიმ მთარგმნელისათვის კანონზომიერი და ღრმად გაცნობიერებული ფაქტია, ეს კი პრინციპული დასკვნების საფუძვლად უნდა მივიღოთ, ხოლო, მეორე მხრივ, იგივე შეფასება ("ნიშანდობლივი") გამორიცხავს აბსოლუტიზებას, რადგანაც აბსოლუტური ტერმინთშესატყვისობა, ჩვეულებრივ, განუხორციელებელი რამ არის.

ამგვარად, ამონიოსისა და ნემესიოსის შრომათა მთარგმნელთათვის ნიშანდობლივია შემდეგი ტერმინთშესატყვისობანი:

ამონიოსი	ნემესიოსი
<i>ειδος</i> - სახე;	<i>ειδος</i> - გუარი
<i>γενος</i> - ნათესავი, ²	<i>γενος</i> - ტომი
<i>τροπος</i> ¹ - გუარი ²	<i>τροπος</i> - სახე ³

* * *

ამონიოსის შრომების ქართული ტექსტის მყარ ტერმინულ სტრუქტურაში შედის უთარგმნელად წარმოდგენილი ბერძნული სიტყვა "სქესი" (*σχεςις*). ეს ტერმინი მეტად ხშირია ორიგინალში და ქართულად ყველგან "სქესად" არის გადმოტანილი.⁴ უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ "სქესი" არის ერთერთი იმ უმთავრეს ტერმინთაგანი, რომელიც ამონიოსის თარგმანებს

¹ ზოგჯერ ტრადიციის ძალით *τροπος* თარგმნილია "სახედ" ამონიოსის შრომაშიც (იხ. 8, 10 - 9, 32); სხვათაშორის, ერთგან "სახედ" თარგმნილია, აგრეთვე, *το γενος*: 174, 1 (86, 1).

² ზოგჯერ "გუარი" გადმოსცემს ბერძნულ *ειδος*-სსაც. აი, ყველა ეს შემთხვევა: 6, 16 (8, 4); 15, 17 (15, 40); 81, 5 (169, 18); 81, 10 (169, 24); 81, 13 (169, 27); 81, 23 (169, 39); 82, 20 (174, 4); 83, 8 (171, 24); 82, 1 (170, 14); 82, 4 (170, 18); 82, 27 (171, 7); ერთგან "გუარად" თარგმნილია ბერძნ. "ιδεα": 11, 31 (10, 21); სხვაგან იგივე *ιδεα* თარგმნილია, როგორც "დაშუენებად": 100, 33 (III, 7, 4); "გუარად" არის თარგმნილი ბერძნ. *το μουσιον*: 122, 19 (III, 32, 3) (გუარის შესატყვისთა შესახებ იხ. აგრეთვე მ.რაფაეას დასახ. გამოც. ლექსიკონი, გვ. 186). მითითებული გამონაკლისებიდან ყურადღებას იქცევს *ειδος*-ის "გუარად" თარგმნის შედარებითი სიხშირე. სწორედ ამ შემთხვევაში უნდა პოულობდეს ერთერთ დადასტურებას დ.მელიქიშვილის აზრი იმის შესახებ, რომ ამონიოსის მთარგმნელი არსენ იყალთოელსა და იოანე პეტრიწს შორის დგას.

³ ნემესიოსის წიგნის თარგმანში, როგორც აღვნიშნეთ, *τροπος* ყველგან თარგმნილია "სახედ": 43, 11(573); 53, 3(593); 54, 6 (596); 56, 4(601); 56, 11(601); 57, 27(608); 65, 29(621); 68, 19(625); 67, 17(624); 88, 21(660); 91, 8(661); 93, 1(668); 97, 6(673); 98, 11,15(676); 101, 16(680); 101, 17(680); 110, 3(692); 112, 23(696); 123, 13(713); 124, 4(716), 131, 23(725); 132, 2(728); 159, 28(776); 38, 22(565); 160, 1 (ერთსახედ - *ενα μουσιον τροπον*; 776); 164, 10(784); 164, 12 (784); 172, 4(812).

⁴ იხ. მ.რაფაეას დასახ. გამოც. ლექსიკონი, გვ. 219; აგრეთვე, "საგნობრივი საძიებელი", - "სქესი" (გვ. 245). ბერძნული *σχετικος* გადმოტანილია, როგორც "სქეტიკო" (იქვე, გვ. 219)

განასხვავებს ეფრემისა და არსენის შრომებისაგან. თუკი პირველი მათგანი, ათონური სკოლის კვალობაზე, *σχეσις*-ს ძირითადად თარგმნის, როგორც "თვსებად" ხოლო არსენი - როგორც "განუჭრელი თვსებად" (ანდა, ზოგჯერ ეფრემის დარად, - როგორც "თვსებად"),¹ ამონიოსის მთარგმნელი, მიუხედავად ხსენებული სიტყვის ხმარების აურაცხელი შემთხვევისა, თითქმის აბსოლუტურ ტერმინთშესატყვისობას ამკვიდრებს, როდესაც აღნიშნული ბერძნული სიტყვა ყველგან უთარგმნელად გადმოაქვს, როგორც "სქესი". ეს უცვლელი ტერმინთშესატყვისობა ვლინდება იმავე ტერმინის უარყოფით ნაწილაკიანი ფორმის თარგმნის დროსაც. ბერძნ. *ασχετος* მთარგმნელის მიერ გადმოტანილია, როგორც, "უსქესო":

"ხოლო საღმრთოდ - უსქესო (*ασχετος*) ყოვლითურთ".²

"ყოველთა სიტყუათა და მეცნიერებისაგან განკიდებულად და უსქესოდ (*ασχετος*) მქონებელსა"³

იოანე პეტრიწი პროკლეს თარგმნის ჟამს, ერთი მხრივ, იყენებს ამონიოსის მთარგმნელის მიერ დამკვიდრებულ "სქესს",⁴ მეორე მხრივ კი ახალ შესატყვისებად გვთავაზობს ტერმინებს "მინაქუსვად" და "სქესებრივი მინაქუსი". უარყოფით ნაწილაკიანი "*ασχετος*" მის მიერ ასეა თარგმნილი: "უსქესო", "თანმიუქუსველი", "მიუთხზველი", ხოლო ზმნიზება *ασχετως* გადმოტანილია პენდიადისის წესით: "ასქეტოდ და მიუნაქუსად".⁵

გავიმეორებთ, რომ ამგვარ სურათს გვიჩვენებს პროკლეს შრომათა თარგმანი. რაც შეეხება ნემესიოსის წიგნს, იგი სავსებით სხვა ვითარებას ასახავს. ამ უკანასკნელში ბერძნული *σχეσις* გვხვდება ათგზის. მათგან რვა შემთხვევაში იგი გადმოტანილია, როგორც "დანახეთქი", ერთგზის, როგორც "მინახეთქი", ხოლო ასევე ერთგზის, როგორც "თანდართვად". მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"სული თვთ თვს-შორის მაშინ არს, ოდეს გულის-ისიტყუვიდეს... არამედ რაჟამს სხეულთა-შორის მყოფად ითქუმოდის, არათუ, ვითარ ადგილსა, სხეულთა-შორის მყოფ არს, არამედ ვითარ დანახეთქითა (*σχεσει*) და წარმოდგომითა".⁷

1 მოგვიანებით უფრო დაწვრილებით შევხებით საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ ითარგმნებოდა *σχეσις* ეფრემისა და არსენის მიერ.

2 იხ. ამონიოს ერემისის თხზულებები... დასახ. გამოც. გვ. 126, 25. ბერძნ. ტექსტისათვის იხ. ბუსეს დასახ. გამოც. 1, 37, 8.

3 იხ. ამონიოს ერემისის თხზულებები... დასახ. გამოც. გვ. 126, 29; ბერძნ. ტექსტისათვის იხ. ბუსეს დასახ. გამოც. 1, 37, 12.

4 იოანე პეტრიწი, შრომები, 1, ბერძნული სიტყვების საძიებელი, გვ. 239. "სქესი"; პეტრიწთან გვხვდება, აგრეთვე, ტერმინი "თანმისქესება" (იხ. II, 100, 18); იხ. აგრეთვე, იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, ლექსიკონი, გვ. 266; შტრ. მ.რაფაევა, დასახ. გამოც. გვ. 054.

5 იოანე პეტრიწი, შრომები, 1, ბერძნულ-ქართული ლექსიკონი, გვ. 168, *σχეσις* (შტრ. იქვე, გვ. 201; 212).

6 იქვე, გვ. 136 *ασχετος*, *ασχετως*. რაც შეეხება "უსქესოს", იხ. 1.240. II, გვ.25.1

7 ნემესიოს ემესელი, დასახ. გამოც. გვ. 55, 10. ბერძნ. ტექსტი. Pg. 40. 600A. ზემოთ ფრჩხილებში მითითებული იქნება სათანადო ადგილები აღნიშნული გამოცემებიდან.

"დანახეთქითა (εν σχεσει) და მიმართობისა წამითა და წადილითა ვიტყვთ სულსა სხეულთაგან შეკრვად" (55, 11; 600 B).

"... ვიტყვთ სულსა სხეულთაგან შეკრვად... არა სხეულებრივად და არცა ადგილითა, არამედ მეზრ დანახეთქითა (κατα σχεσιν)" (55, 14; 600 B).

"ადგილსა-შორის ყოვლითურთ არა არს, არამედ ვინაჲვე ყოვლითურთ დანახეთქსა (εν σχεσει)" (55, 26; 600 B).

"... დანახეთქსა-შორის (εν σχεσει) ექმნეს" (55, 28; 601 A)

"... სანაცვლოდ დანახეთქისა (σχεσεως) და მოქმედებათაჲსა მიმღებელნი" (55, 31; 601 A).

"შთასლვისა დანახეთქი (σχεαίν) ჰქონდის ასოთა" (63, 22; 617 A).

"ღმერთისად მეზრ დანახეთქითა (κατα σχεσιν) მახლობელ არიან" (160, 6; 776 C).

(ანგელოზთაგან ზოგნი) "ღმერთ-თანა მინახეთქისაგან (σχεσεως) განშორებულ იქმნეს" (160, 25; 777 B).

"კაცთა საქმენი და წინააღრჩევანი რომელსამე თანდართვასა (σχεσει) ვარსკულავთასა მიმდგომ" (144, 13; 748 A).

დამოწმებული ნიმუშებიდან აშკარად ჩანს, რომ ბერძნ. *σχεσις* რომელიც ნიშნავს "თვისობრივ კავშირს", "მოთვისეობას" და რომელიც მომდინარეობს ზმნიდან *εχω* (მაქვს, მყავს), პეტრიწმა ნემესიოსის წიგნის თარგმნის ჟამს ეტიმოლოგიურად გაუიგივა ბერძნულ სიტყვას *σχισις* ("დანახეთქი", "ნაპრალი", ზმნიდან *σχίζω* - გაპობა, გახეთქვა). სხვათაშორის ეს თავისებური ეტიმოლოგიური გააზრება თავს იჩენს პროკლეს შრომაზე დართულ პეტრიწის ერთ კომენტარშიც, სადაც ვკითხულობთ: "ხოლო თუ (კაცმა ე.ჭ.)... სრულებაჲ უტყუთა უგონებოთაჲ შეითვისოს და გემოთა შორის შეაზრქელოს სქისის სულისაჲ, რომელ არს დანახეთქი, ბოროტ მისდა არს".¹

აღნიშნულ ადგილას საუბარია იმაზე, რომ თუკი ადამიანი პირუტყვთა უგუნურებისაკენ მიდრკება და სულის თვისობრივ შეკავშირებას ხორციელ ვნებებს დაამონებს, იგი გაბოროტდება.

ეჭვი არ არის (და ამას თვით პეტრიწის ზემორე კომენტარიც ცხადყოფს), რომ "სქისი" (*σχισις*) აქ იმავე შინაარსით გვხვდება, რა შინაარსითაც "დანახეთქი" (ან "მინახეთქი") ნემესიოსის წიგნის დამოწმებულ ნიმუშებში, ე.ი. "სქისი" ტერმინულად უნდა იყოს *σχεσις*, რომელიც ეტიმოლოგიურად პეტრიწის მიერ გაიგივებულია სიტყვასთან *σχισις*.

ამგვარად, პეტრიწისათვის "სქისი", "სქესი", "დანახეთქი", "მინახეთქი" იდენტური ცნებებია. ამას ცხადყოფს ისიც, რომ ზემორე სიტყვების მსგავსი კომენტარი პეტრიწს ერთგან დართული აქვს საკუთრივ "სქესისათვის". 122-ე თავის განმარტებაში იგი გვაუწყებს:

"უკუეთუ შეიერთებდეს გამგე გასაგოთა, თან-ივნებს და იქცევს ქცევათა მათთა სქესითა, რომელ არს თანმინახეთქი ანუ თანმიეგრეობაჲ" (II. 161, 16).

¹ იოანე პეტრიწი, შრომები, II, გვ. 214; შდრ. შრომები, I, გვ. 239, "სქისი".

² აქ პეტრიწი "სქესის" ახალ შესატყვისსაც გვთავაზობს: "თანმიეგრეობაჲ", რაც, როგორც ჩანს, მას მოხმობილი აქვს მარტოდენ ბერძნული ტერმინის უკეთ განსამარტავად. ამგვარი რამ ნიშანდობლივია პეტრიწისათვის. მაგალითად, როდესაც იგი გვიხსნის, თუ რას ნიშნავს ბერძნული *διανοια* მიუთითებს, რომ ეს ტერმინი იგივეა, რაც "მიერგონება" ან "მიდმოგონება", რომელთაგან პირველი მას მოხმობილი აქვს ბერძნული სიტყვის მარტოდენ უკეთ განმარტების მიზნით, ხოლო მეორე - მის ტერმინულ შესატყვისად.

მეორე მხრივ, შეიძლება იმის აღნიშვნაც, რომ ნემესიოსის წიგნიდან დამოწმებული ბოლო მაგალითის ტერმინი "თანდართვად" ალბათ, უკვე მოასწავებს "სქესის" პეტრიწისეულ გვიანდელ შესატყვისს "თანმიჭუსვად", რაც, როგორც ვაჩვენეთ, გვხვდება პროკლეს წიგნში.

ამგვარად, ნემესიოსისა და ამონიოსის შრომათა თარგმანები ტერმინ *σχεσις*-ის თარგმნასთან დაკავშირებითაც სხვაობენ. ამონიოსის შრომათა მთარგმნელი რომ პეტრიწი იყოს, ეჭვი არ არის, ამ შრომებში ერთგზის მაინც იჩენდა თავს ან პეტრიწის მთარგმნელობითი მოღვაწეობის პირველი პერიოდისათვის ნიშანდობლივი "დანახეთქი", ანდა გვიანდელი დროის კვლავ მისეული ტერმინი "თანმიჭუსვად", მით უმეტეს, რომ, როგორც აღვნიშნეთ, *σχეσις* ამონიოსის შრომებში ძალიან ჭარბად გვხვდება. უფრო მეტიც, ჩვენი აზრით, ამონიოსის მთარგმნელი ხაერთოდ არ უნდა იცნობდეს პეტრიწის შრომებს, მაშინ როცა პეტრიწისათვის საკმაოდ ცნობილი უნდა ყოფილიყო ამონიოსის მთარგმნელის შრომები, რაზეც მრავალ უცილობელ მომენტთან ერთად უნდა მიგვითითებდეს თუნდაც ზემოხსნებული ტერმინის (ამონიოსის მთარგმნელის მიერ დამკვიდრებული "სქესის") კანტიკუნტად, მაგრამ მაინც პეტრიწის შრომებშიც არსებობა.¹

* * *

ამონიოსის შრომათა თარგმანებს ახასიათებს ერთი ტერმინული თავისებურება: ბერძნული *ενεργεια* ამ თარგმანებში გადმოტანილია როგორც ტრადიციული შესატყვისით "მოქმედებად", ასევე, ხშირად, სრულიად ახალი ტერმინით "შორისქმნად", რაც არის ნამდვილი კალკი ბერძნული სიტყვისა (*εν* - შორის; *εργαζομαι* - ქმნა).²

მოგვაქვს ზოგი საგულისხმო ნიმუში ხსენებული ტერმინის დამოწმებისა: "აწ სადმე შორისქმნად (*ενεργεια*) მოღებული მიიწდომვის" (66, 40; ბერძნ. დასახ. გამოც. 87, 1).

"ჩუენდა ქმნილნი და შორისქმნილად მყოფნი (*ενεργεια οντα*) და ეგერა ქმნადნი" (67, 4; 87, 8).

"სახელ-ისხნეს შორისქმნისაგან (*ενεργειας*) მასწავლელისა პერიპატოელად" (97, 23; II. 3, 14).

"რომელნიმე ითქუმიან მსგავსებისაებრ საქმეთადასა... ზოგნი უკუე მსგავსობისათვის შორისქმნისადასა (*ενεργειας*)" (113, 33; 22, 7).

"ხოლო უკუეთუ შორისქმნითა (*ενεργεια*)... შესაძლებელ არს... " (141, 15; 51/52, 17-შენ.).

"შერწყუმული შესაძლებელ არს შორისქმნითა (*ενεργεια*) (150, 23; 61, 7 - შენ.).

¹ ბერძნული *σχეσις*-ის ქართულად თარგმნის საკითხს მოგვიანებით კვლავ დავუბრუნდებით.

² *ενεργεια*-ს თარგმნის საკითხს პეტრიწთან და ამონიოსის მთარგმნელთან ეხება მ.რაფაეაც (იხ. დასახ. გამოც. გვ. 054). მკვლევარის მითითებით, ამონიოსის მთარგმნელს ხსენებული ბერძნული სიტყვა გადმოაქვს ან როგორც "მოქმედება", ან როგორც "ქმნა და შინა". ეს უკანასკნელი ტერმინი *ενεργεια*-ს შესატყვისად არსად გვხვდება.

"ამასცა ზედა შორისქმნასა (ενεργειαν) უკუე რადსმემიმართთა ქუეშე აღვიყვანებით" (158, 25; 69, 20).

"უკუეთუ შორისქმნით უკუე იყოს, შორისქმნით იყოს და სხუადცა... რაჟამს ზედმისაწევნელი შორისქმნით იყოს... ზედმიწევნულობად შორისქმნით იყოს" (165, 13; 15; 16; - 76, 26; 27; 28; 29).

"ვითარებისა რომელიმე უკუე არს მოზავებულისაებრ, ხოლო რომელიმე შორისქმნისაებრ (κατ ενεργειαν) (170, 16; 82, 3);

"ხოლო შორისქმნისებრი (τα κατ ενεργειαν) ანუ მესრულეობითი არს, ანუ არცა მესრულეობითი" (170, 19; 82, 5).

"ვითარებისა შორისქმნად იხილვების ექსისადლითი" (173, 7; 84, 24).

"... შორისქმნით იყოს" (173, 10; 84, 27).¹

რაც შეეხება პეტრიწს, მასთან არცერთხელ არ იხენს თავს ტერმინი "შორისქმნად". ბერძნული ενεργεια პეტრიწს ნემესიოსის წიგნშიც და პროკლესთანაც თარგმნილი აქვს, როგორც "მოქმედება".

* * *

ამონიოსის შრომათა თარგმანები ყურადღებას იქცევს ტერმინ *επινοια*-ს თარგმნასთან დაკავშირებით.

არსენთან ბერძნული *επινοια*-ს ტრადიციული შესატყვისების გარდა განსაკუთრებით საგრძნობი ხდება შემდეგი ტერმინები: "(წულილადი) მოგონებად, "(წულილი) მოგონებად", "წულილმოგონებად". როგორც ქვემოთ პარალელური ნიმუშებიდან ჩანს, აღნიშნულ ქართულ ტერმინთა (ფაქტობრივად, ერთი ტერმინის) სათავე არის ეფრემ მცირე. ვიმოწმებთ სათანადო ადგილებს იოანე დამასკელის "ცოდნის წყაროს" არსენისეული და ეფრემისეული თარგმანებიდან:

1. ა. "... წულილთა მოგონებათა მიერ (S-1463, 87 v 2)

ισχναϊς επινοιαϊς (Pg. 94, 1085 B)

ე. "წულილადითა გულისგმისყოფითა" (A-24, 104, 1-2)

2. ა. "წულილადითა მოგონებითა" (89 v 2)

ισχναϊς επινοιαϊς (1105 A)

ე. "წულილადითა რადთმე გამოკულევითა გონებისადთა" (108 v 1)

¹ აღნიშნული ტერმინის შესახებ იხ. აგრეთვე მ. რაფაევას დასახ. გამოც. ლექსიკონი, "შორისქმნად", გვ. 231.

3. ა. "... განჰყო წულილა-
დითა მოგონებითა ხილუ-
ლი საცნაურისაგან" (91.1)

... λεπταῖς ταις επινοιαῖς
(1117 A)

ე. "... განჰყო წულილადი-
თა მოგონებითა ხილული
იგი საცნაურისაგან" (111
v 1).

4. ა. "წულილმომგონებელ-
ობითისა განყოფილებისა-
ებრ" (98, 1).

δια την κατ επινοίαν
διαίρεσιν (1188 B)

ე. "წულილადთა გონებისა
განყოფათათვს" (127 v 2)

5. ა. წულილთა რადთმე
მოგონებითა განჰყენე ჭეშ-
მარიტებით განყოფელნი"
(98, 1)

τη επινοία διεληθ...
(1188 B)

ე. "წულილადითა მოგო-
ნებითა ჭეშმარიტებით გა-
ნჰყენე განყოფელნი"
(127 v 2)

6. ა. "სახითა წულილადთა
მოგონებათა მიერისა გან-
ყოფისადათა" (98, 2)

κατα ψιλην επινοίαν
(1189 C-D)

ე. "სახითა წულილადისა გო-
ნებითისა განყოფისადათა"
(128 v 1)

მოტანილი ნიმუშები ჩვენს წინაშე ცხადად წარმოაჩენს კონკრეტული ტერმინული ახალქმნადობის პროცესს. როგორც ვხედავთ, ეფრემ მცირესთან (და, ნაწილობრივ, არსენთანაც) ბერძნული *επινοία*-ს ერთერთ ტერმინულ შესატყვისად (სხვა ტრადიციულ შესატყვისებთან ერთად) კვლავ რჩება "მოგონებად". ამასთან, რამდენადაც ბერძნულ სიტყვას ამათუიმ კონტექსტში, ჩვეულებრივ, თან ახლავს ეპითეტები *ισχνος*, *λεπτος*, *ψιλος* ("წვრილი", "ფაქიზი", "თხელი", "დამცრობილი"). შესაბამისად, ქართულ თარგმანებშიც (ცხადია, ეფრემამდეც) "მოგონებად" გვხვდება არა ცალკე, არამედ მითითებული ბერძნული ეპითეტების ზედმიწევნითი შესატყვისით: "წულილადი" ("წულილადი მოგონებად"). ესაა ტერმინული ახალქმნადობის სათავე, პირველი ეტაპი. მეორე ეტაპია ბერძნული ტერმინის მუარი ეპითეტური აღქმა მთარგმნელის მიერ, მიუხედავად იმისა, აღნიშნულ ტერმინს საკუთარივ ბერძნულ ტექსტში ახლავს თუ არა კონკრეტული ეპითეტები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქართველი მთარგმნელის ცნობიერებაში ბერძნულ *επινοία*-ს ისე მჭიდროდ უკავშირდება ეპითეტები *ισχνος*, *λεπτος*, *ψιλος* და მისთ., რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ორიგინალში ამგვარი ეპითეტები აღარ ახლავს ხსენებულ ბერძნულ

ტერმინს, მთარგმნელი კვლავ ეპითეტებთან ერთად, ე.ი. კვლავ ეპითეტურ წიაღში მოიაზრებს მას და, ამ მიზეზით, *επινοια*-ს იგი უკვე თარგმნის არა მარტოდენ სიტყვით "მოგონებად" (როგორც მოსალოდნელი იყო), არამედ "წულილადი მოგონებად", თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, თვით ბერძნულში *επινοια*-ს შეიძლება აღარ ახლდეს ქართული "წულილადის" შესატყვისი *ισχνος*, *λεπτος* ან *ψιλος*.

მესამე ეტაპია ბერძნული ტერმინის ამგვარი ეპითეტური აღქმის გამყარება და კანონზომიერებად ქცევა, ანუ ხსენებული *επινοια*-ს ქართულ შესატყვისად ეპითეტური გააზრების მქონე სინტაგმის საფუძველზე ერთი კომპოზიტიური მყარი ტერმინის შექმნა-დამკვიდრება. ეს ტერმინია "წულილმომგონებელობად" // "წულილმომგონებად", რაც პირველად არსენ იყალთოელთან იჩენს თავს და უთუოდ მისი შექმნილი უნდა იყოს, თუმცა საფუძველი ამ ტერმინისა, სინტაგმა "წულილადი მოგონებად", როგორც აღვნიშნეთ, ეფრემ მცირის სახელს უკავშირდება.

ამგვარად, თუ შევაჯამებთ, ქართული ტერმინი "წულილმომგონებად" ასე უნდა ჩამოყალიბებულიყო: ეფრემ მცირემდე ბერძნული *επινοια* სხვა შესატყვისებთან ერთად, როგორებიცაა "მოპოვნებად", "ლონისძიებად", "გონებად" და ა.შ., გადმოიცემოდა, აგრეთვე, ტერმინით "მოგონებად". ეფრემ მცირე სარგებლობს ამ უკანასკნელი ტერმინით (ისევე, როგორც სხვა ტრადიციული შესატყვისებით), მაგრამ მის ტერმინოლოგიურ აღქმაში ყურადღება მახვილდება ბერძნული *επινοια*-ს ეპითეტურ განსაზღვრებებზე, როგორებიცაა *ισχνος*, *λεπτος*, *ψιλος*, და იგი თარგმნის კიდევ მათ ტრადიციული შესატყვისით "წულილადი" ან "წულილი"; ამასთან, ეფრემი მყარ შინაარსობრივ მთლიანობას ჰვრეტს ხსნებულ ტერმინსა და მის ეპითეტურ დაზუსტებებს შორის, რის გამოც ზოგ შემთხვევაში ბერძნულ *επινοια*-ს დამოუკიდებლადაც (ე.ი. ზემორე კონკრეტული ეპითეტების თანხლების გარეშეც) კვლავ ეპითეტურად აღიქვამს და ამ მიზეზით, ცალკე ხმარებული *επινοια*-ს ქართულ შესატყვისად ზოგჯერ გვაწვდის არა მარტოდენ "მოგონებას", არამედ ორსიტყვედს "წულილადი მოგონებად", რაც თავის დროზე ასევე ორსიტყვედი ბერძნული სემანტემების (მაგ. *η ψιλη επινοια*) თარგმანს წარმოადგენდა.

არსენიც, ეფრემის მსგავსად, საზოგადოდ, იყენებს *επινοια*-ს ტრადიციულ შესატყვისებს, მაგრამ კონკრეტული ტერმინული ერთმნიშვნელოვნების დამკვიდრების უამს იგი ამჯერადაც (ისევე, როგორც არაიშვიათად სხვა შემთხვევებში) საფუძველად იღებს ეფრემ მცირის ტერმინულ წიაღს და ქმნის ბერძნული *επινοια*-ს მყარ შესატყვისს "წულილმომგონებად".²

უშუალოდ არსენისეულ ხაზს აგრძელებს ამონიოსის მთარგმნელიც, რომელიც, ერთი მხრივ, მთლიანად ითვისებს მისი წინამორბედის მიერ დამკვიდრებულ ტერმინს "წულილმომგონებელობად"/"წულილმომგონებად", მაგრამ

1 მაგალითად: 'დაცვად შაბათისად მოპოვნებულ-იქმნა' (*επινενοητο*, 1204 B) (99 v 2; შდრ. ეფრემი: 'მოპოვნებულ იქმნა შაბათობად' 132, 1); *επεινοηθησαν* (1054 A) - არსენი: 'მოპოვნებულ იქმნეს' (83 v 1); 1041C - *προ-επινοουμενης* - არსენი: 'წინა-განმჩინებელობითა' (83, 1; შდრ. ეფრემი: 'წინაგწარითა მოგონებითა', 93v 1); *επινοιαν* - 913A: არსენი: 'მოგონებისა' (68v1; შდრ. ეფრემი: 'გონებათა' 63,1) და სხვა.

2 აი, არსენის მიერ ამ ტერმინის ხმარების კიდევ ორი შემთხვევა: 'წულილმომგონებითა' (ეფრ. 'მოპოვნებით') უპირველეს არს., დიალექტიკა, 46, 6 (იხ. ლექსიკონი - 'მოპოვნებად'); 'სხუანი შესძენენ წულილმომგონებითსაცა' (ეფრ. 'გულისვმისყოფად'; დიალექტიკა 46, 6 (იხ. ლექსიკონი - 'გულისვმისყოფად')

მის გვერდით ქმნის ახალს: "ზედმოგონებად".

ტერმინი "ზედმოგონებად" ბერძნული *επινοια*-ს ზუსტი შესატყვისია ((*επι* - ზედ, *νοια* - გონება) და მისი შემოტანა გელათური სკოლის წარმომადგენლის მიერ, ცხადია, მოულოდნელი არ უნდა ჩანდეს. ყურადღებას სხვა რამ იქცევს: ამონიოსის მთარგმნელი თანაბარი უფლებით იყენებს როგორც "წულილმოგონებას", ასევე "ზედმოგონებას", ე.ი. ხსენებულ მთარგმნელთან არსად ვლინდება, რომ მან ახალი ტერმინი, ზედმიწევნით ზუსტი, შექმნა ადრინდელის, კერძოდ არსენისეულის უარსაყოფად. როგორც აღნიშნულ ტერმინთა კონტექსტებზე დაკვირვებამ ცხადყო, ამონიოსის მთარგმნელი არსენისეულ "წულილმოგონებასა" და მის მიერ შექმნილ "ზედმოგონებას" ერთიდაიმავე *επινοια*-ს შესატყვისად შეგნებული კანონზომიერებით ხმარობს და ეს კანონზომიერება მის მიერ თითქმის არ ირღვევა. საქმე ისაა, რომ ესათუის ბერძნული სიტყვა შეიძლება წარმოდგენილი იყოს არსებით სახელად ანდა პირიანი ზმნის, ინფინიტივის, მიმღობის ფორმაში. არსენისეული "წულილმოგონებად" კარგად შეესატყვისება ბერძნულ ტერმინს, თუკი ეს უკანასკნელი არსებით სახელს წარმოადგენს, მაგრამ იმავე ტერმინის ზმნური ფორმის (*επινοεω*) კვლავ "წულილმოგონებად" თარგმნა ვერ ხერხდება, ყოველ შემთხვევაში, ამგვარი რამ მეტად არაბუნებრივი ჩანს. კერძოდ, მივიღებდით ასეთ ფორმებს: "წულილმოვიგონებ, წულილმოიგონა, წულილმოუგონებიეს" და მისთ. თვით არსენთანაც ზმნა *επινοεω* ითარგმნება ტრადიციული შესატყვისებით; "მოპოვნებულ არს", "მოიგონა" და მისთ.

როგორც ჩანს, სწორედ ამ სირთულის დასაძლევად შემოაქვს ამონიოსის მთარგმნელს ახალი ტერმინი "ზედმოგონებად", რომლითაც იგი, ჩვეულებრივ, მაშინ სარგებლობს, როდესაც ბერძნულში ხსენებული ტერმინის ზმნური (*επινοεω*) ან ინფინიტივურ-მიმღობური ფორმა გვაქვს. ამგვარ შესატყვისობას იცავს იგი მაშინაც, როდესაც ქართულ თარგმანში "ზედმოგონებად" არსებით სახელად ჩანს, რადგანაც მთარგმნელისათვის განმსაზღვრელია მხოლოდ ბერძნული ტექსტი. თუკი ორიგინალში ჩვენთვის საინტერესო ტერმინი არსებით სახელადაა წარმოდგენილი (კერძოდ, როგორც *επινοια*), მას "წულილმოგონებად" გადმოსცემს, ხოლო თუ *επινοεω* უნდა ითარგმნოს, ქართულ ტექსტში ტერმინი "ზედმოგონება" და მისგან ნაწარმოები ფორმები გვაქვს. წარმოვადგენთ სათანადო ნიმუშებს:

***επινοια* - წულილმოგონებად (წულილმომგონებლობად)**

"ყოვლითურთ არიან განშორებულნი ნივთისა და გუამისა და მათძლითი წულილმოგონებად (*επινοια*)" (12, 31; 11, 26); "წულილმოგონებითა (*επινοια*) განეშორებიან" (13, 2; 12, 6); "წულილმომგონებლობით (*κατ επινοιαν*) რად განეშორნენ, არარადთ განირყუნების არსებად" (29, 24; 33, 12); "წულილმოგონებად (*επινοια*) ჩუენი ესევითარსა ჰყოფს განწვალებასა" (58, 7; 73, 18); "იგიცა განშორებადი არს წულილმოგონებით (*επινοια*)" (72, 20; 94, 13); "არცა წულილმოგონებისაებრ (*κατ επινοιαν*) ძალ-მიც განყოფად" (72, 22; 94, 15); "წულილმოგონებით (*επινοια*) განეშორებიან ქუედმდებარეთა" (83, 11; 109, 6); "ეგრეთვე თვისცა წულილმოგონებით (*επινοια*) განეშორების" (83, 12; 109, 7); "წულილმოგონებით (*επινοια*) სადმე იყოს"

(85, 2; 111, 5); "არა მოქმედებით განეშორებიან, არამედ წულილმოგონებით (ΕΠΙΝΟΙΑ) სადმე" (85, 9; 111, 12); "არცა წულილმოგონებით (ΕΠΙΝΟΙΑ) განეშორებად შესაძლებელ არს" (85, 11; 111, 13); "წულილმოგონებითა (ΕΠΙΝΟΙΑ) უჩინო იქმნებიან" (85, 16; 111, 18); "შემთხვევითნი წულილმოგონებით (ΕΠΙΝΟΙΑ) განეშორებადნი არიან, ხოლო უთვსესნი განყოფილებანი - არცა წულილმოგონებით (ΕΠΙΝΟΙΑ)" (87, 5-6; 114, 5); "რომელნიმე ლიტონისა წულილმოგონებისა შორის (ΕΠΙΝΟΙΑ) არიან" (103, 3; II, 9, 26); "ლიტონისა წულილმოგონებასა შერნა (ΕΠΙΝΟΙΑ) მდებარეთათვს..." (103, 6; 9, 27); "წულილმოგონებითა (ΕΠΙΝΟΙΑ) განეკიდებიან ქუემდებარესა" (134, 10; 45, 4-შენ.); "არცა წულილმოგონებითა (ΕΠΙΝΟΙΑ) განეკიდებიან" (134, 11; 45, 4-შენ.); "... წარმოჩენილთა წულილმოგონებათა (ΕΠΙΝΟΙΑΣ)" (163, 25; 75, 1); "წულილმოგონებისაგან (ΕΠΙΝΟΙΑΣ) წინაყოფისა თანა აქუს ველოვნებად" (163, 27; 75, 3).

ΕΠΙΝΟΕΩ - ზედმოგონება

"რომელნი ზედმოგონებულნი (ΕΠΙΝΟΟΥΜΕΝΑ) უკუე შეგუამდებიან" (34, 10; 39, 13); "შემთხვევითსა აქუს რადმე პირველ-ზედმოგონებულად (ΠΡΟ-ΕΠΙΝΟΟΥΜΕΝΟΝ)" (63, 51; 82, 19); "არცა შესაძლებელ არს თვნიერ სიტყვსა ზედმოგონებად (ΕΠΙΝΟΗΣΑΙ) კაცისად" (72, 23; 94, 15); "ძალმიც სოკრატისი მტიერადცა და ვარჯოვნად ზედმოგონებად (ΕΠΙΝΟΗΣΑΙ)" (72, 21; 94, 14); "ნერბისცხვრად ზედმოგონებულ-იქმნეს (ΕΠΙΝΟΗΣΕΙΗ)" (72, 32; 95, 2); "ზედმოგონებულნი (ΕΠΙΝΟΗΣΑΝΤΕΣ) ყორნისა" (85, 12; 111, 14); "საღმრთოდასა ზედა ყოვლად უგულისხუმოება არს ზედმოგონებად (ΕΠΙΝΟΕΙΝ) ამის საზღვრისად" (126, 22; 37, 5); "მგრძნობელობად არავინ ზედმოგონოს (ΕΠΙΝΟΗΣΕΙΝ)" (164, 24; 76, 5); "პირველ-ზედმოგონებთ (ΠΡΟ-ΕΠΙΝΟΩΜΕΝ) ზედმისაწევნელსა" (165, 18; II, 76, 30)¹

მეტი თვალსაჩინოებისათვის ზემოდამოწმებულთაგან ცალკე წარმოვადგენთ ორ ადგილს, სადაც ბერძნულ ტექსტში გვერდიგვერდ გვხვდება ჩვენთვის საინტერესო ტერმინები ΕΠΙΝΟΙΑ და ΕΠΙΝΟΕΩ:²

"ხოლო განეშორებადად ვიტყვ ზოგადსაცა და თვსსაცა და რამეთუ იგიცა განეშორებადი არს წულილმოგონებით (ΕΠΙΝΟΙΑ), რამეთუ ძალმიც სოკრატისი

1 ორგან ΕΠΙΝΟΕΩ თარგმნილია ტრადიციული შესატყვისით "მოპოვება": "... მოიპოვა (ΕΠΕΝΟΗΣΟΥ) ბუნებაჲმან" (28, 18; 31, 18; დამოწმებულია მ.რაფაეას მიერ). "... ბუნებაჲმან მოიპოვა (ΕΠΕΝΟΗΣΕ)" (42,8;50,17).

2 ამონიოსის შრომათა თარგმანზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ მთარგმნელი ბერძნული ΕΠΙΝΟΙΑ-ს შესატყვისად ჯერ იყენებს არსენისეულ ტერმინს "წულილმოგონებად" (გვ. 12; 13; 29), შემდეგ შემოაქვს ახალი ტერმინი "ზედმოგონებად", რომელსაც თავდაპირველად, პირველხმარების დროს, განურჩევლად უფარდებს ბერძნული ΕΠΙΝΟΙΑ - ΕΠΙΝΟΕΩ-ს ფორმებს (გვ. 34). შემდეგ კი მთელი თარგმანის მანძილზე ამ ორ ტერმინს შორის მტკიცედ აწესებს იმ კანონზომიერებას, რაზეც ზემოთ გვქონდა მსჯელობა.

მტიერადცა და ვარჯოვნად ზედმოგონებად (επινοησαι), რამეთუ უთვსესისა არღა მერმე არცა წულილმოგონებისაებრ (κατ επινοιαν) ძალ-მიც განყოფად, რამეთუ არცა შესაძლებელ არს თვნიერ სიტყვსა ზედმოგონებად (επινοησαι) კაცისადა... რადთა ნიშნოვნად ანუ ნერბისცხვრად ზედმოგონებულ იქმნეს (επινοηθειη)" (72; 94-95).

"ხოლო ვთქუათ ეგერა, ვითარმედ: დაღათუ არა მოქმედებით განეშორებიან, არამედ წულილმოგონებით (επινοια) სადმე, რამეთუ თვნიერ სიშავისა ყორანი მფრინველ და ჰინდოდა კაც არს, ხოლო კაცისაგან ცხოველისა არცა წულილმოგონებით (επινοια) განშორებად შესაძლებელ არს, რამეთუ მყის მოგონებასა თანა კაცისა არცხოველყოფისასა განვჭხრწნით მას, ხოლო ზედმოგონებულნი (επινοησαντες) ყორნისა არმელანყოფისანი ანუ ჰინდოდასანი, არ განვჭხრწნით არსებასა მისსა" (85,8-12; 111,12-14).¹

როგორც ვხედავთ, ტერმინები "წულილმოგონებად" და "ზედმოგონებად" ძალიან ნიშანდობლივია ამონიოსის მთარგმნელისათვის. შეიძლება ისიც ითქვას, რომ თუმცა პირველი მათგანი ("წულილმოგონებად") არსენის მიერაა შექმნილი, მაინც, არსენისთან აღნიშნულ ტერმინს საგრძნობი გასაქანი არ უპოვია. ფაქტობრივად, არა მხოლოდ მეორე ტერმინი ("ზედმოგონებად"), არამედ პირველიც (არსენისეულიც) სწორედ ამონიოსის მთარგმნელმა დაამკვიდრა ბერძნული επινοια-ს მყარ, სრულფასოვან შესატყვისად.

რა ვითარება გვაქვს პეტრიწთან? ხსნებული ქართული ტერმინები ("წულილმოგონებად", "ზედმოგონებად"), ასე ჭარბი რაოდენობით დამოწმებულნი ამონიოსის მთარგმნელთან, საერთოდ არ არის დამახასიათებელი პეტრიწისათვის, არცერთხელ არ ვლინდება მის შრომებში. ამ ტერმინთა გამოვლენა მოსალოდნელი იყო საკუთრივ პეტრიწისეულ კომენტარებში, მაგრამ ისინი არსად იჩენს თავს. რაც შეეხება ნემესიოსის წიგნს, ორიგინალში ჩვენთვის საინტერესო ტერმინი ორგზის გვხვდება. ქართული თარგმანები ასეთია:

(1) "ერთბამად ნაკუეთსა და ფერსავე თანა-გაიგონებს (συν-επινοει)" (80, 6; 648 A); (II) "ამათ მიზეზთათვის ლოცვათა და მსახურებათა ღმერთთასა და უკუნსაქცეველთა მეწადე ვართო (επινενοησθαι)" (144, 1; 748 A).

* * *

ბერძნული επινοια, ისევე როგორც მისი უმთავრესი ქართული შესატყვისები ("მოგონებად", "გონებად", "წულილმოგონებად", "ზედმოგონებად"), ფუძისეულად ტერმინ "გონებას" (ბერძნ. νοσας) უკავშირდება. საღვთისმეტყველო თვალსაზრისით დიდ ყურადღებას იქცევს ბერძნული ნოეტური ტერმინოლოგიის ანუ გონებასთან, ცნობიერებასთან დაკავშირებული ბერძნული სიტყვების ქართულენოვანი აღქმა-შეთვისება და ამ შეთვისების შედეგად ბერძნულის ფარდი ქართული ნოეტური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბება.

ბერძნული ნოეტიკის წიაღიდან უპირველესად გამოვყოფთ სამ მნიშვნელ-

¹ წულილმოგონების ხმარებათა შემთხვევები მითითებული აქვს მ.რაფაევას (იხ. დასახ. შრომა, გვ. 246).

ოვან ტერმინს, რომლებზეც ყურადღებას ამახვილებს პეტრიწი პროკლესადმი წამძღვარებულ თავის წინასიტყვაობაში:

"სულისასა ეწოდება დიანჯად, ხოლო გონებისასა ნოიმაჲ, ხოლო გასაგონსა და ზესთმდებარესა ნოიტონი".¹

ხსენებული ტერმინები (*διανοια*, *νοημα*, *νοητος*) ხშირად ხმარებულ ლექსიკურ ერთეულებს განეკუთვნებიან. შესაბამისად, მათზე დაკვირვება მეტი სრულყოფილებითაა შესაძლებელი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ტერმინ *νοημα*-ს მოეპოვება თავისი სინონიმური წყვილი *νοησις* (ეს უკანასკნელი უფრო აბსტრაქტულია, ზოგადია, პირველი - უფრო კონკრეტული, კერძო), ხოლო *νοητος* ტერმინის თითქმის მუდმივი თანმხლებია *νοερος* (ორივე მათგანი, ჩვეულებრივ, აზრისმიერს ანდა სულიერს, სპირიტუალურს აღნიშნავს; კერძო მნიშვნელობით *νοητος* არის ის, რაც შესაცნობია, ხოლო *νοερος* - თავად შემცნობელი, შემმეცნებელი). ამგვარი შინაარსობრივი მონათესავეობის გამო პეტრიწის მიერ გამოყოფილ სამ ტერმინთან ერთად ზემოხსენებული ორის თარგმნის საკითხსაც აქვე განვიხილავთ.

უპირველესად, წარმოვადგენთ სათანადო ნიმუშებს თუ როგორ გადმოაქვს აღნიშნული ტერმინები ამონიოსის მთარგმნელს და მის ნამდვილ წინამორბედებს, არსენსა და ეფრემს:

διανοια:

აღნიშნული სიტყვა ეფრემ მცირემდე ყველაზე ხშირად (შეიძლება ითქვას, ტერმინულად) ითარგმნებოდა სიტყვით "გონებაჲ",² იშვიათად კი, როგორც "ცნობაჲ", "გულისსიტყუაჲ", "ძალი", "გულისკმაჲ", "გულისკმისყოფაჲ", "მოგონებაჲ" და მისთ.

ეფრემ მცირე ამჯერადაც, ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში, სარგებლობს ტრადიციული შესატყვისებით, განსაკუთრებით ტერმინით "გონებაჲ" და, ჩვეულებრივ, სწორედ მას უფარდებს ბერძნულ *διανοια*-ს. მეორე მხრივ, ეფრემთან ვხვდებით ტერმინულ სიახლესაც. ეს უკანასკნელი გარემოება ჩვენთვის ამჯერად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუმცა - უპირველესად უმთავრეს ტრადიციულ შესატყვისთა შესახებ:

I. διανοια - გონებაჲ:

"უძლურ იყვნენ სადგომელნი გონებათანი (*της διανοιας*)" (გარდამოცემა, A-24, 135v1; შდრ. არსენისეული: "დაუმტკიცებელნი აქუნდენ ხარისხნი გონებათანი", S-1463, 101v1); "შემოიყვანოს გონებათა ჩუენთა შინა" (იქვე, 125, 1; შდრ. არსენისეული: "აღიყვანებს გონებათა ზედა ჩუენთა" 97, 1); "მოუგონებელ არს ზეშთა გონებისა იგი ერთი" (დიონისე არეოპაგელი,

¹ იოანე პეტრიწი, II, გვ. 6

² იხ. მაგ. გიორგი მთაწმიდლის მიერ თარგმნილი ჰექსემერონი გრიგოლ ნოსელისა, ტექსტზე დართული ლექსიკონი, სტატია "გონება" (საქ. ეკლ. კალენდარი, თბ. 1989, გვ. 321), აგრეთვე ამბა თალასეს "ოთხასეულის" მისივე თარგმანი (იქვე, გვ. 461) და მრავალი სხვა ათონური თუ წინაათონური პერიოდის თარგმანი, მაგ. სინური მრავალთავი (თბ. 1959): 4, 21; 9, 33; 155, 16; 220, 2; 220, 21; 236, 17. ყველა აღნიშნულ შემთხვევაში ქართული "გონებაჲ" ბერძნულ *διανοια*-ს შესატყვისება.

შრომები, ს.ენუჭაშვილის გამოც. გვ. 6, 20; ბერძნ. ტექსტი აქაც და ქვემოთაც მითითებულია თავებისა და ქვეთავების მიხედვით: 1,1); "... გონებითა ღმრთისმხილველითა" (იქვე 13, 21; 1, 8); "... ნეტარნი ხედვანი მვნისა მის გონებისანი" (იქვე, 22, 16; 2, 9); "... მოძღუართა მოხუცებულებრთა გონებათასა" (იქვე 27, 13; 3, 2); "... ღმრთისმეტყუელისა მის გონებისათა გულისკმისყოფასა" (იქვე 76, 21; 8, 6); "შეხებულ რასმე ვართ ჩუენ გონებითა ღმრთისსახელთა სიტყუათა თარგმანებასა" (იქვე 97, 20; 13, 4); "... გონებისა ამაღლებითა" (ხელნ. A-52, 158; Pg. 36, 1048 B).

II. *διανοια* - ცნობად:

"ყოვლისა ჩუეულებისა... ცნობისა (*διανοιας*)... აღმაღლებულსა" (დიონისე არეობაგელი 11, 6; 1, 5); "ბრწყინვალე ცნობითა" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, სიტყვები, A-109, 213v2; Pg.36, 437 A); "გონებად (*νοιας*) და სასმენელი და ცნობად (*διανοιαν*)" (A-52, 162 v ; Pg. 36, 317 A);

III. *διανοια* - მოგონებად:

"მოქმედება გონებისა არს მოგონებად (*διανοια*)" (გარდამოცემა, A-24, 97,2; შტრ. არსენი: "მოქმედება გონებისა არს მგონებლობად, S-1463, 82 v2); "ყოველთა მოგონებათაგან მოუგონებელ არს" (დიონისე არეობაგელი 6, 19; 1, 1); "ყოველივე კაცობრივი მოგონებად მაცთუნებელ არს" (იქვე 68, 21; 7, 1); "... არას მოგონებად (*διανοεισθαι*) უღრმესსა" (იქვე 243, 28; ებ. 8, 1); "განელებოდინ... მოგონებად" (A-109, 229,1-Pg.36,1173C); "ამის მოსწავებად ვპგონებ მომგონებლობითსა (*διανοητικον*)" (A-109, 110, 1 - Pg.36 416B); "მგონებელ არს (*διανοηθησεται*) და მარადის მგონებელ არს" (A-24; 97.2)

IV. *διανοια* - გულისკმისყოფად

"ნივთად... გულისკმისყოფისა (*διανοητικα*) მოგუეცემის" (გარდამოცემა, A-24, 70, 1; Pg.94, 940B). "არა სხუად ჯერ არს გულისკმისყოფად (*διανοεισθαι*)" (დიონისე არეობაგელი, 255, 27 - ep. 9,5); "და ამით მოსწავებად ვპგონებ მომგონებლობითისა (*το διανοητικον*) და აღძრვათა მისთა, გინა გულისკმისყოფათა (*διανοηματα*)" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, სიტყვები, A-109, 110, 1 - Pg.36, 416 B); "აქუს მაღალი გულისკმისყოფად (*διανοιαν*)" (გარდამოცემა, A-24, 47v1).

მოტანილი ტერმინები წარმოადგენს ბერძნული *διανοια*-ს იმ უმთავრეს ტრადიციულ შესატყვისებს, რომლებსაც ბუნებრივად ვხვდებით ეფრემისეულ თარგმანებში (მათგან ყველაზე ხშირია "გონებად"¹), თუმცა, როგორც

¹ საკითხის სისრულისათვის დავძენთ, რომ ბერძნულ *διανοια*-ს ასევე "გონებად" თარგმნის ეფრემ მცირის თანამედროვე თეოფილე ხუცესმონაზონი. აი, რამდენიმე ნიმუში: "ფრთოვანქმულ არს გონებითა" (Ath. 29, ფოტო 13; Pg. 50, 13); "ჭურჭელნი გონებათა ჩუენთანი" (ფ. 36; 32); "... უშინაგანესსა მას შინა საუნჯესა გონებათა ჩუენთასა დამალვად" (ფ. 58; 49); "ვერ დაიტოს გონებამან" (ფ. 99; 68); "ესე არს საქმე გონებისა წრფელისა და მრთელისად" (ფ. 99; 68).

აღვნიშნეთ, ამ უკანასკნელთან თავს იჩენს ახალი შესატყვისიც, კერძოდ, ტერმინი "გაგონებად". აი, სათანადო ნიმუში იოანე დამასკელის "გარდამოცემის" ეფრემისეული თარგმანიდან:

ვინაიდან გაგონებად ითქუ-
მის მოგონებისაგან და
განშჯისა (A-24, 71,1)

*οθεν και διανοια λεγεται
απο του διανοειν και
διακρινειν* (Pg. 94, 941
D)

ჩვენთვის ცნობილი ტექსტებიდან ტერმინი "გაგონებად" ბერძნული *διανοια*-ს შესატყვისად ასე თვალნათლივ პირველად ეფრემთან გვხვდება. ეს გარემოება მნიშვნელოვანია, რადგანაც ეფრემის შემდეგ არსენ იყალთოელი სიტყვა "გაგონებას" მეტად ხშირად იყენებს და აშკარად ამკვიდრებს *διανοια*-ს ტერმინულ შესატყვისად. გელათური სკოლის თარგმანებში, არსენის კვალობაზე, აღნიშნული ტერმინი უკვე სავსებით კანონზომიერად და მყარად გადმოსცემს ხსენებულ *διανοια*-ს.

ქართული ტერმინი "გაგონებად" ("განგონებად") შედარებით იშვიათი იყო ძველ ქართულ მწერლობაში ვიდრე არსენ იყალთოელამდე. ი. აბულაძის მიერ დამოწმებულია ორი საინტერესო ნიმუში, სადაც აშკარად ჩანს ხსენებული სიტყვის შინაარსობრივად განუყოფელი ორმნიშვნელოვნება:

(1) სმენა, ხმის გაგონება და (11) შესმენა, აღქმნა, შეცნობა, შემეცნება: "მოგცეს შენ ღმერთმან განგონებად და გულისგმისყოფად;¹ "იკითხვედი გაგონებით".²

ორსავე შემთხვევაში "განგონება" ("გაგონება") ნიშნავს რატაცის "შესმენას", "აღქმას", აგრეთვე, "ყურადღებას".

დღეისათვის ცნობილი ტექსტებიდან ერთერთი უადრესი დამოწმება ხსენებული ტერმინისა გვაქვს გრიგოლ ნოსელის "კაცისა შესაქმის" უძველეს თარგმანში (VIII-IX სს.), სადაც ვკითხულობთ:

რამეთუ მოქმედებად ჭურ-
ჭერსა ამას შინა მრჩობლი
არს: ერთი იგი ყოფისათვის
ვმისა და მეორე იგი -
შეწყნარებისათვის გაგონე-
ბისა მომავალისა გარეშტთ
(შატბ. კრებ. 81, 14)

*διπλη δε περι το οργανον
η ενεργεια η μεν προς
εργασιαν ηχησ, η δε προς
υποδοχην των εξωθεν
νοηματων* (Pg. 44, 152)

იმავე ადგილის გიორგისეული თარგმანი ასეთია:

"ხოლო კაცობრივისა ამის ორღანოდსა მიერ მრჩობლ იხლვების საქმე: ერთი იგი გამომღებელად ვმისა და მეორე - გარეშეთა გულისგმისყოფათა

1 მამათა სწავლანი, ი. აბულაძის გამოც. თბ. 1955, 20, 10

2 მამათა სწავლანი, დასახ. გამოც. 75, 5; ორივე ნიმუშისათვის იხ. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1973, გვ. 53, სტატია "განგონება", "გაგონება". აღნიშნული სიტყვები მკვლევარს ასე აქვს განმარტებული: "შეგნება, გულისხმიერება".

შემწყნარებელად".¹

როგორც ვხედავთ, მოტიანილ კონტექსტში ტერმინი "გაგონება" (მას ბერძნულში ესატყვისება *το νοημα*, ხოლო გიორგისეულ თარგმანში "გულისკმისყოფად") ნიშნავს "აზრს", ან იქნებ უფრო ზუსტად "აზრის შემცველ ხმას", რასაც შეიწყნარებს ყური (მდრ. ცოტა ქვემოთ: "მეორე ესე შემწყნარებელ და მიმღებელ არს მარადის მოუწყინებელად, რომელ არს ყური", 81, 20).

ი. აბულაძეს დამოწმებული აქვს, აგრეთვე, ერთი ნიმუში თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანიდან:

"გაიგონე, კაცო, და ნუ დიდად ჰმაღლოი".²

აქაც "გაგონება" განუყოფლად ნიშნავს ხმის სმენასაც და სმენილის გააზრებასაც ე.ი. "გაიგონე" იგივეა, რაც "შეისმინე".

თეოფილე ხუცესმონაზონთან, სხვა შემთხვევაში, "გაგონება" გვხვდება ბერძნული *ακουσαι*-ს შესატყვისად, რაც "მოსმენას" ნიშნავს. აი, ეს შემთხვევა:

"ვერ შემძლებელთა სხუებრ გაგონებად (*ακουσαι*)" (იოანე ოქროპირი, თარგმანებად დაბადებისად, Ath. 29, ფოტო 187).³

იმავე მთარგმნელთან გვხვდება "გაგონება" "შეცნობის" მნიშვნელობით (ორიგინალში შესატყვისი არა აქვს):

"... საზომსა თვისა გაგონებად" (იქვე, ფოტო 703).

ზემოთ დამოწმებანი ცხადყოფს, რომ ეფრემ მცირემდე ტერმინი "გაგონება" ("განგონება") ნიუანსობრივი ორმნიშვნელოვნებით ხასიათდება: (I) ხმის სმენა, (II) სმენილის გააზრება, შეცნობა, შესმენა.⁴

ეფრემ მცირესთან, როგორც მოტიანილი ნიმუშიდან ჩანს, არსებითია "გაგონების" მეორე მნიშვნელობა: "შეცნობა, აღქმა, გონებით გააზრება".

ცხადია, არ შეიძლება თქმა იმისა, რომ ეფრემი "გაგონებას" იყენებს ბერძნული *διανοια*-ს ტერმინულ შესატყვისად. იგი აღნიშნულ ცნებას მოუხმობს ზოგადად "გონებრივი მოქმედების", "აზროვნებითი პროცესის" გამოსახატავად, "აზროვნების", "შემეცნების" ამსახველ სემანტემად და არა უთუოდ *διανοια*-ს შესატყვისად. "აზროვნებით პროცესს" ბერძნულში მრავალი ტერმინი გადმოსცემს. საყურადღებოა, რომ იმავე პარაგრაფში, სადაც ეფრემი *διανοια*-ს შესატყვისად "გაგონებას" გვაწვდის, გვხვდება ტერმინები *εννοια*

1 ნ. შალამბერიძის მიერ გამოსაცემად მომზადებული ტექსტი, გვ.34-35.

2 ი. აბულაძე, დასახ. ლექსი, გვ. 53

3 ვსარგებლობთ თ. ცოფურაშვილის მიერ გამოსაცემად მომზადებული ტექსტით; ბერძნ. იხ. Pg. 50, 103

4 ტერმინები "განგონებად". "გაგონებად" შეცნობის, წვდომის შინაარსით საკმაოდ ზშირია ექვთიმე ათონელთან. მაგალითად: "შესაძლებელ არს აქაცა განგონებად (*νοεισθαι*) სიტყუად იგი მოციქულისად" (იხ. მაკარი დიდის შრომათა ექვთიმესეული თარგ., გ.ნინუას დასახ. გამოც., გვ. 204. 15; ბერძნ. ტექსტი იხ. Berthold-ის მითით. გამოც. გვ.9,7); "ძალისაებრ ჩუენისა... განგონოთ (*χαρουμεν*)" (იქვე 217.20; 21.19); "რომელი არცა გამოცდილ იყოს, არცა მიწევნულ, იგი ვერ შემძლებელ არს გაგონებად (*νοησαι*) ანუ გულისკმისყოფად ამათ სიტყუათა" (იქვე 300. 19. 210. 8); "უკუეთუ სულსა აქუნდეს განკითხვად, მეყსეულად საცნაურითა მით გულისკმისყოფითა გაიგონებს (*γινωσκει*)" (216. 18. 20. 27).

და νοουμενον, რომლებიც, აგრეთვე, "გაგონებად" არის გადმოტანილი ეფრემის მიერ:

"იგონებდენ თუ ვისთვისმე რასმე, ამას გაგონებად სახელ-ედების, რომელი-ესე დაადგრის რად და განაწესნის სულსა შინა სახენი გაგონებისანი, მიერთგან განზრახვა სახელ-ედების" (A-24,71,2).

η δε περι τι νοησις εννοια καλειται, ητις επιμεινασα και τυπωσασα την ψυχην προς το νοουμενον, ενθυμησις προσαγορευεται (Πγ. 94, 944 A)

არსენისეული თარგმანი ასეთია:

"ხოლო მის რადსმედლითი მოგონებად მგონებლობად იწოდების, რომელი მი-რად-მყოვრდეს და მოგონებულისა მის მიმართ დასახოს სული, გულისზრახვად სახელ-იდების" (S-1463, 72v2).

ამგვარად, ტერმინი "გაგონება" ეფრემ მცირესთან უკვე ამკარად იჩენს თავს, როგორც ნოეტური ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინი, თუმცა არა უთუოდ *διανοια*-ს შესატყვისად.

ეფრემ მცირისეული ნოეტიკა, როგორც აღვნიშნეთ, საფუძველია არსენ იყალთოელისა, რომელიც "გაგონება//განგონებას" ამკვიდრებს ბერძნული *διανοια*-ს ტერმინულ შესატყვისად. აი, ზოგი საგულისხმო ნიმუში:

"ძალნი... მეცნიერებისანი (*γνωστικαι*) ვიდრემე არიან: გონებად (*νους*), გაგონებად (*διανοια*), თნებად..." (გარდამოცემა, S-1463, 72v2; Pg. 94, col. 941; შდრ. ეფრემი: "ძალნი... ცნობითნი არიან: გონებად და ცნობად და ნებად..."; A-24, 71, 1); "გემოთაგანნი რომელნიმე არიან ჭეშმარიტნი, ხოლო რომელნიმე ტყუილითნი და რომელნიმე გაგონებისანი (*της διανοιας*), ველოვნებისა და ხედვისაებრნი" (S-1463, 70v2; Pg.94, col.929C; შდრ. ეფრემი: "... რომელნიმე გონებისანი" A-24, 67,1); "... გრძნობს ვსენებისა თანა და გაგონებისა (*διανοια*)" (S-1463,72,1; col.937A; შდრ. ეფრემი: "იგრძნობენ... თანად მოვსენებითა გონებისადთა", A-24,69,2); "რომლისათვისცა განგონება (*διανοια*) სახელ-ედების განმგონებელობისათვის (*διανοειν*)" (S-1463, 72v2; შდრ. უკვე დამოწმებული ეფრემისეული თარგმანი: "ვინაეცა გაგონებად ითქუმის მოგონებისაგან" A-24,71,1); "... მიეცემის განმგონებელობითსა (*διανοητικω*)" (S-1463,72,2; Pg.94, col.940B; შდრ. ეფრემი: "ნივთად... გულისკმისყოფისა მოგუეცემის", 70, 1); "განმგონებელობითისათვის" (სათაური: *περι του διανοητικου*. იხ. S-1463,72,1; Pg.94,937B; შდრ. ეფრემი: "მოგონებისათვის", A-24,69v1); "ხოლო განმგონებელობითისანი (*διανοητικου*) არიან ბჭობადცა და თანასათნოყოფად" (72, 1; 937 C; შდრ. ეფრემი: "მოგონებითსა უკუე საქმე არიან: განშჯად და თანამოწამებად", 69v1)¹

1 ზემოთ პარალელურ დამოწმებებში ვაჩვენეთ, რომ არსენიც, ეფრემის დარად, ბერძნულ *διανοια*-ს ხშირად თარგმნის ტრადიციული შესატყვისით "გონებად". აღვნიშნავთ, რომ გარდა "გონებისა" და, საზოგადოდ, სხვა ტრადიციული შესატყვისებისა, მასთან გვხვდება, აგრეთვე, "მგონებლობად": "მოქმედება გონებისა (*του νου*) არს მგონებლობად (*διανοια*)" (S-1463; 84v2; col.1056D; შდრ. ეფრემი: "მოქმედება გონებისა არს მოგონებად", A-24,7,2).

ბერძნული *διανοια*-ს თარგმნის შემდგომი ეტაპია არსენის მიერ დასაფუძვლებული გელათის საღვთისმეტყველო სკოლა. ამ სკოლიდან XII ს-ის I ნახევარში და შუა წლებში გამოვიდა უმნიშვნელოვნეს თარგმანთა ის ერთობლიობა, რომელიც ტერმინულ სტრუქტურათა რიგში მექვსე ჯგუფად წარმოვადგინეთ (იხ. ზემოთ). ამ ჯგუფში შემაჯავლი ტექსტები წარმოგვიდგენენ აურაცხელ მოწმობას "*διανοια*" - "გაგონების" მყარი ტერმინთშესატყვისობის საილუსტრაციოდ. ხსენებულ ჯგუფს განეკუთვნება ამონიოს ერმისის შრომათა თარგმანებიც, სადაც მტკიცედ არის დაცული აღნიშნული კანონზომიერება. მოგვაქვს ნიმუშები (ქართული "გაგონება" ბერძნულში ყველგან გადმოსცემულია ტერმინით *διανοια*):

"მოვიღებთ გაგონებისაებრ მისისა" (54, 30; ბერძნ. 69, 8); "... თნებად, გრძნობად, ოცნებად, გაგონებად" (12, 18; 11, 17; შდრ. შენ.); "კაცობრივისა გაგონებისაგან გარეშეუცავთა" (17, 35; 17, 26); "მომწონებელი შენისა გაგონებისად" (33, 34; 39, 6); "აღვივსენეთ იგი გაგონებასა შინა" (35, 40; 42, 12); "ნანდვლ მახვლითა გაგონებითა" (97, 9; 3, 2); "გაგონებად ფილოსოფოსისადა წარმოადგინოს" (101, 41; 8, 31); "არავინ ქვებურ არს ესრეთ გაგონებითა" (167, 15; 78, 27); "კაცთმოყუარებისა მოქმედი თანშთამოპყვების გაგონებასა ჩუენსა" (125,37; 36,12-შენ); "გაგონებისაგანნი რომელნიმე ურთიერთას არიან თანმოსახელე" (113, 9; 21, 19); "თანმოსახელეთაგანნი... რომელნიმე გაგონებისაგან არიან" (113, 6; ბერძნ. აკლია, მაგრამ იგულისხმება *διανοια*, იხ. 21, 17)²

ამგვარია ტერმინ *διανοια*-ს ქართულად თარგმნა-აღქმის უზოგადესი სახე. სრულიად აშკარაა, რომ ამჯერადაც, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, ტერმინული ქმნადობის პროცესი მყარად იცავს უწყვეტ ეპოქალურ მონაცვლეობას: ათონურ სკოლას უშუალოდ ასაზრდოებს წინაათონური ეპოქა, საკუთრივ ათონური სკოლის უშუალო მემკვიდრეა (თეოფილე ხუცესმონაზონთან ერთად) ეფრემ მცირე, რომელიც, უშუალო საფუძველს უქმნის არსენ იყალთოელს, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, უშუალო

¹ ტერმინ "გაგონების" ცალკეული დამოწმებანი მითითებულია მ.რაფავას მიერ, იხ. ამონიოს ერმისის შრომათა დასახ. გამოც. გვ. 180, 242.

² როდესაც ითარგმნება ზმნური ფორმა, "გაგონებამ" შეიძლება გადმოსცეს ბერძნული *νοεω*, *πνοοεω* და მისთ. მაგალითად: "... რომლისა თვნიერ გაგონებად (*νοηθησαι*) შეუძლებელ არს" (23, 36; 25, 14); "შესაძლებელ არს ორივე ესე გაგონებად (*πνοοειν*)" (44, 8; 53, 21). ბერძნ. ტექსტის გამოცემაში იკითხება *πνοοειν*, ხოლო ვარიანტში *πνοοειν*. ქართული თარგმანის გამოცემის ლექსიკონში "გაგონების" ბერძნულ შესატყვისად მითითებულია *πνοοειν*. ვფიქრობთ, "გაგონების" შესატყვისია ვარიანტული ფორმა *πνοοειν*, რომელიც შეიძლება ითარგმნოს "გაგონებად", მაშინ როცა *πνοοειν* გელათურ სკოლაში, როგორც ვაჩვენეთ, სხვა შესატყვისს გულისხმობს (ამაზე ქვემოთაც გვაქვს მსჯელობა). ასევე *πνοοειν* ან *νοειν* უნდა ყოფილიყო ქართული "გაგონების" ბერძნული შესატყვისი კიდევ ერთ შემთხვევაში, თუმცა ორიგინალის გამოცემაში აქაც *πνοοειν* იკითხება (არც ვარიანტებშია მითითებული სხვა წაკითხვა). აი, ეს შემთხვევა: "მყის თქუმათა თანა მონისასა საჭირო არს გაგონებად მეფისად" (162, 28; 74, 2). ერთგან ქართული "გაგონების" შესატყვისად ბერძნული ტექსტის გამოცემის მიხედვით თითქოს *ενοια* ჩანს: "გაგონებისასა არცა რად დამეტებული. არცა დაკლებული აქუს..." (54, 32; 69, 10; დამოწმებულია მ.რაფავას მიერ). ერთგან, პირიქით, ბერძნული *διανοηματα* თარგმნილია, როგორც "გულისხუმისსაყოფელი" (33, 26; 38, 22), რაც ძირითადად ტერმინ *νοημα*-ს გადმოსცემს.

მესაძირკველა გელათის საღვთისმეტყველო სკოლისა.

რა ვითარება გვაქვს იოანე პეტრიწთან? ნემესიოსის თარგმანზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ პეტრიწისათვის ცნობილია არსენისა და გელათის საღვთისმეტყველო სკოლის მიერ დამკვიდრებული ტერმინთშესატყვისობა **διανοια** - "გაგონებად", მაგრამ ჩანს, რომ მას აშკარად არ აკმაყოფილებს ამგვარი ტერმინული შეფარდება და იმავე ნემესიოსის შრომის, თარგმანში **διανοια**-ს სრულფასოვან შესატყვისად მოუხმობს უფუოდ მის შიქრ, შექმნილ ტერმინს (უმნიშვნელო ვარიაციებით): "მიმოგონებად" // "მიმოგაგონებად" // "მიდმოგონებად").

უპირველესად იმას შესახებ, რომ პეტრიწისათვის ცნობილია არსენისეული ტერმინთშესატყვისობა **διανοια** - გაგონებად. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"... შეეხო რად გაგონებასა (**διανοιας**) და გულისსიტყუასა" (ნემესიოსი, 10, 6; Pg. 40, 512 A); "გაგონებად (**διανοια**) მხოლოდ აცთუნებს" (91, 14; 661 B); "გრძნობასა და გაგონებასა (**διανοιας**) არასადა ევნების" (91, 19; 661 B); "გაგონებასა (**διανοιας**) მხოლოდ ევნის" (91, 26; 661 C); "ხოლო ჰვნებოდა გაგონებასა (**διανοιαν**)" (92, 11, 665 A); "... მწებელობითად და განმგონებლობითად (**το διανοητικον**)" (94, 16; 669 A); "გაგონებისა (**διανοητικων**) გუარნი ორ" (106, 6; 685 D); "მხოლოდ ოდენ გაგონებისად (**της διανοιας**) ზედმიწევნილებით ქმნილნი" (100, 17; 677 C); "გაგონებადცა (**η διανοια**) მხედვარისად დადგომილ" (105, 15; 685 A); "გაგონებითნი (**διανοητικαι**) გემონი" (106, 10; 685 B); "ვითარ ვერშემძლებელნი ჩუენდა საქმეთა-ზედა მიყენებად განმგონენი (**διανοουμεθα**)?" (156, 2; 769, A);

დამოწმებული ნიმუშები აშკარად ცხადყოფს, რომ პეტრიწი კარგად იცნობს და გარკვეულწილად სარგებლობს კიდევ არსენისა და გელათური სკოლის მიერ დამკვიდრებული ტერმინთშესატყვისობით, მაგრამ რამდენადაც მისთვის ამგვარი ფორმობრივი ტერმინთშესატყვისობა შინაარსობრივ სიზუსტეს მოკლებულია (თუ რატომ, ამაზე აშკარად გვაუწყებს თვიძვე პროკლეს კომენტარების შესავალში), ამდენად იგი ქმნის ახალ დიანოეტურ ტერმინს, ბერძნულის ზედმიწევნით თანმხვედრს ფორმითაც და შინაარსითაც; და ეს ტერმინი ნემესიოსის მისეულ თარგმანშივე გვევლინება ბერძნულს **διανοια**-ს მყარ, კანონზომიერ შესატყვისად. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"არცა სხუანი რად-მე მიმოგონებითნი (**διανοητικων**) ყოფად მათ შორის" (48, 5; 584 B); "განიყოფვიან ვინაძვე სულითნი ძალნი: ოცნებითად, მიმოგონებითად (**διανοητικον**) და მომკსენებლობითად" (71, 21; 632 B); "მიმოგაგონებითი (**διανοητικον**) და ზედმიწევნილებითი" (74, 24; 637 A); "მოქენე არს მომკსენებლობისაცა და მიმოგონებისა (**διανοιας**)" (78, 16; 644 B); "შეპკრებს ორთავე მიმოგონებად (**διανοια**)" (78, 20; 644 C); "მომკსენებლობასა და მიმოგონებასა (**διανοιας**) თანა" (78, 23; 644 C); "თვნიერ მომკსენებლობისა და მიმოგონებისა (**διανοιας**)" (78, 25; 645 A); "მომკსენებლობისადაცა მიმოგონებასა (**διανοιας**) თანა" (79, 11; 645 A); "ევმარების მათ და მიმოგონებადცა (**διανοιας**)" (79, 7; 645 A); "მიმოგონებად (**διανοια**) მიითუალავს ნახულთა თანა" (79, 27; 645 C); "არათუ მხედველობად არს ცთუნებულ, არამედ მიმოგონებად (**διανοια**)" (80, 8; 648 A); "მიმოგონებად (**διανοια**) სხუათდა შექცეულ იყოს" (81, 15; 648 C); "იგრძნობს

მომკვსენებლობისა და მიმოგონებისა (τη διανοια) მიერ" (86, 5; 653 A); "იგრძნობს... თანშეზრახვით და მიმოგონებით" (86, 20; 653 B); "მიმოგონებითისათვის (διανοητικου)" (88, 19; 660 A); "მიმოგონებითისა (του διανοητικου) არიან ტომობითნი უკუშ" (88, 23; 660 B); "ხოლო ჰგავს უკუშ აწ აქა პლატონის მიერ თქუმად არათუ თვთ საკუთრებითისა გაგონებისა (νοησιν), არამედ მიმოგონებისა (διανοησιν)" (89, 21; 661 A); "მიმოგონებითთა (διανοητων) აღვსენებად პირველ წარმოდგომილთა ოცნებათაგან მიექმნების" (89, 23; 661 A); "ოცნებითი მისცემს მიმოგონებითსა (διανοητικα) აღჩენილსა, ხოლო მიმოგონებითი (διανοητικον) - მიმოსიტყუვითსა" (90, 24-25; 651A); "ეპოებიან... მიდრეკად საქმეთა მიმართ... სულისადა მიმოგონებანი (διανοηματα)" (141, 13; 741B);¹

რაც შეეხება პროკლეს თარგმანსა და კომენტარებს, იქ აღნიშნული ტერმინული სიახლე უცვლელ კანონზომიერებად არის წარმოჩენილი და ღვთისმეტყველურად დასაბუთებული. კომენტარების შესავალში პეტრიწი, კერძოდ, აღნიშნავს:

"სულისასა ეწოდების დიანჯად, ხოლო გონებისასა ნოიმა... ესე დიანჯად არა არს მარტივი და შეუდგმელი იგი გონებად, არამედ ვითარ "მიერგონებად" გინა თუ "მიდმოგონებად", რამეთუ სულსა მიდმოობასა შორის აქუს ძალი გაგონებისად და შედგმული და არა მარტივი, ვითარ გონებისად, რამეთუ შეადგამს არსსა და არასა, განიზრახვიდეს რად, ვითარ-იგი ოდეს ვლამოდი რასავე, ვიტყვ, ვქმნა ანუ არა ვქმნა და მერმელა უკუანადს ერთსა რომელსამე ზედა მივიპაზრვი და მივიწადებ ანუ არსსა ანუ არაარსსა, რომლისათვის რქვან მას სახელი შესაფეროდ, რომელ არს "მიდმოგონებად" ანუ "მიდმოგაგონებად": "ესთა ჰგავსო, იტყვს პორფირი, მიდმოგაგონებად სულისად, ვითარ ოდეს კაცი ბიჯებისა მიერ მივიდოდის, რამეთუ არა მარტივად მიდრეკების მუნ, სადაცა მიემართოს, არამედ ბიჯთა მიერ გზავნითი-გზავნად სრულპყოფს თვისსა ნავალსა. ესთადვე და სულიცა ამისგან ამისდად მიდგების მცირედ-მცირედ, ვიდრემდის არა ყოველი შემოსახოს და შემოიცვას გასაგონოდ და თვისგუარ ჰყოს, რადც რადვე იყოს. ხოლო გონებად ზედ-მიესხმის მარტივად, ვითარ აღმოპვდეს რად მზე და აჰა შარავანდნიცა მისნი უფამოდ და მიუდრეკელად დაჰფარვენ ყოველსა და არა მცირედ-მცირედ მიდგებიან, არამედ მყისთანავე აღმოჩენასა მზისა დისკოდსასა აჰა და მიტუნადცა შარავანდედთად, ესრეთვე და გონებასაცა ზედა იხილო: ვინად აჰა გონებად და აჰა გაგონებად, რამეთუ თანავე წარმოდგომილა გონებისადა და გაგონებად, ვითარცა მზისადა შარავანდნი".²

მთელი ეს შესანიშნავი მსჯელობა ჰეშმარიტად სანიმუშოა ტერმინული ღვთისმეტყველების ასპექტით. იოანე პეტრიწი, პორფირზე (და, როგორც

¹ ცალკეულ შემთხვევებში ტერმინ *διανοια*-სა და მასთან ფუძეზიარ სიტყვათა თარგმნას ახლავს სავსებით მოსალოდნელი უმნიშვნელო გამონაკლისები, რაც, ალბათ, ორიგინალის სხვა, მინის გამოცემისაგან განსხვავებულ ტექსტს გვაგულვებინებს. მაგალითად, ერთგან ბერძნული *των κατα διανοιαν* (769B) თარგმნილია, როგორც "გონებრივითათვის" (156, 15); ამგვარი გამონაკლისებია: *την διανοιαν* - "გონებად" (81, 17; 648C); *διανοητικον* - "გონიერებით" (91, 12; 661B); *του διανοητικου* - "ხატვერებისათვის" (91, 6; 661A; ამოკითხულია *διαλογιστικου*)

² იოანე პეტრიწი, შრომები, II გვ. 6-7.

ქვემოთ ვნახავთ, ნემესიოსზე) დაყრდნობით, ტერმინ *διανοια*-ს განუკუთვნებს სულის მიმოქცევითობას, სააზროვნო მოქმედების თანდათანობითობას, ხოლო *νοημα*-ს წარმოგვიდგენს, როგორც გონების მარტივი, მეყსეული, "ზედმისხმითი" მოქმედების, უშუალო გონებრივი აღქმის მომასწავებელს. ამიტომ ქმნის პეტრიწი ბერძნული *διανοια*-ს შესატყვისად სულის მიმოქცევისა და მისი თანდათანობითი (არამეყსეული) მოქმედების ზედმიწევნით ამსახველ "მიდმოგონებას" ანუ "მიდმოგაგონებას" ("მიმოგონება", "მიმოგაგონება"); რაც შეეხება არსენის მიერ დამკვიდრებულ "გაგონებას", მას პეტრიწი ახალ ტერმინულ გააზრებას ანიჭებს და ბერძნული *νοημα/νοησις*-ის ადეკვატურ ტერმინად წარმოგვიდგენს.

ამგვარად, იოანე პეტრიწის ნოეტიკა ეფუძნება ღრმა საღვთისმეტყველო ანალიზს, რაც ტერმინულად ასე წარმოჩნდება:

διανοια - "მიდმოგონებად", "მიდმოგაგონებად" (მიმოგონებად, მიმოგაგონებად); **νοημα, νοησις** - "გაგონებად".

მართალია, აღნიშნულ მსჯელობას პროკლეს კომენტარების შესავალში ვხვდებით, მაგრამ სავსებით ცხადია, რომ ყოველივე ეს პეტრიწს გაცნობიერებული ჰქონდა ნემესიოსის თარგმნის დროსაც. ამას უთუოდ ცხადყოფს არა მხოლოდ ის, რომ აღნიშნულ თარგმანში *διανοια*-ს ტერმინულ შესატყვისად უკვე გვევლინება ზემოხსნებული "მიმოგონებად", არამედ ისიც, რომ *νοημα* და *νοησις* უკვე ამავე ძეგლში ვველგან "გაგონებად" არის გადმოტანილი (ამგვარი ტერმინთშეწყვილება კი კანონზომიერი სახით სწორედ პეტრიწისთვისაა ნიშანდობლივი).

მეტიც, ნემესიოსის ბერძნულ ტექსტში ერთგან მსჯელობა ეხება კონკრეტულად ჩვენთვის საინტერესო ტერმინებს: *διανοησις* და *νοησις*-ს. უფრო ზუსტად, ნემესიოსი გაკვირვებით განიხილავს იმავე საკითხს, რაც პეტრიწის ზემორე კომენტარშია წამოჭრილი. კერძოდ, საქმე ეხება სულისა და გონების მოქმედებათა სხვადასხვაობას. ნემესიოსი თითქმის იმავეს გვაუწყებს, რასაც პეტრიწი და ეჭვი არ არის, რომ ეს უკანასკნელი თავის მსჯელობაში ნემესიოსსაც ეფუძნებოდა. აი, ნემესიოსის სიტყვები:

"სული გრძნობადთა ვინაძმე გრძნობისსაცავთა მიერ მიითუალავს და იქმნების თნება, ხოლო გონიერთა - გონებისა მიერ და იქმნების გაგონება (*νοησις*)... ხოლო ჰგავს უკუჲ აქა პლატონის მიერ თქუმად არათუ თვთ საკუთრებითისა გაგონებისა (*νοησις*), არამედ მიმოგონებისა (*διανοησις*)" (89,15-21, 661A).

როგორც ვხედავთ, ნემესიოსის თარგმნის დროს პეტრიწი უკვე სავსებით აცნობიერებდა, რომ *διανοια*, *διανοησις*, *διανοημα* უნდა ითარგმნოს არა, როგორც "გაგონებად" (თუმცა ტრადიციის ძალით მასთან ჯერაც გვხვდება ამგვარი თარგმანი), არამედ "მიმოგონებად" // "მიდმოგონებად", ხოლო საკუთრივ "გაგონებად" უნდა შეეფარდოს ბერძნულ *νοημα, νοησις*-ს.

პროკლეს თარგმანშიც, ცხადია, იგივე ტერმინთშესატყვისობა ვლინდება: "არცა ზედმიწევნაჲ და მიდმოგონებაჲ (*διανοητικον*)" (პეტრიწი 1, გვ. 76, 8; იხ. ლექსიკონი, გვ. 141, 200); "არცა თნებითად ითქუმის ღმრთებრი, არცა მიდმოხაგონოდ (*διανοητικον*)" (76, 3; ლექსიკონი, იქვე).

I იგივე ტერმინთშესატყვისობა, პეტრიწის გავლენით, ვხვდება პეტრე გელათელთან (იხ. ქვემოთ).

როგორც ზემორე მსჯელობიდან ჩანს, ხსენებული ტერმინების შინაარსობრივი დაზუსტება და ადეკვატურად თარგმნა მეტად მნიშვნელოვანია პეტრიწისათვის. საგულისხმოა მისი სიტყვები, რაც წინ უძღვის აღნიშნულ ტერმინთა ანალიზს. პეტრიწი გვაუწყებს:

"სხუად არს ძალი და მოქმედებად სულისაჲ და სხუად გონებისაჲ და ყოველთავე ელლინთა ენამზეობასა ზედა თვისი სახელი ჰქვიან, შესაბამი თვისისა არსებისაჲ, ხოლო ჩუენთამან არცა თარგმანთა, არცა სხუამან ვინ დასჭურიტნა და აწ მე უზომოდ მიშლის თარგმანსა შინა, რამეთუ ყოველსავე ერთად და სწორად იტყვან და დასდებენ ჩუენნი" (II, გვ. 6).

ტერმინული ღვთისმეტყველების თვალსაზრისით პეტრიწის საყვედური სრულიად სამართლიანია. მართლაც, ვიდრე პეტრიწამდე ქართულ მწერლობაში არ შეიმჩნევა რაიმე მეტნაკლებად მყარი ტერმინთგანცალკევება ბერძნული ნოეტიკის გადმოღების ჟამს. ისეთ ტერმინებს როგორებიცაა *εννοια*, *νοημα*, *διανοια* და მისთ. სავსებით თანაბარი მონაცვლეობით გადმოსცემდა "გონება", "მოგონება", "გულისკმისყოფა", "გულისზრახვა", "ცნობა", "ზრახვა", "ძალი" და სხვა. ამ მხრივ ნაწილობრივი ტერმინული გარკვეულობა შემოიტანა არსენიმ და XII ს-ის გელათის სკოლამ, როდესაც *διανοια*-ს შესატყვისად დაამკვიდრა "გაგონებაჲ", მაგრამ პეტრიწისათვის ესეც ტერმინული აღრევის ნიმუშია, რადგანაც ქართული "გაგონებაჲ" შინაარსობრივად არ არის *διανοια*-ს იდენტური, ანუ პეტრიწის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ტერმინი არ არის "შესაბამი თვისისა არსებისაჲ".

პეტრიწის საყვედური, როგორც აღვნიშნეთ, სამართლიანია ტერმინული ღვთისმეტყველების თვალსაზრისით, მაგრამ ზოგადი აზრით, რათქმაუნდა, ქართული მთარგმნელობითი ტრადიცია ამ მხრივ არავითარ ბრალდებას არ იმსახურებს. საქმე ისაა, რომ ზემოჩამოთვლილი ბერძნული ტერმინები თვით ბერძნულ საეკლესიო ლიტერატურაშიც სავსებით სინონიმურია ურთიერთისა და მათ შორის რაიმე ხელშესახები ზღვარი არ არსებობს. აღნიშნული ტერმინები გარკვეულ (და არა აბსოლუტურ) ცნებით განსხვავებულობას იძენენ მხოლოდ განყენებული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ანალიზის ჟამს, რისი ნიმუშიცაა იგივე ნემესიოსის წიგნი, აგრეთვე, მაქსიმე აღმსარებლის ფილოსოფიური შრომები, იოანე დამასკელის დიალექტიკა და სხვა. სწორედ ამგვარი თხზულებების თარგმნა ქმნიდა აუცილებლობას ცალკეულ შემთხვევებში მყარი ტერმინული დიფერენციაციის მიღწევისა. ეს პროცესი (მყარი ტერმინული დიფერენცირება) ფაქტობრივად იწყება ეფრემ მცირიდან და, შეძლებისდაგვარად, სრულდება იოანე პეტრიწით, ხოლო მათ შორის არის არხენი და XII ს-ის გელათის საღვთისმეტყველო სკოლა.

დავუბრუნდეთ ჩვენს საკითხს, რაც უკავშირდება ტერმინებს *νοημα* და *νοησις*. როგორ ითარგმნებოდა ისინი ვიდრე იოანე პეტრიწამდე?

ყურადღებას, ცხადია, იქცევს კონკრეტულად ეფრემ მცირისა და მისი შემდგომი დროის ვითარება, რადგანაც უფრო აღრეულ ხანაში, როგორც აღვნიშნეთ, ხსენებულ ბერძნულ ტერმინთა ქართულად თარგმნა არავითარ მყარ კანონზომიერებას არ ემორჩილება. კერძოდ, მათ შესატყვისებად

გვხვდება: "გონიერებად",¹ "გულისკმისყოფად"² "გულისზრახვად",³ "მოგონებად",⁴ "განზრახვად" და მისთ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ არც ეფრემ მცირე იცავს რაიმე მყარ კანონზომიერებას ზემოაღნიშნულ ბერძნულ ტერმინთა თარგმნისას. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები.

I. *νοηματα* - განზრახვად:

"განზრახვათა (*νοηματα*) გულისათა პირისა მიერ და ვმისა გამოვაცხადებთ" (იოანე დამასკელი, გარდამოცემა, A-24, 47v2; Pg.94, 841C); "აუწყებდენ განზრახვათა (*νοηματα*) გულისათა" (დიალექტიკა 13, 2; 94, 14).

II. *νοηματα* - გულისკმისყოფად:

"... სიღრმესა გულისკმისყოფათასა (*νοηματων*)" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, სიტყვები, A-109,67,1; 597C).

III. *νοηματα* - მოგონებად:

"არს ქადაგ მოგონებათა (*νοηματος*)" (გარდამოცემა 70, 2; 940 C).
"პირველი იგი ჩუენ შორის წარმოდგომად მოგონებისად (*νοηματα*)" (გარდამოცემა 95, 1; 1048 C); "უჩინონი იგი მოგონებანი (*νοηματα*)" (გარდამოცემა 95, 1; 1048 C)

I. *νοησις* - გულისკმისყოფად:

"ექმნების მას გულისკმისყოფა (*νοησις*)" (გარდამოცემა, 69v2; col. 940 A); "ვითარ-იგი პლატონ უწოდს მაცხოვარებად საგრძნობელსა და გულისკმისყოფასა (*νοησεως*)" (გარდამოცემა 69v2; 937 D); "გულისკმისყოფად (*νοησεις*) გულისკმისსაყოფელთად (*νοητων*)" (გარდამოცემა 69v1; 937 C); "გულისკმისყოფისა (*νοησεως*) მიმღებელ არს" (გარდამოცემა 66, 1; 925 C); "მოსწრაფე იყოს ხედვითთა მიმართ გულისკმისყოფათა (*νοησεις*)" (დიონისე არეოპაგელი 39, 27; 4, 11); "გულისკმისყოფასა (*νοησις*) ანუ თარგმანებასა

¹ "პირადპირადთა გონიერებათა (*νοηματων*) არს მომპოვნებელ" (გრიგოლ ნოსელი, დაბადებისათვის კაცისა, გიორგი მთაწმიდლის თარგმანი, გვ. 33)

² "მიზეზითა იგავთადთა და უმაღლესთა გულისკმისყოფათათა (*νοηματων*) სახისმეტყუელებასა შეევედრნეს" (ბასილი დიდი, ექუსთა დღეთად, გიორგი მთაწმიდლის თარგმანი, გვ. 38, 20); "ყოვლით-კერძო მალნარის მსგავსად გულისკმისყოფითა (*νοηματι*)... სიმაღლედ აღსრულ" (გრიგოლ ნოსელი, პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის, გიორგი მთაწმიდლის თარგმანი, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ 1989, 1, 2); "წულილადთა მათ გულისკმისყოფათა (*νοηματων*) ძალსა ვერ მისწუდებოდეს" (იქვე, 1, 6).

³ "ესე უკუე ყოველნი... გულისზრახვანი (*νοηματα*) არიან წულილნი" (იქვე, II, 3).

⁴ "მოგონებად (*νοηματα*) დაფარული" (გრიგოლ ნოსელი, კაცისა შესაქმე, შატბ. კრებ. 80, 32; შტრ. გიორგი მთაწმიდლის თარგმანი: "დაფარულთა განზრახვათა", გვ. 33); "უმაღლეს მოგონებისა (*νοηματος*) ჩუენისა ქმნა ხენი" (ბასილი დიდი, ექუსთა დღეთად, იაბულაძის გამოც. გვ. 76, 8; შტრ. გიორგი მთაწმიდლის თარგმანი: "უმაღლეს ჩუენისა მოგონებისა... აღმოაცენნა", მკახაძის გამოც. გვ. 62, 23).

მათსა ზედა მოუძღურებულ ვიყვნეთ" (იქვე 98, 6; 13, 4). ვუთითებთ იმავე ტექსტიდან ზოგ სხვა დამოწმებას: 139,12-13,4; 159,7-1,4; 189,24-4,3; 190,4-4,3; 190,11-4,3; 193,16-5,1;

II. *νοησις* - მოგონებად:

"პირველი აღძრვად გონებისად მოგონებად (*νοησις*) ითქუმის" (გარდამოცემა 71,1; 944 A); "ღმრთისსახეთა მოგონებისა (*νοησις*)" (დიონისე არეოპაგელი 9, 34; 1, 4); "... ყოველი მოგონებად (*νοησις*), ყოველი შეხებად" (იქვე 38, 9; 4, 10); "... ყოველი მოგონებად (*νοησις*), ყოველი სიტყუად" (იქვე 63,4; 5,7); "და არს მისი მოგონებად (*νοησις*) და სიტყუად" (იქვე, 72,13; 7,3); "... შევრთებულნი თვსთა მოგონებათა (*νοησεσις*)" (იქვე 88,21; 11,2). ვუთითებთ იმავე ტექსტიდან ზოგ სხვა დამოწმებას: 208,16-6,3; 224,23-1,3; 228,23-5; 235,29; 235,34 - ep.5; 240,27 - ep.8,1.

III. *νοησις* - ცნობად:

"მარტივი იგი და სანატრელი ცნობად (*νοησεως*)" (დიონისე არეოპაგელი 69,30; 7,2); "საღმრთოთა ცნობათა (*νοησεως*) განუყოფელობად" (იქვე 70,1; 7,2); "განუყოფელთა ცნობათა (*νοησεως*) მიერ" (იქვე 88,26-11,2); "... ზეშთა ცნობისადთა (*υπερ νοησις*) მით ერთობითა" (იქვე 88,27; 11,2); "მავლინებელსა ყოველთავე მიმართ საღმრთოთა ცნობათა (*νοησεως*)" (იქვე 97,4; 13,6); "ზეცისა ცნობათა (*νοησεως*) და ველოვნებათა" (იქვე 142,4; 14); "ერთსახეობითსა ცნობასა (*νοησις*)" (145,31; 15,3). ვუთითებთ იმავე ტექსტიდან ზოგ სხვა დამოწმებას: 149,30-15,8; 185,31-4,3; 189,31-4,3; 253,14 - ep. 9,2;

იშვიათ შემთხვევებში ეფრემთან გვხვდება სხვა შესატყვისებიც: "გულის-სიტყუად",¹ "გულისკმიერებად",² "საცნაურებად",³ "მცნობელობად",⁴ "მეცნიერებად",⁵ და მისთ.

ასევე ვერ ვხვდებით რაიმე მყარ კანონზომიერებას არსენთან. ხსენებული ბერძნული ტერმინები მის მიერ თარგმნილია, როგორც "მოგონებად", "გულისკმისყოფად", "გონიერებად"⁶ და სხვა. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ *νοησις* არსენის მიერ ითარგმნება, როგორც "განმგონებელობად".

1 "... გულისსიტყუათა (*νοησεως*) გარეშემზღუდველობასა" (დიონისე არეოპაგელი 145,25; 15,3).

2 "თვს და საკუთარ სულისა არიან ღმრთისმსახურებად და გულისკმიერებად (*νοησις*)" (გარდამოცემა 66v1; 928 B).

3 "ქეშმარიტი საცნაურებად (*νοησις*) საცნაურთად" (გარდამოცემა 51,1; 860 C).

4 "ანგელოზთა სწორებისადა ღირს-იქმნებიან მცნობელობასა (*νοησεως*)" (იქვე, 70,10; 7,2).

5 "...მდგომსა საღმრთოთა მეცნიერებათა (*νοησεως*) უსრულესობასა" (დიონისე არეოპაგელი 68,22; 7,1).

6 "პირველი ვიდრე ძრვად გონებისად მოგონებად ითქუმის" (გარდამოცემა, S-1463, 72v2; 944 A); "იქმნების მოგონება" (იქვე 72,2; 940 A); "... კმაყოფილგონებათა" (დიალექტიკა, 20,2; 51,24); "გულისკმისყოფად გულისკმისსაყოფელთად" (S-1463, 72,1; 937 C); "თვსება სულისა არს კეთილადმსახურებად და გულისკმისყოფად" (იქვე 70v1; 928 B); "ანგელოზთა შორის ვიდრევე გულისკმისყოფისად" (დიალ.13,2; 94,12); "სიტყვერთა თანა მონაწილე არს გონიერებისა" (გარდამოცემა 70v1; 925 C).

"გაგონებად",¹ თუმცა, რათქმაუნდა, ერთეული შემთხვევები არ ნიშნავს მყარ კანონზომიერებას.

ამონიოსის მთარგმნელი, არსენისა და ეფრემის მსგავსად, ცალკეულ შემთხვევებში სხვადასხვა შესატყვისს უფარდებს ხსენებულ ბერძნულ ტერმინებს, მაგრამ ხსენებულ მთარგმნელთან აშკარად იკვეთება აქცენტირება ერთერთზე. ეს არის "გულისხუმისყოფა" (მდრ. არსენთან "გულისხუმისყოფა"), უფრო კი ამ ტერმინის მიმღობური ფორმა: "გულისხუმისსაყოფელი" (მდრ. არსენთან: "გულისხუმისსაყოფელი"); ამგვარად, თუკი ტერმინულ თავისებურებაზე გავამახვილებთ ყურადღებას, შეიძლება ითქვას, რომ ამონიოსის მთარგმნელისათვის ბერძნული *νοημα//νοησις*-ის შესატყვისად ნიშანდობლივია, ერთი მხრივ, ტრადიციული ტერმინი "გულისხუმისყოფა", მეორე მხრივ კი იმავე ტერმინის მიმღობური ფორმა "გულისხუმისსაყოფელი". მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"გულისხუმისსაყოფელად (*εις την νοησιν*) ხედვებსა ფილოსოფოსთასა" (24,4; 25,20); "სიღრმე გულისხუმისსაყოფელთად (*νοηματα*)" (33,21; 38,16); "უძუელესთაცა წიგნთაგან მიიხუმიდეს გულისხუმისსაყოფელთა (*νοηματα*)" (98,14; 4,9); "განიწვალნეს... რომელნიმე გულისხუმისსაყოფელთათვს (*νοηματα*)" (102,11; 9,1); "სიღრმე გულისხუმისსაყოფელთად" (33,21; 38,16); "განაცხადა განყენებად ამისი სიღრმისაგან გულისხუმისსაყოფელთადსა (*νοηματα*)" (33,26; 38,22-შენ.); "განიწვალნეს... გულისხუმისსაყოფელთათვს (*νοηματα*)" (102, 18; 9, 7); "სკობოსი მისი მხოლოთა გულისხუმისსაყოფელთათვს (*νοηματα*)" (102, 23; 9, 11); "... საშუალთა მარტივთა გულისხუმისსაყოფელთასა (*νοηματα*)" (102, 33; 9, 18); "დიპნიშნვენ ესენი საქმეთა საშუალთა... გულისხუმისსაყოფელთასა (*νοηματα*)" (102, 39; 9, 22). "დამნიშნველთა... გულისხუმისყოფათადთა (*νοηματα*)" (103, 10; 10, 3); "მეტყუელთაცა მიმართ, ვითარმედ მხოლოთა გულისხუმისყოფათათვს (*νοηματα*) არს სკობოსი, ვიტყვთ, ვითარმედ გულისხუმისყოფანი (*νοηματα*) საქმეთანი არიან გულისხუმისყოფანი (*νοηματα*)" (103, 10-13; 10,3-5). "ადვილმყოფელი მათისა გულისხუმისყოფისად (*νοησιν*)" (23,34; 25,12); "... საშუალობითა გულისხუმისყოფათადთა (*νοηματα*)" (103, 17; 10, 8) "... საშუალთა გულისხუმისყოფათა (*νοηματα*)" (103, 22; 10, 13); "... საშუალობითა მარტივთა გულისხუმისყოფათადთა (*νοηματα*)" (104, 38; 12, 1); "პირადპირადობად (*ποικλια*) გულისხუმისყოფათად (*νοηματα*)" (101, 31; 8, 4).

გარდა აღნიშნული ძირითადი შესატყვისებისა, ამონიოსის მთარგმნელთან ცალკეულ შემთხვევებში გვხვდება, აგრეთვე, "გულისზრახვად",² "მოგონებად",³ "თნებად",⁴ და სხვა.

¹ "ვსენებად არს გრძობისა რადსმე და განმგონებულობისაგან (*νοησεως*) დატევებული ოცნებად" (S-1463, 72,2; 937D). "მარტივითა გაგონებითა (*τη νοησει*) განჰმართებდა" (S-1463; 121.1; Pg. 94; 1452A). მართალია, გრიგოლ ნოსელის "კაცისა შესაქმის" უძველეს თარგმანში, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, გვხვდება ტერმინი "გაგონებად" ბერძნული *νοημα*-ს შესატყვისად, მაგრამ აღნიშნული თარგმანის უშუალოდ ბერძნულიდან მომდინარეობა მეტად საეჭვოა, რის გამოც აღნიშნული ერთეული შემთხვევა რაიმე სახის ტერმინულ კანონზომიერებად ვერ ჩაითვლება. საფიქრებელია, სიტყვა "გაგონებად" ქართულ ტექსტში მოტანილ იქნა მთარგმნელის მიერ კონტექსტის მიხედვით, სადაც ხმის სმენაზე, ხმის გაგონებაზე საუბარი.

² "... გამოსაცხადებულად ურთიერთას გულისზრახვათა (*νοηματα*)" (108,5; 15,9);

³ "არა, მარტივ მოგონება (*νοησεις*) დამბადებელისა ჰნებავს ყოფად მათი" (36,4; 42,17).

⁴ "დაპნიშნვენ სულნი მათშორისთა თნებათა (*νοηματα*)" (104,26; 11,10).

ამგვარად, ამონიოსის მთარგმნელისათვის ნიშანდობლივია შემდეგი ტერმინ-
 თშესატყვისობა: *νοημα/νοησις* - გულისხუმისსაყოფელი / გულისხუმისყოფად.
 აქვე აღვნიშნავთ, რომ ასეთივე ტერმინთშესატყვისობა ვლინდება თეოფილაქტე
 ბულგარელისა და გრიგოლ აკრაკანტელის ზემოდასახელებულ შრომათა
 თარგმანებში, ნაწილობრივ არსენთან, აგრეთვე, ცხადია, მაქსიმე აღმსარებლის
 თხზულებათა იმ ნაწილში, რომელიც გელათ. 14-შია დაცული და რომელიც
 იმავე ამონიოსის მთარგმნელს უკავშირდება (იხ. ზემოთ VI ტერმინოლოგიური
 ჯგუფი). აღნიშნულის გამო შეიძლება ითქვას, რომ ზემორე ტერმინთშესატ-
 ყვისობა, რასაც უშუალო ტრადიციული საფუძველიც აქვს, ერთერთი
 ტერმინული ნიშანთვისებაა XII ს-ის ქართული საღვთისმეტყველო ლიტერა-
 ტურისა.

ზემოწარმოტყვნილი სურათის ფონზე უთუოდ სიახლეა პეტრიწის მიერ
 დაკანონებული შესატყვისობა: *νοημα/νοησις* - "გაგონებად". მართალია
νοημα-ს შესატყვისად "გაგონებად" თითქოს გვხვდება გრიგოლ ნოსელის
 "კაცისაჲ შესაქმის" უძველეს თარგმანში (სათანადო ნიმუში იხ. ზემოთ), მაგრამ
 ეს თარგმანი აშკარად არ მომდინარეობს ბერძნული ტექსტიდან და ამიტომ,
 ზემოხსენებულ ერთეულ შესატყვისობას, აღმოცენებულს უთუოდ კონტექსტის
 საფუძველზე, როგორც აღვნიშნეთ, ტერმინოლოგიური მნიშვნელობა არ
 ენიჭება. ერთგან ბერძნული *νοησις* არსენის მიერ თარგმნილია, როგორც
 "განმგონებელობად",¹ მასთანვე დასტურდება იმავე შინაარსით "გაგონებად" (იხ.
 ზემოთ), ერთგზის *νοημα*-ს შესატყვისად "გაგონებად" გვხვდება თეოფილაქტე
 ბულგარელის "იოანეს თავის განმარტების" თარგმანშიც.² ამგვარი ერთეული
 შემთხვევები ზემოდამოწმებულ შესატყვისობათა მრავალრიცხოვნების ფონზე
 სავსებით მოსალოდნელ გამონაკლისებად წარმოჩნდება, რომლებსაც, ცხადია,
 მყარი ტერმინული გააზრება არ მოეპოვებათ. რაც შეეხება ტერმინებს
 "გულისხუმისსაყოფელი" და "გულისხუმისყოფა", რომლებიც ამონიოსის მთარ-
 გმნელთან, აგრეთვე, XII ს-ის სხვა თარგმანებში აშკარად ბერძნული
νοημα/νοησις-ის ტერმინულ შესატყვისად არის მოხმობილი, ისინი სავსებით
 მიუღებელი უნდა ყოფილიყო პეტრიწისათვის, რადგანაც ზემოციტირებული
 ვრცელი საღვთისმეტყველო კომენტარის ფონზე, რითაც აფუძნებს პეტრიწი
 თავის ნოეტურ ტერმინოლოგიას, არც ხსენებული "გულისხუმისყოფა" და
 "გულისხუმისსაყოფელი" ჩანს "შესაბამი თვისისა არსებისაჲ"; არ ჩანს იმითომ,
 რომ პეტრიწის სწავლებით ბერძნული ტერმინი *νοημα* (მისი საფუძველია
νοησις - "გონება") ასახავს გონების მოქმედებას, რაც ხასიათდება მყისიერი,
 "ზედმისხმითი" აღქმით, მაშინ როცა ქართული "გულისხმისყოფა" შინაარსო-
 ბრივად "გულისმიერ განცდას" "გულისმიერ აღქმას" აღნიშნავს, ე.ი. იგი
 ტერმინულად, ფორმობრივად შეუსაბამოა გონებრივი, ნოეტური მოქმედების
 აღნიშვნისათვის.

ცხადია, რომ პეტრიწისათვის ამოსავალია ქართულ მწერლობაში დასაბა-
 მიდანვე დამკვიდრებული და ყველა ეპოქაში ურყევი ტერმინთშესატყვისობა:
νοησις - "გონებად". ბერძნული *νοησις* საფუძველია უმთავრესი ნოეტური
 ტერმინებისა: *νοεω, διανοεω, κατανοεω, εννοεω, επινοεω, επινοια, νοημα,*

¹ "განმგონებელობისაგან (*νοησις*) დატყვეებული ოცნებად" №-1463, 72.2; 937D).

² "არამედ იგივე მართალი გაგონებად (*νοημα*) მოაქვს" (A-52,3v; col. 1145C).

νοησις, νοερος, διανοια, εννοια. უველა მათგანი ფუძეზიარია ზემორე ტერმინთან *νοησις* და მისგან მომდინარეობს. შესაბამისად, პეტრიწი, ცდილობს რა იმგვარ ნოეტურ ტერმინთა შექმნას, რომელთა ფორმაც იქნება "შესაბამი თვისისა არსებისად", ტერმინულ კანონზომიერებათა, ტერმინთშესატყვისობათა საფუძვლად იღებს სიტყვა "გონებას" და მისი ბერძნული ბადალისაგან მომდინარე ტერმინთწარმოქმნათა კვალობაზე ნაწილობრივ აყალიბებს და ამკვიდრებს ბერძნულთან ფორმობრივად და შინაარსობრივად იდენტურ (ამდენად, ღვთისმეტყველურად ზუსტ) საკუთრივ ქართულ ნოეტიკას.

ბერძნული *νοησις*, უპირველესად, საფუძველია ზმნისა *νοεω* და ამავე ზმნის პრევერბიანი ფორმებისა: *κατανοεω* და *εννοεω*, რომლებიც ძველ ქართულ მწერლობაში, ჩვეულებრივ, ითარგმნებოდა, როგორც "ცნობა", "გულისხმისყოფა", "მოგონება", "ზრახვა", "განცდა". პირველად, ალბათ, ამონიოსის თარგმანში და მის ჰომოგენურ ტექსტებში, ე.ი. ტერმინულ სტრუქტურათა მეექვსე ჯგუფის ძეგლებში იჩენს თავს ტრადიციული "გულისხმისყოფის" პარალელურად *νοεω*-ს პირიანი თუ ინფინიტიურ-მიმღებური ფორმების მყარ ტერმინულ შესატყვისად "გაგონება" (თითოორთა ამგვარი ნიმუში, როგორც ნაჩვენები იყო, უფრო ადრეც იჩენს თავს):

"ხოლო ნუსადა შესაძლებელ არს მეორისადა დანიშნულისაებრ საჭიროდ წოდებად, რომლისა თვნიერ გაგონებად (*νοηθησαι*) შეუძლებელ არს არა თვთ მის აღწერილისა ზედა გაგონებითა (*νοουστων*) ჩუენგან საჭიროობისადათა" (ამონიოსი, 23.36-37; 25.14); "უკმს... დაჩუეულთა გაგონებითა (*νοειν*) უსხეულოდ აღსლვად" (იქვე 13,29; 12,25); "ხოლო არს მგელად გაგონებად (*νοειν*) აქა გონიერისადა მტერისად" (თეოფილაქტე, იოანეს თავის განმარტება, 52,78; 72A); "სავმარ არს გაგონებად (*νοησαι*)" (იქვე 78; col. 69D); "... შემძლებელთა გაგონებად (*νοησαι*)" (მაქსიმე, გელ. 14, ფოტო 78; col. 380); "... გაგონებად (*νοειν*) უსხეულოთა და გონიერთა" (იქვე, ფოტო 10; col. 277B); "... გაგონება (*το νοειν*)" (იქვე, ფოტო 185; col. 556D); "... გაგონების (*νοειν*) ძლითსა მდაბლისა ძალისა ზედ-მივაწიე რად გონებად" (იქვე, ფ.371; col. 593c).

გარდა "გაგონებისა", ხსენებულ VI ჯგუფში შემავალი ტექსტები (მათ შორის ამონიოსის შრომათა თარგმანები) ბერძნული *νοεω*-ს შესატყვისად ხშირად წარმოგვიდგენენ ტრადიციულ "გულისხმისყოფასა" და "მოგონებას".¹ აი, სათანადო ნიმუშები კონკრეტულად ამონიოსის შრომათა თარგმანებიდან:

"მათი გულისხმისყოფად (*νοηθησαι*) შეუძლებელ" (24. 5; 25. 20); "თანად წარმოდგებიან და თანად გულისხუმა-იქმნებიან (*νοειται*)" (54. 38; 69. 16); "რადსამიმართნი მრჩობლ გულისხუმა-იყოფებიან (*νοειται*)" (164. 31; 76. 11); "გულისხუმა-ვყოთ (*νοησωμεν*) მამად სადმე" (164. 34; 76. 13); "გულისხუმა-ვევენეთ (*νοησωμεν*) თითოეული მათი" (164. 37; 76. 15); "ძალმიც ნერბის ცხვრად მოგონებად (*νοησαι*)" (72. 25; 94. 17); "... ანუ მიდრეკილად მოიგონო (*νοησης*) ცხვრი" (85. 3; 111. 6); "... მყის მოგონებასა (*νοησαι*) თანა" (85. 11; 111. 13).

რაც შეეხება პრევერბიან ფორმას *εννοεω*, ამონიოსის მთარგმნელთან მის ტერმინულ შესატყვისად გვხვდება "მოგონება", აგრეთვე "გაგონება".

¹ ერთგან *το νοειν* თარგმნილია როგორც "გონებლობად": "სულისა თვისი არს გონებლობად (*νοειν*)" (137. 24; 48. 12). ასეთივე ტერმინთშესატყვისობა გვხვდება მაქსიმე აღმსარებლის შრომათა გელათურ ტექსტში (302v1; col. 428D). აქედან მიმღებობა *inchoationem* (ნბ4 ა) გადმოტანილია, როგორც "მოგონებადი" (ფ. 191 2).

მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"მოგონებულ უკუე იქმენინ (*ενοεισθα*) ბეჭედი" (35. 11; 41. 13); "ესევე უკუე მოგონებულ იქმენინ (*ενοεισθα*) ნათესავთაცა ზედა და სახეთა " (35. 19; 41. 20); "ამისტვს უკუე თქუა "წარწერად"... მოსაგონებელისა (*ενοηματοικου*) ნათესავისად" (54. 28; 69. 6); "არცა კაცისა, თვნიერ სიტყვერებისა, შესაძლებელ არს მოგონებად (*ενοησαι*)" (87. 7; 114. 6); "არავინ სადა ჰგონოს სიტყვსმოქმედი მომგონებელად (*ενοειν*) ამისსა" (101.5; 7.14-შენ.); "შენ დაგიშთინა გასაგონებლად (*ενοησαι*) და შესასწავებლად (*προσπακουσαι*) ესე" (139. 18; 50. 15); "ნათესავად იწოდებიან და გასაგონებლად (*ενοηματα*)" (54. 24; 69. 2); "არ წინა-უც პორფირის სწავლად... გასაგონებელთათვს (*ενοηματα*)" (54.27; 64.4).

ასევე "მოგონებად" გვხვდება ხსენებული თარგმანის პომოგენურ ტექსტებში: "რომლისა უღონო არს ღმრთისა ზედა მებრ მოგონებაცა (*ενοησαι*)" (მაქსიმე, გელ. 14, ფ.98. 2; 416 C); "უღრმესი რადმე გულისზრახვად მოიგონოს (*ενοειν*) მისტვს" (თეოფილაქტე, იოანეს თავის განმარტება, A-52,45; 296A). საყურადღებოა, რომ გრიგოლ აკრაკანტელის (ფსევდო მიტროფანე ზმირნელის) შრომის ქართულ თარგმანში *ενοησαντες* (Pg. 98, col. 889 A) გადმოტანილია, როგორც "განმგონებელნი": "არცა ერთსა რას ღირსსა სიტყვერისა სულისასა განმგონებელნი" (თარგმანებად ეკლესიასტისად, კ.კე-კელიძის გამოც. გვ. 47. 29).¹

რაც შეეხება ტერმინ *ενοια*-ს, მას წინაგელათურ პერიოდში, ჩვეულებრივ გადმოსცემდა "გონებად",² "ძალი",³ "გულისკმისყოფად",⁴ "გულისსიტყუად",

¹ აღნიშვნის ღირსია, რომ ამგვარივე შესატყვისობა ვლინდება ეფრემ მცირესთან: "ვერცა ერთსა რას ხილულთა ამათ სიკეთეთასა უმაღლესსა რასმე განმგონებელ არიან (*ενοηκοτες*)" (დიონისე არეოპაგელი, ზეცათა მღდელთმთავრობისათვს, 2.3; სენუქაშვილის გამოც. 106.34). საზოგადოდ, ეფრემი *ενοειω*-ს, ჩვეულებრივ, თარგმნის, როგორც "მოგონება" ან "გულისკმისყოფა": "ამისიცა მოგონებად (*ενοησαι*) საჯმარ არს" (იქვე, 2.3; სენუქაშვილის გამოც. 107. 7); "... რომლისა არცა მოგონებად (*ενοησαι*) შესაძლებელ არს" (დიონისე არეოპაგელი, საღმრთოთა სახელთათვს 1.4; სენუქაშვილის გამოც. 9.38); "ესე ყოველი არცა სათქუმელ, არცა მოსაგონებელ (*ενοησαι*) არს" (ზეცათა მღდელთმთავრობისათვს 11. 1; 87. 36); "საცნაურთა შორის სხვთა სახითა ჭერ არს გულისკმისყოფად (*ενοησαι*) რისხვითობისად" (იქვე 24; 107. 20); "მათიცა ღირს არს გულისკმისყოფად (*ενοησαι*)" (იქვე, 11. 1; 132. 36). სხვა შესატყვისებთან ერთად "გულისკმისყოფად" გვხვდება არსენთანაც: "ვერცა რას... გულისკმისყოფად (*ενοησαι*) შემძლებელ იყვნეს" (გარდამოცემა, 99v2; 1204 c). აღვნიშნავთ იმასაც, რომ თეოფილე ხუცესმონაზონთან *ενοειω* თარგმნილია, როგორც "განცდა" ("განიცადოს" - *ενοειω*, იოანე ოქროპირი, თარგმანებად, Ath. 29, ფ.66; Pg. 50, 52), "მოკსენება" ("მოვიკსენო" - *ενοησω*, იქვე, ფ.73; Pg. 50, col. 54) და სხვა.

² "განიზრახე გონებასა (*ενοια*) შენსა" (ბასილი, ექუსთა დღეთად, ი.აბულაძის გამოც. 55.29; შდრ. გიორგისეული: "გონებად მოგიდიეს", მ.კახაძის გამოც. 43.6); "გულისკმა-ყავ გონებასა (*ενοια*) შენსა" (იქვე 59. 11; გიორგისეული: "გულისკმა-ყავ უკუე გონებითა შენითა", იქვე, 46.7); "განაბნინა ამპარტავანნი გონებითა (*ενοιας*)" (სინური პრავეალფავი 14. 14); "განანათლებს გონებითა უფროდს (*τα υπερ ενοιας*)" (იქვე, 3.12); "მორწმუნეთა გონებანი (*ενοιας*) განანათლნა" (იქვე, 3, 8); "შენ აქცევ გონებასა (*τας ενοιας*)" (იქვე 211. 24).

³ "განმზადებად" და "შექმნად" არარადთ განიყოფვიან ძალითა (*ενοια*)" (გრიგოლ ნოსელი, პასუხი ექუსთა მათ დღეთათვს, გიორგი მთაწმიდლის თარგმანი, საქ. ეკლ. კალენდ. 1989, გვ. 202).

⁴ "ვითარ სადადთ მოილო ღირსი გულისკმისყოფად (*ενοια*) ღმრთისად" (ბასილი, ექუსთა დღეთად, გიორგი მთაწმიდლის თარგ., მ.კახაძის გამოც. 1.15; იხ. აგრეთვე იქვე 39.30; 51.23; მითითებულია გამომცემლის მიერ, გვ. 130).

⁵ "თვისი არს გონიერთა გულისსიტყუათად (*ενοια*) სიტყუად სარგებელისად" (თალასი, სიყუარულისათვს, 3.73, საქ. ეკლ. კალენდ. 1989, გვ. 442).

"გულისზრახვად",¹ "ზრახვად"² და მისთ.³ იგი მრავალგვარად ითარგმნებოდა, აგრეთვე, გელათურ სკოლაშიც, თუმცა ამ სკოლიდან გამოსულ ტექსტებში აშკარად იგრძნობა აქცენტირება ტერმინზე "გულისზრახვად". შეიძლება ითქვას, რომ გელათურ ტექსტებში სწორედ იგი ჩანს *ενοια*-ს ტერმინულ შესატყვისად:

"მისძლითისა გულისზრახვისა (*ενοιας*) მქონებელი" (ამონიოსი 102. 40; 9.23);⁴ "გულისზრახვისა (*ενοιαν*) რადსმე მომართ ამათისა მომიყვანნეს

1 "გულისზრახვათა (*ενοιας*) საანჯმნო-ჰყოფენ სიტყუანი და საქმენი" (თალასი, 3.4; იხ. აგრეთვე, იქვე 3.40; 3.68; შდრ. ლექსიკონი, გვ. 462).

2 "კეთილთა ზრახვათა (*ενοιας*) ზრახავს" (იქვე 3.79).

3 აღვნიშნავთ, რომ ეფრემ მცირესთან *ενοια*-ს შესატყვისად გვხვდება მრავალი ტერმინი: "მოგონება", "ცნობა", "მეცნიერება", "გულისგმისყოფა", "გონება", "გულისსიტყუა", "გაგონება" და მისთ. მაგალითად: "ქრისტე ზედამხედველ არს ყოველთავე საიდუმლოდ მოგონებათა (*ενοιας*) ჩუენთა" (დიონისე, საეკლესიოდსა მღდელთმთავრობისათჳს 3, 3, 10; ს.ენუქაშვილის გამოც. გვ. 179, 31); "ნივთიერთა მოგონებათა (*ενοιας*) მიმართ მიღრკეს" (იქვე 7, 1, 2; 209, 33); "ზეშთა... მოგონებისა (*ενοιαν*)" (იოანე დამასკელი, გარდამოცემა, A-24; 117 v 2; Pg. 94, 1141 A; შდრ. არსენი: "ზესთა... მოგონებისა", S-1463, 93 v 2); "უზეშთაეს არიან... ცნობისა (*ενοιαν*)" (იქვე, 114, 2; col. 1128 B; შდრ. არსენი: "ზესთა... მოგონებისა არიან" 92. 2); "ყოველთა ცნობათა (*ενοιαν*) და ზედვათა ქუეყანისათა აღმატების" (იქვე, 64. 2; col. 917 B; შდრ. არსენი: "ყოველთა ამათ მოგონებათა და ზედვათასა ჩუენი იგი უმაღლეს არს" 69. 1); "ზე ცხორებისა იყო ყოველთაგან გრძნობადთა შემოკრებული იგი საღმრთოდ მეცნიერება (*ενοιαν*)" (იქვე, 64 v 1; col. 917 B; შდრ. არსენი: "ზე ვიდრემე ცხორებისად იყო ყოველთა გრძნობადთა მიერ მოსრული უსაღმრთოესი გულისგმისყოფა" 61. 1); "საცნაურთა შეწევნად არარად იქმნების თვნიერ... ბუნებითისა გულისგმისყოფელობისა (*ενοιας*)" (იქვე 69 v 2; col. 940 A); "მუშაკობდეს საღმრთოსა გულისგმისყოფასა (*ενοιας*)" (იქვე 78 v 2; col. 977 A; შდრ. არსენი: "მუშაკი საღმრთოთა მოგონებათა", 76. 2); "მოშიშებისა სახელსა მრჩობლი გულისგმისყოფად აქუს" (იქვე, 104 v 2; 1088 c; შდრ. არსენი: "მრჩობლი გაგონება აქუს სახელსა შიშისასა", 88. 1); "ესეცა და იგიცა ერთად გულისგმა-ყოფებთან (*εις μίαν αναπερεται ενοιαν*)" (იქვე, 102 v 2; col. 1080B; შდრ. არსენი: "და ესეცა და იგი ერთისა გონებისადა აღიყვანებიან", 87. 2); "გარდაუქცეველთა გონებითა (*ενοιας*) წურთილთაგანი" (დიონისე, საღმრთოთა სახელთათჳს 2.1; ს.ენუქაშვილის გამოც. გვ. 15. 24); "არაოდეს განვეყენეთ კეთილადმსახურსა გულისსიტყუასა (*ενοιας*)" (გარდამოცემა, 62, 1; col. 908 B; შდრ. არსენი: "არა განვეყენეთ კეთილადმსახურთა გულისსიტყუათა", 68. 1); "იგონებდეთ თუ ვისთჳსმე რასმე, ამას გაგონება (*ενοια*) სახელ-ედების" (იქვე 71,2; 944 A; შდრ. არსენი: "მის რადსმე ძლითი მოგონებად მგონებლობად იწოდების" 72v2). თუ დამოწმებული პარალელური თარგმანების მიხედვით ვიმსჯელებთ, არსენ იყალთოელი *ενοια*-ს შესატყვისად სარგებლობს შემდეგი ტერმინებით: "მოგონება", "გულისგმისყოფა", "გაგონება", "გონება", "გულისსიტყუა", "მგონებლობა". მათგან ყველაზე ხშირია "მოგონება". თითქმის ასეთივე ტერმინული მრავალგვარობაა გრიგოლ აკრაკანტელისა (ფსევდო-მიტროფანე ზმირნელის) და ოლიმპიოდორე ალექსანდრიელის ეგზეგეტურ შრომათა ძველქართულ თარგმანებში, სადაც *ενοια*-ს შესატყვისად გვხვდება: "ძლი" (იხ. თარგმანებად ეკლესიასტისად, კკეკელიძის გამოც. 1, 5; ბერძნ. ტექსტი Pg. 98, 741 A; აგრეთვე: 4.2-749 A; 37.11-868D; 37.15-868D; 67.12-925B); "მოგონება" (იქვე 33.3-840D; 97.17-989C; 109.17-1012D; 142.21-1097 A; აგრეთვე, ოლიმპიოდორე, ხელნ. A-61,34. 2; Pg. 93,489 B); "გულისგმისყოფად" (გრიგოლ აკრაკანტელი, კკეკელიძის გამოც. 22,21; - 792C; 102.16-997A); "გონება" (155,6-1121B); "ვხენება" (96.9; 988B); "მეცნიერება" (ოლიმპიოდორე, 63.2; 516D). საყურადღებოა აღინიშნოს, რომ *ενοια*-ს ძირითად, ტერმინულ შესატყვისად პეტრე გელათელთან ვხვდება "გაგონება" (იხ. A-39, 63v - ბერძნ. ტექსტი იხ. არქიმ იგნატის გამოც. 134; აი, სხვა ნიმუშები: 65v-137; 66-138; 68v-143; 104-211; 109v-223; 132-267; 135v-272; 173-336; 177-343; 185v-358; 186v-359; 186v-360; 196-374; 208-394). მასთანვე შესატყვისებად გვხვდება "მოგონება" (104v-211; 187-360 და სხვა), "გონება" (64-134; 88v-183 და სხვა), "მგონებლობა" (94v-196), "ზაგონებელი" (94v-196).

4 დამოწმებულია მრავლავს მიერ. იხ. ამონიოსი, დასახ. გამოც. გვ. 186.

ჩუენ" (იქვე 122. 39; 32. 21); "პირველად გულისზრახვისა (εὐνοίας) მომართ მომიყვანნეს ჩუენ" (იქვე 123. 16; 33. 9); "გულისზრახვად (εἰς εὐνοίαν) ვითარებისა მოვალთ" (იქვე 169. 8; 80. 25); "გულისზრახვად (εἰς εὐνοίαν) მოვალთ თეთრობისად" (169. 10; 80. 27); "გულისზრახვისაებრ (καθ ἣν εὐνοίαν) მომღებელნი საქმეთანი" (54. 28; 69. 6); "ამისთვის უკუე თქუა "წარწერად" საგულისზრახვოდსა (τῆς εὐνοίας), ესე იგი არს, მოსაგონებელისა ნათესავისად" (54. 37; 69. 5);¹ "ვიქმნნეთ უკუე და ჩუენცა აღწერილთა ამათ გულისზრახვისად (εὐνοίαν)" (მაქსიმე, გელ. 14, ფოტო 149. 1; col. 497 A); "სხუათა გულისზრახვათა (εὐνοίας) მიმართ" (იქვე, ფ.492. 1, col. 329 C); "ყოვლად სრულებით გულისზრახვასა წარმოადგენდა" (იქვე, ფოტო, 370.1; 592C); "მრთელისაებრ გულისზრახვისა" (იქვე, ფ.380.1; 469A); "ზოგადთა გულისზრახვათა (εὐνοίαν) შემდგომობისაგან" (იქვე, ფ.394-395; 484B); "არცერთისა გულისზრახვისა (εὐνοίας) მომგებელად" (იქვე, ფ.202. 1; 604 C); "ცნობად მდაბალი, გულისზრახვისა (εὐνοίας) სიწმიდე" (იქვე, ფ.414. 2; 508 C); "ცნობილი გულისზრახვად (εὐνοία)" (იქვე, ფ.212:2; 616 C); "მგონებლობასა გულისზრახვად (εὐνοίαν) სახელსდებენ" (იქვე, ხელნ. გელ. 14, 257.1-2; col. 21A),² "გულისზრახვისა (εὐνοίαν) დამდებელი" (მაქსიმე, ხელნ. A-52, 154; col. 1065C); "სხვსაებრ და სხვსა გულისზრახვისა (εὐνοίας) ცხოვარცა არს და მწყემსიცა" (თეოფილაქტე, იოანეს თავის განმარტება, A-52, 77; col. 68C).

როგორც აღვნიშნეთ, ძირითადი შესატყვისის ("გულისზრახვად") გარდა ჰომოგენური ტექსტების VI ჯგუფში, εὐνοία თარგმნილია სხვა ტრადიციული შესატყვისებითაც:

"ანაგებისებრი ზეშთ მოგონებისა (εὐνοίαν) კეთილთადასა სიბრძნე" (მაქსიმე, გელ. 14, ფ.20; col. 292 D); "შემწყნარებელი მისთა ლექსთაცა და მოგონებათანი (εὐνοίαν)" (იქვე, ფ.479. 2; 313 B); "მოგონებათა (εὐνοίας) დაპნიშნავთ ვმათა მიერ" (იქვე, ფ.373. 1; 596B); "თანაწარსლვად ზეშთ მოგონებისად (εὐνοίαν)" (იქვე, ხელნ. 269. 2; 57 A);³ "სიტყუსაცა შორისმდებარესა ძალსა (εὐνοίαν) ვჰხედავთ და ქუედმდებარესა ძალისასა (εὐνοίας) სიტყუასა" (იქვე, ფ.497-498; col. 337C-D); "ესე სადმე ცხად-ჰყოფს ყოველსა ძალსა (εὐνοίαν) ლექსისასა" (ამონიოსი, 109.26; 17.6); "გან-მაცხადებელი არს ყოვლისა გონებისა (εὐνοίας) მისისად" (იქვე, ფ.98,1; 416A); "ზეშთა გონებისა (εὐνοίαν)⁴ კაცობრივისად" (თეოფილაქტე, იოანეს თავის განმარტება, 21v; col. 1212D);⁵ "... გარეშეუცავს თქუმულსა ამას წარწერასა გაგონებად (εὐνοίας) ნათესავისად" (ამონიოსი, 53. 19; 67. 13); "ამის

1 დამოწმებულია მ.რაფაეას მიერ. იხ. იქვე, გვ. 212.

2 რამდენადაც გელ. 14-ში დაცული ტექსტების ნაწილის გაცნობა ფოტოპირების საშუალებით მოგვიხდა, შესაბამისად, როდესაც ფოტოპირიდან გვაქვს მოხმობილი ნიმუში, ფოტოპირის ნუმერაციას ვუთითებთ, ხოლო როდესაც თვით ხელნაწერიდან ვიმოწმებთ მაგალითს, ხელნაწერის პაგინაციას აღვნიშნავთ.

3 დავიმოწმებთ ამავე შესატყვისობას ამონიოსის შრომის თარგმანიდან: "მოგონებად (εἰς εὐνοίαν) მომიყვანებს ჩუენ არსებისად" (46. 5; 56. 16); "მოგონებად (εἰς εὐνοίαν) ქუედმდებარისა არსებისად მოვალთ" (46. 8; 56. 18).

4 ხელნაწერში ნაცვლად "გონებისა", არის "ბუნებისა", რაც გადამწერისეული შეცდომაა გრაფიკული მსგავსების ნიადაგზე (ამგვარ შემთხვევათა შესახებ ვრცლად ვიმსჯელებთ ტერმინ φυσι-ის განხილვის დროს).

5 აღვნიშნავთ, რომ ამავე თარგმანში ერთგან εὐνοία-ს გადმოსცემს, აგრეთვე, "გულისხუმისყოფად" (A-52, 97; col.136).

გაგონებისასა (*εννοιας*) არცა რად დამეტებული, არცა დაკლებული აქუს წარწერასა ნათესავისასა" (იქვე 54. 32; 69. 10).

ამგვარად, ჰომოგენური ტექსტების მეექვსე ჯგუფი, რომელიც მთლიანად გელათის საღვთისმეტყველო სკოლას განეკუთვნება, *εννοια*-ს ტერმინულ შესატყვისად გვაწვდის "გულისზრახვას", თუმცა მის გვერდით გვხვდება, აგრეთვე, სხვა ტრადიციული შესატყვისებიც: "მოგონებად", "ძალი", "გონებად", "გულისხუმისყოფად", "გაგონებად".

რაც შეეხება ტერმინ *κατανοησις*-ს, იგი წინაგელათურ ეპოქაში ითარგმნებოდა ისევე, როგორც *εννοια*, *νοησις*, *διανοια* და მისთ., თუმცა სხვადასხვა ტექსტებში ამ ტერმინის თარგმნისას თითქოს შეიმჩნევა უფრო მეტი აქცენტირება ისეთ შესატყვისებზე, როგორებიცაა: "განცდად", "ხილვად", "განხილვად", "ცნობად" და მისთ.

"განცდად" ვლინდება ბერძნული *κατανοησις*-ის უმთავრეს შესატყვისად ზემოაღნიშნულ გელათურ ტექსტებშიც:

"განმკაცრებული განცდად" (გელ. 14, ფ.137. 2; 465D); "ხოლო ესე განაცისკროვნებს გონებასა ხედვისა მიმართ განცდისათვის (*κατανοησις*) გრძნობისა უაღრესთადასა" (იქვე, ფ.206. 1; col. 608); "გზა-უყოფს განცდისა (*κατανοησις*) მიმართ სული წმიდად" (იქვე, ფ.208,1; 609D); იხ. აგრეთვე, იქვე, ფ.465.1-293A; ფ.231.1-648A).

გარდა "განცდისა", გვხვდება, აგრეთვე, "განხილვად" (იქვე, ფ.152-876A; 145.2-492C); "განწულილვად" (იქვე, ფ.150:2-col.497), "მიწდომად (თეოფილაქტე, იოანეს თავის განმარტება, A-52, 14 v; 1188B) და სხვა.

* * *

ამგვარ სახეს გვიჩვენებს, უზოგადესი შეჯამების სახით, ზემომითითებული ბერძნული ნოეტური ტერმინების (*νοεω*, *εννοεω*, *κατανοεω*, *εννοια*, *κατανοησις*) ქართულად თარგმნის მრავალსაუკუნოვანი გზა საკუთრივ გელათური ტექსტების ჩათვლით.

ასევე უზოგადესი შეჯამების ასპექტით შეიძლება ითქვას, რომ ტერმინულ სტრუქტურათა მეექვსე ჰომოგენური ჯგუფი, რომელშიც შედის ამონიოსის შრომათა თარგმანებიც, ზემოაღნიშნული ზმნური ფორმების უმთავრეს შესატყვისად გვაწვდის "მოგონებას", ტერმინ *εννοια*-ს შესატყვისად - "გულისზრახვას", ხოლო *κατανοησις*-ის შესატყვისად - "განცდას". მათ გვერდით თავს იჩენს, აგრეთვე, თითქმის ყველა სხვა ტრადიციული შესატყვისი, რომლებიც ზემოთ წარმოვადგინეთ.

ზემოთქმულის ფონზე ყურადღებას იქცევს შემდეგი საკითხი: რა ვითარება გვაქვს პეტრიწთან?

უმთავრესი, რაც უთუოდ თვალში საცემია, გახლავთ ის, რომ "მოგონება", როგორც კონკრეტულად ზემოაღნიშნული გელათური ტექსტებისა და საზოგადოდ მთელი წინაპეტრიწული ეპოქისათვის უაღრესად ნიშანდობლივი ნოეტური, "შემეცნებითი" ტერმინი, არცერთხელ არ გვხვდება საკუთრივ პეტრიწის თარგმანებში.

1 ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ *εννοια*-ს სხვა მრავალ შესატყვისთან ერთად წინაგელათურ ეპოქაში ზოგჯერ გვხვდება ხსენებული "გულისზრახვა". დავძენთ, რომ იგი თავს იჩენს თეოფილე ხუცესმონაზონთანაც: "... გულისზრახვასა (*εννοιας*) მოსლვად" (Ath. 29, ფ.143: Pg. 50, col. 86).

აღნიშნული ცხადყოფს, რომ პეტრიწის ტექსტებისათვის ნიშანდობლივი ჩანს ნოეტური ტერმინის "მოგონების" სრული უარყოფა, რითაც ეს ტექსტები მკვეთრად განსხვავდება არა მხოლოდ საკუთრივ ზემოაღნიშნული გელათური თარგმანებისაგან, არამედ, საზოგადოდ, მთელი ქართული ტერმინოლოგიური ტრადიციისაგან (ეს ტერმინი არცერთხელ არ გვხვდება არც ნემესიოსის და პროკლეს შრომათა პეტრიწისეულ თარგმანებში, არც მთარგმნელის კომენტარებში, გარდა ერთი შემთხვევისა: "წულილადცა-მოგონებათა", პეტრიწი II, გვ.211.10).

ზემოდასახელებული ბერძნული ტერმინები, რომელთა ქართულად თარგმნა შესატყვისობათა აშკარა მრავალგვარობის ნიშნით ხასიათდებოდა, პეტრიწის მიერ კანონზომიერად ითარგმნება, როგორც "გაგონებად" (გამონაკლისია *εννοια*). მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

1. *νοεω*

"ესრესახედ გაგონებად (*νοειν*) წინამდებარისა" (ნემესიოსი 12. 11; 516A); "ოდესმე სული თვთ თვსშორის მაშინ არს, ოდეს გულის-ისიტყუვიდეს. ხოლო ოდესმე - გონებასა შორის, რაჟამს გაიგონებდეს (*νοη*)" (იქვე, 55.7; 600A); "ამითვე სახითა და ყოველსა ქუეყანასა ზედა ჯერ არს გაგონებად (*νοειν*)" (იქვე, 67. 12; 624B); "მსიტყუველი და განმგონე (*νοων*) და განმსჯელი" (იქვე 7.7; 508A); "თან-განმგონენი (*συν-νοουμεν*) მისგნითთა აჩრდილთა რათმე" (171.16; 812A); "გაიგონებს (*νοει*) თვთებასა თვსსა" (პროკლე 18. 11);¹ "ყოველი ღმრთებრივი გონებად გაიგონებს (*νοει*) უკუე ვითარ გონებად" (იქვე, 82. 21); "ყოველი გონებად თვთებასა თვსსა გაიგონებს (*νοει*)" (იქვე 100. 5); "იუწყა, ვითარმედ გაიგონებს (*νοει*) და არა მხოლოდ გაიგონებს (*νοει*)" (იქვე 101. 8.9); "ცხოველ არიან და გაიგონებენ (*νοει*)" (იქვე 63. 6; შდრ. 101. 28); "გაიგონებდენ (*νοησουςι*) ყოველნი" (იქვე 102. 4); "გაიგონებვის (*νοειται*) თვს მიერ" (იქვე 101. 10); "საშუალ არს გამგონისა (*νοουντος*) და გაგონებულისა (*νοουμενου*)" (იქვე 101. 16); "სამარადისოდ უკუე გამგონე (*νοων*)" (იქვე 110. 11); "გამგონედ (*νοειν*) თქუმად" (იქვე 102. 14-15) "სულსაცა გონებისა მიერ აქუს ნიადაგ გაგონებად (*το νοειν*)" (იქვე 18. 4); "არა არს სხვსა თვთებად გაგონებად (*νοειν*) გაგონებულისად" (იქვე 101. 3).²

¹ სათანადო ნიმუშები პროკლეს შრომის თარგმანიდან დამოწმებულია ს.ყაუხჩიშვილის მიერ. იხ. იოანე პეტრიწი, შრომები, 1, გვ. 157, *νοεω*

² ერთგან *ενοησε* თარგმნილია, როგორც "მიიგონებნა": "სული გრძნობადთა ვინამე გრძნობისსაცავთა მიერ მიითუალავს და იქმნების თნება, ხოლო გონიერთა - გონებისა მიერ და იქმნების გაგონება; რაჟამს უკუე სახეთა, რომელნი მიითნნა და რომელნი მიიგონებნა (*ενοησε*), თვსშორის დამტევებელ იყოს, აღვსენება ეწოდების" (ნემესიოსი, 89, 18; *cod.* 661A). ასევე, ერთგან *το νοειν* თარგმნილია, როგორც "გონებად": "ყოფსა შორის არს ცხოველობადცა და გონებად" (შრომები, 1, გვ. 64. 17. შდრ. ტექსტზე დართული ლექსიკონი, გვ. 157). როგორც ვხედავთ, "მიიგონებნა" ფორმობრივად ანალოგიურია ტერმინისა "მიითნნა", რომლის კვალობაზეც ჩანს ის შექმნილი.

II. *εννοεω*

სულ დადასტურდა ორი ნიმუში:

"იქმნების ვნებად... სულსა შორის, რაჟამს გაიგონოს (*εννοηση*)" (ნემესიოსი 73. 2; 633A); "იუწყოს, გაიგონოს (*εννοησας*) რად მეძიებელმან" (პროკლე, 78. 19; იხ. ტექსტზე დართული ლექსიკონი, გვ. 145).

III. *κατανοεω*

"ვარსკულავთა მიდრეკასა და სიშუენიერესა და რიცხუსა გაიგონებს (*κατανοει*)" (ნემესიოსი 22. 21; col. 533A); "ვიტყვთ... ოდესმე გაგონებასა ზედა (*επι του κατανοειν*)" (იქვე 137. 24; 736C); "გაიგონნეს (*κατανοησειε*) ვინ-მე თქუმულნი" (იქვე 158.12; 773B); "მრავალთათვის საძიებელთა ძნიადგასაგონებელსა (*δυσκατανοητα*) თანაწარვხვდეთ (იქვე 23. 20; 536A); "არამედ იგინი ღულარჭნილ და ძნიადგასაგონებელ (*δυσκατανοητοι*)" (იქვე 51. 9; 589 B)¹

IV. *κατανοησις*:

დადასტურდა ორი შემთხვევა:

"გაგონებსა (*τη κατανοησει*) ზედა, საღმრთოსა... თანშეთხზულ არიან" (ნემესიოსი 101. 24; 680C);

"გაგონებითა (*τη κατανοησει*) ნეტარებასა მიინაყოფებენ" (იქვე 160. 7; 776C).

V. *εννοια*

ეს ტერმინი გვხვდება მხოლოდ ნემესიოსის შრომაში. სულ არის ხუთი შემთხვევა და ხუთივე შემთხვევაში სხვადასხვაგვარი თარგმანი ვლინდება:

"არა მოკუდავისა სულისა იჭუნი (*εννοιαν*) წარმომიდგინნეს ჩუენ" (ნემესიოსი 43. 2; 573 A); "გონიერთად იქმნების მითუალვად... ბუნებითთა ჰაზრთაგან (*εννοιας*)" (იქვე 90. 5; 561 B); "ბუნებითად ზრახვად (*εννοιας*) ვიტყვთ, რომელნი უმოძღუროდ ყოველთად მიქმნულ არიან" (იქვე 90. 19; 661 C); "საზოგადოთა გონებრივთა მბრძოლ არიან" (იქვე 141. 4; 741 B); "არს სხუადცა აღვსენებად... ბუნებითთა ზრახვათა და გონებრივთაგან (*εννοιαν*)" (იქვე 90. 19; 661 C);

როგორც ვხედავთ, ოთხ შემთხვევაში *εννοια* თარგმნილია ოთხი სხვადასხვა

¹ ერთგან *κατανοησωμεν* (760A) თარგმნილია, როგორც "შებრ-ვფონებოთ": "უიძულელობად განზრახვსა თვისისა შებრ-ვფონებოთ" (150.9). ამ შემთხვევაში მთარგმნელი ზმნისწინის თარგმანსაც შეეცადა და რამდენადაც მის მიერ ნაწილაკი *κατα* ტერმინულად ითარგმნება, როგორც "შებრ" (ამის აურაცხელი შემთხვევაა), შესაბამისად ბერძნული ზმნის დანაწევრებულმა თარგმანმა კანონზომიერ შედეგად მოგვცა "შებრ-ვფონებოთ", ისევე როგორც სხვა შემთხვევაში ბერძნული *κατανοουν* ასევე დანაწევრებულად (*κατα νοου*) იქნა აღქმული და თარგმანში მივიღეთ: "შებრ-გონებით" (ნემესიოსი 158. 21; 773B). მხოლოდ ერთგზის ავლენს თავს ტრადიციული "განცდა": "განიცადნეს (*κατανοησας*) საქმენი განგებისანი" (იქვე 163. 2; 781 A).

ტერმინით: "იჭვ", "ჰაზრი", "ზრახვად", "გონებრივი", ხოლო მეხუთე შემთხვევაში გვაქვს სინონიმური წყვილი: "ზრახვად და გონებრივი".

* * *

ამგვარად, თუ შევაჯამებთ, ზემოგანხილული ხუთი ტერმინის მიხედვით პეტრიწის მიერ შექმნილი ნოეტიკა სტრუქტურულად სხვაობს როგორც საზოგადოდ ქართული მთარგმნელობითი ტრადიციისაგან, ასევე საკუთრივ გელათური ტერმინთშესატყვისობისაგან.

* * *

გავიხსენოთ, რომ ჩვენი მსჯელობა ეხებოდა თვით პეტრიწის მიერ კომენტირებული ნოეტური ტერმინების (*διανοια*, *νοημα/νοησις*, *νοη-τος/νοερος*) თარგმნის საკითხს. როგორც აღვნიშნავდით, პეტრიწისათვის უმთავრესია შემდეგი ტერმინთშესატყვისობა: *vous* - "გონებად". ბერძნული *vous* ფუძისეულად დაკავშირებულია ზმნასთან *νοεω*, აგრეთვე მის პრევერბიან ფორმებთან: *κατανοεω* და *εννοεω*. ხსენებულ ზმნურ ფორმათა ფუძისეული საწყისი *vous*, როგორც ითქვა, უთანაბრდება ქართულ "გონებას". შესაბამისად, აღნიშნულ ზმნურ ფორმათა ქართული შესატყვისიც ფუძისეულად უნდა უკავშირდებოდეს "გონებას" (ამას უთუოდ მოითხოვს ბერძნულ-ქართულ ტერმინთა ფორმობრივი და შინაარსობრივი თანხვედნილობის პეტრიწისეული აკრიბია). სწორედ ამიტომ ამკვიდრებს პეტრიწი ზემომითითებულ ბერძნულ ზმნათა (*νοεω*, *κατανοεω*, *εννοεω*) ქართულ შესატყვისად "გაგონებას", ფუძისეულად დაკავშირებულს ტერმინ "გონებასთან".

ამგვარი ფუძეზიარობა (რაც შესაბამისია ბერძნულ ტერმინთა ფუძეზიარობისა) ამოსავალ წერტილად რჩება პეტრიწისათვის სხვა უმთავრესი ნოეტური ცნებების დადგენის მცდელობის უამს. ამ მხრივ უპირველესად ყურადღებას იქცევს ტერმინები *νοημα/νοησις*. ისინი უშუალოდ ეფუძნებიან ზმნას *νοεω* და ფაქტობრივად წარმოადგენენ მის გასუბსტანტივებულ სახეს, ხოლო რამდენადაც ეს უკანასკნელი (*νοεω*) "გაგონებად" ითარგმნა, შესაბამისად იმავე "გაგონების" სახელადი ფორმა ("გაგონებად") ფუძისეული თანხვედნილობის კანონზომიერების მიხედვით ზემორე ბერძნულ ტერმინთა (*νοημα*, *νοησις*) ერთადერთ მისაღებ შესატყვისად დაწესდა პეტრიწის მიერ.

ზემოთ ჩვენ შეძლებისდაგვარად განვიხილეთ *νοημα/νοησις*-ის ქართულად თარგმნის ტრადიცია. წარმოდგენილი სურათის ფონზე სიახლეა პეტრიწის შრომებში დაკანონებული უცვლელობა ტერმინთშესატყვისობისა: *νοημα//νοησις* - "გაგონებად". დავძენთ რომ, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, პეტრიწის მიერ ასევე "გაგონებად" ითარგმნება ბერძნული *η κατανοησις*. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც *κατα-νοησις* სხვა არაფერია, თუ არა შინაარსგაძლიერებული *νοησις* (როგორც ცნობილია, *κατα* ნაწილაკი უმრავლეს შემთხვევაში მარტოდენ მნიშვნელობის გასაძლიერებლად ერთვის სიტყვას). ასეთივეა ზმნური ფორმა *κατα-νοεω*. ამ შემთხვევაშიც *κατα* მნიშვნელობის გასაძლიერებლად ერთვის ზმნას *νοεω*. შესაბამისად, ისიც ისევე ითარგმნება პეტრიწის მიერ, როგორც ეს უკანასკნელი (ე.ი. როგორც "გაგონება").

ამჯერად წარმოვადგენთ სათანადო ნიმუშებს, თუ როგორ თარგმნის პეტრიწი ბერძნულ *νοηματα/νοησις*-ს:

"მიუღიეს გაგონებისა (*νοησεως*) ძალი" (ნემესიოსი 6.10; 505B); "გაგონებად (*νοησεις*) მყოფთა და სათნოებანი" (იქვე 89. 1-2; 660 B); "სული... მიითუალავს... გონიერთა გონებისა მიერ და იქმნების გაგონება (*νοησις*)" (იქვე, 89, 17; 661A); "ჰგავს უკუე აქა პლატონის მიერ თქუმად არათუ თვთ საკუთრებითისა გაგონებისა (*νοησις*)..." (იქვე 89. 21; 661A); "არს სხუადცა აღვსენებად, რომლისაცა არა არს დავიწყებად გრძნობისა და გაგონებისაგან (*νοησεως*)" (იქვე 90. 18; 661 C); "გაგონებათა (*νοηματα*) ზედ-ეხების" (პროკლე 76. 1);¹ "არცა მიდმოგონებად და არცა გაგონებად (*νοησις*)" (იქვე 76. 8); "გაგონებასა შორის (*εν τη νοησει*) აქუს სისრულე თვისი" (იქვე 82. 23); "ერთ და იგივე... გაგონებად (*νοησις*) და გონებად" (იქვე 101. 16); "გაგონებად (*νοησις*) მისი არსებასა თანა მისსა დათვთებულ" (იქვე 101. 19).²

მომდევნო ნოეტურ ტერმინს წარმოადგენს *διανοια*. ზემოთ განვიხილეთ ამ ტერმინის თარგმნის საკითხი ერთი მხრივ წინაპეტრიწულ ეპოქაში, მეორე მხრივ კი, თვით პეტრიწთან. როგორც აღნიშნული იყო, პეტრიწმა ამ ტერმინის კანონზომიერ შესატყვისად ნემესიოსის შრომის თარგმნისას დაამკვიდრა მის მიერ შექმნილი "მიდმოგონებად" / "მიდმოგაგონებად" (მიმოგონებად/ "მიმოგაგონებად"), რითაც უარყო არა მხოლოდ მრავალრიცხოვანი ტრადიციული შესატყვისები, არამედ თვით გელათური მყარი ტერმინთ-შესატყვისობაც: *διανοια* - "გაგონებად" (თუმცა ამგვარი შესატყვისობა გელათური ტექსტების გავლენით ჯერაც გვხვდება ნემესიოსის პეტრიწისეულ თარგმანში).

თუ რის საფუძველზე შექმნა პეტრიწმა "მიდმოგონებად//მიდმოგაგონებად", სრულიად ცხადია. ხსენებული ბერძნული ტერმინის (*δια-νοια*) წინსართი *δια*, როგორც ცნობილია, სხვა მნიშვნელობებთან ერთად აღნიშნავს თანაობას, "მიდმოობას", მონაცვლეობას, მიმოქცევეითობას. პეტრიწი სხვა შემთხვევებშიც ხშირად თარგმნის აღნიშნულ პრეფიქსს წინსართით "მიდ-მო"// "მიმო". მაგალითად:

1. *δια-λεκτον* - მიმო-რქუმად:

"ნაწევაროანი მიმორქუმად (*διαλεκτον*)... ქადაგცა შეიქმნა" (ნემესიოსი 10. 6; 512A); "ორლანო ქმნილ... ენისა მიმორქუმისათვის (*της διαλεκτου*)

¹ სათანადო ნიმუშები პროკლეს შრომის თარგმანიდან დამოწმებულია ს. ყაუხჩიშვილის მიერ ზემოაღნიშნული გამოცემისადმი დართულ ლექსიკონში (იხ. პეტრიწი, შრომები, 1, გვ. 157).

² ერთგზის ნემესიოსის თარგმანში *νοησις* გადმოცემულია, როგორც "გონებად" (89. 15; 661A). ასევე, ერთგზის "გონებად" გვხვდება *νοησις*-ის შესატყვისად პროკლეს თარგმანში (76. 1; იხ. გამოცემაზე დართული ლექსიკონი, გვ. 157). ეს ორი ნიმუში, სხვა ანალოგიური გამოჩვენების მსგავსად, როგორც მრავალგზის აღგვინიშნავს, სავსებით მოსალოდნელი შემთხვევებია ხელნაწერული უზუსტობებისა და ბერძნული გამოცემის მნიშვნელოვანი ტექსტოლოგიური არასრულყოფილების ფონზე.

პირისა პირი" (იქვე 93. 18; 668B); "მორფთან-იქმნების მიმორქუმად ენათად (η διαλεκτος)" (იქვე 93. 20; 668B);¹

II. δια-λογιστικον - მიმო-სიტყუად/მიმო-სიტყუვითი

"ოცნებითი მისცემს მიმოგონებითსა აღჩენილსა, ხოლო მიმოგონებითი მიმოსიტყუვითსა (διαλογιστικον)" (ნემესიოსი, 90. 25; 661A); "არს უკუე შორისმდებარეობითი სიტყუად მიდრეკად სულისა შორის გულისა მიმოსიტყუვასა (διαλογιστικω) ქმნილი" (იქვე 93. 4-5; 668A).

ტერმინი "მიდმოსიტყუად" გვხვდება პეტრიწის კომენტარებშიც: "ბეჭდულნი და დაფარულნი პლატონის მიდმოსიტყუსანი განაცხადნა" (პეტრიწი, I, გვ. 207.3). ს.ყაუხჩიშვილი სავსებით მართებულად ვარაუდობს ტერმინის ბერძნულ შესატყვისად διαλογος-ს.²

III. δια-στημα - მიმო-ხანი/ხანი-მიმო:

"იუწყებს... ნაკუეთსა და ადგილსა, თუ სადა იყოს, და ხანსა-მიმო (το διαστημα) და რიცხუსა" (ნემესიოსი 77. 21; 644A); "მხედველობად მოქენე არს... მიდრეკისა და მიმოხანისა (διαστηματος)" (იქვე 81. 22; 649A).

IV. δια-φορος - მიმო-განყოფილი:

"არს ყოველი მყოფი სხუად არარად, ოდენ სული, მპყრობელი სხეულთა მიმოგანყოფილთად (διαφορα)" (ნემესიოსი 77. 14; 641C).

V. δια-στασις - მიდმო-განწვალეზად:

"... იქმნეს რად უნაწილო ერთისაგან, მიდმოგანწვალეზითა (διαστασεως) აღივსოს" (პროკლე 13. 27).

გარდა აღნიშნულთა, პეტრიწის კომენტარებში გვხვდება, აგრეთვე, "მიდმოსჯა" (207. 11; 219. 28), რაც, ალბათ, უიგივდება ბერძნულ διακρινω-ს, "მიმოდაკაზმვად" (203. 1), რომელიც უნდა იყოს ბერძნული διασκευη, "მიდმოზნევა" (222.2), რომელიც კარგად თანხვდება ბერძნულ διασ-κεδαννυμι-ს და სხვა.³

1 შდრ. აგრეთვე: "თვს შორის მიმო-და-ვზრახვილეთ (διεξερχομεθα) და სიზმართა შორის მიმომთქუმელ ვართ (διαλεγομεθα)" (93.7; 668 A).

2 პეტრიწი I, გვ. 278. დავძენთ, რომ ასევე διαλογος-ს უნდა ნიშნავდეს პეტრიწის ტერმინი "მიდმოდათქუმა": "ესევე (პლატონი, ე.კ.) აღმოაჩენს მიდმოდათქუმათა შორის განგებისათვს ყოველთათსა" (პეტრიწი, II, გვ. 210.12).

3 "მიდმო/მიმო" პრეფიქსიან სიტყუათა დამოწმებანი იხ. პროკლეს შრომაზე დართულ ლექსიკონში (პეტრიწი I, გვ. 277-279).

δια - პრეფიქსის ამგვარ გააზრებას ეფუძნება, აგრეთვე, ზემოაღნიშნული ტერმინები: "მიდმოგონება" და "მიდმოგაგონება"¹ ("მიმოგონება", "მიმოგაგონება"). ეს ტერმინები, ერთი მხრივ, ფუძისეულად უკავშირდებიან "გონებას" (ისევე, როგორც შესაბამისი ბერძნული **διανοια** უკავშირდება **vous**-ს), მეორე მხრივ კი ისინი ზედმიწევნით გადმოსცემენ ბერძნული ტერმინის წინსართს **δια**, რაც, როგორც ვნახეთ, პეტრიწის სწავლებით, კონკრეტულად სულისმიერი მოქმედების ამსახველია.

νοερος//νοητος

ამჯერად შევხვით პეტრიწის ნოეტიკისათვის ასევე მეტად მნიშვნელოვან ტერმინებს: **νοερος, νοητος**.

ამ ტერმინებთან დაკავშირებით აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ (და როგორც ეს საერთოდ ცნობილია), ხსენებული ტერმინები (მიუხედავად იმისა, რომ ისინი მრავალ შემთხვევაში სავსებით იგივეობრივი არიან) იერარქიული ღვთისმეტყველების ასპექტით ხარისხობრივად იმიჯნებიან ერთიმეორისაგან. კერძოდ, ტერმინი **νοητος** აღმნიშვნელი ხდება იმისა, რაც შესაცნობია, საწვდომია, საძიებელია, "სატრფია", "ხასურველია", ხოლო **νοερος** თავად შემშეცნებელის, მაძიებელის, "მეტრფის", "მსურველის" (ე.ი. იერარქიულად მომდევნო, ქვემოთ საფეხურის) შინაარსით იტვირთება. ეს ნიშნავს: **νοερος**-ი ეძიებს, "ეტრფის" **νοητος**-ს, ისწრაფის მისკენ.

აღნიშნულ ტერმინთა ქართულად თარგმნის ისტორია აშკარად ცხადყოფს, რომ ბერძენ ავტორთა მსგავსად ქართველი მთარგმნელებიც უმრავლეს შემთხვევებში (ეს არის მართლაც შემთხვევათა აბსოლუტური უმრავლესობა) სავსებით აიგივებენ ხსენებულ ტერმინებს და მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ამის აუცილებლობა თვალსაჩინოა, ცდილობენ მათ გამიჯვნას.

ზემოთ, ტერმინ **φυσικ-**ის განხილვისას, როდესაც ვმსჯელობდით "ფიზიო-

¹ ალბათ, საყურადღებოა აღინიშნოს, რომ იოანე ჭიმჭიმულთან, პეტრიწისგან განსხვავებით, არცერთხელ არ გვხვდება დიანოეტურ ტერმინად "მიდმო" პრეფიქსიანი სიტყვა. მის თარგმანებში შესატყვისებად გვაქვს: "განმგონებლობა", "განგონება", "გონება", "გულისსიტყუა", "მოგონება", "მომგონებლობა". მაგალითად: "დამორჩილება... განმგონებლობითისა (διανοητικός) ძალისა" (A-113, 76.1; -845 B); "არათუ ვინმე შთავიდეს ძალისა განმგონებლობისაგან (διανοίας)" (იქვე 76.-77; 848C); "დედამთილად... სახელ-ჰსდვა განმგონებლობისა ძალსა" (110 v 2; 908C); "არა ირწმუნებს გულისსიტყუათა განმგონებლობისათა" (111 1; 908C); "ყოვლითა განგონებითა საკუთრად განგონებული კაცისა საცნაური სული წარმოაჩინა" (76. 1; 845B); "განგონებითა ვიტყვ ძალსა" (58 v 2; 813A); "შეცნიერმან გონებისა მათისამან" (54. 1; 804B); "უსრულთა გონებითა" (147v2; 972); "ამას საშუალი ვითარ აქუს გონება" (215. 2; 1096 A); "არა კმა-ჰყოფს გონებითა (κατα διανοιαν) ხოლო სარწმუნობასა" (A-102, 37v2; 577B); "არს სიტყვერი ძალი, რომელსა გონებად სახელ-ჰსდვა სჯულმან" (A-102, 62 2-629B); იხ. აგრეთვე, "გონება": A-102, 48.1-600A; 48v1-600C; 64.2-633C; "გულისსიტყუა": A-113 50v2-604D; 99.2-888A; "მოგონება": A-113, 93.1-877A; 27v2-745D; 198v1-1064C; 212v2-1089B; "მომგონებლობა": 141.2-960C; "განმგონებლობითა" (A-113, 110v-908B); "განმგონებლობა" (110v-908B).

ლოგის უძველესი ქართული თარგმანის ტერმინოლოგიაზე, შევხებით აღნიშნულ ტერმინებსაც. წარმოდგენილმა ნიმუშებმა ცხადყო, რომ ადრეულ პერიოდში (V-VIII სს.) ბერძნული *νοερος/νοητος* სხვადასხვა ტექსტებში ტერმინულად ითარგმნებოდა, როგორც "საგონებელი" (ერთერთი უძველესი ტერმინული შესატყვისი), "საცნაური", "ცნობადი", "გონიერი" და სხვა. VIII-IX სს-იდან განსაკუთრებით განივრცობა ორი ტერმინი: "გონიერი" და "საცნაური". ცალკეულ შემთხვევებში პარალელურად თავს იჩენს ზოგი ახალი შესატყვისიც, რომელთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა ტერმინი "გონებიერი". ეს უკანასკნელი გვხვდება გრიგოლ ნოსელის "კაცისა შესაქმის" უძველეს თარგმანში. შეიძლება ითქვას, რომ ხსენებული თარგმანი, ალბათ, ერთადერთი ძველია პეტრიწის წინარე ეპოქაში, სადაც ყველაზე აშკარად იგრძნობა მცდელობა ნოერულ (*νοερος*) და ნოეტურ (*νοητος*) ცნებათა ტერმინული გამიჯვნისა. მთარგმნელი, კერძოდ, ბერძნული *νοερος*-ის შინაარსით იყენებს ტერმინს "გონიერი", ხოლო *νοητος*-ის მნიშვნელობით მოუხმობს უთუოდ მის მიერ შექმნილ "გონებიერს". აღვნიშნავთ, რომ ტერმინები "გონიერი" და "გონებიერი" ერთნაირად აქვს განმარტებული "კაცისა შესაქმის" გამომცემელს ი. აბულაძეს, როგორც: "ჭკუიანი, აზრის მქონე" (იხ. "უძველესი რედაქციები... თბ. 1964, გვ. 238). მსგავსი განმარტებაა მისივე "ძველი ქართული ენის ლექსიკონში": "ჭკუიანი, მცოდნე" (გვ. 95). ეს განმარტებანი, ცხადია, შორსაა ხსენებულ ტერმინთა ნოეტური შინაარსისაგან.

მოგვაქვს ნიმუშები.

1. *νοερος* - გონიერი:

"ძალსა მზრდელსა აქუს ნაწილი ძალისაგან გონიერისა (*νοερας*) შეზავებით" (მატბერდის კრებული 90. 37);¹ "სული იგი სრული ერთი არს, გონიერი (*νοερος*) იგი უსხეულოა" (იქვე 91. 22);² "მაშინ იქმნა შეზავებად ბუნებისა წულილადისა, რომელი ჰნათობს შანთითა მით გონიერთა (*νοερας*)" (იქვე 79. 6; col. 145B);³ "ინება... ვსენებითა მით სულისადათა უწყებად ბუნებად იგი გონიერი (*νοερον*)" (იქვე 79. 12; col. 145D);⁴ "არა არს ძალი გრძნობისა და თვნიერ შანთისა მის ნივთიერისა და არცა ძალი გონიერი (*νοερας*) თვნიერ გრძნობისა" (იქვე, გვ. 91. 28; col. 176B);⁵ "ჭეშმარიტი და სრული სული

¹ შდრ. გიორგისეული: "ალორძინებადსა კერძოსა სულისა ძალთასა აქუს რადმე დათესული გონებისაგან შეზავებისათვის მათისა" (ნ. შალამბერიძის მიერ გამოსაცემად მომზადებული ტექსტი, გვ. 64; ბერძნ. Pg. 44, col. 173B).

² შდრ. გიორგი: "სრული სული ერთი არს, ბუნებით გონიერი და უნივთოა" (იქვე, გვ. 66; 176B).

³ შდრ. გიორგი: "და მერმე იქმნა წულილისა მის და ნათლისფერისა და უხილავისა ბუნებისა, რომელ არს გონიერი არსებად, საკუთრებად რადმე და შეზავებად და თვსებად" (გვ. 28).

⁴ შდრ. გიორგი: "უწოდა... გონიერსა სულად" (25).

⁵ შდრ. გიორგი: "... და ვერცა საცნობელნი თვნიერ ნივთიერისა არსებისა და ვერცა ძალი გონიერისა გონებისა და თვნიერ საცნობელთადასა შემძლებელ არს აღსრულებად საქმეთა თვისთა" (გვ. 67).

გონიერი (το σοερον) არს" (იქვე 92. 9);¹ "გონიერი (σοερας) ესე და სრულნი დაბადებულ იყვნენ გონებისაგან ღმრთეებისა" (იქვე, გვ. 108. 31. შდრ. განმეორებითი თარგმანი: "იყოს გონიერი ესე გარდამატებული დაბადებულ გონებისაგან ღმრთეებისა" იქვე 109. 22);² "უზეშთაეს იყო ბუნებასა მას გონიერსა" (σοερας) (იქვე 118. 18).³

II. σοητος - გონებიერი:

"რომელიმე არს მათგანი გონებიერი (σοητος) და რომელიმე გუამიერი" (მატბერდის კრებული 78. 33);⁴ "გონებიერი (σοητος) იგი გამოუძიებელ არს" (იქვე 78. 33);⁵ "ვითარ-მე უკუე ეგების ყოფად გონებიერი (το σοητον) აგებულსა შინა?" (იქვე 83. 6; col. 156A).⁶

არის კიდევ ერთი შემთხვევა, სადაც ვლინდება ხსენებული ტერმინი:

"გუესწავა წიგნისაგან, ვითარმედ გონებიერი იგი მის გამო არს".⁷

ბერძნული ტექსტის გამოცემაში გვაქვს σοερον, მაგრამ ქართული ტექსტის მიხედვით შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ორიგინალის ადრეულ ხელნაწერებში იკითხებოდა არა σοეρον, არამედ σοητον (ამ ტერმინთა ხელნაწერული ურთიერთაღრევის შემთხვევები მეტად ბევრია).

საგულისხმოა იმის აღნიშვნაც, რომ ერთგან იგივე ტერმინი უნდა გვხვდებოდეს, აგრეთვე, ბასილი დიდის "ექუსთა დღეთაჲს" უძველეს თარგმანში. ხელნაწერში არის ასეთი ფორმა: "გონბიერისა", რასაც იაბულაძე ძახილის ნიშანს უსვამს. ცხადია, "გონბიერისა" არის დაქარაგმებული "გონებიერისა". კონტექსტი ასეთია:

"იძულებისათვის გონებიერისა უარყვეს თქუმული იგი პირველთა მათ" (29. 11).

ბერძნულში შესატყვისად გვაქვს των λογισμων, რაც "გააზრებას", "განსჯას" უკავშირდება და ძველ ქართულად, ჩვეულებრივ, ითარგმნებოდა, როგორც "გულისსიტყუანი".⁸ ტერმინი "გონებიერი" ამ შემთხვევაში ნიშნავს "აზრობრივს", "ლოგიკურს", ხოლო ფრაზა "იძულებად გონებიერი" გულისხმობს "აზროვნებით კანონზომიერებას", "ლოგიკურ აუცილებლობას".

ბერძნული σοეρας "გონიერად" არის გადმოტანილი ბასილი დიდის "ექუსთა დღეთაჲს" უძველეს თარგმანში.

1 შდრ. გიორგი: "სულსა გონიერებასა... შინა აქუს სისრულე თვისი" (დასახ. ტექსტი, გვ. 68).

2 შდრ. გიორგი: "არა შეუმსგავსებელ არს უჯორცოდსა ბუნებისა უნილავთა ამათ მიზნთაგან ჯორცთა აგებულებისა შემზადებაჲ" (იქვე, გვ. 110).

3 შდრ. გიორგი: "უპატიოსნეს არს გონიერისა მის და უჯორცოდსა ბუნებისა" (იქვე გვ. 131).

4 შდრ. გიორგი: "რომელიმე უჯორცო არს და რომელიმე ჯორციელ" (იქვე, გვ. 27; col. 145A).

5 შდრ. გიორგი: "გარნა უჯორცოდსა მის და გონიერისა განყოფისათვის ჟამისად გუელოდენ სიტყუად" (იქვე, გვ. 27; 145A).

6 შდრ. გიორგი: "და ვითარ ეგების გონიერი შენაწევრებულ?" (იქვე, გვ. 39).

7 მატბერდის კრებული, გვ. 94. 30; შდრ. გიორგი: "ვითარ გვსწავიეს, უხუცეს არს გონიერი დაბადებაჲ" (გვ. 75; 181 ც).

8 ასეა თარგმნილი გიორგი მთაწმიდლის მიერაც: "ამის ყოვლისაგან გულისსიტყუათა ცილობისა... პირველთქუმულთა მათ სიტყუანი შეურაცხყვნეს" (13. 31).

σοερος/σοητος-ის შინაარსით „კაცისა შესაქმის“ თარგმანში თავს იჩენს, აგრეთვე, ტერმინი „გულისხმისსაყოფელი“:

„გონებად გულისხმისსაყოფელ (σοερον) არს“ (კაცისა შესაქმე, შატბ. კრებ. გვ. 80. 21; გიორგი: „უსხეულო არს... გონებად“, გვ. 32); „ფერი გულისხმისსაყოფელ (σοητων) არს“ (იქვე 109. 13; გიორგი: „ფერი უხილავ არს“, გვ. 109); „და არს გონიერი (σοητας δυναμεις) იგი გარეშე ბუნებათა მათ გულისხმისსაყოფელთა (της σοητης φουσεως)“ (იქვე 109. 24; col. 213B; შდრ. განმეორებითი თარგმანი: „და იგი არს გონებად ჭეშმარიტი, არა ვითარ ბუნებანი ესე გონიერნი“, იქვე 108. 33; შდრ. გიორგი: „უკორცოძან ბუნებამან უხილავნი ძალნი წარმოაჩინნეს“ გვ. 110).²

საგულისხმოა, რომ ერთგან ფრაზა *διχα της σοερας φουσεως* ხსენებულ თარგმანში გადმოტანილია, როგორც „უგულისხმონი“ („დაებადნეს მგრძნო-

1 შდრ. გიორგი: „გონიერად ვიდრემე და უხილავად... შევპრაცხოთ“ (39. 4). „გონიერი“ იმავე შრომის უძველეს და გიორგისეულ თარგმანებში გადმოსცემს, აგრეთვე, ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა: *σωφρων* (ძვ. 100, 6; გიორგი 84. 20), *σοον εχων* (51. 23; 39. 9); ასევე, „კაცისა შესაქმის“ უძველეს და გიორგისეულ თარგმანებში „გონიერი“ გადმოსცემს ბერძნულ ტერმინს *εμφρων* (82. 30; 38). ხსენებული შრომის უძველეს თარგმანში ბერძნული *διανοητικος* თარგმნილია, როგორც „გონებითი“ (99. 3; გიორგისეულ თარგმანში შეფარდება „გონიერი“, გვ. 87). იქვე „გონიერი“ გადმოსცემს ბერძნულ *σοητικος*-ს (84. 11), რომლის სანაცვლოდ გიორგისთან გვაქვს „გონებისად“ (გვ. 42). ბასილის ჰექსემერონული შრომის უძველეს თარგმანში ბერძნული *το σοερον κινημα* თარგმნილია როგორც „გონებისა აღძრვად“ (40. 19; შდრ. გიორგი: „გონიერი აღძრვად“ 28. 23); გრიგოლ ნოსელის შრომის უძველეს თარგმანში ერთგან *σοητος*-ს შეფარდება „გონიერებად“ (108. 30), რასაც გიორგისთან ცვლის „უკორცო და უხილავ“ (გვ. 110).

2 ბასილისა და გრიგოლ ნოსელის შრომათა უძველეს თარგმანებში „გულისხმისყოფა“ მრავალი ნოეტური ტერმინის შინაარსით გვხვდება. მაგალითად: *κατανοεω*: „რომელმან გულისხმაყო გონებად თავისა თვისისად?“ (მატბერდის კრებული, გვ. 83. 1; col. 153D); „გულისხმაყოფიანა თავნი თვისნი?“ (იქვე 83. 3; col. 156A; შდრ. გიორგი: „თავნი თვისნი განუცლიანა?“ - გვ. 39); *υπονοεω*: „ამით სახელითა შემკრებელითა გულისხმაყოფით...“ (იქვე 95. 42; შდრ. გიორგი: „ყოვლისავე ბუნებისა სახელისდებითა ამით ესევითარსა ძალსა გულისხმაყოფით“, გვ. 79; col. 185B); *νοεω*: „არამედ ვითარ გულისხმაყოფით“ (იქვე, გვ. 107. 4; შდრ. გიორგი: „არამედ ვითარცა გურწამს“, გვ. 106; col. 209 B); *λογιζομαι*: „ესრევე სახედ გულისხმაყოფ სულისათვის“ (იქვე 126. 24; შდრ. გიორგი: „ესევითარივე სახე სულისათვის ვინ გულისხმაყოს“, გვ. 153; col. 253 D); *μυεω*: „გულისხმაყონ დასაბამი სრულისა აღდგომისად“ (იქვე 112. 12; შდრ. გიორგი: „ზოგადი იგი ყოველთა აღდგომად ეუწოს მათ“, გვ. 116; col. 220 D); *συνιηαι*: „კაცი პატივსა შინა იყო და არა გულისხმაყო“ (ფს. 48, 21; შატბ. კრ. გვ. 98. 9; შდრ. გიორგი: „კაცი პატივსა შინა იყო და არა გულისხმაყო“, გვ. 85; col. 189 D); *επισταμαι*: „გულისხმაყოფ საქმელსა მას არა ვორციელადსა ხოლო“ (იქვე 100. 31; შდრ. გიორგი: „არა ვორციელი ხოლო ჭამად მისწავივს“, გვ. 90; col. 196 C); *την συνειον εχω*: „გულისხმაყოს მოცემული იგი მისი“ (იქვე 72. 28; შდრ. გიორგი: „აქუნდეს გულისხმისყოფა მომცემლისად“, გვ. 12; col. 133 A); *διανοεισθαι*: „ჯერ-არს ჩუენს შორისცა გულისხმისყოფად“ (იქვე 104. 2; შდრ. გიორგი: „ეგრეთცა გულისხმაყოფ ჩუენთვისცა“, გვ. 98; col. 201D); *το διανοητικον*: „მეტყუელებად და გულისხმისყოფად“ (იქვე 94. 28; შდრ. გიორგი: „მეტყუელებად და გონიერებად“, გვ. 75; col. 181 C); *κατανοητικος*: „ძალი გულისხმისყოფად“ (იქვე 67. 35; შდრ. გიორგი: „წესსა რასმე გულისხმისყოფისასა“, გვ. 3; col. 125C); *συνεισις*: „მოგეცინ თქუენ გულისხმისყოფად ჭეშმარიტებისად“ (ბასილი, ექუსთა დღეთად, 3.10; ძვ. თარგ. იაბულაძის გამოც. 52. 26; შდრ. გიორგი: „მოგეცინ თქუენ ყოველსა შინა ჭეშმარიტებისა თვისსა გულისხმისყოფად“, მკანაძის გამოც. გვ. 40. 5); „ნათესავი იგი ყარყატთად არა შორს არს გულისხმისყოფასა პირმეტყუელთასა“ (გვ. 5; ძვ. თარგმ. 114. 21; შდრ. გიორგი: „ხოლო ნათესავი იგი ყარყატთად არცალათუ შორავს გულისხმისყოფასა პირმეტყუელთასა“, 96. 28); „ეკრძალვბოდის გულისხმისყოფასა მსმენელთასა“ (გვ. 3; ძვ. თარგმ. 42. 17; შდრ. გიორგი: „გულისხმისყოფასა მსმენელთასა ეკრძალვბოდის“, 30. 23); *συνιεναι*: „განისწავლის იგი და გულისხმაყოფის“ (გვ. 5; ძვ. თარგ. 132.25; შდრ. გიორგი: „სწავლასაცა ჯრძნობნ“, 111. 12); *διανοια*: „ვპოვეთ სიღრმე გულისხმისყოფისად“ (2. 1; ძვ. თარგ. 30. 2; შდრ. გიორგი: „ვპოვეთ გონებისა და სიღრმისა მათისა დაფარულებად“, 14. 23).

ბელნი ცხოველნი უტყუნი, უგულისხმონი ამისთვის, რამეთუ გონებად არა იყოფვის გუამსა შინა", შატ. კრ. 78. 42; col. 145B), რაც გიორგისთან გადმოცემულია ასე: "თვნიერ უკორცოდსა ბუნებისა" (გვ. 28).

აღვნიშნავთ, რომ "გულისხმისსაყოფელი" გვხვდება, აგრეთვე, სხვა ნოეტურ ტერმინთა შესატყვისად: "... უკმს მას ესევითარი განგებად გამოჩინებისათვის გულისხმისსაყოფელისა (*το νοηθεν*)" (ბასილი, ექუსთა დღეთად, 3.1. ძვ. თარგ. 40. 18; შდრ. გიორგი: "... ესევითარი რადმე საკმარ არს ღმრთისა მოგონებულთა მათ გამოცხადებად", 28. 22); "არამედ სიტყუად გულისხმისსაყოფელ (*τεθεωρημενος*) ესე არს ამას შინა გონიერთა მიერ" (იქვე, 3.9; ძვ. თარგ. 51.23; შდრ. გიორგი: "და ყოველნივე გონიერნი და გულისხმისყოფელნი ესრეთ გულისხმა-ჰყოფენ", 39. 10); "ყვნა იგინი გამოჩინებულ და გულისხმისსაყოფელ (*γνωριμον*)" (კაცისა შესაქმე, შატ. კრ. 67. 20; შდრ. გიორგი: "საცნაურად განუცხადა", 2; col. 125B); "უზეშთაეს და უაღრეს ყოველთა მათ გულისხმისსაყოფელთა (*γνωστικομενων*)" (იქვე 68. 11; შდრ. გიორგი: "უფროდსცა ყოველთა მათ დაბადებისა"¹ გვ. 4).

როგორც აღნიშნული გვქონდა, *νοερος/νοητος*-ის ერთერთ უმთავრეს შესატყვისად VI-VII სს-იდან გვხვდება, აგრეთვე, ტერმინი "საცნაური", რომლის უძველესი ნიმუშებიც ზემოთ წარმოვადგინეთ, ტერმინ *φυσικ*-ის განხილვის დროს. ამჯერად აღვნიშნავთ, რომ "საცნაური" დიდ გავრცელებას იძენს IX-X

¹ გიორგიმ, როგორც ჩანს, *γνωστικομενων* ამოიკითხა, როგორც *γνωμενων*
² ხსენებულ ტექსტში გვხვდება, აგრეთვე, "გულისხმისყოფელი" ბერძნული *διανοια*-ს შინაარსით: "რომელ არს მადლი მეტყუელი და გულისხმისყოფელი" (შატ. კრ. 126. 43; შდრ. გიორგი: "მადლსა სიტყუსა და გონებისასა თავსა შორის თვისსა ვერ დაიტევს", გვ. 155; col. 256B). ზემოგანხილული სემანტიკები ("გულისხმისსაყოფელი, "გულისხმისყოფელი", "გულისხმისყოფა") ეფუძნებიან უძველეს ტერმინს "გულისხმა". გრიგოლ ნოსელის "კაცისა შესაქმის" ადრეულ თარგმანში გვხვდება ეს უკანასკნელიც: "შეიყუაროს ღმერთი... ყოვლითა გულისხმითა (*διανοιας*)" (მარკ. 12. 33; შატ. კრ. 79. 14; შდრ. ადიშის ოთხთავის ტექსტი; შდრ. გიორგი: "სიყუარული ღმრთისად ... სრულ-იქმნების... ყოვლითა გონებითა", გვ. 29; col. 145D); "ენება... ვსენებითა მით გულისხმისადთა (*διανοιαν*) უწყებად ჩუენდა გონებად" (იქვე 79. 17; შდრ. გიორგი: "ხოლო გონებად უმაღლესად ბუნებად ქადაგა", გვ. 29, col. 145D); "არს მათ თანა გულისხმად (*διανοεισθαι*)" (იქვე 96, შენ.; შდრ. გიორგი: "გულისხმისყოფისა ძალი სწორებით აქუს" გვ. 80; col. 185 C)
³ ბასილისა და გრიგოლ ნოსელის ზემოგანხილულ შრომათა უძველეს თარგმანებში ტერმინი "საცნაური" საკუთრივ ნოეტურ-ნოეტური შინაარსით არ დასტურდება. ამ შინაარსს ხსენებულ ძეგლებში, როგორც ვნახეთ, გადმოსცემს ტერმინები: "გონიერი" და "გონებიერი", აგრეთვე, "გულისხმისსაყოფელი". საკუთრივ "საცნაური" გამოიყენება მხოლოდ "გასაგების", "საგულისხმოს", "საცოდნელის", "ცნობიერის", "შემეცნებითის" მნიშვნელობით. მაგალითად: "გონებად განაზოგებს თითოვეულსა მათსა (ყოველ გრძნობის ორგანოს, ე.ჭ.) და დაადგენს ადგილთა საცნაურთა (*της γνωσεως*)" (შატ. კრ. 81. 36; შდრ. გიორგი: "განარჩევს გონებად და, შეტყუებისაებრ მათისა ცნობისა, თვისთა ადგილთა დააწესებს", გვ. 36; col. 152D); "საცნაურ იქმნების (*θεωρειται*) სივრცე ეამთად" (იქვე 106. 42; შდრ. გიორგი: "ეამიერსა ამას განგრძობასა მისსა ხედვიდეს", გვ. 105; col. 209B); "სული... არს საცნაურ (*γνωριζομενος*) ყოველთაგან საქმეთა მისთა" (იქვე 126. 44; შდრ. გიორგი: "სული... არს ყოველთა ძალთა მიერ... სრულქმნილი"; col. 256); "სიტყუდ, განმარტებული და საცნაური (*εληπιος*) ყოველთაგან..." (ექუსთა დღეთად, 2.4; ძვ. თარგ. 33. 8; შდრ. გიორგი: "მარტივ არს სიტყუად ესე და ყოველთა მიერ ადვილ განსაგონებულად" 19. 11); "გულისხმა-ყავ ესე სახისაგან საცნაურისა (*εναργης*)" (იქვე 2.5; ძვ. თარგ. 35. 36; შდრ. გიორგი: "სახისაგან საცნაურისა გულისხმა-ყავ თქუმული ესე" 22. 6); "უხილავი იგი მისი დაბადებულთა შინა საცნაურად (*νοουμενον*) სახილველ არს" (რომ. 1.20; ექუსთა დღეთად 3.10; ძვ. თარგ. 52. 29; შდრ. გიორგი: "უხილავი იგი მისი დასაბამითგან სოფლისადთ ქმნულთა მათ შორის საცნაურად იხილვების" 40. 8); "საძაგელებად იგი მათი ამით საცნაურ (*γνωριμον*) არს" (იქვე 8.1; ძვ. თარგ. 107. 27; შდრ. გიორგი: "მათი იგი საძაგელებად თვთ თავით თვისით საცნაურ არს" 90. 29)

სს-იდან და იგი აშკარად ჭარბობს *σοερος/σοητος*-ის სხვა ქართულ შესატყვისებს. ამის საუკეთესო ნიმუშია მიქაელ მოდრეკილის "იადგარი", სადაც ნოერულ-ნოეტური შინაარსით, ჩვეულებრივ, სწორედ "საცნაური" გვხვდება. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

ნაკურცხალი საცნაური (93. 15); საცნაური ვარსკულავი (106. 33); საცნაური სანთელი (118. 37); საცნაური ნათელი უსხეულოთად (119. 40); საცნაური მნათობი (126. 23); წყალი საცნაური (130. 37); საცნაური მადლი (51. 28); საცნაური მთად (213. 25); ნაყოფი საცნაური კეთილისად (72. 36); საცნაური წყალი (157. 2); საცნაური ცეცხლი (166. 6); საცნაური საღმრთოდ ნათელი (154. 12); საცნაური კიდობანი (319. 20); საცნაური ფარაო (139. 25).

ყველა დამოწმებულ შემთხვევაში "საცნაური" გვხვდება ნოერულ-ნოეტური შინაარსით და აღნიშნავს "სულიერს, არამატერიალურს, უნივთოს, მისტიკურს".¹ დავძენთ, რომ რამდენიმე შემთხვევაში ანალოგიური მნიშვნელობით გვხვდება, აგრეთვე, "გონიერი":

"კრებული გონიერი ზეცისა განწყობილთად" (300. 6); "ვენახი გონიერი" (414. 8); "ცნეს გონიერად" (72. 3).

ნოერულ-ნოეტური შინაარსით "საცნაური" გვხვდება "ტიმოთე ანტიოქიელის ცხოვრების" ქართულ თარგმანში, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, კ.კეკელიძე X ს-ის II ნახევრით ათარიღებს (ჩვენი აზრით თარგმანი უფრო გვიანდელი უნდა იყოს):

"ყოვლადძლიერმან ღმერთმან... საცნაურნი იგი თუალნი შენნი განანათლნა" (ეტიუდები, VI, გვ. 355. 8).

ასევე, "საცნაურა" ჩანს უმთავრესი ნოერულ-ნოეტური ტერმინი ექვთიმე ათონელთანაც:

"შინაგანი იგი კაცი გულისად უხილავსა მას საცნაურსა (*σοερον*) წმიდათა ანგელოზთა სამოთხესა შინა იშუებდა";² "შეჩუენებულ იქმნას ყოველთაგანვე ძალთა საცნაურთა (*σοεροις*) წმიდათა";³ "საცნაურითა (*σοερας*) მით გულისკმისყოფითა გაიგონებს მას"⁴ "შეეზაოს უხილავთა მათ და საცნაურთა (*σοεροις*) დაბადებულთა თვსთა";⁵ "სული კაცისად... დაბადებული არს საცნაური (*σοερον*) და შუენიერი";⁶ "საკვრველი და საცნაური (*σοερον*) დაბადებული ჩემი";⁷ "და აღუხუნეს საცნაურნი (*σοεροις*) თუალნი მისნი";⁸ "ყოველივე ხილული ეკლესიისა ღმრთისა განგებულებად იქმნა საცნაურისა

1 ერთგან ხსენებულ "იადგარში" გვხვდება გამოთქმა "ხედ საცნაურებისად". სადაც "საცნაურებად", როგორც ჩანს, ცნობადობას, მცოდნეობას ნიშნავს. შტრ. მაკარი ეგვიპტელის სიტყვები ექვთიმე ათონელისეულ თარგმანში: "დაფარულადრე... იტყვს... თვთ ეშმაკსა ხედ საცნაურად (*δευδρον του γινωσκειν*) ბოროტისა და კეთილისა" (ფსევდო-მაკარის თხზულებათა ქართული ვერსია, თბ. 1982, გვ. 200. 19; ბერძნ. გამოც. Berthold-ისა, გვ. 5.17).

2 ფსევდო-მაკარის თხზულებათა ქართული ვერსია, გ. ნინუას გამოც. თბ. 1982, გვ. 200. 30; ბერძნ. ტექსტი იხ. Makarios/Symeon, Reden und Briefe, her. von H. Berthold, Berlin 1973 s.5.3

3 იქვე, 203. 22, ბერძნ. 8.15

4 იქვე, 216. 17; 20. 26

5 იქვე, 259. 16; 112. 6

6 იქვე, გვ. 275. 2; 130. 7

7 იქვე, გვ. 393. 29; 213. 17

8 იქვე, გვ. 305. 12; 213. 7

(*νοεραν*) მის და ცხოველისა არსებისა";¹ "საცნაურნი (*νοερα*) არსებანი სულთა მორწმუნეთანი შეწევნითა მადლისადათა აღეშენნენ";² "ეგრეთ არს საცნაური (*νοερα*) იგი არსებაჲ სულისაჲ";³ "გამოცხადებითა საცნაურითა (*νοερον*)... გამოაჩინა";⁴ "საცნაურთა (*νοερα*) მათ საცნობელთა მისთა კუალად მასვე მისცემს";⁵ "მეგობრად ღმრთისა გულისგმა-ვყოფთ უვორცოთა და საცნაურთა (*νοεραν*) ბუნებათა";⁶ —"მრავალსახენი განყოფილებანი ჰქონან საცნაურისა (*νοητων*) მის მზისა სულსა კაცისასა მოსლვათა";⁷ "საცნაურნი (*νοεραν*) იგი ძალნი ანგელოზთანი შეეწევიან";⁸ "მოეღოს საცნაური (*νοεραν*) წიგნი გულისგმისყოფისაჲ".⁹

გარდა "საცნაურისა", *νοερος/νοητος*-ის შესატყვისად ექვთიმე ათონელთან გვხვდება, აგრეთვე, ტერმინი "სულიერი". მაგალითად:

"ხეთა გულისგმისსაყოფელთა იტყვს სამოთხისა სულიერისათა (*νοερον*) წმიდათა ძალთა" (მაკარი ეგვიპტელი, 200, 18; 5.16); "განმზადებულ ხართ შესლვად ასპარეზსა ამას სულიერისა (*νοερας*) მის წამებისასა" (კლემაქსი 237; 37); "არცა თუ ტაბლასა ზედა დასცხრებოდეს საქმეთაგან და ხედვათა სულიერთა (*νοερας*)" (იქვე 242; 73); "იგინი შემოკრბეს სულიერსა მას (*νοερον*) სამსჯავროსა" (იქვე 381. 265); "სიხარული... სხუად არს სულიერთამიერი (*δια των νοερων*)" (იქვე 417; 314); "მეოცდაათესა ამას ხარისხსა სულიერისა (*νοερα*) ამის კიბისა ჩუენისასა მჯდომარე არს" (იქვე 463; 380);

ძირითადად *νοητος*-ის, შედარებით ნაკლებ კი *νοερος*-ის შესატყვისად ექვთიმე ათონელთან დასტურდება, აგრეთვე, ტერმინი "უხილავი":

"გონებაჲ უხილავი (*νοερος*) უხილავად (*νοερας*) ეზრახა გონებასა მათსა" (კლემაქსი 412; 308); "სიძულილი ხილულთაჲ შემყუარებელი არს უხილავთაჲ (*νοητων*)" (425; 326); "უხილავთა (*νοητων*) მვეცთა ყოველთა მკლველ არს სიმდაბლე" (იქვე 426; 326); "არა ფრიად წარიტყუენოს უხილავთა (*νοητων*) მათ ავაზაკთაგან" (იქვე 427; 329); "ეძიებნ... მარგარიტსა მას უხილავსა (*νοητων*) გონებაჲ დაყუდებულისაჲ" (იქვე 432; 336); "გასწაო შენ უხილავთა (*νοερων*) ძალთა ხილულად საქმე" (იქვე 435; 339); "მოეღოს ძალი ღმრთისა მიერ უხილავად (*νοεραν*)" (იქვე 464; 381).

ცალკეულ შემთხვევებში ნოერულ-ნოეტური შინაარსით ექვთიმე ათონელი იყენებს, აგრეთვე, ტერმინებს: "გონიერი" და "გონებითი":

"გონებასა გონიერსა (*νοερος*) გონიერიცა (*νοεραν*) ცნობაჲ ჰმოსიეს"

1 მაკარი, გვ. 333. 25; 138. 3

2 იქვე, გვ. 335. 22; 139. 30

3 იქვე, 340. 29; 121. 24

4 იქვე, 385. 15; 182. 11

5 იქვე, 388. 31; 186. 3

6 იოანე სინელი, კლემაქსი, საქ. ეკლ. კალენდ. 1986, გვ. 212; ბერძნ. ტექსტი, არქ. იგნატის დასახ. გამოც. გვ. 37.

7 იქვე, 417; 314;

8 იქვე, გვ. 432; 336;

9 იქვე, 404; 381.

(კლემაქსი, გვ. 397; 287); "უაღრეს არს... სული გონიერი (*νοεραν*) უსულოდსა მის საგალობელისად" (იქვე 412; 307); "მოიბოვე დაყუდებად გონებითი (*νοεραν*) ჯორცითა" (იქვე 250; 86); "გონებითი (*νοερον*) ნათელი საღმრთოთა სათნოებათად არს განკითხვად და გულისკმისყოფად" (იქვე 410; 305).

ცალკეულ შემთხვევებში გვხვდება სხვადასხვა შესატყვისი:

"უჩუენებდ უფალსა გონებითა (*νοερας*) შენითა სარწმუნოებასა მას" (კლემაქსი, გვ. 253; 91); "... რომელთა მკლველ არს წმიდად ესე და ხანატრელი (*νοερα*) ირემი" (იქვე 383; 268); "შუენიერ არს და წმიდა (*νοερον*) და კეთილად მხედველ თუალი სულისად" (იქვე 409; 304); "არცათუ უჯორციონი (*νοερας*) იგი ბუნებანი ანგელოზთანი არიან წარუმატებელ და მარადის ერთსა ზედა, არამედ ყოვლადვე დიდებითი-დიდებად აღვლენ და გულისკმისყოფასა ზედა მარადის გულისკმისყოფასა განამრავლებენ" (იქვე 419; 317).

გიორგი მთაწმინდელი, როგორც ეს ზემოდამოწმებული პარალელური ნიმუშებიდანაც გამოჩნდა, *νοερος/νοητος*-ის შესატყვისად იყენებს მრავალ ტერმინს. ესენია: "გონიერი", "უხილავი", "საცნაური", "უჯორციო" "უსხეულო" და სხვა.

უკვე დამოწმებულ ნიმუშებში სიხშირით გამოირჩევა ტრადიციული "გონიერი". სათანადო ადგილები ზემოთ იყო მოტანილი. ამჯერად წარმოვადგენთ კიდევ რამდენიმე მაგალითს:

"არა... სივშოდ შეეზავოს გონიერსა (*νοητα*) მას და მარტივსა ბუნებასა" (გრიგოლ ნოსელი, დაბადებისათვის კაცისა, გვ. 39; ბერძნ. Pg. 44, 153D); "არცა მას გრძნობად აქუს და არცა ამას გონიერისა (*νοερας*) ბუნებისა ზიარებად" (67; 176 C); "საუნჯედ გონიერისა (*νοερας*) მის ბუნებისა დაამტკიცებს გულსა" (იქვე 42; 157 A); "არცა ერთსა შინა შეაყენებენ გონიერსა გონებასა (*το νοερον*)"¹ (იქვე 46; 160 D); "უხილავი და გონიერი (*νοητη*) ბუნებად არცა სიღრმესა შინა ჯორცითასა შეიწყუდევის" (იქვე 46; 161 A); "... გონიერი (*νοερον*) იგი ძალი გონებისად" (იქვე 50; 164 B-C).²

გიორგი მთაწმინდლის თარგმანებში მრავალგზის გვხვდება, აგრეთვე, მეორე ტრადიციული ნოერულ-ნოეტური ტერმინი "საცნაური". მოგვაქვს რამდენიმე ნიმუში:

"მოვლო გონებითა საცნაური იგი და უხილავი (*νοητη*) ბუნებად ზეშთა სოფლისად";³ "არცადა საცნაურთა და უხილავთა (*νοηταις*) ძალთა შორის იხილა, რომლისათვის-იგი სუროდა";⁴ "მიეცა მას ნათელი საცნაური (*νοερον*)"

¹ გიორგის მიერ *το νοερον* თარგმნილია, აგრეთვე, როგორც "გონიერებად": "გონიერებადცა აქუს უმეტეს ყოველთადასა" (იქვე 66; 176).

² ბერძნული *η νοητικη ενεργεια* გიორგის მიერ თარგმნილია, როგორც "ძალი გონებისად": "არა კმა-ვიყოფ ამას სასწაულსა ადგილსა რასმე შეყენებად ძალსა გონებისასა" (46; 160 D); "გონებადცა ყოველსა ორღანოსა მისწყუთების და შემსგავსებულად ძალთა გონებისათა" (47; 161 B). იმავე თარგმანში ბერძნული *το διανοητικον της ψυχης* თარგმნილია, როგორც "გონებად სულისად" (63; 173 A; შდრ. ძველი თარგმანი: "სიწყულიდადე გონებისად", შატ. კრ. 90. 31).

³ გრიგოლ ნოსელი, თარგმანებად ქებისა ქებათადასა. იხ. გ.კიკნაძე, გიორგი მთაწმინდლის თარგმანი გრიგოლ ნოსელის თხზულებისა "თარგმანებად ქებისა ქებათადასა". ტექსტი, გამოკვლევა და ლექსიკონი, საკანდიდატო დისერტაცია (მანქანაზე გადაბეჭდილი), თბ. 1967, გვ. 149; ბერძნ. ტექსტი იხ. Pg. 44, col. 893.

⁴ იქვე. გვ. 149; col. 893;

(თალასი, სიყუარულისათვის, დასახ. გამოც., 2.24); "უპოვარებად საცნაური (νοητη) არს სრულიადი უვნებლობად" (იქვე 2.90)

νοερος/νοητος-ის შესატყვისად გიორგი მთაწმიდლის თარგმანებში განსაკუთრებით ხშირია ტერმინი "უხილავი", რომლის დამოწმების რამდენიმე შემთხვევა ზემოთაც წარმოვადგინეთ. მოვიტანთ ზოგ სხვა ნიმუშს:

"ორკეცად გულისკმა-იყოფების ბუნებად დაბადებულთად, ესე იგი არს, უხილავად (νοητον) და ხილულად" (გრიგოლ ნოსელი, პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის, დასახ. გამოც. 3.3); "უხილავისა (το νοητον) მისთვის რადმე წარმოთქუას" (იქვე 3.3); "უხილავთა და უვორცოთა (νοητοις) შესწორებულად ყოველივე ხილული არსებად მტკიცედ და ზრქელად იწოდების" (იქვე 3.15); "უხილავი (νοητη) და განუწორებელი ბუნებად" (იქვე 4.9); "უხილავი (νοητη) ბუნებად არა შეიწყნარებს" (იქვე 3.4); "ყოველივე მოძრავი გარეშე უხილავისა (νοητου) ბუნებისა შეიცვის" (4. 9); "... რომელსა-იგი შეუდგს უხილავი (νοητη) და უვორცოდ ბუნებად" (8. 6); "შინაგან შეუვალთა უხილავისა (νοητου) ბუნებისათა შევიდა... და მდგომარესა მას და მტკიცესა უხილავსა (νοητην) ბუნებასა მიიწია" (იქვე 8.18); "უხილავსა (νοητη) დაბადებულსა ზიარებად შეერთებისად ხილულთა მიმართ არა აქუნდა" (იქვე 3.4); "... მიერთგან უხილავი (νοητη) დაბადებული იწყებს შორის შემოსლვად" (4. 4); "წყალი იგი... უხილავთა მათ (νοητων) სავსებისა მომასწავებელად გულისკმა-ვყავთ" (4. 3); "... უხილავთა (νοητην) არსებისა აღიწია" (8. 15); "გონებად უხილავთა (νοητων) ხილვასა შეესაკუთროს" (თალასი, სიყუარულისათვის, დასახ. გამოც. 2.45); "ხილვად... უხილავთად (νοητην) დასტკბის გონებასა" (იქვე 2.46) "[კუერთხი] არს უხილავი (νοητη) განსაცდელთამიერი წურთად" (იქვე 4.37); "აღამალლენ ხილვანი უხილავთა (νοητην) ხილვათა მიმართ" (იქვე 2.26); "უხილავთა (νοητων) ხილვად გონებისად ხოლო არს განთვსებულად" (იქვე 2.40); "უხილავი (νοητη) ეგვბტე არს სიბნელე ვნებათად" (2. 35); "ხილულნი... არა შესწორებიან გონებასა და უხილავთა (νοηταις) კეთილთა" (4. 12).

გიორგი მთაწმიდლის მოწათვის, გიორგი მცირის აგიოგრაფიულ შრომაში ნოერულ-ნოეტური შინაარსით გვხვდება "საცნაური", "გონიერი", "უხილავი".

"ღრუბლად უწოდა მათ ვორცთა უვარისყოფისათვის... და გონიერთა და საცნაურთა ღრუბელთა თანა შერთვისა";¹ "ძალსა მას საცნაურსა სულისა ჩუენისასა... განვაჭაბუკებდეთ";² "წმიდანი დიდებითი-დიდებად ამალღებნიან უხილავსა მას შინა დიდებასა".³

νοητος-ის შესატყვისად "უხილავი" გვხვდება გიორგი მთაწმიდლის მეორე მოწათვსთან, თეოფილე ხუცესმონაზონთან;

"არარას უხილავთაგანსა (νοητον) განცდად შემძლებელ იყვნეს".⁴

აღნიშნული ბერძნული ტერმინების ქართულად თარგმნასთან დაკავშირებით ჩვენს ყურადღებას, ცხადია, განსაკუთრებით იქცევს ეფრემ მცირე და მისი შემდგომი ეპოქა, რადგანაც სწორედ ამ ეპოქასთან ვლინდება იოანე პეტრიწის უშუალო შემხები წერტილები.

1 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, თბ. 1967, გვ. 106. 15

2 იქვე, 107. 24

3 იქვე, 131. 10

4 წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებად დაბადებისად, ხელნ. Ath. 29, ფ.17; Pg. 50, col. 29; ამავე თარგმანში νοητος გადმოტანილია, აგრეთვე, სიტყვით "ცხოველი": "ნათელმან მან ცხოველმან (νοητον)... (იქვე, ფ.30; col. 34)

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ეფრემ მცირე ზემო-წარმოდგენილი ტრადიციული შესატყვისებიდან ირჩევს "საცნაურს" და თავის თარგმანებში სწორედ მას ამკვიდრებს ერთადერთ მყარ ტერმინად, რომლითაც იგი გადმოსცემს როგორც *σοερος*-ს, ასევე *σοητος*-ს. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები, იოანე დამასკელის "გარდამოცემიდან", რომლის თარგმანიც ეფრემ მცირის მოღვაწეობის შედარებით ადრეულ ხანას (70-იანი წლები) ეკუთვნის:

"ნათელი საცნაური (*σοερον*)" (40 v 2; 808 C); "სიტყვერ და საცნაურ (*σοερα*)" (40v2; 828 B) "ორითა ბუნებითა საცნაურითა" (36 v 2; 793 A); "ანგელოზი არს არსებად საცნაური (*σοερα*)" (52. 2; 865 B); "ბუნებად... საცნაური (*σοερα*)" (52. 2; 868A); "სიტყვერი და საცნაური (*σοερα*)" (52 v 1; 868A); "ნათელ მეორე საცნაურ (*σοερα*)" (52 v 1; 868 B); "საცნაურნი (*σοεραν*) არსებანი" (53 v 1; 873 B); "საცნაურთა (*σοητα*) ვიტყვ" (37 v 2; 796 B); "არს საცნაურიცა (*σοητος*) ადგილი" (48 v 2; 852 A); "არს საცნაური (*σοητη*) და უგორცოდ ბუნებად, სადა-იგი დგას... საცნაურად (*σοητας*)" (48 v 2; 852 A); "საცნაურთა (*σοητοις*) ადგილთა მკვდრ არიან" (52v2; 869 B); "მუნ ყოფითა საცნაურად (*σοητας*)" (49. 2; 853 A); "საცნაურ არს (*σοητας*)" (49 v 1; 853 B); "საცნაურად (*σοητας*) მიიწვევიან" (52v-53; 869 B);¹

ამგვარსავე სურათს გვიჩვენებს დიონისე არეოპაგელის შრომები, რომლებიც ეფრემ მცირემ თავისი მოღვაწეობის მიწურულს (90-იანი წლები) თარგმნა. მეტიც, თუ ადრეულ თარგმანებში, თუნდაც "გარდამოცემაში", უიშვიათესად, მაგრამ მაინც გაკრთება (უთუოდ ტრადიციის გავლენით) *σοερος/σοητος*-ის სხვა ცნობილი შესატყვისებიც ("გონიერი", "უხილავი", "გულისკმისსაყოფელი"), ხსენებულ თარგმანში ისინი ერთხელაც არ ავლენენ თავს, თუმცა *σοερος/σοητος* ტერმინები ამ ძეგლში ყველა სხვა თხზულებაზე გაცილებით ჭარბად გვხვდება.

მაგალითების სიმრავლის გამო ქვემოთ ვუთითებთ მხოლოდ დამოწმების ადგილებს (ქართული ტექსტის გვერდი და სტრიქონი მითითებული გვაქვს ს.ენუქაშვილის გამოცემის მიხედვით, ხოლო ბერძნული ტექსტისათვის აღვნიშნავთ მხოლოდ თავსა და ქვეთავს, რაც, ამავე დროს, შესაბამისია ქართული თარგმანის თავისა და ქვეთავისა):

1. *σοερος* - საცნაური:

5.14-1.1; 9.34-1.4; 20.18-2.7; 20.28-2.7; 21.2-2.8; 31.8-4.2; 33.29-4.4; 34.19-4.5; 34.32-4.6; 35.1-4.5; 37.12-4.9; 39.13-4.11; 39.21-4.11; 39.23-4.11; 42.30-4.15 (საცნაურებრი); 60.6-5.3; 67.32-6.3; 69.36-7.2; 70.35-7.2; 75.10-8.3; 75.16-8.4; 88.25-11.2 (საცნაურებად); 107.15-2.4; 107.30-2.4; 108.10-2.4; 108.19-2.4; 108.23-2.4; 113.14-4.1; 113.24-4.2; 113.30-4.2;

¹ ერთგან ბერძნული *σοες ουτες* თარგმნილია, როგორც "საცნაურ არიან" (52v 2; 869 B); ერთგზის *σοερον* გადმოტანილია სიტყვით "გონიერი": "მითუალა... სული გონიერი (*σοεραν*) და ჯორცნი" (48. 2; 844). ასევე, ერთგან ბერძნული *σοερας ουτας σοუს* (844 C) თარგმნილია ასე: "გონიერთა გონება" (48. 2). ამგვარი ტერმინთშესატყვისობა სხვა შემთხვევებშიც გვხვდება.

120.27-7.2; 125.11-8.1; 129.33-9.3; 132.10-10.2; 135.7-12.3; 136.16-13.3;
140.2-13.4; 141.11-13.4; 141.25-14; 145.30-15.3; 148.36-15.8; 149.4-15.8;
149.26-15.8; 150.9-15.9; 150.11-15.9; 155.13-1.1; 158.26-1.4; 162.10-2.2.3;
164.35-2.3.3; 165.11-2.3.3; 167.5-2.3.5; 172.11-3.3.2; 173.3-3.3.3; 174.6-3.3.5;
181.28-3.3.12; 185.5-4.3.1; 185.24-4.3.1 (საცნაურებასა); 186.12-4.3.2;
186.20-4.3.2; 188.4-4.3.4 (საცნაურებასა); 188.10-4.3.4; 188.20-4.3.4; 188.23-
4.3.4 (საცნაურებისა); 188.32-4.3.5 (საცნაურებასა); 189.16-4.3.6; 189.31-
4.3.7; 194.19-5.1.2; 199.28-5.3.2; 204.23-6.1.3; 223.16-1.1; 254.34-ეპ.9.4;
254.37-ეპ.9.4;

2. νοεροτης - საცნაურებად;
37.36-4.9

3. νοερας - საცნაურად, საცნაურებით;
37.22-4.9; 69.34-7.2; 168.31-2.3.8;

4. νοερωτερον - უსაცნაურესად
155.22-1.1; 158.28-1.4;

II. 1. νοητος - საცნაური:

6.14-1.1; 9.12-1.4; 9.23-1.4; 9.32-1.4; 13.19-1.8; 21.12-2.8; 27.20-3.2;
34.13-4.5; 34.28-4.6; 35.4-4.5; 35.17-4.7; 39.22-4.11; 69.11-7.1; 69.35-7.2;
70.24-7.2; 70.24-7.2; 71.38-7.3 (საცნაურთაგანი); 83.36-9.9 (საცნაურებითად);
88.3-11.3; 97.9-13.4; 98.8-13.6; 102.31-1.3; 103.9-1.3; 108.2-2.4; 110.10-2.5;
121.16-7.2; 134.4-12.1; 145.20-15.3; 147.18-15.5; 148.10-15.6; 157.4-1.2;
157.18-1.2; 159.27-1.4; 164.27-2.3.2; 164.27.28-2.3.2; 164.30-2.3.2; 164.36-
2.3.3; 171.14-3.2; 172.6-3.3.2; 172.14-3.3.3; 181.28-3.3.12; 182.30-3.3.13;
184.6-4.11; 185.9-4.3.1; 185.23-4.3.1; 186.19-4.3.2; 186.23-4.3.2; 187.21-4.3.3;
188.4-4.3.4; 188.23-4.3.4; 189.2-4.3.5; 189.13-4.3.6; 211.33-7.3.1; 223.16-1.1;
225.12-1.3; 226.29-3; 227.13-5; 228.28-5; 235.25-ეპ.5; 251.1-ეპ.9.1; 253.6-
ეპ.9.2; 253.6-ეპ.9.2; 253.15-ეპ.9.2; 255.7-ეპ.9.4;

2. νοητοτερος - უსაცნაურესი:
131.29-10.1;

3. νοητως - საცნაურად:
21.11-2.8; 108.32-2.5; 113.21-4.2; 158.20-1.3; 158.29-1.4; 168.29-2.3.8;
185.6-4.3.1; 217.3-7.3.7.¹

ზემოაღნიშნული ნიმუშები ცხადყოფს, რომ ეფრემ მცირესთან **νο-**

¹ ეფრემის თარგმანში ერთგან "საცნაური" შეესატყვისება ბერძნულ ტერმინს **οι νοες**: "სიტყვერთასა საცნაური უზეშთაეს არიან" (60.2; 5.3); სხვა შემთხვევაში ამგვარადვეა თარგმნილი ბერძნული **τα νοουμενα**: "უმწუერვალესნი, ხილულთა და საცნაურთანი... გარემოეს ჰმოსიან" (225.9-1.3). სხვაგან ტერმინი **νοουμενα** თარგმნილია, როგორც "ცნობილნი" (88.22-11.2).

eros/votus-ის ტერმინული შესატყვისია "საცნაური".

აქვე საყურადღებოა აღნიშნოს, რომ დიონისე არეოპაგელის შრომებში ზოგან გვერდიგვერდ გვხვდება *voeros* და *votus*. ასეთ შემთხვევებში ეფრემ მცირე მოვალეა ტერმინულად გამიჯნოს ისინი. ქართული თარგმანის შესაბამის ადგილებში ტერმინული გამიჯვნა დასტურდება. კერძოდ, *votus*-ის შესატყვისად კვლავ "საცნაურია" წარმოდგენილი (ერთგზის "ცნობადი"), ხოლო *voeros*-ს უკვე შეესაბამება ტერმინი "მცნობელი" (ერთგზის "მცნობელობითი"). ამგვარი ტერმინთშესატყვისობა შინაარსობრივად სავსებით ზუსტია, რადგანაც ცნებითი სხვაობის დროს *votus* ყოველთვის უფრო აღმატებულ ხარისხს აღნიშნავს, ანუ აღნიშნავს მას, რაც შესაცნობია, საწვდომია, საძიებელია ანუ "საცნაურია", "ცნობადია", მაშინ როცა *voeros* თავად შემმეცნებელს, მეძიებელს, *votus*-ისკენ მსწრაფველს ანუ "მცნობელს", "მცნობელობითს" გულისხმობს. მოგვაქვს ნიმუშები:

"ამათ სახიერების განფენათა მისთა მიერ დაებადნეს ყოველნი საცნაურნი და მცნობელნი (*votai kai voera*) არსებანი" (30. 9; 4.1); "ჰქონან... მცნობელთა და ცნობადთა¹ (*voerau te kai votau*) ტრფიალებისა წესთა" (43. 7; 4.16); "ამისვე ყოველთა მიზეზისაგან არიან საცნაურნი და მცნობელნი (*votai kai voera*) არსებანი ღმრთისსახეთა ანგელოზთანი" (63.10-11; 5.8); "საცნაური და მცნობელი (*votiu voerau*)... თავსა შორის თვსსა პირველითგან აქუს" (84. 24; 9.10); "ყოვლად საცნაური (*votau*) გამობრწყინვებად ანუ მცნობელობითი (*voerau*) განბრწყინვებად" (146. 30; 15. 4); "დამაკლებელ საცნაურისა (*votus*) მის ნათლისა არს... ველმწიფებად მცნობელთად (*voerau*) მათ" (164. 36-37; 2.3.3).

სამ შემთხვევაში ქართული წყვილის წევრები გადაადგილებულია, რაც სავსებით ჩვეულებრივი მოვლენაა ეფრემისათვის (აგრეთვე, იოანე პეტრიწისათვის). ასე რომ, ამ შემთხვევებშიც ზუსტად იგივე ტერმინთშესატყვისობა გვაქვს:

"მის მიერ აქუს მცნობელთა და საცნაურთა (*votai kai voera*) ძალთა... სანატრელი ცნობად" (69.28-7.2); "გულისგმისსაყოფელ... მცნობელთათვს და საცნაურთა (*votais kai voeris*)" (107.13-2.4); "მცნობელთა და საცნაურთა (*votau kai voerau*) ღმრთისსახენი შემკობილებანი... დაიწერებინ" (253.10-ეპ.9.2).²

ერთადერთი შემთხვევა, როდესაც აღნიშნულ ტექსტში ნოერულ ტერმინად ნაწილობრივ წარმოჩნდა "გონიერი", არის 1 წიგნის III თავი, სადაც ბერძნული

¹ საყურადღებოა, რომ *votus*-ის შესატყვისად "ცნობადი" გვხვდება, აგრეთვე კომპოზიტში "თვთ-ცნობადი" (მდრ. ბერძნ. *avtovotus*): "თვთცნობადნი იგი... ქებულ არიან" (43.8-4.16).

² *voeros*-ის "მცნობელად" გააზრება ხსენებულ თარგმანში სამგზის *votus*-ის გარეშეც იჩენს თავს: "ხოლო სიბრძნე ყოველთა მიმართ სიტყვერთა და მცნობელთა (*voera*) და გრძნობადთა განეფინების" (59.9;5.1); "განუსუენოთ ჩუენსა ამას მცნობელობისა თუალსა (*to voerou oμα*)" (142.14-15.1); "კაცისსახეობასაცა აღსწერენ მათთვს (ანგელოზთათვის, ე.ჭ.) მცნობელობისათვს (*δια το voerou*)" (144.30-15.3); სამივე კონტექსტში *voeros* კონკრეტულად შემცნობელს, შემმეცნებელს ნიშნავს და არა ზოგადად "სულიერს", "უნივთოს", "არამატერიალურს". ამიტომ თარგმნის ეფრემი მას "მცნობელობად" ნაცვლად "საცნაურისა".

νοερωτατος თარგმნილია ორსიტყვედად: "გონიერად მცნობელი":

"ცხად-ვყვნენ შემოკლებითნი იგი და შემოკრებითნი გონიერად მცნობელისა (**νοερωτατης**) მის კაცისა ძალისა შემოკრებანი" (27.8-3.2).¹

ამგვარად, ზემომოტანილი ნიმუშები სრულიად აშკარად ცხადყოფს, რომ **νοερος/νοητος**-ის ტერმინულ შესატყვისად ეფრემ მცირესთან გვხვდება "საცნაური". ამასვე ადასტურებს გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკულ სიტყვათა ეფრემისეული თარგმანები, რომლებიც, აგრეთვე, მისი ცხოვრების ბოლო წლებს ეკუთვნის:

"საცნაური (**νοερα**) სულნი" (ხელნ. A-52,163; col. 320C); "საცნაური (**νοερα**) ბუნებანი" (იქვე 163 v; 321 B); "ესე საცნაურთა (**νοερας**) ბუნებათა ღმრთისსახე ჰყოფს" (A-109, 121.2; 1084A); "საცნაური (**νοητος**) სოფელი" (A-52, 163 v; 321 A); "ესევითარი - საცნაურთათჳს (**νοητοις**), რად-იგი მზე - გრძნობადთათჳს" (A-109,87 v 1; 364 B).²

ამგვარად, დიონისე არეოპაგელისა და გრიგოლ ღვთისმეტყველის შრომათა თარგმანები, რომლებიც უთუოდ ეფრემ მცირის სამწერლობო მოღვაწეობის მიწურულს ეკუთვნის, **νοερος/νοητος**-ის მყარ ტერმინულ შესატყვისად წარმოგვიდგენს "საცნაურს" (აგრეთვე, უიშვიათეს შემთხვევებში "მცნობელს" კონკრეტულად **νοερος**-ის მნიშვნელობით და "ცნობადს" - **νοητος**-ის აღმნიშვნელად). როგორც მივუთითებდით, თითქმის ასეთივე ვითარება გვაქვს ეფრემის უფრო ადრეულ თარგმანებშიც, კერძოდ იოანე დამასკელის "გარდამოცემაშიც". მაგრამ ეს უკანასკნელი "საცნაურის" გვერდით (თუმცა გაცილებით იშვიათად), **νοερος/νοητος**-ის შესატყვისად გვაწვდის ტერმინს "გონიერი" (იხ. ზემოთ). დავძენთ, რომ ხსენებულ თარგმანში უიშვიათეს შემთხვევებში იმავე მნიშვნელობით გვხვდება, აგრეთვე, ტერმინი "გულის-ვმისსაყოფელი".

როგორც ცნობილია, იგივე "გარდამოცემა" თარგმნა არსენ იყალთოელმაც. პარალელური ნიმუშების ფონზე სრულიად აშკარად ჩანს, რომ არსენი ბერძნულ **νοερος/νοητος**-ს ტერმინულად თარგმნის არა როგორც "საცნაური", არამედ, როგორც "გონიერი". სავსებით ცხადია, რომ არსენი ნოერულ-ნოეტურ

¹ ერთგან **νοερω**-ის შესატყვისად გვაქვს "გონებათაჲ" (134.20-12.2); "მიმღებელყოფად სიბრძნისა და მეცნიერებისად საზოგადო არს ყოველთა მათ ღმრთისსახეთა გონებათაჲ" (ეჭვი არ არის, რომ ბერძნულ ხელნაწერში იქნებოდა არა **νοερω**, არამედ **νοω**, რასაც ეფრემთან სწორედ "გონებანი" გადმოსცემს და რაც გაცილებით უკეთ თანხვდება კონტექსტს.

² **νοητος**-ის შესატყვისად გვხვდება, აგრეთვე, "ცნობადი" (მღრ. ზემოდამოწმებული ერთერთი ნიმუშიც). მაგალითად: "რად-იგი არს გრძნობადთათჳს მზე, ესევე ცნობადთათჳს (**νοητοις**) - ღმერთი" (A-109,121.2; 1084A). ასევე, "ცნობადად" არის თარგმნილი ბერძნული **νοουμενος**: "ღმერთი მცნობელთა (**νοειν**) და ცნობადთა (**τοις νοουμενοις**), - მათ მცნობელობასა (**νοειν**), ხოლო ამათ საცნობელობასა (**νοεισθαι**), - შეუქმს" (A-109, 121. 2; col. 1084B); სხვაგან იგივე **νοουμενος** თარგმნილია, როგორც "საცნაური": "... საცნაურითა (**νοουμενον**) სამებისა შეერთებითა" (A-109, 121 v 2; 1084C); "იტყოდა ყოფად მამულად... საცნაურსა (**νοουμενον**) იერუსალიმსა" (A-109,234.2; 1188B); იმავე ბერძნული ტერმინის შესატყვისად გვხვდება, აგრეთვე, "საცნობელი": "თვთ (ღმერთი, ე.ჭ.) არს მწუერვალობა ყოველთა საცნობელთა (**νοουμενων**), რომლისამდე ყოველი სურვილი დადგების" (A-109,121.2; 1084B); "სამნივე ღმერთად ურთიერთას თანად საცნობელნი (**νοουμενα**)" (A-109, 111. 1; 417B).

ტერმინად იყენებს "გონიერს". მართალია, ზოგ შემთხვევაში მასთან ვლინდება "საცნაურიც", მაგრამ უთუოდ ტრადიციის გავლენით (ამგვარი გავლენა საზოგადოდ არის დამახასიათებელი ყველა მთარგმნელისათვის). მოგვაქვს პარალელური დამოწმებანი "გარდამოცემის" ეფრემისეული და არსენისეული თარგმანებიდან:

ეფრემი (A-24)

სული... საცნაური (*σοερα*)
მისცა თვისითა შთაბერვითა
(65.1; 920B)

ხატებად საცნაურებასა
(*σοερον*) და თვთმფლობე-
ლობასა მოასწავებს (65. 1;
920 B)

მარტივი და უჯორცოდა...
საცნაურ (*σοερα*) (65 v 1;
924 B).

შეერთების... უჯორცოთა მათ
და საცნაურთა (*σοερα*)
(66. 2; 928 A)

ძალი საცნაურისა (*σοερα*)
სულისაჲ (73. 2; 949 B)

საცნაურად (*σοερας*) შექ-
მნა (78 v 1; 976 B)

სული სიტყვერი და საც-
ნაური (*σοερα*) (81. 1; 985
B)

სული სიტყვერი და საც-
ნაური (*σοερα*) (81. 1;
985C)

მეის სიტყვსავე... ჯორცნი
სულიერნი, სული სიტყვე-
რი და საცნაური (*σοερα*)
(81. 1; 985 C)

მიიღო ყოვლადწმიდისა ქალ-
წულისაგან სიტყვერად და
საცნაურად (*σοερας*) (81.
1; 988 A)

არსენი (S-1463)

სულისა... გონიერისა შთაბ-
ერვისა თვისისა მიერ მიმ-
ნიჭებელმან მისმან (69 v
2)

ხატებისაებრობაჲ ვიდრემე
გონიერობასა და თვთმფლ-
ობელობასა ცხად-ჰყოფს
(69 v 1)

მარტივი და უსხეულო...
გონიერი (70. 1)

შეყოფვის... უსხეულოთა
და გონიერთა (70 v 1)

ძალი გონიერისა სულისაჲ
(73 v 2)

გონიურად... დაბადებულსა
(76. 2)

სული სიტყვერი და გონიე-
რი (77. 2)

სული სიტყვერი და გონიე-
რი (77. 2)

მეესეულად სიტყვსა ღმრთი-
სა ჯორცნი სიტყვერად და
გონიურად (77. 2)

წმიდისა ქალწულისაგან მი-
ხუმულთა მათ სიტყვერად
და გონიურად სულიერქმ-
ნილთა (77 v 1)

დამოკიდებულ მისსა ვეკ-
ნეთ ვნებანი საცნაურისა
(*νοερα*) სულისანი (95 v
2; 1052 C)

შექმნა იგი ხატად თვსად
საცნაურად (*νοερον*) და
თვთმფლობელად (108 v 2;
1108 A)

იოცნეს სამოთხისათვს... საც-
ნაურობად (*νοητον*) (63v2;
916 B)

დაიბადა საცნაურადცა
(*νοητος*) (63v2; 916 B)

საცნაურნი (*νοητην*)... არ-
სებანი დაჰბადნა ღმერთმან
(64 v 2; 917D)

საცნაურთა (*νοητων*) გო-
ნებითა იპყრობს (69 v 2;
937D)

საცნაურთა (*νοητων*) შე-
წევნად არადთ იქმნების, თვნი-
ერ სწავლულებისაგან ხო-
ლო, ანუ ბუნებითისა გუ-
ლისვმისმყოფელობისა (69v2;
940A)

ხოლო საცნაურთა (*νοητα*)
მას ოდენ მოვივსენებთ, რაო-
დენი სწავლით გუესწავლოს
(70. 1; 940 A)

... სამოთხესა შინა საცნა-
ურსა (*νοητα*) და გრძნო-
ბადსა (78v2; 976 C)

დამნერგველი საცნაურისა
(*νοητου*) მის ვენახისად
(125. 1; 1177 A)

შევახვებთ ვნებათა გონიე-
რისა სულისათა (84. 2)

შექმნა იგი ხატებისაებრ
თვსისა გონიერად (89 v
2)

იოცნა სამოთხისად... გო-
ნიერობად (68v2)

გონიერად დაბადებულ იყო
(68v2)

გონიერი არსებად შეჰქმნა-
და ღმერთმან (69 v)

სცნობს... გონიერთა გო-
ნებისა მიერ (72.2)

გონიერთა განხილვად არა
იქმნების, თვნიერ სწავლი-
სა მიერ (72. 2)

ხოლო გონიერთად, რადცა
გუესწავლოს, იგი უკუე
გუავსოვს (72. 2)

... სამოთხესა შინა გონიერ-
საცა და გრძნობადსა
(76.2)

დამნერგველისა გონიერი-
სა მის ვენახისად (97.1)

საცნაურობად (*νοερας*) გან-
ცხადებულად უგორცოთა მათ
ბუნებათა თვს-ვეყვის (64 v
2; 920A)

რომელნი იგი (ანგელო-
ზები, ე.ჭ.) უეჭუელად გო-
ნიერისა და უსხეულოდსა
ბუნებისანი არიან (69. 1)¹

როგორც აღვნიშნეთ, ცალკეულ შემთხვევებში არსენთან გვხვდება, აგრეთვე, "საცნაური" უთუოდ ეფრემისეული ტერმინოლოგიის გავლენით (აღნიშვნის ღირსია, რომ არსენის მიერ თარგმნილი "გარდამოცემა" ზოგან ზედმიწევნით თანხვდება ეფრემ მცირის ტექსტს. თავისთავად ცხადია, არსენს თარგმნის პროცესში წინ ედო ეფრემის თარგმანი). მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

ეფრემი

რამეთუ არა ხოლო საღმ-
რთოსა და აუგებელსა ბუნ-
ებასა არარად აქუს იძულ-
ებითი, არამედ არცა საც-
ნაურსა (*νοερα*) და აგე-
ბულსა (A-24, 93v; 1041B).

იყო... გრძნობადიცა და
საცნაურიცა (*νοητων*) (63
v 2; 916B)

საცნაურისაგან და გრძნო-
ბადისა ბუნებისა შეზავე-
ბულ ვართ (116. 1; 1133
B)

ღმერთი ნათელ არს საც-
ნაურ (116. 1; 1133 C)

შექმნა პირველად უკუშ
საცნაურნი (*νοερας*) იგი
ძალნი ზეცისანი (116v1);
1136 C)

არსენი

რამეთუ არა ხოლო საღმ-
რთოსა და აუგებელსა ბუნ-
ებასა არარად აქუს იძულ-
ებითი, არამედ არცა საც-
ნაურსა და აგებულსა (S-
1463, 83. 1)²

გრძნობადიცა იყო და საც-
ნაურიცა (68 v 2)

საცნაურისაგან და გრძნო-
ბადისა შევიზავენით ბუნე-
ბისა (92 v 2)

ღმერთი ნათელი არს საც-
ნაური (93. 2)

დაჰბაღნა პირველად უკუშ
საცნაურნი და ზეციერნი
ძალნი (93. 1)

1 ერთგან ეფრემ მცირისეული თარგმანის დაკლებული ადგილი არსენთან ასეა წარმოდგენილი: ზოლო მაშინ - გონიერად (*νοητως*) (იქვე 94 v 1; col. 1153 C).

2 როგორც ვხედავთ, არსენის ტექსტი სიტყვასიტყვით თანხვდება ეფრემისეულს.

საცნაურთა (νοερον) და
გრძნობადთაგან დაჰბადა კა-
ცი (116v1; 1136 C)

[დაჰბადა]... საცნაურისა და
გრძნობადისაგან კაცი (93.
2)¹

როგორც მივუთითებდით, "გარდამოცემის" ეფრემისეულ თარგმანში
ნოეტურ-ნოეტურ ცნებად გვხვდება "გულისკმისსაყოფელი", რაც ეფრემის
ტექსტის გავლენით თავს იჩენს არსენთანაც:

ეფრემი

არსენი

გულისკმისყოფად გულის-
კმისსაყოფელთად
(νοητων) (69v1; 737C)

გულისკმისყოფად გულის-
კმისსაყოფელთად (72. 1)

ამგვარად, შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ *νοερος//νοητος*
არსენის მიერ გვიანდელ შრომებში ტერმინულად ითარგმნება, როგორც
"გონიერი", თუმცა ცალკეულ შემთხვევებში (ეფრემისეული ნოეტის უშუალო
გავლენით) მასთან ვლინდება, აგრეთვე, ტერმინები "საცნაური" და "გულის-
კმისსაყოფელი".

გრიგოლ აკრაკანტელის (ფსევდო-მიტროფანე ზმირნელის) "ეკლესიასტეს
განმარტების" ქართულ ტექსტში, რომელიც ტერმინოლოგიურად აშკარად
ენათესავება ეფრემ მცირის თარგმანებს, *νοερος//νοητος* უმთავრესად
გადმოტანილია, როგორც "საცნაური", იშვიათად კი, როგორც "გონიერი".
მოგვაჩვენებს შესაბამისი ნიმუშები:

1. *νοερος* - საცნაური:

"იგი არს პირველი... საცნაურთა არსებათადასა" (4.31; 752B); "საცნაურისა
სულისა" (11.25; 769B); "საცნაურითა თუალითა" (84. 3; 961 B); "საცნაურითა
თუალითა მიხედვასა წარმოაჩინებს ამიერ" (91. 9; 977 A); "საცნაურთათვის
სარწმუნოებისა" (91. 15; 977 A); "საცნაურითა თუალითა ვიხილენ" (109.
23; 1013 C); "საცნაურთა შემკობილებათა" (122. 4; 1056B); "საცნაურსა
საკურთხეველსა" (126. 8; 1064C); "საცნაურითა თუალითა" (134. 21; 1077D);
"სიტყვერისა და საცნაურისა სულისა" (141. 15; 1093 C); "საცნაურთა წყალთა"
(159. 24; 1129B); "საცნაურითა თუალითა" (164. 24; 1140 C);

¹ როგორც აღვნიშნეთ, "საცნაური" ეფრემთან გვხვდება, აგრეთვე, ბერძნული
το νοουμενον-ის შესატყვისად. ამჯერად დავძენთ, რომ ეფრემის კვალობაზე არსენიც
ხშირად "საცნაურით" თარგმნის იმავე ბერძნულ ტერმინს. მაგალითად: "მესაიდუმლოე
საცნაურთად (*νοουμενης*)... ხილული და საცნაური (*νοουμενον*)" (ეფრემი, 65. 2; col.
921 A; შდრ. არსენი: "მესაიდუმლოე საცნაურისა... ხილული და საცნაური" (69 v
2); "განარჩიო ხილული საცნაურისაგან (*νοουμενον*)" (108v1; 1105 A; შდრ. არსენი:
"განპყო... ხილული საცნაურისაგან" 89 v 2); "უხილავთა მათ და საცნაურთა (*νοουμενων*)"
(112 v 2; 1121B; შდრ. არსენი: "საცნაურთანი" 91 v 1); "განპყო საცნაური
(*νοουμενον*) ხილულისაგან" (103 v 2; 1081 B; შდრ. არსენი: "განპყო ხილული
საცნაურისაგან" (87 v 2); იხ. აგრეთვე, ეფრემი, 111 v 1 (col. 1117A) - არსენი,
91. 1.

2. νοερος - გონიერი.

"მისცა მას სული სიტყვერი და გონიერი" (21. 22; 738C); "ერთი სული მიუღიეს ყოველთა სიტყვერი და გონიერი" (31. 13); "გონიერისა და სიტყვერისა მიმღებელი სულისაჲ" (45. 15; 884D).

3. νοητος - საცნაური

"სმენად ყურთა... საცნაურთა" (4. 23; 752A); "საცნაურისა იერუსალიმისათჳს" (4. 29; 752 A); "ზენადსა და საცნაურისა იერუსალიმისა მიმართ წარავლენს" (5. 1; 752 B); "საცნაურისა სოფლისა" (11. 24; 769B); "საცნაურთა მიერ ძალთა" (11. 25; 769 B); "საცნაურთა კეთილთა" (24. 10; 796A); "საცნაურისა დაწყნარებისა" (28.1; 801 C); "საცნაურნი თუალნი" (53. 25; 900B); "ვად სიტყვერობითსა ნაწილსა სულისასა, რაჟამს არა აქუნდეს გულისმთქუმელობითი აღპყრობილად საღმრთოდსა სიყუარულისა მიმართ და მოტყინარედ დაუპყრობელითა სურვილითა საცნაურითა და საღმრთოდთა" (64. 12; 917C); "ფერვისა... გრძნობადისაჲცა და საცნაურისაჲსა" (69. 25; 932A); "საცნაურად გულისჴმა-იყოფებოდედ" (84. 2; 961B); "საცნაურთა ფასისსაჲცავთა" (87. 13; 968 C); "საცნაურისა ტყუეობისაგან..." (107. 30; 1009 A); "აგრილობს სიცხესა საცნაურსა განსაცდელთასა" (107. 29; 1008D); "საცნაურთა კუეებათა" (114. 8; 1024B); "საცნაურსა... ქალაქსა" (114. 21; 1024 C); "...საცნაურთა მბრძოლთასა" (114. 26; 1024C); "საცნაურთა და გრძნობადთა მტერთა" (115. 3; 1025B); "საცნაურთა მომზირალთაგან" (115. 18; 1025C); "საცნაურთაჲცა და გრძნობადთა" (116. 25; 1028D); "საცნაურისა ღვინისა" (131. 22; 1073A); "გონებითი ხედვად ზენათა საცნაურთაჲ" (133. 13; 1076C); "მტერთა ვხედავთ საცნაურთა" (136. 14; 1084A); "წინააღმდგომთა საცნაურთა" (137. 10; 1085A); "ებრძოლა საცნაურთა მათ წინააღმდგომთა ძალთა" (139. 9; 1088C); "ზედამოსლვისათჳს საცნაურთა უცხოთესლთაჲსა" (139. 11; 1088C); "შემზადებასა საცნაურისა მის სულთა ზეთისასა" (139. 24; 1089 B); "საცნაურთა მტერთა მძლეობაჲ" (141. 11; 1093B); "საცნაურისა იერუსალიმისა" (149. 12; 1112A); "საცნაურთა... საზრდელთაჲსა" (152. 29; 1116B); "საცნაურთა ხედვათა" (153. 9; 1116 C-D); "დაფარულად ვხედავთ საცნაურსა" (154. 8; 1120A); "საცნაურად ვეცხლად" (154. 32; 1121A); "და ამასცა მრჩობლივე განმარტებაჲ აქუს, ესე იგი არს, გრძნობადი და საცნაური" (155. 14; 1121 B); "აწ უკუე ვთქუათ სახისმეტყუელებითიჲცა და საცნაური" (156. 1; 1124A); "საცნაური და გრძნობადი" (157. 12; 1125A); "მაღალთა და საცნაურთა ხედვათა მიმართ" (157. 18; 1125B); "საცნაურსა წჴმასა" (159. 25; 1129 B); "საცნაურთაჲცა ქართა" (161. 7; 1132 C); "საცნაურისა თესლისაჲ" (161. 33; 1133B); "საცნაურისა... თესლისა" (162. 7; 1136B); "საცნაურისაჲცა თესლისა მთესველნი" (162. 17; 1136B); "საცნაურისა მზისა" (163. 21; 1137 C); "საცნაურითა სიმჴნითა" (167. 10; 1144 C); "საცნაური მზე" (164. 17; 1140B); "თანაგანპყრობილად ქონებითა... საცნაურთაჲცა და გონებისა ჴელთაჲთა" (168. 13; 1148B); "საცნაურად მხედველნი გუგანი" (170. 18; 1156 C); "საცნაურისა არისა" (170. 24; 1157A); "გრძნობადთა და საცნაურთა მოსეანისა შჯულისა განხილვათა" (175. 14; 1168B).

2. *νοητος* - გონიერი:

"გონიერთა საგრძნობელთა სულიათა" (1. 14; 741 B); "სულიერისაცა ამის და გონიერისა საშუებელისათვს მოვსენებაჲ" (30. 27; 837A);¹

როგორც ვხედავთ, ხსენებულ თარგმანში *νοερος//νοητος*-ს ტერმინულად გადმოსცემს "საცნაური", რასაც უიშვიათეს შემთხვევებში ცვლის "გონიერი".

რაც შეეხება ეკლესიასტეს ოლიმპიოდორესეულ განმარტებებს, რომლებიც, ცხადია, იმავე პირის მიერ არის თარგმნილი, იქაც *νοητος* ტერმინულად გადმოტანილია სიტყვით "საცნაური", რასაც ზოგჯერ ცვლის "გულისკმისსაყოფელი". მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:²

"გრძნობადთაგან საცნაურთა მიმართ აღმყვანებელი ჩუენი ასწავებს" (ხელნ. A-61, 73. 2; Pg. 93, col. 520 A); "საცნაურთა სიკეთეთა აღაშენებს" (88. 2; 509B); "საცნაურისა მის სამოთხისა მუშაკად" (149. 2; 544C); "საცნაურთა და გრძნობადთა საქმეთა" (206. 1; 572A); "საცნაურისა სახლისა ჩუენისა" (264. 1; 604C); "საცნაურთა თუალთათვს" (282. 1; 609D); "საცნაურისა მზისა მიმართ მხედველნი" (282. 1; 612A); "საცნაურთა თუალთა" (284. 1; 612C); "მეცნიერებაჲ გრძნობადთა და საცნაურთაჲ" (298. 1; 621 C-D); "მომეცა ჩუენ მეცნიერებაჲ... საცნაურთა მიწთომისაჲ" (300. 1; 624 C).

"ქებაჲ ქებათაჲ" ყოვლითურთ გულისკმისსაყოფელთათვს მეტყუელებს" (2. 2; 477C); "საბოვნელ არს გულისკმისსაყოფელთათვს საქმეთა" (2. 2; 477C); იხ. აგრეთვე: 2.1; 477 C (ორგზის)³

თეოფილაქტე ბულგარელის სახარებისეულ განმარტებებში, რომლებიც იოანე ჭიმჭიმელმა თარგმნა ქართულად (მარკოზისა და ლუკას თავები) *νοητος* ყველგან გადმოტანილია ტერმინით "საცნაური", ხოლო *νοερος*-ის შესატყვისად გვხვდება როგორც "საცნაური", ასევე "გონიერი":

1. *νοητος* - საცნაური:

"... ცხად არს, ვითარმედ საცნაურთა" (A-102, 85. 2; col. 680D); "უჩინოდ ყოფაჲ გუელთა, გინათუ გრძნობადთა ანუ საცნაურთა"⁴ (A-102, 85. 2; 680D); "ვითარცა დავითს გრძნობადი მეფობაჲ დაეპყრო, ეგრეთვე უფალმან - საცნაური" (A-113, 9.1; 704D); "საცნაურითა... შიმშილითა აღვსებულ იყო ჰურიასტანი" (30. 1; 753 B); "დამტევნელი საღმრთოთა და საცნაურთა" (199 v 1-2; 1065 C); "პირველად საცნაურად შეახო იესუ და ეგრეთცა სხეულეანად" (57. 1; 809A); "ვსჭამოთ ჩუენცა პასეჟი ესე საცნაურად" (199. 1; 1065A);

¹ ერთგან *νοητος* თარგმნილია, როგორც "სულიერი", "მწუანვილოვნად და სამოთხედ სულიერად (*νοητου*) ძუელ სადმე დაკორდებული და ყოვლითურთ უნაყოფოდ ქუეყანაჲ გამოაჩინეს" (159. 31; 1129B);

² ოლიმპიოდორეს ბერძნულ ტექსტში *νοερος* არ გვხვდება.

³ ერთგან *νοητος* თარგმნილია, როგორც "უხილავი": "ხილულნი უხილავთა (*νοητων*) რათმე არიან სახე" (67. 2; 517D); ასევე, ერთგან იგივე ტერმინი გადმოტანილია, როგორც "გონებითი": "საქმითთაცა და გონებითთა (*νοητα*) სიკეთეთა მიერ შუებული" (282. 1; 612A).

⁴ ხელნაწერშია "უცნაურთა"

⁵ ერთგან *νοητος* თარგმნილია, როგორც "სულიერი": "მიმადლებს მარადის ბრმათა სულიერითა საგრძნობელითა" (129 v 1; 940 B).

2. *νοερος* - საცნაური:

"ეზიარების თვთ უფალსა საცნაურისაებრ სულისა" (A-113, 75 v 2; 845A); "ყოვლითა განგონებითა საკუთრად განგონებული კაცისა საცნაური სული წარმოაჩინა" (76. 1; 845B);

3. *νοερος* - გონიერი:

"გრძნობელობითი... და გონიერიცა" (76. 1; 845 B); "გონიერი სული" (A-113, 100 v 2; 889 C); "სიტყვერნი, ესე იგი არს, გონიერნი" (134 v 2; 948 D); "სულისა კაცობრივისა სიტყვერისა და გონიერისა"¹ (221 v 1; 1105D).

როგორც ვხედავთ, იოანე ჭიმჭიმელი, აგრეთვე, გრიგოლ აკრაკანტელისა და ოლიმპიოდორეს კომენტარების მთარგმნელი ეფრემ მცირისეულ ტერმინოლოგიას იცავენ, მაშინ როცა არსენ იყალთოელი ძირითად ნოერულ-ნოეტურ ტერმინად ირჩევს "გონიერს" და არა "საცნაურს", თუმცა ეფრემის გავლენით ეს უკანასკნელიც გვხვდება მასთან.

რაც შეეხება ამონიოსის შრომათა თარგმანებსა და მეექვსე ჯგუფის სხვა ჰომოგენურ ტექსტებს, მათში მთლიანადაა შეთვისებული და თითქმის აბსოლუტიზებულია არსენისათვის ნიშანდობლივი ტერმინთშესატყვისობა: *νοερος/νοητος* - "გონიერი".

წარმოვადგენთ სათანადო ნიმუშებს ამონიოსის შრომის თარგმანიდან (ყველა დამოწმებულ შემთხვევაში "გონიერი" გადმოსცემს ორიგინალის *νοητος*-ს)²

"არა მარტივ მოგონება დამბადებელისა ჰნებავს ყოფად მათი, არამედ უეჭუელად არსებათა გონიერთად" (36. 5; 42. 18); "მუნ უკუე მეუბნარობდა გონიერთათვს" (130. 30; 41. 9); "არსებათანი რომელნიმე არიან გონიერნი" (134. 29; 45. 17); "არს სიტყუად მისი... გონიერთა და ნამდვლ კერძოთათვს" (135. 33; 47. 3); "რომელნიმე არიან გრძნობადნი, რომელნიმე გონიერნი" (135. 35; 47. 5); "გონიერთა უკუე კერძოთათვს არს სიტყუად მისი" (135.35; 47.5); "მივითუალოთ იგი მეტყუელად გონიერთა კერძოთათვს" (136. 2; 47. 12); "აქუს დებად... სულსა შორის გონიერად" (149.5; 60.5).

მოტანილი ნიმუშები ცხადყოფს, რომ ამონიოსის მთარგმნელს ბერძნული *νοητος* ყველგან უგამონაკლისოდ გადმოაქვს, როგორც "გონიერი".

ცხადია, ასეთივე ვითარება გვაქვს მაქსიმე აღმსარებლის შრომათა გელათურ თარგმანებში (ხელნ. გელ. 14), რომლებიც ჰომოგენურია ამონიოსის თხზულებათა თარგმანებისა. აქაც, აურაცხელ დამოწმებათა მიუხედავად, თითქმის უგამონაკლისოდ არის დაცული ზემორე ტერმინთშესატყვისობა. მოგვაქვს სათანადო დამოწმებანი:

¹ ხელნაწერშია "გონებისა".

² ამონიოსის შრომათა ბერძნულ ტექსტში ტერმინი *νοερος* არ გვხვდება.

1. *νοερος* - გონიერი:

"გონიერი და სიტყვერი იგმარა სული" (გელ. 14. ფოტო 483. 1; 320A); "გონიერისა გონიერსა (*νοερον νοεραν*)" (იქვე, ფ.303. 1; 429B); "სიბოროტე სულისა გონიერისა არს დავიწყებამ ბუნებითა კეთილთაჲ" (ფ. 2; 264B); "გონიერი ძალი" (ფ. 21; 293A); "გონიერისა გრძნობისა მიმღებელთა" (ფ. 154; 877C); "დამკსნელი გონიერთა მკვრცხლობათაჲ" (ფ. 161; 896B); "გონიერი და სიტყვერი ძალი" (ფ. 202; 604 C); "სულისა სიტყვერისა და გონიერისა" (ფ. 409. 1; 501B); "გონიერთა ძალთაგან" (ფ. 414. 1; 508A); "გონიერისა და სიტყვერისა სულისა" (ფ. 428. 2; 525A); "არცა გონიერსა და აგებულსა" (ფ. 465. 2; 293B); "არა სადმე იძულებითნი არიან ბუნებითნი გონიერთანი" (ფ. 466. 1; 293 C); "გონიერთაცა ყოველთა და სიტყვერთა" (ფ. 466. 2; 293D); "... არს გონიერსა ბუნებასა შინა" (ფ. 467. 1; 296A); "ვორცი სულიერქმნილი გონიერად" (ფ. 409. 2; 501C); "გონიერად სულიერქმნილსა" (ფ. 429. 2; 525C); "გონიერად სულიერქმნილისა" (ფ. 434. 2; 532 B); "... განვიყაროთ გონიერთა თუალთაგან" (ფ. 162; 900 B); "ბუნებითი, გრძნობითი და გონიერი" (ფ. 471. 2; 301A); "გონიერისა სახისა" (გელ. 14. ხელნ. 253. 2; 9A); "რომელსა ნებებადცა უწოდენ გონიერისა სულისად" (იქვე 257. 2; 21D); "გონიერი წადიერებაჲ მოქმედ იყოს" (იქვე, 258 v 1; 24 C); "გონიერად სულიერქმნილისათა" (იქვე 262. 2; 36A); იხ. აგრეთვე: გელ. 14, ხელნ. 1v2-264D; 2v2-269C; 273v1-73B; 274v1-76B; 283v1-93A; 284.2-260D; 288v1-253C; 297v2-765B; 302v1-428D; 304.2-433A; ფ.472. 1-2-301B-D; ფ.231.2-648B და მრავალი სხვა.¹

2. *νοητος* - გონიერი:

"გონიერთა ხედვა" (გელ. 14. ფ.7; 213A); "თანამონათესავისა გონიერთაჲსა მიმღებელობისაგან" (ფ. 158; 888 C); "გონიერი დავით არს უფალი ჩუენი იესუ ქრისტე" (ფ. 151. 1; 501 A); "აღივსოს სიცილი გონიერისა მათისაჲ" (ფ. 187. 1; 557 C); "გონიერთ-შორისნი განვიცადნენ" (ფ. 413. 1; 505 C); "ოთხთა შესამოსელთა განიყოფენ გონიერად" (ფ. 9; 276 D); "ქუემდებარეებად ჰქონან გონიერნი და უსხეულონი არსებანი" (ფ. 199. 1; 596D); "აღუმრღუეველითა თუალითა სულისაჲთა მიხედვად გონიერთა შემძლებელ ვიქმნეთ" (ფ. 413. 2; 505D); "მეცნიერება გონიერთა" (ფ. 103. 2; 424A); "გონიერად აელვებულსა საღმრთოჲსა სახიერებისა გამოჩინებასა" (ფ. 264; 261 D); იხ. აგრეთვე: "გონიერთაჲ" (გელ. 14. ხელნ. 287 v 1; 252 B); "გონიერისა" (იქვე 290. 1; 257 B); "გონიერთაჲსა" (იქვე 3v2-273A; 291v2-749C); "გონიერსა" (იქვე 299. 1; 772 C); "გონიერთა" (იქვე 5.1-277 B; 291v2-749C); "გონიერად" (4v2-276D; 1v1-264B) და მრავალი სხვა.²

¹ ერთგან *νοερος* თარგმნილია, როგორც "გონიერებითი": "გულისთქუმასა ვიდრეჲ გონიერებითსა... მოქმედებენ" (იქვე, ფ.5; 269B; იხ. აგრეთვე: ხელნ. 2v1-269B).

² ზემოაღნიშნული ტექსტების აურაცხელ ნიმუშში ტერმინ "გონიერის" ნაცვლად მხოლოდ ერთგზის იჩინა თავი "საცნაურმა": "საცნაურად (*νοητως*) მხედველ წინადაწართა" (ფ. 186. 1; 557B).

ზემომოტანილი ნიმუშები ცხადყოფს, რომ მაქსიმე აღმსარებლის გელათური ტექსტების (ისევე, როგორც ამონიოსის შრომათა) მთარგმნელისათვის თითქმის ერთადერთი ნოერულ-ნოეტური ტერმინია "გონიერი". ნიშანდობლივია, რომ მთარგმნელი არსად არ ცდილობს *νοερος*-ისა და *νοητος*-ის ტერმინულ გამიჯვნას. ზემომოტანილ ნიმუშებთან ერთად ამას თვალნათლივ ცხადყოფს ერთი ადგილი, სადაც ორიგინალში გვერდიგვერდ გვხვდება *νοερος* და *νοητος*. გელათის საღვთისმეტყველო სკოლის პრეციზულობა თითქოს ავალდებულებდა მთარგმნელს სხვადასხვა შესატყვისებით გადმოეცა აღნიშნული ტერმინები, მაგრამ ამჯერადაც ორივე მათგანს კვლავ "გონიერი" შეუფარდა მან. აი, ეს ნიმუში:

"და გონიერთა (*νοερας*) თუალთა სულთასა გონიერთა (*νοητα*) ნათლითა აღმავსებელისა" (გელ. 14, ფ.85. 1; 392 C).

ამონიოსის შრომებსა და მაქსიმე აღმსარებლის გელათურ ტექსტებს გვერდით უდგას მათი ჰომოგენური თარგმანი თეოფილაქტე ბულგარელის შრომისა "თარგმანებად იოანეს სახარებისად", სადაც, ასევე, თითქმის ერთადერთ ნოერულ-ნოეტურ ტერმინად წამოდგენილია "გონიერი", ხოლო "საცნაური" ხსენებულ ძეგლში აღნიშნული შინაარსით, არცერთხელ არ ავლენს თავს, საპირისპიროდ იოანე ჭიმჭიმელის მიერ თარგმნილი იმავე თეოფილაქტეს ორი ზემოგანხილული შრომისა (მარკოზისა და ლუკას თავის განმარტებები), სადაც, როგორც აღნიშნული იყო *νοητος* ყველგან თარგმნილია, როგორც "საცნაური", ხოლო *νοερος*-ის შესატყვისად გვხვდება როგორც "საცნაური", ასევე "გონიერი". ასე რომ, თუკი მარკოზისა და ლუკას თავების თეოფილაქტესეულ განმარტებათა თარგმანები, შესრულებულნი იოანე ჭიმჭიმელის მიერ, ეყრდნობა ეფრემ მცირის ნოეტიკას, იმავე თეოფილაქტეს "იოანეს თავის განმარტება" ამონიოსისა და მაქსიმეს შრომათა ზემოგანხილულ თარგმანებს უდგას გვერდით და არსენისათვის ნიშანდობლივ ტერმინთშესატყვისობას იცავს გაღრმავებულად. მოგვაქვს ნიმუშები:

1. *νοερος* - გონიერი:

"სულისა გონიერისა და სიტყვერისა უნაწილოდ" (A-52. 6; 1155 C);
"სიტყვერისა და გონიერისა სულისათვის იტყვ" (იქვე 18; 1201 A); "ეცხების გონიერთა თუალთა" (76;61 C); "ესრეთ განათლდა გონიერთაცა თუალითა" (73; 53D); "ზედ-განეფინა გონიერთა თუალთა ჩუენთა" (76;61A);

2. *νοητος* - გონიერი:

"მოსემან... არარად გამომიჩინა ჩუენ გონიერისათვის" (იქვე 3; 1145A); "... შემოქმედად ყოველთა გონიერთა და გრძნობადთა" (2 v; 1141 C); "არა ესე, ვითარ გრძნობად, არამედ გონიერ" (3 v ; 1145 D); "გონიერისა მვეცისა წყლულებათა განჰკურნებს ქრისტე" (20 v; 1209 C); "გონიერისა მზისა მიერ დაფარული" (23 v; 1120D); "ვიტყვთ... ძესაცა მოვლინებულად გონიერისა მიერ მამისა, ვითარცა აღცისკრებასა" (24; 1224 A); "არცა მოყმეს გონიერთა სიყმილითა" (50; 1309D); "უფროდს აწ მჭირველ იქმნების გონიერისა

ცხოვრებისა ჩუენისა" (50 v; 1312 C); "ხოლო არს "მგელად" გაგონებად აქა გონიერისა მტერისაჲ" (78; 72 A); "ნათელ უკუე ძე განქარვებისათვს საცთურისა და გონიერისა ბნელისა დაჯსნისა" (98 v; 141 C); "მოიღე ჩემდად გონიერადცა აღსრულებულად" (76; 61 A); "გამოვიდა... გრძნობადადცა და გონიერად" (105; 164 B).¹

ამგვარსავე სურათს გვიჩვენებს ამონიოსის, მაქსიმესა და თეოფილაქტეს ზემორე ტექსტებთან ჰომოგენურად დაკავშირებული თარგმანები იოანე ქსიფილინოსის მეტაფრასული შრომებისა. მაგალითად:

"გიჰმდა შენ გრძნობადთაგან ლათუ გულისხმისყოფად გონიერთაჲ" (გელ. 2, 34 v); "ვხედევდ გონიერად... დიდებასა საუკუნესა" (34 v); "სულიერისა და გონიერისა ღმრთისა სიტყვსა უვარმქმნელი" (95);²

* * *

ამგვარად, შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ბერძნული *νοσος/νοσητος*-ის ქართულად თარგმნის ისტორია ფაქტობრივად მოიცავს ორ უმთავრეს ტერმინს, "საცნაურსა" და "გონიერს", რომელთა გვერდით მეტნაკლები სიხშირით თავს იჩენს სხვა ტერმინებიც (საგონებელი, ცნობადი, გონებიერი, მცნობელი, მცნობელობითი, გონებითი, გულისხმისსაყოფელი, გონიერებითი, სულიერი, უხილავი, შუენიერი,³ მეცნიერებისაჲ და მისთ.).

ეფრემ მცირე აღნიშნული ორი ტერმინიდან ირჩევს და უპირატესობას ანიჭებს "საცნაურს" (უიშვიათეს შემთხვევებში მასთან გვხვდება, აგრეთვე, "გონიერი" და "გულისხმისსაყოფელი"). ეფრემის ტერმინულ არჩევანს ერთგულად იცავს გრიგოლ აკრაკანტელისა და ოლიმპიოდორეს ეკლესიასტესეული კომენტარების მთარგმნელი, აგრეთვე იოანე ჭიმჭიმელი, რომელმაც ქართულად გადმოიღო თეოფილაქტე ბულგარელის განმარტებები მარკოზისა და ლუკას თავებისა.

მეორე მხრივ, არსენ იყალთოელი თავის გვიანდელ თარგმანებში უმთავრეს ნოერულ-ნოეტურ ტერმინად მოუხმობს "გონიერს", თუმცა ზოგ შემთხვევაში, ეფრემ მცირის უშუალო გავლენით, მასთანაც ვლინდება "საცნაური" და "გულისხმისსაყოფელი".

არსენის მიერ დაფუძნებული გელათური სკოლა მთლიანად ითვისებს

¹ სამგზის *νοσητος* თარგმნილია, როგორც "გონებითი": "არცა მოეწყუროს სიყმილი(?) გონებითი" (47; 1301 A); "მოსესა ვიდრემე სახე მოაქუნდა... გონებითთა ისრაიტელთა მვედართმთავრისა" (46 v; 1300 A); "ხოლო იყო ლამე და რეცა გონებითი ლამე" (105; 164 B).

² მართალია, ხსენებულ თარგმანში ერთგან გვხვდება "საცნაური", მაგრამ იგი ნიშნავს არა სულიერს, უნივთოს, ნოეტურს, არამედ "ცხადს", "საჩინოს". აი, ეს აღგილი: "საცნაურისა... ნიშნისა მიერ ცხადად იცნობებოდა" (195). ამ მნიშვნელობით "საცნაური", საზოგადოდ, ცნობილია ძველ ქართულ მწერლობაში. გავრცელებული შესიტყვება "საცნაურ არს" სწორედ ამას ნიშნავს (ე.ი. "ცხადია", "გასაგებია"). ამ მნიშვნელობიდან გამომდინარე, "საცნაურს" (საჩინოს მსგავსად) შეუძენია "ცნობილის", "სახელგანთქმულის" შინაარსი. მაგალითად: "მოვედ ჩუნდა ქალაქსა ამას საცნაურსა" (იოვანე ოქროპირის ცხოვრების" ძველი ქართული თარგმანი... რ.გვარამიას გამოც. თბ. 1986, გვ. 100, 23; იხ. გამოცემაზე დართული ლექსიკონი, გვ. 161).

³ იხ. "საბას ცხოვრება" (ვ. იმნაიშვილის გამოც. გვ. 58.8; Vita, 223).

დამფუძნებლისათვის ნიშანდობლივ ძირითად ტერმინთშესატყვისობას და თითქმის აბსოლუტიზებას ანიჭებს მას. ჰომოგენური ტექსტების მეექვსე ჯგუფი, რომელიც სხვა შრომებთან ერთად მოიცავს ამონიოსის, მაქსიმეს, თეოფილაქტესა და იოანე ქსიფილინოსის შემოგანხილულ თხზულებათა თარგმანებს, *νοερος/νοητος*-ის თითქმის ერთადერთ, უცვლელ შესატყვისად წარმოგვიდგენს ტერმინ "გონიერი".

რა ვითარება გვაქვს იოანე პეტრიწთან?

ზემოთ დამოწმებული გვქონდა პეტრიწის სიტყვები იმის თაობაზე, რომ ბერძნული *νοητος* უნდა ითარგმნოს, როგორც "გასაგონოდ", მაგრამ ეს საგულისხმო აზრი მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის გვიანდელ ხანას ეკუთვნის, კერძოდ იმ ხანას, როდესაც მას ქართულად გადმოჰქონდა პროკლეს ცნობილი შრომა. რაც შეეხება ნემესიოსის წიგნს, იქ სხვა სურათია.

აქვე შეიძლება ითქვას შემდეგი: ნემესიოსისა და პროკლეს თხზულებათა თარგმანების შემოაღნიშნული ტერმინოლოგიური ასპექტით შესწავლა საშუალებას გვაძლევს მივანიშნოთ პეტრიწის ქრონოლოგიური ადგილი XI-XII სს-ის ქართულ პატრისტიკაში.¹

კვლავ გავიხსენოთ, რომ ნემესიოსი უფრო ადრეა თარგმნილი პეტრიწის მიერ, ვიდრე პროკლე. ეს გარემოება დიდმნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც პირველი მათგანი (ნემესიოსის წიგნი) შემოხსნებულ ტერმინებთან დაკავშირებით **ზედმიწევნით** იცავს იმ მყარ, თითქმის უგამონაკლისო ტერმინთშესატყვისობას, რაც, როგორც ვნახეთ, მოცემულია ამონიოსის შრომის თარგმანში და აგრეთვე, ტერმინულ სტრუქტურათა მეექვსე ჯგუფის სხვა ძეგლებში (სათანადო დამოწმებები ზემოთ წარმოვადგინეთ). ეს ტერმინთშესატყვისობაა:

***νοερος/νοητος* - "გონიერი".**

რათქმაუნდა, მეტად უჩვეულოა, რომ პეტრიწი ნემესიოსის ხსენებულ თარგმანში არანაირად არ მიჯნავს ტერმინულად ბერძნულ *νοερος*-სა და *νοητος*-ს. ამგვარი, რამ უჩვეულოა, რადგანაც, როგორც ცნობილია, ერთერთი ნიშანთვისება პეტრიწისეული ნოეტიკისა გულისხმობს სწორედ ამ ორი ტერმინის გამიჯვნას, რის ნიმუშებიც მრავლადაა პროკლეს შრომის თარგმანში.

სრულიად აშკარაა, რომ მთარგმნელობითი მოღვაწეობის შედარებით ადრეულ ეტაპზე პეტრიწი სავსებით იზიარებდა არსენის მიერ აქცენტირებული და შემდეგ არსენისგანვე დაფუძნებული გელათური სკოლის მიერ თითქმის აბსოლუტიზებული შემოგანხილული ტერმინთშესატყვისობის (*νοερος/νοητος* - გონიერი) მიზანშეწონილობას. ჩანს, რომ მხოლოდ მოგვიანებით მიიჩნია პეტრიწმა აუცილებლად *νοητος*-ის *νοερος*-ისაგან გამიჯვნა.

ხაზგასასმელია, რომ ნემესიოსის წიგნის თარგმანი ზემოაღნიშნული ტერმინული ასპექტით გვერდით უდგას არა არსენისეულ ტექსტებს, არამედ არსენის მომდევნო გელათურ თარგმანებს, ე.ი. ტერმინულ სტრუქტურათა მეექვსე ჯგუფის ძეგლებს (XII ს.-ის შუა წლები), რადგანაც ნემესიოსის თარგმანშიც ისევეა აბსოლუტიზებული ხსენებული ტერმინთშესატყვისობა,

¹ იოანე პეტრიწის მოღვაწეობის დროის შესახებ ნაწილობრივ შეჯამებული სახით იხ. ჩვენი სტატია "იოანე პეტრიწის ცხოვრება და მოღვაწეობა", ჟურნ. "რელიგია", 1994, n.3-4-5, 1995, n.1-2-3.

როგორც ამონიოსის შრომასა და მის ჰომოგენურ ტექსტებში.

მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

1. *νοερος* - გონიერი:

"კაცისა სულისაგან გონიერისა და სხეულისა რჩეულად შემზადებად" (3. 7; 504 A); "ხოლო გონიერად თქუმისათვის სულისა ვინაჲვე იჭუნი მოაქუნდეს" (3. 10; 504 A); "გონიერად შექმნა იგი?" (3. 12; 504 A); "გონიერებად (*το νοερον*)... ბუნებით მოუგის სულსა" (3. 12-13; 504A); "თანაშეეხების... გონიერთა ბუნებათა" (7. 6; 508A); "განუსაზღვრებენ გრძნობასა სულად გონიერად" (74. 15; 637A)¹

2. *νοητος* - გონიერი:

"შორის საზღვართაჲსა არს კაცი გონიერთა და გრძნობადთა არსებათაჲსა" (7. 10; 508 A); "ერთისა მიმართ შეკრიბნა გონიერნი და უხილავნი" (10. 9; 512 B); "გონიერისა არსებისა... ჯერ იყო" (10.15; 512 B); "სული თქუა... არსებად გონიერად" (24. 15; 537A); "გონიერთა არსებათა მარადლე დაერთვისო" (43. 6; 573A); "გონიერთა ესევეთარი აქუს ბუნებად" (53. 3; 593A); "გონიერთა შორის შეერთებად უკუე იქმნების" (53. 10; 596A); "არა აქუს გონიერთა მეზრ ბუნებითი შეცვალება" (53. 12; 596A); "გონიერნი უქცევ არიან არსებით" (53. 20; 596A); "გონიერთა მიეახლების" (54. 11; 597A); "არა დაიყენებინ სხეულთაგან გონიერნი" (55. 1; 600A); "გონიერ უკუე არს და გონიერთაცა შორის ადგილთა არს" (55. 4; 600A); "ხატსა ვინაჲვე მიითუალავს გონიერისასა" (73. 2; 633A); "მიითუალავს გონიერთა გონებისა მიერ" (89. 17; 661A); "აღივსნებიან... გონიერნი შემთხუვევით" (89. 22; 661 A); "საკუთრებით გონიერისა... მომვსენე ვართ" (90. 1; 661A); "გონიერთად იქმნების მითუალვად" (90. 3; 661B); "შეუძლებელ არს ესე გონიერსა არსებასა ზედა ქმნად" (45. 28; 580A); "არა ადგილოვნებით იტყვს მას განფენად, არამედ გონიერებრივ (*νοητως*)" (46.8; 580A);²

როგორც დამოწმებული ნიმუშები ცხადყოფს, ნემესიოსის წიგნში, ისევე როგორც ამონიოსის შრომაში და მის ჰომოგენურ ტექსტებში, თითქმის აბსოლუტიზებულია *νοερος/νοητος*-ის თარგმნა ტერმინით "გონიერი".

განსაკუთრებით საყურადღებოა საკუთრივ *νοητος*-ის "გონიერად" თარგმნა, რადგანაც სწორედ ეს შესატყვისობა შეცვალა შემდეგში პეტრიწმა. პროკლეს თხზულების, ქართული ტექსტის მიხედვით სრულიად ცხადია, რომ ამ დროისათვის პეტრიწი ტერმინულად უკვე აშკარად მიჯნავს *νοερος*-სა და *νοητος*-ს. პირველ მათგანს კვლავ "გონიერად" თარგმნის იგი, ხოლო მეორე მათგანისათვის ე.ი. *νοητος*-ისათვის ახალ შესატყვისობას ამკვიდრებს. ეს

¹ ერთგან *το νοερον* თარგმნილია, როგორც "გონებად": "... სულისა და გონებისა სისრულისათვის" (101. 30; 680B); შესაძლოა მთარგმნელისეულ ტექსტში იყო "გონიერებისა" (შდრ. ლათ. *intelligentiam*)

² ორგზის *νοητος* თარგმნილია, როგორც "გონებითი", რაც, ასევე, ტერმინულ სტრუქტურათა მეექვსე ჯგუფისაკენ მიგვაქცევინებს ყურადღებას (იხ. ზემოთ იოანეს სახარების თეოფილაქტესეული "განმარტებიდან" დამოწმებული ნიმუშები). აი, ეს ორი შემთხვევა: "გონებითსა აგრძნობს" (35. 4; 557B); "ექმნეს... გონებითსა ადგილსა" (55. 28; 601A)

ახალი შესატყვისობა უმთავრესად გულისხმობს ზემოაღნიშნულ ტერმინს "გასაგონოდ" ("განსაგონოდ", "საგონოდ"), რომელიც, გამოცემაზე დართული ტერმინოლოგიური ლექსიკონის მიხედვით, პროკლეს თარგმანში ცხრაგზის გვხვდება. ორგზის მის ნაცვლად თავს იჩენს "გონებითი" (ერთგზის "გაგონებითი") და ასევე ორგზის "გონიერი", ეს უკანასკნელი ბერძნულ შესატყვისად, ცხადია *νοερος*-ს გულისხმობს, რაც, ალბათ, უნდა ყოფილიყო კიდევ ორიგინალის პეტრიწისეულ ხელნაწერში (როგორც აღვნიშნეთ, *νοερος*-ისა და *νοητος*-ის ვარიანტული მონაცვლეობანი ჩვეულებრივია ბერძნული ხელნაწერებისათვის). რაც შეეხება საკუთრივ *νοερος*-ს, პროკლეს თარგმანში (იმავე ლექსიკონის მიხედვით) მისი ძირითადი შესატყვისია "გონიერი", რაც თექვსმეტგზის დასტურდება. ერთ შემთხვევაში მას ცვლის "გონებითი", ასევე თითოგზის "გონებრივი" და "გონიერებრი" (ორგან *νοερας* თარგმნილია, როგორც "გონებრივ"). ერთ ადგილას თავს იჩენს "გასაგონოდ", რაც ზემოაღნიშნულის მსგავსად, (საპირისპირო მხრით) უთუოდ გვაგვარაუდებინებს, რომ ორიგინალის პეტრიწისეულ ნუსხაში იქნებოდა არა *νοερος*, არამედ *νοητος* (შესაძლოა ეს ითქვას, აგრეთვე, იმ შემთხვევებზე, როდესაც ქართულ თარგმანში "გონებითი" გვაქვს).

ზემოთქმული უცილობლად ცხადყოფს, რომ პროკლეს თარგმნის დროს პეტრიწისათვის ნიშანდობლივია შემდეგი ტერმინთშესატყვისობა: "*νοερος* - გონიერი", "*νοητος* - გასაგონოდ"²

ამგვარად, წარმოდგენილი მასალის საფუძველზე, ჩვენი აზრით, გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ნემესიოსის თარგმანი ზემოგანხილული ტერმინთშესატყვისობის თვალსაზრისით ითვისებს და იზიარებს გელათის საღვთისმეტყველო სკოლის ნოეტიკას, რაც, ვფიქრობთ, ხანგრძლივად ვერ დააკმაყოფილებდა პეტრიწს. მართლაც, პროკლეს თარგმნის დროს იგი აყალიბებს ახალ, მართოდენ მისთვის ნიშანდობლივ ტერმინთშესატყვისობას, ეს გარემოება კი ხსნებულ თარგმანს პროკლეს წიგნისას ამონიოსის შრომისა და მისი ჰომოგენური ტექსტების (გელათური ტექსტების) შემდეგდროინდელად წარმოგვიჩენს.

ამონიოსის შრომათა ქართული თარგმანები და, საზოგადოდ, ზემოაღნიშნული ჰომოგენური ძეგლების VI ჯგუფი პეტრიწისეული ტექსტებისაგან სხვაობს, აგრეთვე, ტერმინ *γνωσις*-თან დაკავშირებით.

ეს ტერმინი, როგორც ცნობილია, ნიშნავს "ცოდნას", "მცოდნეობას", "ცნობადობას" და იგი ძველ ქართულ მწერლობაში უმთავრესად ითარგმნებოდა ორგვარად: "ცნობად" და "მეცნიერებად". მაგალითად:

1 პროკლეს თარგმანში ზემორე ტერმინთა დამოწმებანი მითითებულია ხსენებული ტერმინოლოგიური ლექსიკონის შემდგენლის ს. ყაუხჩიშვილის მიერ (იხ. პეტრიწი, 1, გვ. 157; 253, 255).

2 ერთგან "გასაგონოდ" გადმოსცემს ბერძნულ ტერმინს *νοσημενος* (იხ. პეტრიწი, 1, გვ. 183), რაც სავსებით კანონზომიერია, რადგანაც *νοσημενος* სინონიმურია *νοητος*-ისა.

I. *γνωσις* - მეცნიერება:

"მეცნიერებისა ცა თუალითა იხილნე საქმენი" (სინური მრავალთავი 7.5; Pg. 10, 1152D); "მეცნიერებითა ღმრთისადათა სულნი ღმრთისმოყუარეთანი აღავსნა" (იქვე 37. 26; Pg. 56, 392A); "შეკრების ჩუენ თანა მეცნიერებად ერთისადა" (შატბერდის კრებული 82. 5; 82. 7; Pg. 44, 153C; შდრ. გიორგი: "ერთსა ცნობასა შემოგვკრებს ჩუენ", გვ. 37); "არათუ შურობს იგი ჩუენთვს მეცნიერებასა" (ბასილი, ექუსთა დღეთადა, 3.2; ძვ. თარგ. 40. 29; შდრ. გიორგი: "არათუ გულისგმისყოფად შურდა ჩუენთვს" 28. 32).

II. *γνωσις* - ცნობა:

"ამან მთრვალობამან (იგულისხმება საღვთო სიმთვრალე, ე.ჭ.), რომელღა-იგი არა იცინ, მისი ცნობად მოანიჭის" (სინური მრავალთავი 188. 35; Pg. 33, 989); "ნათლითა მით ჯუარისადათა ცნობად იგი გამობრწყინდების" (იქვე 234, 16); "ესეცა ცნობად ჯუარისაგან გუესწავა" (იქვე 235. 11; ბერძნ. ორიგინალი Pg. 56, col. 679-682); "გემოდ მისი არს ცნობად კეთილისა და ბოროტისადა" (შატ. კრ. 101. 25; Pg. 44, col. 197 B; შდრ. გიორგი: "რომლისა ჭამად ცნობად არს კეთილისა და ბოროტისადა", გვ. 92); "ცნობად ამას ადგილსა, ვითარ წიგნი იტყვს, არა მეცნიერებად (*ἐπιστημην*) არს" (იქვე 102. 1; 197C; შდრ. გიორგი: "ცნობად ამას ადგილსა არა ველოვნებასა, არცა გონიერებასა სახელ-სდებს წიგნი" გვ. 93); "ცნობად არაოდეს მოასწავებს, ვითარმცა იყო იგი მეცნიერება და ველოვნება (*την ἐπιστημην τε και την εὐδοκίαν*)" (იქვე, 102. 7; 197D; შდრ. გიორგი: "ცნობად არა ველოვნებასა და მეცნიერებასა წარმოაჩენს", გვ. 93); "საკვრველ იქმნა ცნობად შენი ჩუენგან" (ფს. 138. 6; ბასილი, ექუსთა დღეთადა, 9.6; ძვ. თარგ. 134. 4; გიორგი 112. 18).

ორივე ტრადიციული ტერმინი თანაბარი სიხშირით გვხვდება ეფრემ მცირესთან. მოგვაქვს საილუსტრაციო ნიმუშები:

I. *γνωσις* - ცნობა

"რომლისა შორის ყოველი ცნობად... პირველითგან იყო" (დიონისე არეოპაგელი, შრომები, 1.1.4; ს.ენუქაშვილის გამოც. 9.36); "ყოველისაგანვე ღმრთისსახელობითისა ცნობისა კიდე განიყვანებდა მას" (1. 6; 11. 27); "პირველითგანვე აქუს ყოველთავე მეცნიერებად და ცნობად (*εὐδοκίαν και γνωσιν*)" (7. 2; 71.11-12); "წინააღმდგომთაგან... განშორებად და ცნობად არსთადა" (III. 1.3; 158. 16).

II. *γνωσις* - მეცნიერება:

"არა ჯერ-არს უგულებელს-ყოფად სხუათადა მიმთუალველთაგან საღმრთოდსა მეცნიერებისათა" (დიონისე არეოპაგელი 1. 3.3; 29. 3); "შემოჰკრებს ერთისა მიმართ... მეცნიერებისა" (1. 4.5; 35. 9-10); "არცა ყოველთა არს მეცნიერებად" (III. 1.4; 159. 10); "მეცნიერებად ღმრთისა ყოფისადა მის მიერ ბუნებით დათესულ არს ყოველთა შორის" (იოანე დამასკელი, გარდამოცემა, A-24, 36.

საყურადღებოა, რომ ერთგან ბერძნულ ტექსტში ორგზის გვხვდება *γυωσις*. ეფრემისეული თარგმანი ასეთია: "მეცნიერება-ქმნილსა (*γυωσις* *παρχουσαν*) ყოველთა ცნობათასა" (დიონისე, შრომები, ep. 9.1; 250. 20-21).

აღნიშნული შემთხვევა ცხადად აჩვენებს, რომ ეფრემ მცირე ერთი და იგივე ბერძნული ტერმინის (*γυωσις*) შესატყვისად თანაბარი უფლებამოსილებით იყენებს ტრადიციულ ტერმინებს "ცნობად" და "მეცნიერებად". თუმცა ეს უკანასკნელი ("მეცნიერებად") ოდნავ მაინც უფრო ხშირად გვხვდება მასთან. თითქმის ასეთივე ვითარება გვაქვს არსენ იყალთოელთანაც. ისიც ხსენებულ ბერძნულ ტერმინს ორივე ქართული შესატყვისით გადმოსცემს. ამის კარგი ნიმუშია იოანე დამასკელის "დიალექტიკა", რომლის ქართულ თარგმანთა ტერმინოლოგიური ლექსიკონი (უალრესი გულმოდგინებით შედგენილი მ.რაფაეას მიერ) ზემოთქმულის თვალსაჩინო ილუსტრაციას წარმოადგენს (იხ. "დიალექტიკის" მ.რაფაეასეული გამოც. გვ. 289: "ცნობად - *γυωσις*; გვ. 233: მეცნიერებად - *γυωσις*).

მიუხედავად აღნიშნულისა, მაინც შეიძლებოდა გვეთქვა, რომ არსენთან ეფრემ მცირეზე მეტად იგრძნობა *γυωσις*-ის შესატყვისად ტერმინ "მეცნიერების" პრივილეგირება. ამაზე მიანიშნებს თუნდაც ის შემთხვევები, სადაც ეფრემისეული "ცნობად" მის მიერ "მეცნიერებად" არის შეცვლილი:

ეფრემი

არსენი

აქუს ცნობად (*γυωσις*) დამტევნელი სწავლად ღრამმატიკოსობისა (A-24, 73v1; col. 952 A).

აქუს მეცნიერებად ღრამმატიკოსობისად (S-1463, 73v2)

მშვნვიერ არს ესევითარი იგი ცნობად (*γυωσις*) (114 v 1; col. 1128C)

მშვნვიერი არს მეცნიერებად იგი (92.2)

რაც შეეხება გრიგოლ აკრაკანტელისა და ოლიმპიოდორეს განმარტებებს ეკლესიასტეს შესახებ, აგრეთვე, იოანე ჭიმჭიმელის მიერ თარგმნილ თეოფილაქტე ბულგარელის ევანგელურ კომენტარებს (მარკოზისა და ლუკას თავები), რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ, დიდ ნათესაობას ამჟღავნებენ ეფრემ მცირის ტერმინოლოგიასთან (ეჭვი არ არის, რომ იოანე ჭიმჭიმელიცა და ეკლესიასტეს ზემოაღნიშნულ განმარტებათა უცნობი მთარგმნელიც, რომელსაც კ.კეკელიძე იმავე იოანე ჭიმჭიმელთან აიგივებს, უთუოდ ეფრემ მცირის მოწაფეები არიან), მათში ბერძნული *γυωσις* თითქმის უგამონაკლისოდ თარგმნილია, როგორც "მეცნიერებად". მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"თავად სიბრძნისა და მეცნიერებისა მიწევნულ" (გრიგოლ აკრაკანტელი, - ფსევდო მიტროფანე ზმირნელი, კ.კეკელიძის გამოც. გვ.17.13; Pg. 98,781A); "...მეცნიერებით იქმ ცოდნასა" (76. 10; 945A); "ქმნას სიბრძნითა მეცნიერებისადათა წილისმიცემად სხუათად" (108. 1; 1009A); "გულისსიტყუად და მეცნიერებად და სიბრძნე" (ეკლ. 9.10; დასახ. შრომა 133. 4; col. 1076 B); "არათუ... განჰყრიდა... არსებითსა მეცნიერებასა" (133. 24;1077A); "არავინ მოსავი... სიმდიდრესა... მეცნიერებისასა უდებმყოფელ იბოოს" (135. 20; 1081A); "მითუალულ იქმნენ... საღმრთოდასა მეცნიერებისა თუალთაგან" (163.6;

1137B);¹ "... მეცნიერებისა" (ოლიმპიოდორე, თარგმანებად ეკლესიასტისად, A-61, 2.1; Pg. 93, 477C); "უმეტესი მეცნიერებად მიიღო" (თეოფილაქტე, ლუკას თავის განმარტება, A-113,3.1; col. 692 D); "გარდაგებულ არს... მეცნიერებად მისი" (იქვე 199 v 2; 1065 C); "ნანდვლვე მაღალ... მეცნიერება არს ზესთა გონებისა იგი უმეტრებად (*αγνοσια*), ოდეს-იგი არღარა გონება მოქმედებდეს, არამედ მოქმედებულ იქმნებოდის" (199v2; 1065C); "მეცნიერებად" (16 v 1; 720 A-B).

ზოგადად ასეთ სახეს გვიჩვენებს ხსენებული ბერძნული ტერმინის ქართულად თარგმნის ისტორია ვიდრე VI ჯგუფის ჰომოგენურ თარგმანთა გაჩენამდე. ამჯერად გასარკვევია, თუ რა ვითარება გვაქვს, ერთი მხრივ, აღნიშნულ თარგმანებში, მეორე მხრივ კი, პეტრიწისეულ ტექსტებში.

არსებული ნიმუშების სიმრავლე სავსებით ცხადად აჩვენებს, რომ ზემოხსენებული VI ჯგუფის თარგმანებში ბერძნული *γνωσια* ძალიან ხშირად და აშკარა ტერმინული შესატყვისობით გადმოტანილია, როგორც "მეცნიერებად", ე.ი, ხსენებულ შრომათა მთარგმნელი (თუ მთარგმნელები) ორი ტრადიციული შესატყვისიდან ბერძნულის შესაფერის მყარ ტერმინად ირჩევს (თუ ირჩევენ) "მეცნიერებას". საპირისპიროდ ამისა, იმავე ტერმინული შინაარსით იოანე პეტრიწთან გვხვდება "ცნობად". პეტრიწი საერთოდ უარყოფს მეექვსე ჯგუფის ტექსტებისათვის ტერმინულად ნიშანდობლივ "მეცნიერებას". ამგვარი ვითარება გვაქვს არა მხოლოდ პროკლეს შრომის თარგმანში, არამედ ნემესიოსის წიგნშიც, რაც ცხადყოფს, რომ ხსენებული ტერმინთშესატყვისობა (*γνωσια* - "ცნობად") ძირითადი იყო პეტრიწისათვის მოღვაწეობის როგორც აღრეულ, ასევე გვიანდელ პერიოდში. მეტიც, სიტყვა "მეცნიერება" გნოსეოლოგიური აზრით აღნიშნულ ორ თარგმანში არცერთხელ არ ვლინდება. მსგავსადვე, არ გვხვდება იგი საკუთრივ პეტრიწისეულ კომენტარებშიც (როგორც ჩანს, ამჯერადაც იგივე ვითარება გვაქვს, რაც ზემოთ ტერმინ "მოგონებასთან" დაკავშირებით ვნახეთ).

წინასწარი შეფასების შემდეგ მოვუხმობთ სათანადო ნიმუშებს:

1. ტერმინულ სტრუქტურათა VI ჯგუფის ჰომოგენური თარგმანები

γνωσια - მეცნიერებად:

"ვერ შემძლებელი განაღა განფენად სიგრძესა მეცნიერებისასა" (მაქსიმე, გელ. 14, ფოტო 78. 2; 381 A); "რომელთა შინა არს მეცნიერებად სრულთად" (ფ. 78. 2; 381 A); "ვერ შემძლებელ... მეცნიერებისაებრ (*κατα την γνωσιν*) მიღებად მთრვალობისა" (ფ. 79, 1; 381 B); "მეცნიერებისანი" (ფ. 155; 881 B); "მეცნიერებითა საღმრთოთათა" (ფ. 159; 888D); "ველმწიფებასა მეცნიერ-

¹ გრიგოლ აკრაკანტელის შრომის ხსენებულ თარგმანში ერთადერთი გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც *γνωσια*-ს შესატყვისება "გულისხმისყოფად": "მე სიბრძნემან შევჰმზადე ზრახვად და გულისხმისყოფასა მოვჰხადე" (115. 31; 1028A), მაგრამ მოტანილი ადგილი არის ციტატა "იგავთა" წიგნის 8.12 მუხლისა და საფიქრელია, რომ მთარგმნელი ხსენებული ბიბლიური წიგნის წინარე თარგმანს ეყრდნობა.

² ერთგან აღნიშნულ თარგმანშიც გვხვდება "გულისხმისყოფა": "გულისხმისყოფად წერილთა" (A-102, 26. 2; 553B).

³ აღვნიშნავთ, რომ ძირითადი ტერმინი "ცნობად" პეტრიწის მიერ ზოგჯერ წარმოდგენილია სინონიმური წყვილის სახით: "ცნობად და უწყებად", "ცნობად და საუწყობად". უიშვიათესად კი ეს უკანასკნელი ტერმინი ("უწყებად", "მეუწყეობად") ენაცვლება კიდევ "ცნობას".

ებისა" (ფ. 158; 888C); "შემწყნარებელთა მეცნიერებისათა" (ფ. 202. 2; 604 D); "მეცნიერებად მყოფთა" (ამონიოსი 7.32; 6.9); "მეცნიერებად ვითამე არს მეცნიერება, ვინაჲცა ერთბამად და ზოგად შემოიღების მეცნიერებად და ვიეთიმე მეცნიერებად" (იქვე 8.6-8; 6.18-19); "მეცნიერებათაგანნი რომელნიმე ველოვნებათა შეეტყუებიან" (8. 18; 6.28); "მეცნიერებისა მყოფთაჲსა სამარადისოდ მქონებელთაჲსა" (10. 31; 9.18); "სახელ-სდვეს... ამისსა მეცნიერებასა ფილოსოფოსობად" (10. 41; 9.21); "სიბრძნედ, ვითარცა ეგერა ითქუა, მეცნიერებად ღმრთისაჲ სახელ-იდების" (10. 42; 9.23); "არს ვარსკულავთმრიცხველობად მეცნიერება რაოდენისა შერწყუმულისა" (15. 5; 14. 10); "არითმიტიკი არს მეცნიერებად რაოდენისა თავით თვისით განსაზღვრებულისაჲ" (15. 16; 14. 18); "არს მუსიკობად მეცნიერებად რაოდენისა განსაზღვრებულისაჲ" (15. 20; 14. 21); "ფილოსოფოსობად არს მეცნიერებად ყოველთა მყოფთაჲ" (17. 4; 17. 1); "თვნიერ ამათისა მეცნიერებისა ზედამიწევნით ცნობად (*γνωσθησαι*) სხუათაჲ შეუძლებელ არს" (23. 38; 25. 16); "ნაცვალად ამათისა მეცნიერებისა" (33. 10; 38. 6); "ხედვად უწოდენ ფილოსოფოსნი მეცნიერებასა" (33. 11; 38. 7); "ბუნებით უპირველესნი მეცნიერებისა ჩუენისათვის უუკუანაჲსკნელეს იქმნებიან და ბუნებით უუკუანაჲსკნელნი მეცნიერებისა ჩუენისათვის უპირველესად" (43. 10-11; 52. 9-10); "ჩუენისა მეცნიერებისა მომართ ითქუმიან ესენი" (74. 23; 97. 5); "დაჰაზრვად ბნელი და შეუტყუებელი მეცნიერებად" (167. 32; 79. 10); "დაჰნიშნავს ყოველთაგან მეცნიერების ქონებულობასა და ყოვლით-კერძო ვუებულობასა მეცნიერებისაგან" (168. 17-18; 80. 4-5); "მკურნალთა ნიშანნი რაჲმე ჰქონან მეცნიერებისა მიერ" (171. 1; 82. 17); "არღა მოწევნულ იყო სრულად მეცნიერებად" (თეოფილაქტე, იოანეს თავის განმარტება, A-52, 14; col. 1185C); "უმტკიცესსა შინა მეცნიერებასა... დაამყარებენ თავთა" (იქვე 17 v; 1201); "მეცნიერებად, რომელი გაქუს ჩემთვის, არა არს სულიერი, არამედ მშენვერი" (18 v; 1204A); "ცხად-ჰყოფს... მეცნიერებასა" (20; 1208 B-C); "ცოდვად გაქუს-ყე, ვითარცა მეცნიერებასა შინა მცოდველთა" (75; 64D); "განუცხადა... მეცნიერებად" (111 v; 184A); "კითხვისა მიერ მეცნიერებასა ცნობილთასა" (მაქსიმე, *Ambiguorum Liber*, ხელნ. A-52, 153; col. 1061A).

ამგვარია ვითარება ტერმინულ სტრუქტურათა VI ჯგუფის ძეგლებში, სადაც ძალიან ხშირად და თითქმის უგამონაკლისოდ² დაცულია ხსენებული ტერმინთშესატყვისობა: *γνωσις* - "მეცნიერება".

II. პეტრიწისეული თარგმანები:

¹ ეს ნიშნუში დამოწმებულია მ.რათავას მიერ, რომელიც ბერძნულ შესატყვისად უთითებს *διαγνωσις*-ს (დასახ. გამოც. გვ. 200). მართალია, ბერძნულ ტექსტში გვხვდება *διαγνωσεως* (82. 17), მაგრამ ცხადია, რომ მთარგმნელს ეს სიტყვა გაუგია დაცალკევებულად როგორც *δια γνωσεως* და ამიტომაც უთარგმნია "მეცნიერებისა მიერ". ე.ი. აქაც "მეცნიერება" მოხმობილია *γνωσις*-ის შესატყვისად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე.ი. მთარგმნელს რომ მართლაც *διαγνωσεως* ჰქონოდა მხედველობაში, ქართული თარგმანი ასეთი იქმნებოდა: "მკურნალთა ნიშანნი რაჲმე ჰქონან მეცნიერებისანი" (და არა "მეცნიერებისა მიერ"). აღვნიშნავთ, რომ ტერმინ "მეცნიერების" ზოგადი დამოწმებანი მ.რათავას მიერ მითითებულია (გვ. 243).

² ტერმინ "მეცნიერების" ნაცვლად ერთგან "ცნობად" გვხვდება მაქსიმეს შრომათა გელათურ თარგმანებში: "ცნობასა საიდუმლოთასა" (გელ. 14. ფ.202. 2; col. 604D). ამავე თარგმანებში ერთ ადგილას ციტირებულია II კორინთელთა 11. 6: "მსოფლელ სიტყვთა, იტყვს, გარნა არ ცნობითა" (ფ. 190. 1; 581A). იქნებ აქ მელავნდებოდეს გავლენა "პავლეთა" ქართული თარგმანისა, რომლის გიორგისეულ და ეფრემისეულ რედაქციებში ასევე "ცნობად" გვაქვს დავძენთ, რომ *γνωσις*-ის შესატყვისად გვხვდება, აგრეთვე, ტერმინი "შემეცნება": "უმალლესთა ზედა შემეცნებისათვის" (ფ.169.2; 536D; ასევე: ფ.181.1; 557A).

პეტრიწი, როგორც აღვნიშნეთ, პირიქით, იცავს მეორე ტერმინთშესატყვისობას: *γνωσις* - "ცნობად", მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"წარმართებისათვის ბუნებითა ცნობათა (ნემესიოსი 5.2; 5Q5A); "იყო უკუე გემოდსხილვა რომლისამე ნაყოფისა შემქმნელი ცნობისა თვისისა ბუნებისადასა" (12. 20; 516A); "არა რომელი შესაძლებელი ცნობად განველტას გრძნობასა" (74. 8; 636B); "ცნობისაგან არა ნაკლულევან ვიქმნეთ" (125. 12; 717B); "ბუნებითი ყოველთა კაცთა ცნობად ჩუენმიერისად დათესულ არს" (153. 27; 765B); "ცნობად მიზეზთად საქმე და აღსასრული არს... ველოვნებისად" (პროკლე 11. 18); "უსაზღვროთა არ რომელთა იყოს ცნობად" (იქვე 12. 4); "გონიერი ცნობად არს დასაბამი და მიზეზი მცნობელობისად" (იქვე 18. 15); "რომელთამე მეგრ ცნობით აქუნდეს თანმეგრძნობად" (იქვე 30. 2); "ცნობად თვისი თვისდადვე მიმართ" (იქვე 53. 10); "ცნობად ვითარ მოქმედებად არს მცნობელისა" (იქვე 53. 10) "ცნობად დაფარული და მიუხებელი" (იქვე 74. 3); "ცხოვლობად არს ცნობად და უწყებად" (იქვე 112. 22); "ეზიარებიან ცნობასა და უწყებასა" (იქვე 63. 22); "ცხოველობად ცნობა და საუწყო" (იქვე 64. 23).¹

წარმოდგენილი ნიმუშები უთუოდ ცხადყოფს, რომ ხსენებული ბერძნული ტერმინის თარგმნის დროს ამონიოსის შრომები და მისი ჰომოგენური ტექსტები ერთ ტრადიციას იცავს, ერთ ტრადიციას ანიჭებს შესაძლო აბსოლუტიზებას, პეტრიწისეული ტექსტები კი მეორეს.

* * *

იოანე პეტრიწის ტერმინოლოგიისათვის მკვეთრად ნიშანდობლივია თითქმის მთლიანი უარყოფა ქართული ენის ერთ-ერთი უძირითადესი ლექსიკური ერთეულისა "მოძრაობად" ("ძრვად") და მისი შეცვლა სიტყვით "მიდრეკად". სწორედ ამ სიტყვით ითარგმნება პეტრიწის მიერ ბერძნული *κινήσις*. ეს ფაქტი აღნიშნული აქვს დ.მელიქიშვილს, რომელიც გვაუწყებს:

"მოძრაობის" - ცნებისათვის იოანე პეტრიწის შრომებში დამკვიდრებულია ტერმინი მიდრეკა (და მისგან ნაწარმოები ტერმინები: მიდრეკადი, მიმდრეკი, თვთმიმდრეკი...). ეს ტერმინი პეტრიწისათვის იმდენად დამახასიათებელი და ნიშანდობლივია, რომ ეს ნემესიოს ემესელის პეტრიწისეული თარგმანის ერთ-ერთი ხელნაწერის გადამწერსაც შეუნიშნავს და საგანგებოდ აღუნიშნავს კიდევ ხელნაწერის არშიაზე: "მიდრეკად ძრვისა და მოძრაობისა ნაცვალად დაუც ყოველგან... იოვანეს პლატონურსა ფილოსოფოსსა"... ტერმინი მოძრაობად... პეტრიწის უცილობელ ნაშრომებში არ გვხვდება, მაშინ, როდესაც ამონიოს ერმიასის მთარგმნელისათვის იგი დადგენილი ტერმინია (ჯერ კიდევ ეფრემისა და არსენის მიერ "დიალექტიკის" თარგმანში)".

¹ სათანადო ადგილები პროკლეს წიგნიდან მითითებულია ს.ყაუხჩიშვილის მიერ (პეტრიწი, 1, გვ. 139). ამავე მკვლევარის მითითებიდან ჩანს, რომ, როგორც აღვნიშნეთ, იშვიათად "ცნობას" პეტრიწთან ენაცვლება ტერმინები "უწყებად", "მეუწყეობად" (იხ. იქვე).

² დ.მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის "განმარტების" ბოლოსიტყვაობის შედგენილობისა და ზოგი ახალი წყაროსათვის, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 27, თბ. 1988, გვ.170.

აღნიშნული ტერმინოლოგიური თავისებურება იმდენად უჩვეულოა, რომ პეტრიწისეულ თარგმანთა ძიებისას შეგვიძლია უტყუარ სანიშნედ დავსახოთ იგი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ხსენებული ტერმინული სიახლე სრულყოფილად ვლინდება როგორც პროკლეს, ასევე ნემესიოსის წიგნის მისეულ თარგმანში, ე.ი. როგორც მოგვიანო, ასევე უფრო ადრეულ ეპოქაში პეტრიწის მთარგმნელობითი მოღვაწეობისა. თუ რა სურათს გვიჩვენებს საკუთრივ პროკლეს შრომის თარგმანი, ამაზე ამომწურავ წარმოდგენას გვიქმნის ხსენებულ თარგმანზე დართული ტერმინოლოგიური ლექსიკონი (შემდგენელი ს.ყაუხჩიშვილი), რომლის მიხედვითაც აშკარაა, რომ არც თარგმანში, არც კომენტარებში არცერთხელ არ დასტურდება "მოძრაობად", მაშინ როცა მის ნაცვლად აურაცხელი რაოდენობით გვხვდება "მიდრეკად" (აგრეთვე: "მიდრეკილი", "მიდრეკადობად", "მიდრეკადი", "მიმდრეკადი", "მიმდრეკობად", "მიმდრეკელობითი", "მიმდრეკი", "თვთმიმდრეკელობად", "თვთმიმდრეკი", "თვთმიმდრეკობად", პეტრიწი, I, გვ.137; 152; 196; 200; 269; 278).¹

რაც შეეხება ნემესიოსის წიგნს, აქაც ბერძნული *κίνησις*, რომლის დამოწმებანი აურაცხელია, თითქმის ყველა შემთხვევაში ითარგმნება, სიტყვით "მიდრეკად". მაგალითების სიმრავლის გამო ვუთითებთ მხოლოდ დამოწმებათა ადგილებს (ქართული ტექსტისათვის იგულისხმება ს.გორგაძის გამოც., ბერძნულისათვის კი Pg.40):

1. *κίνησις*:

(*κίνημα, κινεω, κινω, κινουμενος*) - მიდრეკად (დრეკად, მიმომიდრეკად, მიმდრეკი, მიმოდრეკად, მიმდრეკელობითი, მიმდრეკელი, მიდრეკილი, მიდრეკადი):

10.7 (მიმომიდრეკათადასა) - 512A; 20.7 - 528C; 22.21 - 533A; 24.14 - 537A; 24.15 - 537A; 25.18 - 540A; 25.19.22 - 540A; 26.15 - 541A; 29.18 (დრეკს) - 548A; 34.18 - 557A; 38.27 - 565A; 39.1.2.3 - 565A; 39.4 - 565B; 39.5.7.8.9.11.12 - 565B; 39.13.15.17 - 565C; 39.20.25.29.30 - 568A; 40.1 - 568B; 40.15 - 569A; 48.3 - 584A; 48.9 - 584B; 48.21 - 585A; 49.1.7 - 585B; 49.19 - 588A; 49.26 - 588A-B; 67.19 - 624B; 68.5 - 625A; 73.5 - 633A; 74.25.26 - 637A; 74.28.29 - 637B; 77.22 - 644A; 78.24 - 644 C; 78.28 - 645A; 81.9.13 (დრეკებოდეს) - 648B; 81.14.15 - 648C; 81.22 - 649A; 87.21 (იდრეკენ). 22 - 657B; 86.4 (მიმოდრეკასაცა) - 653A; 91.20 - 661B (შენ. 66); 93.4 - 668A; 93.17 - 668B; 95.17.18.19.24 - 672B; 96.5 - 572B; 96.21.23.26.27 - 673B; 97.1 - 673B; 97.5.8.10.11 (დრეკად) - 673C; 97.12.14 (დრეკად). 16.19.20 - 676A; 98.2 - 676A; 105.10.12.19 - 685A; 113.7 - 697A; 114.1 - 697C; 114.12 - 697C; 115.1 - 700A; 117.9.10 - 704B; 117.17 - 705A; 117.21 - 705B; 118.27 - 708A; 121.23 (დრეკს) - 712A; 123.12 (მისდრეკს და გზა-ექმნების) - 713B; 127.17 - 720C; 141.11 - 741B; 146.9 - 752A; 146.20 - 752B; 149.18 - 757B; 151.20 - 761B; 155.2 - 768B; 155.26 - 769A (შენ. 78).

¹ მართალია, ე.წ. პეტრიწის ბოლოსიტყვაობის დასასრულ ნაწილში სამგზის გვხვდება სიტყვა "მოძრაობად". მაგრამ ეს ნაწილი, როგორც სავსებით სამართლიანად ვარაუდობს დ.მელიქიშვილი, პეტრიწს არ ეკუთვნის (იხ. იქვე, გვ.170-171). ვგვივარაუდო უფრო ადრე ს.ყაუხჩიშვილმაც გამოთქვა (იხ. პეტრიწი, I, გვ.47). აღნიშნულ საკითხზე იხ. ექვლიძე, იოანე პეტრიწის ცხოვრება და მოღვაწეობა. ეურნ. რელიგია, 1995, 1-2-3, გვ.81-85

II. **ΕΥ-ΚΙΝΗΤΟΣ:**

"მსწრაფლმიდრეკასა" (66.11; 621B); "უმსწრაფლე მიმდრეკ" (66. 12; 621B);

III. **ΔΥΣ-ΚΙΝΗΤΑΤΟΣ:**

"ძნიადმიმდრეკ'თა" (66.10; 621B); "უგვანე მიმდრეკთა" (66.13; 621B);

IV. **ΑΥΤΟ-ΚΙΝΗΤΟΣ:**

"თვთმიმდრეკ" (39.8; 565B); "თვთმიმდრეკად" (24.13; 537A);

V. **ΑΚΙΝΗΣΙΑ:**

"ფუნერ მიდრეკისა" (105.11; 685A); "მიუდრეკელობისა" (105.18; 685A);
"მიუდრეკელობისაგან" (105.18; 685A).

VI. **ΑΚΙΝΗΤΟΣ** - მიუდრეკელი (მიუდრეკ, მიუდრეკელად);

6. 7 (მიუდრეკელად) - 505B; 38.27 - 565A; 38-39 - 565B; 39.1.2.4.6.7 - 565A; 40.11 - 569A; 105.13 (მიუდრეკ) - 685A;

VII. **ΑΚΙΝΗΤΟΤΑΤΟΣ:**

"უმეტეს უდრეკ" (66.10; 621B).¹

* * *

ზემოწარმოდგენილი სურათი აშკარად ცხადყოფს, რომ იოანე პეტრიწი თავისი მოღვაწეობის ადრეული ეპოქიდანვე თითქმის მთლიანად ცვლის ტერმინ "მოძრაობას" ტერმინით "მიდრეკად", რითაც იგი მკვეთრად განსხვავდება არა მხოლოდ VI ჰომოგენური ჯგუფის მთარგმნელისაგან (თუ მთარგმნელებისაგან), არამედ, საზოგადოდ ყველა სხვა ქართველი ავტორისაგან, რადგანაც ტერმინები "ძრვად", "აღძრვად" და "მოძრაობად" უძველესი დროიდან პეტრიწამდე და პეტრიწის შემდეგაც ყოველთვის წარმოადგენდა ბერძნული *κίνησις*-ის უმეტესად გავრცელებულ, მყარ შესატყვისებს. მათ ნაცვლად ტერმინი "მიდრეკად" (მოძრაობის შინაარსით) პეტრიწის გარდა არსად გვხვდება.

1 ზემოწარმოდგენილ დამოწმებათა სიმრავლეში მთელი წიგნის მანძილზე მხოლოდ ერთხელ გაეპარა მთარგმნელს ტრადიციული "მოძრაობად": "... თვსად სადავე მოძრაობად (*κινουμενων*)" (9.17; 509B). ერთგან გვხვდება, აგრეთვე, ზმნა "აღძრვა": "აღძრა წყრომად" (129.12; 724A) ერთ შემთხვევაში გვაქვს სინონიმური წყვილი: "ძრვათა და მიდრეკათა (*κινήσεσις*)" (124.8; 716B); აღვნიშნავთ, რომ ასევე ერთგან "ძრვად" გვხვდება პეტრიწის პროკლესადმი კომენტარებში (211.10). გარდა ზემორე გამონაკლისებისა, ნემესიოსის წიგნში ბერძნული *το κινήτικον* ერთგზის მთარგმნილია, როგორც "მიმომართებლობითი" (94.15 - 669A); *κίνησις* ერთგან გადმოცემულია, როგორც "მიმართებად" (156.10 - 769B), სხვაგან კი, როგორც "მიმართობად" (87.10 - 655A).

ჩვენ განვიხილეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ტერმინი, რამაც საშუალება მოგვცა კონკრეტულად გვეჩვენებინა, თუ რაოდენ მკვეთრად განსხვავდებოდა იოანე პეტრიწის ტერმინოლოგია მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის როგორც ადრეულ, ასევე გვიანდელ პერიოდში ამონიოს ერმისის ძველი ქართული თარგმანისაგან, აგრეთვე, საზოგადოდ, VI ჰომოგენური ჯგუფის ტექსტებისაგან და XI-XII სს-ის სხვა მთარგმნელების (კერძოდ, იოანე ჭიმჭიმელის) თხზულებათაგან.

რათქმაუნდა, ტერმინული სხვაობანი აურაცხელად მეტია, ვიდრე ზემოთ იყო წარმოდგენილი. დაწვრილებითი შედარებითი ანალიზი ამჯერად ჩვენს მიზნებს სცილდება. მთავარი, ალბათ, დამატებით გაირკვა: ამონიოსის მთარგმნელის (და იოანე ჭიმჭიმელის) შრომები არ არის იოანე პეტრიწის კუთვნილება. ამასთან, ვფიქრობთ, გამოიკვეთა ის სტრუქტურული ტერმინოლოგიური შტრიხები, რამაც საშუალება მოგვცა გამოგვეყო და ერთად დაგვეჯგუფებინა ამონიოსის თარგმანის ჰომოგენური ტექსტები, რომლებიც მთლიანად არსენის მიერ დაფუძნებული გელათის საღვთისმეტყველო სკოლის წიაღიდანაა და მათი მთარგმნელი ტერმინოლოგიურად არსენის ერთგულ მოწაფედ წარმოგვიდგება. დავძენთ, რომ ქვემოთ, ზოგი არაიდენტიფიცირებული თარგმანის განხილვისას, კვლავ შევეცდებით ცალკეულ ტერმინოლოგიურ ნათესაობათა თუ სხვაობათა და თავისებურებათა წარმოჩენას ეფრემის, არსენის, იოანე ჭიმჭიმელის, XII-ს-ის გელათური სკოლისა და იოანე პეტრიწის (აგრეთვე, ნაწილობრივ, პეტრე გელათელის) შრომებს შორის. ზემოწარმოდგენილი ტერმინული დაკვირვებანი ამგვარი კვლევაძიების საფუძვლად გვესახება.

გავიხსენოთ, რომ ჩვენი მსჯელობა ეხებოდა მნიშვნელოვანი ბერძნული ტერმინების *ποιον*, *ποιότης* ქართულად თარგმნის საკითხს, რაც შეიძლება ასე შეჯამდეს:

წინაათონურ ეპოქაში ხსენებულ ტერმინთა ძირითად შესატყვისად ჩანს "ვითარებად", რაც შენარჩუნებულია ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების მიერ, რომლებსაც, ამავე დროს, შემოაქვთ ტერმინები: "სიბოხე"¹ "სიკშო", "აგებულება". ეფრემ მცირე ქმნის ახალ შესატყვისს "რომელობად", რაც მის თარგმანებში მთლიანად ცვლის ტრადიციულ "ვითარებას". ცხადია, უიშვიათესად ეფრემთანაც გვხვდება ტერმინი "ვითარებად", მაგრამ არა *ποιότης*-ს შესატყვისად, ე.ი. არა საკუთრივ "თვისების", "თვისობრიობის" შინაარსით, არამედ დაახლოებით იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც გვხვდება იგი დღეს ("მდგომარეობა", "საქმის ვითარება"), ამასთან, ეს უიშვიათესი დამოწმებანიც, ჩვეულებრივ, ეფრემისეულია და მათ ბერძნულ ორიგინალში

1 გიორგისთან გვხვდება, აგრეთვე, "განბოხება": "სრული გონებად იგი არს, რომელი განბოხობ (*ποιωθεισ*; *perfecta est*) საღმრთოდთა მეცნიერებითა" (თალასი 2.50. საქ ეკლ. კალენდ. 1989, გვ.431); "გონებისა გულისჯმისყოფითა განბოხებად (იქვე, 2.50)

შესატყვისი თითქმის არ ეძებნებათ, რაც აძნელებს ხსენებული სიტყვის ("ვითარების") ტერმინულ დაკონკრეტებას და მხოლოდ კონტექსტის მიხედვით ხდება შესაძლებელი მისი მნიშვნელობის განსაზღვრა. მაგალითად, ასეთი შემთხვევა გვაქვს დიონისე არეოპაგელის შრომაში "საღმრთოთა სახელთათვის." მოგვაქვს ციტატა:

"ერთსახიერებისა არცა გამოთქუმაჲ, არცა მოგონებაჲ შესაძლებელ არს. და არა ხოლო იგი, არამედ წმიდათა მათცა ძალთა ანგელოზთშუენიერებითისა ერთობისა, რომლისა-იგი გინათუ გამოკრთოლგად გინათუ მიმღებელად ჯერ-არს თქუმაჲ ზეშთაუცნაურისა და ზეშთასაჩინოჲსა სახიერებისა, ვითარებაჲ მათი გამოუთქუმელ და უცნაურ არს" (10.24).

ზემოწარმოდგენილი ვრცელი წინადადება იმას გვაუწყებს, რომ ზეციურ ძალთა, ანგელოზთა ერთობის ვითარება ენით უთქმელია და შეუცნობელი. ციტატის დამაბოლოებელი ნაწილის შესაბამისი ბერძნული ტექსტი ასეთია:

αι των αγιων δυναμεων... ενωσεις... αρρητοι τε εισι και αγνωστοι
(1.5.)

თარგმანი ამგვარი იქნება:

"წმიდა ძალთა... ერთობანი... გამოუთქმელია და შეუცნობელი".

როგორც ვხედავთ, ეფრემის თარგმანში ის კი არაა სიტყვასიტყვით უწყებელი, რომ ანგელოზურ ძალთა ერთობა გამოუთქმელია ადამიანისათვის, არამედ გავრცობილია ტექსტი ასე: "ანგელოზურ ძალთა ერთობის ვითარება ენით უთქმელი". ცხადია, ტექსტის მიხედვით, "ვითარებაჲ" სავსებით თანამედროვე გააზრებას შეიცავს და კონკრეტულად გულისხმობს ანგელოზური ერთობის "მდგომარეობას", წესს, "გვარს", *modus*-ს.

ასეთივე შინაარსით გვხვდება "ვითარებაჲ" იოანე დამასკელის "გარდამოცემის" ეფრემისეულ თარგმანში:

სახე და ვითარებაჲ მოქმედებათა მისთაჲ (A-24, 118.1-2)

ο δε τροπος (ლათ *modus*) *ανεξερευνητος* (Pg.94, col.1145A)

ბერძნულ ტექსტს ზედმიწევნით თარგმნის არსენი:

"სახე გამოუკულეველ არს" (94.1).

მოტანილ ადგილას საუბარია, იმაზე, რომ ღვთის სიტყვა ყოვლად ძლიერად მოქმედებს, მაგრამ მისი მოქმედების წესი, გვარი ჩვენთვის მიუწვდომელია. შედარებიდან ჩანს, რომ ეფრემი ჰენდიადისის გზით თარგმნის ბერძნულ *τροπος*-ს და მის შესატყვისად გვაწვდის "სახეს და ვითარებას", ე.ი. აღნიშნულ შემთხვევაში "ვითარებაჲ" იგივეა, რაც ბერძნული *τροπος* და ნიშნავს: წესი, გვარი, მდგომარეობა, ლათ. *modus* რუს. *образ (действия)*.

ამგვარად, თუმცა სიტყვა "ვითარებაჲ" ეფრემთან გვხვდება, იგი არ გადმოსცემს ტერმინულად ბერძნულ *ποιότης*-ს. ეს უკანასკნელი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ეფრემის ყველა შრომაში, მათ შორის დიონისე არეოპაგელისა და იოანე დამასკელის აღნიშნულ თხზულებათა მისეულ თარგმანებში ტერმინულად გადმოტანილია სიტყვით "რომელობაჲ".

არსენ იყალთოელთან სურათი მნიშვნელოვნად იცვლება, რადგანაც მის მოგვიანო თარგმანებში ამკარად აქცენტირებულია "ვითარებაჲ", თუმცა "ვითარების" გვერდით თავს იჩენს, აგრეთვე, "რომელობაჲ", რაც არსენისვე

ადრეულ თარგმანებში, ეფრემის კვალობაზე, თითქმის ერთადერთი კვალიტა-ტური ტერმინია (იხ. S-1463, ანასტ. სინ.: 5v1-68B; 5v1-68C; 7.1-80B; 7.2-80C; 38v1-305A; ნიკიტ.: 266.1-72; 266.1-74; 267.1-114; 270.1-126; დამასკ. ორთა ნებ.: 128v1-129B; 131v1-141D; 131v2-145C; 135v2-168C და სხვა).

"ვითარებად" არის ძირითადი ამონიოს ერემისის თარგმანში და საზოგადოდ VI კომოგენურ ჯგუფში, თუმცა ამ ტექსტებშიც არაერთგზის ვლინდება "რომელობად".

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ მხოლოდ "ვითარებად" გვხვდება ლუკას სახარების თეოფილაქტესეული განმარტების თარგმანში, რომელიც იოანე ჭიმჭიმელს ეკუთვნის. თუნდაც ამ ნიშნით, ხსენებული მთარგმნელი მკვეთრად სხვაობს იოანე პეტრიწისაგან, რომელიც ნემესიოსის წიგნშიც და პროკლეს თხზულებაშიც. აგრეთვე, მისეულ კომენტარებშიც ბერძნული ποιότης-ს ერთადერთ შესატყვისად "რომელობას" წარმოგვიდგენს და არსებულ დამოწმებათა დიდი სიმრავლის მიუხედავად, როგორც ზემოთ ვნახეთ, აღნიშნული ტერმინული შინაარსით იგი არცერთხელ არ მოუხმობს "ვითარებას".² რაც შეეხება იოანე ჭიმჭიმელს, ეს უკანასკნელი, როგორც აღვნიშნეთ, პირიქით, უკლებლივ ყველგან ბერძნულ ποιότης-ს სწორედ "ვითარებად" თარგმნის. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"ვითარებათა (ποιότητας) ჰაერისათა სასწაულთა რათაგანმე ჰსცნობთ" (A-113, 111v2; col.909);

"გარდასცეს ვითარებისაგან (ποιότητος) თვისსა" (იქვე, 132v2; 945A);

"ამის ვითარებისა (ποιότητα) მიმართ შემწყნარებელი გარდანივთვსა" (133.2; 945C);

"...საღმრთოთა სიტყუათა ვითარებად (ποιότητα) შეურაცხ-ყვით"

1 აღვნიშნავთ, რომ "დიდი სჯულისკანონის" ქართულ ტექსტში, რაც არსენის შედარებით ადრეულ თარგმანს წარმოადგენს, ტერმინი "ვითარებად" თავს ავლენს იმ შინაარსით, როგორც იგი ეფრემთან გვხვდება: "ნუმცა გამოიძიების ნუცა პირი შემასმენელისაჲ, ნუცა ვითარებად სარწმუნობისაჲ (μητα την θρησκείαν)" (მსოფლიო კრების VI კანონი, დიდი სჯულისკანონი, თბ. 1975, გვ.262.9)

2 აღვნიშნავთ, რომ საზოგადოდ, "ვითარებად", როგორც modus-ის (და არა ποιότης-ის) შინაარსის შემცველი ტერმინი, ეფრემის მსგავსად, პეტრიწთანაც დასტურდება (მის კომენტარებში). მაგალითად: "პირი საქმეთა ვითარებისაჲ იტყვს" (პეტრიწი, II, 43.29). ცხადია, მოტანილ წინადადებაში "საქმეთა ვითარებად" ნიშნავს "საქმის მდგომარეობას", "გარემოებას". კომენტარებში კვლავაც გვხვდება იგივე ტერმინი: "არისტოტელი... იტყვს, რამეთუ აობად სწორად ხუდაო პირველისა ადსაგან ყოველთა მყოთა და არადთ უღარეს აობითა უკუანადსი პირველსა, ხოლო უმჯობეს-დარეობად ვითარებასა შორის გაქვრდების მყოფთასა. ვინად ყოველი ვითარებად რომელიმე უფრო მსგავს თვისთა დასაწყთა და მიზეზთა, ხოლო რომელიმე უმცრო" (III, გვ.56.21-22). დამოწმებული ციტატა ახალ ქართულად ასე იქნება: "არისტოტელე... ამბობს, რომ არსებობა თანაბრად ებოძა პირველარსებულისაგან ყველა არსს და არსებობის მიხედვით არაფრით არ არის უფრო ნაკლები უკანასკნელი (არსი) პირველზე. მეტობა-ნაკლებობა შესამჩნევი ხდება არსთა ვითარებაში (ე.ი. არსთა "მდგომარეობაში", არსთა არსებობის "წესში", "გვარში", "მოდუსში", ე.ჭ.), რადგანაც ზოგი ვითარება (არსებობის "წესი", "მოდუსი", ე.ჭ.) უფრო მეტად ემსგავსება მის სათავეებსა და მიზეზებს, ზოგი კი უფრო ნაკლებად". აი, კიდევ ერთი ნიმუში იმავე ტერმინის დამოწმებისა პეტრიწის კომენტარებში: "სამარადისოდ უსაზღვროობასა თანა წარმოდგომილ არს და სანიადაგოსა გუარსა ვითარებისასა" (140.21). ფრაზა "გუარს ვითარებისა" ნიშნავს "მდგომარეობის სახეს" (უცნაურია რომ ტერმინი "ვითარება" საერთოდ არ არის მითითებული პეტრიწის შრომებისადმი დართულ ტერმინოლოგიურ ლექსიკონში). ერთგან გვხვდება, ზმნური ფორმაც: "რომელმან უვითარა რაობად არსებობად" (იქვე, 31.29).

"(133.2; 945C);

"არმქონებელი ვითარებისა (ποιότητος) ზეგარდამოცხა მაღლისასა"
(133.2; 945C);

"ცხოველყოფილი ბუნებითა და სამშენველობითა ვითარებათა
(ποιότητων)" (229v1; 1121A).

ამგვარად, თუკი ნემესიოსისა და პროკლეს შრომათა თარგმანებში, რომლებიც უცილობლად უკავშირდება იოანე პეტრიწს, აგრეთვე, საკუთრივ პეტრიწისავე კომენტარებში ბერძნული ποιότηს შესატყვისად, მიუხედავად არსებულ ნიმუშთა აურაცხელი რაოდენობისა, უკლებლივ ყველგან გვხვდება "რომელობად" (სათანადო ნიმუშები იხ. ზემოთ), მათგან განსხვავებით, თეოფილაქტეს ლუკას თავის განმარტების თარგმანში ბერძნული ποιότηს ყველა შემთხვევაში "ვითარებად" არის გადმოტანილი.¹ თეოფილაქტეს ხსენებული ძეგლი, აგრეთვე, იმავე თეოფილაქტეს მარკოზის თავის განმარტება შესაბამის ხელნაწერთა (A-113; A-102) პირდაპირი მითითებით უთუოდ იოანე ჭიმჭიმელის თარგმანებს წარმოადგენენ. შესაბამისად, თუნდაც აღნიშნულის საფუძველზე (ზემოგანხილულ სხვა ტერმინოლოგიურ მომენტებთან ერთად) ეჭვი არ არის, რომ იოანე პეტრიწი და იოანე ჭიმჭიმელი სხვადასხვა პირებს წარმოადგენენ.

იოანე ჭიმჭიმელის თარგმანებისაგან განსხვავდება, აგრეთვე, გრიგოლ აკრაკანტელისა და ოლიმპიოდორეს ზემოგანხილულ შრომათა თარგმანები.

აკრაკანტელის თხზულების თარგმანში ბერძნული ποιότηს გადმოტანილია არა "ვითარებად" (როგორც ამას ადგილი აქვს იოანე ჭიმჭიმელთან), არამედ ეფრემისეული ტერმინით "რომელობად":

"გამოეგუების რომელობისაებრ (κατα την ποιότητα) მისისა" (დასახ. გამოც. 94.14; Pg.98, col.984B).

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ არის თარგმნილი ამათუიმ ძეგლში ბერძნული ποιότηს, როგორც ვხედავთ, ისტორიულ-ფილოლოგიურ მნიშვნელობასაც იძენს. ამის თვალსაჩინო ნიმუშია, სახელდობრ, მაქსიმე აღმსარებლის ცნობილი გნომური თხზულებების "ორასეულისა" და "ოთხასეულის" ძველი ქართული თარგმანები, რომლებიც ზემოთ ტერმინულ სტრუქტურათა მესამე ჯგუფად წარმოვადგინეთ. აღვნიშნავდით, რომ კ.კეკელიძის აზრით, მაქსიმე აღმსარებლის ეს შრომები მის სხვა შრომებთან ერთად, კერძოდ, იმ შრომებთან, რომლებიც №14 გელათურ ხელნაწერშია დაცული, ერთი პირის, ნიკოლოზ გულაბერისძის თარგმანს უნდა წარმოადგენდნენ.² ეს თვალსაზრისი, ვფიქრობთ, მეტად ჰიპოთეტურია, რადგანაც, მაქსიმეს შრომები "ორასეული" და "ოთხასეული", რომლებიც დაცულია XIII-ის ხელნაწერში A-39, ტერმინული ასპექტით დიამეტრულად სხვაობს გელათ. 14-ში შემონახული თარგმანებისაგან. თუკი, ერთი მხრივ, მაქსიმეს შრომათა გელათური თარგმანები ჰომოგენურია ტერმინულ სტრუქტურათა VI ჯგუფის ძეგლებისა (მათ შორის, ამონიოს ერმისის თხზულებებისა), მეორე მხრივ, ზემოაღნიშნული "ორასეული" და "ოთხასეული" სავსებით სხვაობს ხსენებული VI ჯგუფისაგან და ტერმინული

¹ მარკოზის თავში ποιότηს არ გვხვდება.

² იხ. კ.კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია I, თბ. 197

სტრუქტურის მიხედვით მათგან უთუოდ გამოიყოფა (ჩვენი დაყოფით III ჯგუფი).

"ორასეულისა" და "ოთხასეულის" გამოყოფას მაქსიმეს შრომათა გელათური თარგმანებისაგან, უპირველესად, განაპირობებს სწორედ ის, რომ მათში, გელათური ტექსტებისაგან განსხვავებით ბერძნული *ποιότης* ყველა შემთხვევაში თარგმნილია, ტერმინით "რომელობაჲ", მაშინ როცა საკუთრივ გელათური ტექსტები და, საზოგადოდ, ჰომოგენური ძეგლების VI ჯგუფი *ποιότης*-ს ძირითად შესატყვისად, არსენის კვალობაზე, გვაწვდის ტერმინ "ვითარებას", (ტერმინი "რომელობაჲ" "ვითარების" სანაცვლოდ ამ ჯგუფის ტექსტებში, როგორც ზემოთ ვნახეთ, უფრო იშვიათია).

მოგვაქვს სათანადო ნიმუშები ზემოხსენებული "ოთხასეულიდან" და "ორასეულიდან".

"ოთხასეული" (A-39; ბერძნ. ტექსტი Pg.90)

"... საზრდელისა მიერ რომელობითა (*ποιότησι*) საჭმელთა და სასუმელთაჲთა" (2.92)¹

"რომელობათა (*ποιότητας*) ოდენ მათთა მის მიერ ქონებად..." (3.28);

"არსებით არარას იტყვან წინააღმდომად, გარნა მხოლოდ რომელობათა (*ποιότητας*) ოდენ" (3.28);

"მხოლოდ რომელობათა (*ποιότητων*) დამბადებელად შემოიყვანებენ ღმერთსა" (4.6);

"არა რომელობათა (*ποιότητων*), არამედ თვით არსებათა... დამბადებელ ყოფასა მისსა ვიტყვთ" (4.6).

"ორასეული" (იქვე):

"თვსითა რომელობითა (*ποιότητι*) განაბრწყინებს" (2.83);

"...სულიერსა რომელობასა (*ποιότητος*) და რაოდენობასა" (2.89);

"საზომისაებრ მათ შორისისა სიმართლისა რომელობისა (*το ποιον*) და რაოდენობისა მიეცემის ყოფად იგი მადლი" (2.93);

"ყოვლისავე სულიერისა საჭმლისა რომელობაჲ (*ποιότης*) აქუს მას" (1.100);

"ყოველსა ცნობასა... აქუს დანაცემი, ვითარცა რომელობასა (*ποιότητα*) რასმე" (2.3).²

როგორც ვხედავთ, ბერძნული *ποιότης* ზემოაღნიშნულ ორ ძეგლში ყველგან თარგმნილია ტერმინით "რომელობაჲ", რაც განასხვავებს მათ ხსენებული გელათური ტექსტებისაგან.

¹ დამოწმებული ნიმუშებისათვის ვუთითებთ მხოლოდ შესაბამის ასეულსა და მუხლს, რაც ერთიდაიგივეა ბერძნულ-ქართულ ტექსტებში.

² ერთ შემთხვევაში *ποιότης* გადმოცემულია, როგორც "სიძობე": "გამომზრდელი მათი სიძობითა (*ποιότητα*) სიტყვსაჲთა" (ორასეული 2.67). ეჭვი არ არის, რომ მთარგმნელის მიერ ნასარგებლევ ბერძნულ ტექსტში იქნებოდა არა *ποιότης*, არამედ *ποιότης*, რაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, სწორედ "სიძობეს" ნიშნავს. ამასვე ადასტურებს ლათინური თარგმანიც, სადაც გვხვდება არა *ποιότης*-ს ჩვეული შესატყვისი *qualitas*, არამედ *pinguendo*, რაც სწორედ "ცხიმოიანობას", "პოხილობას" ნიშნავს (*pinguendinam sermonis*, 2. 67). ერთგან ზმნა *πεποιωται* თარგმნილია, როგორც "შეზავებულ არს" (იხ. "ოთხასეული" 4.15).

ვისი თარგმანი უნდა იყოს მაქსიმე აღმსარებლის "ორასეული" და "ოთხასეული"? ვფიქრობთ, ტერმინული ანალიზი საშუალებას გვაძლევს, პასუხი გაეცეს აღნიშნულ კითხვას.

უპირველესად, გავიხსენოთ, რომ ტერმინული სტრუქტურის თვალსაზრისით, "ორასეულსა" და "ოთხასეულს" უკავშირდება მაქსიმეს კიდევ ერთი შრომა სათაურით "თავნი ათხუთმეტნი". ეს სამი ძეგლი სავსებით იდენტურია და ისინი ხელნაწერშიც (A-39) ერთად არიან წარმოდგენილნი, რაც უთუოდ ერთ მთარგმნელს გულისხმობს. ხსენებულ ძეგლთა შესახებ თავისი მოსაზრება აქვს გამოთქმული კ.კეკელიძეს, რომლის შეხედულებითაც, როგორც ვნახეთ, პირველი ორი შრომა მაქსიმეს გელათურ ტექსტებთან ერთად ნიკოლოზ გულაბერიძის თარგმანი უნდა იყოს, ხოლო მესამე ("თავნი ათხუთმეტნი") ექვთიმე ათონელს უნდა მიეკუთვნებოდეს. ჩვენი აზრით, არც პირველი ორი უკავშირდება ზემოაღნიშნულ გელათურ ტექსტებს, არც მესამე - ექვთიმეს. სამივე მათგანი უთუოდ ერთი პირის თარგმანია და ეს პირი ტერმინული კვლევის შედეგად, ვფიქრობთ, დგინდება.

პირველ რიგში, აღვნიშნავთ, რომ ხსენებული ძეგლები ვერ ითარგმნებოდა ეფრემ მცირეზე უფრო ადრეულ ხანაში, რადგანაც თუნდაც ზემოაღნიშნული "რომელობა" სწორედ ეფრემის მიერ მკვიდრდება ქართულ ტერმინოლოგიაში და უფრო ადრე იგი არსად იჩენს თავს (იმავე შინაარსით, როგორც ვნახეთ, ექვთიმესთან, გიორგისთან და, აგრეთვე, მათზე უწინარეს, სულ სხვა ტერმინები გვაქვს).

თარგმანთა ქვედა ზღვრის დადგენისათვის მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ტერმინ "ლექსს" (λεξια), რომელიც სწორედ XI ს-ის II ნახევარში შემოდის ქართულ სიტყვათხმარებაში ეფრემისა და თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ და იგი ათონელ მთარგმნელებთან არ გვხვდება. "ლექსი" ეფრემის დროისათვის ქართულ ენაში ახალშემოსული სიტყვაა. ეს ცხადი ხდება თუნდაც იქედან, რომ ამ ტერმინის პირველხმარებათა დროს (მაგალითად, ფსალმუნთა განმარტებების ეფრემისეულ წინათქმაში, რომელიც 1080 წლით თარიღდება) ეფრემი სათანადო კომენტარსაც ურთავს მათ.

მაქსიმეს ზემოხსენებულ შრომათა თარგმანებში ბერძნული λεξια პირდაპირ "ლექსად" არის გადმოსული ყოველგვარი კომენტარის გარეშე, რაც უთუოდ ცხადყოფს, რომ ამ თარგმანთა დროისათვის იგი უკვე კუთვნილება ყოფილა ქართული ენისა. მოგვაქვს ნიმუშები:

"ვკლოცავ კეთილცნობიერებით აღმოკითხვად... ხოლო ლექსთა უმკობელობისა (το ακαλλες των λεξεων) გარეწარვლად" (ოთხასეული, შესავალი, A-39, 218; Pg.90, col.960A);

"ლექსთა (λεξεις) ინადირობდეს დასამკობელად აღმწერელისა" (იქვე, 218v; col.961A);

"...ვერ დაემთხუევის გონება ჩუენი... თვთოფერებითა ლექსთათა (λεξεων)" (ორასეული 2.60).

ქვემოთ, მთარგმნელის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით, დაწვრილებით შევეხებით კიდევ რამდენიმე ტერმინს, რომლებიც ასევე მხოლოდ XI ს-ის მეორე ნახევრიდან მკვიდრდება ქართულ ენაში, ამჯერად კი, თუნდაც მარტოდენ ზემოაღნიშნული ორი ტერმინის საფუძველზე, სავსებით გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ მაქსიმეს "ორასეული", "ოთხასეული" და "თავნი ათხუთმეტნი" ქართულად თარგმნილია არა უადრეს ეფრემ მცირისა.

რაც შეეხება თარგმანთა შესრულების ზედა ზღვარს, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ XII ს-ის I ნახევრიდან ქართულ საეკლესიო მწერლობაში მკვიდრდება გელათური სტილი და ეს სტილი აშკარად შეიგრძნობა XII-XIII

ს-ის ყველა ჩვენთვის ცნობილ ძეგლში, საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ზემოაღნიშნული სამი თარგმანი, რომლებსაც არ ახასიათებთ არცერთი სპეციფიკურად გელათური სტილისათვის ნიშანდობლივი თავისებურება, წინამორბედი უნდა იყოს გელათის საღვთისმეტყველო სკოლის შექმნისა.

ამგვარად, ზოგადი შეფასებით, მაქსიმე აღმსარებლის შრომები "ორასეული", "ოთხასეული" და "თავნი ათხუთმეტნი" თარგმნილი ჩანს XI ს-ის II ნახევარში ანდა XII ს-ის დამდეგს, არაუადრეს ეფრემ მცირისა და არაუგვიანეს არსენ იუალთოელისა.

ამჯერად მივმართოთ კონკრეტულ ტერმინულ ანალიზს.

უპირველესად, აღნიშვნის ღირსია, რომ ზემომითითებული "რომელობად" ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით მიაპყრობს ორი მთარგმნელისაკენ. ესენია ეფრემ მცირე და იოანე პეტრიწი. საქმე ისაა, რომ XI-XIII სს-ის ჩვენთვის ცნობილი ძეგლებიდან სწორედ ეფრემისა და იოანე პეტრიწის შრომებში გვხვდება ბერძნული *ποιότης*-ს უცვლელ, უგამონაკლისო შესატყვისად "რომელობად". ხსენებულ ტერმინთა ასეთივე უგამონაკლისო შესატყვისობაა წარმოდგენილი მაქსიმეს "ორასეულსა" და "ოთხასეულში" (იხ. ზემოთ). სავსებით აშკარაა ისიც, რომ იოანე პეტრიწი ვერანაირად ვერ იქნებოდა ზემორე ძეგლთა მთარგმნელი, რადგანაც ენობრივ-სტილური მონაცემები მთლიანად გამორიცხავს ამგვარ შესაძლებლობას. რაც შეეხება ეფრემ მცირეს, აქ აშკარად სხვა ვითარება შეიმჩნევა. ვისაც ეფრემის შრომები შეუსწავლია, მისთვის საეჭვო არ იქნება, რომ ზემოაღნიშნული "ორასეული" და "ოთხასეული" არსებით მსგავსებას ავლენენ შავი მთის დიდი ქართველი ბერის თარგმანებთან. ენობრივ-სტილური მსგავსებანი დადასტურებას პოულობს კონკრეტულ ტერმინულ თანხვედრაშიც, რაზეც ამჟამად უნდა ვისაუბროთ.

ცნობილია, რომ ბერძნულენოვანი ღვთისმეტყველების ერთერთი უძირითადესი ტერმინია, მაგალითად, *το υποκειμενον*, რომელიც სიტყვასიტყვით ნიშნავს "ქვეშ მდებარეს", ფილოსოფიურ - საღვთისმეტყველო გააზრებით კი - "საფუძველს", "შიგთავსს", "სუბსტანციას". ამ ტერმინის რაიმე მყარ შესატყვისს წინათონურ თარგმანებში ვერ ვხვდებით. ცალკეულ შემთხვევებში *υποκειμενον*-ის შინაარსით თავს იჩენს ტერმინები: შანთი,¹ გუამი,² ნივთი,³ ბუნებად,⁴ წინამდებარედ (შდრ. "... ხატი ბუნებისა წინამდებარისად", ბასილი

1 "უხედავთ ყოველთა ნივთთა პოვნულად ვითარებისაგან განშორებულ და შანთისაგან (*του υποκειμενον*) გამოთქმით" (გრიგოლ ნოსელი, კაცისა შესაქმე, შატბ. კრ. 108, 15, Pg.44, col.212D; შდრ. განმეორებითი თარგმანი: "თითოვეული ვითარებისაგან საჩინო არს, შანთისაგან - მითხრობითა", შატბ. კრ. 109.3; შდრ. გიორგი მთაწმიდლის თარგმანი: "ყოველივე სახე ვითარებისა და სიპოხისად სიტყვთა განიყოფვის მის ქუეშე-მყოფისა მისგან", გვ.108-109).

2 "ფრიად იხილო განყოფილება გუამსა შინა (*περι το υποκειμενον*)" (იქვე, შატბ. კრ. 108.18; საყურადღებოა, რომ განმეორებით თარგმანში გვაქვს არა "გუამი", არამედ "საზღვარი": "ფრიად იხილო მათ შორის განყოფად საზღვარსა შინა", შატბ. კრ. 109.6; შდრ. გიორგი: "მრავალსა უკუე განყოფილებასა მოვიგონებთ წინამდებარისა მის შორის", გვ.109; col.212D).

3 "ხატი იყო მსგავსი მეფისად სახითა და განთვსებული მისგან ნივთითა (*τα υποκειμενω*)" (შატბ. კრ. 95.22; შდრ. გიორგი: "სახისა მიერ მსგავსებად აქუნდა კეისრისად, ხოლო ნივთისა მის მიერ, რომელსა ზედა წერილ იყო, განყოფად აქუნდა", გვ.77-78; col.184D).

4 "...რომელსა შინა არს მსგავსებად და განყოფად ბუნებათად (*εν τω υποκειμενω*)" (შატბ. კრ. 95. 24; შდრ. გიორგი: "გულისუმა-ვყავთ სიტყუად ესე მსგავსებისად, ხოლო ნივთისა მიერ განყოფილებასა ვპპოვებთ" გვ.78, col.184D).

დიდი, ექუსთა დღეთად, ძვ. თარგ. ი.აბულაძის გამოც. 59.26).¹

გიორგი მთაწმინდელი, როგორც პარალელური ნიმუშებიდან ჩანს (იხ. სქოლიოები 1-5), ბერძნულ ტერმინს თარგმნის შესატყვისებით: "ქუეშე-მყოფი"; "წინამდებარე"; "ნივთი" განსაკუთრებით ხშირია პირველი შესატყვისი "ქუეშე-მყოფი", რასაც ზოგჯერ ცვლის ჰენდიადისური შესიტყვება "ქუეშე-მყოფი ნივთი". მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"არარას სხუასა ეზიარებიან მათ ქუეშე-მყოფთა (*περι το υποκειμενον*) მათ ვითარებისა სიპოხეთა" (გრიგოლ ნოსელი, დაბადებისათვის კაცისა, ნ.შალამბერიძის მიერ გამოსაცემად მომზადებული ტექსტი, გვ.109; col.213A);

"უკუეთუ თვთოეული მათი მათ ქუეშე-მყოფთა მათ ნივთთაგან განიყოს, ყოველივე გუამოვნებისა სიტყუად დაივსნების" (იქვე, გვ.109; col.213A);

"ძალნიცა სულისანი მის ქუეშე-მყოფისა მის თანა (*τω υποκειμενω*) აღორძნდებიან" (იქვე, გვ.134; col.237B);

"...გამოქანდაკებულსა შინა სახე სულისად შემსგავსებულად მის ქუეშე-მყოფისა მის ნივთისა გამოჩნდების" (იქვე, გვ.154; col.253D);

"უკუეთუ არად საჯმარ იყო ნათლისა მიერ განბრწყინებად მის ქუეშე-მყოფისა (*υποκειμενον*) მის ჰაერისად... რად საჯმარ იყო დაბადებად მზისად?" (გრიგოლ ნოსელი, პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის, საქ. ეკლ. კალენდ. 1989, 1.8; შდრ. ლექსიკონი, გვ.385);

(ზეციური წყალი) "არცა მოძრავობასა მას თანა მის ქუეშე-მყოფისასა იძრვის" (იქვე, IV. 7);

"ვითარ მის ქუეშე-მყოფი იგი დაუდგრომელ არს?" (იქვე, I.9);

"არა შესაძლებელ არს ესე... რადთამცა სრულიად მის ქუეშე-მყოფისა მის თანა (*κατα το υποκειμενον*) განილია და წარწყმდა" (იქვე, V.20);

"...განუმეს მის ქუეშე-მყოფი იგი (*το υποκειμενον*) გარეშემყოფითა მით ძალითა" (V. 12);

"მეორემან მრგულიადმოვლამან ნათლისამან მის ქუეშე-მყოფი სოფელი ზოგებით განანათლა და დააბნელა" (IV. 12).

გიორგი მთაწმინდელი, როგორც აღვნიშნეთ, *υποκειμενον*-ს ზოგჯერ "ნივთადაც" თარგმნის. აი, კიდევ ორი ნიმუში:

"სრულ-იქმნების ნივთი იგი (*το υποκειμενον*)" (იქვე, VI.22);

"რომელსაცა ნივთსა მიეახლნენ, მასცა შეეძინებიან" (იქვე, VI.15);

იშვიათად, გვხვდება სხვა შესატყვისებიც:

1 შდრ. გიორგი: 'გამომხატველი წინამდებარისა მის ბუნებისად' (46.25)

"ქუენა-კერძოი სიმრგულე" (იქვე 3.6; 77c);

"მის შორის მყოფისა¹ მის კერძოდა იქმს მოძრავობასა თვისა" (გრიგოლ ნოსელი, დაბადებისათვის კაცისა, დასახ. ტექსტი, გვ.65; col.173D);

"ნივთნი უკუე ყოვლისა გუამისანი ზოგად ასოთა შინა ჩუენთა მყოფნი (σποκειμενη)" იქვე, გვ.139; col.241B);

ერთგან, ზმნა σποκειται გიორგის მიერ თარგმნილია ასე:

"წინა-სხენან" (იქვე, გვ.138; col.241A);

ზემოდამოწმებული ნიმუშები ცხადყოფს, რომ გიორგი მთაწმინდელი ესწრაფვის ბერძნული σποκειμενον-ის ტერმინულ გაცნობიერებას და გადმოსცემს მას უმთავრესად, როგორც "ქუეშე-მყოფი", ან "ქუეშე-მყოფი ნივთი", ანდა ცალკე "ნივთი".

უთუოდ აღნიშვნის ღირსია, რომ გიორგი მთაწმინდელი ბერძნულ σποκειμενον-ს თარგმნის, აგრეთვე, ტერმინით "წინამდებარე" (იხ. ზემოთ). ეს მომენტი მნიშვნელოვანია, რადგანაც მომდევნო ეპოქაში ხსენებული შესატყვისი ხშირად იჩენს თავს. მაგალითად, იგი გვევლინება σποκειμενον-ის ტერმინულ შესატყვისად თეოფილე ხუცესმონაზონთან, რომელიც საზოგადოდ გიორგი მთაწმინდლის თარგმანთა დიდ გავლენას განიცდის. აი, რამდენიმე ნიმუში:

"წინამდებარისაგან (εξ σποκειμενης) ნივთისა დაებადა ყოველი" (იოანე ოქროპირი, თარგმანებად დაბადებისად, Ath 29, ფ.16; Pg.50, col.28);

"ერთისაგან წინამდებარისა (σποκειμενης) მიწისა" (ფ.22; col.30);

"ნივთსა რასმე წინამდებარესა (σποκειμενου)" (ფ.29; col.34);

"იტყვან უკუე ვიეთნიმე, ვითარმედ პირველადვე წინამდებარე იყო (προ-σπεκειτο) ნივთი" (ფ.28; col.34).

ტერმინი "წინამდებარე" აღნიშნული შინაარსით გვხვდება, აგრეთვე, ეფრემთან და არსენთან (იხ. იოანე დამასკელი, დიალექტიკა, მ.რათავას გამოც., ტექსტზე დართული ტერმინული ლექსიკონი, "წინამდებარე საქმე", გვ.296). საზოგადოდ, საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ითარგმნებოდა ხსენებული ტერმინი ეფრემისა და არსენის მიერ, გულდასმით აქვს შესწავლილი მ.რათავას კონკრეტულად დამასკელისეული "დიალექტიკის" პარალელურ თარგმანთა მიხედვით ზემოაღნიშნულ ტერმინულ ლექსიკონში (იხ. დასახ. შრომა, ტერმინი, "ქუედმდებარე", გვ.276-277). ეს შესანიშნავი გამოკვლევა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ეფრემ მცირე ბერძნულ σποκειμενον-ს, ერთი მხრივ, თარგმნის ზემოხსენებული შესატყვისით "წინამდებარე", მეორე მხრივ, კი მას შემოაქვს სრულიად ახალი ტერმინები

¹ კიპოკიმენური შინაარსით გიორგიმთან სხვაგანაც გვხვდება იგივე ტერმინი "შორის-მყოფი": "ლამპარსა შინა იხილვების ცეცხლი მგზებარე მის შორის-მყოფისა ნივთისაგან" (გრიგოლ ნოსელი, სწავლანი, A-55,6v; 41D); "ვხედავთ მის შორის-მყოფისა მის ნივთისა (του σποκειμενου) თანაშეერთებულსა ცეცხლსა" (იქვე, 6v; 41D)

"ნართაული" და "თანამოკიდული".¹ ეს უკანასკნელი ცალკეულ შემთხვევებში წინდებულის გარეშე და სხვადასხვა ვარიაციებით არის წარმოდგენილი: ეს ვარიაციებია: მოკიდებითი, მოკიდებული, მოკიდულად ზედამდებარე, მოკიდული ნივთი. ყველა ამ ლექსიკური ერთეულიდან ტერმინის მნიშვნელობა აქვს "თანამოკიდულს". ამას ცხადყოფს მისი გამოყენების შედარებითი სიხშირე (იხ. დასახ. ლექსიკონი).

ასეთსავე სურათს გვიჩვენებს იოანე დამასკელის "გარდამოცემის" ეფრემის-ეული თარგმანიც. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები არსენის პარალელურ თარგმანებთან ერთად:

ეფრემი

არსენი

ნებებითი არს, რადთა თანამოკიდულ იყოს საქმე იგი სანებელი (A-24, 73.1; col.948C);

და ნებებული [არს] წინამდებარე ნებისად (S-1463, 73v1)

ხოლო ვითარნებებად ნებებისადა თანამოკიდულ არს (92.1; 1036)

... რომელ არს ქუედმდებარე ნებებისად (S-1463, 82.2).

ყოველი განსაზღვრებად თანამოკიდულთა² ბუნებათა საცნაურმოყოფელ არს (99.1, 1064B)

ყოველი საზღვარი წინამდებარეთა ბუნებათა არს საცნაურმოყოფელ (85v2)

ხოლო მოკიდულ შეხებისა არიან მკურვალი და გრილი (69.1; 936D)

და შეხებისა ვიდრემე მიმდგომ არიან ტფილი და გრილი (72.1)

ზოგადნი, საყოველთაონი შეისმინებიან მათდა მოკიდულთა კერძოთად (84v1; 1001C)

ზოგადნი და საყოველთაონი შეისმინებიან მათდა ქუედმდებარეთა კერძობითთად (79.1)

არა ცოდვისა შჯულთა დამოკიდებულ არიან (105.2; 1089A)

...არა ცოდვად შესარაცხელთანი (88.2)

წინამდებარისა ნივთისაგან სხუა სახე ყოფად (76.1; 960C)

წინამდებარისა ნივთისაგან სხუად რადმე იქმნეს (74v2)

¹ ერთგან *σποκειμενον*-ს შეესატყვისება "ზედამდებარე" (იხ. იქვე). მაგრამ ექვი არ არის, რომ ეფრემის მიერ ნასარგებლევ ბერძნულ ტექსტში იქნებოდა არა *σποκειμενον*, არამედ *σπερκειμενον*

² ხელნაწერში გვაქვს "და მოკიდულთა". რამდენადაც წინდებული "თანა" ხელნაწერებში ქარავმდება, როგორც "თა", ვფიქრობთ გადამწერს ნუსხური "თ" აქვია "ლ"-ში.

... წინამდებარეთა ამა-
თებრ გულისგმისყოფათა
(98v1; 1061B)

... შემსგავსებულად წინამ-
დებარეთა მოგონებათა
(85.2)

არა სჯულთა სიკუდილი-
სათაცა თანამდებ იყვნეს
(63v2; 916B)

სიკუდილისა არა თანამდ-
ებთათვს ტკბილი (68v2)

არცა სიკუდილი თანა-ედვა
მას (106v2; 1096C)

არცა თანამდებ იყო სიკ-
უდილისა (89.1).

ტერმინი *υποκειμενον* ხუთგზის გვხვდება დიონისე არეოპაგელის შრო-
მებში. ეფრემისეული თარგმანები ასეთია:

"ერთ არიან მათ თანამოკიდულსა მას გუამსა შინა" (95.10; 13.2);

"არცა უძალო არს გრძნობადთა დავრდომილებათა თანამოკიდულო-
ბითა" (228.12; 4);

"განხრწნის მისდა მოკიდულითურთ გუამით" (50.38; 4.23);

"გამოაჩინებს თანანადებსა მას" (202.23; 5.3.8);

"შესატყვსად სამღდელოთა მათ წინამდებარეთა წერილთა" (252.37;
ep. 9.2).²

დამოწმებული ნიმუშები ცხადყოფს, რომ ეფრემ მცირე *υποκειμενον*-ს
როგორც საღვთისმეტყველო ცნებას, ძირითადად თარგმნის ტერმინით
"თანამოკიდული",³ რასაც ცალკეულ შემთხვევებში უნაცვლებს სხვადასხვა

1 ერთგან *υποκειμενον* თარგმნილია "გუამად", : "გუამითა (*τω υποκειμενω*)
განთვსებულ" (39v2; 804B).

2 საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ტერმინი "თანამოკიდული" არ გამომდინარეობს
υποκειμενον-ის ეტიმოლოგიური მნიშვნელობიდან. იგი მთარგმნელის მიერ არის
შექმნილი ხსენებული ბერძნული სიტყვის ცნებითი გააზრების საფუძველზე. აქედან,
ცხადია, რომ "თანამოკიდული" წარმოადგენს ეფრემ მცირის საღვთისმეტყველო აზროვნების
ტერმინულ გამოხატულებას, მისი ტერმინული ღვთისმეტყველების სპეციფიკას. დავძენთ, რომ
'დიალექტიკის' თარგმანში კარგად ჩანს, თუ მსჯელობის რა სახეს ეფუძნება
აღნიშნული ტერმინის შექმნა: "ხოლო შემოკრებების განსაზღვრებად ნათესავთაგან
და თითოსახეთაგან არსებითთა განყოფილებათა... მოიღებვის ესევე პირი
თანამოკიდულისაგანცა და დასასრულისა, ვითარ-იგი აწ აჩუენებს განსაზღვრებად ესე:
'მკურნალობად არს ველოვნებად, კაცობრივთა გუამთათვს მოპოვნებული ღონედ
და მოქმედად სიმრთელისა'. აჰა, ესერა, თანამოკიდვან (მღრ. არსენი: 'ქუედმდებარედ
არიან') ველოვნებასა მკურნალობისასა გუამნიცა კაცთანი, ხოლო სრულება მისსა
და დასასრულ არს სიმრთელე" (16.4-6). აი, "თანამოკიდულის" სხვა დამოწმებანი
იმავე 'დიალექტიკის' ეფრემისეული თარგმანიდან: "თანამოკიდული უკუე სახელად
ითქუმის" (51.5); "აწ უკუე 'კაცი' თანამოკიდული არს" (51.5); "სოკრატი უკუე
თანამოკიდული არს" (51.5).

3 სიტყვა "თანამოკიდული" ყოფითი შინაარსით ქართულ მწერლობაში
დასტურდება. მაგალითად: "ნათესავნი უნთანი, ნეფთალიტელნი, თანამოკიდულნი (*ομοιοι*)
სპარსთანი" (გურიას, სამონას და აბიბოს წამება, არსენის თარგ. S-384, 668.2;
Pg.116, 145C); "თანამოკიდულთათვს" - *συμβαλλομενων* (ამონიოსი 99.36; 5.29)

მეტნაკლები ტერმინული გააზრების მქონე სიტყვას,¹ რომელთაგან შეიძლება გამოვყოთ "წინამდებარე".

ხაზგასასმელია, რომ "თანამოკიდული" ("σποκειμενον"-ის შესატყვისად) არის საკუთრივ ეფრემის მიერ შემოტანილი ტერმინი და ამ შინაარსით იგი არ გვხვდება არცერთ სხვა მთარგმნელთან. რაც შეეხება "წინამდებარეს", ეს შესატყვისი, ცხადია, ეფრემამდელი ეპოქისაა და ეფრემის შემდეგაც ხშირად ავლენს თავს σποκειμενον-ის შინაარსით. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ არსენ იყალთოელის შრომებში, სადაც ეფრემის კვალობაზე ზოგჯერ გვხვდება კიდევ σποκειμενον-ის შესატყვისად "წინამდებარე", საკუთრივ ეფრემისეული ტერმინის, ე.ი. "თანამოკიდულის" არანაირი კვალი არ მჟღავნდება. პირიქით, არსენი აბსოლუტურად უარყოფს არა მხოლოდ "თანამოკიდულს", არამედ, აგრეთვე, მასთან ფუძეზიარ ყველა სხვა ტერმინსაც (მოკიდული, დამოკიდებული, მოკიდებული, მოკიდებითი). შესაძლოა ამითაც, აიხსნას, რომ ზემოხსენებული ეფრემისეული ტერმინი მთლიანად უცხო დარჩა არსენის შემდგომი ეპოქისათვის, ე.ი. იმ ეპოქისათვის, რომლის ტერმინოლოგიურ სახეს სწორედ არსენის შრომები განსაზღვრავდა.

საკუთრივ არსენი σποκειμενον-ის შესატყვისად ამკვიდრებს ახალ ტერმინს "ქუემდებარე" (იხ. ზემოთ პარალელური დამოწმებანი). მართებულად შენიშნავს დ.მელიქიშვილი: "ეფრემი σποκειμενον ტერმინის შესატყვისად... სხვადასხვა სიტყვებს აწარმოებს, არსენი კი ქმნის სრულიად გარკვეულ ტერმინ-კალკს "ქვემდებარე" (იხ. დასახ. სადისერტაციო შრომა, გვ.122)²

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ გრიგოლ აკრაკანტელისა და ოლიმპიოდორეს ეკლესიასტესეულ განმარტებათა თარგმანებში არც ერთხელ არ გვხვდება არსენისეული "ქუემდებარე".³ ბერძნული σποκειμενον ამ ძეგლებში თარგმნილია, როგორც "წინამდებარე" (ერთგზის "თანამდები"). მოგვაქვს ნიმუშები:

"მისვე და ერთისა წინამდებარისა მიმართ ვიგუმიოთ" (გრიგოლ აკრაკანტელი, კ.კეკელიძის გამოც. გვ.35.25; Pg.98, col.865B);

"... წინამდებარისა პირისა მიმართ" (36.19; 868B);

"ცხად ჰყოფს წინამდებარისა ნივთისა ბუნებასა" (101.31; 996C);

"... ძალსა წინამდებარეთა საქმეთა განმრჩეველობისა" (170.2; 1156A);

¹ ერთგან ეფრემი ამ ტერმინით თარგმნის ბერძნულ σποκειμενον-ს: "ესეოდენტა თანამოკიდულთაგან არღარა მარტივ იყოს" ("გარდამოცემა" 46.2; 836A); იქნებ ბერძნულ ტექსტში ყოფილიყო არა σποκειμενον, არამედ σποκειμενον. ეს სავარაუდოა, რადგანაც საკუთრივ σποκειμενον-ს ეფრემი სხვა ტერმინებითაც თარგმნის, კერძოდ, როგორც: "შემოკრებული" (46.2; 833B), "შემზადებული" (52.1; 865A), "შეზავებული" (99.1; 1064A), "ქუეშე მდებარე" (38.2; 797B) და სხვა

² ეფრემთან გვხვდება ჯერ კიდევ არაპიპოკიმენური "ქუემდებარე" (κατωκειμενος), რომელიც ნიშნავს "ქვემოს", "ქვემოთ მდებარეს". მაგალითად: "მამისაგან დაკნინდების ძე მდაბალთა და ქუემდებარეთად... ცუდითა ამით ღმრთისმეტყუელ-ებითა" (A-109, 111v1; 420A); "აღვიდა ზეცად, რადთა შენ შეგკრიბოს ქუემდებარე" (იქვე, 113v2; 424B); "თავისა მიმართ თვისისა მიიზიდნეს ქუემდებარენი" (188v2; 400A)

³ აღვნიშნავთ, რომ არსენთან პიპოკიმენურ ტერმინად ერთგან გვხვდება "წინამიზენი": "ნივთი წინამიზენი (σποκειμεντη) მოქმედებისად" (S-1463, 253v1).

"ხრწნილებისა თანამდებნი" (ოლიმპიოდორე, ხელნ. A-61, 30.2; Pg.93, 488B).¹

არსენისეული "ქუედმდებარე", როგორც მოსალოდნელი იყო, მუარად დამკვიდრდა გელათურ ტექსტებში. მარტო ამონიოსის შრომათა თარგმანები ამ ტერმინის კეშმარიტად აურაცხელ დამოწმებას წარმოგვიდგენს (იხ. გამოცემაზე დართული ტერმინული საძიებელი, გვ.246). ზუსტად ასეთივე ვითარება გვაქვს ტერმინულ სტრუქტურათა მეექვსე ჯგუფის სხვა ძეგლებში.² დავიმოწმებთ რამდენიმე ნიმუშს კონკრეტულად მაქსიმე აღმსარებლის შრომათა გელათური თარგმანებიდან:

"...ქუედმდებარეთა მათთა უმწუერვალესისა განყოფილებისათვს" (მაქსიმე, გელ. 14, ფოტო 199.1; col.596D);

"ქუედმდებარეებად ჰქონან გონიერნი და უსხეულონი არსებანი" (იქვე, ფ.199.1; 596D);

"იგივედ ერთობისად მყოფი ქუედმდებარისაებრ" (იქვე, ფ.171; 541C);

"ქუედმდებარისათად" (იქვე, ფ.274.2; 76A).

"ცხად-ჰყოფს თითოეული ქუედმდებარისაებრ მოწლებობასა" (იქვე, ფ.90.1; 404A);

"ქუედმდებარისაებრ თითოეულისა ვითარების მოწლებობისადსა შეერთებული" (იქვე, ფ.207.2; 609C);

იოანე პეტრიწისათვის ნიშანდობლივია როგორც "ქუედმდებარე", აგრეთვე "წინამდებარე", თუმცა აღნიშვნის ღირსია, რომ ნემესიოსის წიგნში გაცილებით ჭარბობს "წინამდებარე", მაშინ როცა პროკლეს თარგმანში უფრო ხშირია "ქუედმდებარე". მოგვაქვს ნიმუშები ნემესიოსის წიგნიდან:

1. *το υποκειμενον* - წინამდებარე:

"გარდაიქმნების თვნიერ წინამდებარისა განხრწნისა" (34.22; 557A)

¹ საგულისხმოა, რომ ბერძნული *συκειμενον* ოლიმპიოდორეს შრომის მთარგმნელს გადმოტანილი აქვს ტერმინით "თანამოკიდული": "მიღებად ჩუენდა მოსალოდებელთა და თანამოკიდულთად" (29v2; 523D). როგორც ზემოთ ვნახეთ, *συκειμενον* ერთგან "თანამოკიდულად" აქვს თარგმნილი ეფრემ მცირესაც. ვფიქრობთ, ამ ნიშნითაც ხსენებული თარგმანი აშკარად ახლოს დგას ეფრემისეულ ტერმინოლოგიასთან.

² უიშვიათესად აღნიშნულ ძეგლებშიც, არსენის მსგავსად, გვხვდება "წინამდებარე". დასტურდება, აგრეთვე, "წინადადებული". მაგალითად: "ჩანს... წინამდებარისა (*υποκειμενον*) ნივთისად" (ამონიოსი 43.24; 52.22; დამოწმებულია მ.რაფაევას მიერ. იხ. გამოცემაზე დართული ტერმინული ლექსიკონი, გვ.234); "აწ წინადადებულ იქმენინ (*υποκεισθω*) მხოლოდ" (იქვე 64.35; 84.5); "წინამდებარედ (*υποκειμενον*) მყოფსა მჩუენებელი" (თეოფილაქტე, იოანეს თავის განმარტება, A-52,122v; col.221A). ძალიან საყურადღებოა ერთი შემთხვევა, სადაც *υποκειμενον* თარგმნილია ტერმინით "ქუეწინამდებარე" (ამონიოსი, 126.33; 37.15; დამოწმებულია მ.რაფაევას მიერ). ერთგან შესატყვისად გვხვდება ზმნური ფორმა "ქუედ ძეს (*υποκειται*)" (იქვე, 67.31; 88.11).

"სულიცა უკუგანაშორის თვნიერ წინამდებარისა განხრწნისა" (34.23; 557A);

"პირველად იტყვს ნივთსა წინამდებარესა" (36.15; 560B-C);

"თუალი წინამდებარისაგან არს ნივთისა" (37.1; 561A);

"არს უკუე ესე წინამდებარე ნივთი მის-შორისი" (37.2; 561A)

"არა თუ მებრ გუარითა არსება წინააღმდეგობთა არს შემწყნარებელ, არამედ წინამდებარითა" (38.21; 565A);

"ესე იქმნების და გარდაიქმნების თვნიერ წინამდებარისა ხრწნილებისა" (51.1; 589B);

"ნუუმე და ყოველნი არცერთისა წინამდებარისა (*προ-υποκειμενης*) ნივთისაგან იტყვან ქმნად ცისა და ქუეყანისა" (69.19; 628B);

"ესე უკუე მებრ სიტყვს წინადადებით არს წინამდებარედ" (148.11; 756A);

"... წინამდებარედ ჩუენთათვს" (148.8; 756A);

"...წინამდებარისა ნივთისაგან" (158.10; 773A);

"... წინამდებარისა ნივთისა შეცვალებისაგან" (158.11; 773B);¹

II. *το υποκειμενον* - ქუემდებარე:

"ქუემდებარისა ნივთისაგან ქმნილნი ქცევადნი არიან" (159.16; 776A);

"არ-ქუემდებარისა ნივთისაგან იქმნეს" (160.1; 776B);

"ქუემდებარისა ნივთისაგან ქმნადთა... აქუს ქცევადობად" (159.27; 776B).²

პროკლეს წიგნის თარგმანში, როგორც აღვნიშნეთ, ჭარბობს "ქუემდებარე". ს.ყაუხჩიშვილის მიერ შედგენილი ტერმინოლოგიური ლექსიკონის მიხედვით ხსენებული ბერძნული ტერმინი თერთმეტ შემთხვევაში თარგმნილია "ქუეშემდებარედ", ხუთგზის კი - "წინამდებარედ". ორივე ეს ტერმინი გვხვდება, აგრეთვე, პეტრიწის კომენტარებში (იხ. დასახ. ლექსიკონი).

საყურადღებოა, რომ პეტრე გელათელი იმავე ტერმინს თარგმნის, როგორც "ქუემდებარე" (კლემაქსი, A-39, 213; ბერძ. ტექსტი, არქიმ. იგნატის გამოც., 401); აგრეთვე, ზმნა *υποκειται* მის მიერ გადმოტანილია, როგორც "ქუეშემდებარე" (104; 211).

ამგვარია ზოგადად *υποκειμενον*-ის ქართულად თარგმნის ისტორია. შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ბერძნული ტერმინი უძველეს დროში მრავალგვარად ითარგმნებოდა ქართულად, მათ შორის, როგორც "ნივთი", "გუამი", "ბუნებად", "შანთი", "წინამდებარე". გიორგი

¹ ერთგან ზმნა *υποκειται* თარგმნილია, როგორც "წინამდებ არს" (71.19; 632B); ერთგზის *υποκειμενον*-ს გადმოსცემს შესიტყვება "წინამდებარე შემთხვევადთათვს" (32.15; 553B). სხვაგან შესატყვისად გვხვდება მხოლოდ "შემთხვევა" (32.16; 553B);

² ორგზის ხსენებული ტერმინი თარგმნილია, როგორც "თანამდები" (150.7; 760A; 150.24; 760B).

მთაწმიდლისათვის ნიშანდობლივია შესიტყვება "ქუეშე-მყოფი" ანდა "ქუეშე-მყოფი ნივთი", აგრეთვე, "ნივთი". მასთანავე გვხვდება ტერმინი "წინამდებარე", რაც *σποκειμενον*-ის უმთავრეს შესატყვისად ჩანს თეოფილე ხუცესმონაზონთან. ეფრემ მცირე ტრადიციულ და ახალ შესატყვისობათა ნაირგვარობაში წინ წამოსწევს მარტოდენ მისთვის ნიშანდობლივ ტერმინს "თანამოკიდული". არსენ იყალთოელი ამკვიდრებს ზედმიწევნით ზუსტ შესატყვისს "ქუედმდებარე", რაც არსებითი ხდება გელათური საღვთისმეტყველო სკოლისათვის, თუმცა ამ ტერმინის გვერდით იმავე არსენთანაც და გელათურ თარგმანებშიც თავს იჩენს ადრინდელი "წინამდებარე", რაც ძირითად ტერმინად ჩანს გრიგოლ აკრაკანტელის ზემოგანხილული შრომის მთარგმნელისათვის. იოანე პეტრიწთან სრულყოფილად ვლინდება როგორც "ქუემდებარე", ასევე "წინამდებარე", თუმცა ნემესიოსის წიგნში აქცენტირებულია ეს უკანასკნელი, მაშინ როცა პროკლეს შრომის თარგმანში პირველი მათგანი ჭარბობს. პეტრე გელათელთან გვხვდება "ქუეშემდებარე".

ზემოწარმოდგენილი მსჯელობის ფონზე ყურადღებას იქცევს შემდეგი საკითხი: როგორ არის თარგმნილი ბერძნული *σποκειμενον* მაქსიმეს "ორასეულსა" და "ოთხასეულში"?

მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"რამეთუ მცნობელი იგი თანამოკიდული (*σποκειμενον*) რადმე არს" (ორასეული 1.82);

"ცნობადი იგი თანამოკიდული (*σποκειμενον*) რადმე არს უეჭუელად ანუ თანამოკიდულისა-შინად (*εν σποκειμενω*)" (იქვე, 1.82);

"არა აქუს მას ბუნებით მიმთუალველი ცნობადობისად თანამოკიდული (*σποκειμενον*) არსებად" (იქვე, 1.82);

"ღმერთი ორკერძოვე ყოვლად მარტივ არს და არსება თვნიერ თანამოკიდულისა (*σποκειμενον*) და მოგონება ყოვლად არარას მქონებელ თანამოკიდულსა" (იქვე, 2.3);

"თვთოსახეობისაებრ ქველისმოქმედებათა მის თანამოკიდულისათადსა (*περι το σποκειμενον*)" (იქვე, 2.63);

"თანამოკიდულებისაებრ (*κατα την σποκειμενην*) მეორეთა ძალისა არს" (იქვე, 2.67);

"პირველად თანამოკიდულთა ვნებათა მიიღებენ" (ოთხასეული 2.31);

"წინა-მოკიდულებითა (*προ-σποκειμενην*) მისდა არსებისადთა" (ორასეული 1.82);

"არარადთ შეწევნული წინამდებარეთაგან" (იქვე, 1.22).¹

როგორც ვხედავთ, "ორასეულისა" და "ოთხასეულის" მთარგმნელი *σποκειμενον*-ის ძირითად შესატყვისად წარმოგვიდგენს ტერმინს "თანამოკი-

¹ ოთხასეულში ორგზის გვხვდება *σποκειμενον*-ის ფუძეზიარი ტერმინი *προσκειμενον*, რომელიც ასეა თარგმნილი: "დამოკიდებულ იყოს" (1.18); "ნივთიერთა რათმე საქმეთა მოკიდულისად" (4.41).

დული". თითო შემთხვევაში გვხვდება "წინა-მოკიდული" (*προ-υποκειμενον*) და "წინამდებარე". დაახლოებით იმავე შინაარსით, კერძოდ *προσκευμενον*-ის შესატყვისად, მთარგმნელისათვის ცნობილია ტერმინები "დამოკიდებული" და "მოკიდული" (იხ. ქვემოთ შენ. 1).

ვფიქრობთ, სრულიად ცხადია, რომ საქმე გვაქვს სპეციფურად ეფრემისეულ ტერმინოლოგიასთან, რაც უტყუარი ნიშანია იმისა, რომ სწორედ ეფრემ მცირე უნდა იყოს ზემოაღნიშნულ თხზულებათა მთარგმნელი.

როდესაც ეფრემ მცირის ცნებითი ღვთისმეტყველების სპეციფიკაზე ვსაუბრობთ, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ცნობილი ბერძნული ტერმინი *μετεχω*, აგრეთვე, მისი ფუძეზიარი ტერმინები: *μεθεξις*, *μετοχη*, *αμεθεκτος* და მისთ. როგორც ცნობილია, ეს ტერმინები აღნიშნავს "მონაწილეობას", "თანაზიარებას", "მოზიარებას" და ისინი ეფრემის წინარე ეპოქაში, ჩვეულებრივ, "ზიარებად" ითარგმნებოდა, აგრეთვე, "ქონებად", "მოქონებად" (მდრ. I კორ. 10.17), "მიღებად", "მიწევნად" და მისთ. ამგვარივე არამყარი სურათი გვაქვს ექვთიმე ათონელთან. თვალსაჩინოებისათვის დავიმოწმებთ ზოგ ნიმუშს მაკარი 'ეგვიპტელის სწავლათა ექვთიმესეული თარგმანიდან:

"შეიწყნარებენ (*μετεχειν*) მას გულისგმისყოფით" (204.36; 9.24);

"რომელ არს ზიარ-ყოფად (*μετοχος γενηται*) სულისა წმიდისად" (215.7; 19.19);

"სხუად სული არს (*μετεχειν*) მათ თანა" (242.29; 93.9);

"მრავალნი მიიღებენ (*μετοχοι γινονται*) მადლსა ზეცისასა" (243.24; 94.4);

"მიიღონ (*μετασχειν*) მათცა ცხორებად უკუდავი ღმრთეებისად" (259.18; 112.7);

"თანამოზიარე მადლისა (*μετοχος χαριτος*)" (339.27; 120.20);

გიორგი მთაწმინდელთან *μετεχω*-ს შესატყვისად აქცენტირებულია "ზიარებად", თუმცა, ცხადია, მის თარგმანებში სხვა შესატყვისებიც გვხვდება. მაგალითად:

"ნაწილთა მიერ ურთიერთარს ეზიარებიან (*μετεχουσαι*)" (გრიგოლ ნოსელი, დაბადებისათვის კაცისა, გვ.7; col.129A);

"ეზიარებოდის (*μετεχη*) შუენიერებასა პირმშოდსა მის მსგავსებისასა (იქვე, 48; 161C);

"ეზიარებოდის (*μετεχοι*) ძალსა მშვნვიერობისასა" (67; 176B)

"არცა მას გრძნობად აქუს, არცა ამას გონიერისა ბუნებისა ზიარებად (*μετεχοντα*)" (67; 176C);

"მისთანა მიიღო სხუათა მათცა... ვნებათა ზიარებად (*συμ-μετεσχε*)" (85; 192B);

"ცხორებასა ეზიარების" (155; 256B);

"ეზიარების (*μετεχοντα*) იგი ქუეყანასა სიმყარითა" (ბასილი, ექუსთა დღეთად, 1.11; გიორგის თარგმანი 13.2; დამოწმებულია მ.კახაძის მიერ

ტექსტზე დართულ ლექსიკონში);

"სხუად არს ნათელი... ჭეშმარიტი, რომლისა ზიარებითა (μεθεξει) იქმნეს წმიდანი მნათობ სულთა" (იქვე, 6.3; 65.28; დამოწმებულია იქვე);

"რადთა ყოველნივე სწორებით იქმნენ ზიარ (μετεχοι) კეთილისა" (გრიგოლ ნოსელი, სწავლანი, Ath. 14, 9; 25C);

"უზიარებელ და მიუღებელ (μη οντος του μετεχοντος τε και απολαυοντος)" (იქვე, 7v; 21C);

"ზიარ იქმნეს (μετοχος γενεσθαι) საღმრთოთა კეთილთა" (იქვე, 7v; 21C);

"მიღებად კეთილთა (προς το μετεχομενον)" (იქვე, 7v; 21D);

"რომელმანცა განიშუა და იხარა (μετεχων)" (გრიგოლ ნოსელი, დაბადებისათვის კაცისა, გვ.11; col.132C);

"ვერ მიმწუდომელ (ου μετεχουσα)" (იქვე, გვ.29; 148A);

"ზოგად მიაქუს (μετεχουσι) ყოველთა... უცნებად" (61.172B);

"სრულისა სულისა არს შემწყნარებელ (μετεχειν)" (155; 256B);

აღნიშნული ბერძნული ტერმინი მრავალგვარად ითარგმნება თეოფილეს მიერ, რაც თითქმის ყველა შემთხვევაში მოცემული კონტექსტის ყოფითი შინაარსით აღქმას ეფუძნება და არა ცნებით წვდომას. აი, სათანადო ნიმუშები:

"შემდგომად საზრდელისა ვორციელისა მიღებისა (μεταστοντα) მოსლვად" (იოანე ოქროპირი, თარგმანებად დაბადებისა, Ath.29, ფოტო 132; col.81);

"არცა ღვნისა ზომიერისა მიღებად (μετασχειν) ბოროტ არს" (იქვე, ფოტო 133; col.82);

"რადსათვის არა შეგინდობს თქუენ მიხუმად კეთილთა მათ სამოთხისათა" (250; 127);

"უკუეთუ მვეცთა მაშინ სიტყვერობადცა აქუნდა (μετειχεν)... (251; 127);

"არა, ვჭამოთ რად (μεταστοντας), წარვწყმდეთ" (255; 128);

"ყოველივე კაცთმოყუარებითა აქუს (μετεχει)" (268; 133);

"ესოდენი აქუნდა (μετεχων) სიბრძნე" (275; 136);

"აქუნდეს... ნუგეშინისცემად ვუმევითა მით და მიღებითა (μετε οντας) მათითა" (492; 214);

ნურარასმცა იხილვენ გემოსა (μετασχειν) საზრდელისასა" (495; 215);

"კეთილთა მიხუმად (μετασχειν) ღირს ვიქმნეთ" (504; 217).

როგორც ვხედავთ, თეოფილე ხუცესმონაზონი სარგებლობს მრავალი ყოფითი სიტყვით, რომლებიც შორს არიან ცნებითი გააზრებისაგან. ეს სიტყვებია: მიღება, მიხუმა, ჭამა, ქონება (აქუს), ვუმევა, გემოვს ხილვა.

სრულყოფილი ცნებითი აღქმა ზემორე ბერძნული ტერმინისა ქართულ მწერლობაში პირველად თავს იჩენს ეფრემ მცირესთან, რომელიც *μετεχω*-სა და მისი ფორმობრივი ვარიაციების თითქმის უცვლელ შესატყვისად ამკვიდრებს ტერმინ "მიმღებელობას" და ამ ტერმინის ფორმობრივ სახესხვაობებს (მიღებად, მისაღებელობად, მიუღებელობად, მიმღებელ და მისთ.).

ამგვარად, მყარი ტერმინთშესატყვისობა *μεθεξις* - მიმღებელობად (*μετεχω* - მიღება) სპეციფურია მარტოდენ ეფრემ მცირისათვის. თუკი ეს ტერმინთშესატყვისობა ეფრემის შედარებით ადრეულ თარგმანებში ერთადერთი არ არის, მისსავე ბოლოდროინდელ შრომებში, პირიქით, იგი თითქმის სრულ უცვლელობას იძენს და ჩვენს წინაშე წარმოჩნდება, როგორც ეფრემ მცირის ტერმინული სტრუქტურის უმთავრესი ელემენტი. წარმოვადგენთ სათანადო ნიმუშებს:

1. შედარებით ადრეული პერიოდი - იოანე დამასკელის "გარდამოცემა" (პარალელურად ვუთითებთ არსენისეულ თარგმანსაც):

ეფრემი

არსენი

სიტკბობად იგი საღმრთოთა მადლთა მიმღებელობისად (*μεθεξιως*) (A-24, 64.1; col.916C).

სიტკბობად საღმრთოთა ზიარებისად (68v2)

მათვე ნიჭთა მიმღებელ იყვნენ (*μεθεξις γεγοιστας*) მადლით (122.2; 1164B).

მისივე სახელისა ზიარქმულნი მადლით (95v2)

მიმღებელმან (*μετασχειν*) კაცთმოყუარებისა და სახიერებისა (78.1; 969A)

ზიარ-ვიქმნენ სახიერებისა მისისა (75v2)

მიღებითა (*μετεχοντες*) წმიდათა საიდუმლოთად (116.1; 1133B).

ზიარებითა საიდუმლოთად (93.1)

ვითარცა არავინ იყო მიმღებელი (*μετεχομενον*) (116v1; 1136C)

...არცა ერთისა ვის ზიარად მქონებელობითა (93.1)

უღირსებით მიმღებელთა (*μετεχουσις*) (118.2; 1148A)

უღირსად მზიარებელთა (94.1)

უღირსებით მიიღებდეს (*μετεχων*) (119.2; 1152A)

ეზიარებოდის... უღირსებით (94.2)

ამგვარი ტერმინთშესატყვისობის ნიმუშები ეფრემის ხსენებულ თარგმანში

სხვაგანაც გვხვდება. მაგალითად:

"მიმღებელთა (μετεχουσι) სიტყვსათა" (41.1; 808D);

"მიმღებელ იყოს (μετεχων)" (49.1; 852B);

"არა მიმღებელი (ου μετεχον)" (44.1; 821C);

"შიიღებენ (μετεχοντες) მადლსა" (52v2; 869A);

"განათლებისაებრ შიიღებენ (μετεχοντες) ღვთასა" (53.1; 872A)

როგორც აღვნიშნეთ, ზემორე ტერმინთშესატყვისობა ეფრემის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შედარებით ადრეულ პერიოდში ერთადერთი არ არის. ტერმინი "შიღება" ზოგჯერ შეცვლილია ტერმინით "ზიარება". აი, რამდენიმე ნიმუში იმავე თარგმანიდან:

ეფრემი

არსენი

ვეზიარებით (μετεχομεν)
ღმრთეებასა ქრისტესსა
(119v2; 1153C)

ვეზიარებით ღმრთეებასა
ქრისტესსა (94v1)

არა ზიარ (μετοχοι) ბო-
როტადმადიდებაობისა მათი-
სა ვიქმნნეთ (119v2; 1153B)

არა ზიარ ბოროტადმა-
დიდებლობისა... მათისა
ვიქმნნეთ (94v1)

მიზიარნეს (μετοχους κα-
τασθηση) (116v2; 1137B)

ზიარად გამომაჩინეს
(93.2)

საგულისხმოა ერთი ადგილი, სადაც ეფრემი სინონიმური წყვილის სახით თარგმნის ბერძნულ ტერმინს:

ეფრემი

არსენი

ზიარ და მიმღებელ (εν
μετοχη) იქმნეს (116v2;
1137B)¹

ზიარ იქმნეს (93.2)

ამგვარად, ზემორე პარალელური ნიმუშებიდან აშკარად გამოჩნდა, რომ შედარებით ადრეულ თარგმანებშიც ეფრემ მცირე ბერძნულ μετεχων-ს ტერმინულად თარგმნის, როგორც "შიღება//მიმღებელობა", რასაც ზოგჯერ უნაცვლებს გიორგი მთაწმიდლისათვის ნიშანდობლივ "ზიარებას".

ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მოღვაწეობის გვიანდელ ხანაში, როგორც

¹ ცალკეულ შემთხვევებში ეფრემთან გვხვდება, აგრეთვე, არატერმინული, კონტექსტისეული შესატყვისები: "შიმთხუევა" (79.1; 977B; შდრ. არსენი: "ზიარ იქმნეს, 76.2); "მახლობელობად" (69.2; 917C; შდრ. არსენი: "საკუთრებად" 69.2); "მითუალვა" (46.2; 833A) და სხვა.

აღვნიშნეთ, ზემოწარმოდგენილი ძირითადი ტერმინთშესატყვისობა თითქმის აბსოლუტიზებული ხდება. ამის თვალსაჩინო ნიმუშია დიონისე არეოპაგელის მისეული თარგმანი. მოგვაქვს სათანადო დამოწმებანი (ნიმუშების მრავალრიცხოვნების გამო ვუთითებთ მხოლოდ შესაბამის სიტყვებს ს.ენუქაშვილის გამოცემიდან თავისა და პარაგრაფის აღნიშვნით):

I. μεθεξς:

მიმღებლობითა (33.33; 4.4); მისაღებელად (46.34; 4.20); მიმღებელყოფად (48.21; 4.20); მიღებით (49.35; 4.21); მიმღებლობით (50.3; 4.22); მიიღებდენ (125.33; 8.2); მისაღებელყოფისათა (143.12; 15.1); მიმღებელ იქმნებიან (150.29); მიღებად (158.18; 1.3); მიმღებლობისა (165.34; 2.3); მისაღებელსა (166.25; 2.3); მიმღებლობისა (169.21; 3.1); მისაღებელთა (174.34; 3.3); მიღებითა (180.35; 3.3); მიმღებლობითა (183.38; 3.3); მიმღებლობისა (188.2; 4.3); მიმღებლობითა (188.24; 4.3); მიღებასა (188.33; 4.3); მისაღებელისა (207.11, 6.3); მისაღებელად (217.22; 7.3); მიმღებლობით (253.17; ep. 9.2).

II. μεθεκτως

მისაღებლობით (91.30; 11.6).

III. 1. μετασχειν:

მიღებად (176.25; 3.3); მისაღებელ-ყოფად (181.39; 3.3); მიიღებდენ (215.14; 7.3).

2. μετασχωσ (μετασχοσσ):

მიეღოს (212.27; 7.3); მიიღოს (171.9; 3.2); მიიღოს (183.3; 3.3); მიმღებელნი (188.1; 4.3); მიმღებელთა (195.6; 5.1).

3. μετεχειν:

მიმღებელთა (30.2; 4.1); მიმღებლობისათა (93.25; 12.3); მიმღებელთა (81.16; 9.4); მიმღებელისა (66.29; 6.1); მიმღებელად ყოფისა (62.3; 5.5); მიღებად (46.25; 4.20); მიმღებელყოფად (157.1; 1.2); მიმღებლობისა (166.21; 2.3); მიიღებდენ (126.6; 8.2).

4. μετεχομενος:

მიღებულისა (207.4; 6.3); მისაღებელთა (62.4; 5.5); მიმღებელთა (80.20; 9.2); მისაღებელთა (92.15).

5. μετεχω (μετεχει, μετεχοσσι):

მიმღებელნი (19.9; 2.5); მიიღებს (33.2; 4.4); მიიღებს (36.18; 4.7); მიიღებს (36.20; 4.7); მიიღებენ (46.25; 4.20); მიიღებსვე (47.20; 4.20); მიიღებს (47.22; 4.20); მიმღებელ (60.11; 5.3); მიიღებს (64.26; 5.8); მიმღებელთა (83.7; 9.6); მიმღებელ არიან (86.27; 10.3); მიიღებს (95.2; 13.2); მიიღებენ (95.4; 13.2); მიმღებელ არს (96.14; 13.3); მიიღებენ (113.7;

4.1); მიმღებელ არიან (113.11; 4.1); მიუღებებს (133.4; 11.1); მიიღებენ (134.13; 12.2); მიიღებენ (134.14; 12.2); მიიღებენ (134.17; 12.2); მიიღებენ (137.12; 13.3); მიმღებელ არიან (138.11; 13.3); მიიღებენ (157.15; 1.2); მიიღებენ (207.14; 6.3);

6. *μετεχομαι (μετεχεται):*

მიიღებვის (65.19; 5.9); მიიღებვოდის (65.20; 5.9); მიიღებვიან (254.35; ep. 9.4); მიიღებვის (178.37; 3.3.9).

7. *μετεχεσθαι:*

მიღებად (19.5; 2.5).

8. *ο μετεχων (το μετεχον, τα μετεχοντα, μετεχουσα):*

მიმღებელისად (19.5; 2.5); მიმღებელთა (19.21-2.6; 35.18-4.7; 35.19-4.7; 46.15-4.20; 60.4-5.3); მიმღებელ (60.13; 5.3); მიმღებელნი (60.19; 5.3); მიმღებელ (212.36; 7.3); მისაღებელად (62.1; 5.5); მიმღებელ არიან (61.28; 5.5); მიმღებელ არიან (61.34; 5.5); მიმღებელთა (62.5-5.5; 64.27-5.8; 66.10-6.1); მიიღებენ (91.34; 11.6); მიმღებელთა (92.3-11.6; 92.4-11.6; 93.27-12.4; 94.2-12.4; 134.30-12.2; 172.20-3.3.3; 182.28-3.3.13; 234.7 - ep.2); მიმღებელთადასა (188.34;4.3).

9. *μεθεξοντες:*

მიმღებელთა (181.38; 3.3.12)

10. *μεθεξειν:*

მიმღებელად (84.14; 10.3).

IV. 1. *η μετοχη:*

მისაღებელთაგან (20.20; 2.7); მისაღებელთა (35.18; 4.7); მისაღებლობათა (35.20; 4.7); მისაღებელთა (61.13; 5.5); მისაღებელსა (62.4; 5.5); მისაღებელთა (62.7; 5.6); მისაღებლობითა (80.22; 9.2); მისაღებლობასა (84.21; 9.10); მისაღებელ (87.12; 11.1); მისაღებელნი (93.37; 12.4); მისაღებელთა (94.2; 12.4); მიმღებელყოფად (119.34; 7.2); მიღებად (185.5; 3.3); მიმღებელობისათვის (195.33; 5.1); მიმღებელობისა (215.2; 7.3)¹

¹ ერთგან შესატყვისია: "მიუღებლობისადათ" (19.30; 2.6), რაც ალბათ გადამწერის შეცდომაა. უნდა ყოფილიყო "მიმღებლობისადათ".

2. ΜΕΤΟΧΙΚΟΝ:

მიმღებლობასა (145.18; 15.3)

3. ΜΕΤΟΧΟΣ:

მიმღებლობით (132.19; 7.3); მიმღებელად (163.31; 2.2.7); მიმღებელად (181.3; 3.3.11)

V. 1. ΑΜΕΘΕΚΤΟΣ:

ვერმიღებისა (19.29; 2.6); მიუღებელად (80.31; 9.3); მიუღებელთა (91.31; 11.6); მიუღებელისა (92.15; 11.6); მიუღებელი (94.2; 12.4); მიუღებელ (129.35; 9.3); მიუღებელ (133.8; 11.1); მიუღებელ (134.5-12.1; 155.14-1.1; 175.1-3.3-6).

2. ΑΜΕΘΕΚΤΩΣ:

მიუღებელად (19.2; 2.4).

3. ΑΜΕΤΟΧΟΣ:

მიუღებელ (56.30; 4.33); მიუღებელ (95.1; 13.2); არამიმღებელი (95.8; 13.2); მიუღებელნი (183.28; 3.3.15); ვერმიმღებელთა (247.8; ეპ.8.5).

4. ΑΥΤΟΜΕΤΟΧΗ:

თვთმისადებელთაგანი (62.1; 5.5).

* * *

მოტანილი ნიმუშების მრავალრიცხოვნება შთამბეჭდავად ადასტურებს, რომ ზემოაღნიშნული ტერმინთშესატყვისობა მკვეთრად ნიშანდობლივია ეფრემ მცირისათვის და მისი ტერმინული ღვთისმეტყველების უტყუარ სპეციფიკას წარმოადგენს. გამონაკლისი შემთხვევები იმდენად მცირეა, რომ მათ ფონზე ზემორე ტერმინთშესატყვისობა თითქმის აბსოლუტიზებულ კანონზომიერებად წარმოჩნდება.¹ სხვათა შორის, ამის კარგი ნიმუშია ორიგინალის ერთი

¹ ეს გამონაკლისებია: (1) ერთგან *μετεχειν* თარგმნილია, როგორც "ბერობა" (46.32; 4.20), რაც გვაფიქრებინებს, რომ ორიგინალის ეფრემისეულ ხელნაწერში უნდა ყოფილიყო არა *μετεχειν*, არამედ *κατεχειν*; (2) თარგმანში არის ერთი წინადადება, სადაც ბერძნული *μετεχων* (*μετεχου*) თარგმნილია, როგორც "მაჩუს". აი, ეს ადგილი: "და სხვათა ყოველთა, რაოდენი რად მისგან არსთა მაჩუს, პირველ ყოვლისა ყოფად მაჩუს; უფროდსლა, მასვე ერთბამად ყოველსა, რომელსა არსობად მაჩუს, მასვე იგივე ყოფად მაჩუს" (61.17-19; 5.5); (3) ორგზის *μετοχος* თარგმნილია როგორც "მოყუასი" (112.4 - 3.3; 218.20 - 7.3), რაც სავსებით მართებულია, რადგანაც ბერძნული "მეტოქის" (სპეციფიკური მნიშვნელობით) ქართული შესატყვისია სწორედ "მოყუასი". ეგვე შემთხვევააა მაშინაც, როცა ბერძნული *συμ-μετοχος* თარგმნილია, როგორც "თანამოყუასი" (217.38; 7.3); (4) ზემოწარმოდგენილი ნიმუშების მრავალრიცხოვნებაში მხოლოდ ერთგზის გამოვლინდა ისეთი შემთხვევა, სადაც *μετοχην* თარგმნილი იყო "ზარყოფად" (112.10; 3.3); (5) ერთგან *αμεθεκτοι* თარგმნილია ასე: "ვერ მქონებელ არიან" (116.26); (6) ასევე, ერთგან *αμετοχος* გადმოტანილია, როგორც "შეუბებელ" (247.37; ეპ. 8.5).

ადგილი, სადაც აღნიშნული შესატყვისობანი ზედიზედ ოთხგზის დასტურდება:

მისაღებელთაგან და მიმღებელთაგან იგალობების მიუღებელად მისაღებლობად (19.2-3)¹

ΕΚ ΤΩΝ ΜΕΤΟΧΩΝ ΚΑΙ ΤΩΝ ΜΕΤΕΧΟΝΤΩΝ ΣΥΜΒΕΙΤΑΙ ΤΑ ΑΜΕΘΕΚΤΩΣ ΜΕΤΕΧΟΜΕΝΑ (2.5)

როგორ ითარგმნება ჩვენთვის საინტერესო ბერძნული ტერმინები მომდევნო ხანაში?

ზემოდამოწმებული პარალელური ნიმუშებიდან აშკარად გამოჩნდა, რომ *μετεχων*-ს ძირითადი შესატყვისი არსენისათვის არის ტერმინი "ზიარება". როგორც ვნახეთ, არსენი თითქმის მთლიანად უარყოფს აღნიშნული ტერმინული შინაარსით ეფრემისეულ "მიღებას".² ასეთსავე სურათს გვიჩვენებს იოანე ჭიმჭიმელის თარგმანებიც. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"არა ჯერ-არს, რადთა თანაეზიარნენ (metascein) წარმართნი ქველისმოქმედებასა" (A-102, 31v2);

"რომლისა ზიარ-იქმნებიან (μεθεξουσι) წმიდანი" (A-113, 63.2; col.821 C);

"ზიარებისაებრ (κατα μετοχην) მათისა" (იქვე, 169v2; 1009D);

"ზიარი (μετεχων)" (იქვე, 75v2; 845A).

"ორისავე ამის ვითარებისა მქონებელი (μετεχων)" (იქვე, 69v1; 833C).

გრიგოლ აკრაკანტელისა და ოლიმპიოდორეს ეკლესიასტესეულ განმარტებათა ანონიმი მთარგმნელიც, რომელიც საზოგადოდ ტერმინულ ნათესაობას ამჟღავნებს ეფრემ მცირესთან, ამჯერად, არსენისა და იოანე ჭიმჭიმელის მსგავსად, ემიჯნება მას და ისიც ძირითად შესატყვისად ტერმინ "ზიარებას" წარმოგვიდგენს:

¹ ცხადია, ეგვე ტერმინთშესატყვისობა ვლინდება ეფრემის სხვა თარგმანებშიც, მაგალითად: "...მისვე ბუნებისა მიმღებელთათვის (μετεσχηκοτων)" (ბასილი დიდი, ეპისტოლენი, 301.31; ნ.ქაჯაიას გამოც. 257.14); "მოვილოთ (μετασχωμεν) განწმედილობად" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, სიტყვები, ხელნ. A-109, 91.2; col.372); "მრწამს რაოდენმე ამისი თქუენდა მისაღებელ (μετεχειν) ყოფად" (იქვე, 214.1; 437C); "მაშინ შემოკრებითა ვიეთიმე მიმღებლობად (μετεχειν)" (იქვე, 218v2; 452B); "რომელთა ჩუენივე ესე სჯული მიუღებეს (μετασχοντες)" (იქვე, 161v2; 876A); "ცეცხლი, არა კუამლი, მიიღეს (μετασχοντες)" (A-52, 131v1; col.1108 c); "არა მიელო (μετεσχηκας) სიტყუად აზნაურებითი" (იქვე, 128.1; 1100A).

² იგივე "ზიარება" ჩანს *μετεχων*-ს ძირითად შესატყვისად არსენის ადრეულ თარგმანებშიც. მაგალითად: "ზიარებად აქუს" (ანასტ. 17v2; 156C); "ზიარ-იუვნეს" (29.1; 237A); "ზიარ-არიანა" (31v1; 256D); "თანაზიარი" (35ჟ1; 281D); "ზიარებისა" (ნიკიტ. 272v2; 170); "ზიარ-იქმნეს" (275v1; 210); "ზიარყოფად" (277.2; 236); "ზიარებისმქონებლობად" (დამასკ. ორთა ნებ. 129v2; 136C); "ზიარებისა მქონებელად" (დამასკ. იაკობ. წინ. 124.2; 1468A); "ზიარებით" (116ჟ1; 220D); "ზიარქმნილად" (დამასკ. ნესტ. წინ. 109.2; 192A); "ზიარ-იქმნა" (109.2; 192A); იშვიათად გვხვდება სხვა შესატყვისებიც. მაგალითად: "მქონებელი" (5ჟ1; 65B), "მქონებელ არხო" (20.1; 173B); "მიხუმა" (28.2-232A; 123.2-1461B); "მანლობელქმნილი" (272v2; 170); "აქუნდეს" (236.27; 1124C) დასტურდება "მიმღებელიც" (265v2; 70).

- "ყოვლითურთ უზიარებელ (*αμετοχους*) იპოვნენ" (69.6; 929B);
 "... სიბოროტისა სახეთა საჭიროდ თანაზიართასა" (54.8; 900D);
 "ჰყოფს ზიარ (*μετοχον*) თვისსა" (152.25; 1116B)¹

სავსებით სხვა ვითარება გვაქვს ტერმინულ სტრუქტურათა VI ჯგუფის ძეგლებში, მათ შორის, ცხადია, მაქსიმე აღმსარებლის შრომათა გელათურ თარგმანებშიც, სადაც დაკანონებულ შესატყვისად წარმოჩნდება აქამდე უცნობი, ამ ტექსტებისათვის კი მეტად ნიშანდობლივი ტერმინი "თანქონებაჲ". ეს ტერმინი ზედმიწევნითი შესატყვისია ბერძნული სიტყვისა და იგი ზემოაღნიშნული გელათური თარგმანების ლექსიკურ სპეციფიკას ქმნის. უპირველესად, დავიმოწმებთ სათანადო ნიმუშებს ამონიოს ერმისის შრომებიდან:

I. *μετεχω*:

- "უფროდს თანა-აქუს " (74.40; 97.20);
 "თან-აქუნდა სიტყვერისა და მოკუდავისაჲ" (81.2; 105.17);
 "სწორობით თანა-აქუს " (93.5; 122.18);
 "არა სწორობით თანა-აქუს " (93.6; 122.19);
 "ვითარ-იგი თანა-აქუს განყოფილებათა" (95.8; 125.3);
 "თანა-გუაქუს ყოველთა" (111.13; 19.11);

II. *το μετεχον (τα μετεχοντα)*:

- "სახელნართაულად თანმქონი სახელ-იდების" (19.19; 19.26);
 "თანმქონებელნი ამათ ძალთანი" (61.29; 79.6);
 "გრძნობისა თანმქონებელი" (61.28, 79.5)
 "მისნივე თანმქონებელნი" (64.41; 84.9);
 "ვისთამე თანმქონებელთა მეორედ" (74.39; 97.20);
 "საშუალობითა ვისითამე თანმქონებელთასა" (74.40; 97.20);
 "თანმქონებელი სათნოებისაჲ" (130.10; 40.17);
 "რომელნიმე თანმქონებელისაებრ" (157.1; 67.21);
 "თანმქონებელნი მისნი" (169.5; 80.22);
 "თანმქონებელი ვითარებისაჲ" (169.14; 81.1);
 "არა უკმს თანმქონებელთა" (174.10; 86.10);

¹ გვხვდება სხვა შესატყვისებიც: "თანაქცევითა (*μεθεξει*) და ზიარებითა" (164.26; 1140C); "თანაზიარად და მონაწილედ (*μετοχους*) სიმდიდრისა" (79.18, 952D); "მისითა მანლებითა (*μεθεξει*) და ზიარებითა განვაბრწყინვით შინაგანიცა და გარეშე კაცი ჩუენი" (24.72; 796D); "უნაწილოდ (*αμετοχοι*) ყოფაჲ უკმს წინააღმდეგობთაგან" (ოლიმპიოდორე, A-61; 138.1; 537B). მხოლოდ ერთგზის იჩინა თავი ეფრემისეულმა ტერმინმა: "ღირსებით მამლებელთა (*μετεχοντων*)" (აკრაკანტელი, 132:3, 1073B).

"ვითარად თანმქონებელნი" (175.11; 88.6).¹

III. ΤΟ ΜΕΤΕΧΟΜΕΝΟΝ:

"რომელნიმე... თანქონებულისა" (157.2; 67.22);

"არს... თანქონებული მავითარებელი" (169.15; 81.1);

IV. ΜΕΤΕΧΕΙΝ:

"ორთავე ჰნებავს თანქონებად ქუედმდებარისად" (79.16; 103.28);

"ზედმიწევნული თანქონებითა ზედმიწევნულობისადთა" (157.2; 67.22);

"უფროდსად თანმქონებელად მყოფისა ვიტყვთ მას" (63.37; 82.15)

"თანქონებად მყოფისად" (63.34; 82.15).

V. Η ΜΕΤΟΧΗ:

"თანქონებისაებრ ნათესავისადასა" (63.28; 82.7).

VI. Η ΜΕΘΕΞΙΣ:

"ზედმიითუალავს თანქონებად შემთხუევითთად" (93.4; 122.17);

"რომელნიმე ითქუმიან... თანქონებისაგან" (113.28; 22.4).

VII. ΜΕΘΕΚΤΟΣ:

"განწვალეებული თანსაქონებელი არს" (111.16; 19.14).²

VIII. ΑΜΕΤΟΧΟΣ:

"არა თუმცა თანა-აქუნდა" (81.2; 105.16).³

დამოწმებული ნიმუშები ცხადყოფს, რომ ამონიოსის მთარგმნელისათვის ნიშანდობლივია შემდეგი ტერმინთშესატყვისობა: **ΜΕΤΕΧΩ** - თანქონება. როგორც აღვნიშნეთ, ასეთსავე სურათს გვიჩვენებს VI ჯგუფის სხვა ძეგლებიც, რაც მათ უეჭველ ტერმინულ ერთობაზე მიუთითებს. მოგვაქვს საგულისხმო ნიმუშები:

¹ საყურადღებოა, რომ ბერძნული **συμμετεχει** არსენის მიერ ერთგან ასეა თარგმნილი: "თანამქონებელ არს" (S-1463, 5.1; 65B).

² დამოწმებულია მ.რატავას მიერ ამონიოსის გამოცემაზე დართულ ლექსიკონში.

³ ზოგან თავს იჩენს არსენისათვის ნიშანდობლივი "ზიარება" (აგრეთვე, "თანაზიარება"): "სრულ-იქმნების თითოეული ზიარებითა (**μετεχον**) მისითა" (23.2; 24.4);

"ეზიარების (**μετεχει**) არსებასაცა" (135.13; 46.15); "ამათ თანაზიარ (**μετεχει**) მგრძნობელობითისაცა ძალისა" (61.31; 79.8); ერთგან შესატყვისად გვაქვს "მიღება":

"სიტყუად მიიღოს (**μετασχη**)" (80.32; 105.8); ასევე, ერთგან გვხვდება "მიზუნა":

"ესენი მიიზუნეს (**μετασχη**)" (80.31; 105.7).

1. მაქსიმე აღმსარებლის შრომათა გელათური თარგმანები (ხელნ. გელ. 14).

ზემოთ ტერმინთშესატყვისობის საილუსტრაციოდ სიმპტომატურია ერთი ადგილი, სადაც რამდენჯერმეა ხმარებული ორი ტერმინი: *το μετεχον* და *το μετεχομενον*. პირველ მათგანს ქართულ ტექსტში გადმოსცემს "თანქონებელი", ხოლო მეორეს - "თანქონებული":

"მოღებად... საღმრთოთაჲ არს თანქონებულისა მიმართ მსგავსებაჲ თანქონებელთაჲ, ხოლო თანქონებულისა მიმართ თანქონებელთა მსგავსებაჲ არს მოქმედებისაებრი თვთ მის თანქონებულისა მიმართ თანქონებელთაჲ მათ მსგავსებისა მიერ მოსავალი იგივეობაჲ, ხოლო თანქონებელთაჲ მათ მოქმედებისაებრი მსგავსებისა მიერ მოსავალი თანქონებულისა მიმართ იგივეობაჲ არს განღმრთობაჲ ღირსთა განღმრთობისათაჲ" (ფ.206.2; col.608D-609A).

აი, კიდევ რამდენიმე ნიმუში:

"დასასრული სარწმუნოებისაჲ - თანქონებაჲ (*μεθεξις*) ზეშობუნებისათაჲ" (ფ.208.1; 609D);

"დაიმკვდრების... გამოუთქუმელისაებრ თანქონებისა (*μεθεξις*)" (ფ.209.2; 612D);

"თანქონებაჲ (*μετεχειν*) მისდა" (იქვე, გელ. 14, ხელნ. 287v2; 252C);

"თანქონებელთა (*μετεχοντα*)" (იქვე, 304v2; col.433C);

"თანქონებლობით (*μεθεκτως*)" (302v2; 429A);¹

2. თეოფილაქტე ბულგარელი, განმარტება იოანეს სახარებისა (ხელნ. A-52);

"მერმე უმეტესცა აქუნდეს თანქონებაჲ (*μετοχη*) სულისა წმიდისაჲ" (78;69D);

"არამედ ნათელ თანქონებისაებრ (*κατα μετοχην*)" (4v; 1148).

"ნუ ჰგონებ მას თანქონებისაებრ (*κατα μετοχην*) მცხოვნობისა მცხოვნად" (50v; 1312B);

"გორცითა და სისხლითა კაცობრივთა ბუნებითთაჲ თან-მოაქუს (*μετεχει*)" (87v; 101A).²

აღნიშნულ ტერმინთშესატყვისობასთან დაკავშირებით საყურადღებოა

¹ აღნიშვნის ღირსია, რომ მაქსიმეს შრომათა გელათურ თარგმანებში ამონიოსის შრომათა თარგმანებზე მეტად შეიმჩნევა *μετεχων*-ს შესატყვისად ტრადიციული "ზიარების" გამოყენება (იხ. მაგ. ხელნ. გელ. 14: "ზიარებული" 302v2 - 429A; "თანზიარებული", 382.1 - 472A; "შზიარებულისა", 302v2 - 429A; "ზიარი" 303v2 - 432B; "ზიარებისა" 4v1 - 276A; "ზიარებითა" 290v1 - 257D; 294.1 - 756D; "ზიარება", ფოტო 216.1 - 621D). ერთგან გვხვდება "მოღებაჲ" (ფ.205-206; 608D), აგრეთვე "თანზიარებელი" (*μετοχος*) (ხელნ. 8v2; 288C). ვფიქრობთ, მაქსიმეს შრომები უფრო ადრეა თარგმნილი (შესაბამისად, ტრადიციული ტერმინოლოგიაც უფრო იჩენს მასში თავს), ვიდრე ამონიოსის კომენტარები.

² ამ ტექსტშიც ახალი ტერმინის გვერდით გვხვდება, აგრეთვე, ტრადიციული "ზიარება": "ვეზიარებოდეთ (*μετασχωμεν*) სერობასა" (102; 153B); "უზიარობა (*αμεθεξια*)" (68v; 40A); "უზიარო (*αμετοχοι*)" (126v; 236A).

იოანე პეტრიწის შრომები. ნემესიოსისა და პროკლეს თხზულებათა თარგმანების შესწავლა გვიჩვენებს, რომ იოანე პეტრიწი შედარებით ადრეულ ხანაში, კერძოდ, ნემესიოსის წიგნის თარგმნისას, *μετεχων*-ს ტერმინულ შესატყვისად იყენებდა ზემოგანხილულ გელათურ ტერმინს "თანქონებად", ხოლო შემდეგ მან, როგორც ჩანს, იმავე შინაარსით უპირატესობა მიანიჭა ტრადიციულ "ზიარებას" და ძირითად შესატყვისად სწორედ მას მოუხმო, თუმცა, ცხადია, შეინარჩუნა, აგრეთვე, ხსენებული "თანქონებად" (ნაირგვარი ფორმობრივი ვარიაციებით). უპირველესად, წარმოვადგენთ ნიმუშებს ნემესიოსის წიგნიდან:

"რომელსა თან-აქუნდეს (*μετεχων*) ნივთისა, ნივთთა-შორისად ითქუმის" (25.26; 540B);

"თანამქონებელი (*μετεχων*) ნივთისად" (25.27; 540B);

"სულისა თანანერგ არს ცხორებად, ხოლო სხეულთა თანქონებით (*κατα μεθεξιν*) ოდენ აქუს" (38.13; 564 c);

"უმეტეს თანა-აქუს (*μετεχειν*) იგი" (45.5; 577 A);

"არცა რად თანა-აქუნდა (*μετεχων*) მათისა უძლურებისაგან" (56.8; 601A).

ორ შემთხვევაში "თანქონებას" ცვლის "ზიარება":

"ხოლო ზიარებად (*μετεχειν*) ვიდრემე მორთულობისად სული არა უჯერო არს თქუმად" (33.1; 553B);

"სათნობასა ეზიარების (*μετεχει*)" (33.3; 553 B)

ამგვარად, ნემესიოსის წიგნში ტერმინი *μετεχων* პეტრიწის მიერ ექვსჯგზის თარგმნილია, როგორც "თანქონებად", ორჯგზის კი - როგორც "ზიარება".

სხვა ვითარებას ასახავს პროკლეს შრომა. ს.ყაუხჩიშვილის მიერ შედგენილი ტერმინოლოგიური ლექსიკონიდან ცხადად ჩანს, რომ აღნიშნულ თარგმანში პეტრიწს მნიშვნელოვნად შეუმცირებია გელათური ტერმინის ("თანქონებად") გამოყენების სიხშირე და ძირითად შესატყვისად ტრადიციული "ზიარება" აღუდგენია.¹ მთარგმნელის ამგვარი მოქმედება სემანტიკური ღვთისმეტყველების ასპექტით სავსებით გასაგებია, რადგანაც გელათური "თანქონება" თუმცა ფორმობრივად ზედმიწევნით თანხვდება ბერძნულ *μετεχων*-ს, მაგრამ სრულყოფილად ვერ იტევს მის საღვთისმეტყველო აზრს (განსხვავებით ტერმინ "ზიარებისაგან"). საქმე ისაა, რომ "თანქონება" ("თან-აქუს") სტატიკური ვითარების, უკვე არსებული მდგომარეობის, შედეგის ამსახველია (მაგალითად, ფრაზა "თანქონებად სულისა წმიდისად"), მაშინ როცა ბერძნული *μετεχων* უმთავრესად, ისევე როგორც ქართული "ზიარება" ("ეზიარების"), აუცილებელ მოქმედებასაც, მოძრაობასაც, პროცესსაც მოასწავებს (მაგალითად, იგივე ფრაზა, ტერმინშენაცვლებული: "ზიარებად სულისა წმიდისად").²

¹ იხ. ს.ყაუხჩიშვილის დასახ. ლექსიკონი, ტერმინები: *μετεχων*, *μεθεκτικος*, *μεθεκτος*, *μεθεξιν*, *μετοχη*, *αμεθεκτος*.

² ერთგან პროკლეს აღნიშნულ წიგნში ბერძნული *μετασχων* თარგმნილია, როგორც "შიძლებელი" (39.15; იხ. ლექსიკონი *μετεχων*). ასევე, ერთგზის *μετεχε* გადმოტანილია სიტყვით "შიღებად" (39.3; იხ. ლექსიკონი). სხვადასხვა შემთხვევაში შესატყვისებად გვხვდება, აგრეთვე, "ქონება", "თანმიცემა", "უნაწილო" (*αμετοχος*), "მოქნე" (რაც შეიძლება იყოს გადამწერისეული დამახინჯება სიტყვისა "მექონე", "თანმიქონება" და სხვა (იხ. იქვე).

ჩვენ განვიხილეთ ბერძნული *μετεχων*-ს და მასთან ფუძემდებელი ტერმინების ქართულად თარგმნა-ათვისების ისტორია. ამჯერად ყურადღებას იქცევს შემდეგი საკითხი: როგორ არის თარგმნილი ხსენებული ტერმინები მაქსიმეს "ორასეულსა" და "ოთხასეულში"? წარმოვადგენთ სათანადო ნიმუშებს:

1. ორასეული:

1. *μεθεξια* (*μεθεξει, κατα μεθεξιν*):

"მკუდარ არიან ყოველნი ცხოველნი არა ბუნებით, არამედ მიმღებლობით" (2.36); "მისაღებლობით ყოველთა შინაგან ჭმნული" (2.69); "მიმღებლობით მიიღებს უვნებლობისა მადლსა" (2.72); "სავსებად იგი მადლისად მიმღებლობით ყოველად მიიღონ მათ" (2.87); "იქმნების ღმერთ მიმღებლობითა საღმრთოდსა მადლისადთა" (2.88); "... შესაბამად თვისისა მიმღებლობით (ხელნ. "მიმღებლობით") განღმრთობისა" (2.88).

2. *μετεχω*:

"მისსა მის ჩუენთვსსა მიიღებს განღმრთობითსა მერვისა შეწევნასა, ესე იგი არს, საიდუმლოსა აღდგომასა" (1.60); "მიიღო ღმრთისაგან კეთილთა მადლთაგანი" (1.29); "მადლით მიიღებენ" (1.48).

3. *το μετεχον* (*τα μετεχοντα*):

"ყოველთა არსთა მიმღებლობად" (1.48); "იყო ოდესმე, ოდეს არა იყო არსთა მიმღებლობად" (1.48); "მისაღებლობანი არსთანი" (1.48); "მიმღებულთა მათთა თანა მყისთანად იწყებს ჟამიერად ყოფად" (1.48); "ყოველთავე არსთა მიმღებულთა ურიცხუებით... აღმატებულ არს ღმერთი" (1.49).

4. *μεθεκτος*:

"მისაღებულნი არსნი" (1.48)

5. *η μετοχη*:

"...მიღებითა არა ჟამიერად დაწყებულთა მათგან" (1.50).¹

¹ მხოლოდ ერთ შემთხვევაში *μετεσχηκας* თარგმნილია, როგორც "მიემთხვა"(1.60). საქმე ისაა, რომ იქვე, კვლავ გვხვდება ზმნა *μετεχω*. მთარგმნელმა ტავტოლოგიის თავიდან ასაცილებლად სხვა შესატყვისს მოუხმო.

II. "ოთხასეული":

1. *η μεθεξις* (*μεθεξει, κατα μεθεξιν*):

"მიმღებელობით და მადლით მქონებელთა მყოფობისათა" (3.27);
"მიმღებელობით საკუთრად მყოფისად" (3.29).

2. *μετεχω*:

"ღმერთისა მიმღებელ არს... საცნაური იგი არსებად უგორცოთად თვთ მით ყოფითა" (3.24); "პირველი იგი მხოლოდ მისაღებელ არს ნერგთა მიერ" (3.32); "აგებული მიიღებსცა და მისცემსცა; მიიღებს უკუე ყოფასა და კეთილყოფასა" (4.11).

3. *μετεχομαι*:

"ღმერთი მიიღებსცის ოდენ" (4.11);

4. *μετεχειν*:

"მარადის ყოფად ანუ არაყოფად, ესენი შემოქმედისა ველმწიფებასა შინა არიან, ხოლო მიმღებელობად ანუ არა მიმღებელობად სახიერებისა და სიბრძნისა მისისად სიტყვერთა განზრახვასა შინა არს" (3.27).

5. *το μετεχον* (*τα μετεχοντα*):

"მიიღონ რადმე მისგან" (3.46).

6. *η μετοχη*:

"წმიდათა ძალთა მისაღებლობით იციან ღმერთი, - ზემთ მისაღებლობისა მყოფად" (3.22).

7. *μετοχος*:

"მიმღებელ იქმნების საღმრთოდასა სიყუარულისა" (1.27); "ვორციელთა და უგორცოთა სიტყუებსა შინა შეყვანებად... მიმღებელისა" (2.26).¹

¹ ერთგან *μετοχος* გადმოტანილია, როგორც "მომგებელი" (2.58).

ზემოწარმოდგენილი ნიმუშები სრულიად გარკვევით გვიჩვენებს, რომ "ორასეულისა" და "ოთხასეულის" მთარგმნელისათვის მკვეთრად ნიშანდობლივია მყარი ტერმინთშესატყვისობა: **"μετεχω - მიღება"**, რაც ქართული საეკლესიო მწერლობის ისტორიაში, როგორც ზემოთ ვნახეთ, მართლდენ ეფრემ მცირის ტერმინოლოგიურ სპეციფიკას წარმოადგენს. ვფიქრობთ, საეკლესიო არ არის, რომ სწორედ იგი უნდა იყოს ხსენებულ თხზულებათა მთარგმნელი. ამასთან, რამდენადაც აღნიშნული ტერმინთშესატყვისობა "ორასეულში" და "ოთხასეულში" მართლაც მეტად მყარია და თითქმის აბსოლუტიზებას აღწევს, ეს ძეგლები ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მოღვაწეობის მოგვიანო პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს.

ამგვარად, სრულიად ცხადია, რომ "ორასეული" და "ოთხასეული" წარმოადგენს ეფრემ მცირის თარგმანს და ისინი მკვეთრად სხვაობენ მაქსიმე აღმსარებლის შრომათა გელათური თარგმანებისაგან. ეს მკვეთრი სხვაობა გარდა ზემოგანხილულისა, თავს იჩენს მრავალ სხვა ტერმინშიც. ქვემოთ მოკლედ შევვხებით რამდენიმე ასეთ ტერმინს. წინდაწინვე აღვნიშნავთ, რომ ქვემოთ მსჯელობა მიზნად ისახავს არა მხოლოდ "ორასეულისა" და "ოთხასეულის" ატრიბუციის განსაზღვრას, არამედ, აგრეთვე, საკუთრივ გელათური თარგმანების ანუ ჰომოგენური სტრუქტურების მეექვსე ჯგუფის ტერმინოლოგიურ თავისებურებათა დამატებით შესწავლა-დაკონკრეტებას.

1. Αισθησεις (τα αισθητηρια, τα αισθητα):

ამ ტერმინების ქართულად თარგმნის საკითხი ზემოთ განვიხილეთ. როგორც ნაჩვენები იყო, კონკრეტულად გრძნობის ორგანოთა აღმნიშვნელად ეს ტერმინები ქართულ საეკლესიო მწერლობაში ძირითადად ორგვარად ითარგმნებოდა: **"საცნობელნი"** და **"საგრძნობელნი"**. სათანადო ნიმუშებმა ცხადყო, რომ გელათური თარგმანებისათვის, ისევე როგორც მათი მესაფუძვლის, არსენ იყალთოელისათვის, ნიშანდობლივია ტერმინი **"საგრძნობელნი"**,¹ მაშინ როცა ეფრემ მცირის თარგმანებში გვხვდება ორივე მათგანი, ე.ი. გვხვდება როგორც **"საგრძნობელნი"**, ასევე **"საცნობელნი"**. ასეთივე ვითარებაა ხსენებულ ძეგლებშიც. მაგალითად:

¹ საყურადღებოა, რომ "საგრძნობელნი" გვხვდება არსნის შედარებით ადრეულ თარგმანებშიც. მაგ. ანასტასი სინელის "წინამძღვარში": "საგრძნობელ (αισθητηριον) [არს] ყოველივე ორღანოდ გუამისად, ვითარცა მცველი გრძნობისად (αισθησεις τηρου)" (6v1-73C; მოტანილი ციტატა ნათელს ხდის, თუ რას ეფუძნება გელათური ტერმინი "გრძნობის - საცავნი"; იხ. აგრეთვე ნიკიტა სტითატის შრომები: 269.1-114; 269v1-122; 269v2-124; 270.1; 273.1-172; 276v1-224 და სხვა.

I. "ორასეული":

"საგრძნობელნი":

"კეისარსა [სახე აქუს] საგრძნობელთაჲ (1.75);

"მრჩობლ ითქუმის საგრძნობელი" (1.22);

"შეწევნულ ვიქმნებით საგრძნობელთაგან" (1.22);

"წმიდა-ყვნეს საგრძნობელნი" (1.13);

"და საგრძნობელთა ღმრთისმსახურებით ასწავოს" (1.14);

"დაეკშნენ საგრძნობელნი" (2.44; ბერძნ. 2.46).

"საცნობელნი":

"შჯული, წმიდისა წერილისაებრ, ვორც არს მშვნვიერისა კაცისა, ხოლო საცნობელი (αισθησις) - წინაწარმეტყუელნი, ხოლო სახარებაჲ - სულ" (1.92);

"რომელთა ანაგებობით საცნობელნი (τα αισθητηρια) სულისანი გამოცდილ აქუნდენ" (1.100).

II. "ოთხასეული":

"საგრძნობელნი":

"ორნივე საგრძნობელთაგან აღიძრვიან" (1.65).

"საცნობელნი":

"საცნობელთა მიერ... გემოვნებათა შეუდგს" (2.56).

II. *Ακριβης (ακριβας)*:

აღნიშნული ტერმინის მნიშვნელობებია: "ზემიწვევითი, დაწვრილებითი, ზუსტი".

უძველეს ქართულ მწერლობაში ზმნიზედა *ακριβας*, აგრეთვე, მისი მონაცვლე ფრაზები: *δι'ακριβειας, μετ'ακριβειας* უმთავრესად გადმოიციემოდა ორგვარად: "ზედამიწვევით" და "გამოწულილვით". ამ ტერმინებს ავლენს გრიგოლ ნოსელის "კაცისა შესაქმის" უძველესი თარგმანი. ქვემოთ წარმოვადგენთ სათანადო ნიმუშებს აღნიშნული ტექსტიდან გიორგი მთაწმიდლის პარალელურ თარგმანებთან ერთად:

ძველი

მიამსგავსეს შუენიერებასა მას ძირისასა ზედამიწვევით (*δι ακριβειας*) (შატბ. კრ. 74.24; col.137A).

გიორგისეული

პირმშოდ იგი ხატი გამოწულილვით გამოიწეროს მსგავსებისა მის მიერ (გვ.16).

გამოვიძიოთ სიტყუად ზედამიწევნით (*μετ'ακριβειας*) (94.9; 181A).

გამოწულილვით ჯერ არს გამოძიებად სიტყუათა ამათ (გვ.73)

გამოვაცხადოთ, რომელი-იგი კუალ-ყვეს ბრძენთა მათ მეცნიერებისა მისისათვის წიგნთა შინა ზედამიწევნით (*δι'ακριβειας*) (120.40; 240 C)

ჯერ-არს წიგნთაცა შინა მრავლითა შრომითა ბრძენთა მიერ აღწერილთა უწყებათაგან ამის პირისათვის გამოძიებად და გამოწულილვით სწავლად (137)

გამოეძიებდეს გამოწულილვით (*ακριβως*) (117.1; 232A)¹

გამოწულილვით გამოიძიოს (გვ.128)

ორგზის *δι'ακριβειας* გადმოცემულია სიტყვით "წულილად":

წულილად გამოეძიებენ მიზეზსა სენტასა (84.34; 157D)

გამოცდილებით უწყიან ვნებათა ამათ ძალი (გვ.44)

აწ ჩუენ თანა-გუაც, რადთა არა დაუტევოთ... წულილად გამოკულევითა (116.36; 229D)

საჭირო არს, რადთა... არა თანა-წარვიცონნეთ... არამედ ორკერძოვე გამოწულილვით ველყოფად (გვ.127).

ხსენებულ თარგმანში ზედსართავს *ακριβως* ერთგან გადმოსცემს სიტყვა "ჭეშმარიტი", სხვაგან კი ჰენდიადისური შესიტყვება "ჭეშმარიტი მიწდომილი":

დაბადებასა გორცთა ჩუენტასა ჭეშმარიტითა (*ακριβη*) გამოძიებითა შემძლებელ არს ყოველი კაცი გულისხმისყოფად (120.35-36; 240C)

გორცთა ჩუენტა აგებულებასა გამოწულილვით ახწავებს (გვ.137)

ჭეშმარიტი სიტყუად მიწდომილი ესე არს (71.13; 129C)

ჭეშმარიტებით იტყოდის (გვ.8)

ბასილი დიდის "ექუსთა დღეთაჲს" უძველეს თარგმანში იმავე შინაარსით გვხვდება ტერმინი "გამოწმედილი":

¹ ეს ადგილი დამოწმებულია იაბულაძის მიერ (იხ. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, "გამოწულილვით"). მაგრამ შეცდომით მითითებულია ბასილი დიდის "ექუსთა დღეთაჲს" ძველი თარგმანი.

გამოწმედითა (*ακριβη*)
მათ აღწერილთა (ექვსთა
დღეთა, 4.5; ძვ. თარგ.
59.23)

გამოწულილვით
აღმწერელთა (46.18).

ტერმინი *ακριβως* "პაველეთა" უძველეს თარგმანში გადმოტანილია სიტყვით "გულითად", რასაც გიორგისა და ეფრემის რედაქციებში ცვლის "გამოწულილვით":

AB რედაქციები

CD

თქუენ თვთ გულითად
იცით (I თეს. 5.2)²

თქუენ თვთ გამოწულილ-
ვით იცით

ბერძნული *ακριβεια*-ს შესატყვისობათა ზემოწარმოდგენილი ნაირგვარობა გიორგი მთაწმინდელთან, როგორც ეს ნაწილობრივ პარალელურმა ციტატებმაც წარმოაჩინა, რამდენადმე შენარჩუნებულია,³ თუმცა აშკარად იკვეთება აქცენტირება ტერმინზე "გამოწულილვით". აი, ამ ტერმინის დამოწმების კიდევ რამდენიმე ნიმუში.

"კაცობრივიცა ბუნებად... პირმშოდსა მის სიკეთისა გამოწულილვით მსგავს იყო" (გრიგოლ ნოსელი, დაბადებისათვის კაცისა, გვ.16; col.136D);

"ვერ შეუძლო გამოწულილვით პოვნად" (იქვე, გვ.121; 225A);

"გამოწულილვით გამოიძიოს ბუნებად ჩუენი" (იქვე, 122; 225D);

"გამოწულილვით განიცდიდეს" (ბასილი დიდი, "ექუსთა დღეთად", 1.4; მ.კახაძის გამოც. 5.16);

"გამოწულილვით აღრიცხვად" (იქვე, 4.4; 45.33);

"გამოწულილვით წარმოთქუმად" (იქვე, 7.1; 81.23);

"ვინად ძალ-მიც მე გამოწულილვით ყოველსავე მას შეუენიერებასა ზღვსასა განცდად?" (4.7; 49.12);

"გამოწულილვით მიწდომად" (იქვე, 6.5; 70.2);

"გამოწულილვით გამოიძიოს" (5.6; 56.33);

"უამისა მის გამოწულილვით პოვნად შეუძლებელ არს" (იქვე, 6.5;

¹ ეს სიტყვა დამოწმებული აქვს ი.აბულაძეს (დასახ. ლექს. "გამოწმედითი"), თუმცა მკვლევარის მიერ იგი განმარტებულია, როგორც "სუფთა", რაც ცხადია, შეუსაბამოა.

² დამოწმებულია ი.აბულაძის მიერ (იქვე, "გამოწულილვით").

³ ტერმინული ნაირგვარობა ვლინდება ექვთიმე მთაწმინდელთანაც. აი, რამდენიმე საილუსტრაციო ნიმუში: "გამოცდითა ფრადითა (*ακριβως*) კეთილსა მას შეიწყნარებდი" (მაკარი დიდი, გ.ნინუას გამოც. გვ.215.26; ბერძნ. ბერთოლდის გამოც. 20.9); "ცხორებად ქრისტეანობისად ქეშმარიტებით (*ev ακριβεια*) წარჰმართონ" (იქვე, 255.10; 107.2); "განკითხვად კეთილისა და ბოროტისად კეთილად (*ev ακριβεια*) მოიგონ" (იქვე, 255.14; 107.5).

გარდა ამ ძირითადი ტერმინისა, როგორც აღვნიშნეთ, გიორგი მთაწმინდელთან გვხვდება ბერძნული *ακριβεια*-ს სხვა შესატყვისებიც. ზემოთ, პარალელურ დამოწმებებში, უკვე წარმოვადგინეთ ორი მათგანი: "გამოცდილებით" და "ჭეშმარიტებით". ამჯერად მოვუხმობთ კიდევ რამდენიმე ნიმუშს:

"ჰჰოო მისსა მიმართცა განჭეშმარიტებული (*δι'ακριβειας* *σαζομενην*) მსგავსებად" (გრიგოლ ნოსელი, დაბადებისათვის კაცისა, გვ.17; 137B);

"განჭეშმარიტებული (*ακριβη*)... აქუს მსგავსებად (40; 156B)

"განჭეშმარიტებული (*ακριβες*) სახე გამოქანდაკის ნივთსა მას ზედა" (153; 253C);

"არა შეიწყნარებნ საცნობელთა ორღანოდ ველოვნებასა მას ჭეშმარიტებით (*δι'ακριβειας*)" (59; 169D);

"განცხადებულად (*ακριβας*) გულისკმა-იყოფების" (138; 241A).

"უეჭუელად (*ακριβας*)" (გრიგოლ ნოსელი, პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის, საქ. ეკლ. კალენდ., თბ. 1989, 6.25; 109B);

შესატყვისობათა ნაირგვარობა ნიშანდობლივია თეოფილე ხუცესმონაზონისათვის. წარმოვადგინოთ სათანადო ნიმუშებს:

1. *μετα ακριβειας*:

"გულსმოდგინედ ისმინეთ" (იოანე ოქროპირი, თარგმანებად დაბადებისად, Ath. 29, ფოტო 15; Pg.50,27);

"ზედამიწევნით გავსოვდეს ყოველივე" (ფ.27; 33);

"რადზომ ბოროტ არა არს შედგომად სიმდაბლით და გამოწულილვით" (51;42);

"ზედამიწევნითა მასწავებს ჩუენ" (51;45);

"გამოწულილვითა წარვლოთ ამიერი ესე ცხორებად" (57;49);

"გულსმოდგინედ ისმინეთ თქუმულთად ამათ" (79;57);

"ესე უკუე ყოველი ზედამიწევნით ვისწაოთ" (82;58);

"გამოწულილვით... ისწაონ ყოველთა" (82;60);

"გამოწულილვით და ზედამიწევნით მოთხრობად" (83;60);

"ვინადმცა უძლეთ ჩუენ გამოწულილვით ცნობად ამის ყოველისად?" (92;64);

"არარად არს ყოვლადვე, რომელი არა საქმისა რადსთვისმე და ძალისა დაბადებულ არს, დაღაცათუ ბუნებად კაცისად უძლურ არს და ვერ ძალუც ყოველსავე ზედამიწევნით ცნობად" (97;67);

"გულსმოდგინედ ისმენდეთ" (103;708);

"ზედამიწევნით ისწაოთ" (103;708);

¹ სათანადო დამოწმებები ბასილი დიდის 'ექესთა დღეთადან' მითითებულია გამომცემლის, მკახაძის მიერ (იხ. ლექსიკონი - "გამოწულილვა").

- "მტკიცედ შეკრძალვად... და კეთილად დამარხვად" (119;76);
 "მტკიცედ შეიკრძალენით შჯულნი" (112;73);
 "წულილად" (187;103);
 "ყოველსავე წულილად მომითხრობს ჩუენ და მტკიცედ და ზედა-
 მიწევნით" (193;106);
 "ისმინეთ... წადიერად" (230;119);
 "მრავლითა მოწიწებითა ჰყოფდეს ლოცვასა" (115;74).

2. η ακριβεια:

- "ზედავა სიმტკიცესა მოძღურებისასა და ზედამიწევნით მოთხრობასა?" (92;64);
 "განიცადეთ გამოწულილვით ძალი სიტყვსად (110;72);
 "განიცადელა სიტყუათა სიწულილე და სიმტკიცე" (142; 86);
 "ვინ უძლოს ღირსებით ქებად წმიდისა წერილისა ზედამიწევნით უწყებასა?" (143;87);
 "იხილელა წულილადი ზედამიწევნად მოძღურებისად (234;120);
 "მიხედელა სიწლოსა წერილისასა" (237;121);
 "ჰბაძვიდა თვსსავე მას უნაკლულოდ მეტყუელებასა წმიდად წერილი" (539;227);
 "ყო ესოდენი კრძალულებად მცნებისად მის" (605; 246);
 "მოსწრაფებად ვაჩუენოთ" (729;282).

3. ακριβεστερον:

- "უმტკიცესადრე მომითხრობს და უწულილე დაბადებასა კაცისასა" (184-185; 102);
 "უნათლეს... ზედავს" (639;256);

4. ακριβης:

- "იხილო წალმართ სიმტკიცე მოძღურებისად" (241; 125);

5. ακριβως:

- "ვისწავოთ ამიერ ზედამიწევნით" (32;35);
 "ჯერ-არს ამათი ზედამიწევნით ცნობად" (38;37);
 "გულსმოდგინედ ვისმინოთ" (44;41);
 "ებრაელთა ენასა ზედამიწევნით მეცნიერ არიან" (47;43);
 "ესე ყოველი შეუცილებელადმცა გავსოვს" (47;43);
 "გამოწულილვით განიცადოს" (49;44);
 "წულილად მომითხრობს ჩუენ ყოველსა" (65;51);

- "მტკიცედ მეცნიერისად" (90;64);
- "ცნან ჭეშმარიტებით" (263;131);
- "არა იცოდა ზედამიწევნით ჟამი" (541;227);
- "ვცნათ განცხადებულად" (620;250);

მოტანილი ნიმუშები ცხადყოფს, რომ თეოფილესათვის უძირითადესია ტერმინები "ზედამიწევნით" და "გამოწულილვით", რომელთა გვერდით საკმაოდ ხშირია, აგრეთვე, სხვა შესატყვისებიც: "გულსმოდგინედ", "მტკიცედ", "ჭეშმარიტებით". გვხვდება, აგრეთვე, "წულილად", "წადიერად", "მოწიწებით", "უნათლეს", "შეუცილებელად", "განცხადებულად". კონკრეტულად *ακριβεια*-ს ცალკეულ შემთხვევებში გადმოსცემს: "სიმტკიცე", "სიწულილე", "წულილადი ზედამიწევნად", "სიწლო", "უნაკლულოდ მეტყუელებად", "კრძალულებად".

ასეთივე ნაირგვარი სურათი გვაქვს ეფრემისეულ თარგმანებში. დავიმოწმებთ რამდენიმე საგულისხმო ნიმუშს "გარდამოცემის" ეფრემისეული თარგმანიდან:

"ვთქუათ უგანცხადებულესადრე (*ακριβεστερον*)" (იოანე დამასკელი, გარდამოცემაჲ, A-24, 80v2; 984D; შდრ. არსენი: "ვთქუათ უგანკრძალულესადრე" S-1463, 77.2); "იქმნების სულნელებად... განცხადებულად (*ακριβως*) განტევებითა სულისადათა" (იქვე 68v2; 936 B; შდრ. არსენი: "უნაკლულოდ" 71 v2); "უსაკუთრესად (*ακριβεστερον*) ვთქუა" (იქვე 45v2); "უწულილადესსა მას და ზედამიწევნითსა (*την ακριβεστεραν και την λιαν λεπτων...*) დაფარულთა ცნობასა და გამოცხადებასა" ი(იქვე 48.1); "გარდამოცემაჲ უცილობელი (*ακριβης*) მართლმადიდებელთა სარწმუნოებისად" (იქვე 36.1; 780A; შდრ. არსენი: "გარდამოცემაჲ უცილობელი მართლმადიდებელისა სარწმუნოებისად" 54).

აღნიშნული თვალსაზრისით საყურადღებოა, აგრეთვე, დიონისე არეობაგელის შრომები. მოგვაქვს სათანადო დამოწმებები:

1. *ακριβεια*

"ზეშთა-ჰმატდა იგი მრავალთა მათ მღდელთა... გამოძიებითა გამოსაჩინებ-

¹ არსენის აკრიბოლოგიური ტერმინოლოგია საკმაოდ ნაირგვარია. გარდა მოტანილისა, დავიმოწმებთ კიდევ რამდენიმე ნიმუშს: "ღრამმატიკოსობისა უცთომელობად" (დიდი სჯულისკანონი, თბ. 1975, გვ.481.24); "კრძალულებით სცავს" (იქვე 426.26); "გამოწულილვით გამოკითხვად" (იქვე 513.24); "გამოწულილვით გამოძიებითა" (იქვე 272.24); "უცთომელობით დაცვად" (534.22); "განიხილე გამოწულილვით" (ანასტასი სინელი, წინამძღუარი, S-1463, 24.1; Pg.89, 197D); "ყოვლითა გამოწულილვითა" (იქვე 20.1; 180B); "გამოწულილვითისა მოცემისათვის" (იქვე 3.2; 52B); "გამკაცრებითი (*ακριβη*) აქუნდეს... განყოფილებად" (38v2; 305D); "იქვ ვიდრემე და განზრახვად წმიდათა მამათად ფრიადითა რადთმე განმკაცრებითა (*ακριβειας*) დავიცევ" (21.1; 180); "გამოწულილვითრე თქუმაჲ" (27.2; 221D); "კრძალულებად სიტყუთა" (ნიკიტა სტითატის შრომები, S-1463, 276v2; ბერძნ. ტექსტი Sources Chretiennes-ს სერიაში, 228.10); "მამხილებელ უტყუველ" (იქვე 271.1; 140.13); "ზედამიწევნითსა განრჩევასა ჰყოფს არსთასა უცთომელობით (*αυσισηαλας*)" (274v1; 194.11); "ზედამიწევნით მეცნიერ ექმნეს" (278.1; 246.18); "ვისწავეთ ზედამიწევნით" (277.2; 236.6); "ზედამიწევნითისა შესწავებისათვის" (273v1; 180.2); "ზედამიწევნით შემეცნებაჲ" (272.1; 158.11); დამოწმებული შესატყვისებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ახალი აკრიბოლოგიური ტერმინები: "განმკაცრებაჲ", "განმკაცრებითი", რომელთა შემომტანიც არსენი უნდა იყოს.

ელთადთა" (28.23; 3.3); "არცა შეუშობიეს რადმე ერთობითისა ზედამიწევ-
ნითობისა" (88.15; 11.2); "განყოფილ არს ყოველი შეურევნელი განცხადებულ-
ებად" (93.20; 12.3); "ზედამიწევნით ცნობისაგან ნაკლულევნად" (97.11; 13.4);

2. *ακριβασμα*

"განასაზღვრებს მათთვის ყოველთა ზედამხედველთა გამოწულილვითა"
(179.33; 3.3.10);

3. *ακριβης*

"ვერცა აქუს ზედამიწევნითი განცხადებული სახისმსგავსებად" (21.15; 2.8);
"არცამცა... სახისმეტყუელებად ზედამიწევნითისა გამოძიებისაგან მოსრულ
ვიყვენით" (109.25; 2.5); "ზედამიწევნითისა უკუე განცხადებისაგან" (150.33;
15.9); "ზედამიწევნით განვიხილოთ" (170.10; 3.1); "განცხადებულთა ხატთა"
(167.14; 2.3.6).

4. *ακριβας:*

"ზედამიწევნით იცნობების" (218.36; 7.3.11);

"ზედამიწევნით შემომკრებელ იყო" (20.30; 2.7);

"ყოველთა მიზეზი იგი განცხადებულად მიერკერძო იყოს"(92.17; 11.6).

დავიმოწმებთ კიდევ რამდენიმე ნიმუშს ეფრემ მცირის სხვა თარგმანებიდან:

"ზედამიწევნით (*ακριβας*) ცნობად" (თეოდორიტე კვრელი, სიტყუად
საღმრთოდასა სიყუარულისათვის, A-689, 274;¹ Pg.82, 1497D);

"სიყუარულიცა გამოკულევიით (*ακριβας*) უწყოდა" (იქვე, 274v1;
1509C);

"ჩემდა არა სამართალ არს უჩინოყოფად მისთა სწავლათა ზედამიწევ-
ნითობასა (*ακριβειαν*)" (ბასილი დიდი, ეპისტოლენი, 150.4; ნ.ქაჯაიას
გამოც. 248.11);

"აქუს კრძალულებისა მიერ (*ακριβεια*)" (იქვე, 252; ნ.ქაჯაიას გამოც.
251.17);

"ზედამიწევნით (*ακριβας*) მომითხრნა" (იქვე, 90.1; 242.10);

"განცხადებულად (*ακριβας*) მოესწავებოდა" (იქვე, 134; 245.12);

"განცხადებულად (*ακριβας*) მრწამს" (იქვე, 150.1; 246.20);

"უგანკრძალულებსად (*ακριβεστερον*) ითქუმოდედ" (გრიგოლ ღვთისმე-
ტყველი, სიტყუები, A-109, 79.1; 345D);

"გამოკულევიით (*ακριβας*) გამოიძია გონებად თქუმულთად" (A-52,
138.2; 1125B).

¹ ვისარგებლეთ ვლლონტის მიერ გადმოწერილი ტექსტით.

ერთგან η ακριβεια თარგმნილია, როგორც "გამომწულიღველობაჲ" (A-52, 125v1; 1092D).

ნაირგვარობა შესატყვისებისა, როგორც ზემოთ ვნახეთ, ნიშანდობლივია არსენ იყალთოელისათვის. ამგვარი რამ ახასიათებს, აგრეთვე, იოანე ჭიმჭიმელის თარგმანებს, თუმცა ხსენებულ თარგმანებში აშკარად შეიმჩნევა აქცენტირება ტერმინზე "უცთომელი". საყურადღებოა, რომ იოანესთან ორგზის თავს იჩენს, აგრეთვე, ახალი შესატყვისი "სიმკაცრე". მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"უუცთომელესთა ნაწერთა (ακριβεστερα αντιγραφων)... წერილ არს" (A-102, 20.1; 540A);

"უცთომელობაჲ" (ακριβεια) (75v1; 845A);

"უუცთომესებით (ακριβεστερον) სწავლად წყურიელსა" (10v2);

"არცა შესაძლებელ იყო აღშფოთებულობასა შინა მისსა უცთომელობით (ακριβως) ყურადღებაჲ მითხრობილთა მისდა" (8.1);

"განკრძალულისა (ακριβεια) ცხოვრებისა" (53.2; 801B);

"განიცადე სიმკაცრე (το ακριβες) ლექსისა" (83.1; 857C).

"განიცადე ჩემდად სიმკაცრე (ακριβεια) მახარებლისა" (52-53; 800D);

რაც შეეხება გრიგოლ აკრაკანტელისა და ოლიმპიოდორეს ეკლესიასტესეული კომენტარების თარგმანებს, მათში ზემოაღნიშნული აზრით აქცენტირებულია ტერმინი "ზედამიწევნა" ("ზედამიწევნით"), თუმცა გვხვდება სხვა ტერმინებიც, მათ შორის ახალი შესატყვისი "განმკაცრებით". მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

I. გრიგოლ აკრაკანტელი (δι ακριβειας, ακριβως):

"რად სარგებელ არს კაცისა ზედამიწევნითა მისისა გამოძიებისაგან" (112. 9; 1020A);

"ზედამიწევნით შევემეცნე" (126.1; 1064B);

"მიზეზნი მათნი ზედამიწევნით მხოლომან ოღენ უწყნის" (135.12; 1080C);

"არცა ქმნილთა ღმრთისათა შესაძლებელ არს მიწლომაჲ ზედამიწევნით" (161.24; 1133A-B);

"კრძალულებითა მეტყუელებისაჲთა (την ακριβολογιαν της λεξεως)" (11.32; 769C);

"სათანადო არს... განმკაცრებითა (ακριβως) ხელგაჲ" (105.2; 1004A).

II. ოლიმპიოდორე (προς ακριβειαν, ακριβης, ακριβεια, ακριβως):

"არცა პირველნი ქმნილნი, არცა ყოფადნი ზედამიწევნით უწყნით" (3.1);

"არავის უთხრობია კაცთადა ზედამიწევნით მის-ძლითნი სიტყუანი" (212.2; 576D);

"ვერცა ზედამიწევნით მომზირალყოფად ძალ-გვც" (277.1; 608D);

"არსთა ზედამიწევნითისა მეცნიერებისა-ძლითნი სიტყუანი" (27.2; 485B);

"არა რიცხვთ ხოლო, არამედ კრძალულებითცა" (138.2; 540A);

"ქმნილნი ჩუენნი გამოწულილვით განიხილვიან" (75.1; 521A);

"სრულებით გულსავსექმნილ არს ბრძნისა თუალი" (223.2; 584C).

ამგვარად, როგორც ვხედავთ, უძველესი დროიდან ვიდრე XII ს-ის I ნახევრამდე ბერძნული *ακριβεια* (*ακριβας*) მრავალგვარად ითარგმნებოდა ქართულად, რომელთაგან განსაკუთრებით აქცენტირებული ჩანს ზმნიზედები "ზედამიწევნით" და "გამოწულილვით". ხაზგასასმელია, რომ არსენთან, იოანე ჭიმჭიმელთან და ეკლესიასტეს ზემოაღნიშნულ განმარტებათა ანონიმ მთარგმნელთან გაკრთება სრულიად ახალი შესატყვისი "სიმკაცრე - განმკაცრებით". ლექსიკური ერთეული "მკაცრი" საერთოდ უცნობია XII ს-მდელი ქართული მწერლობისათვის. რამდენადაც ეფრემ მცირის ბოლოდროინდელ შრომებშიც კი ეს სიტყვა არსად ავლენს თავს, შეიძლება გვეფიქრა, რომ მის დროს ხსენებული ლექსიკური ერთეული ჯერ კიდევ არ გამოიყენებოდა მწერლობაში. "სიმკაცრე", "განმკაცრებით" ქართულ მწერლობაში ტერმინულად იჩენს თავს მხოლოდ XII ს-ის I ნახევრიდან. პირველდამოწმებანი ამ სიტყვებისა ზემოთ წარმოვადგინეთ.

ხსენებული სიტყვები ჩვენს ყურადღებას იქცევს იმ მხრივ, რომ ისინი გელათურ საღვთისმეტყველო სკოლაში, კონკრეტულად VI ჰომოგენური ჯგუფის ტექსტებში მყარ ტერმინულ გააზრებას იძენენ და ზემოწარმოდგენილი ბერძნული ტერმინების კანონზომიერ შესატყვისებად გვევლინებიან. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ტერმინოლოგიური სიახლე ერთერთი სპეციფიკაა VI ჰომოგენური ჯგუფისა. მრავალრიცხოვანი შემთხვევებიდან დავიმოწმებთ ნაწილს.¹

1. η ακριβεια:

"თუალთა სიმკაცრე" (მაქსიმე, გელათ. 14, ფოტო 414.2; 508C);

"სიმკაცრისაებრ ებრაულისადასა" (ფ.155; 508D);

"სიმკაცრე საღმრთოთა რწმენათად" (იქვე, ფ.371.2 593C);

"რომელსა მარადის მოიმაღლებ... განმკაცრებულობითა ცხოვრებისადა-თა" (იქვე, ფ.374.1; 597B);

"სიმკაცრისა არს საცნაურებად" (თეოფილაქტე, იოანეს თავის

¹ აღნიშნული ტერმინები გელათურ ტექსტებში იშვიათად სხვა ბერძნულ სიტყვათა შესატყვისებადაც ავლენენ თავს. მაგალითად: "სიმკაცრენი (ισμοι) ცისა და ქუეყანისა" (იერემია 33.4; გელათური ტექსტი; იხ. კდანელიას გამოც., თბ. 1992, ტექსტზე დართული ლექსიკონი, გვ.224); "განმკაცრებისათვის (ασφαλειας ενεκεν) მრავალთადასა წარმოთქუმად" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, სიტყუად პასუხისგებოთი.. A-292, 300 Pg.35, 505A) და სხვა.

2. *δι ακριβειας*

"სიმკაცრით" (მაქსიმე, ფ.291.2-737A; 169.1 - 536C).

3. *ακριβης:*

"განმკაცრებული ვიდრე აწამდე არა პოვნილ არს" (ამონიოსი 164.6; 75.14);

"უმკაცრესთა გარდანაწერთასა" (თეოფილაქტე 10; 1172B);

"განმკაცრებული" (მაქსიმე, გელ. 14, ხელნ. 284.1; 261D);

"განმკაცრებით" (იქვე, 284.1 - 260Δ; 285v2 - 248B);

"სიმკაცრესა" (იქვე, 303v1; 432B);

"განმკაცრებული განცდაჲ აღწერილთაჲ" (იქვე, ფოტო 137.2; 465D);

"განმკაცრებულისა სიტყვსაებრ" (იქვე, ფ.198.1; 596B);

"განმკაცრებული ხედვა" (იქვე, ფ.166.2; 524B).

4. *ακριβολογω:*

"სიმკაცრით მეტყუელებს" (თეოფილაქტე 26; 1229A);

5. *ακριβεστερον:*

"სხუასა წარწერასა გარდასცემს შემთხუევითისასა, უმკაცრესსა პირველისასა" (ამონიოსი 87.11; 114.10);

"უმკაცრესად შევეწინეთ სკოპოსსა" (103.24; 10.15 - შენ.);

"მეტყუელნი უმკაცრესობით" (144.38; 55.13 - შენ).

6. *ακριβως:*

"სიმკაცრით გარდმოსცემს" (ამონიოსი, 107.22; 14.17);

"სიმკაცრით არა თქუა თანამოსახელედ" (109.36; 17.16);

"იტყვან უმკაცრესობით" (115.6; 23.25);

"სიმკაცრით არა არიან სახელმოდგამნი" (115.12; 24.2);

"სიმკაცრით განვიხილოთ" (123.18; 33.10);

"ყოვლად სიმკაცრით შესძინა" (131.31; 42.15 - შენ.);

"რომელნიმე სიმკაცრით საშუალ არსებათა და შემთხუევითთაჲსა" (135.11; 46.14);

"სიმკაცრით მსმენელთაგანმან" (155.10; 65.26);

"სიმკაცრით განიცადნა" (თეოფილაქტე, 24);

"სიმკაცრით მხედველთაჲ" (იქვე, 1v; 1136D);

"უმკაცრესობით მითხრობაჲ ქრისტეს-ძლითთაჲ" (იქვე, 12v; 1181A-B);
"სიმკაცრით ზედმიწევნულ ვარ" (იქვე, 78v; 73A).¹

როგორც ვხედავთ, გელათურ თარგმანებში "აკრიბიის" აღმნიშვნელად მყარი ტერმინული მნიშვნელობით შემოდის საეკლესიო მწერლობისათვის XII ს.-მდე თითქმის უცნობი სიტყვა "სიმკაცრე". რაც შეეხება ტერმინ "ზედამიწევნას", იგი, ოდნავ სახეცვლილი, იძენს კონკრეტულად "მეცნიერების" შინაარსს და იმავე გელათურ ტექსტებში მკვიდრდება ბერძნული *επιστημη*-ს თითქმის უცვლელ შესატყვისად.

მომდევნო ხანაში, იოანე პეტრიწთან "ზედამიწევნის" ახლებური, კერძოდ ეპისტემოლოგიური გააზრება სავსებით შეწყნარებულია, მაგრამ რაც შეეხება ბერძნული *ακριβεια*-ს ქართულად თარგმნის საკითხს, ამ მხრივ იგი მთლიანად ემიჯნება VI ჯგუფის ძეგლთა, მათ შორის, ცხადია, ამონიოსის თხზულებათა მთარგმნელს, უარყოფს ამ უკანასკნელისათვის უმეტესად ნიშანდობლივ ზემოწარმოდგენილ ტერმინებს "სიმკაცრე", "განმკაცრებით" (ეს ტერმინები პეტრიწთან არცერთხელ არ გვხვდება) და კვლავ შესატყვისობათა ნაირგვარობის ტრადიციას იცავს. საკუთრივ პროკლეს შრომაში *ακριβεια* არ არის დამოწმებული. შესაბამისად, ჩვენი მსჯელობა მარტოდენ ნემესიოსის წიგნით იფარგლება. წარმოვადგენთ სათანადო ნიმუშებს:

1. *δι ακριβειας*:

"თვთეული ვმითაცა იცნობების და განკრძალულად ესევითარისასა დაიცავს სახესა" (167.19; 792A).

2. *ακριβης*:

"ესენი უკუე, ვითარ მეუწყნი უცთომელნი შეხებითისა უტყუელობისათვს გუაქუნნ" (81.1; 653C);

"უტყუელისა მისისა ცნობისაგან არა ნაკლულევან ვიქმნეთ" (125.12; 717B);

¹ გვხვდება მოსალოდნელი გამონაკლისებიც: "ზედამიწევნით" (ამონიოსი 109.29 - 17.7-შენ; 23.39 - 25.16; თეოფილაქტე, 20r - 1208A; 79v - 76A; მაქსიმე, ფოტო 162-900C); "ზედმიწევნითი" (მაქსიმე, ფ.429.2-525C; 284.1-720B); "უზედმიწევნულესი" (თეოფილაქტე 20; 1208B); "უცთომელი" (თეოფილაქტე, 46-1297C); "უცთომელობაჲ" (მაქსიმე, 174.2 - 540D); "გამოწულიღვა" ("გამოწულიღეს" - *εξηκριβασαντο*, ამონიოსი, 38.21 - 46.3); "ზედმიწევნით (*ακριβας*) განიხილო" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, სიტყუად პასუხისგებითი..., A-292, Pg.35: 285v-437B); აღნიშნულ თარგმანში დამოწმებულია ტერმინი "განმკაცრებისათვს". რაც გადმოსცემს ბერძნულ *ασφαλειας ενεκεν*, იხ. 300-505A; იგივე *ασφαλια* სხვაგან იმავე თარგმანში გადმოტანილია, როგორც "უცთომელობაჲ", იხ. 300v-508 A).

² მ.რათავა, ზედმიწევნულობა და ველოვნება, იხ. ამონიოს ერმისის თხზულებათა დასახ. გამოც. გვ.082-090. იხ. აგრეთვე, ეჭვლიძე, ძიებანი წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის შესახებ, კრებული "ფილოლოგიური ძიებანი" 2, თბ. 1995. აღვნიშნავთ, რომ ეპისტემოლოგიური შინაარსით ტერმინ "ზედამიწევნის" დაახლოება ტერმინ მეცნიერებასთან (*επιστημη*-ს ერთერთ შესატყვისთან) ერთგან თავს იჩენს არსენთან: "უწამებდეს თავსა თვისსა ზედამიწევნითსა მეცნიერებასა (*επιστασθαι σαφας*)" (S-1463, 141.1-452 C); თუმცა მოტანილ ნიმუშში "ზედამიწევნით" ტერმინულად შესატყვისება ბერძნული ტექსტის *σαφας*-ს.

3. *ακριβουν*:

"არა სულიერისა წერილისა მიერ არს ამისდა განწერილვად" (60.21; 612C).

4. *ακριβεστερος*:

"შეხებისათვის მარჯუე" (87.9; 656A);

"ისწავოს ვინმე განწულილვით-რე": (161.5; 777B).

5. *ακριβεστατος*:

"სხუათა საგრძნობელთასა უფრო გამოძეძიებულად აქუს საგრძნობელი ესე კაცსა" (86.21; 653B).

6. *ακριβας*:

"გრძნობადად და ცხადად ყოვლითურთ შეერთებულთა განყოფად შეუძლებელ-ა" (52.23; 593A);

"უმხარკესად-რე გაგონებად მისი ეგულვოს" (60.19; 612B);

"... განკრძალულად მათდა ოდენ ჭურეტად" (75.16; 640A)

"იქმნების სურნელებად ნოტიოთა შორის სხეულთასა უზომოდ მოღუნებისაგან" (88.16; 660A).

ამგვარად, პეტრიწი მთლიანად უარყოფს გელათური ტექსტებისათვის უმეტესად ნიშანდობლივ "სიმკაცრეს". ამ ნიშნითაც იგი აშკარად ემიჯნება ამონიოსის შრომათა მთარგმნელს.

* * *

ზემოთ ჩვენ წარმოვადგინეთ ბერძნული *ακριβεια*-ს ქართულად თარგმნის ისტორია. ამჯერად ვნახოთ, თუ რა სურათს გვიჩვენებს ჩვენთვის საინტერესო "ორასეული" და "ოთხასეული". მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"და პირუტყუქმნილნი ვნებათა მიერ კრძალულებით (*ακριβους*)" ("ორასეული", 2.67);

"უკმს მონაზონსა... გამოწულილვით (*ακριβας*) კრძალვად გულისხიტყუათად" ("ოთხასეული" 3.20);

"ვორციელთათვის უწულილადესსა (*ακριβεστερον*)" (3.33);

"უგანკრძალულებადრე (*ακριβεστερον*) გამოძკულეველნი" (3.51);

"გამოძიე სზნიდისი ყოვლითა გამოკულევითა (*μετα ακριβειας*)" (4.33);

"გამოწულილვით (*ακριβεις*) დამცველნი მცნებათანი" (4.97).

როგორც ვხედავთ, "ორასეული" და "ოთხასეული" არსად ავლენს "აკრიბიის" აღმნიშვნელ გელათურ ტერმინებს "სიმკაცრე", "განმკაცრებით" და მისთანები, რის გამოც ეს ტექსტები მკვეთრად სხვაობს მაქსიმე აღმსარებლის შრომათა გელათური თარგმანებისაგან. ზემორე ძეგლთა ტერმინული ასპექტი კვლავაც ეფრემისაკენ მიაქცევს ჩვენს ყურადღებას, რადგანაც მიუხედავად იმისა, რომ "აკრიბიის" აღმნიშვნელ ტერმინთა მრავალგვარობა ბევრ მთარგმნელს, ახასიათებს, მაინც საკუთრივ "ორასეულისა" და "ოთხასეულის" აკრიბოლოგიური შესატყვისები სხვა ავტორებზე მეტად სწორედ ეფრემ მცირესთან დასტურდება. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ერთი მხრივ "ორასეულსა" და "ოთხასეულში" დამოწმებული ყველა აკრიბოლოგიური ტერმინი ("კრძალულე-ბით", "გამოწულილვით, "უწულილადესი", "უგანკრძალულესად-რე", "გამოკულ-ევით") გვხვდება ეფრემისეულ ტექსტებში (იხ. ზემოდამოწმებული ნიმუშები), მეორე მხრივ კი, რაც უფრო არსებითია, აღნიშნულ ტერმინთაგან ზოგი, კერძოდ კი ტერმინები "უწულილადესი" და "გამოკულევითა", დღეისათვის შესწავლილი შრომებიდან, აშკარა პარალელს სწორედ ეფრემის ზემოდამოწმებულ თარგმანებში პოულობს. შევადაროთ:

"ოთხასეული"	ეფრემი
"ვორციელთათვს უწული-ლადესსა" (3.33)	უწულილადესსა მას" (გარ-დამოცემა 48.1)
"გამოიძიე... ყოვლითა გამ-ოკულევითა" (4.33)	"გამოკულევით გამოიძია" (A-52, 138.2).

III. Γνωμη:

ხსენებული ტერმინი პოლისემურია. საგულისხმოა იოანე დამასკელის სიტყვები: "უნდა ვიცოდეთ, რომ სიტყვა "გნომი" მრავალსახოვანია და მრავალმნიშვნელოვანი. ზოგჯერ იგი "შეგონებას" ნიშნავს... ზოგჯერ "განზ-რახვას"... ზოგჯერ "განჩინებას"... ზოგჯერ "რწმენისადმი" ითქმის იგი, ზოგჯერ "თვალსაზრისისადმი", ანდა "ცნობიერებისადმი". მოკლედ რომ ვთქვათ, ოცდარვა მნიშვნელობით გამოიყენება სიტყვა "გნომი".¹

პოლისემურობა ხსენებული ტერმინისა თავისთავად ნიშნავს შესატყვისო-ბათა მრავალგვარობას. მართლაც, ცალკეული თარგმანების შესწავლა ცხადყოფს, რომ გარდა არსენ იყალთოელისა და VI ჰომოგენური ჯგუფის შრომათა მთარგმნელისა, ძველ ქართულ მწერლობაში "გნომთან" დაკავშირ-ებით არსად ვლინდება მყარი ერთჯერადი ტერმინთშესატყვისობა. ამ მხრივ ეფრემ მცირე, აგრეთვე, იოანე ჭიმჭიმელი და მრავალი სხვა არაფრით სხვაობენ წინარე მთარგმნელებისაგან. ნიშანდობლივია ეფრემის ერთი "შეისწავე", რაც მან დაურთო იოანე დამასკელის ზემომოტანილ სიტყვათა მისეულ თარგმანს:

¹ იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, Pg.94, col.1045B (ქვემოთ, ტერმინდამოწმებათა წარმოდგენისას, ციტირებული გვაქვს იოანე დამასკელის აღნიშნულ სიტყვათა ეფრემისეული და არსენისეული თარგმანები).

"შეისწავე, ვითარმედ ერთსა ამას სიტყუასა, რომელსა ბერძულად "ღნომი" უწოდებენ, ქართულად ერთი არარად მოეპოვების. ამისთვისცა, ვითარ-იგი ბერძულადცა ოცდარვა თარგმანი აქუს, ეგრეთვე ქართულად სხუებრ და სხუებრ დასდებენ და ივმარებენ წმიდანი მამანი ჩუენნი ეფთჳმე და გიორგი მთაწმიდელი, ვითარცა აღგილსა შეეტყუებოდის, რამეთუ ესე მრავალთა სიტყუათა სჭირს ბერძულად" (A-24, 94v).¹

ეფრემ მცირე ცდილობს, რომ შესატყვისობათა ტრადიციულ მრავალგვარობაში გამოყოს შედარებით ძირითადი ტერმინი. მის თარგმანებში ასეთად ჩანს "ცნობად", თუმცა, ცხადია, ვხვდებით სხვა შესატყვისებსაც. დავიმოწმებთ რამდენიმე საგულისხმო ნიმუშს:

"ჟამითა განყოფილება და ცნობითა სხუასახეობად" (გარდამოცემა 45.1; 823C);

"ზოგად მობერვითა მეცნიერებისადთა" (იქვე, 45.1; 828C);

"არცა ნებისად არს განყოფილება, არცა ცნობისა" (იქვე, 45v1; 829A);

"წინააღმდგომთა ნებისა ჩუენისათა" (48.1; 844B);²

"ქცევადი გონებით" (52.2; 868A);

"სხუათა მათთვის ზრახება-ვსცემ (διδαμα γωμην)" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, სიტყვები, A-109, 103.1; 400A);³

"ცნობად უბრალო" (იქვე, 105v1; 405A);

"მაუწყებელი ჩუენისა ცნობისა" (ბასილი დიდი, ეპისტოლენი, 105; ნ.ქაჯაიას გამოც. 243.24);

"მართალსა ნებასა მიითუალავს" (იქვე, 115; 244.26);

"ვითარცა იყო ამათი გონებად მართალ" (იქვე, 115; 245.2);

"ზიარებად ნებისა შენისად" (მრავალთავი XII, 122.10; Pg.37, 97A);

"ცნობისა გამოუთქუმელობასა" (იქვე, 123.18; 100B)

1 ეს მნიშვნელოვანი შენიშვნა თუმცა გამოცემულია (იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის კოლექციისა, ტ.1, I თბ. 1973, გვ.85), მაგრამ იგი ამოკითხულია ნაკლულად და არაზუსტად. უპირველესად, გამოცემაში მას ეწოდება "შეისწავის", რაც არ არის ხელნაწერში. იქ გარკვევით წერია "შეისწავე" (ვარდინად დაწერილი ეს სიტყვა უნდა წავიკითხოთ ზემოდან ქვემოთ და მარჯვნიდან მარცხნივ). შემდეგ, შუა ნაწილში გამოცემლის მიერ გამოტოვებულია სიტყვა "ვითარ", ხოლო უშუალოდ მომდევნო წინადადება ასეა წაკითხული: "ბერძულადცა... რავდენთა... აქუს" (სინამდვილეში წერია: "ბერძულადცა ოცდარვა თარგმანი აქუს"). ამასთან, გამოცემაში გვაქვს: "ივმარებენ ჩუენნი მამანი, ჩუენნი ეფთჳმე და გიორგი"; უნდა იყოს: "ივმარებენ წმიდანი მამანი ჩუენნი ეფთჳმე და გიორგი"; და ბოლოს, გამოცემაში გვაქვს "მოიპოვების", ხელნაწერში კი გარკვევით წერია: "მოეპოვების". აღვნიშნავთ, რომ ეს შენიშვნა თავის დროზე ძირითადად მართებულად იყო ამოკითხული რ.მიმინოშვილის მიერ (იხ. რ.მიმინოშვილი, "გარდამოცემის" ქართული თარგმანები, თბ. 1966, გვ.106; 129-130).

2 გნომოლოგიურ ტერმინად "ნება" ერთგან თავს იჩენს დავით ტბელთანაც: "არა ნებითა მეფისადთა იქმნა აღძრვად" (A-292, 173v; 35, 549C)

3 გნომურ ტერმინად "ზრახება" გვხვდება "პავლენში" (I კორ. 7.40).

ქვემოთ, არსენ იყალთოელის შესახებ საუბრისას, პარალელურ ნიმუშებში კვლავ დავიმოწმებთ სათანადო ადგილებს "გარდამოცემის" ეფრემისეული თარგმანიდან, ამჯერად კი დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ, როგორც მოტანილი ციტატებიც ცხადყოფს, ეფრემი გნომურ ტერმინთა მრავალგვარობის ტრადიციაში აქცენტირებას ახდენს ტერმინზე "ცნობად".

უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინული მრავალგვარობის ხსენებული ტრადიცია ვლინდება თეოფილე ხუცესმონაზონთან. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"არა ბუნებით, არამედ გონებით" (იოანე ოქროპირი, თარგმანებად დაბადებისად, Ath. 29. ფოტო 172; Pg.50,97);

"ნიშანი იყო და სასწაული მართლისა მის გონებისა ღმრთისმოყურობისად" (492; 214);

"იცოდა... მადლიერობად გონებისა მისისად" (492; 214);

"გონებითა მრთელითა ვიქმოდით, რაოდენსაცა რას ვიქმოდით" (594; 243);

"გონებასა უკეთურსა შეუდგს პატიჟი" (596; 244);

"აღვრ-ასხნეს მკლველებრსა გონებასა კაცთასა" (605; 246);

"ესოდენ აურაცხელ არს ღმერთი ჩუენ ზედა მოწყალებითა, რამეთუ უკუეთუ იხილოს გულსმოდგინებად მტკიცე გონებათა ჩუენთად... არა ჰყოვნის წყალობისათვის, არცადა სდროებს" (609; 248);

"გონებად მტკიცე შემოიღოს" (664; 263);

"განხწნილი გონებად აქუნდა" (677; 266);

"მითვე გონებითა უკეთურითა" (677; 266);

"ხენეშსა და უკეთურსა გონებასა... ვეველტოდით" (694; 272);

"სიმარტივე ცნობისად ივუმია" (93; 65);

"აჩუენებდა სიმტკიცესა ცნობისა თვისისასა" (571; 237);

"ცნობითა უმრწემეს იყო" (685; 269);

"ვითარ ეგების... რადთამცა ანგელოზი ივუმია მეუფემან ნებისა თვისისა?" (107; 71);

"ნებად სძლევს ბუნებასა" (545; 229);

"არა ბუნებასა ძეს შინა ჩუენსა სიბოროტე, არამედ ნებასა შინა" (677; 266);

"უკეთური გულისსიტყუად" (164;96);

"გულსმოდგინებისათვის ოდენ სრული მიგაქუს სასყიდელი" (596; 243);

ზემოდამოწმებული ნიმუშები ცხადყოფს, რომ მიუხედავად შესატყვისობათა მრავალგვარობისა, თეოფილესთან აშკარად შეიმჩნევა აქცენტირება ერთერთ ტრადიციულ შესატყვისზე "გონებად". აღნიშვნის ღირსია, რომ თეოფილე ხუცესმონაზონი ცდილობს, აგრეთვე, ახალი შესატყვისის შემოტანას, რაც გულისხმობს შესიტყვებას "კეთილი გონებად" ანდა "გონებად კეთილი". აი, რამდენიმე ნიმუში:

1 მაგალითად, ეგვე შესატყვისი გვხვდება "სინურ მრავალთავში": "სწორ გონებითა" (115.18; Pg.31, 508C). ასევე, "გონება" ვლინდება ექვთიმესთანაც: "სწორნი გონებითა" (ბასილი კესარიელი, სწავლანი, ცქურციკიძის გამოცემა, გვ.170); იხ. აგრეთვე, გიორგის თარგმანი: "გონებად ბოროტი" (თალასი 1.83); "გონებისა შეცვალებითა" (ეგნატი, ეპისტოლენი, მალნისელთა მიმართ 5; საქ. ეკლ. კალენდ. 1988, გვ.548; 764A)

"ხედავა კეთილსა მას გონებასა შემწირველისასა?" (591; 242);

"თვისსა მიერ გონებისა კეთილისა" (591; 242);

"გონებად კეთილი მისცემს სასყიდელსა სრულსა" (596; 244);

"დიდად გამოჩნდა გონებისათვის კეთილისა" (597; 244);

"საუმარ არს... გონებად კეთილი" (663; 262);

თეოფილეს, როგორც გიორგი მთაწმიდლის ჰეშმარიტ მოწათვეს, ახასიათებს სინონიმურ-ჰენდიადისური თარგმანები, რაც თავს იჩენს ზემორე ტერმინთან დაკავშირებითაც. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"გონებასა ეძიებს და ნებასა კეთილსა ჩუენგან ღმერთი" (591; 242);

"რასაცა ვიქმოდით საქმეთაგან სულიერთა, გონებითა ვიქმოდით კეთილითა და ცნობითა მრთელითა" (595; 243);

"ნებად და წადიერებად ჩუენი განგაკრძალოთ" (596-597; 244);

"საანჯმნო-ჰყოფდა უკეთურებასა ცნობისა და გონებისა თვისასა" (642; 257);

"ჰატივი მიიღო სიკეთისათვის ცნობისა და გონებისა სიმრთელისა" (685; 269).

ამგვარი თარგმანის განსაკუთრებული ნიმუშია ერთი ადგილი, სადაც ფრაზა *γνωμης κοινασειν* თარგმნილია სამი შესატყვისით: "ვაზირობად", "თანამზრახვალობად" და "ნებისა ზიარებად". შესაბამის ბერძნულ ტექსტში იოანე ოქროპირი გვაუწყებს:

"ანგელოზთათვის არ არის განკუთვნილი, რომ ისინი მოზიარენი იყვნენ შემოქმედის ნებისა (*γνωμης*)" (col.71).

თეოფილეს თარგმანში ვკითხულობთ:

"ანგელოზისა ველი¹ არ ვაზირობად არს და თანამზრახვალობად და ნებისა ზიარებად დამბადებელისასა" (108).

მსგავსი მრავალტერმინულობა ვლინდება გრიგოლ აკრაკანტელისა და ოლიმპიოდორეს ეკლესიასტესეულ კომენტართა თარგმანებში. მაგალითად:

"ცნობისა მქონებელთა სატრფიალონი აღძრვანი" (გრიგოლ აკრაკანტელი 17.18; 781A);

"მიზიდვად სიმდიდრისმოყუარისა ცნობისა" (37.26; 869B);

"ვეცხლისმოყუარე ცნობად" (61.2; 912B);

"კეთილთმოყუარითა ცნობითა" (65.20; 920D);

"განუძღებელითა ცნობითა" (79.12; 952C);

¹ სხვათაშორის, ეს არის სამოხელეო ტერმინ "ველის" ერთერთი პირველდამოწმება.

- "უღებ ცნობითა" (116.12; 1028B-C);
 "სამშჯავროდ კაცობრივისა ცნობისად" (123.9; 1057C);
 "მესისხლეობითისა ცნობისა" (166.6; 1144A);¹
 "უძღებისა ნებისა მქონებელთა" (16.22; 780B);
 "თვთმფლობელობითისაებრ ნებისა" (46.9; 885B);
 "კაცობრივისა წინააღრჩევისა და ნებისა ესრეთ სახელსმდებელმან" (48.6; 889B);
 "თვთმფლობელითა ნებითა" (74.23; 941B);
 "სიმდიდრისმოყუარესა ნებასა" (85.7; 864B);
 "კაცობრივთა ნებათა" (87.7; 968B);
 "ბოროტისა ნებისა ბრალობად" (106.21; 1005C);
 "კაცობრივისა გულისსიტყვსა უწესონი კრომანი" (12.24; 772A);
 "უწყალოსა გულისსიტყუასა ზედა" (83.9; 960B);
 "მიმოცვალებასა თითოეულისა კაცთა აღრჩევისასა" (132 31; 1076B);
 "გონებითისათვის ცთომილებისა" (42.4, 877A);
 "დავსნილითა გონებითა" (70.34; 933B);
 "შეისწავე ამიერ გონებად ეკლესიასტესი" (ოლიმპიოდორე 190; 561B);
 "ნუ ჩუეულობად მიიღებ გულისწყრომასა გონებასა შინა" (იქვე, 194; 564C).²

მრავალგვარობის თითქმის იგივე სურათი გვაქვს თეოფილაქტეს ევანგელური კომენტარების (მარკოზისა და ლუკას თავები) იოანე ჭიმჭიმელისეულ თარგმანებში:

- "მოშურნესაცა გონებასა მათსა ამხილოს" (მარკოზის თავი, A-102, 23.2; 545D);
 "ჰსჩანს ფარისეველი ესე მიძვდელი უფლისად არა მართლისა მქონებელად გონებისა" (ლუკას თავი, A-113, 48v2; 792C);
 "ჰპოვებდა მათ ყოველთაგან ერთვობასა ერთისა პირისასა" (იქვე, 19.1; 724);
 "ნუ მრავალსახენი ხართ ქცევითა და ორკეცნი ჩუეულებითა" (59v2; 813D);
 "აღაშფოთებს კაცობრივთა ნებათა" (165v1; 1004B).

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ იოანე ჭიმჭიმელის ზემორე თარგმანებში რამდენჯერმე იჩენს თავს *γναμη*-ს სრულიად ახალი შესატყვისი "ჯერჩინებად". რომელიც გნომურ ტერმინად როგორც ქვემოთ ვნახავთ, უთუოდ

¹ ორგზის "ცნობად" გადმოსცემს შესიტყვებას "*γναμη και διαθεσις*" (98.26 - 992D; 87.17 - 968C)

² გრიგოლ აკრაკანტელთან ორგან გვხვდება ტერმინი *γναμκος*. ქართული თარგმანები ასეთია:... გონებითთა წარმატებათათვის იტყოდა" (20.20; 785D); "გუასწავებენ ჩუენ, თუ რომელთად გვლირს ვუმევათ თითოეულსა ეამსა ნებებითთაჲ შეტკობათა" (36.23; 869B).

არსენ იყალთოელის მიერ უნდა იყოს დამკვიდრებული. ამჯერად მოგვაქვს სათანადო ნიმუშები იოანე ჭიმჭიმელის თარგმანებიდან:

"ჰკითხავს თვთ მათსა ჯერჩინებასა" (მარკოზის თავი, 36.1; 573C);

"ჰკითხავს... მის-ძლითსა ჯერჩინებასა ერისასა" (ლუკას თავი, 61.2; 817B);

"ესევეითარისა ჯერჩინებისა... გიღირს... მოგებად" (იქვე, 65v1; 825D);

"ჯერჩინებითა მოუკდა" (იქვე, 67v2; 829D);

ტერმინი "ჯერჩინება" არსენ იყალთოელამდე უმთავრესად ზმნური ფორმით იყო გავრცელებული. იგი გვხვდება, მაგალითად, ბიბლიის უძველეს ვერსიებში:

"ვითარ ჯერ-გიჩნს?" *τι σοι δοκει;*

(ადიშის ოთხთავი, მათე 22.17; შდრ. ჯრუჰპარხლის: "რად გნებავს შენ?")

"რად ჯერ-გიჩნს თქვენ?" *τι υμιν δοκει;*
(იქვე, მათე 26.66)

"ჯერ-მიჩნდა მეცა" (ლუკა 1.3) *εδοξε καμοι*

ჯერ-ვიჩინეთ ათინას შინა დაშთომად (I თეს. 3.1)¹ *ησδοκησαμεν...*

სახელადი ფორმა "ჯერჩინებად" დამოწმებულია ი.აბულაძის მიერ თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანიდან². იგივე ტერმინი გვხვდება გიორგი მთაწმინდელთან. მაგალითად:

"ძლიერებად შემსგავსებული ნებისა და ჯერჩინებისა (*κατα προαιρεσιν*)" (გრიგოლ ნოსელი, სწავლანი, Ath. 14, 7; Pg. 45, col.21A);

"თანააღმატებულად აქუს ძალი ნებისა თანა და ჯერჩინებისა (*τη βουλησει*)" (იქვე, 5v; 17C);

"კეთილისა ჯერმჩინებელ (*αιρουμενην*)" (იქვე, 5v; 17C);

"აღასრულა ჯერჩინებად (*το κατα προθεσιν*) თვისი" (A-55, 10r; col.56 c).

"ყოველთავე მიმართ მიჰფენს თვთმოდრავსა და ჯერმჩინებელსა (*προαιρετικην*) ძალსა" (გრიგოლ ნოსელი, დაბადებისათვის კაცისა, ნ.შალამბერიძის მიერ მომზადებული ტექსტი, გვ.139; Pg.44, 241D).

¹ დამოწმებულია ი.აბულაძის "ძველი ქართული ენის ლექსიკონში"

² იქვე

"მოკულების განმგებელი და ჯერმჩინებელი (προαιρετικου) სული" (იქვე, გვ.139; 241D);

"თვთმბრძანებელი რადმე აქუს მიმართებად ჯერმჩინებელითა მით (προαιρετικω) სულითა" (იქვე, გვ.141; 244C)

საკუთრივ გნომურ ტერმინად "ჯერჩინებად" ქართულ მწერლობაში, როგორც აღვნიშნეთ, მკვიდრდება არსენ იყალთოელის მიერ. ქვემოთ დავიმოწმებთ პარალელურ ნიმუშებს იოანე დამასკელის "გარდამოცემის" ეფრემისეული და არსენისეული თარგმანებიდან, რაც თვალნათლივ წარმოაჩენს არსენისათვის ნიშანდობლივ ტერმინოლოგიურ სიახლეს:

ეფრემი

არსენი

განიყოფებიან ნებანიცა (τα θεληματα) და ცნობანი (72v2; 948B)

განყოფილნი არიან ნებებანიცა და ჯერჩინებანი (73v1)

და მას ეწოდების ნება¹ (72.1; 945B)

სახელ-იდების ჯერჩინებად (73.2)

არა სახელ-ედების ნება (72.1; 945B)

არა სახელ-ედების ჯერჩინებად (73.2)

ხოლო აღრჩევად რადსადმე თვსაგან ნებებითისა არა აქუნდა წმიდასა მას სულსა მისსა (72v1; 948A)

ხოლო ჯერჩინებად, ესე იგი არს, ნებებული არა აქუნდა წმიდასა სულსა მისსა (73v1)

რამეთუ აღრჩევანი გუამთა განყოფილებასა თანა განყოფებიან (72v 1-2; 948A)

რამეთუ ჯერჩინებად განყოფვის გუამოვნებათა თანა (73v1)

არა წინააღდგომად საღმრთოესა მის ნებისა მისისა (92.2; 1037A)

არა წინააღმდგომობითა ჯერჩინებისადათა (82v1)

ხოლო ცნობასა და აღრჩევასა (προαιρεσιν) უფლისათვს თქუმად ყოვლად შეუძლებელ არს (94.1)

ხოლო ჯერჩინებისა და წინააღრჩევისა თქუმად უფლისა ზედა შეუძლებელ არს (83.2)

¹ გნომიკურ ტერმინად "ნება" (სხვა შესატყვისებთან ერთად) თავს იჩენს, აგრეთვე, გიორგი მთაწმინდელთან: "აღსრულებად ნებისა (το κατα γωαιτην) თვისისა ვერ ველეწიფებოდა" (გრიგოლ ნოსელი, სწავლანი, Ath. 14, 10v, 298)

ცნობად და აღრჩევად, ესე იგი არს, ძიებად უცნაურთა რათათვსმე [არს] (94.1; 1044B)

არა ნებითა განზრახვითითა (102.2; 1076D)

პირველი იგი სარწმუნოებად ჩუენისა გონებისადა არს (114.1; 1128A)

არა თვნიერ ცნობისა ჩუენისა (119v2)

ვინად არს ბოროტი?... თვთმფლობელისა ნებისაგან (130.1; 1196C)

განეშორა არა ადგილითა, არამედ გონებითა (130.2; 1197A)

თვისისა ნებისა უდებებამან არა კეთილად ავმარებია ქველისმოქმედებად იგი (130v2; 1197B)

ჯერჩინებად ყოვლად უცნაურისა საქმისათვს კმნისა ძიებისა და განზრახვისა [არს] (83.2)

არა ჯერჩინებითა (87.1)

პირველი უკუე ჩუენისა ჯერჩინებისადა არს (92.1)

არა თვნიერ ჯერჩინებისა ჩუენისა (94v1)

ვინად უკუე არს ცოდვად? თვთმფლობელითა ჯერჩინებითა (99.1)

განეშორა მისგან ჯერჩინებითა, არათუ ადგილითა (99.1)

ჯერჩინებისა მისისა დაჯსნილობამან უვმარ-ყო მისთვს ქველისმოქმედებად (99.2)

ბერძნული *γναμικος* ხსენებულ თარგმანებში ასეა გადმოტანილი:

ვფრემი

არცა აღრჩევითობად აქუნდა ნებასა მისსა კაცობრივსა (72v1; 948A);

ეწოდების მას ნებად მეცნიერებითი (73.1; 949A)

აქუნდეს ვითარნებებადცა მეცნიერებითი (92.1; 1036C)

არსენი

არცა ჯერჩინებითი აქუნდა ნებებად (73v1)

ითქუმის ნებად ჯერჩინებითად (73v2)

... ნებად ჯერჩინებითად¹ (82.2)

¹ ტერმინი *γναμικος* არსენის ადრეულ შრომებში სხვადასხვაგვარადაა თარგმნილი. მაგალითად: "აღრჩევითი" (ანასტასი სინელი, წინამძღვარი, S-1463, 5.1-65 A); "თვთამორჩევითი" (იოანე დამასკელი, ორთა ნებათათვს, S-1463, 132v2 - Pg.95, 152A; 133.1-152C; 133v1-153D; 133v2-156D); "ნებისითი" (იქვე, 187v2-180B). ზმნიზელა *γναμικως* ორგზის თარგმნილია ასე: "სათნოყოფით" (ანასტასი სინელი, S-1463, 38.1-304A).

ზემოთ ჩვენ დავიმოწმეთ იოანე დამასკელის სიტყვები ტერმინ "გნომის" პოლისემურობის შესახებ. ამჯერად წარმოვადგენთ ამ სიტყვათა ეფრემისეულ და არსენისეულ თარგმანებს:

ეფრემი

"ცნობისა, გინა მეცნიერებისა ანუ განზრახვისა სახელი მრავალსახე არს და მრავალთა პირთა მომასწავებელ, რამეთუ ოდესმე სწავლასა (παραινεσις) მოასწავებს... და ოდესმე ზრახვისა (βουλην)... ხოლო ოდესმე განჩინებისა (ψηφον)... ხოლო ოდესმე სარწმუნოებისათვის (πιστεως) ანუ ნებისა (διξης) ანუ განზრახვისა (προσηματος), და რადთა ერთბამად და მარტივად ვთქუა, ოცდარვა სახედ მოიღებვის სახელი ესე, რომელსა "ღნომი" უწოდიან (94.1; 1045B)

არსენი

ჯერჩინებისა სახელი მრავალსახე და მრავლისა დამნიშნველი არს, რამეთუ ოდესმე თანასათნოყოფასა ცხად-ჰყოფს... ხოლო ოდესმე განზრახვასა... ხოლო ოდესმე განჩინებასა... და ოდესმე სარწმუნოებისათვის ანუ თნებისა ანუ ცნობისა, და შემოკლებულად ითქუმოდედ, დანიშნულთაებრ² მოიღებვის სახელი ჯერჩინებისაჲ (83v1)

როგორც ვხედავთ, ეფრემი ციტატის შესავალში ჰენდიატრიონის გზით თარგმნის ბერძნულ "გნომს", როგორც "ცნობაჲ, გინა მეცნიერებაჲ ანუ განზრახვაჲ" (მდრ. არსენის ერთგზისი "ჯერჩინებაჲ"). ციტატის ბოლოს ეფრემი უთარგმნელად ტოვებს ტერმინს და გადმოაქვს იგი, როგორც "ღნომი". არსენთან ამჯერადაც "ჯერჩინებაჲ" გვაქვს.³

1 აშიაზე გადამწერის მიერ მიწერილია: "ჯერჩინებისა ღნომა"

2 უცნაურია, რომ არსენის თარგმანში არ გვხვდება რიცხვითი სახელი "ოცდარვა". ეს ტექსტობრივი ნაკლებობა, როგორც ჩანს, მთარგმნელისეულია და არა გადამწერისა. საქმე ისაა, რომ ეფრემის თარგმანის შემცველ უძველეს ხელნაწერს (A-24), რითაც ვსარგებლობთ ჩვენ, ზემოციტირებული ეფრემისეული სიტყვების გვერდით აშიაზე ტექსტისვე ხელით მიწერილი აქვს იმავე სიტყვათა შესაბამისი ადგილი არსენის თარგმანიდან: "და შემოკლებულად ითქუმოდედ, დანიშნულთაებრ მოიღებვის სახელი ჯერჩინებისაჲ". აქაც, როგორც ვხედავთ, დაკლებულია რიცხვითი სახელი "ოცდარვა". A-24, როგორც ცნობილია, XII ს-ს განეკუთვნება. გადამწერს, ცხადვით, ხელთ ექნებოდა არსენისეული თარგმანის უძველესი ტექსტი, შესაძლოა, ავტოგრაფი.

3 უნდა აღვნიშნოთ, რომ "ჯერჩინებაჲ" მეარ გნომოლოგიურ ტერმინად გვევლინება არსენის გვიანდელ შრომებში. მისი ადრეული თარგმანები ამ მხრივ ტერმინოლოგიურად მრავალგვარია. მაგალითად: "ცნობაჲ" (დიდი სჯულისკანონი, 232.31; 430.4; დოგმატიკონი, S-1463, 9.1; Pg.89, 92A; 25.1-205D; 35.1-284A; 271v2); "თანაჯერჩინებაჲ" (დიდი სჯ., 270.5; 489.4; 489.11); "თანასათნოყოფაჲ" (დიდი სჯ., 270.13; 271.6); "მოგონებაჲ" (S-1463, 15v2; Pg.89, 140B); "განზრახვაჲ" (იქვე 25v1-209D); "სათნოყოფაჲ" (იქვე 38.2-304A; 276v2; 132v1-Pg.95, 149C); "მეცნიერებაჲ" (269v1); "გულისკმისყოფაჲ" (277v1); "ნებაჲ" (132.1-Pg.95, 145D); "თვისი გამორჩევაჲ" (იქვე 134.2-157D); "თვისი გამომრჩეველობაჲ" (133v2-157A; 133.1-152C); "გამორჩევაჲ" (133v2-156D; 134.2-160B; 135.1.2-165A); "ნებისითი გამორჩევაჲ" (187v1-180A); "ნებისით გამორჩევაჲ" (187v1; 180B); "ნებისითი ნებაჲ" (187v2; 180B); "ნებისითობაჲ" (137v2; 180D).

"გნომის" განმარტებისას იოანე დამასკელს ამ ტერმინის დამოწმების სამი ადგილი მოაქვს ბიბლიიდან. ქართული თარგმანები ასეთი სახისა:

ეფრემი

არსენი

განზრახვასა მივსცემ
(I კორ. VII. 25; 94v1;
1045B)

ჯერჩინებასა მივსცემ
(83v1)

ზაკუვით ზრახეს
(ფს. 82.4)

მოიძმაცუეს ჯერჩინებად

გამოვდა განჩინებად (დან.
2.15)

გამოვდა ჯერჩინებად¹

ამგვარად, ზემოდამოწმებული ნიმუშები სრული სიცხადით გვიჩვენებს, რომ არსენისათვის უმეტესად ნიშანდობლივია გნომური ტერმინი "ჯერჩინებად".

VI ჰომოგენური ჯგუფის ტექსტები გნომოლოგიური ასპექტით მთლიანად ეფუძნებიან არსენის შრომებს. ხსენებულ ტექსტებში *γυαμη*-ს უცვლელ შესატყვისად გვხვდება არსენისეული "ჯერჩინებად", რომლის დამოწმებათა რიცხვი მართლაც აურაცხელია. მოგვაქვს მარტოდენ საილუსტრაციო ნიმუშები.²

1. η γυαμη:

"უვნებელი ჯერჩინებად დაიცვა" (მაქსიმე, გელ. 14. ფოტო 154; 877D);

"არმქონებელმან ჯერჩინებასა წინააღმდგომსა" (იქვე, ფ.154; 880A);

"ეგრეთვე ჯერჩინებითა მყოფთამან უცვალებელად" (იქვე, ფ.154; 880A);

"განმყოფელობითა ჯერჩინებისადთა არგანკუეთილსა" (იქვე, ფ.155; 881A);

"შესაკუთრებითა ჯერჩინებისადთა" (იქვე, ფ.169; 592A);

"შეუერთოს... ჯერჩინებად სიტყუასა ბუნებისასა" (იქვე, ფ.163; 901A);

"უმიკვრცხლობითა ჯერჩინებისადთა მცონარი" (იქვე, ფ.163; 901A);

"დამცველი... მოწლებასა ჯერჩინებისასა" (იქვე, ფ.163; 901A);

"ჯერჩინებასა თანაშეყოფილად აქუს ყოველთა მიერ მოქმედებად ღმრთისად" (იქვე, ფ.163; 901A);

1 ხსენებულ თარგმანში გამოჩნდებიან შემთავსებელი "გვიტარებებად არა ბუნებისა, არამედ ჩუენისა სათნოებისად (γυαμης) არს" (82.2; შლრ. ეფრემი: "ხოლო ვითარებებად არა ბუნებისა, არამედ ჩუენისა მეცნიერებისად (არს)" (91v2) "ნებისა და სათნოებისადთა" (იქვე 59.1; 828C; შლრ. ეფრემი: "...მეცნიერებისადთა", 45.1); "სათნოებისად" (იქვე 59.2; შლრ. ეფრემი: "ცნობისა", 45v1; col.829A).

2 მოტანილ ნიმუშებში არ შედის ამონიოსის შრომათა თარგმანები, რადგანაც ბერძნულ ტექსტში არცერთხელ არ გვხვდება *γυαμη*.

"განგჰმზადოთ ჯერჩინებად" (იქვე, ფ.11; 281B);

"ოცდარკათა დანიშნვათაებრ წმიდისა წერილისა და წმიდათა მამათა მიერ ეპოე დამჭურეტელმან სახელი ჯერჩინებისად, რომელ არს ღნომი" (იქვე, 478; 312C);¹

"ჯერჩინებისაებრ მბრძოლქმნილმან ბუნებამან" (იქვე, ფ.163; 901C);

"ბუნებასა შეაზავოს ჯერჩინებად" (იქვე, ფ.164; 905A);

"შეუზავებელითა ჯერჩინებითა" (იქვე, ფ.158; 888A);

"მოძრავობად ჯერჩინებისად" (იქვე, ფ.163; 901D);

"არცა ჯერჩინებად და რაოდენნი არიან ჯერჩინებისანი" (იქვე, ხელნ. 275v1; 80A);

"არცა განთვსებით სრულყოფელად ჯერჩინებისაებროთად კაცი" (იქვე, 278v1; 85C);

"სქესობითი შეერთებად არს განყოფილთა ჯერჩინებათა ერთისა ნებისა მომართ შემკრებელი" (იქვე, 282.1; 152C);

"უჯერჩინებოდ (*παρα γυναικον*) მოურნე" (იქვე, 284.2; 260C);

"ჯერჩინებით განყოფელისა" (იქვე, 285.2; 245D);

"თანმსრბოლად ბუნებისა შეიწყობვის ჯერჩინებად" (იქვე, 293v1; 756B);

"ჯერჩინებისა და მოწლეობისა" (იქვე, 302v1; 428D);

"არა ჭირითა რადთმე მიიზიდავს უფალი, არამედ ჯერჩინებითა და წინააღრჩევითა" (თეოფილაქტე, იოანეს თავის განმარტება, 5; 1152B);

"ცივისა ჯერჩინებისა მიერ მოსრულ იყვნეს" (იქვე, 12; 1180A);

"განიწვალეობდინ ჯერჩინებანი" (იქვე, 23; 1217D);

"შესაბამი ვიდრემე სამეფოდსა ჯერჩინებისად" (ქსიფილინოსი, კ.კმკმ-ლიძე, ეტიუდები VI, გვ.174);

"მაჩუენებელმან დასასრულისაცა ამის ჯერჩინებისა მისისაგან" (იქვე, 185);

"ყოველნივე ერთცნობა და ურთიერთ ჯერჩინება" (იქვე, 208);

"მქონებელნი ჯერჩინებისანი" (იქვე, 209);

"მიცვალებასა ჯერჩინებისასა" (იქვე, 210);

"ჯერჩინებისა თანამოსახე" (იქვე, 217);

"ჯერჩინებასა განსჯის მოქმედისასა" (იქვე, 218);

"ჯერჩინებით არაოდეს შეცვალებადასა" (იქვე, 219);

"ჯერჩინებად უკუე ჩემი პრიდებს კეთილნათესაობასაცა" (იქვე, 220);

"ჯერჩინებისა შენისათაცა ყოფადმდე" (იქვე, 220);

"უცვალებლობად ჯერჩინებისა მისისად ცნა" (იქვე, ეტიუდები III,

¹ მაქსიმე აღმსარებელი ამ შემთხვევაში წყაროა იოანე დამასკელის ზემოციტირებული სიტყვებისა ტერმინ "ღნომის" პოლისემურობის შესახებ.

გვ. 238.25);

"განუცემელისა ჯერჩინებისა" (იქვე, 242.12);

"ჯერჩინებათა შინა" (იქვე, 291.8);

"ჯერჩინებისა მოცემად" (იქვე, 291.27);

"ჯერჩინებისა მათისა გამომცდელი" (იქვე, 293.25);

"მსწრაფლ მივაგო ღირსი მისისა ჯერჩინებისა და სილალისაჲ" (იქვე, 293.35);

"ისწრაფო... რჩეულთა კაცთა ჯერჩინებისა შენცა თანაშერთვაჲ" (იქვე, 293.37);

"უფლისა მისისა ჯერჩინებისა გარეგანსა" (იქვე, 294.24);

"ჯერჩინებასა უცვალებელსა ვსცავთ" (იქვე, 298.1);

"კუალად განცადა ჯერჩინებაჲ მათი" (იქვე, 299.1);

"უჯერჩინებოთა იუღეანთა" (იქვე, 300.25);¹

"ჯერჩინებითა წინააღუდგებოდა" (იქვე, 300.29);

"ებრძანა... ჯერჩინებითურთ" (იქვე, 301.5);

"ერთჯერჩინებითა ეპისკოპოსთაჲთა" (იქვე, ეტიუდები VI, გვ.141);

"სათანადოდსა კეთილჯერჩინებობისა უკუნმცემელი" (იქვე, 183);²

"კეთილჯერჩინებაობით მოთმინეობასა" (იქვე, 209).

2. *γυαμικος*:

"ჯერჩინებითისაებრ სქესისა სულისაჲსა" (მაქსიმე, ფ.198, 2; 596C);

"არა რადთურთით ჯერჩინებითი, არამედ ბუნებითი იყო" (იქვე, ხელნ. 277.1; 81D);

"ჯერჩინებითი ნებაჲ არს თითოეულისა გულისსიტყვსა თვთაღრჩეული მიმართებაჲ და მოძრაობაჲ" (იქვე, 282v1; 153A);

¹ ტერმინი "უჯერჩინებო" უნდა გადმოსცემდეს ბერძნულ *αγυαμων*-ს ანდა *παρα γυαμων*-ს. სიტყვა *αγυαμοσση* გვხვდება იოანეს თავის თეოფილაქტესეულ კომენტარებში. ქართული თარგმანი ასეთია: "უჯერჩინებობისა" (120v; 213A). საკუთრივ ტერმინი *αγυαμων* დამოწმებულია მაქსიმე აღმსარებელთან, რომლის გელათურ თარგმანში ვკითხულობთ: "ოვერად დამტევებელი უჯერჩინებოჲსა გონებისა" (ფოტო 150.2; 497D). სხვა ადგილას იგივე სიტყვა თარგმნილია, როგორც "უერთგულო" (იქვე, ფ.146.2; 493C). შდრ., აგრეთვე, მაქსიმეს შრომებიდან ზემოთ დამოწმებული შესატყვისობა: "უჯერჩინებოდ" - *παρα γυαμων*.

² "კეთილჯერჩინებობა", როგორც ჩანს, შეესატყვისება ბერძნულ *ευγυαμοσση*-ს. ეს სიტყვა გვხვდება იოანეს თავის თეოფილაქტესეულ განმარტებაში. ქართული თარგმანი ასეთია: "კეთილჯერჩინებობაჲ (*ευγυαμοσση*) მათი" (A-52, 12; 1180A); "ყოვლით-კერძო მჩუენებელისა... კეთილჯერჩინებობასა (*ευγυαμοσση*)" (იქვე 88; 104C); "კეთილჯერჩინებათა (*ευγυαμων*) ნაწილისაგანნი იყვნეს" (იქვე 72; 52C); "კეთილჯერჩინებისა პირისა მისისა დაყოფად ვერ შემძლებელ იქმნეს" (72v; 52C); იგივე სიტყვა მაქსიმეს გელათურ ტექსტებში ერთგან თარგმნილია, როგორც "ქველჯერჩინებაჲ" (ფოტო 158.1); სხვაგან იმავე ტერმინს გადმოსცემს: "ერთგულება" (იქვე, ფ.146.2 - 493C; 144.1-409), "გულსავსება" (467.1; 296A); "ცნობაკეთილ (*ευγυαμων*)" (თეოფილაქტე 93; 117D); "კეთილცნობობით (*ευγυαμοστας*)" (იქვე, 99; 144B); "კეთილცნობაჲ" (იქვე, 80; 77A); "გონებაკეთილობაჲ" (იქვე, 99v).

"არმქონებელთანი... ჯერჩინებითსა... განყოფილებასა კერძოთასა" (იქვე, 3.2; 272B).

3. *γνωμικως*:

"ჯერჩინებით მიიზიდნა საცნაურებანი" (იქვე, 2v1; 269A);

"ჯერჩინებისაებრ გარდამზადებულად შემყვანებელი" (6.1; 280C).¹

ზემოდამოწმებული ნიმუშები აშკარად ცხადყოფს, რომ VI ჯგუფის ტექსტებისათვის უმეტესად ნიშანდობლივია და მათში თითქმის აბსოლუტიზებულია არსენის მიერ დამკვიდრებული ტერმინთშესატყვისობა: *γνωμη* - "ჯერჩინებად".

რაც შეეხება იოანე პეტრიწს, იგი მთლიანად უარყოფს აღნიშნულ ტერმინთშესატყვისობას. ნემესიოსის წიგნზე დაკვირვება ცხადყოფს (პროკლეს წიგნში ტერმინი *γνωμη* არ გვხვდება), რომ პეტრიწი გნომური შინაარსით ამკვიდრებს ახალ შესატყვისს "უწყებად", რომელიც ვიდრე პეტრიწამდე სულ სხვა მნიშვნელობას შეიცავდა და არანაირი (თუნდაც ნიუანსობრივი) სიახლოვე გნომურ გააზრებასთან არ ჰქონია. ასე რომ, შესატყვისობა *γνωμη* - "უწყებად" იოანე პეტრიწის ტერმინოლოგიურ სპეციფიკას წარმოადგენს, რაც მის მიერ ვრცელდება, აგრეთვე, *γνωμη*-სთან ფუძეზიარ ტერმინზე *γνωμων*. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"და მეცა მეთნების ესე ამათ პირთათვს უმჯობესისა მიწევნილად, რამეთუ არათუ მარტოდ პლატონის უწყებისად (*γνωμης*), არამედ თვთ მის ჭეშმარიტებისად" (47.31; 584A);

"მეუწყენი (*γνωμονας*) უცთომელნი" (87.1; 653C);

"დასხნეს კანონნი ვინანიმე და საუწყონი (*γνωμονας*)" (125.14; 717B);

"დაიდებოდედ უკუე საუწყონი (*γνωμονες*) ესრეთ" (126.15; 720A);

"უნებლიითისა საუწყონი (*γνωμονες*) ესე" (126.19; 720A);

"ნეფსითისა საუწყონი ესე" (133.19; 729B).²

როგორც ცნობილია, "უწყებად" ძველ ქართულ მწერლობაში ნიშნავდა ისტორიას, გადმოცემას, აგრეთვე, ცნობებას, შეტყობინებას. იგი ეფუძნება "ებ" თემის ნიშნიან ზმნას "უწყება" (აუწყებს), რომელიც, როგორც ცნობილია მეორადია და თავის მხრივ ეყრდნობა უთემისნიშნო ფორმას "უწყ" (უწყის). ეს უკანასკნელი, პირველისაგან განსხვავებით, ნიშნავს არა თხრობას, თქმას, შეტყობინებას, არამედ "ცოდნას". სწორედ უთემისნიშნო ზმნა "უწყის"

¹ ერთგან *γνωμικως* თარგმნილია, როგორც "მეცნიერებით" (იხ. მაქსიმე, ბელნ. 275v2; 80B), როგორც ჩანს, ორიგინალის მთარგმნელისეულ ნუსხაში იყო *γνωστικως*, რომელიც სწორედ ზემორე შესატყვისით ითარგმნებოდა. მაგალითად: "მეცნიერებისა მიერ (*γνωστικως*)" (მაქსიმე, ფ.154; 877C); "მეცნიერებით აღმყვანებელი გონებისად" (იქვე, ფ.7; 273A); "მეცნიერებით შეუღღვილი" (იქვე, ფ.158; 888A) და სხვა.

² ერთგან *γνωμη*-ს გადმოსცემს "ნებად" (113.2; 698A). ასევე, ერთგზის შესატყვისად გვხვდება "წადილი" (146.7; 752A).

წარმოადგენს პეტრიწისეული "უწყების" ტერმინულ საფუძველს, რაც ნიშნავს: სიტყვა "უწყება" პეტრიწთან სემანტიკურად უკავშირდება არა "ებ" თემისნიშნიან "უწყებას" (აუწყებს), არამედ უთემისნიშნო ზმნას "უწყ" - (უწყის) და სწორედ ამ უკანასკნელისაგან იძენს იგი "ცოდნის" მნიშვნელობას. ამითვეა განპირობებული ისიც, რომ პეტრიწის შრომებში "უწყებად" უიგივდება და ძალიან ხშირად ეწყვილება ტერმინ "ცნობას", რაც ძველ ქართულში ასევე "ცოდნას" ნიშნავდა. ზემოთ, ტერმინ *γνωσις*-ის განხილვის დროს, წარმოვადგინეთ ნიმუშები, სადაც ხსენებული ტერმინი პეტრიწის მიერ თარგმნილია სინონიმური წყვილით "ცნობად და უწყებად". ეს ორი ტერმინი მთლიანად უთანაბრდება ერთმანეთს ზმნურ ფორმებში, როდესაც ისინი გადმოსცემენ ბერძნულ *γινωσκω*-ს (იხ. პროკლეს წიგნზე დართული ტერმინოლოგიური ლექსიკონი). ასეთსავე გაიგივებას ვხედავთ მაშინაც, როდესაც ითარგმნება ბერძნული *γνωστικός*, რომლის შესატყვისადაც ხშირია "მცნობელი და მეუწყე" (იხ. იქვე).

ტერმინი "უწყებად" სწორედ მცოდნეობითი შინაარსით უკავშირდება ბერძნულ *γνωμη*-ს, რადგანაც ეს უკანასკნელიც, ისევე როგორც ზემოაღნიშნული *γνωσις*, ეფუძნება ზმნას *γινωσκω* და, შესაბამისად, ისიც უთუოდ გნოსეოლოგიურ ცნებას წარმოადგენს.¹

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ წარმოვადგინოთ სათანადო ნიმუშებს იმისას, თუ რა შესატყვისები გადმოსცემს ბერძნულ *γνωμη*-ს მაქსიმეს "ორასეულისა" და "ოთხასეულის" ქართულ თარგმანში:

1. *γνωμη*:

- "ნეფსით (*κατα την γνωμην*) ქმნითა იხილვების" (ორასეული 1.12);
- "მოსემან დიდმან გარეგან ბანაკისა აღჰმართა კარავი თვისი, ესე იგი არს, ცნობად და მოგონებად" (1.84; ქართ. 1.85);
- "არღარა ცნობასა თანა შეატყუებდენ საქმესა" (1.86);
- "ცნობითა შეცვალებულსა" (2.95);
- "ცნობითა მისდად განკუთნილთა" (ოთხასეული 1.25);
- "ჯერეთ კაცობრივთა ცნობათა თანა ჰყვებოდეს" (1.70);
- "თვთოსახეობისაებრ მათთა ცნობათადასა" (1.71);
- "ყოველი ანგელოზებრი ბუნებად ორად განიყოფების: საყოველთაოდ ცნობად და არვებად წმიდად და არაწმიდად" (3.26);
- "ყოველი კაცობრივი ბუნებად მხოლოდ ცნობითა ოდენ საყოველთაოდ ორად განიყოფების" (3.26);
- "დაბადებულთა ნებასა შეუდგან" (3.29);
- "ბუნებით სახიერ მხოლოდ ღმერთი არს და ცნობითა სახიერ მხოლოდ

¹ საგულისხმოა, რომ ბერძნული *γνωμων* სწორედ "მცოდნეს" საქმეში გათვითცნობიერებულს აღნიშნავს

ღმრთისა მიმსგავსებული" (4.90).

2. *γνωμικος*:

"რომელმან გონებად განიბრწყინოს საღმრთოთა გულსკმისყოფათა მიერ... ამან ბუნებითისა ხატებისა სიკეთეთასა შესძინა მსგავსებადცა ცნობიერად აღრჩევითა კეთილთადათა" (ორასეული 1.13);

"მოჰმადლნა... მეცნიერებითსა სიმარჯუესა" (3.25).

3. *εὐγνωμονως*:

"(კე)თილცნობიერებით აღმოკითხვად" (ოთხასეული, შესავალი, 218; 960A);

4. *αγνων*:

"ნუ გამოსჩნდები უცნობო" (4.75).

როგორც ვხედავთ, "ორასეულსა" და "ოთხასეულში" არცერთხელ არ გვხვდება ტერმინი "ჭერჩინებად", რაც ამ ძეგლებს მთლიანად მიჯნავს მაქსიმეს შრომათა გელათური თარგმანებისაგან. მეორე მხრივ, შესატყვისობა *γνωμη* - "ცნობად", რასაც ავლენს ხსენებული ძეგლები, კვლავაც ეფრემ მცირისაკენ წარმართავს ჩვენს ყურადღებას, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ *γνωμη*-ს ძირითად შესატყვისად სწორედ "ცნობას" წარმოგვიდგენს.

ეფრემთანვე გვხვდება იმავე შინაარსით "ნებად" და "აღრჩევად", აგრეთვე, "მეცნიერებითი" (*γνωμικος*), რაც ვლინდება "ორასეულსა" და "ოთხასეულში".¹

IV. *Γνωσις*:

ამ ტერმინის შესახებ დაწვრილებით ვიმსჯელებთ ზემოთ. აღვნიშნავდით, რომ ეფრემ მცირე ხსენებულ ტერმინს თანაბარი სიბშირით თარგმნის, როგორც "მეცნიერებად" და როგორც "ცნობად". არსენთან მეტი აქცენტია ტერმინ "მეცნიერებაზე". შესატყვისი "მეცნიერებად" თითქმის უგამონაკლისოდ და აბსოლუტიზებული სახით გვხვდება გრიგოლ აკრაკანტელისა და ოლიმპიოდორეს ეკლესიასტესეული კომენტარების თარგმანებში, აგრეთვე იოანე ჭიმჭიმელთან, განსაკუთრებით კი VI ჰომოგენური ჭგუფის ტექსტებში. რაც შეეხება იოანე პეტრიწს, მასთან იმავე შინაარსით ასევე თითქმის უგამონაკლისოდ გვხვდება "ცნობად", ზოგჯერ "უწყებად", "მეუწყეობად", ანდა "ცნობად და საუწყოდ".

ამჯერად წარმოვადგენთ ყველა ნიმუშს "ორასეულიდან" და "ოთხასეულიდან".

¹ ეფრემთან დასტურდება, აგრეთვე, ტერმინი "კეთილცნობიერი" ბერძნული *εὐγνωμων*-ის ფარდად. მაგალითად: "ნიჭადვე შეურაცხიეს კეთილცნობიერთა (*εὐγνωμονως*)" (ბასილი დიდი, ეპისტოლენი 301.34; ნ.ქაჯიას გამოც. გვ.257.17); შდრ. აგრეთვე, "კეთილცნობათა" (*εὐγνωμοσιαι*) (გრიგოლ ღვთისმეტყველი, სიტყვები, A-109, 213v2; 437B)

1. *γνωσις* - ცნობად:

ცნობისა (ოთხასეული 1.1); ცნობასა (1.4); ცნობად (1.90); ცნობისა მიმართ (2.21); ცნობად (2.95); ცნობისა (2.99); ცნობად (3.37); ცნობისაგან (3.81); ცნობად (3.99); ცნობად (4.4; 4.16); ცნობად (4.47); ცნობისათა (ორასეული 1.8); ცნობასა (1.9); ცნობისათვის (1.55); ცნობასა (1.72); ცნობა (1.78); ცნობითა (1.80); ცნობად (1.85); ცნობითა (1.97); ცნობითა (2.98).

2. *γνωσις* - მეცნიერებად

მეცნიერებისად (ოთხასეული 1.9); მეცნიერებითა (1.12) მეცნიერებისა (1.27); მეცნიერებისა (1.31); მეცნიერებად (1.32); მეცნიერებასა (1.46); მეცნიერებისა (1.47); მეცნიერებად (1.69); მეცნიერებისასა (1.77); მეცნიერებად (1.86); მეცნიერებითა (1.92); მეცნიერებითა (1.94), მეცნიერებად (2.25); მეცნიერებასა (2.28); მეცნიერებასა შინა (2.33); მეცნიერებად (2.34), მეცნიერებად (3.2); მეცნიერებად (3.3); მეცნიერებისა (3.30); მეცნიერებისაგან (3.33); მეცნიერებად (3.66); მეცნიერებასა (4.2).¹

მითითებული დამოწმებები აშკარად ცხადყოფს, რომ "ორასეულისა" და "ოთხასეულის" მთარგმნელი ბერძნული *γνωσις*-ის შესატყვისად თანაბარი უფლებით იყენებს ტერმინებს "ცნობად" და "მეცნიერებად", ამ უკანასკნელის ოდნავი უპირატესობით ("ცნობად" გვხვდება 21-გზის, "მეცნიერებად" 22-გზის). ზედმიწევნით ამგვარი ვითარება გვაქვს ეფრემ მცირესთან. რაც შეეხება კონკრეტულად მაქსიმე აღმსარებლის შრომათა გელათურ თარგმანებს, მათში, როგორც აღვნიშნეთ, *γνωσις*-ის მყარი შესატყვისია მხოლოდ ტერმინი "მეცნიერებად"

v. Γραμμα:

აღნიშნული სიტყვა, როგორც ცნობილია, ეწოდება, ერთი მხრივ, წერილობით ნიშანს, ასოს, მეორე მხრივ კი, ნაწერს, წიგნს, ეპისტოლეს, თხზულებას. ძველ ქართულ მწერლობაში მას, ჩვეულებრივ, გადმოსცემდა "წიგნი" ან "წერილი", თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ ორ შესატყვისს შორის არსებობდა რაღაც გამიჯვნაც. კერძოდ "წიგნი" გადმოსცემდა უფრო მეტად საკუთრივ *γραμμα*-ს, "წერილი" კი *γραφή*-ს. მაგალითად:

1. *γραφή* - წერილი:

¹ ერთგან გვაქვს "მცნობელობად" (ოთხასეული 1.85).

"რადთა წერილი აღესრულოს" (იოანე 17.12; 19.36);

"არცაღა ესე წერილი აღმოგიკითხავსა?" (მარკ. 12.10, პარხლის ოთხთავი; შდრ. ჯრუჭისა და გიორგისეული: "არცაღა ესე წიგნი აღმოგიკითხავსა?");

"მაშინ აღესრულა წერილი იგი" (მარკ. 15.28);

"რადთა აღესრულნენ წერილნი წინაწარმეტყუელთანი" (მათე 26.56);

"აღესრულნენ წერილნი წინაწარმეტყუელთანი" (მათე, 26.56);

"აღესრულნენ წერილნი წინაწარმეტყუელთანი" (პარხლის ოთხთავი, მარკ. 14.49; შდრ. ჯრუჭისა და ადიშის, აგრეთვე, გიორგის ტექსტი: "აღესრულნენ წიგნნი");

"არღა იცოდეს წერილისად" (იოანე 20.9);

"პრწმენა წერილისად მის" (ადიშის ოთხთავი, იოანე 2.22; შდრ. სხვა ოთხთავები: "პრწმენა წიგნისად მის").

2. *γραμμα* - წიგნი:

"შიიღე წიგნი შენი" (ლუკა 16.6 ადიშის ოთხთავი; სხვა ოთხთავები: "შიიღე გელითწერილი შენი");

"უკუეთუ წიგნთა მისთად არა გრწამს" (იოანე 5.47);

"ვითარ უკუე ამაწ წიგნი იცის უსწავლელად" (იოანე 7.15);

"წიგნითა გამოსახული ფიცართა შინა" (II კორ. 3.7).

უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად ზემომითითებული გამიჯვნისა, "წიგნი" და "წერილი", როგორც პარალელური ნიშნუშებიდანაც გამოჩნდა, ზოგჯერ სავსებით უიგივდება ერთმანეთს. ბერძნული *γραφή* ხშირად ითარგმნება არა მხოლოდ "წერილად", არამედ, აგრეთვე "წიგნად" (განსაკუთრებით, ადიშის ოთხთავში). ალბათ, უფრო მართებული იქნებოდა, თუ ხსენებულ ტერმინთა შორის არსებულ სხვაობას ასე გამოვთქვამდით: ბერძნული *γραφή* თითქმის თანაბრად ითარგმნება ქართულად სიტყვებით "წიგნი" და "წერილი", ხოლო *γραμμα*-ს კანონზომიერ შესატყვისად უძველეს დროში უფრო "წიგნი" ჩანს, ვიდრე "წერილი".

მომდევნო ხანაში ამ ორი ტერმინის სინონიმური მონაცვლეობა კიდევ უფრო შესამჩნევია. ხშირია შემთხვევები, როდესაც არა მხოლოდ *γραφή*, არამედ კონკრეტულად ჩვენთვის საინტერესო *γραμμα*-ც განურჩევლად ითარგმნება "წიგნად" ან "წერილად". ამგვარი ვითარება გვაქვს ეფრემ მცირესთანაც. მაგალითად:

1. *γραμμα* - წიგნი:

"სულისადა დამორჩილებულ ვართ და არა წიგნისადა" (გარდამოცემა 132v1; 1205A; შდრ. არხენი: "სულისა და არა წიგნისადა შედგომილ-თათვს", 100.1);

"წიგნები შენი გუაუწყებს" (დიონისე 241.13; ეპ. 8.1);

"იტყვს... წმიდათა მათ წიგნთა შინა" (იქვე, 24.21; 2.11);

"წარმეკითხა წიგნი შენი" (იქვე, 246.14; ეპ. 8.4);

"იგინი უპირატეს არიან განკიცხულნი ჩუენთა წიგნთა შინა" (256.28; ეპ. 9.6);

"ვპგონებ წიგნსაცა მოსლვად შენდამი" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, ეპისტოლენი, მრავალთავი XII, 124.37; 53A)

2. *γραμμα* - წერილი:

"შესატყვისად სამღდულოთა მათ წინამდებარეთა წერილთა" (დიონისე არეოპაგელი, 252.37; ეპ. 9.2);

"განქარდა წერილი" (გარდამოცემა 132v1; 1205A; შდრ. არსენი "წიგნი განქარდა");

"განკუეთილებად, სიგლახაკე, წერილნი" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, ეპისტოლენი, მრავალთავი XII, 121.18; Pg.37, col.212A);

"საჭიროდ მოუკვდ წერილებთა" (იქვე, 136.31; 368C)

ასეთსავე სახეს გვიჩვენებს გრიგოლ აკრაკანტელისა და ოლიმპიოდორეს შრომათა თარგმანები. აი, რამდენიმე ნიმუში:

"ესრეთ წერილისაებრ (*κατα το γραμμα*) გულისვმისყოფელნი" (გრიგოლ აკრაკანტელი 63.2; 916C);

"წერილისაებრისა... ძალისა განმმარტებელნი" (151.7; 1112B);

"მაღალთა ხედვათა თანაშეაუღლა წიგნი" (153.27; 1117B);

"წიგნი ექსორიობისად" (ოლიმპიოდორე 53.2; 564C).

არსენ იყალთოელისათვის, როგორც ზემოდამოწმებული პარალელური ნიმუშებიდან ჩანს, *γραμμα*-ს შესატყვისად ნიშანდობლივია "წიგნი".¹

ჩვენს ყურადღებას იქცევს ტერმინულ სტრუქტურათა VI ჯგუფის ძეგლები, რადგანაც მათში შეიმჩნევა სიახლე. კერძოდ, *γραμμα*-ს კანონზომიერ შესატყვისად თავს იჩენს ტერმინი "ნაწერი". ესეც გელათური საღვთისმეტყველო სკოლის სპეციფიკაა.

აღვნიშნავთ, რომ სიტყვა "ნაწერი" წინაგელათურ ქართულ მწერლობაში უაღრესად იშვიათი იყო. ცნობილია, მაგალითად, ამ სიტყვის არსებობა თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ თარგმნილ "პატერიკონში":

"ჩნდა ძირი ნაწერისად".²

ამ სიტყვის ტერმინული გააზრება³ და მისი დამკვიდრება ბერძნული

¹ აი, კიდევ ორი ნიმუში: "ესოდენ საცთომელ არს წიგნისა მიერ (*απο του γραμματος*) ოდენ გულისვმისყოფად საღმრთოდსა წერილისად" (ნიკიტა სტითატი, S-1463, 278.1; ბერძნ. ტექსტ. Sources Chretiennes-ს გამოც. 248.6); "წიგნისაებრ განმგონებელმან" (იქვე 279v1; 268.6);

² იხ. იაბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ.325

³ ხსენებულ ძეგლებში ზოგჯერ *γραμμα*-ს გადმოსცემს ტრადიციული "წიგნი". იხ. მაქსიმე გელ. 14. ხელნ. 291.2-749A; 299.1-772C; იქვე, ფოტო 278.2-712D; ერთგან შესატყვისად გვაქვს "დაწერა" (მაქსიმე ფ.116.2 - 465B); ერთგზის გვხვდება "ასოდ": "ნაკუეთთა ოდენ ასოდსათა" (მაქსიმე, ფ.176.2; 54A). მეორე მხრივ, აღვნიშნავთ იმასაც, რომ ტერმინთშესატყვისობა: *γραμμα* - ნაწერი თავს იჩენს ზოგ არაქსიფილინოსისეულ მეტაფრასში, მაგალითად "დანიელ მესვეტის ცხოვრებაში": "წარსცნის ნაწერნი" (გელ. 5, ფ.190; შდრ. *επεμπε γραμματα* Pg.116, col.1008; იხ. კაკეელიძე, ეტიუდები, VII, გვ.6). გელათურ ტექსტებში შესატყვისად გვაქვს "წერილიც" (იხ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, სიტყუად პასუხისგებითი..., A-292, Pg.35; 288-449C; 288v-452A; 289v-457C; 298-496B).

γραμμα-ს კანონზომიერ შესატყვისად როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ VI ჰომოგენური ჯგუფის ძეგლებისათვის არის ნიშანდობლივი.

"ვითარ უკუე ვინ მოიპოვნეს სახენი და სახულებანი ნაწერთანი (γραμματων)" (ამონიოსი 163.26; 75.2);

"ნაწერთა... შესცხრებიან" (მაქსიმე, ფოტო 145.1; 492B);

"ნაწერსა შევექცეთ" (იქვე, ფ.145.1; 492B);

"... ბნელსა ნაწერსა შჯულისასა" (იქვე, ფ.152.2; 504A);

"წინამდგომთათვის ნაწერისათა" (იქვე, ფ.145.2; 492C);

"იცის წერილმა ნაწერის-შინათა (εν τοις γραμμασι) ნაკუეთთა მიერ გამოცხადებად იჭვსა თვისსად ამის ძლით მოსწრაფეთათვის" (იქვე, ფ.177.1; 545B);

"პატიოსანთა და ნეტართა ნაწერთა შენთა" (იქვე, ხელნ. 282v2; 92A);

"პატიოსანი ნაწერი სათნოებითა სისრულისა თქუენისად შევიწყნარე" (იქვე, ხელნ. 301.1; 424C);

"მიმთხუელთა ამის ნაწერისათა" (იქვე, ხელნ. 286.1; 248C);

"მომცა მე ნაწერი" (იქვე, ხელნ. 304.2; 433A);

"ნაწერთა მიერ საქმითისა დამსახველობითისა" (თეოფილაქტე, იოანეს თავის განმარტება, 139; 276B).¹

იოანე პეტრიწის ე.წ. "ბოლოსიტყვაობაში" ერთგან გვხვდება ხსენებული ტერმინი "ნაწერი":

"... მსგავსი ნაწერთად კითხვად, უკანონო წერად და უკანონოდცა და უგელოვნოდ კითხვად" (პეტრიწი II, 220.3; იხ. ტერმინოლოგიური ლექსიკონი).

აღნიშნული დამოწმება (თუკი აქ "ნაწერი" γραμμα-ს გულისხმობს) შესაძლოა ცხადყოფდეს, რომ პეტრიწისათვის ანგარიშგასაწევია გელათური სკოლის ტერმინული სიახლე, თუმცა ნემესიოსის წიგნში ხსენებული ბერძნული ტერმინი მის მიერ თარგმნილია, როგორც "წიგნი" და "აღწერილი":

"რომელთა არა ჰრწმენოდენ ქრისტიანეთა წიგნი" (ნემესიოსი 51.15; 589C);
"ელლენთაცა მიერ აღწერილნი" (163.25; 784B).

ასეთია ზოგადად ბერძნული γραμμα-ს ქართულად თარგმნის ისტორია. ეს ტერმინი სამგზის დასტურდება, აგრეთვე, "ორასეულში". აი, სათანადო

¹ ეს ტერმინული სპეციფიკა თავს იჩენს წინდებულებანი ფორმის (συγγραμμα) თარგმნისას. მაგალითად: "წინამიღებად... აღწერთა" (ამონიოსი 96.15; 1.12); "მოქსოვნეს აღწერნი" (იქვე, 98.17; 4.11); "განწვალებად არისტოტელებრთა ანაწერთად" (იქვე, 99.26; 5.30; დამოწმებულია მ.რაფაეას მიერ); "განიწვალების აღწერი" (იქვე, 22.17; 23.12; დამოწმებულია მ.რაფაეას მიერ; შდრ. "აღწერილი")

ნიმუშები:

"პირველად წიგნითა და არა სულითა ვეზრახებით პირველსა ჩუენსა ღმრთისმსახურებისა კუეთებასა" (2.61);

"დასახვად წერილთა თვსთა" (იქვე, 2.80);

"ამით ასოდთა საიდუმლოდ დაწყებულ იქმნა სახელი უფლისად, რაჟამს იგი კაც-იქმნა" (1.79).

როგორც ვხედავთ, ტერმინი "ნაწერი" *γραμμά*-ს შესატყვისად უცხოა ხსენებული თარგმანისათვის. ამ ნიშნითაც ემიჯნება იგი მაქსიმეს გელათურ თარგმანებს და კვლავ ეფრემ მცირის ტერმინულ წიაღში ექცევა, რომლისთვისაც ნიშანდობლივია ბერძნული *γραμμά*-ს შესატყვისად "წერილის" და "წიგნის" გამოყენება. რაც შეეხება მესამე შესატყვისს ("ასოდ"), არც ეს შემთხვევა ქმნის რაიმე წინააღმდეგობას, რადგანაც მოტანილ ადგილას *γραμμά* ნიშნავს კონკრეტულად ასოს¹ (კერძოდ, ათის აღმნიშვნელ ასო "ი"-ს, რითაც იწყება განკაცებული უფლის სახელი "იესუ"), ამასთან, ტერმინი "ასოდ", საზოგადოდ, *γραμμά*-ს შესატყვისად ცნობილია ეფრემისათვის²

VI. Διαθεσις:

ეს ტერმინი, რომელიც საღვთისმეტყველო აზრით ნიშნავს "მდგომარეობას", "ვითარებას", "სულიერ განწყობილებას", "მიდრეკილებას", წინაგელათურ ეპოქაში მრავალგვარად ითარგმნებოდა.³ ამ მხრივ სიმპტომატურია გიორგი მთაწმიდლის შრომები, სადაც *διαθεσις* თითქმის ყველა შემთხვევაში კონტექსტის მიხედვით გადმოიცემა და არსად იჩენს თავს შედარებით გამოკვეთილი და მყარი შესატყვისი. მაგალითისათვის მოვუხმობთ ნიმუშებს გრიგოლ ნოსელის ანთროპოლოგიური თხზულების მისეული თარგმანიდან:

"მოწამედ სიტყვსა ამის შემოიყვანებს მწუხარებითსა და რისხვითსა სიყუარულსა და აღძრვასა კაცისასა" (გვ.41; 156D);

"შეაიწრებენ შინაგანთა მათ ნაწლევთა აგებულებასა" (45; 160C);

"ეგრეთვე, წინაუკმოდსა მისცა სახისათვს გულისგმა-ყავ" (45;160C);

"სრულიადიცა უქმობად შეცვალებითა ვორცთა ვითარებისადთა (*εν τη ποια διαθεσει του σωματος*) ვისწავო" (46; 160D);

"იქმნების რადმე თანაზიარებად (*συνδιαθεσις*)... მოძრავთა მათ თანა" (57;169A);

"ვითარებასა (*τη ποια διαθεσει*) მიემსგავსებთან" (64; 173B);

¹ ამას ცხადყოფს ლათინური თარგმანიც, სადაც შესატყვისად გვაქვს *elementum*

² მაგალითად: "ბოროტნი წერილნი ასოთანი (*γραμμάσι*) თანაარეულ იყვნინ კეთილთა ასოთა (*γραμμάτων*)" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, სიტყვები, A-292, 309 - 16A).

³ სხვათაშორის, ეს ტერმინი დამოწმებულია ბასილი დიდის "ექვსთა დღეთაში". უძველეს თარგმანში შესატყვისებად გვაქვს "განგებულება" (2.4; ი.აბულაძის გამოც. გვ.34.6) და "აღძრვად" (იქვე, ი.აბულაძის გამოც. 34.14) გიორგისთან ორივეგან გვხვდება "ნებად" (მ. კახაძის გამოც. გვ.20.6 და 20.14)

"უტყვსა ნებისაგან სულსა შინა გამოისახვიან" (64; 173C);

"ესე უჯერო არს, რადთა კაცობრივსა ბუნებასა... ვნებულისა წესისაგან მიეჩემებოდეს დასაბამნი ვნებათანი" (85; 192A);

"ოდესმე სრულიადცა პირუტყუ იქმნების პირუტყულთა საქმეთა მიმართ მიდრეკითა და სიყუარულითა"¹ (87; 192D);

"წარმოაჩენს... წესსა მას... და რჩეულებასა" (93; 197D);

"და ესრეთ თარგმნის ცნობასა მას თანაწამებითა (συσ-διαθεσις) რადთმე და შეზავებითა" (94; 200B).²

ეფრემ მცირე, როგორც ეს "დიალექტიკის" ტექსტიდან ჩანს, διαθεσις-ის ერთერთ შესატყვისად იყენებს ტერმინ "გუარს", რაც გვხვდება, აგრეთვე, არსენთან (იხ. დიალექტიკა, დასახ. გამოც. გვ.211). უნდა აღვნიშნოთ, რომ გარდა "გუარისა", ეფრემთან (და არსენთანაც) ვლინდება, აგრეთვე, სხვა შესატყვისები. მაგალითად:

"საშუალისა მისებრ განჩინებისა" (გარდამოცემა 69.1; 936B; შდრ. არსენი: "საშუალი იგი გუარი", 71v2);

"შემდგომად წინადადებისა იქმნების თვთმფლობელობით ნებებად" (72.1; 945B; შდრ. არსენი: "შემდგომად მოწლეობისა იქმნების წინააღრჩევად" 73.2);

"საქმეთა მიმართ განყოფილებითა" (72v2; 948B; შდრ. არსენი: "საქმეთა მიმართ სიყუარულითა" 73v1);

"ძალისაებრ და წადიერებისა" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, სიტყვები, A-52, 159; 1053A);

"განვლევით პირველისა მოწლეობისაგან" (ბასილი დიდი, ეპისტოლენი, 40; ნ.ქაჯაიას გამოც. 229.17);

"სიყუარულსა" (იქვე, 71.1; 240.18).

"საყუარელისა" (იქვე, 213.6).

არსენ იყალთოელი, როგორც აღვნიშნეთ, ერთერთ დიათეტურ ტერმინად გვაწვდის "გუარს". ზემოდამოწმებულ პარალელურ ნიმუშებში იმავე შინაარსით დადასტურდა, აგრეთვე, "მოწლეობად" და "სიყუარული". ამგვარ სურათს გვიჩვენებს მის მიერ თარგმნილი შრომა იოანე დამასკელისა "ცოდნის წყარო". დავიმოწმებთ ზოგ ნიმუშს არსენის სხვა თარგმანებიდან:

"მოწლეობითა ქრისტესმიერისა სიყუარულისადათა" (დიდი სჯულისკანონი, 268.32); "ერისკაცებრი ქცევად" (იქვე 430.20); "ტრფიალებითი ძალი და

¹ იგივე შესატყვისი გვხვდება გრიგოლ ნოსელის "სწავლათა" (დიდი კატეხიზმური ქადაგება) გიორგისეულ თარგმანში: "გემოთა სიყუარულისაგან მოსწყვლეს გონებად" (Ath. 14, 11v; 320)

² ერთგან "ჩუფულებად" გვაქვს დიათეტურ ტერმინად თალასის "ოთხასეულის" გიორგისეულ თარგმანში (3.84; საქ. ეკლ. კალენდ. 1989, გვ.443). ამავე მთარგმნელთან დიათეტურ ტერმინად გვხვდება ჰენდიალისი "ნებად და თვთმფლობელობად" (გრიგოლ ნოსელი, სწავლანი. A-55, 15r, 770).

წადიერებად" (იქვე 512.4); "საძაგელისა ქცევისა" (ანასტასი სინელი, წინამძღვარი, S-1463, 31.2; Pg.89, 252D); "ესევითარისა ამის ნებისაგან ძლეული" (ნიკიტა სტითატი, S-1463, 277v1; ბერძ. ტექსტი Sources Chretiennes-ს გამოც., 242.5); "...ვითარცა რადთმე ანაგები ქცევისა (εξις της διαθεσεως) აქუნდეს თითოეულსა მათსა" (იქვე 274v2; 198.10); "ვნებულისა მოწლებობისა მიერ განითვსებს" (იქვე 269.2; 118.1); "ჩუეულებათა" (271.2; 146.3); "ხოლო გულისგმისყოფად (νοησις) და სიტყვიერი წადიერებად და გაგონებად... და მოწლებობად (διαθεσις) და წინააღრჩევად, ნებად (γνωμη) და ვმარებისა მიმართ მიმართებად (ορμη) მოქმედებანი არიან" (იოანე დამასკელი, ორთა ნებათათვს, S-1463, 131v2-132.1; Pg.95, 145 D); "მოწლე-იქმნების (διατιθεται) განბჭობილისა მის მიმართ და აღიარებს (προαιρεται) და მიჰმართებს ქმნად" (იქვე 132.2; 148C);¹

ტერმინი *διαθεσις* ხშირია გრიგოლ აკრაკანტელისა და ოლიმპიოდორეს შრომებში. მათი ქართული თარგმანები შესანიშნავად წარმოაჩენს იმ ტერმინულ ნაირგვარობას, რაც ტრადიციულად სუფევდა ქართულ მწერლობაში დიათეტური ტერმინოლოგიის მხრივ. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები.

"სატრფიალონი აღძრვანი" (გრიგოლ აკრაკანტელი 17.19; 781A);

"წადიერებად აქუნდეს ყოველთა" (31.14; 840A);

"გუასწავებენ ჩუენ, თუ რომელთად გვღირს ვუმევათ თითოეულსა ჟამსა ნებებითთაცა შეტკობათა" (36.23; 868B);

"უდარესთა მოგონებათაგან და საქმეთა უცხო-ყვნეს აღრჩევანი მათნი" (65.9; 920B);

"ეგევითარისა მის ნებისა... დადგრომად" (83.7; 960B);

"კეთილისაგან უნაწილობად ამის მოხწრაფებისა გამოაჩინა" (79.33; 953B);

"დაწყნარებულ ჰყოფს... უწყალოთა და ანგაჰარ-ქცევათა" (94.28; 984D);

"თანაღმობილ იქმნას ნაწლევითა თვისთა" (97.16; 989C);

"კაცობრივისა გულისსიტყვასა" (109.18; 1012D);

"სამართლად აღძრულ ვიქმენ სიყუარულითისა (αγαπικης) მოწლებობისა მიერ" (117.18; 1029C);

"ვითარებათა და ქცევათა ზედა განაჩინებენ" (118.15; 1032C);

"წარმატებად... სულიერთა მოქმედებათა" (130.29; 1072A);

"ვნებულთა გულისსიტყუათა-მიერისა მთესველობისათვს" (162.27;

¹ *διαθεσις*-თან ფუძეზიარი *ευδιαθετος* ერთგან არსენის მიერ თარგმნილია როგორც "მოწლე": "მოწლითა სარწმუნოებითა" (ნიკიტა სტითატი, S-1463, 274v1-196.2). ეგვე ბერძნული ტერმინი სხვაგან იმავე თარგმანში გადმოტანილია, როგორც "მოხურნე" (276v1-222.15) და "შინაგანმდებარე" (270.1-126.8). ამავე ტერმინს არსენი თარგმნის, აგრეთვე, როგორც "შეთვსებითი" (ანასტასი სინელი, S-1463, 6v2-76D); "დადებითი" ("სიტყუად დადებითი", იქვე 6v2; 77A); ბერძნული "ენდიათეტური ლოგოსი" ყველაზე ხშირად არსენის მიერ თარგმნილია, როგორც "შინაგანმდებარე სიტყუად" იხ. გარდმოცემა, S-1463, 61v2-857A (მდრ. ეფრემი: "დადებული" A-24, 50v1); 72.2-940 (მდრ. ეფრემი "მოგონებული", 70.1); 97.2-1180A; საყურადღებოა, რომ გრიგოლ აკრაკანტელის შრომის თარგმანში შესატყვისია "მოგონებითი" (23.26-793C).

1137A);

"ვნებულთა ჩუეულებათა... უცხოყოფელი" (167.24; 1145B);

"ივუმევს... სულისა ნებათა მიყოლითა" (ოლიმპიოდორე 46.2; 493D);

"ნებად სულისად" (46.2; 493D);

"თანაღმობიერითა მოწლებითა იქმოდენ ქველისსაქმესა" (271.2; 605B).

ტერმინი *διαθεσις* გვხვდება, აგრეთვე, ლუკას თავის თეოფილაქტესეულ განმარტებაში. იოანე ჭიმჭიმელი ასეთ თარგმანს გვაწვდის:

"არა აღგილითა, არამედ მოწყალებითა" (A-113, 77.1; 848B)

"წარმოაჩენს... ყოვლითურთსა მოწყალებასა" (იქვე, 89; 872A);¹

ზემოდამოწმებულ ნიმუშებში ეფრემ მცირესთანაც და სხვა მთარგმნელებთანაც სხვა მრავალ შესატყვისთან ერთად თითოორილა შემთხვევაში თავი იჩინა სიტყვამ "მოწლებად". ეს გარემოება ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რამდენადაც VI ჯგუფის ძეგლებში სწორედ ხსენებული სიტყვა გვევლინება ბერძნული *διαθεσις*-ის უმეტესად მყარ, თითქმის უცვლელ შესატყვისად, რაც, აგრეთვე, გელათური სკოლის მნიშვნელოვანი ტერმინული სპეციფიკაა. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"მოწლებად, გრძნობად, ზედმიწევნულობად" (ამონიოსი 157.26; 68.13);

"ეგრეთვე მოწლებადცა მოწლებადსადა მოწლებად და მოწლებასა მოწლებისა მოწლებასა" (იქვე, 157.30-31; 68.17-18);²

"ცხად-ჰყოფს თითოეული ქუედმდებარისაებრსა მოწლებასა ვნებისასა დამნიშნველი" (მაქსიმე, გელ. 14, ფ.90.1-2; 404A);

"წინამდებარისაებრ მოწლებისა" (იქვე, 97.2; 413C);

"სრულ-ჰყოფდეს მოწლებასა" (125-126; 456C);

"სულისაებრი პირი მოწლებისად" (157.1; 512A);

"მოწლებათა წინააღმდგომთა ამათ ვნებათასა" (158; 888B);

"მადლი მოწლებისა" (160; 893C);

"დამცველი... პატიოსანსა მოწლებასა ჯერჩინებისასა" (163; 901A);

"ჯერჩინებასა თანაშეყოფილად აქუს ყოველთა მიერ მოქმედებად ღმრთისად, რომელ არს მოწლებად საქმიერი" (163; 901A);

"აჩუენოს... მოწლებად" (163; 901C-D);

"სათანადო არს... განწმედილი მოწლებად შემაწუხებელთა მიმართ" (164; 904B);

"მტანჯველი ცოდვისმოყუარისა მოწლებისად" (165; 908B);

"და რაოდენნი სხუანი გემოვნებისაებრთა მიზეზთაგან დაკლებულისა

¹ ამავე თარგმანში *ενδιαθεσις* გადმოტანილია, როგორც "შინაგანმდებარე" "შინაგანმდებარე და უმოანი სიტყუად" (A-113, 104v2; 897A).

² დამოწმებულია მრავალჯერ მიერ (იხ. დასახ. გამოცემაზე დართული ლექსიკონი)

მოწლებიანი არიან" (289v2; 256D);

"შუებულებითისა მოწლებიანა..." (291.2; 749A);

"გულსმოდგინე მოწლებად" (291.2; 749B);

"შთამდინარისა სქესიანისა მოწლებიანა მშობლად" (292.1; 749D);

"განვისწავლებით ჯერმჩინებლობით ქმნად მეტკუეთილობასა სულისებრისა ვნებულისა მოწლებიანასა" (293v1; 756B);

"აქუს მასცა თანცვალებული მოწლებად თვისი" (298v2; 772A);

"ჯერჩინებისა და მოწლებიანა" (302v1; 428D);

"მოწლებიანებრი ყოვლითურთი უგრძნობელობად" (1.2; 264A);

"გონიერთა სქესთა მათთა და მოწლებათა" (2v; 269C);

"უტკბილესისა სადმე მოწლებიანა ქონებასა" (თეოფილაქტე, იოანეს თავის განმარტება, 61; 1137D);

"ყოველი მოწლებად ქრისტეს მიმართ გარდავიდეს" (იქვე, 23; 1217D);

"თანმტყუელვარე-ქმნილი მოწლებად" (92; 116C);

"ღმრთისა მოწლებითა" (ქსიფილინოსი, ეტიუდები VI, გვ.183);

"ძუელისა... პატივისა და მოწლებიანა" (ქსიფილინოსი, კ.კეკელიძე, ეტიუდები III, გვ. 237.21);

"მოწლებითიცა მოქცევადა გულისა შენისადა" (ქსიფილინოსი, გელ. 2, 14v);

"კონონის-მიმართისა მოწლებიანათვის" (იქვე, 91v)¹

ტერმინი *διαθεσις* იშვიათად გვხვდება, აგრეთვე, "συσ" პრეფიქსით: *συσδιαθεσις*. ზემორე ტერმინთშესატყვისობის საფუძველზე ეს უკანასკნელი, ჩვეულებრივ, ითარგმნება, როგორც "თან-მოწლებად". აი, რამდენიმე ნიმუში:

"საყამოდ რადმე და ცივი თანმოწლებად" (თეოფილაქტე, იოანეს თავის განმარტება 68v; 40C);

"ქმნად მოუგიეს თანმოწლებასა" (მაქსიმე, ფ.417.1; 512A);

"განსაცდელად იტყვს ვნებათა მიმართ ნეფსით თანადმოწლებასა" (იქვე, ფ.164; 904C);

"სქესობითი შეერთებად არს მოყურობითი თანმოწლებად" (იქვე, ხელნ. 282.1; 152C);²

¹ ამონიოსის შრომის თარგმანში ბერძნული ტერმინი რამდენიმე შემთხვევაში უთარგმნელად არის გადმოტანილი, როგორც "ლიათესი" (გვ.169-170; ბერძნ. 81-82). მაქსიმეს შრომათა გელათურ თარგმანებში პრეფიქსირებულ *συσδιαθεσις*-ს ზოგან შეესატყვისება "თანდადება" (ფ.166.1; 524A) ანდა "თანმდებარეობად" (ფ.394.2; 484B)

² იგივე ტერმინი გვხვდება, აგრეთვე, "απο" წინსართით (*απο-διαθεσις*). ქართულად მას გადმოსცემს "უმოწლებად". "უმოწლების მომგებელისა" (მაქსიმე, გელ. 14, ფოტო 198.2; col.596B)

როგორც შემოდამოწმებული ნიმუშები ცხადყოფს, ტერმინი "მოწლებად" შემორჩე ტექსტებში თითქმის უგამონაკლისოდ, უცვლელად გადმოსცემს ბერძნულ *διαθεσις*-ს.¹

იოანე პეტრიწი ამ მხრივაც მკვეთრად სხვაობს გელათური სკოლის შემოხსენებული თარგმანებისაგან. საკმარისია აღინიშნოს, რომ პეტრიწთან არც ერთხელ არ გვხვდება გელათური თარგმანებისათვის უმეტესად ნიშანდობლივი და აურაცხელ შემთხვევებში დამოწმებული ტერმინი "მოწლებად". საზოგადოდ, პეტრიწი ნაირგვარად თარგმნის ბერძნულ *διαθεσις*-ს. სამწუხაროდ, ეს ტერმინი არ გვხვდება პროკლეს წიგნში, რის გამოც ამჯერად მარტოდენ ნემესიოსის შრომის დამოწმებათა მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ. მოგვაქვს ნიმუშები:

"წინააღმდგომისაგან გარემოიცივის სენისა წინამდებარეობად მისი" (15.14; 520B);

"ვითარ რად სიყუარული" (36.21; 561A);

"ხოლო თუ ვინ თქუას მიდრეკაჲ უკუჲ ცხოველთაჲ სიძარჯვთა სიტყვერებისაჲთა" (48.21; 585A);

"სიტყვერისა სიძარჯვსაებრ" (49.1; 585B);

"არარადს უმეტესისა ქონებად მეგრ სიძარჯვთ ცხოველთაგან" (49.4; 585B);

"დანახეთქითა და მიმართობისა წამითა და წადილითა ვიტყვთ სულსა სხეულთაგან შეკრვად" (55.11; 600B);

"საშუალისაგან უკუე - საშუალი შემზადებაჲ" (88.16; 660A);

ამგვარად, როგორც ვხედავთ, პეტრიწი დიათეტურ ტერმინებად გვაწვდის "სიძარჯუეს", "წინამდებარეობას", "წადილს", "სიყუარულს" და "შემზადებას". ასეთი ვითარებაა ნემესიოსის წიგნში. საფიქრელია, შემდეგში პეტრიწი შეეცდებოდა ერთგვაროვანი ტერმინთშესატყვისობის მიღწევას, მაგრამ აღნიშნული მიზეზის გამო ძნელი სათქმელია, რომელ დიათეტურ ტერმინს მიანიჭებდა იგი უპირატესობას.

რაც შეეხება ტერმინ *εσδιαθεσις*-ს, მის შესატყვისად პეტრიწი ნემესიოსის თარგმანშიც და პროკლეს წიგნის კომენტარებშიც იყენებს ტერმინებს "შორისმდებარე", "შორისმდებარეობითი":

"...რომელ არს აწ წოდებული შორისმდებარედ სიტყუად და გარემოსილად (*πρὸφθικος*)" (ნემესიოსი 93.3-668A); "შორისმდებარეობითი სიტყუად" (იქვე 93.4-668A); "ყოველნი ვისიტყვერობთ, და არა ესრეთ მეგრ გარემოსილისა

¹ ტერმინი *εσδιαθεσις* გელათურ ტექსტებში უდიდესწილად თარგმნილია, როგორც "შინაგანმდებარე". მაგალითად: "სულისა მადლმან არაქმნილთაჲ პირველადადებისაებრ შინაგანმდებარეობით (*εσδιαθεσις*) ...კუალად მოაგო ძალი" (მაქსიმე, გელ.14, ფოტო 202.2-604C); "ცნობად განვრცომილი შეიქმს განგულისსიტყუასა (*διαλογισμον*) შინაგანმდებარედ სიტყუად წოდებულისა" (იქვე, ხელნ. 255v-21A; იხ. იქვე 291.1-748D); "რომელიმე არს შინაგანმდებარე და რომელიმე წარმოჩენილი" (თეოფილაქტე, A-52,2-1141A; იხ. იქვე 1v-1141A); ზოგჯერ შესატყვისია "მოწლე": "მოწლედ, (*εσδιαθεσις*)" (მაქსიმე, ფოტო 416.2-509D); "მოწლეობითად (*εσδιαθεσις*)" (იქვე, ხელნ. 256.1-17C). შესატყვისად გვხვდება, აგრეთვე, "შორისდადებითი" (იხ. ამონიოსი, 147.18; 57.23).

(*προφορικόν*) სიტყვსა მიერ, რადგომ "შორისმდებარეობითისაგან" (იქვე 93.10-668A); "შორისმდებარეობითი სიტყუად და ნუ გარემოსილი" (პეტრიწი, II, გვ.207.6); "შევიმალთ შორისმდებარისა და სულითისა სიტყვსად" (იქვე 221.1); "შორისმდებარეობითისა (ხელნ. "შორისმდებარეობითა") სიტყვსაგან" (იქვე 221.2). საყურადღებოა, რომ ენდიათეტურის ანტინომური ტერმინი *προφορικος* პეტრიწის მიერ უცვლელად ითარგმნება, როგორც "გარემოსილი" (ზემომოტანილი ნიმუშების გარდა იხ. ნემესიოსი 93.12-668A), რითაც იგი კვლავ მკვეთრად სხვაობს როგორც წინარე ტრადიციისაგან, ასევე კონკრეტულად გელათური ტექსტებისაგან. ეფრემისათვის ამ მხრივ ძირითადია ტერმინი "ვმოვანი//ვმონი" (გარდამოცემა A-24, 40v1-808A; 50v1-857A; 70.2-940B); მასთანვე გვხვდება "აღმოთქმული" (იქვე 70.1-940B; 70.2-940C), "თვთვმოვანი" (71.2-944A). არსენთან ვლინდება როგორც ეფრემისეული "ვმონი" (იხ. გარდამოცემა, S-1463, 61v2; 62v2; 72.2; 72v2; ანასტ. სინ., 6v2-77A; ნიკიტა სტიტ. 270.1-128.11), აგრეთვე (გვიანდელ თარგმანებში) ახალი ტერმინი "წარმოჩენილი" (გარდამოცემა 72.2-940B; 72v1-940C); ცალკეულ შემთხვევებში თავს იჩენს "მზრახვალობითი" (ანასტ. 35.1-284A); "წარმოჩინებული" (*προφερομενος*, გარდამოცემა, 56.2-805A), "ზრახული" (56v1-808A) და სხვა. აკრაკანტელის თარგმანში გვხვდება "ვმონი" (კ.კეკ. გამოც. 23.26-793C). იგივე "ვმონი" გვხვდება თეოფილაქტესეული "ლუკას თავის განმარტების" თარგმანში (A-113, 104.2-896D; 104v2-897A). გელათურ ტექსტებში, როგორც მოსალოდნელი იყო, უძირითადეს პროფორიკულ ტერმინად გვაქვს არსენის კვალობაზე შექმნილი "წარმოჩენითი" (ამონიოსი 57.21-23; 147.17-18; მაქსიმე, გელ.14, ხელნ. 257.2 - 21A; თეოფილაქტე A-52, 2-1141A და სხვა). იშვიათად გვხვდება "ვმონიც" (უფრო *κατα προφραν*-ს შესატყვისად. იხ. მაგ. მაქსიმე, გელ. 14, ხელნ. 291.1 - 749A; 296.2 - 761B; ფოტო 395.2 - 485A; *κατα προφραν* ითარგმნება, აგრეთვე, როგორც "წარმოჩენითი". იხ. იქვე ფოტო 497.2-337C; 372.2-596A და სხვა). ზოგჯერ შესატყვისია "ვმაყოფად" (იქვე, ფოტო 292.2-737D; 383.2-473B). იგივე *προφρα* ითარგმნება, აგრეთვე, როგორც "ვმოვნობად" (ფოტო 241.2-660A), "წარმოჩენად" (გელ.14, ხელნ. 1.2-264A), "წარმოჩენილი": "რომელიმე არს შინაგანმდებარე და რომელიმე წარმოჩენილი (*προφορικος*), რომელსა ბაგეთა მიერ წარმოვაჩინო" (თეოფილაქტე, 2; 1141A).

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ მოვუხმობთ სათანადო ნიმუშებს მაქსიმეს "ორასეულიდან" და "ოთხასეულიდან":

"შეცვალნეს დაფარულნი გულისა წადიერებანი" (ორასეული 1.23);

"მათ-ზედადსა პირველისა მოწლეობისად" (1.33); "წინადაცუეთა არს განგდებად... ვნებულებითისა სიყუარულისად" (1.40); "...მისსა მიმართ სიყუარულისა თვსებითა" (2.91); "რომელთა ყოვლად გარდაედვას ნებებისაგან ყოველი" (2.92); "სიყუარული არს გულსმოდგინებად სულისა კეთილისად" (ოთხასეული, შესავალი, 219; 961 A); "გულსმოდგინებით... იტყვს" (იქვე 1.12); "გულსმოდგინებად სიყუარულისად" (1.26); "საქმე სიყუარულისად არს გულსმოდგინებით ქველისმოქმედებად მოყუსისა მიმართ" (1.40); "წადიერებით... იტყვს" (1.47); "თვსისა გულსმოდგინებისაგან არავე განვარდების" (1.71); "წადიერებით კეთილისყოფად მოძულეთად მხოლოდ სულიერისა და სრულისა სიყუარულისად არს" (2.49); "წადიერებად მხოლოდ ხუთთა მათ სახეთა ძალუც შექმნად" (2.50); "საწადელ მისსა იქმნა" (3.74); "სიყუარულისა კეთილი ორთაგანვე განიოტო" (4.32); "წმიდათა ანგელოზთა იგი გამოუთქმელი მშვდობად ორთა მათ შინა წადიერებათა დაცვულ არს, - ღმრთისა მიმართ და ურთიერთარს სიყუარულისა" (4.36).

დამოწმებული თექვსმეტი ნიმუშიდან ბერძნული *διαθεσις* ხუთგზის თარგმნილია, როგორც "წადიერება", ასევე ხუთგზის, როგორც "გულსმოდგინება", ორგზის, როგორც "სიყუარული", თითოგზის კი, როგორც: "საწადელი", "ნებება", "კეთილი" და "მოწლებობა".

აღნიშნული გარემოება "ორასეულსა" და "ოთხასეულს" კვლავაც მკვეთრად მიჯნავს მაქსიმე აღმსარებლის შრომათა გელათური თარგმანებისაგან. თუკი ამ უკანასკნელთ, ისევე როგორც საზოგადოდ VI ჰომოგენური ჯგუფის ტექსტებს, ახასიათებთ თითქმის უგამონაკლისო და აბსოლუტიზებული ტერმინთშესატყვისობა: *διαθεσις* - "მოწლებობა", ამგვარი რამ "ორასეულსა" და "ოთხასეულისათვის" აშკარად არ არის ნიშანდობლივი. საკმარისია აღინიშნოს, რომ მათში თექვსმეტი შემთხვევიდან მხოლოდ ერთგზის გამოვლინდა "მოწლებობა".

VII. *Διανοια*

ხსენებული ტერმინის შესახებ ზემოთ გვქონდა დაწვრილებითი მსჯელობა, აღვნიშნავდით, რომ ეფრემ მცირე ხსენებულ ტერმინს, ჩვეულებრივ, თარგმნის, როგორც "გონება", თუმცა ცალკეულ შემთხვევებში იყენებს, აგრეთვე, სხვა ტრადიციულ შესატყვისებსაც, რომელთა შორის ხშირია "მოგონება".¹

არსენის გვიანდელი თარგმანებისათვის ნიშანდობლივი წარმოჩნდება დიანოეტური ტერმინი "გაგონება", რომელიც აღნიშნული შინაარსით უდიდეს გავრცელებას იძენს VI ჰომოგენური ჯგუფის ტექსტებში და მიუხედავად დამოწმებათა მართლაც აურაცხელი სიმრავლისა, ეს ტერმინი თითქმის უგამონაკლისოდ გადმოსცემს ბერძნულ *διανοια*-ს. იოანე პეტრიწისათვის ცნობილია არსენის მიერ დამკვიდრებული შესატყვისობა: *διανοια* - "გაგონება", ნემესიოსის წიგნში ზოგჯერ იყენებს კიდევ მას, მაგრამ ამავე დროს ქმნის და თავის შრომებში მთლიანად ამკვიდრებს ახალ დიანოეტურ ტერმინს "მიმოგონება// მიდმოგონება". ეს პეტრიწისეული ტერმინი თავს

¹ ასევე, "გონება" ჩანს უძირითადეს ტერმინად გრიგოლ აკრაკანტელისა და ოლიმპიოდორეს შრომათა თარგმანებში, რომლებიც, როგორც ხშირად აღვნიშნავს, მეტად ენათესავენ ეფრემისეულ ტერმინოლოგიას. ვუთითებთ სათანადო ადგილებს: (1) გრიგოლ აკრაკანტელი (ფსევდო-მიტროფანე ზმირნელი): 23.32-793 C; 56.25-905 B; 108.24 (გამოცემაშია "ბუნებისა") - 1012 A; 128.24 - 1068 A; 131.20 - 1072 C; 139.4 - 1088 C; 142.32 - 1097 B; 144.17 - 1100 D; 151.10 - 1112 C; 153.15 - 1117 A; 153.28 - 1117 B; 165.14 - 1141 A; 175.18 - 1168 B; (2) ოლიმპიოდორე: 8.2 - 480 D; 16.2 - 481 C; 18.2 - 481 D; 22.2 - 484 C; 24.1 - 484 D; 46.2 - 493 C; 61.1 - 584 A; რამდენჯერმე დასტურდება "ძალი" (აკრაკანტელი: 1.8 - 741 A; 4.22 - 752 A; 36.12 - 868 A; 152.8 - 1113 C); სამგზის გვხვდება "მოგონება" (აკრაკანტელი: 136.31 - 1084 C; 114.32 - 1025 A; ოლიმპიოდორე: *διανοιθηναί* - "მოგონებად" 130-536 B). გამოვლინდა აგრეთვე "გულსმოდგინება" (ოლიმპიოდორე: 3.1 - 480 B).

მსგავსადვე, "გონება" გვაქვს ერთერთ უმთავრეს დიანოეტურ ტერმინად ("მოგონება"-ს გვერდით) იოანე ჭიმჭიმელის თარგმანებში. მაგალითად (ბელნ. A - 102): 37v2 - 577 B; 48.1 - 600 A; 48v1 - 600 C; 62.2 - 629 B) აღნიშნული ადგილი არის *διανοια*-ს განმარტება: "არს სიტყვერი ძალი, რომელსა გონებად სახელსდვა სჯულმან"; 64.2 - 633 C; 70.2 - 648 C; ბელნ. A - 113 : 54.1 - 804 A;

იჩენს პეტრე გელათელთანაც.

"ორასეულსა" და "ოთხასეულში" *διανοια* ხშირად გვხვდება. დამოწმებათა აბსოლუტური უმრავლესობა ქართულად თარგმნილია, როგორც "გონებად" (*κατα διανοαν* - გონებითი), რამდენიმე შემთხვევაში კი გვაქვს "მოგონებად". მაგალითად:

"არცა ესენი ჩუენისა გონებისა ნამუშაჲევი არიან" (ოთხასეული, შესავალი 218; 960 A); "...მიიზიდონ იგი გონებითსა (*κατα διανοιαν*) ანუ საქმიოსაცა ცოდვასა" (იქვე 2.20); "მიიყვანებენ მას გონებითად ცოდვად" (2.31), "იწყებდენ ძრვად გონებითისა ცოდვისა მიმართ" (2.84); "განვცვბრდეთ და განვპკრთეთ გონებითა" (3.54); "არცა პირველ დასცხრებოდა გონებითსა ცოდვასა" (3.74); "ნუ მოიძულეხ ძმასა შენსა გონებითა შენითა" (ლევიტ. 19.17; 4.29); "გონებითა გაშფოთებნ" (4.30); "შეამრღუევს გონებასა" (4.65); "დააბრძობენ გონებასა" (4.92); "რომელმან აიძულოს გონებასა (*διανοιαν*) მხოლოდ ღმრთისა და მისთა სათნოებათად ოდენ გონებად (*διανοεισθαι*)" (ორასეული 1.14); "განღებულად უკმს პყრობად ყურთა გონებისათა" (1.30); "შიშულითა გონებითა მოუკდეს ღმრთისათვისთა ოცნებათა" (1. 83); "აღმმართებელი კარავსა გონებისასა" (1.83); "მოსე დიდმან გარეგან ბანაკისა აღჰმართა კარავი თვისი, ესე იგი არს, ცნობად (*γναμη*) და მოგონებად" (ორასეული 1.84); "მოქმედებითსა ცოდვასა მოგონებითი (*κατα διανοιαν*) უადვილეს იქმნების" (ოთხასეული 1.63); "ესევითართა მომგონებან (*διανοηθεις*)" (2.14); "მოგონებითსა ცოდვასა შინა" (3.52).

დამოწმებული ნიმუშები აშკარად ცხადყოფს, რომ "ორასეული" და "ოთხასეული" დიანოეტური ასპექტითაც მკვეთრად იმიჯნებიან გელათური სკოლისაგან (აგრეთვე, იოანე პეტრიწის შრომებისაგან) და ისინი ამჯერადაც ეფრემ მცირის ტერმინოლოგიურ წიადში ექცევიან.¹

VIII. Δογμα

აღნიშნული ტერმინი, რომელიც მომდინარეობს ზმნიდან *δοκω*, ნიშნავს "თვალსაზრისს", "მოსაზრებას", "აზრს", "სწავლებას", "მოძღვრებას", "დადგენილებას", "განჩინებას", "დოგმატს", "ბრძანებულებას", "გადაწყვეტილებას". მის უმთავრეს შესატყვისებად უძველეს დროში ჩანს ორი ტერმინი: "ბრძანებად", და "შჯული". მაგალითად:

"გამოვდა ბრძანებად აგვსტოს კეისრისაგან" (ლუკა 2.1); "შჯული იგი

147v2-972; 215.2 - 1096 A; აღნიშვნის ღირსია, რომ ლუკას თავის განმარტების ჰიმჰიმელისეულ თარგმანში *διανοια*-ს, სხვა შესატყვისებთან ერთად, გადმოსცემს, აგრეთვე, "განმგონებლობად/განგონებად": "განმგონებლობითი (*διανοητικός*) ძალი" (76.1; 845 B); "მალლისა განმგონებლობისაგან" (76.77; 848 C); "განმგონებლობისა ძალსა" (110v2; 908 B); "განმგონებლობითი" (110v - 908C); "განმგონებლობისა ზედა" (110v; 908 C); "სიტყუათა განმგონებლობისათა" (111.1; 908 C); "განგონებითსა" (58v2 - 813 A); "განგონებითა" (76.1; 845B).

1 აღვნიშნავთ, რომ, ეფრემის მსგავსად, არსენის ადრეულ თარგმანებშიც *διανοια* უმთავრესად თარგმნილია, როგორც "გონებად" (ანასტ. 6v2-77A; ნიკიტ. 269v1-118; 269v2-124; 273-v1-182; 275v2-210 და სხვა), აგრეთვე, როგორც "გულისზრახვად" (ნიკიტ. 276v1-222), "მოგონებად" (გამოკრ. წამ. 174.2-2013A; ნიკიტ. 272v1-166), "მომგონებლობად" (ნიკიტ. 272v1-166), "მომგონებლობითი ძალი" (ნიკიტ. 273.1-172) და სხვა. *το διανοητικον* გადმოტანილია, როგორც "განმგონებლობად" (ნიკიტ. 270.1-126; 270.1-128; 270.2-130)

მცნებათა მათ ბრძანებითა განაქარვა" (ეფეს. 2.15); "და აღვოცა ჩუენთჳს ველითწერილი ბრძანებითა" (კოლ. 2.14); "ასწავებდეს დამარხვად შჯულისა" (საქ. მოც. 16.4).

საგულისხმოა, რომ ბოლო მაგალითის "შჯული" "საქმე მოციქულთას" ერთ-ერთ ხელნაწერში (გელ. 176) შეცვლილია სიტყვით "მოძღურებად",¹ რაც ასევე *δογμα*-ს შესატყვის ტერმინად წარმოჩნდება.

"ბრძანებად გვხვდება შესატყვისად "სინურ მრავალთავში":

"ბრძანებამან კეისრისამან ბეთლემდ აღმოსლვად აწვა" (15.21; Pg. 10,1169 B);

საყურადღებო სურათს გვიჩვენებს გრიგოლ ნოსელის "კაცისა შესაქმის" და ბასილი დიდის "ექუსთა დღეთადს" უძველესი თარგმანები. მათში ბერძნული *δογμα*-ს ძირითად შესატყვისად გვაქვს "სიტყუად".²

მოგვაქვს სათანადო ნიმუშები გიორგი მთაწმიდლის თარგმანთა პარალელური დამოწმებებით:

ძველი

გიორგი

სიტყუად დაფარული საიდუმლოდსად (შატბ. კრ. 78.19; col 144 D)

...მოძღურებასა რასმე დაფარულსა (გვ. 26)

მოესწავების ზრახვად და სიტყუად წულილადი (86. 5; 161 C);

მაღალი რადმე მოძღურებად და გულისკმისყოფად გუეცნობების (გვ. 47).

და კუალად ეგებოდა დამტკიცებად სიტყვსად ამის (87. 10; 164 D)

ხოლო შესაძლებელ იყო სხვთ-კერძოცა დამტკიცებად და სარწმუნოყოფად მოძღურებისა ამის (51)

სიტყუად არს დიდი წიგნთა შინა პოვნილ (94.23; 181 B)

მოძღურებასა რასმე დიდსა და მაღალსა გუასწავებს ჩუენ საღმრთოდ წერილი (74)

ჰნებავს ამით სიტყუად აღდგომისად დავსნად (113.35; 224 C)

...დამკსნელად საღმრთოდსა მის მოძღურებისა წარმოიტყვან (120)

¹ იხ. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, "შჯული".
² დოგმატის აღმნიშვნელად "სიტყუად" ერთგან თავს იჩენს გიორგი მთაწმინდელთანაც: "ესე არს სიტყუათა ამათ (ταυ δογματων τούτων) ზღაპრობისა მიზეზ" (გრიგოლ ნოსელი, სწავლანი, Ath. 14,11v; 32 B)

არა განშორებულ არიან იგინი სიტყვთა (116.42; 232 A)

არა ვგონებ, თუმცა უცხო იყვნეს იგინი წარმართთა გმობისაგან¹ (128)

ესე სიტყუად მსგავს არს ჟღავილსა მყუართასა (117.7; 232 A-B)

მყუართა და სირთა ყივილსა... ღირს არიან ესევიტარნი ესე გმობანი (128)

ჭეშმარიტი იგი სიტყუად... ესე იგი არს, რომელსა ვიტყვთ (118.6; 233 B)

დასასრული სიტყვსა მათისად მოასწავებს განრყუნილებასა სულისასა (117.27; 232 D)

ზღაპარ იქმნების ყოველივე სიტყუად მათი (129)

ყოველსავე ამას შინა თქუმულსა სიტყუად ღმრთისმეტყუელებისათვის ფარულად დათესულ არს (ბასილი დიდი, ძვ. თარგ. 79.11; VI. 2)

ყოველსავე ამას შინა თქუმულსა მოძღურებად ღმრთისმეტყუელებისად საიდუმლოდ დათესულ არს (65.9)

იმავე ძეგლებში შესატყვისად გვხვდება, აგრეთვე "სიტყვსგებად":

ძველი

გიორგი

მხიარულ იყავნ მორწმუნე სიტყვსგებითა ჭეშმარიტითა (ბასილი, 136.24; IX.6)

იხარებდინ მოძღურებითა ჭეშმარიტებისადთა ღმრთისმსახური (114.23)

წინა-უყვეს სიტყვსგებად და ავსენეს აღდგომად (შატბ. კრ. 97.2; 188C)

დამტკიცებად წვალებისა თვისსა შემოიყვანეს (82)²

დამოწმებული ნიმუშები, ვფიქრობთ, თვალნათლივ წარმოაჩენს, რომ გრიგოლ ნოსელისა და ბასილი დიდის ზემოხსენებულ შრომათა უძველესი თარგმანებისათვის *δογμα*-ს შესატყვისად ნიშანდობლივია ტერმინი "სიტყუად".³

¹ გიორგი "გმობად" თარგმნის, აგრეთვე, უარყოფითი შინაარსით მოხმობილ ზმნურ ფორმას *δογματιζωντες*: "გმობენ (*δογματιζωντες*), ვითარმედ არა შუენის ღმერთსა კეთილი" (გრიგოლ ნოსელი, სწავლანი, A - 55, 6v; 41 B)

² შდრ. "მანიქეველთა წვალებისა (*δογμασι*) მორჩილნი" (გრიგოლ ნოსელი, სწავლანი, 11; 29D)

³ "კაცისა შესაქმის" ძველ თარგმანში ერთგან შესატყვისად გვაქვს "სწავლა" (შატბ. კრ. 79.26; შდრ. გიორგი: "მოძღურებად", გვ. 29; 143 A).

პარალელური ტექსტები ცხადყოფს, რომ გიორგი მთაწმინდელი "დოგმატის" აღმნიშვნელ ძირითად ტერმინად იყენებს "მოძღურებას". ამასთან, ტუკი ბერძნულში *δογμα* უარყოფითი შინაარსისაა (ე.ი. ტუკი იგი გულისხმობს არაქვეშმარტ სწავლებას), გიორგი მთაწმინდელი მას ჩვეულებრივ "გმობად" თარგმნის.¹

საყურადღებო სურათს გვიჩვენებს თეოფილე ხუცესმონაზონი, რომელიც *δογμα*-ს ძირითად შესატყვისად წარმოგვიდგენს ტერმინს "სარწმუნოებად", თუმცა მასთან ხშირად გვხვდება, აგრეთვე, ტრადიციული "შჯული". მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"სარწმუნოებასა თანა მართალსა ცხორებისაჲცა კეთილისა მოგებად ისწრაფეთ" (იოანე ოქროპირი, თარგმანებად დაბადებისაჲ , Ath. 29, ფ. 24; Pg. 50; col 31); "ცხორებად შეეწყობოდის სარწმუნოებასა და სარწმუნოებად ჭადაგებდეს ცხორებასა... რამეთუ უკუეთუ სარწმუნოებად გუაქუნდეს მრთელი და ცხორებასა უდებ ვიყვნეთ, არარად გუერგოს ჩუენ სარწმუნოებისაგან. კუალად, უკუეთუ ცხორებად მოვიგოთ კეთილი და სარწმუნოებითა ვკელობდეთ, არცა ესრეთ რად იყოს სარგებელ ჩუენდა" (ფ.24; 31); "ენებოს შემოღებად ეკლესიისა ზედა წინააღმდგომსა სარწმუნოებასა" (48; 43); "წმიდად და უბიწოდ და მართალი სარწმუნოებად" (67; 53); "ჰნებავს ჩუენდა მტკიცედ პყრობად სარწმუნოებისა საღმრთოსაჲ" (84; 60); "სარწმუნოებად წმიდაჲ... შევიკრძალოთ" (84; 60); "სარწმუნოებად მართალი... შევიკრძალოთ" (112; 73); "არცა მართალი იგი და წმიდად და მრთელი შევამრღვოთ სარწმუნოებად" (119; 73); "მრთელსა სარწმუნოებასა ვისწრაფოთ დაუნჯებად" (204; 110); "ცხორებად ეწამებოდის სარწმუნოებასა, ხოლო სარწმუნოებად უპატიოსნეს პყოფდეს ცხორებასა" (204; 110); "გუაქუნდეს სარწმუნოებად მართალი" (205; 110); "სარწმუნოებასა უდებ ვიყვნეთ" (205; 110); "გვკმს... სარწმუნოებისა მართლისა მოგებად" (205; 110); "ქრისტეანისა არარა იყოს სარგებელ, აქუნდეს თუ მართალი სარწმუნოებად, ხოლო ცხორებისა და მოქალაქობისა უდებ იყოს" (205; 110); "წმიდასა ზედა და მართალსა სარწმუნოებასა" (212; 113); "ჰაზრთა (*σπουδαία*) თვსთა შემოიღებენ მართალსა ზედა სარწმუნოებასა" (211; 112); "განმრყუნელნი შჯულთა ეკლესიისათა" (109; 72); "შემოიღებენ მწიკულსა შჯულთა ზედა ეკლესიისათა (119; 76; შდრ. 121; 77); "ჰნებვიდეს ბრძოლად შჯულთა ეკლესიისათა" (140; 85); "წინააღმდგომად შჯულთა ეკლესიისათა" (179; 100); "მტკიცედ შევიკრძალუნით შჯულნი და წესნი და სარწმუნოებად ეკლესიისაჲ" (112; 73).²

ეფრემ მცირისათვის ძირითადია ცნობილი შესატყვისები: "ბრძანებად" და "შჯული". პირველი მათგანი ტრადიციის კვალობაზე გვხვდება, მაგალითად, "სამოციქულოს" ეფრემისეულ რედაქციაში:

"სჯული" (*νομον*) იგი მცნებათად მათ ბრძანებითა (*εν δογμασιν*) განაქარვა"

1 ზემოთ ვნახეთ, რომ ერთგან "გმობას" ცვლის "წვალებად". ასევე, ერთგან ნაცვლად "გმობისა" გვაქვს "უწესობებად": "უწესობებისა მიზეზი ესე არს" (დაბადებისთვის კაცისა, გვ. 128; 232 B). დოგმატიკურ ტერმინად "მოძღურებად" გვხვდება თალასი მონაზონის სენტენციების ქართულ თარგმანში, რომელიც, ასევე, გიორგისეულად მიიჩნევა (იხ. საქ. ეკლ. კალ. გვ.427, 428, 438). ერთგან გიორგი იმავე შინაარსით იყენებს შესიტყვებას "ბრძანებად გინა მოძღურებად უცვალებელი" (იქვე, გვ. 311)

2 დავით ტბელთან ერთგან "დოგმატის" შესატყვისად გვხვდება "განწესებად" : "შენისა მაგისებრ განწესებისა" (A - 292, 214; Pg.35, 716 A)

(ეფეს 2.15); "ავოცა ჩუენ-ზედად იგი ბრძანებათა მიერ წინააღმდეგომ ჩუენდა" (კოლ. 2.14).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეორე დამოწმება (კოლ. 2.14), რადგანაც აღნიშნულ ადგილას ეფრემს მნიშვნელოვნად აქვს შეცვლილი სამოციქულოს წინა რედაქციითა ტექსტი (ABC - "ავოცა ჩუენთვს ველით წერილი ბრძანებითა, რომელი იყო ანტაკრად ჩუენდა"). შედარებიდან სავსებით ცხადია, რომ ეფრემს ახლად აქვს ნათარგმნი ხსენებული მუხლი და რადგანაც მასში *δογμα*-ს "ბრძანებად" გადმოსცემს, ამგვარი ტერმინთშესატყვისობა ეფრემისათვის უთუოდ მისაღები ყოფილა.

გარდა "ბრძანებისა", როგორც აღვნიშნეთ ეფრემ მცირე იყენებს აგრეთვე მეორე ტრადიციულ შესატყვისს "შჯული":

"იქმოდე კეთილსა საფუძველსა ამას ზედა შჯულთასა" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, სიტყვები, A - 109, 114.1; 424 C); "ამისვე სჯულის მგონივს" (იქვე 212v 2; 433 C); "სჯულთა უსწავლელობად დაპყსნა" 233.2; 1185 A); "სისუბუქე და სიმძიმე სჯულთად" (A - 52, 124.1; 1089 A); "ამისნი სჯულნი" (130.1; 1104 C); "კეთილმსახური შჯული იგი" (130v2; 1108 A); "იხარებდეს შჯულითა" (133.1; 1112 C);¹

როგორც ცნობილია, "შჯული" თითქმის უცვლელი შესატყვისია ბერძნული ტერმინისა *νομος*. არის შემთხვევები, როცა *νομος* და *δογμα* გვერდიგვერდ გვხვდება. ასეთ დროს აშკარად შესამჩნევია, რომ ეფრემი *δογμα*-ს ტერმინულ შესატყვისობას აკისრებს "ბრძანებას", ხოლო "შჯულს" მარტოდენ ნომოთეტური შინაარსით აღჭურვავს. ამის ნიმუშია თუნდაც "პავლეთა" ზემოდამოწმებული მუხლი (ეფეს. 2.15). ამგვარივე სურათი გვაქვს გრიგოლ ღვთისმეტყველის ერთერთი სიტყვის ეფრემისეულ თარგმანში.

სჯულ მართლმადიდებლობისა ბრძანებანი მისნი
(A-52, 138 v 2)

*νομον δε ορθοδοξιας
τα εκεινου δογματα*
(1128A)

როგორც ვხედავთ, ტერმინული გამიჯვნის უამს "სჯული" კონკრეტულად *νομος*-ის შესატყვისად წარმოჩნდება, ხოლო "ბრძანებად" *δογμα*-ს ფარდ ტერმინად იმკვიდრებს ადგილს.² აი, კიდევ რამდენიმე ნიმუში აღნიშნული ტერმინთშესატყვისობისა:

"ვერცავინ წინა-აღუდგეს ბრძანებათა (*δογματι*) მხოლოდსა მიწიერისა მეუფისათა" (გრიგოლ ნეოკესარიელი, მეტაფრასი ეკლესიასტესი, A - 292;

1 საყურადღებოა, რომ ეფრემთან ერთგან გვხვდება "შესჯულე" (A - 52, 130 v 1), რაც გადმოსცემს ბერძნულ *δογματιστης*-ს (1105 B); იხ. აგრეთვე, გრიგოლ ღვთისმეტყველი, ეპისტოლენი, მრავალთავი XII გვ.126. 3; Pg.37, 116 A; შდრ. აგრეთვე: *δογματισμας* "ვშესჯულეობდეთ" (A - 109, 215 v 2; 444 A); დავძენთ, რომ "სჯულის" სანაცვლოდ ზოგჯერ ეფრემი იყენებს "სჯულისდებას". მაგალითად: "მომხუეველნი მოსეს შჯულისდებათანი (*δογματοι*)" (გარდამოცემა A - 24, 64.1; 880 B); "წარმოვთქუა სჯულისდებით (*δογματικας*)" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, სიტყვები, A - 292; 254; col.1164 C).

2 ერთგან ეფრემთან დოგმატიკურ ცნებად თავს იჩენს "სწავლა": "სწავლაჲ ღმრთისამიერი" (ბასილი, ეპისტოლენი, 2.2; ნ.ქაჯიას გამოც. 217.14); ერთგან გვხვდება *δογμα*-ს კონტექსტისეული თარგმანი "ცთომილება" (გარდამოცემა, 40.2; 808 A).

Pg.10, 1108 B); "სამეფოთა ბრძანებათა" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, სიტყვები" A-292;306v; Pg.36,229D); "ზოგადითა ბრძანებითა" (A-292; 359; 764 C).

იოანე ჭიმჭიმელი *δογμα*-ს, ერთი მხრივ, თარგმნის "სჯულად", მეორე მხრივ კი იმავე შინაარსით იყენებს ტერმინს "სჯულისდებად". რამდენიმე შემთხვევაში *δογμα* მის მიერ თარგმნილია ორსიტყვედად "სარწმუნოებითი სჯული". მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"სიმართლესა სჯულთასა ითხოვდეს" (თეოფილაქტე, ლუკას თავის განმარტება, A - 113, 82.2; 857 D); "ცოდვისმოყუარეთა წესთა და სჯულთა ჩუენთა ჰბრძოდინ ახალნი და საღმრთონი ბრძანებანი და სჯულნი მისნი" (110v1; 908 A-B); "მე მოვრწყენე ესენი ჩემთა მიერ სჯულთა" (114v1; 913 B-C); "შთაუთესნა სჯულნი თვისისა უკეთურებისანი" (152v1; 980 B); "სარწმუნოებითთა სჯულთა ჭეშმარიტთა" (199.2; 1065 B); "გულისკმისყოფა... სარწმუნოებითთა სჯულთაცა ზედა" (107 v 1; 901 C); "არწმუნა სხუათაცა... შეწყენარება სჯულისდებისა მისისა" (113.1; 912 B); "დამაქცეველ ექმნა სჯულისდებასა მათსა" (188 v 1; 1045 B); "მგიობარნი აღდგომისა-ძლითისა სჯულისდებისანი" (188v1; 1045 B).¹

δογματικός იოანე ჭიმჭიმელის მიერ თარგმნილია, როგორც "სარწმუნოებისა" ("სიტყუა იყოს სარწმუნოებისა", 106 v 2; 901 A), ხოლო *δογματικός* "სჯულისდებით" ("ამას არა სჯულისდებით ვიტყვთ", 19 v 1; 728 A).

გრიგოლ აკრაკანტელის შრომის თარგმანში *δογμα* ყველა შემთხვევაში "სჯულად" არის თარგმნილი:

"მართლმადიდებლობითთა სჯულთა ერთგული თანამოსაჯული" (35.28; 865 B); "სჯულთა მიერ... სჯიდეს" (43.31; 880 C); "მართლმადიდებლობითთა სჯულთა უცთომელობისა დამცველი" (44.7; 881A); "ეგრეთვე, უგუნურთაიცა მრავალმეტყუელებისა-ძლითი მოსწრაფებად ღმრთისმეტყუელებისა სჯულთად" (73.8; 937 C); "საღმრთოთა სჯულთათვის" (73.14; 940 A); "სიტყუამრავალ იყვნეს მოთხოობასა შინა სჯულთა საღმრთოთასა" (73.17; 940 A); "ბოროტადმადიდებლობითთა სჯულთა დასავსნელად" (114.10; 1024); "სჯულთა მათთანნი" (129.1; 1068 B); "ჭეშმარიტთა სჯულთა" (129.7; 1068 B); "მარლითა საღმრთოთა სჯულთადთა შეიმარლინენ და ბოროტადმსახურებითთაგან განეყენენ სჯულთა" (129.31-32; 1069 A); "განწესებულისა სჯულისა დამამტკიცებელმან" (173.6; 1164 A); "არა შეურიონ მართლმადიდებლობითთა სჯულთა" (177.28; 1173 C);²

ასეთივე ვითარებაა ოლიმპიოდორეს შრომის თარგმანშიც, თუმცა მასში გვხვდება ორი გამონაკლისი. ერთგზის ნაცვლად "სჯულისა" გვაქვს "ბრძანებად", ერთგზის კი - "სარწმუნოებად". საგულისხმოა ისიც, რომ ერთ შემთხვევაში გვერდიგვერდ გვხვდება *νομος* და *δογμα*, ორივე მათგანი "სჯულად" არის თარგმნილი. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"სიღრმესა სჯულთასა გამოეძიებდენ" (A - 61, 19.1; 484 A); "ნუ

¹ ერთგან *δογμα* თარგმნილია სიტყვით "განგებულება": "ამიერ ვისწავებთ ჩუენ განგებულებასა მისსა დიდსა" (204 v 2; 1076 B), ერთგან კი ციტირებულია ლუკას სახარების მუხლი "გამოვდა ბრძანებად" (ლუკა 2.1); ზმნას *δογματιζω* გადმოსცემს "სჯულისმდებლობა" (113.1; 912 B).

² ერთგან ბერძნულში გვხვდება ტერმინი *δογματοποια*, რაც თარგმნილია სიტყვით "სჯულთმოქმედებად" (50.26; 893 C).

განვპრყუნით ვენაცსა მისსა... სჯულთა უღმრთოთა... მიერ" (149.1; 544 B); "შჯულთა გამომეტყუელებისათა" (170.1; 552 B); "ნუცალა შჯულთათვს უღმრთო იქმნები" (201; 568 D); "ღობე სულისა არიან საღმრთოდ შჯული (νομος) და შიში და შჯულთა (δογματων) ჭეშმარიტი მეცნიერებად" (253.1; 597 D); "ამიერ ბრძანებად სნეულებისად" (53.2; 564 C); "ცილისმწამებლობდეს... სარწმუნოებისა" (103.2; 524 C).

δογμα-ს შესატყვისად, ასევე, "სჯული" გვაქვს არსენ იყალთოელთან. საგულისხმოა, რომ "დიდი სჯულისკანონის" მისეულ თარგმანში "სჯული" გადმოსცემს როგორც νομος-ს, ასევე δογμα-ს (იხ. გამოცემაზე დართული იურიდიული ტერმინების ლექსიკონი, გვ. 601). ამ უკანასკნელის ნიმუშია:

"სჯული ქრისტეანობისად ველითა საღმრთოთა მოციქულთადათა ყოველსა სოფელსა განეთესა" (106.4).¹

ტერმინულ სტრუქტურათა VI ჯგუფის ძეგლებში "დოგმატის" აღმნიშვნელად ერთი მხრივ ნაწილობრივ შენარჩუნებულია ტრადიციული "სჯული", მეორე მხრივ კი თავს იჩენს ახალი მყარი შესატყვისი "რწმენად", რაც გელათური საღვთისმეტყველო სკოლისათვის ნიშანდობლივ ტერმინად უნდა მივიჩნიოთ. მოგვაქვს ნიმუშები:

1. δογμα - შჯული:

"თანმქონებელნი შჯულთა კრებათასა" (მაქსიმე, გელ. 14, ფ.493.1; 332 A); "ბუნებითისა ხედვისა შჯულთათვს" (იქვე, 113.2; 436 C); "საღმრთოთა შჯულთა შეაულლა მიწდომად" (გელ. 14, ხელნ. 253 v 1; 12 A); "განმპრელმან... მართალთა შჯულთა ჭეშმარიტებისამან" (264 v 1; 44 A); "შჯულთა ნათლისა მოსურნეთა მათ" (273.1; 72 A); "მოგზაურობენ აწ სამეფოსა გზასა საღმრთოთა და მამულთა შჯულთასა" (273.2; 72 C); "კეთილმსახურებისა საჭურველთა და შჯულთაგანისა რადსათამე" (279 v 1; 88 D); "სიტყუებითა და შჯულეებითა აღზუავებულთა" (282 v 2; 92 A); "ესენი ფილოსოფოსთა შჯულეებ" (თეოფილაქტე, იოანეს თავის განმარტება, 69; 41 A); "გასწავე სიძალღე შჯულთად" (64 v₂; 25 D); "მომცემელი მათდა უსაიდუმლოესთა შჯულთად" (114 v; 193 B).

¹ როგორც ცნობილია, არსენმა მის მიერ შედგენილ საღვთისმეტყველო კრებულს "დოგმატიკონი" უწოდა, რაც აღნიშნული ბერძნული ტერმინის უთარგმნელად გადმოტანის პირველი ცდაა. აღვნიშნავთ, რომ უფრო სრულყოფილად არსენის დოგმატიკური ტერმინოლოგია განხილული გვაქვს სტატიაში "ძიებანი წმ.გრიგოლ ღვთისმეტყველის შესახებ" (იხ. ფილოლოგიური ძიებანი, II, თბ., 1995, გვ.184-188).

² აორისტის მიმღეობა *δογματισας* თარგმნილია "შჯულისმდებელად": "ესე (არს) აპოლინარის შჯულისმდებელისად" (თეოფილაქტე 20 v; 1208 D); ხოლო აწმყოს მიმღეობა *δογματιζων* გადმოტანილია, როგორც "შეშჯულე" ("და ეგერა მისცეს უეჭუელად შესადგინებელად თვსთა დასაბამთა მეშჯულემან", მაქსიმე, ფ. 472.1; 301 C). ასევეა თარგმნილი *δογματιστης*: "უბრძანოთ თქუმად ახალთა მეშჯულეთა" (იქვე, ფ. 425.1; 520 C); "ჰგონიეს ახალთა ბრძენთა და მეშჯულეთა" (იქვე, ხელნ. 303.2; 429 D); ზმნა *δογματιζω* გადმოტანილია, როგორც "შესჯულეობა" ანდა "შჯულისმდებლობა": "არსებათაგან განვრდომასა მეშჯულეობენ მისსა" (იქვე, ფ. 480.1; 313 C); "ერთსა მეშჯულეობს მოქმედებასა" (ფ. 496.2; 336 D); "უთნობით შჯულისმდებლობენ" (იქვე ხელნ. 274.1; 73 C); "სრულიადი უმყოფობად შჯულდებულ-ყვით" (იქვე, ხელნ. 276.1; 80 C); "შჯულისმდებლობენ თანშეარსებასა" (279.2; 88 B); შდრ. თეოფილაქტე 4 v; 1149 B.

2. *δογμα* - რწმენა:

"შორისმავალი სათნოებისა და მეცნიერებისებრთა... რწმენათა" (მაქსიმე, ფ. 104.2; 424 C); "სიტყუანი... რწმენათანი" (112.2; 433 D); "იგი არს სიმაგრეთა განჯორციელებისა-ძლითთა რწმენათა ბჳე" (112.2; 433 D); "საღმრთოთა რწმენათა" (112.2; 433 D); "მათ ზედანი... რწმენანი" (113.1; 436 A); "სიმაგრეთა საღმრთოთა... რწმენათასა აშენებს" (118.2; 440 C); "შემკრველობითთა... რწმენათა" (119.1; 440 D); "რწმენათა მათთა მიმართ მიზიდვისა მოსწრაფენი" (159.2; 513 C); "ნათელი საღმრთოთა რწმენათად" (248.1; 669 D); "მაღალთა რწმენათა და საიდუმლოთა მოძღუარი" (250.1; 673 A); "გამომკსნელსა ჩემსა საღმრთოთა რწმენათა-მიმართისა უმეცრებისაგან" (369.1; 592 A); "...საღმრთოთა რწმენათა-ზედადსა მეცნიერებისადასა" (369.2; 592 B); "სიმკაცრე საღმრთოთა რწმენათად" (371.2; 593 C); "იხარებდა იგიად რწმენათა მათთა ზედა" (375.2; 460 D); "საღმრთოთა რწმენათა ეკლესიისათა განსწავლულთა" (402.1; 492 D); "გარემიექცეოდით ყოველნი... არშემწყნარებელთა რწმენათა ეკლესიისათა" (407.1; 497 D); "განცდად რწმენათა იგივეობისად" (410.1; 501 D); "დასამკობელად სევეროდს რწმენათა" (416.1; 509 B); "თანშეტყუებულად გამოჩინებად ჰნებადს რწმენასა თვსსა თანა სიტყვსად" (419.2; 513 C); "ქვშასა ზედა ჰყოფენ თვსთა რწმენათა დამყარებასა" (431.2; 518 D); "უძველესი ზეშთამბრძოლი საღმრთოთა რწმენათად" (435.2; 533 A); "მაცხოვარებითთა რწმენათასა... მეცნიერებასა" (435.2; 533A); "შევეხო... კეთილმსახურებისა რწმენასა" (436.2; 544 D); "ერთვობისა საღმრთოთა რწმენათადსა მქონებლობად" (439.1; 548 D); "სევეროს... თვსთა თანა მოკუდა რწმენათა" (457.1; 572 D); "საეკლესიოთა რწმენათა" (461.1; 288 A); "ქრისტეანებრი რწმენად" (461.2; 288 B); "თანშეტყუებულსა სიტყუასა თვსისა რწმენისასა მნებებელ ხართ ჩუენებად" (466.2; 296 B); "მოციქულთა და წინადსწარმეტყუელთა რწმენანი" (490.2; 328 A); "რწმენათაცა მიერ... ჰაეროვან-ყო ყოველი დასავალი" (491.1; 329 A); "მისნი დაეშჯებიან (*διεκδικεῖν*) საძაგელნი რწმენანი" (496.2; 336 D); "კუთხისა შემომკრებელობითთა... საღმრთოთა რწმენათა დამაფუძნებელმან" (113.2; 436 B); "რწმენათა ჰეშმარითა" (გელ. 14; ხელნ. 273.1; 72 B); "მაღალმეტყუელებითა რწმენათა და სულიერთა სიტყუათა" (ხელნ. 294. 1; 756 D); "შევწუხენ არა მცირედ სულისა-ძლითსა ზედა რწმენასა" (304 v 1; 433 B); "ახლისმზრახვალი რწმენად" (304 v 1; 433 B); "მეცნიერებითთა... რწმენათა" (4.1; 273 C); "საღმრთოთა რწმენათა ხედვითა" (4.2; 276 A); "არა რწმენათა მიერ განვვარდეთ" (თეოფილაქტე, 15 v; 1192 C); "სცთების... რწმენათა შინა" (იქვე 15 v; 1192 D); "ცთომილად მდებარე ვართ რწმენათა შინა" (15 v; 1191 C); "დავსნილობად... რწმენათა" (15 v; 1191 C); "სიტყუასა და რწმენასა იყიდდეს" (17 v; 1197 C); "ყოველთა რწმენათა გამომკულეველი" (18 v; 1201 C); "ქრისტეანობად არა ხოლო რწმენათა მართალთა... მიჰვდეს" (22; 1216 B); "რწმენათა მიმართ ვიკუმინეთ ჩუენ ესენი" (123 v; 224 B); "დაიცვენ იგინი სიმართლესა შინა სიტყვსა და რწმენათასა... ესე არს სიწმიდე - მართალთა რწმენათა დაცვად" (127; 236 C); "რწმენათათვს იტყვს" (127; 236 C); "...რწმენათამიერისასა" (128; 240 A); "განაწონებს... რწმენასა" (121 v; 217 B); "აღიარებდეს იგინიცა (სევერიანელები, ე.ჳ.) სხუათაგან შეცვალებულად ქონებასა წმიდისა სამებისა-თვსთა რწმენათასა, ვითარ რეცა უგანმტკიცებულესად მიმწუდომელნი ეგვევითართანი გულისსიტყუებითა" (ქსიფილინოსი, ეტ. III, გვ. 244.23); "წინააღმდგომთა ამათ რწმენათა" (იქვე

292.26); "კეთილმსახურთა და ძუელთა რწმენათა ეკლესიისათა" (296.18); "ეკლესიისა მართალთა რწმენათათჳს მოლუაწე" (302.4); "მართალთა რწმენათათჳს სწრაფად და ხარკებად" (ეტ. VI, გვ. 141); "უმტკიცესად იპყრობდენ სამოციქულოთა და მართალთა რწმენათა" (იქვე, გვ.142); "მართალთა რწმენათა ეკლესიისათა მწედ მბრძოლნი" (146); "ქადაგებდეს... კეთილმსახურისა სარწმუნოებისა რწმენათა" (156); "მართალთა რწმენათა დამტკიცებისა მიმართ" (178); "მკაცრსა მეცნიერებასა შინა მართალთა და ჳეშმარითა რწმენათა კეთილმსახურებისათა ყოფად" (180); "მართლისა სარწმუნოებისა რწმენათა მასწავლელი" (ქსიფილინოსი, გელ. 2, 33v); "კეთილმსახურებისა რწმენათა" (იქვე 145); "ჳეშმარითისა რწმენისა მიმართ სამწყსოსა... განჳკუერთხვიდა" (175); "რწმენათა მართლმადიდებლობისათა" (94).¹

აღნიშნული შესატყვისობის საფუძველზე ტერმინი **δογματικός** იმავე ტექსტებში ითარგმნება სიტყვით "რწმენითი":

"განმკურნებელი ცთომათა ჩუენთა საქმითისა-შორისთა და რწმენითისა" (თეოფილაქტე, A-52, 15 v; 1192 C); "გრაგნილი რწმენითი, წარცემული კვბრედ" (მაქსიმე, გელ.14, ხელნ. 272.2; 69 B); "რწმენითისათჳს ზუაობისა" (თეოფ. A-52, 108; 172 C).

იოანე პეტრიწი ძირითადად ორი შესატყვისით თარგმნის **δογμα**-ს. ესენია: "თნებად" და "გარდაცემად". ამგვარ სურათს გვიჩვენებს ნემესიოსის წიგნი (პროკლესთან ტერმინი **δογμα** არ გვხვდება). მოგვაქვს ნიმუშები:

"პლატონისაგანნი ამის თნებისა იქმნეს აღმრჩეველ" (47.10; 581 B); "მეცადინობენ... განმზადებად თნებისა" (70.25; 629 B); აპოლინარმა "ესე უკუე დამსჭუალა საძირკუელად თვისისა თნებისა (**δοξης**) და ნამეტნავნი დაპრთნა თვისისაებრ გარდაცემისა (**δογμα**)" (4.7; 504 B); "ხოლო ებრაელთა გარდაცემად ყოველსა ამის კაცისათჳს იტყვს შექმნად" (18.7; 525 A).

საყურადღებოა რომ მიმღეობა **δογματισαντες** თარგმნილია, როგორც "გარდამომცემელნი": "ხოლო ვიეთმე... გარდამომცემელთა სამთაგან ეგულების შემტკიცებად კაცისად" (4.3; 504). ზმნა **δογματισουσι** გადმოტანილია ასე: "ქადაგ არიან" (47.2; 581 A).

დავძენთ, რომ ერთგან **δογμα**-ს შესატყვისად პეტრიწთან გვაქვს, აგრეთვე, "რწმუნებად": "არცა ვინავე თანამლაღებელსა ქრისტეანეთა რწმუნებისასა"² (58.4; 608 A).

¹ ერთ შემთხვევაში **δογμα** თარგმნილია, როგორც "მასწავლელობად": "საეკლესიოთა მასწავლელობათა შემცთარნი" (მაქსიმე, ფ 399.1; 489 A); ერთგან შესატყვისად გვაქვს "სარწმუნოებად": "გამოცხადებად აქუს მაცხოვარებითისა სარწმუნოებისად" (ფ.438.1; 548 A). ზმნიზელა **δογματικός** გადმოტანილია ასე: "შჯულისმდებლობით": "ესენი ვიდრემე უკუე მეძიებლობით და არა შჯულისმდებლობით ითქუნეს ჩუენ მიერ" (მაქსიმე, გელ.14; ხელნ. 304.1; 432 C). დავძენთ, რომ მაქსიმეს ეს სიტყვები განმეორებაა იმ აზრისა, რაც გრიგოლ ნოსელმა გამოთქვა თავის ცნობილ "ჳექსემერონში" (მოგვაქვს გიორგი მთაწმიდლის თარგმანით): "არათუ ბრძანებად დავსდებთ სიტყუათა ამათ, გინა მოძღურებად უცვალებელად (**το δογμα**), რადთამცა მიზეზ-ვეციით მაცილობელთა; ამისთჳსცა აღვიარებთ, ვითარმედ საწურთელად ხოლო გონებისა აღვსწერთ წინამდებარესა ამას გულისხმისყოფასა და არა მოძღურებად მისათხრობელად (**η διδασκαλία εξηγητική**) შემდგომითი-შემდგომად" (1.11).

² ხომ არ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ პეტრიწისეულ ნუსხაში (ე.ი. თავდაპირველ ტექსტში) ყოფილიყო არა "რწმუნებისასა", არამედ "რწმუნებისასა" (მდრ. ბერძნ. პრავლობითი **δογμασι**; ლათ. **decretis**)?

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ვნახოთ, რა სურათს გვიჩვენებს მაქსიმეს "ოთხასეული" ("ორასეულის" ბერძნულ ტექსტში ტერმინი *δογμα* არ გვხვდება). მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"საღმრთოთა ბრძანებათა მიერ განათლებასა მეცნიერებისასა მიჰმადლებს მათ" (1.77); "ყოველნივე ბრძანებანი" (1.78); "ოთხი ესე შეუცავს მათ შორის: მცნებანი, ბრძანებანი, შინებანი, აღთქუმანი" (2.24); "სამთა ამათ შინა ფილოსოფოსობს ქრისტიანე: მცნებათა და ბრძანებათა და სარწმუნოებასა შინა" (4.47); "ბრძანებანი ცნობად არსთა" (4.47).

როგორც ვხედავთ, დამოწმებულ ნიმუშებში "დოგმატის" აღმნიშვნელად გვხვდება "ბრძანებად" და არცერთხელ "რწმუნად", რაც მაქსიმეს "ოთხასეულს" (მასთან ერთად "ორასეულსაც") უთუოდ განაშორებს გელათური თარგმანებისაგან და კვლავაც ეფრემ მცირისაკენ წარმართავს ჩვენს ყურადღებას.

IX Δοξα

აღნიშნული ტერმინის შესახებ ნაწილობრივ ვიმსჯელოთ მაშინ, როდესაც განვიხილავდით ბერძნული *ορθοδοξια*-ს ქართულად თარგმნის საკითხს. კვლავ გავიმეორებთ, რომ სიტყვა *δοξα* ბერძნულ საეკლესიო მწერლობაში ორი უმთავრესი მნიშვნელობით გამოიყენებოდა: 1) თვალსაზრისი, მოსაზრება (*opinio*); (2) დიდება, მადიდებლობა, სიდიადე (*gloria*). ჩვენი ადრინდელი მსჯელობა ძირითადად ეხებოდა მეორე მნიშვნელობას, რადგანაც ტრადიციულად *δοξα*-ს სწორედ ეს შინაარსი იკვეთება სიტყვაში "*ορθοδοξια*" ("მართლმადიდებლობად"). ამჯერად მოკლედ განვიხილავთ პირველ მნიშვნელობას, რაც ნიშნავს: განვიხილავთ *δοξα*-ს, როგორც აზროვნებითი და ნებელობითი ტერმინის ქართულად თარგმნის საკითხს. ამ შინაარსით ბერძნული *δοξα* მთლიანად ეფუძნება ზმნას *δοκεω*, რომელიც ნიშნავს: "მივიჩნევ", "მგონია", "ვთვლი", "ჯერ-მიჩნს", "მნებავს", "მესათნოება", "მთნავს", "სათნო-მიჩნს".

უპირველესად, კვლავ აღვნიშნავთ, რომ საეკლესიო მწერლობის უდიდეს ნაწილში *δοξα* მადიდებლობითი შინაარსის ტერმინად გვხვდება და მისი თელემატურ-დოქსასტური მნიშვნელობა მხოლოდ ცალკეულ საღვთისმეტყველო შრომებში იჩენს თავს, კერძოდ, იმ შრომებში, რომლებიც ეფუძნებიან ცნებით აზროვნებას, თუმცა ასეთ შრომებშიც მისი დამოწმებანი ხშირი არ არის. საკმარისია აღინიშნოს, რომ ისეთი რანგის ფილოსოფიური ძეგლი, როგორიცაა, მაგალითად, გრიგოლ ნოსელის თხზულება "ადამიანის შექმნის შესახებ," მხოლოდ ერთგზის იმოწმებს მას. ხსენებული თხზულების უძველეს ქართულ თარგმანში ბერძნული *δοξα* საერთოდ გამოტოვებულია, გიორგი მთაწმინდელთან კი მას გადმოსცემს ტერმინული აზრით აშკარად შეუსაბამო "მიზეზი":

"ორკერძოვე ესევითართა მიზეზთა (*δοξαις*) შემოიხუმენ" (42; 157 A); ჩვენს ყურადღებას, ცხადია, იქცევს, თუ რა ვითარება გვაქვს ეფრემ მცირესთან. სათანადო ნიმუშების შესწავლა თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ეფრემი ბერძნულ *δοξα*-ს ტერმინულად თარგმნის, როგორც "ნებად // ნებებად". შეიძლება ითქვას, რომ შესატყვისობა "*δοξα*-ნებად" ნიშანდობლივია ეფრემი-

სათვის და მისი ტერმინოლოგიის სპეციფიკას წარმოადგენს.

მოგვაქვს ნიმუშები:

"ყოვლისა ჩუეულებისა, ძრვისა, ცხორებისა, ოცნებისა, ნებისა, სახელისა, სიტყვისა... აღმაღლებულსა" (დიონისე არერპაგელი 11.6; 1.5); "სიტყუად და ველოვნებად და შეხებად და ნებად და ოცნებად და სახელი" (იქვე 72.14; 7.3); "და არცა გრძნობად არს მისი, არცა ოცნებად, არცა ნებად, არცა სახელისდებად" (იქვე 10.11; 1.5); "თავად გულისჴმა-ვჴყოფთ გონებასა, ხოლო ჴედად ნებასა" (იქვე 81.34; 9.5); "არცა სულ არს, არცა გონება, არცა ოცნება, არცა ნება" (იქვე 228.22; 5); "არათუ მრავალთა მათ ნივთიერთა და ვნებულთა ვიტყვ მე გამომეტყუელთა ნებასა..." (237.15; ებ. 7.2.); "მიმზიდველნი ბილწთა მიმართ ნებათა" (გრიგოლ დეთისმეტყველი, სიტყვები A - 109, 76v1; 341 B); "არცა წინააღმდგომთა ნებათა მისვე ერთისა საქმისათჴს" (იქვე 74 v 2; 337 A); "მრავალ ნებებად (ბიჯავ) და ნაწილებად განყოფილი" (A - 52, 136 v 2; 1121 B).¹

ტერმინი ბიჯავ რამდენჯერმე გვხვდება იოანე დამასკელის "გარდამოცემაში". ამ ძეგლის ეფრემისეული და არსენისეული თარგმანების შედარება საშუალებას გვაძლევს წარმოვაჩინოთ, თუ რა ტერმინოლოგიური სიახლე შემოაქვს არსენს. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

ეფრემი

არსენი

ექმნების მას ნება (69 v 2; 937 D)

იქმნების თნება (72.2)

ძალნი... ცნობითნი არიან: გონებად და ცნობად და ნებად და ოცნებად და გრძნობად" (71.1; 941 C)

ძალნი... მეცნიერებითნი ვიდრემე არიან: გონებად, თნებად, ოცნებად და გრძნობად (72 v 2)

ოცნებისაგან იქმნების ნებებად (71.1; 941 C)

ოცნებისაგან იქმნების თნებად (72 v 2)

გონებად განჴბჴობს ნებებასა მას (71.1; 941 D)²

განმგონებელობად განმრჩეველი თნებისად (72 v 2)

1 ორ შემთხვევაში ბერძნული გამოთქმა *κατα το βιζαν* ("შეხედულებისამებრ") ეფრემს გადმოტანილი აქვს ასე: "გონებისაებრ" (168.6 - 2.3; 189.27 - 4.3). ერთგან ბიჯავ თარგმნილია სიტყვით "შჴული" (236.3; ებ.6). საფიქრებელია, ბერძნულ ხელნაწერებში იყო ბიჯავ, რომელსაც ეფრემი ხშირად თარგმნის "შჴულად". ასევე ერთგან შესატყვისია "ცნობად" (იხ. მრავალთავი XII, 124.5; Pg.37, 81 B), რაც იქნებ თავდაპირველი "ნებად"-ს დამახინჯება იყოს.

2 ერთგან ბიჯავ ეფრემის მიერ თარგმნილია, როგორც "განზრახვად" (94 v 1; 1045 B). არსენთან ამჴერადაც "თნებად" გვაქვს (83 v 1; "ანუ თნებისა ანუ ცნობისა"). აქვე, სურათის სისრულისათვის, დავიმოწმებთ კიდევ ორ ნიმუშს ეფრემის თარგმანთაგან, სადაც ბიჯავს გადმოსცემს "მნებებელობად" და "ნებად": "უღარესი დანაცილი ნებად" (A - 292, 326 v; Pg.10, 1009 A); "მნებებელობისა მათისად" (A-292, 314; Pg.37, 196A). არსენთან, გარდა "თნებისა", შესატყვისად გვხვდება, აგრეთვე, "ცნობად" (6v2; 76D), "თნობად" (წათჴუმად არს თნობად, ესე იგი არს, შესმენად...; 7.2; 80D), "აღსარებად" (274v1; 196.3) და სხვა.

ზემოდამოწმებული ნიმუშები თვალსაჩინოდ წარმოადგენს, რომ არსენისათვის ნიშანდობლივია დოქსასტური ტერმინი "თნებად". ამ ტერმინის შექმნა, ცხადია, ეფუძნება ზმნას $\delta\alpha\epsilon\omega$, რომელიც, როგორც ვთქვით, შეიცავს შემდეგ შინაარსს: "ჯერ-მიჩნს", "მნებავს", "მესათნოება", "მთნავს", "სათნო-მიჩნს".

არსენისეული "თნებად", როგორც $\delta\alpha\epsilon\omega$ -ს მყარი შესატყვისი, ნიშნავს პიროვნულ (ე.ი. ნებელობით) აზრს, ვარაუდს, შეხედულებას, მოსაზრებას, პიროვნულ მოძღვრებას, სწავლებას.

გრიგოლ აკრაკანტელისა და ოლიმპიოდორეს შრომათა თარგმანებში თავს იჩენს სხვადასხვა შესატყვისი (მათ შორის "თნებად"), თუმცა არც ერთხელ არ გვხვდება ეფრემისათვის ნიშანდობლივი "ნებად". ამ ნიშნით ეს ძეგლები აშკარად იმიჯნებიან ეფრემ მცირის თარგმანებისაგან. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"ხუთნი სულისა ძალნი: გონებად, მოგონებად, ოცნებად, თნებად და გრძნობად" (აკრაკანტელი, 114.33; 1025 A); "ხუთთა ძალთა მისთასა, რომელ არიან: გონებად, მოგონებად, თნებად, ოცნებად და გრძნობად" (136.31; 1084); "გამომხუმელი ბოროტთა იჭუთა და მოგონებათა" (128.31; 1068 A); "ცთომილისა იჭვსა მოყუარეთა ღმრთისათვს მომგებელნი" (129.20; 1068 C-D); "მიდრკეს... ცთომილთა სარწმუნოებათა მიმართ" (177.10; 1173 A); "ამის იჭვსა განმკდელი ბრძენი ეკლესიასტე" (ოლიმპიოდორე 197.2; 565 D); "არცა დაყოვნებად რადსამე ბოროტისა... მოგონებასა შინა" (იქვე 211.2; 576 A); "საწარმართოთასა ურთიერთარსისა სათნოყოფილისა მარლუთასა" (იქვე 301.2; 625 A).

ტერმინი $\delta\alpha\epsilon\omega$ "თვალსაზრისის" მნიშვნელობით ერთგან გვხვდება მარკოზის თავის თეოფილაქტესეულ განმარტებაში. იოანე ჭიმჭიმელის თარგმანი ასეთია:

"ბოროტი იჭვ მოიღონ" (A - 102, 80.1; 668 C);

ამავე ძეგლში ბერძნული $\delta\alpha\epsilon\omega\tau\epsilon\varsigma$ თარგმნილია, როგორც "მეოცნეთა" (75 v 1; 660 A). ლუკას თავის განმარტებაში დამოწმებულია ზმნა $\delta\alpha\epsilon\omega$ ($\epsilon\delta\alpha\kappa\omicron\upsilon\nu$), რასაც იოანე ჭიმჭიმელი ასე გადმოსცემს: "აზმნობდეს" (A - 113, 187.1; 1041 D).

ტერმინულ სტრუქტურათა VI ჯგუფის ძეგლები ამჯერადაც, ისევე როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში, ზედმიწევნით იცავს არსენისეულ ტერმინოლოგიას. აღნიშნული ძეგლები უმეტესად მყარ და თითქმის უგამონაკლისო დოქსასტურ ტერმინად წარმოგვიდგენენ ზემოხსენებულ "თნებას". მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"ყოველნი მისვე ერთისა თნებისა ზედა ეგნეს" (ამონიოსი 34.26; 40.14); "ჰეშმარიტ სადმე არსა პლატონის თნებად?" (37.8; 44.2); "თნებად, გრძნობად, ოცნებად, გაგონებად" (12.18; 11.17); "არისტოტელისმიერი უკუე პაექრობითი თნებასა შეუთქს ხუთსახედ" (30.20; 34.19); "სიტყვსა ზედა და თნებისა არა ესრეთ" (142.15; 53.11); "ხოლო სიტყუად იგი და თნებად... უძრავად ჰგიან" (142.10; 53.7); "არა სიტყვსაგან ანუ თნებისა..." (142.17; 53.13); "სხვთა გუარითა არს... თნებად" (142.21; 53.17); "მიითუალავს... თნებასა" (142.22; 53.19); "სიტყუად და თნებად არა მისათუალველ არიან თქუმად შემწყნარებელყოფად წინააღმდგომთა" (142.25; 53.21); "სიტყუად და თნებად მყის

¹ ერთგან თეოფილე ხუცესმონაზონი $\delta\alpha\epsilon\omega$ -ს თარგმნის, როგორც "მოწადება": "მოსწაღდა მეუფესა" (Ath. 29, ფ. 561; Pg. 50, 234).

წარმოჩენასა თანა განიხრწნესცა" (142.27; 53.24); "ეგრეთვე თნებისათვს" (142.1; 52.19); "იგივე სიტყუად და იგივე თნებად" (142.4; 52.21); "ნანდვლვე თნება" (მაქსიმე, ფ. 146.2; 493 C); "ზეშთა ბუნებისასა შეიწყნარებენ თნებასა" (86.1; 393 B); "კეთილმსახურთა თნებათა მყოფთათვს მიმნიჭებელი მთხოელთად" (ფ. 113.2; 436 C); "მყოფთა-ძლითსა კეთილმსახურსა თნებასა, ვითარცა დასაბამსა მკისასა შემწირველი ღმრთისა" (ხელნ. 294.2; 757A); "იტყვს... უცთომელსა თნებასა" (ხელნ. 298.1; 769 B); "მდაბალი თნებად გაქუს ჩემთვს" (თეოფილაქტე, იოანეს თავის განმარტება, 18; 1204 B); "კაცისა თნებად აქუნდა-ყე" (134; 189 D); "მეფე კონსტანტიოს... არიანოსთა თნებასა ზედა უკუანათა ჟამთა შინა გარდაიდვა" (ქსიფილინოსი, ეტ. VI, გვ. 146); "მათი მიქცევად უძლედ თვსისა თნებისა" (იქვე, ეტ. III, გვ. 299.8); "ცთომილი არს თქუენი ღმრთისა-ძლითი თნებად" (ქსიფილინოსი, გელ.2, 120 v); "საჩინოდ წამებად წმიდისა ძლიერებისად და ჩუენ მორწმუნეთა თნებისა ელვარე ჰეშმარიტებად" (იქვე 195).¹

იოანე ქსიფილინოსის შრომათა თარგმანებში გვხვდება კომპოზიტი "კეთილთნებად":

"დასასრულსა ღმრთისა კეთილთნებისა და საყოველთაოდსა კრებისა... ზესთ განძლიერდეს" (ეტ. VI, 179).

"კეთილთნებად" აღნიშნულ შემთხვევაში ზედსართავი სახელია და როგორც ჩანს, გადმოსცემს ბერძნულ *ευδοχια*-ს.²

ასე რომ, ფრაზა "კეთილთნებად კრებად" ნიშნავს "ბრწყინვალე კრებას" (*ευδοχια* - "შესანიშნავი", "დიდებული", "ბრწყინვალე").³ იგივე სიტყვა, საზოგადოდ, შეიძლება იყოს არსებითი სახელიც და გადმოსცემდეს ბერძნულ *ευδοχια*-ს. ამის ნიმუში გვაქვს მაქსიმე აღმსარებლის შრომათა გელათურ თარგმანში:

"არარა ბუნებით უთვსეს არს სიტყვსა სიტყვერთათვს... კეთილთნებისა (*ευδοχιαν*) მიმართ უმოზავებულეს ღმრთისმოყუარეთათვს" (გელ. 14. ხელნ. 1.2; col. 264 B).⁴

როგორც აღვნიშნეთ, ტერმინი *διδχα* ეფუძნება ზმნას *δοκω*, რაც პიროვნული (ნებაყოფლობითი) თვალსაზრისის გამომხატველია: "ვფიქრობ, მივიჩნევ". რამდენადაც ზემოგანხილული *διδχα* უმთავრესად თელემატური ასპექტით იქნა აღქმული ქართველ მთარგმნელთა მიერ, შესაბამისად, ხსენებულ ზმნასაც უმრავლეს შემთხვევაში შესატყვისად ასევე "თნება" დაუმკვიდრდა

1 ერთგან "თნებად" გადმოსცემს ბერძნულ *δοκησις*-ს (ამონიოსი 141.39; 52.17; დამოწმებულია მ. რაფავას მიერ), ერთგან კი ამგვარადაა თარგმნილი *νοημα* (104.26; 11.10; დამოწმებულია იქვე).

2 აღვნიშნავთ, რომ გელათურ ტექსტებში ერთგან ბერძნული *ευστοχως* თარგმნილია, როგორც: "კეთილმთნებლობით": "კეთილმთნებლობით ივუმის მაგალითი" (თეოფილაქტე, იოანეს თავის განმარტება, A - 52, 101 v; 152 A).

3 ტერმინი *ευδοχια* ერთგან ეფრემის მიერ თარგმნილია, როგორც "კეთილდიდებაობად": "სხუათა კეთილდიდებაობად მოღონებულ იქმნა" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, სიტყვები, A - 109, 67.2; 600 A).

4 ქსიფილინოსის შრომათა თარგმანში გვხვდება, აგრეთვე, ტერმინი "თანათნებად". რაც, აგრეთვე, ზედსართავია და (იხევე, როგორც სინონიმური "თანაცნობად" ნიშნავს "თანამოაზრეს: "სხუად კუალად არიანოსთა, თანაცნობად მათი და თანათნებად, მისა საყდარსა ნაცვალ-აგეს" (ეტ. VI, გვ. 143); სიტყვა "თანათნებად", როგორც ჩანს, გადმოსცემს ბერძნულ *ομοδοχια*-ს.

და ეს უკანასკნელი ბერძნული სიტყვის კვალობაზე საკუთრივ ფიქრის, მოსაზრების, შეხედულების, სწავლების აღმნიშვნელად წარმოჩნდა.¹

მოგვაქვს ნიმუშები:

"ამისთვის ითნების (ე.ი. მიიჩნევა ითვლება, ე.ჭ.) უმსგავსოკერძოყოფად მყოფისად" (ამონიოსი 64.24; 83.16); "ხოლო ითნოს (დაუშვას, მიიჩნიოს, მოისაზროს, ე.ჭ.) სადმე სხუადცა განყოფილებად ყოფად" (73.25; 96.1); "რამეთუ სთნავს (მიიჩნია, ე.ჭ.) თვთ არისტოტელის არსებაყოფად მათი" (134.22, 45.10); "ამისთვის სთნდა (ფიქრად ჰქონდა, ესაზრა, ე.ჭ.) განკიდებდა განყოფილებათად არსებათაგან" (135.5; 46.9); "რომელსა ეთნოს (ეფიქროს, ე.ჭ.) პლატონისათვის, ვითარმედ ზის, უკუეთუ დაემთხვოს ვიდრემე მჯდომარედ, მართლად სთნებია (უფიქრია, ე.ჭ.)" (142.1-2; 52.19); "სამართლად სთნდა (ეფიქრა, ესაზრა, ე.ჭ.) განკიდებდა მათი" (157.21; 68.10); "უპირველესად სადმე გრძნობისასა გრძნობადი ყოფად ითნებვის (მიიჩნევა, ე.ჭ.)" (164.30; ბერძნ. შესატყვისი არა აქვს); "ყოვლითურთისა კერძოდ... ითნოს (მიიჩნიოს ე.ჭ.) რადსამიმართთაგანად ყოფად" (165.35; 77.14); "არა ითნოს აგებული უცხოყოფად" (თეოფილაქტე, 42 v; 1285. C); "სხუებრ განხილული სიტყუად ესე უადგილოდ ითნების" (79 v; 73 D); "არა ითნენ იგინი ამოდ თანმოსაჯულობად" (72 v; 52 C); "რადსა მთნებელთა (ბიჯანτες) განვაცრუეთ ქრისტიანებრი ცნობად?" (მაქსიმე, ფ. 461.2; 288 C);²

ტერმინშესატყვისობა "ბიჯან-თნებად" იმდენად ღრმად დამკვიდრდა გელათის საღვთისმეტყველო სკოლაში, რომ მან თავი იჩინა მადიდებლობითი შინაარსითაც. ეს ნიშნავს: "თნებამ" იტვირთა ბერძნული ბიჯან-ს არა მხოლოდ თელემატურ-დოქსასმატური გააზრება, არამედ მისი საკუთრივ ეკლესიური, დიდებისმეტყველებითი მნიშვნელობაც. ამგვარი სემანტიკური განვრცობა ქართული "თნებისა" შეეხო ისეთ ტერმინულ რეალობასაც კი, როგორცაა ცნება "მართლმადიდებლობად" (ამ ტერმინზე დაწვრილებით ვიმსჯელებთ ზემოთ). როგორც ცნობილია, "მართლმადიდებლობის" ბერძნული ფარდი შეიცავს ტერმინ ბიჯან-ს (ορθο-ბიჯან). ზემოაღნიშნული მიზეზის გამო, ბიჯან-ს "თნებად" თარგმნამ ზოგ შემთხვევაში შედეგად მოგვცა "ორთოდოქსიის" ახალი ქართული შესატყვისი "მართლმთნებელობად". მაგალითად ეს ტერმინი გვხვდება ათანასე დიდისადმი მიძღვნილ იამბიკოში, რაც წინ უძღვის ამავე წმინდანის შესახებ გრიგოლ ღვთისმეტყველის ცნობილი სიტყვის ეფრემისეულ თარგმანს.

აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ გრიგოლ ღვთისმეტყველის ცალკეულ სიტყვათა ეფრემისეულ თარგმანებს ზოგ ხელნაწერში (Jer. 15; A - 109)

¹ ამგვარი გააზრება თავს იჩენს ეფრემთანაც: "ნუცა თუ რად ვიეთ სთნავს (ბიჯანს)" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, ეპისტოლენი, მრავალთავი XII, 123. 23; Pg. 37, 200 B).

² იგივე ბიჯან ზოგჯერ ითარგმნება, როგორც "საგონის-ყოფა", "საგონებელ-ყოფა": "უყამოდ საგონის-იქმნების (ბიჯანს) შემოღებად ამის ხედვისად" (ამონიოსი 136.1; 47.11); "საგონის არს (ბიჯანს)" (იქვე 142.31-35.3; დამოწმებულია მრავალთავს მიერ, გვ.212; იხ. იქვე: "საგონისობად", "საგონებელობად"); "მკლველებრად საგონის იყო (ბიჯანს)" (თეოფილაქტე, 94; 125 D); "საგონებელ არიან (ბიჯანს)" (მაქსიმე, ფ. 191.1; 581 D); "საგონებელთა (ბიჯანს)" (იქვე, ხელნ. 279v1; 88 C); ერთგან შესატყვისად გვაქვს "ზმნობა" (აზმნობდეს) (მაქსიმე, ფ. 483.1; 320 A); გვხვდება აგრეთვე, "გონება" (გონონს) (თეოფილაქტე 117; 201 C); ერთგან ბიჯანს თარგმნილია, როგორც "გონებულთათვის" (ამონიოსი 43.22; 52.20). დავძენთ, რომ გელათური "საგონის ყოფა", როგორც ჩანს, ეფრემიდან მომდინარეობს. შდრ. ჩემდა საგონის ხარ (ბიჯანს) შენ" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, ეპისტოლენი, მრავალთავი XII, 124.4; Pg. 37, 81 B).

წინ უძღვის ხუთმუხლედ იამბიკოები, რომლებიც საკუთრივ ეფრემის თარგმანებს არ წარმოადგენს. ისინი უთუოდ გელათის საღვთისმეტყველო სკოლის კუთვნილებაა. გამონაკლისია ერთი იამბიკო, რომელიც წინ უძღვის გრიგოლ ღვთისმეტყველის თექვსმეტსიტყვედის ეფრემისეულ თარგმანს და ეფრემისვე თარგმნილი უნდა იყოს. უფრო ნათლად, საქმის ვითარება ასეთია: როგორც ცნობილია, ეფრემმა ქართულად გადმოიღო გრიგოლ ღვთისმეტყველის თექვსმეტი საღვთისმეტყველო სიტყვა კომენტარებითურთ. ეს თექვსმეტსიტყვედი დამოუკიდებელი კრებულის სახითაც არსებობდა და მოღწეულია კიდევ ჩვენამდე ამ სახით მეტნაკლებად სრულ უძველეს ხელნაწერებში.

ხსენებულ თექვსმეტსიტყვედს, როგორც აღვნიშნეთ, ორ ხელნაწერში (Jer. 15 და A-109) ზოგი ჰომილიის წინ წამძღვარებული აქვს იამბიკო. კერძოდ, ესენია: "იამბიკო ქრისტეს შობისაჲ" (ქრისტეშობის საკითხავის წინ), "იამბიკო წმიდისა ბასილისა" (ბასილი დიდის შესახებ საკითხავის წინ), ნათლისღების იამბიკო (ნათლისღების საკითხავის წინ), იამბიკო გრიგოლ ნოსელისადმი (გრიგოლ ნოსელის შესახებ საკითხავის წინ), იამბიკო ათანასე ალექსანდრიელისადმი (ათანასეს შესახებ სიტყვის წინ), იამბიკო საკუთრივ გრიგოლ ნაზიანზელის საღვთისმეტყველო ღვაწლის შესახებ (42-ე სიტყვის წინ).¹

მივუთითებდით, რომ არცერთი ამ იამბიკოთაგან არ უნდა იყოს საკუთრივ ეფრემის თარგმნილი. ამას ადასტურებს, ერთი მხრივ, ის, რომ ხსენებული იამბიკოები მხოლოდ ორ ხელნაწერს აქვს და ისინი არ გვხვდება სხვა უძველეს ნუსხებში. ამგვარ ნუსხათაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია Jer. 43 და Jer. 13, რომლებსაც მნიშვნელოვანწილად აქვთ დაცული თექვსმეტსიტყვედის თავდაპირველი ტექსტობრივი სრულყოფილება როგორც ანდერძმინაწერული, ასევე კომენტარული ასპექტით, მაგრამ ზემორე იამბიკოებს მათში ვერ ვპოულობთ (ასეთსავე სურათს გვიჩვენებს, აგრეთვე, Jer. 8, A - 1490, Sin. 79, ქუთ. 9; A - 292). მეორე მხრივ, ტერმინული შესწავლა ხსენებული იამბიკოებისა ამჟღავნებს მათ უეჭველ კავშირს გელათურ საღვთისმეტყველო სკოლასთან. ისეთი ტერმინები, როგორებიცაა: "სხუა-გუამა", "აპირმშომაგალითებს", "ინათლისმთენა", "სამების ძლით" (სამების შესახებ, ე. ჯ.), "ისახელდმრთისმეტყუელებს", "ამადლითგანმღრთობილებს", "აზეცისკამარებს", სავსებით თვალნათლივ მიჯნავს ხსენებულ იამბიკოებს ეფრემისაგან. საზოგადოდ, იამბიკოთა დართვა უფრო ადრეულ თარგმანებზე არაიშვიათია ძველ ქართულ მწერლობაში (განსაკუთრებით გვიან შუა საუკუნეებში). საკმარისია აღინიშნოს, რომ იმავე ეფრემის მიერ თარგმნილ "გარდამოცემას" XII ს-ის ხელნაწერში A-24, ახლავს გადამწერ-რედაქტორისეული² იამბიკო თვით ეფრემისადმი (137 v). ამგვარივე ვითარება გვაქვს გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვებთან დაკავშირებითაც. ზემოხსენებული იამბიკოები გვიანდელია აღნიშნულ სიტყვათა თარგმანებზე და ტექსტობრივად, ჩვენი აზრით, უთუოდ გელათურ სკოლას უკავშირდება.

¹ ეს იამბიკოები ტექსტობრივად შედარებით გამართულად გამოქვეყნებულია მ. რაფაევას მიერ. იხ. მისი, გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიათა ეფრემ მცირისეული კრებულების შედგენილობისათვის, მაცნე, ელს, 1990 N2, გვ.75.

² როგორც ცნობილია, A-24-ის სკრიპტორი უბრალო გადამწერი არაა. იგი ჭეშმარიტ საღვთისმეტყველო შრომას ეწევა, რასაც კარგად გვიჩვენებს აშოებზე მის მიერ დართული პარალელური ადგილები "გარდამოცემის" არსენისეული თარგმანიდან. აღვნიშნავთ, რომ თვით არსენის "დოღმატიკონზეც" გელათურ სკოლაში დაურთავთ იამბიკო (ქუთ. 564, ფ. 300v; იხ. ი.ლოლაშვილი, არსენ იყალთოელი, თბ. 1978, გვ.104). ამ იამბიკოს გელათურობას ცხადყოფს თუნდაც ორსიტყვედი ტერმინი "რწმენითნი სჯულნი" უთუოდ ბერძნული *τα δογματα*-ს შინაარსით (მდრ. ე.ჭელიძე, ძიებანი წმ.გრიგოლ ღვთისმეტყველის შესახებ, ფილოლოგიური ძიებანი, II, თბ. 1995, გვ.187-188).

სხვა ვითარება იმ იამბიკოსთან დაკავშირებით, რომელიც აკროსტიქულია და მთელ კრებულს აქვს წამძღვარებული. ვფიქრობთ, ეს იამბიკო მიძღვნილია გრიგოლ ღვთისმეტყველისადმი და აკროსტიქის მიხედვით მისი ავტორია "გეორგი".

ეჭვი არ არის, რომ ხსენებულ იამბიკოს არავითარი კავშირი არა აქვს ზემოდასახელებულ იამბიკოებთან. ამას ცხადყოფს თუნდაც ის, რომ თვით ხელნაწერი Jer. 43, რომელსაც ეს იამბიკო უძღვის წინ, არ შეიცავს არცერთ სხვა იამბიკოს.

ვინ უნდა იყოს იამბიკოში ხსენებული "გეორგი"? თ. ბრეგაძის აზრით, რომელმაც დეტალურად აღწერა Jer. 43, ეს გეორგი შესაძლოა ხელნაწერის გადამწერად მივიჩნიოთ ("გადამწერი: აკროსტიქში მოხსენებული გეორგი!").¹

იამბიკოს ავტორი "გეორგი", როგორც აღნიშნავს მ. რაფავა, ხელნაწერის გადამწერი არ არის. ამაზე აშკარად მიგვითითებს ის, რომ კოდიკოლოგიური ასპექტით სხვადასხვა ტრადიციის ამსახველი და ამავე დროს თანადროული (XII ს.) ხელნაწერები Jer.43 და A -52 გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვათა თავში წარმოგვიდგენენ სწორედ გეორგის იამბიკოს. ეს ცხადყოფს, რომ ხსენებული იამბიკო გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვათა კრებულის ეფრემისეული დედნიდან მომდინარეობს და რომ ეს იამბიკოც კრებულთან ერთად ბერძნულიდან უნდა იყოს თარგმნილი, ე.ი. გეორგი უთუოდ ბიზანტიელი მოღვაწეა.²

აღნიშნულ აზრს ადასტურებს თვით იამბიკოს მდებარეობაც. იგი, როგორც აღვნიშნეთ, თავში ერთვის გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვებს. სამწუხაროდ, ამ სიტყვათა ეფრემისეული თარგმანების შემცველი უძველესი კრებულები უმეტესწილად თავნაკლულნი არიან, რაც ხელს გვიშლის თავდაპირველი ხელნაწერული ვითარების სრული სახით აღდგენაში, მაგრამ ცალკეული მონაცემების საფუძველზე სარწმუნო დასკვნების გამოტანა შესაძლებელია.

უპირველესად აღვნიშნავთ, რომ გეორგის იამბიკო წინ უძღვის გრიგოლ ღვთისმეტყველის სადღესასწაულო სიტყვებს. როგორც ცნობილია, ეფრემ მცირემ ქართულად თარგმნა გრიგოლ ღვთისმეტყველის როგორც აპორეტული ანუ პრივატული (ე.ი. ცალკე და არა სამრევლოდ საკითხავი),³ აგრეთვე სადღესასწაულო ანუ საღვთისმსახურო სიტყვები.

ხსენებულ სიტყვათა და, საზოგადოდ, გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ძველქართულ თარგმანებს მიეძღვნა თ. ბრეგაძის ზემოხსენებული

¹ გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ხელნაწერები აღწერა, შესავალი და საძიებლები დაურთო თ. ბრეგაძემ, თბ. 1988, გვ. 144

² მ. რაფავა, გრიგოლ ნაზიანზელის კომილიათა ეფრემ მცირისეული კრებულების შედგენილობისათვის, გვ.77. აღვნიშნავთ, რომ მ. რაფავას ხსენებული იამბიკო-აკროსტიქი და ზემოხსენებული სხვა იამბიკოები ერთი ავტორისეულად ესახება, რასაც ვერ გავიზიარებთ.

³ ეფრემის მიერ ხმარებული "აპორეტა" მნიშვნელობა გამოიკვლია და ახსნა კ. ბეზარაშვილმა (იხ. კ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია ქართულ მწერლობაში, მაცნე, ელს, 1986, №3, გვ.90). ეს წმინდა ლიტერატურისმცოდნეობითი ტერმინი კონკრეტული აღმნიშვნელია საეკლესიო მწერლობის პრივატული ნაწილისა (განსხვავებით სადღესასწაულო ანუ საღვთისმსახურო ნაწილისაგან). საეკლესიო მწერლობაში ყოველთვის არსებობდა აპორეტული ნაწილი, არსებობდა საეკლესიო აპორეტოკა.

კოდიკოლოგიური ნაშრომი, რომელიც ჰეშმარიტად შესანიშნავია თავისი ინფორმატიული სრულყოფილებითა და ტექსტოლოგიური პრეციზულობით. ამ ნაშრომზე დაყრდნობით შეგვიძლია გამოვთქვათ რამდენიმე მოსაზრება გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვათა ეფრემისეული თარგმანების შესახებ. უპირველესად, ვნახოთ თუ როგორ ესახება ხსენებულ მკვლევარს გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვების ქართულენოვან კრებულზე ეფრემ მცირის მუშაობის პროცესი:

"ეფრემ მცირეს, როგორც ამას "მეტაფრასი ეკლესიასტეზე" დართული ანდერძიდან ვგებულობთ, მიზნად დაუსახავს, მსგავსად ბერძნული კრებულისა, ქართულად გადმოედო გრიგოლ ნაზიანზელის 50 სიტყვის შემცველი კრებული. ამ მიზნით მას თავიდან უთარგმნია 16 სადღესასწაულო სიტყვა და ერთი აპორიტთაგანი (იგულისხმება ნაზიანზელის მესამე სიტყვა), დაუმატებია 19 სიტყვა ("ათცხრამეტი იგი აპორიტთაგან"), რომლის თარგმანი მანამდე ქართულ ენაზე არ არსებობდა... და ბოლოს დაუმატებია მანამდე არსებული 14 სიტყვის თარგმანი, შესრულებული დავით ტბელის ძის... და ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ".¹

წარმოდგენილი მოსაზრებით, ეფრემს თავიდან უთარგმნია 16 სადღესასწაულო სიტყვა და ერთი აპორიტთაგანი (ე.ი. 17 სიტყვა), შემდეგ მათთვის დაუმატებია 19 სიტყვა, ბოლოს კი მიღებული რაოდენობა (36 სიტყვა) ბერძნულისებრ 50-მდე შეუვსია დავით ტბელის ძისა და ექვთიმეს თარგმანებით.

ჩვენი აზრით, გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვების ქართულენოვანი კრებულის შედგენაზე ეფრემის მუშაობა საპირისპირო გზით მიმდინარეობდა. ამას აშკარად ცხადყოფს როგორც ეფრემისეული ანდერძები, ასევე საკუთრივ თარგმანთა ტერმინოლოგიური ანალიზი.

კერძოდ, 19 აპორეტული სიტყვა, როგორც მართებულადაა აღნიშნული ქ. ბეზარაშვილის მიერ,² ეფრემმა თარგმნა 16 სადღესასწაულო სიტყვის უწინარეს (შეიძლება ითქვას, ბევრად უწინარეს). ამას პირდაპირ გვაუწყებს თვით ეფრემი თავის ცნობილ ანდერძში, რაც მან დაურთო გრიგოლ ღვთისმეტყველის მე-3 სიტყვას, თარგმნილს 16 სადღესასწაულო სიტყვასთან ერთად:

"კირილე ალექსანდრიელმან... კადნიერ-მყო მე ახლად თარგმნად ათექუს-მეტთა სადღესასწაულოთა და ამას ერთსა აპორიტთაგანსა... ხოლო ათცხრამეტი იგი აპორიტთაგან, პირველ ჩემგანვე თარგმნილნი სიტყუადართვით... მოძღურისა კუალსა შედგომითა ითარგმნეს ჩუენგან" (A - 292; 279 v).

აშკარაა, რომ 16 სადღესასწაულო და ერთი აპორეტული სიტყვა ეფრემმა თარგმნა 19 აპორეტული სიტყვის თარგმანის შემდეგ. ამასვე ცხადყოფს სადღესასწაულო და არასადღესასწაულო სიტყვათა ეფრემისეული თარგმანების

¹ თ. ბრეგაძე, დასახ. შრომა, გვ. 9. აღნიშნავთ, რომ თ.ბრეგაძის წარმოდგენილი მოსაზრება, კერძოდ კი აზრი იმის შესახებ, რომ "ეკლესიასტეს მეტაფრასზე" დართულ ანდერძში ეფრემის მიერ ხსენებული ორმოცდაათეული ("ერგასისნი თავნი") შემადგენელ ნაწილად გულისხმობდა თვით ეფრემის (და არა ექვთიმეს) მიერ თარგმნილ თექვსმეტსიტყვედს, სპეციალურ ლიტერატურაში გაზიარებული იყო (იხ. მ.რაფაევასა და ბ.კულის სტატია, Le Museon 1991, t.104, fasc.1-2, p.120; შდრ. ქ.ბეზარაშვილი, კრებული "გულანი", თბ. 1989, გვ.86).

² ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის კომენტარების ქართული ვერსიებიდან (ეფრემ მცირის თარგმანი), გულანი, თბ. 1989, გვ. 121

ტერმინოლოგიური შედარება. კერძოდ, თუ პირველი ჯგუფის ძეგლებში ეფრემი თავისი ტერმინოლოგიური აკრიბიის მწვერვალზეა და აღნიშნული ასპექტით ეს ძეგლები უთანაბრდება არეოპაგიტულ შრომათა თარგმანებსაც კი, მეორე ჯგუფის თხზულებები გაცილებით მარტივ და დაუმუშავებელ ტერმინოლოგიას წარმოგვიდგენენ. საკმარისია აღინიშნოს, რომ თექვსმეტსიტყვედში უკვე მკაფიოდაა გამოკვეთილი არსებითად ეფრემის მიერვე დამკვიდრებული და შემდგომ არსენისა და გელათური სკოლისათვის უაღრესად ნიშანდობლივი რთული ტერმინები: "წინაგანგებად" (*προνοια*) და "წინააღრჩევად" (*προαιρεσις*), მაშინ როცა აპორეტული ძეგლების თარგმანებში თითქმის ყველგან მათ ნაცვლად გვხვდება ათონური სკოლისათვის ნიშანდობლივი "განგებულებად", "ნებად", "გონებად" "აღრჩევად" და მისთ. მსგავსი ახალტერმინული რთულსახეობანი, რასაც თან ერთვის სინტაქსური რთულსახეობაც, თექვსმეტსიტყვედში სავსებით აშკარაა, განსხვავებით ადრე თარგმნილი აპორეტული თხზულებებისაგან. სხვათაშორის, თვით ეფრემიც გარკვევით მიგვითითებს, რომ მან თექვსმეტი სადღესასწაულო სიტყვა ახლებური მთარგმნელობითი პრინციპით, კერძოდ, ბერძნულთან მაქსიმალური ტერმინულ-სინტაქსური სიახლოვის მოთხოვნით თარგმნა, რასაც მკითხველისათვის შესაძლოა "უშუერობის" შთაბეჭდილებაც კი შეექმნა, მაშინ როცა ადრეთარგმნილი 19 აპორეტული სიტყვა, მისივე მითითებით, ექვთიმეს კვალზე, ე.ი. ექვთიმესეული მეთოდით ყოფილა შესრულებული, თუმცა იმ განსხვავებით ექვთიმეს თარგმანთაგან, რომ მას (ეფრემს) ერთი საკითხავი მეორეში არსად ჩაურთავს და არც უთარგმნელად დაუტოვებია რომელიმე სიტყვა.²

ანდერძისა და ტერმინული მონაცემების გარეშეც სავსებით ნათელია, რომ უშუალოდ ბერძნულიდან შესრულებული თარგმანების ხელმეორედ თარგმნა ეფრემის მოღვაწეობის მიწურულს გულისხმობს. თვით ეფრემისგანვე ვიცით, რომ "დიდი ბრალი" შეემთხვეოდა ერთიდაიმავე ძეგლის ხელახლა მთარგმნელს. ეჭვი არ არის, რომ გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვებზე მუშაობის დასაწყისში ეფრემი ვერანაირად ვერ შებედავდა დავით ტბელის და ექვთიმეს მიერ უშუალოდ ბერძნულიდან თარგმნილი შრომების ხელახლა თარგმნას.³ სამწუხაროდ ამჯერად არ გვაქვს შესაძლებლობა, დეტალური ზედმიწევნითობით შევეხოთ აღნიშნულ საკითხს. წარმოვადგენთ მხოლოდ უმთავრეს დაკვირვებებს.

უპირველესად ყურადღებას იქცევს აპორეტულ საკითხავთა რიცხვი

¹ აქ უთუოდ გასახსენებელია ანალოგიური შენიშვნა არსენ იყალთოელისა, რაც დართული აქვს ანასტასი სინელის "წინამძღვრის" მისეულ თარგმანს: "თუ სიბნელე რადმე სადმე ანუ სიღუბჭირე შესდგამს, იგი ბერძნულისა შედარებულობისაგან არს და არა ქართულთა სიტყუათა დაშუენებასა ვერ მეცნიერობისაგან" (S - 1463, 39 v).

² A - 292, 279 v; ანდერძის ტექსტიდან ჩანს, რომ ეფრემი ექვთიმეს კვალზე შედგომად ანუ ექვთიმესეულ მეთოდად მიიჩნევს "სიტყუადართვით" თარგმნას. შესაბამისად, ტერმინი "სიტყუადართვით" უნდა ნიშნავდეს "სიტყუადამატებით", "სიტყუაშემატებით" ანუ "გავრცობით", როგორც არის კიდევ ექვთიმესეული თარგმანები (და მას მიღვენებული ეფრემისეული აპორიტანი), საპირისპიროდ ორიგინალის "სიტყუასიმოკლისა". ასე რომ, ტერმინი "სიტყუადართვა" არ უნდა ნიშნავდეს კომენტარებს, სქოლიოებს (ამგვარად გაიგებოდა ეს სიტყვა სპეციალურ ლიტერატურაში).

³ სამართლიანადაა აღნიშნული, რომ ეფრემის ეს პოზიცია არ ვრცელდებოდა გრიგოლ ოშკელზე, რომელიც სომხურიდან თარგმნიდა (იხ. ქ. ბეზარაშვილი, ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი... გვ. 86).

ცხრამეტი. ეს რიცხვი თავისთავად, ცხადია, არაფრის მთქმელია, რადგანაც არც ამ რაოდენობის საკითხავთა ცალკე კრებული არსებობდა ბერძნულად, არც გრიგოლ დვთისმეტყველის აპორეტიკა განისაზღვრება ამ მოცულობით. პირიქით, ეფრემი გარკვევით გვაუწყებს, რომ მას გრიგოლის აპორეტულ ძეგლთაგან თავის დროზე მხოლოდ ცხრამეტი უთარგმნია, რატომ მაინცდამაინც ცხრამეტი?

გავიხსენოთ, რომ ეფრემის სურვილი იყო მის ხელთ არსებული ბერძნული ორმოცდაათსიტყვედის ადეკვატური კრებულის შედგენა ქართულ ენაზე. ამ მიზნით, მან, უპირველესად, მოიძია უკვე არსებული სანდო თარგმანები ექვთიმე ათონელისა და დავით ტბელისა, შეუფარდა ისინი ბერძნულენოვან კრებულს და რა საკითხავებიც ქართულად ვერ ჰპოვა, თვითვე თარგმნა და შესძინა უკვე არსებულთ. ხსენებული ცხრამეტი "აპორიტა" სხვა არაფერია, თუ არა ბერძნული ორმოცდაათსიტყვედის ის ნაწილი, რომელიც ექვთიმესა და დავით ტბელის მიერ ქართულად თარგმნილი არ ყოფილა.

19 აპორეტული საკითხავი რომ ეფრემ მცირემდე თარგმნილი არ ყოფილა და მან თარგმნა აღნიშნული ძეგლები პირველად, ეს ზემოციტირებულ ანდერძზე დაყრდნობით, რათქმაუნდა, სავსებით ცხადია (თ. ბრეგაძე: "19 სიტყვა... რომლის თარგმანი მანამდე არ არსებობდა";¹ ქ. ბეზარაშვილი: "ეფრემმა ის თარგმნა, რაც უთარგმნელი იყო მანამდე ქართულად, ე.ი. 19 აპორიტათაგანი"²).

აქ ხაზგასასმელი ისაა, რომ ეფრემმა ჭერაც უთარგმნელი 19 აპორეტული საკითხავი თარგმნა ექვთიმესა და დავით ტბელის თარგმანთა 50-მდე შესავსებად. სხვაგვარად, ეფრემმა არათუ მის მიერ თარგმნილი ძეგლები შეავსო დავითისა და ექვთიმეს თარგმანებით, არამედ პირიქით, მან საფუძვლად აიღო დავითისა და ექვთიმეს თარგმანები და რა საკითხავებიც მათ აკლდათ ბერძნულ ორმოცდაათსიტყვედთან შეფარდებით, თვით გადმოიღო ქართულად, უკვე არსებულ თარგმანთა რიცხვის 50-მდე შესავსებად.

ამგვარად, ეფრემის ანდერძში ნაგულისხმევი ორმოცდაათეული საფუძვლად შეიცავდა ექვთიმესა და დავით ტბელის თარგმანებს, შევსებულთ მის მიერ თარგმნილი 19 "აპორიტათი". მართლაც, როგორც ცნობილია, ექვთიმეს თარგმნილი ჰქონდა 16 სადღესასწაულო სიტყვა. ამ სიტყვათა გარდა ექვთიმესა და დავით ტბელს გადმოუღიათ კიდევ 14 საკითხავი (აპორეტული), რასაც ემატება ექვთიმეს მიერ ერთ საკითხავად გაერთიანებული გრიგოლ დვთისმეტყველის მეორე და მესამე სიტყვა და მთლიანობაში ვიღებთ 31 საკითხავს.

აღნიშნულ რაოდენობას ემატება ეფრემის მიერ თარგმნილი 19 "აპორიტა" და სავსებით კანონზომიერად ვიღებთ ორმოცდაათსიტყვედს, რასაც აბოლოებს თხზულება "მეტაფრასი ეკლესიასტესი" ეფრემის ცნობილი ანდერძით. ხსენებულ

1 თ. ბრეგაძე, დასახ. შრომა, გვ. 9.

2 ქ. ბეზარაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 123

3 თ. ბრეგაძე, დასახ. შრომა, გვ. 9; ქ. ბეზარაშვილი, ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი ბიზანტიური რიტმული პოეზიის ადრეული ნიმუში (გრიგოლ ნაზიანზელის "სიტყუა სწავლა ქალწულისა მიმართ), გულანის, თბ. 1989, გვ. 86.

ანდერძში გარკვევითაა უწყებელი, რომ ქართული ორმოცდაათსიტყვედის საფუძველია ექვთიმესა და დავით ტბელის თარგმანები, ხოლო "ნეშტი საკითხავთა ამათ, რომელნი აკლდეს ერგასისთა მათ თავთა მიერ შესრულე-ბულსა წიგნსა წმიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისასა" (A - 292, 329r), ანუ ის ნაწილი, რაც ამ თარგმანებს ბერძნულ ორმოცდაათსიტყვედთან შეფარდებით აკლდა (კერძოდ 19 საკითხავი), თვით ეფრემმა შეჰმატა დიდ წინაპრებს.

ამგვარად, ვფიქრობთ, "ეკლესიასტეს მეტაფრასზე" დართული ანდერძი გულისხმობს იმ ორმოცდაათეულს ანუ საკითხავთა იმ "უნაკლულო რიცხვს", რაც შეადგინა ეფრემის მიერ თარგმნილმა 19 "აპორიტამ" ექვთიმესა და დავით ტბელის თარგმანებთან ერთად. ეს ანდერძი, ცხადია, თანადროულია 19 "აპორიტას" თარგმნისა და იგი წინ უსწრებს თექვსმეტსიტყვედის ეფრემისეულ თარგმანს ანუ მიეკუთვნება იმ დროს, როდესაც ეფრემს მხოლოდ 19 "აპორიტა" ჰქონდა თარგმნილი (რითაც მან 50-მდე სრულყო ექვთიმესა და დავითის თარგმანები), ხოლო თექვსმეტსიტყვედი მის მიერ ჯერაც უთარგმნელი იყო, რადგანაც საპირისპირო შემთხვევაში ეფრემი, ეჭვი არ არის, აღნიშნავდა კიდევ თექვსმეტსიტყვედის მის მიერ თარგმნას, როგორც ეს მისსავე სხვა ანდერძებში გვაქვს. ამგვარი აღნიშვნის აუცილებლობა უთუო იყო, რადგანაც ეფრემი ხსენებულ ანდერძში გახაზავს სწორედ იმას, თუ რა არის მისი კონკრეტული წვლილი ორმოცდაათსიტყვედის ქართულ თარგმანში. როგორც ვნახეთ, ეს წვლილი გულისხმობს მართოდენ საკითხავთა იმ "ნეშტს", რაც თავის დროზე უთარგმნელი დარჩათ ექვთიმესა და დავითს.

ამგვარად, ეფრემი ქართულ თარგმანთა "ორმოცდაათსიტყვედის" "უნაკლულო რიცხვში", ზემორე ანდერძის დაწერის დროს, ჩვენი აზრით, გულისხმობდა ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილ თექვსმეტ სადღესასწაულო ანუ ეორტალოგიურ სიტყვას, ექვთიმესა და დავითის მიერ თარგმნილ 14 აპორეტულ სიტყვას, ექვთიმეს მიერვე ერთ საკითხავად გაერთიანებულ მე-2 და მე-3 აპორეტულ სიტყვებს და ბოლოს 19 "აპორიტას", რომლებიც თვით მან (ეფრემმა) თარგმნა.

ხსენებული აპორიტანი და მათი დამაბოლოებელი თხზულება "მეტაფრასი ეკლესიასტესი" (რასაც ერთვის ანდერძი) ტერმინული ასპექტით, როგორც აღვნიშნეთ, უთუოდ წინ უსწრებს თექვსმეტსიტყვედის ეფრემისსავე თარგმანს.

ავიღოთ, თუნდაც ტერმინი *προνοια*. იგი ტრადიციულად ითარგმნებოდა სიტყვებით: "განგებულებად", "განგებად".

ამ მხრივ ნიშანდობლივია გიორგი მთაწმიდლის თარგმანები, სადაც ზემოაღნიშნულ შესატყვისებს აშკარად მყარი პრონოეტული გააზრება აქვთ.

1 ექვთიმეს მიერ II და III სიტყვის გაერთიანების შესახებ, როგორც ცნობილია, გვაუწყებს ეფრემი (A - 292, 279). ეს გაერთიანებული ტექსტი წარმოდგენილია ექვთიმეს თარგმანთა შემცველ ოთხ კრებულში (A-87, S-383, S-1696, P-3). ამასთან, ეფრემისვე უწყებით, მეორე ჰომილია შემდეგში ექვთიმეს დამატებითაც უთარგმნია ("უკუანადს კულა 'ვიძლიე' კიდევანად უთარგმნია", A-292, 279 v; ეს თარგმანი დღეისათვის ერთადერთი ხელნაწერითაა ცნობილი: S-1696, 13; იხ. თ. ბრეგაძე, დასახ. შრომა, გვ. 319). ეგვევ საკითხავი თარგმნილი აქვს დავით ტბელსაც (თ. ბრეგაძე, დასახ. შრომა, გვ. 22; 319). აღვნიშნავთ იმასაც, რომ დავით ტბელს ქართულად გადმოუღია რამდენიმე ისეთი ძეგლი, რომლებიც თარგმანში გრიგოლ ღმრთისმეტყველს მიეწერება, მაგრამ ხსენებული მამის შრომებში შესატყვისი არ ექებნება (51; 97).

მაგალითად:¹

"განგწმედს შენ განგებულებად ღმრთისად" (თალასი, 1.28); "განგებულებით (εκ της προνοιας) მოწვევნილი" (იქვე 1.33); "განგებულებითა თვისითა" (იქვე 1.95); "სიმაღლე განგებულებათა" (1.96); "განგებულებით შთავარდების" (იქვე 2.75); "მათთვის განგებად და ზრუნვად" (იქვე 1.61); "განგებამან შემოქმედისამან" (ბასილი დიდი 5.9; მ. კახაძის გამოც. გვ.62.5)²

ამგვარსავე სურათს გვიჩვენებს თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანებიც, სადაც გარდა ზემორე შესატყვისებისა გვხვდება სხვა ტრადიციული პრონოეტული ტერმინებიც: "მოლუაწებად", "მოსწრაფებად", "ზრუნვად" და მისთ. მაგალითად:

"სამარადისოსა მას განგებასა ცხად-ჰყოფს" (Ath. 29, ფ. 149; col. 89); "საქმისა განგებამან" (იქვე 175; 98); "ფრიადი ჩანს... ზრუნვად და განგებად" (142; 86); "გამომაჩინებელნი განგებისა მისისანი" (იქვე 549; 230); "ჰყოფს განგებულებასა" (ფ. 212; 113); "ვყოთ მოლუაწებად" (67; 53) "ვყოთ მათთვის ზრუნვად და მოლუაწებად" (176; 98); "ვყოთ მოსწრაფებად" (52; 45); "მოსწრაფებასა დასდებენ" (59; 49); "მოსწრაფებად და მოლუაწებად" (113; 73); "ცხორებისა ძიებად" (123; 78); "აჩუენებს მღევანებასა ნათესავისათვის კაცთადასა" (548; 229).

ეფრემ მცირე, ტრადიციის კვალობაზე, უფრო ადრეულ თარგმანებში *προνοια*-ს თარგმნის "განგებულებად" და "განგებად". "ეკლესიასტეს მეტაფრასში" ეს ტერმინი ოთხგზის გვხვდება და იგი ოთხგზისვე გადმოტანილია როგორც "განგებულებად":³

"არარად არს საცხორებელად ჩუენდა მოცემულთაგანი თვნიერ მისისა განგებულებისა (*προνοιας*)" (A-292; 322 v; Pg. 36, 993 D). "ტკბილისა განგებულებისა ღმრთისადასა" (325 v; 1005 B); "მრავალ არს მის ზედა ქმნილი განგებულებად" (326 v; 1008 B); "მსწრაფელ მოვალს განგებულებად ღმრთისად" (326 v; 1009 A).

¹ ბიბლიურ ტექსტებში უმთავრეს პრონოეტულ ტერმინებად ჩანს: "წინადასწარ განზრახვა" (იხ. სიბრძნე სოლ. 14.3; რომ. 12.17; II კორ. 8.21); "წინადასწარ ცნობა" (სიბრ. სოლ. 17.2); "ნებად" (რომ 13.14; შდრ. გიორგისეული რედაქციის "ზრახვად" და ეფრემისეული "წინაგანგებად"), "წინადასწარ ზრუნვა" (სიბრძ. სოლ. 13.16 - "წინადასწარ უზრუნვა"); ბასილი დიდის "ექუსთა დღეთადას" უძველეს თარგმანში ერთგან შესატყვისად გვაქვს "მოლუაწებად" (ი. აბულაძის გამოც. გვ. 63.29). საგულისხმოა, რომ დავით ტბელი "*προνοια*"-ს გადმოსცემს სიტყვით "განგებულებად": "საქმეთა განგებულებითა" (A-292, 170; Pg. 35, 540 A); "წესისა მის განგებულებისა" (იქვე 171; 541 D). "ანტონის ცხოვრების" უძველეს, "მრავალთხვევისეულ" ვერსიაში შესატყვისად გვაქვს "ნებად", რაც ბრიტანული ნუსხის ტექსტში შეცვლილია ტერმინით "წინადასწარცნობად" (ვიმნაიშვილის გამოც. გვ. 18.30).

² გიორგი მთაწმინდელთან, ცხადია, გვხვდება სხვა შესატყვისებიც. მაგალითად: "ზრუნვად სულთა ჩუენთა" (ბასილი, ექუსთა დღეთადა 9.3, მ. კახაძის გამოც., გვ. 106.20); "მოლუაწებისა ღირს იქმნა" (იქვე 5.1; მ. კახაძის გამოც., გვ. 50.20); "მსახურებად და ზრუნვად მისი" (თალასი 2.6).

³ აი, რამდენიმე დამოწმება სხვა "აპორიტათაგან": "მაოცნებელნი განგებულებათა რათმე პყრობისა" (A-292, 221v; 1205 C); "არისტოტელესი იგი სიტყუასიმცირით განგებულებად" (311 v; 24 C); "სიტყუსათვის და განგებისა" (238; 205 C); ერთადერთი შემთხვევა აღნიშნულ საკითხავებში, სადაც უკვე იგრძნობა ეფრემისეული ტერმინოლოგიის სამომავლო ვითარება, არის მიმღეობა *προνοιας*, თარგმნილი როგორც "წინაგანგებელი" (317 v; Pg. 35, 853 C); შდრ. ქვემოდამოწმებული ნიმუშები "გარდამოცემიდან"

რაც შეეხება თექვსმეტსიტყვედს, მასში ორგზის შეგვხვდა აღნიშნული ტერმინი და იგი ორგზისვე თარგმნილია, როგორც "წინაგანგებად":

"თანაწარიტაცის... წამალმან, წინაგანგებით (*εκ προνοιας*) მოვერაგებულმან" (A-109, 93 v 1; 377 A); "წინაგანგებითა (*προνοια*) შემოქმედისადათა" (იქვე, 113.2; 424 A);

ტერმინი "წინაგანგებად" დამკვიდრებული სახით ეფრემის მოღვაწეობის მიწურულს გულისხმობს. ამას ცხადყოფს არეოპაგიტული შრომები, რომლებიც, როგორც ცნობილია, ეფრემმა ბოლო წლებში თარგმნა.¹

აი, სათანადო ნიმუშები ამ თარგმანიდან:

1. *προνοια* - წინაგანგებელობად, წინაგანგებად, წინაგანგებულებად:

"საღმრთოდ წინაგანგებელობად" (56.33; 4.33); "იგუმევეს წინაგანგებელობად" (56.35; 4.33); "უკმდა წინაგანგებელობასა" (57.1; 4.33); "განხრწნად ბუნებისადა არა წინაგანგებელობისადა არს" (57.3; 4.33); "წინაგანგებელობად - თითოეულისა ბუნებისა მაცხოვრებელი" (57.4; 4.33); "წინაგანგებელობისაგან მიცემულთა" (57.8; 4.33); "წინაგანგებელობად და სახიერებად" (58.19; 4.35); "წინაგანგებულებითსა (*της προνοιας*) საჩინოებასა" (59.12; 5.2); "ცხად-ჰყოფენ წინაგანგებელობისა... მისაღებელთა" (92.14; 11.6); "არიან მიმღებელ წინაგანგებელობასა მისსა" (93.14; 12.2); "ჩუენდა-მომართითა მით წინაგანგებითა" (102.16; 1.2); "მიიღებენ წინაგანგებელობასა" (113.7; 4.1); "ყოველთა ზედა მყოფითა მით წინაგანგებითა" (123.36; 7.4); "ყოველთა წინაგანგებელობისა" (130.21; 9.4); "ერთ არს ყოველთა დასაბამი და წინაგანგებად" (130.29; 9.4); "ჯეროვნითა წინაგანგებითა" (137.24; 13.3); "მეორეთა მიმართ ჩინებულისა წინაგანგებულებისათვის" (147.9; 15.5); "წინაგანგებისა და ცხოვრებისათვის" (150.26; 15.9); "სამართლითისა წინაგანგებისაგან" (244.35; ებ. 8.3); "საცნაურთა ღმრთისა წინაგანგებათა" (251.1; ებ. 9.1); "საცნაურთა მათთვის წინაგანგებათა" (253.15; ებ. 9.2); "ყოველთა წინაგანგებისა" (254.5; ებ. 9.3); "ყოვლითურთი წინაგანგებად" (254.15; ებ. 9.3); "ყოვლით-კერძონი წინაგანგებანი" (254.24; ებ. 9.3.)²

2. *προνοητικός* - წინაგანგებითი, წინაგანგებელობითი:

"წინაგანგებითთა სახიერებათა" (57.9; 4.33); "წინაგანგებელობითნი იგი ძალნი" (62.31; 5.7); "წინაგანგებელობითთა ძალთა" (91.32; 11.6); "წინაგანგებელობითთა მათ მოქმედებათა" (136.15; 13.3); "წინაგანგებითობისა მიმართ" (147.27; 15.6); "წინაგანგებელობით დავიცვენ" (241.24; ებ. 8.1); "წინაგანგებითთა... სახიერებათა" (254.2; ებ. 9.3); "წინაგანგებითნი მოქმედებანი მღვმო-

¹ ი. ლოლაშვილი, არეოპაგიტიკის პრობლემები, თბ. 1972, გვ. 31;

² გვაქვს მხოლოდ ერთი გამონაკლისი: "უკუეთუ განგებულებად არს..." (44.10; 4.18)

3. προσητικως - წინაგანმგებელობით:

"მისსა მიმართ ტრფიალ არიან... წინაგანმგებელობით" (38.28; 4.10); "წინაგანმგებელობით და მაცხოვრებლობით" (52.15; 4.24); "ყოვლისავე თანა არს ღმერთი წინაგანმგებელობით" (81.22; 9.5).

4. προσειω (προσειν, προσειω) - წინაგანგება:

"ამაღლებასა მისსა წინა-განაგებდა" (104.7; 2.1) "ზომიერებადცა სიტყვსაჲ წინაგანგებულ-ვყავთ" (151.7; 15.9); "წინაგანმგებელადცა (προσειν) იგალობების" (254.33; ებ. 9.4); "შემსგავსებულად თითოეულისა არსთა მოქმედებისა წინა-განმგებელობს" (56.37; 4.33); "თვთმოდრავთა ზედა წინა-განმგებელობს" (57.5; 4.33).²

5. απροσητος - წინაგანუგებელი:

"არარად არს არსთაგანი წინაგანუგებელ" (56.33; 4.33).

ამჯერად, წარმოდგენილ მყარ ტერმინთშესატყვისობას, რაც ეფრემ მცირის მოღვაწეობის მიწურულს გულისხმობს, შევუდაროთ ის ნიმუშები, რასაც ეფრემის ადრეული თარგმანები ავლენენ. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს იოანე დამასკელის "გარდამოცემა". დავიმოწმებთ სათანადო ადგილებს (არსენ იყალთოელის პარალელურ თარგმანებთან ერთად):

ეფრემი

არსენი

ღმრთისა საქმე არიან არსებად და განგებად (75.1; 957 A).

ღმრთისა ვიდრემე საქმე არიან არსებად და წინაგანგებად (74 v 1).

განგებულებათათვს (დასათაურება 43-ე თავისა, 76 v 2; περι Προσειας, 964 A).

წინაგანგებისათვს (75.2).

¹ ერთგან შესატყვისად გვხვდება "წინამოგონებითი" (129.32; 9.3); ერთგზის დასტურდება "წინამცნობელობითი" (84.3; 9.9), თუმცა ამ შემთხვევაში, ალბათ, ეფრემის მიერ ნასარგებლევ ბერძნულ დედანში იქნებოდა προγνωστικός. ასევე, ერთგან შესატყვისია "წინაღრჩევითი" (45.31; II, 15.3), რაც ბერძნულ ტექსტში უთუოდ გვაგულვებინებს ტერმინს προαιρετικός.

² თითოგზის გვხვდება შემდეგი გამონაკლისები: "წინამოგონებლობა" (84.1; 9.9); "წინაღსწარცნობაჲ" (256.22; ებ. 9.6); "მოღუაწყოფაჲ" (240.5; ებ. 8.1). აღვნიშნავთ იმასაც, რომ არეოპაგიტულ შრომებში ხშირია "προσειουμενον". ეფრემ მცირე რამდენიმე სახით თარგმნის მას: "წინამოგონებული" (102.6 - 1.2; 126.13 - 8.2); "წინამოგონებადი" (146.3; 15.3); "წინაღსწარმეცნიერი" (256.21; ებ. 9.6); "წინაგანსაგებელი" (57.7; 4.33); "წინამოგონებელი" (41.34; 4.13).

განგებულება უკუე არს ღმრთისამიერი იგი მოლუაწებად (76 v 2; 964 A).

განგებულება არს განზრახვად ღმრთისად (76 v 2; 964 A).

უკუეთუ განზრახვად ღმრთისად არს განგებულება, ყოვლად საჭირო არს, რადთა ყოველივე განგებულებით ქმნილი სიმართლისა სიტყვსაებრ შეწყნარებულ იქმნეს, ვითარმედ კეთილად და ღმრთივშუენიერად იქმნების (76 v 2; 964 A).

იგივე და ერთ არს შემოქმედიცა და განმგებელიცა (προνοητης 76v2; 964 A).

შეუტყუებელ და არა მიმდგომ არს, ვითარმცა სხუად იყო დამბადებელი და სხუად განმგებელი არსთად (76v2; 964 A).

განგებასა (προνοειν) შემძლებელ იყვნეს (76v2; 964A).

უკმს განკრძალულებით მხედველთა... ყოვლისავე განგებულებათა საქმისად გამოუძიებელად მითუალვად (77.1; 964 C).

უცნაურებისაგან და მიუწდომელობისა განგებულებათადასა (77.2).

წინაგანგებად უკუე არს ღმრთისამიერი იგი არსთამიმართი მოსწრაფებად (75.2).

წინაგანგებად არს განზრახვად ღმრთისად (75.2).

უკუეთუ ღმრთისა განზრახვად არს განგებად, ყოვლითურთ საჭირო არს წინაგანგებისა მიერ ქმნილნი ყოველნი სიმართლისა სიტყვსაებრ ყოვლად კეთილად და ღმრთივშუენიერად იქმნებოდინ (75. 2).

ერთი და იგივე იყოს შემოქმედიცა მყოფთად და წინაგანმგებელი მათი (75.2).

არცა ჯეროვან არს, რადთა სხუად იყოს შემოქმედი მყოფთად და სხუად წინაგანმგებელი მათი (75.2).

უძლურებასა შინა იყვნენ ...წინაგანმგებელობისასა (75.2).

უკმს მრწმუნებელთა ამათთა... ყოველთა გამოუწულილველად მითუალვად საქმეთა წინაგანგებისათად (75v1).

უცნაურებისათვის და მიუწდომელობისა ჩუენგან საღმრთოთა წინაგანგებათადასა (75v1).

1 არსენთან პროვიდენციულ ტერმინად ერთგან თავს იჩენს, აგრეთვე "განგებულება" (იხ. დოგმატიკონი, ნიკიტ. 276.2; 218.11).

ჩუენ შორის მყოფი არა
განგებულებათაჲ არს (77.
2; 964 C).

განგებულებათაგანი
რომელიმე სათნოყოფითი
არს და რომელიმე შენ-
დობითი (77.2; 965 A).

მრავალნი არიან სახენი
ღმრთისა განგებულებათა-
ნი (77 v 2; 968 B).

ძალი... განმგებელობისა
(77.1; 964 B).

ჩუენ ქუეშენი არა წინა-
განგებულებისანი არიან
(75v1).

წინაგანგებულებისანი
რომელნიმე სათნოყოფით-
ნი არიან და რომელნიმე
შენდობითნი (75 v 1).

მრავალნი არიან სახენი
საღმრთოჲსა წინაგანმგებე-
ლობისანი (75 v 2).

ძალი... წინაგანმგებელო-
ბითი (75.2).

როგორც ვხედავთ, ეფრემ მცირე თავისი მოღვაწეობის ადრეულ პერიოდში პროვიდენციულ ტერმინად იყენებდა ტრადიციულ "განგებულებას" (იშვიათად "განგებას"). განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ბერძნული *προνοια*-ს ზმნურ ფორმას (ზოგჯერ მიმდებარესაც) ეფრემი ამავე "გარდამოცემაში", ჩვეულებრივ, კალკირებულად თარგმნის. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები

ეფრემი

ღმერთი მხოლოდ არს...
წინაგანმგებელ (77.1; 964
A).

რამეთუ წინა-განაგებს და
რამეთუ კეთილად წინა-გა-
ნაგებს (77.1; 964 B).

ვითარცა სახიერი, წინა-
განაგებს (77.1; 964 B).

რომელი არა წინა-განა-
გებდეს, იგი არა სახიერ
არს (77.1; 964 B).

კაცნიცა... წინა-განაგებენ
(77.1; 964 B).

რომელიცა არა წინა-გა-
ნაგებდეს, იგიცა იგმობვის
(77.1; 964 B).

წინა-განაგებს ღმერთი ყო-
ველთა დაბადებულთათვის
(78.2; 969 D).

არსენი

ღმერთი ვიდრემე არს წი-
ნა-განმგებელი (75.2).

ვითარმედ წინა-განაგებს და
ვითარმედ კეთილად წინა-
განაგებს (75.2).

წინა-განაგებს უკუე, ვი-
თარცა სახიერი (75.2).

რომელი არა წინა-განა-
გებდეს, ვითარცა არა სა-
ხიერი, ითქუმის (75.2).

კაცი წინა-განაგებენ
(75.2).

წინა-განაგებს ღმერთი ყო-
ლისა დაბადებულისა... ბუ-
ნებისათვის (76.1).

როგორც სრულიად აშკარად ჩანს, "გარდამოცემის" თარგმნის დროს ეფრემ მცირე პროვიდენციის აღსანიშნავად იუენებს უგამონაკლისოდ მართოდენ ტრადიციულ ტერმინებს "განგებულებად" და "განგებად", მიუხედავად იმისა, რომ ზმნური ფორმა *προνοεω* მის მიერ ასევე თითქმის უგამონაკლისოდ ითარგმნება პრეფიქსულად ("წინა-განგებს"). ეს გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგანაც მკათიოდ წარმოაჩენს, თუ რაოდენ ითვალისწინებდა ტრადიციას ეფრემი თავისი მითარგმნელობითი მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზე. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ მას ღრმად ჰქონდა გაცნობიერებული *προνοια*-ს პრეფიქსული თარგმნის აუცილებლობა და ზმნურ ფორმაში განახორციელა კიდევ ეს, მაინც ამ დროისათვის მან საკუთრივ პროვიდენციულ ტერმინად ჯერ კიდევ ვერ შეძლო პრეფიქსული "წინაგანგების" შემოტანა-დამკვიდრება და ამით ტრადიციის შეცვლა.

ამგვარად, თუკი "გარდამოცემის" ეფრემისეულ ტექსტში ბერძნულ *προνοια*-ს უგამონაკლისოდ ესადაგება ტრადიციული "განგებულებად" და "განგებად", არეოპაგიტული შრომების მისეულ თარგმანში, ასევე უგამონაკლისოდ (გარდა ერთი მაგალითისა), ამასთან, აურაცხელ შემთხვევაში იმავე ცნებით კატეგორიას გადმოსცემს ახალი ტერმინები "წინაგანგებულობად" და "წინაგანგებად".

ზემოთ ვნახეთ, რომ, "წინაგანგებად" *προνοια*-ს ტერმინულ შესატყვისად დასტურდება, აგრეთვე, თექვსმეტსიტყვედში, რის გამოც ხსენებული კრებული (ცხადია, მრავალ სხვა ტერმინულ მომენტთან ერთად) ქრონოლოგიურად უთუოდ უახლოვდება არეოპაგიტულ შრომათა თარგმანებს, მაშინ როცა ზემოაღნიშნული 19 "აპორიტა" და იოანე დამასკელის "გარდამოცემა" უფრო ადრეა თარგმნილი.

ზემორე თარგმანთა ამგვარ ქრონოლოგიურ განაწილებას თითქოს ეწინააღმდეგება ერთი მომენტი, რაც შენიშნულია ი. ლოლაშვილის მიერ. მკვლევარი აღნიშნავს

"1080 წ.-ს, როდესაც ეფრემმა "ფსალმუნთა თარგმანებას" ანდერძი დაურთო, საბა სულაღსძე თუხარსელი (resp. თუხარელი) ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ანტონ ტბელი და კვირიკე ალექსანდრიელი (ხაზი ჩვენია, ე.ჭ.), რომლებიც ეხმარებოდნენ ეფრემს "ფსალმუნთა თარგმანების" გადმოღებაში, გარდაცვლილნი ყოფილან".¹

კარგად არის ცნობილი, რომ ეფრემ მცირემ გრიგოლ დვთისმეტყველის "თექვსმეტსიტყვედის" მისეული თარგმანი უძღვნა კვირიკე ალექსანდრიელს. მან კვირიკესადმი მიმართული საგანგებო ეპისტოლეც წაუძღვა ა ხსენებულ კრებულს (იხ. Jer. 43).² თუკი კვირიკე ალექსანდრიელი 1080 წ.-ს გარდაცვლილი ყოფილა, მაშინ თექვსმეტსიტყვედი ეფრემს უფრო ადრე, XI ს-ის 70-იან წლებში, უნდა ეთარგმნა, უწინარეს "გარდამოცემისა", მაგრამ ამგვარი რამ ტერმინული ასპექტით, როგორც აღვნიშნეთ, შეუძლებელი ჩანს.

უნდა მივუთითოთ, რომ ი. ლოლაშვილის ზემოაღნიშნული აზრი ეფრემ მცირის ანდერძების მიხედვით არ მართლდება. კერძოდ, სრულიად გამორიცხებულია, რომ საბა თუხარელი კვირიკე ალექსანდრიელზე გვიან იყოს გარდაცვლილი. საიდან ჩანს ეს?

როგორც აღვნიშნეთ, ეფრემ მცირემ "თექვსმეტსიტყვედის" მისეულ თარგმანს წაუძღვარა ეპისტოლე კვირიკე ალექსანდრიელისადმი, რაც ცხადყოფს, რომ აღნიშნული თარგმანის დასრულების უამს კვირიკე ჯერ

1 ი. ლოლაშვილი, არეოპაგიტის პრობლემები, გვ. 31.

2 თ. ბრეგაძე, დასახ. შრომა, გვ. 147-149.

კიდევ ცოცხალი ყოფილა. ეს თვით ეპისტოლეშიც გარკვევითაა აღნიშნული
"...მრჩობლ ექუსეულცა იქმნნეს თთუენი ჩემისა ამათ ათექუსმეტთა
საკითხავთა შრომისანი და მცირედ წარმართ, და დაღათუ თქუენ ისწრაფდით
შიშითა ამიერ მიცვალებისადთა, გარნა ესე ნიჭ ღმრთისა, რომელ ჭკრეთ
ვორცთაღა შინა ყოფასა შენ ვორცთა ზეშთადსასა ამათ მიიღეს აღსასრული".¹

ამგვარად, უცილობელია, რომ თექვსმეტსიტყვედის თარგმნის დასრულების
ჟამს კვირიკე ცოცხალია. ეს გარემოება მნიშვნელოვანია, რადგანაც იმავე
თექვსმეტსიტყვედის დამაბოლოებელ ანდერძში, როგორც ამას ყურადღება
მიაქცია მ. რაფავამ, საბა თუხარელი გარდაცვლილად წარმოჩნდება.

"...მადლობად დასაბამსა... სრულ ყვნა ათექუსმეტნი ესე საეკლესიონი
სიტყუანი... ლოცვითა ბერისა ჩუენისა საბადსითა, რომლისა ჭსენებად და
ნეტარებად საუკუნო იყავნ წმიდათა თანა, ამინ" (Jer. 13,250).²

ამგვარად, ეჭვგარეშეა, რომ საბა თუხარელი უფრო ადრე გარდაიცვალა,
ვიდრე კვირიკე ალექსანდრიელი და თუკი ხსენებული საბა 1080 წ-ს კვლავაც
ცოცხალია, როგორც ამას გვიჩვენებს "ფსალმუნთა თარგმანების" ანდერძი,
აქედან ცხადი უნდა იყოს, რომ თექვსმეტსიტყვედი 1080 წ-ის შემდეგ
უთარგმნია ეფრემს. აღვნიშნავთ, რომ მ. რაფავას მართებული დაკვირვებით
საბა და კვირიკე ცოცხალნი არიან 1086-1087 წლებშიც (ამას ცხადყოფს
ეფრემის ანდერძი, რომელიც ერთვის მის მიერ 1085 წლის შემდეგ თარგმნილ
ძეგლს "ცხორებად იოანე დამასკელისად"³).

საფიქრებელია, კვირიკე გარდაცვლილიყო დიონისე არეოპაგელის შრომათა
თარგმნის ჟამს, რადგანაც, ეფრემის ანდერძის მიხედვით, ხსენებულ მოძღვარს
მისთვის ამ თარგმანზე მუშაობის დროს პრაქტიკული დახმარება ("მოლუაწება
და ზრუნვა") გაუწევია.⁴

მეორე მხრივ, თექვსმეტსიტყვედისადმი წამძღვარებული ზემოაღნიშნული
ეპისტოლე აშკარად ცხადყოფს, რომ კვირიკე დღე-დღეზე მოელოდა
აღსასრულს და იმედიც არ ჰქონდა იმისა, რომ ხსენებული თექვსმეტსიტყვედის
თარგმანის დასრულებას მოესწრებოდა. ცხადია, კვირიკე ალექსანდრიელი
თარგმანის დასრულების შემდეგ მალე გარდაიცვლებოდა, ხოლო რადგანაც
იგი, როგორც აღვნიშნეთ, მოსწრებია არეოპაგიტულ კორპუსზე ეფრემის
მუშაობის დაწყებას და ამ მუშაობის დროს გარდაცვლილა, ვფიქრობთ,
ნათელია, რომ თექვსმეტსიტყვედისა და არეოპაგიტული შრომების ეფრემის-
ეულ თარგმანებს მცირე შუალედი აშორებთ. მართლაც, ტერმინული
ასპექტითაც ისინი დაახლოებით ერთი დროის თარგმანებს უნდა წარ-
მოადგენდნენ.⁵

1 თ. ბრეგაძე, დასახ. შრომა, გვ. 148.

2 M. Raphava, B. Coulic, Les colophons d'Ephrem Mtsire et les traductions georgiennes de Gregoire de Nazianze, Le Museon, 1991, p. 115

3 ანდერძის ტექსტი იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები VII, გვ. 176. იხ. M. Raphava, დასახ. შრომა, გვ. 116.

4 იხ. დიონისე არეოპაგელის შრომათა ს. ენუქაშვილისეული გამოც. თბ. 1961, გვ. 019.

5 რაც შეეხება "ფსალმუნთა თარგმანების" ანდერძს, სადაც ღვთისადმი არის ვედრება, რომ აღიღოს სასუფეველში (აღიღენ სასუფეველსა შენსა) ანტონი და კვირიკე, ამგვარი ვედრება, მ. რაფავას აზრით, შეიძლება წარმოითქვას ცოცხალი პირებისათვის (იხ. M. Raphava, დასახ. შრომა, გვ. 116). ვფიქრობთ ეს მოსაზრება სამართლიანია, რადგანაც ცნობილია, რომ ჟამისწირვისას, მაგალითად, მღვდელი აღავლენს ვედრებას ღვთისადმი ცოცხალ პირთა გამო, რომ მოიხსენიოს ისინი სასუფეველში ან "შეიწყნაროს სასუფეველში და ძედ ნათლისა და ძედ დღისა გამოაჩინოს" (იხ. მაგ. ბასილი დიდის ჟამისწირვები, ნ. ქაჯაიას გამოც. გვ. 276; 294).

ამგვარად, თუ შევაჯამებთ, შეიძლება ითქვას, რომ გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვებზე ეფრემ მცირის მუშაობის პირველი ეტაპი მიზნად ისახავდა არსებული ქართული თარგმანების დაკლებული ნაწილის ორმოცდაათამდე შევსებას (შესაბამისად ბერძნული ორმოცდაათსიტყველისა). ეს შევსება მან განახორციელა 19 აპორეტული საკითხავის თარგმნით, რასაც დაურთო სათანადო ანდერძი (იხ. ანდერძი "ეკლესიასტეს მეტაფრასზე").

ეფრემ მცირის მოღვაწეობის მეორე ეტაპი გულისხმობს თექვსმეტსიტყველის, როგორც ერთი მხრივ, ორმოცდაათსიტყვედში შემავალი ნაწილის, მეორე მხრივ კი, ცალკე სადღესასწაულო კრებულის ხელახლა თარგმნას, რაც მიზნად ისახავდა ბერძნულ ორიგინალთან მაქსიმალური სიახლოვის მიღწევას, კონკრეტულად კი გრიგოლ ღვთისმეტყველის სტილისათვის ნიშანდობლივი "სიტყუამოკლებისა" და ღრმამეტყველების ზედმიწევნით გადმოტანას საპირისპიროდ იმავე საკითხავების ექვთიმესეული თარგმანის ვრცელმეტყველებისა.

"ესე (იგულისხმება თექვსმეტსიტყველის ეფრემისეული თარგმანი) ცხად-ჰყოფდინ სიტყუასიმოკლესა და სიღრმესა დიდისა გრიგოლ ღმრთისმეტყუელისასა, ხოლო იგი (ექვთიმეს თარგმანი) სიტყუასივრცესა და განათლებასა წმიდისა მამისა ჩუენისა ეფვმესსა" (Jer.43,3 v).

საგულისხმოა, რომ ეფრემს თექვსმეტსიტყვედი საეკლესიო მსახურებაში საჯარო კითხვისათვის არ უთარგმნია. მისი მიზანი მხოლოდ ის იყო, რომ "გულისხმისმოფელთა" წინაშე უცვლელად წარმოეჩინა გრიგოლ ღვთისმეტყველის შრომათა ნამდვილი სახე, ყოველგვარი გავრცობა-შემატების გარეშე. ზემორე ანდერძში ეფრემი გვაუწყებს

"მას (ექვთიმეს თარგმანს, ე.ჭ.) პატივ-სცემდენ, ვითარცა წმიდისა მოძღურისასა... ხოლო ესე იშვთ ვიეთოვსმე იღვას გულისხმისმოფელთათვს ... და უკუეთუ ვინ იკვრობდეს ამათ ახალთარგმნილთა სიტყუათა წიგნისა უჩუეველობასა ანუ სხუებრობასა ანუ ღმრთისმეტყუელებისა სიტყუათა მიფარულებასა, რომელი მას ნუუკუე და ერისა არამინდობისათვს სხუებრ შეეცვალა, მისთვს მე სიწმიდე შენი (იგულისხმება კვირიკე, ე. ჭ.) მყავს მოწმედ და ღმერთი, რომელ არარას ველმეწიფებოდა თვსით გულით დართვად და სხუებრ ცვალებად, ვიდრე დონანთამდეცა" Jer.43,3 v).

ეფრემის თარგმანი ბერძნულთან მაქსიმალური სიახლოვის გამო ტექსტობრივად მეტად რთულია და, როგორც ზემორე სიტყვებიც ცხადყოფს, ამ თარგმანს ლიტურგიკული ფუნქცია არ უნდა დაკისრებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ხსენებულ თექვსმეტსიტყვედს ეფრემის თარგმანში ჰეშმარიტად აპორეტული მნიშვნელობა შეუძენია და იგი თავისებური განგრძობაა იმ ტრადიციული საეკლესიო აპორეტიკისა, რაც, როგორც აღვნიშნეთ, პირველი საუკუნეებიდანვე შესამჩნევია. აპორეტული წიალი, საზოგადოდ, მოიცავს ისეთ

1 გრიგოლ ღვთისმეტყველის თეოლოგიური სტილის ეს არსებითი ნიშანი რამდენჯერმეა ხაზგასმული ეფრემის მიერ "სიტყუასიმოკლე მოძღურისად (გრიგოლისა, ე.ჭ.) განავრცის (ექვთიმემ, ე. ჭ.) ლიტონისა ერისათვს" (Jer.43.3); "... ვითარისა სიღრმისა და სიტყუამოკლებისაგან ვითარად საკითხავად და განათლებად მიეწინეს" (Jer.13.250). წმ.გრიგოლის სტილი და მისი ეფრემისეული შეფასებანი დაწვრილებითაა შესწავლილი ქ.ბეზარაშვილის მიერ, აგრეთვე თ.ოთხმეზურის, მ.რაფაეას, მ.მაჭავარიანის გამოკვლევებში (იხ. "ფილოლოგიური ძიებანი", II, თბ. 1995).

2 ეფრემის მითითება თარგმანის "უჩუეველობაზე" უთუოდ გვახსენებს მის ანალოგიურ შენიშვნას დიონისე არეოპაგელის შრომათა შესახებ: "ხოლო აწ უწყოდე, ვითარმედ ვის ღმერთმან მისცეს წმიდისა დიონისიოდს წიგნისა თარგმნად, მრავალთა უჩუეველთა სიტყუათა უნდა მოპოვნებად" (A-24, 102). ესაა სრულიად აშკარა მითითება ტერმინოლოგიურ-სტილურად ახალი მთარგმნელობითი ეპოქის დადგომის შესახებ.

ძეგლებს, რომლებიც არ განიკუთვნებენ დოგმატის, რჯულდების პატივს. ისინი მოწოდებულნი არიან მარტოდენ განსჯისათვის, მსჯელობისათვის, "გონების წვრთნისათვის", "ძიებისათვის". მაგალითად ასეთი დანიშნულება განუსაზღვრა, როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, თავის ჰექსემერონულ გამოკვლევას გრიგოლ ნოსელმა, როდესაც ბასილი დიდის ანალოგიურ შრომასთან დაკავშირებით გვამცნო

"არამედ იგი (ბასილის "ექუსთა დღეთად") იყავნ მტკიცე და უცვალებელ და ღმრთივსულიერთა შჯულთა მეორე, ხოლო ჩუენმიერი ესე, ვითარცა საწურთელი რადმე და საგონებელი, ეგრეთ მდებარე იყავნ წინაშე სასწავლელად ყოველთა, რომელნი მიემთხვნენ..., რამეთუ არათუ ბრძანებად (δουλα) დავსდებთ სიტყუათა ამათ, გინა მოძღურებად უცვალებელად, რადთამცა მიზეზ-ვეციით მაცილობელთა; ამისთვისცა აღვიარებთ, ვითარმედ საწურთელად ხოლო გონებისა აღვსწერთ წინამდებარესა ამას გულისკმისყოფასა და არა მოძღურებად მისათხრობელად შემდგომითი-შემდგომად" (გრიგოლ ნოსელი, პასუხი ექუსთა მათ დღეთათვს, 1.11; საქ. ეკლ. კალენდ. 1 8 წ. გვ. 203-204).¹

ეს, რაც შეეხება ზოგადად აპორეტიკას. მთარგმნელობითი ასპექტით, აპორეტულად წარმოჩნდება ის ძეგლი, რომელიც განსაკუთრებული (არასაღვთისმსახურო, არასამრევლო) მიზანდასახულობის თარგმანს წარმოადგენს და მარტოდენ "იშვთ ვიეთვსმე გულისკმისყოფელთათვს" არის განკუთვნილი. ასეთად აღიქმება "თექვსმეტსიტყვედის" ეფრემისეული თარგმანი, რაც დამატებით საფუძველს ქმნიდა მისი ცალკე კრებულად არსებობისა.

ცნობილია, რომ თექვსმეტსიტყვედი, როგორც ეორტალოგიური ძეგლი, დამოუკიდებელ კომენტირებულ კრებულად არსებობდა თვით ბერძნულ ენაზე. სავსებით ცხადია, ეფრემის ტექსტი წარმოადგენს ერთ-ერთი ამგვარი კრებულის ზედმიწევნით თარგმანს. რა სახე ჰქონდა ეფრემის მიერ თარგმნილ თექვსმეტსიტყვედს, როგორც კრებულს?

Jer.43-იდან ცხადი ხდება, რომ ხსენებულ კრებულს წინ უძლოდა მთარგმნელის, ეფრემ მცირის ეპისტოლე კვირიკე ბერისადმი. ამ ეპისტოლის შემდეგ იწყებოდა კრებული იმ სახით, რა სახითაც ის არსებობდა ბერძნულად. კერძოდ, თავში წამძვარებული იყო გეორგის ზემოხსენებული აკროსტიქული იამბიკო და ეს გეორგი უთუოდ არის ეფრემის მიერ სათარგმნელად აღებულ ბერძნულენოვან თექვსმეტსიტყვედთან დაკავშირებული პირი. იამბიკოს მოსდევდა "ზანდუკი", შემდეგ ჰერმენევტულ ნიშანთა ახსნა,² შემდეგ კი თექვსმეტი საკითხავი სათანადო კომენტარებით. უკრებული ბოლოვდებოდა გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვებით კვიპრიანესადმი, რასაც ქართულ თარგმანში მოსდევდა მთარგმნელის, ეფრემ მცირის ანდერძი (იხ. Jer.13,250).³

ზემოწარმოდგენილი სურათი ცხადყოფს, რომ გეორგი არის ბიზანტიელი მოღვაწე, რომელიც დაკავშირებულია გრიგოლ ღვთისმეტყველის ბერძნულენოვან თექვსმეტსიტყვედთან. ერთი შეხედვით, თითქოს საგულისხმო ჩანს, რომ

1 როგორც უკვე აღვნიშნეთ, გრიგოლ ნოსელის კვალობაზე, მსგავს აზრს გამოთქვამს მაქსიმე აღმსარებელიც: "ესენი ვიდრემე უკუე შეძიებლობით და არა შჯულისმდებლობით ითქუნეს ჩუენ მიერ" (გელ. 14, ხელნ. 304.1; 4320).

2 გეორგის იამბიკო და ნიშანთა სისტემის ახსნა გვხვდება Jer. 43-ში, ასევე A-52-ში; მ. რაფაეა, გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიათა... გვ. 67-69; გვ. 76.

3 იხ. მ. რაფაეა, დასახ. შრომა, გვ. 70.

გრიგოლ ღვთისმეტყველის კომენტატორთა შორის ცნობილია X ს-ის მოღვაწე გიორგი მოკენოსი, რომელსაც პირველს განუმარტავს ცალკე ზემოხსენებული თექვსმეტსიტყვედი. სპეციალურ ლიტერატურაში მის შესახებ აღნიშნულია

"გრიგოლის თექვსმეტი სიტყვა, რომლებიც ღვთისმსახურების დროს იკითხებოდა, კომენტირებული იყო გიორგი მოკენოსის მიერ, რომლის შესახებ არაფერი ვიცით. მისი სქოლიოების შედგენილობის ზუსტად აღდგენა არ ხერხდება, რადგანაც თავდაპირველი სახით მხოლოდ 1, 1, 3 და 45 სიტყვათა სქოლიოებია შემონახული. ამასთან, ხსენებული სიტყვებისა და დანარჩენი 12 სიტყვისადმი დართული სქოლიოები შემორჩენილია "სილლოგეში" ("კრებულში", ე.ჭ.), რომელიც მოკენოსის სქოლიოთა გარდა შეიცავს ბასილი მინიმის, ვინმე თეოფილესა და მაქსიმე აღმსარებლის სქოლიოებს".¹

თითქოს სავარაუდოა, რომ, ეფრემის დედანი ყოფილიყო ერთ-ერთი ამ ტიპის "სილლოგე", დაფუძნებული გიორგი მოკენოსის მიერ რედაქტირებულ-კომენტირებულ თექვსმეტსიტყვედზე, მაგრამ ამგვარი მტკიცებისათვის დღეისათვის, გარდა სახელის დამთხვევისა, სხვა არავითარი წყარო არა გვაქვს.

ამგვარად, ერთადერთი რაც მყარად შეიძლება ითქვას, არის ის, რომ ზემორე იამბიკოს ავტორი გეორგი ბიზანტიელი მოღვაწეა და ხსენებული იამბიკო კრებულთან ერთად აქვს თარგმნილი ეფრემ მცირეს.

რაც შეეხება სხვა იამბიკოებს, რომელთაც უნდა შეხებოდა ჩვენი მსჯელობა, ისინი, როგორც აღვნიშნეთ, ეფრემის მიერ თარგმნილ კრებულში თავდაპირველად არ არსებობდა (იხ. Jer. 43, Jer. 13) და მათი დაკავშირება ხსენებულ კრებულთან მოგვიანებით მოხდა, უთუოდ გელათის საღვთისმეტყველო სკოლაში.

გავიხსენოთ, რომ ტერმინოლოგიური კვლევა ეხებოდა ბიჯა-ს ქართულად თარგმნის საკითხს. ზემორე იამბიკოებისადმი ყურადღებაც სწორედ ამან განაპირობა.

როგორც აღვნიშნავდით, გელათურ სკოლაში ისე განივრცო ქართული "თნების" სემანტიკური წიაღი, რომ მან ბერძნული ბიჯა-ს თელემატურ-აზროვნებით შინაარსთან ერთად რამდენიმე შემთხვევაში მისი მადიდებლობითი მნიშვნელობის გადმოცემაც იტვირთა, რამაც შედეგად მოგვცა "ორთოდოქსიის" კიდევ ერთი შესატყვისი "მართლმთნებლობაჲ" (ნაცვლად "მართლმადიდებლობისა"). ეს ტერმინული სიახლე თავს იჩენს ზემოხსენებულ გელათურ იამბიკოთაგან ერთერთში, კერძოდ იამბიკოში ათანასე დიდისადმი, რომელიც წინ უძღვის ამავე წმინდანის შესახებ გრიგოლ ღვთისმეტყველის ცნობილი სიტყვის ეფრემისეულ თარგმანს (Jer. 15, A-10). ხსენებული იამბიკო ასეთ ხოტბას ასხამს ათანასეს

"მართლმთნებლობისა მზე, მეხი წვალებათა".²

დავძენთ, რომ იგივე ტერმინი ერთგზის გვხვდება, აგრეთვე, მაქსიმე აღმსარებლის გელათურ თარგმანებში, სადაც ზმნიზედა *ορθοδοξια* თარგმნილია, როგორც "მართლმთნებით".

¹ I. Sajdak, *Historia critica scholiastarum et commentatorum Gregorii Nazianzeni*, Krakau, 1914, s. 135-136. აღნიშნული გამოკვლევა მოგვაწოდა ქ. ბეზარაშვილმა

² თ. ბრეგაძე, დასახ. შრომა, გვ. 136; 154; მკვლევარი ხსენებულ სიტყვას კითხულობს, როგორც "მართლმთნებლობისა", რაც სწორი არ არის. ასევე არ არის ზუსტი მ. რაფაეასეული წაკითხვა: "მართლმთნებლობისა" (იხ. მ. რაფაეა, გრიგოლ ნაზიანზელის კომოლიათა... გვ. 75)

"მართლთნებით მქადაგებელსა, შენ, გაქუნდეს ქადაგებული აღთქმისაებრ" (გელ.14, ხელნ. 271.2; col. 61 C).

განვაგრძოთ მსჯელობა **ბიჯა**-ს შესახებ

ზემოხსენებული დოქსასტური ტერმინი "თნებად" ერთადერთია იოანე პეტრიწისათვის. ნემესიოსის წიგნში ბერძნული ბიჯა უკლებლივ ყველგან (გარდა სახარებისეული დამოწმებისა, სადაც ბიჯა "დიდებას" ნიშნავს) აღნიშნული ტერმინით არის თარგმნილი, მოგვაქვს სათანადო ნიმუშები

"...თნებათა მიერ წინააღმდეგობაჲ ურთიერთას" (25.4; 537 B); "ჰგავს უკუე და ამისვე თნებისა დამდებელად ღალინოსცა საკვრველი მკურნალი" (50.6; 588 B); "სული გრძნობადთა გინამე გრძნობისსაცავთა მიერ მიითუალავს და იქმნების თნება, ხოლო გონიერთა - გონებისა მიერ და იქმნების გაგონება" (8 .16; 661 A); "არიან ტყუილ... რაოდენნი გრძნობისა მიერ იქმნებიან და არამართლისა თნებისა" (102.8; 681 A); "ესე არს უძკრეს, - დადგრომაჲ თნებათა ზედა" (12 .1; 721 B); "წინააღრჩევად...არცა თნება ვიდრემე არს" (135.2 ; 733 A); "თნებაჲ (არს) არა მხოლოდ ჩუენმიერთათვს, არამედ და სამარადისოთათვსცა; მერმეცა უკუე რამეთუ თნებასა ჭეშმარიტადცა ვიდრემე ვიტყვთ და ცრუდცა, არამედ წინააღრჩევასა არასადა ვიტყვთ ჭეშმარიტად და ცრუდ; და რამეთუ თნებაჲ მებრ საყოველთაო, ხოლო წინააღრჩევად მებრ თვთეულთა" (135.30-136.4; 733 A); "ვაჩუენებთ თნებისა მათისა უჯერობებასა" (142.15; 744 B); (აპოლინარმა) "ესე უკუე დამსჭუალა საძირკუელად თვისისა თნებისა და ნამეტნავნი დაპრთნა თვისისაებრ გარდაცემისა (ბიჯა)" (4.6; 504 A); "და კუალად განვიცადოთ შემდგომთა შორის თნეობაჲ მანიქეველთაჲ" (45.1; 577 A); "მთქმელობაჲ და მთნებელობაჲ (ბიჯაჯეიუ) და განმსჯელობაჲ" (3 .21; 568 A);¹

იოანე პეტრიწი, მსგავსად ზემოგანხილული გელათური ტექსტებისა, უმრავლეს შემთხვევაში ასევე "თნებად" თარგმნის ზმნას **ბიჯეა**. მაგალითად

"მრავალთა და კეთილთა კაცთა ეთნო (ეფიქრა, ე.ჭ.)" (3.10; 504 A); "არა ვეთნნეთ (არ ვეგონოთ, არ მიგვიჩნიონ, ე.ჭ.) ვიეთმე ეზომთა სიკეთეთათვს მიუწომელთა სიგრძეთა აღმწერელად კაცთათვს" (23.3; 533 B); "რომელნი ითნებდენ (მიიჩნევდნენ, ე.ჭ.) სისხლ, გინა საფშვნველ ყოფასა სულისასა" (27.3; 541 B); "და მეცა მეთნების (მეჩვენება, ვთვლი, მივიჩნევ, ე.ჭ.) ესე ამათ პირთათვს უმჯობესისა მიწევნილად" (47.2 ; 584 A); "თვთეულთა გუართაებრ ცხოველისათა ითნებს (მიიჩნევს, მოიაზრებს, ე.ჭ.) და სულისა გუარსაცა" (50.8; 588 C); "ითნებვიან (მიიჩნევიან, ჩანან, ე.ჭ.) ერთვმაყოფად კაცნი ესე" (5 .8; 60 A); "პლატონს ეთნების (მიიჩნია, ჰგონია, ე.ჭ.) სამთა უკუე ასოთა ურთიერთას შეცვალებად" (66.6; 621 B); "რაჟამს უკუე სახეთა, რომელ მიითნნა (მოისაზრა, ე.ჭ.)² და რომელ მიიგონებნა, თვსშორის

¹ როგორც აღვნიშნეთ, სახარებისეულ დამოწმებაში ბიჯა თარგმნილია "დიდებად": "დარჩომილ არს ვინამე დიდებაჲ სხვსად, ვითარ შობითგან ბრმასა ზედა, რომელსა... დიდებისათვს ძისა კაცისა შეენდო შობითგანვე ბრმაყოფად" (172.11 - 13; 812 B).

² პეტრიწთან გვხვდება, აგრეთვე, ფორმა "მიეთნების" (ბერძნ. *μυεταί*, ლათ. *antecedit*; 156.11; 769B).

დამტვევებელ იყოს, აღვსენება ეწოდების" (8.18; 661 A); "საჭირო არს ჩუენებად, ვითარმედ ესრესახე არს ესე, რათა არა ვეთნეთ (არ წარმოვუჩინდეთ, არ ვეგონოთ, არ მიგვიჩნიონ, ე.ჭ.) უტყუად მრწმუნებელნი" (1.8; 661 A); "გუეთნოს (τα δόξαντα მოგვესაზროს, ე.ჭ.) ჩუენ კეთილად" (136.27; 736 A); "ერთგზის აღდგომისათვის და არა მოქცევთაებრ ყოფად მეთნენი (δόξαντες; მიმჩნეველნი, ე.ჭ.) ქრისტეს სიტყუათანი (151.3; 761 A).¹

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ დავუბრუნდეთ "ორასეულსა" და "ოთხასეულს". ვნახოთ რა სურათს გვიჩვენებენ ისინი დოქსასტური ტერმინოლოგიის მხრივ. მართალია, სულ ორი დამოწმება გვაქვს, მაგრამ თარგმანთა ატრიბუციის თვალსაზრისით, ალბათ, მნიშვნელოვანი. განსაკუთრებით საგულისხმოა პირველი ნიმუში, სადაც δόξα თარგმნილია, როგორც "ნებად"

"რაჟამს გონებამან ზედამდებარენი იგი თვისნი არსთა-თვისნი მრავალნი ნებანი (δόξας) განიყარნეს, მაშინდა გამოუჩინდების მას უგანცხადებულესი სიტყუად ჭეშმარიტებისად" (ორასეული 2.75).

ვფიქრობთ, აღნიშნული ტერმინთშესატყვისობა ამჭერადაც ეფრემ მცირეზე მიგვითითებს და არა გელათურ სკოლაზე.

მეორე შემთხვევაში δόξα თარგმნილია, როგორც "გულისკმისყოფანი" ("სამნივე ესე გულისკმისყოფანი", იქვე 2. 3), რაც ასევე, სავსებით შესაძლებელია ეფრემისათვის, რომელიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ერთერთ დოქსასტურ ტერმინად "გონებასაც" გვაწვდის, რაც შინაარსობრივად ხშირად უიგივდება "გულისკმისყოფას".²

ამგვარად, ის ფაქტი, რომ "ორასეულში" დოქსასტურ ტერმინად არ გვხვდება "თნებად" და რომ ამგვარ ტერმინად თავს იჩენს "ნებად", ხსენებულ "ორასეულსა" და "ოთხასეულს" უთუოდ გვაძივნიებს მაქსიმეს გელათური თარგმანებისაგან და კვლავაც ეფრემ მცირისაკენ მიაქცევს ჩვენს ყურადღებას.³

1 იშვიათ შემთხვევაში δοξα თარგმნილია, როგორც "იჭუნეულობა". მაგალითად: "ირემთად იჭუნეულების არქონებად მწითურისა ნავლისად" (60.10; 612 B); "ამით ვინაძვე თვთ თავისთვის იჭუნეულების შექმნად" (123.15; 713 B) "ადგილისათვის იჭუნეულების ქმნაყოფად" (123.17; 713 B); "რომელთასა ჩუენმიერ ყოფად იჭუნეულ ვართ" (142.14; 744 B); ერთგან შესატყვისია "საგონებელ ყოფა" (172.2; 812 A), ერთგან კი "საზრო ყოფა" (არ საზრო იყო, 58.22; 609 A); აღვნიშნავთ, რომ საკუთრივ "თნება" ერთ შემთხვევაში გადმოსცემს ბერძნულ αιρεω-ს: "არასადა ვინ ითნოს (ελοιτο) ქმნად ამისდა" (128.18; 721 A); სხვაგან იმავე "თნებით" თარგმნილია ბერძნული ορμη: "არარადთ თანმწე თვისთა თნებითა მისდა მაიძულებელისა" (127.16; 720 B); ერთგზის ბერძნული αιρεται გადმოტანილია ჰენდიადისის გზით: "საწადელ და თანსათნო" (128.13-14; 721 A); პროკლეს წიგნში ასეთი შესატყვისობა გვაქვს: δόξασιος-თნებითი, δόξα-თნებითი ძალი (ს. ყაუხჩიშვილის ტერმინ. ლექს. 142; 195). ტერმინები "თნებად", "თნებული" და ზმნა "თნება" გვხვდება პეტრიწის კომენტარებშიც (იხ. იქვე გვ. 268).

2 საყურადღებოა ისიც, რომ ერთგან ბერძნული δόξασμα ეფრემს თარგმნილი აქვს, როგორც "მოგონებად": "არსისა მიმართ... მოაქცევს მრავალსახეთა მოგონებათა" (დიონისე არეოპაგელი, 35.7; 4.5); ტერმინი "მოგონებად" "გულისკმისყოფის" ცნობილი სინონიმი.

3 აღვნიშნავთ, რომ "ორასეულში" ერთგან δόξα გვხვდება "დიდების" მნიშვნელობით პავლე მოციქულის ცნობილ სიტყვებში: "დიდებითი - დიდებად" (2.18; შლრ. II კორ. 3.18); ერთგან დასტურდება "დიდებისმეტყუელება" (δοξολογια, 2.78).

X. *Εξίς*

აღნიშნული ტერმინი ნიშნავს თვისობრივ მდგრადობას, სულიერ ან ხორციელ მდგომარეობას, შეძენილ, მაგრამ მყარ, ნიშანდობლივ თვისებას. იგი უძველეს ქართულ მწერლობაში ითარგმნებოდა, როგორც "ძალი",¹ "სახე",² "წესი",³ "საზომი",⁴ "აგებულება",⁵ "ჩუეულება"⁶ და ა.შ.

ეფრემ მცირესთან გვხვდება სხვადასხვა შესატყვისი. ადრეულ თარგმანებში უფრო ხშირია ტერმინები "წესი" და "ჩუეულება". ზოგჯერ მოხმობილია ორივე მათგანი, ანდა გვაქვს შეწყვილება "ჩუეულებისა წესი". მაგალითად

"განყოფილებისაებრ ჰასაკთა და ჩუეულებათა" (გრიგოლ ღვთისმეტყველის აპორეტული სიტყვები, A-2 2, 240; col.212 C); "ჩუეულებით განითვისვიდეს კეთილსა რასმე" (24 v; 1152 C); "ჩუეულება აქუს" (307 v; 233 C); "მიწთომილებითა წესთადთა" (გარდამოცემა 64.1; 17 A; შდრ. არსენი "ანაგებად რადმე... მოსრულნი", 6 .1); "ანგელოზსა თანამორბედად ველმწიფებისა აქუს წესიცა და ჩუეულება" (იქვე 3 v 1; 1041 C; შდრ. არსენი "ანგელოზისათვის, ვითარცა თანამორბედებითა ანაგებისადთა ველყოფასა თანა" 83.1); "ჟამიერ რადმე ჩუეულებისა წესი უკმს... წინადაწარითა მოგონებითა" (3v1; 1041 C; შდრ. არსენი "ჟამიერად წინაგანმჩინებელობითა... ანაგებისადთა" 83.1); "სახითა, რომელ არს შესახედავი, და წესითა" (იქვე 45.1; 828 B).

ამგვარსავე სურათს გვიჩვენებს "დიალექტიკის" ეფრემისეული თარგმანი, სადაც მხოლოდ ზემორე შესატყვისები ("წესი" და "ჩუეულება") ავლენს თავს.

გვიანდელი დროის თარგმანებში აღნიშნულ შესატყვისებთან ერთად თავს იჩენს ტერმინი "გუარი", აგრეთვე, "ანაგები". საგულისხმოა, რომ "დიალექტიკის" თარგმანში ეფრემი "გუარს" მარტოდენ დიათეტური შინაარსით იყენებს და უპირისპირებს კიდევ ზემოხსენებულ ბერძნულ ტერმინს, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, იგი ხსენებულ ძეგლში "წესად" ან "ჩუეულებად" თარგმნის. ამგვარი გამიჯვნის კარგი ნიმუშია შემდეგი ადგილი

"ძნიად განსაგდებელი იგი არს წეს (*εξίς*) და ადვილად განსაგდებელი იგი - გუარ (*διαθεσις*)" (დასახ. გამოც. 38.7; ტერმ. ლექს. გვ. 183).

1 შდრ. "არა ყო მოწაფეთა შორის მისთა ძალი გულისჴმისყოფად" (მატბ. კრ. გვ.67.35; 125 C);

2 შდრ. "რომელთა სახითა მით გონებანი წურთილნი ჰქონედ" (ებრ. 5.14; უძველესი რედაქციები; შდრ. შატბ. კრ. 102.4); "კეთილი სახს (*εξίς*) შექმნათავისა თვისისა" (ანტონის ცხოვრება, იხ. მამათა ცხოვრებანი, თბ. 1975, გვ.13.34; Pg.26, 852B).

3 შდრ. "პავლეთა" იმავე მუხლის გიორგისეული რედაქცია: "რომელთა წესითა მით გონებანი წურთილნი ჰქონედ"; აგრეთვე: "წესსა რასმე გულისჴმისყოფისასა" (გრიგოლ ნოსელი, დაბადებისათვის კაცისა, გიორგი მთაწმიდლის თარგმანი, გვ. 3; 125 C); "წესი არს სათნოებისად" (თალასი 3.78 - გიორგის თარგ.); "წესი სათნოებისად" (იქვე 3.85).

4 "სრულისა საზომისა საქმედ უწესს მოციქული" (დაბადებისათვის კაცისა, გიორგის თარგ., გვ.93; 197 C).

5 "მოკლებასა... უზუცეს აგებულებისა ვერვინ იტყვს" (იქვე გვ.133; 236 D).

6 "ჩუეულება სათნოებისა" (თალასი 3.3 - გიორგის თარგ., საქ. ეკლ. კალენდ. 1989); "ჩუეულება ბოროტი" (იქვე 3.68); "სენ სულისა არს ჩუეულება ბოროტი" (იქვე 2.89); "ჩუეულება შრომისმოყუარე" (იქვე, 4.64).

7 იხ. დიალექტიკა, დასახ. გამოც; გამოცემაზე დართული ტერმ. ლექსიკონი, "ანაგები"

ამჯერად დავიმოწმებთ ნიმუშებს გვიანდელი თარგმანებიდან, სადაც ერთერთ ძირითად შესატყვისად გვხვდება ტერმინი "გუარი"¹

"სხუათა გუართათვს" (დიონისე არეოპაგელი, შრომები. გვ. 47.7; 4.20); "არა მოსლვითა რადსავე გუარისადთა იყვნინ არსნი" (47.14; 4.20); "რომლისა მიერ არს... ყოველი გუარი" (63.5; 5.7); "საღმრთოთა განწყესებისა გუარისა... შემკობილებანი" (102.35; 1.3); "ითარგმანებიან... ღმრთისსახეობათა მათთა გუარებისა სახელებითა" (118.34; 7.1); "მსგავსებითა კეთილთა გუართა და მოქმედებათადათა" (123.5; 7.4); "უმარჯობისაგან გუარისა" (136.30; 13.3); "გუართა მათთა შემომკრებელობასა" (146.36; 15.4); "გუარისა... მონიჭებითა" (156.3; 1.1); "რომელი-იგი (ნათლობა, ე.ჭ.) სხუათა მათ სამღდელოთა სიტყუათა და მემსხუერპლეობათა შემწყნარებელად სიმარჯუედ დაჰსახავს ბუნებითა გუართა ჩუენტა" (160.21; 2.1); "უმსგავსოებისა გუარსა რეცა შებერვით განაბნევს" (166.32; 2.3); "იპყრობენ უცვალებელობასა... ღმრთისსახეობისა გუართასა" (167.5; 2.3); "სიწმიდითა ღმრთისსახისა გუარისადთა" (171.15; 3.2); "ყოვლად წმიდად იგი ქებისმეტყუელებად სულიერთა მათ გუართა ჩუენტა შეეხოს" (173.38; 3.3.5); "გუარისა უვნებელობითა" (176. ; 3.3.7); "ვერ შეუძლებდენ დგომად ღმრთისსახეთა მათ გუართა უძრავობასა შინა" (177.8; 3.3.7); "უსაღმრთოესისა გუარისა და აღყვანებისა მიმღებელად დაადგინოს" (177.2 ; 3.3.7); "ღმრთისსახეობისა გუარსა" (17 .11; 3.3.10); "ღმრთისსახისა მის და განურღუეველისა გუარისა მიმართ აღვისწრაფდეთ" (182.21; 3.3.12); "მოქალაქობათა და გუართა წარმართებისა" (183.12; 3.3.14); "ყოვლითავე გუართა მათითა ღმრთისსახე იქმნენ" (183.21; 3.3.14); "ღმრთისსახენი გუარნი... დატევნისაებრ უჩუენენ მათ" (187.10; 4.3.3.); "არსებითა მათ გუართა" (1 0.20; 4.3.10); "ვითარცა კაცი, განწმდეს ღმერთმთავრობითითა სულითა და ვითარცა ღმერთსა, უქცეველად არსებითა ღმრთეებისა გუარისადთა აქუნდეს მინიჭებად საღმრთოდასა სულისად" (1 1.27; 4.3.11); "სრულებად უკუე აქუს... ყოვლითურთი გუარი" (1 3.17; 5.1.2); "გუარსა და ძალსა სამღდელოსა მიანიჭებს" (200.1; 5.3.3); "სამღდელოდათა გუართა... სამღდელოდასა სრულყოფისა მიმართ მიიწიოს გონებად წმიდად" (201. 21; 5.3.6); "ხედვითად გუარად და ძალად მღდელმემსხუერპლეობით სრულ-იქმნებიან" (203.2; 5.3.8); "შეურყეველობად საღმრთოთა გუართა შინა" (203.30; 6.1.1); "ესევითარი იგი ხედვითსა გუარსა და ძალსა სამღდელოდ აღწევნულ იქმნების" (204.10; 6.1.2); "ღმრთითმობილობასა ცვალებად სამოსლისად ცხად-ჰყოფდა განწმედილისა ცხორებისაგან ხედვითისა და განათლებითისა გუარისა მიმართ აღსლვასა" (206.26; 6.3.4); "გუარი საღმრთოდ ჰქონდის" (215.3; 7.3.6); "ღმრთისსახისა გუარისათვს" (215.12; 7.3.6); "გუარისაგან აჩუენებს" (216.18; 7.3.7); "უსაღმრთოესისა გუარისა და მოდასეობისა მიმართ... სრულყოფად" (218.15; 7.3.10); "სიწმიდისა გუარისა მიმართ მოვლენ" (21 .8; 7.3.11); "არცადა გუართა და სარწმუნოებითა ჰეშმარიტებით ერწმუნოს" (243.37; ებ. 8.12); "კეთილთა მიმართ განმტკიცებულებითა გუარისადთა" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, A-10 , 80 v 2; 353 A); "გუარისაებრ (κατα την εξιν) და სენისა" (იოანე დამასკელი, სიტყუად წმიდათა ხატათვს, II, A-162, 141 v; Pg. 4, 128); "მოგვიღებეს განმრჩეველობითი გუარი ღმრთისა მიერ" (იოანე დამასკელი, სიტყუად

1 აღვნიშნავთ, რომ არეოპაგიტული შრომების ეფრემისეულ თარგმანში ტერმინი "გუარი" ერთგან ჰენდიადისურ წყვილში გადმოსცემს ბერძნულ *θεοις*-ს: "არცა კუალად არს რადმე ესევითარისა მის წესი და გუარი" (76.9; 8.5); ერთ შემთხვევაში "გუარად" არის თარგმნილი *λογος*: "უშფოთველობით შემკობილად წესითა და გუართა" (იქვე 78.35; 8.9); როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც გვაქვს ჰენდიადისი "წესი და გუარი".

სიტყვსაგებელი მათი, რომელნი ჰგმობენ წმიდათა ხატთა, ტექსტი გამოსაცემად მომზადებული აქვს მამა ვახტანგ ასათიანს, მანქანაზე გადაბეჭდილი გვ. 8; Pg. 4, 1237 D).

გარდა აღნიშნული შესატყვისისა, ეფრემის გვიანდელ თარგმანებში არაიშვიათად გვხვდება, აგრეთვე, ზემოხსენებული "წესი" და "ჩუეულება". მაგალითად

"მის მიერ არსებითისა წესისა ქონებასა ხუედრებულ არიან" (დიონისე არეოპაგელი, 31.27; 4.2); "მის მიერ არს ყოველთა... ყოველი წესი" (იქვე 38.8; 4.10); "...საღმრთოთა წესთა და მოქმედებათასა" (51.13; 4.23); "განბოროტნებიან... მოკლებითა წესთა და მოქმედებათადათა და თვისთა უძლურებითა" (52.1 ; 4.24); "განხრწნა ბუნებისა არს უძლურებად და მოკლებად ბუნებითა წესთა" (53.2; 4.24); "ესე არს სიბოროტე ჯორცთაცა შინა და სულთა და გონებათა, განვრდომად და მოუძლურებად ბუნებითა მათ კეთილთა თვისთა წესთაგან" (53.25; 4.27); "მოუძლურებად... წესისა" (57.18; 4.34); "რისხვითობად... მოასწავებს... მოუმედგრებელსა წესსა" (107.22; 2.4); "ხედვითისა მიმართ წესისა... აღმავლობით" (112.2; 3.3); "წესსა საკუთარსა შეუქმს" (173.35; 3.3.4); "სიმდაბლესა ჩუენსა თანა-შეეერთა თვისისა მის თანა შეურევნელისა და შეუმრღუეველისა ყოვლითურთისა წესისა" (181.1; 3.3.11); "კუალად წესსა წმიდასა მოუგებდენ" (187.16; 4.3.3); "ყოვლისა ჩუეულებისა... ზეშთააღმატებით აღმალლებულსა" (იქვე 11.5; 1.5); "არა საქებელ არს... გარემიქცევად თვისთა კეთილთა ჩუეულებისაგან" (58.7; 4.35); "ჩუეულებასა საღმრთოსა შეუქმოდის" (21.30; 7.3.11); "მიილოს მათგან ჩუეულებად სიწმიდისად" (21.35; 7.3.11); "განმლეველ არს იგი... ბოროტთა ჩუეულებათა" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, A-10, 108.1; 412 A).

საყურადღებო გვეჩვენება იმის აღნიშვნა, რომ ეფრემ მცირის თარგმანებში თავს იჩენს კიდევ ერთი შესატყვისი "ანაგები". ეს ტერმინი, კერძოდ, გვხვდება იოანე დამასკელის ენკომიაში იოანე ოქროპირისადმი,¹ რომელიც შეზოგვინახა ხელნაწერმა Jer.23. ხსენებული ენკომია, ჩვენი აზრით, ეფრემ მცირის თარგმანს წარმოადგენს. ამას, ერთი მხრივ, გვაფიქრებინებს ის, რომ აღნიშნული ძეგლი ხელნაწერში მოთავსებულია ეფრემის თარგმანთა შორის, მეორე მხრივ კი, ეფრემზე მიგვითითებს თარგმანის ტერმინოლოგია. განვიხილოთ მოკლედ ეს საკითხი

უპირველესად, აღვნიშნავთ, რომ ხსენებული თარგმანის სტილურ-ტერმინული მონაცემები სრულიად შეუძლებელს ხდის მის მიკუთვნებას ეფრემზე უწინარესი ეპიქისადმი. მთარგმნელი უთუოდ XI ს-ის მიწურულისა და XII ს-ის საეკლესიო მოღვაწეთა შორის უნდა ვეძიოთ. ამგვარი ძიების უამს ცალკეული ტერმინული დაკვირვებანი მყარ ორიენტირად გვესახება. მაგალითად

ა) ბერძნულ ტექსტში ერთგან გვხვდება უარყოფითი შინაარსის *αμετοχος* (Pg. 6, 776A), რაც ეფუძნება ცნობილ ტერმინს *μετεχω* (*μετοχη*, *μετοχος*). მის შესახებ დაწვრილებით გვქონდა მსჯელობა. აღვნიშნავდით, რომ ეფრემ მცირის სპეციფიკას შეადგენს ტერმინთშესატყვისობა *μετοχη* - "მიღებად", "მიმღებლობად",

წინამდებარე თარგმანში უარყოფითბრეფიქსიანი *α-μετοχος* თარგმნილია, როგორც "ვერმიმღებელი":

"ვერმიმღებელთა ნაყოფიერებისათა" (მრავალთავი, II, გვ. 140).

1 ტექსტი გამოკვლევითურთ გამოცემულია თ. ჯყონიას მიერ. იხ. მრავალთავი, II, თბ. 1973, გვ. 127-148.

ამგვარი თარგმანი ზედმიწევნით ეფრემისეულია. პარალელისათვის მოვიტანთ ერთ ადგილს არეოპაგიტული შრომებიდან

"სახიერისა სულისა ჰერეთ ვერმიმღებელთა (*αμετοχοις*)" (247.8; ებ. 8.5).

ბ) ბერძნულში ერთგან გვხვდება ზმნა *αποδοτοιαι* (780 C), რაც თარგმნილია იშვიათი ფორმით "უკუნ-ეზლო" ("ყოველთა უკუნ-ეზლო ყოვლად ყოველთა ქმნილი", 146).

ხსენებული ბერძნული ტერმინის შესატყვისად თეოფილე ხუცესმონაზონთან დასტურდება, მაგალითად, "მოცემად"

"მოცემად (*αποδοσιαι*) ჩუენდა ნაყოფსა" (Ath. 2, ფ. 14; col. 27).

არსენ იყალთოელი გვაწვდის კალკირებულ თარგმანს "უკუნ-ცემად"

"ათერთმეტთა დღეთა უკუნ-სცემს მზესა" (გარდამოცემა 66 v 1; 8 7 A).

გრიგოლ აკრაკანტელის შრომის თარგმანში ბერძნული *αποδοσεις* გადმოტანილია, როგორც "განმასრულებლობათა"

"ღმრთივსულიერთა წერილთა საიდუმლონი ხედვანი უსაიდუმლოესთა მქონებელ არიან, გულისხმისყოფათა და განმასრულებლობათა სიტყუათასა" (102.16; 7 B).

აღნიშნული ტერმინი არაიშვიათია თეოფილაქტეს "ლუკას თავის განმარტებაში". იოანე ჭიმჭიმელი შესაბამის ადგილთა ასეთ თარგმანებს გვაწვდის

"უკუანადსკნელსა მწულილსა უკუნ-ვჰსცემდეთ" (A-113, 112v1; 0 D); "არაოდეს გუეგულვების უკუნცემად" (111v1; 0 D); "უკუანადსკნელიცა უკუნ-ჰსცე მწულილი" (112.2; 0 C); "გარდამოვეციოთ" (134v1; 48D); "ასწილად უკუნ-სცემენ" (144v1; 65C); "მივჰსცნე და უკუნ-ვსცემ" (175v2; 1021A); "უკუნ-ეც მას იგი" (187.2; 1044B); "სავმარ არს უკუნცემად კეისრისათა" (187v1; 1044B); "ჰერ არს უკუნცემად მისი" (187v1; 1044C); "რომლისა უკუნცემასა იტყვს აქა" (187v2; 1044C); "უკუნ-ჰსცენით... კეისრისანი კეისარსა... უკუნ-ეც უკუე თანანადები" (187.2; 1044A); "ღმრთისა გიღირს უკუნცემად... უკუნ-ეც მას გონებითად მოქმედმან" (187.2; 1044B); "მიჰსცემს სასყიდელთა" (1 0v1; 104 B); "ვალისა უკუნცემისა მბრძანებელმან" (213v1; 10 2A).

მითითებული ტერმინი "განმარტების", "განსაზღვრის", "დადგენის" შინაარსით მეტად ხშირია ამონიოს ერმისის შრომებში. იგი თარგმნილია ორგვარად "განჩენად" (იშვიათად "განჩინებად")² და "გარდაცემად" (იშვიათად "გარდმოცემად"). მაგალითად

1 აღნიშნული ძეგლის ორიგინალში ერთგან გვხვდება ასეთი შესიტყვება *συλλογιστικη αποδοσις* (796 C; შდრ. ლათ: qua ratione exponat), რაც თარგმნილია შემდეგნაირად: "ფილოსოფებრი მეტყუელებად" (24.19).

2 საყურადღებოა, რომ მიმღეობა *αποδοθεις* გიორგი მთაწმიდლის მიერ თარგმნილია, როგორც "განჩინებული": "...კაცთათვის განჩინებულისა მის სიტყვსა" (გრიგოლ ნოსელი, სწავლანი, Ath. 14,8; 24 B). აღვნიშნავთ იმასაც, რომ ტერმინები "განჩენად", "განჩენილი" გვხვდება ნემესიოსის პეტრიწისეულ თარგმანში, მაგრამ არა საკუთრივ ამოლოტურ ცნებებად. "განჩენად", კერძოდ, გადმოსცემს ბერძნულ *προτροπη*-ს (153.17.20 - 765B; 154.11 - 768A; შდრ. "განმაჩინებელ არს" - *προτρεπει*, 153.18 - 765B), *διαταξαι*-ს (148.29 - 756C), ხოლო "განჩენილი" - *ρητος* (47.6 - 581A; შდრ. "განჩენით თქმულთა" - *ρηταις*, 150.13 - 760A), *υποθεις* (სიტყვით განჩენილსა და წინადადებულსა, 148.12 - 756A), *αρισμενος* (116.28 - 704A; შდრ. "განჩენილ და საზღვროან", 139.9 - 737C; შდრ. აგრეთვე: "განჩენილა" - *αρισται*, 147.3 - 753A), *αποκεκληρωσθαι* ("განჩენილ არიან", 142.20 - 745A).

1. αποιδωμι:

გარდმოსცეს (44.14.16; 54.2.5); გარდმოსცა (45.39; 56.12); გარდავსცემთ (47.4; 58.2); გარდავეციოთ (49.34; 62.1); გარდავსცემთ (73.6; 95.9); გარდასცეს (112.27; 21.3); გარდასცემდეს (117.23; 26.31); გარდასცემდეს (131.11.16; 41.26; 42.4); გარდმოსცა (140.11; 51.5); გარდმოსცა (150.8; 61.7 - შენ.); გარდასცემს (156.32.34; 67.12.14); გარდასცა (78-79; 103.7); გარდასცემს (81.18; 106.12); გარდასცემს (87.11.17.18; 114.10.15.16); გარდაეცემისო (157.17; 68.6); გარდაეცემის (157.28.30; 68.15.17); გარდაეცეს (160.24.26; 71.17.18); გარდასცემს (173.4; 84.21); გარდასცეს (112.27; 21.3); გარდასცეს (112.30; 21.5).

განუჩენთ (46.3; 56.15); განუჩინენით (46.7; 56.18); განუჩენს (60.8.16; 76.13.22); განუჩენს (60.20; 77.10); განეჩინებთან (5.9).

2. αποδουναι:

გარდაცემად (45.12; 55.12); გარდაცემად (47.20; 58.15); გარდაცემად (49.25; 61.19); გარდაცემად (77.18; 101.9); გარდაცემად (133.6; 44.8); გარდაცემად (133.8.14; 44.9.15); გარდაცემად (151.22; 61.9); გარდაცემად (112.30; 21.4);

განჩენად (45.33; 56.6); განჩენად (45.13; 55.13); განჩენად (45.25.29; 56.1.3.); განჩენად (4.18); განჩენად (32.20; 37.7); განჩენად (70.7; 91.15).

3. αποδοσις:

გარდაცემისა (49.26; 61.19); გარდაცემისა (162.11; 73.9).¹
განჩენისათვის (30.15; 34.15); განჩენად (60.21; 77.12); განჩენად (69.33; 91.6.7); განჩენასა (69.37; 91.10); განჩენად (70.3.8; 91.12.17).

4. αποιδουναι:

გარდაცემად (112.11; 20.15);
განჩენად (31.2; 35.10); განჩენად (46.22; 57.8).

5. αποδεδομενος:

გარდაცემულისა (118.10; 27.16); გარდაცემულსა (134.19; 45.6); გარდაცემული (141.18; 51.17); წინაგარდამცემელობითა (προ-αποδεδομενος, 150.4; 61.7 - შენ); გარდაცემულისა (155.3; 65.20).

განეჩინნენ (67.22; 88.1).

6. αποιδοδομενος:

გარდაცემულისა (85.4; 111.7); გარდაცემულისა (141.31; 52.12); გარდაცემული (162.12; 73.10).

განჩინებულთა (7.27; 6.5).

7. αποιδουσις:

განმჩენელთა (58.16; 74.4).

¹ ერთგან შესატყვისათა 'განცემად' (30.22; 34.21);

8. αποδοσεις:

გარდაცემული (47.22; 58.16); გარდაცემული (50.30; 63.7); გარდაცემული 51.24-64.11; 54.18-68.22); გარდაცემულიცა (56.16; 71.18); გარდაცემული (133.23; 44.22); გარდაცემულთა (162.4; 73.1);¹

განჩენილი (58.20; 74.8); განჩენილისასა (60.21; 77.11); განჩენილი (60.21.22; 77.11.14).

მეექვსე ჰომოგენური ჯგუფის სხვა ძეგლებში დაკანონებულ შესატყვისად თავს იჩენს ზემოხსენებული ტერმინი "გარდაცემა" ("გარდმოცემა").

"მრავალგზის გარდმოსცა სიტყუამან" (მაქსიმე, გელ 14, ფ. 257.1; 21 A); "გარდაცემულისაებრ ძალისა თარგმანებისადასა" (ფ.281.1; 724 A); "გარდაცემულისაებრ ძალისა სიტყვსადასა მეტყუელთა" (ფ. 425.1; 521 A); "ზედმიწევნულობით გარდასცეს" (იქვე, ხელნ. 256 v 1; 20 B); "ცოდვათა-ძლითნი ტანჯვანი გარდაეცნენ ყრმათაცა მათთა" (თეოფილაქტე, A-52, 69; 41 C).²

იოანე პეტრიწის მიერ თარგმნილ შრომებში ტერმინი *αποδομι* გვხვდება მხოლოდ ერთგზის. თარგმანი ასეთია:

"სულისათვის და სხეულისა გარდამოვსცეთ სიტყუად" (11.19; 513 B).³

წარმოდგენილი სურათის ფონზე თითქოს რამდენადმე სპეციფური ჩანს იოანე დამასკელის ხსენებული ენკომიის თარგმანში დადასტურებული შესატყვისი "უკუნ-ეზღო".

ზემორე განხილვის უამს ჩვენ არ შევხებივართ აღნიშნული ბერძნული ტერმინის თარგმნის საკითხს ეფრემ მცირესთან. ამჯერად ხაზგასმით ვიტყვით, რომ ტერმინი "უკუნ-ეზღვა" ბერძნული *απο-δομι*-ს შესატყვისად ნიშანდობლივია სწორედ ეფრემისათვის. მხედველობაში გვაქვს მისი როგორც ადრეული, ასევე გვიანდელი თარგმანები. მაგალითად, ადრეული თარგმანებიდან დავიმოწმებთ "გარდამოცემას":

"ათერთმეტსა დღესა უკუნ-მიუზღავს მზესა" (A-24, 59 v; 877 A; შდრ. არსენის ტექსტი: "ათერთმეტთა დღეთა უკუნ-სცემს მზესა", 66 v 1).

გვიანდელი თარგმანებიდან მივუთითებთ არეოპაგიტული შრომების ერთ ადგილს:

"რომელნი-იგი უმეტესად ჰქონან უკუნეზღვისაებრ სიტყვსა წესისა" (43.6; 4.16).⁴

ამგვარად, აღნიშნული ტერმინული ასპექტითაც იოანე დამასკელის ენკომიის ქართული თარგმანი ეფრემ მცირისაკენ მიაქცევს ჩვენს ყურადღებას (ტერმინ "უკუნეზღვას" ქვემოთ კვლავ შევხებით).

¹ აღნიშნულ ადგილას ტერმინი *αποδομι* ხშირად გვხვდება. აი, თარგმანის შესაბამისი ადგილები: გარდაეცემის (162.2); გარდაეცეს (162.4; 73.3); გარდავსცემთ (162.6; 73.4); გარდაეცეს (162.8; 73.6) გარდაეცნენ (162.13; 73.11); გარდაეცეს (162.14; 73.12).

² ამავე ძეგლში ერთგან შესატყვისად გვხვდება "მიცემა" (21 v; 1213 A-B).

³ შესაძლოა ამავე ტერმინული შინაარსისა იყოს პროკლეს კომენტარებში დამოწმებული "გარდაცემა" (იხ. ტერმ. ლექსიკონი, გვ. 253). საფიქრებელია, ამავე *αποδομι*-ს (ანუ "უკუმიგებას") გულისხმობდეს საყოველთაო განკითხვასთან დაკავშირებით პეტრიწის მიერ ხმარებული ტერმინი "განჩენა" (... და მერმისა მის საყდართა წარმოლობისათვის და ძუელისა მის დღეთაგან (ოფ. მე) განჩენისათვის, პეტრიწი II, გვ.209.6.

⁴ ეფრემთან, ცხადია, გვხვდება სხვა შესატყვისებიც. მაგალითად: "მოცემულისაებრ" (არეოპაგიტ. შრ. 133.29; 11.2); "მოცემულთა" (იქვე 148.21; 15.7); "უკუნ-ვსცეთ" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, A-109, 188v1 - 397B; 228.1 - 1172A); "მიგება" (ოთხასეული, 2.37; 2.49)

გ) თარგმანის ატრიბუციის თვალსაზრისით რამდენადმე მნიშვნელოვანია ტერმინი *προαιρεσις*, რომელიც ძველ ქართულ მწერლობაში, საზოგადოდ, მრავალგვარად ითარგმნებოდა, თუმცა უადრესი ტექსტების პროერეტულ ტერმინთა ნაირგვარობაში ერთერთ ძირითად შესატყვისად ჩანს "ნებად". ამის კარგი ნიმუშია გრიგოლ ნოსელის "კაცისა შესაქმის" უძველესი თარგმანი:

"კაცი ესე ველმწიფე-ყოფად არს... ნებასა ზედა თავისა თვისისასა" (მატბ. კრ. 95.29; 185 A; შდრ. გიორგი: "კაცობრივისა ნებისა ველმწიფებად", გვ. 78); "იხილა წინადასწართა ცნობითა, ვითარმედ დაუდგრომელ ყოფად არს ნებად კაცისად კეთილისა მიმართ" (97.38; 189 C; შდრ. გიორგი: "წინადასწარ იხილა წინადასწარმცნობელითა მით ძალითა თვისითა არა მართლ, არცა წრფელად წარმართებად ნებისა მისისად კეთილისა მიმართ", გვ.84); "ჟამსა ძილისასა... საშუმინველი არავე დასცხრების, დაღაცათუ არა შეუდგის ნებად" (123.36; 245D; შდრ. გიორგი: "ძალისა მიერ... აღმოფშვნივად ჰაერისად არა დაცხრების და არცა მოაკლდების, დაღაცათუ არცა ერთი რად აქუნ ამის პირისათვის შეწვენად ნებისაგან", გვ. 144);

ხსენებულ ძეგლში ერთგან გვხვდება შესიტყვება *η προαιρετική κίνησις*, რაც უძველეს თარგმანში ასეა გადმოცემული:

"მუნითგან იყოფვის ძრვად ნებათად ყოველსა ზედა გუამსა" (83.34; 156 D; შდრ. გიორგი: "თვთმფლობელისა მის აღძრვისა მიერ აღვილ იყოს საშუვალთ ყოველისავე გუამისა მიმართ განყოფად", გვ.41).

მიმღეობა *προαιρουμενος* თარგმნილია ასე: "გამომრჩეველ არნ" (91.17; 176 A; შდრ. გიორგი: "გამომრჩევენ", გვ.66).

ერთგან შესატყვისად გვაქვს "ზრახვად":
"და კუალად აუწყებს მოციქული ზრახვასა მას განყოფილად სამად პირად" (79.19; 148 A; შდრ. გიორგი: "და ეგრეთვე სამთა ნებათა განყოფილებად უწყის მოციქულმან", გვ. 29).

პროერეტულ ტერმინებად "ნებად" და "ზრახვად" გვხვდება, აგრეთვე, ბასილი კესარიელის ჰექსემერონის უძველეს თარგმანში. მაგალითად:

"იტყვან, ვითარმედ... ეწოდა მათ ზღუა მღელვარე" ... შფოთისა აღძრვითა მათითა ზრახვისა მათისათვის" (51.5; 3.9; შდრ. გიორგი: "იტყვან, ვითარმედ... ზღუად" იწოდნეს... ნეფსითისა მისთვის აღძრვისა მათისა" 38.31); "ვპყოფთ ნებითა ჩუენითა კეთილსაცა და ბოროტისაცა" (86.19; 6.7. შდრ. გიორგი: "თითოეულისა ჩუენისა ნებად უფალ არს... საქმეთა სათნოებისა და უკეთურებისათა", 71.28); "ბოროტი ნებითა მათითა არს" (87.8; 6.7; შდრ. გიორგი: "ნეფსით განბოროტდებიან", 72.9).

აღნიშნულ ძეგლში ერთგან "ნებად" არის თარგმნილი, აგრეთვე, მიმღეობა *προαιρετικός*:

"ცხოველნი ვიდრემე უკუე არიან იგინი და აქუს მათ ნებად" (87.9; 6.7; შდრ. გიორგი: "პირველად უკუე ვიდრემე არიან იგინი ცხოველნი მნებებელნი", 72.10).

უადრესი ტექსტების სხვა პროერეტულ ტერმინთაგან ერთერთი მნიშვნელოვანია "გონებად". მაგალითად:

"შერევნასა მას ენათასა მაშინ განყოფანი იყვნეს გონებათანი" (სინური მრავალთავი 188.5; Pg.33,988 C-D); "ვაჲ, გონებად უღირსი" (იქვე 214,27; Pg. 59, col.489); "მართლ-გონებად (*ορθη προαιρεσις*) ანტონის ცხ.", მრავალთ. ვერს.; ბრიტ.: "მართალი გულსმოდგინებად". ვ.იმნ. გამ. გვ.20-21).

საგულისხმოა, რომ "სინური მრავალთავი" შეიცავს ბასილი კესარიელის საკითხავს "ორმეოცთა მოწამეთათვის", რაც შემდგომი ხელმეორედ თარგმნა ექვთიმე ათონელმა. ცნობილია, აგრეთვე, ხსენებული საკითხავის მესამე,

გელათური თარგმანი. უადრეს თარგმანში ბერძნული *προαιρεσις* ასეა გადმოტანილი:

"იყო შენ მოწამე გონებითა შენითა" (სინ. მრავ. 115.9; შრ. ექვთიმე: "იქმნე შენცა მოწამე გონებითა";¹ შდრ. გელათური: "მოწამე იქმნე წინააღრჩევითა" გელ. 2,138); "მკნედ და უმჯობესად გამოჩნდენ გონებითა" (სინ. მრავ. 116.7; ექვთიმე: "ახოვანნი სულნი და გონებითა მიმსგავსებულნი მათნი", დასახ. გამოც. 171,11; შდრ. გელათური: "უახოვნესნი და მათნი უთვსესნი წინააღრჩევითა", გელ.2,138 v).

გიორგი მთაწმინდელთან, როგორც ამას ზემომოტანილი პარალელური ნიმუშები ცხადყოფს, ერთ-ერთ ძირითად პროერეტულ ტერმინად ჩანს "ნებად", რომლის გვერდით, სხვა შესატყვისებთან ერთად, თავს იჩენს "განჯრახვად". საგულისხმოა, რომ ერთგან ბერძნული *προαιρεσις* ჰენდიადისურად არის თარგმნილი, როგორც "განჯრახვად და ნებად":

"არაოდეს ჰგიან ერთსა ზედა განჯრახვასა და ნებასა" (ბასილი, ექუსთა დღეთად, მ. კახაძის გამოც. 84.27; 7.3; შდრ. ტექსტზე დართული ლექსიკონი, გვ. 124; შდრ. ძველი თარგმანი: "არაოდეს დაადგრებიან ერთსა რასმე ზედა", 100.12).

ტერმინ *προαιρετικος*-ს გიორგი ნაირგვარად თარგმნის, მაგალითად:

"განმგებელი და ჭერმჩინებელი სული" (გრიგოლ ნოსელი, დაბადებისათვის კაცისა, გვ. 139; col 241 D); "ჭერმჩინებელსა ძალსა" (გვ. 139; 241 D); "განმგებელითა და თვთმფლობელითა სულითა" (141; 244 B); "ჭერმჩინებელითა მით სულითა" (141; 244 C); "ყოველი განგებად (*προαιρετικον*) სულისად" (149; 249 C-D; შესაძლოა დედანში ყოფილიყო *προνοητικον*).

იგივე ტერმინი, როგორც ზემოთ ვნახეთ, გიორგის თარგმნილი აქვს, აგრეთვე, სიტყვით "მნებებელი".

ამჯერად კვლავ მოვუხმობთ რამდენიმე ციტატას გიორგი მთაწმინდლის თარგმანებიდან, სადაც პროერეტულ ტერმინებად გვხვდება ზემოაღნიშნული შესატყვისები:

"შინაგან ნებისა (*τη προαιρεσει*) აღმოეცენების ბოროტი" (გრიგოლ ნოსელი, სწავლანი, Ath. 14, 8v; Pg. 45, col.24 D); "უკეთურებად გარეშე ნებისა (*εξω προαιρεσεως*) თავით თვისით არა იხილვების" (იქვე, A-55, 1 v; col. 32 C); ეშმაკმა "ძმაცულებისა მიერ სიბოროტე შეზავა ნებასა კაცისასა" (იქვე, Ath. 14, 11; 29 C); "აქუს მას (ღვთის სიტყვას, ე.ჭ.) ძლიერებად შემსგავსებული ნებისა და ჭერჩინებისად (*κατα προαιρεσις*)" (იქვე Ath. 14, 7; 21 A); "არს იგი სიტყუად არსებითი... მნებებელი (*προαιρετικη*) ყოვლისავე კეთილისად" (იქვე 7; 21 A); "... არსებითად და გუამოვნად და მნებებელად (*προαιρετικον*)" (იქვე 5 v; 17 B); "გუამოვან არს იგი და მნებებელ" (იქვე 5v; 17 C).²

¹ იხ. ბასილი კესარიელის სწავლათა ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, თბ.1983, გვ.170. 19; ბერძნ. ტექსტი იხ. Pg. 31, 507-524. აღვნიშნავთ, რომ პროერეტულ ტერმინად "გონებად" გვხვდება, აგრეთვე, დავით ტბელთან: "არა ერთ იყო ორთავე გონებად (*προαιρεσεως*)" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, განდგომილისა ივლიანესათვის, A-292, 174; Pg. 35,552).

² ზმნა *προαιρεω* გიორგის ერთგან თარგმნილი აქვს, როგორც "აღრჩევა": "ბოროტი კეთილსა აღიჩიე (*προελομενη*)" (იქვე 9; 25 A).

ასევე, თალასი მონაზონის "ოთხასეულის" გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანში *προαιρεσις* გადმოტანილია, როგორც "ნებად" (3.81; საქ. ეკლ. კალენდ., თბ. 1989, გვ.442).

საგულისხმოა ისიც, რომ უარყოფითპრეფიქსიანი *απροαιρετον* ხსენებული მამის მიერ გადმოტანილია, როგორც "უნებლიეთი":

"ესე არს უნებლიეთისა მის აღმოფშვნივისა მიზეზი" (გრიგოლ ნოსელი, დაბადებისათვის კაცისა, გვ. 145; 248 A).

პროერეტულ ტერმინთა ტრადიციული ნაირგვარობა სრულყოფილად ვლინდება თეოფილე ხუცესმონაზონთან. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"დაეცემის არა ბუნებისაგან განსაცდელთაჲსა, არამედ უძლურებისაგან გონებისა" (Ath. 29, ფ.25; col. 32); "არა ერთისა გონებისანი" (ფ.496; 215); "გამოაჩენს... უკეთურებასა გონებისა მათისასა" (ფ. 594; 243); "განიცადე თვთმფლობელობაჲცა ნებისაჲ" (225; 117); "სიმედგრისათვის ნებისა... სიმაღლისა მისგან ქუე გარდამოითხია" (250; 126); "თვთ მოუვდა ბოროტებასა ნებისა მიერ უკეთურისა" (682; 268); "ნებასა მედგარსა და გონებასა უკეთურსა მიაჩემე" (672; 265); "ენება, რადთამცა ძმანიცა მისნი თანაზიარ ყვნა უკეთურსა მას ნებასა და გონებასა თვისსა" (684; 268); "არა ერთი ნებაჲ კეთილისაჲ აჩუენოს" (677; 266); "თვისსა მიერ გონებისა კეთილისა (*γνῶμη*) და ცნობისა მრთელისა (*προαιρεσεως υγιους*) ... მსხუერბლი სამადლობელი შეწირა მეუფისა" (591; 242); "არა ბუნებასა ძეს შინა ჩუენსა სიბოროტე, არამედ ნებასა (*γνῶμη*) და ცნობასა" (677; 266); "...წარწყმიდა სიხენეშითა ცნობისა თვისსაჲთა" (685; 269).

დამოწმებული ნიმუშების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თეოფილე ხუცესმონაზონი ხსენებულ ბერძნულ ტერმინს ძირითადად თარგმნის შემდეგი შესატყვისებით: "გონებაჲ", "ნებაჲ", "ნებაჲ და გონებაჲ", "ნებაჲ კეთილისაჲ", "ცნობაჲ".

საგულისხმოა, რომ ერთ შემთხვევაში თეოფილეს უთარგმნელად გადმოაქვს ბერძნული ტერმინი, როგორც "პროერესი" და იქვე ურთავს თავის განმარტებას: "ნებაჲ აღმრჩეველი":

"პროერესი არს ჩუენი მიზეზი ყოველთა ბოროტთაჲ, ესე იგი არს, ნებაჲ აღმრჩეველი კეთილისა გინა ბოროტისაჲ" (იქვე, ფ.496; 215; ტერმინი "პროერესი" გვხვდება ეფრემ მცირესთანაც, აგრეთვე, Ath.6-ის ტექსტებში, რაც პეტრე გელათელის თარგმანებს უნდა წარმოადგენდეს, იხ. ქვემოთ).

პროერეტული ტერმინოლოგია საყურადღებო ცვალებადობას განიცდის ეფრემ მცირის თარგმანებში, რომელთაგან შედარებით ადრეულნი ტერმინული მრავალგვარობით ხასიათდება. მაგალითად:

"თვთმფლობელობით ველმწიფებაჲ აქუს" (გარდამოცემა, 65 v 1; 924 A); "შემდგომად წინადადებისა იქმნების თვთმფლობელობით ნებებაჲ" (72.1; 945 B); "ხოლო ცნობასა და აღრჩევასა უფლისათვის თქუმაჲ ყოვლად შეუძლებელ არს, ოდესცა საკუთრებით ვმეტყუელებდეთ და არა მოპოვნებულად" (94.1; 1044 B); "თანა-შემაერთებს გონებითითა აღრჩევითა" (119 v 2; 1153 B); "გონებით და აღრჩევით იქმნების შეერთებაჲ ესე" (119 v 2; 1153 B); "შეერთებოდინ ღმერთსა გონებითა" (122.2; 1164 B); "კეთილისა გულისხმეჲსა (123 v 2; 1169 B); "წინაწარ უწყის ღმერთთან უკეთურებაჲ გონებისა მისისაჲ" (135.2; 1217 A-B); "ვიტყვ ბუნებითსა და გონებით აღრჩევითსა (*προαιρετικην*) განწმედლობასა" (49.1; 852 B); "შუებისა უბადრუკებათა შევაკარ გონებაჲ ჩემი" (გრიგოლ ნეოკესარიელი, A - 292, 322; Pg.10, 992 D); "კაცისა არა გონება-კეთილისა" (იქვე 323 v; 997 C); "განყოფილებაჲ

ნებათა და მოქალაქობათა" (A-292, 311; Pg.36, 21B); "სძულობდესვე უგბილობასა გონებისა მათისასა" (იქვე 303v; 220B); "მრავალ განყოფილება არს ცხორებათა და გონებათა" (239v; 212B); „წინაგანრჩევად“ (A-24, 74v1-2; Pg. 94, 956 A-C); „წინაგამორჩევად გონებისად“ (76.1; 960 C); „გულება“ (75.2; 957B) და სხვა.

მიუხედავად წარმოდგენილ შესატყვისობათა მრავალგვარობისა, ეფრემის ადრეულ თარგმანებშივე იგრძნობა სწრაფვა ბერძნული ტერმინის ზედმიწევნითი სიზუსტით გადმოტანისაკენ. უკვე "გარდამოცემის" ტექსტში ავლენს თავს ახალი პროერეტული ტერმინი "წინა-აღრჩევად", რაც მსგავსად ზემოგანხილული "წინა-განგებისა", არსებითად ეფრემის მიერ უნდა იყოს დანერგილი. მოგვაქვს ნიმუშები:

"თვთმფლობელობით წინა-აღრჩევს (*προαιρείται*)" (A-24, 72.2; 945 C); "ამას ორთაგან ერთად შეკრებულსა ეწოდების წინააღრჩევად" (იქვე 72.1; 945B).

თუკი ამგვარი ტერმინული სიახლე ეფრემის ადრეულ შრომებში უმნიშვნელოა, ბოლო დროის თარგმანები, პირიქით, მკვეთრად წარმოაჩენენ მას, რითაც დავიწყებას ეძლევა თითქმის ყველა ზემოწარმოდგენილი ტრადიციული შესატყვისი.¹ მაგალითად:

"კმად წარმოსაჩინებელი მომცეს ჩუენ წინააღრჩევისა შენისად" (ბასილი დიდი, ეპისტოლენი, 154; ნ. ქაჯაიას გამოც. 249.13); "დრკუითა წინააღრჩევითა შემოვლენ" (ებ. 261.3; გამოც. 253.16); "მომატყუებელნი კეთილისა მაგის წინააღრჩევისა შენისანი" (ებ. 279; გამოც. 255.10); "ყოვლისა შენდა მოყუსებით წინააღმრჩეველისა (*προαιρουμενω*)" (ებ. 150.2; გამოც. 247.6); "მზე არა განიზრახავს, არცა წინა-აღრჩევს (*προαιρουμενος*) რასმე" (დიონისე არეოპაგელი, 30.1; col.693 B); "არ მეძავი წინააღრჩევითა" (გრიგოლ ღვთისმეტყველი A - 109, 155 v 1; 860 C); "სახელდებულნი წინააღრჩევის გამო" (იქვე 155 v 2; 861 B).²

აღვნიშნავთ, რომ ხსენებულ თარგმანებში, კერძოდ, გრიგოლ ღვთისმეტყველის თექვსმეტსიტყვედში თავს იჩენს კიდევ ერთი პროერეტული ტერმინი "გულსმოდგინებად":

"...არა საზომითა გულსმოდგინებისადთაცა" (A-109; 97.2; 385A); "... შეწყვიტა გულსმოდგინებისადთა" (97v2; 385C).³

გრიგოლ აკრაკანტელისა და ოლიმპიოდორეს შრომათა თარგმანები პროერეტული ტერმინოლოგიის ასპექტით ახლოს დგანან ეფრემ მცირის შრომებთან. მათში, ერთი მხრივ, ასახულია არსებითად ეფრემის მიერ დანერგილი "წინააღრჩევად" ("წინააღმრჩევლობად"), მეორე მხრივ კი მრავალ-

¹ ეფრემთან თავს იჩენს ხსენებული ბერძნული ტერმინი უთარგმნელი სახითაც. მაგალითად: "...პროერესინსა, რომელ არს ნებად" ("პავლეთა" განმარტება, A-445, 278v); "შემსჭულულ არიან პროერესისად" (იქვე, 279v). ორივე ნიმუში მოგვაწოდა ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა.

² ტერმინი *προαιρείσις* გვხვდება გრიგოლ ღვთისმეტყველის ქადაგებაში ფილოსოფოს ირონის მიმართ: "ნებამან კეთილმან იწყო მის შორის" (A - 292, 217 v; 1201 C); "ხილულთა ამათ წინააღმდგომ ექმნა... აზნაურებითა ნებისადთა" (218; 1204 A);

³ ცალკეულ შემთხვევებში ეფრემის გვიანდელ თარგმანებშიც ვლინდება ადრინდელი შესატყვისები. მაგალითად: "აღრჩევად" (ებ. 173; ნ. ქაჯაიას გამოცემა გვ. 249.28); "ხოლო ესე აღრჩევისაგან მოსრულად" (გრიგოლ ღვთისმეტყველი A - 109, 163 v 1; 880 C); "არა გონებითა მხედველო ჩუენ ზედა" (A - 109, 83.1; 356 B);

გზის ვლინდება ერთერთი ტრადიციული შესატყვისი "აღრჩევად" ("აღმრჩეველობად"); იშვიათად, თავს იჩენს, აგრეთვე, "ნებად" და "გონებად" (თითოგზის გვხვდება შესიტყვებანი "გონებითი აღმრჩეველობად" და "ნეფსით აღმრჩეველობად"). მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"წინააღრჩევისა არს" (გრიგოლ აკრაკანტელი 30.5; 836 C); "წინააღრჩევისა მომგებელთად" (45.29; 885 A); "წინააღრჩევისა სახელდებს აწ. სულად" (48.4; 889 B); "კაცობრივისა წინააღრჩევისა... სახელმდებელმან" (48.6; 889 B); "ფრიადისა ამაოცნობობისაგან და თვთგამომრჩეველობითისა წინააღრჩევისაგან ესევითარსა შუებასა დააკლნეს თავნი თვისნი" (69.10; 929 B) "სათნობისმოყუარისა წინააღრჩევისა ქებით. განთქუმად" (106.20; 1005 B); "ველმწიფე არს მიდრეკად წამსა თვისისა წინააღრჩევისასა" (119.30; 1052 A); "კაცისა წინააღრჩევისა" (ოლიმპიოდორე A - 61, 3.1; 480 A); "წინააღრჩევად სულისად" (იქვე 3.1; 480 B); "თვისითა წინააღმრჩეველობითა... მიუშუნა" (გრიგოლ აკრაკანტელი 31.32; 792 A); "წინააღმრჩეველობით... აღმრჩეველთამან" (7.23; 760 D); "სიტყვთა... აღრჩევისადთა" (21.18; 738 C); "აღრჩევა სულისა" (ეკლ. 1.14; 22.3.8; 792 A-B); "კაცობრივისა სულისა აღრჩევასა" (22.11; 792 B); "გამოჩინებად ჰნებავს კაცობრივისა აღრჩევასად" (22.22; 792 C); "არცა კაცობრივისა აღრჩევისა... შესაძლებელ არს თავით თვისით კუალად მოგებად განმართებისად" (22.32; 793 A); "და ესეცა აღრჩევა სულისა" (24.4; 796 A); "აღრჩევასა გულისა მისისასა" (ეკლ. 2.22; 28.13 - 832 C); "აღრჩევასა სულისა სიტყვერისასა" (31.21; 840 B); "ესეცა ამაოება და აღრჩევა სულისა" (32.31; 840 C); "თითოეულისა აღრჩევისა მიმართ" (39.19; 872 D); "თვთმფლობითა აღრჩევისადთა" (39.21; 872 D); "მოდღუარ... აღრჩევისა" (42.4; 877 A); "უცხო-ყვნეს აღრჩევანი მათნი" (65.9; 920 C); "ესეცა ამაო და აღრჩევა სულისა" (ეკლ. 4.16; 67.6 - 925 A); "ეგვეითარისა ნებისა და აღრჩევისა... დადგრომად" (83.7; 960 B); "კაცობრივისა აღრჩევისა" (118.19; 1032 C); "ვერლარა გედლოს ქმნად ნებისა შენისა აღრჩევისასა" (168.16; 1148 B); "აღრჩევისასა" (ოლიმპიოდორე 8.1; 481 A); "აღრჩევად" (იქვე 41.2; 493 A); "აღმრჩეველობისა ჩუენისა" (იქვე 49.2; 497 C); "არა აღრჩევითთა (προαιρετικων) მოსწრაფებათა... იტყოდა ახალყოფსა" (გრიგოლ აკრაკანტელი 20.19; 785 D); "აღმრჩეველობითითა სნეულებითა სნეული... უბოროტესთა ჰპოებს ტანჯვათა" (83.20; 960 D); "აღმრჩეველობითსა თანანებასა" (113.6; 1021 A); "აღრჩევითთა კეთილთა" (143.2; 1097 B); "შესასწავებელი... უდარესთა საქმეთა აღმრჩეველისად (προαιρεσιμενων)" (32.33; 840 D); "კაცობრივისა ნებისა" (29.24; 836 B); "ძვრხილული უაზნობითა და მონებრიობითა ნებისადთა" (57.5; 905 C); "ადვილად შესაბრკოლებელ არს კაცობრივი ნებად" (61.31; 913 B); "დაცადებულმან არა ნებისა. (προαιρετικων) თვისისა, არამედ განსაცდელისა რადსაგანმე" (ოლიმპიოდორე, 61.27; 913 B); "ნეფსით აღმრჩეველობით... იქმან" (ოლიმპიოდორე 37.2; 492 A); "უძღები გონებად აქუნდეს" (გრიგოლ აკრაკანტელი 61.27; 913 B); "გონებითისა აღმრჩეველობისა წარმომაჩინებელმან" (140.12; 1092 A).

"წინააღრჩევად" უაღრესად ნიშანდობლივი ხდება არსენის ბოლოდროინდელი თარგმანებისათვის (ასეთია, კერძოდ, იოანე დამასკელის "წყარო ცოდნისა").¹

ზემოთ ჩვენ დავიმოწმეთ ცალკეული ადგილები "გარდამოცემის" ეფრემისეული თარგმანიდან, სადაც პროერეტულ ტერმინებად წარმოდგენილი იყო შემდეგი შესატყვისები: "თვთმფლობელობად", "თვთმფლობელობითი ნებებად",

1 "წინააღრჩევად" დამოწმებულია, აგრეთვე, იოანე ქიმქიმელთან (იხ. A - 102, 18.2; 533 D).

"აღრჩევად", "გონებითი აღრჩევად", "გონებად და აღრჩევად", "გონებად", "გულისსიტყუად" და ორგზის "წინააღრჩევად". ამჯერად წარმოვადგენთ შესაბამის ადგილებს "გარდამოცემის" არსენისეული თარგმანიდან იმავე თანმიმდევრობით: "... წინააღრჩევასა შინა, რომელ არს ველმწიფებისა ქონებად" (70.1). "შემდგომად მოწლოებისა იქმნების წინააღრჩევად, ესე იგი არს, გამორჩევად (επιλογη), რამეთუ წინააღრჩევად არს ორთა წინამდებარეთაგან აღრჩევად (αιρεσθαι) და გამორჩევად (εκλεγεσθαι) ამისი წინადაწარ (πρὸ) სხვისა. ამისსა შემდგომად მიიმართებს საქმისა მიმართ და ითქუმის მიმართებად (ορμη)" (73.2); "ჯერჩინებისა და წინააღრჩევისა თქუმად უფლისა ზედა შეუძლებელ არს, უკუეთუ გუნებავს საკუთრებით მეტყუელებად" (83.2). "შევეერთებით წინააღრჩევითა" (94 v 1); "წინააღრჩევისაგან იქმნების შეერთებად ესე" (94 v 1); "კეთილისა წინააღრჩევისა" (96.2); წინადაწარმხედველი ღმერთი უწესობასა წინააღრჩევისა მისისასა" (101 v 1); "თვთმფლობელობითა წინა-აღრჩევს" (72.2).¹

ტერმინი "წინააღრჩევითი" გვხვდება "დიალექტიკის" არსენისეულ თარგმანში: "არაბუნებითი რადასამემიმართი არს ანუ წინააღრჩევითი" (37.10 - 119.50; იხ. გამოცემაზე დართ. ლექს. გვ.189; შდრ. ეფრემ მცირის შესაბამისი თარგმანი: "არაბუნებითი ვისსამიმართი არს ანუ აღრჩევითი", იქვე).

არსენის კვალობაზე VI ჰომოგენური ჯგუფის ტექსტები უცვლელ პროერეტულ ტერმინად სწორედ "წინააღრჩევას" (ანდა "წინაღრჩევას") წარმოადგენენ. მოგვაქვს საილუსტრაციო ნიმუშები:

"განმხრწნელმან... წინააღრჩევამან ადამისამან თანა-განხრწნა ბუნებადცა თვისი" (მაქსიმე, გელ. 14, ფ.92.1; 405B); "უკეთურებისა მიმართ გარდაქცევად წინააღრჩევისად" (92.2; 405 C); "წინააღრჩევად მიმღებელისად" (162; 901 A); "შეუერთოს რად ჯერჩინებად სიტყუასა ბუნებისასა, განუკიდებელ იყოს ღმერთისა მიმართ წინააღრჩევად წარმმართველთა ამისთად" (163; 901 A); "აქუნდეს... წინააღრჩევად" (163; 901 A); "ყოველსა წინააღრჩევასა შობადისასა მშობელისა მიმართ ღმერთისა... შემყვანებელი" (იქვე, გელ 14, ხელნ. 6.1; 280 C); "უვნებელ იქმნა წინააღრჩევითა" (იქვე 6 v 1; 281 A); "არა ჭირითა რადთმე მიიზიდავს უფალი, არამედ ჯერჩინებითა და წინააღრჩევითა" (თეოფილაქტე A - 52, 5; 1152 B); "რად არს წინააღრჩევად აღწერილისად?" (ამონიოსი 24. 12; 26.2);² "სქესი ითქუმის ველოვნებისამიერი... ანუ

1 ხსენებულ თარგმანში ერთგზის გამოვლინდა, აგრეთვე, "აღრჩევად": "თვისითა აღრჩევითა (ეფრემთან: "გონებითა") შეერთებულნი ღმერთისანი" (95 v 2). საზოგადოდ, არსენის უფრო ადრეულ თარგმანებში გვხვდება როგორც "წინააღრჩევად" (იხ. ანასტასი, დოგმ. 7.1 - 80A; ნიკიტა, 270.2 - 128.25; 270.2 - 130.5; იოანე დამასკ., ორთა ნებათათვის, 132.1 - 145D), "წინააღმრჩევლობად" (ნიკიტა, დოგმ. 270.1; 126.10), "წინააღმრჩეველი" (იოანე დამასკ., იაკობიტთა წინააღმდეგ, 121; 1452D), ასევე "ნებისითი აღრჩევად" (ანასტასი, 13v; 125B), "აღმრჩევლობითი" (προαιρετικος) (ნიკიტა, 278.2; 252.10), "აღრჩევად" (ორთა ნებათ., 132v1; 149C), "აღრჩევს" (იქვე 132.2; 148C), "აღმრჩეველი" იქვე, 132v1; 149B) და სხვა.

2 ეს ნიმუში დამოწმებულია მ. რაფაევას მიერ (იხ. ამონიოსის შრომათა გამოცემაზე დართული ლექსიკონი). დამოწმებაში ბერძნულ შესატყვისად მითითებულია προθεσις. მართალია, ბერძნული გამოცემის ძირითად ტექსტში აღნიშნული სიტყვა გვაქვს, მაგრამ ვარიანტულ ჩვენებებში მითითებულია, აგრეთვე, προαιρεσις, რაც არის, უთუოდ, წყარო ქართველი მთარგმნელისა. დავძენთ, რომ ტერმინი προθεσις VI ჯგუფის ტექსტებში ძირითადად ითარგმნება, როგორც "პირველდადება". მაგალითად: "ტრფიალად მისსა საგონებელსა პირველდადებასა" (მაქსიმე, გელ.14, ფ. 210.1; 613 B); "ბიწიანქმნილი პირველდადებათა" (195.1; 592 B); "არქმნილთად პირველდადებასებრ" (202.2; 604 C). ბერძნული προθεσις ამონიოსის შრომაში თარგმნილია, როგორც "წინადასწული" (იხ. ლექს. გვ. 235).

"წინააღრჩევისამიერი" (იქვე 42.2; 50.13; დამოწმებულია მ. რათავას მიერ);
 "ორგულებ... ჩუენისა წინააღრჩევისათვს" (ქსიფილინოსი, გელ.2, 47 v);
 "ქრისტემან, მეცნიერმან კაცისა კეთილისა წინააღრჩევისამან" (იქვე 64);
 "მეცნიერმან მისისა წინააღრჩევისა" (იქვე 66); "წინააღრჩევითა და წამებითა
 ყოველსა ცხორებასა მოწამე იყო" (ქსიფილინოსი, კ.კეკ., ეტიუდები VI, გვ.146);
 "შეიცნა წმიდად და ჭეშმარიტი სარწმუნოებად ქრისტესი და წინა-აღრჩია"
 (იქვე, გვ. 155); "ყოველი კაცისა საქმე... წინააღრჩევისაგან განისაჯების" (იქვე
 218); "წამი წინააღრჩევისა ჩემისად ყოვლითურთ სიწმიდესა მოურნეობს" (იქვე
 219); "წინააღრჩევად ჩემი მაქუს შემტკობელად... სიწმიდისა" (იქვე 220);
 "ცნნეს მანცა ჩემისა წინააღრჩევისანი" (ქსიფილინოსი, კ.კეკ., ეტიუდები III,
 გვ.238.20); "ორნივე ერთსულ ვართ წინააღრჩევისა შეერთებითა" (იქვე 297.39);
 "განპლევდეს წინააღრჩეველსა" (იქვე 294.35); "გარეგანისა იძულებისა და
 წინააღრჩეველად ვისმე მიერ ქმნილი, არცა კეთილი, არცა ბოროტი,
 იძულებულსა დაეწამების" (ეტ. VI, გვ.218); "წინააღრჩევითიცა საკრველი"
 (ამონიოსი 7.3; 5.12); "და სიკუდილიცა მრჩობლი: რომელიმე ბუნებითი...
 და რომელიმე წინააღრჩევითი" (7.8; 5.17); "წინ-აღრჩიის აღმწერელობად"
 (98.11; 4.6); "სხუად იგი სატკივარობითი და იგი უკუე წინააღრჩევლობითი"
 (მაქსიმე, გელ. 14, ფ.165; 908 B).

პროგრესული ტერმინოლოგიის ასპექტით საყურადღებო სურათს გვიჩვენებს ნემესიოსის წიგნის პეტრიწისეული თარგმანი. ამ თხზულების 27-ე თავამდე ანუ 117-ე გვერდის მეჩვიდმეტე სტრიქონის ჩათვლით (ს. გორგაძის გამოცემის მიხედვით) შესატყვისად გვხვდება ეფრემ მცირესთან დამოწმებული ტერმინი "წინაგანრჩევად". ხოლო 117.21-იდან ანუ 27-ე თავიდან მას ცვლის ზემოგანხილული "წინააღრჩევად" (გარდა ერთი შემთხვევისა 134-ე გვერდზე, სადაც 33-ე თავის სათაურად კვლავ "წინაგანრჩევად" ავლენს თავს).

მოგვაქვს სათანადო ნიმუშები ტექსტისეული მიმდევრობით:

"სიტყუანი ველოვნებითნი და განზრახვითი და წინაგანრჩევითი (προ-
 αἰρετικόν)" (89.3; 660 B); "არა ჩუენითა ნებითა, არცა წინაგანრჩევითა...
 აღასრულებს" (113.3; 697 A); "განპყოფენ უკუე... მებრ წინაგანრჩევითსა
 (κατὰ προαίρεσιν)" (117.7; 704 B); "განპყოფენ უკუე... წინაგანურჩეველთა
 (απροαίρετους)" (117.7; 704 B) "წინაგანრჩევითისა მიდრეკისათვს აწ ვთქუათ"
 (117.17; 705 A); "არს უკუე მებრ წინააღრჩევითა" (117.21; 705 A); "მებრ
 წინააღრჩევითთა მიდრეკათა აღასრულებენ" (118.28; 708 A); "წადილითა და
 წინააღრჩევითა (κατὰ προαίρεσιν καὶ κατ'ἐκλογὴν)" (128. 12-13; 721 A);
 "არა... მებრ წინააღრჩევით ნეტსითი არს უმეცრებად" (131.17; 725 B);
 "წინააღრჩევისათვს მოვივსენეთ" (134.1; 729 C); "მიიღებვოდედ და
 წინააღრჩევისათვსცა" (134.2; 729 C); "წინაგანრჩევისათვს" (33-ე თავის
 სათაური, 134.4; 729 C); "რად ვინად-მე არს წინააღრჩევად" (134.5; 729 C);
 "წინააღრჩევითი არს" (134.6; 732 A); "...ვითარმცა იგივე იყო ნეტსითი და
 წინააღრჩევად" (134.8; 732 A); "ყოველსა წინააღრჩევასა ვინადვე და ნეტსითად,
 არამედ არა ყოველი ნეტსითი წინააღრჩევასა შორის" (134.10-11; 732 A);
 "ყრმანიცა და უტყუნი ნეტსით ვიდრემე იქმან, არა ვინადმე და

1 ამ ტერმინის მსგავსი "წინამორჩევად" გადმოსცემს ბერძნულ προκρινω-ს: "არავინ სადა რად წინამორჩიოს პირველ განზრახვისა" (ნემეს., 136.25; 736 A);

წინააღმრჩეველნი (*προαιρουμενα*)" (134.12; 732 A); "ამათ (მრისხანების
 შედეგებს, ე.ჭ.) უკუე ნეფსით ვიდრემე ვიქმთ, არა ვიდრემე და წინააღმრჩევით"
 (134.15; 732 A); "ნეფსით ვიდრემე ერმაულსა დახუდა, არა წინააღმრჩევით"
 (134.17; 732 A); "არა ერთ და იგივე არს ნეფსითი და წინააღმრჩევა" (134.19;
 732 A); "არცა გულისთქუმა არს წინააღმრჩევა" (135.1; 732 B); "არა არს
 ზიარებად კაცთა უტყუთა-მიმართ მებრ წინააღმრჩევითა, არამედ გულისწყრომით
 და გულისთქუმით ოდენ" (135.2; 732 B); "წინააღმრჩევითა განვეყოფით" (135.4;
 732 B); "საცნაურ არს წინააღმრჩევად" (135.5; 732 B) "არა ვიდრემე და
 მებრ წინააღმრჩევით" (135.8; 732 B); "დაჰმატდების უკუე წინააღმრჩევად მისი
 გულისთქუმასა" (135.9; 732 B); "მოლუაწე ვინავე, მოქმედებდეს რად მებრ
 წინააღმრჩევით, არ მოქმედებს მებრ გულისთქუმით" (135.10; 732 B); "არცა
 მგულეებლობად ვიდრემე არს წინააღმრჩევად" (135.12; 732 B); "წინააღმრჩეველად
 (*προαιρεισθαι*) სიმრთელისა არასადა ვინ თქუას" (135.14; 732 C) "გულებად
 (*βουλεσθαι*) სიმდიდრისად და არა ვიდრემე წინააღმრჩევადაცა სიმდიდრისად
 ითქუმის" (135.15; 732 C); "გულებად შეუძლებელთათვისცა განეწესების, ხოლო
 წინააღმრჩევად მხოლოდ ოდენ ჩუენშორისთა ზედა" (135.17; 732 C); "ამას
 ვინავე ვერ ვიტყვთ, ვითარმედ წინა-აღმრჩევ უკუდავყოფასა" (135.19; 733
 A); "გულებად აღსასრულისად არს, ხოლო წინააღმრჩევად... აღსასრულის-მიმარ-
 თი" (135.21; 733 A); "ამათ... წინა-აღმრჩევით" (135.23; 733 A); "არცა
 გულება არს წინააღმრჩევა" (135.28; 733 A); "წინააღმრჩევასა არასადა ვიტყვთ
 ჭეშმარიტად და ცრუდ" (136.3; 733 A); "თნებად მებრ საყოველთაო, ხოლო
 წინააღმრჩევად მებრ თვთეულთა" (136.4; 733 B); "ქმნადთათვის ვიდრემე
 წინააღმრჩევად" (136.5; 733 B); "არცა განზრახვა (*βουλεσις*) ვიდრემე არს
 წინააღმრჩევად" (136.7; 733 B); "წინააღმრჩევითთა (*προαιρετον*) ვინავე და
 განგულებით წინადათვე გამორჩეულთად" (136.9; 733 B); "იხილვების...
 წინააღმრჩევად წინადათვე გამორჩეულთა... ზედა" (136.11; 733 B); "რად იგი
 არა არს წინააღმრჩევად, თქუმულა" (136.13; 733 B); "ეგრეთვე უკუე და
 წინააღმრჩევადაცა" (136.20; 733 C); "წინააღმრჩეველი (*προαιρετον*) უკუე
 არს სხუად პირველ სხვსა სარჩევქმნილი" (136.24; 736 A); "წინააღმრჩევად და
 წინააღმრჩეული იქმნების" (136.28; 736 A); "წინააღმრჩევად ამისთვის ვიდრემე
 არს" (137.2; 736 A); "შეკრბების უკუე ამათგან ესრე ყოფად წინააღმრჩევისად:
 წადილი (*ορεξις*) განზრახვითი ჩუენმიერთადსა" (137.4; 736 A); "ვართ მოწადე
 წინადათვე-აღმრჩეველნი (*προαιρουμενοι*)" (137.6; 736 A); "წინააღმრჩევად
 ვთქუთ" (137.7; 736 A); "კაცთა საქმენი და წინააღმრჩევანი" (144.13; 748
 B); "უფროდს ხოლო არა წინააღმრჩეველი (*προαιρουμενου*)" (145.15; 749
 B); "ამათგან წინააღმრჩეველთა (*απροαιρετων*)" (146.22; 752 B); "არცალა
 წინააღმრჩევისა-მიერობად" (146.26; 752 B); "რად-მე წინააღმრჩეველცა" (146.26;
 753 A); "საჭიროდ და წინააღმრჩეულიცა (*προαιρετον*)" (146.27; 753 A);
 "წინააღმრჩევად საქმითთად არსო" (147.7; 753 A); "რად-მე წინააღმრჩევად" (147.8;
 753 A); "არლა იყოს წინააღმრჩევად ჩუენ მიერ" (147. 12; 753 A); "რომელთა
 დასაბამი წინააღმრჩევისაგან იყო" (151.25; 761 B) "წინააღმრჩევათად და
 მიმართებათად" (156.9; 769 B); "წინააღმრჩევად მიეთნების" (156.11; 769 B);
 "წინააღმრჩევადაცა დასასჯელ იყოს" (156.12; 769 B); "წინააღმრჩევად - საწყისი

ცოდვისად და კეთილთ საქმისად" (156.16; 769 B); "იძულებასა და არადასთვნ წინააღრჩევასა ბოროტთა მიაჩემებენ" (158.1; 773 A); "მიექმნების უკუე მათდა ბოროტი წინააღრჩევისაებრ" (160.20; 777 A) "ჩუეულებად - წინააღრჩევათაებრ" (161.3; 777 B); "ჩუეულებითად და წინააღრჩევითად" (161.17; 780 A); "არათუ ძალი არს განმზადებულ ჩუენდა ლირწებად და ტყუილად, არამედ წინააღრჩევად" (161. 18; 780 A); "ძალნიცა წინააღრჩევითნი" (160.27; 777 B); "წინააღმრჩეველობითი ძალი" (161.9; 777 B).¹

პროკლეს წიგნის თარგმანში მიმღეობა *προελομενος* თარგმნილია, როგორც "წინააღმრჩეველი" (იხ. დასახ. ტერმ. ლექს. გვ. 163), ხოლო კომენტარებში ერთგან კვლავ გვხვდება "წინაგანრჩევად": "არ წინაგანრჩევით... ცხოველ ჰყოფს" (პეტრიწი, II, 196.4).

საყურადღებოა, რომ პეტრე გელათელი, რომელიც საზოგადოდ პროერეტულ ტერმინად გვაწვდის "წინააღრჩევას" (იხ. "კლემაქსი", - "წინააღმრჩეველი": 15-48; 80v-166; "წინააღმრჩეველი": 156v-308), ერთგან გვთავაზობს ახალ ტერმინს "წინააღმღებელი" (174v; 338), რასაც აშიაზე განმარტებას ურთავს: "წინააღმღებელად აწლა-დამწყებელსა იტყვს" (იქვე). ინტერესს იწვევს ისიც, რომ Ath.ნ-ის ტექსტებში, რაც პეტრეს თარგმანები უნდა იყოს (ამის შესახებ იხ. ქვემოთ), დასტურდება როგორც "წინააღრჩევად" (163v2-Pg.54, 635; 164v1-636; 136v-Pg.59, 629), ასევე თვით ბერძნული "პროერესი" ("პროერესი არს იუდაებრი", 7v1-Pg.59, 550; "იუდაებრისა პროერესისა", იქვე).

ზემოწარმოდგენილი სურათის შემდეგ მოვიტანთ შესაბამის ნიმუშებს იოანე დამასკელის ენკომიიდან:

"ღმრთისადა ორნი მწულილნი უსაყუარლეს მდიდართა ნაყოფთშემწირველობისა, არა ძალისა, არამედ გულსმოდგინებისა (*προαιρεσει*) ესრეთ სჯითა" (134; 764 A); "ხედვად აღურჩევიეს (*προαιρειται*)" (136; 765 D); "აღირჩევდა სიფიცხესა სათნოებისასა" (138; 768 C);

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ ძეგლში პროერეტულ ტერმინებად გვხვდება "გულსმოდგინებად" და "აღრჩევად", რის გამოც კვლავაც ნაკლებ სავარაუდოა არსენი, VI ჰომოგენური ჯგუფის ძეგლთა მთარგმნელი და იოანე პეტრიწი. რაც შეეხება XI-XII სს-ის სხვა ზემოგანხილულ ავტორებს (მათ შორის, ცხადია, ეფრემ მცირეს), ტერმინი "აღრჩევად" ყველა მთარგმნელისათვის თანაბრად მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ ავტორთა შორისაც შესაძლო გვესახება გარკვეული დაკონკრეტება ენკომიაში დამოწმებული მეორე პროერეტული ტერმინის გათვალისწინებით. ეს ტერმინია "გულსმოდგინებად". თუკი გავიხსენებთ, რომ ხსენებული ენკომიის თარგმანი უთუოდ აღიბეჭდავს მყარ ტერმინოლოგიურ ცნობიერებას, გარკვევით შეგვიძლია ვთქვათ, რომ არც აღნიშნული ტერმინთშესატყვისობა (*προαιρεσις* - "გულსმოდგინებად") უნდა წარმოადგენდეს გამონაკლისს და გაუცნობიერებელი ტერმინული დაკავშირების ნიმუშს. შესაბამისად, თუ ზემორე ტერმინთდაკავშირება ცნობიერი მოვლენაა, მაშინ, თარგმანის ატრიბუციის უამს, ყურადღების ცენტრში

1 ნემესიოსის წიგნში გვხვდება შემდეგი გამონაკლისები: "აღირჩევდენ" (11.15; 513 B); "უნებელით (*προαιρετας*)" (119.7; 708 A); "ნებისაებრ" (145.14; 749 B); "წვალებანი" (148.26; 756 B); "აღრჩევისა" (149.9; 757 A); "წადნიერ ვართ" (165.2; 785 A)

ამჯერადაც ეფრემ მცირე ექცევა, რადგანაც ჩვენს მიერ შესწავლილ XI-XII სს-ის მთარგმნელთა შორის სწორედ მასთან არის დამოწმებული "გულსმოდგინებად" პროგრეტულ ტერმინად (იხ. ზემოთ).

დ) ტერმინი *προνοια* აღნიშნულ ენკომიაში, ისევე როგორც ეფრემის თარგმანებში, გადმოცემულია ორი შესატყვისით "განგებად" და "წინაგანგებად". მაგალითად:

"დაუტევის... საღმრთოდსა წინაგანგებისა სასოებითი საჭეთმპყრობელობად" (138; 769 A); "საღმრთოდსა განგებისა მიერ პორფირისა მიმართ ქალაქთადასა წარიგზავნა" (140; 772 B); "საღმრთოდთა წინაგანგებითა" (147; 781 B);

აღნიშნულ ტერმინთაგან მეორე ("წინაგანგებად") საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ, ერთი მხრივ, ის, რომ ხსენებული თარგმანი არ ეკუთვნის ეფრემის წინარე ეპოქას, რადგანაც "წინაგანგებად" არსებითად ამ უკანასკნელის მიერ დამკვიდრებული ტერმინია; მეორე მხრივ, ცხადი ხდება, რომ ამ ძეგლის მთარგმნელი არ უნდა იყოს იოანე პეტრიწი, რადგანაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, პეტრიწთან პრონოეტული შინაარსით არცერთხელ არ გვხვდება ტერმინი "წინაგანგებად". რაც შეეხება პირველ შესატყვისს ("განგებად"), მის საფუძველზე შესაძლებელი ჩანს გამიჯვნა ხსენებული ძეგლისა არსენისა და VI პომოგენური ჯგუფის თარგმანთაგან, რადგანაც მათ ზემორე შინაარსით ტერმინი "განგებად" არ ახასიათებთ.

ამგვარად ხელნაწერული მონაცემი და ზოგადი ტერმინული განხილვაც უფრო იმას გვაფიქრებინებს, რომ იოანე დამასკელის ზემოგანხილული ენკომია ეფრემ მცირის თარგმანი უნდა იყოს. ეს გარემოება ამჯერად ჩვენს ყურადღებას იქცევს იმ მხრივ, რომ რომ აღნიშნულ ძეგლში ბერძნული *εξως* გადმოცემულია ტერმინით "ანაგები":

"მოაცხრო მძვნვარებად მრავალჟამეულითა ჩუეულითა ანაგებ ყოფად" (138; 768 C); "ანაგებად მიაწევს თანალმობასა" (141; 772 C).

ტერმინი "ანაგები" ეფრემამდეც არის დამოწმებული ქართულ მწერლობაში. მაგალითად, იგი გვხვდება გიორგი მთაწმინდელთან; კერძოდ, გრიგოლ ნოსელის "ექუსთა დღეთას" მისეულ თარგმანში:

"დასაბამი ყოვლისავე განშორებითისა გულისგმისყოფისაგან უცხო არს, ვითარცა წერტილი დასაბამ არს ასოდსად და სასწაული მრგულისად და ანაგები სიდიდისად" (საქ. ეკლ. კალენდ. 1989, გვ. 206).

სამწუხაროდ, შესაბამისი ბერძნული ტექსტი მნიშვნელოვნად სხვაობს თარგმანისაგან, რაც აძნელებს "ანაგების" ზუსტ ტერმინულ დეფინიციას (შესაძლოა იგი შეესატყვისებოდეს ორიგინალის *απομον*-ს),² თუმცა კონტექსტის მიხედვით აშკარაა, რომ მასში უნდა ვიგულისხმოთ დასაბამიერი, ძირეული რამ საფუძველი, განუყოფელი რამ შიგთავსი, არსობრივი რამ თვისება, მიზეზი, ძალა. ამ აზრით, შესაძლებელი ხდება მისი დაკავშირება ბერძნულ *εξως*-სთან, რომელიც სწორედ მყარ, მდგრად თვისებას ნიშნავს.

ტერმინი "ანაგები" გვხვდება, აგრეთვე, თეოფილე ხუცესმონაზონის ერთ თარგმანში. ქართული ტექსტი ასეთია:

"ვპგონებ თუ ვაქუს ვორცთა ბუნებასა აღძრვად, თანა-აღრეული ანაგებსა" (A-1105, 129 ო).

სამწუხაროდ, ამჯერადაც ბერძნული ტექსტის ჩვენთვის ხელმისაწვდომი

1 აღვნიშნავთ, რომ ხსენებულ ენკომიაში ტერმინი "წინაგანგებად" ერთგან გადმოსცემს ბერძნულ *προμηθεια*-ს: "წინაგანგებითა ღმრთისა" (145; 777 C).

2 იხ. საქ. ეკლ. კალენდ. თბ. 1989, გვ. 266, შენ. 23.

3 ქართული ტექსტი დამოწმებულია ი. აბულაძის "ძველი ქართული ენის ლექსიკონში" (გვ. 6).

გამოცემა, რომელიც საზოგადოდ ზედმიწევნით თანხვდება მოტანილ ციტატას, სხვაობს მისგან სწორედ ბოლო ნაწილში. კერძოდ "ანაგებს" ორიგინალში შეესაბამება ნაცვალსახელი *αυτω* (Pg. 65, 84 A). ბერძნული ტექსტი სიტყვასიტყვით ასე ითარგმნება:

"ვფიქრობ, აქვს სხეულს ბუნებრივი აღძრულობა, თანააღრეული მასთან" (იხ. იქვე).

რამდენადაც აღნიშნულ ადგილას ბუნებისეულ მდგომარეობაზეა საუბარი, შესაძლებლად გვესახება, რომ "ანაგები" ამგვარადაც "მყარად შთანერგილ თვისებად" განიმარტოს.

ტერმინ "ანაგების" აღრეულ მნიშვნელობათა შესახებ უფრო მეტ გარკვეულობას გვიქმნის იმავე თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ თარგმნილი ძეგლი იოანე ოქროპირისა "თარგმანებად დაბადებისად". ქართულ ტექსტში ტერმინი "ანაგები" სამგზის არის დამოწმებული. პირველ შემთხვევაში იგი შეესატყვისება ბერძნულ *ουσια*-ს, უფრო ზუსტად, ორიგინალის *ουσια* თეოფილეს მიერ თარგმნილია სინონიმური წყვილის სახით, როგორც "ანაგები და ბუნებად":

"ვინაჲ მოვიღეთ დასაბამსავე დაწყებაჲ დაბადებისა ანაგებისა და ბუნებისა ჩუენისაჲ" (Ath. 29; ფოტო 187; col.103).

ამგვარად, მოტანილ მაგალითში "ანაგები" ბუნებისა და არსების აღმნიშვნელად წარმოჩნდება.

მეორე შემთხვევაში "ანაგები გუამისაჲ" გადმოსცემს ბერძნულ *μορφη*-ს: "არა ანაგებისათჳს გუამისა თქუა (უფალმა, ე.ჭ.) ხატებაჲ" (ფ. 122; col.78). სავსებით ცხადია, რომ მოტანილ ადგილას "ანაგები" ნიშნავს "აგებულებას", "აღნაგობას", "სახეს", "ფორმას", "შესახედაობას".¹

მესამეგზის შესიტყვება "შექმნულებაჲ ანაგებისაჲ" გადმოსცემს ტერმინს "*διαπλασις*":

"კაცმან განიცადოს... შექმნულებაჲ ანაგებისა თჳსისაჲ" (ფ. 225; col. 117). იგივე "დიაპლასის" თეოფილეს მიერ სხვა შემთხვევებში თარგმნილია, აგრეთვე, როგორც "აგებულებად" ("ოდენ თჳსი აგებულებად გამოწულილვით განიცადოს", ფ. 49; col. 44); "დაბადებაჲ" (ფ. 98-col.68; 122-77; 139-85; 236-121); "შესაქმე" ("შესაქმისათჳს კაცისა ვიწყეთ სიტყუად", 138; 84); "შემზადებაჲ" (122; 77); "აღგებაჲ" ("აღგებისათჳს კაცისა", 185; 102); "შეზელა" (*διαπλασαι*, 216; 113).

ამგვარად, მოტანილ კონტექსტშიც "ანაგები", ასევე, აგებულებას, აღნაგობას ნიშნავს.

მიუხედავად იმისა, რომ "ანაგები", როგორც ჩანს, უკვე შეიცავდა თვისობრივი მდგრადობის შინაარსს, მაინც ხსენებული ლექსიკური ერთეულის მყარი და ერთცნებითი ტერმინული გააზრება, ალბათ, კონკრეტულად ეფრემ მცირის სახელს უნდა უკავშირდებოდეს. ვფიქრობთ, აქაც იმგვარივე ვითარება შეიგრძნობა, რაც ბევრ სხვა ტერმინთან დაკავშირებითაც სრულიად აშკარაა და ხელშესახები. კერძოდ, მთარგმნელობითი მოღვაწეობის ბოლო წლებში ეფრემმა თავისი ეპოქის ტერმინული აკრიბიის მართლაც მწვერვალს მიაღწია, როდესაც მან განსაცვიფრებელი წინასწარხედვით აღრევე მოასწავა და დაასაძირკვლა არსენისა და გელათური სკოლის ტერმინოლოგიური სიახლეები, განსაზღვრა მათი ცნებითი ღვთისმეტყველება და წინდაწინვე დაასაბუთა ღირსება და გარდაუვალი სულიერი აუცილებლობა ახალი მთარგმნელობითი

¹ სხვა შემთხვევაში იმავე *μορφη*-ს თეოფილე გადმოსცემს, როგორც "ქმნულკეთილობად" (64; 51)

თეორეტიკისა. სწორედ ამით აიხსნება რომ შემდეგში სხვადასხვა მთარგმნელთან უდიდესი მნიშვნელობა მოიპოვა ეფრემის მიერ დამკვიდრებულმა ისეთმა ტერმინებმა, როგორებიცაა: "წინაგანგებად", "წინააღრჩევად", "გარდაცემად", "სირად", "აღმოდაბადებად", "განრემზომი", "შესრულებად", "წინაცხადი", "უადგილო" (უჯეროს მნიშვნელობით) და მრავალი სხვა.

ვფიქრობთ, ამავე ტერმინებს შეერთვის "ანაგებიც". აღნიშნულის საუკეთესო დადასტურებაა წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის თაქსიმეტსიტყვედის კომენტირებული ტექსტის ეფრემისეული თარგმანი, სადაც *εξις*-ს ტერმინულად გადმოსცემს "ანაგები". მაგალითად: "ყამგრძელად სიზრქედ აქა... უწოდეს... გრძელთა ჩუეულებითა ანაგებად (*εξις*) შექმნასა სიბოროტისასა" (A-109, 195v - კომენტარი, ბერძნ. ტექსტი ხელნაწერიდან მოგვაწოდა თ.ოთხმეზურმა).

ამგვარად, თუ შევაჯამებთ, შეიძლება ითქვას, რომ განსახილველი ბერძნული ტერმინის (*εξις*) გადმოსაცემად ეფრემ მცირე მოუხმობს შემდეგ ძირითად შესატყვისებს: "ჩუეულებად", "წესი", "გუარი" და "ანაგები".¹

ეფრემისათვის ნიშანდობლივი ტერმინებიდან მომდევნო ეპოქაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს "ანაგები".

ეს ტერმინი უძირითადესია არსენისათვის (იხ. ზემოთ, ნიმუშები "გარდამოცემის" მისეული თარგმანიდან; იხ. აგრეთვე, "დიალექტიკის" დასახ. გამოც. ტერმ. ლექსიკონი: "ანაგები"), თუმცა გვაქვს გამონაკლისიც:

"საკუთრებით (*καθ'εξις*) შეერთებად ღმრთისად" (გარდამოცემა, 76 v 1; 977 C). "განმტკიცებულად გუარად" (დოგმ. 272v2; 170.5).

განსაკუთრებულ სიახლოვეს ეფრემთან ამჯერადაც ავლენს გრიგოლ აკრაკანტელისა და ოლიმპიოდორეს შრომათა თარგმანები, სადაც ახლად დამკვიდრებულ "ანაგებთან" ერთად გვხვდება ეფრემისათვის ნიშანდობლივი დანარჩენი სამი ტერმინიც ("გუარი", "წესი", "ჩუეულებად"). მაგალითად:

"კეთილისა ანაგებისაებრ გარდაიქცევის" (ოლიმპიოდორე A-61, 165.1; 549 D); "ესე არს საცემელ (*δομα*) ღმრთისა: მოწყალისა და გლახაკთმოყუარისა ჩუეულებისა განმტკიცებად" (იქვე 164.1; 549 A); "ნუ ჩუეულობად მიიღებ გულისწყრომასა გონებასა შინა" (194; 564 C); "ჩუეულებად აქუნდეს ცოდვისა მოქმედებისად" (217.1; 580 D); "მოწყალებითისა წესისა გლახაკთა მიმართ ჩუენებად" (232.2; 588 D); "შეცვალებითა წესთა ბუნებითათა" (გრიგოლ აკრაკანტელი, დასახ. გამოც. 82.2; 957 B); "ერთი იგი ცხად-ჰყოფს კეთილისა გუარისაგან მიდრეკილსა მას" (იქვე 62.29; 916 B).²

VI ჰომოგენური ჯგუფის ტექსტებში, არსენის კვალობაზე, აღნიშნული ტერმინული ასპექტით უძირითადესია და, შეიძლება ითქვას, თითქმის ერთადერთია ზემოხსენებული "ანაგები", რასაც ზოგჯერ ცვლის უთარგმნელად გადმოსული საკუთრივ ბერძნული ტერმინი "ექსი", უიშვიათეს შემთხვევებში კი "გუარი":

"დავპნიშნავთ... სიტყვებითსა ანაგებსა" (ამონიოსი 95.32; 126.5); "მოქმედებით ღრამმატიკოსად ითქუმის ეგერა საღრამმატიკოსოდთა ზედმიწევ-

¹ სხვადასხვა შემთხვევებში ეფრემთან, ცხადია, გვხვდება კონტექსტისეული გამონაკლისები: "ნეტარისა ცხორებისა (*εξις*)... მიმართ გვძღვს" (დიონისე არეოპაგელი 178.21; 3.3.9); "სრულ-ჰყოფს მღვთოთი-მღვთოდთა (*καθ'εξις*) ველოვნებითა" (იქვე 122.27; 7.2); "შეცნირებითი (*καθ'εξις*) ჭეშმარიტი საღმრთოთა მიმართ მოსლვად" (171.34; 3.3.1).

² ერთგან შესატყვისად გვაქვს "საცნობელნი": "უსრულთა მიერ საცნობელთა ადვილად მისაწდომელ" (აკრაკანტელი 1.10; 741 A).

ნულობითა ანაგებისაებრ განსრულებული" (78.16; 102.12); "... რომლისა ქუეშე აღვალს ექსიცა" (124.1; 34.6); "ხოლო არიან..., ვითარ ანაგები" (157.21); "ანაგები რომელ არს, ნათესავობითისა მიმართ გარდაეცემის, რამეთუ ეკთისად (εκτου) ითქუმის ექსი და წინაუკმო, ეკთოდსადა ეკტი. ეკთოდსა რომელ არს, მიცემითისა მიმართ გარდაეცემის" (157. 28-30; 68.15-17); "ოთხთა გუართა მომცემს ჩუენ არისტოტელი: პირველად ექსსა და დიათესსა... და ექსი უკუე არს, ვითარ ოდეს ვიტყოდით: ქუეყანისმზომელსა ექსი აქუს საქუეყანისმზომელოთა მიმართ ხედვათა" (169.19-21; 81.5-8); "ვიტყვთ ექსსა არა ხოლო სულისა ზედა, არამედ სხეულისა, რამეთუ სიმრთელესა ექსად ვიტყვთ ყოფად სხეულისად" (170. 11-12; 81.33-34); "უკუეთუ ძნიადგანსაგ-დებელი ვიდრემე იყოს, შეიქმნების ექსად, ხოლო იქმნების ანუ სულისა შორის ანუ სხეულისა შორის²..., ხოლო ექსი სულისა შორის სადმე - ზედმიწევნულობად, სათნოებად, ხოლო სხეულისა შორის - ვითარ სიმრთელე" (170.23-26; 82.8-11).³ "გულისვმისყოფისა სიკეთე არს სათნოებისებრი... ანაგები... ხოლო ამის ანაგებისა სიკეთედ... ხედვად იბოების" (მაქსიმე, გელ. 14, ფ.1; 261 D); "ხოლო "სახლ" არს კეთილმსახურებისებრი ანაგები" (ფ. 8; 273 C); "ანაგები სათნოებათად" (ფ. 8; 273 D); "ანაგებისაებრ მადლისა" (11; 281 A); "ანაგებისაებრ სათნოებისა" (11; 281 A); "ანაგებსა სათნოებითთა სიტყუათა და გუართასა" (17.288 B); "ანაგებისებრი ზეშთ მოგონებისა კეთილთადასა სიბრძნე" (20; 292 D); "ქუეყანად იტყვს... ანაგებსა" (157; 888 A); "... ანაგებთა შენთა, გულისაგან შენისა გამომავალთა" (369.2; 592 B); "ჭალაკად (ვინიშნებ) შეურყეველსა და მტკიცესა ანაგებსა საღმრთოდსა სასოებისასა" (81.2; 385 C); "ანაგებნი განაახლნა" (221.1; 632 A); "ანაგები სათნოებისა და მეცნიერებისად" (103.1; 421 C) "მტკიცეთა ანაგებთა და მოქმედებათა" (103.2; 424 A); "ანაგები განმგონებელობითისად" (100; 417 D); "საქმითისა ანაგებისა განმთვსებელნი" (100.2; 420 A); "სარკე უკუე არს ანაგები საქმითი" (100.2; 420 B); "სარკე არს ანაგები მჩუენებლობითი" (101.1; 420 C); "ანაგებისად მოქმედებისა მიმართ აქუს სიტყუად" (მაქსიმე, გელ.14, ხელნ. 256.1; 17 C); "პირველქმნილისა მისდა უდარესისა ანაგებისა" (იქვე 267.2; 52 A); "განმლეველი ყოველსა ხენეშსა ანაგებსა და მოძრაეობასა ჩუენსა" (272 v 1; 69 C); "არცა რომელობად არს..., არცა ანაგები" (288.2; 253 C); "მოიგო სათნოებათშორისი ანაგები" (8 v 2; 288 C); "საიდუმლოობითსა ანაგებსა" (294.2; 757 A); "ჩუენისა მის ღმრთისმსგავსე-ბითისა ანაგებისა" (295.2; 760 B); "ანაგებსა ვიტყვ ვნებათასა" (297 v 1; 764 D);⁴ "ვერ უძლო სიბოროტისა ანაგებით განრინებად თქუენი" (ქსიფილინოსი, გელ.2,84 v);⁵ "გულისვმა-ყო დედაკაცისა მის ანაგებისა არა უკდემელობა" (იქვე 161 v).

ჰექტიკური ტერმინოლოგიის მხრივ საყურადღებო სურათს გვიჩვენებს

1 დამოწმებულია მ. რაფავას მიერ, დასახ. გამოც. გვ. 176;
 2 დამოწმებულია მ. რაფავას მიერ.
 3 აღნიშნულ ძეგლში **εκτικος** თარგმნილია, როგორც "მღვთმი", "მღვთმსა ვურეებასა" (170.13; 81.35).
 4 მაქსიმეს გელათურ თარგმანებში ჰექტიკურ ტერმინად გვხვდება "გუარი": "ცეცხლად (ვინიშნებ) გუარსა მეცნიერებისასა" (ფ. 82.1; 385 C); "გუარად უგონოებისა" (გელ. 14, ხელნ. 257.1; 21 A); "გუარსა" (იქვე 283.1; 92B).
 5 ჰექტიკურ ტერმინად "ანაგები" დამოწმებულია, აგრეთვე, იოანე ჭიქციძელთან: "ანაგებისა მიმართ მსმენელთასა შემწყობელი იგავთა" (A - 102, 19.1; 536 C).

იოანე პეტრიწის შრომები. როგორც ნემესიოსის წიგნიდან ცხადი ხდება, პეტრიწს ჯერ უსარგებლია "ანაგები", მაგრამ შემდეგ უპირატესობა მიუნიჭებია ტერმინისათვის "ჩუეულებად". ქვემოთ წარმოვადგენთ სათანადო ნიმუშებს ტექსტისეული თანმიმდევრობით:

"კეთილთაჲ რომელიმე ანაგებ არს, ხოლო რომელიმე მოქმედება და რომელიმე ორღანო. ანაგებ უკუე - ვითარ სათნოებაჲ, ხოლო მოქმედებაჲ - ვითარ რაჲ მათი ქმნაჲ" (104. 6-7; 684 A); "ანაგებ უკუე - ვითარ მხედველობაჲ, ხოლო მოქმედებაჲ - ვითარ ხედვაჲ, ხოლო ორღანო, რომლითა ვმოქმედებთ, ვითარ თუალი და სიმდიდრე და სხუაჲ ესევეითარი" (104.8; 684 A); "ყოველნი უკუე კეთილისა და ბოროტისა სულითნი ძალნი ანაგებთა რომელთაჲმე არიან ძალ" (104.12; 684 B); "ანაგებ ვიდრემე არა არს" (104. 14; 684 B); "მისვე და ერთისათვის ანაგები და მოკლებად შეუძლებელ არს" (104.18; 684 B); "არა ვიდრემე არს ანაგებ გემოდ" (104.20; 684 B); "მებრ ბუნებითთა ანაგებთად დაუცილებელად" (105.1; 684 C); "კეთილბედნიერებაჲცა მოქმედებაჲ ვინაჲმე არს დაუცილებელი ბუნებითთა ანაგებთად" (105.3; 684 C); "წუერთანი ვიდრემე არიან უფალ ჩუეულებათა" (153.8; 765 A); "უფალ ჩუეულებათა არს წუერთაჲ" (153.9; 765 A); "ჩუენმიერვჲ... ჩუეულებადცა" (153.11; 765 A); "ჩუენმიერ ჩუეულებად" (153.11; 765 A) "საქმე ჩუეულებათაებრ" (153.12; 765 A); "ჩუეულებათად საქმენი მისნი მარჯუებულ" (153.12; 765 A); "მართალნი ჰქონან ჩუეულებანი" (153.14; 765 A); "არათუ ძალთა შორის არიან უბადობანი, არამედ ჩუეულებათა შორის; არამედ ჩუეულებად - წინააღრჩევათაებრ" (161.3; 777 A); "არა ვინაჲვე ერთი და იგივე ჩუეულებად წინააღმდგომთა" (161.12; 777 C); "სიწმიდე მებრ სათნოებითთა ჩუეულებათა არს" (161.15; 780 A); "არ არიან ძალითად უბადობანი, არამედ ჩუეულებითად და წინააღრჩევითად" (161.17; 780 A); "არა არს უბადო ძალი, არამედ ჩუეულებად" (161.20; 780 A); "ჩუეულებად ჩუენმიერი" (161.22; 780 A); "წინაგანმწყობსა ჩუეულებასა" (161.23; 780 A); "ხოლო ჩუეულებასა (εξ ης ამოკითხულია, როგორც εξ ης ე.ჭ.)... მოგებად" (161.23; 780 A); "განყოფვის უკუე ძალი ჩუეულებასა ამით ვინაჲვე, რამეთუ ძალი ყოველივე ბუნებითად არს, ხოლო ჩუეულებად ზედშემოსრულად, რამეთუ ძალნი უსწავლელ არიან, ხოლო ჩუეულებანი სასწავლოთაგან და ჩუევათა მიერ იქმნებიან" (161.25-28; 780 A); "ამათ მიზეზთაგან ბოროტთაცა მოგებად ჩუეულებათა" (162.3; 780 B); "ყოველი ჩუეულებად ზედშემოსრულად იჩუენა" (162.4; 780 B); "არამედ ესე, რომელ არ ბუნებით არიან ჩუეულებანი, საუწყო არს ამისგან, რომელ არა ყოველივე ერთსა და მასვე ქონებად ჩუეულებასა, არამედ სხუათა სხუანი, ხოლო ბუნებითნი ყოველთავე შორის სწორად" (162.7-9; 780 B).

ამგვარ სურათს გვიჩვენებს ნემესიოსის წიგნი. რაც შეეხება პროკლეს შრომის თარგმანს, მასში ერთადერთ პექტიკურ ტერმინად გვხვდება "ბუნებაჲ", საკუთრივ თარგმანის კომენტარებში კი სხვა ვითარებაა. კერძოდ, ორგზის დამოწმებულია "ანაგები" (49.34; 66.34), შვიდგზის ტერმინი "ანაგი", რაც გელათური ტექსტებისთვისაც შესაძლებელია (98.31; 120.32; 132.5; 137. 7.21.27; 141.30), ერთგზის კი გვხვდება სინონიმური შეწყვილება "ბუნებაჲ და ანაგი" (შდრ. პეტრიწი, 1, ტერმინული ლექსიკონი).

ასეთია ქართული პექტიკური ტერმინოლოგიის ზოგადი ისტორია. ამჯერად ვნახოთ, თუ რა ვითარებას ასახავს "ოთხასეული" და "ორასეული". მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"სიყუარულისა ანაგებად მოსლვად" (ოთხასეული 1.1); "ძნიადშესაცვალებელსა ანაგებსა" (2.70); "მოკლებანი მეორედნილა არიან ანაგებთანი" (3.5);

"სხუად არს ანაგებისაგან ცოდვად და სხუად არს თანაწარტაცებითა" (3.74);
 "ანაგებისად წინააღმდგომისამიერი არს" (3.74); "ნუ ანაგებსა... ეძიებ" (4.8);
 "ანაგებად ოდენ შემქმნელი სიტყუებსა არსთა აგებულებისასა" (ორასეული
 1.22); "სამთა ანაგებთა ცხორებისათა, - სათნოებისასა ვიტყვ და მეცნიერე-
 ბისასა და ღმრთისმეტყუელებისასა" (2.16); "ანაგებად შექმნისა" (2.34); "ამის
 ანაგებისა მიმართ... უდებებდეს" (2.48); "მეცნიერებითად ანაგებად" (2.59);
 "ანაგები უცვალებელი" (2.65); "ანაგებსა კეთილთასა უქცეველად მიმმადლებელი
 ღირსთა" (2.70); "ანაგები სათნოებათად" (2.74); "მოქმედი ანაგებად სათნოებათა"
 (2.74); "ანაგებსა ოდენ შინა სათნოებათასა იყოფების" (2.74); "უშფოთველი
 ანაგები სათნოებათად" (2.78); "რომელთა ანაგებობით საცნობელნი სულისანი
 გამოცდილ აქუნდენ" (1.100); "აღმომდინარეობასა ხედვათა ანაგებობისასა"
 (2.67); "დაუსრულებელ გუარ" (1.4); "მისვე გუარისა სხუათაცა შორის
 შეუძლოს ჩუეულებით დადებად" (1.79); "პყრობად... თვისებისა გუარსა" (1.67);
 "გამვეცებულნი სიბოროტითა ჩუეულებათა და ძვრისმოქმედებათად" (2.67);
 "მათ-ზედადსა შეცთომისა ჩუეულებისად" (1.76); "განსცეს სათნოებად მონად
 ჩუეულებასა ვნებათასა" (1.76) "განპყოფდეს ჩუეულებასა უდარესსა უმჯობესი-
 საგან" (1.78); "ჩუეულებად ღმრთისმსახურებისა... კუალად-აგნეს" (1.33);
 "მრჩობლ ითქუმის საგრძნობელი, ერთი იგი მიმღებელობით... მეორე
 მოქმედებით" (1.22).

როგორც ვხედავთ, ხსენებულ ძეგლებში გვხვდება სამი ძირითადი
 ჰექტიკური ტერმინი: "ანაგები", "გუარი" და "ჩუეულებად". მათგან პირველი
 დამატებით გვიდასტურებს, რომ თარგმანი არ უნდა ეკუთვნოდეს ეფრემის
 წინარე ეპოქას. ამასთან, "ანაგების" დამოწმებათა სიხშირე ყურადღებას
 მიგვაქცევინებს ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მოღვაწეობის გვიანდელ
 პერიოდზე. მეორე მხრივ, ტერმინი "ჩუეულებად" საშუალებას გვაძლევს კვლავ
 ნაკლებ ვივარაუდოთ არსენისა და VI ჰომოგენური ჯგუფის მთარგმნელის
 შესაძლო დაკავშირება ზემორე თარგმანებთან. რაც შეეხება ტერმინ "გუარს",
 იგი გამოგვარიცხვინებს იოანე პეტრიწს, თანაც აღნიშნული ტერმინი,
 როგორც ზემოთ ვნახეთ, ჰექტიკური შინაარსით უაღრესად ნიშანდობლივია
 სწორედ ეფრემ მცირის ბოლოდროინდელი შრომებისათვის.

ამგვარად, დამოწმებულ ჰექტიკურ ტერმინთა ერთობლიობა უფრო მეტად
 მიაპყრობს ჩვენს ყურადღებას ეფრემ მცირისაკენ, ვიდრე სხვა რომელიმე
 ზემოგანხილული მთარგმნელისაკენ.

დავძენთ, რომ ზემორე ნიმუშებში ერთგან ჰექტიკურ შესატყვისად თავს
 იჩენს ტერმინი "მიმღებელობად". თუკი ამგვარ თარგმანს რაიმე გრაფიკული
 ცდომილება არ უდევს საფუძვლად (კერძოდ, თუკი შესაბამისი ბერძნული
καθ εξις არ არის ამოკითხული ანდა აღქმული გაერთიანებულად, როგორც
καθ εξις) მაშინ ესაა საკმაოდ უჩვეულო შესატყვისობა, რომლის დაკავშირებაც
 სწორედ ეფრემ მცირესთან არის შესაძლებელი. ვიდრე ამ დაკავშირებას
 წარმოვაჩენდეთ, ჯერ ის უნდა აღვნიშნოთ, რომ ტერმინი *εξις* ხშირად
 გვხვდება კომპოზიტში *ευσεξια*, რაც გელათურ თარგმანებში გადმოტანილია,
 როგორც "კეთილ-ანაგებობად". მაგალითად:

"დასაცველად მონიჭებულთა ჩუენდა კეთილთა (*αγαθων*) კეთილანაგებო-
 ბისად" (მაქსიმე, გელ. 14, ფ. 161; 897 A); "კეთილანაგებობისა მისისა
 განუხრწნელად დაცვასა" (იქვე, ფ. 162; 900 C); "შეუძლოს ამისისა
 სიმართლისა და კეთილანაგებობისა... მოურნეობად" (იქვე, გელ. 14, ხელნ. 5v1;
 277 D);

ხსენებული ტერმინი დამოწმებულია, აგრეთვე, ნემესიოსის წიგნის ბოლო
 ნაწილში (ე.ი. იმ ნაწილში, რომლის თარგმნისას პეტრიწი ერთერთ ჰექტიკურ
 ტერმინად "ჩუეულებას" იყენებს). ქართული ტექსტი ასეთია:

"მიყუანებად წადილთა სულითთა კეთილჩუეულებათად" (157.19; 772 B).
 ამჯერად საყურადღებო გვეჩვენება იმის აღნიშვნა, რომ ეგვე კომპოზიტი

ზედსართავის სახით (*ευεκτικός*) ერთგზის დასტურდება, აგრეთვე, არეოპაგიტულ კორპუსში. ეფრემ მცირის თარგმანი ასეთია.

"ადვილად-მისაღებლობათა გონებითისა შეწევნათა ძალისათა" (188.29; 4.3.5).

როგორც ვხედავთ, ეფრემი კომპოზიციის პირველ ნაწილს თარგმნის ზმნიზედით "ადვილად", რაც ჩვეულებრივია მისთვის, ხოლო ჩვენთვის საყურადღებო სიტყვას *εκτικός* უფარდებს ტერმინს "მისაღებლობა".

აღნიშნული შემთხვევა ცხადად გვიჩვენებს, რომ ზემოთხსენილი იშვიათი შესატყვისობა "εξις - მიმღებლობა" ეფრემ მცირისათვის შესაძლებელი ტერმინთდაკავშირებაა.

ამგვარად, მაქსიმეს "ოთხასეულისა" და "ორასეულის" ძველი ქართული თარგმანები ჰექტიკური ასპექტითაც ეფრემ მცირის ტერმინოლოგიურ წიარს უნდა განეკუთვნებოდეს.

XI. *Επιστημη*

აღნიშნული ტერმინის დამოწმებათა სიმრავლეში, ბიბლიის ტექსტის მიხედვით, უადრესი ეპოქის ძირითად ქართულ შესატყვისებად გამოიყოფა ტერმინები: "მეცნიერება", "გულისკმისყოფა", "ველოვნება", აგრეთვე, ერთგზის დამოწმებული "ზედამიწევნა" (ოშკის ბიბლია, ეკლესიასტე 1.17).

გრიგოლ ნოსელის "კაცისა შესაქმის" უძველეს თარგმანში ეპისტემოლოგიურ ტერმინებად გვაქვს "ველოვნება" და "მეცნიერება". მოგვაქვს სათანადო ნიმუშები გიორგი მთაწმიდლის პარალელურ დამოწმებებთან ერთად:

ძველი

აჩუენოს ველოვნება თვისი (შატბ. კრებ. გვ. 80. 27; col. 149 C).

ვერ აჩუენის ველოვნება (85.40; 161 A);

"ცნობად" ამას ადგილსა... არა მეცნიერება არს (102. 2; 197 C)

ცნობად არაოდეს მოასწავებს, ვითარმცა იყო იგი მეცნიერება და ველოვნება (*την επιστημην τε και την ειδησιν*) (102.7; 197 D).

გიორგისეული

რადთამცა საცნაურ-ჰყო თვისი ველოვნება (გვ. 33)

ვერ ეძლის თვისისა ველოვნებისა ჩუენება (გვ.47)

"ცნობად" ამას ადგილსა არა ველოვნებასა, არცა გონიერებასა სახელ-სდებს (93)

ცნობად არა ველოვნებასა და მეცნიერებასა წარმოაჩენს (93)¹

¹ ამავე ძეგლში ბერძნული *επιστημονικη διαπλασις* გიორგის მიერ თარგმნილია, როგორც "ველოვანი დაბადება": "მეყსეულად ლონიერისა (*τεχνικης*) მის და ველოვნისა დაბადებისა მიერ მისთანა (ადამიანის ბუნებასთან, ე.ქ.) შეთხზული ძალი სულისად წარმოჩნდების" (გვ. 153; 253 B); ზმნიზედას *επιστημονω* გიორგი თარგმნის, როგორც "ველოვნებით" (გვ. 93; 197 C), ხოლო ერთგან *επισταμωων*-ის შესატყვისად გვაქვს "მეცნიერო" (გვ. 47; 161 A).

ამავე ძეგლში *επιστημων* თარგმნილია, როგორც "ველოვანი":
 "თქვან მკურნალთა მათ ველოვანთა" (84.31; col. 157 D; შდრ. გიორგი:
 "იტყვან... მკურნალობისა გამოცდილნი", გვ.43).

ბასილი დიდის "ექუსთა დღეთაჲს" უძველეს თარგმანში ეპისტემოლოგიურ ტერმინად ორგზის გვხვდება "მეცნიერება":

ძველი

გიორგისეული

აქუს მეცნიერებაჲ ხატთაჲ
 თვნიერ სიკუშოჲსა (2,3; ი.
 აბულაძის გამოც. 31.23).

ხატთა გამოწერისა ველოვ-
 ნებაჲ აქუნდა თვნიერ ნი-
 ვთისა (17.27)

მეცნიერებისაგან ჭეშმარი-
 ტისა (2.6; 36.22).

ჭეშმარიტსა მას მეცნიერ-
 ებასა (22.27)

ზემოდამოწმებული ნიმუშები ცხადყოფს, რომ უძველეს ქართულ მწერლობაში ძირითად ეპისტემოლოგიურ ტერმინებს წარმოადგენდა "ველოვნებაჲ" და "მეცნიერებაჲ". პარალელური ნიმუშები გვიჩვენებს, რომ ათონური სკოლისათვის, კერძოდ, გიორგი მთაწმიდლისათვის იმავე შინაარსით უფრო ნიშანდობლივია "ველოვნებაჲ". ეგვე ტერმინი გვაქვს *επιστημη*-ს ძირითად შესატყვისად თეოფილე ხუცესმონაზონთან:

"ინებამცა რასმე ჭურჭელისა შექმნად ველოვნებისაებრ თვისისა" (იოანე ოქროპირი, თარგმანებაჲ დაბადებისაჲ, Ath. 29, ფ. 63; col.51); "ველოვნებისა მიერ თვისისა განარჩევენ" (ფ.105; 70)¹

ეფრემ მცირესთან ძირითად ტერმინად გვხვდება "ველოვნებაჲ". ასეთი სურათი გვაქვს როგორც ადრეულ, ასევე გვიანდელ თარგმანებშიც. ადრეულთაგან დავიმოწმებთ "გარდამოცემას":

"სათნოებაჲ და ველოვნებაჲ" (გარდამოცემა A-24, 69 v 1- col. 937 C; შდრ. არსენი: "სათნოებანი და მიწთომილებანი", 72.1); "რომელნიმე...ველოვნებით და ხედვით" (67.1-929 C; შდრ. არსენი: "რომელნიმე...ველოვნებისა და ხედვისაებრნი", 70 v 2).²

გვიანდელი დროის თარგმანებიდან აღსანიშნავია დიონისე არეოპაგელის შრომები, რომელთა ორიგინალშიც *επιστημη* მეტად ხშირად გვხვდება. მაგალითების სიმრავლის გამო ვუთითებთ მარტოდენ დამოწმებათა ადგილებს:³

1. *επιστημη* - ველოვნებაჲ:

10.12-1.5; 16.3-2.2; 27.23-3.2; 28.31-3.3; 38.10-4.10; 72.13-7.3; 110.17-3.1; 110.29-3.2; 111.14-3.2; 112.5-3.3; 112.16-3.3; 112.34-4.1; 120.1-7.2; 121.8-7.2; 121.11-7.2; 121.25.33-7.3; 122.18-7.3; 122.22-7.3; 122.27-7.3; 122.29-7.4; 123.7-7.4; 123.23 (ღმრთისმეტყუელებითი ველოვნებაჲ)-7.4; 138.8-13.3; 140.26-13.4; 141.12-11.4; 142.5-14; 145.4 (სიტყვერებითთა

¹ მიმღეობა *επισταμενος* თარგმნილია, როგორც "მეცნიერი": "ენასა მასცა ასურთასა მეცნიერნი" (ფ. 47; 43); "...შჭულთა ღმრთისათა მტკიცედ მეცნიერისაჲ" (ფ.90; 64);

² იხ. აგრეთვე ნიმუშები "დიალექტიკიდან" (მ. რაფაეას გამოცემა, ტერმინოლოგიური ლექსიკონი, გვ. 298-299; "ველოვნებაჲ").

³ რამდენიმე დამოწმება მითითებულია, აგრეთვე, ს. ენუქაშვილის მიერ. იხ. დასახ. გამოცემაზე დართული ლექსიკონი, "ველოვნება".

ველოვნებათა)-15.3; 145.16-15.3; 145.23-15.3; 151.3-15.9; 155.7-1.1; 156.12-1.1; 158.17-1.3; 164.31-2.3; 169.9-3.1; 172.35-3.3; 175.16-3.3; 189.11-4.3; 194.36-5.1; 195.6-5.1; 196.2 (ველოვნებითა სრულმყოფელობითითა)-5.1; 196.36-5.1; 197.9-5.1; 198.4 (განწმედითსა ველოვნებასა)-5.1; 198.8 (ველოვანყოფად)-5.1; 202.1-5.3; 202.14-5.3; 203.7-5.3; 204.13-6.1; 204.28-6.1; 205.34-6.3; 206.3-6.3; 208.3-6.3; 208.5-6.3; 208.17-6.3; 208.21-6.3; 209.26-7.1; 213.12 (სამსაჯუროდსა ველოვნებისა)-7.3; 218.3-7.3; 218.18-7.3; 228.29-5; 251.32-ეპ.9.1.

2. *επιστημων* - ველოვანი:

157.35-1.3; 193.12-5.1; 167.2-2.3;

3. *επιστημονικος* - ველოვნებითი, უველოვნესი:

22.8-2.9; 121.18-7.2; 253.18-ეპ.9.2; 112.13-3.3; ერთგზის მას გადმოსცემს "ველოვნება": 175.14; 3.3.

4. *επιστημονικως*

საველოვნოდ (202.5-5.3); ველოვნებით (196.5-5.1).

5. *ανεπιστημων* - უველოვნოდ:

215.22-7.3

6. *ανεπιστημονως* - უველოვნოდ:

90.13-11.5

აღვნიშნავთ იმასაც, რომ ეფრემ მცირესთან იშვიათ შემთხვევებში ეპისტემოლოგიურ ტერმინად გვხვდება, აგრეთვე, "მეცნიერებად":

"მეცნიერებით (*μετ επιστημης*) დამმწყსელად ერისა თვისისა" (ბასილი დიდი, ეპისტოლენი, 90.1; ნ. ქაჯაიას გამოც. გვ. 242.3); "სულმან მეცნიერებისამან (*επιστημης*) აღავსო ბესელიელ ხუროთმოძღვარი კარვისად" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, სიტყვები, A-109; 216 v 2; 445 C).¹

ამგვარი შესატყვისობის საფუძველზე ეფრემს ზმნიზება *επιστητως* თარგმნილი აქვს, როგორც "მეცნიერ":

"თვთ მხოლოდ ოდენ გამოჩნდეს ფლობით მეცნიერ თავსა თვისსა" (დიონისე არეოპაგელი, 6.27; 1.1).

გრიგოლ აკრაკანტელის შრომის თარგმანში *επιστημη*-ს ერთადერთი შესატყვისია "ველოვნებად":

"იგავნი და ველოვნებად ვცნენ მე" (ეკლ. 1.17; 23.20; 793 B); "ყოველნი ველოვნებანი შეწერნეს" (23.32; 796 A); "მსგავსად მკურნალთა ველოვანთადსა (*κατα την επιστημην*)" (105.32; 1004 D); "წარმოაჩინებს აწ ველოვნებასა" (136.16-17; 1084 A); "რომელ არს ველოვნებად და შეტყუებად" (144.24;

¹ ეპისტემოლოგიურ ტერმინებად დიონისე არეოპაგელის შრომებში დასტურდება, აგრეთვე, "მეცნიერების" ცნობილი სინონიმები "შემეცნებად" და "ცნობად": "უწყნის ღმერთმან არსნი არა თუ შემეცნებითა არსთადთა, არამედ ცნობითა თავისა თვისსადთა" (71.31-32; 7.2); "თვთ მას ცნობასა მიუტეოთ" (6.2; 1.1); "მისი ცნობად და ხედვად ყოველთა არსთაგან შეუვალ არს" (6.33; 1.2).

² *επιστητος* თარგმნილია, როგორც "საცნაური" (158.6-1.3; 218.35-7.3).

1101 A); "განმრჩეველობითა კელოვნებათა... განმგონებელი" (160.31; 1132 B); "განმრჩეველობისა კელოვნებაჲ მიიღონ" (162.10; 1136 B);

ამავე ძეგლში *επιστημονικωτατος* თარგმნილია, როგორც "კელოვანი": "კელოვანმან მენერგემან ნერგი იგი წარმოჰმართოს" (22.29; 792 D); ოლიმპიოდორეს თხზულების ორიგინალში აღნიშნული ტერმინი მხოლოდ ერთგზის გვხვდება. თარგმანში მას შეესაბამება "კელიმწიფებისაებრ" ("არა ვმარებისაებრ, არამედ კელმწიფებისაებრ", A-61, 212.1; 576 C), რაც ვფიქრობთ ხელნაწერული ცდომილებაა მთარგმნელისეული სიტყვისა "კელოვნებისაებრ".

ამავე ძეგლში *επισταμενον* თარგმნილია, როგორც "მეცნიერ" ("ყოველთა მეცნიერ არს" 270.1; 605 A), ხოლო ზმნა *επισταμαι* გადმოტანილია ასე: "მეცნიერ ვარ" (273.2; 608 A). იგივე ზმნა აკრაკანტელის შრომაში თარგმნილია, როგორც "უწყი" (76.7; 945 A).

"დიალექტიკისა" და "გარდამოცემის" თარგმანები ცხადყოფს, რომ არსენი-სათვის ძირითადი ეპისტემოლოგიური ტერმინია "კელოვნებაჲ", რასაც იშვიათად ენაცვლება "მიწთომილებაჲ" ("გარდამოცემის" შესაბამისი ადგილები იხ. ზემოთ; იქვე იხ. მითითება "დიალექტიკაზე").

კარგად არის ცნობილი, რომ გელათურ სკოლას *επιστημη*-ს შესატყვისად შემოაქვს ახალი ტერმინი "ზედმიწევნულობაჲ", რომლის ეპისტემოლოგიური გააზრება მ. რაფაევს აქვს ახსნილი:

"შესაძლებელია 'ზედ-მიწევნულობა' *επι-στημη*-ს კალკას წარმოადგენდეს. *Επι*-ს შესატყვისად "ზედ" წინდებულია, ხოლო - *στημη* *ιστημη* ზმნად არის გააზრებული".

ეს სავსებით მართებული დაკავშირებაა, რადგან ზმნა *επιστημη* შეიძლება ითარგმნოს "მიწდომად", "მოწევნად". მაგალითად:

"თქუმულთაგან მიწდომად (*επιστησαι*) ამათდა" (ამონიოსი 88.3; 115.14);² "ვერ მწევნელობისა (*επισταμενον*)" (მაქსიმე A-52.154; 1065 C); "ოდეს მოიწიოს (*επιστησεται*) აღსასრული" (ოლიმპიოდორე, ეკლესიასტეს განმარტება, A-61; 279.1; 609 C); "პირველ მოწევნადმდე სიკუდილისა" (მაქსიმე, გელ.14, ფ.162; 200 A).

ზემოაღნიშნული გელათური ტერმინთშესატყვისობის ნიმუშები კონკრეტულად ამონიოსის შრომათა თარგმანებიდან დამოწმებული და მითითებული აქვს მ. რაფაევს (იხ. ამონიოსის დასახ. გამოც. გვ. 191; 243). მოვიტანთ ანალოგიურ მაგალითებს VI ჰომოგენური ჯგუფის სხვა ძეგლებიდან:

1. *επιστημη* - "ზედმიწევნულობაჲ":

"მიმღებელი... სულიერისა ზედმიწევნულობისა" (მაქსიმე, გელ.14, ფ. 103.1; 421 D); "თვისისაებრ ზედმიწევნულობისა" (ფ. 119.1; 440 D); "რომლისაგან

1 ამონიოს ერმისი..., გვ.084. ტერმინების "ზედმიწევნულობისა" და "კელოვნების" შესახებ იხ. იქვე, 082-090; პირველი მათგანის შესახებ იხ., აგრეთვე, ე.ჭელიძე, ძიებანი წმ.გრიგოლ ღვთისმეტყველის შესახებ, ფილ. ძიებანი, II, თბ. 1995, გვ.170-175.

2 დამოწმებული აქვს მ. რაფაევს, დასახ. ტერმინ. ლექს. გვ.202 ("მიწდომად"). აღვნიშნავთ, რომ "ზედმიწევნულობის" წინასახე "ზედმიწევნაჲ" ეპისტემოლოგიური შინაარსით გვხვდება ოშკის ბიბლიაში: "იგავნი და ზედმიწევნანი" (მცხეთის ბიბლია: "მიწევნანი") (ეკლ. 1.17). დავძენთ იმასაც, რომ Ath.რ-ის ერთ-ერთ ტექსტში *επισταμενοι* გადმოტანილია, როგორც "ზედდადგომილ" (წერილთა ზედდადგომილ, 143.2 - Pg.59, 634.

ქმნად მოუგებს "ზედმიწევნულობასა" (175.1; 544 A); "...ზედმიწევნულობისა გრძნობადთადასა" (124.2; 449 D); "ბუნებისაებრ...ზედმიწევნულობისა" (ფ. 22; 296 A); "ზედმიწევნულობასა...სრულებისასა" (ფ. 24; 297 C); "ხედვისებრი ზედმიწევნულობად" (იქვე ხელნ. 5 v 2; 280 B); "მათზედადასა ზედმიწევნულობისა მომლუწელნი" (მაქსიმე, A-52,153; 1061 A); "წერილთა წურთისა და ზედმიწევნულობისასა" (ქსიფილინოსი, გელ. 2,195); "დამყარებულ ყვეს იგი კეთილმსახურებითა და სათნოებათა ზედმიწევნულობითა" (ქსიფილინოსი, კ. კეკელიძე, ეტიუდები VI, გვ.170).

2. *επιστημονικος* - ზედმიწევნულობითი:

"ზედმიწევნულობითნიცა და კეთილმსახურნი გულისსიტყუანი" (მაქსიმე, გელ. 14, ფ.89.1; 400 B); "ზედმიწევნულობითითა გუარითა გაგონებისადათა" (იქვე, ხელნ. 5v2; 280 A);

3. *επιστημονικως* - ზედმიწევნულობით:

"ზედმიწევნულობით გარდასცეს" (მაქსიმე, გელ.14, ხელნ. 256 v 1; 20 B); "ზედმიწევნულობით მეცნიერ იქმნეს" (იქვე 287 v 1; 252 B);

4. *επιστημων* - ზედმიწევნული:

"ქრისტე - კეთილი და ზედმიწევნული მუშაკი" (მაქსიმე, გელ.14, ფ. 117.1; 437 B); "ყოვლისა სწავლულებისა ზედმიწევნულსა" (ქსიფილინოსი, კ. კეკელიძე ეტ. III, 297.13).

5. *επιστημωνως* - ზედმიწევნულობით:

"ზედმიწევნულობით შემკრებელ" (გელ.14, ხელნ. 1.1; 264 B); "ზედმიწევნულობით ჰმართებთ" (მაქსიმე, A-52, 153 v; 1064 A);

6. *επισταμενος* - ზედმიწევნელი:

"გულისხუმისყოფითა ზედმიწევნელისა" (მაქსიმე, გელ.14, ფ. 191.2; 584 A).¹

7. *επισταμαι* - ზედმიწევნულ ვარ:

"ესრეთ სიმკაცრით ზედმიწევნულ ვარ მე მისდა" (თეოფილაქტე, იოანეს თავის განმარტება, A-52, 78 v; 73 A).²

ამგვარად, ტერმინულ სტრუქტურათა VI ჯგუფის ძეგლებისათვის ებისტემოლოგიურ ტერმინად ნიშანდობლივია "ზედმიწევნულობად".

როგორც ცნობილია, ეგევე ტერმინი გვხვდება, აგრეთვე, იოანე პეტრიწთან. მ. რათავა შენიშნავს:

¹ ეს ტერმინი თარგმნილია, აგრეთვე, როგორც "მეცნიერი" (მაქსიმე, გელ. 14, ფ. 170.2; 537 C); იმავე ტერმინს გადმოსცემს "შემსწავებელი" (იქვე, ფ. 276.1; 709 B).

² იგივე ზმნა თარგმნილია, აგრეთვე, როგორც "მეცნიერ არს" (მაქსიმე, გელ. 14, ფ.196.1; 593 B), აგრეთვე, როგორც "შემეცნება" (ბუნებით შეუხებელად შეემეცნების, იქვე, ხელნ. 303.2; 429 C). გვხვდება მიმლეობა "შემეცნებული" - *επιστησας* (ამონიოსი 35.14; 41.16).

"ზედმიწევნულობა" II "ზედმიწევნულება" დასტურდება იოანე პეტრიწის შრომებში... ეს ტერმინი პეტრიწის მიერ თუ არა, პეტრიწონული სკოლის მოღვაწეთა მიერ არის შექმნილი" (ამონიოს ერმისის თხზულებები... გვ. 84).

გამოთქმული აზრი დაზუსტებას მოითხოვს. ზემოაღნიშნული გელათური ტერმინი, ცხადია, გვხვდება იოანე პეტრიწთან, რაც ცხადყოფს, რომ პეტრიწისათვის გელათური სკოლის შრომები ცნობილი იყო, მაგრამ მათ შორის მაინც იჩენს თავს გარკვეული სხვაობა. საქმე ისაა, რომ ამონიოსის შრომათა თარგმანებში და საზოგადოდ VI ჰომოგენური ჯგუფის ძეგლებში გვხვდება მხოლოდ ასეთი ფორმა "ზედმიწევნულობად" და არცერთხელ "ზედმიწევნულებად" ანდა "ზედმიწევნილებად", მაშინ როცა პეტრიწთან, პირიქით, გვხვდება მხოლოდ "ზედმიწევნულებად" (ერთგზის "ზედამიწევნულე-ბად") ან "ზედმიწევნილებად" და არცერთხელ "ზედმიწევნულობად" (იხ. ე. ჰელიძე, ძიებანი..., გვ. 173-174). მოგვაქვს სათანადო ნიმუშები ნემესიოსის წიგნიდან:¹

1. *ἐπιστημη* - ზედმიწევნულებად\ზედმიწევნილებად:

"ველოვნებათა და ზედმიწევნულებათა" (15.24; 520 C); "გონებისა ზედმიწევნულებისა შემწყნარებელობად" (18.5; 524 C) "ყოველსა ზედამიწევ-ნულებასა და ველოვნებასა და გუარსა (*μεθόδου*) წარჰმართებს" (22.23; 524 C); "ორსახედ ვიდრემე ზედმიწევნულებად" (36.20; 561 A); "მხედვარეობად ზედმიწევნულებით" (36.21; 561 A); "ზედმიწევნულება უკუე მყოფობასა შორის სულისასა იხილვების" (36.23; 561 A); "ზედმიწევნულებად მოქმედებისა" (36.26; 561 A); "ზედმიწევნილებათა და ველოვნებათა მეცნიერთათვს" (51.10; 589 B); "სათნოებანი და ზედმიწევნილებანი" (89.2; 660 B); "სასწავლოდთა და ზედმიწევნულებითა" (99.18; 677 A); "ზედმიწევნილებით ქმნილნი" (100.17; 677 C); "ზედმიწევნილებათა და სათნოებათა" (101.25; 680 C); "ველოვნებისა და ზედმიწევნილებისა თანა გონებისა და ცნობისათვს" (102.10; 681 A); "არცა ზედმიწევნილებითთა, გინათუ ველოვნებითთა, გინათუ საქმეთად არს განზრახვად" (139.8; 737 C); "ველოვნებათა და ზედმიწევნულებათა სწავლულებად" (17.16; 524 B); "გონებისა და ზედმიწევნულებისა შემწყნარ-ებელი" (17.23; 524 B);²

2. *ἐπιστημονικος* - ზედმიწევნილებითი:

"მიმოგაგონებითი და ზედმიწევნილებითი" (74.24; 637 A);

3. *ἐπιστημων* - ზედმიწევნილი:

"ველოვნებითა ზედმიწევნილი" (106.17; 685 C).³

ამგვარად, ზემოაღნიშნული ფორმობრივი ნიუანსიც განასხვავებს პეტრიწისა და VI ჰომოგენური ჯგუფის ძეგლებს.

¹ ანალოგიური ვითარებაა პროკლეს წიგნის თარგმანში და კომენტარებში (იხ. დასახ. გამოც. გვ. 149; 190; 264), იმ განსხვავებით, რომ პეტრიწს შემოაქვს კიდევ ერთი ფორმა "ზედმიწევნად" (იხ. იქვე, 149; 190).

² ერთ შემთხვევაში პეტრიწი ქმნის ახალ ტერმინს "ზედმიწევნებად", რაც ასევე ბერძნული *ἐπιστημη*-ს ეტიმოლოგიურ გააზრებას ეყრდნობა (იხ. 17.25; 524 B).

³ მიმღეობურ ფორმებში გვხვდება ორი გამოხატვისი: *ἐπισταρενος* - "გულსხმისმყოფელი" (150.33; 765 B) და *ἐπιστημων* - "შეველოვნე" (144.8; 748 A).

ასეთი სახისაა, ზოგადად, ეპისტემური ტერმინოლოგიის ტრადიცია ძველ ქართულ მწერლობაში იოანე პეტრიწის ჩათვლით. ახლა მოვუხმობთ სათანადო ნიმუშებს "ორასეულიდან".¹

"დიდსა შესაძინებელსა ჰპოვებენ ველოვნებისა მისგან" (1.86); "კითხული მამისაგან სახესა ველოვნებისასა" (1.17); "მკად" არს...ველოვნებით შეკრებად და შემეცნებად" (1.42); "საცნაურთა აგებულებათა ველოვნებად" (1.66); "მეცნიერებითსა ველოვნებასა" (2.98); "სათნოებითითა მეცნიერებითა ღმრთისა მიმართ ქმნულ არიან" (1.35); "იზარდების საღმრთოთა არსთა მეცნიერებითა" (1.32); "ფრიადი მეცნიერებად გვკმს" (2.73).

როგორც ვხედავთ, ხსენებულ თარგმანში *επιστημη*-ს ძირითად შესატყვისად გვაქვს "ველოვნებად", რასაც ზოგჯერ ცვლის "მეცნიერებად". თარგმანისათვის სავსებით უცნობია "ზედმიწვევულობად". ამ ნიშნითაც იგი მკვეთრად სხვაობს ზემოწარმოდგენილი გელათური თარგმანებისაგან და კვლავაც ეფრემ მცირისაკენ მიაქცევს ჩვენს ყურადღებას, რომელიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ეპისტემური შინაარსით ძირითადად იყენებს "ველოვნებას", იშვიათად კი მეცნიერებას (მაგრამ არცერთხელ - "ზედმიწვევულობას").²

XII. *Ηδη*

ეს ზმნიზედა ნიშნავს: "უკვე", "სულ ახლაბანს", "ეს ეს არის", "ახლა", "აწ".

მისი ძირითადი შესატყვისი ეფრემის წინარე ეპოქაში იყო ტერმინი "აწვე". მაგალითად, ნიმუშები ბიბლიიდან:

"ელია აწვე მოვიდა" (მათე 17.12); "აწვე მოკუდა" (მარკ.15.44); "აწვე აღეგზნას" (ლუკა 12.49); "აწვე დასჯილ არს" (იოანე 3.18); "სპეტაკ არიან სამკალად აწვე" (იოანე 4.35); "აწვე წმიდა ხართ" (იოანე 15.3); "აწვე ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს" (ლუკა 3.9); "აწვე არს ჟამი განღვძებად" (რომ. 13.11); "აწვე სამე განმადლარ ხართ და აწვე განჰმდიდრდით" (1 კორ. 4.8); "და აწვე (გიორგი: "აწ ეგრეთ"; ეფრემი: "აჰა აწვე)" (1 კორ. 5.3); "აწვე სრულ ქმნულვარ" (ფილ.3.12); "რამეთუ აწვე ეგერა (*ηδη ποτε*)" (ფილ. 4.10; შდრ. ეფრემი: "აწლა სადმე"); "აწვე ვინმე გარდაიქცეს" (1 ტიმ. 5.15; "აწვე-მცა (მცხეთური და ბაქარისეული: "მუნთქუესვე-მცა") განგმირე შენ" (რიცხ. 22.29).

ბიბლიური წიგნების უძველეს თარგმანებში დასტურდება სხვა შესატყვისებიც:

"აწვე ესერა ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს" (მათე 3.10); "მუნთქუესვე (გიორგი: "მუნვე") იმრუშა მის თანა" (მათე 5.28); "აწ ესერა (გიორგი: "აჰა

¹ 'ოთხასეულში' ტერმინი *επιστημη* არ გვხვდება. აქ ერთგან ვლინდება მარტოოდენ მიმღეობური ფორმა *επισταμενος*, რაც ასეა თარგმნილი: "სულიერისა გზისა სლვად არა უწყოდის" (4.65). იგივე მიმღეობა მსგავსადვეა თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ: "პირველ ყოფადმდე ყოველთა უწყის ყოველი" (გარდამოცემა, 62.2; 908 D; შდრ. არსენი: "უწინარეს ქმნისა მათისა მეცნიერმან", 68.1).

² აღვნიშნავთ, რომ ბერძნული *επιστημολογια* 'ორასეულში' თარგმნილია, როგორც "მცნობელობითი" (ერთი იგი მცნობელობითი ანაგებად ოდენ შემქმნელი სიტყუებსა არსთა აგებულებისასა", 1.22), რაც ასევე ეფრემ მცირეზე მიგვითითებს, რადგანაც ეფრემი, როგორც აღრე აღვნიშნეთ, ზოგ შემთხვევაში *επιστημη*-ს "ცნობად" თარგმნის, ხოლო ტერმინი "მცნობელობითი" ისევეა ნაწარმოები "ცნობისაგან", როგორც შესაბამისი ბერძნული *επιστημολογια επιστημη*-საგან.

ესერა¹) სამი დღე არს" (მთ. 15.32); "აჰა ესერა პური ჩემი მზა არს ყოველი" (ლუკა 14.17); "მო-ოდენ-ვიდოდა იგი" (იოანე 4.51); "შე-ოდენ-რიყუდებოდა" (იოანე 6.17); "დღესასწაული იგი გან-ოდენ-ზოგებულ იყო" (ი. 7.14); "გარქუ თქვენ პირველვე" (ი. 9.27); "აწ ლათუ სამე წარმემართოს" (რომ 1.10, გიორგი-ეფრემი); "აწ უძლურება თქვენდა არს ესე" (1 კორ.6.7); "აწმცა მოქცეულ ვართ სამგზის" (შესაქ. 43.10); "აწ იხილე" (გამოსლ.6.1); "აწვე ვგერა სცნა" (რიცხ.11.23); "მიერთგანვე (მცხეთური: "მიერთგან") ქმნულ არს (ეკლ. 1.10); "ყოფილი იგი მიერთგანვე არს" (ეკლ. 3.15); "მიერთგანვე წოდებულ არს სახელი" (ეკლ. 6.10);

გრიგოლ ნოსელის "კაცისა შესაქმის" უძველეს თარგმანში გვაქვს "აწვე":

"არა აწვე (ηδη) იქმნა" (შატბ. კრ. 106.39);

იგივე ტერმინი გვხვდება აღნიშნული ძეგლის გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანშიც:

"არა აწვე იქმნა" (გვ. 99).¹

თეოფილე ხუცესმონაზონი ηδη-ს მრავალი ტერმინით გადმოგვცემს. მაგალითად:

"გონებითა აწვე უცნობიეს" (Ath. 29, ფ.231; 119); "ვიხილოთ... აწ დათესულთა მათ ჯეჯილი თქვენ შორის" (ფ. 24; 31); "აწ თქუმულნი ესე... დაჰმარხეთ" (24;31); "ბრალებითა ოდენ აწ ნაქმრისადთა" (76; 56); "ხისა მისცა ვსენებად ყო აწ" (204; 110); "ესე აწ ესერა ამით საქმით აღასრულეს" (681; 267); "წინადსწარვე საანჯმნო-მიყო ჩუენ" (140; 85); "წინადსწარვე ვთქუთ" (265; 132); "სასოებისა მიერ კეთილისა პირველვე იზარდებიან" (191; 105); "უსწრო... პირველვე" (26; 257); "პირველადცა ღირს-ყო კურთხევასა ნათესავი ჩუენი" (630; 253); "უწინავე ქმნულისა მის დაბადებულისა მცირე კერძოდ მოიღო" (237; 122); "ადრევე ყოფილი" (140; 85); "მუნვე იმრუშა მის თანა" (მათე 5.28;² 569-244).

ეფრემ მცირე აღნიშნული ტერმინის ერთ-ერთ ძირითად შესატყვისად იყენებს ტრადიციულ "აწვე"-ს. ეს შესატყვისი გვხვდება მის როგორც ადრეულ, ასევე გვიანდელ თარგმანებში:

"აწვე სრულქმნილ არს" (A-292; 321; 989 C); "ცნობილ არიან აწვე" (325; 1004 B); "აწვე განცხადებულად მკუდარ უსულო" (გრიგოლ დვთისმეტყველი, თექვსმეტსიტყვედი, A-109, 67 v 2; 600 B); "აწვე მოსრულისა იგონებ" (იქვე 92.2; 373 B); "რომელთამე აწვე წარმართებულნი" (205.2; 608 B); "არამედ მოვიდოდეთ აწვე" (208 v 2; 617 C); "აწვე მათვე სიტყვთა ერთვობითთა" (165 v 2; 885 A); "შეუდგეთ აწვე სიტყუასა" (165 v 2; 885 A); "ამსხუერპლებენ... აწვე დღეთაცა და წელიწადთა" (211 v 2; 432 A); "შეკრებად აწვე დაივსნებოდენ" (219.1; 452 C); "აწვე აქა იყო" (233-233 v; 1185 B); "ნუ სდროებ ტკბილ ყოფად, არამედ აწვე იქმენ" (გრიგოლ დვთისმეტყველი, სიტყვები, A-52, 159; 1053 A); "აწვე იცნის ცნობილნი" (163; 317 C); "აღმიდგინა ჩუენ რქად ცხორებისად აწვე მდებარეთა" (123 v 2; 1089 A); "ბოროტი მძაფროოდა აწვე მბერველობითა" (127.1; 1096

¹ აღნიშნული შინაარსით "აწვე" გვხვდება აბო თბილელის მარტვილობაში: "სატანჯველი აწვე განგვიმზადებებს" (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბ. 1946, გვ. 65)

² თანხვდება გიორგის რედაქციას. ადრეულ ვერსიებში გვაქვს "მუნთქუესვე" (იხ. ზემოთ, ნიშნუები ბიბლიიდან).

A); "აწვე ფრიად შედგომილმან" (130.2; 1105 A); "აწვე მახლობელქმნილსა" (დიონისე არეოპაგელი 210.6; 7.1);

სხვადასხვა შემთხვევებში ეფრემთანაც ვლინდება ტერმინული მრავალგვარობა. მაგალითად:

"აწცა იქმნებიან" (A-52, 133 v 1; 1113 B); "რაოდენთა, აჰა ეგერა, ყოველნი სიტყვს-მწერლობენ" (იქვე 138.2; 1125 C); "ზემორე... ითქუა" (დიონისე არეოპაგელი, 120.1; 7.2); "ესე უკუე... ქებისმეტყუელებანი აჰა ეგერა საღმრთოთა ქებათა შინა აღგვკსნიან" (123.18; 7.4); "პირველ ვთქუთ" (128.27; 9.2); "რომელთა-იგი წმიდად მოვსენებად აწლა ეგერა ვყავთ" (157.4; 1.2); "აწლა სინანულად მოსრულთა დაეფარვის" (176.29; 3.3); "რომელთა-იგი ვსენებად აჰა ეგერა ვყავთ" (187.25; 4.3); "პირველ ჩუენ მიერ საგალობელ ქმნილთა" (193.7; 5.1); "რომელთა ზემორე ვსენებად ვყავთ" (203.19; 6.1); "პირველ ჩუენ მიერ თქუმულ არს" (206.14; 6.3); "პირველცა თქუმულ არს ჩუენ მიერ" (208.17; 6.3); "აწლა დაწყებად არს" (209.27; 7.1); "პირველ დაძინებულთა წმიდათა" (211.15; 7.2); "აწლა სადმე" (ფილიპ. 4.10; ეფრემის რედ.).

განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ აღნიშნული ტერმინული აზრით პირველად ეფრემ მცირის თარგმანებში იჩენს გამოკვეთილად თავს ახალი შესატყვისი "ეგერა". სიტყვა "ეგერა" ეფრემის წინარე ძეგლებშიც არის დამოწმებული, მაგრამ, ჩვეულებრივ, სხვა ტერმინთან ერთად. ვგულისხმობთ ისეთ სინონიმურ წყვილებს, როგორებიცაა: "აწვე ეგერა", "აწლა ეგერა", "აჰა ეგერა".¹

ეფრემ მცირემდე "ეგერა", როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული, თითქმის არ შეიმჩნევა.² მით უმეტეს, არ ვლინდება მისი რაიმე მყარი ტერმინული გააზრება. სწორედ ეფრემის შრომებში წარმოჩნდება პირველად ამ სიტყვის სემანტიკური სახე. კერძოდ, იგი თავს იჩენს, როგორც ზემოაღნიშნული ბერძნული ტერმინის (ηδη) ერთერთი კანონზომიერი შესატყვისი. მაგალითად:

"ნაწილ ეცეს შვდთა, მერმე რვათაცა, ვითარცა ეგერა (ηδη) ვიეთმე პირველ ჩუენისა შემოუღებიეს" (A-109, 212.1; 432 B); "ეგერა ნიჭ ღმრთისა" (იქვე 116.2; 832C); "მკუდარსაცა ძუელსა ეგერა მოუვდეს ვინმე" (159.2; 869 B); "მკლველსადა თანასახლეულობნ ვინმე ეგერა" (160.1; 872 B).

დამოწმებული ნიმუშები თუმცა მცირეა, მაგრამ ისინი აშკარად ცხადყოფენ, რომ ტერმინთშესატყვისობა ηδη - "ეგერა" ეფრემ მცირისათვის ცნობილია (იგულისხმება მისი მოღვაწეობის მიწურული). როგორც ჩანს, სწორედ ეფრემია ამგვარი შესატყვისობის დამამკვიდრებელი.

აღნიშნული ტერმინული სიახლე არსებითი ხდება არსენისათვის. აი, რამდენიმე ნიმუში "გარდამოცემის" მისეული თარგმანიდან:

"რამეთუ ეგერა... წინადსწარ განბჰო" (76.1; 972 A); "კმასაყოფელად ეგერა პირველთა სიტყუათა შინა ითქუა" (72 v 2; 941 C); "ოთხისა დღისად და ეგერა განხრწნილი ლაზარე" (102.2; 1224 A).

¹ "ეგერა"-ს მოეპოვება პარალელური ფორმა "ეხერა", რაც დასტურდება ზემორე შესიტყვებებში (აწვე ეხერა, აწ ეხერა, აჰა ეხერა).

² თითოთოროლა ნიმუში (სხვა შინაარსით) მითითებულია ი. იმნაიშვილის მიერ (ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ. 1986, "ეგერა").

იგივე ტერმინი გვხვდება "დიდ სჯულისკანონში":

"ხოლო მე ეგერა... უწყი" (483. 8); "რომელნიცა ეგერა პირველვე განჩინებისა ამის დადგინებულ არიან" (259.4); "ბოროტთა ძიებათა მათთა ეგერა თვისი აღესნად მიიღეს პირველვე სადმე კეთილად" (469.12);¹

რაც შეეხება გრიგოლ აკრაკანტელისა და ოლიმპიოდორეს განმარტებათა თარგმანებს, ისინი ტერმინულ სიახლესთან ერთად ავლენენ შესატყვისობათა ისეთსავე მრავალგვარობას, როგორც ეს ეფრემ მცირის შრომებში ვნახეთ.² მოგვაქვს ნიმუშები:

"ქმნადი ეგერა არს და რაოდენი იქმნების, ეგერა ქმნილ არს" (გრიგოლ აკრაკანტელი, 41.27 - 877 A; ეკლ. 3.15; ოშკის, მცხეთის: "მიერთგანვე"); "ეგერა წოდებულ არს სახელი მისი" (ეკლ. 6.10; 91.22-977D; ოშკის: "მიერთგანვე"); "შური მათი ეგერა წარწყმდა" (ეკლ. 9.6; 129.17; 1068 C); "ეგერა მკუდარ იქმნეს" (130.6; 1069 B); "ეგერა სათნო-იყვნა ღმერთმან" (ეკლ. 9.7; 130.33 - 1072 A); "სართულსა ხილულისა სახლისსა, ეგერა დაძულებულ-ლისსა" (153.17; 1117 A); "და აწვე სახილველსა ცხორებასა უგულებელს-ჰყოფენ" (102.27; 997 C); "აწვე ეგერა ყოფილთაგანნიცა" (18.19; 784 A); "ყოველი ქმნადი აწვე ეგერა ქმნილად იპოვების" (19.4; 784 C); "თითოეული აწვე ეგერა არს" (42.9; 877 B); "აჰა ეგერა ქმნილ არს" (ეკლ. 1.10; 17.30 - 781 C; ოშკის: "მიერთგანვე"; მცხეთის: "მიერთგან"); "აჰა ეგერა ქმნილ არს" (19.2; 784 C); "აჰა ეგერა განჰმზადნა" (41.9; 876 B); "აჰა ეგერა იქმნა" (42.10; 877 B); "რამეთუ აჰა ფრიად კეთილად შექმნილ არს ყოველი" (41.6; 876 B); "წარმოაჩინებს აწ ველოვნებასა" (136.16; 1084 A); "დამარღუეველი ეგერა აღშენებულისადა" (ოლიმპიოდორე, 253.1; 600 A); "რომელთა რომელიმე აწვე აქუნდა ეკლესიათაგანი" (33 v 1; 537 C); "ვითარცა აწვე თვისად განკუთნვილთა" (56.1; 572 A); "რომელნიმე აწვე შემთხუეულ იყვნეს" (56.1; 572 A); "არა აწვე ეგერა წარმართებული" (265; 604 C); "აჰა ეგერა ი მნეს" (69.1; 520 A); "აჰა სხუანი იქმნნეს" (62.1; 520 A); "ესერა ითქუა" (61.2; 516 A); "რაოდენი რად ყოფად მოიყვანა ღმერთმან, წინადთვე მისი სახელი და სიტყუადაცა განსრულებულად აქუნდა თავისა თვისისა შორის" (179.1; 557 B).

ზემოწარმოდგენილი ნიმუშები ცხადყოფს, რომ **ηδη**-ს ქართულად თარგმნა მრავალგვარობით ხასიათდებოდა. აღნიშნულ შესატყვისთა შორის გამოიყოფა ტერმინი "აწვე", რომელიც უძირითადესია როგორც საზოგადოდ უძველესი ქართული მწერლობისათვის, ასევე საკუთრივ ეფრემ მცირისათვის, თუმცა ეფრემის თარგმანებში თავს იჩენს შესატყვისი "ეგერა", რაც განსაკუთრებით ნიშანდობლივი ხდება არსენისათვის.

სწორედ არსენ იყალთოელის უშუალო გავლენით უნდა აიხსნას ხსენებული ტერმინული სიახლის (**ηδη** - "ეგერა") უმეტესად მყარი და თითქმის უცვლელი სახით დამკვიდრება VI ჰომოგენური ჯგუფის ძეგლებში, მათ შორის ამონიოსის შრომათა თარგმანებში. საკმარისია აღინიშნოს, რომ კონკრეტულად ამ

1 ბერძნული **ηδη και** ერთგან არსენის მიერ თარგმნილია, როგორც: "ეგერა აწვე" ("ეგერა აწვე განღმრთობილისა", გარდამოცემა, S. - 1463, 81 v 2; 1032 B).

2 გრიგოლ აკრაკანტელის (ფსევდო-მიტროფანეს) გამოცემის შესავალში კ. კეკელიძე სავსებით მართებულად განმარტავს ტერმინს "ეგერა": - "უკვე" уже (გვ. LXXII).

უკანასკნელ ძეგლში ბერძნული *ηδη* სულ არსებული 23 დამოწმებიდან 22-გზის თარგმნილია, როგორც "ეგერა", ხოლო ერთგზის ადგილი აქვს გრაფიკულ აღრევას (კერძოდ *ηδη* ამოკითხულ იქნა, როგორც *ειδη*), რაც აღნიშნულ ტერმინთან დაკავშირებით საკმაოდ ხშირია, და ამიტომ თარგმანში მივიღეთ "სახილაგობაჲ" (სავსებით შესაძლებელია გრაფიკული აღრევის არსებობა თვით ბერძნულ ნუსხაში). ამდენად, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ამონიოსის თხზულებათა მთარგმნელი ბერძნულ *ηδη*-ს ყველა შემთხვევაში თარგმნის ტერმინით "ეგერა". მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"წყალმან გარდასხმულმან ეგერა მოკლებულსა მკურვალეებასა აღუწოდა" (8.35; 7.12) "ეგერა განწყვალეებულისა" (11.9; 10.5); "ეგერა შევემეცნიერებით" (11.32; 10.21); "ეგერა თქუმულ არს" (12.5; 11.6); "ეგერა ყოფილნი" (17.18; 17.13); "ჟამი არს ეგერა ჩუენდა თქუმად წინსათქუმათაცა წიგნისათა" (21.13; 22.2); "ვჩნდით ეგერა მეტყუელად" (46.33; 57.18); "ეგერა ქმნადნი" (67.4; 87.8); "ეგერა თქუმულ არს" (70.17; 91.25); "ითქუმის ეგერა" (78.15; 102.11); "ვითარცა ეგერა წინაწარმოვთქუენით" (80.37; 105.12); "ეგერა თქუმულ არს" (85.5; 111.8); "ვთქუათ ეგერა" (85.8; 111.11); "არსებისათვს ეგერა თქუმულ არს" (87.38; 115.11); "ეგერა თქუმულთაგან" (88.2; 115.13); "თქუმულ არს... ეგერა" (90.17; 119.2); "ეგერა ვთქუთ" (91.22; 120.16); "ეგერა თქუმულ არს" (93.15; 122.27); "ეგერა თანშეტყუებულ არს" (94.2; 124.1); "ეგერა საჭიროდ წინადააწესა" (137.4; 48.12 - შენ.); "ეგერა თქუა" (143.8; 54.4 - შენ.); "ეგერა ცხად-არს" (169.3; 80.20).²

დავიმოწმებთ რამდენიმე საილუსტრაციო ნიმუშს VI ჰომოგენური ჯგუფის სხვა ძეგლებიდან:

"ეგერა საქმეთაებრ მიმღებელთა" (მაქსიმე, გელ.14, ფ. 209.1; 612 C); "კეთილთა იტუთა ეგერა წინამიმღებელ" (375.1; 460 C); "ეგერა ქმნადნიცა" (191.2; 584 A); "დახატულთა ცხადად ეგერა" (იქვე, გელ. 14, ხელნ. 273.1; 72 A); "გვრგვნსა ეგერა სასოებით მიმღებელი" (282 v 1; 89 D); "ესეცა შესამსგავს ჩემდა არს თქუენდა მიმართ თქუმად ეგერა" (286.1; 248 C); "ეგერა ღმერთქმნილი განღმრთობითა" (290 v 1; 257 A-B); "შჯულთა ეგერა ვორცთა კაცისაებრ" (7.1; 284 B); "მეცნიერქმნილთა ეგერა" (8 v 1; 288 B); "ეგერა აწ ქმნილი" (თეოფილაქტე, იოანეს თავის განმარტება, 21 v; 1212 D); "ესენი ეგერა დაშვილან" (21 v; 1213 A); "მამად ეგერა საცნაურ იყო" (1 v; 1136 D); "ეგერა შორით ხედვიდეს" (იოანე ქსიფილინოსი, გელ. 2,24); "ეგერა მწუხრი მოიწყოდა" (იქვე 25); "არცა ეგულეობოდეს მას დაქუეითებაჲ ეგერა საჯდომისადა აღმღებელობასა" (25); "ეგერა მის თანა პყრობილთასა" (40 v); "ეგერა კმასაყოფელად ცნობიერქმნილსა" (44 v); "ხოლო ეგერა...განემზადა ვიდრემე სამსჯავროდ" (52 v); "ეგერა აქუნდა ტვრთი" (139 v); "ხოლო ეგერა წარმო-რად-დგა დღე" (146 v); "სამწყსოდსა ეგერა განბნეულისა მპოვნელმან" (160); "სავუმილი ეგერა... აღგზებული" (109); "მიერ ეგერა მდინარეთადვე (192); "აქა არიან ანგელოზნიცა, არა ზეცით

1 აი, ეს ნიმუში: "არა ყოველთა სახილაგობისა და ბილწთაგან მიმთხუევისათვს" (100.39; 7.9). მსგავსი აღრევა ერთგან გვხვდება ეფრემთანაც: "სახილველ-ჰყვნე (*ηδη*) სოპატროდსნიცა კეთილნი" (დიონისე არეოპაგელი, 236.5; ეპ.6)

2 ოთხ შემთხვევაში "ეგერა" გადმოსცემს ბერძნულ *ηδη*-ს, რაც გრაფიკული მსგავსების გამო არეულია *ηδη*-ში (იხ. 59.12-15; 75.6-9); ერთგან "ეგერა"-ს ბერძნულში შეეფარდება "ειδη" ("ეგერა ნივთისშორისნი", 12.33-11.28; უნდა ყოფილიყო "სახენი ნივთისშორისნი" ანდა "გუარნი ნივთისშორისნი"; შდრ.13.11-12.12); აქაც ზემოხსენებული გრაფიკული აღრევაა *ηδη*-სა და *ειδη*-ს შორის.

წარმომკვრობელნი, ვითარ ეგერა წინაღსწარ ითქუა, არამედ ჩუენ თანა ხატოან-ქმნილნი ნაკუთითა" (179); "მე, პასაკითა ეგერა მოხუცებულად მხედველი" (89 v); "იხილეს ეგერა მოკლებულად ძიებული" (ქსიფილინოსი, კ.კეკ., ეტ. VI, 209); "ეგერა წინაღსწარ ითქუა" (იქვე 211); "რამეთუ ეგერა მწუხრად მიწევნილობდეს მზისა შარავანდნი" (221); "ეგერა ცნობილ არს" (ეტ. III, გვ.296.2).

ამგვარად, VI ჰომოგენური ჯგუფისათვის მკვეთრად ნიშანდობლივია ტერმინთშესატყვისობა "**ηδη** - ეგერა".

იგივე შესატყვისობა უძირითადესია, აგრეთვე, იოანე ჭიმჭიმელისათვის. აი, არსებული ნიმუშები

"ეგერა აქუს" (A-102, 6 v 1; 501 A); "შთაასხმიდა ნავად ვიდრე ეგერა აღუსებადმდე" (მარკ. 4.37; 19.2-537A); "აწვე ეგერა მიპსცის სატანჯველსა" (20 v 1; 540 C); "ეგერა შემიწირავს" (30.1; 561 B); "ვითარცა ეგერა განტკეცილნი" (A-113, 23 v 1; 737 A); "ვითარმედ ეგერა უბიწოქმნილ ხართ" (25.2; 741 B).

აღნიშნულ ბერძნულ ტერმინთან დაკავშირებით მეტად უცნაურ სურათს გვიჩვენებს იოანე პეტრიწის თარგმანები, განსაკუთრებით ნემესიოსის წიგნი, რომლის დედანში **ηδη** საკმაოდ ხშირად გვხვდება. სულ არის რვა დამოწმება. აქედან სამ შემთხვევაში ბერძნული **ηδη** თარგმანში საერთოდ გამოტოვებულია (122.27-713A; 156.14-769B; 98.18-676C). ოთხგზის ეს ტერმინი გაიგივებულია **ειδος**-სთან ანუ ამოკითხულია და გაგებულია, როგორც **ειδη**, რის გამოც თარგმანში გვაქვს "გუარი", ერთგზის კი შესატყვისად გვხვდება "პირველვე". მოგვაქვს ნიმუშები:

"თანმიეხოს თვსთა საგრძნობელთა, მაგრა გუართა განყოფილთა" (82.8; 656 B; ორიგინალში იგულისხმება არა "გვართა განყოფილთა", არამედ "უკვე განყოფილთა"); "რომელიმე ამათგანი გუარად წარმოდგომილა" (98.14; 676 B; ორიგინალში იგულისხმება არა "გვარად წარმოდგომილია", არამედ "უკვე წარმოდგომილია"); "ყოველი ქმნადობად არმყოფთად არს, ხოლო გემოდ - გუარ მყოფთად" (104.2; 684 A; ორიგინალში იგულისხმება არა "გვარი მყოფთა", არამედ "უკვე მყოფთა", ე.ი. "უკვე არსებულთა"); "იხილვების... წინააღრჩევად წინადათვე გამორჩეულთა და გუარ-ქმნილთა ზედა" (136.12; 733B; ორიგინალში იგულისხმება არა "გვარ-ქმნილთა", არამედ "უკვე ქმნილთა"); "ვითარ პირველვე ისიტყუა" (49.15; 588 A).

პროკლეს წიგნში **ηδη** გვხვდება მხოლოდ ერთგზის. პეტრიწი მას თარგმნის, როგორც "ვიდრემე":

"უძლურ ვიდრემე არს" (თავი 86; 54.22; იხ. ტერმ. ლექსიკონი, გვ.150; 188).

ამგვარად პეტრიწისათვის სრულიად უცხოა ტერმინი "ეგერა", რითაც იგი მკვეთრად სხვაობს როგორც ამონიოსის შრომათა (და საზოგადოდ VI ჰომოგენური ჯგუფის ძეგლთა) მთარგმნელისაგან, ასევე იოანე ჭიმჭიმელისაგან. საგულისხმოა, რომ ხსენებული ტერმინი ("ეგერა") არ გვხვდება არც მის

1 კ. კეკელიძე აღნიშნულ ტერმინს ორგზის განმარტავს, როგორც "უკვე" (ეტ. VI, გვ. 199; 215).

2 ქსიფილინოსის საკითხავებში გვხვდება, აგრეთვე, "აწვე", რომელიც შესაძლოა გადმოსცემდეს ბერძნულ **ηδη**-ს, **ου**-ს ან **αρα**-ს. მაგალითად: "აწვე ზეცისა სასუფეველისა მიმართ წარმართებულ" (გელ.2, 15); "აწვე ხედვიდა" (28); "აწვე აღესრულოს ნებად შენი" (103); "აწვე... უკუნსცა" (ეტ. VI, 142); "აწვე... მადლსა ღმრთისასა იღირსა" (156); "აწვე სრული" (171); "აწვე ძლიერ იქმნა" (171); "აწვე... მგულვებელმან" (182); "აწვე... მცნობელმან" (182); "აწვე... მოლხინე-ქმნილი" (183); "აწვე განკურნო" (ეტ. III, 243.39); "აწვე უმჯედართმძლურონი" (იქვე 293.11).

კომენტარებიში.

დასასრულს, თუკი შევეცდებით, რომ ზემოწარმოდგენილი ტერმინული მრავალგვარობიდან გამოიყოს უძირითადესი, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:

უძველეს ეპოქაში *ηδη* უმთავრესად ითარგმნებოდა სიტყვით "აწვე". ეს შესატყვისი ნიშანდობლივია ეფრემისათვის. არსენი მყარ შესატყვისად ამკვიდრებს სიტყვას "ეგერა", რაც დამოუკიდებელი ტერმინული ფუნქციით პირველად ეფრემ მცირესთან იჩენს მყარად თავს. ხსენებული "ეგერა" უმეტესად განივრცობა XII ს-ის გელათურ საღვთისმეტყველო სკოლაში. იგი უმთავრეს შესატყვისად გვევლინება იოანე ჭიმჭიმელის თარგმანებშიც. იოანე პეტრიწი აღნიშნულ ტერმინს ხშირ შემთხვევაში *ειδη*-სთან აიგივებს და "გუარად" თარგმნის, თუმცა თითოგზის მის შესატყვისებად გვაწვდის ტერმინებს "პირველვე" და "ვიდრემე".

დავუბრუნდეთ "ორასეულსა" და "ოთხასეულს". უპირველესად წარმოვადგინოთ სათანადო ნიმუშებს აღნიშნული ძეგლებიდან:

"აწვე იქმნა ესე" (ოთხასეული 2.31); "აწვე უეჭუელად სიყუარულიცა აქუს" 2.49) "არა უყუარდეს ვინმე აწვე" (2.50); "აწვე უყუარსდა იგი" (2.50); "არცა შეურაცხიეს თავი თვისი აწვე წარწევნულად" (4.60); "აწვე წმიდაქმნული" (ორასეული 1.99); "აწვე შერაცხილნი ხედვათა შინა" (2. 64); "აწვე დაუტევებიეს სოფელი" (2.95); "ვიეთმე აწლა ქმნულთა" (ოთხასეული 2.45).

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ხსენებული ბერძნული ტერმინი რვა შემთხვევაში თარგმნილია, როგორც "აწვე", ერთგზის კი როგორც "აწლა". ეჭვი არ არის, რომ აღნიშნული ტერმინული ასპექტითაც "ორასეული" და "ოთხასეული" მკვეთრად სხვაობენ გელათური თარგმანებისაგან და ეფრემ მცირისეულ თარგმანთა მონათესავედ წარმოჩნდებიან.

XIII. *Noeros / νοητος*

აღნიშნულ ტერმინთა შესახებ დაწვრილებით ვიმსჯელებთ ზემოთ. როგორც ცხადი გახდა, ეფრემ მცირეს ხსენებული ტერმინები ჩვეულებრივ განურჩევლად და თითქმის უგამონაკლისოდ (განსაკუთრებით ბოლოდროინდელ თარგმანებში) გადმოაქვს, როგორც "საცნაური", მაშინ როცა VI ჰომოგენური ჯგუფისათვის უაღრესად ნიშანდობლივია ტერმინი "გონიერი".¹ ქვემოთ წარმოვადგინოთ ყველა იმ ნიმუშს, რაც აღნიშნული ტერმინული ასპექტით დასტურდება "ორასეულსა" და "ოთხასეულში":

1. *νοητος* - საცნაური:

"საცნაური და სიტყვერი არსებაჲ" (ოთხასეული 3.25; 3.26); "რომელნიმე სიტყვერ არიან და საცნაურ" (3.30); "სიტყვერი და საცნაური არსებაჲ" (4.2); "საცნაური არსებაჲ" (4.10); "საცნაური - მცნობელობათა, ხოლო გრძნობადი - მგრძნობელობათა" (4.10); "საცნაურისა არსებისაჲ" (4.13); "არს... სახარებაჲ სულ (*ψυχη*) საცნაურ" (ორასეული 1.92); "მარადის... საცნაურთა საცნაურსა (*νοηταις νοητων*) ზედა-დაპრთავს" (2.77); "მოკლებითა ჩუენმორისისა

¹ აღვნიშნავთ, რომ არსენის აღრეულ თარგმანებში, გარდა "გონიერისა", ხშირად გვხვდება აგრეთვე "საცნაურიც" (მაგალითად, *νοητος*-ის შესატყვისად: ანასტ. 2.1-41B; 2.1-41C; 2.2-44D; 2.2-45B; 2v1-48C; 4.2-60C; 4v2-64A; 4v2-64A; 5.2-65B; ნიკიტ. 265v1-66; 266.2-76; 266v2-82; 266v2-84; 269.2-116; 270.1-126; 270v2-136; 271.2-144; 273.1-174; 276.1-216 და სხვა; *νοητος*-ის შესატყვისად: ანასტ. 5v1-69B; 6.2-73A; ნიკიტ. 266.2-74; 266.2-76; 266v1-78; 266v1-80; 267.1-88; 267.2-90; 267v1-92; 271v1-150; 271v2-154; 272.1-158; 272.1-158; 272.1-160; 272.2-160; 273.1-172; 273.1-176; 278.1-246 და სხვა).

2. *σοητος* - საცნაური:

"პირუტყუთმზრდელ ვიდრემე საცნაურ არს მოქმედი" (ოთხასეული 2.55); "საცნაურთა... საქმეთა" (3.71); "საცნაურთა სოფლად გარდაგვიდეს" (1.17); "საცნაურთა წესიერებათა შემომღებელი" (1.35); "მკა მკათა არს ყოველთაგან უვალი იგი შემდგომად საცნაურთა საიდუმლოდ ხედვისა გონებითი უცნაურად შემოკრებული ცნობად ღმრთისად" (1.43); "საცნაურთა ბუნებითა მოქმედებათა" (1.46); "ყოველთა გრძნობადთა და საცნაურთა სიტყუათა" (1.54); "საცნაურთა იგი მიმღებლობითთა ღმრთისმეტყუელებათა" (1.61); "ზეშთა ხილულისა ბუნებისა საცნაურთა" (1.79); "ხუთად განყოფილებისათვის გრძნობადთადასა, ხოლო საცნაურთად რვისა" (1.79); "ხედვითა საცნაურთადათა მოისტულოს დაუცემელი მეცნიერებად" (1.79); "საცნაურისა ბუნებისა მიმართ" (1.80); "საცნაურსა მას უკორცოთა ბუნებასა გამოსახავს" (1.80); "საცნაურთა ბუნებად" (1.83);

3. *σοητως* - საცნაურად:

"სიტყუად ღმრთისად საცნაურად მოიწევოდა" (2.28); "არა სადმე საცნაურად გვხილავს" (2.73); "იქმნეს სოფელ ღმრთისა საცნაურ" (2.79).

დამოწმებული ნიმუშები ცხადყოფს, რომ "ორასეულიცა" და "ოთხასეულიც" მთლიანად ეფრემისეულ ნოეტურ ტერმინოლოგიას იცავს. ეფრემთან პოულობს პარალელს, აგრეთვე, გამონაკლისი შემთხვევები. კერძოდ:

1. *το σοερον* - მცნობელობად:

"და ამათგანთა სიტყვერთა მცნობელობით... მომგებელთა კეთილისათა" (ოთხასეული 3.27); "მზრდელ მათსა სულისა მცნობელობასა" (ოთხასეული 2.66).

შდრ ეფრემი: "განუსუენოთ ჩუენსა ამას მცნობელობისა (*το σοερον*) თუალსა" (დიონისე არეოპაგელი 142.14-15.1); "კაცისსახეობასაცა აღსწერენ...მცნობელობისათვის (*δια το σοερον*)" (იქვე 144.30-15.3).¹

2. *σοητος* - ცნობადი:

"წინაპატივცემად... ცნობადთა" (ოთხასეული 3.67); "სიმრავლე გრძნობადად და ცნობადად წიად-ვლოს" (ოთხასეული 2.5).

შდრ. ეფრემი: "ჰქონან... ცნობადთა (*σοητως*)" (დიონისე არეოპაგელი 43.7; 4.16); "არს... მზე... ცნობადთათვის ღმერთი" (A-109, 121.2-1084A); "თვთ-

¹ არსენთან *σοερος*-ს ერთგან შეესატყვისება "მცნობელი". მაგალითად: "საცნაური (*σοητος*) - უხრწნელი და საუკუნოდ, ზოლო მცნობელი - უხილავითა საცნობელითა მხედველი" (S-1463, 5v2-69B). "ოთხასეულში" ერთგან ტერმინი *σοητικος* თარგმნილია, როგორც "მცნობელობითი" (3.32); ასევე, ერთგან *σοητος* გადმოტანილია, როგორც "საცნაურებად" ("შიშულითა გონებითა შემთხუევად შიშულთა საცნაურებათა" 2.60). საყურადღებოა, რომ *σοητικος* არსენს გადმოტანილი აქვს, როგორც "მომგონებელობითი" (S-1463, 135v2-169B; შდრ. იქვე *σοητικως* - მომგონებლობით, 132.2-148C), "მომგონებელობად" (132.2-148C).

ცნობადნი (αυτο-νοητα) იგი... ქებულ არიან" (დიონისე არეოპაგელი 43.8-4.16).

ამგვარად, ნოეტური ასპექტითაც ხსენებულ ძეგლთა ეფრემისეულობა (და არა გელათურობა) საკამათო არ უნდა იყოს. ამასვე ადასტურებს სხვა ნოეტური ტერმინებიც. მაგალითად:

1. το νοούμενον:

ეს ტერმინი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ძირითადად ოთხგვარად ითარგმნება ეფრემის მიერ. კერძოდ, როგორც "საცნაური," "ცნობადი," "ცნობილი" და "საცნობელი".¹ სწორედ ეს ოთხი შესატყვისი გვხვდება ამჟერადაც:

"საცნაური" (ორასეული 1.66); "ცნობადი" (იქვე 1.67; 1. 82); "საცნობელი" (იქვე 2.60); "ცნობილი" (1.8; 1.50).

2. το νοειν:

"ცნობა" (ოთხასეული 4.66); "მცნობელი" (ორასეული 1.82); "საცნობელობად" (იქვე 1.82);

3. το νοεισθαι:

"ცნობა" (ორასეული 1.81); "საცნობელობად" (1.82); "ცნობადობად" 1.82);

4. νοεω:

"ცნობა (იცნობების)" (ორასეული 1.97);

5. το νοουν:

"მცნობელი" (ორასეული 1.82; 2.3);²

6. το νοημα:

ა) "ცნობად" (ოთხასეული: 1.87; 2.6; 2.62; 3.35; 3.38; 3.39; 3.40; ორასეული: 2.37; 2.59; 2.74).

ბ) "მოგონებად" (ოთხასეული: 1.88; 1.93; 1.94; 2.4; 2.15; 2.17; 2.51; 2.64; 2.68; 3.1; 3.41; 3.42; 3.43; 3.44; ორასეული: 2.12; 2.79).

გ) "გულისკმისყოფად" (ოთხასეული 1.87; ორასეული: 2.51; 2.59).

დ) "მეცნიერებად" (ორასეული 2.67).³

7. η νοησις:

ა) "მცნობელობად" (ოთხასეული: 4.10)

ბ) "ცნობად" (ორასეული: 1.81; 1.82; 2.2; 2.88).

¹ საყურადღებოა, რომ არსენთან "საცნობელი" ერთგან გადმოსცემს νοησις-ს (S-1463, 270.2-130). ერთ შემთხვევაში νοησις გადმოტანილია ასე: "საცნობელად წინამდებარე" (270.2; 130); νοούμενος არსენს გადმოაქვს ტერმინებით: "მოსაგონებელი" (25v2; 212c), "საცნაური" (266v1-78; 271v2-156) და სხვა.

² ამ ტერმინს არსენი თარგმნის, როგორც "განმგონებელი" (279v1-268), "განმგონებელობად" (278.2-258).

³ νοημα არსენთან თარგმნილია, როგორც "გულისკმისსაყოფელი" (8v1-88D; 276.2-220; 277.2-234; 277v2-242; 278.2-250 და სხვა), "გულისკმისყოფად" (278.2-250), "მოგონებად" (6v2-77A) და სხვა.

- გ) "ცნობილობაჲ" (ორასეული: 1.82).
- დ) "საცნობელობაჲ" (ორასეული: 1.82).
- ე) "გულისკმისყოფაჲ" (ორასეული 1.13).
- ვ) "მოგონებაჲ" (2.3)¹

ვფიქრობთ, წარმოდგენილი დამოწმებანი თარგმანთა ატრიბუციის თვალსაზრისით ტერმინულ გარკვეულობას გვიქმნის.

XIV. ΣΧΕΙΣ

ამ ტერმინის შესახებ ზემოთ გვქონდა მსჯელობა, როდესაც ვეხებოდით ამონიოსის შრომათა თარგმანების ტერმინოლოგიურ სპეციფიკას. როგორც აღვნიშნავდით, VI პომოგენური ჯგუფისათვის უმეტესად ნიშანდობლივია ხსენებული ტერმინის უთარგმნელად გადმოტანა ("სქესი"). რაც შეეხება ეფრემ მცირეს, როგორც მაშინ გაკვრით მივუთითეთ, იგი შესატყვისად იყენებს ცნობილ ტერმინს "თვსებაჲ",² რაც გვხვდება არსენთანაც, თუმცა ამ უკანასკნელს შემოაქვს, აგრეთვე, მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივი ორსიტყვედი ტერმინი "განუჭრელი თვსებაჲ".³ რაც შეეხება სუფიქსიან ფორმას *σχετικος*, მას ეფრემიცა და არსენიც, ჩვეულებრივ, თარგმნიან, როგორც "თვსებიითი".⁴

დავიმოწმებთ პარალელურ ნიმუშებს "გარდამოცემიდან":

ეფრემი	არსენი
ყოვლისავე მქონებელად... სახითა მით შობისაჲთა და თვსებიითა (<i>σχεσει</i>) (85 v 2; 1008 C)	ყოველთავე მქონებელად... სახისა შობისაჲთა და გა- ნუჭრელითა თვსებიითა (79v1)
ესენიცა არა არსებისა, არა- მედ თვსებისა საცნაურ- მყოფელ არიან (104.1; 1085 A)	ესენი არა ბუნებისა, არა- მედ განუჭრელისა თვსე- ბისა არიან წარმომაჩი- ნებელ (87 v 2).
არცა პირებითად ანუ თვსე- ბითად (<i>σχετικην</i>) (82.2; 993 B)	არცა პირებით ანუ თვსე- ბით (77 v 2)

¹ არსენი აღრეულ ეპოქაში *νοησις*-ს თარგმნის, როგორც "მცნობელობაჲ" (5.2-65B; 5.2-65C), "გაგონებაჲ" (131v1-141D), "გულისკმისყოფაჲ" (131v2-145D), "მოგონებაჲ" (132.1-148B), "გონებლობაჲ" (134.1-157B).

² იშვიათად გვხვდება სხვა შესატყვისებიც: "ჩუქულებაჲ", "შეზავებაჲ", "იფივეობაჲ" (იხ. დიალექტიკა, მ. რაფაეას გამოც. გვ. 201), "პყრობაჲ" (იხ. "გარდამოცემა" 95. 1-1048C; შლრ. არსენი: "თვსებაჲ" 83 v 2).

³ ეს ტერმინი სამგზის არის დამოწმებული "დიალექტიკის" არსენისეულ თარგმანში (იხ. გამოცემაზე დართული ტერმ. ლექს. "განუჭრელი თვსებაჲ").

⁴ ამგვარი ტერმინთშესატყვისობა ერთგზის გვხვდება "დიალექტიკაში" (გვ. 229). საყურადღებოა, რომ ზმნიზედა *σχετικως* არსენს ერთგან თარგმნილი აქვს ტერმინით "შეთვსეობით" [შეთვსეობით გარეგან ბუნებისა მოძრავნი, ნიკიტა სტითატის შრომები, ლოგმ. 269.1; 114].

ამგვარად, ეფრემისათვის სქეტიკურ ტერმინად ნიშანდობლივია "თვსებად".
აი, კიდევ რამდენიმე ნიმუში ამგვარი ტერმინთშესატყვისობისა:

"ხოლო "უფალი" და "მეუფე" თვსებასა... საცნაურ-პყოფენ" (გარდამოცემა, 46
v; 837B; ასევე "თვსებად" გვაქვს არსენთან); "ესენი... არიან მაუწყებელნი...
თვსებისა და გუამოვნებისა სახისანი" (47.1; 837C; ასევე არსენთან; იქვე);
"მეორე - თვსებითი" (106.2; 1093 A); "ერთ აქუს ამათ ურთიერთარს
თვსებად" (გრიგოლ დვთისმეტყველი, სიტყვები, A-292, 253; 1161 D); "განწესება
არს თვსებისა და ბრწყინვალებისათვს" (230 v; 181 C); "უბრძანებს... თვსებათა
მისთაგან განვსნასა" (დიონისე არეოპაგელი, 166.29; 2.3); "ზეშთა-ექმნების
მსგავსებათა და თვსებათა" (იქვე 234.6; ებ.2); "დასასრულსა არსთასა უთვსოდ
(ασχετως) და აღმატებულად თავსა შორის თვსსა წინადათვე მქონებელი" (იქვე
64.16; 58); "ყოველთა თანა არს ყოველთაგან უთვსოდთა (ασχετω)
გარდამატებულებითა" (84.2; 9.9); "უთვსოდთა შეცვითა მპყრობელი" (123.38;
7.2); "თვსსა მოქმედებასა მისცემს უთვსოდ და უხილავად" (144.6; 15.2); "უთვსო
არს და შეუწყობელ ყოვლისავე მიმართ" (166.25; 2.3); "ყოვლად უთვსო და
უზიარო მისსა იქმნეს" (166.34; 2.3); "უთვსოდთა... განკრთომითა" (223.21; 1.1);
"უმსგავსოდ და უთვსოდ" (234.6; ებ.2.)¹

სქეტიკურ ტერმინად, ასევე, "თვსებად" გვხვდება გრიგოლ აკრაკანტელის
შრომის თარგმანში, რომელიც, როგორც არაერთგზის აღგვინიშნავს, ახლოს
დგას ეფრემისეულ ტერმინოლოგიასთან. მოგვაქვს ნიმუშები:

"თვსებასა და ერთგულებასა აჩუენებს შემოქმედისა მიმართ თვსისა" (18.1-2;
781 C); "მისა მიმართ ძმებრივითა თვსებითა... თანაშეკრულსა" (58.18; 909
A); "უაღრესისა თვსებისა მიმართ აღმყვანებელი" (62.26; 916 B).

იგივე ვითარება გვაქვს, აგრეთვე, იოანე ჭიმჭიმელთან, რომელიც
აღნიშნული ტერმინული ასპექტითაც აშკარად ემოწაფება ეფრემს. მაგალითად:

"გამოვიდეს... ვორციელთა-მიმართისა თვსებისაგან" (A-102; 14 v 1; 524
A); "ჯერეთ თვსებად აქუნდა სოფლისა მიმართ" (A-113, 68 v 1; 832 C);
"კაცობრივთა თვსებათა მიმართ განვრდომად მოციქულთაგან" (70 v 1; 836
B); "ორთა თვსებათა მიითუალავს" (110 v 1; 908 A); "ნუ გაქუს მისსა
მიმართ თვსებად" (146 v 1; 969 A); "რომელ არს ვნებული თვსებად" (146
v 1; 969 A); "უფროდსი თვსებად აქუს მათდა მიმართ" (172.2; 1016 A).²

1 დიონისე არეოპაგელის შრომათა თარგმანებში გვხვდება შემდეგი
გამონაკლისები: 1) η σχέσις ὀργῆς თარგმნილია, როგორც "კუმევა": "სხუათა
ცხოველთა შორის არათუ კუმევა ამათი არს ბოროტ, არამედ მოსპოლვა... ხოლო
კუმევა ამათი აცხოვნებს" (51.34-36; 4.23); 2) ασχετος (το ασχετον) სხვადასხვა
შემთხვევაში თარგმნილია, როგორც "განუყოფელი" (18.37), "დაუმჭირველი" (179.12;
3.3); "დაუმჭირველობად" (146.18; 15.3); "წინადაუდგრომელი" (143.15; 15.2); "ვერშესაპყრობელი"
(43.16; 4.16). ასევე, ασχετως ზოგჯერ გადმოტანილია, როგორც: "განუყოფელად"
(12.30-1.7; 62.11-5.6), "შეუცავად" (136.12; 13.3). დავძენთ, რომ ტერმინი "უთვსოდ"
ხსენებულ თარგმანში ერთგან გადმოსცემს ბერძნულ "μη συγγενης"-ს: "უთვსოდთა მათ
მისდა, შუვამდგომელობითა მისდა უთვსესისადათა, ითვსებს" (137.3; 13.3).

2 იოანე ჭიმჭიმელი სამ შემთხვევაში ხსენებულ ბერძნულ ტერმინს თარგმნის,
როგორც "სიუჟარული": "მათდა მიმართითა სიუჟარულითა შეკრული" (A-113, 130; 941
A); "ზედა-ადგრებოდის სიუჟარულსა მათსა" (131.1; 941 C); "საზომი სიუჟარულითა"
(172 v; 1016 B); ერთგან შესატყვისია "მოწლეობად" (უმეტესსა მოწლეობასა აჩუენებენ
მისა მიმართ" (172.2; 1016 A); შესაძლოა, ხსენებული თარგმანი ითვალისწინებდეს
გიორგი მთაწმიდლის შრომებს, სადაც ერთერ სქეტიკურ ტერმინად ხშირად
გვხვდება "სიუჟარული": მაგალითად: "სიუჟარული ხილულთა" (თალასი 2.41); "სოფლისა
საქმეთა სიუჟარული" (იქვე 2.51); "ხილულთა საქმეთა მიმართ სიუჟარული გონებისად"
(2.55); "ვორცთა სიუჟარულითაგან განშორებულ ხარ" (იქვე 4.2)

ამონიოსის შრომების განხილვისას აღვნიშნეთ, რომ ხსენებულ შრომათა თარგმანში ერთადერთი სქეტიკური ტერმინია თავად ბერძნული "სქესი", რაც ცხადია, ასევე ერთადერთ შესატყვისად წარმოჩნდება VI ჰომოგენური ჯგუფის სხვა ძეგლებშიც. წარმოვადგინო სათანადო ნიმუშებს:

1. *σχέσις* - სქესი:

"მიმღებელი სქესისად" (მაქსიმე, გელ. 14, ფ.1; 261 D); "დამაცხრობელი... ბუნებითისა მოძრავობისა თვისისა და სქესისად" (იქვე, ფ. 1; 261 D); "სქესი შემტკიცების" (86.1; 393); "სქესისაებრ მეცნიერებისა წინააღმდეგომთადასა" (100.1; 417 A); "დამტევებელმან...სქესისა და ჩუქევისამან" (102.2; 421 B); "სქესსა ურთიერთას თანსახილველობისად მოუგვის ძალი" (156; 884 C); "ითქუმის სქესად" (156; 884 C); "სქესისაებრ მარტივითა სურვილითა" (158; 888 A); "სქესისაებრ...საცნაურებათა" (158-159; 888 C); "არ ესაშუვლების სქესი მისვე ყოვლითურთ და უსქესოხა" (160; 892 D); "სქესი მისი (ნივთისა, ე.ჭ.), ვითარცა მტურერი, განვიყაროთ გონიერთა თუალთაგან" (162; 900 B); "სქესითა მადლისადათა" (163; 901 C); "სქესისაგან... დაუმჭირავი" (178.1; 548 A); "სქესისებრისა შეყოფისა წარმომაჩინებელად" (393.2; 481 C); "უსიტყუელი (*αλογιστος*) სქესი სულისად აქუს დასაბამად თვისისა ქმნისა" (198.1; 596 B); "სქესისა სულისადასა" (198.2; 596 C); "შეერთებად სქესი არს და არა საქმე" (499.2; 340 D); "ცნობად უკუე არს სქესი" (მაქსიმე, გელ.14, ხელნ. 257.2; 21 B); "სწორსა ჰყოფს შემდგომობით გარდმოქცევასა სქესთასა (*ταυ σχετων*)" (267 v; 52 B); "ყოველსა სქესსა ბუნებისასა თანაწარსრულთა" (285 v 2; 248 B); "ბუნებითისა სქესისაებრ" (287.2; 252 A); "გამოვსნილი სქესთაგან" (287 v 1; 252 A); "არცა აქუს ვითარივე არსებად, ანუ ბუნებად, ანუ გუამი, ანუ ძალი, ანუ მოქმედებად, არცა რომელობად არს, არცა რაოდენობად, არცა სქესი..." (288.2; 253 A); "სოფლისა მიმართ შინაგანმდებარე სქესი" (291.1; 748 D); "უსაყოველთაოესსა სქესსა" (291 v 1; 749 C); "ნივთისა-მიმართი გემოდსმოყუარე და სხეულისმოყუარე სქესი სულისად" (292 v 2; 753 A); "ქმნისა-მიმართისა სქესისა" (293 v 2; 756 B); "სხუებრ ვერ შესაძლებელობითა ღმრთისა-ძლითთა მათ გონიერთა სქესთა მათთა და მოწლეობათა სხეულეანისა მიერ მოთხრობად ვმისა" (2 v 2; 269 C); "მადლისაებრ და სქესისა სიყუარულისა" (თეოფილაქტე, იოანეს თავის განმარტება, 7 v; 1157 C); "სათნოებისშორისი სქესი მცნებათათვს იჩუენოს" (92; 116 C);

2. *σχετικός* - სქესებრი, სქესებრივი, სქესისებრი, სქესიანი, სქესობითი:

"შეაყოს მადლი შეერთებისა მიერ სქესებრისა" (მაქსიმე, გელ. 14, ფ.162; 900 A); "სქესისებრი" (215.2-621 C; 216.1-621 D); "სქესისებრისა შეერთებისა იტყოდა ქმნასა" (390.2; 481 B); "სქესებრივისა რომლისაებრ... ვემოწლეებით" (473.1; 304 A); "სქესობითი შეერთებად არს განყოფილთა ჯერჩინებათა ერთისა ნებისა მომართ შემკრებელი, სქესობითი განყოფილებად არს ერთისა ნებისად სხუაობითა ჯერჩინებისადათა განმკუეთელი მოძრავობად. სქესობითი შეერთებად არს მოყურობითი თანმოწლეობად... სქესობითი განყოფილებად არს სხუაობად ჯერჩინებისად" (მაქსიმე, გელ. 14, ხელნ. 282.1; 152 C); "სქესიანისა მოწლეობისა..." (292.1; 749 D);

3. *σχετικώς* - სქესისაებრ:

"ძისა შორის ვიდრემე ბუნებისაებრ, ხოლო კაცისა შორის სქესისაებრ" (თეოფილაქტე A-52, 112 v; 188 A);

4. *σχετος* - ხასქესო:

"არ შესაძლებელ არს სქესისა (*σχεσεως*) თვნიერ ხასქესოთასა მოგონებად" (მაქსიმე, გელ. 14, ფ. 481.2; 316 D).

5. *ασχετος* - უსქესო:

"არს... ყოვლად უსქესო" (მაქსიმე, ფ. 451.2; 564 D); "თქმული ნებად უსქესოდ" (იქვე, გელ. 14, ხელნ. 259.2; 25 D).¹

6. *ασχετως* - უსქესოდ:

"მყოფთა სქესისა და მეცნიერებისაგან ყოვლითურთ აღმალლებული გონებად თვისი თვთ მის ზეშთ მოგონებისადასა მიზეზისა მიმართ უსქესოდ გარდადგა" (მაქსიმე, ფ. 102.2; 421 B); "ღმერთი არა არს სადა, არამედ ყოველ, უსქესოდ მიერკერძო სადაობისა" (იქვე ფ. 229.2; 640 B); "უსქესოდ აღყვანებული გონებად" (ფ. 276.2; 709 D); "გარდადებითა ღმრთისა მიმართ უსქესოდ ყოვლისა საყუარულისადათა" (ფ. 415.1; 508 C).

ამგვარ სურათს გვიჩვენებს გელათური თარგმანები. რაც შეეხება იოანე პეტრიწის სქეტიკურ ტერმინოლოგიას, ამის შესახებ დაწვრილებით ვიმსჯელებთ ზემოთ. ამჯერად მხოლოდ იმას დავძენთ, რომ, როგორც წარმოდგენილი ნიმუშები ცხადყოფს, აღნიშნული ტერმინული ასპექტით პეტრიწი სხვაობს არა მხოლოდ VI კომოგენური ჯგუფის ძეგლებისაგან, არამედ იგი მთლიანად ემიჯნება, აგრეთვე, იოანე ჭიმჭიმელის თარგმანებს.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ მოვიტანთ სათანადო ნიმუშებს "ოთხასეულიდან" და "ორასეულიდან":

"გამოჰხეთქოთ თავი თვისი თვისებისაგან მათისა" (ოთხასეული 3.72); "ხოლო ღმერთი ყოვლისა თვისებისაგან... უზენაესი" (ორასეული 1.7); "ჯერ არს პურობად... თვისებისა გუარსა" (1.67); "თვისებისავე თანამოსპობითა" (1.67); "ბუნებითითა თვისებითა" (1.67); "საშუალი თვისებად ნაკიდურთა რათმე... შეადგამს" (1.82); "ჯორცთა მიმართ ბუნებითისა თვისებისათა" (1.99); "ხედვისა მიერ ამის თვისებისაგან აღმოიძრვნეს მანანი" (1.99); "ღმერთი არცა მცნობელთაგანი არს, არცა ცნობადთადა, რამეთუ ზეშთ ამათსა არს, თუ არა, შეიპურობვოდამცა ცნობილისა თვისებისაგან" (2.2); "სულისა ჯორცთა მიმართ თვისებისად" (2.17); "მისსა მიმართ სიყუარულისა თვისებითა" (2.91); "ვნებულეებითსა თვისებასა (*σχετικην*)" (2.95); "თვისებითი (*κατα την σχεσιν*)... შესაძლებელობადა" (1.7); "თვისებითი (*σχετικη*) წოდებულობადა" (1.7).²

დამოწმებული ნიმუშები ეჭვს არ ტოვებს, რომ "ოთხასეულსა" და "ორასეულს" არაფერი აქვთ საერთო მაქსიმეს შრომათა გელათურ თარგმანებთან და რომ ისინი ამჯერადაც ეფრემისეულ ტერმინოლოგიას თანხვდებიან.

* * *

ამგვარად, ზემოწარმოდგენილი ტერმინული ანალიზი, ვფიქრობთ, ცხადად აჩვენებს, რომ მაქსიმეს "ოთხასეული" და "ორასეული" ეფრემ მცირის თარგმანებს წარმოადგენენ. ამ აზრს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს არც ის ზოგი იშვიათი ლექსიკური ერთეული, ხსენებულ თარგმანებში რომ გვხვდება. მაგალითად:

ა) იშვიათ ლექსიკურ ერთეულად წარმოჩნდება სიტყვა "განკუთნვილი", რომელიც "ოთხასეულსა" და "ორასეულში" უთუოდ ტერმინული გააზრებისაა

¹ თეოფილაქტეს 'იოანეს თავის განმარტების' თარგმანში *ασχετος* ერთგან თარგმნილია, როგორც "დაუმჭირველი" (A-52, 5 v; 1153 B).

² შეგვხვდა მხოლოდ ერთი გამონაკლისი "ზრუნვა" (ოთხასეული 2.88).

და გადმოსცემს ბერძნულ *γνησιος*-ს. აი, სათანადო ნიმუშები:

"რომელსა განკუთვნილად უყუარდეს ღმერთი" (ოთხასეული 2.1); "ამას ვიდრემე განკუთვნილად უყუარს ღმერთი" (2.1); "უგამოცდილეს და უგანკუთვნილეს (*γνησιωατεροι*) ვიბოე" (2.14); "განკუთვნილად შევიყუაროთ ღმერთი" (3.50); "მეგობარი განკუთვნილი იგი არს" (3.79); "განკუთვნილი მესაიდუმლოენი საღმრთოთა მსჯავრთანი" (4.97); "ძალმწე განკუთვნილი" (4.99); "ანგელოზებრივი ცხორებად განკუთვნილ შეიტკბოს" (ორასეული 1.96).¹

ტერმინი "განკუთვნილი" ხშირად და მოწმებული ბასილი დიდის "ექუსთა დღეთაჲს" უძველეს თარგმანში, სადაც იგი აღნიშნავს "თვისობრივს", "თვისობრივად შესაფერისს", "საკუთარს", "დამახასიათებელს", "ნიშანდობლივს". ბერძნულ ტექსტში მას შეესაბამება ცნობილი ტერმინი *ιδιος*, რაც, ჩვეულებრივ, ითარგმნებოდა, როგორც "თვისი" ან "განთვსებული". ხსენებულ თარგმანში გვხვდება, აგრეთვე, ტერმინი "განკუთვნილებად", რაც აღნიშნავს "თვისებას", "თავისებურებას" და შესატყვისია ბერძნული ტერმინებისა: *ιδιος*, *ιδιοτης*, *ιδιωμα*, *γναρισμα*, *ιδιοτροπον*. მოგვაქვს ნიმუშები:

"მეტყუელებად განკუთვნილ არს კაცისა" (ბასილი, ექუსთა დღეთაჲ 4.5; ძვ. თარგ. 59.28; შდრ. გიორგი: "მეტყუელებად თვისი არს კაცებისაჲ" 46.26); "თევზთა აქუს ნაწილი განკუთვნილი და ბუნებად განკუთვნილი და საზრდელი განკუთვნილი"² (იქვე 7.1; ძვ. თარგ. 97.10-11; შდრ. გიორგი: "განკუთვნილ არს ნაწილი თევზთაჲ და განთვსებულ ბუნებად და განყოფილ საზრდელი" 82.1-2); "სახელნი განკუთვნილნი (*ιδιαζοντα*) სიღრმეთანი" (იქვე 4.4; ძვ. თარგ. 58.30; შდრ. გიორგი: "სახელნი უფსკრულთა და უბეთანი განთვსებულნი" 45.30); "სივმელე განკუთვნილებად (*ιδιωμα*) არს" (4.5; ძვ. თარგ. 59.26; შდრ. გიორგი: "სივმელე, ვითარცა განკუთვნილებად არს", 46.24); "სივმელე განკუთვნილებად (*ιδιος*) არს ქუეყანისაჲ" (4.5; ძვ. თარგ. 59.30; შდრ. გიორგი: "სივმელეცა თვისი არს ქუეყანისაჲ" 46.28); "და არზანიგად დაჰბადა ღმერთმან განკუთვნილებად (*γναρισμα*) ქუეყანისაჲ უწინარეს" (4.5; 60.32; შდრ. გიორგი: "ჯეროვნად განაჩინა ნიშნი და სასწაულნი ქუეყანისანი პირველთაგან და უხუცესთა საქმეთა", 47.27); "განკუთვნილებად (*ιδιοτης*) იგი შეზავებისა მათისაჲ განერების ვნებისა მისისაგან" (5.4; 54.24); შდრ. გიორგი: "საკუთრებითა მით შეზავებისა მათისაჲთა თანაწარპვდებიან იგინი სავნებელსა მისსა" 54.24); "ძნელ არს პოვნად განკუთვნილებად (*ιδιοτης*) თითოეულისა მათისაჲ" (5.7; 71.33; გიორგი "ძნელ არს საპოვნელად თვთოეულისა მათისა განკუთვნილებად" 58.20); "განკუთვნილებად (*ιδιωμα*) იგი ერთ არს" (8.2; 110.29; შდრ. გიორგი: "არს... ერთი განკუთვნილებად", 93.19); "ემსგავსე განკუთვნილებასა (*το ιδιοτροπον*) ფუტკრისასა" (8.4; 113.16; შდრ. გიორგი: "მიემსგავსე განკუთვნილებასა მას ფუტკრისასა" 95.24); "აქუნ მრავალი განყოფილებად განკუთვნილებასა შინა ვმათა მათთასა" (8.3; 112.13; შდრ. გიორგი: "და ვმისაცა განკუთვნილებისათვის თვთოეულისა დიდი განყოფილებად იხილვების მათ შორის" 94.28).³

გიორგი მთაწმინდელთან "განკუთვნილი" ერთგან გადმოსცემს ბერძნულ

¹ აღნიშნულ ძეგლებში გვხვდება მითითებული ბერძნული ტერმინის სხვა შესატყვისებიც: "გულსმოღვინედ" (ოთხასეული 4.28); "თვსებით" (4.98); "განჩემებით" (1.27); "მდიდრად" (3.63; ალბათ აღრეულია სიტყვაში *πλοισιας*).

² დამოწმებულია ი. აბულაძის მიერ. იხ. "ძველი ქართული ენის ლექსიკონი", გვ. 60. შდრ. ბასილი დიდის "ექუსთა დღეთაჲს" მისეული გამოც. გვ. 236.

³ ტერმინები "განკუთვნილება" და "განკუთვნილი" დამოწმებულია და განმარტებულია მ. კახაძის მიერ. იხ. "ექუსთა დღეთაჲს" მისეული გამოც. გვ. 124.

ტერმინს *αποκεκληρωμενος* ("წილხვდომილი", "ხვედრებული", "საკუთარი"):

"თვთოეულსა მათსა განთვსებული და განკუთნვილი აქუს სიბოხე და ვითარებად" ("ექუსთა დღეთად", 4.5; 46.32; შდრ. ძვ. თარგმანი: "თითოეულსა მათგანსა აქუს თვსაგანი ვითარებად" 59.34).

ამგვარი შინაარსისაა, ზოგადად, ქართული ტერმინი "განკუთნვილი". რაც შეეხება ზემოდამოწმებულ *γνησιος*-ს, იგი ძველ ქართულ მწერლობაში, ჩვეულებრივ, ითარგმნებოდა, როგორც "საკუთარი".²

აღნიშნული ბერძნული ტერმინის შესატყვისად "განკუთნვილი" უთუოდ იშვიათობაა და ამ ნიშნით ხსენებული "ოთხასეული" და "ორასეული" ყურადღებას იქცევს.

ცალკეული ძეგლების შესწავლამ გამოავლინა, რომ ტერმინთშესატყვისობა "*γνησιος* - განკუთნვილი", რაც საზოგადოდ ძველ ქართულ მწერლობაში გამოკვეთილი არ არის, დადასტურებას პოულობს სწორედ ეფრემ მცირესთან. მაგალითად:

"მსმენელად მისსა ჰყვანან ჩემნი განკუთნვილნი (*γνησιωτατους*) თქვენ-
შორისნი ძმანი" (ბასილი დიდი, ეპისტოლენი 71.1; ნ. ქაჯაიას გამოც. 240.26).³

ბ) ასევე, იშვიათობაა ტერმინი "ვნებულმოყუარებად", რომელიც "ორასეულ-
სა" და "ოთხასეულში" გადმოსცემს ცნობილ ჰედონისტურ ცნებას *η
προσπαθεια*:

"ქუყყანიერთაგანისა მიმართ აქუნდეს ვნებულმოყუარებად" (ოთხასეული
1.1; "ღმრთისა მიმართ სასოებად განაშორებს ყოვლისა ქუყყანიერთა მიმართ
ვნებულმოყუარებისა" (1.3).

ტერმინი "*προσπαθεια*" აღნიშნულ ძეგლებში სხვაგანაც გვხვდება. მას
გადმოსცემს ტერმინები "ვნებულებად" და "ვნებათმოყუარებად", ხოლო
προσπαθης გადმოტანილია, როგორც "ვნებული": ერთგან შესატყვისად გვაქვს
"ვნებულებითი":

"ნივთიერთა ვნებულებისა" (ორასეული 2.70); "ნივთიერი ვნებულებად" (იქვე 2.95);
"ნივთიერთა ვნებათმოყუარებისა" (იქვე 2.95) "ვნებულად მიხედვანი" (2.75); "სინანულისა
მიერ მოუსპობს ვნებულებითსა თვსებასა (*σχετικην προσπαθειαν*)" (2.95).

ტერმინი *προσπαθεια*, რომელიც საზოგადოდ იშვიათი ხმარებისაა,⁴ იოანე
ჭიმჭიმელს თარგმნილი აქვს, როგორც "ჩუევითი სიყუარული":

"აქუს საკრველი ჩუევითისა სიყუარულისად" (A-102. 50.1; 604 A);

იმავე მთარგმნელს გამოთქმა *κατα προσπαθειαν* გადმოაქვს ზმნური
ფორმით: "უყუარდეს ვნებულად" (146 v 1; 969 A);

არსენთან პროსპათეტურ ტერმინებად გვხვდება "სიყუარული" (დოგმ. 252.2
- 1505B; 272v1; 168.5), "ხურვილი" (274v1; 194.11), აგრეთვე, ახალი ტერმინი
"ჩუქევად" ("განაშოროს თავი თვსი...ჩუქევასა" . 276.2 - 218.8; "არა
მოუდრეკიან მუკლი ქუყყანიერისა ჩუქევისადა", იქვე 277.1; 230.9; "არა
მეჩუქვარნი" - *μη προσπαχοισαι*, იქვე 269.1; 114).

1 შდრ. მ. კახაძის გამოც., ლექსიკონი, გვ. 124. ძველ ქართულ მწერლობაში ცნობილი იყო, აგრეთვე, ტერმინი "განკუთნებული", რაც ნიშნავდა "განსაზღვრულს", "განჩინებულს" (იხ. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 60).

2 ამგვარი თარგმანი ხშირად გვხვდება თვით ეფრემთან, რომელთანაც, გარდა "საკუთარისა", შესატყვისებად თავს იჩენს, აგრეთვე, "ერთგული", "რჩეული" და სხვა.

3 იმავე შინაარსით (ბერძნული *οικειος*-ის შესატყვისად) სიტყვა "განკუთნვილი" სხვაგანაც გვხვდება ეფრემთან: "გებრაბები შენ კაცისა მიერ განკუთნვილისა და მგობრისა და თანამეტომისა" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, ეპისტოლენი, მრავალთავი XII, გვ. 136.32; Pg. 37, 968 C).

4 აღნიშნული ტერმინი გიორგი მთაწმინდელთან ერთგან თარგმნილია, როგორც "სიყუარული": "ხილულთა სიყუარული (*προσπαθειαν*) ბუნებით აქუს საცნობელთა" (თალასი 2.42; საქ. ვკლ. კალენდ. 1989, გვ. 430).

VI ჰომოგენური ჯგუფის ძეგლებში ტერმინი *προσπαθεια* მყარად ითარგმნება სიტყვით "ჩუქევა", რომელიც არსენის ეპოქამდე უცნობია ქართული სამწერლობო ენისათვის. მოგვაქვს ნიმუშები:

"ვორციელისა ჩუქევისაგან (*προσπαθειας*)" (მაქსიმე, გელ. 14, ხელნ. 6.2; 280 D); "დამტევებელმან... სქესისა და ჩუქევისაგან" (იქვე, ფოტო 102.2; 421 B; შესატყვისობა "ჩუქევა" - *προσπαθεια* იხ. აგრეთვე, იქვე, ფ. 254.2 - 677 C; ფ. 293.2 - 740 B); "გულისსიტყუად შთაუგდის მოლუაწესა სხეულეანისა რადსმე ჩუქევისა და ვნებათსიტკბობებისა" (ქსიფილინოსი, კ.კეკ. ეტ. VI, 171);¹ "ვერ წარტყუნნა იგინი გემოთა ჩუქევამან" (ქსიფილინოსი, გელ. 2.104); "მრავლითა სილბოძთა და ჩუქევითა მოსამკედურებელად მათდა მეტყუელი" (იქვე 129 v).²

აღვნიშნავთ, რომ იგივე "ჩუქევა" თავს იჩენს, აგრეთვე, გრიგოლ აკრაკანტელის (ფსევდო-მიტროფანე ზმირნელის) შრომის თარგმანში, სადაც გარდა "ჩუქევისა" გვხვდება სხვა პროსპათეტური ტერმინიც "გურიობა":

"ხილულთა-მიმართისა ჩუქევისაგან³ ზეაღმამაღლებელნი თავთანი" (87.20; 969 A); "უამპარტავნოდ, არა-მეჩუქვარი (*απροσπαθης*), მონაგებთ-უყუარული" (80.32; 956 B); "განაყენოს გონებად კაცისაჲ ნივთიერისა გურიობისა და სოფლისა სიყუარულისაგან" (52.4; 897 A);

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ პეტრე გელათელი ქმნის ახალ პროსპათეტურ ტერმინს "თავისმზრუნველობად" (იხ. კლემაქსი, 156v-307; 157-308; 176-342; 177-343; 212-400 და სხვა), რომლის გარდა მასთან გვხვდება, აგრეთვე, "მზრუნველობად" (17v-53; 21v-60), "გემოვნებად" (3-600B).

როგორც ვხედავთ, "ორასეულსა" და "ოთხასეულში" დამოწმებული შესატყვისები ნიშანდობლივი არ არის გელათური თარგმანებისათვის, მაგრამ ხსენებული შესატყვისები ("ვნებულებად", "ვნებათმოყუარებად", "ვნებულმოყუარებად") აშკარად მიგვითითებენ ეფრემ მცირეზე, რომლის პროსპათეტური ტერმინოლოგიაც იმგვარივე ანდა ოდნავ ფორმაცვლილი შესატყვისებით არის წარმოდგენილი. მაგალითად:

"განაშორონ სურვილი იგი საღმრთოდ ნივთიერთაგან ვნებულებათა" (დიონისე არეოპაგელი 78.13; 8.8); "განიყარნეს ნივთიერნი ესე ვნებულებანი" (იქვე 109.30; 2.5); "გულისთქუმის-ყოფად პირუტყუთა ვიტყვთ დაუპყრობელობასა... ვნებულისა სიყუარულისასა" (107.26; 2.4); "ვნებულისა სიყუარულისაგან განაშორებენ თავთა თვსთა" (იქვე 257.20; ებ.10); "ვნებულადსიყუარულითა გემოთაჲთა" (გარდამოცემა 37 v 1; 796 A); "...აქათა ამათ ვნებულმოყუარებასა" (ბასილი დიდი, ასკეტიკონი, A-689, 64.1; დამოწმებულია ზ.სარჯველაძის "ძველი ქართული ენის ლექსიკონში", გვ.81); "...თავისა თვისისა მიმართ ვნებულმოყუარებად" (იქვე 173v; დამოწმებულია იქვე); "თვისი სიკეთე უვნებელითა (*απροσπαθειν*) თუალითა განიცადის" (დიონისე არეოპაგელი 165.32; 2.3.4).

გ) იშვიათ ტერმინად წარმოჩნდება "ოთხასეულში" რამდენიმეგზის ხმარებული "გარემოდსადკუმევა", რომელსაც ბერძნულში შეესატყვისება *παραχρησις*. მოგვაქვს ნიმუშები:

"რომელსა შეუდგს გარემოდსადკუმევაჲ საქმეთად" (ოთხასეული 2.82);

¹ რამდენადაც კ. კეკელიძისათვის უცნობი იყო "ჩუქევის" ტერმინული გააზრება, ამიტომ მკვლევარს თანამედროვე შინაარსით გაუგია აღნიშნული სიტყვა და ასეთი განმარტება დაურთავს: "ჩუქევა - ჩუქება," дарить (ეტ. VI, გვ. 169), რაც რა თქმა უნდა ზუსტი არ არის.

² გვხვდება ზმნური ფორმაც: "ესევითართა სიტყუათა მიერ ჩუქვიდა" (ე.ი. აცთუნებდა, თათლავედა) (გელ. 2.156); დასტურდება მიმღეობაც: "ესევითართა მაჩუქვებელთა (ე.ი. მაცთუნებელთა, ე.ქ.) ემზრახვალებოდა" (იქვე 148 v).

³ გამოცემაშია მცდარი წაკითხვა "ქუქქცევისაგან".

"გარემოდსადგუმევითა შემოვლენ სიბოროტენი" (იქვე 3.3); "მომგონებელობითისა გარემოდსადგუმევიად არს უმეცრებად და უგუნურებად" (იქვე 3.3); "არცა სადმე ეშმაკნი ბუნებით ბოროტ არიან, არამედ გარემოდსადგუმევითა ბუნებითთა ძალთადათა ბოროტ იქმნეს" (იქვე 3.5); "გარემოდსადგუმევიად არს ბოროტ" (3.86); "ვითარცა გარემოდსკუმეველნი (*παράχραμνοι*)..., დაისაჯებიან" (3.86).¹

ტერმინი *παράχρησις* არსენის მიერ ითარგმნება, როგორც "გარეგნობად ხაკმრისად" (დოგმ. 273v2; 184), "უწესოდმკუმეველობად" (273v2; 184.17), "უწესოდგუმევიად" (273.2; 180.3).

იგივე ტერმინი გელათურ ტექსტებში გადმოტანილია, როგორც "გარეწარკუმევიად":

"ძენი არიან ვნებულისა გარეწარკუმევისაებრნი (*κατα παράχρησιν*)" (მაქსიმე, გელ.14. ხელნ. 291.2; col. 749A); "გარეწარკუმევისაებრთა ხუთთა გუართა" (291 v 1; col. 749B); "გარეწარკუმევისაებრთა... გუართა" (296 v 1; 761 C); "ცხად-ჰყოფს... გარეწარკუმევისაებრთა... გუართა" (297 v 1; 765 A); "გარეწარკუმევი შორისმოქმედებისაებრისა გუარისა არს" (იქვე, ფოტო 196.1; 593 A; იხ. აგრეთვე: 272.2-705B; 281.1-716B; 297.2-744D; "გარეწარკუმევისაებრ" - 196.2; 593A); "გარეწარად-იკუმევთ ველმწიფებასა" (ქსიფილინოსი, გელ. 2,35).

პარაქრესტულ ტერმინად, ასევე, "გარეწარკუმევიად" ვლინდება იოანე ჭიმჭიმელთან:

"შეუძლებელ არს არა გარეწარკუმევიად (*μη παράχρησασθαι*) მათი" (A-113, 171 v 1; 1013 C).

აღნიშნული ტექსტებისაგან განსხვავებით, "ოთხასეულისათვის" ნიშანდობლივი "გარემოდსადგუმევიად", "გარემოდსკუმევიად" დასტურდება სწორედ ეფრემის თარგმანში:

"რომელი-ესე არს გარემოდსკუმევიად (*παράχρησις*)" (ბასილი დიდი, ეპისტოლენი, 22.2; ნ. ქაჯაიას გამოც. 226.40).

დ) "ოთხასეულსა" და "ორასეულში" ხშირად გვხვდება, აგრეთვე, საზოგადოდ იშვიათი ლექსიკური ერთეული "წიაღუვლელო", რაც ნიშნავს "მიუვალს", "მიულწეველს" და აღნიშნულ ძეგლებში გადმოსცემს ბერძნულ *απειρος*-ს. აქვე თავს იჩენს, აგრეთვე, "წიაღუვლელობად" *απειρια*-ს შესატყვისად.

ამგვარი ტერმინთშესატყვისობის საფუძველი უთუოდ ისაა, რომ ტერმინები *απειρος*, *απειρια* ფუძეზიარნი არიან ზმნასთან *περασιω* (სამივე ეს ტერმინი მომდინარეობს სიტყვიდან *περας* - მიჯნა, ზღურბლი, დასასრული). ხსენებული ზმნა ნიშნავს "გადასვლას", "გადალახვას" ანუ ძველი ქართულით "წიაღვლას", "განწიაღებას". მაგალითად:

"ზღუადცა ცოდვათად წიაღ-ვლონ (*περασωμεν*)" (იოანე სინელი, კლემაქსი, 1.14, პეტრე გელათელის თარგ. A-39, 11); "დასრულებადი ესე წიაღ-ვლო (*περασας*)" (თალასი, 1.56).

აღნიშნული ფუძისეული შესატყვისობის საფუძველზე, როგორც ითქვა, "ორასეულსა" და "ოთხასეულში" ხშირად გვხვდება "წიაღვლიდან", ანუ

¹ "ოთხასეულის" ქართულ თარგმანში ბერძნული *παράχρησις* გადმოტანილია, აგრეთვე, როგორც "მართლუკუნეუმივიად" (2.17) და "უწეროდგუმევიად" (3.4). გვხვდება ზმნური ფორმაც: "მართლუკუნ-იკუმევს" (*παράχρηται*) (2.17). საყურადღებოა, რომ პარაქრესტულ ტერმინად "უწეროდგუმევიად" გვხვდება, აგრეთვე, გიორგი მთაწმინდელთან: "საქმეთა უწეროდგუმევიად" (*η παράχρησις*) ესე არს" (თალასი, 3.40; საქ. ეკლ. კალენდ. 1989, გვ. 439).

"წიადსვლიდან" ნაწარმოები "წიადუვლელი", ზღრეთვე, "წიადუვლელობად". მაგალითად:

"წიადუვლელისა დასასრულისა მათიხა ფრიად რადმე ზურგიტ-კერძო არიან" (ორასეული 1.69); "სამარადისოდსა და წიადუვლელისა" (ოთხასეული 3.23); "სიყუარული წიადუვლელთა საუკუნეთა ზეშთაწიადუვლელისა (*σπεραπειρα*) ზეშთაშეერთებული და მარადის ზეშთაადორძინებული ჰგიეს" (იქვე 3.100); "დაუკვრდების გონებასა, მოივსენებდეს რად საღმრთოსა ყოვლიტ-კერძო წიადუვლელობასა" (იქვე 4.1); "აგრძნობდეს საღმრთოსა წიადუვლელობასა" (იქვე 1.12); "ვიტყვ უკუე სიტყუათა... წიადუვლელობისა და შეუსაზღვრებელობისათა" (1.100); "წიადუვლელობითა (*απειρας*) ზეშთაკერძოდ" (ორასეული 1.2).¹

თუმცა ტერმინი "წიადუვლელი" ზემოაღნიშნული შინაარსით დასტურდება გელათურ თარგმანებშიც (მაგალითად: "წიადუვლელი (*απεραντος*) მოქმედებად", იოანე სინელი, კლემაქსი 28.1; პეტრე გელათელის თარგმანი, A-39, 183 v), მაგრამ იგივე ტერმინი უცხო არ არის არც ეფრემისათვის. მეტიც, ამ ტერმინის ფაქტობრივად დამამკვიდრებელი, მსგავსად მრავალი სხვა უკვე განხილული ტერმინისა, როგორც ჩანს, სწორედ ეფრემი უნდა ყოფილიყო. დავიმოწმებთ ორ შემთხვევას:

"... ამის ადგილისა მიუწდომელობასა და წიადუვლელობასა (*απειρον και ανεκβατον*)" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, სიტყვები, A-52, 163; col. 320 A); "მიიზიდვენ თავისა თვისსად... ძიებათა წიადუვლელთა (*απεραντους-infinitas*)" (გრიგოლ ნეოკესარიელი, ეკლესიასტეს მეტაფრასი, A-292; 326; Pg. 10, 1008 A).

ე) "ოთხასეულში" ხშირად თავს იჩენს, ასევე, იშვიათი ლექსიკური ერთეული "წუთჟამი", რაც ძირითადად გადმოსცემს ბერძნულ *προσκαιρος*-ს. მაგალითად:

"წუთჟამისა საქმისა" (1.18); "წუთჟამისა სიკუდილსა და ცხორებასა" (1.72); "წუთჟამისაცა ცხორებისა" (2.3); "წუთჟამისათა რათათვსმე" (4.41); "წუთჟამ (*προς ολιγον*) სარგებელ არს" (I. ტიმ. IV. 8; 4.63; შდრ. "პავლეთა" ძველი ქართული რედაქციები: "წუთერთ ჟამ სარგებელ არს").²

ერთერთი პირველდამოწმება აღნიშნული ტერმინისა გვაქვს თეოფილე ხუცესმონაზონთან. მაგალითად:

"გემოვანება გემოთად წუთჟამი არს და კნინი (*προσκαιρος*)" (Ath.-29, ფ.11; col. 25); "ჭირვეულობად წუთჟამისად არს" (იქვე, ფ.547; 229).

ხსენებული ტერმინი იშვიათად თავს იჩენს გელათურ ტექსტებშიც. მაგალითად:

"წუთჟამისად მყოფნი" (ქსიფილინოსი, გელ. 2,198 v); "წუთჟამისა

¹ "ოთხასეულსა" და "ორასეულში" გვხვდება სხვა შესატყვისებიც: ა) *απειρια*: "განუზომელობად" (ორასეული 1.48; 2.36); "განუცდელობად" (ოთხასეული 2.27); "მიუწდომელობად" (ოთხასეული 1.100); ბ) *απειρος*: "განუზომელი" (ორასეული 1.2; 2.88; ოთხასეული 1.10; 2.6; 4.3); "განუცდელი" (ოთხასეული 3.28); "მიუწდომელი" (ორასეული 1.100; ოთხასეული 4.9); "უზომოდ" (ორასეული 2.36). გვხვდება, აგრეთვე, გამოთქმა *απειρακис απειρας*, რაც თარგმნილია ასე: "ურიცხუებით ურიცხუებად" (ორასეული 1.49).

² ორგზის *προσκαιρος* თარგმნილია ტრადიციული შესატყვისით "საწუთოდ" (1.20; 1.41).

აღსაარებისა მიერ გვრგვნითა წამებისადათა ღირს იქმნა" (გელ. 2,63 v).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად თითოთროლა გამონაკლისისა,¹ VI ჰომოგენური ჯგუფის ძეგლებში ბერძნული *προσκαίρος* მყარი ტერმინთშესატყვისობით გადმოიცემა, როგორც "საუამოდ". ეს ტერმინი გელათური საღვთისმეტყველო ენის კიდევ ერთი სპეციფიკაა.

"ამას უკუე სხეულენსა და საუამოსა (*προσκαίρον*) მოცემასა შჯულისასა, ვითარცა ჟამისქუეშესა და მდინარსა, სათანადო არს მოკლვად ბუნებითისა ხედვისა მიერ" (მაქსიმე, გელ. 14. ხელნ.292.2; 752 B); "ნაწერსა შჯულისასა, ვითარცა საულსა ვისმე, ანუ ნაწერისაგან ქმნილსა საუამოსა მოცემასა მიწიერთა გაგონებისასა, ვითარცა შვილთა საულისთა და შვილისწულთა, საშუალობითა ბუნებითისა ხედვისადათა სიმაღლედ მიმართ სულიერისა ხედვისა აღმყვანებელნი ყოველსა სხეულენსა და საუამოსა გულისხუმისყოფასა შჯულისასა... მოვაკუდინებთ" (იქვე 297 v 2; 765 A; იხ. აგრეთვე იქვე "საუამოთასა" - *προσκαίρων*, ფოტო 290.1-728 C; "საუამო" - *προσκαίρος*, ფოტო 289.2 - 728 C); "ვითარცა ნაყოფსა მქონებელი, საუამოდ დამატკბობელსა" (თეოფილაქტე, იოანეს თავის განმარტება, A-52; 14; 1185 D); "არა საუამოსა ცხორებასა უპატივისმოყუარებს" (იქვე 21 v; 1212 D); "საუამოდ ესე ჰგონო" (იქვე 25; 1225 B); "გარნა მირიდებად საუამოდ" (იქვე 25; 1225 D); "საუამოდ მრწმუნებელნი მისნი" (იქვე 51; 1313 B); "საუამოდ რადმე და ცივი თანმოწლეობად" (იქვე 68 v; 40 C); "საუამო და ოთხთა დღეთა მიმართ შემოკლებულად" (იქვე 83 v; 88 C); "სიძულილი ვიდრემე საუამოდ" (იქვე 94 v; 128 A) "საუამო - მწუხარებად" (122; 220 A); "არ ესრეთ საუამო იყოს თანამქცევობად" (110 v; 180 D).²

როგორც ვხედავთ, ტერმინთშესატყვისობა *προσκαίρος* - "საუამოდ" სპეციფიურია გელათური თარგმანებისათვის. ეს ტერმინთშესატყვისობა არცერთხელ არ ვლინდება "ორასეულსა" და "ოთხასეულში", რაც ამ ტექსტებს კვლავაც მკვეთრად განაშორებს ხსენებულ გელათურ თარგმანთაგან. მეორე მხრივ, უთუოდ საყურადღებოა, რომ ტერმინი "წუთჟამი", აგრერიგად ნიშანდობლივი "ოთხასეულისათვის", ასევე მეტად ნიშანდობლივია ეფრემ მცირისათვის. მაგალითად:

"წუთჟამითა სხურებითა მარგებელ" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, სიტყვები, A-109, 74 v 1; 336 C); "წუთჟამისა ვორცთა განწმედასა" (იქვე 91 v 2; 372 B); "ერსა განსწმედდა არა წუთჟამისა პკურებითა, არამედ სამარადისოდთა განწმედითა" (იქვე 65 v 1; 593 C); "წუთჟამ დაატკბობს სასასა შენსა" (ბასილი დიდი, ეპისტოლენი, 46.2, ნ. ქაჯიას გამოც. 236.9); "წუთჟამისაცა ესე მისაგებელი" (გრიგოლ ნეოკესარიელი, A-292, 323; Pg.10, 996 B);

¹ გელათურ ტექსტებში შესატყვისად გვხვდება, აგრეთვე, ტრადიციული "საწუთოდ": "თითოეულისა წერილისა მიერ მოღებულთა მოსასწავებელთაგანისა ბუნებითად განმჭურეტელნი, - ვითარცა მთასა ზედა, - სიმაღლესა საიდუმლოდსა ხედვისასა, - ვითარცა მამრთა შვდთა, ძეთა საულისათა, - მოვაკუდინებთ ჟამიერსა და საწუთოსა მოცემასა შჯულისასა" (გელ. 14, ხელნ. 295v; 760D); "წარმოაჩენს საწუთოობასა (*το προσκαίρον*) საქმისასა" (თეოფილაქტე, A-52, 94; 125 D).

² იგივე ტერმინი იოანე კიმჭიმელის მიერ თარგმნილია, როგორც "საწუთოდ": "ყოვლისავე ვორციელისა და საწუთოსა საქმისა გარემიქცევად" (A-113, 97.2; 884 C); ასევე "საწუთოდ" გვხვდება ოლიმპიოდორეს შრომის თარგმანში (A-61, 53.2; 501 A); არსენთან დამოწმებულია "ჟამიერი": "ჟამიერი და უკუდავი" (S-1463, 69v2; 921 A; იგივე შესატყვისია ეფრემთან: A - 24, 65.2).

"წუთჟამისა ამის ცხორებისა" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, A-292, 300; 229 A); "წუთჟამისათა" (იქვე 357 v; 757 A); "წუთჟამ ცოცხალთა ამათ" (იქვე 363; 377 C); "იტყვს წუთჟამობასა" (თეოდორიტე კვრელი, A-689, 273.2; Pg.82, 1508 B); "ხილული ესე წუთჟამ არს" (II კორ. IV. 18; იქვე, 273.2; 1508 A); "ესე წუთჟამ არიან" (იქვე); "ვიოხებთ მოწყინებასა წუთჟამისათა" (იქვე 272.2; 1504 D).¹

ამგვარად, აღნიშნული ტერმინული ნიშნითაც "ოთხასეული" და "ორასეული" ეფრემ მცირის თარგმანებად წარმოჩნდება.

ვ) როდესაც "ორასეულისა" და "ოთხასეულისა" ქართულ თარგმანთა თავისებურებებზე ვმსჯელობთ, ყურადღებას იქცევს "ოთხასეულში" დამოწმებული იშვიათი ფორმა "ქონიერი" (ნაცვლად "მქონებელისა"). ეს ფორმა გვხვდება ბერძნული *εχων*-ის შესატყვისად კომპოზიტში *εχεφραων* ("გონების მქონე"), რომელიც ასეა თარგმნილი: "ცნობის-ქონიერი":

"ცნობის-ქონიერი... მადლობით დაითმენს მათთვის შემთხუეულთა მისდა განსაცდელთა" (ოთხასეული 2.46).

ზემორე ბერძნული ტერმინის იდენტურია *ποσεινης*, რაც მაქსიმეს შრომათა გელათურ თარგმანებში ასეა გადმოტანილი:

"ყოვლისა ვითარისავე სქესისაგან გონების-მქონებლობით (*ποσεινης*) დაუმჭირავი" (გელ. 14, ფოტო 178.1; 548 A); "ამიერ აქუს გონების-მქონებლობით (*ποσεινης*) სარწმუნოყოფად თქუმულთად" (იქვე, ფ.211.2; 616 A).

ფორმა "ქონიერი" გელათელ მთარგმნელთა ჩვენს მიერ შესწავლილ ტექსტებში ვერ დავადასტურეთ, მაშინ როცა ეფრემ მცირესთან თავს იჩენს აღნიშნული სიტყვა:

"უბნობაჲცა შენი ფრიად სასწრაფოებდა ჩემდა... ხოლო არა-ქონიერი (*ουκ εχων*)... საჭიროდ მოუკედ წერილებითა" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, ეპისტოლენი, მრავალთავი XII, 136.30; Pg. 37, 368 C); "უნაკლულოდსა ცხორებისა ქონიერ იყვნეს" (A-129, 51).²

ზ) ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, "ოთხასეულში" ერთ ადგილას გამოვლენილი ტერმინთშესატყვისობა: *ψευδασμος* - ცუდსახელი:

"განანათლებდეს მას და ცუდსახელსა მეცნიერებასა უჩინო-ჰყოფდეს" (2.21). ეს შესატყვისობა საყურადღებოა, რადგანაც ს. ენუჭაშვილის მიერ შედგენილ ლექსიკონში, რაც დართული აქვს არეოპაგიტული კორპუსის ეფრემისეულ თარგმანს, ბერძნული *ψευδασμος* სხვაგვარი თარგმანით არის წარმოდგენილი, კერძოდ, როგორც "მტყუვარსახელი" ("შეცთუნებად ჰგონებს მტყუვარ-სახელობით მამად მისსა სახელდებულსა ღმერთსა", დასახ. გამოც. 244.17).

აღვნიშნავთ, რომ ფსევდონიმურობის, ნაყალბეგობის გადმოსაცემად ეფრემის შრომებში გვხვდება არა მხოლოდ "მტყუვარსახელი", არამედ, უფრო ხშირად, ზემოწარმოდგენილი "ცუდსახელი". მაგალითად:

¹ ერთგან ეფრემი ჰენდიადისის გზით თარგმნის ბერძნულ *εχρονισ*-ს: "ვაბიერთაც ამათთვის ითქუმის და წუთჟამისათა" (დიონისე არეოპაგელი 86.25; 10.3).

² დამოწმებულია ზ.სარჯველაძის "ძველი ქართულთული ენის ლექსიკონში", თბ. 1995, გვ.224. სიტყვა "ქონიერი" "მდიდრის" მნიშვნელობით, აგრეთვე, "ქონიერებად" "ქონების" შინაარსით ძველ ქართულ მწერლობაში ცნობილია (იხ. იქვე).

"რომელი (მოძღვარი, ე.ჭ.) სხუათაცა უმეცრებასა განჰმართებს, არათუ ოდენ ცუდსახელი (ψευδοσυσμος) იყოს" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, სიტყვები, A-52, 132.1; 1109 B); "ცუდსახელისა მის მეცნიერებისა" (A-292, 308; 12 A).¹

თ) უნდა შევეხოთ, აგრეთვე "ორასეულში" ერთგზის დამოწმებულ ტერმინს *γραμμη*, რაც თარგმნილია სიტყვით "მოწერად":

"წერტილსა შინა მისგან გარე-მოვლებითთა მოწერათად (*γραμμωσ*) ყოვლად განუყოფელი იხილვების დანაცემი" (2.4).

სამწუხაროდ, ესაა აღნიშნული ტერმინის ერთადერთი დამოწმება ხსენებულ ძეგლებში, რის გამოც ძნელია განსაზღვრა, ქართული "მოწერად" მთარგმნელის მიერ კანონზომიერი შესატყვისის სახით არის მოტანილი, თუ საქმე გვაქვს კონტექსტზე დაფუძნებულ თარგმანთან.

ცნობილია, რომ არსენ იყალთოელს უთარგმნელად გადმოაქვს ბერძნული ტერმინი, როგორც "ღრამში".

მაგალითად:

"ხოლო შერწყუმითნი სარაოდენონი არიან: ეპიტანიად, ღრამში, ადგილი... ხოლო ღრამსა აქუს ერთი განფენილობად" (დიალექტიკა, 36.11-12; დამოწმებულია მ. რაფაევას მიერ, ტერმ. ლექს. გვ. 188); "შემარწყუმელნი საშუალისა მის ღრამისანი" (იქვე 36.13); "ჟამი, ადგილი, ღრამში" (იქვე 36.18); "ღრამში და ღრამში სწორიცა არს და უსწოროცა" (იქვე 36.26; "დიალექტიკიდან" ჩვენს მიერ მოტანილი ყველა ნიმუში მითითებულია მ. რაფაევას მიერ, იქვე გვ. 188); "არცა ერთ ეპიტანიად, არცა ერთ ღრამში" (გარდამოცემა, S-1463, 80.1; 1013 A).

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ერთგან "ღრამშის" განმარტებისას არსენი იყენებს ეფრემისეულ ტერმინს "წარზიდული":

"ხოლო ამას ღრამშიად უწოდენ და უწოდენ მეორედ, რამეთუ წერტილისაგან წარზიდულ არს" (დიალექტიკა, გვ. 180) "ღრამი - წარზიდული" (იქვე).

არსენის მიერ შემოტანილი "ღრამში" მეტად ნიშანდობლივი ტერმინია ამონიოსის შრომათა თარგმანებისათვის:⁴

"ეპიტანიად... განიწიადების ღრამშისა მიერ" (ამონიოსი 9.7; 7.21; დამოწმებულია მ. რაფაევას მიერ); "ღრამში განიწიადების სიმეადსაგან" (იქვე 9.8; 7.22); "ღრამსა ნივთსა შორის ვისწავებთ" (11.37; 10.25); "არ ეზიარების

1 საგულისხმოა, რომ "დიალექტიკის" შესავალში დამოწმებული *ψευδοσυσμος* არსენის მიერ გადმოტანილია, როგორც "სახელმტყუარი", მაშინ როცა ეფრემთან ამჟერადაც "ცუდსახელი" გვაქვს (იხ. დასახ. გამოც. ტერმ. ლექსიკონი, გვ. 290). ხსენებული ტერმინის დამოწმობის ორი ნიმუში ეფრემის მიერ თარგმნილი "პავლეთა განმარტებიდან" მოტანილია ზ.სარჯველაძის მიერ (იხ. დასახ. ლექსიკონი, გვ.254). აღვნიშნავთ, რომ იმავე შინაარსით "ცუდსახელი" გვხვდება, აგრეთვე, ოლიმპიოდორეს შრომის თარგმანში: "ცუდსახელსა მეცნიერებასა მოსავნი" (A-61, 238.1; 590); "ცუდსახელისა მეცნიერებისა სჯულთადასა" (იქვე 290.1).

2 იხ. იოანე დამასკელის "დიალექტიკის" მ. რაფაევასეული გამოც. ტერმ. ლექს. "ასოდ"; შტრ. თ. აბულაძე, ზოგიერთი ქართული მეცნიერული ტერმინის ისტორიისათვის, მრავალთავი, XVI, თბ. 1991, გვ. 79.

3 მ. რაფაევას მიერ ძირითად ტექსტში წარმოდგენილია ფორმა "წარზიდული", ლექსიკონში კი განსამარტავ ერთეულად გატანილია "წარზიდული" (გვ. 289). ტექსტის სქოლიოში მკვლევარი უთითებს, რომ ერთერთ ხელნაწერში (Q-256) გვაქვს "წარზიდული" (გვ. 180). რა თქმა უნდა, მართებული წაკითხვაა "წარზიდული", რაც თვით არსენის მიერვეა დამოწმებული (იხ. ზემოთე ციტატა) და რაც, საზოგადოდ, გვხვდება ეფრემთან (თავისთავად "წარზიდული" არარსებული ფორმაა). შესაბამისად, "ლექსიკონში" "წარზიდული" უნდა იყოს განმარტებული.

4 იხ. ამონიოსის შრომათა დასახ. გამოც. ტერმ. ლექს. "ღრამში"; იხ. აგრეთვე, თ. აბულაძე, დასახ. შრომა, გვ. 80.

ცვლსა ბუნებით ნაკუეთი, ვითარ ღრამში ანუ სამყურე" (11.40; 11.2); "სამთაგან არს ღრამითა" (56.29; 72.1); "თითოეული ნახევარმრგული ნაკუეთი არს გარემოვლებულისაგან (εκ περιφερειας) ნახევარმრგულისა ღრამისა და განრემზომისა ევთიადს თანმდებარე" (58.2; 73.15); "ქუეყანისმზომელნი პირველ ღრამეულთა (γραμμικων) მოძღურებისასა მასწავებენ ჩუენ" (107.4; 14.5 - შენ.; დამოწმებულია მ.რაფაგას მიერ); "საზღვარი ეპითანიისა... არს ღრამში" (147.29; 58.7).

ამავე თარგმანებში ბერძნული კომპოზიტი *εσθ-γραμμον* გადმოტანილია, როგორც "ღრამ-მართალი":

"ღრამმართალთა ნაკუეთთა" (57.6; 72.8); "ასწავებს... პლატონ ყოველთა ღრამმართალთა ნაკუეთთა" (57.17; 72.19); "ღრამმართლისა სწორსა ოთხკედელსა შემადგინებელნი" (164.3-75.11; დამოწმებულია მ. რაფაგას მიერ).

საგულისხმოა, რომ არსენისა და ამონიოსის შრომათა თარგმანებისათვის უაღრესად ნიშანდობლივი ტერმინი "ღრამში" სრულიად უცხოა პეტრიწისათვის. მასთან ნაცვლად "ღრამისა" ყველა შემთხვევაში გვხვდება "წირი".¹

მაგალითად:

"ხოლო ინახვებს მხედვარეობაჲ მებრ წრფელთა მიერ წირთა (γραμμας)" (77.18; 644 A); "მხედველობაჲ ...წრფელითა წირთა (γραμμας) მიერ ინახვებს" (82.4; 656 A); "გემოდსხილვაჲ არცა წრფელთა მიერ წირთა (γραμμας) და არცა ყოველგნით იმეცნვის" (82.6; 656 A); "აჰა ესერა სთქუენ წირი" (31.5; მინის გამოცემას შესაბამისი აბზაცი აკლია); "არცა უბეჭმნილი წირთა შორის" (80.20; ბერძნ. აკლია); "ველისზედაჲ² და წირი (γραμμη) უსხეულო... ზედშეეხებიან სხეულსა" (30.19; 549 B).

¹ "წირი" მართებულად არის განმარტებული ს. გორგაძის მიერ ნემესიოსის შრომის მისეულ გამოცემაზე დართულ ლექსიკონში (გვ.219). თუმცა მკვლევარი ბერძნულ შესატყვისად უთითებს მარტოდენ *γραμμη*-ს. სინამდვილეში "წირად" არის თარგმნილი პეტრიწის მიერ, აგრეთვე, *γραφη* (იხ. ქვემოთ).

² ტერმინი "ველისზედაჲ" ბერძნულში შესატყვისს ვერ პოულობს. შესაბამის ადგილას არის მაქვემდებარებელი კავშირი *επειδη (επειδη και γραμμη-quia linea)*, რაც, ეჭვი არ არის, პეტრიწს ამოუკითხავს, როგორც *επιπεδον*. ს.გორგაძე ზემოაღნიშნულ ქართულ სიტყვას ("ველისზედაჲ") მართებულად განმარტავს, როგორც "ზედაპირი", მაგრამ მის ბერძნულ შესატყვისად უთითებს ტერმინს *επιφανεια* (გვ. 187). საზოგადოდ, "ველისზედაჲ" იმავე შინაარსს შეიცავს, რასაც ბერძნული *επιφανεια*, მაგრამ ამ უკანასკნელის კონკრეტული ქართული შესატყვისი არის გელათური ტერმინი "ზედასაჩინოდ". რასაც იყენებს პეტრიწიც (მდრ. პეტრიწის განმარტება: "და კუალად ზედსაჩინოდ - ეპითანოდ, რომელი არს ზედაჲ სახილავი ველისაჲ, ყოვლითურთ ვერ მქონე სიღრმისაჲ", პეტრიწი, შრომები, II, გვ. 215. 10). რაც შეეხება სიტყვას "ველისზედაჲ", იგი წარმოადგენს კალკირებულ თარგმანს ბერძნული ტერმინისას *επιπεδον* (*επι* - "ზედ", *πεδον* - "ველი"). მაგალითად აღნიშნული ტერმინი გვხვდება ამონიოსის წიგნში, სადაც, აგრეთვე, განმარტებულია, რომ *επιπεδον* და *επιφανεια* (ანუ მათი ქართული ეკვივალენტები "ველისზედაჲ" და "ზედასაჩინოდ") იდენტურ ცნებებს წარმოადგენენ. აი, სათანადო ადგილები: "კერძონი ველისზედაჲსნი (*επιπεδον*)" (ამონიოსი 147.24; 58.3); "გეომეტრი უკუე ველისზედაჲ (*επιπεδον*) უწესს აღმოვრცომილსა ეპითანიასა, ხოლო ძუელნი ველისზედაობასა (*επιπεδον*) ყოვლისა ეპითანიადსა ზედა იტყოდეს (147.26-27; 58. 4-5; დამოწმებულია მ.რაფაგას მიერ). საგულისხმოა, რომ პეტრიწი ერთგან ბერძნულ *επιπεδον*-ს "ზედასაჩინოდ" თარგმნის (ნემესიოსი 68.17; 625 B), რაც აღნიშნული ორი ტერმინის ("ველისზედაჲსა" და "ზედასაჩინოდს") ერთმნიშვნელოვნებას ცხადყოფს (მდრ. აშიაზე: "ეპითანოდ", ნემესიოსი 68.17).

ნემესიოსის წიგნში ერთგან გვხვდება კომპოზიტი "εὐθυγράμμος", რაც პეტრიწის მიერ თარგმნილია, როგორც "წრფელწირი":

(პლატონი) "შეუდარებდა თვთეულსა ასოსა (-სტიქიონს) სიმტკიცესა წრფელწირთა ნაკუეთთასა" (66.8; 621 B).¹

პეტრიწი "წირად" თარგმნის აგრეთვე γραφή-ს, როდესაც ეს უკანასკნელი აღნიშნავს "მოხაზულობას", "გამოსახულებას". მაგალითად:

"იყოს საჩინოდ დაველოვნებული ცთუნებისათვის, ვითარ-იგი წირთა ზედა (επι της γραφης)" (80.18; 648 B); "საქმე წირთა (γραφικης εργον) არს ცთუნებად მხედველობისად" (80.19; 648 B); "წირთა ზედა (επι της γραφης) იხილვების" (86.14; 653 B).

ტერმინი "წირი" გვხვდება პეტრიწის ე.წ. "ბოლოსიტყვაობაშიც":

"ესთავე წრფელ-წირი (პეტრიწის "წრფელ-წირი" იგივეა, რაც εὐθυ-γράμμος, ე.ჭ.) ...წაიღუაროს რად წერტილი, შეიქმს წრფელსა, რომელ არს ძე პირმშოდ მისი, ხოლო ოდეს რად ივრცელოს წირმან, იმოქმედებს ზედსაჩინოსა, რომელ არს ძალი და რეცა თუ სული სრულყოფისა მისისად" (პეტრიწი, შრომები, II, 215.10.15; შდრ. ტერმ. ლექს. "წირი", პეტრიწი, 1, გვ. 316).

ტერმინი "წირი", ცხადია, წარმოადგენს პეტრიწისეული ტერმინოლოგიის სპეციფიკას,² ისევე როგორც სპეციფურია VI ჰომოგენური ჯგუფის ტექსტებისათვის არსენისეული "ღრამში".

ამ ნიშნითაც სრულიად აშკარაა, რომ პეტრიწის შრომები მკვეთრად იმიჯნება ხსენებული გელათური თარგმანებისაგან.

აქამდე ჩვენი მსჯელობა ეხებოდა არსენის, გელათური სკოლისა და პეტრიწის გრაფიკულ ტერმინოლოგიას. ამჯერად ყურადღება უნდა მივაპყროთ ეფრემისეულ თარგმანებს.

მართალია, ეფრემისათვის ნიშანდობლივია γραμμη-ს თარგმნა ტერმინით "წარზიდული", მაგრამ ეს ტერმინი, როგორც ჩანს, მისი მოღვაწეობის ბოლო წლებს გულისხმობს. უფრო ადრეულ თარგმანებში γραμμη-ს შესატყვისად წარმოადგენილია ტრადიციული "ასოა". ამ მხრივ, უპირველესად, ყურადღებას იქცევს იოანე დამასკელის "დიალექტიკა", რომლის ორიგინალში ხუთგზის

1 სავსებით მართებულადაა განმარტებული ს. გორგაძის მიერ, რომ "წრფელწირი ნაკუეთი" ნიშნავს "სწორხაზიან ფიგურას" (დასახ. გამოც. გვ. 219). საკუთრივ "წრფელი" გასუბსტანტივებული სახით იგივეა, რაც ბერძნული εὐθεια ანუ "სწორი ხაზი" (შდრ. ს. ყაუხჩიშვილის განმარტება: პეტრიწი, შრომები, 1, გვ.317). ამ ტერმინის შესატყვისებად ამონიოსის შრომათა თარგმანებში გვხვდება "მართალი", "მართლ-განმავალი" ანდა ბერძნული "ევთიად" (იხ. ამონიოსის შრომათა დასახ. გამოც. ტერმ. ლექს. "ევთიად", "მართალი", "მართლგანმავალი"). ამ მხრივაც, როგორც ვხედავთ, პეტრიწის ტერმინოლოგია სხვაობს ამონიოსის შრომათა თარგმანების ტერმინოლოგიისაგან. დავძენთ, რომ გელათური "მართლგანმავალი", როგორც ჩანს, ეფრემ მცირისაგან მომდინარეობს, რომელიც ბერძნულ εὐθειας-ს თარგმნის, როგორც "მართლგანმავალნი გზანი": "ყოველნივე იგი, მართლგანმავალნი გზანი თავსა შინა თვისსა ჰქონან ნიშანსა ერთსახეობით შეერთებულად" (დიონისე -არეოპაგელი 62.17; 5.6). იგივე "მართლგანმავალი" εὐθεια-ს შესატყვისად გვხვდება არსენთან (იხ. გარდამოცემა, S-1463, 72.1; col. 937 B).

2 საგულისხმოა ის განმარტება, რაც აღნიშნულ ტერმინს ერთვის ნემესიოსის წიგნის ხელნაწერში (ეგვე კომენტარი მოტანილია სულხან-საბას "სიტყვის კონაში"): "წირად", ჰგავს თუ, სახულსა რასმე უწესს (პეტრიწი, ე.ჭ.) დასახულსა, რომელი უვაკოდ (ე.ი. უსწორმასწოროდ, ე.ჭ.) რადმე აღუჩნდების მხედველობასა, ხოლო ყოვლად ვაკედ (გლუვად, ე.ჭ.) შემხებელობასა" (80.19; შდრ. ტერმ. ლექს. გვ. 219; აგრეთვე, იხ. გვ. 233).

გვხვდება *γραμμη*. ხუთგზისვე ეფრემისეულ თარგმანში შესატყვისად გვაქვს "ასოდ" (არსენთან ყველგან გვხვდება "დრამში"). მაგალითად:

ეფრემი

არსენი

განცხადებად, ასოდ, ადგილი (36.11).

ეპიფანიად, დრამში, ადგილი

ასოსა მწიგნობრისა დასუმულსა აქუს სიგრძე ერთსაზომი და უგანოდ (36.12).

დრამსა აქუს ერთი განფენილობად, რამეთუ არს იგი სიგრძე უსივრცოდ

აქუს ზოგადად საზღვრად შემაერთებელად მათ შორის მყოფი იგი ასოდ (36.13).

ჰქონან ზოგადნი რადმე საზღვარნი, შემარწყუმელნი საშუალისა მის დრამისანი

ასოდ... განცხადებად... გუამი (36.18).

დრამში, ეპიფანიად, სხეული

ასოდ ასოსა ესწორებისცა და უსწოროცა არს (36.26).

დრამში და დრამში სწორიცა არს და უსწოროდცა

ტერმინი *γραμμη* გვხვდება, აგრეთვე, "გარდამოცემაში". ეფრემი ამჯერადაც "ასოდ" თარგმნის მას:

ეფრემი

არსენი

ბუნებანი უფლისანი არცა ერთ გუამ არიან, არცა ერთ განცხადება (*επιφαινεια*), არცა ერთ ასო (86 v 2; 1013 A)

ბუნებანი ქრისტესნი არცა ერთ სხეულგან სიზრქე არიან, არცა ერთ ეპიფანია, არცა ერთ დრამში (80.1).

ამგვარად, დამოწმებული ნიმუშები აშკარად ცხადყოფს, რომ იოანე დამასკელის "ცოდნის წყაროს" თარგმნის პერიოდში *γραμμη*-ს შესატყვისად ეფრემ მცირე სარგებლობდა მარტოდენ ტრადიციული ტერმინით "ასოდ".²

¹ მოტანილი ნიმუშები მითითებულია მ. რაფაევას მიერ იხ. დასახ. გამოც. გვ.188.

² აღვნიშნავთ, რომ "გარდამოცემაში" ეფრემთან ერთგან შესატყვისად გვაქვს, აგრეთვე, "გამოსახული": "სახედველნი მართლ პირისპირ გამოსახულსა (*κατευθειας γραμμιας*) და მართლ წინაშე თუალთა მდებარესა ოდენ ხედავს" (A-24, 69 v 1; შდრ არსენი: "სახედველნი პირისპირ მართლგანმავალთა დრამათა ხოლო ჰხედავს" 72.1 col 937 B).

ამგვარსავე სურათს გვიჩვენებს გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვა "ირონის მიმართ ფილოსოფოსისა", რომლის ქართული თარგმანი შემონახულია A - 292-ში. ეს თარგმანი განეკუთვნება იმ აპორეტულ საკითხავებს, რომლებიც ეფრემმა 16 სადღესასწაულო სიტყვაზე უწინარეს გადმოიღო ქართულად. გრიგოლ ღვთისმეტყველის 50-სიტყვედის შესახებ მსჯელობისას მივუთითებდით, რომ ეფრემმა აპორეტული საკითხავები, მისივე სიტყვებით, ექვთიმე ათონელის "კუალსა შედგომითა" ანუ ექვთიმესეული მთარგმნელობითი პრინციპებითა და სტილით თარგმნა, 16 სადღესასწაულო სიტყვა და ერთი "აპორიტა" კი ახლებური ტერმინოლოგიურ-სტილური აკრიბიით. ირონი ფილოსოფოსისადმი მიმართული საკითხავი შედის იმ პირველ თარგმანებში, რომლებიც ცხრამეტე აპორიტას შეადგენენ და რომლებიც როგორც აღვნიშნეთ, ტერმინულად ჯერ კიდევ მყარად არიან აღბეჭდილნი ტრადიციულობის ნიშნით. შესაბამისად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ზემოხსენებულ საკითხავში *γραμμη*-ს შესატყვისად იგივე ტრადიციული "ასოჲ" გვხვდება, რაც ვლინდება აგრეთვე "გარდამოცემასა" და "დიალექტიკაში".

თუკი მართებულია აზრი იმის შესახებ, რომ ეფრემის მიერ თარგმნილი 19 აპორიტა ნაწილობრივ მაინც - ექვთიმესეულ (საზოგადოდ, ტრადიციულ) მთარგმნელობით სტილს აღიბეჭდავს, მაშინ ეს უპირველესად უნდა ითქვას სწორედ ზემორე საკითხავთან დაკავშირებით. აღნიშნული ძეგლი იმდენად დაცილებულია საკუთრივ ეფრემისეულ მთარგმნელობით პრინციპებსა და ტერმინოლოგიას, რომ თითქოს არ გვეჩვენება შეუძლებლად საერთოდ უარყოფა ეფრემ მცირისა, როგორც ამ საკითხავის მთარგმნელისა. ქართული თარგმანი თითქმის ყველა მონაკვეთში შესამჩნევი თავისუფლებით გადმოსცემს ორიგინალს, ხშირია შემატებანი, რთული ადგილების გამარტივებანი, ტერმინოლოგიური პერიფრაზირებანი და სხვა. ასე რომ, თუკი ამ თარგმანს ეფრემისეულად ჩავთვლით, იგი უნდა მივიჩნიოთ მის მიერ შესრულებულ ერთერთ უადრეს, ერთერთ პირველ ლიტერატურულ სამუშაოდ.

აღნიშნულ თარგმანშიც, როგორც ითქვა, *γραμμη*-ს შესატყვისად გვხვდება ტრადიციული "ასოჲ" (აგრეთვე ორისიტყვედი "ასოჲ წერილი"):

"ასონი რადმე წერილნი" (A-292, 219 v; Pg. 35, 1205 B); "არა პატივ-იცნენ ესენი უფროდს... მოპოვნებისა უცხოთა ასოთაჲსა" (იქვე, 220; 1208 A).¹

გვიანდელი პერიოდის შრომებში ეფრემ მცირეს შემოაქვს ახალი ტერმინი "წარზიდული". სწორედ ეს ტერმინი გვხვდება გრიგოლ ღვთისმეტყველის მისეულ თარგმანში:

"ვერცა ერთმან მერცხალმან ყვის ზაფხული, ვერცა ერთმან წარზიდულმან (*γραμμη*) ქუეყანისმზომელი" (A-109, 81. 1-2; col. 352 B).

გრიგოლ ღვთისმეტყველის ტექსტს აშიაზე ახლავს კომენტარი, რომელშიც

¹ შესატყვისობა *γραμμη* - "ასოჲ", როგორც აღვნიშნეთ, ეფრემთან გვხვდება ტრადიციის კვალობაზე. მაგალითად, იგივე შესატყვისობა ვლინდება გიორგი მთაწმინდელთან: "წერტილი დასაბამ არს ასოჲსაჲ (το σημειον αρχη της γραμμης)" (გრიგოლ ნოსელი, პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს, საქ. ეკლ. კალენდ. 1989, გვ. 206; 308). ამავე ტერმინთშესატყვისობას მოუხმობს ექვთიმე ათონელიც: "არცათუ ერთმან მერცხალმან მოიყვანის არე... ანუ ერთისა ასოჲსა (*γραμμη*) გამოსუმამან სახელოვან-ყვის მწიგნობარი" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, ნათლისღებისათვის, S - 383, 33 v; შდრ. ამავე სიტყვათა ეფრემისეული თარგმანი, სადაც "ასოს" ნაცვლად გვაქვს "წარზიდული").

განმარტებულია *γραμμα*. ამ კომენტარის ეფრემისეული თარგმანი ასეთია:

"მსგავსად ასოთა ანბანისათა თვსაგანი ანბანი აქუს ქუეყანისმზომელობასა, რომელთაგანი ერთ არს წარზიდული" (იქვე).

ზემოთ აღვნიშნავდით, რომ ტერმინი *γραμμα* შედის კომპოზიტიში *εσθγραμμα* ("სწორი ხაზი"), რაც გელათურ ტექსტებში გადმოტანილია ასე: "ღრამმართალი", ხოლო პეტრიწთან - "წრფელწირი" (იხ. ზემოთ სათანადო ციტირებანი). იგივე კომპოზიტი გვხვდება გრიგოლ ღვთისმეტყველის თექვსმეტსიტყვედზე დართულ ერთ კომენტარში, სადაც განმარტებულია ტერმინი *διαμετρος* (ტერმინ "დიამეტრს" გრიგოლ ღვთისმეტყველი ხმარობს ერეტიკოსთა მისამართით:

"გარემზომნი (εκ διαμετρος)¹ ბოროტებითა და ერთსახენი უღმრთოებითა", (A-109, 79.1; 348 A).

კომენტარის ეფრემისეული თარგმანი ასეთია:

"გარემზომ უწოდიან ფრიად წინააღმდეგომ ერთ-ერთას განყოფილთა,² რამეთუ სიტყუად ესე გარემზომთა ქუეყანისმზომელთა ველოვნებისა არს, რომელნი "განრემზომ" უწოდენ გინათუ მრგულივმოვლებულსა ორად სწორგანკუეტილსა, ანუ-თუ მართლწარზიდულსა... სხუათა ადგილთა თვთ დიდი ესე მოძღუარი თარგმნის სიტყუასა ამას" (იქვე).

ამგვარად, კომპოზიტი *εσθ-γραμμα* ეფრემ მცირის მიერ თარგმნილია, როგორც "მართლ-წარზიდული". ეგვევ კომპოზიტი გვხვდება, აგრეთვე, არეოპაგიტულ შრომებში. საყურადღებოა, რომ ეფრემი ამჯერად შესატყვისად გვაწვდის ტერმინს "წაზიდულ-ასოდ", სადაც "წაზიდული" შეესაბამება ბერძნულ *εσθας*-ს,³ ხოლო "ასოდ" - *γραμμα*-ს. არეოპაგიტულ შრომებში იქვე დამოწმებულია *γραμμα*-ს შემცველი კიდევ ერთი (სინონიმური) კომპოზიტი *ορθο-γραμμα*, რაც ეფრემის მიერ გადმოღებულია, როგორც "მართლ-ასოდ":

1 შესატყვისობა *διαμετρος* - "გარემზომი" // "განრემზომი" ეფრემ მცირის კიდევ ერთი ტერმინული სიახლეა, რამაც მყარი ადგილი ჰპოვა სამომავლო ტრადიციაში. ამ მხრივაც კვლავ შთამბეჭდავად დასტურდება არსენისა და გელათური სკოლის ტერმინთმემკვიდრეობითი უწყვეტობა ეფრემ მცირესთან. მოგვაქვს ნიმუშები: "განრემზომნი (εκ διαμετρος) ბოროტნი" (დოგმატიკონი, გამოკრებიანი წამებათანი, 139.1 - 348 A); "განრემზომნი ბჭენი" (იქვე 274.2); "განრემზომისა შემაულლებელნი" (ამონიოსი 57.27; 73.4); "განრემზომი განწყოფს მრგულსა ორად ნახევარმრგულებად" (57.36; 73.13; დამოწმებულია მ. რაფაევს მიერ); "...განრემზომისა ევთიადს თანმდებარე" (58.3; 73.15); "განრემზომობით ორად სამყურად განთვსვად" (58.12; 74.1); "განრემზომობით (εκ διαμετρος) განწვალებულთა ურთიერთას უთნობითა" (მაქსიმე, გელ.14, ფოტო 403.1; 493 C); "ამათ განრემზომობით განწვალებულთა ურთიერთას უღმრთოებითა" (იქვე, ფოტო 481.1; 316 B). საყურადღებოა, რომ თვით ეფრემი აღნიშნულ ტერმინს გვერდს უვლის არეოპაგიტიკის თარგმნის დროს (თუმცა ანდერძების მიხედვით არეოპაგიტული წიგნები მას თითქოს თექვსმეტსიტყვედის შემდეგ უნდა ეთარგმნა). მაგალითად: "საზომისაებრ თვისისა (εις το διαμετρος)" (238.23; ეპ. 7-2); "ფრიად წინაუკმო (κατα διαμετρος εναντιου) ქმნილად" (238.29; ეპ. 7.2).

2 საყურადღებოა აღინიშნოს, რომ სწორედ ეს განმარტება აქვს აღებული სულხან-საბას: "განრემზომ... უწოდიან ფრიად წინააღმდეგომთა ურთიერთ განყოფილთა" (იხ. ლექსიკონი, "განრემზომ").

3 ეს შესატყვისობა მოულოდნელი არ არის, რადგანაც ბერძნული *εσθας* ნიშნავს "სწორს", "სწორად მიმართულს", ხოლო *εσθεια*, როგორც აღნიშნული იყო, გულისხმობს "სწორ ხაზს" ანუ "სწორ ღრამს", "სწორ წარზიდულს" (მდრ. მ. რაფაევს განმარტება: "ევთიად - η εσθεια ... სწორი ხაზი, რადიუსი", ამონიოს ერმისის თხზულებათა დასახ. გამოც., ტერმ. ლექს. გვ. 189).

"ვითარმცა ვერ ეგებოდა... წაზიდულასოხა მართლასოდ სახელისდებად" (39.16; 4.11).

ამგვარად, დამოწმებული ნიმუშები ცხადყოფს, რომ ეფრემ მცირე ბერძნულ *γραμμα*-ს, ერთი მხრივ, გადმოსცემს ტრადიციული ტერმინით "ასოდ", მეორე მხრივ კი იგი მოუხმობს ახალ შესატყვისს "წაზიდული". ერთგან დასტურდება, აგრეთვე, ტერმინი "გამოსახული".

ჩვენს ყურადღებას ამჯერად იქცევს ის გარემოება, რომ ეფრემ მცირის გრაფიკული ტერმინოლოგია მხოლოდ ზემორე შესატყვისებით არ ამოიწურება. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ერთ შემთხვევაში *γραμμα*-ს გადმოსცემს "წერილი":

"უგუნურებით ეკუთვებიან ასოებსა (*στοιχειοις*) და წერილებსა (*γραμμαις*)" (არეოპაგელი 39.12; 4.11).

უფრო მნიშვნელოვანია, რომ ეფრემი *γραμμα*-ს თარგმნის, აგრეთვე, ტერმინით "მოწერილი":

"და წერტილსა შინაგან თვსსა აქუს ერთბამობითი ერთობად ყოველთა მათ გარემოწერილთა სიმრგულეთად (*αι του κυκλου γραμμαι*)" (62.17; 5.6).

აღნიშნული შესატყვისი ("მოწერილი"), ცხადია, იგივეა, რაც "ორასეულში" დადასტურებული "მოწერად".¹ ეს გარემოება, ხსენებული ძეგლის მთარგმნელად კვლავაც ეფრემ მცირეს გვაფიქრებინებს.

ი) ტერმინულ იშვიათობათა რიცხვს განეკუთვნება "ოთხასეულში" დამოწმებული "უტომიერესი", რომელიც გადმოსცემს ბერძნულ *γενικωτατος*-ს:

"იშვებიან... უტომიერესნი სამნი გულისსიტყუანი" (2.59); "სამ არიან სწავლითნი დაწყნარებანი უტომიერესნი მონაზონთათვს" (2.87).

როგორც ვხედავთ, აღმატებით ხარისხში წარმოდგენილი *γενικωτατος* ორგზის თარგმნილია, როგორც "უტომიერესი". საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ხსენებული ბერძნული ტერმინი ერთგან გვხვდება დაწყებით ხარისხში. ქართულად იგი თარგმნილია, როგორც "ნათესავი":

"ოთხნი არიან ნათესავიანი სახენი (*γενικοι τροποι*)" (4.96).

ზემოთ ჩვენ ნაწილობრივ შევხეთ საკითხს რელატიურ ტერმინთა (*γενος* და *ειδος*) ქართულად თარგმნის შესახებ. კერძოდ, აღვნიშნეთ, რომ პეტრიწი მათ შესატყვისებად თვით ნემესიოსის წიგნშიც (და არა მხოლოდ პროკლესთან) ყველგან წარმოგვიდგენს ტერმინებს "ტომი" და "გუარი",² მაშინ როცა VI ჰომოგენური ჯგუფის ტექსტებისათვის ძირითადია ეფრემისა და არსენის მიერ მტკიცედ დაკანონებული რელაცია: "ნათესავი" და "სახე". რაც შეეხება უფრო ადრეულ (ეფრემამდელ) ეპოქას, შეიძლება ითქვას, რომ გენიკური ტერმინოლოგია, თვით ათონური საღვთისმეტყველო სკოლის

1 ყურადღებას იქცევს ისიც, რომ როგორც მოტანილ ნიმუშში, ასევე "ორასეულიდან" დამოწმებულ წინადადებაში თავს იჩენს წინდებული "გარე", რომელსაც არცერთ შემთხვევაში ორიგინალში შესატყვისი არა აქვს (მღრ. "ორასეული: გარე-მოვლებითთა მოწერათად"; არეოპაგეტიკა: "გარე მოწერილთა").

2 აღვნიშნავთ, რომ ნემესიოსის წიგნში "გუარი" ორგზის გადმოსცემს, აგრეთვე, ბერძნულ ტერმინს *η μεθοδος*: "ყოველსა ზედამიწევნულებასა და ველოვნებასა და გუარსა წარჰმართებს" (22.24; 533 A); "არა ღირსებისაებრ განუყოფს კაცთა გუარსა და სახესა ღმერთთა მსახურებისასა" (145.11; 749 A); ერთგან იმავე წიგნში "გუარს" შესატყვისება ორიგინალის *παιος*: "ესე არს დიდ ნიშან მიმთხვევად განგებისა ვიდრემე გუართამდისცა აგებულებისათა" (იქვე 167.18; 789 C).

ჩათვლით, არსად ამჟღავნებს მკვეთრ რელატიურ მიმართებას და ზემოდამოწმებული ტერმინები ("ტომი", "ნათესავი", "გუარი", "სახე"), ჩვეულებრივ, სინონიმურად იხმარება, რაც, ცხადია, განპირობებულია იმით, რომ ბერძნულ საეკლესიო მწერლობაში *γενος* და *ειδος* აღნიშნული აზრით უმეტესწილად სინონიმური არიან. თუ შინაარსობრივ სინონიმურობას გვერდს ავუვლით და ყურადღებას გავამახვილებთ კონკრეტულ ტერმინულ შესატყვისობაზე, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ გვიანდელი ვითარების მსგავსად ადრეულ ეპოქაშიც "ნათესავი" (ნაწილობრივ "ტომი") გენიკურ ტერმინს წარმოადგენდა, "სახე" (და ზოგჯერ "გუარი") - უფრო ვიდოსურს. მაგალითად:

1. ნათესავი - *γενος*:

"ყოველსა ნათესავსა მისწუდების ძალი ესე" (გრიგოლ ნოსელი, კაცისა შესაქმე, შტბ. კრ. გვ. 96, შენ.; col. 185 C; შდრ. გიორგის თარგმანი: "ყოველსავე თვსებასა ნათესავთასა სწორებით განაგებს ძლიერებად მისი", ნ. შალამბერიძის მიერ დადგენილი ტექსტი, გვ.80); "ნათესავისათვის კაცთადასა" (შატბ. კრ. 96.34; შდრ. გიორგი: "ნათესავი კაცთად" გვ. 81; col. 188 B); "შეეტყუების... ნათესავსა მცურვალთასა" (ბასილი დიდი, ექუსთა დღეთად, 8.8; ძვ. თარგმანი 120.30; შდრ. გიორგი: "შესწორებულად... მცურვალთა... ნათესავისა" 101.27); "მცველი ნათესავისა ცხოველთა" (იქვე, 6.8; ძვ. თარგ. 88.30; შდრ. გიორგი: "ცხოველთა ნათესავობის მმარხველ" 73.22); "დაინიშნეს თითოეულებად ყოვლისა ნათესავისად უცხოეთა სახელითა" (იქვე 8.3; ძვ. თარგ. 111.15; შდრ. გიორგი: "განთვსებად თვთოეულისა ნათესავისად, ვითარცა სადაგველთა და აღნიშნვითა რადთმე დაისწაონ" 93.36); "ნათესავი იგი იხუთად მღვდარე არს" (იქვე 7.7; ძვ. თარგ. 119.3; შდრ. გიორგი: "მღვდარე არს ნათესავი იგი ღრღედთად" 100.12); "განყვნა ნათესავნი მათნი (ფრინველთა, ე.ჭ.) ურთიერთას" (იქვე 8.8; ძვ. თარგ. 120.25; შდრ. გიორგი: "განყვნა ნათესავნი მათნი ურთიერთარს" 101.22); "რომელიმცა იყო ნათესავი მფრინველთად...?" (იქვე 8.7 - გიორგის თარგმანი 100.16); "ნათესავთა შემდგომებასა მსგავსებითა ჰმარხავს" (იქვე 9.2 - გიორგის თარგმანი; შდრ. ძველი: "...შემდგომად თესლთა" 124.19); "სამად განიყოფვის ნათესავობად ცხოველთად" (იქვე 8.2 - გიორგის თარგ. 93.8; შდრ. ძვ. "თესლნი იგი ცხოველთანი არიან სამ" 110.17); "მამაკაცებად და დედაკაცებად... დამტკიცებისათვის ნათესავობისა დაებადა" (გრიგოლ ნოსელი, კაცისა შესაქმე, შატბ. კრ. 96.14).

2. ტომი // ტომებად - *γενος*:

"არიან უკუე მფრინველთაცა შორის ბევრეულნი განყოფილებანი ტომთანი" (ბასილი დიდი, ექუსთა დღეთად, 8.3, გიორგი მთაწმიდლის თარგმანი 93.30; შდრ. ძველი თარგმანი: "მრავალნი მფრინველნი არიან", 111.8); "აქუს მათ

1 ტერმინები "ნათესავი" და "ტომი" (ნაწილობრივ "გუარი"), როგორც მოსახლეობის ერთეულების აღმნიშვნელი ცნებები, განხილული აქვს ი. ჯავახიშვილს, თუმცა მკვლევარი "ნათესავის" ბერძნულ შესატყვისებად მარტოდენ უთითებს ტერმინებს *εθνος* და *συγγενεια*, მაშინ როცა ძირითადი შესატყვისი "ნათესავისა" არის *γενος*. ასევე, "ტომი" მართალია გადმოსცემს ბერძნულ *φυλη*-ს, მაგრამ როგორც ქვემოთ ვნახავთ, მისი ერთერთი უმთავრესი შესატყვისი არის, აგრეთვე, *γενος*. იგივე ითქმის ტომობრივ ტერმინზე "თესლი", რომელიც გადმოსცემს არა მხოლოდ *σπέρμα*-ს, როგორც ამას უთითებს პატივცემული მკვლევარი, არამედ, ძალიან ხშირად, ხსენებულ *γενოს*-ს (იხ. ი.ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, შრომები VI, თბ. 1982, გვ. 133-136; 189-194);

(თესლებს, ე.ჭ.) ტომებად საკუთარი" (იქვე 5.5; ძვ. თარგ. 68.30; შდრ. გიორგი: "თვისი აქუს ტომებად" 55.19); "და ყოველი, რომელი აღმოაცენა ქუეყანამან პირველდაბადებასა (გამოცემაშია არაზუსტი ფორმა "პირველ დაბადებისა"), იგივე დამარხულ არს ვიდრე აქამომდე მკვდრობითა ტომებისადთა" (იქვე 5.2; ძვ. თარგ. 64.31; შდრ. გიორგი: "და ესრეთ პირველით დაბადებითგან რომელი-იგი აღმოაცენა ქუეყანამან, ჰგიეს ვიდრე აქამომდე შემდგომებითა ტომებისადთა დამარხული" 51.13);¹ "გამოიღენ ქუეყანამან მწუანვილი თივისად თესლი სათესავი ტომად (κατα γένος) თვისა" (შესაქ. 1.11, ბასილი დიდი, ექუსთა დღეთად, 5.2; ძვ. თარგ. 66.10; შდრ. გიორგი: "აღმოაცენენ ქუეყანამან მწუანვილი თივისად და თესლი სათესავი ტომად-ტომადი" 50.32); "გამოიღედ წყალთა... მფრინველი მფრინვალე სამყაროსა ცისასა ტომად-ტომადი" (შეს. 1.20; იქვე, გიორგის თარგმანი 80.12; შდრ. ძველი: "...თესლად-თესლადი" 95.27);² "ბევრეულნი ტომნი მცენარეთანი" (იქვე 5.2 - გიორგის თარგმანი 51.2); "ბევრეულნი ტომნი მცენარეთანი აღმოაცენნა" (იქვე 5.2 - გიორგის თარგმანი 51.18); "ვითარსაცა რასმე ტომსა მცენარეთასა წარმოუდგე, ცხად და დაუვიწყებელ იქმნეს შენ შორის ვსენებად დამბადებელისად" (იქვე 5.2 - გიორგის თარგ. 51.21); "სხუად და სხუად ტომად (ετερογενων) განყოფილება მათი (ხეებისა, ე.ჭ.)" (იქვე 5.7 - გიორგის თარგ. 58.21); "გქონან შენ ლამით ტომნი იგი ლამისა მფრინველთანი" (იქვე 8.7 - გიორგის თარგ. 99.25); "ქუეწარმავალთა დაბადებასა შინა ბევრეული განყოფად ტომთად იხილვების" (გრიგოლ ნოსელი, პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის, საქ. ეკლ. კალენდ. 1989. 5.3).

3. ტომი // ტომებად - εἶδος

"ყოველნი განყოფანი, რომელნი არიან ტომებსა შინა, შეიცვალნენ ვითარებათაგან ბუნებისათა შეზავებსა შინა" (გრიგოლ ნოსელი, კაცისა შესაქმე, შატბ. კრ. 115.9; col.228 B; შდრ. გიორგი: "სახისა განყოფილებათა ვითარებანი აგებულებისა ცვალებასა გამოსახვენ" გვ. 123); "ჟამსა მას განახლებისასა მოიზიდოს სული იგი მისავე, რომელი-იგი მსგავს იყო ბუნებასა მას მისსა ტომებითა მით უცილობელად" (იქვე 115.14; col. 228 B; შდრ. გიორგი: "ჟამსა მას ნივთთა კუალადგებისასა მასვე სახესა შეიწყნარებს თავსა შორის თვისსა, რომელიცა-იგი მოეზავებოდის პირველსა მას გამოქანდაკებულსა, ხოლო უეჭუელად იგი მოეზავოს, განაღა რომელი-იგი პირველითგან დაებეჭდა სახისა მიერ", გვ. 124); "თვთ ერთსაცა მას (ხეს, ე.ჭ.) ტომსა შინა მრავალი განყოფად აქუს" (ბასილი დიდი, ექუსთა დღეთად, 5.7; ძვ. თარგ. 72.30; შდრ. გიორგი: "თვთ მასვე ერთსა ხესა შინა და ერთსა ტომსა მრავალი

¹ გენიკურ ტერმინად "ტომებად" გიორგის მიერ ხმარებულია კაცობრიობის მიმართაც: "ერთი ბუნებად არს და ერთი ტომებად (γένος) კაცთა არსებისად" (ეგნატი ანტიოქიელი, ეპისტოლენი, ფილადელფიელთა მიმართ, საქ. ეკლ. კალენდ., 1988, გვ. 574; Pg. 5; col. 825 A)

² "შესაქმის" წიგნის პირველი თავი, სადაც ტერმინი γένος გვხვდება, როგორც ცნობილია, მხოლოდ გელათური რედაქციით არის მოღწეული. ამიტომ მასში ნაცვლად "ტომისა" ყველგან გვაქვს "ნათესავი" (როგორც აღნიშნული გვექონდა გელათურ ტექსტებში γένος-ს "ნათესავი" გადმოსცემს). ეს მომენტი შენიშნულია მ. კახაძის მიერ; იხ. ბასილი დიდი, ექუსთა დღეთად, გვ. 166, "ტომად-ტომადი".

4. სახე - γένος:

"ესევიტარითა სახითა, რომლითა ემსგავსების კაცი დამბადებელსა თვსსა" (გრიგოლ ნოსელი, კაცისა შესაქმე, შატბ. კრ. 74.33; შდრ. ორიგინალი: *οσα του τοιουτου γενους εστι, διων μορφουται τοις ανθρωποις η προς το θειον ομοιωσις*, col. 137 B; შდრ. გიორგის თარგმანი: "რაოდენიცა არს მსგავსი ამათი, რომელთა მიერ გამოისახვოდის კაცთა შორის საღმრთოდ მსგავსებად" გვ. 17); რად არს სახე უცხოხანეთა (ετερογενων) შეზავებისა და შეერთებისად?" (იქვე, გიორგი მთაწმიდლის თარგმანი, გვ. 39; შდრ. ძვ. თარგ.: "ვითარ-მე არს საქმძ შერევისა შინა ნათესავთა მათ, რომელნი წინააღმდგომ არიან ურთიერთას?"; col. 156 A).

5. სახე - ειδος:

"მიიწიის სისრულედ სახისა მის, რომელი ჰნებავენ" (გრიგოლ ნოსელი, კაცისა შესაქმე, შატბ. კრ. 126.22; შდრ. გიორგი: "სრული და განჰქმარებულსა სახე გამოქანდაკის", გვ. 153; col. 253 C); "ნივთი იგი ქვისად არა მომპოვნებელ იყო სახისა მის, არამედ სახე იგი შემცვალებელ იყო ნივთისა მის" (იქვე, შატბ. კრ. 126.23; col. 253 C; შდრ. გიორგი: "არათუ ნივთი სახედ შეიცვალა, არამედ სახე ნივთსა ზედა გამოისახა", გვ. 153); "განასრულის სახც იგი ნივთსა მას შინა" (იქვე, შატბ. კრ. 126.26; col. 253 D; შდრ. გიორგი: "შეეყო სახე ნივთსა მას ქვისასა", გვ. 154); "კაცობრივისა მის ორღანოდასა გამოქანდაკებულსა შინა სახე სულისად (*το της ψυχης ειδος*) შემსგავსებულად მის ქუეშე-მყოფისა მის ნივთისა (*τοσ υποκειμενου*) გამოჩნდების, უსრულად უსრულისა შორის და სრულად სრულისა" (იქვე, გიორგის თარგმანი, გვ. 154; col. 253 D; შდრ. ძველი: "გამოთლად ბუნებისა მის ჩუენისა სულისად არს პირველად დაწყებად უსრულად, განსრულებასა - სრულ", შატბ. კრ. 126.27); "უკუეთუ მოსძარცო ვნებისამიერი შეცვალებად, რომელი-იგი შემოვდის სახესა ზედა, ვითარცა უცხო რადმე პირი (*πρροσωπειον*), რომელსა-იგი სენისა უშუერებითა შეიმოსს სახე, რომელი-იგი უკუეთუ განძარცვოს სიტყვსა მიერ... კუალად სახე იგი, ვნებისა მიერ დაფარული, თვსთა სასწაულთა მიერ გამოჩნდების და საცნაურ იქმნების" (იქვე, გიორგის თარგმანი, გვ. 123; C. 225); "სახე, ვითარცა ბეჭედი რადმე და მსგავსებად გამოქანდაკებული, დაადგრების სულსა ზედა" (იქვე, გიორგის თარგ. გვ. 123-124; col. 228 B); "უეჭუელად იგი მოეზავოს, განალა რომელი-იგი პირველითგან დაებეჭდა სახისა მიერ" (იქვე, გიორგის თარგმანი, გვ. 124; col. 228 B); "გარეშე ამისსა სხუად სახე არს ცხოვლობისად" (იქვე, გიორგის თარგმანი, გვ. 26; col. 145 A); "ესევიტარნი იგი ხატნი... ვსოვნებითსა მას სახესა სულისასა (*τα ειδει της ψυχης*) დაადგრებიან" (იქვე, გიორგის თარგმანი, გვ. 56; col. 168 D); "არა მასვე ცხორებისა სახესა იტყვს კუალად აღსლვასა კაცისასა" (იქვე, გიორგის თარგ. გვ. 90; col. 196 C; შდრ. ძველი თარგმანი: "რადსა არა მოიქცევის კაცი კუალად მასვე ხესა¹ ცხორებისასა" 100.29); "ესევიტარმან მან შობისა სახემან, რომელი შემოვდა კაცთა ზედა, საჭირო-ყო უნდოდსა მის ბუნებისა ჩუენისა მამაკაცად და დედაკაცად წოდებად" (იქვე, გიორგის თარგ. გვ. 101; col. 205 C); "ყოველივე

1 ხომ არ იყო თარგმანის თავდაპირველ ტექსტში "სახესა"?

ძალი წუელისად სახესა თავისასა შემოუკრებიეს თავსა შორის თვსსა" (იქვე, გიორგის თარგ., გვ 132; col.236 A); "სახე იგი აგებადისა მის კაცისად (*το ειδος του μελλοντος συνιστασθαι ανθρωπου*) მის შორის მყოფ არს ძალითა" (იქვე, გიორგის თარგ. გვ. 133; col. 236 C); "ძულთა ზედა და ქუეყანისა შორის, ნერგთა ზედა და ხეთა... სახესა რასმე ცხორებისასა ვხედავთ აღზრდისა და აღორძინებისა მიერ" (იქვე, გიორგის თარგ. გვ.140; col.241 D).

6. გუარი - *γενος*

"მივიქცეთ გამოძიებად... რაოდენნი გუარნი (*ποσα γενη*) ხენი აღმოსცენდეს მაშინ" (ბასილი, ექუსთა დღეთად, 5.7. - გიორგის თარგმანი 58.15).

7. გუარი² - *ειδος*:

"ხოლო აწ რომელიმე ჰგის ჩუენ შორის და რომელიმე ცვალებისა მიერ წარმატების, რამეთუ აღორძინებისა და მოკლებისა მიერ შეიცვალებიან ვორცნი და, მსგავსად სამოსლისა, შემდგომითი-შემდგომად ჰასაკისა მიერ შეიმოსებიან, ხოლო სახე და გუარი (*το ειδος*) ყოველთა ცვალებათაგან შეუცვალებელ არიან" (გრიგოლ ნოსელი, დაბადებისათვის კაცისა, გიორგის თარგმანი, გვ. 123; col. 225 D).

1 შესატყვისობა *ειδος* - "სახე", როგორც აღნიშნული გვაქვს, მეტად ნიშანდობლივია ეფრემ მცირისათვის და, ეფრემის კვალობაზე, არსენისა და XII ს-ის გელათური სკოლისათვის. ქართული "სახე", საზოგადოდ, ტერმინულად გადმოსცემს მრავალ ბერძნულ სიტყვას (*τροπος, τυπος, σχημα, μορφη, ιδεα* და მისთ.). საგულისხმოა აღნიშნოს, რომ გრიგოლ ღვთისმეტყველი ერთგან გვერდიგვერდ ხმარობს ტერმინ "სახის" ბერძნულ შესატყვისებს: *ειδος, σχημα* და *τροπος*. ეფრემისეულ თარგმანში შესაბამის ადგილას *ειδος*-ს გადმოსცემს საკუთრივ "სახე", *σχημα*-ს - "გუარი", ხოლო *τροπος*-ს "წესი: ვიტყვ... მერმეცა სახესა სამოსლისასა და გუარსა სარეცლისასა და წესსა საზრდელისასა" (A-109. 67-67 V; col. 600 A).

2 ტერმინ "გუარის" (გოვარის) უძველესი დამოწმებანი (ეთნიკური შინაარსით) გამოვლენილი აქვს ი. აბულაძეს (იხ. მისი, "ძველი ქართულის ლექსიკიდან, გოვარი-გუარი", შრომები, II, გვ. 5-11). საღვთისმეტყველო შინაარსით "გუარის" ერთ-ერთი უადრესი დამოწმება გვაქვს იოანე მინჩხთან, რომელიც, ჩვეულებრივ, X ს-ის I ნახევრის მოღვაწედ მიიჩნევა: "მიმიზიდა გუარმან ვორცთა ამათ მიწისაგანთამან" (იოანე მინჩხის პოეზია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ლ. ხაჩიძემ, თბ. 1987, გვ. 187.27). ეს ტერმინი იშვიათია XI ს-ის მიწურულამდე. როგორც აღნიშნული გვქონდა, ეფრემ მცირე "გუარად" თარგმნის ბერძნულ *διαθεσις*-ს და *εξις*-ს ასევე, იშვიათად, *θεσις*-ს *σχημα*-ს და *λογος*-ს (იხ. ზემოთ ტერმინები *Διαθεσις, Εξις*). არსენის მიერ "გუარი" თანდათან მკვიდრდება ბერძნული *τροπος*-ის შესატყვისად, რაც სპეციფური ხდება გელათური სკოლისათვის. პეტრიწი, როგორც ცნობილია, ამ ტერმინს ეილოსურ ცნებად ამკვიდრებს (ნემესიოსის წიგნში "გუარად" არის თარგმნილი, აგრეთვე, *μεθοδεια* და *τυπος*. აღნიშვნის ღირსია, რომ უფრო ადრეულ ეპოქაში, კერძოდ, გიორგი მთაწმინდელთან ტერმინი "გუარი", გარდა *γενος*-ისა და *ειδος*-ისა, გადმოსცემს, აგრეთვე, ბერძნულ *αντιτυπια*-ს: "ფერი უხილავ არს და, ეგრეთვე, გუარი და ვითარებად და რავდენობად" (გრიგოლ ნოსელი, დაბადებისათვის კაცისა, გვ. 109 - col. 213 A); შდრ. ძვ. თარგ: "ფერი და სიკუროვე ქმნულნია, რავდენებად და სხუათა... საკუთრებანი", შატბ. კრ.108. 24; შდრ. განმეორებითი თარგმანი: "ფერი გულისხმისსაყოფელ არს და სიკუროვეს საცნობელ არს და ვითარებად...", იქვე 109.13); "არა არს გუამი, რომელსა თანა არა იყო ფერი და სახე და გუარი და საზომი და სიმძიმე" (იქვე, გვ. 110; col 213 B; შდრ. ძვ. თარგ: "ვერ დგას გუამი, რაჟამს განეშოვროს მას ფერი და სიმყარს და სიკუროვეს და ყნოსად და სხეულებად", შატბ. კრ. 109.18). გიორგი მთაწმინდელი "გუარად" თარგმნის, აგრეთვე სხვა ბერძნულ ტერმინებს, როგორებიცაა: *καταστασις* ("აგებულებასა და

დავძენთ, რომ ადრეულ ტექსტებში გენიკურ ტერმინად გვხვდება ყოფითი შესატყვისი "თესლი", რაც აღნიშნული შინაარსით განსაკუთრებით ხშირია ბიბლიურ წიგნებში. ამგვარივე ტერმინული მნიშვნელობით თავს იჩენს, აგრეთვე, "ფერი":

"სხუასა და სხუასა ფერსა (γενος) გომიზსა ცრემლოვიან" (ბასილი, ექუსთა დღეთად, 5.8 - გიორგის თარგ., 60.30).

იგივე "ფერი", ჰენდიადისურ წყვილში, ეიდოსურ ტერმინადაც წარმოჩნდება:

"სხვთა და სხვთა ხატითა და ფერითა განკუთნვილნი" (იქვე 7.2 - გიორგის თარგ., 82.31); "და არს ფერიცა (το ειδος, species) მის თანა ღვნისად" (მატბ. კრ. 136.4).

რაც შეეხება გენიკური ტერმინის ხარისხობრივ ფორმებს, მათი დამოწმებანი გაცილებით იშვიათია. ერთი ნიმუში გვხვდება გრიგოლ ნოსელის ანთროპოლოგიურ შრომაში, რომლის ძველი თარგმანი შესატყვისად გვაწვდის ტერმინს "ნათესავობისად", გიორგი მთაწმინდელთან კი შესაბამის ადგილას წარმოდგენილია სიტყვა "სრული":

"სიტყვთა მით ნათესავობისადთა (γενικω..λογω) შემკრებელითა ყოველსავე სახესა კეთილისასა" (მატბ. კრ. 101.9; col. 197 A; შდრ. გიორგი: "სრულითა და მტკიცითა სიტყვთა ყოველივე სახე კეთილთად თავსა შორის შეერთებულად აქუს", გვ. 91).

ეგევე ტერმინი გვხვდება ბასილი დიდის მეორე ეპისტოლეში, რომელიც ორგზის ითარგმნა ქართულად: პირველად წინაათონურ ეპოქაში (არაბული ენიდან),¹ მეორედ კი ექვთიმე ათონელის მიერ.² უძველეს თარგმანში შესატყვისად გვაქვს "საქმე", ექვთიმესთან კი "მშობელი":

"შეიკრძალოს სიწმიდს და სიმკნით მოთმინებად, სიმართლს და გონიერებად და ყოველივე, რადცა იშვების დიდებულისა მისგან სათნოებისა; და ამათ

წესსა და გუარსა ნებათასა მიემსგავსებიან სიზმარნიცა უმრავლესთანი" გვ. 64 col. 173 C; შდრ. ძვ. თარგ. "არიედცა სიზმარნი მსგავსად საქმეთა კაცთადასა", მატბ. კრ. 90.39), *χρεια* (ესევიტარნი არიან გონებითა, რომელნი-იგი მარადის მპყრობელთა მათ ძლიერებასა დაემონებიან და თვთოვეულისა გუარსა ნებასა თვსსა შეაზავებენ" (ბასილი, ექუსთა დღეთად 7.3, გიორგის თარგმანი, 84.26), *μμησις* (მისცის მას გუარო წინამდებარისა მის სახისად ნებისაებრ თვსისა", გრიგოლ ნოსელი, დაბადებისათვის კაცისა, გვ. 153; 253 C), *σχημα* (გუარითა... შეცვალებულ", გრიგოლ ნოსელი, პასუხი ექუსთა მათ. დღეთათვის 1.2, საქ. ეკლ. კალენდ. 1989; გვ. 199; "... არცა ფერი და არცა გუარო", იქვე 4.4, გვ. 214). თეოფილე ხუცესმონაზონთან გვხვდება ტერმინი "გუარად-გუარადი", რაც იგივეობრივი ჩანს გამოთქმისა "ტომად-ტომადი" (გუარად-გუარადნი და თვთოსახენი", იოანე ოქროპირი, თარგმანებად დაბადებისად ფ. 583; შდრ. *επαλληλους*, col. 240). პეტრე გელათელთან ტერმინი "გუარო" ერთგან გადმოსცემს ბერძნულ *το υφος* (ქსოვილი): "იყავნ შენდა ყოველი ლოცვისა გუარო (το της δεησεως υφος) უჭრელო (αποικισον)" (კლემექსი, A-39, 184v; 356; შდრ. ცოტა ზემოთ: "...დავსნითა ძვრისვსენებისადთა მოქსოდლ"; შდრ. ექვთიმეს თარგმანი: "იყავნ ყოველივე თხოვად შენი გონებითა მდაბლითა", საქ. ეკლ. კალენდ. 1987 წ. გვ.447). გამონაკლისი ტერმინთშესატყვისობის სახით არსენი "გუარად" თარგმნის *λογος*-ს (გუარანი სიმარჯუეთანი", დოგმ. 270.1; 126.9); *ηθος*-ს (გუართა და ქცევათა", იქვე 271.2; 146.2), *διαμονη*-ს (სათნოებითისა გუარისა მათისა", 274v2; 198.2).

1 იხ. რ. გვარამია, ბასილი კაპადოკიელის მეორე ეპისტოლის არაბული ვერსია და მისი მიმართება ადრეულ ქართულ რედაქციასთან, მრავალთავი X, თბ.1983, გვ. 146-153.

2 იხ. ნ. ქაჯაია, ბასილი დიდის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები, თბ. 1992, გვ. 87.

ოთხთა საქმეთაგან (*γενικαίς*) იშვებთან ყოველნი სათნოებანი" (ნ.ქაჯაიას დასახ. გამოც. 211.36; შდრ. ექვთიმე: "წარჰმართოს სრული სიწმიდჳ და სიმკნე სულიერი და სიმართლე და სიბრძნე და სხუანი იგი სათნოებანი, რომელნი-იგი ოთხთა ამათ მშობელთაგან იშვებთან", იქვე, 218.22).

გიორგი მთაწმინდელთან გენიკურ ტერმინად, როგორც ზემოთ ვნახეთ, თავს იჩენს სიტყვა "სრული". ეს შესატყვისი ჰენდიადისურ წყვილებშიც არის დამოწმებული. მაგალითად:

"სრულისა მისებრ და მალღისა საღმრთოდასა განჩინებისა (*κατα τον γενικον λογον*)" (გრიგოლ ნოსელი, პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს, 8.4; საქ. ეკლ. კალენდ. გვ. 237; Pg. 44, col. 116 A); "სრულითა სიტყვთა და მარტივითა (*γενικω λογω*)" (იქვე 8.3; col. 113 D).

იმავე მთარგმნელთან შესატყვისად გვხვდება, აგრეთვე, "ერთობითი":

"შემდგომად ზოგადისა მის (*καθολικου*) და ერთობითისა (*γενικου*) ნათლისა... შეუდგა დამტკიცებაჲ სამყაროდასაჲ" (იქვე 8.10; 117 C; ხომ არ იყო ორიგინალის მთარგმნელისეულ ნუსხაში *ενικου*?)

ფრაზა *τα γενικωτατα παθη* გიორგის მიერ თარგმნილია, როგორც "თავნი ვნებათანი" (თალასი, 3.19; საქ. ეკლ. კალენდ., 1989, გვ. 438: "ოთხნი არიან თავნი ვნებათანი"). სხვა შემთხვევაში იმავე *γενικωτατος*-ს გადმოსცემს "დიდი": "სამთა დიდთა გულისთქუმისა გულისსიტყუათა თვთრჩულობისაგან აქუს შობაჲ" (იქვე 3.87).

ეფრემ მცირე, როგორც აღნიშნული იყო, გენიკურ და ეიდოსურ ტერმინებად აკანონებს "ნათესავსა" და "სახეს", რაც შენარჩუნებულია არსენთან და გელათურ სკოლაში,¹ პეტრიწი კი მთლიანად უარყოფს ხსენებულ ტერმინთშესატყვისობას და მათ ნაცვლად ამკვიდრებს ცნებათა ახალ რელაციას: "ტომი" და "გუარი".

რაც შეეხება კონკრეტულად ზედსართავს *γενικος* და მის ხარისხობრივ ფორმებს, ეფრემ მცირე მათ შესატყვისად ამკვიდრებს ტერმინს "ნათესავოანი". ეს ტერმინი შემდეგში ნამემკვიდრევეა არსენის მიერ. ამასთან, არსენს შემოაქვს ახალი ტერმინიც "ნათესავობითი". ორივე მათგანი ნიშანდობლივია გელათური სკოლისათვის. პეტრიწი, ცხადია, ამ ტერმინებსაც უარყოფს და მათ ნაცვლად მოუხმობს ახალ შესატყვისებს: ტომობითი // ტომებითი (*γενικος*), ტომითი, ტომობრივ (*γενικων*), ტომობით (*γενικως*), ტომოვნობით (*γενικως*), ტომოვნებით (*γενικωτατη*), ტომოვნებითად (*γενικωτατα*) (იხ. ზემოთ).

ზემოაღნიშნული ტერმინი "ნათესავოანი" მრავალგზის გვხვდება ეფრემთან (და არსენთან) "დიალექტიკაში" (იხ. მ. რაფაეას დასახ. გამოც., ტერმ. ლექს. "ნათესავი ნათესავოანი"). იგივე ტერმინი ვლინდება, აგრეთვე, "გარდამოცემაში". მაგალითად:

"ქრისტესთჳს თქუმულთა სიტყუათა სახენი ნათესავოანნი (*τροποι γενικοι*) ოთხ არიან" (A-24, 126.1; col. 1181 A; შდრ. არსენი: "ქრისტეს ზედა თქუმულთა სახენი ნათესავობითნი არიან ოთხ" s-1463, 97.2); "არს უკუე ვნებაჲ ნათესავოანი (*γενικως*) ...ცხოველთაჲ" (70.2; 940 D; შდრ. არსენი:

¹ საყურადღებოა, რომ ამონიოსის შრომათა თარგმანებში ერთგზის *το γενος* თარგმნილია "სახედ": "შესამე სახე (*τριτον γενος*) ვითარებისა" (174.1; 86.1).

"არს ზოგადი ვიდრემე და ნათესავოანი ვნებად ცხოველთაჲ" 72 v 1); "ნათესავოანი, ესე იგი არს, ზოგადი (*κοινων*) ვნებად ესრეთ განისაზღვრების" (70 v 1; 940 D; შდრ. არსენი: "ხოლო საზოგადოდ, ესე იგი არს, ნათესავობითი ვნებად ესრეთ განისაზღვრების" 72 v 1); "ნათესავოანი (*γενικωτατη*) განყოფილებაჲ არს" (68 v 2; col. 936 B; შდრ. არსენი: "ნათესავოანი განყოფაჲ არს" 71 v 2).

საგულისხმოა იმის აღნიშვნა, რომ აღმატებითი ხარისხის ფორმა *γενικωτατος* ეფრემისა და არსენის მიერ ითარგმნება დაწყებით ხარისხში, როგორც "ნათესავოანი". ერთი ნიმუში ამგვარი თარგმანისა უკვე დავიმოწმეთ. დავძენთ, რომ "დიალექტიკაში" მრავალგზის ხმარებული გამოთქმა *το γενικωτατον γένος* ეფრემისა და არსენის მიერ ყველგან გადმოტანილია, როგორც "ნათესავოანი ნათესავი" (ან "ნათესავი ნათესავოანი") (იხ. "დიალექტიკა", ტერმ. ლექს. გვ. 243). ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ეფრემისათვის და, ალბათ, არსენისათვისაც ჯერ კიდევ უცხო უნდა ყოფილიყო ტერმინ "ნათესავოანის" უფროობით-აღმატებითი ხარისხი "უნათესვესი", რაც აგრერიგად ნიშანდობლივია გელათური სკოლისათვის. ეფრემთან დაკავშირებით ამგვარი აზრის გამოთქმა, რა თქმა უნდა, უფრო მიზანშეწონილია შემდეგი მიზეზის გამო: როდესაც არსენი იოანე დამასკელის "ცოდნის წყაროს" თარგმნიდა, ეფრემი ამ დროისათვის ან გარდაცვლილი უნდა ყოფილიყო (რაც გაცილებით სარწმუნია) ანდა ღრმად მოხუცი, რაც ნიშნავს, რომ მისი საღვთისმეტყველო-ტერმინული ძიებანი უკვე დასასრულამდე იქნებოდა მისული. სრულიად აშკარაა, რომ არსენი ზემოხსენებული შრომის თარგმნისას მთლიანად ითვალისწინებდა არა მხოლოდ "ცოდნის წყაროს" ეფრემისეულ თარგმანს, არამედ, საზოგადოდ, ეფრემისეულ შრომებს, ეფრემისეულ ტერმინოლოგიას, განსაკუთრებით უკანასკნელი წლებისას. სწორედ ამით აიხსნება, რომ მრავალი ტერმინული სიახლე და მიღწევა ეფრემ მცირისა, რაც მისი საღვთისმეტყველო მოღვაწეობის ბოლო წლებს ეკუთვნის, მთელი სისრულით არის ასახული არსენის თარგმანებში და არსენის გზით გელათის სკოლის შრომებში. შესაბამისად, ეფრემ მცირეს რომ მოესწრო ტერმინ "უნათესვესის" შექმნა, რაც ზემოწარმოდგენილი ბერძნული ტერმინის ზედმიწევნით შესატყვისად წარმოჩნდება, ეჭვი არ არის, არსენი უთუოდ გამოიყენებდა მას. სწორედ ამ მიზეზის გამო ვფიქრობთ, რომ ტერმინი "უნათესვესი" ეფრემისათვის უცხო უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება არსენს, შეიძლება ითქვას, რომ მისთვისაც, თუ საერთოდ არა, იმ დროს მაინც, როდესაც იგი "ცოდნის წყაროს" თარგმნიდა, ტერმინი "უნათესვესი" ჯერ კიდევ არ უნდა ყოფილიყო ცნობილი.

გარკვეულია, რომ არსენის ცნებითი ღვთისმეტყველება ეფუძნება ტერმინთა ერთმნიშვნელოვნებას. შესაბამისად, მისეული ტერმინთშესატყვისობანი, ჩვეულებრივ, კონკრეტულია და მყარი. აღნიშნულის ფონზე მოულოდნელი ჩანს მის მიერ ორი სინონიმური ტერმინის ("ნათესავოანისა" და "ნათესავობითის") განურჩევლად ხმარება. თუკი ეს ორი ტერმინი იგივეობრივია არსენისათვის, მაშინ რატომ ამკვიდრებს იგი ეფრემისეული "ნათესავოანის" გვერდით იმავე მნიშვნელობის მქონე კიდევ ერთ ტერმინს "ნათესავობითი?" ხომ არ შეიმჩნევა რაიმე შინაარსობრივი გამიჯნულობა ამ ტერმინთა შორის? ვფიქრობთ, ამგვარი გამიჯნულობა შესაძლებელია.

როგორც დამოწმებული ნიმუშები ცხადყოფს, არსენი ტერმინ "ნათესავოანს" იყენებს კონკრეტულად აღმატებითი ხარისხის გადმოსაცემად, ე.ი. როდესაც

ორიგინალში გვაქვს *μεγιστος*. რაც შეეხება დაწყებით ხარისხს (*μεγιστος*), იგი მის მიერ ითარგმნება ტერმინით "ნათესავობითი".¹ ეს გარემოებაც მიგვითითებს, რომ უფროობით-აღმატებითი ხარისხის აღმნიშვნელად ტერმინი "უნათესავესი" არსენისათვის არ უნდა ყოფილიყო ცნობილი.

ცალკეული ძეგლების შესწავლა ცხადს ხდის, რომ ხარისხობრივი გამიჯნულობა: "ნათესავობითი" - "ნათესავოანი" თავდაპირველად გაზიარებული იყო გელათის საღვთისმეტყველო სკოლაში (იხ. ქვემოთ, ნიმუშები ამონიოსის შრომათა თარგმანების პირველი ნაწილიდან, კერძოდ მ. რაფაეას გამოცემის 56-ე გვერდამდე), მაგრამ ახალი და უფრო ზუსტი შესატყვისის ("უნათესავესი") შექმნამ თანდათანობით დავიწყებას მისცა ეფრემისეული "ნათესავოანი" (იხ. ქვემოთ, ნიმუშები იმავე ამონიოსის შრომათა მომდევნო ნაწილიდან, კერძოდ, 61-ე გვერდიდან; იხ. აგრეთვე, დამოწმებანი მაქსიმეს შრომათა გელათური თარგმანებიდან).

ამგვარად, საფიქრებელია, "უნათესავესი" სპეციფიკურად გელათურ ტერმინს წარმოადგენდეს, თუმცა ამ ტერმინის გვერდით, როგორც აღვნიშნეთ გელათურ ტექსტებში გენიკურ ტერმინებად გვხვდება, აგრეთვე, არსენისეული "ნათესავობითი" (დაწყებითი ხარისხის აღმნიშვნელად) და ეფრემისეული "ნათესავოანი" (უფროობით-აღმატებითი ხარისხის გადმოსაცემად ანუ იმავე "უნათესავესის" იდენტურ ცნებად). მაგალითად:

"ნათესავობითთა გუართა (*μεγιστοι τροποι*)" (მაქსიმე, გელ. 14, ფოტო 87.2; col. 396 D); "...ექუსთა ნათესავობითთა სახეთა (*ειδος*) მიმართ განყოფილი" (იქვე 88.1; 396 D); "რომლისა მიმართ, ვითარცა... დასასრულისა ყოველთა მყოფთადასა, ბუნებისებრნი მოძრავობანი ნათესავობითთა რადთმე სიტყვთა მიიზიდვიან" (იქვე, ფ. 160.2; 516 A); "ოთხეულობად ნათესავობითთა რიცხუთად" (იქვე, ფ. 171.2; 541 B); "საყოველთაოდ ნათესავობით (*μεγιστως*)" (იქვე, ხელნ. 258 v 2; 25 B; იხ. აგრეთვე, "ნათესავობითი" - იქვე, ფოტო 159 - col. 892 D; 172.1 - 541 C; "ნათესავობით" - იქვე, ფ. 226.2-636 D); "აქა ნათესავობითი არს განჩენად" (ამონიოსი 69.32; 91.6); "ვჰყოფთ განჩენასა, ცხად-არს, ვითარმედ ნათესავობითისა მიმართ" (იქვე 69.37; 91.10); "არს ნათესავობითისაცა მიმართ არა საერთოდ, არამედ სამრავლოდ განჩენად" (იქვე 70.6; 91.15); "არცა ნათესავობითისა (*τοις μεγιστοις*), არცა კერძობითთა შემთხვევითთად მოივსენა" (იქვე 128.32; 38, შენ. 22); "არა ჰგონო, ვითარმედ მხოლოდსა ნათესავობითისა მიმართ გარდაეცემისო" (იქვე 157.17; 68.5; დამოწმებულია მ. რაფაეას მიერ); "ნათესავობითისა მიმართ გარდაეცემის"

1 ზედმიწევნით იგივე ვითარებაა ნიკიტა სტითატის შრომათა არსენისეულ თარგმანში. კერძოდ, *μεγιστος* უველგან თარგმნილია, როგორც "ნათესავობითი" (256v1 - 66.20; 267.1 - 88; 267.2 - 90; 269.2 - 116.2; 270.2 - 130.3), ხოლო *μεγιστος* - როგორც "ნათესავოანი" (267-88; 269v1 - 120.2 273v2 - 186.20.21). ასეთსავე სურათს გვიჩვენებს გრიგოლ აკრაკანტელის შრომის ქართული თარგმანი. მაგალითად: "ნათესავობითისებრ (*μεγιστης*) დადებისა" (3.20; 748 B); "ნათესავობითი (გამოც. "ნათესავობითი?") იგი სიტყუად" (3.21; 748 B); "ნათესავობითი სახელი" (121.16; 1053 B); "უამი... ნათესავოანი (*μεγιστου*)" (34.15; 841 D). გვხვდება გამონაკლისი: "ნათესავოანთა (*μεγιστων*)" (105.24; 1004 C); იხ. აგრეთვე, ოლიმპიოდორე, A-61: *μεγιστη* - "საყოველთაოსა" (289.1; 616 A). საყურადღებოა, რომ პეტრე გელათელთანაც *μεγιστος* თარგმნილია, როგორც "ნათესავოანი" (15v-48; 150v-297; 216-406), ხოლო *μεγιστος*-ის შინაარსით გვხვდება "ნათესავობითი" (იხ. აშიაზე: "რვანი არიან ნათესავობითნი გულისსიტყუანი", 178).

(157.28; 68.15); "ნათესავობითსა (γενικατατην) ძალსა" (გელ. 14, 51v2 - 397B; შდრ. 49v2 - 392B); "მოიბოვა ბუნებამან ნათესავოანი (γενικατερον) რადმე" (ამონიოსი, 28.19; 31.18); "... განყოფილებათა ქონებასა ნათესავოანისასა (τα γενικατατα)" (47.8; 58.5); "უპირატეს ნათესავოანისანი (γενικατερων)" (47.12; 58.8); "იყოს ნათესავოანთა ნათესავთაგანნი (των γενικατατων γενων)" (50.24; 63.2); "ვინად ნათესავოანნი (γενικατατα)" (50.26; 63.5); "თვთგუამოვანი საქმე არს და ნათესავოანი ნათესავი (γενικατατον γενος)" (55.18; 70.9); "ამათ შორის ვიდრემე ნათესავოანი (γενικατατον) ნათესავი არს არსებად" (55.29; 70.18); "ნათესავოანთა... გამომაცხადებელი სიტყუათა" (მაქსიმე, გელ. 14, 136v2 - 681C); "ნათესავოან-ქმნილი" (იქვე 52.2; 397D); "უსახეესნი გამოეკუთებთან უნათესვესთაგან (γενικατερων)" (ამონიოსი, 30.10; 34.11); "არსებად უკუე არს ნათესავი უნათესვესი (γενικατατον)" (61.17; 78.21); "არს არსებად ვიდრემე უნათესვესი (γενικατατον)" (61.22; 78.25); "მეტყუელი ნათესავისა და უნათესვესისა" (62.18; 80.14); "განასაზღვრებენ უნათესვესსა" (62.18; 80.13); "რად უკუე არს უნათესვესი ნათესავი?" (62.20; 80.15); "ნათესავნი უნათესვესნი (63.6; 81.14); "თქუა, ვითარმედ: მყოფი არა არს ნათესავი უნათესვესთად" (65.31; 85.12); "მყოფი ათთა უნათესვესთა შესმენათა მიმართ განიწვალების" (65.15; 84.22); "...უნათესვესთა ნათესავთა ზედა" (65.33; 85.14); "უნათესვესთა ვიდრემე მიწდომილი (πεπερασμενον) აქუს რიცხვ... რამეთუ ათნი არიან ნათესავოანნი (γενικατατα) ნათესავნი" (65.34-35; 85.15-16); "რასა შეიმთხუევს უსახეესთაგან უნათესვესთა მიმართ აღსლვად და რასა უნათესვესთაგან უსახეესთა მიმართ შთასლვად... რამეთუ ქუენადთ ვიდრემე განუკუთელთაგან აღვლენ უნათესვესთა მიმართ... ვიდრემდის მივიწვოდით ერთისა უნათესვესისა" (67.11-17; 87. 15-22); "უნათესვესი... განუკუთელთად შეისმინოს" (68.27; 89.16); "ესე იქმნების ვიდრე უნათესვესამდე" (68.17; 89.6); "განმწვალებლობითნი უნათესვესთანი" (76.25; 100.3); "უნათესვესნი - ყოველთასა უუსრულეს" (80.13; 104.24); "ვითარ უკუე ათნი ვმანი უნათესვესნი არიან" (106.23; 13.17); "არსებად ნათესავი არს უნათესვესი, ხოლო უნათესვესისა განსაზღვრებასა ვერ ძალ-გვც გარდაცემად" (133. 7-8; 44. 8-9); "უნათესვესნი ნათესავთანი განსაზღვრებათა არა მიითუალვენ" (112.11; 20.16); "სახისმოქმედად უკუე უნათესვესისა სათნოებისად იცნობების უნათესვესი (γενικατατος) ძალი ბუნებისად" (მაქსიმე, გელ. 14. ფ. 87.2; 397 B); "შვდთა რიცხუთა უნათესვესთა (γενικατεροι) სხუათასა... გამოჩნდების" (იქვე, ფ. 152; 876 B); "ყოველნი, ვითარცა უნათესვესისა მიერ, შეისმინებიან ცხოველისა" (იქვე, ხელნ. 257 v 1; 21 C); "უნათესვესსა სიტყუასა" (იქვე, 3.1; 272 B).

გენიკური ტერმინის ხარისხობრივ ფორმათა ქართულად თარგმნის ტრადიცია თვალსაჩინოს ხდის, რომ "ოთხასეულში" დამოწმებული "ნათესავოანი" ეფრემ მცირის მიერ დამკვიდრებულ ტერმინს წარმოადგენს. შესაბამისად, ამ ნიშნითაც აღნიშნული თარგმანი ეფრემზე უწინარესი ეპოქისა ვერ იქნება. აქვე, მეტად საყურადღებოა ისიც, რომ ბერძნული ტერმინი დაწყებით ხარისხშია წარმოდგენილი (γενικος). ეს გარემოება მნიშვნელოვანია, რადგანაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, არსენ იყალთოელი დაწყებითი ხარისხის გადმოსაცემად ქმნის ახალ ტერმინს "ნათესავობითი", ხოლო ეფრემისეულ "ნათესავოანს" იგი ძირითადად უფროლობით-აღმატებითი ხარისხის მნიშვნელობას

ანიჭებს. გელათურ ტექსტებშიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, დაწყებითი ხარისხის აღმნიშვნელად ყველა შემთხვევაში გვხვდება არსენისეული ტერმინი "ნათესავობითი".

ამგვარად, ტერმინთშესატყვისობა: *γενικός* - "ნათესავიანი" ჩვენს ყურადღებას უპირატესად სწორედ ეფრემ მცირისაკენ მიაქცევს. დავძენთ, რომ თვით სინტაგმა "*γενικοί τροποι*", რაც "ოთხასეულის" თარგმანში გადმოტანილია, როგორც "ნათესავიანი სახენი", გვხვდება, აგრეთვე, იოანე დამასკელის "გარდამოცემიდან" ზემოდამოწმებულ ერთ-ერთ ნიმუშში; როგორც მოსალოდნელი იყო, ეფრემისეული თარგმანი იდენტურია "ოთხასეულის" ტექსტისა ("სახენი ნათესავიანი ოთხ არიან"), მაშინ როცა არსენი განსხვავებულ შესატყვისს გვაწვდის ("სახენი ნათესავობითნი არიან ოთხ"; იხ. ზემოთ).

ზემოთქმულის შემდეგ დავუბრუნდეთ "ოთხასეულის" თარგმანში დამოწმებულ მეორე გენიკურ ტერმინს "უტომიერესი", რომელიც, როგორც აღნიშნული იყო, აღმატებით ხარისხს (*γενικωτατος*) გადმოსცემს.

ტერმინი "უტომიერესი" "ოთხასეულისა" და "ორასეულის" სავარაუდოდ მთარგმნელად გამორიცხავს არსენ იყალთოელს, ანდა გელათური სკოლის რომელიმე წარმომადგენელს, რადგანაც აღნიშნული ტერმინი შესაძლებლად წარმოაჩენს შემდეგ შესატყვისობას: *γενος* - "ტომი", რაც, როგორც აღნიშნული გვქონდა, არანიშანდობლივია არსენისათვისაც და მის მიერ დაფუძნებული გელათური სკოლისთვისაც. რაც შეეხება იოანე პეტრიწს, მისი რამენაირად დაკავშირება აღნიშნულ ძეგლებთან სრულიად შეუძლებელია როგორც ენობრივი, ასევე ზოგადტერმინული ასპექტით. ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც, მიუხედავად იმისა, რომ შესატყვისობა *γενος* - "ტომი" ნიშანდობლივია პეტრიწისათვის, საკუთრივ "უტომიერესი" არცერთხელ არ გვხვდება მასთან (იმავე შინაარსით, როგორც აღნიშნული გვაქვს, პეტრიწი სარგებლობს ტერმინით "ტომოვნებითი"). ამავე დროს, "ოთხასეულში" დამოწმებული მეორე გენიკური ტერმინი "ნათესავიანი", რათქმაუნდა, გამორიცხავს პეტრიწს.

ვფიქრობთ, ჩვენი ყურადღება ამჯერადაც ეფრემ მცირისაკენ უნდა მივაპყროთ.

ტერმინი "უტომიერესი", როგორც მივუთითეთ, აღმატებით ხარისხს გადმოსცემს და იგი ეფუძნება შემდეგ ტერმინთშესატყვისობას: *γενος* - "ტომი".

იოანე დამასკელის "ცოდნის წყაროს" ეფრემისეულ თარგმანზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ეფრემ მცირე გენიკური ტერმინის ყველა ხარისხობრივ ფორმას განურჩევლად თარგმნის, როგორც "ნათესავიანი", მაგრამ ეს გარემოება ჩვენთვის ამჯერად გადამწყვეტი მნიშვნელობის ვერ იქნება, რადგანაც არაერთგზის აღგვინიშნავს, რომ ხსენებული თარგმანი ეფრემ მცირის სამწერლობო მოღვაწეობის შედარებით ადრეულ ეტაპს გულისხმობს, "ოთხასეულისა" და "ორასეულის" თარგმანები კი უფრო გვიანდით უდგას ეფრემის გვიანდელ თარგმანებს, როგორებიცაა, მაგალითად, გრიგოლ ღვთისმეტყველის თექვსმეტსიტყვედი, ბასილი დიდის ეპისტოლენი და სხვა. სამწუხაროდ, ეფრემის გვიანდელ თარგმანთა ბერძნულ ტექსტებში აღმატებითი ხარისხის გენიკური ტერმინი (*γενικωτατος*) ვერ დავაფიქსირეთ, რის გამოც არ ძალგვიძს იმის განსაზღვრა, თუ როგორ გადმოსცემდა ეფრემი ჩვენთვის საინტერესო ფორმას თავისი მოღვაწეობის ბოლო წლებში. მიუხედავად ამისა, გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ტერმინი "უტომიერესი" სავსებით მისაღები

ჩანს ეფრემისათვის, რადგანაც მის ბოლოდროინდელ თარგმანებში რამდენადმე კანონზომიერ სახეს გვიჩვენებს შესატყვისობა: **γενος** - "ტომი". მაგალითად:

"აწ სადმე იცინის (ხელნ. "იცნის"; შდრ. ბერძნ. *γελα*) ყოველი ტომი (*γενος*). ცხოველთაჲ" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, A-109, 209 v 1; col. 620 B); "საჩინოჲ... და ტომით (*γενει*) შესწავებული" (იქვე, 229 v 2; 1176 B); "არცა ტომთა (*γενος*), არცა ძლიერებასა" (იქვე 234.1; 1188 A); "საეჭუელნი ტომებით (*το γενος*)" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, A-52, 130 v 1; 1105 B); "აჰა ყოველი ტომი (*γενος*) ბარბაროსთაჲ" (ბასილი დიდი, ეპისტოლენი, 40; ნ. ქაჯიას გამოც. 229.1); "ტომისა (*γενους*) წარჩინებულისა" (იქვე 277; 254.14); "გამოცდილ არიან... ყოვლისა ტომისა (*γενους*) ზენადთგანობისა" (იქვე 301.44; 257.8); "მონაცვალებოჲა ტომისაჲ (*γενους*) მოიღონა" (იქვე 301.44; 257.27).

შესატყვისობა "**γενος** - ტომი" ეფრემთან თავს იჩენს კომპოზიტებშიც. მაგალითად:

"იტყოდა... ტომ-ბრწყინვალეზად (*γενους λαμπροτητα*) ხატის დაცვასა და სახისდასაბამისა მსგავსებასა" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, A-109, 234.2; 1188 B).

საგულისხმოა, რომ ეფრემი ბერძნულ კომპოზიტს *ευ-γενεια*, რასაც იგი, ჩვეულებრივ, შინაარსობრივად გადმოსცემს, როგორც "აზნაურებაჲ", კალკირებული სახით გადმოტანის უამს თარგმნის ტერმინით "ტომკეთილობაჲ". შესაბამისად *ευγενης* მის მიერ ითარგმნება, როგორც "ტომკეთილი". მაგალითად:

"სულისა ტომკეთილობისა (*το ευγενες*) განმხრწნელთა" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, A-109.229.1; 1173 B); "ქრისტიანესა მიჰმადლებ და ტომკეთილსა (*ευγενει*)" (ბასილი დიდი, ეპისტოლენი 180; 250.29).

ამგვარად, ზემოდამოწმებული ნიმუშების ფონზე, ვფიქრობთ, საფუძვლიანი ჩანს თქმა იმისა, რომ შესატყვისობა **γενικωτατος** - "უტომიერესი" სავსებით ეთანადება ეფრემ მცირის ტერმინოლოგიას.

კ) იშვიათ შესატყვისობათა ასპექტით ყურადღებას იპყრობს ცნობილი ბერძნული ტერმინი *κατηγορια*, რომელიც რამდენიმეგზის არის დამოწმებული "ორასეულში". შესაბამისი თარგმანები ასეთია:

"ხოლო საწუთოჲ, ვითარცა ყოფით თანამოსაგონებელად მქონებელი ოდესად წოდებისაჲ (*την ποτε κατηγοριαν*)" (1.5); "ყოველსა დასაბამსა და საშუალსა და დასასრულსა ვერ ყოვლად უარუყოფია თვისებითი წოდებულებაჲ" (*την σχετικην κατηγοριαν*)" (1.7); "...რომელსა შინა იხილვების თვისებითი 'რადსამიმართად' წოდებისა (*κατα την σχεσιν η του προς τι...κατηγορια*) შესაძლებელობაჲ" (1.7); "ყოველი, რასაცა ყოფისა სიტყუაჲ აქუს სახელად (*χει κατηγορουμενον*), საქმე ღმრთისა არს" (1.49).

ამგვარად, როგორც დამოწმებული ნიმუშები ცხადყოფს, "ორასეულის" (და "ოთხასეულის") მთარგმნელს *κατηγορια* გადმოაქვს, როგორც "წოდებაჲ", "წოდებულებაჲ", ხოლო მიმღეობის ფორმის (*κατηγορουμενον*) შესატყვისად გვხვდება "სახელი".

ესაა საკმაოდ უჩვეულო ტერმინთშესატყვისობა, რადგანაც ცნობილია, რომ

"დიალექტიკის" ეფრემისეულ თარგმანში "კატეგორიის" აღმნიშვნელ უძირითადეს შესატყვისად წარმოდგენილია "შესმენად" (იხ. დასახ. გამოც. ლექს. გვ. 285-287). ეგვე შესატყვისობა ვლინდება არსენტანაც (იხ. იქვე) და VI პომოგენური ჯგუფის ტექსტებშიც, მათ შორის, ამონიოსის შრომათა თარგმანებში (იხ. დასახ. გამოც. გვ. 230; სათანადო ნიმუშების მითითება იხ. იქვე, გვ. 246, "შესმენად // შესმენილი").¹ ცხადია, ამავე ვითარებას წარმოგვიდგენს მაქსიმეს თხზულებების გელათური თარგმანებიც. დავიმოწმებთ საგულისხმო ნიმუშებს ამ უკანასკნელიდან:

"გუამი" და "პირი" იგივე არს, რამეთუ ორივე კერძობითი არს და თვისი, ვითარცა თავით თვისით შორის გარშეწერისა და არა მრავალთა შორის **შესმენისა** (*κατηγοριαν*) მომგებელნი ბუნებითად" (გელ.14, ხელნ. 281 v 1; 152 A); "ერთი და იგივე სიტყუად იხილვებოდის ყოველთა შორის, არგანწვალებული გუართა მიმართ მათთა, რომელთათვის სასწოროდ **შეისმინების** (*κατηγορειται*)" (იქვე 3.2; 272 B); "სასწრაფოდ ყოველთათვის, ვითარცა ნათესავი, **შეისმინების** წადიერებად... ყოველნი, ვითარცა უნათესვესისა ნათესავისა მიერ, **შეისმინებიან** ცხოველისა" (257 v 1; 21 C); "არსებასა თვის-ეყვის ყოველსა შინა და ყოველთა ბუნებითად **შესმენილ-ყოფად** (*κατηγορεισθαι*; ლათ. *praedicatur*) და წინა-მჩენ-ყოფად" (იქვე 282.2; 153 A); "ნათესავისა რომლისამე მიმართ არმქონებელი **შესმენისად** (*κατηγορουμενον*)" (იქვე 259.2; 25 D) "...განყოფილთათვის **შესმენილნი** (*κατηγορουμενα*)" (იქვე 281.2; 149 B); "გუამი შეზავებული ვითარისავე სახისებრისა (*κατ ειδος*) შეზავებულისა ბუნებისა არმქონებელი სამისოდ **შესასმენელად**" (იქვე, ფოტო 423.1; 517 C); "რიცხვთა განყოფილთა **შესმენილი**" (იქვე, ფ. 423.1; 517 D); "არცა თვთ იგი ნათესავი არს ანუ სახე, მისქუეშეთა განუკუეთელთათვის **შესმენილი** ბუნებითად" (იქვე, ფ. 430.1; 528 A); "არმქონებელი ნათესავისა მიერ რაოდენობისადსა **შესასმენელობისად** (*κατηγορουμενον*)" (იქვე, ფ. 451.2; 564 D); "ბუნებისა ცხადყოფელობითი არს სახელი ქრისტესი, ვითარ-იგი სახე მრავალთათვის და გუამებითა განყოფით **შესმენილთა** განუკუეთელთად" (398.1; 488 B); "არამედ ვითარცა სახისა შორის... განუკუეთელი ეგერა, ხოლო მის ქუეშეთათვის - ვითარცა სახე და მის მიერ, გარეშეცვულთა განუკუეთელად სწორებით **შესმენილი**" (ფ. 398.2; 488 B); "სახესა წინა-დავსდებდით **შესასმენელად**" (ფ. 400.1; 489 D); "არცა ვითარ "ნათესავისა", არცა ვითარ "სახისა" **შესასმენელად** პოვნასა შემძლებელ იქმნეს ვინმე ქრისტესსა, რამეთუ არა სიტყვთა ბუნებისადთა მოვიდა ჩუენდა მომართ ვორცისა მიერ ღმერთმთავრობითი სიტყუად, არამედ გუარითა განგებულებისადთა..." (ფ. 400.2; 492 A).

როგორც ჩანს, ამგვარსავე, ტერმინთშესატყვისობას იცავს იოანე პეტრიწიც, რადგანაც ნემესიოსის წიგნში დამოწმებული *κατηγορος* მას გადმოაქვს, როგორც "შემასმენელი".

"ჰოდ, ბრძენო **შემასმენელო**" (50.17; 589 A).

პროკლეს წიგნში ტერმინი *κατηγορια* არ გვხვდება. მართალია

¹ ამავე ძეგლში, *κατηγορια*-ს განმარტების კონტექსტში, ხსენებული ტერმინის შესატყვისად თითოგზის გვხვდება "თვისმზრახი", "თვისმზრახობად", "თვისზრახვად" (მდრ. დასახ. გამოც. ტერმ. ლექს. გვ. 195).

პეტრიწისეულ კომენტარებში ერთგან თავს იჩენს ზემორე სიტყვა "შესმენა", მაგრამ იგი მოხმობილია ოდენ ყოფითი შინაარსით ("დადანაშაულება"):

"სადა არიან, რომელნი **შესმენენ** ბრძენთა" (პეტრიწი, II, 155.21; უდრ. პეტრიწი, I, გვ. 309).

მაინც, ნემესიოსის წიგნიდან მოტანილი ერთადერთი დამოწმების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პეტრიწი **κατηγορια**-ს "შესმენად" თარგმნის.

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე უჩვეულო ჩანს "ორასეულში" დამოწმებული კატეგორიული ტერმინები: "წოდება" ("წოდებულება") და "სახელი". ეს ტერმინები, როგორც ვნახეთ, არ არის ნიშანდობლივი არსენისა და გელათური სკოლისათვის.

რაც შეეხება ეფრემს, მასთან დაკავშირებით ამჯერადაც სხვაგვარი მსჯელობა გვმართებს. საქმე ისაა, რომ თუმცა ტერმინი "შესმენად" ნიშანდობლივია მისთვის, როგორც ამას "გარდამოცემისა" და "დიალექტიკის" თარგმანები ცხადყოფს, მაგრამ თვით ამ ტექსტებშიც ეფრემი, გარდა "შესმენისა", მოუხმობს სხვა შესატყვისებსაც: "თქუმა", "ზრახვა" (იხ. "დიალექტიკა", ტერმ. ლექს. გვ. 286), "განკუთნვა" (გარდამოცემა 83.2; 997 C). ამავე დროს, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ეფრემის გვიანდელი პერიოდის თარგმანები, კერძოდ არეოპაგიტული შრომები, სადაც ორგზის არის დამოწმებული ზმნა **κατηγορεω** (საკუთრივ არსებითი სახელი **κατηγορια** ეფრემის გვიანდელ თარგმანთა ორიგინალებში ვერ დავადასტურეთ).

მოგვაქვს შესაბამისი ადგილები ქართული ტექსტიდან:

"ღმრთისმეტყუელება ყოველთა მიზეზსა მას ყოველსავე და თანად ყოველსა **უწოდს** (**κατηγορει**)" (94.15; 13.1); "ყოველივე რადმე მას (ღმერთს, ე.ჭ.) ერთბამად **სახელ-ედების** (**κατηγορειται**) და არცა ერთი არს მათ ყოველთაგანი" (64.13; 5.8).

ვფიქრობთ, დამოწმებული ნიმუშები შთამბეჭდავად ადასტურებს, რომ სწორედ ეფრემ მცირის შრომებში (კერძოდ, მის ბოლოდროინდელ თარგმანებში) პოულობს დადასტურებას "ორასეულისათვის" ნიშანდობლივი კატეგორიული ტერმინები "წოდება" და "სახელი".

ღ) ზემოაღნიშნულ იშვიათობათა გარდა ყურადღებას იქცევს იოანეს სახარების პირველი მუხლის არაპირდაპირი დამოწმებანი "ორასეულის" ტექსტში, რომელთა ქართული თარგმანები ასეთია:

"იყო **დასაბამსა შინა** (**εν αρχη**) ღმერთი სიტყუად მამისა თანა" (2.37); "...სულ-ჰყოფს სიტყუასა, ვითარცა **დასაბამსა შინა** ღმერთსა (ხელნ. "ღისა") და ღმრთისა თანა მყოფსა" (2.39); "სიტყუა ღმრთისა... **დასაბამსა შინა** ღმრთისა თანა და მამისა" (2.60).

წარმოდგენილი ნიმუშები ცხადყოფს, რომ იოანეს სახარების ცნობილი დასაწყისი "**εν αρχη**" "ორასეულის" მთარგმნელს გადმოაქვს, როგორც "დასაბამსა შინა".

წინამდებარე გამოკვლევის მესამე ნაწილში ჩვენ სპეციალურად ვეხებით საკითხს, თუ როგორ ითარგმნებოდა ქართულად ზემოაღნიშნული შესიტყვება **εν αρχη**, ამჯერად კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ საკუთრივ **αρχη**-ს შესატყვისად ტერმინ "დასაბამის" ხმარება ნიშანდობლივია ეფრემ მცირისათვის. ეს ეხება კონკრეტულად ზემოაღნიშნულ (**εν αρχη**) და მის სინონიმურ

(*ἐξ αρχης, απ αρχης, αρχηθεν*) შესატყვისებსაც. მაგალითად:

"დასაბამსა (*εν αρχη*) წყალი მომდინარე იყო პირსა ზედა ყოვლისა ქუეყანისასა" (გარდამოცემა 60 v 2; col. 901 B; შდრ. არსენი: "დასაბამსა ვიდრემე წყალი მოსდიოდა ყოველსა ქუეყანასა ზედა" 67.2); "რომელი (ღვთის სიტყვა, ე.ჭ.) დასაბამად (*εν αρχη*) იყო" (80.2; 984 B; შდრ. არსენი: "რომელი დასაბამსა იყო" 77.1); "დასაბამსა თქუა" (იქვე 117 v 1; 1140 C; შდრ. არსენი: "დასაბამსა თქუა" 93 v 1); "ვინცა იგი იყოს დასაბამად (*εν αρχη*) ხედვათა" (დიონისე არეოპაგელი 165.29; 2.3); "უკუეთუ არა დასაბამითაგან (*ἐξ αρχης*) მივცსეთ ძესა თანაყოფად მამისად და შობილობად მისგან, ქცევადობად შემოვიყუანოთ" (გარდამოცემა 41 v 1; 812 B); "სულსა და ვორცთა ერთბამად დასაბამითაგან გუამსა მას შინა სიტყვსასა აქუნდა შეერთებად" (იქვე 107.1; 1097 A; შდრ. არსენი: "ერთბამად სულსა და ვორცთა პირველითაგანვე გუამსა შინა სიტყვსასა მოეგო ყოფად" 89.1); "დასაბამითაგან ხატად თვსსა შექმნა ღმერთმან კაცი" (იქვე 123 v 1; 1169 A; შდრ. არსენი: "დასაბამითაგან ღმერთმან ხატებად და მსგავსებად თვსსა დაჰბადა კაცი" 96.2); "დასაბამსავე (*αρχηθεν*) დაჰნერგა ბუნებასა (ხელნ. "გონებასა"; შდრ. *φυσει*) შინა ჩუენსა დამბადებელმან ჩუენმან სიტყუამან ღმრთისა მამისამან" (იქვე 85.1; 1005 A; შდრ. არსენი: "პირველითაგანვე დამბადებელმან ჩუენმან სიტყუამან ღმრთისამან... დაჰნერგა ბუნებასა შინა ჩუენსა" 79.2); "რომელი (ნათელი, ე.ჭ.) მის მიერ ზეგარდამო მოვიღეთ დასაბამითაგან (*απ αρχης*)" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, A-109, 74.2; 336 A; შდრ. იქვე 206.1; 809 D); "დასაბამითაგან მაქუნდით და აწცა მაქუ" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, ეპისტოლენი, მრავალთავი XII, 125.11; 113 A); "დედა ყოველთა ეკლესიათა დასაბამითაგან და აწცა არს" (იქვე 128.33; 85 A); "დასაბამითაგან აღმირჩევიეს" (იქვე 131.12; 49 C).

დამოწმებული ნიმუშები ცხადყოფს, რომ ტერმინთშესატყვისობა *αρχη* - "დასაბამი" კანონზომიერ სახეს იძენს ეფრემის შრომებში, რის გამოც იოანეს სახარების დასაწყისის ზემოაღნიშნული თარგმანი "დასაბამსა შინა" სავსებით შესაძლებელია მისთვის. ვფიქრობთ, ეს შესიტყვება დასტურდება კიდევ ეფრემთან. ვგულისხმობთ მეტაფრასულ კრებულებში 26 სექტემბრის საკითხავად შეტანილ ძეგლს "მოსაჯსენებელი... იოანე ღმრთისმეტყუელისად". აღნიშნული ძეგლი, ისევე როგორც მნიშვნელოვანი ნაწილი ანონიმური თარგმანებისა, რომლებიც სექტემბერ-იანვრის მეტაფრასულ კრებულებში შედის, ეფრემ მცირეს უნდა ეკუთვნოდეს. კონკრეტულად "მოსაჯსენებელთან" დაკავშირებით შეიძლება ყურადღება მიექცეს შემდეგ მონაცემებს:

ა) თარგმანის დასასრულს გვხვდება ტერმინი "მიმღებელი", რასაც ორიგინალში შეესაბამება "*μετεχων*":

"თანად მიმღებელთა (*μετεχοντας*) უმდიდრეს-მყოფელი"¹

ერთეული ნიმუში ამგვარი ტერმინთშესატყვისობისა, რათქმაუნდა, დასკვნის საფუძვლად არ იკმარებს, მაგრამ უთუოდ მიგვაქცევინებს ყურადღებას ეფრემ მცირეზე.

¹ ძველი მეტაფრასული კრებულები, ნ. გოგუაძის გამოც. თბ. 1986, გვ. 437.33; შდრ. Pg. 116, col. 705 A.

ბ) ტერმინი *αισθησις* თარგმნილია, როგორც "საცნობელნი":
"ღმრთისმეტყუელი ქადაგი ყოველთა საცნობელთა განსწავლის" (428.21; 685 C).

აღნიშნული გარემოება რამდენადმე საეჭვოს ხდის, რომ თარგმანი ეფრემ მცირეზე გვიანდელ ეპოქას ეკუთვნოდეს, რადგანაც, როგორც უკვე მითითებული გვქონდა, ეფრემის შემდეგ გრძნობის ორგანოთა შინაარსით ბატონდება ტერმინი "საგრძნობელნი".

გ) საყურადღებოა, რომ *προνοια*-ს შეესატყვისება "განგებად":
"ზეგარდამოცა განგებად ყოველთა ცხორებასა და სახარებისა ქადაგებასა ესრეთ განაგებდა" (431.32; 692 D).

თვალსაჩინოა, რომ ხსენებული თარგმანი აღნიშნული ტერმინთშესატყვისობის მიხედვით ნაკლებ დაუკავშირდება არსენ იყალთოელს ანდა გელათურ სკოლას, რადგანაც, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, მათთან (და თვით ეფრემის ბოლოდროინდელ შრომებშიც) მითითებული ბერძნული ტერმინი კანონზომიერად ითარგმნება პრეფიქსული სახით ("წინაგანგებად", "წინაგანმგებლობად", "წინაგანგებად", "წინმოურნეობად" და მისთ).

დ) ყურადღებას იქცევს ტერმინთშესატყვისობა: *αποθουσαι* - "უკუზღვა":
"უკუზღვად ღმრთისა სამადლობელსა" (436.35; 704 A).

როგორც აღნიშნული გვქონდა, ტერმინი "უკუზღვა" ნიშანდობლივია ეფრემისათვის. დავძენთ, რომ ხსენებული ფორმის იშვიათობას ცხადყოფს თვით ეფრემ მცირე, როდესაც იგი მოცემულ სიტყვას ერთ შემთხვევაში აშიაზე განმარტებასაც ურთავს (კერძოდ, ეს განმარტება ახლავს არეოპაგიტული შრომების მისეულ თარგმანს).¹

ე) ერთგან გენიკურ ტერმინად გვხვდება "ტომი", რაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ხშირად იჩენს თავს ეფრემთან განსხვავებით არსენისა და გელათური სკოლის წარმომადგენლებისაგან:

"ყოვლისა ტომისა (*γενοvs*)... დღესასწაული" (437.24; 704 D).

ვ) გნომურ ტერმინად ხსენებულ თარგმანში თავს იჩენს "ნებად":

"გამოუცხადა მას ნებად (*γνωμης*) თვისი" (434.33; 697 D).

როგორც განხილული გვქონდა, არსენი აღნიშნული შინაარსით აკანონებს ტერმინს "ჭერჩინებად", რაც უმეტესად ნიშანდობლივია გელათური თარგმანებისათვის, მაშინ როდესაც ეფრემი, როგორც დამოწმებული გვქონდა, ერთერთ გნომურ ტერმინად იყენებს სწორედ "ნებას".

ზ) ტერმინი *διανοια*-ს გადმოსცემს "გონებად" (429.14; 688 B), რაც, ალბათ უფრო ეფრემისაკენ მიაქცევდეს ჩვენს ყურადღებას, ვიდრე არსენისა და გელათური სკოლისაკენ, რადგანაც მათთან იმავე ტერმინს "გონებაზე" უფრო გადმოსცემს "გაგონებად".

თ) ტერმინი *ευσεβεια*, რომელიც აღნიშნულ ძეგლში ხშირად გვხვდება, ქართულად ყველა შემთხვევაში გადმოცემულია, როგორც "ღმრთისმსახურებად" (428.2-685B); 429.37-689A; 430.5-689A; 430.8-689B; 430.38-692A; 436.41-704A) და არცერთხელ, როგორც "კეთილმსახურებად" ანდა "კეთილადმსახურებად".

ეს გარემოება აძნელებს არსენის, გელათური სკოლისა და პეტრიწის

¹ იხ. დ. თვალთვაძე, ეფრემ მცირის ლექსიკოგრაფიული სქოლიოებისა და სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიმართებისათვის, მაცნე, ელს, 1989, N3, გვ. 70.

შესაძლო დაკავშირებას აღნიშნულ თარგმანთან, რადგანაც ეფრემის ბოლოდროინდელი შრომებიდან მოკიდებული ქართულ მწერლობაში ზემორე ბერძნული ტერმინის უძირითადეს, თითქმის უცვლელ შესატყვისად გვევლინება სწორედ "კეთილადმსახურებად" ან "კეთილმსახურებად".

ი) იშვიათი ბერძნული ტერმინი *η παρακαταθήκη* თარგმნილია ასევე იშვიათი სიტყვით "დანადები":

"უკომეც ჩუენ დანადები" (433.23; 696 C).

იგივე შესატყვისობა თავს იჩენს ბასილი დიდის 105-ე ეპისტოლეში (ეფრემის თარგმანი):

"ნუ გასცემთ ამას დანადებსა (*παρακαταθήκη*)"

(ბასილი დიდი, ეპისტოლენი, ნ. ქაჯაიას გამოც. გვ. 36; გამოცემაზე დართული ლექსიკონი, გვ. 524).

კ) ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა იმის შესახებ, რომ იშვიათი ფორმა "ქონიერი" ნიშანდობლივია სწორედ ეფრემისათვის. იგივე ფორმა გვხვდება აღნიშნულ თარგმანშიც:

"არცა ერთსა ქალაქთაგანსა ქონიერ" (*εσχε*) (427.16; 684 C).

ლ) ასევე, ეფრემისათვის რამდენადმე ნიშანდობლივად წარმოჩნდება ხსენებულ თარგმანში დამოწმებული ტერმინი "ზედადართული":

"ძუელსა აღთქუმასა ზედადართულად (*προιθεντος*) სახარებად" (428.30; 685 D).

მ) შეიძლებოდა ყურადღება მიგვექცია იმ გარემოებაზეც, რომ ხსენებულ თარგმანში ასომატურ ტერმინად თავს იჩენს "უკორცოდ" და არა "უსხეულოდ". მაგალითად:

"უზმობად უბრძანა თავსა თვსსა უსაზრდელომან, კნინლად უკორცომან (*ασματος*)" (431.34; 692 D).

აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვანი ჩანს, რადგანაც არსენთან (მის გვიანდელ შრომებში) და გელათურ ტექსტებში უძირითადესია სწორედ "უსხეულოდ":

ტერმინი "სხეული" (ბერძნული *σασμα*-ს შესატყვისად) არსენ იყალთოელამდე შედარებით იშვიათად იჩენს თავს. მის ნაცვლად გვხვდება "კორცი" ("კორცნი"), რომლის დამოწმებანიც აურაცხელია. აღნიშნული სომატური ტერმინიდან ნაწარმოები "უკორცოდ", ასევე, მეტად გავრცელებულია უძველეს ქართულ მწერლობაში, მაშინ როცა "უსხეულოდ" გაცილებით იშვიათად გვხვდება. თითქმის ასეთივე ვითარება გვაქვს ეფრემთანაც, რომელიც თუმცა რამდენადმე ზრდის ტერმინ "სხეულის" დამოწმებათა სიხშირეს (იხ. მაგ. "დიალექტიკის" მისეული თარგმანი), მაგარამ ძირითად სომატურ ტერმინად ისიც, ტრადიციისამებრ, "კორცს" წარმოგვიდგენს. სხვაგვარია არსენის პოზიცია: მიუხედავად იმისა, რომ არსენი ზოგ შემთხვევაში (განსაკუთრებით ისეთ კონტექსტში, როცა ადამიანის ორნაწილელობაზეა საუბარი) კვლავაც სარგებლობს ტერმინით "კორცი", მაინც იგი ეფრემისაგან (და, საზოგადოდ, ტრადიციისაგან) განსხვავებით, ძირითად სომატურ ტერმინად ამკვიდრებს "სხეულს", რომლის

1 ტერმინი "კეთილადმსახურებად" ეფრემამდელ ეპოქაში თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც იჩენს თავს, მაგალითად: "კეთილადმსახურებისა სარწმუნოებათა" (უპიფანე კვიპრელი, აღვსებისათვის, A-1109, 151; იხ. ი. აბულაძე, შრომები, III, გვ. 227). ეგვე ტერმინი ნიშანდობლივია 'გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების' იმ რედაქციისათვის, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია.

2 ტერმინი "ზედადართული" ეფრემთან ლიტერატურათმცოდნეობით შინაარსსაც იძენს. იხ. მ. რაფაეა, 'თარგმანთაგანისა' და 'ზედადართულის' გაგებისათვის გრიგოლ ნაზიანზელის მიხედვით, მრავალთავი, VII, გვ. 85-92.

დამოწმებანი გაცილებით ჭარბად არის მის შრომებში, ვიდრე ზემოხსენებული "კორცისა".¹

აქვე ავლნიშნავთ, რომ თუმცა არსენთან ჯერ კიდევ საგრძნობია "კორცი სომატური შინაარსით, საკუთრივ ასომატურ ტერმინად "უკორცოს" ხმარება მის გვიანდელ შრომებში თითქმის მთლიანად უარყოფილია და სანაცვლოდ დაკანონებულია ტერმინი "უსხეულო".

არსენისეული სიახლე თითქმის აბსოლუტიზებულია გელათურ თარგმანებში, სადაც "კორცი" და "უკორცოდ" სომატურ ტერმინებად ძალიან იშვიათად გვხვდება. რათქმაუნდა, ლექსიკური ერთეული "კორცი" გელათურ ტექსტებშიც იჩენს თავს, მაგრამ არა სომატურ ტერმინად. საქმე ისაა, რომ ქართული "კორცი" უძველესი დროიდანვე გადმოსცემდა ორ ბერძნულ ტერმინს: *σῶμα*² და *σὰρξ*. ნაწილობრივ არსენთან და განსაკუთრებით გელათურ სკოლაში უარყოფილია "კორცი" სომატური შინაარსით (ე.ი. ზემოაღნიშნული *σῶμα*-ს შესატყვისად), მაგრამ მათთანვე არის შენარჩუნებული იგივე "კორცი" სარკიკული შინაარსით ანუ ბერძნული *σὰρξ*-ის ფარდ ტერმინად.³ ასე რომ, ნაწილობრივ არსენმა და განსაკუთრებით გელათურმა სკოლამ გამიჯნეს "სხეული" და "კორცი" სომატურ და სარკიკულ ტერმინებად.⁴

აი, ორი მაგალითი არსენის თარგმანიდან:

"ყოველსა კორცსა (*σὰρξ*) სხეულცა (*σῶμα*) სახელ-ედების, ხოლო არა ყოველსა სხეულსა კორც ეწოდების; და რამეთუ ვარსკულავნი სხეულად ზეცათად ითქუმიან და არა კორცად ზეცათად" (S-1463, 6.2; Pg.89, 73 B); "სხეული ითქუმის ორსახედ: ოდესმე ნივთიერი და ოდესმე წულილ (*λεπτον*); კორც არს ოთხთა ნივთთა შემოკრებად (*συσδρομη*)" (იქვე 6.2; 73 B).

1 საყურადღებოა, რომ ზოგ შემთხვევაში *το σῶμα* არსენის მიერ თარგმნილია, როგორც "სხეულენი კორცი": "თითოეული გუამი კაცთად ორთა ბუნებათაგან შემოკრებულ არს: სულისაგან, ვიტყვ, და სხეულენთა კორცთა" (ღიალექტიკა¹ 27.7; შდრ. ეფრემი: "...სულისაგან, ვიტყვ, და კორცთა"; დამოწმებულია მ.რაფაევას მიერ, ტერმ. ლექს., გვ. 300). ორგან შესატყვისია "სხეულენი გუამი": "ოთხთა ნივთთაგან - სხეულენი გუამი" (S-1463, 275v); "ოთხნი ნივთნი... ერთსა შეასრულებენ სხეულენსა გუამსა" (S-1463, 174.1-2; 2952A).

2 ტერმინი *σῶμα*, როგორც ცნობილია, ითარგმნებოდა, აგრეთვე, როგორც "გუამი".

3 მაგალითად: "წარვლო კორცსა-შორისი (*εν σαρκι*) ცხორებად" (მაქსიმე, გელ. 14, ფოტო 80.2; col. 384 C); "განკორციელებული (*σαρκωθεις*) სიტყუად" (იქვე, ხელნ. 274 v 1; 76 C); "ოდეს კორცითა (*σαρκι*) ჩუენ თანა იყო სიტყუად" (იქვე 273 v 1; 73 A); "სულიერქმნილი კორცი (*σαρκος*)" (იქვე 274 v 1; 76 B); "კორცისაებრ (*κατα σαρκα*) ბუნებითთაგან თვთებათა" (274 v 1; 76 C); "კორც (*σὰρξ*) ყოვლად იყო და კაც" (274 v 1; 76 C); "არსება კორცისა (*σαρκος*)" (274 v 2; 76 D); "სიტყუერად სულიერ-იქმნებოდა მის-შორისი კორცი" (275.2; 77 B); "რადთა აჩუენოს უძღურებად თვისისა კორცისად და ვითარმედ არა უცნებით იცნობებოდა კორცად" (276.2; 80 B-D); "კორცი უძღურს არს" (276 v 2; 81C).

4 ამგვარი გამიჯნულობის კარგი ნიმუშია ერთი ადგილი მაქსიმეს შრომათა გელათური თარგმანიდან: "რამეთუ მისცემდა (მაცხოვარი, ე.ქ. ბუნებასა ეამსა, ოდეს ენება მოქმედებად თვისთა, ვითარცა იტყვს სადმე საღმრთოდ ზედამდგომელი ნუსსაელთად და დიდი გრიგოლი, რამეთუ უკუეთუ ვითარცა ღმერთი ოდენ, - და არა ვითარცა კაცი, - ინებებდა ამათ (ზორციელ ქმედებებს, ე.ქ.) ანუ ბუნებით სხეულ (*σῶμα*) არს ღმერთი, ანუ ქცეულებითა არსებისადთა კორც (*σὰρξ*) იქმნა, განვრდომილი თვისისა ღმრთეებისაგან" (იქვე, ხელნ. 275.2; 77 B).

მომდევნო ეტაპს ასახავს იოანე პეტრიწის შრომები, სადაც "სხეული" უკვე გადმოსცემს არა მხოლოდ *σῶμα*-ს, არამედ *σάρξ*-საც,¹ ე.ი. იგი ტერმინულად გვევლინება როგორც *სომატურ*, ასევე *სარკიკულ* ტერმინად, მაშინ როცა ტრადიციული "კორცი" პეტრიწთან შენარჩუნებულია საკუთრივ ხორცის, როგორც საჭმელი პროდუქტის (ბერძნ. *κρεας*) აღმნიშვნელად.²

ზემოთ მსჯელობის შემდეგ დავუბრუნდეთ საკუთრივ *ასომატურ* ტერმინოლოგიას. როგორც აღვნიშნეთ, ტრადიციული "უკორცო" მოგვიანებით თითქმის მთლიანადაა უარყოფილი არსენის მიერ, რომელიც სანაცვლოდ აკანონებს ტერმინ "უსხეულოს" (ეს უკანასკნელი აბსოლუტიზებულია გელათურ სკოლაში და იოანე პეტრიწთან). მეტი თვალსაჩინოებისათვის მოვუხმობთ პარალელურ ნიმუშებს "გარდამოცემის" ეფრემისეული და არსენისეული თარგმანებიდან:

ეფრემი

არსენი

საცნაურობაჲ განცხადებულად უკორცოთა მათ ბუნებათა თვს-ეყვის (64 v 2; 920 A)

გონიერისა და უსხეულო-დსა ბუნებისანი არიან (69 v 1).

უკორცოდ უკუე უწოდთ მათ (64 v 2; 920 A)

უსხეულოდ ვიტყვთ მათ (69 v 1).

უნივთო და უკორცო მხოლოდ იგი სახიერ (!) არს საღმრთოდ ბუნებაჲ (64 v 2; 920 A)

ღმერთი ოდენ არს უნივთო და უსხეულო (69 v 1).

¹ ამ უკანასკნელის ნიმუშებია: "სისხლის სახედ ვინაჲმე აქუს ღვძლსა თვისი სხეული (*σάρκα*)" (ნემესიოსი 112.10; 696 B); "მყესნი შემტკიცებულ არიან სხეულთაგან (*σάρκων*)" (118.4; 705 A); "პერულებრივისა სხეულისა (*σάρκας*)" (122.6; 712 B); "სხეული (*σάρξ*) ვინაჲმე აღმოუესებს... საშუალსა ადგილსა" (122.7; 712 B); "სხეული სასულისად" (122. 10; 712 B); "სხეული ტყუბთა" (124.1; 716 A); "და სხეულნი სხუათათვს ოდენ" (124.6; 716 B); "სხეული საბურავად შეიქმნა სხუათა ნაწილთათვს" (124.8; 716 B); "ტყავი ვინაჲმე საბურავად იქმნა ჩხვლისა ვიდრემე სხეულისა" (124.12; 716 B). საგულისხმოა, რომ ერთგან ორიგინალში *σάρξ* და *σῶμα* გვერდიგვერდ არის წარმოდგენილი. ქართულ თარგმანში პირველი მათგანი ამჯერად გადმოტანილია, როგორც "კორცი", ხოლო მეორეს "სხეული" შეესაბამება (იხ. 124.13-14; 716 B). დავებნთ, რომ პროკლეს პეტრიწისეულ თარგმანში და მისსავე კომენტარებში არცერთხელ არ გვხვდება "კორცი", მაშინ როცა აურაცხელია ტერმინ "სხეულის" დამოწმებანი.

² განვარდა უკუე განსრულებისაგან (პირველქმნილი კაცი, ე.ჭ.) და მსგავსადვე განვარდა და უკუდავებისაგანცა, რომელი შემდგომად მიიღოს მადლითა შემქმნელისა მისისაჲთა, ხოლო შემდგომად განვრდომისა და კორცთაცა (*κρεας*) მიღებად შეენდო (ე.ი. ხორცის ჭამის ნება მიეცა, ე.ჭ.) ...მიშუებით შეენდო შეხებად და ჭამად კორცისა (იქვე, 13.7-13; 516 B); "სხუად ოდეს დახუდეს... ღორის კორცისა მიმთუალველნი და სხუად - თხისასა... წინადაგებულსა ჩუენდა კორცსა (*το κρεας*) გემოდსხილვასა შორის ვიუწყებთ" (იქვე 83.7-11; 656 C).

მარტივი და უკორცოდ
...საცნაურ (65 v 1; 924
B).

მარტივი და უსხეულოდ...
გონიერ (70.1).

ხოლო ჩუენ უკორცობასა
და უხილაკობასა და გამ-
ოუსახველობასა ორსახედ
გულისკმა-ვჰყოფთ (65 v
2; 925 A).

ხოლო უსხეულოთა და
უხილაკთა და დაუსახველ-
თა ორგუარად გულისკმა-
ვჰყოფთ (70.2).

შეერთების... უკორცოთა მათ
და საცნაურთა (66.2; 928
A).

"შეყოფს... უსხეულოთა და
გონიერთა (70 v 1).

ესე სიტყვერ არს... და
უკორცო (99.1; 1064 A).

იგი ვიდრემე სიტყვერ... და
უსხეულო (85 v 1).

არა ერთ და იგივე (ხელნ.
"ერთად იგივე") არიან...
კორციელი და უკორცოდ
(99 v 1; 1065 B).

არა იგივე არიან... სხეუ-
ლი და უსხეულოდ (85 v
2).

თაყუანის-ვსცემთ
უკორცოდ (108.2; 1105
A).

თაყუანის-ვსცემთ უსხეულ-
ოსა (89 v 2).

უკორცო და აუგებელ (109
v 2; 1109 C).

უსხეულო და აუგებელ
(90. 2).

უკორცოსა და უხილაკსა
(123 v 2; 1169 C).

უხილაკსა და უსხეულოსა
(96 v 1).

უკორცოთა ბუნებათა¹
(133 v 2; 1209 B).

უსხეულოთა ბუნებათა
(100 v 2).

დამოწმებული ნიმუშების საფუძველზე ვფიქრობთ, რომ ზემოაღნიშნულ
"მოსავსენებელში" ასომატურ ტერმინად "უკორცოს" გამოყენება ჩვენს
ყურადღებას ალბათ უფრო ეფრემისაკენ მიაქცევს, ვიდრე არსენისა თუ
არსენზე გვიანდელი ეპოქისაკენ, მით უმეტეს, რომ ამავე ძეგლში ბერძნული
σάμα თარგმნილია, ასევე, როგორც "კორცი":

"კორციით (το σάμα) და გონებით" (429.14; 688 B).²

1 "გარდამოცემის" ტექსტში მხოლოდ ერთგზის, ეფრემისეული თარგმანის
გავლენით, "უკორცო" გვხვდება არსენთანაც: "უკორცოდ, უხილაკად (79 v 1; 1008
C; შტრ: ეფრემი: "უკორცოდ, უხილაკად" 85 v 2).

2 აღნიშვნის ღირსია, რომ "ორასეულსა" და "ოთხასეულშიც" სომატურ-ასომატურ
ტერმინებად გვხვდება "კორცი", "გუამი" და "უკორცოდ". ვუთითებთ სათანადო
ადგილებს: "კორცოთა" (ოთხასეული 3.30); "გუამნი" (3.31); "კორციელი (σάματικη)"
(4.12); "უკორცოთა" (1.90; 2.26); "უკორცო" (3.30); "უკორცოთა" (3.33); "უკორცოდ"
(4.11; 4.12); "უკორცოთათჳს" (4.77); "უკორცოსა" ("ორასეული" 1.80); "უკორცოდ"
(1.85).

ნ) უთუოდ ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ხსენებულ თარგმანში აპოდიქტურ ტერმინად გვხვდება არა მხოლოდ "გამოსაჩინებელი", რაც ბუნებრივია, არამედ, აგრეთვე, "წარმოსაჩინებელი". მაგალითად:

"გამოსაჩინებელ (αποδειξιν) უნდოებისა" (427.27; 685 A); "არცა კმა-არიან ესე დასარწმუნებელად (τεκμηριον), რომელთაჲ არა მზა წარმოსაჩინებელად (αποδειξιας)" (430.18; 689 C).

თუ ზოგადად თვალს გავადევნებთ ქართულ აპოდიქტურ ტერმინოლოგიას, ვნახავთ, რომ ამ მხრივ ერთერთი უძველესია "გამოჩინებაჲ", რაც გვხვდება ჯერ კიდევ "სინურ მრავალთავში":

"სახიერთა მათ მიმართ მონათა პატივისცემასა მოყუასთაგან გამოჩინებაჲ (αποδειξιν) აქუს" (ბასილი დიდი, ორმეოცთა მოწამეთათჳს, სინ. მრ. 115.5; Pg. 31, 508 B).

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ბასილი დიდის ჰომილია "ორმეოცთა მოწამეთათჳს", სადაც ზემორე ტერმინთშესატყვისობა გვხვდება, უადრესი თარგმანია, არაუგვიანესი VII ს-ისა. მასში ა. შანიძე ხანმეტობის ნაკვალევს ხედავს.¹

ასევე "გამოჩინება" გადმოსცემს ბერძნულ αποδεικνυμι-ს "პავლეთა" უძველეს რედაქციაში:

"გამოჩინებდეს თავსა თჳსსა, ვითარცა ღმერთი" (II თეს. 2.4); "უკუანადსკნელად გამოგუაჩინნა" (I კორ. 4.9).

ერთერთ უძველეს აპოდიქტურ შესატყვისად თითქოს ჩანს "გამოცხადებაჲ", როგორც ეს წარმოდგენილია "პავლენში":

"გამოცხადებითა (εν αποδειξει) სულისა წმიდისაჲთა და ძალისა" (I კორ. 2.4).

ზოგ ბერძნულ ხელნაწერში გვაქვს არა αποδειξει, არამედ αποκαλυψει (იხ. E. Nestle-ს მიერ გამოცემული "ახალი აღთქმა"), რომლის თარგმანიც ჩანს, ალბათ, ქართული "გამოცხადებითა".

უფრო საყურადღებოა ამ მხრივ კირილე იერუსალიმელის საკითხავი "ნათლისღებისათჳს", რომელიც როგორც აღნიშნული იყო, უადრეს თარგმანს (V-VI სს.) წარმოადგენს. მასში დამოწმებულია "გამოცხადებაჲ" საკუთრივ აპოდიქტური შინაარსით:

"მოვედით აწ სიტყჳსა ამის გამოცხადებასა (αποδειξιας) საღმრთოთაგან წიგნთა" (სინ. მრ., გვ. 84. 37; Pg. 33, col. 433).

ზემოდამოწმებული ჰომილია ორმოცი მარტვილის შესახებ შემდეგში ხელმეორედ თარგმნა ექვთიმე ათონელმა. ექვთიმეს თარგმანში ნაცვლად "გამოჩინებისა" აპოდიქტურ ტერმინად გვაქვს "სასწაული":

"საკუთართა მათ და საყუარელთა მონათა მიმართ მეფისათა პატივი სხუათა მათ და უდარესთა მონათაჲ სასწაული არს მათისა უფლისა მიმართ ერთგულებისაჲ".²

დ. მელიქიშვილის მიერ დამოწმებულია ერთი ადგილი იოანე დამასკელის

1 სინური მრავალთავი, გვ. 317. შდრ. ანტ. ცხ.-ის მრავალთავებისეული ტექსტი: "გამოჩინებულთა" (ბრიტ.: "განჩინებისათა", ვიმნ. გამოც. 64.9; ბერძნ. αποδεικτικοις, 949C).

2 ბასილი კესარიელის სწავლათა ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, ცქურციკიძის გამოც. გვ. 170.14.

"გარდამოცემის" ექვთიმესეული კომპენდიუმიდან, სადაც, მტკიცებითი შინაარსით გვხვდება სინონიმური წყვილი: "გამოჩინებული" და "დამტკიცებული":

"ამის ყოვლისაგან გამოჩინებულ არს და დამტკიცებულ, ვითარმედ არს ჭეშმარიტად ღმერთი და ვითარმედ მიუწდომელ არს და უცნაურ ბუნება მისი ყოველთაგან დაბადებულთა" (A-240, 33).

უნდა აღვნიშნოთ, რომ მითითებული სიტყვები მოცემულ შემთხვევაში კონკრეტულ აბოდიქტურ ტერმინთშესატყვისობას არ წარმოგვიდგენენ, რადგანაც მათ ორიგინალში შეესაბამება არა *αποδεικνυμενον*, არამედ *δηλον* (ცხადი, ნათელი):².

οτι μεν ουν εστι θεος, δηλον . Τι δε εστι και ουσιαν και φυσιν, ακαταληπτον τουτο παντελως και αγνωστον (Pg. 94, col. 797 B; შდრ. ეფრემის თარგმანი: "აწ უკუე ესე საცნაურ არს, ვითარმედ არს ღმერთი, ხოლო თუ რად არს არსებით და ბუნებით, ესე მიუწდომელ არს და ყოვლად უცნაურ" A-24, 38.2; შდრ. არსენი: "რამეთუ ვითარმედ არს უკუე ღმერთი, ესე ცხად არს..." S-1463, 55.2).

"კაცისა შესაქმის" უძველეს თარგმანში ზმნას *αποδεικνυμι* (*აπεδειξεν*) შეესაბამება "დამტკიცნა" (გიორგისეულ თარგმანში გვაქვს: "გამოაჩინა"):

"არამედ ჩუენი იგი დამტკიცნა" (შატბ. კრ. 86.42; შდრ. გიორგი: "ხოლო გამოაჩინა სიტყუამან", გვ.50; col. 164 C).

იმავე ძეგლის ორიგინალში გვხვდება შესიტყვება *αποδειξιν ποιουμαι* უარყოფით კონტექსტში. თარგმანის შესაბამისი ადგილი ასეთია:

"არამედ არავე დავამტკიცებ ამას მოსწავებასა" (შატბ. კრ. 84.26; col. 157 D; შდრ. გიორგი: "გარნა ამას სახედ და სასწაულად... არა შევიწყნარებ", გვ. 43).

დამოწმებული ნიმუშები ცხადყოფს, რომ უძველეს აბოდიქტურ ტერმინებს განეკუთვნება არა მხოლოდ "გამოჩინება" და "გამოცხადება", არამედ "დამტკიცება", "მოსწავება". მათ შეერთვის, აგრეთვე, ექვთიმესეული "სასწაული".

გიორგი მთაწმინდელი, როგორც ვნახეთ, აბოდიქტურ ტერმინებად მოუხმობს "გამოჩინებას", "სახეს" და "სასწაულს".

საგულისხმოა, რომ ტერმინი *αποδειξιν*, გარდა იმისა, რაც დავიმოწმეთ ზემოთ, კვლავაც გვხვდება "კაცისა შესაქმის" ბერძნულ ტექსტში. უძველეს თარგმანში მას შესატყვისი არა აქვს (იხ. შატბ. კრ. 110.39), ხოლო გიორგი ასეთ თარგმანს გვაწვდის:

"კმა-იყო საწამებელად (*εις αποδειξιν*) ჭეშმარიტებისა მუშაკისა მის ერთი თესლთაგანი" (გვ. 112; 216 D).

ტერმინი *αποδειξιν//αποδεικνυμι* რამდენჯერმე არის გამოყენებული გრიგოლ ნოსელის ცნობილ ჰექსემერონში. გიორგი მთაწმინდელის თარგმანები ასეთია:

"ცხად არს (*σαφως αποδεικνυσθαι*) ამის ყოვლისაგან" (V.14; 96 D); "და ცხად არს (*σαφως αποδεικνυται*), რამეთუ არცა მაშინ იტყვს სამყაროდსა

¹ დ. მელიქიშვილი, ძველი ქართული ლოგიკური ტერმინოლოგიიდან, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 25, თბ. 1984, გვ. 116.

² ცხადია, გასათვალისწინებელია, რომ ბერძნული *δηλος* შეიცავს "მტკიცების" შინაარსსაც. ამას, სხვათაშორის, ცხადყოფს თუნდაც ის, რომ პეტრიწი ერთგან ხსენებულ ტერმინს "აღმოჩენად" თარგმნის (იხ. ქვემოთ).

განპებასა" (6.8; 101 C); "ცხად არს (αποδειξίς εστι), რამეთუ ყოველივე ჰაერი ეგრეთ არს" (6.14; 105 B); "სიტყუამან წარმოაჩინა (απεδειξεν)" (6.6; 101 B); "აღმავსებელად წყალთა ბუნებისა გამოჩნდა სიგრილეცა" (6.25; 109 B); "ესე იყო პირი (მიზანი, ე.ჭ.) მისი (მსჯელობისა ე.ჭ.), რადთა გამოაჩინოს (αποδειξαι), ვითარმედ ნოტიად ბუნებად ვითარცა პირველითგან დაიბადა, ეგრეთვე ჰგვის სამარადისოდ" (6.16; 105 D); "ამას გუასწავებს (εις αποδειξιν αγεται) ჩუენ მაღალი იგი სიბრძნისმეტყუელებად მოძღურისად" (5.7; 93 A); "და ამას წამებს (αποδειξίς δε...ταυτης) სიტყუად იგი" (3.9; 89 A).

თეოფილე ხუცესმონაზონთან ძირითად აპოდიქტურ ტერმინად ჩანს "ნიშანი", რასაც შეიძლება დაერთოს პრედიკატი "ცხადი" ანდა დაეწყვილოს მეორე აპოდიქტური ტერმინი "სახწაული":

"მომცა ჩუენ ნიშანი (αποδειξιν)... სათნოებათა თვისთა" (იოანე ოქროპირი, თარგმანებად დაბადებისად, ფ. 497; col. 215); "მომცეს ჩუენ ცხადი ნიშანი მრავლისა მის სიბრძნისა მისისად" (ფ. 223; 116); "ნიშანი იყო და სახწაული მართლისა მის გონებისა ღმრთისმოყურობისად" (ფ. 492; 214).

ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის აპოდიქტიკასთან დაკავშირებით დ. მელიქიშვილი შენიშნავს:

"αποδειξίς... ცნების შესატყვისად ეფრემი იყენებს გამოჩინება ლექსემას, არსენი კი მასთან ერთად, აგრეთვე, გამომაჩინებელობასაც".²

მკვლევარს ამგვარი დასკვნა გამოაქვს ერთ კონკრეტულ მაგალითზე დაყრდნობით, რაც, ცხადია, საკმარისი არ არის. ეფრემ მცირის აპოდიქტურ ტერმინოლოგიას უფრო ფართო სპექტრი აქვს.

ცალკეულ თარგმანებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ეფრემ მცირე საკუთრივ აპოდიქტურ ტერმინად (ე.ი. საკუთრივ αποδειξίς-ის შესატყვისად) ზემოაღნიშნულ "გამოჩინებას" იყენებს უმთავრესად ადრეულ თარგმანებში (მაგ. "გარდამოცემა", "დიალექტიკა", გრიგოლ ღვთისმეტყველის აპორეტული საკითხავები), რომლის გვერდით თავს იჩენს, აგრეთვე, "გამომაჩინებელობად" (ეს ტერმინიც ეფრემისეულია და არა არსენისეული), "საჩინოებად", "გამოცხადებად", "გამოსაცხადებელი". მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"გამოჩინებად, ვითარმედ არს ღმერთი" (გარდამოცემა, 37.1; 793 B; შდრ. არსენი: "გამოჩინებად, ვითარმედ არს ღმერთი", თავი 3); "გამოჩინებად, ვითარმედ ერთ არს ღმერთი" (39.1; 800 C; შდრ. არსენი: "გამოჩინებად, ვითარმედ ერთ არს ღმერთი", თავი 5); "გამოჩინებად აქუს... ერთგულებისად" (იქვე 124.2; 1172 C; შდრ. არსენი: "გამოჩინებად... აქუს ერთგულებისად" 96 v 1); "ვინად გუაქუს გამოჩინებად?" (ამფილოქე იკონიელი, მიგებებისათვის, A-162, 80.1; Pg. 39, 57 C); "ფრიადი აქუს გამომაჩინებელობად" (A-292, 204; 681 A); "სიტყუსამიერითა საჩინოებითა" (A-292, 237; 204 A-B); "მინდობილ არს სიტყუათა საჩინოებასა" (იქვე 237 v; 204 C); "ფრიადი აქუს გამოცხადებად" (იქვე 361 v; 773 A); "გამოსაცხადებელ არს (αποδειξιν εχει)" (გარდამოცემა 122.2; 1164 C; შდრ. არსენი: "გამოჩინებად არს" 95 v 2); "გამოვაჩინოთ

1 საყურადღებოა, რომ ამავე შესატყვისებით გადმოსცემს თეოფილე ბერძნულ γωρισμα-ს: "ესე არს ნიშანი ჩუენი და სახწაული, რომლითა ვიცნობებით" (ფ. 57; 47). ეფრემ მცირე γωρισμα-ს შესატყვისად მტკიცედ ამკვიდრებს ტერმინს "საცნაურებად", რაც ნამემკვიდრევია არსენისა და გელათური სკოლის მიერ.

2 დ. მელიქიშვილი, დასახ. სტატია, გვ. 112.

(*αποδεικνυστες*), ვითარმედ არიან რადმე ჩუენსა ველმწიფებასა შინა საქმენი" (იქვე 74 v 2; 956 C; შდრ. არსენი: "გამომაჩინებელი ამისნი, ვითარმედ არიან რადმე ჩუენ-ქუეშენი" 74 v 1); "ჯეროვნად განცხადებულ არს (*αποδεικται*)" (იქვე 39.1; 800C; შდრ. არსენი: "ესე გამოჩინებულ-იქმნა". S-1463, 55v2).

მოგვიანო პერიოდის ეფრემისეულ თარგმანებში ძირითად აპოდიქტურ ცნებად წარმოდგენილია "გამოსაჩინებელი", ხოლო ბერძნული ტერმინის ზმნური და მიმღეობური ფორმები გადმოცემულია, როგორც "გამოჩინება", "განცხადება", "გამოჩინებული", "გამომაჩინებელი", "გამოჩინებითი". მაგალითად:

"ზეშთა-ჰმატლა იგი (იეროთეოსი, ე.ჭ.) მრავალთა მათ მღდელთა და მოძღუართა... გამოძიებითა გამოსაჩინებელთათა (*αποδειξεως*)" (დიონისე არეობაგელი 28.23; 3.3). "მისსა-მიმართისა სიყუარულისა გამოსაჩინებელ ჰყოფდა (*αποδειξιν ποιειται*) ცხოვართასა სიმშვიდით მწყსასა" (იქვე 246.27; ებ. 8.4); "რად არს გამოსაჩინებელი?" (გრიგოლ ღვთისმეტყველი A-109, 83 v 2; 357 B); "გამოსაჩინებელი შეცვალებისად - ცხად" (იქვე 232 v 1; 1184 A); "დიდი - გამოსაჩინებელად სიტყვსა" (A-52, 129 v 2; 1104 C). "გამოჩინებითა (*αποδειξει*) საღმრთოდასა სულისა მიერ აღძრულისა ღმრთისმეტყუელთა ძალისათა" (დიონისე არეობაგელი, 5.11; 1.1); "განაცხადა (*απεδειξεν*)... ჰეშმარტმან სიტყუამან" (58.24; 4.35); "მართლად გამოჩინებულ არს (*αποδεικνυμενου*)" (236.21; ებ. 7.1); "გამოძიებით გამოჩინებულ არს (*αποδεικται*)" (14.12; 2.1); "საღმრთოდასა მობერვისა და ბჭობისა შემანაწევრებელად გამოჩინებულ იქმნენ" (183.23; 3.3); "წარმოვთქუათ სიტყუათა მიერ გამოჩინებულთა" (15.30; 2.1); "მოშურნედ გამომაჩინებელსა (*αποδεικνυστα*) მისსა" (41.33; 4.13); "ორსახე არს ღმრთისმეტყუელთა სიტყვსომცემლობად: რომელიმე გამოუთქუმელი და საიდუმლოდ, ხოლო რომელიმე სახისშემოღებითი და სრულყოფითი; და რომელიმე უსაჩინოესი და უმეცნიერესი, ხოლო რომელიმე სიბრძნისმოყუარებითი და გამოჩინებითი (*αποδεικτικην*)" (252.4; ებ. 9.1).

როგორც დამოწმებული ნიმუშები ცხადყოფს, საკუთრივ აპოდიქტურ ტერმინად ეფრემ მცირის შედარებით ადრეულ თარგმანებში უმეტესწილად გვხვდება "გამოჩინებად", ხოლო შედარებით გვიანდელ შრომებში "გამოსაჩინებელი".

გარდა ზემოთქმულისა, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ერთერთ ძირითად საკუთრივ აპოდიქტურ ტერმინად ეფრემ მცირე მოუხმობს, აგრეთვე, ჩვენთვის ამჟერად განსაკუთრებით საყურადღებო შესატყვისს "წარმოსაჩინებელი". მაგალითად:

"მოუძღურება სიტყვსა წარმოსაჩინებელისა (*αποδειξεως*) დამაკნინებელ არს" (A-292, 237 v; col. 204 C); "საქმითითა წარმოსაჩინებელითა ამხილო ცილისწამებასა მათსა" (ბასილი დიდი, ეპისტოლენი, 71; ნ. ქაჯაიას გამოც. 241.23); "მქონებელად წარმოსაჩინებელსა თქუენისა ერთსულობისასა" (იქვე 90.1; 242.1); "ამისსა წარმოსაჩინებელსა სახარებისაგან შემოგუართუმიდა ჩუენ" (იქვე 150.3; 247.27); "კმად წარმოსაჩინებელი მომცეს ჩუენ წინააღრჩევისა შენისა" (იქვე 154; 249.13); შდრ. აგრეთვე: "წერილთა მიერ წარმოჩინებითა (*μετ αποδειξεως*) ცნობად" (იქვე 103; 244.12).

ეფრემისეული აპოდიქტური ტერმინოლოგია (გარდა აღნიშნული "წარმოსაჩინებელისა") ნამეგვიდრეგია მოგვიანო ეპოქის მთარგმნელთა მიერ. ზოგი ნიმუში არსენისეული თარგმანებიდან ზემოთ წარმოვადგინეთ. დავიმოწმებთ კიდევ რამდენიმე მათგანს:

"გამოაჩინოს... ვითარმედ არს ღმერთი" (დოგმატიკონი, S - 1463, 289);
 "გამოაჩინე წერილისაგან" (იქვე 292 v); "გამოაჩინე შენ ჩემდად" (292 v);
 "ქადაგებად გამოაჩინებელი" (298); "სხუად ქადაგებად გამოაჩინებელი, ვითარმედ
 მუჰამედ არა არს ღმრთისაგან" (298v); "გამოჩინება ჭეშმარიტი" (299);
 "სიტყვსგებად გამოაჩინებელი" (299v); "გამოჩინებად, ვითარმედ აქუს ღმერთსა
 ძე თანაარსი" (300v).¹

გრიგოლ აკრაკანტელისა და ოლიმპიოდორეს შრომათა თარგმანებშიც, ასევე, ეფრემისეული ტერმინოლოგია ("გამოჩინებად", "გამოსაჩინებელი") იჩენს თავს.

"გამოჩინებად (αποδειξις) აქუს იქვსა მისისა მეტყუელისა" (გრიგოლ აკრაკანტელი 89.1; 972 D); "ბუნებითა მაგალითთა შემომართუამს ჩუენ გულისხმისყოფასა, რომელთა მიერ გამოჩინებად (αποδειξις) ჰნებავს კაცობრივისა აღრჩევისა" (22.22; 792 C); "კერბთმსახურებასა განქარვებულად... გამოაჩენდეს (αποδεικνυστας)" (43.33; 881 A); "გამოსაჩინებელ (αποδειξις) თვსთა ბოროტისმოქმედებათა" (ოლიმპიოდორე 63 v 2; 389 B); "გამოსაჩინებელთა მიერ (μετα αποδειξεως) სარწმუნო-ჰყოფს" (53.2; 504B).

იგივე ეფრემისეული ტერმინოლოგია ("გამოჩინებად", "გამომჩინებლობად", "გამოსაჩინებელი") გვხვდება იოანე ჭიმჭიმელთან:

"გამოვაჩინეთ (απεδειξαμεν)" (A-113, 99.2; 888B); "თვნიერ გამოსაჩინებელთასა (αναποδεικτικως)" (იქვე 110v2; 908B); "მეცადინ გამომჩინებლობისა (αποδεικνυσειν) და პაექრობისა (διαλεκτικος) სიტყვსმგებლობისა" (110 v 2; 908 B); "არცა ელლენებრთა გამოსაჩინებელთა (αποδειξεσις) შედგომასა ინებებს" (111.1; 908 C); "გრძნობად... უმჯობეს ყოვლისა გამოსაჩინებელისა არს ველამპყრობელ ღმრთისმეცნიერებისა მიმართ" (111.2; 908 C); "გუაქუნდეს ესე დიდ გამოსაჩინებელად (εις αποδειξις) ჭეშმარიტისა ღმრთეებისა მისისა" (191.2; 1049 D); "...განმცემელად გამოჩინებად (αποδειξις)" (204.1; 1073 C).

ამონიოსის შრომათა მთარგმნელი აპოდიქტურ ტერმინებად იყენებს, ერთი მხრივ, ტრადიციულ ტერმინებს: "გამოჩინებად", "გამომჩინებლობად", "გამოჩენად", მეორე მხრივ კი, მას შემოაქვს ახალი შესატყვისები: "აღმოჩენად", "აღმოსაჩენი", "აღმოსაჩენელი". გვხვდება, აგრეთვე, თვით ბერძნული ტერმინები: "აპოდიქსისი // აპოდიქსი", "აპოდიქტიკი // აპოდიქტიკონი".

1 იხ. ი. ლოლაშვილი, არსენ იყალთოელი, თბ. 1978, გვ. 119-121. აპოდიქტური ტერმინოლოგია განსაკუთრებით მრავლადაა ანასტასი სინელის წინამძღვრის არსენისეულ თარგმანში. მაგალითად: "გამოჩინებად" (1.1 - 37A; 1.2 - 37C; 10v2 - 104A); "გამომჩინებლობად" (1v1 - 40D; 5 - 68A); "გამოსაჩინებელი" (3.2 - 52A; 13v2 - 125D; 18.1 - 157A; 28.1 - 228C; 37.2 - 296D; შდრ. იგივე შესატყვისი: "დიდი სჯულისკანონი", 509.18 - 849B). არსენთან იმავე შინაარსით ზმნურ ფორმებში, გარდა "გამოჩინებისა", გვხვდება აგრეთვე: "განცხადება" (დოგ. 15v2; 140B) "ცხადყოფა" (1.2; 37D), "საცანურ-ქმნა" (20.2; 176A), "წარმოჩინება" (270v2 - 138.7; 108v2 - 189A) და სხვა.

2 იხ. ამონიოსის დასახ. გამოც. ტერმ. ლექს., გვ. 178; 180; 242. დ. მელიქიშვილი, რომელიც პეტრიწს ამონიოსის მთარგმნელზე ადრეულ მოღვაწედ მიიჩნევს, თვლის, რომ ტერმინი "აღმოჩენა" პეტრიწის მიერ არის შექმნილი (იოანე პეტრიწმა ზენა ფუძეზე აღმოაჩინა ზმნისწინის დართვით აწარმოვა ტერმინი "აღმოჩენა", დასახ. სტატია, გვ. 112). ამონიოსის მთარგმნელი, მკვლევარის აზრით, მხოლოდ იყენებს ამ ტერმინს (იქვე, გვ. 114).

3 დასახ. გამოც. გვ. 177; დ. მელიქიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 114. საყურადღებოა, რომ ამონიოსის შრომის თარგმანში ბერძნული αποδειξας სამგზის თარგმნილია, როგორც "დასრულება" (21.20-21; 22.8-9).

ამონიოსის მთარგმნელის ტერმინოლოგია, ცხადია, ვრცელდება VI ჰომოგენური ჯგუფის ძეგლებზე. მაგალითად:

"გამოჩინებაჲ პნებაჲს... სიტყჲსაჲ" (მაქსიმე, გელ. 14, ფ. 419.2; 513 C); "გამოჩენაჲ ზედმიწევნით" (429.2; 525 C); "... თჳნიერ სიტყვერებითისა გამომაჩინებლობითისა" (136.1; 480 B); "არა მიმცემელმან გამომაჩინებლობითსა (*αποδεικτικην*) მიზეზსა" (იქვე, ხელნ. 256 v 1; 20 A); "უბუნებითესობით გამოჩინებად (*αποδειξαι*) მბრძანებელსა" (იქვე 301.1; 425 A); "გამოჩინებისა მიმართ (*προς αποδειξιν*) აღდგომისაჲსა ქმნილთა" (თეოფილაქტე, იოანეს სახარების განმარტება, A-52, 147; 308 A); "სხუასა აღარას ვეძიებ გამოსაჩენელსა (*αποδειξιν*)" (მაქსიმე, ფ. 472.2; 301 D); "კარ სარწმუნოებისა და გამოსაჩინებელ (*αποδειξιας*) იყო" (თეოფილაქტე, A-52; 142; 284 C); "გამოსაჩინებელთა მიერ მზად პირსა დაუყოფდა" (ქსიფილინოსი, ეტ. VI, გვ. 180); "წინააღმდეგომელნი გამოსაჩინებელნი" (ქსიფილინოსი, კ.კეკ., ეტ. 111; 290.1); "ამხილებს... ძლიერთა გამოსაჩინებელთა მიერ" (იქვე 292.20; "მისდა საგონებელნი კარგ-სიტყუანი და ძლიერნი წინადადებანი მჳნეთა გამოსაჩინებელთა მიერ... უკუნ-აქცინა" (იქვე 298.11); "მრჩობლყოფაჲ გამოაჩინა სიტყუამან" (მაქსიმე, ფ. 197.2; 596 A); "...ერთად რაჲ გამოაჩინნა თჳსისა მიმართ" (ფ.113.1; 436 B); "რომლისაჲ, ვითარ გამოჩინებულ იქმნა, მოუგის დატჳფრვაჲ სიმდაბლესა და სიმჳდესა გულისასა" (ფ. 160; 893 B); "დაბადებულსა გამოაჩენს კაცსა" (იქვე, ფ. 160; 893 C); "ძალითა აღმოჩენისაჲთა (*αποδειξιας*) პერობილი" (იქვე, ხელნ. 253 v 1; 12 A); "და ამისა აღმოსაჩენელ (*αποδειξιας*) ცხად არს" (ფ. 491.2; 329 B); "არარაჲ უცხადეს ამათსა არს აღმოსაჩენელად (*προς αποδειξιν*)" (ფ. 490.2; 328 A); "რაჲ არს აღმოსაჩენელი?" (იქვე, ხელნ. 267.2; 52 B); "რაჲ არს ჳერჩინებითთა ნებათაგან აღმოჩენილი (*αποδεικνυμενον*) იგი ერთი?" (იქვე, ხელნ. 265.2; 45 A); "მცირედი საკჳრველებაჲ იყო ესე აღმოსაჩინებელად (*εις αποδειξιν*) ძლიერებისა" (თეოფილაქტე, A-52, 85; 92 B); "საღმრთოჲსა ბუნებისა აღმომაჩინებელმან (*αποδειξιας*) მეფედ ყოველთად" (იქვე 135; 261 B); "წიგნთა მათთა შინა აღმოაჩინეს" (მაქსიმე, ფ. 497.1; 337 A); "...შემძლებელთა აღმოჩენად (*αποδειξαι*) ჩემდა" (თეოფილაქტე, A-52, 70; 45 B); "და ესრეთ აღმოაჩენს (*αποδεικνυσαι*) თავსა თჳსსა კეთილისა ნაწილისაგანად" (იქვე 75 v; 65 B); "რომელთაგან აღმოჩინების მწყემსი" (იქვე 75 v; 65-68); "ძედ თავი თჳსი აღმოაჩინა" (იქვე 125; 229 A); "მამამან დაჰბეჭდა, ესე იგი არს, აღმოაჩინა და დაამტკიცა, ვითარმედ ძე მისი არს, ვითარმედ აღმოაჩინა ვიდერმე და თჳთცა თავი თჳსი ქრისტემან საკჳრველებათა მიერ... მამისა მიმართ აღისწრაფის და მისგან იტყჳს დაბეჭდვასა, ესე იგი არს, აღმოჩენასა წამებულობასა" (46; 1297 A); "მოსაპოვებელი არს აღმოსაჩენი (*αποδειξει*)" (ამონიოსი 167.7; 78.19).

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ VI ჰომოგენური ჯგუფის ტექსტებში იგივე "აღმოჩენაჲ" კანონზომიერად გადმოსცემს, აგრეთვე, შემდეგ ბერძნულ ტერმინებს: *αναδεικνυμι, αναβαινω, αναφερω*. მაგალითად:

1. *αναδεικνυμι*:

"ამათგან აღმოჩენილსა (*αναδεικνυμενον*) სიკეთესა, დატევნისაებრ საღმრთოჲსა შუენიერებისა, "დიდებად" მწოდებელი" (მაქსიმე, ფ. 151.1; 512

B); "არა უადგილო არს ორთა კარგთა აღმოჩენად (*αναδεικνυμενων*) საზრისაგან მათთვის, რომელთა განწმედელი სურვილი მოეგოს საღმრთოთად" (იქვე 169.2; 536 D);

2. *αναφαινω*:

"საჰმარ არს... აღმოჩენილთა (*αναφαινομενας*) ჭეშმარიტთა გულსავსებით შეწყნარებად" (მაქსიმე, ფ. 467.1; 296 A); "რად აღმოჩინებული ჩუენდა საჰმარი არისტოტელურისაგან ფილოსოფოსობისა?" (ამონიოსი 96.9; 1.7); "რად დასასრული და აღმოჩინებადი (*το αναφαινομενον*) ჩუენდა საჰმარი არისტოტელეზრისაგან ფილოსოფოსობისა?" (100.6; 6.9); "მოპოვნება ვიდრემე არს აღმოჩენილი საქმისაგან" (128.22; 38.22 - შენ.); "ოთხნი რადმე აღმოჩნდეს (*αναφανεντα*) ჩუენდა" (117.17; 26.26); "კუალად წესი ამიერ აღმომიჩნდების (*αναφαινεται*) ჩუენ" (106.12; 13.7); "აღმომიჩნდა ჩუენ უკუე, ვითარმედ: "კაცი არსება არს" (128.21; 38.22 - შენ.); "აღმომიჩნდის ჩუენ, ვითარმედ თვთმოდრავ არს (სული, ე.ჭ.)" (128.23; 38.22 - შენ.); "მოსაპოვნელი (*πορισμα*) არს აღმოსაჩენი (*αποδειξει*) სხვსა თანა-აღმოჩენილი (*συν-αναφαινομενον*)" (167.7; 78.19); "ამისი გამოჩენად (*τη αποδειξει*) თანა-აღმოჩნდეს (*συν-αναφαινεται*)" (167.17; 78.29); "... არათუ თანა-აღმოჩნდეს (*συν-αναφαινοντο*) სკობოსი" (101.22; 7.21).

3. *αναφερω*:

"და იწოდების ვნებად ვითარებისა მიერ აღმოჩენილად" (ამონიოსი 174.6; 86.7); "ითქუმის ვნებად ვნებულებისა მიერ აღმოჩენილად (*αναφερομενον*)" (174.9; 86.10).²

ქართული აპოდიქტური ტერმინოლოგიის ისტორიაში მომდევნო ეტაპია იოანე პეტრიწი, რომელიც თითქმის აბსოლუტიზებას ანიჭებს გელათური სკოლის მიერ შემოტანილ ტერმინთშესატყვისობას: *αποδειξαι* - "აღმოჩენად". შენიშნულია, რომ ტერმინები "აღმოჩენად" და "აღმოსაჩენელი" პეტრიწს გამოყენებული აქვს ჯერ კიდევ ნემესიოსის თარგმანში.³ შეიძლებოდა უფრო მკვეთრად თქმაც: "აღმოჩენად" და მისგან ნაწარმოები ფორმები აპოდიქტური შინაარსით ისევე მყარია ნემესიოსის წიგნის თარგმანში, როგორც პროკლესთან. ვუთითებთ სათანადო დამოწმებებს:

I. *αποδεικνυμι*:

აღმოაჩინა (8.12-508 B; 20.3-528 C); აღმოვაჩინეთ (29.3; 545 B); აღმოიჩინა (51.1; 589 B); აღმოვაჩინეთ (50.22; 589 A);⁴ აღმოჩენილ არს

1 ერთგან ხსენებული ტერმინი თარგმნილია, როგორც "გამოჩენა" (თეოფილაქტე, იოვანეს თავის განმარტება, A-52, 1 v; 1136 B)

2 დავძენთ, რომ აღნიშნულ ტექსტებში ტერმინი "აღმოჩენა" ხშირად გადმოსცემს, აგრეთვე, ბერძნულ *αποφαινω*-სა და მისგან მომდინარე ფორმებს (სათანადო ნიშნუში იხ. ქვემოთ).

3 იხ. დ. მელიქიშვილი, დასახ. სტატია, გვ. 113.

4 დამოწმებულია იქვე, გვ. 113

(52.11; 592 B); აღმოჩინების (131.12; 725 B); აღმოჩენილა (135.28; 733 A); აღმოაჩენდეს (142.9; 744 B); აღმოჩენილა (154.5; 768 A); აღმოვაჩინოთ (163.9; 781 B);

II. *αποδειξαι*:

აღმოჩენად (40.10; 569 A); აღმოსაჩენელნი (51.15; 589 C);¹
აღმოსაჩენელისაჲ (51.3; 589 B).

III. *αποδειξαις*:

აღმოჩენასა (20.22; 529 B); აღმოჩენასა (50.2; 588 B); აღმოჩენასა (66.14; 621 B); აღმოსაჩენელნი (51.7; 589 B);² აღმოსაჩენელთა (71.4; 632 A); აღმოსაჩენელთა (51.11; 589 B); აღმოსაჩენელად (91.9; 661 A);
აღმოსაჩენელთაგან (135.30; 733 A);

IV. *αποδεικτικος*:

აღმოსაჩენელთასა (109.13; 689 B);

V. *αποδεικνυων*:

აღმომჩენელთა (151.14; 761 B);

VI. *προ-αποδεδειγμενος*:

პირველ-აღმოჩინებულთა (31.23; 552 A).

VII. *προ-αποδεικνυμι*:

პირველვე აღმოჩინებულთა (31.23; 552 A).

ტრადიული "გამოჩინება" აღნიშნულ თარგმანში თავს იჩენს მხოლოდ ერთგზის.

"სიტყუამან გამოაჩინოს (*αποδειξει*)" (71.17; 632 B)³

¹ იხ. დ. მელიქიშვილი, დასახ. სტატია, გვ. 113.

² დამოწმებულია იქვე.

³ ერთგან შესატყვისად გვხვდება "ჩუენება": "თუთ მანვე წიგნსა მას შინა... აჩუენა (*απεδειξεν*)" (34.10; 556 C). არ არის გამორიცხული, პეტრიწის მიერ ნასარგებლევ დედანში ყოფილიყო *εδειξεν*, რადგანაც პეტრიწი ხშირად თარგმნის "ჩუენებად" ბერძნულ *δεικνυμι*-ს. ნემესიოსის წიგნისათვის იხ.: 8.4-508 A; 132.21-728 B; 133.29-729B. დავძენთ, რომ იგივე ზმნა თარგმნილია, აგრეთვე, როგორც "აღმოჩენა" (119.1; 708A), "გამოჩინება" (34.2; 556 B); "საცხადო-ყოფა" (135.6; 732 B).

აღვნიშნავთ, რომ ხსენებულ თარგმანში ტერმინი "აღმოჩენა" მყარი, კანონზომიერი შესატყვისობით გადმოსცემს, აგრეთვე, ბერძნულ *αποφαινω*-სა და მისგან მომდინარე ფორმებს. მაგალითად:

"სხეულოანად აღმოაჩენდეს (*αποφαινοντες*)" (45.20; 577 B); "პლატონ, ერთყოფასა სულისასა და მრავალყოფასა აღმოაჩენელი" (46.2; 580 A); "სულთა უკუდავად აღმოაჩენელნი" (47.2; 581 A); "საგრძნობელთა სხეულებრივად ძალად აღმოაჩენისათვის" (57.15; 605A) "უგმრად აღმოაჩენენ" (141.5; 741 B); "აღმოაჩენად ღმრთისა" (141.22; 744 A); "ნამეტნავად აღმოაჩენად" (152.24; 764 B)²

ასეთ სურათს გვიჩვენებს ნემესიოსის წიგნი, რაც შეეხება პროკლეს შრომის თარგმანს, როგორც ცნობილია, აღნიშნულ ძეგლში და მასზე დართულ კომენტარებში ტერმინი "აღმოაჩენად" აბოდიქტური შინაარსით უადრესად მყარია. საგულისხმოა ისიც, რომ ხსენებულ თარგმანში პეტრიწს "აღმოაჩენად" გადმოაქვს, აგრეთვე, ბერძნული ტერმინი *δεικνυμι* (იხ. პეტრიწი, I, ტერმ. ლექს. გვ. 135; 177; 245).

დასასრულს, აღვნიშნავთ, რომ "კლემაქსის" პეტრე გელათელისეულ თარგმანში საკუთრივ ტერმინი *αποδειξαι* ყველა შემთხვევაში თარგმნილია, როგორც "აღმოსაჩენი" (49v-108; 122v-248; 130-261; 132v-267; 146v-291; 182-317; 183v-355; 198-377).

ამგვარი სახისაა ზოგადად ქართული აბოდიქტური ტერმინოლოგია.

წარმოდგენილი განხილვის შემდეგ ძნელი არ უნდა იყოს განსაზღვრა იმისა, რომ ტერმინი "წარმოსაჩინებელი" აბოდიქტური შინაარსით, ჩვენთვის ცნობილი წყაროების მიხედვით, ნიშანდობლივია კონკრეტულად ეფრემ მცირისათვის. შესაბამისად, ზემომითითებულ სხვა მომენტებთან ერთად, აღნიშნულია ასპექტითაც "იოანე ღვთისმეტყველის მოსავსენებელი" მის თარგმანად უნდა ვიგულისხმოთ.

ო) თარგმანის ატრიბუციის თვალსაზრისით შესაძლოა ყურადღება მიექცეს იმასაც, რომ მასში გვხვდება იშვიათი სიტყვა "უმაქმნეველესი" შესატყვისად ბერძნული ტერმინისა *δραστικωτερον*:

I ამ მხრივაც პეტრიწი, როგორც ჩანს, სრულყოფს წინარე, გელათურ ტრადიციას, სადაც ტერმინთშესატყვისობა *αποφαινω* - "აღმოჩენა" დამოწმებულია: "არა მედად... აღმომაჩინებლობად (*αποφαινεσθαι*)" (ამონიოსი 168.12; 79.26); "ეგე უკუე უსამართლოებად... აღმოაჩინეთ (*απεφουασθε*)" (მაქსიმე, გელ. 14, ფ. 463.2-289D; შდრ. "აღმოაჩენად" - *αποφουασθαι*, ფ. 292.1 - 737 B), "შემეცნებულ-ყოფასა მათსა აღმოაჩენს (*αποφαινεται*) ყოველთა მიერ" (თეოფილაქტე A-52, 106v; 166A).

2 გამონაკლისის სახით პეტრიწთან გვხვდება სხვა შესატყვისებიც: 1) "აღმოთქუმა": "სხეულად სული აღმოთქუეს... სულსა სხეულად აღმოიტყვან" (23.26-27; 536B). საყურადღებოა, რომ აპოფანტიკურ ტერმინად "წარმოთქუმა" გვხვდება ოლიმპიოდორეს კომენტარების თარგმანში: "წარმომეტყუელნი (*αποφαινομενος*) შემასმენელად" (A-61, 3.2; 480 C). 2) "გამოჩინება": "განყოფისა მათისა გამომაჩინებელი (*αποφαινουσα*)" (40.20; 569A). ეგევე შესატყვისობა გვხვდება გელათურ თარგმანებშიც: "არა უცხოდ მამისაგან გამოაჩინოს იგი" (მაქსიმე, გელ. 14, ხელნ. 278.2; 85B), "გამოაჩენენ ღმერთსა" (301v1; 425 B); "სხეულყოფისა მისისა გამომაჩინებლობასა... ვეველთით" (302.2; 428 C); შდრ. აგრეთვე, ოლიმპიოდორე, A-61, 2.2-480A; შდრ. გრიგოლ აკრაკანტელი, "წარმოჩინება": "არარადსმცა საკვრველისა... წარმომაჩინებელად" (კეკელიძის გამოც. 50.4; 893A; შდრ. იქვე 113.24; 1024A); 3) "განჩენად": "განჩენად ყოველობასა ზედა სულისასა" (37.21; 564A). შდრ. ამონიოსი 36.20-564 A (დამოწმებულია მ.რაფაევას მიერ, დასახ. გამოც., გვ. 183); 4) "განჩინება": "არას განჩინებს" (33.4-553 B); ამ შესატყვისის შესახებ იხ. ქვემოთ.

3 დავძენთ, რომ აღნიშნულ "მოსავსენებელში" აბოდიქტურ ტერმინად ერთგან გვხვდება "დასარწმუნებელი" (436.1; 701A), რაც იმავე ძეგლში, სხვა ადგილას, გადმოსცემს ბერძნულ *τεκμηριον*-ს (436; 701B).

"ეგრეთვე გრძნეულიცა იგი და მწამლველი კაცი წამლისა უძლურებად შერაცხვითა სხსაცა მეორისა მიმცემელ ეყო ფრიად უმაქმნეველესისა (δραστικωτερω) პირველისასა" (435.22; 700 C)

ტერმინი *δραστικός*¹ ეფრემ მცირის ადრეულ შრომებში სხვადასხვა შესატყვისებით გადმოიცემა: "მყოფობითი", "ყოფითი", "თვთქმნითი". კერძოდ, ამგვარ სურათს გვიჩვენებს "გარდამოცემის" მისეული თარგმანი. საგულისხმოა, რომ იმავე ძეგლის არსენისეულ თარგმანში ზემორე შესატყვისების ნაცვლად ვხვდებით ტერმინებს "საქმიერი" და "საქმითი". მოგვაქვს პარალელური დამოწმებანი:

• ეფრემი

არსენი

მოქმედებად არს აღძრვად მყოფობითი, რომელი-იგი მყოფობითად ამისთვის ითქუმის, რაჟამს თავით თვისით და არა სხვსა მიერ აღძრულ იყოს (70v1; 941 A)

მოქმედებად არს მოძრავობად საქმიერი და საქმიერი არს მის მიერ ძრული (72 v 1)

მოქმედებად არს ძრვად ბუნებისად თვთქმნითი, რომელი-იგი თვთქმნითად ამისთვის სახელ-იდების, რამეთუ თავით თვისით იძრვის (73v2; 952 B)

მოქმედებად არს ძრვად ბუნებისად საქმითი, ხოლო საქმითად ითქუმის, ვითარცა თვთ თავით თვისით მოძრავი (74.1)

არს ყოფითი და არსებითი ძრვად ბუნებისად (94 v 2; 1048 A)

არს საქმითი და არსებითი ძრვად ბუნებისად (83 v 1)

უფრო გვიანდელ შრომებში ეფრემი უარყოფს ადრინდელ შესატყვისებს და შემოაქვს ჩვენთვის ამჯერად განსაკუთრებით საყურადღებო ტერმინი "მაქმნეველი", რაც დამოწმებულია, მაგალითად, არეოპაგიტული კორპუსის მისეულ თარგმანში:

"ხოლო სადმოროდ მიპრონი იგავითითა სახისმწერლობითა აღმძრველობითთა მქონებელ არს ძალთა გამოსაჩინებელად თვისსა და მაქმნეველთა (δραστικωτερω) მათ კუამლთა თვისთა განყოფად მოწოდებულთა" (190.22; 4.3)

მეტად საგულისხმოა, რომ ზემორე ბერძნულ ტერმინთან ფუძისეულად თანმხვედრი და შინაარსობრივად მისი იდენტური *δραστηριος*,² რასაც ეფრემ მცირე, ჩვეულებრივ, გასუბსტანტივებულად აღიქვამს (*τιο δραστηριον*), ხსენებულ თარგმანში ტერმინულად გადმოტანილია, სწორედ, როგორც

¹ აღნიშნული ტერმინი დამოწმებულია გრიგოლ ნოსელის ანთროპოლოგიურ შრომაში, რომლის უძველეს ქართულ თარგმანში მას შესატყვისი არა აქვს (იხ. შატბ. კრ. გვ. 124. 16), გიორგი მთაწმინდელთან კი გვხვდება "ახოვანი": "ახოვნითა მით ძალითა თვისითა" (*τω δραστικω της δυναμειας*) (გვ. 146; col. 248 C).
² *δραστηριος*-სა და *δραστικος*-ს შორის, საზოგადოდ, იგივეობის ნიშანი დაისმის

"მაქმნეველობად":¹

"მიმსგავსებულობის მაქმნეველობად" (119.4; 7.1); "თვსსა მოქმედებასა მისცემს ... მაქმნეველობითა" (144.18; 15.2); "... მოქმედებასა და საქმიერებასა და მაქმნეველობასა" (145.35; 15.7); "ვერ შეუძლებენ დგომად ღმრთისსახეთა მათ გუართა უძრავობასა შინა და მაქმნეველობასა" (177.9; 3.3.7).

დამოწმებული ნიმუშები ცხადყოფს, რომ ტერმინთშესატყვისობანი: **δραστικός** - "მაქმნეველი", **δραστηριον** - "მაქმნეველობად" ნიშანდობლივია ეფრემ მცირისათვის.² არსენთან იმავე შინაარსით, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად გვხვდება ტერმინები "საქმიერი" და "საქმიითი" (იხ. ზემოთ); გელათურ ტექსტებში, არსენის კვალობაზე, შესატყვისად ჩანს "საქმიერობითი":

"არა საქმიერობითი (δραστηριον) იყოს ბუნებად" (მაქსიმე, გელ. 14, ხელნ. 268.2; 53 D)

იოანე პეტრიწი ნემესიოსის წიგნის თარგმანში, ერთი მხრივ, მოუხმობს თავად ბერძნულ ტერმინს ("დრასტიკოდ"), მეორე მხრივ კი თარგმნის მას, როგორც "მოქმედი".

"იტყვან უკუე სტოელნი, ვითარმედ ასოთანი რომელნი-მე არიან მოქმედ (δραστικά), ხოლო რომელნი-მე მევენე (παθητικά): მოქმედ - ვითარ აერი და ცეცხლი, მევენე - ვითარ წყალი და ქუეყანად" (68.24; 625 B); "მოქმედებად უკუე არს მიდრეკად დრასტიკოდ ძლიერი; დრასტიკოდ უკუე ითქუმის, რომელი თვს-შორის მიდრეკებოდეს" (96.27; 673 B)

ხსენებული ტერმინი უფროობით ხარისხში (δραστικωτερος) დამოწმებულია, აგრეთვე, პროკლესთან. ზემოაღნიშნული შესატყვისობის საფუძველზე (δραστικός - "მოქმედი"), როგორც მოსალოდნელი იყო, პეტრიწი მას თარგმნის ტერმინით "უმოქმედესი" (იხ. პეტრიწი, I, ტერმ. ლექს., გვ. 142). საგულისხმოა, რომ ზმნა δραω, რასაც ეფუძნება ხსენებული ტერმინი, პეტრიწის მიერ, ასევე, "მოქმედებად" არის გადმოტანილი (δρασα - "იმოქმედა", იხ. იქვე).

წარმოდგენილი სურათის ფონზე, ვფიქრობთ, ცხადია, რომ ტერმინთშესატყვისობა **δραστηριον** - "მაქმნეველი//მაქმნეველობად" (შესაბამისად: **δραστικωτερος** - უმაქმნეველესი) სწორედ ეფრემ მცირის ტერმინოლოგიურ სპეციფიკად ჩანს.⁴ ამ ნიშნითაც, ზემორე "მოსავსენებელი" მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის კუთვნილებას უნდა წარმოადგენდეს.

დასასრულს, ვფიქრობთ, საყურადღებო უნდა იყოს იმის ხაზგასმაც, რომ როდესაც აღნიშნული ტერმინოლოგიური ასპექტით გადავხედეთ "ოთხასეულსა"

1 შდრ. არეოპაგიტული კორპუსის გამოცემაზე დართული ლექსიკონი, გვ.276. "მაქმნეველობა"; აქვე იხ. შესატყვისობა: "მაქმნეველი" - *εργατις*; ტერმინთშესატყვისობა *ενεργει* - მაქმნეველ არს" დამოწმებულია 'პავლეთა' ეფრემისეულ რედაქციაში (I კორ. 12.11; სხვა რედაქციებში გვაქვს: "შემწევს").

2 ცალკეულ შემთხვევებში, როგორც ეს საზოგადოდ ახასიათებს ეფრემს, შესატყვისებად გვხვდება სხვადასხვა ტერმინი: "მოქმედი" (56.18; 4.32); "საქმიანობად" (149.17; 15.8); "საქმიერებად" (147.5; 15.9).

3 ს.გორგაძე განმარტავს: "დრასტიკოდ - თვითმოქმედი, თვითმოძრავი" (იხ. დასახ. გამოც., ტერმ. ლექს., გვ.186).

4 აღვნიშნავთ, რომ ტერმინი "მაქმნეველი", რაც საზოგადოდ უაღრესად იშვიათი ლექსიკური ერთეულია, ერთგან თავს ავლენს 'კაცისა შესაქმის' უძველეს თარგმანში: "არნ ძალი იგი მზრდელი განმყვანებელ და მაქმნეველ ყოველსა ბუნებასა" (მატბ. კრ. გვ.89.11). ორიგინალში და გიორგის თარგმანში მას შესატყვისი არა აქვს (იხ. მითითება აღნიშნულ სიტყვაზე და დამოწმება ზემორე ციტატისა ი.აბულაძის 'ძველი ქართული ენის ლექსიკონში'. გვ. 221).

და "ორასეულს" (რომლებიც ყველა ზემოგანხილული თავისებურების მიხედვით ეფრემის თარგმანებად გვესახება), აქაც წავაწყდით ჩვენთვის საგულისხმო შესატყვისობას:

"მოქმედებისა მაქმნევე[ლობად]¹ (δραστική) და დაუსრულებელ გუარ" (ორასეული 1.4)

* * *

ამგვარად, ზემორე მიმოხილვის შემდეგ, ვფიქრობთ, აღნიშნული "მოსავს-ენებელიც" ეფრემ მცირის თარგმანად წარმოჩნდება. მასში, რაც ამჯერად ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ერთგან ციტირებული არის იოანეს სახარების პირველი მუხლი შემდეგი სახით.

"დასაბამსა შინა (εν αρχη) იყო სიტყუად და სიტყუად იგი იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყუად იგი" (432.8; 693 B)

როგორც ვხედავთ, "ორასეულისათვის" ნიშანდობლივი "დასაბამსა შინა" კვლავაც ეფრემის ტერმინოლოგიური წიაღისაკენ მიაქცევს ჩვენს ყურადღებას.

* * *

მ) "ოთხასეულისა" და "ორასეულის" ატრიბუციის დროს ინტერესს იწვევს კიდევ ერთი საკითხი, რაც უკავშირდება კატაფატური და აპოფატური ტერმინოლოგიის ქართულ შესატყვისებს. "ორასეულის" ერთი მუხლი სწორედ ამ ტერმინებს ეხება. მოგვაქვს ციტატა.

"რომელი სახეთა მიერ (εκ των θεσεων - affirmate) გამოჩინებით (καταφατικως) ღმრთისმეტყუელებდეს, ვორცჰყოფს სიტყუასა, სხვთ ვერ მქონებელი თვნიერ აღძრვადთა და განხილვადთა მიერ ცნობად ღმრთისა, ყოველთა მიზეზისა, ხოლო რომელი განჩინებით (αποφατικως) ზეშთა აღმატებულთაგან ღმრთისმეტყუელებდეს (εκ των αφαιρεσεων θεολογων), სულ-ჰყოფს სიტყუასა, ვითარცა დასაბამსა შინა ღმერთსა (ხელნ. "ღ ისა", რაც მცდარია; ბერძნ. θεον οντα) და ღმრთისა თანა მყოფსა და არარაფსა ყოველთაგანისაგან ცნობად შესაძლებელი კეთილად უწყის ზეშთაუცნაურებათა იგი (ხელნ. "ჟეშთაუცნაურებათა")" (ორასეული 2.39)

როგორც ვხედავთ, აპოფატურ-კატაფატური ანტითეზა აღნიშნულ თარგმან-ში წარმოდგენილია ტერმინებით "განჩინებად" (აპოფაზისი) და "გამოჩინებად" (კატაფაზისი). ეს გარემოება საყურადღებოა, რადგანაც ცნობილია, რომ ეფრემ მცირე ხსნებული შინაარსით, ჩვეულებრივ, მოუხმობს ტერმინებს "წათქუმად" ("წართქუმად") და "უკუთქუმად", რომლებიც დასტურდება მის როგორც ადრეულ, ასევე გვიანდელ თარგმანებში, თუმცა ადრეული თარგმანებისათვის კატაფატურ ტერმინად ძირითადია ფორმა "წართქუმად" (იხ.

¹ "ოთხასეულში" ერთგზის დამოწმებულია ტერმინთშესატყვისობა: δραστηριον - "მოქმედებად" (4.2), რაც, აგრეთვე, შესაძლებელია ეფრემისათვის (იხ. ზემოთ: δραστηριον - "მოქმედ").

მაგ. "დიალექტიკის" დასახ. გამოც., ტერმ. ლექს., გვ. 292), ხოლო გვიანდელი თარგმანებისათვის "წათქუმაჲ" (იხ. არეოპაგიტული კორპუსის დასახ. გამოც. გვ. 106.14; 224.14; 226.16; 227.27; 235.8 და სხვა; შდრ. გამოცემაზე დართული ლექსიკონი, გვ.291, სადაც ბერძნულ შესატყვისად ნაცვლად *καταφασια*-ისა შეცდომით მითითებულია *αποφασια*).

ტერმინები "წათქუმაჲ" - "უკუთქუმაჲ" ნამემკვიდრეგია არსენ იყალთოელის მიერ (იხ. "დიალექტიკის" დასახ. გამოც. გვ. 270; 292)

გელათურ სკოლას კატაფატურ ტერმინად შემოაქვს ახალი შესატყვისი "დათქუმაჲ", ხოლო აპოფაზას აქაც "უკუთქუმაჲ" გადმოსცემს:

"ინება უკუთქუმისაგან და დათქუმისა თქუმაჲ მისი" (ამონიოსი 116.32; 26.5); "უკუთქუმისაგან და დათქუმისა გარდმოსცა განწვალებაჲ" (იქვე 116.38; 26.10); "არა დათქუმისა და უკუთქუმისათჳს წინაუც მას მეტყუელებაჲ" (124.8; 34.12; დამოწმებულია მ. რაფაგას მიერ, რომელიც განმარტავს: "დათქუმაჲ - კატაფატიკა", გვ. 186); "განასაზღვრა... დამთქუმელობით (*καταφατικως*)" (იქვე 141.22; 52.5; დამოწმებულია და განმარტებულია მ.რაფაგას მიერ, გვ. 187); "აწ უკუე გინათუ პირველისაებრ მოღებისა დათქუმითად (*καταφατικως* - affirmate) ... გინათუ მეორისაებრ უკუთქუმითად" (მაქსიმე, გელ. 14, ფ.230.1; 641 A)

იოანე ჭიმჭიმელისა და პეტრიწის თარგმანთა ორიგინალებში კატაფატური ტერმინები არ გვხვდება, რის გამოც უცნობია, თუ რა სახით გადმოსცემდნენ ისინი აღნიშნულ ცნებას. რაც შეეხება აპოფატურ ტერმინს, იგი ერთგზის თავს იჩენს ნემესიოსის წიგნში. პეტრიწი მას თარგმნის, როგორც "უკუნთქუმაჲ":

"უსწრებს საძიებელთა უკუნთქუმითა (*τη αποφασει* - negante enuntiatione)" (ნემესიოსი 29.25; 548 B).

რაც შეეხება ეფრემის წინარე ეპოქას, ამ მხრივ ყურადღებას იქცევს გიორგი მთაწმინდელის შრომები, კერძოდ, მის მიერ თარგმნილი "ოთხასეული" თალასი მონაზონისა. ბერძნულ ორიგინალში გვხვდება სინონიმური დაწყვილებანი: (1) *καταφατικως και κατα θεσιν* და (2) *αποφατικως, κατα την αφαιρεσιν*. პირველი წყვილი თარგმანში გადმოცემულია, როგორც "წამება", ხოლო მეორე, როგორც "მოკლება":

"არსებაჲ და ღმრთეებაჲ და სახიერებაჲ და სხუად, რავოდენიცა არს მსგავსი ამათი, წამებით ითქუმის ღმრთისათჳს, ხოლო დაუსაბამოდ და მიუწდომელი და უსაზღვროდ და ესევეთარი ყოველი - მოკლებით" (4.83).

წარმოდგენილი განხილვის შემდეგ ყურადღებას იქცევს "ორასეულში" დამოწმებული კატაფატურ-აპოფატური ანტითეზა: "გამოჩინებაჲ" და "განჩინებაჲ", რაც ზოგად ტრადიციაში გამოკვეთილი არ არის. ვფიქრობთ, ამჯერადაც ეფრემისეულ ტერმინოლოგიასთან გვაქვს საქმე.

მიუხედავად იმისა, რომ ეფრემმა თვითონ დაამკვიდრა ტერმინები "წართქუმაჲ//წათქუმაჲ" და "უკუთქუმაჲ", მაინც მისი შრომების შესწავლა ცხადყოფს, რომ იგი კატაფატურ-აპოფატურ ანტითეზას სხვა ტერმინებითაც გადმოსცემს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია "გარდამოცემის" ერთი ადგილი, სადაც კატაფატურ-აპოფატურ ცნებებად, ზემორე ციტატის მსგავსად, გვერდიგვერდ გვხვდება ტერმინები "განჩინებაჲ" და "გამოჩინებაჲ".

"ხოლო არიან რომელნიმე ღმრთისათჳს განჩინებით (*καταφατικως*) თქუმულნი სიტყუანი, რომელთა ზემთაადმატებულისა ძალისა მისისა გამოჩინებაჲ (*αποφασεως*) აქუს, ვითარ-იგი "ბნელსა" ვიტყვ თანა, არამედ

არა "ბნელად" გულისხმა-ვპყოფთ, გარნა მიუწდომელობად, ვითარმედ არა არს ნათელ, არამედ ზეშთა ყოველთა ნათელთა" (39.1; 800 C; შდრ. არსენი: "ხოლო არიან რადმე წათქუმით სათქუმელნი ღმრთისათვს, რომელთა აქუს ძალი ზესთააღმატებით უკუთქუმისად..." 55 v 1-2).

მოტანილ ადგილას იოანე დამასკელი იმას გვაუწყებს, რომ გარდა ჩვეულებრივი ანუ დადებითი შინაარსის კატათატური ცნებებისა (ნათელი, ცხოვრება, არსი, შემოქმედი და მისთ.), არის ისეთი კატათატური (ეფრემის თარგმანით: "განჩინებით") ეპითეტები, რომლებიც შინაარსობრივად უზენაეს აპოფატიკას ანუ ნეგაციას (ეფრემის თარგმანით: "გამოჩინებას" შდრ. ლათ. negationis vim) მოასწავებს. ასეთი საღვთო ეპითეტია, მაგალითად, "ბნელი", რომელიც გარეგნულად, ფორმით კატათატურია და არა აპოფატური (აპოფატური ფორმის სიტყვებია: "უსაზღვრო", "დაუსაბამო", "მიუწვდომელი", "უხილავი" და მისთ.), მაგრამ შინაარსობრივად იგი სწორედ უკიდურეს აპოფატიკას მოასწავებს, რადგანაც ნიშნავს არა მართლა "ბნელს", არამედ ყოველგვარ სინათლეზე აღმატებულ ზენათელს.

ამგვარად, "გარდამოცემის" ეფრემისეული თარგმანიდან დამოწმებულ ციტატაში კატათატურ-აპოფატურ ანტითეზას ქმნის ტერმინები "განჩინებად" და "გამოჩინებად". ასეთივე სურათი გვაქვს "ორასეულშიც", თუმცა იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელში კატათაზისს "გამოჩინებად" გადმოსცემს, ხოლო აპოფაზისს "განჩინებად". ესეც ეფრემისეული ტერმინოლოგიის ასახვაა, რადგანაც საკუთრივ აპოფატურ (ე.ი. კონკრეტულად ნეგაციის აღმნიშვნელ) ტერმინად "განჩინებად" ეფრემის თარგმანებში ხშირად იჩენს თავს. ამის კარგი ნიმუშია ერთი ადგილი "დიალექტიკიდან", სადაც ორიგინალში სამგზის გვხვდება ტერმინი *αποφατικως*. მეტი თვალსაჩინოებისათვის დავიმოწმებთ როგორც ეფრემის, ასევე არსენის თარგმანს:

ეფრემი

არა ყოველნი მოკლებანი განჩინებითად (*αποφατικως*) ითქუმიან, არამედ მოკლებად შემთხუევითად სათქუმელ არს, ვითარ-იგი სიბრმე და სიყრუე. და კუალად, არა ყოველი სახე შემთხუევითად სახელ-იდების, არამედ განჩინებითადცა, ვითარ-იგი უძლებებად სახე არს, გარნა არა შემთხუევითად ითქუმის, არამედ განჩინებითად სახელ-იდების" (იოანე დამასკელი, დიალექტიკა, დასახ. გამოც, ტერმ. ლექს. გვ. 205)

არსენი

არა ყოველი მოკლებად უკუთქუმით მოივსენებვის, არამედ არიან წათქუმით სათქუმელნიცა მოკლებანი, ვითარცა სიბრმე, სიყრუე. და კუალად, არა ყოველი სახე წათქუმით სახელ-იდების, არამედ უკუთქუმითცა, ვითარ-იგი უძლებებად, რომელი სახე არს, არა წათქუმით, არამედ უკუთქუმით სახელ-იდვა"

მოტანილ ციტატაში, როგორც ვხედავთ, ტერმინი "განჩინებად" საკუთრივ ნეგაციის აღმნიშვნელია. ამ მომენტს ხაზს ვუსვამთ, რადგანაც ბერძნული *αποφασις*, როგორც ცნობილია, ორმნიშვნელოვან სიტყვას წარმოადგენს.

ერთი მხრივ, იგი უკავშირდება ზმნას *αποφαινω*, მეორე მხრივ კი - ზმნას *αποφημι*. შესაბამისად, პირველ შემთხვევაში ეს სიტყვა გულისხმობს "წარმოჩენას, ცხადყოფას, დამტკიცებას", მეორე შემთხვევაში კი - "უარყოფას, ნეგაციას, გამორიცხვას".

როდესაც ბერძნული *αποφαινω* პირველი მნიშვნელობით იხმარება, მის შესატყვისად ეფრემთანაც და სხვა ქართველ მთარგმნელებთანაც მრავალგზის გვხვდება "განჩინებად",¹ რაც სავსებით კანონზომიერია. ბუნდოვანება და ტერმინული შეუთავსებლობა მაშინ იქმნება, როდესაც ხსენებული *αποφαινω* ორიგინალში უარყოფას, ნეგაციას აღნიშნავს (ე.ი. იხმარება მისი მეორე მნიშვნელობით), ქართულში კი (ზემორე შესატყვისობის კვალობაზე) კვლავ "განჩინებად" გვაქვს, რაც, ცხადია, მტკიცებას ანუ კატაფაზისს გულისხმობს და არა ნეგაციას. ეჭვი არ არის, რომ სწორედ ამგვარმა უხერხულობამ განაპირობა ნეგაციის აღმნიშვნელი *αποφαινω*-ის შესატყვისად სხვა ტერმინის, უადრესად ზუსტის ("უკუთქუმად"); დამკვიდრება ეფრემის მიერ, რამაც სამომავლო ტრადიციაშიც მყარად შეინარჩუნა ადგილი და რამაც ნეგაციის აღმნიშვნელად შემდეგში საერთოდ გამორიცხა ტერმინი "განჩინებად", თუმცა საკუთრივ ეფრემთან, მიუხედავად იმისა, რომ თავად იგია ამ ტერმინის ("უკუთქუმად") დამამკვიდრებელი, პარალელურად მრავალგზის გვხვდება ხსენებული "განჩინებად" სწორედ აპოფატური შინაარსით.

ამრიგად, "ორასეულში" დამოწმებული კატაფატურ-აპოფატური ტერმინებიც, ვფიქრობთ, ეფრემ მცირის სახელს უკავშირდება.

* * *

ნ) იშვიათ ტერმინებზე საუბრისას ინტერესს იწვევს ის ფაქტიც, რომ ბერძნული *ομοουσιος* "ორასეულისა" და "ოთხასეულის" ქართულ ტექსტში გადმოტანილია, როგორც "თანაარსი". აი, სათანადო ნიმუშები:

¹ აი, ერთი ნიმუში 'გარდამოცემიდან': 'განჩინებისა (*αποφαινω*) საუფლოდსა კუალად აღდგინებად' (135v2; 1220B; შდრ. არსენი: 'განჩინებისაებრ დაბზადებელისა კუალად აღდგინებად' 101v2). მოვიტანთ საილუსტრაციო ნიმუშებს სხვა მთარგმნელთა შრომებიდანაც: 1. გიორგი მთაწმინდელი: 'გონებად მოსრულსა მას არა განჩინებით (*αποφαντικως*) დავამტკიცებთ' ('დაბადებისათვის კაცისა', 78; 185 A; შდრ. ძვ. თარგ. 'მოეცა ენასა ჩუენსა გამოცხადებითა გონებისადათა', შატბ. კრ. 95.36); 2. გრიგოლ აკრაკანტელის (ფსევდო-მიტროფანე ზმირნელის) 'ეკლესიასტეს განმარტებათა' ანონიმი მთარგმნელი: 'დამარლუეველი განჩინებათა მისთად' (49.11; 892 B); 'განჩინებათა სიტყუსათა' (50.16; 893 B); 'სახარებისა-მიერითა განჩინებითა' (96.20; 988C), 'გამომწულილველობით და არათუ განჩინებით (*αποφαντικως*) თქუა' (ოლიმპიოდორე 74.2; 520 C) 3. VI ჰომოგენური ჯგუფი: 'განჩინებითა და ბუნებითა საქმისადათა' (თეოფილაქტე, A-52, 22; 1213 C); 'არსაყოველთაოდ არს განჩინებად ეგე' (იქვე 69; 41 C); 'განჩინებით (*αποφαντικως*) და " შემსგავსებულად' (ამონიოსი 37.21; 44.13); 'განჩინებისათვის (*αποφαντικος*) ოდენ' (36.23; 43.7); 'განჩინებითსა სიტყუასა' (36.27; 43.11); 'განჩინებითი სიტყუად' (36.30; 43.13); 'განჩინებითსა სიტყუასა' (37.3; 43.24); 'განჩინებითთა სიტყუათა' (38.7; 45.13; დამოწმებულია მ. რაფავას მიერ, დასახ. გამოც., გვ. 183).

² ამას ცხადყოფს თუნდაც ის, რომ ტერმინი "განჩინებად" ეფრემთან გადმოსცემს აგრეთვე ბერძნულ *καταφαινω*-ს. მაგალითად: 'სიტყუა ეწოდების, ვითარცა ნაწილსა განჩინებისასა' (იოანე დამასკელი, დიალექტიკა 51.5; იხ. მ. რაფავას დასახ. გამოც., ტერმ. ლექს. გვ.204); 'განჩინებით თქუმული' (დამოწმებულია მ. რაფავას მიერ, იქვე; ორივე მითითებული ნიმუში გვხვდება აღნიშნული გამოცემის 51-ე თავის იმ ნაწილში, რომელიც არსენის ტექსტს აკლია); 'რაოდენსა რას ვიტყვთ ღმრთისათვის განჩინებით' (იოანე დამასკელი, გარდამოცემა, A-24, 38v2 - 800B; შდრ. არსენი: 'რაოდენთა ვიტყვთ ღმრთისათვის წათქუმიოთ' S-1463, 55v1-2).

"თანაარს ღმერთისა მამისა მხოლოდშობილი" (ორასეული 2.76); "თანაარს ჩუენდა" (იქვე); "დამბადებელი ღმერთი... დაჰბადებს სიტყვთა თანაარსითა და სულითა" (ოთხასეული 4.3); "თანაარსისა სამებისა" (4.77).

დამოწმებული მაგალითებიდან ყურადღებას იქცევს ბოლო მათგანი, სადაც ტერმინი "თანაარსი" სამებას მიემართება. როგორც მ.რაფაფას მიერ არის ნაჩვენები, ბერძნული *ομοουσιος*-ის ძველი ქართული შესატყვისები "ერთარსება" და "თანაარსი" არსენ იყალთოელის წინარე ეპოქაში, ჩვეულებრივ, გარკვეული კანონზომიერებით ენაცვლებოდნენ ურთიერთს. კერძოდ, მთლიანად სამებისადმი გამოიყენებოდა "ერთარსება" (ან "ერთარსი"), ხოლო "თანაარსი" მოიხმობოდა საკუთრივ ერთი ჰიპოსტასის მეორესთან მიმართების გადმოსაცემად (მაგ. "ძე - თანაარსი მამისა"). მკვლევარის მითითებით, ამგვარივე სურათი გვაქვს ეფრემთანაც¹ და, მისი დასკვნით, მხოლოდ არსენთან შეიმჩნევა მნიშვნელოვანი სიახლე იმ მხრივ, რომ ეს უკანასკნელი ყველა კონტექსტში (მათ შორის, მთლიანად "სამების" მიმართაც) იყენებს ოდენ "თანაარსს". მ.რაფაფა, კერძოდ, მიუთითებს:

"საერთო სურათიდან გამონაკლისს წარმოადგენს არსენ იყალთოელის თარგმანები, სადაც ყოველგვარ კონტექსტში დასტურდება მხოლოდ "თანაარსი". (იქვე).

ამგვარად, მკვლევარის საყურადღებო მსჯელობის მიხედვით, საქმის ვითარება ასე წარმოჩნდება:

ეფრემ მცირე, ტრადიციის კვალობაზე, ტერმინ "თანაარსს" მოუხმობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ერთი ჰიპოსტასის მეორესთან მიმართებაა გადმოსაცემი, ხოლო მთლიანად სამებისადმი ანუ ზოგადად ღმერთებისადმი იგი იყენებს "ერთარსებას" ან "ერთარსს". ეს ნიშნავს: ტერმინი "თანაარსი" სამების პრედიკატად ეფრემისათვის უცხოა და ამგვარი სიახლე მხოლოდ არსენთან იჩენს თავს.

თუ მითითებულ გარემოებას მხედველობაში მივიღებთ, მაშინ "ოთხასეულიდან" ზემომოტანილი მეოთხე ციტატა, სადაც "თანაარსი" სამებას მიემართება, თითქოს არაეფრემისეულად წარმოჩნდება.

ვფიქრობთ, საჭიროა კვლავ აღნიშვნა, რომ ეფრემისეული ტერმინოლოგია ერთსახოვანი არ არის და მასში გამოიყოფა ორი ეტაპი: ტრადიციული და მკვეთრად ნოვატორული.² გრიგოლ ღვთისმეტყველის თექვსმეტსიტყვედის ეფრემისეული თარგმანი არა მხოლოდ საკუთრივ ეფრემის ტერმინოლოგიას ჰყოფს ორ ნაწილად, არამედ ამ თარგმანის სახით ქართული საღვთისმეტყველო ცნებათმეტყველების ისტორიაში აშკარად იმიჯნება ახალი ძველისაგან. სწორედ ამ თარგმანის მიერ ედება უმყარესი საფუძველი ღვთისმეტყველურად გაცნობიერებულ, ჭეშმარიტად ტერმინომცოდნეობით აკრიბიას, რაც ფორმობრივი ასპექტით შეიძლება ელინოფილობად იქნეს წოდებული.

"თანაარსისა" და "ერთარსების" ტრადიციული პრედიკატული გამიჯვნა

1 მკვლევარი აღნიშნავს: "ეფრემ მცირის მიერ 'ერთარსისა' და 'თანაარსის' გამოყენებას გარკვეული კანონზომიერება ახასიათებს: 'ერთარსი' გამოყენებულია მთლიანად სამების ან ღმერთის მიმართ, ხოლო 'თანაარსი' იმ შემთხვევაში გვხვდება, როცა სამების ცალკეული წევრები - მამა, ძე და სული წმინდაა დასახელებული" (მ. რაფაფა, ქართული დოგმატიკის ისტორიიდან, მრავალთავი II, თბ. 1973, გვ. 111).

2 ცხადია, გასაგებია, რომ ახალ ტერმინოლოგიურ ეტაპზე ასვლა პროცესია და, შესაბამისად, იგი აუცილებელ გარდამავლობას, თანდათანობითობას გულისხმობს, რაც ბუნებრივად ვლინდება ეფრემისეულ თარგმანებში.

ეფრემთან შენარჩუნებულია ("ერთარსების" პრიორიტეტზე აქცენტირებით) მხოლოდ პირველ ეტაპზე. შემდეგში ეფრემი უპირატესობას ანიჭებს ტერმინ "თანარსს//თანარსებას" და მას მოუხმობს არა მხოლოდ ჰიპოსტასთა თანაობის, არამედ სამების ერთარსების აღმნიშვნელადაც (ამ მხრივაც, ისევე როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, არსენი ეფრემს ემოწათება). მაგალითად:

"თანარსთა (ομοουστων) ზედა სათქუმელად უწყი" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, სიტყვები, A-109, 216.2; col. 445A); "კუალადცა სდრტვნვიდე თანარსებისათვს (τω ομοουστω) შეიწრებული" (იქვე 216v1; 445A); "სამნივე ღმერთად ურთიერთას თანად საცნობელნი, იგი (სამება, ე.ჭ.) - თანარსებისათვს (ομοουσσιότητα), ესე (ღმერთი, ე.ჭ.) ერთმთავრობისათვს" (იქვე 111.1; 417B); "[ერესმა] ყოველი გარდააქცია და შეიბყრა, რაჟამს კეთილმსახური შჯული იგი ძუელი და თანამოსახელე სამებისად დაჰჰსნა დადგმითა მანქანათა და სასხრტოთადთა შერყევად თანარსებისა (τω ομοουσσιον) (A-52, 130 v-131; 1108A).¹

ამგვარად, სამების პრედიკატად "თანარსის" მოხმობა ეფრემის მიერ ჩანს დამკვიდრებული.

* * *

ზემოწარმოდგენილი ტერმინოლოგიური მსჯელობის შემდეგ დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მაქსიმე აღმსარებლის შრომები "ორასეული", "ოთხასეული" და "თავნი ათხუთმეტნი" (ნაკლულად) ქართულად ითარგმნა ეფრემ მცირის მიერ.

* * *

გავიხსენოთ: ხსენებული ტერმინოლოგიური მსჯელობა გამომდინარეობდა იმ აუცილებლობიდან, რომ შეძლებისდაგვარად გამოგვეკვეთა ძველ ქართულ საღვთისმეტყველო ენაში არსებული სხვადასხვა ტერმინოლოგიური სტრუქტურების ურთიერთმიმართება. აღვნიშნავთ, რომ ამგვარი მსჯელობა, თავის

¹ მსგავსად "თანარსებისა" ეფრემთან გვიანდელ ეტაპზე ასევე აქცენტირებულია "თანამოსახელე" ("ერთსახელის" ნაცვლად, იხ. ზემოთ), "თანამოპატივე (ομοτιμος)" (ადრეული "ერთპატივის" ნაცვლად; მაგალითად: "თანამოპატივე სიბოროტითა", A-52, 135v2 - 1120 B). ყურადღებას მივაქცევთ იმასაც, რომ მრავლავს ზემოაღნიშნულ გამოკვლევაში განხილულია ქართული "თანარსის" მომდინარეობის საკითხი. პატივცემული მკვლევარი მას უკავშირებს ნახევრადარიანულ ტერმინს ομοιουστος (მსგავსარსება) (იხ. დასახ. გამოკვლევა, გვ. 123). ამ მოსაზრების გაზიარება ჩვენ შეუძლებლად გვესახება, რადგან, ერთი მხრივ, ქართული "თანარსი" არ ნიშნავს "მსგავსარსს", მეორე მხრივ კი, იგი ("თანარსი") ყველგან ოდენ "ჰომოუსიოსის" (ე.ი. ერთარსების) შინაარსს შეიცავს და მისივე გადმომცემია ქართული "თანარსი//თანარსება" ისევე მომდინარეობს ბერძნული ομοουστος-ისაგან და ისევე უფიქვდება მას, როგორც - "ერთარსება//ერთარსი"; ანუ "თანარსიც", და "ერთარსიც" ისევე მომდინარეობს ერთი და იმავე ბერძნული ტერმინიდან (ομοουσσιოდან), როგორც - "თანამოსახელე" და "ერთსახელი" - ομοσυμος-იდან, "თანამოპატივე" და "ერთპატივი" - ομοτιμος-იდან და სხვ. აღვნიშნავთ, რომ ტერმინი "ერთარსი" ομοουστος-ის შესატყვისად დამოწმებულია არსენთანაც ("ერთარსნი და ერთბუნებანი", დოკმ. 253.1-1512A).

მხრივ, ეფუძნებოდა ერთერთი მნიშვნელოვანი ტერმინის *ποιότης*-ს ქართულ შესატყვისთა ანალიტიკურ შესწავლას.

* * *

როგორც მივუთითებდით, ამათუიმ ბერძნული ტერმინის ქართულად თარგმნის საკითხი ფილოლოგიურ პრობლემატიკასაც მოიცავს, კერძოდ, იგი ზოგ შემთხვევაში მჭიდროდ უკავშირდება თარგმანთა ატრიბუციის გარკვევას. ვფიქრობთ, ამის ერთერთი ნიმუშია თუნდაც ზემორე მსჯელობა. გავიხსენოთ, რომ "ორასეულსა" და "ოთხასეულში" ბერძნული *ποιότης*-ს შესატყვისად ოდენ ტერმინ "რომელობის" არსებობა გარკვეულწილად მიმართულების მიმცემად წარმოგვიჩინდა ტერმინოლოგიური კვლევისათვის, რადგან აღნიშნული ასპექტით უკვე ნაკლებ სავარაუდო გახდა სპეციალურ ლიტერატურაში მიღებული აზრი ხსენებულ თარგმანთა გელათური სკოლიდან მომდინარეობის შესახებ (სადაც ნაცვლად "რომელობისა" იმავე შინაარსით აქცენტირებული იყო "ვითარება").

კონკრეტულად ამავე ტერმინის (*ποιότης*) ქართულ შესატყვისთა ანალიზმა ნაწილობრივ წარმოაჩინა ის სხვაობაც, რაც მრავალ შემთხვევაში ავლენს თავს პეტრიწსა და გელათურ სკოლას შორის.

* * *

ტერმინ *ποιότης*-ს ქართულად თარგმნის ისტორია ზოგადი განხილვის წესით ზემოთ წარმოვადგინეთ. ამჯერად, საკითხის შესაძლო სისრულისათვის, მოკლედ ყურადღებას მივაქცევთ კიდევ ერთ საკითხს:

როგორც აღნიშნული გვაქვს, ეფრემ მცირე კვალიტატური შინაარსით ამკვიდრებს ტერმინ "რომელობას", რაც მეტნაკლებად შენარჩუნებულია გვიანდელ ტრადიციაში (განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდება იგი იოანე პეტრიწთან), თუმცა არსენი მეტ ყურადღებას უთმობს ტერმინ "ვითარებას", რაც კიდევ უფროა აქცენტირებული XII ს-ის გელათურ სკოლაში.

ცნობილია, რომ გელათური სკოლის ერთერთ გვიანდელ მოღვაწედ წარმოჩნდება პეტრე გელათელი, რომელმაც ქართულად თარგმნა იოანე სინელის "კლემაქსი". აღნიშნული თარგმანი, როგორც მივუთითებდით, ტერმინოლოგიური სტრუქტურის მიხედვით უთუოდ ცალკე გამოიყოფა (იხ. ზემოთ, ტერმინოლოგიურ სტრუქტურათა დაჯგუფებანი). ასეთი გამოცალკეების საფუძველს ქმნის სწორედ ტერმინი *ποιότης*, რომელიც პეტრე გელათელის მიერ სრულიად თავისებურად არის თარგმნილი, რაც სხვა, ჩვენს მიერ შემოგანხილულ თარგმანებთან ანალოგს ვერ პოულობს.

ტერმინოლოგიური ასპექტით ხსენებული თარგმანი ძირითადად სპეციფიკურად გელათურ ტრადიციას მიჰყვება, თუმცა ზოგან საკუთრივ პეტრიწისეულ გავლენასაც ამჟღავნებს. მხედველობაში გვაქვს თუნდაც ის გარემოება, რომ ბერძნული *διαβολα* აღნიშნულ თარგმანში გადმოტანილია არა მარტო ტრადიციული "გონებით" ანდა არსენისეული (და გელათური) ტერმინით "გაგონებად", არამედ, აგრეთვე, როგორც "მიმოგონებად", რაც სწორედ

პეტრიწისთვისაა ნიშანდობლივი. მაგალითად:

"ოცნებად არს ცთუნებად თუალთაჲ მძინარესა შინა მიმოგონებასა (*εν κοιμωμενη διανοια*)" (A-39,23; ბერძნ. ტექსტი იხ. არქიმანდრიტ იგნატის დასახ. გამოც., გვ.63).

"მიმოგონებისა (*διανοιας*) ნაცვალმორკინალ" (იქვე, 167; ბერძნ. იქვე 326).

"ყოველთა შინა საქმეთა და მიმოგონებათა (*διανοηματα*)" (194v; 371)
აშიაზე: "... გონებად ვიდრემე ვიტყვთ მიმოგონებითა მას ჩუენსა და ვითარ რაჲ თუალსა სულისასა" (151).

აშიაზე: "მიმოგონებისა ჩუენისა წამი" (151).

რაც შეეხება ტერმინ *ποιότης*-ს, იგი პეტრე გელათელის მიერ ყველა შემთხვევაში თარგმნილია სრულიად ახალი შესატყვისით "მოქმედებად". აი, სათანადო ნიმუშები;

"ღმობიერებისა მოქმედებისა (*ποιότητα*) მგონებელი" (A-39, 72v; 148);
"მოქმედებისა მიმართ (*προς τας ποιότητας*) ჩუენთა ვნებათაჲსა" (52; ბერძნ. დასახ. გამოც. 112); "ცუდდიდებობაჲ არს... ჩუეულებათა მიმოქცევაჲ და მოქმედებისაებრ (*κατα την ποιότητα*) შრომათა დამაბნეველი" (116 r-v; 238); "ყოვლისამი სიტყვსა მოქმედებითა (*ποιότητα*) თვისთა უცნაურად მგები (*διαμενοντα*)" (130v; 265); "რაოდენობისათვის ვიდრემე წმიდისა ამის თქუმად შეუძლებელ, ხოლო მოქმედებისათვის (*περι της ποιότητος*) უშეუძლებელეს გამოთქუმაჲ" (132; 267); "ლოცვაჲ არს, მის-ძლითისაებრ ვიდრემე მოქმედებისა (*ποιότητα*), თანამყოფობაჲ და შეერთებაჲ კაცისა და ღმრთისაჲ" (183v; 355); "...რამეთუ ჩუენ შემდგომად მოქმედებისა (*ποιότητος*) და სიმრავლისა რაოდენობისაჲსა, ვითარცა უსრულნი, მოქენე ვართ" (186v; 359); "სიყუარული - მოქმედებისაებრ (*κατα ποιότητα*) ვიდრემე მიმსგავსება ღმრთისა" (196; 374).

როგორც ვხედავთ, პეტრე გელათელისათვის უგამონაკლისოდ სპეციფიკურია ტერმინთშესატყვისობა *ποιότης* - "მოქმედებად". ეჭვი არ არის, რომ ამგვარი შესატყვისობა ეფუძნება ბერძნული ტერმინის დაკავშირებას ზმნასთან *ποιεω* (და არა ზმნასთან *ποιω*).

კარგად არის ცნობილი, რომ ქართული "მოქმედებად" ტერმინოლოგიური შესატყვისია ბერძნული *ενεργεια*-სი.¹ როდესაც პეტრე გელათელი ცვლის უაღრესად მყარად დამკვიდრებულ ტრადიციას და ტერმინ "მოქმედებას" კვალიტატური, რაგვარობის აღმნიშვნელი შინაარსითაც ტვირთავს, იგი, როგორც ტერმინოლოგიური ზედმიწევნითობის გამოკვეთილად ერთგული დამცველი, ცხადია, იმავე "მოქმედებას" ვეღარ შეუნარჩუნებდა ტრადიციულ შესატყვისობას ბერძნულ *ενεργεια*-სთან.

არსენისეულ-გელათური ტერმინოლოგიური სტრუქტურის ერთი ელემენტის ძირეული შეცვლა, კერძოდ *ποιότης*-ს თარგმნა "მოქმედებად", ნაცვლად "ვითარებისა" (ან თუნდაც "რომელობისა"), უეჭველი კანონზომიერებით იწვევს სხვა მნიშვნელოვან ცვლილებასაც. მათლაც, თუკი "მოქმედებად" (ანდა უფრო

¹ ჩვენთვის ამჯერად საყურადღებო არ არის იმავე *ενεργεια*-ს ნაკლებტერმინული შესატყვისები: "შეწვენად", "საქმარი" და მისთ.

ზედმიწვევითი "შორის-მოქმედებად") გელათურ ტექსტებში *ενεργεια*-ს შინა-არსს შეიცავდა, ამ ტერმინის კვალიტატური მნიშვნელობით დატვირთვამ აუცილებელი გახადა ბერძნული *ενεργεια*-ს თარგმნა წინარე ტრადიციისაგან სრულიად განსხვავებულად, ახლებურად, ე.ი. ახალი შესატყვისის შემოტანით. პეტრე გელათელი ასეთ შესატყვისად გვაწვდის ტერმინს "საქმიერობად". აი, სათანადო ნიმუშები:

1. *ενεργεια*:

საქმიერობისაგან (A-39, 64v, ბერძნ. გვ. 135); საქმიერობად (73v; 152); საქმიერობისასა (75; 155); საქმიერობისაგან (116; 236); საქმიერობისა (130v; 264); საქმიერობად (132v; 267); საქმიერობათაგან (135; 271); საქმიერობისა (160v; 315); საქმიერობისაგან (172; 334); საქმიერობისაებრ (183v; 355); საქმიერობათადასა (191; 365); საქმიერობად (194v; 371); საქმიერობისაებრ (196; 374); საქმიერობად (196; 374); საქმიერობად (197; 375); საქმიერობითა (200v; 381); საქმიერობისა (214; 403).¹

2. *ενεργειν*:

საქმიერობად (93v; 193); საქმიერობად (144v; 287); საქმიერობად (207; 391).

3. *ενεργεω*:

ისაქმიერა (*ενηργησε*) (189v; 363); ისაქმიერა (205v; 389);

4. *ενεργως*:

საქმიერობით (167v; 326); საქმიერობით (107v; 326; ბერძნ. ტექსტში არის *εναργως*, რაც ქართველი მთარგმნელის მიერ გამოყენებულ ბერძნულ ხელნაწერში უთუოდ წარმოდგენილი იქნებოდა, როგორც *ενεργως*);

5. *ενεργεστερος*:

უსაქმიერესისა (72a; 150; ამჯერადაც ბერძნულ გამოცემაში გვაქვს *εναργεστερος*);

ტერმინი "საქმიერობად" გვხვდება აგრეთვე "კლემაქსის" ტექსტის აშიაზე მიწერილ ერთ სქოლიოში. კონტექსტის მიხედვით მის ბერძნულ შესატყვისად ამჯერადაც *ενεργεια* ივარაუდება:

"აღორძინებისაებრ სხეულისა იგიცა (სული, ე.ჭ.) თვსთა საქმიერობათა აჩუენებს" (155).

აშიაზე მინაწერში გვხვდება, აგრეთვე, ტერმინი "უსაქმიეროდ" ("უგრძნობელ არს უსაქმიეროთა მომგებელი საგრძნობელთად", 109v), რაც უეჭველად შეესატყვისება ბერძნულ *ανενηργητος*-ს.

ამგვარად, თუკი ეფრემთან, არსენთან, გელათურ სკოლაში და იოანე პეტრიწთან ბერძნული *ενεργεια*-ს უძირითადეს შესატყვისად ტრადიციის კვალობაზე გვხვდება "მოქმედებად", პეტრე გელათელთან იმავე ტერმინის ასევე უძირითადეს შესატყვისად გვხვდება "საქმიერობად".

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ტერმინი "საქმიერობად" უფრო კი მისი

¹ გამონაკლისები უარესად იშვიათია: მოქმედებითა (191; 365); საქმიოსა (*κατ'ενεργειαν*) (393; 208).

მოქმედებითი ბრუნვა "საქმიერობით" ანდა ხიშანდობლივი ფორმები "საქმიერობითი", "საქმიერი" ქართულ საეკლესიო მწერლობაში გამოკვეთილად თავს იჩენს ეფრემ მცირესთან, არსენ იყალთოელთან და შემდეგ მის კვალს მიდევნებულ გელათურ სკოლაში.

ეფრემ მცირე ბერძნულ ტერმინებს *πρακτικος, πραγματικως, κατα την πραξιν, δια πραξεως* ტრადიციულ შესატყვისებთან ერთად ქართულად თარგმნის აგრეთვე სიტყვებით "საქმიერად"¹ "საქმიერებით":

"საქმიერებით (δια πραξεως) სცვალებს" (ორასეული, 1.33) "ამას მღდელმემსხუერპლეობასა... საქმიერად (πραγματικως) სახელ-სდვეს" (დიონისე არეოპაგელის შრომები, ს. ენუქაშვილის გამოც. გვ.192.11); "საქმიერებით (δια πραξεως) სცვალებს" (მაქსიმე, ორასეული 1.33; A-39, 284v - 1096A); "დაიცხრვო თავსა შორის თვსსა საქმიერებით (κατα την πραξιν) გუამი განხრწნადთაჲ" (იქვე 1.35); "... საქმიერებით (πρακτικην) სტადიონსა შინა სათნოებისასა" (იქვე 2.68; 317).

აღვნიშნავთ იმისაც, რომ, როგორც უკვე მითითებული გვქონდა, ეფრემთან დამოწმებულია ტერმინი "საქმიერებაჲ" ბერძნული *το δραστηριον*-ის შესატყვისად (არეოპაგელი, 147.5). იგივე ტერმინი კვლავ გვხვდება არეოპაგიტიკის ეფრემისეულ თარგმანში: "[ცხად-ჰყოფს] მოქმედებასა და საქმიერებასა და მაქმნეველობასა" (145.35). ბერძნულში ვკითხულობთ: ... *το ποιητικον και ενεργητικον και δραστηριον* (332 C). თუმცა რიგის მიხედვით "საქმიერებაჲ" თანხვდება *ενεργητικον*-ს, მაგრამ მათი ტერმინოლოგიური დაკავშირება საეჭვოა, რადგან: (I) ძალიან ხშირად, როგორც ეს ნოერული და ნოეტური ტერმინების მიმართ გვაქვს აღნიშნული, სინონიმურ ტერმინთა გვერდიგვერდ გადმოტანისას პირდაპირი რიგი ხშირად შენაცვლებულია (ეს ვლინდება სხვა მთარგმნელებთანაც), (II) თვით ამავე თარგმანში ტერმინი *ενεργεια* ორიგინალში არსებული 72 დამოწმებიდან 72-ივე შემთხვევაში, ე.ი. უგამონაკლისოდ გადმოტანილია, როგორც "მოქმედებაჲ". შესაბამისად, ზემორე ციტატის "მოქმედებასა" შესაძლოა გულისხმობდეს სწორედ *ενεργητικον*-ს. მით უმეტეს, იქვე, ტექსტში "მოქმედობასა და საქმიერებასა" (147.5) ტერმინი "მოქმედობასა" სწორედ *ενεργεις*-ს შეეფარდება.²

¹ ტერმინი "საქმიერად" ეფრემისეული ტექსტიდან დამოწმებული აქვს აგრეთვე ზ. სარჯველაძეს ("საქმიერად ვიპყრათ გუამი ჩუენი", A-689, 163 v, "ძვ. ქართუნი ს. ლექს.", გვ. 83), თუმცა მკვლევარისეული განმარტება "შრომით" შორს დგას სიტყვის ჭეშმარიტი შინაარსისაგან ("საქმიერად", "საქმიერებით" ნიშნავს, საქმიერად, პრაქტიკულად).

² ეფრემი ხსენებულ ტერმინებს გადმოსცემს, აგრეთვე, ცნობილი შესატყვისით "საქმიით". მაგალითად: "საქმიითა (*πραγματικης*) მათ მათთა ჭეშმარიტებათაგან" (დიონისე, 213.30; ბერძნ. 560B); "საქმიითსა (*πραγματικην*) განყოფილებასა" (იოანე დამასკელი, გარდამოცემა, 45v1; 829A; შდრ. არსენი: "საქმიით" 59.2); "ადგილ მწუანვილოან არს საქმიითი (*πρακτικη*) სათნოებაჲ" (მაქსიმე, ოთხასეული, 2.95; 247); "ტაბლაჲ აქა საქმიითსა (*πρακτικην*) სათნოებასა მოასწავებს" (იქვე 3.2; 247 v); ეფრემთან გვხვდება ბერძნული *πρακτικος*-ის სხვა შესატყვისებიც, მაგალითად: "არა კმა-არს მოქმედებითი ღონე..." (იქვე 2.5); "მოქმედთადა მოსაგებელი" (იქვე 2.6); "მოქმედებითობაჲ რაჲ წარჰმართოს გონებაჲმან, ცნობიერებაჲ წარემატების" (იქვე 2.26); "მეცნიერებითად ანაგებად მიწევნულ იყოს მოქმედებითისაგან" (იქვე, ორასეული, 2.59) და სხვა.

ამჯერად დავიმოწმებთ იმავე ტერმინთა ორ საილუსტრაციო ნიმუშს არსენის თარგმანთაგან:

"საქმიერთაგან (*πραγματικων*) გამოსაჩინებელთა წყობა-წყავთ" (დოგმატიკონი 37.2; Pg.89, 296 D); "საქმიერობითთა (*πρακτικων*)" (იქვე 269.1; ბერძნ. ტექსტი, ნიკიტა სტითატის შრომათა დასახ. გამოც. გვ. 114; როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, არსენი ტერმინით "საქმიერი" გადმოსცემს, აგრეთვე, ბერძნულ *δραστικος*-ს).

საყურადღებოა, რომ თუ ეფრემთან სიტყვის ბოლო ნაწილში გვხვდება "ე" ("საქმიერებით"), არსენთან გვაქვს "ო" ("საქმიერობითთა"). გელათურ სკოლაში დამკვიდრებული ჩანს ორივე ფორმა. მოგვაქვს ნიმუშები:

1. *πραγματικως*:

"საქმიერობით და სრულად დაცვული" (მაქსიმე, გელ. 14, ხელნ. 277.2; 84A); "საქმიერობით შემტკიცებული" (იქვე 281.2; 149C); "არსებისშინა არს... ზიარობასაცა არსებისასა საქმიერად მომგებელი" (281v2; 152A); "არსებისშორისსა თვს-ყვეს საქმიერობით შეგუამებად" (282.2; 153A); "ესრეთ სადმე საქმიერობით ძალისაებრ ლოცვისადასა განმაწესებელნი თავთანი" (იქვე, 184v2; 900D); "კარგად თქუა, ვითარმედ "ქუმედებარისადო" ნაცვალად "არსებითისა" და "საქმიერობითისა" (ამონიოსი, 121.26; 31.10)

2. *πραγματικος*:

"საქმიერობითისა უკუე მეცნიერნი" (მაქსიმე, ფოტო 457.2; 572 C); "მხედველობითნი და საქმიერობითნი" (ამონიოსი, 6.5-4.8; დამოწმებულია მ.რაფაეას მიერ, გვ. 215)

3. *πρακτικως*:

"საქმიერებით მკუთნველმან ღმრთისამან" (მაქსიმე, 296.1; 761A); "გამომაჩინებელი მეცნიერად და საქმიერად" (იქვე 286.2; 248D); "საქმიერად თანადორძინებული" (იქვე 80.2; 493A);

4. *πρακτικος*¹:

"საქმიერებითთა თანა ძალთა სულისათა ადვილად შემათვსებელი" (იქვე 127v1; 657 A); "საქმიერებითისა სულისადასა ამაოდ დაშურომისა მარწმუნებელი" (იქვე 128.1; 657 C); "საქმიერებითთაგან ძალთა სულისათა განგდებად" (იქვე 144v1; 708 A);

¹ აღნიშნული ტერმინი გელათურ სკოლაში, ისევე როგორც არსენთან და ეფრემთან, ხშირად არის თარგმნილი სიტყვით "საქმიით". მაგალითად: "სიტყუსა მიერ საქმიითსა ფილოსოფოსობისა" (მაქსიმე, 30v1; 329A); "საქმიითსა გონებასა" (30v2; 329 D); "საქმიითსა ფილოსოფოსობისა გუარნი" (იქვე, ფოტო 81.2; 385B); "საქმიითსა მოძრავობისა გონებისადასა" (იქვე, ფოტო 82.1-2; 388 A); გვხვდება სხვა შესატყვისებიც: "სარწმუნოდ და მოქმედებითი გონებად" (იქვე, ხელნ. 30.2; 328D); "საქმისაებრთა გულისსიტყუათა" (იქვე 31.1; 332A). ტერმინი *πρακτικος* ტერმინოლოგიურად "საქმიითად" არის გადმოტანილი გრიგოლ აკრაკანტელისა და ოლიმპიოდორეს ეგზეგეტურ შრომათა მთარგმნელის მიერ: "საქმიითსა" (მიტროფანე ზმირნელი, ქვეკელიძის გამოც 19.17; 784 D); "საქმიითსა და ხედვითსა" (ოლიმპიოდორე, A-61, 171.1; 556 c); "საქმიითთაცა" (*πρακτειας*) (იქვე 282.1; 612 A). ერთგან გვხვდება "მოქმედობითი" (იქვე 88.2; 509B). დავძენთ, რომ ტერმინი "საქმიით" ოთხი ნიმუშით დამოწმებულია ზ. სარჯველაძის მიერ (დასახ. ლექს. გვ.183). თუმცა მკვლევარის განმარტება "აღსრულებული" შეუსაბამოა.

5. *πραγματιωδως*:¹

"საქმიერებით აჩუენოს უეჭუელად" (მაქსიმე, 149v2; 721 A)

6. *εμπρακτος*:

"მოწლებად საქმიერი" (მაქსიმე, 185v1; 901 D) "საქმიერისა სარწმუნოებისა ქონებასა გუასწავებს მისსა მიმართ" (იქვე 90.2; 521 A)

საყურადღებოა, რომ ტერმინი *πρακτικος* გვხვდება იოანე სინელის "კლემაქსშიც" და პეტრე გელათელი მას გადმოსცემს სიტყვით "საქმიით".²

"მეცნიერებისა მიერ საქმიითისა მიმავალთად" (104v; 212); "საქმიითისად იწყონ" (142v; 284); "ავფრინდე საქმიითისა მიერ" (24; 65)³

ზემოდამოწმებული ნიმუშები ცხადყოფს, რომ VI ჰომოგენური ჯგუფის ტექსტებში (XII ს-ის გელათურ თარგმანებში) გვხვდება როგორც "საქმიერებით" (ეფრემისეული ფორმა), ასევე "საქმიერობით" (არსენისეული ფორმა) იმ კანონზომიერებით, რომ პირველი მათგანი გადმოსცემს ბერძნულ *πρακτικος*, *-κως*-ს, ხოლო მეორე - *πραγματικος*, *πραγματικως*.

ამგვარად, დამოწმებული ნიმუშები, ვფიქრობთ, სრული უეჭველობით წარმოგვიჩენს პეტრე გელათელის ტერმინოლოგიური სტრუქტურის მკვეთრ სხვაობას ეფრემის, არსენის, მეექვსე ჰომოგენური ჯგუფის (XII ს-ის გელათური ტექსტების) და იოანე პეტრიწის ტერმინოლოგიურ სტრუქტურებთან. ამ მხრივ პეტრე გელათელის საღვთისმეტყველო ენის აშკარა თავისთავადობას ქმნის არა მხოლოდ ტერმინთშესატყვისობა *ποιότης* - "მოქმედებად" (რაზეც უკვე აღვნიშნეთ), არამედ აგრეთვე ბერძნული *ενεργεια*-ს უძირითადეს შესატყვისად ტერმინ "საქმიერობად"-ს შემოტანა. ამ მოვლენას სრულიად არავითარი ანალოგი არ ეძებნება სხვა მთარგმნელებთან, რომლებიც იმავე ქართულ ტერმინს, უფრო კი მის ზემოხსნებულ ფორმებს ("საქმიერად", "საქმიერობით", "საქმიერებით", "საქმიერობითი", "საქმიერებითი") ძირითადად მოუხმობენ ბერძნული *πραττω* ზმნიდან მომდინარე ჰომოგენური ფორმების გადმოსაცემად (*πραγματικος*, *-κως*, *πρακτικος* - *κως*).⁴ თავის მხრივ, პეტრე გელათელთან ეს უკანასკნელნი, კერძოდ ტერმინი *πρακτικος*, თარგმნილია ცნობილი შესატყვისით "საქმიით".

პეტრე გელათელის თარგმანს, რათქმაუნდა, სხვა სპეციფური ტერმინთშ-

1 ეს ტერმინი სხვა შემთხვევაში თარგმნილია ასე: "საქმისსახეობით" (მაქსიმე, გელ.14, ფოტო 428.1; 524 D).

2 მიმღეობა *πραττομενος* პეტრეს მიერ თარგმნილია ტერმინით "სასაქმოდ": "ყოველთა სიტყვთ სასაქმოთა განაძლიერებს სიმდაბლენ" (134; 270). საყურადღებოა, რომ ერთგან *παρεκτικη* (მბოძებელი) გადმოტანილია ტერმინით "საქმიერობა": "სიყუარული - სასწაულთა საქმიერობა" (198v-373). ხომ არ იყო ბერძნული ტექსტის მთარგმნელისეულ ნუსხაში *πρακτικη*?

3 ზემოაღნიშნული ტერმინების ნაწილი გვხვდება ნემესიოსის წიგნში. პეტრიწი ასეთ ტერმინთშესატყვისობას გვაწვდის: (I) *πρακτεος*//*πρακτος* - "ქმნადო" (136.5-733B; 136.8-733B; 145.21-749B; 146.3 - 752A; 148.7 - 756A; 159.25-776B); "საქმიით" (138.10-737A); "საქმადო" (159.2 - 773B; 160.14 - 777A); "მოქმედებითი" (160.5 - 776C; 160.8 - 776C); (II) *πρακτικος* - "მოქმედებითი" (158.21; 159.1; 159.3 - 773B); (III) *πεπραμενος* - "საქმიით" (147.7 - 753A); (IV) *πραττομενος* - "საქმნარი" (154.8-768A)

4 როგორც ჩანს, ამავე (ეფრემ მცირიდან მომდინარე) ტერმინთშესატყვისობას იზიარებდა პეტრიწიც. რადგან ნემესიოსის წიგნის თარგმანში მას ერთგან ბერძნული *εν πραττοις* (785 B) თარგმნილი აქვს ასე: "კეთილ საქმიერთა" (165.6).

ესატყვისობანიც ახასიათებს, მაგრამ ვიდრე მათზე გავამახვილებდეთ ყურადღებას, კვლავ გვინდა გავუსვათ ხაზი იმ უმკვეთრეს თავისებურებას, რაც გულისხმობს ბერძნული *εσπερυεια*-ს სისტემურად თარგმნას ტერმინით "საქმიერობა". საქმე ისაა, რომ *εσπερυεια* წარმოადგენს ერთერთ უხშირეს ლექსიკურ ერთეულს. მიუხედავად ამისა, ვერცერთ სხვა მთარგმნელთან ვერ ვპოულობთ მის ტერმინულ შესატყვისად "საქმიერობას" გარდა პეტრე გელათელისა. ეს ფაქტი იმდენად ნიშანდობლივი ჩანს, რომ იგი შეგვიძლია მივიჩნიოთ პეტრე გელათელის საღვთისმეტყველო ენის ხელწერად, რადგან, ეჭვი არ არის, ტერმინთშესატყვისობა *εσπερυεια* - "საქმიერობა" თავისთავად კი არ გაჩენილა, არამედ იგი, როგორც აღვნიშნეთ, ეფუძნება პეტრეს მიერვე დამკვიდრებულ მყარ ტერმინოლოგიურ სიახლეს, რაც გულისხმობს *ποιότης*-ს თარგმნას, როგორც "მოქმედება" (იხ. ზემოთ).

აღნიშნული გარემოება საყურადღებო გვეჩვენება ერთი ასპექტით:

როგორც ცნობილია, ბოლო წლებში სპეციალისტებისათვის ხელმისაწვდომი გახდა ქართულ ხელნაწერთა ათონური კოლექციის ხელნაწერები, მათ შორის ხელნაწერი Ath.6, რომლის ვრცელი აღწერილობა მოგვცა მ. შანიძემ.¹

ეს ხელნაწერი დღეისათვის საკმაოდ შესწავლილია.² გამოცემულია მისი ერთი ნაწილი, კერძოდ ქართველი მთარგმნელის განმარტებანი ართრონთა შესახებ.³ აღნიშნული განმარტებანი მ. შანიძის მიერ კვალიფიცირებულია, როგორც ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი. მკვლევარი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მას და, ბუნებრივია, მსჯელობს ტრაქტატის სავარაუდო ავტორის შესახებ.

უპირველესი დასკვნა პატივცემული მკვლევარისა უყოყმანოდ გასაზიარებელია. ეს ნიშნავს: აღნიშნული გრამატიკული განმარტებების ავტორი მთარგმნელია არა მხოლოდ იმ ტექსტისა (იოანე ოქროპირის მეცხრამეტე ჰომილია), რომელსაც ხსენებული განმარტებები ერთვის, არამედ, აგრეთვე, ყველა სხვა თხზულებისა, რაც Ath.6-ში შედის (ეს თხზულებები წარმოადგენს იოანე ოქროპირის ავტორობით ცნობილ ჰომილიებს). მ. შანიძე აღნიშნავს:

"სიტყუად ართრონთათვს", როგორც უკვე აღინიშნა, დაწერილია იმ პირის მიერ, რომელსაც უთარგმნია მეცხრამეტე ჰომილია და საზოგადოდ ათონურ N6 ხელნაწერში შეტანილი ყველა თხზულება"⁴

შემდეგ მკვლევარი სვამს კითხვას, თუ ვის უნდა დაეწერა "სიტყუად ართრონთათვს" ანუ ვინ უნდა იყოს Ath.6-ის თხზულებათა მთარგმნელი. მ. შანიძე ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ აღნიშნული თარგმანები აღიბეჭდავს ბერძნული ენის მკვეთრ გავლენას (რაც ელინოფილური ტექსტებისთვისაა ნიშანდობლივი) და აღნიშნავს:

"გრამატიკული თხზულების დაწერის დროდ უნდა მივიჩნიოთ XI ს-ის დამლევნი ან XII ს-ის დასაწყისი".⁵

სავარაუდო ავტორებად მკვლევარი ასახელებს ეფრემ მცირეს და არსენ იყალთოელს, თუმცა მისი მსჯელობა უფრო არსენ იყალთოელისკენ იხრება.⁶

1 მ. შანიძე, სიტყუად ართრონთათვს ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი. თბ. 1990, გვ. 36-52.

2 იხ. დასახ. ნაშრომი.

3 იქვე, გვ. 132-159. აქვეა პუბლიცირებული იმ ჰომილიის თარგმანიც, რასაც ხსენებული გრამატიკული შენიშვნები ერთვის (გვ. 160-195).

4 იქვე, გვ. 121.

5 იქვე, გვ. 123.

6 იქვე, გვ. 131.

ხელნაწერი Ath.6 საკმაოდ მოცულობითია. შესაბამისად მასში შემავალი ტექსტების შესწავლა მდიდარ მასალას გვაწვდის მთარგმნელის ტერმინოლოგიური თავისებურებების შესახებ. მრავალი უეჭველი მონაცემის საფუძველზე (რის შესახებაც ნაწილობრივ ქვემოთაც ვისაუბრებთ) საძიებელ მთარგმნელად ვერ მივიჩნევთ ვერც ეფრემს, ვერც არსენს, ვერც XII ს-ის გელათურ სკოლას, ვერც პეტრიწს, საზოგადოდ, ვერცერთ ჩვენთვის მეტნაკლებად ცნობილ მთარგმნელს უძველესი დროიდან XII ს-ის ჩათვლით.

აღნიშნული ტექსტები ტერმინოლოგიურად უპირველესად იმით იქცევა ყურადღებას, რომ ბერძნული *εργεια*-ს ძირითად შესატყვისად მათში გვხვდება ოდენ პეტრე გელათელისათვის ნიშანდობლივი "საქმიერობა".¹ მოგვაქვს ნიმუშები:

"სამებად მარტივი... განუყოფელი ერთგობისაებრ, ძალისაებრ, საქმიერობისაებრ (*κατ εργειων*)" (Ath.6, 59.2; Pg.60, 768);² "ერთსა საქმიერობასა (*εργειαν*) მამისა და ძისა და წმიდისა სულისა გამოჩინებად" (60v2; 60, 769); "ერთსა საქმიერობასა (*εργειαν*) მამისა და ძისა და წმიდისა სულისასა" (იქვე); "სადაცა სული წმიდად საქმიერობს (*εργει*), - მამისა საქმიერობად (*εργεια*)" (84v1: 56, 422); "საქმიერი (*εργων*) ყოველსა შინა ... ხოლო ამათ ყოველთა საქმიერობს... სული" (I კორ. 12. 6.11; 51.2; 48, 1089); "განუყოფილებანი საქმიერობათანი (*εργηματων*) არიან" (I კორ. 12.6; 51.2; 48, 1089); "საქმიერობით (*εργειας*)" (8r-v; 59, 543); "შეწყნარებად სულიერსა საქმიერობასა (*εργειαν*)" (43.2; 52, 829); "საქმიერობად (*εργεια*) ღმრთეებისად" (44.2; 52, 830); "საქმიერობად (*εργειαν*) თქუმული" (46.2; 52, 832); "საქმიერობითნი" (*εργειας*)" (8; 59, 543); "შემდგომად ბევრეულთა საქმიერობათა" (144 v 1; 59, 638); "საქმიერობადცა სამებისად გამოჩინდეს" (100v1). "ესრეთ გამოჩინდეს საქმიერობად" (101v1).³

ამგვარად, ერთერთი უძირითადესი ტერმინოლოგიური თავისებურების მიხედვით Ath.6-ის თარგმანები უთუოდ პეტრე გელათელს უკავშირდება. მართალია, შესაბამის ბერძნულ ტექსტებში არ გვხვდება საკუთრივ ტერმინი *ποιότης*, რომ მისი ქართული შესატყვისის მიხედვით დამატებითი მონაცემი გვქონოდა, მაგრამ გარდა აღნიშნულისა სხვა ტერმინთშესატყვისობანიც ასევე მკვეთრად მიგვითითებენ პეტრე გელათელზე, ანუ იმ პირზე, ვინც იოანე სინელის შრომის ახალი პროზაული თარგმანი მოგვცა ქართულად.

სპეციფურობის ნიშნით, უპირველესად, ყურადღებას იქცევს ზმნა *σεβα*, არსებითი სახელი *το σεβας* (ნიშნავს "პატივის მიგებას", "თაყვანისცემას") და მათგან მომდინარე ფორმები: *σεβασμιος*, *ασεβεια*, *ασεβης*, *ευσεβης*, *ευσεβεια*, *θεισεβεια* და სხვა.

ბერძნული *το σεβας* და ზმნა *σεβα* ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში ძირითადად "მსახურების" შინაარსით გაიგებოდა, რაც შენარ-

¹ აღნიშნული ტერმინთშესატყვისობის ერთი ნიმუში მითითებულია მ. შანიძის მიერ იხ. დასახ. შრომა, გვ.118.

² Ath.6-ის ტექსტების შესატყვისი ბერძნული ორიგინალების მითითებისას აქაც და ქვემოთაც ყველგან ჯერ აღნიშნულია პატროლოგიის სათანადო ტომის ნომერი, ხოლო მძიმის შემდეგ შესაბამისი სვეტი.

³ იშვიათ შემთხვევაში (იხევე, როგორც "კლემაქსის" პეტრე გელათელისეულ თარგმანშიც) *εργεια*-ს შესატყვისად თავს ავლენს ტრადიციული "მოქმედება". ერთი ნიმუში მითითებულია მ. შანიძის მიერ (იხ. დასახ. შრომა, გვ.119). აი, კიდევ ერთი მაგალითი "მოქმედებითა (*εργουτων*)" (8v; 59, 544).

ჩუნებულია მათგან მომდინარე ზემომითითებულ ტერმინებშიც, თუმცა სხვადასხვა კონტექსტში შესატყვისებად შეიძლება შეგვხვდეს "პატივი", "სურვილი", "თაყუანისცემა" და სხვა. დავიმოწმებთ ზოგ ნიმუშს:

"მსახურებისა პატივსა (το σεβας) მიუბჟრობდეს" (იოანე ოქროპირი, თარგმ. დაბად., თეოფილე ხუცესმონაზონის თარგ., Ath.29, ფოტო 17; Pg. 50, 29); "ორთა შობათა მისთა ვჰმსახურებთ (σεβοντες)" (იოანე დამასკელი, გარდამოცემა, ეფრემ მცირის თარგ. A-24, 86.2; 1009C; იგივეა არსენთან, s-1463, 79v2); "ვჰმსახურებთ" (იქვე 36.2; 792A; შდრ. არსენი: "პატივ-ვსცემთ", 54.1); "სამსახურებელი (σεβασμιον)" (იქვე, ეფრემი, 115.1; 1129C; შდრ. არსენი: "თაყუანისსაცემელი", 92v1); "უმრავლეს მსახურებად (σεβας)" (გრიგოლ ღვთისმეტყველი, სიტყვები, ეფრემის თარგ., A-52, 130.1-1104C); "ცნობილი და მსახურებული (σεβομενος)" (იგივე, A-292, 279; 521C); "დასდებს... მსახურებასა" (არეოპაგელი, ეფრემის თარგ. 15.21); "მსახურ-ექმნის (εσ-εφθη)" (იქვე 162.11); "მსახურ-ვიქმნნეთ" (იქვე 250.17); "ჰმსახურებს ამის მიერცა" (237.29); "სამსახურებელსა (σεβασμιαν)" (იქვე 105.29; იხ. აგრეთვე 123.15; 123.27; 160.14; 181.28; 196.22; 212.11); "ღმრთივშუენიერთა სამსახურებლობითა (σεβασμοιητι)" (112.35); "მოსპე მსახურებად" (იოანე დამასკელი, ხატთათვის, ეფრემის თარგ., გელ.8, გვ.16-1245 C); "ამათ ყოველთა მსახურებად" (იქვე 19; 1264B); "ნივთსა ვჰმსახურებ" (იქვე 16; 1245 A-B); "მისსა მიმართ აღვაველნთ პატივსა მათსა" (გარდამოცემა, არსენის თარგ., 92v2; 1129 D), "პატივისმცემელნიცა მშობელთა" (თეოფილაქტე, ლუკას თავის განმარტება, იოანე ჭიმჭიმელის თარგ., A-113, 16.1-717C) და სხვა.

ზემოწარმოდგენილი სურათი ასახავს გელათური სკოლის წინარე ეპოქას. თვით ამ სკოლაში ანუ VI ჰომოგენური ჯგუფის ტექსტებში ტრადიციული შესატყვისების პარალელურად შემოდის მნიშვნელოვანი სიახლე, რაც გულისხმობს მითითებული ბერძნული სიტყვების (σεβα, σεβας) გადმოსაცემად ტერმინ "თნების" დამკვიდრებას. მაგალითად:

"ჩუენ მთნებელთა (σεβοντες) ღმრთისათა" (მაქსიმე, გელ. 14, 19v2; 297A); "ეთნნეს (εσεβασθησαν) და ეკუთნნეს აგებულსა (რომ. 1.26)... რად არს თნებად (σεβας)? ... თნება (σεβας) არს სარწმუნოებით თაყუანისცემა ღმრთისად, ხოლო კუთნვად (Λατρεία) - საქმეთამიერი მომადლება". (იქვე 19v2; 296D); "ამის თნებისა (σεβας), ასე იგი არს, რწმუნებისა (πιστιν)" (იქვე); "წმასნილთა თნებათა (σεβας) მიერ" (იქვე 181.2; 892 A); "მოთნეობასა (σεβας) აჩუენებს" (თეოფილაქტე, იოანეს თავის განმარტება, A-52, 83v; 88B).¹

საეკლესიო ტექსტებში უფრო ხშირია უარყოფითპრეფიქსიანი *ασεβεια*, *ασεβης*, რაც უკვე განხილული გვაქვს სპეციალურ წერილში,² სათანადო

¹ როგორც აღვნიშნეთ, გელათურ ტექსტებში ვლინდება სხვა შესატყვისებაც: "სამსახურებლობისა (σεβασμοιητος) მოშიშსა" (მაქსიმე, გელ.14, 17v1; 289B); "განწმედილი სურვილი" (იქვე 32.2; 536D); "უმეტეს ემოხურნების (σεβαζεται)" (92v1; 537A); "გარდაღებად მეცადინი ღმრთისაგან პატივისად" (127v2; 657B); "ვნებულისა ღმრთისა მსახურებად" (161v1; 760C); "ერთობითისა მსახურებად სამებისა" (178.2; 884B); "შერაცხილ-გყო (εσεβασθη) შენ" (252.2; 288B).

² იხ. ექვლიძე, ძიებანი წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის შესახებ, ფილოლოგიური ძიებანი, II, თბ. 1995, გვ. 176-179.

ნიმუშები გვიჩვენებს, რომ მითითებული ტერმინები გელათური სკოლის წინარე ეპოქაში ტერმინოლოგიურად ითარგმნებოდა, როგორც "უღმრთობა", "უშჯულოება", "უწესობა", "უსახურება", "უმსახურებელობა", "უღმრთო", "უმსახურებელი", "უსახური". XII ს-ის გელათური სკოლა მეტნაკლებად ინარჩუნებს ტრადიციულ ტერმინებს, მაგრამ ზემოაღნიშნული სიახლის საფუძველზე შემოაქვს ახალი შესატყვისი "უთნობა", "უთნო". ჩვენს მიერ უკვე მოხმობილ მაგალითებს დავუმატებთ რამდენიმე მათგანს (ყველგან "უთნობისა" და "უთნოს" ბერძნულ ეკვივალენტებად გვაქვს შესაბამისად *ασεβεια* და *ασεβης*):

"განურჩევლობასა ვიტყვ და უთნობასა" (მაქსიმე, გელ.14, 33v1; 336C), "მამხილებელმან უთნობისა მათისამან" (146.2; 712 B); "უთნოთა მიმართ... ჰყოფდეს" (41.1; 361 D); "უთნოდ ვიდრემე უწოდა სიტყუამან" (122.1; 640A); "კეთილსა ვიდრემე ნათელსა მიანიჭებს უთნოთა" (129v2; 665D); "უთნობით" (304v2; 433). "უთნოდ და ცოდვილი" (116 v 2; 628 A).

ეკლესიის მამებისათვის განსაკუთრებით ნიშანდობლივია კომპოზიტი *ευσεβεια*, რაც უძველესი დროიდან თითქმის უცვლელი ტერმინთშესატყვისობით გადმოიცემოდა, როგორც "კეთილმსახურება"// "კეთილადმსახურება" ან "ღმრთისმსახურება". სათანადო ნიმუშები აურაცხელია. ამავე ბერძნული ტერმინის სინონიმად წარმოჩნდება შედარებით იშვიათი *θεισεβεια*, რაც ტერმინოლოგიურად გადმოიცემოდა, როგორც "ღმრთისმსახურება".

გელათურ ტექსტებში ხშირად გვხვდება ტრადიციული "კეთილმსახურება" ან "ღმრთისმსახურება", მაგრამ იმ სიახლის საფუძველზე, რაც გულისხმობს ტერმინთშესატყვისობას: *σεβας* - "თნება", აღნიშნული კომპოზიტების შესატყვისებად შემოდის ოდენ VI ჰომოგენური ჯგუფისათვის სპეციფური "კეთილმთნებლობა", "კეთილთნობა" და "ღმრთისთნობა". აი, რამდენიმე ნიმუში:

"მეცნიერებითა და სათნოებითა ყოვლითურთ განმავითარებელნი (*πρωθυμειντες; imbuti sunt*) სულად კეთილმთნებლობისა (*ευσεβειας*)" (მაქსიმე, გელ.14, 58.2, 417D); "შემიქმს ჩუენ სიბრძნე უგუნურებისა მოსპოლვასა... და კეთილმთნებლობად - უთნობისა (*η ευσεβεια - της ασεβειας*)" (132.2; 672 D); "რომლისაგან არარას კეთილთნობითსა (*ευσεβειας*) შობს" (154.1; 740A); "ყოვლისა ღმრთისთნობისაგან (*θεισεβειας*) შიშუელქმნილი" (81v1; 496C).

რაც შეეხება პეტრე გელათელს, არც ის უგულვებელყოფს ტრადიციულ ტერმინებს ("კეთილმსახურება", "ღმრთისმსახურება"), მაგრამ ტრადიციისგან და XII ს-ის გელათური ტექსტებისგან (აგრეთვე, იოანე პეტრიწისგან) განსხვავებით ხსენებული მთარგმნელი აღნიშნული ბერძნული სიტყვების (*σεβω, σεβας*) გადმოსაცემად ამკვიდრებს ტერმინს "მოსავობა", რაც კანონზომიერად თავს იჩენს სხვა ზემოგანხილული ტერმინების (*ασεβεια, ευσεβεια, ασεβης, ευσεβης* და მისთ.) გადმოტანის ჟამს. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

1. *σεβομαι*:

ვემოსავებით (13; 44)

2. *σεβομενος*:

მოსავი (117; 238)

3. *ασεβης*:

უმოსავოთა (9v; 38); უმოსავოძ (10;38); უმოსავოძ (103; 209).

4. *ευσεβεια*:

კეთილმოსავობისაგან (19;56); კეთილმოსავობისა (25v; 67); კეთილმოსავობისაცა (155; 305).

5. *ευσεβης*:

კეთილმოსავთად (135v; 273); კეთილმოსავთაძ (150v; 298); კეთილმოსავთა (155; 305); კეთილმოსავი (191v; 366).¹

6. *ευσεβεστερος*:

უკეთილმოსავესთაძ (150v; 298);

7. *ευσεβως*:

კეთილმოსავობით (70-145; 71v-148; 86v-179); 108v-220; 140v-281; 143v-286; 180v-349;²

8. *θεοσεβειν*:

ღმრთისმოსავობაძ (106a; 215)

9. *θεοσεβης*:

ღმრთისმოსავთაძ (69v; 149)

ამგვარად, როგორც ვხედავთ, პეტრე გელათელმა ცნობილი ქართული სიტყვა "მოსავობაძ", რაც მანამდე მხოლოდ "მოიმედეობას" ნიშნავდა (შესაბამისად "კეთილად მოსავობაძ", გულისხმობდა კეთილმოიმედეობას ანუ ბერძნულ *ευσελπισια*-ს), "მსახურებითი", "თაყვანებითი" შინაარსით გამსჭვალა და უაღრესად სპეციფური ტერმინული გააზრება მისცა მას, რის ანალოგსაც სხვა მთარგმნელებთან ვერ ვპოულობთ.

Ath.6-ის ტექსტები აღნიშნული ტერმინული ასპექტითაც უიგივდებიან "კლემაქსის" პეტრე გელათელისეულ თარგმანს. მათში, ერთი მხრივ, შენარჩუნებულია ტრადიციული "კეთილმსახურებაძ", "კეთილმსახური", მეორე მხრივ კი სახეზეა ის სპეციფური სიახლე, რაც პეტრე გელათელის ტერმინოლოგიურ ხელწერაზე მიუთითებს. აი, ხსენებული სიახლის დამადასტურებელი ნიმუშები.

1. *σεβειν, ευσεβειν*:

"მგონებელი უკუე მოსავობაძ მამისა" (52v2; 48, 1090); "ისწავე მოსავობაძ განუყოფელისა სამებისა" (52.1; 48, 1089).

¹ როგორც აღვნიშნეთ, თავს იჩენს ტრადიციული შესატყვისებიც. მაგალითად: "კეთილმსახურთასა" (213v; 402); "კეთილმსახურითა მოველოვნებითა" (134v; 271).

² გვხვდება ტრადიციული შესატყვისიც: "კეთილმსახურებით" (25;66).

2. *σεβω, ευσεβω:*

"და ესევდ მას" (50.2; 48, 1087); "ხედავს ვარსკულავთა და ესავს" (138.1; 59,630); "არა ესავს ნათელსა" (137v1; 59, 630); "რომელი უწყი, კეთილ-ვესავ" (78.2; 56, 415).

3. *ασεβεια:*

"უწყესობასა ქადაგებს უმოსავობად" (77v1; 58, 414)

4. *ασεβω:*

"უმოსავო ხარ" (52v2; 48, 1090); "ვითარ უმოსაობენ" (83v1);

5. *ασεβης:*

"განმამართლებელისა ზედა მის უმოსაობსა" (რომ. 4.5; 70v1; 51,25);
"უმოსავთა მეუსამართლოებანი... უმოსაოდ განშორებულ" (81v1; 56,419);
"უმეცარ არიან უმოსაონი" (83v1; 56, 421); "უმოსაონი შეპბრკოლდენ" (89.1);
"უმოსავოსა" (136v1; 59, 629);

6. *ευσεβεια:*

"არა გამოკულევად ყოფდა კეთილმოსაობისა" (78v1; 56, 415); "კეთილმოსაობისა კანონთა" (78v1; 56, 416); "ვაჩუენოთ კანონი კეთილმოსაობისად" (79.1; 56, 416); "გუაქუნდინ კეთილმოსაობად" (89v1; 56, 428);

7. *ευσεβης:*

"კუალად კეთილმოსავთა დღესასწაული" (42.1; 52, 827); "ესრეთვე კეთილმოსავი" (81v1; 56, 419); "ეტყვს კეთილმოსავი" (77v2; 56, 415);
"წინააღრჩევად განსჭრიდა უმოსავოსა კეთილმოსავისაგან" (136v1; 59, 629);

საკუთრადღებოა იმის აღნიშვნა, რომ როდესაც პეტრე გელათელმა ბერძნული *σεβας*-ის შესატყვისად შეცვალა VI ჰომოგენური ჯგუფის ტექსტებისათვის ნიშანდობლივი "თნება" და მის ნაცვლად შემოიტანა "მოსავობა", საკუთრივ "თნება" მან დაუკავშირა ტერმინ *σεμνος*-ს.

ტერმინი *σεμνος* ეფრემის მიერ ტერმინოლოგიურად უფრო ითარგმნებოდა, როგორც "პატიოსანი" (იხ. არეოპაგელი 105. 36; 179.7), თუმცა *σεμνολογημα*-ს შესატყვისად მასთან გვხვდება "ქებისმეტყუელებად" (გრიგოლ დვთისმეტყველი, სიტყვები, A-109 211.2; 429A); არსენთან დადასტურებულია "წყნარი" ("წყნარნი ეს რიტორნი", დოგმატიკონი, 28.1; 228B). გელათურ ტექსტებში გვხვდება აღნიშნული შესატყვისები, აგრეთვე, ტერმინი "განკრძალული". მაგალითად:

"წყნარისა (*σεμνης*) მოქალაქობისა" (მაქსიმე, გელ.14, 23.1; 304C);
"პატიოსანნი... საქმითისა ფილოსოფოსობისა გუარნი" (იქვე 48.2; 385);
"განკრძალულისა ცხორებისადათა" (128v2; 660 C); "უპატიოსნოდ (*ασεμνας*) განმრყუნელი" (183.1; 896 B).

როგორც აღვნიშნეთ, პეტრე გელათელმა ტერმინი *σεμνος* დაუკავშირა "თნებას", კერძოდ, მყარ შესატყვისად შემოიტანა ზედსართავი "სათნოდ", რამაც, ცხადია, თავი იჩინა უარყოფითბრეფიქსიან ფორმაშიც. მაგალითად:

"მშუენვარი სათნოდსა (*σεμνω*) შენისა... ცხორებისა" (7; Pg.88, 625 B);
"უსათნოდ (*ασεμνος*) სახილველ მფრინველთა შორის მელი" (206v; 391);

"არარაჲ უუსათნოეს (ασεμνοτερον) მწყემსისა მრისხანისა" (206v; 391);
"უმთონი ... სიტყუანი" (125v; 254); "უგუნურო და უმთნო" (80; 165)

Ath.6-ის თხზულებათა ორიგინალში უარყოფითპრეფიქსიანი *ασεμνος* ფიქსირებული არ არის, მაგრამ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, რამდენჯერმე გვხვდება საკუთრივ *σεμνος*, რომლის შესატყვისად ვლინდება სწორედ პეტრე გელათელისთვისაც ნიშანდობლივი "სათნოჲ". მაგალითად:

"ცოლისა ვინმე მქონებელი სათნოჲსა (σεμνην)" (162.1; 54, 633); "არარაჲ არს საწოლისა უსათნოეს (σεμνοτερον)" (1-1v; 59,544); "სათნოდ (σεμνας) და კეთილად ცხორებაჲ" (162; 54, 633).¹

"კლემაქსის" პეტრე გელათელისეულ თარგმანზე დაკვირვება ცხადს ხდის კიდევ ერთ ტერმინოლოგიურ თავისებურებას:

ზემოთ ილუსტრირებული იყო, რომ გელათური ტექსტებისათვის უაღრესად ნიშანდობლივია ტერმინი "მკაცრი" და მასთან ფუძეზიარი ფორმები ("სიმკაცრე", "განმკაცრება" და მისთ.), რომლებიც აკრიბოლოგიური შინაარსისაა (ანუ ისინი თითქმის აბსოლუტიზებული ტერმინ-შესატყვისობით გადმოსცემენ ბერძნულ *ακριβης* და მისგან მომდინარე ფორმებს: *ακριβας, ακριβεις, μετ'ακριβειας, κατ'ακριβειαν* და სხვა).

საყურადღებოა, რომ ტერმინი "განმკაცრება" მკვეთრად ნიშანდობლივია პეტრე გელათელისთვის, მაგრამ არა აკრიბოლოგიური შინაარსით (ამის არცერთი ნიმუში არ გვხვდება), არამედ ოდენ შესატყვისად ბერძნული სიტყვისა *προσεχω* (ნიშნავს "ყურადღების მიქცევას", "ფხიზლად, ფრთხილად ყოფნას"), რაც ძველ ქართულად უძველესი დროიდან მოკიდებული ითარგმნებოდა, როგორც "კრძალვა" (ეკრძალე) , "რჩოლა" ("მერჩდი"), "სმენა" ("ისმინე"), აგრეთვე, როგორც "განცდა", "განხილვა", "ხედვა", "მორჩილება", "მიხედვა", "მოხედვა", "მოხილვა", "ლტოლვა" და მისთ. მაგალითად.

"ეკრძალენით (προσεχετε) ქველისსაქმესა თქუნსა" (მათე 6.1); "ეკრძალენით თავთა თქუნთა" (საქმე 5.35); "თქუმულთა ამათ მერჩდით (προσεχειν)" (სევ. გაბალ., ექუსთა დღეთაჲ, 3; 430); "მერჩდი, გლოცავ" (იქვე 17; 435); "მერჩდი, გლოცავ და სხუასაცა სავმარსა" (47; 443); "ისმინე (προσεχε) გვედრები" (იქვე 89; 452); "ისმინე (προσεχε), გლოცავ" (იქვე 153; 473); "პირველვე დამწყებელნი განცდად (προσεχειν)" (ნემესიოსი, 75.22; 640B); "გონებაჲმან არა განხილა (προσεσεχε)" (იქვე 81.20; 648A); "განუკრძალველთა (μη προσεχουσιν)" (გრიგოლ აკრაკანტელი, კ.კეკელიძის გამოც. 135.33; 1081B); "განხილვედ (προσεχειν)" (მაქსიმე, ოთხასეული, 218v; 960B); "დასავალით მხედველად (προσεχοντα)" (არეოპაგელი, 162.37); "მორჩილებაჲ აჩუნედ (προσεκτεον)" (იქვე 217.9); "უვმს კრძალვაჲ (προσεχειν) თავისა თვისსაჲ" (იქვე 243.27); "არა ძალსა საქმისასა მიხედვიდეს (προσεχειν)" (იქვე 39.4); "ცხორებისა მოქენეთა ლტოლვაჲ (προσοχην)" (იქვე 256.23) და სხვა.

ახლა წარმოვადგენთ ნიმუშებს პეტრე გელათელის თარგმანიდან:

¹ ტერმინთ-შესატყვისობა *σεμνος* - "სათნოჲ" გვხვდება არსენთანაც (იხ. დოგმატიკონი, 1.2; 40A)

1. *προσεχω* (*προσεχε, προσχωμεν, προσεχετε, προσχες*)¹

განვემკაცრნეთ (18.53); განემკაცრე (44a-99; 210-396); განიმკაცრენით (54; 116); განვემკაცრნეთ (63 - 131; 63v-133); განვემკაცრნენ (143; 285); განემკაცრეთ (159; 311); განვემკაცრნეთ (160v; 315);

აშიებზე "განემკაცრე მდაბალო მონაზონო" (193v); "არათუ განემკაცროს მმართველი..." (203v) "სინანულად მიმართ განმკაცრებოდი" (208).

2. *προσεχων*:

განმკაცრებულთა (176; 345); განმკაცრებულისამი (133; 268)

3. *προσεκτεον*:

განმკაცრებად ჯერ არს (189v; 363); განსამკაცრებელ (206; 390); განსამკაცრებელ (207; 392)

4. *προσοχη*:

განმკაცრებულებად (181v; 350)

პეტრე გელათელის აღნიშნული ტერმინოლოგიური სპეციფიკა² მკვეთრად ავლენს თავს Ath.6-ის თარგმანებშიც. მაგალითად:

1. *προσεχω* (*προσεχε, προσεχετε, προσχοι*)

"განუმკაცრდი უფლებასა" (84.2; 56, 422); "ამიერ განმკაცრდი" (76v2; 56, 414); "განმკაცრდი უცთომელად" (113v2; AN.³ 20.4); "განმკაცრდი გამოწულილვით" (43v2; 52,829.1); "განმკაცრდი გამოწულილვით" (44.2; 52,830.1; იგივე შესატყვისობა იხ.: 44v1-52,830; 47.2-52,833; 132.2-59,513; 125v2-59,508; 95v1); "განემკაცრენით თავსა თვსსა" (57v1; 48,1095); "განუმკაცრდეს" (149v1; 51,49); "განმკაცრდი ამიერ" (138v1; 59,630); "ამიერ განმკაცრდი" (138v2; 59,631); "განუმკაცრდი... სიტყუასა" (126v1; 59,509); "განმკაცრდი და ნუ თანაწარპრბი მას" (130.1; 59,511); "განუმკაცრდით სჯულსა" (131.1; 59,512); "...უკუეთუ განმკაცრდეს" (126.1; 59,508); "ამიერ განმკაცრდი" (130v2; 59,512); "განუმკაცრდითო თავთა თქუენტა" (საქ. მოც. 20.28; 62v1-60,771); "განმკაცრდი აქა" (63v1; 60,772); "არათუ განმკაცრდე" (93v1; ბერძნულ შესატყვისად, ცხადია, უნდა იგულისხმებდეს *προσεχε*; შდრ. იქვე 94v1).

2. *προσεχειν*:

"ესრეთ უკუე ჯერ არს განმკაცრებად წერილთა" (47.1; 52,833); "განმკაცრებად საჭირო არს" (85v2; 59, 424)⁴

1 გვხვდება ტრადიციული შესატყვისიც: 'განვეკრძალნეთ თავთა თვსთა' (14;45)

2 აღვნიშნავთ, რომ ტერმინშესატყვისობა *προσεχω* - 'განმკაცრება' ერთგზის თავს იჩენს აკრაკანტელის (ფსევდო-მიტროფანეს) ეკლესიასტესეულ განმარტებებში: 'განმკაცრებით (*προσεκτικας*) მიმოსტუანვად' (139.10; 1088 ც).

3 AN. გულისხმობს პაპადოპულო-კერამევის 'ანალექტაში' გამოცემულ ბერძნულ ტექსტს (სრული მითითება წყაროზე იხ. მ.შანიძის დასახ. შრომაში, გვ.44, შენ.18).

4 ორ შემთხვევაში ბერძნული შესატყვისი ვერ დაიძებნა, რადგან ხელმოუწვდომელია თავად ტექსტი. საფიქრებელია, ეს შესატყვისი იყოს *προσεχων* (ან *προσεκτικας*): 'ისმინე განმკაცრებით' (93.2); 'ისმინე განმკაცრებით, გევედრები' (99.2). ერთგან ფრაზა 'განმკაცრებით გამოწულილვად' გადმოსცემს ბერძნულ *προσεχειν μετα ακριβειας* (152v2; 51,53).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, Ath.6-ისათვის მკვეთრად ნიშანდობლივია პეტრე გელათელისეული ტერმინთშესატყვისობა: *προσεχω* - განმკაცრება.¹ საყურადღებოა აღნიშნოს, რომ როდესაც პეტრე გელათელმა VI ჰომოგენური ჯგუფის ტექსტებისათვის ნიშანდობლივ აკრიბოლოგიურ ტერმინ "განმკაცრებას" შეუცვალა ტერმინოლოგიური შინაარსი, მან საკუთრივ აკრიბოლოგიური აზრით თითქმის აბსოლუტიზება მიანიჭა ამ შინაარსის გადმომცემ ერთერთ ტრადიციულ ტერმინს "გამოწულილვად" ("გამოწულილვით")²

1. *ακριβεια*:

გამოწულილვითობად (29v; 74); გამოწულილვად (159; 312); გამოწულილვითობასა (212; 400); გამოწულილვითიცა (*τη ακριβεια*) (213; 402).

2. *ακριβης*:

გამოწულილვითისა (123; 249); გამოწულილვითსა (12v; 43); გამოწულილვით (*ακριβεις*) (83v; 172); გამოწულილვითი (206v; 391); გამოწულილვითი (212; 400);

3. *ακριβεστερος*:

უგამოწულილვილესთაცა (44a; 98);

4. *ακριβεστατος*:

უგამოწულილვილესთა (104; 211);

5. *ακριβολογια*:

გამომწულილველობისა (26v; 69);

6. *ακριβας*:

გამოწულილვით (163v-320; იხ. აგრეთვე: 65v-137; 49-107; 126-255)

7. *διηκριβωμενωσ*:

განწულილად (1v; Pg.88, 596A).

ამ მხრივაც Ath.6-ის თარგმანები იდენტურია "კლემაქსის" აღნიშნული თარგმანისა, მაგალითად.

1. *μετα ακριβειας*:

გამოწულილვით (162.2 - 54,634; იხ. აგრეთვე: 152.2-51,50; 154v1-51,55; 126v1-59,509; 131v2-59,51; 132.2-59,513; 125v2-59,508; 69.1-51,23; 69.2-

¹ გვხვდება მოსალოდნელი გამონაკლისები: ხედავ (1.1; 59,544); იხილე (45.1; 52,831); შეისწაონ (153v1; 51,54); გულისჯმა-ყავ (130.1-59,511; 130.2 - 59,512); განვეკრძალნეთ (154.1; 51,55); მივხედავთ (126v2; 59,509); განიხილე (60v1; 60,769); მიხედავს (5.1; 59,648); გულისჯმა-ყავთ (62v2; 60,771).

² გვხვდება უიშვიათესი გამონაკლისები: განცლით (84; 172); გამოძიებით (174; 338).

51,23; 85v1-56,19); გამოწულილვად (152v2; 51,52); გამოწულილვითა (68v2; 51,23).

2. *ακριβστερον*:

უგამოწულილვითად (165v2; 54,638)

3. *ακριβης*:

გამოწულილვითი (5v1; 59, 649); გამოწულილვითითა (83.2; 56,421);

4. *ακριβας*:

გამოწულილვით (118v2-51.303; იხ. აგრეთვე: 119.1-51,303; 75v1-56,412; 125.1-51,310; 81.2-56,419; 43v2-52,829; 44.2-52,830; 44v1-52,830; 55.1-48,1092; 149.2-51,49; 138v1-59,630);

ზემოაღნიშნულ თარგმანთა თანხვედრის ასპექტით ყურადღებას იქცევს ტერმინები *συκρινω*, *συκρισις* (ნიშნავს: "შედარებას", ან "შეკავშირებას"), რაც ქართულ საეკლესიო მწერლობაში ტრადიციულად ძირითადად გადმოიცემოდა, როგორც "შეტყუებად" ან "თანაშეტყუებად". მაგალითად:

"სულიერთა მათ თანა სულიერსა შევატყუებთ (*συκρινομεντες*)" (1 კორ. 2.13); "მონისად მის მონათა მიერ არს შეტყუებად (*συκρισις*)" (სინ. მრავ. 86.2); "რომელი შეტყუებად (*συκρισις*) შეატყუა მას" (იქვე, 187.37); "შეტყუებასა (*συκρισις*) რასმე ჰყოფს" (გრიგოლ ნოსელი, დაბადებისათვის კაცისა, გიორგი მთაწმიდლის თარგ., გვ.29; 143A); "შეტყუებული (*συκρισει*) სამარადისოდსა მის" (საქ. ეკლ. კალენდ., 1989, გვ. 213); "არსთა თანაშეტყუებულად (*εν συκρισει*)" (იქვე, გვ. 222; 93A); "თანაშეტყუებანი, განრჩევანი" (არეოპაგელი, ეფრემის თარგ., 38.5); "საზომებითა... თანაშეუტყუებელითა (*ασυκριτοις*)" (იქვე 83.19); "თანაშეუტყუებულად ზემთადაწყარებულ" (იქვე 138.33) და მრავალი სხვა.

საყურადღებოა, რომ აკრაკანტელისა და ოლიმპიოდორეს ეკლესიასტესეულ განმარტებათა თარგმანებში ტრადიციული შესატყვისის გვერდით გვხვდება ტერმინი "თანაგანხილვად":

"არა თანაგანხილვით (*συκριτικως*) იტყვს" (ოლიმპიოდორე, A-61, 193; Pg.93, 564B); "თანაგანხილვით" (*κατα συκρισις*)" (აკრაკანტელი, 104.11; 1001B); "თანაგანხილვით" (იქვე 104.18; 1001 C)

იგივე *συκρισις* XII ს-ის გელათურ სკოლაში ითარგმნებოდა, გარდა ტრადიციული "თანაშეტყუებისა", საყურადღებო ტერმინით "თანშეშჯად". აი, ნიმუშები:

"თანშეშჯანი (*συκρισεις*) თანაარსთანი არიან" (მაქსიმე, გელ.14.265v1;

1 მოვიტანთ ამ ტერმინის (პრეფიქსკვეცილად) დამოწმების რამდენიმე ნიმუშს: "თანშეტყუებისა (*συκρισαι*) თქუმად" (მაქსიმე, გელ.14. 303v2; 432C), "თანშეტყუებული (*συκρινομενη*) ყოფადისა მიმართ" (58v2; 420 C); "თანშეუტყუებელ (*ασυκριτος*) არსთა არს" (84v1-2; 505B); "თანშეუტყუებულად მისდა მიმართ" (42.2; 365D); შესატყვისად გვხვდება, აგრეთვე, ტერმინი "შეწავებული (*συκριμα*)" (ამონიოსი, 51.7; 63.20).

325 D); "თანშეშჯისაგან იცნობების" (273v2; 349 C); "თანშემშჯელობითი (συνκριτικον) არს" (265v1; 325 C); "თანშეშჯისაებრ სათნოებათადასა ვნებათა მიმართ" (85v2; 509 C); "არა თანშემშჯელობით" (იქვე 302v2; 429A); "თანშეთხზულთა და თანშეშჯილთასა" (ამონიოსი, 88.19); "ურთიერთას მიმართ თანშეშჯილნი" (იქვე 88.16; 115.25); "თანშეშჯად ჰყო სახისა და ნათესავისად" (იქვე 91.11 - 120.8; დამოწმებულია მ.რაფაეას მიერ; დასახ. გამოც. გვ. 194) "თანშეშჯასა ჰყოფს" (იქვე 131.3; 41.19); "თანშეშჯასა ჰყოფს" (თეოფილაქტე, A-52, 5v; 1153A; დამოწმებულია ზ. სარჯველაძის "ძვ. ქართ. ენის ლექს."-ში, გვ. 92)

ტერმინი "თანშეშჯად" თავს იჩენს იოსებ ფლავიოსის "მოთხრობათა" თარგმანში. მაგალითად:

"თანშესჯილნი (συνκρινομενα) სხვსა ქუეყანისა" (იხ. ნ.მელიქიშვილის გამოც., ტ. II, თბ. 1988, გამოცემაზე დართ. ლექს., გვ. 391).

იგივე ტერმინი ნიშანდობლივი ჩანს იოანე პეტრიწისათვის. აი, სათანადო ნიმუშები:

"ასონი - თანშესჯილთად (συνκριματα)" (ნემესიოსი, 53.9; 593B); "ოთხთა ასოთა არს თანშეშჯა" (იქვე 58.7; 608 B); "არს თანშესჯად ოთხთა ასოთა" (58.13; 608 B); "...სხეულთა თანშეშჯისად" (61.4; 613 A); "შედარებულნი და თანშესჯილნი" (24.4; 536 B); "შეშჯად" (58.17; 608 B)¹

ყოველივე ზემოაღნიშნულის ფონზე ტერმინოლოგიურ სპეციფიკად წარმოჩნდება "კლემაქსის" პეტრე გელათელისეულ თარგმანში გამოვლენილი ახალი შესატყვისი "თანშებჭობად", რასაც სხვა მთარგმნელებთან ვერ ვპოულობთ. მოგვაქვს არსებული ორი ნიმუში:

"თანშებჭობასა (συνκρισει) შინა უდარესთასა" (150; 297); "ვიტყვ უკუე თანშებჭობასა (συνκρινεσθαι)" (206v; 391).

პეტრე გელათელის აღნიშნული ტერმინოლოგიური სპეციფიკა ჩვენთვის ცნობილი ძეგლებიდან ანალოგს პოულობს მხოლოდ Ath. 6-ის თარგმანებში. ამჯერადაც სახეზეა ორი ნიმუში:

"არცა ზესთაღმატებასა ხედვიდეს, არცა თანაშებჭობასა (συνκρισιν)" (6; 59,549); "კეთილპოვნირებისა მისისა თანაშებჭობილი (συνκρινομενη)" (67.1; 51,20).

ტერმინოლოგიური სპეციფიკობის ნიშნით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ბერძნული *παραιτειμαι*-ს ქართულად თარგმნის საკითხი. ეს სიტყვა ნიშნავს როგორც "პატიების თხოვნას", ასევე, გაცილებით ხშირად, "რალაცისგან გარიდებას". "რალაცის უარყოფას", "რალაცისგან თავის არიდებას". ამ უკანასკნელი მნიშვნელობის შესაბამისად იგი ქართულად ტერმინოლოგიურად გადმოიცემოდა, როგორც "ჯმნა". ასე ითარგმნება იგი ეფრემთან, არსენთან, XII ს-ის გელათურ სკოლაში. მაგალითად:

"არა იჯმნის (παραιτειται) იგი ფარისეველთათვს" (მაქსიმე, ოთხასეული, ეფრემის თარგ., 1.32; 284v - 1096A); "რომელნიცა იჯმნიან და უვარჰყოფენ" (არსენი, დოგმატიკონი, 31.1-252B); "ამისთვს იჯმნეს" (იქვე 31v2 - 256D); "იჯმნეს... თქუმისაგან" (იქვე 34.2-277A); "არა ჯმნადმდე (μη παραιτησασθαι)"

¹ ტერმინი "συνκριμα" ნიშნავს, აგრეთვე, შეზავებას, რაც ზოგან პეტრიწთანაც იჩენს თავს: "შეზავებულთადცა" (ნემესიოსი, 64.12; 617A); "ზავებულნი" (64.13; 617A); "თანზავებულნი" (64.11; 617A).

(მაქსიმე, გელ. 14, 151v2; 725C); "სიმქისისათვის ვორციელთა ტკივილთადასა მჭმ[ნელი]" (იქვე 61v1; 428); "განრყუნისაგან არ მჭმნელი (*παραιτουμενος*)" (155v1; 741-744); "სრულიადი ჭმნად (*παραιτησις*)" (175.1; 873C); "მჭმნელად ჭმნასა (*παραιτησεως*)" (276.1; 80C); "განგებულებითი იგი ჭმნად" (276.2; 80D); "ნეტსით იჭმნიდა სიკუდილისაგან" (276v1; 81B); "იჭმნის ვნებისაგან" (277.1; 81C); "რომელ არს ჭმნად სასუმლისაგან" (280v1; 68B);¹

საგულისხმოა, რომ პეტრიწის მიერ ბერძნული ფრაზა *παραισιθω λεγειν* გადმოცემულია ასე: "ნუ ითქუმოდის" (ნემესიოსი 43.1; 572B).

"კლემაქსის" პეტრე გელათელისეულ თარგმანში იგივე ტერმინი გადმოტანილია სრულიად ახალი შესატყვისით "გამოთხოვად". მოგვაქვს ნიმუშები.

"ნუსადა... ზეცისადასა ამის მომართ წესისა უღებებისაგან და მცონარებისა გამოვეთხოვბოდით (*παραιτησωμεθα*)" (14; 45); "ნუ გამოვეთხოვბინ (*μη παραισιθωσαν*)" (204; 387); "ოდესმე გამოთხოვამან (*παραιτησις*) გამოუცდელად იმოქმედნა" (181v; 351).

განსაკუთრებით საყურადღებოა ხსენებული თარგმანის ერთი ადგილი, სადაც ტერმინი "გამოთხოვა" აშიაზე თავად მთარგმნელის მიერაა განმარტებული. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ "გამოთხოვა" "ჭმნის" სანაცვლოდ ანუ *παραιτησις*-ის შესატყვისად სწორედ პეტრე გელათელის მიერაა შემოტანილი. აი, ეს ადგილიც.

თარგმანის ტექსტი:

"ნუ გამოვეთხოვბი (*μη παραιτου*) თხოილი და სულისათვისცა ლოცვად" (189v; 362)

სიტყვას "გამოვეთხოვბი" თავზე აქვს სათანადო ნიშანი და იმგვარივე ნიშნის ქვეშ აშიაზე ვკითხულობთ მთარგმნელისეულ განმარტებას.²

"ნუ იჭმნიო, უკუეთუ ლოცვისყოფად ვინმე გვედრებოდის" (იქვე). აღნიშნულის შემდეგ, რათქმაუნდა, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ *παραιτησις* ასევე "გამოთხოვად" არის თარგმნილი Ath.6-ის ტექსტებში, რასაც, როგორც ვთქვით, გარდა პეტრე გელათელისა, სხვა მთარგმნელებთან ანალოგი არ ეძებნება. აი, სათანადო ნიმუშები.

1 იმავე შინაარსით შეგვხვდა, აგრეთვე, "თანაწარვდა" "... ესე იგი არს, სასუმლისა თანაწარვდასა (*παραιτησις*)" (იქვე 280v2; 68C).

2 "კლემაქსის" აღნიშნულ თარგმანს, როგორც ცნობილია, ახლავს სქოლიოები, რომელთა უმრავლესობა ბერძნულიდანაა თარგმნილი, ნაწილი კი თავად მთარგმნელს, პეტრე გელათელს ეკუთვნის. მთარგმნელისეული სქოლიოების გამოყოფა, ერთი მხრივ, შინაარსის მიხედვით ხერხდება, მეორე მხრივ კი, სრულიად ზედმიწევნით, იმის საფუძველზე, რომ ბერძნულიდან თარგმნილი კომენტარები დანომრილია (ისინი ნუმერაციით ერთი-მეორეს მიჰყვება). საკუთრივ ქართულ სქოლიოებს კი, ცხადია, ნუმერაცია არ ახლავს.

3 აღვნიშნავთ, რომ საკუთრივ ქართული ტერმინი "გამოთხოვად" ვიდრე პეტრე გელათელამდე სრულიად საწინააღმდეგო შინაარსს შეიცავდა და აღნიშნავდა "გამოთხოვნას", "მოთხოვნას" ანუ იმას, რასაც დღეს ნიშნავს (და არა "გამოთხოვებას", "გაშორებას", "ჭმნას"). იგი ტერმინულად გადმოსცემდა ბერძნულ *εξαιτησις*-ს. მაგალითად, ეფრემთან: "გამოთხოვითა (*εξαιτουμενα*)" (არეოპაგელი 216.4-564A; იქვე იგივე ბერძნ. ტერმინი თარგმნილია, როგორც "თხოვა" - 216.5; 216.17; - "ძიება", 214.28); იხ. აგრეთვე, არსენი, დიდი სჯულისკანონი 336.3; 338.9-10 (ორივე ნიმუში დამოწმებულია ზ. სარჯველაძის მიერ, "ძვ. ქართ. ენის ლექს.", გვ.19); XII ს-ის გელათური სკოლა: "რომლისამე ჰავველოვნებით გამოთხოველი (*εξαιτειται*)" (გელ. 14, 187v2; 908C); "გამოთხოვდეს (*εξαιτειται*) ძვნად ჩუენდა ტანჯვასა" (33.1; 341B); "კეთილთა გამოთხოვად (*εξαιτησις*)" (77.2; 469A).

"გამოეთხოვბოდა (παρητεϊτο) სიკუდილსა" (87v1; 56,426); "არა ქრისტეს უარყოფელი, არამედ სარბიელისაგან მრავლისა გამოითხოველი (παραιτησαμενος)" (116v2; AN.25.9); "უფლისა მიერ სიკუდილისაგან გამოთხოვასა (παραιτουμενου)" (87v1; 56,426).

ასევე საყურადღებოა, ისიც რომ "კლემაქსის" და Ath.6-ის თარგმანებში, ბერძნული *γνωμη*-ს შესატყვისად, ერთი მხრივ, სრულიად უარყოფილია არსენის მიერ დამკვიდრებული და VI ჰომოგენური ჯგუფის ტექსტებში აბსოლუტიზებული "ჯერჩინებად", მეორე მხრივ კი აღნიშნული *γνωμη*-ს უძირითადეს გადმომცემად ორივე მათგანში მოხმობილია *γνωμη*-ს ერთერთი ტრადიციული შესატყვისი "ცნობად". მაგალითად:

1. "კლემაქსი"

ცნობითა (48.106); ცნობათა (36.84); ცნობად (90v; 187); ცნობასა (80;164); ცნობათა (175;341); ცნობითა (207;392); ცნობისა (214; 403)

2. Ath.6;

ცნობად (1; 59,544.2); ცნობითა (2; 59,545.1); ცნობისაებრ (5.1; 59, 648); ცნობის (იქვე); ცნობითა (5.1. 59,648); ცნობად (61.1; 60,770); ცნობისა (71v2; 51,26); ცნობასა (77v1; 56,414); ცნობისა (81v1; 56,419); ცნობისად (130v1; 59,512); ცნობად (131v1; 512); ცნობისა (164.2; 54,636).

უაღრესად ნიშანდობლივია ისიც, რომ "კლემაქსის" თარგმანში ბერძნული *νοημα* გადმოტანილია მხოლოდ, როგორც "გაგონებად", რაც უთუოდ, პეტრიწის გავლენას ცხადყოფს. აი, ეს ნიმუშები:

"გაგონებითა ქმნად (90; 187); "გაგონებათა ზედცნობად შეუძლოს" (154v; 304); "მყუდროებად არს დაუნჯებად გაგონებათად" (179; 347)

აბსოლუტურად იგივე ვითარება გვაქვს Ath.6-ის ტექსტებში, სადაც *νοημα*, მიუხედავად დამოწმებათა საკმაო რაოდენობისა, გადმოტანილია მხოლოდ ტერმინით "გაგონებად". მოგვაქვს სათანადო ადგილები:

"განიხრწნეს გაგონებანი თქუენნი (2v1; 59,545.1); "წულილ არს გაგონებად" (43v2; 52,829.1); "უმეცარი გაგონებისა" (127v2; 59, 510); "... წარმოდგიან რად გაგონებანი" (129v2; 59,511); "დაივსნა ყოველი გაგონებად" (132.2; 59, 513); "გაგონებათა ზედა" (130v1; 59,512); "გაგონებათა ზედა არიან ეშმაკნი" (იქვე); "ჰპოო გაგონებად" (87.1; 56,425); "გაგონებათა (22v; 63); "არამედ ერთვმა გაგონებანი" (4.1; 59, 647).

ზემოთ, ტერმინ *εννοια*-ს განხილვისას, აღვნიშნავდით, რომ ეს ტერმინი თვით VI ჰომოგენური ჯგუფისა და პეტრიწის ჩათვლით მრავალგვარად ითარგმნებოდა და მხოლოდ პეტრე გელათელთან გვხვდება მის გამოკვეთილ შესატყვისად ტერმინი "გაგონებად" (ამას ცხადყოფს უარყოფითპრეფიქსიანი ფორმაც: "უგაგონებოდ" - *αγεννοιοσ*, 68v-143). ზუსტად იგივე სურათია Ath.6-შიც. მაგალითად: "სიღრმე გაგონებათად" (79v2; 56, 417); "ღმრითივშუენიერისა ამის გაგონებისა" (54.2; 48, 1091); "გაგონებათა მიერ განსწავლად" (142v1; 59, 634); "ვერ მიმწუთარნი გაგონებათა" (88v1; 56, 427). როგორც "კლემაქსში", ასევე აქაც, გამონაკლისის სახით, შესატყვისია "გონებად" (80.1; 56, 417), "მოგონება" (68.2-51,22; 73.1-51,288).

უთუოდ სპეციფური ჩანს, აგრეთვე, პეტრე გელათელისეული გააზრება ბერძნული ზმნიზედისა *λοιπον*, რომლის ძირითადი მნიშვნელობაა: "ამიერიდან". XII ს-ის გელათური ტექსტების ჩათვლით ხსენებული ზმნიზედა

1 გვხვდება მოსალოდნელი გამონაკლისები: "ნებად" (42.2; 52,827.1); "გონებად" (1.1-AN.25.25; 5.1-59,648; 66v2-51,20; 69v1-51,248; 131v2-59,513; 159.1-51,60).

ტერმინოლოგიურად ძირითადად ითარგმნებოდა, როგორც: "მიერთგან" ან "ამიერთგან", მაგალითად:

"მიერთგან (λοιπον) წარვიწირეთ სასოებად" (საქ. მოც. 27.20); "მიერთგან წარსტყუენვენ" (მაქსიმე, ოთხასეული, ეფრემის თარგ., 2.31; 236v-993C); "მიერთგან... მოვალს" (იქვე 1.84); "მიერთგან... იქმს" (იქვე 1.92); "... მივიწინეთ ამიერთგან" (არეოპაგელი 94.13); "მოვედ, უკუე, ამიერთგან" (იქვე 142.13); "მიერთგან მდღელთა მისცემს კაცსა მას" (იქვე 163.11); "მიერთგანი მისსა-მიმართი ზიარებად" (იქვე 181.1); "მოვედ, უკუე, ამიერთგან" (იქვე 186.7); "მიერთგან მის თანა იყოს" (იქვე 219.14); "და მიერთგან... მოქალაქობდა ჩუენ შორის" (იქვე 235.12); "მიერთგან... შთამოიწოდეს" (იქვე 248.34); "დაუყენებელად მიერთგან" (არსენი, დოგმატიკონი 37v2; 300D); "მიერთგან სირცხვლელ-იქმნეს" (იქვე 3v1; 53A); "რაღლა მიერთგან?" (მაქსიმე, გელ.14, 274v2; 76C); "მიერთგან იყოს" (იქვე 308.1; 101C), "ქონებისათვის მიერთგან" (25.2; 312C); "საჯმარ არს მიერთგან" (27.2; 317D); "წარავლენს მიერთგან" (30v1; 329A); "იძიოს მიერთგან" (81.1; 493D); "არმყოფი მიერთგან" (120.1; 633D);¹

იოანე პეტრიწთან შესატყვისთა ნაირგვარობაა. აი, სათანადო ნიმუშები.

"არამედ წინამდებარე არს გამოსაძიებელად" (ნემესიოსი 20.12; 529A); "საზრდელად ვინაძვე განეყოფვის" (112.18; 696B); "რომლისათვისცა ვთქუნეთ" (154.5; 768A); "რომლისათვისცა ითქუმოდედ" (138.4; 737A); "მაშა სადლა იყოს?" (142.23; 745A); "ეზიაროს ვინაძვე ერთსა" (პროკლე, 71.4; დამოწმებულია გამოცემაზე დართულ ლექსიკონში).²

"კლემაქსის" პეტრე გელათელისეულ თარგმანში თავს იჩენს ტრადიციული ტერმინიც (მაგალითად: "წარმმართველნი მიერთგან უმჭმუნვაროდ", 13;44), მაგრამ, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ხსენებულ თარგმანში ახალ, უაღრესად მყარ შესატყვისებად შემოტანილია ამ მნიშვნელობით ადრე სრულიად უცნობი, მაგრამ თავისთავად, ცხადია, მეტად ცნობილი ტერმინები "ნამდვლ" და "ნამდვლვე". აღნიშნული ტერმინები ძირითადად გადმოსცემდა ბერძნულ ზმნიზედებს παντως, οντως (თვით პეტრე გელათელთანაც მითითებული ზმნიზედები ასევეა თარგმნილი ე.ი., როგორც "ნამდვლვე"). რაც შეეხება ამავე შესატყვისებით λοιπον-ის თარგმნას, ეს სრულიად მოულოდნელი და ძნელად ასახსნელი მოვლენაა. შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ ზმნიზედა λοιπον, რაც, გარდა მითითებული შინაარსისა, აღნიშნავდა აგრეთვე: "საბოლოოდ", "ბოლოს და ბოლოს", გვიანდელ მეტყველებაში დაუახლოვდა დადასტურებითი სემანტიკის მქონე კოლოკვიალურ სიტყვებს. როგორც არ უნდა იყოს, ფაქტია, რომ პეტრე გელათელი ბერძნულ λοιπον-ს უაღრესად მყარი შესატყვისობით თარგმნის, როგორც: "ნამდვლ", "ნამდვლვე" და ამ მოვლენას სხვა მთარგმნელებთან არანაირი ანალოგი არ ეძებნება. აი, სათანადო ნიმუშები.

"რომელთა ფერვი დადგა ნამდვლვე (λοιπον) განწრფელებისა შორის" (1v;17); "ნუუკუე ნამდვლ და გრძნობადთაჲცა?" (3; Pg.88, 600B); "იყო რამეთუ ნამდვლ უუკანადსკნელესი თთუეთაჲ" (4; 601B); "ნამდვლვე შთავლენილი" (4v; 604C); "სავედრებელისა ნამდვლვე სრულ-იქმნებოდის სიტყუანი" (4v; 604 C)³ "დასასრული ნამდვლვე დასაბამისა მომზავებელი"

1 შესატყვისად გვხვდება, აგრეთვე, "ამისთვის": "და ამისთვის... წინა-უსწრობს" (გელ.14, 185v2; 904); იგივე შესატყვისი დასტურდება არსენთანაც (დოგმ. 9v1; 96A).

2 არსენთან გვხვდება, აგრეთვე, "ვინაჲცა" (დოგმ. 3v1-53A; 8v-88 D).

3 ექვთიმესთან შესატყვისია "მერმე" (იხ. საქ. ეკლ. კალენდ.: თბ. 1986, გვ.221).

(15v; 48); "ნამღვლვე... ვმოქმედებთ" (13; 44);¹ "ნამღვლვე კეთილმოსავლობისა" (25v; 67); "ნამღვლვე უბრალოსა" (27;70); "ნამღვლვე... მოუწოდ" (28;71).

ვუთითებთ სხვა ნიმუშებს: 24-65; 195v-373; 203v-386; 212v-400; 216-405; 216-406; 194v-371 და ა.შ.

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე, ვფიქრობთ, უთუოდ მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ ფაქტს, რომ ბერძნული *λοιπον*-ის შესატყვისად Ath.6-ის ტექსტებში, გარდა ტრადიციული ტერმინისა "მიერთგან" (მაგ.: 13v2 - 59,539; 144v1 - 59,638; 122v2-51,307), ფიქსირებულია პეტრე გელათელისათვის ნიშანდობლივი "ნამღვლ" და "ნამღვლვე":

"ნამღვლ (*λοιπον*) მინდობილ იქმნა" (123.1; 51,307); "ჯერ არს ნამღვლვე (*λοιπον*) დასაბამსა ზედა" (154.1; 51,54).

სპეციფურობის ნიშნით ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, ტერმინი *παρασκευη*, რომლის შესატყვისად ქართულ თარგმანებში შეიძლება შეგვხვდეს "მომზადება" ("მოპმზადებს", მაქსიმე, ოთხასეული, ეფრემის თარგ., 1.79; 4.40; 4.60), "შემზადება" (ნემესიოსი, პეტრიწის თარგმანი, 125.4-717B), "განმზადება" (შდრ. საბას განმარტება: "პარასკევი - განმზადება").

XII ს-ის გელათურ ტექსტებში უძირითადესი და თითქმის აბსოლუტიზებული შესატყვისია "განმზადებად".² მაგალითად:

"განმზადებისათვის (*παρασκευης*)" (მაქსიმე, გელ.14, 3v1; 273A); "განმზადებელნი (*παρασκευαζοντες*) ჩუენნი" (4v2; 277A); "მეცნიერებით განვპმზადოთ (*παρασκευαζομεν*) ჯერჩინებად" (6v1; 281B); "რომელობად ვნებისად განპმზადებდეს ქმნად" (21v2; 301D); "ჯაჭუჭურისა განმზადებისა წილ" (67v1; 448B); "განპმზადებს მას ყოფად" (67v1; 448B); "ბრძოლად განმზადებულსა" (73v1; 472C); "მონებრ შედგომად განმზადებითა" (89.2; 520A); "სარწმუნოებით ქადაგებად განმზადებელი" (143.1; 704B)³

რაც შეეხება პეტრე გელათელს, იგი აღნიშნული შინაარსით თითქმის უგამონაკლისოდ იყენებს ტერმინს "აღმზადება".

"აღმზადებელნი (*παρασκευαζοντες*)" (149v; 295); "წინა-აღმზადები (*προ-παρασκευαζου*)" (182; 352); "წინა-აღმზადებოდე" (186; 362); "აღმზადებოდე (*παρασκευαζου*)" (182v; 352); "აღპმზადებს" (188v; 361); "აღმზადებელსა" (207; 392)⁴

ეგვემ უცვლელი ტერმინშესატყვისობა ვლინდება Ath.6-ის ტექსტებში:

"აღპმზადა (*παρασκευασται*) თავი თვისი" (125.1; 51,310); "მოცალებისა ცა ყრმებრივისა აღმზადებელმან (*παρασκευαζων*)" (43.2; 52,829); "იყო აღმზადებულ (*παρασκευασμενος*)" (67.2; 51,21); "აღმზადებულ არს (*παρασκευασται*)" (72.1; 51,26); "აღამზადე (*παρασκευασον*) თავი შენი" (3.1; 59,646).

¹ ექვთიმესთან შესატყვისია "შერმე" (შერმე...ვიქმოღეთ, გვ.218); საყურადღებოა, რომ "შერმე" იმავე ბერძნული ტერმინის შესატყვისად გვხვდება არსენთანაც: "არლარა შესაძლებელ არს შერმე..." (ლოგმ., 2.1; Pg.89,41B); "შერმეცა... თაყუანისცემითა" (იქვე 9v; 93D); "შერმე სავედრებელისა მომცემელმან..." (იქვე 10v; 100D).

² შესატყვისად გვხვდება, აგრეთვე, "შემზადებელი" (282.2; 152 D).

³ არსენთან ერთგან შესატყვისად გვაქვს 'ყოფა': "უხილავმან თავი თვისი სახილველ ყო (*παρασκευασε*)" (218.1; 766A).

⁴ ერთ შემთხვევაში *προπαρασκευαζοντα* გადმოტანილია, როგორც "წინამოქმედი" (179; 346).

ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ "კლემაქსის" ხსენებულ თარგმანში *προνοια*-ს ერთერთ შესატყვისად გვხვდება ახალი კალკირებული ტერმინი "წინაზრუნვა" (იხ. 144v-288; 154v-304),¹ რაც თავს იჩენს, აგრეთვე Ath.6-ის ტექსტებში. მაგალითად:

"წინაზრუნვასა შვილთასა" (165v2; 54,638); "ღმერთი წინა-ზრუნვიდა" (162v1; 59,634); "რაოდენისა წინაზრუნვისად არს ესე?" (165.1; 54,637); "მიზეზ გექმნების წინაზრუნვა" (165.2; 54,637); "წინამზრუნველობისაგან... შთამოცკვნებულნი" (156v2; 51,58); "მხოლოდსა... წინაზრუნვისა" (137.1; 59,629); "წინამზრუნველობასა შინა" (137.2; 59,629); "ღმრთისა წინაზრუნვა" (65v1; 51,22); "მწყალობელმან და წინამზრუნველმან" (159v1; 51,61)²

შეიძლება ადგენიშნა ისიც, რომ ბერძნული *διομα* პეტრე გელათელის მიერ თარგმნილია ორსიტყვედად: "რწმენითი სჯული" (183-353; 198-377; 213v-402), რაც (ტრადიციულ შესატყვისებთან ერთად) თავს იჩენს Ath.6-შიც მაგალითად:

"იხილა რწმენითთა სჯულთა (*διοματων*) მიერ კეთილმსახურებისათა გვრგვინსანქმნილი [ეკკლისია] - (11v2; AN.19); "სრულისა რწმენითთა სჯულთაგან მიიღება განყოფილებასა სახელთასა?"³

ლექსიკურ იშვიათობათა ასპექტით, ალბათ, საყურადღებოა სიტყვა "დაჰავება", რაც ნიშნავს "ზიანის მიყენებას", "ვნებას" (ავნებას). იგი გადმოსცემს ბერძნულ ტერმინს *κακωα*, მაგალითად:

1. "კლემაქსი":

დაჰავებულად (148; 293); დაჰავებულთამი (209v; 396); დაჰავებისა (76; 158);

2. Ath.6:

დაჰავებად (69v1; 51, 24); დაჰავებად (152v1; 51,53); დაჰავებისათვის (152v1; 51,53).

ტერმინოლოგიური თანხვედრანი, რათქმაუნდა, სხვა ასპექტებშიც ვლინდება, მაგრამ ზემოწარმოდგენილი ნიმუშები, ვფიქრობთ, საკმარისია Ath.6-ის თარგმანთა პეტრე გელათელის სახელთან დაკავშირებისათვის.

აქვე ყურადღებას მივაქცევთ ერთ მეტად საგულისხმო გარემოებას:

როგორც აღვნიშნეთ, "კლემაქსის" პეტრე გელათელისეული თარგმანი შეიცავს, ერთი მხრივ, ნუმერაციის მქონე სქოლიოებს, რაც ბერძნულიდან მომდინარეობს, მეორე მხრივ კი, თავად მთარგმნელის მიერ მიწერილ განმარტებებს, რომლებიც სხვადასხვა ხასიათისაა.

ერთგან პეტრე გელათელს უთარგმნელად გადმოაქვს ბერძნული სიტყვა *ερανος* (199; 378) და აშიაზე იგი ასეთ განმარტებას ურთავს:

"ერანად შეწყობასა იტყვს, გინა შედგმულებასა ანუ შენაწევრებასა ანუ მრავალთაგან ერთად შეკრებასა" (იქვე)

მოტანილი კომენტარის ხაზგასმული ნაწილი თითქმის უცვლელად არის განმეორებული Ath.6-ის ერთ სქოლიოში, სადაც განმარტებულია ზემოაღნიშ-

1 გვხვდება, აგრეთვე, "მოსწრაფება" (103v-210; 80-164).

2 გვხვდება, აგრეთვე, "წინაგანგება" (152.1-51,52; 161.1-54,631; 166.1-54,638; 166v1-54,639), "წინაგანმგებელი" (154.1-51,55).

3 მ.შანიძე, სიტყუად ართრონთათვის... გვ. 180.55. გამოცემაშია არაზუსტი ფორმა "რწმენილთა". ტერმინ *διομα*-ს ქართულად თარგმნის ისტორიის შესახებ იხ. ექვლიძე, ძიებანი წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის შესახებ, ფილოლოგიური ძიებანი II, თბ. 1995, გვ. 184-188. აღვნიშნავთ, რომ "რწმენითი სჯული" გვხვდება, აგრეთვე, გრიგოლ ღვთისმეტყველის მეორე ქადაგების გელათურ თარგმანში. იხ. იქვე გვ.188.

ნული "ერანის" სინონიმური ტერმინი "სუნთემა". სქოლიოში ვკითხულობთ:
"შეისწავე, რამეთუ სუნთემა თანშედგმასა ეწოდების, გინა შეწყობასა რასმე
ანუ შენაწევრებასა" (144.2; AN. 20.4).

ვფიქრობთ, უთუოდ საქმე გვაქვს ერთ და იმავე მთარგმნელ-კომენტატორ-
თან.

საყურადღებოა ისიც, რომ Ath.6-ის მთარგმნელის მიერ განმარტებული
ბერძნული *συσθημα* თანხვედრას ავლენს "კლემაქსის" აღნიშნულ თარგმანთან.
როგორც Ath.6-ის ზემოციტირებული სქოლიო გვაუწყებს, *συσθημα* შეიძლება
ითარგმნოს სიტყვებით: "თანშედგმად", "შენაწევრებად", ან "შეწყობად".
დამოწმებული ტერმინებიდან სიახლეა "თანშედგმად", რაც სწორედ პეტრე
გელათელის მიერ თარგმნილ "კლემაქსში" გვხვდება. მაგალითად:

"კიბემან სათნოებათამან გასწავენ შენ სულიერი თანშედგმულებად
(*συσθεσις*)" (199; 379).

ტერმინები "თანშედგმულებად" და "თანშედგმად" იმდენად არიან თანხვე-
დრნი, რამდენადაც საკუთრივ ბერძნული *συσθεσις* და *συσθημα*.¹

ამგვარად, Ath.6-ის სქოლიური ტექსტიც პეტრე გელათელზე მიგვითითებს.
ვფიქრობთ, ყურადღება უნდა მიექცეს ერთ ფაქტსაც:

Ath.6-ის ერთერთი ჰომილია, სათაურით "მშვიდობისათვის" ბერძნულ დედნად
გულისხმობს ა. პაპადოპულო-კერამევსის მიერ გამოცემულ ტექსტს.² აღნიშ-
ნული ბერძნული ტექსტი დღეისათვის ცნობილია მხოლოდ ერთი ხელნაწერით
Cod.Sabb.32.³ საინტერესოა აღინიშნოს, რომ ხსენებული ჰომილია ბერძნულ
ხელნაწერში არის რიგით 27-ე. მას ახლას მითითება "κζ",⁴ რაც სრულ
ანალოგს პოულობს Ath.6-თან (აქაც იგივე ჰომილია რიგით 27-ეა; ახლავს
მითითება "კზ").⁵ სავსებით ცხადია, რომ Ath.6 წარმოადგენს Sabb.32-ის
ადეკვატურ კრებულს. ამასთან, სხვა ამგვარი შედგენილობის კრებული ცნობილი
არ არის; შესაბამისად, საფიქრებელია, რომ Ath.6-ის დედანი იყოს ან უშუალოდ
Sabb.32 ან ამ უკანასკნელისგან მომდინარე პირი. ხელნაწერი Sabb.32 XII ს-შია
შედგენილი,⁶ რის გამოც მისი ქართული თარგმანი უნდა დათარიღდეს
არაუადრეს XII ს-ის მიწურულისა, უფრო ზუსტად, XIII ს-ით. ეს გარემოებაც
მხარს უმაგრებს Ath.6-ის თხზულებათა მთარგმნელად პეტრე გელათელის
მიჩნევას.

1 როგორც ჩანს, ამ მხრივაც "კლემაქსის" აღნიშნული თარგმანი და Ath.6-ის
ტექსტი პეტრიწის გავლენას განიცდის, რომელიც განსხვავებით ზოგადი
ტრადიციისაგან (სადაც ძირითადი სინთეზური ტერმინია "შეწავება") და განსხვავებით
XII ს-ის გელათური სკოლისაგან (სადაც "შეწავების" პარალელურად თავს იჩენს
კალკირებული "თანდადება") ამკვიდრებს ტერმინს "შედგმულებად" (*συσθεσις*-ის
შესატყვისად) (იხ. ნემესიოსი 32.1-552B; 32.4-552B; 83.5-656C; 118.7-705B). მასთანვე
გვხვდება ტერმინები "თანშედგმად" (ალბათ, "თანშედგმად"), "თანშედგმული" (იხ. პეტრიწი,
I გვ. 167-168). საყურადღებოა, რომ *συσθεσις* (გენეტივში) არსენის მიერ ერთგან
თარგმნილია ტერმინით "შედგენილი" (32v2-265C). ზმნა *συσθημα* მის თარგმანებში,
გარდა "შეწავებისა", შეიძლება გადმოცემული იყოს, როგორც "შენაწევრება" (დოგმ.
270.1-126.7; შტრ. "შენაწევრებული" 269.2-118.4), "შეწყობა" (277v2; 242.6) და სხვა.

2 იხ. მ. შანიძე, სიტყუად ართრონთათვის, გვ. 44, შენ. 18.

3 A. Παπαδοπουλος - Κεραμευς, Αναλεκτα 'Ιεροσολυμιτικης Σταχυλογιας, 1891,
I, s.g; s.15.

4 იქვე გვ.15.

5 მ. შანიძე, დასახ. შრომა, გვ.43. ხელნაწერი Ath.6, როგორც ცნობილია,
ნაკლულია (იხ. იქვე, გვ. 36). მ. შანიძე აღწერილობას იწყებს იხ (მე-17) ჰომილიიდან
(იქვე, გვ.37). აღვნიშნავთ, რომ წინა ტექსტი, რიგით მე-16, რაც ხელნაწერმა
ფრაგმენტულად შემოინახა და, შესაბამისად, მ. შანიძის მიერ იდენტიფიცირებული
არ არის, წარმოადგენს იოანე ოქროპირის ავტორობით ცნობილ ერთერთ ჰომილიას,
გამოცემულს Pg.ს 59-ე ტომში (col. 643-652).

6 იხ. პაპადოპულო-კერამევსის დასახ. შრომა, გვ.9.

დავუბრუნდეთ პეტრე გელათელის მიერ თარგმნილ "კლემაქსს".

აღნიშნული თარგმანი, ერთი მხრივ, განიცდის XII ს-ის გელათური სკოლის მკვეთრ გავლენას ანუ აღიბეჭდავს საკუთრივ გელათურ (არაპეტრიწისეულ) ტერმინოლოგიას; მეორე მხრივ, როგორც ზემორე მიმოხილვიდანაც გამოჩნდა, უთუოდ სახეზეა პეტრიწისეული გავლენაც;¹ მესამე მხრივ, აშკარად გამოიყოფა ახალი, ნიშანდობლივად პეტრე გელათელისეული ტერმინთშესატყვისობანი, რაც მთარგმნელის ტერმინოლოგიურ სპეციფიკას ქმნის.

სპეციფურ ასპექტებზე ზემოთ ნაწილობრივ გვქონდა მსჯელობა. რათქმაუნდა, ამ მხრივ კვლავაც ბევრია სამსჯელო. ამჯერად ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ ორ უაღრესად მკვეთრ თავისებურებას, რაც უკავშირდება ბერძნული ზმნური ფორმების *πεφυκεν* და *καθεστηκεεν* ქართულად თარგმნის საკითხს.

როგორც ცნობილია, *πεφυκεν* არის *φυσμαι* ზმნის ნამყო სრული II მოქმ. გვარისა და ნიშნავს: "დამახასიათებელია", "ახასიათებს", "სჩვევია", "თვისებად აქვს". ეფრემ მცირე შემდეგნაირად თარგმნის მას:

"... რომლისათვის ყოფად მიუღებთ" (არეოპაგელი, 161.3; 392B); "...რომელსა ზედა ყოფად მიუღებთ" (იქვე 79.29; 897 C); "ქმნითა იხილვების" (ოთხასეული 1.12); "ხორცქმნილ იქმნა" (2.61); "ძალუც შექმნად" (2.50)

არსენთან შესამჩნევია ტერმინები "იცნობების" "მოუგებს":

"ხარისხად მტკიცედ... იცნობების" (დოგმ. 2v2, 48D); "შეზავებულთა ბუნებათა, ვითარცა შეზავებულთა, მოუგებს ყოფად" (8.2; 88A).

გელათურ ტექსტებში უაღრესად მყარად მკვიდრდება არსენისეული "მოუგებს".

"მოუგებს დატკფრვად" (182v1; 893B); "სიტყუათა მოუგებს სიტყუად" (მაქსიმე, გელ. 14,1.1; 261D); "მოუგებს მყვანებელად" (1v1; 264B); "მოუგებს

¹ გარდა აღნიშნულისა, ამ კუთხით შეიძლებოდა ყურადღება მიგვექცია აგრეთვე შემდეგ ფორმებზე: "თან-მეცხორებე" (*συμβιω*; იხ. 114-232; 128-259; 133-268); "თან-მეგონებე" (*συνουα*; 65v-138; შდრ. პეტრიწი: "მეგონებობად", I ტერმ.ლექს. გვ.275); "მიწადება" (*εφομα*; "არცაღა მისწადდა მთავარსა", 178v-346; შდრ. პეტრიწი: "მივიწადებ", I, გვ.280); "მიმოსიტყუვად" (*διαλεξις*, 40v-91; შდრ. პეტრიწი, "მიდმოსიტყუად", გვ.278); "მიქმნილი" (*προσγινόμενος*, - 64-134: "შიში ვიდრემე სიკუდილისად არს თვთებად ბუნებისად ურჩებისაგან მიქმნილი"; ეს ტერმინი მკვეთრად პეტრიწისეულია. შდრ. *προσγινεται* - "მიექმნების", ნემესიოსი 85.10 - 652A; *παρὰγινεσθαι* - "მიიქმნებისო", იქვე 76.3 - 640B; იხ. "მიქმნა", პეტრიწი, I, ტერმ. ლექს. გვ. 202; 279); "მიმაზრვა" (*προσεικα*, 94v-196: "... მბრძოლსა მიემაზრა ლომისასა"; იგივე სიტყვა იქვე თარგმნილია, როგორც: "ემსგავსნეს", 95-196; შდრ. პეტრიწი: "მივიმაზრვი", II, 7.3; I, 280), "მისახვა" (მათდამი მისახვის, *σχηματιζεται* 139-278). საყურადღებოა აღნიშნოს, რომ Ath.რ-ის თარგმანებში სილოგისტურ ტერმინად გვხვდება პეტრიწისეული "შესიტყუვად" (ამ ტერმინის შესახებ იხ. დ. მელიქიშვილი, ძველი ქართული ლოგიკური ტერმინოლოგიიდან, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 25, კრებული, თბ. 1984, გვ.118). მაგალითად: "იხილე ჩემდად სიტყუად უფლისად შესიტყუვათა მიერ (*συσλογισμοις*) სიბოროტისა უკუნმაქცეველი" (77.1; 56,414); "დაადგინნა იგინი შორის შესიტყუვათადას (*συσλογισμων*)" (77v1; 56, 414); "გარნა ვიხილოთ, ვითარ შესიტყუავს (*συσλογιζεται*) მათ ქრისტე" (158.1; 51,59).

² გამონაკლისები მეტად იშვიათია. კერძოდ: მოიგონ (61.1; 425B); არს (64.2; 436B); აქუს (68.2; 449B); მქონებელისა (*πεφυκοτος*) (71.2; 452C); იქმნების (38v2-356C; 73v2-472D; 75v2-480B); მყოფისა (*πεφυκος*) (105v1; 593A); მოქმედისად (*πεφυκος*) (159.1; 753C).

სივლტოლად" (1v2; 264B); "მოუგიეს გარდაქცევად" (17v2; 289C); "მჩენყოფად მოუგიეს" (18v2; 293C); "მოუგიეს ქმნად" (26v1; 316C); "მთავარყოფად მოუგიეს" (73v1; 472D).

აი, სხვა საილუსტრაციო ნიმუშები იმავე ტერმინთშესატყვისობისა:
28.2-321A; 32v1-336C; 51v2-397A; 51v2-397B; 60v1 - 424D; 67v2 - 448C; 77v2-469D; 82.1-497A; 82v2 - 497D; 84v1 - 505A; 85v1 - 509B; 86v1 - 513 A; 88.2 - 516D; 94.2 - 541B; 94v - 544 A; 101 - 557D; 107.1-596D; 107v1-597 B; 110.2 - 608C; 111.2 - 609C; 111v1 - 609D; 111v2 - 612A; 114v2 - 621A; 116v2 - 625B; 117.2 - 625B; 119.1 - 632C; 124v1 - 649D; 128.1-657D; 131.2-659C; 177v2 - 881 B; 179.2-888A; 180.1 - 888D; 180v2 - 889 C; 184.1 - 900A; 185.2 - 901C; 185v1 - 901D; 257.1 - 300C; 307.2 - 100A; 131v2 - 672B; 132.2 - 672D; 148v1-717A; 151.1 - 724 C; 151.1 - 724D; 151v1 - 725A; 153.2-737A; 154.2-740B; 155v1-744A; 155v2-744B; 156v1-745A; 157.1-749A; 159.2-753C; 160v2-757D; 161v2-761A; 162v2-764B; 163.2-764D; 165.1-772C;

ნემესიოსის წიგნის პეტრიწისეულ თარგმანში სახეზეა შესატყვისთა ნაირგვარობა. კერძოდ:

შეჭავს (66.17-625B; 69.14-628A); აქუს (53.12 - 596A; 77.4-641B); ჩუეულა (73.23 - 636 A; 79.12 - 645B; 96.4-672B); ჩუეულ იუოს (92.18-665B); გამოჩნდა (152.1-761B); ჰქონდეს შეძლება (πεφυσκος) (140.2-740B); მქონებელი (40.10-568B)

ასევე ნაირგვარ შესატყვისებს იყენებს პეტრიწი პროკლეს წიგნის თარგმანში. ესენია:

ძალ-უც; შეუძლებს; უძლებს; შემძლებელ არს; შემძლე (არს); აქუს; აქუს ბუნებით; აქუს ძალი; აქუს სიმარჯუე (πεφυσκωσ თარგმნილია როგორც: "შემძლე"; "მომგე"; "რომელსა ჰქონდის სიმარჯუე") (იხ. პეტრიწი, I ტერმინ. ლექს., გვ. 172; იქვეა მითითებული სათანადო ადგილები).

წარმოდგენილი სურათის ფონზე მკვეთრად სპეციფური ჩანს უაღრესად მყარი ტერმინთშესატყვისობა *πεφυσκειν* - "უტევებიეს", რაც, "კლემაქსის" პეტრე გელათელისეულ თარგმანში გვხვდება. მოგვაქვს სათანადო ნიმუშები:

"უტევებიეს ვითამე მრავალგზის უსუბუქესთად ცრემლთაცა მიერ აღზუავებად" (72; 149); "უტევებიეს... გონებისა ჩუენისა ლმობიერებისა მიმართ მიწოდებად" (75;155); "მოსრვად უტევებიეს" (75v; 157); "უტევებიეს რამეთუ მრავალგზის და ვიდრე სულიერთაცა მამაკაცთამდე ზედგანმარტებად (επεκτεινεσθαι)" (82v-169); "შობად გიტევებიეს (πεφυσκας)" (93; 192).

ვუთითებთ სხვა ადგილებს იმავე ტერმინთშესატყვისობისა:

99 - 203 (გვტევებიეს - πεφυσκαμεν); 100v - 205; 101v-207 (ორგზის); 104-211; 106a-215; 106a-216 (შიტევებიეს - πεφυσκα); 113-230; 121-245 (ორგზის); 124v-251 (გვტევებიეს - πεφυσκαμεν); 130-261; 137v-276; 140v-281; 141v-283; 149v-296; 151v-299; 152-300; 153-301; 154-303; 155-305; 157-308; 159v-313; 159v-313; 164v-321; 165-321; 165-322; 166v-324; 182v-352; 185-357; 185v-358; 190-364; 196v-375; 197-375; 198-376; 202v-384; 203-385; 212-400; 215-405 (გვტევებიეს - πεφυσκαμεν);

ერთგან *πεφυσκασι* (601A) გადმოტანილია ასე: "მტევებელთად" (3v); იგივე ფორმა თარგმნილია, აგრეთვე, როგორც: "დატევებულ არიან" (81-166).

როგორც ვხედავთ, სახეზეა ფაქტობრივად უვამონაკლისო ტერმინთშესატ-

ყვისობა,¹ რაც მხოლოდ აღნიშნული თარგმანის სპეციფიკაა.

თითქმის იგივე ვითარება გვაქვს მეორე ტერმინთან დაკავშირებით:²

ტერმინი *καθεστηκεν* (*καθισταμαι*-ის ნამყო სრული II მოქმ. გვარისა) ნიშნავს: "ჰგიეს", "მყოფობს", "დამკვიდრებულია" და ა.შ. იგი ძველ ქართულში ჩვეულებრივ ითარგმნებოდა, როგორც "არს".

იხ. მაქსიმე, ორასეული 1.38 (მდრ. ოთხასეული: "ქმნილ არს" 1.35); გრიგოლ აკრაკანტელი, 75.28 (კ. კეკელიძის გამოც.) - 944 C; დოგმატიკონი 218v1-772A და სხვა.

VI კომოგენური ჯგუფის ტექსტებში ხსენებული ბერძნული ტერმინის უძირითადეს შესატყვისად გვაქვს იგივე "არს" ("არიან"). აი, სათანადო ნიმუშები (შესაბამის ბერძნულში ყველგან გვაქვს *καθεστηκεν*):

"მოწამე არს თავისა თვისისა" (მაქსიმე, გელ. 14, 16.1; 285D); "რომელთა სახეებ და წინადანიშნვა არიან (*καθεστηκασι*)" (28v1; 321B); "მეცნიერებად არს" (31v2; 332D); "საყუარელ არს" (33.1; 341B); "უძლურ არს" (51v1-2; 397A); "განმზადებად საღმრთოდას გზისად არს" (60.2; 424C); "თვთება არს" (92v2; 537C).

ვუთითებთ სხვა ანალოგიურ ადგილებს:

92v2 - 537C; 105v1-593A (ორგზის); 105v2-593B; 106v1-596B; 106v2-596C; 110v1-608D; 110v2-608D; 125v2-653B; 126-653D; 128.1-657D; 148.1-716B; 151v1-725A; 152.1-725D; 152.2-728A; 157.2-749A; 160v2-757D; 164.1-769B; 184.1-897D; 184v1-900C; 272v1-69C; 273.1-72A; 280v2-68B; 303v2-432B.

იშვიათად იმავე თარგმანებში შესატყვისად გვაქვს ტერმინი: "იცნობების". კერძოდ:

"დედად სიტყვსად იცნობების" (52v2; 400B); "... სიყუარული იცნობების" (68.1; 449A); "სათნობებად იცნობების" (76v2; 468C); "სათნობებად იცნობების ყოფად" (77v2; 469D); "ზღუდედ სხეული იცნობების ცხადად" (99.2; 553C); "არცა ერთი რადთურთით ცვალებითი ძრვად იცნობოს მის-შორისთად" (160v2; 757D); "სახისმოქმედად იცნობების" (51v2; 397B)

გვხვდება სხვა უიშვიათესი გამონაკლისებიც:³

"ხრწნილებად გრძნობისა შორის დამტკიცებულ არს" (38.1; 353C); "წინაგანგებისად მოუგევს სახე" (95.2; 545A); "მოუგევს ყოფად" (165.2; 773A); "ჰავნათესავნი... იქმნებიან" (154.1; 740A).

რაც შეეხება პეტრე გელათელს, მას, განსხვავებით ყველა სხვა მთარგმნელისაგან, შემოაქვს მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივი უაღრესად მყარი ტერმინი "დადგა" ("დადგეს" - *καθεστηκασι*), რასაც ზოგჯერ უნაცვლებს აღნიშნული შინაარსით ასევე მხოლოდ მისთვის სპეციფურ "დადგრომილ არს". მაგალითად:

"ხენეშად დადგეს იგინი" (74v; 154); "რომელი და ჭეშმარიტადცა დადგრომილ არს" (79v; 163); "ხოლო ესე ნუუკუე და საქმედ ღმრთისა განგებულებით და არა ეშმაკთად დადგა" (81v; 167); "შერეულად... დადგა

¹ გვხვდება მხოლოდ ერთი გამონაკლისი, ისიც მიმღეობურ ფორმაში: *πεφυκοτα* - მგულებელი (215; 404). აქვე აღვნიშნავთ, რომ Ath. 6-ის თხზულებათა ბერძნულ ორიგინალებში ვერ დავადასტურებთ ფორმა *πεφυκαυ*.

² აღვნიშნავთ, რომ Ath. 6-ის თხზულებათა ბერძნულ ორიგინალებში ვერ დავაფიქსირებთ ვერც ეს მეორე ტერმინი *καθεστηκεν*.

³ ბერძნ. *καθισταται* ასეა თარგმნილი: "გამოჩნდების" (107.2; 597A); "საცნაურ-იქმნების" (119.1; 632C) "იქმნების" (67v1; 448B).

შობაჲ ჩემი" (111v; 226); "... რომლისა სარგებელისა რადმცა უდიდესად დადგა?" (119v; 243), "რომელი ცოდვაჲ... უმძიმეს ყოველთაჲსა დადგა?" (99v; 203); "მბრძოლად დადგა" (125; 253); "არარაჲ რამეთუ სხუაჲ გულისსიტყუაჲ ესრეთ ძლით-ასაღსაარებელ, ვითარ ესე დადგა" (125v; 254).

ვუთითებთ სხვა ანალოგიურ ადგილებს:

10v-40; 15v-48 (დადგრომილ არს); 44a-99; 64-135; 67v-141; 68-142 (დადგრომილ არს); 73-152; 73-152; 80-164; 83v-172 (ორგზის); 89-184; 106av-216; 124-251; 137-275; 140v-280; 143-285; 146v-291; 150-296 (ორგზის); 150-297; 150v-298; 151-298; 152-300; 153-301; 153v-302; 153v-302; 156-307; 159v-312; 160-314; 165-322; 170-331; 187-360; 206 - 390¹

* * *

ამგვარად, როგორც ზემორე განხილვა გვიჩვენებს, პეტრე გელათელს ახასიათებს აშკარად გამოხატული ტერმინთშესატყვისობითი სპეციფიკა, რაც მის ტერმინოლოგიურ სტრუქტურას ქმნის. აღნიშნული სტრუქტურის ერთერთი მყარი ელემენტია უგამონაკლისო ტერმინთშესატყვისობა: *ποιότης* - "მოქმედებაჲ", რაზეც უკვე ვიმსჯელებთ.

* * *

ვფიქრობთ, ზემოწარმოდგენილი ვრცელი მასალა ტერმინ *ποιότης*-ს ქართულად თარგმნის ისტორიასთან დაკავშირებით კარგად წარმოაჩენს ამ მნიშვნელოვანი ცნების წვდომა-შემეცნებათა სიღრმესა და ნაირგვარობას ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში უძველესი დროიდან მეცამეტე საუკუნის ჩათვლით.

II. ტერმინ *ποιότης*-ს უნსატყვისო სემპრიანო ბაბალოვნელის "ექუსთა ღღეთას" ქართულ თარგმანში

აღნიშნული ტერმინი ორიგინალში ხუთგზის გვხვდება. ქართული თარგმანები ასეთია:

"რად არა-მე ერთ არს ნუყიერებაჲ (*ποιότης*) ყოველთაჲ? რად არს? შეშკამენ ქუეყანისასა და ნუყიერებასა (*ποιότητος*) ადგილთასა, რომელთანა შთადიან. ვითარცა მას წყალსა ერთ აქუს სახე (*φυσιν*) და ერთ ფერ

¹ გვხვდება პრაქტიკულად სამი გამონაკლისი: ვართ (134v; 251); იუთს (170; 331); მყოფ იუვენს (183; 353). საგულისხმოა, რომ *καθίσταται* (43) ასევე თარგმნილია სიტყვით "დადგა" (12v; შდრ. *καθίστασθαι* - "დადგომად", 79v-163; "მდგომობად", 205-389). საყურადღებოა, რომ ერთგან არსენთან *καθίστηκεν* თარგმნილია, როგორც "მდგომ არს" ("შორს მდგომ არს ესე ჰეშმარიტებისაგან", დოკმ. 174.1-2952A).

(ποιότητα)" (170; 479);

"და-თუ-ილტვის აფსინდი, სხუა ფერ (ποιότητα) იქცის" (170; 480);

"ხოლო რომელი (მოედინების, ე.წ.) ქუეყანასა სხუასა, სხუა აქუს ფერ (ποιότητα)" (170; 480).

როგორც ვხედავთ, შესატყვისებად გვაქვს "ნუყიერებად" და "ფერი", რომელთაგან პირველი ბერძნული ტერმინის ყოფითი შინაარსით აღქმას კონტექსტიდან გამომდინარე, მეორე კი ("ფერი") აშკარად ტერმინოლოგიური გააზრებისაა და "რაგვარობის" შინაარსს შეიცავს. საყურადღებოა, რომ იგივე ტერმინი ერთგან კიდევ უნდა იჩენდეს თავს ქართულ თარგმანში. შესაბამის ადგილას ვკითხულობთ:

"და სახე ერთ, ხოლო ყოველნივე იგი სხუა ფერ" (170; 480).

ამ მაგალითში სიტყვა "ყოველნივე" შეესატყვისება ბერძნულ *σλα-*ს ("ნივთნი"), რაც ჩანს, მთარგმნელს აღუქვამს, როგორც *ολοι* ("ყოველნი"). რაც შეეხება ფრაზას "სხუა ფერ", ორიგინალში მას შეესატყვისება *μεταποιουσιν*. საფიქრებელია, რომ აღნიშნული ბერძნული სიტყვა მთარგმნელმა ასე გაყო: *μετα ποιουσιν*, სადაც *ποιουσιν* შეიძლებოდა დაკავშირებოდა *ποιότης*-ს იდენტურ ტერმინს *το ποιον*.

როგორც არ უნდა იყოს, ვფიქრობთ სრულიად ცხადია, რომ ორივე ზემოაღნიშნული კვალიტატური ტერმინი ("ნუყიერებად" და "ფერი") არქაულ სახეს ავლენს და სხვა ზემოგანხილულ ტერმინებთან ერთად თარგმანის უეჭველ სიძველეს ცხადყოფს.

Ασματος

1. ტერმინის კველი ქართული შესატყვისები:

აღნიშნული ტერმინი ერთერთი უხშირესია საეკლესიო ტექსტებში. კარგად არის ცნობილი, რომ იგი ქართულად ითარგმნებოდა როგორც "უკორცოდ" ან "უსხეულოდ". მათ შესახებ ნაწილობრივ ზემოთაც გვქონდა მსჯელობა. სათანადო ნიმუშებმა, ვფიქრობთ, ცხადყო, რომ ძველი ქართული მწერლობის ყველა ეპოქაში ტერმინთშესატყვისობა *ασματος* - "უკორცოდ"/"უსხეულოდ" უადრესად მყარია და იგი პრაქტიკულად უგამონაკლისო სახეს გვიჩვენებს. ამასთან, ბერძნული ტერმინის კვალობაზე, ქართული "უკორცოდ" და "უსხეულოდ" თარგმანებშიც და ორიგინალურ ტექსტებშიც მეტად ხშირად გვხვდება. დამოწმებათა რაოდენობა ჭეშმარიტად აურაცხელია და რაც ამჯერად ჩვენთვის განსაკუთრებით არის მნიშვნელოვანი, ასეთად ჩანს ეს ტერმინები უძველესი ეპოქიდანვე.

სიძველის თვალსაზრისით უპირველესად, რათქმაუნდა, ყურადღებას იქცევს "სინური მრავალთავი", სადაც აღნიშნული ტერმინთშესატყვისობა უკვე საბოლოოდ დამკვიდრებული სახით ავლენს თავს. მაგალითად:

"უკორცოდ (*ασματος*) ვორცთა შინა მყოფისა" (8.34); "ეზეკიელ საყდარსა ზედა განიცადა უკორცოდ" (26.20); "რომლისაგან ძწიან უკორცონი ძალნი" (174.12); "წრფელ, უსხეულო" (33.10); "ველშეუხებელი იგი და წრფელი და უსხეულოდ" (33.35).

დამოწმებული ტექსტები, როგორც ცნობილია, უადრესი თარგმანებია, დაახლოებით VI ს-ისა (იხ. ამის შესახებ ზემოთ).

იგივე ტერმინთშესატყვისობა თავს ავლენს "სვანურ მრავალთავშიც".

"უკორცოთა ბუნებანი" (ი.აბულ., შრომები, III, გვ.45.21); "სულნი არიან უკორცონი" (იქვე 47.8); "არა ვითარ უკუე უკორცონი, შეეხნენ უკორცოთა" (იქვე 47.8); "ვორციელთა ვიდრემე და უკორცოთა" (47.9); "უკორცოდ იგი ვორციელ იქმნების" (294.1; დამოწმებულია ი.აბულაძის "ლექსიკონში").

ზემორე ტექსტებს გვერდით უდგას "უძველესი იადგარიც". აი, ზოგი ნიმუში:

"არა ცნეს უკორცოთა შენთა ანგელოზთა" (415.21); "მვედრობად უკორცოთა შენთად" (421.1); "ღმრთეებად და კაცებად არა ცნეს უკორცოთა ანგელოზთა" (490.9).

შედარებით მოგვიანო ეპოქისათვის, როგორც აღნიშნული იყო, "უკორცოდ" და "უსხეულოდ" ჭეშმარიტად აურაცხელი რაოდენობით გვხვდება, როგორც ბერძნული *ασματος*-ის ტერმინოლოგიურად უცვლელი შესატყვისები.

ვფიქრობთ, დასკვნა უთუოდ ერთია: ზემოგანხილული ტერმინთშესატყვისობა, თუ უფრო ადრე არა, ყოველ შემთხვევაში, დაახლოებით VI ს-იდან მაინც საბოლოოდ ჩანს დამკვიდრებული.

II. ტერმინის შესატყვისები სევერიანე გაბალოვნელის "ექუსთა ღღეთას" კველ ქართულ თარგმანში

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ გადმოაქვს სევერიანეს შრომის ქართულ მთარგმნელს ბერძნული *ασματος*, წინამდებარე ტერმინოლოგიური გამოკვლევის დამასრულებელ ქვეთავად წარმოვადგინეთ, რადგან ხსენებული ქართული თარგმანის განსაკუთრებული არქაულობა სწორედ აქ ავლენს თავს და ამით მთელი ზემორე მსჯელობა, ვფიქრობთ, კიდევ ერთ უეჭველ არგუმენტს იძენს.

საქმე ისაა, რომ, როგორც აღვნიშნავდით, ცალკეული ტერმინები დროთა განმავლობაში იმდენად თვისობრივი ხდება ენისათვის, რომ ხშირ შემთხვევაში წარმოუდგენელი და შეუძლებელიც კი ჩანს ოდესმე ენაში მათი არარსებობის დაშვება. ზოგ ასეთ ტერმინზე ზემოთაც გვაქვს აღნიშნული. ამგვარ ტერმინებად გვევლინება ხსენებული "უკორცოდ" და "უსხეულოდ".

როგორც ვნახეთ, ისინი უძველესი დროიდანვე მყარად არიან ფიქსირებული. მაინც, სევერიანეს შრომის ქართული თარგმანის შესწავლა ცხადყოფს, რომ იყო კიდევ უფრო უძველესი ეპოქა, როცა ეს ტერმინები არ არსებობდენ, ანუ როცა "კორცი" და "სხეული" უარყოფითბრეფიქსიანი შენამატით ჯერ კიდევ არ იყვნენ ცნობილნი და როცა ბერძნული *ασματος* ქართულად გადმოიცემოდა მეტად უხერხული ფორმით "კორცთა გარეშე" // "კორციელებისა გარეშე" (ანდა შესატყვისად მოიხმობოდა სხვა ტერმინი "უასოოდ"). მოგვაქვს ყველა არსებული ნიმუში:

1. "ესე (ვნებადი შობა, ე.ჭ.) კორციელებისა არს წესი, ხოლო კორციელებისა გარეშე წესისა შობილისა და კორცთა გარეშე ნაყოფი, რომელ იშვა" (119).

როგორც ვხედავთ, ქართული ტექსტი აბსოლუტურად გაუგებარია, რასაც ძირითადად ტერმინ "უკორცოს" არარსებობა განაპირობებს. ბერძნულის თარგმანი ასეთია: "ამგვარი რამ (ვნებადობა, ე.ჭ.) ხორციელი მდგომარეობის თვისებაა, ხოლო სადაც მშობელი ბუნება უხორცოა (*ασματος*), იქ შობილი ნაყოფიც უხორცოა (*ασματος*)" (462. აქ სევერიანე ეხება ძე ღმერთის მამისაგან შობას).

2. "შენ ნუ შეახებ კორცთა ვნებასა კორცთა გარეშესა მას (*τω ασματω*)" (120; 462).

3. "უმცირესად კორცთა გარეშე (*ασματος*) ანგელოზთასა ხართ დამტკიცებულ" (125).

ბერძნულის თარგმანი ასეთია:

"დაკლებულნი ვართ ანგელოზთა უხორცო მდგომარეობას (*ασματος...καταστασεως*)" (464).

4. "გამოწერად კორცთა გარეშენი (*το ασματος*), უმეცარ იქმნნეს უჯეროდათა გონებითა" (156).

ბერძნულის თარგმანი ამგვარია:

"ნაწილებში გამოსახეს (*εμελογραφησαν*) უხორცო, უმეცარნი იყვნენ რა, რომ შეუფერებელია [ამგვარი] გააზრება" (474).

5. "იქმოდა წმიდათა და უასოთა (*ασματα*) სულთა" (127; 464).

დამოწმებული ნიმუშები, ვფიქრობთ, ეჭვს არ ტოვებს, რომ სევერიანეს შრომის მთარგმნელი არ იცნობს უარყოფითპრეფიქსიან ტერმინებს "უკორცოდ" და "უსხეულოდ", რის გამოც იძულებულია გაცილებით მოუხერხებელი გზით გადმოსცეს ბერძნული *ασματος*, როგორც "კორცთა (ან "კორციელებისა") გარეშე", ანდა სხვა ტერმინი ("უასოოდ"¹) შემოიტანოს.

ვფიქრობთ, საგულისხმო უნდა იყოს იმის აღნიშვნა, რომ ზემოხსენებულ ტერმინთა ("უკორცოდ", "უსხეულოდ") არარსებობა უადრესი ეპოქის ქართულ ქრისტიანულ მწერლობაში ახსნას პოულობს ბიბლიური სამწერლობო ტრადიციის საფუძველზე.

ცნობილია, რომ სხვადასხვა ერების ქრისტიანული მწიგნობრობა, ქრისტიანული ენა ბიბლიის თარგმნით შეიქმნა. ეს აზრი შეიძლება გავრცელდეს ტერმინოლოგიურ მხარეზეც. ამათუიმ ენაზე ქრისტიანული ტერმინოლოგიის პირველსაფუძვლები სწორედ ბიბლიის თარგმანმა შექმნა. რამდენადაც სევერიანეს შრომის მთარგმნელი აშკარად არ იცნობს ბერძნულის ადეკვატურ ქართულ ასომატურ ტერმინოლოგიას, ცხადია, რომ ამგვარი ტერმინოლოგია ბიბლიის ქართული თარგმანის ტექსტობრივი ტრადიციიდან მას არ გადასცემია, რაც ადვილად აიხსნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ არც ძველ აღთქმაში, არც ახალ აღთქმაში არცერთხელ არ გვხვდება ასომატური ტერმინი (მათში ერთხელაც არ არის დამოწმებული *ασματος*). ამასთან დაკავშირებით გასახსენებელია ორიგენეს ერთი ტერმინოლოგიური დაკვირვება, რაც მას გამოთქმული აქვს ერთერთ აპოკრიფთან დაკავშირებით. ორიგენე გვაუწყებს:

"ტერმინი *ασματος*, ანუ "უხორცო" არ არის ხმარებული (*in usitata est*) და უცნობია (*incognita*) არა მხოლოდ სხვა ბევრი [ავტორისათვის], არამედ, აგრეთვე, ჩვენი წერილისათვის (ბიბლიისათვის, ე.ჭ., *nostras scripturas*). თუ ვინმეს სურს, რომ წარმოგვიდგინოს [ადგილი] იმ წიგნიდან, რომელსაც ეწოდება "პეტრეს მოძღვრება", სადაც ჩანს, რომ მაცხოვარი ეუბნება მოწაფეებს: "არ ვარ უსხეულო (*incorporeum*) დემონი", უპირველესად იმას ვუპასუხებთ, რომ ეს წიგნი არ შედის საეკლესიო წიგნებში და წარმოვაჩინოთ, რომ არც პეტრესია ეს ნაწერი, არც ვინმე ისეთისა, ვინც ღვთის სულით არის შთაგონებული" (ორიგენე, დასაბამთა შესახებ, *praefatio*, 147-155).

როგორც ვხედავთ, ორიგენეს მოწმობითაც, საღვთო წერილისთვის უცხოა ასომატური ტერმინოლოგია. მეორე მხრივ, საკუთრივ საეკლესიო ტექსტებში ამგვარი ტერმინოლოგია მეტად ხშირია. უეჭველია, რომ ქართულ ენაზეც ტერმინები "უკორცოდ" და "უსხეულოდ" შეიქმნებოდა არა ბიბლიის, არამედ ეკლესიის მამათა ნაწერების თარგმნის ყამს. შესაბამისად, მყარი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ სევერიანეს შრომის ქართველი მთარგმნელი მოღვაწეობდა ბიბლიის ძირითადი წიგნების პირველთარგმნის ეპოქაში ანუ ეპოქაში, როდესაც საღვთისმეტყველო ტექსტების თარგმნა ქართულ ენაზე ჯერ კიდევ აქტივიზებული არ იყო.

1 ტერმინი "უასოოდ" იშვიათი ლექსიკური ერთეულია (იგი არ არის ფიქსირებული არც სულხან-საბას, არც იაბულაძის, არც ზ.სარჯველაძის, არც სხვათა ლექსიკონებში). გარდა ზემორე დამოწმებისა, ხსენებული ტერმინი თავს იჩენს, აგრეთვე, Ath.9-ის ცნობილ ანდერძში (რასაც ზემოთაც შევხებით ტერმინ *ουσια*-ს განხილვის დროს). მასში, კერძოდ, ვკითხულობთ: "(დმერთმა) არაარსისაგან დაპბადნა დაბადებულნი თვისნი: პირველად - უასონი იგი ძალნი, მაქებელად და მაკურთხეველად სახელისა მისისა, მეორედ - კაცთა ნათესავი" (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, I, თბ. 1986, გვ.45).

პირითაღი დასკვნები

წინამდებარე თარგმანის უმთავრეს საღვთისმეტყველო ტერმინთა ზემოწარმოდგენილი ანალიზი, ვფიქრობთ, საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ:

1. ყველა შემთხვევაში სახეზეა სევერიანე გაბალოვნელის "ექუსთა დღეთაჲს" ქართული თარგმანის განსაკუთრებული ტერმინოლოგიური არქაულობა.

2. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საკუთრივ ქართული ტექსტი უადრესი ეპოქის (V ს-ის I ნახევარი ან შუა წლები) ძეგლად უნდა იქნეს მიჩნეული.

3. ხსენებული ტექსტი საშუალებას გვაძლევს ქრონოლოგიური განხილვის წესით შევისწავლოთ ქართული ქრისტიანული ტერმინოლოგიის აღმოცენებისა და ცვალებადობა-ჩამოყალიბების უარსებითესი ასპექტები.

ბოლოთქმა

პირველი ტომისათვის

ტერმინთქიებათა შედეგად გამოტანილი სამი უმთავრესი დასკვნა, რაც ზემოთ წარმოვადგინეთ, ვფიქრობთ სარწმუნოს ხდის, რომ სევერიანე გაბალოვნელის "ექუსთა დღეთაჲს" განხილული თარგმანი ქართულენოვანი ქრისტიანული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ძეგლია თავისი განსაკუთრებული არქაულობის გამო¹. ჩვენი აზრით, სრულიად უეჭვოა, რომ ხსენებული თარგმანი წინ უსწრებს ქართულ-სომხური ლიტერატურული თანამშრომლობის დასაწყის ხანას, რაც V ს-ის შუა წლებიდან იღებს სათავეს და ინტენსიურად გრძელდება თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე (აღნიშნული თანამშრომლობა ნაწილობრივ შემდეგშიც შესამჩნევია). მართალია, თარგმანის ტექსტი, სინტაქსური ასპექტით, ხშირად გაუმართავია და გაუგებარი (რის მიზეზებიც, როგორც ნაჩვენებია იყო, ბერძნულ ორიგინალთან ზედმიწევნითი თანხვედრის სურვილიდან გამომდინარეობს), მაგრამ, ლექსიკურ-ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, ეს თარგმანი მთლიანად სუფთაა არმენიზმებისაგან და მისი სახით ჩვენს წინაშე წარმოჩნდება ქართული ქრისტიანული ტერმინოლოგიის უდასაბამიერესი ფაზი, ტერმინულ პირველქმნალობათა ეპოქა, რაც V ს-ის შუა წლებიდან თანდათანობით დავიწყებას ეძლევა.

ზემოთქმულთან დაკავშირებით შეუძლებელია არ გაგვახსენდეს გიორგი მცირის ცნობილი უწყება იმის შესახებ, რომ ქართველებს "პირველითგანვე გვქონდა წერილნიცა და სარწმუნოებაჲ ჭეშმარიტი და მართალი, გარნა ქუეყანაჲ ჩუენი შორის იყო ქუეყანისაგან საბერძნეთისა" და ამიტომ, ამბობს ჰაგიოგრაფი, სომხურიდანაც ითარგმნებოდა წიგნები ("რომელნიმე წიგნნიცა გუაქუნდეს მათგან თარგმნილნი").

გიორგი მცირის მიხედვით, ქართული ქრისტიანული მწერლობა დასაბამში ("პირველითგან") უშუალოდ მხოლოდ ბერძნულთან იყო დაკავშირებული, რაც, მისი თქმით, ნაწილობრივ ირღვევა სომხურთან მწიგნობრული კავშირის დამყარების შემდეგ. ეს უკანასკნელი მოვლენა V ს-ის შუა წლებიდან იწყება. შესაბამისად, ქართული ქრისტიანული მწერლობის დასაბამიერი ("პირველითგანი") ხანა V ს-ის შუა წლებზე უწინარესი ეპოქით უნდა განისაზღვროს.

ვფიქრობთ, სევერიანეს შრომის ზემოგანხილული თარგმანი, რაც, ჩვენი აზრით, უთუოდ ამ დასაბამიერ ეპოქას ეკუთვნის, ფაქტობრივი დადასტურებაა გიორგი მცირის უწყებისა.

¹ გამოკვლევის მეორე ტომში მიზნად გვაქვს შეძლებისდაგვარი დაწვრილებით იქნეს განხილული ხსენებული თარგმანის მრავალი სხვა ლექსიკურ-ტერმინული არქაიზმი, აგრეთვე, ბიბლიური ციტატების რაგვარობა, როგორც უტყუარი ნიშანი თარგმანის სიმკვლეისა. ვფიქრობთ, ამასთან, მოწოდებული იქნება მასალობრივი და კვლევითი შევსება-დაზუსტებანი ზემოგანხილულ ტერმინებთან დაკავშირებით.